ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართული ცხოვრება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

F+
K-30

ქართლის ცხოვრება

(„ძველი ქართლის ცხოვრება“)

K88 3/02

გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და
ტერმინთა განმარტება დაურთეს აკადემიკოსებმა
ილია ანთელავამ და ნოდარ შოშიაშვილმა

გამომცემლობა „ნიკე“
თბილისი — 1996

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ქართლის ცხოვრების“ კრებული შუა საუკუნეების ქართული ისტორიო მწერლობის ენციკლოპედიური ძეგლია. მასში შესულია XI—XIV სს. ისტორიკოსთა ნაშრომები, რომლებიც ასახავენ საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან XIV ს. დამდეგამდე. ტექსტის გამოცემა ემყარება უძველეს, ე. წ. „მცხეთური ციკლის“ ნუსხებს, სათანადო გამოკვლევებს და ძეგლის წინა გამოცემებს.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისათვის და ასევე ფართო საზოგადოებისათვის, მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობისათვის.

რედაქტორი აკად. მ. ლომთათიძე

K289.405
3

4306020600—
К ——————— ბრძ. — 1990
М — 602(08)-96

© შემდგენლები ი. ანთელავა
ნ. შოშიაშვილი, 1996

ISBN5-505 01461-0

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

„ქართლის ცხოვრება“ (ანუ დღევანდელი გაგებით — „საქართველოს ისტორია“) სახარებასთან და „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად შუა საუკუნეების ქართული კულტურისა და იდეოლოგიის ბურჯს წარმოადგენდა. ის იყო ამ პერიოდში ერთადერთი ძეგლი, რომელიც საქართველოს ისტორიას მთლიანობაში ასახავდა (სხვა მატიანეები და ქრონიკები გადმოგვცემდნენ ამა თუ იმ კუთხის ან საგვარეულოს ისტორიას და არა მთელი ქვეყნისას) ამ „პატიოსან“ და „წმინდა“ წიგნზე, როგორც მას უწოდებდნენ ძველად, ჩვენ წინაპართა თაობები იზრდებოდნენ, სამშობლო ქვეყნის დამპყრობელთა წინააღმდეგ გმირული ბრძოლებითა და შემოქმედებითი შრომით აღსავსე მრავალსაუკუნოვან დიად წარსულს იცნობდნენ.

შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიის მაღალი დონის დამადასტურებელი ეს ძეგლი, ბუნებრივია, დღესაც ფასდაუდებელია ჩვენთვის, როგორც საისტორიო წყარო, სიტყვაკაზმული მწერლობის ბრწყინვალე ნიმუში, გარდასულ საუკუნეთა ქარტეხილების ამსახველი მატიანეთა კრებული.

„ქართლის ცხოვრება“ იწერებოდა „ჟამითი ჟამად“, ე. ი. სხვადასხვა დროის ავტორთა მიერ. საფიქრებელია, რომ აამეფო ხელისუფლება საგანგებოდ უკვეთავდა გამორჩეულ ავტორებს „ქართლის ცხოვრების“ მორიგი ნაკვეთის დაწერას.

„ქართლის ცხოვრების“ კვლევა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან დაიწყო. განსაკუთრებით დიდი მუშაობა გასწია ამ ძეგლზე ე. წ. „სწავლულ კაცთა“ კომისიამ, რომელიც ვახტანგ ბატონიშვილის (შემდეგში მეფე ვახტანგ VI) ბრძანებით შეიქმნა XVIII ს. დასაწყისში. კომისიამ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით შეავსო და შეასწორა „ქართლის ცხოვრება“, დაწერა მისი გაგრძელება. ასე შეიქმნა ე. წ. „ახალი ქართლის ცხოვრება“.

„ქართლის ცხოვრების“ ახალი ციკლის თხზულებებად შეიძლება აგრეთვე პირობითად მივიჩნიოთ XVII—XVIII სს. დაწერილი „ცხოვრებები“, რომლებიც მათს ავტორებს „ქართლის ცხოვრების“ კრებულში არ შეუტანიათ. ამ თხზულებათა ავტორები და იმდროინდელი საზოგადოებაც ამ თხზულებებს მიიჩნევდნენ „ქართლის ცხოვრებად“, „საქართველოს ცხოვრებად“. „მცირე ქართლის ცხოვრებად“ (ფარსადან გორგიჯანიძის, სეხნია ჩხეიძის, ვახუშტი ბატონიშვილის, ომან ხერხეულიძის, პაპუნა ორბელიანის ნაშრომები).

„ქართლის ცხოვრების“ კრებული შემოგვრჩა ნუსხებით, რომელთა დიდი ნაწილი „ახალი ქართლის ცხოვრებაა“ (ე. ი. „ვახტანგისეული“ რედაქციისა), ხოლო ნაწილი — „ძველი“ (ე. ი. „ვახტანგამდელი“ რედაქციისა). „ძველი“ ნუსხებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი შედგენილობით ე. წ. „მცხეთური ქართლის ცხოვრებ-ბის“ ციკლი გამოირჩევა. „მცხეთური რედაქციის“ ნუსხები მოდიან საერთო დედნიდან, რომელსაც XVI ს-ის ერთ ქართულ დოკუმენტში „მცხეთური ქართლის ცხოვრება“ ეწოდება[1].

„ძველი ქართლის ცხოვრების“ არქეტიპი XIII ს-ში მთავრდებოდა დავით IV აღმაშენებლის გარდაცვალებით (1125 წ.). ამას მოწმობს როგორც დღემდე შემორჩენილი ნუსხები „ვახტანგამდელი“ „ქართლის ცხოვრებისა“, ისე ამ კრებულის სომხური თარგმანის XIII ს-ის ხელნაწერი. შემდგომში ძეგლის სხვადასხვა ნუსხებს დაემატა სხვადასხვა თხზულებები. ყველაზე სრულად შეივსო მცხეთური ციკლის „ქართლის ცხოვრებათა“ არქეტიპი — გიორგი V ბრწყინვალის გამეფებამდე (1314 წ.). „ვახტანგამდელი“ „ქართლის ცხოვრების“ ორი ნუსხა მომდინარეობს უფრო მცირედ შევსებული არქეტიპებიდან: ე. წ. „ანასეულ“ ნუსხას დამატებული აქვს 1125—1222 წწ. ისტორია უცნობი ავტორისა (ე. წ. „ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის“ თხზულება), ხოლო „ჭალაშვილისეულს“ — თამარის ისტორია, ასევე უცნობი ავტორისა.

„ქართლის ცხოვრების“ გამოცემა დაიწყო XIX ს-ის შუახანებში. მის გამოცემაში რამდენიმე ეტაპი შეიძლება გამოვყოთ: 1. „ახალი ქართლის ცხოვრების“ ნუსხებზე დამყარებული გამოცემა; 2. „ვახტანგამდელი“ ნუსხების ცალ-ცალკე გამოცემა; 3. ყველა არსებული ნუსხის მიხედვით დადგენილი ტექსტის კრიტიკული, აკადემიური გამოცემა; 4. „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესული თხზულებების ცალ-ცალკე გამოცემა.

I. ვახტანგისეული“ რედაქციის სამ ნუსხაზე დამყარებული გამოცემა „ქართლის ცხოვრებისა“ განახორციელა მ ა რ ი ბ რ ო ს ე მ 1849—1858 წწ. ორი ტომი (I და IV) წარმოადგენდა ქართულ ტექსტს (I ტ. მოიცავდა ბერიოდს 1469 წლამდე[2], ხოლო IV — დ. ჩუბინაშვილის რედაქციით — 1469—1800 წწ.[3]).

II. „ქართლის ცხოვრების“ „ვახტანგამდელი“ ნუსხებიდან გამოცემული იქნა ორი: „მარიამისეული“ და „ანასეული“. „მარიამისეული“ ნუსხა (რომელსაც მიაკვლია დ. ბაქრაძემ 1884 წ.) გამოსცა ე. თაყაიშვილმა (1906 წ.), ხოლო „ანასეული“ ნუსხა (რომელსაც მიაკვლია ივ. ჯავახიშვილმა 1913 წ.) გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა 1942 წ.

[1] კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, რას მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება“, თბილისი, 1961, გვ. 28.

[2] ქართლის ცხოვრება, I, მ. ბროსეს გამ., სპბ., 1849.

[3] ქართლის ცხოვრება, II, დ. ჩუბინოვის გამ., სპბ., 1854.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწუხაროდ, „ქართლის ცხოვრების“ ცალკეული ნუსხების გამოცემა შეწყდა. ყველა ნუსხის ცალ-ცალკე გამოცემა დიდად შეუწყობდა ხელს ამ ძეგლის ტექსტოლოგიურ კვლევას.

III. „ქართლის ცხოვრების“ ყველა ნუსხის მონაცემებზე დამყარებული აკადემიური გამოცემა განახორციელა ს. ყაუხჩიშვილმა ორ ტომად, 1955—1959 წწ (მანვე, პირობითად, „ქართლის ცხოვრების“ IV ტომის სახელწოდებით, გამოსცა ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ცხოვრება“, ხოლო III ტომად გამიზნული ჰქონდა XVIII ს-ის რამდენიმე საისტორიო თხზულების გამოცემა).

ს. ყაუხჩიშვილის ეს გამოცემა ჯერჯერობით „ქართლის ცხოვრების“ ერთადერთ აკადემიურ, კრიტიკულ პუბლიკაციას წარმოადგენს. მან მყარი საფუძველი შეუქმნა ამ ძეგლის კვლევის ახალ ეტაპს.

IV. „ქართლის ცხოვრებაში“ შესული თხზულებებიდან ცალკე გამოცემულია: 1. ე. წ. „ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანის“ ნაშრომი (ივ. ჯავახიშვილი, 1927 წ.); 2. ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ივ. ჯავახიშვილი, 1940 წ.); 3. თამარის მეორე ისტორიკოსი (გამომცემელი მის უწოდებს ბასილი ეზოსმოძღვარს) — „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ (ივ. ჯავახიშვილი, 1944); 4. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ — გიორგი III-ისა და თამარის ისტორია (კ. კეკელიძე, 1941); 5. ე. წ. ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანე“ (რ. კიკნაძე, 1987); 6. სუმბატ დავითისძის „ცხოვრებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა“ (გ. არახამია, 1990).

„ქართლის ცხოვრება“, როგორც მთლიანი ძეგლი, უცხო ენებზე დღემდე თარგმნილია სამჯერ: სომხურად (XII ს-ში)[4]; ფრანგულად (XIX ს. შუახანებში)[5] და გერმანულად[6].

„ქართლის ცხოვრების“ ცალკეული თხზულებები თარგმნილია რუსულ და ახალსომხურ ენებზე. რუსულად თარგმნილია: სუმბატ დავითისძე[7], „ისტორიანი და აზმანი შარა-

---

[4] ქართლის ცხოვრება, ძველი სომხური თარგმანი, ილ. აბულაძის გამ., თბილისი, 1953.

[5] M. Brosset, Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIX-e siécle, v. I, SPb, 1849, v. V, 1856.

[6] Das Leben Kartlis, Eine Chronik aus Georgien 300—1200, Herausgegeben von Gertrud Patsch, Leipzig, 1985.

[7] Е. Такаишвили, Источники грузинских летописей. Три хроники. Жизнь и известия о Багратидах, которые описал Сумбат сын Давида. СМОМПК, вып. 28. Тифлис, 1900.

Сумбат Давитис-дзе, История и повествование о Багратионах. Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе, Тбилиси, 1979.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანდედთანი"[8], „მატიანე ქართლისა"[9], „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი"[10], ჯუანშერის — „„ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა"[11], ლეონტი მროველის — „ცხოვრება მეფეთა"[12]; ახალ-სომხურ ენაზე თარგმნილია ე. წ. ქამთააღმწერლის თხზულება[13].

ჩვენი აზრით, „ქართლის ცხოვრების" დაშლა ცალკეულ ნაწილებად და ისე გამოცემა ქართული ტექსტის ან თარგმანისა, გაუმართლებელია. „ქართლის ცხოვრება" ერთი მთლიანი ძეგლია. ყველა ნუსხა ამ ძეგლისა წარმოადგენს მას მთლიანობაში. არ არსებობს მისი რომელიმე ნაწილი ცალკე თხზულების სახით. კრებულში შესული თხზულებები ორგანულად არიან შერწყმული ერთ ძეგლად და მათი დაქუცმაცება აოლვევს „ქართლის ცხოვრების" მთლიანობას, მონუმენტუოობას.

გარდა ამისა, დღემდე სადავოა „ქართლის ცხოვრებაში" შემავალი თხზულებების ერთმანეთისაგან გამიჯვნის ფარგლები, ზღვარი ცალკეულ თხზულებებს შორის. ამის გამო არ არსებობს მტკიცე საფუძველი „ქართლის ცხოვრების" თხზულებათა ერთმანეთისაგან გამიჯვნისათვის.

ჩვენი აზრით, „ქართლის ცხოვრების" საგამომცემლო მუშაობაში ბოლომდე უნდა იქნას მიყვანილი ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს წამოწყება: ცალკეული ნუსხების კრიტიკული, აკადემიური გამოცემა და თითოეული მათგანის მონოგრაფიული გამოკვლევა. ამის შემდეგ კი, ალბათ, დღის წესრიგში დადგება, მიღებული შედეგების გათვალისწინებით, კვლავ ყველა ნუსხის მონაცემებზე დამყარებული კრიტიკული, აკადემიური გამოცემის განხორციელება, ე. ი. ახალ საფუძველზე იმის გამეორება, რაც გააკეთა ს. ყაუხჩიშვილმა.

წინამდებარე გამოცემის მიზანი ამჯერად უფრო მოკრძა-

---

[8]. История и восхваление венценосцев. Грузинский текст перевел, предисловием и примечаниями снабдил К. С. Кекелидзе. Тбилиси, 1954.

[9]. Матиане Картлиса. Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе. Тбилиси, 1976.

Летопись Картли. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая, Тбилиси, 1982.

[10] Жизнь царицы цариц Тамар. Перевод и введение В. Д. Дондуа. Исследование и примечания М. М. Бердзнишвили, Тбилиси, 1985.

[11]. Джуантер Джуанториани. Жизнь Вахтанга Горгасала. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая. Тб., 1986.

[12]. Мровели Леонти, Жизнь Картлийских царей. Извлечение сведений об абхазах, народов Северного Кавказа и Дагестана. Перевод с древнегрузинского, предисловие и комментарии Г. В. Цулая, М., 1979.

[13]. Грузинский хронограф (1207—1318). Перевод с древнегрузинского, предисловие и комментарии П. М. Мурадяна, Ереван, 1971.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებულია: უპირველეს ყოვლისა, ის მიზნად ისახავს მკითხველთა ფართო საზოგადოებას ჰაეწოდოს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა დიდიხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, მოთხოვნილება კი ამ წიგნზე დიდია. ეროვნული თვითშეგნების მკვეთრმა ზრდამ ქართველ საზოგადოებაში გააცხოველა ინტერესი საქართველოს წარსულისადმი, ამ წარსულის ძეგლებისადმი, რომელთა შორის უპირველესი ადგილი უჭირავს „ქართლის ცხოვრებას“. ამჟამად საქართველოს ისტორიის კურსი იკითხება ყველა უმაღლეს სასწავლებელში, ხოლო საქართველოს ისტორიის შესწავლა წარმოუდგენელია „ქართლის ცხოვრების“ გარეშე. ამდენად, „ქართლის ცხოვრებას“ სასწავლო პროცესშიც უფრო ფართო ადგილი ეჭიდა ჰქონდეს.

„ქართლის ცხოვრების“ წინამდებარე გამოცემის საფუძველია „ძველი ქართლის ცხოვრების“ ყველაზე სრული, „მცხეთური“ ციკლი (უძველესი დროიდან 1314 წლამდე). მასში ამოღებულია ვახტანგ VI-ის კომისიის ჩანართები, რათა მკითხველს ხელთ ჰქონდეს დედანთან უფრო დაახლოებული ტექსტი.

გამოცემა ითვალისწინებს როგორც ს. ყაუხჩიშვილის მიერ დადგენილ ტექსტს, ასევე ე. თაყაიშვილის, ივ. ჯავახიშვილის, ძ. კეკელიძის, რ. კიკნაძისა და გ.არახამიას მიერ დადგენილ ტექსტებს. გარდა ამისა, იგი მთლიანად შეუდარდა „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგამდელ ნუსხებს. ტექსტის გასამართავად შევეცადეთ მაქსიმალურად გაგვეთვალისწინებინა მკვლევართა მიერ უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე „ქართლის ცხოვრებაზე“ გაწეული მუშაობის შედეგები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია — ლექსიკონი, რომლის ორი ტომი უკვე გამოიცა[14]. მასში ახლებურადაა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის გამართვის არაერთი საკითხი. აქ მოცემული რამდენიმე ათეული შესწორება, მართებულად მიჩნეული ჩვენს მიერ, ასახულია წინამდებარე გამოცემაში.

ვინაიდან წინამდებარე გამოცემა განკუთვნილია მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის ს ა კ ი თ ხ ა ვ წ ი გ ნ ა დ, მასში არაა მითითებული კონიექტურების ავტორები და კითხვასხვაობები. ისინი ყველა გამოქვეყნებულია და, ამდენად, სპეციალისტებისათვის ცნობილია.

ტექსტის უკეთ აღქმისათვის, მის ცალკეულ ნაწილებს (ზომიერი რაოდენობით) მივეცით განმარტებითი, პირობითი

14. ქართლის ცხოვრების სიმფონია. ლექსიკონი. ტ. I, ზ. სარჯველაძის რედაქციით, თბილისი, 1986; ტ. II, ზ. სარჯველაძის რედაქციით, თბილისი, 1986.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათაურები. ასეთი სათაურები ჩავსვით კუთხოვან კავებში, ხოლო დედანში არსებული სათაურები დაბეჭდილია კავების გარეშე. კავებშია მოთავსებული ცალკეულ თხზულებათა ტრადიციულად ჩაკეული სათაურებიც, რომლებიც ტექსტისეული არ იყო.

„ქართლის ცხოვრების“ ორ ნუსხას თავი დართული აქვს სამი აპოკრიფული თხზულება (მარიამისეულს — ორი, ხოლო „მაჩაბლისეულს“ — ერთი). აქედან პირველი წარმოადგენს ფსევდოეფრემ ასურის „განძთა ქვაბის“ თარგმანს და მოგვითხრობს სამყაროს ისტორიას, მისი გაჩენიდან ქრისტემდე. მეორე აპოკრიფში აღწერილია ედემი[15]; მესამე აპოკრიფი („მაჩაბლისეული“ ნუსხის), ისევე როგორც პირველი, გადმოგვცემს სამყაროს ბიბლიურ ისტორიას ადამიდან ნოეს შვილებამდე და უშუალოდ ებმის „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისს. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ პირველი და მესამე აპოკრიფი დართული იყო „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებისთვის, როგორც შესავალი მსოფლიო ისტორიიდან (კ. კეკელიძე, ე. თაყაიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, მ. ლორთქიფანიძე). კ. კეკელიძის აზრით „მარიამისეული“ ნუსხის პირველი აპოკრიფი თვით ლეონტი მროველის მიერ არის ბერძნულიდან საგანგებოდ თარგმნილი, „ქართლის ცხოვრებისთვის“ წასამძღვარებლად[16]. უკანასკნელ ხანებში ც. ქურციკიძემ საგანგებოდ შეისწავლა აღნიშნული აპოკრიფები და გამოსთქვა საგულისხმო მოსაზრებები[17]. მკვლევარის აზრით „მარიამისეული“ ნუსხის ორი აპოკრიფი დართული უნდა ჰქონოდა არჩილ მეფის ნაქონ „ქართლის ცხოვრებასაც“, ხოლო „მაჩაბლისეულ“ ნუსხაში დართული აპოკრიფი გადაღებულია „ჭალაშვილისეული“ ნუსხიდან. ც. ქურციკიძე მიიჩნევს, რომ „მარიამისეულ“ ნუსხაში აპოკრიფების დართვა ასახავს შუასაუკუნეების ბიზანტიურ ტრადიციას დაეროოთ ქრონოგრაფიებისთვის, მათი შინაარსობრივი გამდიდრების მიზნით, სხვადასხვა ხასიათის ტექსტები (აპოკრიფები, „ცხოვრებები“, ეპისტოლეები და სხვ.). ც. ქურციკიძემ დაადგინა, რომ „მაჩაბლისეული“ ნუსხის ტექსტი წარმოადგენს XVI—XVII ს-ის ბერძენი ავტორის ფსევდოდოროთეს ქრო-

---

15. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქტორობით. თბ., 1906, გვ. 786—849.

16. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები; ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, XII, თბ., 1973, გვ. 23.

17. ც. ქ უ რ ც ი კ ი ძ ე, კვლავ „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერების აპოკრიფულ თხზულებათა შესახებ; „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 1, 1990, გვ 49—64.

ნოგრაფის შესავალ ნაწილს, რომელიც, არჩილ მეფის ინიციატივით, ქართულად უთარგმნიათ მოსკოვში XVIII ს-ის დასაწყისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ვიზიარებთ მკვლევართა ზემოაღნიშნულ თვალსაზრისს „ქართლის ცხოვრებისთვის“ ნათარგმნი ძეგლის ზოგადისტორიულ შესავლად დართვის ტრადიციის არსებობის შესახებ. ამას მოწმობს ასეთი შესავლის არსებობა როგორც „ძველი“, ისე „ახალი ქართლის ცხოვრების“ რამდენიმე ნუსხაში. შესაძლოა ეს ტრადიცია დაამკვიდრა ლეონტი მროველმა (ც. კეკელიძე) ან „ქართლის ცხოვრების“ შემდგომმა გადამწერ-რედაქტორებმა[18]. ამის გამო, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, ამ ტრადიციის შესაბამისად, „ქართლის ცხოვრების“ წინამდებარე გამოცემისთვის ერთ-ერთი ასეთი შესავლის დართვა. ავირჩიეთ „მაჩაბლისეული“ ხელნაწერის შესავალი (მიუხედავად იმისა, რომ ის, როგორც ეს ც. ქურციკიძემ გაარკვია, გვიანდელი თხზულებაა), რადგან ეს შესავალი უშუალოდ ებმის „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს. ამ თხზულების გვიანდელობა შესავლის არსს არ ცვლის, რადგან, ისევე როგორც „მარიამისეული“ ხელნაწერის აპოკრიფი, ისიც გადმოგვცემს კაცობრიობის ბიბლიურ ისტორიას. „შესავლის“ წინამდებარე გამოცემა ემყარება ე. თაყაიშვილის გამოცემას[19].

ჩვენს ისტორიოგრაფიაში არ არის აზრის ერთიანობა „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შემავალი ცალკეული თხზულებების დათარიღების, მათი ავტორების ვინაობის და სხვ. შესახებ. ჩვენ მოვერიდეთ ამ საკითხში რაიმე სუბიექტურ მიდგომას. ვინც ამ საკითხებით უფრო ღრმად დაინტერესდება, შეუძლია გაეცნოს უკანასკნელ წლებში გამოსულ სპეციალურ ნაშრომებს სადაც იპოვის სათანადო ბიბლიოგრაფიასაც[20].

თუ წინამდებარე პუბლიკაცია, ახალი აკადემიური გამოცემის მომზადებამდე, მცირედ მაინც დააკმაყოფილებს ჩვენი საზოგადოებრიობის ინტერესს „ქართლის ცხოვრებისადმი“, მისი მიზანი მიღწეული იქნება.

ილია ანთელავა, ნოდარ შოშიაშვილი

---

18. ალ. ა ბ დ ა ლ ა ძ ე მიიჩნევს, რომ შესავლის დართვას „ქართლის ცხოვრებაში“ დიდი ხნის ისტორია არ ჰქონდა. იხ. მისი: „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა, თბ.. 1982, გვ. 86.

19. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, აპოკრიფული მოთხრობა, რომელიც წინ უძღვის „ქართლის ცხოვრების“ მაჩაბლისეულ ხელნაწერს: აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVII-B, 1953, გვ. 24—47.

20. მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, რა არის „ქართლის ცხოვრება“, თბილისი, 1989; ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, XI—XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები, თბილისი, 1988.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შესავალი: უცნობი ავტორის აპოკრიფი „მსოფლიო ისტორია“

1. სამყაროსა და კაცობრიობის წარმოქმნა

სათნო უჩნდა სიბრძნით შემოქმედსა მას ღთისა და უფლისა ჩვენისა, რათა შექმნას სოფელი ესე მრავლისა სიბრძნისა ხილითა და აურაცხელისა სახიერებისა მისისათა არა არსებისაგან არსებად მოყუანებად ამისად, და ვითარცა იტყუიან ღთისმეტყველნი ეკლესიისანი, ვითარმედ მხოლოდ სატყუათა ოდენ თქუა და ყოველივე იქმნა, და ვითარცა სამღთოცა იგი დავით იტყუის, რამეთუ მან თქუა და იქმნა და თავადმან ამცნო, და დაებადნეს. და შექმნა, რათა იყოფოდეს ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა ამის, ხოლო არარისაგან მოყუანებად ამათ ყოველთავე, რაოდენცა რა არსებად მოიყუანა ღმერთმან, ესრეთ გულისჯმა იყოფების, ხოლო თუინიერ ყოფისა ერთისაცა ნივთისა, წინასწარ გამზადებულისა, და თუინიერ რაოდენობისა ჟამისა მამამან ნებითა ძისა მათისათა და თანაყოფითა სულისა წმიდისათა შექმნა სოფელი ესე, რამეთუ ამისთუის გალობს ეკლესიაცა და იტყუის: „რომელმან არარასაგან არსებად მოიყუანე ყოველივე. სიტყუითა აღმაშენებელო და სულითა ხოლო ჩვენ მიერ ესრეთ არა გულისჯმა ვიყოფებით აღმასრულებელო მეფეო, ყოვლისა მპყრობელო, სიყვარულსა შენსა ზედან და დამამტკიცე მე!“ ხოლო მოსეცა იგი ამას გუეტყუის ექუსთა დღეთა შინა პირველთა შესვლათა: დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქუეყანა. ხოლო დასაბამსა მას სიტყუა შემოკლებულად დიდიცა იგი ბასილი იტყუის მრავალ და ბევრრიცხვეულად ელენთა მიმართ, თუ რად გულისჯმა იყოფების დასაბამი იგი, ვითარცა გულისჯმა ჰყოფენ ელენნი იგინი დასაბამსა რასმე, არამედ ესრეთ იტყუის: დასაბამითა და ძალითა, მელიცა აქვნდა ღმერთსა, მით შექმნა სოფელი ესე და ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველთა მიერ გულისჯმა იყოფების ესრეთ. ხოლო უკეთუ სთქვა ოდესმე ესრეთ, რამეთუ კაცსა ერთსა აქუს დასაბამი და მეყუსეულად შეისწავე ესეცა, რამეთუ უფლებს და მთავრობს, ხოლო ამის გამო ეწოდებიან მეფენი და მთავარნი, რამეთუ სუფევენ და მთავრობენ, ხოლო ესრეთ ჯერ არს დასაბამად თქმად, ვითარცა ვსთქუათ, ძალი და ჴელმწიფება და უფლება, რომელიცა აქუნდა მას ყოვლად ძლიერსა ღმერთსა და მამასა, მით ქმნა ცა და ქუეყანა. ხოლო დღესა მას პირველსა ქმნა ანგელოზნი და ყოველივე უფლებანი ზეცისათანი, ვითარცა იტყუის ღთისმეტყუელი გრიგოლი, რამეთუ ღმერთმან და მამამან პირველად მოიგონაო ანგელოზნიო და ძალნი ზეცითანიო. ხოლო მოგონება იგი სულყოფა იყო სიტყუითა და აღსრულება სულითურთ, ხოლო შემდგომად ანგელოზთა ქმნა ნათელი, ვითარცა იტყუის მოსე, და თქუა ღმერთმან: იყავნ ნათელი! ხოლო თარგმანი ამისი ესრეთ არს, ვითარმედ თქუა მამამან ძისათანა: იქმენ ნათელი! არა თუ მზესა მას უწოდეს ნათლად, არამედ ნათელი ერთი იგი, რომელი მოაფრქვია ქუეყანათა ზედა, და ნათელი იგი შემდგომად შეკრიბა და შთადვა დისკონსა მისსა თვისამე, რომელი არს ჭურჭელი მზისა, და მთვარისა და ვარსკულავთანი.

ხოლო უკეთუ ვინმე იტყოდის ამას, რამეთუ მოსე იტყვისო — და თქვა ღმერთმან: იყავნ ნათელი! და იქმნა ნათელი, რამეთუ ამის შემდგომად იტყუის, რამეთუ მეოთხესა დღესა ქმნა მნათობნი. შეისწავეთ, რამეთუ ესრედ გულისჯმა იყოფების ესე, ვითარმედ პირველად ქმნა ღმერთმან ნათელი, ვითარცა ზემორე ვსთქუთ, ყოველგან განფრქვეულად, და მაშინ ქმნა მნათობნიცა იგინი, ვითარცა ორნი რამე მნათობნი სასანთლენი და შეკრიბა ყოვლითურთ განფრქვეული ნათელი იგი და შთადვა ჭურჭელთა მათ შინა. ხოლო ამისთვისცა არა სახელს ვსდებთ მზესა და მთოვარესა ნათლად, არამედ მნათობად რამე არიან ჭურჭელნი, რომელთაცა უპყრიეს ნათელნი.

და დღესა მეორესა ქმნა სამყარონი ცისანი.

ხოლო დღესა მესამესა უბრძანა ღმერთმან შეკრებად წყალთა მათ შესაკრებელსა ერთსა. და შეკრბეს ყოველივე იგი წყალი შესაკრებელსა ერთსა და უწოდა ზღვად. ხოლო დასაბამსა მას ზღვა ესე, გინა თუ წყალი, ესე ტკბილი იყო, ვინათგან უკვე წყალი არს მდგომარე ადგილსა ერთსა. ამის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის მარილიან-ყო. ხოლო ვითარცა აწ მლაშე არ[illegible] [illegible] [illegible]
დეთ ყოველთა, რამეთუ მდინარენი, წყარონი და ჯურღმულნი
ჯოგელნი, რაოდენიცა არიან. ტკბილ ზღვისა ძიერ დიან, ვი-
ნათგან მოედინებიან ადგილთა ვიწროთა, დატკბებიან და არი-
ან ტკბილ, და მიიღებენ კაცნი სასმელად. ხოლო ოდეს შეკრ-
ბეს წყალნი იგინი შესაკრებელსა ერთსა და მაშინ გამოჩნდა
ქვეყანაცა ესე. ხოლო რომელნიცა პირველ უჩინო იყო, ამის-
თვიცა რამეთუ იყო უსამკაულო და განუმზადებელ. ხოლო
არა აქუნდა არცა ყვავილნი და არცა ნერგნი და არცაღა ნაყო-
ფი რამე, ამისთვის რამეთუ წყალსა მას აქვნდა დაფარულ, და
მეყუსეულად უბრძანა ქუეყანასა მას აღმოცენებად მწვანილ-
თა და თივათა. აღმოსცენდა და აღივსო ესე მრავალი ფერითა
და ფერად-ფერადითა მწვანვილოვანით და შეიმკო ფრიად და
შვენიერად, და აღმოეცენნეს ხენიცა იგი ნაყოფიერნი და უნა-
ყოფონი, და ზოგადნი ამათგანნი იყუნეს ნაყოფითა და უმრავ-
ლესნი ყუავილითა და სხვანი ფურცლითა შვენიერითა და
იყუვნეს სრულნი ნაყოფითა უტურფესითა. ხოლო ესრეთ გან-
ვლო დღემან მესამემან.

და დღესა მას მეოთხესა ქმნა ღმერთმან ორნი იგი დიდნი
მნათობნი მზე და მთოვარე და მსგავსად მისსა ვარსკულავნი-
ცა იგინი ცისანი და შეამკო ცაჲ ესე და გვირგვინოსან-ყო,
ვითარცა მარგალიტი ფენილი და ოქროქსოვილი ფარჩა. ხოლო
თითოეულთა მათგანთა ვარსკულავთა აქუნდათ სხვადასხვა ფე-
რი და გამოჩნდა პირი იგი ცის უმშვენიერესი და უბრწყინვა-
ლესი, და ყოველნივე იგინი მსახურებენ ბრძანებისაებრ ღვთი-
სა მის, რომელმაცა უბრძანა მყოფად ყოველივე, და განუყო
დღე იგი ღამისა მისგან და უბრძანა მზესა ერთსა მას მნათობ-
სა ჴელმწიფებად დღისად, ამისთვიცა რამეთუ მზისა მიერ იქმ-
ნების დღე ესე ბრწყინვალე. ხოლო მთოვარესა და ვარსკუ-
ლავთა უბრძანა ჴელმწიფებად ღამისად, რათა ანათობენ ღა-
მეს ამას.

ხოლო დღესა მეოთხესა გარდმოვარდა ცის სფეროსცა იგი,
რომელი იყო პირველ ანგელოზთა; რამეთუ ღვთისა მიერ იყო
დადგინებულ მთავრად ანგელოზთა ერთისა მის გუნდისა ან-
გელოზთასა, რომელმანცა ამპარტავნებითა თვისითა თქუა,
რათა დაიდგას საყდართა უკეთესად საყდართა მღთაებისათა.
ღა მეყუსეულად დაკნინოდენ, განივლო და განიძრახა გონე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბასა შინა მისსა, შთავარდა ქვესკნელად სილრმესა ჯოჯოხეთისასა. ხოლო ანგელოზობისაგან იქმნა ეშმაკ, და მისთანა გარდმოცვივდენ ყოველნივე კრებულნი მისნი. ხოლო რომელნიმე მათგანი მისწუთეს უფსკრულსა ჯოჯოხეთისასა და რომელიმე დაშთა ქუეყანათა ზედან და ზოგნი წყალთა და სხვანი ჰაერთა შინა. ხოლო ოდეს ცა განეღო ცა იგი და გარდმოცვივდენ ეშმაკნი იგინი, მაშინ შეკრბეს ყოველნივე ზეცისა იგი მჴედრობანი და მთავარი იგი მჴედართა მიქაელ დადგა შორის მათსა და თქუა: ვდგეთ კეთილად, ვდგეთ შიშითა ღვთისათა! ხოლო ეშმაკთა მათგანი, სადაცა იპოვა და დაშთა, აწცა მუნ არიან ვიდრე დღეინდელად დღედმდე.

და მეხუთესა მას დღესა დასდვა ბრძანება ღმერთმან შორის წყალთასა გამოცენებად მჴეცთა, მფრინველთა და ყოველთავე ნადირთა, რაოდენიცა არიან ზღუათა შინა და ქმნა თევზნიცა იგინი და მიანიჭა მათცა მადლი მისი და ძალნი, რათა შობდენ და განმრავლდენ. და შექმნა ღმერთმან ფრინველნი ცისანი წყალთაგან.

და დღესა მეექვსესა უბრძანა ქუეყანასა და ყოველნივე ოთხფეხნი მჴეცნი და ნადირნი პირუტყვნი თესლად თესლადნი და ყოველივე, რაოდენიცა არიან ქუეყანასა ზედა. და შემდგომად აკურთხნა ყოველივე იგინი, და თქუა: აღორძინდით და განმრავლდით და განავსეთ ქუეყანა ესე! ეჰა დიდებულებასა მისსა სიბრძნისასა და გამოუთქმელისა სიბრძნისა მისისასა. რამეთუ ნადირნი: დათვნი, ვეშაპნი, ჴარნი და პირუტყუენი, ხოლო რაოდენნიცა არიან სამსახურებად კაცთათვის ზედავ ქველისმოქმედებასა მისსა, სიბრძნესა და გულისჴმის ყოფასა, რამეთუ ექვსთა დღეთა შექმნა ესე ყოველივე, რაოდენიცა არიან ხილულნი და უხილავნი, ნათელი, ცა, ქუეყანა, ზღვანი, ნადირნი, პირუტყუნი, მზე, მთოვარე, ვარსკულავნი, მთანი და ბორცვნი, ველნი, თევზნი, ცხენნი, ყოველნივე ზღვისანი და ჴმელეთისანი. ხოლო სულისათვის მათ ცხოველთასა ესრეთ უწყოდეთ, რამეთუ სამშვინველოსა ქარისა მიერ იქმნებიან ცხოელობისა მოძრაობისა სისხლისა მის ცხოელობის და ქარისა ამფრინავისა, რომელი იგი ანაფრენს და ცხოელს ჰყოფს და სული იგი, რომელიცა მიეცემისთ მათ, იქნების ოთხთა მათ ნივთთაგან, ხოლო ოდესცა მოაკლდესთ ცხოვრება მათი, კვალად ოთხთავე მათ ნივთთაგან განილევა ცხოველი იგი, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმნა ღმერთმან სამოთხეცა იგი ედემისა აღმოსავლეთ
დღესა ამას მეექვსესა შვენიერად და კეთილ, და მუნ იყო
ხეთაგან ყოველთა და ნერგთაგანა ნაყოფი ერთ უტკბილესთა
და უსურნელესთა და განუძღომელთა და უკუდავთა. ხოლო
მუნად გამოვიდოდა მდინარეცა იგი, რომელიცა რწყევდა სა-
მოთხესა მას. ხოლო განიყოფოდა ოთხ ნაწილად მდინარე
იგი და ერთსა მას ეწოდების ფისონ, რომელიცა მოვლის ქუ-
ეყანასა მას ევლატისსა. ხოლო მუნ არს ოქრო და ოქრო ქუ-
ეყანისა მის კეთილ არს ფრიად; ხოლო გამოვალს მუნ ანთრა-
კიცა და ქუა იგი კაპოეტ, და მეორეს მას მდინარეს ეწოდე-
ბის გეონ. ხოლო ესე მოვლის ყოველსა ქუეყანასა ეფიოპისსა,
და მესამესა მდინარესა ეწოდების ტიგრისი და შთამოვლის
დიდისა ღელვითა და გრგვინვითა, და გარე მოვლის ქუეყანასა
მას ასურასტანისსა, და მეოთხესა მას მდინარესა ეწოდების
ევფრატი და განვლის ბაბილოვანსა და გამოჰყრის თვალთა
პატიოსანთა მრავალ სასყიდლისათა და ყოვლად შვენიერთა.
ხოლო ჩუენ ესრეთ გვრწამს და ვიტყვით რამეთუ ღმერთმან
სიტყვითა სიბრძნისა მისისათა და ძალითა მისითა შექმნა სო-
ფელი ესე, და სულითა სახიერებითა, სათნოებითა და სიყვა-
რულისა მისისათა, წინასწარ ხედავს და სწყალობს მას. ხოლო
იტყვის დავითცა იგი სიტყვითა უფლისათა ცანი დაემტკიცნენ,
და სულითა პირისა მისისათა ყოველნი ძალნი მათნი. ხოლო
ცანი, რომელ არიან ანგელოზნი, ჟეშთა იგი სოფელი. ხოლო
ჟეშთა იგი სოფელი და ქვემორე ესე სოფელი ძემან ღვთისა-
მან სულისა წმიდისათა შექმნეს სოფელი ესე ნებითა მამისათა.
ხოლო ამისთვის, ვინათგან ღმერთი თვით სახიერი არს, ყო-
ველივე რაოდენიცა ქმნა, სახიერ არიან. ამისათვის წინასწარ
განიზრახავს დაეჴმარების და ყოველივე ბუნებანი ქმნულთა
მათ თვისთა შეაერთა სოფელი ამას სახიერად. და წესისაებრ
ბუნებათა მათ ქმნილთასა. ამისთვისცა რათა უწყოდეთ თუ რას
იტყუის წესი იგი ბუნებათა მათ თვითეულისა ქმნულთასა.
ესე უწყოდეთ, რამეთუ ღმერთმან ოდესცა შექმნნა სოფელი
ესე, განყო ოთხ ნივთეულად. და ოთხ აცმეულად. წელიწადი-
სა ოთხნი ნივთნი არიან: ქარი, ცეცხლი, მიწა და წყალი. და
ოთხ აცმეულად ითქმიან: გაზაფხულნი, ზაფხული, შემოდგომა
და ზამთარი. და ქმნა ესრეთ რათა წყალი იგი წესისაებრ თვი-
სისა ვიდოდეს და არა აღერეოდეს ცეცხლისა თანა. და არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლი ქარისა თანა და არც მიწა წყლისა თანა, ხოლო ესენი
თუ არ იყვნენ წინააღმდგომი ურთიერთისა, თითოეულ ჰყოფ-
დენ ბუნებისაებრ მათისა ქუეყანასა, რაოდენიცა ებრძანა
ლთისა მიერ ყოფად ჰყოფდეს, და მსგავსად იმისასა წყალიცა
და ცეცხლიცა და ქარიცა იგი, და მსგავსად ოთხნიცა იგი აც-
მდა დრონი თვითეული თვისისა ბუნებისაებრ და წესისა,
და ვითარცა განუწესა ღმერთმან თვითეულსა მათგანსა. ხო-
ლო გაზაფხული იგი რათა აღმოაცენებდეს და გამოიღებდეს
ყუავილთა და ნაყოფთა და მკასა შუა ზაფხულსა დრომან შე-
მოიყუანონ დაამწიფოს და სრულყოს ყოველივე ნაყოფნი, და
შემოდგომამან რათა მოისთვლოს და მოიკრიბოს ყოველივე,
და ზამთარმან რათა მოიწყოს და განაცოცხლოს, ვიდრემდის
მოიწიოს გაზაფხული იგი, და კუალად აღმოსცენდენ და ნაყო-
ფიერ იქმნენ. ყოველნივე ესე უწყოდე, რამეთუ გაზაფხული
დაიწყების **იზ** თებერვლიდამ, ვიდრე **იზ** მაისამდი, ხოლო შუა
ზაფხული დაიწყების **იბ** მაისითგან ვიდრე, **იდ** აგვისტომდის,
და შემოდგომა დაიწყების **ივ** აგვისტოდაღმე და დასრულდება
იგ ნოემბერსა, ზამთარი **იდ** ნოემბრიდამ დაიწყების ვიდრე
თექვსმეტ თებერვლამდის. ხოლო სხვანი სხვარიგად სცვალებენ
და იტყვიან, რომელნიმე ვარსკულავთა მრიცხველთაგანი, და
თვითეულისა ქუეყანის მოწესენი, ხოლო თქუა ღმერთმან: იყუნ
ნათელი, და იქმნა ნათელი, და თქუა: იქმენ სამყარონი, და
იქმნა სამყარონი და თქუა: იქმენ წყალი, და იქმნა ესრეთ, და
თქუა: აღმოსცენდინ ქუეყანა, და იქმნა ესრეთ. და თქუა: იქმ-
ნენ მნათობნი, და იქმნა ესრეთ, და თქუა: გამოეცით წყალთა
ცხოველნი და იქმნა ესრეთ. და თქუა: აღმოაცენე ქუეყანამან
სული ცხოველი თესლად — თესლად.

და ქმნა ესენი, რომელიცა ქმნა ღმერთმან. ხოლო სიტყუ-
ითა ოდენ ჰრქუა და იქმნა; და არათუ წინასწარ განემზადე-
ბიან, გინა თუ აქუნდა წინასწარ განზრახულად, არამედ
ოდესაცა თქუა, იქმნეს ყოველივე ესრეთ მეყვსეულად,
ხოლო კაცი იგი წინასწარ განზრახულად ითქმის, ვიდრემ-
დის შეიქმოდა კაცსა მას, აქვნდა განძრახულად წინასწარ
ბონებისა მისისა, რათა შეექმნას კაცი იგი, ვინათგან უპა-
ტიოსნეს არს ყოველთავე. ხოლო ოდესაც აღასრულა საქ-
მენი ესენი, მ ა შ ი ნ ღ ა თქუა: ვქმნეთ კაცი ხატათ და
მსგავსად ჩუენდა. და არათუ ლიტონი და მძიმე მიწა მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილო უფალმან და შექმნა კაცი იგი, ვითარცა ნადირნი, მფრინველნი ქუეყანისანი იქმნეს მიწისა მისგან მძიმისა, არამედ კაცი მიწისა სუბუქისა, რომელ არს უწმიდესისა ქუეყანისა მისგან, და ოთხ მათთაგან ნივთთა, ცეცხლისა ნედლისა, გრილისა და ჴმელისა ცეცხლისაგან, ქარისაგან, წყლისაგან და მიწისაგან. ხოლო სისხლი ვინათგან მჴურვალე არს, ქარისა მისგან იქნების, და ფველელმა ვითარცა გრილი წყლისა მისგან იქმნების, და ნაღველი იგი ვითარცა ჴმელ არს, მიწისა მისგან იქნების, და ყვითელი იგი ზაფრა ცეცხლისა მისგან იქმნების. აწ შექმნა ღმერთმან კაცი ხატად და მსგავსად მისად, და ოდესაც შექმნა იგი და შთაბერა მას სულიცა იგი ცხოველი პირსა მისსა, და იქმნა კაცი იგი სულად ცხოელად, ხოლო სული იგი კაცისა ვინათგან სამღთო შთაბერულ არს ღთისა მიერ. მიემსგავსების ღმერთსა, ა რ ა თ უ ბ უ ნ ე ბ ი თ ა, არამედ მიმგზავსებითა, ხოლო აწ ამისთვისცა არს სული იგი უხილავი და გამოუძიებელი და მიუთხრობელ და ძნიად გულისჴმის საყოფელი, და არავისგან არა გულისჴმა იყოფების, თუ რა არს სული იგი კაცისა, შეუპყრობელი არს, რომელიცა არა შეიპყრობის არავისგან, და წარუალი არს, რომელიცა არაოდეს არ წარვალს, უკუნისამდე უკვდავი არს და არა მოკუდების არაოდეს. ხოლო ვინათგან თვით ღმერთი შემოქმედი არს ყოველთა, და კაცთა იგი მქმედი არს, ვინათგან მშობელი არს კაცი ერთი მეორისა, ჰყოფს ჴელოვანებათა და სიტყვითა, განაგებს ყოველსავე, აღაშენებს ციხეთა, ქალაქთა, დაბათა, ვენაჴსა და ნერგავს ხეთა და სამოთხეთა შეამკობს, წისქვილთა აღაბრუნებს და ხომალდთა შეკრავს და ასაქმებს. და სხვანი, რაოდენიცა ჴელოვნება და განგებულება ჩანან ქუეყანას მას, ხოლო ესენი ყოველნივე იქმნებიან სულისა მის მთავრებისაგან და მთავრობა ბუნებისა მის კაცისა. და ესე არს ხატება ღვთისა. ხოლო ესე ოდენი რაოდენიცა აქვს ღმერთსა, გინა თუ უხილაობა, ანუ თუ მიუწდომლობა, გამოუთქმელობა, შეუხებლობა, წარუალობა და უკვდავება თვით ბუნებით აქვს მას. ხოლო სულსა მას კაცისსა მიმადლებულად აქვს ესე ყოველივე ღვთისა მიერ და ამის გამო ეწოდების კაცსა ხატი ღვთისა. ხოლო არა თუ ბუნებითა და ვითარცა ვთქუთ ზემორე, არამედ ხატად და მადლად, და არა თუ ბუნებითა. ხოლო ბუნებრივი იგი ხატი ღვთისა არს ძე და სიტყუა იგი ღთისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეუცვალებელი ხატი იგი მამისა. ხოლო ამის გამო ითქმის
სულისა მისთვის აქუს მსგავსება ღვთისა მიმადლებულად.
ხოლო აწ ვთქვათ, ამისთვიცა ვქმნათო კაციო ხატად და მსგავ-
სად ჩვენდაო, რად გულისჯმა იყოფების ესე, ვითარცა სამ-
ღთო იგი მიტროფანე იტყუის სამებიანსა შინა, რათა გამო-
უცხადო კაცთ ერთ ღვთაებისა შენისა სამ ბრწყინვალება. პირ-
ველად შექმენ კაცი და ხატებისა შენისა მსგავსად გამოხატე
იგი და მიეც მას გონება, სიტყუა და სული, ვითარცა კაცთმო-
ყუარემან. ხოლო ვითარცა უწოდო მამასა მას გონებად და ძე-
სა სიტყუად და სულსა წმიდასა სულად, ხოლო სამნი არიან
სახითა და ძალითა და ღთაებითა ერთ, და სამთა ამათ მიერ
განუშორებელად ურთიერთისაგან შექმნა კაციცა იგი ხატად
თვისად, რათა შემძლებელ ვიქმნეთ გულისჯმის ყოფასა მას,
თუ ვითარ შესაძლებელ არს სამპირება იგი ღთაებისა განუშო-
რებელად. და ქმნა კაცი და მისცა მას გონება, სიტყუა და სუ-
ლი, რომელნიცა სამნივე ესენი არიან კაცთა შორის. ხოლო
ერთი იგი ძალსა შინა, რამეთუ არიან ესენი ერთი მეორისა-
გან განუშორებელად. ხოლო გონება იგი არაოდეს განეშო-
რების გონებისა მისგან და არცა ჯმა იგი სიტყუისა მისგან და
გონებასა. ხოლო ჯმასა მას იტყუის სულად წმინდად, და ვი-
თარცა გესმათ ჯმა იგი კაცისა, და მეყუსეულად გულისჯმა
ყავით სიტყუასაცა და გონებასცა მას, და ვითარცა წმიდათა
მათ მამათა სახელსდვეს მამა, ძე და სული წმიდა. ხოლო გო-
ნება, სიტყუა და სული და კვალად იტყუის სამებიანსა შინა
ბუნებად უშობელად, ღთისა მეტყუელთა ქადაგეს მამა. ხოლო
სიტყუა თანა დაუსაბამოდ ძეს, და სული წმინდა თანამოსაყ-
დრე, რომელმან ქალწულისა საშოსა განჯორციელება შემზადა.
ხოლო სიტყუა იგი, რომელ თქვა, ვითარმედ შეუქმნათ კაცი
ხატად ჩვენდა არა რასა იტყუის სხვასა, გარნა ამისასა. ხოლო
მამამან იქცა ძისა მიმართ და სულისა წმიდისა ვქმნეთ კაცი
ჩვენ ერთ ღთაებამან და სამთვისებამან, რათა იყოს ხატად
და მსგავსად ჩვენდა, რომელსაცა აქუნდეს გონება, სიტყუა
და სული, რომელიცა გამოხატავენ მამასა, რომელსა ეწოდე-
ბის გონება, და ძესა მას, რომელსაცა ეწოდების სიტყუა, და
სულსა მას, რომელსაცა სახელედების სულად წმიდად. და
ვითარცა ერთსა კაცსა შორის არიან ესენი სამნი და კაცი იგი

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინთ? არს. ხოლო ესრეთ არს ღთისა თანაცა და სამთვინიერ და ერთლთაება განუყოფელი და ვითარცა შექმნა ღმერთმან კაცი ჴორციელად და სულიერად, ხოლო ჴორციელად მოიღო მიწა და შექმნა ჴორცი და სულიერად შთაუდვა სული, რათა აფრინდეს და ცხოველ იყოს და მისცა მას თავისუფლებაცა, რათა იყოს თავისუფალ ვითარცა თვით ღმერთი არს თავისუფალ, და არავინ არს ჴელმწიფედ მისა და არცავის ჴელმწიფების მის ზედან, ეგრეთვე გონებისაცა მის კაცისა არავინ არს ჴელმწიფე. ხოლო დასაბამსა მას ღმერთმან კაცი იგი ჴელმწიფებ მისსა ზედან მიუშვა და არა ჴუებულყო ჴელმწიფებისა მისაგან. ხოლო არცა ურჩებისათვის მის, ოდესაცა გარდაკდა მცნებასა მისსა, არამედ მიუშვა ნებასა მისსა ზედან და არს ჴელმწიფე, ესე იგი არს თვითოეულმან კაცთაგანმან გინა თუ კეთილი შეიყვაროს, გინა თუ ბოროტი, და აწ მისთვის უფალიცა იტყუის, რომელსა უნდეს შემდგომად ჩემსა, უარყავნ თავი თვისი, ესე იგი არს კვალად არცავის ძალს უყოფო და არცავის ვესწრაფებო, არამედ რომელსა უნდესო ნებსით თვისით მოვიდეს ჩემდაო.

ხოლო ღმერთმან დაადგინა იგი სამოთხესა შინა, რათა იყოს იგი და სცვიდეს სამოთხესა მას. და დასდვა სახელი მისი ა დ ა მ. და ვინათგან ოთხი კუთხე არს ქუეყანისა, აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი, და ამისთვის თვისცა სახელს დვა სახელი ესე. ხოლო პირველი ა-ნი აღმოსავლეთათ ითქმის და დ-ონი დასავლეთად, და მეორე ა-ნი ჩრდილოეთად და მ-ანი სამხრეთად. ხოლო შეისწავების სხვა რიგადაცა სახელი ესე, რამეთუ ებრაულად ადამ და ადამან ქუეყანასა ეწოდების და აწ, ვინათგან მიწითგან იყო გამოსული, ამისთვის სახელ ედვა ადამ. დ ა ი ყ ო დ ღ ე ი გ ი მ ე ე ქ ვ ს ე, ო დ ე ს ც ა ი ქ მ ნ ა კ ა ც ი. და ვითარცა ზემორე ვთქუათ „დღესა ამას სრულ იქმნა შესაქმისა იგი ყოველისავე, რაოდენიცა შექმნა ღმერთმან“.

ხოლო დღესა მას მეშვიდესა განისვენა ყოველთაგან საქმეთა მისთა, რაოდენთაცა იწყო და აკურთხა დღე იგი მეშვიდე და წმინდა ყო, ამისთვის რამეთუ დღესა პირველსა, რომელსაცა იწყო შექმნად სოფლისა ამისა, ხოლო დღესა ამას სრულ ყო საქმენი მისნი, რაოდენიცა სათნო უჩნდა ქმნად, და ვითარცა იტყუის მოსეცა: ხოლო დღე იგი მეშვიდე, რო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეცა არს შაბათი, განისვენაო ღმერთმან ყოველთაგან საქმეთა მისთაგან. ხოლო შაბათი ელენურად დაცხრობას ეწოდების, და მისთვის სათნო უჩნდა, რათა ვიდრე განჴორციელდეს, პატიცემულ-ყო დღე იგი შაბათისა. ხოლო აწ განგებითა განჴორციელებისა ძისა და სიტყუასა ღვთისა ჩვენისა უფლისა იესოს ქრისტესისა თანა გვაც ჩვენ ქრისტიანეთა, რომელნიცა ვართ ძენი მისნი მიმადლებულად პატივს ვცემდეთ და ვადღესასწაულობდეთ აღდგომისა დღესა კვირიაკესა, რომელსაც შინა აღასრულნა უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან ყოველნივე განგებულებანი მისნი, რომელსაცა სათნო უჩნდა ცხოვრებად კაცისა, და დღესა ამას კვირიაკესა აღდგა მკვდრეთით და განისვენა ყოველთაგან საქმეთა მისთა, რომლისა თვისცა მოვიდა განგებულებისა მისისა განჴორციელებისა, რათა განაახლოს სულიერად სოფელი ესე და წმიდა ყო ესე მისსა განგებულებისა განჴორციელებითა. და განათავისუფლა ქმნული ჴელთა მისთა — კერპთა მსახურებისა მისგან, და ყოველთაგან ეშმაკისათა, და უხრწნელ-ყო კაცობრიული ჴორცი ესე, რომელიცა აღიყუანა ზეცად და დაჯდა მით მარჯვენით ღვთისა და მამისა. და ამისთვის ჯერ არს ჩვენ ქრისტიანეთა მიერ, რათა დავიცვათ და პატივსცეთ კეირიაკესა ყოველითავე პატივითა და კრძალულებითა, არა თუ მხოლოდ ჴორციელად; არამედ სულიერადცა ფსალმუნითა გალობით და ქებითა, და ნუ შევამკობთ მხოლოდ ჴორცთა და სისხლთა ჩვენთა, არამედ პირველად შევამკნეთ სული ჩვენი კეთილისა საქმითა და სიწმიდითა, ვილხენდეთ, და განვეკრძალნეთ, რათა არა ვცოდოთ, და არცა რამე უჭერნი საქმენი ბოროტნი ვქმნეთ. და ნურცარა ოდესმე, ვიდრემდის წარვიდოდეთ ეკლესიათა და ვისმენდეთ წირვათა. ვსჭამდეთ და ვსმიდეთ რასმე და ესრეთ არღარა ეწოდების, რათა წმიდა ვყოფთ დღესა მას კვირიაკესა და ვითარცა გვიბრძანებს წმინდანი იგი მამანიც ნამდვილვე და ღმერთიცა მათ მიერ, ხოლო გარნა დღეს იგი კვირიაკესა თვით წმიდავე არს თავით თვისით, არამედ სათნო არს ესრეთ ღვთისა, რათა ჩვენ კაცნი ესენი, რომელთაცა გვაქვს სახელი ქრისტესი. და აღმოვიშვენით წმინდისა ნათლისღებისა მიერ. ხოლო აღდგომაცა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი დავიცვათ და წმიდა ვყოთ პირველნი სულნი და ჴორცნი ჩვენნი და მაშინ გალობითა სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიერითა, ფსალმუნითა და ქებითა წმინდა ვყოთ დღესა კვირიაკისა სადიდებლად მკვდრეთით აღდგომილისა დღესა ამას ქრისტეს ღთისა ჩვენისასა. ხოლო არა თუ მარტოდ კვირიაკეთა დღეთა პატივსცემდეთ, არამედ ყოველთავე საუფლოთა დღეთა ღვთისმშობლისა და წმინდათა მოციქულთასა და სხვათა ყოველთა მოწამეთა და წმიდათა, რომელთა ღვაწლითა და სისხლითა მათითა წამეს სარწმუნოება ესე ჩუენი. ხოლო აწ არიან მავედრებელად ჩვენდა წინაშე ღვთისა. ხოლო აწ მოვეგოთ პირველსავე სიტყვათა ჩვენთა კაცისა მისთვის. ხოლო კაცი იგი იყო საკვირველი და საშინელი საქმე ღვთისა და უყვარდა იგი ფრიად. ამისთვისცა დიდებითა და პატივითა გვირგვინოსან-ყო იგი. და ვითარცა იტყუის საღმთოცა იგი დავით და დაადგინე იგი ქმნულსა ჴელთა შენთასა. კვალად მეფედ და ჴელმწიფედ ყო ღმერთმან კაცი იგი ყოველთავე ქმნილთა ხელთა მისთა და ყოველივე დაუმორჩილა ქვეშე ფერჴთა მისთა. ესე იგი არს, რომელმან ყოველნივე ქმნულნი მისნი დაამონნა ღმერთმან კაცსა მას, ვითარცა მონანი რამე და ყოველნივე ნადირნი რჩომანი ოთხფეჴნი და მფრინველნი. ესე ყოველნივე გარე ეხვევოდნენ ადამს და თაყუანისცემდენ მას, ვითარცა მეფესა დიდსა და ძრწოდენ წინაშე მისსა, ვითარცა მონანი სარწმუნონი მეუფისა მეფისაგან. ხოლო იგი საშინელთა და დაუმშვიდებელთა მათ ნადირთა ჴელითა მისითა შეიპყრობდა და დაიურვებდა და ჴელითა უსვემდა მათ ზედან, ვითარცა კრავთა, რომელთამე მშვიდთა და არა ეშინოდა მათგან. ხოლო ვინათ ვისერეთ არა იყო ცოდვა სოფელსა ამას და არც გულსა კაცისასა. ხოლო სახელები, რომელიც დასდვა მათ ადამ ცხოველთა მაშინ და აწ ვიდრე დღეინდელად დღემდე — კუალად იგივე სახელი ედებიან მათ ყოველთავე.

და ამის შემდგომად დასდვა განკვირება ღმერთმან ადამს და დაიძინა. აღმოუღო ფერცხალი ერთი გვერდისა მისგან და განუღო ღმერთმან ადამს გვერდი იგი, რომელიცა მოუდო მას ცოლად, და ვითარცა განიღვიძა ადამ და იხილა იგი, განიხარა ფრიად და თქუა: რამეთუ ესე არს ძვალი ძვალთა ჩემთა და ჴორცი ჴორცთაგან ჩემთა და ამისთვის ეწოდოს ცოლ, რამეთუ კაცისაგან იშვა და ამისთვისცა ჴერ არს, რათა დაუტეოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცმან მამა და დედა მისი და შეეყოს ცოლსა თვისსა და იყუ-
ნენ ერთჴორც. და იყუნენ ორნივე შიშველ ადამ და ცოლი
მისი ევა და არა სირცხვილი უჩნდათ შიშლოება მათი, რამე-
თუ იყუნენ შემოსილნი სამოსლითა საღმთოთა ქსოვილითა და
მადლი ღთისა იყო მათ ზედან. და აკურთხნა იგინი ღმერთმან
და რქუა: აღორძინდით და განმრავლდით და განავსეთ ქუეყანა
და უფლებდით მათ ზედან. ხოლო აწ ვინათგან კაცი იგი შექ-
მნა ღმერთმან ხატად და მსგავსად მისდა, არსიცა უმჯობესი
და უდიდებულესი ქმნული ღვთისა სხვათა ყოველივე ქმნულ-
თა მისთა, რაოდენიცა ქმნა, და მთავრადცა იგივე დაადგინა
მათ ზედან, ვინათგან შექმნა უკანასკნელი კაცი იგი სხვათა
ყოველთავე ქმნულთა მისთა, რაოდენიცა ქმნა ღმერთმან, და
ვითარცა მეფესა ერთსა, რომელსაცა ეგულვების წარსვლად
დაბასა ერთსა, და იქმნებიან სამზადისი და განამზადებენ, შე-
ამკობენ და განაშვენებენ ადგილთა მათ, სადაცა ეგულების
მისვლად, რათა განისვენოს მეფემან მან მუნ. და ჰყოფენ სამ-
ყოფთა და საჯმართა მისთა ყოველთავე, რაოდენიცა ეხმარე-
ბის მას. და მაშინ მოვალს მეუფეცა იგი და ჰპოებს ყოველთა-
ვე განმზადებულად და განისვენებს მუნ ესრეთ. ესრეთ იქმნა
კაცისა მისთვისცა პირველად იზრუნვა ღმერთმან განსასვენე-
ბელისა მისთვის და ყო სამყოფელი მისი და ყოველივე საჯმა-
რი მისი, რომელ არს სოფელი ესე, და მერმე შექმნა კაცი იგი.
ხოლო ვინათგან ღმერთმან ვითარცა შექმნა კაცი ქუეყანისაგან,
რომლისათვის არა შექმნა დედაკაციცა იგი ქუეყანისა მისგან,
არამედ გამოიყუანა გვერდისაგან მისისა; ამისთვის რათა არა
აქვნდეს კაცთა მიზეზი და იტყოდიან სხვა იყო მიწა კაცისა
და სხვა დედაკაცისა მის. და უმჯობესი იყო მიწა იგი კაცისა,
რომლითაც შექმნა ადამ. ხოლო ამისთვისაც არიან კაცნი უმ-
ჯობესნი და უწარჩინებულესნი დღეთა მათ. ხოლო ღმერთმან
მან ვითარცა სიბრძნითა შემოქმედმან ყოველივე, რაოდენი-
ცა ქმნა, სიბრძნითა და რათა არა იყოს კაცთა შორის სიტყუა-
ნი წინააღმდეგობისანი. ხოლო შექმნა კაცი იგი და გამოიღო
დედაკაცი და ამცნო გვერდისა მისგან.

და ოდესცა შექმნა ღმერთმან კაცი და დედაკაცი და ამ-
ცნო მათ მცნება საშინელი და ჰქუა მათ: ჰი ნათესავნო და
მოქალაქენო სამოთხისანო, ამათ ყოველთავე, რომელთაცა ხე-
დავთ ხეთა ნაყოფთა, ნერგთა, და ყოველთავე კეთილთა ქუეყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისათა, თქუენთუის ვქმნეთ ხოლო ყოველთაგან სჭამდეთ
იშვებდეთ დაუბრკოლებელად; და ხისა მისგან ცხობადისა,
რომელ არს შორის სამოთხისა, ნუ განჰყოფთ მას ზედან ჴელ-
თა თქუენთა, რამეთუ მავნებელ არს თქუენად იგი, და ეკრძა-
ლენით მისგან, და ნურცა მიეახლებით და ნურცა მიხედავთ,
ხოლო უკეთუ გენებოსთ და განიზრახოთ განყოფად მას ზედან
ჴელნი თქუენნი და ნურცა დამოღებად მისდა და ჭამად. ესე
უწყოდეთ, რამეთუ მოატყუებთ რისხვასა დიდსა თავსა თქუ-
ენსა, რომელიცა არღარა განიკურნების არცა ერთითა სამკურ-
ნალოთა რითმე. ხოლო პატივისა დიდისა, რომელიცა აწ გა-
ქუთ, ნაცვლად ამისსა იქმნებით მონანი და უკანასკნელ სიკვ-
დილისაცა მოჰკვდები. ხოლო ნაყოფი ესე მწარე არს და სა-
სიკვდილე თქუენთვის. ხოლო უკეთუ დაიცვნათ მცნებანი ესე
ჩვენი და არა განჰყოთ ჴელნი თქუენნი მას ზედან, აროდესმცა
უფლებდეს სიკუდილი თქუენ ზედან, და არცა სხვა რამე მწა-
რე, არამედ იყუნეთ უკუდავ, ვითარცა გაქმენ უკუდავ. ხოლო
ვითარცა ისმინა ადამ და ცოლმან მისმან მცნება ესე და ვედ-
რება ღვთისა მიერ, შეძრწუნდეს და შეეშინათ შიშითა დიდი-
თა და ვითარცა საღმთოსა ბრძანებისაგან და ხე იგი საძულ-
ველი იყო მათდა ფრიად, რამეთუ მას არცა თუ ოდენ მიხედ-
ვიდეს, არამედ ივლტოდეს შორად მისგან. ხოლო ადამ ცოლსა
მისსა უწოდა სახელად ე ვ ა, რომელი შეისწავების ცხოვრე-
ბად.

ხოლო ეშმაკმან მან იხილა ესე ოდენი ბრწყინვალება და
პატიოსნება პირველთა მამათა ჩუენთა, რამეთუ ვითარცა ან-
გელოზნი ღთისანი იქცევიან შორის სამოთხესა თვინიერ ერ-
თისაცა ჭირისა მწუხარებისა და სულთქმისა და რუდუნებისა
და ვერღარა უძლო ხილვად ესე ოდენისა დიდებისა და პატი-
ვისა მათისა, რომელიცა აქუნდათ, და შური იძია მათ ზედა
ფრიად და განიზრახა, რათა გამოაძოს სამოთხისაგან იგინი.
ხოლო ეშმაკმან მან თვით ვერ იკადრა პირისპირ მისვლად
ევასსა მასთანა, რათა არა საცნაურ იქმნას მის მიერ და არა
ყოს ნება მისი. ხოლო აწ ესე ისმინეთ ჴელოვნებისა მისისა
მანქანება, თუ ვითარ ჴელყო უკეთურისა საქმისა მისისა აღს-
რულებად. ხოლო გველი იგი უმეცნიერეს იყო ყოველთავე
ბირუტყვთა ქუეყანისათა, და შევიდა მას შიგან ეშმაკ იგი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვალი იგი არა თუ მუცლითა ცორვიდა, არამედ ზედ ამარ-
თვით აროინინებდა ფერჯთა მისთა ზედან. და ვითარცა სხუანი
ყოველნივე ნადირნი და ესე შევიდა სამოთხედ და მუნ პოვა
ევა და დაეუბნა მას გინა თუ მეტყუელ იქმნა მისდა სიტყუი-
თა რათმე მზაკვარითა და წამლიანითა, და პირველად ეს ჰკი-
თხა მას, რასათვის თქუა ღმერთმან თქუენ შორის არა ჭამად
ნაყოფი სამოთხისა მის. ხოლო სახელი ღთისა არცა ადამ და
არცა ცოლმან მისმან უწყოდეს, გარნა ეშმაკისა მის მიერ ის-
წავეს, ვინათგან ასმინა მათ სიტყუა ესე თუ რა გიბძანათ
ღმერთმანო. და ვითარცა ჰკითხა ეშმაკმან მან დედაკაცსა მას,
თუ რა გითხრაო ღმერთმან! ხოლო დედაკაცმან მან მიუგო მას
და რქუა: ყოველთაგან ხეთა სამოთხისათა ვსჭამოთ, ხოლო
ხისა მისგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა, რომელ არ-
სო დანერგული შორის სამოთხისა მისო, არა ვსჭამოთო, არ-
ცალა თუ მივიახლოთ მას, არცა დავიმჭიროთ ჯელითა ჩვენითა
იგიო, რათა არა მოვუკვდეთ სიკვდილითა, გარდაჯდომითა
მცნებათა მისსაო. ხოლო მიუგო გველმან მან დედაკაცსა მას
და ჰრქუა: არა მოკუდეთ სიკუდილითა, არამედ უწყოდა
ღმერთმან, რათა რომელსა ჟამსა სჭამოთ ხისა მისგან, იქმნეთ
ღმერთნი და სცნობდეთ კეთილსა და ბოროტსა და ამისთვის
გამცნოთ თქუენ ღმერთმან და გრქუათ: ეკრძალენით, რათა
არა სჭამოთო და იქმენ თქვენცა, ვითარცა თვით იგი არს
ღმერთი. და აწ ისმინე ჩემი და ჭამე შენ და მიეც ქმარსაცა
შენსა, რათა ჭამოს მანცა და აგეხილნენ თვალნი თქუენნი და
სცნათ კეთილიცა და ბოროტიცა. ხოლო ვითარცა ესმა დედა-
კაცსა მას სიტყუანი ესე, გარნა ენათგან ბრძენთა იყო იგი,
არამედ წარეტაცა გონება და სიბრძნე იგი მისი დიდებულები-
სა და ღმერთყოფისა მისთვის, რომელიცა აღუთქუა ეშმაკმან
მან მას. ხოლო არცა რად შერაცხნა სიტყვანი იგი და არცალა
თუ განიკითხა გულსა შინა მისსა, თუ რამე არიან სიტყუანი
ესენი, რომელიცა მრქუა მე: ამისთვის რამეთუ არა უწყოდა
კუალად ეშმაკი არს პირსა გუელისასა. ხოლო სცთა ესრეთ
და მიისწრაფა ხისა მის ცნობადისა და იხილა იგი უშვენიერეს
ყოველთა ხეთა მათ სამოთხისათა. და ესრეთ გონებდა იგი,
რათა ნაყოფიცა იგი ესე მის ოდენ ტკბილ არს, რაოდენიცა
ხე იგი შვენიერ იყო, და ნამდვილვე ჯერ არს ჩვენდა მღვთად
ყოფა სიტყუისაებრ გველისა მის და უწყებად ჩვენდა კეთილი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და ბოროტისაცა და იტყვიან რომელიმე რამეთუ გველ[illegible]
დაეუბნაო ევასა მას კაცობრივითა სიტყვითაო, და ვინ[illegible]
ყოველნივე ცხოველნი იგინი მეტყუელ იყუნესო კაცობრივისა
ჴმითაო, ვიდრემდის გარდაჴდებოდა კაცი იგი მცნებასა ღვთი-
სასაო. და აწ ესე არა არს მართალ, რამეთუ ცხოველნი იგი-
ნი მეტყუელ იყუნეს კაცობრივისა ჴმითაო, ხოლო გველი იგი
თვით არა მეტყუელ ექმნა ევასა მას, არამედ ეშმაკი იგი, რო-
მელიცა შესრულ იყო პირსა მისსა და იქმნა გველი იგი პირი
ეშმაკისა და ესრეთ დაეუბნა მას და აწ ესე უწყოდეთ, რამეთუ
მეტყველებისა ბუნება მხოლოდ კაცთა აქვსთ, გონება, სიტყუა
და ჴმა ამისათვის, რამეთუ არს ხატი ღთისა, და არა თუ ცხო-
ელნი იგინი. ხოლო ცხოველთა მათ არცა უმეტყუელებად და
არცა მეტყუელებენ, და არცა უბრძანებიეს უფალსა მეტყუე-
ლებად მათდა. ხოლო გველი იგი, ვინათგან იქმნა შესამოსელი
და ჭურჭელი ეშმაკისა მის, დაიწყევლა ღვთისა მიერ, ვითარ-
ცა გნებავსთ სმენად ქუემორე. ხოლო აჴუნდა საწამლავი
გველსა მას პირსა მისისაგან, ვინათგან პირისა მისისაგან მე-
ტყუელ ექმნა ეშმაკი იგი ევასა მას და მოსწამლა იგი სიტყვი-
თა მით გესლიანითა. და მოიღო უკუდაებისა მის წილ მოკუ-
დაება და უხრწნელებისა მის წილ ხრწნილება. და ნათლისა
მის წილ ბნელი და მეუფობისა მის წილ ტყუეობა. არა თუ
მარტო იგი მოწამლა გუელმან მან, არამედ ყოველნივე ნათე-
სავნი კაცთანი.

ხოლო ე ვ ა მ ისმინა განზრახვა იგი გველისა მის და განყო
ველი მისი ხისა მის და მოიღო ნაყოფი მისი და ჭამა და მისცა
ქმარსაცა მისსა და ჭამა მანცა მის მიერ და ოდესაც ჭამეს
მეყუსეულად შიშველ იქმნეს სამოთოსა მის ქსოვილისა სა-
მოსლისაგან ორნივე ზოგად. და აღეხილნეს თვალნი მათნი და
გულისჴმა ყვნეს სიშიშვნე მათი და სასჯელიცა, რომელი მიე-
ჴადა ღთისა მიერ გარდაჴდომით მცნებათა მისთათა. და ესრეთ
მოიღეს ფურცელი ლეღვისა და შეიკერეს სამოსელად მათდა
და დაიფარეს სიშიშვლე მათი იგი და სირცხვილი. ხოლო წმინ-
და ისიდორე პილისტოტი ესრეთ იტყუის, რათა ხე იგი ცნობა-
დისაო იყო ლეღვიო და ოდესაც იცნესო თავნი მათნიო განში-
შვლებულად მუნად და მუნვედ მიიღესო ხისა მისგან ფურცე-
ლიო და შეიკერნესო სამოსელიო და შეიმოსეს ჴორცნი მათ-
ნიო. ხოლო რომლისაგანაც ეუწყათ სირცხვილიო და სიშიშვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლე მათიო, მუნვე დაიფარეს იგი, და აწ სხვა რიგადვე გულისჴ-
ჴმა იყოფების სიტყუა ესე სხვად რადმე. და ვითარცა იტყუის
ღთისმეტყუელიცა იგი გრიგოლი, სადა პოესო მუნ მათ ნემსიო
და ძაფიო და შეიკერნეს ფურცელნიო, რათა დაიფარნესო. და
აწ ისმინეთ გონებაცა წერისა, თუ რად გულისჴმა იყოფების.
ხოლო ლეღვი იგი ორკერძი არს, ნაყოფითა ტკბილ და ფურ-
ცლითა ზრქელ, და ცოდვაცა იგი მზგავსი მისი არს, რამეთუ
ტკბილ არს პირად და მერმედ იქმნების მწარედ, ზრქელ. ხო-
ლო მსგავსად ამისსა ეუფლა ადამსაცა მას, ოდესაცა ჭამა ნა-
ყოფი ხისა მის, ტკბილ უჩანდა მას და ოდესაც გულისჴმა-ყო,
რამეთუ განშიშვლდა არა თუ სამოსლისა მისგან, არამედ მად-
ლისაგან სამღთოსა. ხოლო მაშინ ეჩვენა მას მწარედ და ყოვ-
ლისავე სიმწარისად უმწარესად, და მაშინღა მიიღო ზრქელი
ესე ჴორცი და მაცბიერი და მძიმე. ხოლო აწ, რომელიცა გუ-
აქუს და მსგავსად ამისა სიკუდილიცა იგი, რომელიცა იყო
პირველად წვრილი და სუბუქი და უკუდავი, რომელ არს ჴორ-
ცი ესე. და ვითარცა ჭამეს აქამდე ევამ ხისა მისგან, მეყუსეუ-
ლად ესმათ ჴმა უფლის და ღუთისა წარვლიდა სამოთხედ
მუხრ(?) და დაიმალნენ ადამ და ევა პირისაგა უფლისა შორის
სამოთხესა, და ჴმა უყო ღმერთმან ადამს და რქუა მას: «ადამ
სადა ხარ და სადა იმყოფები დამალულ, ვითარცა სირცხვი-
ლეული». უწყოდა ღმერთმან, რომელი განიკითხავს გულთა
და თირკმელთა, თუ სად არს ადამ, არამედ რათა მისცეს მი-
ზეზი სიტყუისა მოგონებისა მისდა მიმართ. ხოლო კაცთმო-
ყუარესა ღმერთსა მას სათნო უჩნდა, რათა მოიზიდოს სინა-
ნულად იგი; ამისთვის უჴმო მას ესრეთ: ეჰა ვნებისა მის, ჩი
სასჯელი მიჴდისა მის. ხოლო პირად ყოველთავე ძალითა მი-
სათა ხედვიდა დიდებასა მას ღვთისასა, თვით ადამ იგი, და
ისმინა მან ჴმა იგი ღვთისა ყოველითავე სიხარულითა მისითა
მაშინ. ხოლო აწ ვინათგა იყო სასჯელმიჴდილი, მიუგო შიშით
და რქუა მას: „მესმა ჴმისა შენისა წარუვლიდი სამოთხედ და
დავიმალე, რამეთუ სიშველ ვარ». ხოლო ღმერთმან მიუგო და
რქუა მას: „აჰა ესერა ხისა მისგან სჭამე და არცა სურვილსა
გულისა შენისასა ეწიე, აჰა ესერა მცნებისა გარდამავლობა-
ცა ჰქმენ, და სამღთოსა მისგანაცა მადლისაგან გარდამოვარ-
დი“. მაშინ კუალად მიუგო ღმერთმან მას და რქუა: „ხედავ
ცოდვისა სირცხვილისა, ხედავ, თუ ვითარ იქმენე სიშველ შენ,

ვინათგან გარდაჴედ მცნებასა ჩემსა და სჴამე ხისა მისგან, რომელიცა გაუწყე შენ არა ჭამად». და რასათვის არ მიუგო ადამ ესრეთ, ვითარცა მონამან და არა რქუა მას რამეთუ: „გცოდე ღმერთო ჩემო, დავაშავე შემოქმედო ჩემო და მოვტყუვდი უფალო ჩემო, გცოდე და გარდავჴედ მცნებასა შენსა და ნებასა და ამისთვის ვსტირი, ვიგლოვ და მწუხარე ვარ ფრიად. ამისთვის გევედრები შემიწყნარე კვალად ურჩქმნილი ესე შენი». ხოლო არა თუ ესრეთ მიუგო, არამედ კვალად მიაგდო მიზეზი ღუთისა ზედან და რქუა მას ესრეთ: «დედაკაცი, რომელიცა მომეც მე ამხანაგად, მან მაცდუნაო". და მეყუსულად ხაჩინო ყო მისდა, რათა იგი არ არს მცოდველი, არამედ ღმერთი იგი, რომელმანცა მისცა მას დედაკაცი იგი ამხანაგად. ხოლო ჰკითხა დედაკაცსა მას ღმერთმან და არცა მან მიუგო ესრეთ, რათა: «გცოდეო», არამედ მიაგდო მიზეზი მანცა გველსა ზედან, რამეთუ: „მან მაცდინაო" და მაშინ დასწყევლაო ღმერთმან გველი იგი. მიუგო და რქუა მას: «ვინათგან შენ ქმენ საქმე ესეო, წყეულ იყავნ ქუეყანათა ზედა და აქამომდე ამართვით და ფერჯთა შენთა ზედან ვლიდი და აწ მკერდითა და მუცლითა სცოცვიდე. და იყოს საზრდელად შენდა მიწა ყოველთა ჟამთა ცხოვრებისა შენისათა. დავდვა მტერობა შორის შენსა და შორის დედაკაცისა ამის და შორის ნათესავისა შენისა. ხოლო ამისთვის უკეთუ ოდესმე იხილოს ესენმე გველი, მიისწრაფის, რათა მოკლას იგი". და იტყვიან რომელთა მკვლელთაგანი, რამეთუ გველსა მას ოთხი ფერჯი აქუნდაო, ვიდრემდის გარდაჴდებოდა მცნებასა ღუთისასა. და შემდეგ, ოდესაც გარდაჴდა მცნებას ღუთისასა და დაიწყევლა ღუთისაგან, იქმნა მცურავ მუცლითა მისითა გესლი იგი, რომელიცა აქუნდა შინაგან, აწე პირსა შინა მისსა აქუს. და ესრეთ მიუგო დედაკაცსაცა მას: «ვინადგან ისმინე სიტყუა გველისა მის და გარდაჴედ მცნებასა ჩემსა, განმრავლებით განმრავლენ მწუხარებანი შენნი და სულთქმანი შენნი და სალმობითა შობდე შვილთა შენთა, ქრმისა შენისა მიმართ იყოს მიქცევა შენი და იგი მთავრობდეს". და აწ, ხოლო ამისთვის დედაკაცი ოდესაც შობს, აქვს ფრიადი მწუხარება წყევისა მის მიერ, რომელთაცა დასწყევლა ღმერთმან. და გინა თუ მიიყრების სიცოცხლე მისი, ვიდრე სიკვდილამდე შობისა მისისა. მაშინ დაიწყევლა ადამცა იგი: «ვინათგან ისმინე სიტყვა ცოლისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენისა უმჯობეს სიტყვისა ჩემისაგან, წყეულ იყოს ქუეყანა
იგი საქმითაგან შენთა, ჭირითა და მწუხარებითა შენითა იქმო-
დე ქუეყანასა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა. და
სხვასა არარას აღმოგიცენებდეს, გარნა ეკალსა და კუროს-
თავსა". ხედავდა რამეთუ ეკალი და კუროსთავი ჯერეთ მაშინ
ქუეყანასა არღარა აქუნდა აღმოცენებულად, არამედ ოდესაც
გარდაჯდა კაცი მცნებასა ღთისასა, მაშინ აღმოუცენა და
აღორძინდა რისხვისა მისთვის ურჩებისა. და კვალად მიუგო
მას და რქუა ესრეთ: „რამეთუ პირისა ოფლისა შენისათა
სჭამდე პურსა შენსა, ვიდრემდის მიიქცე კუალად მიწამდე,
რომლისაგანცა დაიბადე, რამეთუ მიწა ხარ და მიწადვე მი-
იქეცა». ესე იგი არს, რათა ეუფლოს სიკვდილი მას და შეეც-
ვალოს მიწადვე. და მაშინ უქმნა მათ სამოსელი ტყავისა და
შემოსა იგინი. ხოლო სამღთოცა იგი გრიგოლი იტყვის ესრეთ:
და შემოსა მათ სამოსელი ტყავისაო. ვინა უწყის, თუ ჯორცისა
ამის ცბიერისა და მოკუდავისათვის იტყუის. ხოლო აწ ტყავი-
სა იგი სამოსელი სხვას არას მოასწავებდა, გარნა ამისა, რათა
უკვდავებისა მის წილად, რომელიცა აქუნდა ადამს, მიიღოს
მოკუდაება. ხოლო ტყავისა მის სამოსლისათვის, რომლითაცა
დაისაჯა ადამ, რათა მიიღოს სამოსლად მისდა, ამისთვის სახელ
უდვა კარავად ქრისტესა, რათა შემოსოს ადამს უკვდავებისა
სამოსელი და მაშინ თქუა ღმერთმან: აჰა ესერა იქმნა ადამ,
ვითარცა ერთი ჩვენთაგანი მცნობელი კეთილისა და ბოროტი-
სა და ესრეთ გულისჴმა იყოფების ძალი სიტყვისა ამის, კვა-
ლად მამა, ძე და სულიწმიდა, ხოლო ჯერ არს ჩვენდა ესრეთ
თქმად. რამეთუ აწ კეთილ არს ყოფნა და მისდა ესრეთ, რო-
მელიცა სათნო უჩანდა ღმერთყოფად. არა თუ ღმერთ იქმნა,
არამედ განშიშვლდაცა, და რომლისაცა აქუნდა ესეოდენი
მადლი და საფარველი ღ¯თისა ამათ ყოველთა მიერ შიშველ
იქმნა და შთავარდაცა რისხვასა ღვთისასა და უკვდავებისა მის
წილ მოიგო მოკუდავება. ხოლო აწ კეთილ არს ყოფნად მისდა
ესრეთ, რომელსაცა ეგულვებოდა ყოფნად. და ვითარცა ერთ-
სა ჩვენთაგანსა და აწ სიტყუითა ამით მრავლიადითა რომელ-
საცა იტყვის ესრეთ, რამეთუ ვითარცა ერთი ჩვენთაგანსაო
ესრეთ გამოაცხადებს სამებისა ერთ არსებასა, რამეთუ სამნი
არიან მამა, ძე და სულიწმიდა თვითებით, ხოლო ღვთაებით
ერთ. და მაშინღა განდევნა იგინი ბარეგან სამოთხისა მისგან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათა გულისკმა ყონ კეთილი იგი, რომლისაგანცა ჯუებულ
მნების გარდაჯდომითა მცნებათა მისთა. ხოლო უკეთუ კაცსა
ერთსა აქუნდეს რამე კეთილი და მის მიერ ჯუებულ იქმნების
და არღა ხედვიდეს მას სამარადისოდ მალედ დავიწყებულ
იქმნების იგი მისგან და არცა მწუხარება აქუს მისთვის
ეგოდენი. ხოლო უკეთუ კეთილსა მას მარადის ხედავნ
და უფროსად დღე ყოველ ფრიად არს მწუხარება, გლოვა და
სულთქმა მისთვის, რამეთუ ესე ოდენისა კეთილისაგან ჯუე-
ბულ იქმნა და დაკლებულ იგი და აწ ამისთვის დაადგინა იგი-
ნი ღმერთმან მახლობლად სამოთხესა პირისპირ, რათა ხედვი-
დენ დღე ყოველ კეთილსა მას და უკუდავსა ცხოვრებასა, რომ-
ლისგანცა გამოეკვნეს, ტიროდენ და იგლოვდენ მარადის მას
და ვითარცა იქმნა ესრეთ, რომელნიცა მარადის მტირალ იყუ-
ნეს ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მათისათა ჯელმწიფებისა
მისთვის, რომელიცა აქუნდათ და წარწყმინდეს. და მაშინ უბ-
რძანა უფალმან ქერაბინსა და მახვილსა იქცევისსა დაცვა კა-
რისა მის ედემისა, რომელ არს სამოთხე.

ხოლო უკეთუ ენებოს ვისმე ცნობად თუ რაოდენი დღენი
დაყო ადამ სამოთხესა შიგან, და აწ რომელნიმე იტყვიან ეს-
რეთ, რამეთუ ასი წელი დაყოო მუნ, და სხვანი იტყვიან, რა-
მეთუ მესამესა ჟამსა დღისასა შეიქმნაო და მეექვსესა გარ-
დაჯდაო და მეცხრესა გამოვიდაო ურჩქმნილობისა მისთვისაო.
ხოლო ი ო ვ ა ნ ე ო ქ რ ო პ ი რ ი ესრეთ იტყვის სახარებასა
თარგმანსა შინა მათეს თავსსა, მეექუსესა დღესა პირველსა
შვიდეულისასაო, ესე იგი არს რამეთუ რომელსაცა დღესა
შეიქმნა ადამი, კვალად მასვე დღესა განიჯადაო სამოთხით
ევათურთ. და იყო დღე იგი მეექვსე, რომელ არს პარასკევი
და დღესა ამას შეიქმნა ადამცა იგი მეექვსესა ჟამსა ამისა
დღისსა გარდაჯდა მცნებასა ღთისსა იგი. ხოლო ასლმა ადამ
უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან, ძემა და სიტყუამან ღთი-
სამან, რათა განაქვოს ცოდვა იგი პირველისა მის მამისა ჩვე-
ნისა ადამისი, ჯვარს ეცვა მეექვსესა ჟამსა პარასკევისსა, ცხოვ-
ნებულ ყო და განათავისუფლა ადამ ნათესავითურთ ცოდვისა
მის და წყეულისა ურჩებისაგან. ესე უწყოდეთ ყოველთავე,
რამეთუ მცირედ რამე დაკლებულ არს კაცი ანგელოზთა. და
ვითარცა იტყუის წინასწარმეტყველიცა იგი დავით და ცაკ-
ლე იგი მცირედ რამე ანგელოზთა, ამით არს დაკლებულ ან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გელოზთა კაცი, რამეთუ მოკუდავი არს. ხოლო არა თუ ღმერთმან ქმნა კაცი უდარესი ანგელოზთა, არამედ თავით თვისით იქმნა კაცი უქვედეს ანგელოზთა, ვინათგან გარდაჯდა მცნებასა ღთისასა.

[2. ადამის ნათესავნი]

ხოლო საწყალობელი იგი ადამ, ოდესაც განიდევნა სამოთხისაგან ევათურთ ბრძანებისაებრ უფლისა, იმყოფებოდეს გარეგან სამოთხისა მის უპატიოდ და შეურაცხად უბადრუკ ქმნილი და ფრიად ყუედრებულნი. და ყოფასა მათსა მუნ იცნა ადამ ცოლი მისი ევა და მიუდგა მას და მუცლად ეღო კაენ და შვა იგი. ხოლო კაენ იყო მოქმედი ქუეყანისა და იქმოდა მას და აბელ იყო მწყემსი ცხოვართა და მოიღეს ორთავე ზოგან საქმეთაგან მათთა შესაწირავად ღთისად და შესწირეს მას. ხოლო შესაწირავი იგი აბელისა შეიწირა ღმერთმან ამისათვის, რამეთუ იყო უმჯობეს საცხოვართაგან პოხილ და შვენიერ. ხოლო ვითარცა კაენის შესაწირავი იგი არა შეიწირა, ამისთვის რამეთუ იყო უჯმი და უშვერ რამე საქმეთაგან მისთავ და ვინათგან არა შესწირა შესაწირავი იგი გულითა წმიდითა და სახიერითა, არამედ ზაკვითა და ორგულებითა და არცალა თუ აქვნდა შიში ღუთისა, არამედ შორად განშორებულ იყო მისგან; არცა სასოება და სარწმუნოება აქუნდა მისდა მიმართ, არამედ იყო ჭურჭელი რამე აღსავსე უკეთურებითა და შურითა. ხოლო მადლი იგი ღუთისა არა შევალს ესე უკეთურთა ჭურჭელთა, და ვითარცა იტყვის სოლომონცა იგი წინასწარმეტყველი, ცოდვილისა კაცისა გულსა ღმერთი არა შევალსო, ხოლო უკეთუ შევიდეს მსწრაფლ გამოვიდესო. ხოლო იყო კაენ იგი გულკლებულ ფრიად ამისთვის, რამეთუ ღმერთმან არა შეიწირა შესაწირავი მისი. და იყო პირი მისი სირცხუილეულ. და ხედვიდა რა ესრეთ, რამეთუ შესაწირავი ძმისა სათნო არს ღთისა, და იძია ფრიად შური მის ზედა. და უფროსად ამისთვისცა, რამეთუ ცხოვარსა მისსა უმჯობესად წარემატებოდა და ვერ უძლო ესე ოდენისა კეთილისა მისსა ხედვად, აღივსო შურითა და ჯდომითა და დაიდვა გულსა მისსა რისხვა ძმისა მისისათვის. და დღე ყოველ ამას განიზრახვიდა, თუ რომელითა საქმითა მოკლას ძმა იგი მისი. და არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწყოდა ჯერად სიკუდილისა იგი საჭურველი, რამეთუ ჯერ-
არ შემმოსრულიყო ქუეყანასა ზედან და არცალა უწყოდეს,
თუ რა არს სიკვდილი იგი. და იყო ფრიადსა მწუხარებასა და
ჭმუნვარებასა. ხოლო ვინათგან ეშმაკი იგი მგრძნებელი არს
ბოროტისა განზრახვისა, ოდესაც თუ განიზრახვიდეს ვინმე
რასამე ბოროტსა, ხოლო მაშინღა ეშმაკი იგი მოვალს მახლო-
ბელად მისდა და შემწე ექმნების იგიცა მას უკეთურისა მის
განზრახვისათვის და იძულებს მას მარადის და დაუცხრომელ-
ად დღე და ღამე ჟამ და წუთ და ჰყოფს მას გულისმოდგი-
ნედ ესე ოდენ, ვიდრეღა აღრულყოს საქმე იგი და დააცეს იგი
ბოროტითა განზრახვითა მით. ხოლო ვითარცა აგრძნა ეშმაკ-
მან მან უკეთური განზრახვა იგი კაენისა ვის და ორგულება,
რომელიცა აქუნდა ძმისა მისისა მიმართ, ხოლო ეშმაკი იგი
მიეახლა მას და თანაზიარ მისსა იქმნა, რათა აუწყოს მას, თუ
რომლითა სიკუდილითა მოკლას ძმა იგი მისი. და დღესა ერთსა
მოიმუშაკებდა რა კაენ სამუშაოსა მისსა ქუეყანასა მას, რა-
მეთუ იყო იგი მუშაკი ქუეყანისა და მოვიდენ ცხოვარნი ძმისა
მისისანი, სადაცა იყოფოდა კაენ. ხოლო ვინათგან დამშვრა-
ლიყვნეს ცხოვარნი იგინი დაცუივოდეს ქუეყანასა ზედა გან-
სუენებად მათდა, და აბელიცა მუნ იყო ცხოვართა მისთა თა-
ნა. ხოლო ყოფნასა მათსა მუნ შეიცუალა ეშმაკი იგი ვითარცა
თხა რამე დიდ რქოსანი. ესე უწყოდეთ ყოველთა, რამეთუ ეშ-
მაკი იგი ყოვლის ფერის მსგავსად შეიცვლების. და მივიდა
ეშმაკი მუნად, სადაცა იყუნენ მუნ ცხოვარნი იგი მწოლარენი.
ხოლო ეშმაკმან მან რქითა მისითა დააგორა ლოდი ერთი და
ლოდი იგი ეცა ცხოვარსა ერთსა მათგანსა და მეყუსეულად
მოკლა იგი. და ვითარცა იხილა კაენ ესე, ესრეთ განიხარა
ფრიად. ამისთვის, რათა ყოს მანცა ესრეთ, და აღასრულოს
ნება გულისა ვისისა, და მეყუსეულად მიისწრაფა და ჰოვა
ლოდი ერთი და დამარხა იგი ადგილსა ერთსა, კუალად უკუნ
იქცა, მოვიდა, ჰოვა ძმა თუისი აბელ და რქუა მას: მოვედ და
წარვიდეთ ველად. ხოლო აბელ ვითარცა უმანკო და უბრალო
იყო ყოველისავე ბოროტისა, არარა განიზრახა, არამედ მე-
ყუსეულად სიტყვისაებრ ძმისა მისისა თანა წარეყვა მას, ამის-
თვის რამეთუ უხუცესი იყო კაენ აბელისა და არა წინა აღუდ-
გა სიტყუასა უხუცესისა ძმისა მისისა, არამედ დაემორჩილა
მას. და ვითარცა მიეახლნეს ადგილსა მას, სადაცა მიუწოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმასა მისსა და მირავიდაეს, მეყუსეულად დასხდენ ორნივენ ზოგად მცირესა რასამე ჟამსა. და აღდგა კაენ ფერჯთა მისთა ზედან და აღიღო ლოდი იგი, რომელიცა აქუნდა დამარხულად მუნ, და დასცა თავსა ძმისა მისისასა და მოკლა იგი. და ესრეთ შვიდი იგი ცოდვა: პირველად — რამეთუ განრისხდა მეორედ ღმერთი; მეორედ — რამეთუ შეწუხებულ ყო მამამისი; მესამედ — რამეთუ უშვილოდ ყო დედამისი; მეოთხედ — რამეთუ მოაკუდინა, ოდესცა ჰკითხა მას თუ სად არსო, მეხუთედ — რამეთუ ქუეყანა შეაგინა; მეექვსედ — რამეთუ სიტყვა წინაშე ღთისა, ოდესაც ჰკითხა მას, თუ სად არსო ძმა შენიო და მიუგო არა უწყიო; მეშვიდე — რამეთუ უარისყოფა ღუთისა განიზრახა. და ოდესცა მოკლა ძმა იგი მისი და მუნვე დაუტევა და იგი განეშორა და წარვიდა. და აწ ღმერთი ვინათგან მეცნიერ არს ყოველთა და არარა არს წინაშე თვალთა მისთა დაფარულ, მეყუსეულად უჴმო კაენსა დიდითა რისხვითა მისითა და რქუა მას, თუ: «სადა არს ძმა იგი შენი აბელ?» მიუგო და რქუა მას: „არა უწყი თუ სადა არს ძმა იგი ჩემი, რამეთუ არა ვარ მცველ ძმისა ჩემისა“. მიუგო ღმერთმან და რქუა: „რა ეს ჰყავ, რამეთუ მოჰკალ ძმა შენი, ხოლო სისხლი მისი ღაღადებს ქუეყანით ჩემდამო, ხოლო აწ ვინათგან ეს ჰყავ და მოჰკალ ძმა იგი შენი, წყეულ იყავნ ქუეყანათა ზედან, ძრწოლითა და სულთქმითა შენითა იქმოდე ქუეყანასა და არარას აღმოგიცენებდეს იგი და არავინ იყოს მკადრე მოკულად შენდა. იყუნ მოძულებულ და განდევნილ პირისაგან ჩემისა». ხოლო ესოდენ ფრიად ძრწოდა ჴელი იგი კაენისა, რომლითაცა იყო უმსჯავრო იგი სიკუდილი, რამეთუ ვერცალა თუ ეძლო საზრდელისა მიტანა პირად მისად და არცალა თუ სხვისა რასამე საჴმარისა ჴორცისა მისისა ქმნად.

ხოლო ვითარცა მიიღო წყევა პირისაგან ღუთისა, რამეთუ ქუეყანამან არა აღმოუცენოს არცალა თუ ერთისა ნაყოფისაგან, მიილტოდა ამიერ და იმიერ ადგილითი ადგილად, ვითარცა წყეულ პირისაგან ღუთისა, და წარვიდა და დაემკუიდრა ქუეყანასა მას ნადირისასა. და მიუდგა ცოლსა მისსა და მუცლად იღო და შვა ე ნ ო ს. და აღუშენა მუნ ქალაქი და უწოდა სახელი ქალაქსა მას სახელი ენოს ძისა მისისა და ამან შემოიღო პირველ შენებად ქუეყანად. ხოლო ენოს შვა გ ა ი დ ა დ, გაიდად შუა მ ა ლ ა ლ ე ლ ი და მალალელ — მ ა თ უ ს ა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლ ა და მათუსალა — ლ ა მ ე ქ. ხოლო ლამექ ესე იგი არს, რომელმანცა პირველად შემოიღო მ შ უ ი ლ დ ი ქუეყანად. და ჰყვანდა მას ორნი ცოლნი. და ერთსა მას ერქვა ა დ ა და მეორესა ს ე ლ ა, ხოლო ადასაგან ორნი ძენი: და ერთსა მას უწოდა ი ო ვ ი ლ ი და მეორესა მას ი უ ვ ა ლ, და სელას მისგან იშვა მხოლოდ თ ო ვ ე ლ. ესე იგი არს, რომელმანცა შემოიღო პირველად ქუეყანად მ ჭ ე დ ლ ო ბ ა რ კ ი ნ ი ს ა და რ ვ ა ლ ი ს ა. ხოლო ძემან მისმან ი ო ვ ე ლ შემოიღო პირველად ქუეყანად კ ა რ ა ვ ი, რამეთუ იყო მონადირე ნადირთა და მფრინველთა. და ოდესცა წარვიდის ნადირებად ნადირთა, დაიდგნის კარავნი მუნ. და ძმამან მისმან ი უ ე ა ლ შ ე მ ო ი ღ ო პ ი რ ვ ე ლ ა დ ქ უ ე ყ ა ნ ა თ ს ი მ ღ ე რ ა ნ ი, ს ა კ რ ა ვ ნ ი ო რ ღ ა ნ ო კ ნ ი და ს ა ყ ვ ი რ ნ ი და სხვანი ყოველნივე მსგავსნი ამისნი, და ვითარცა დაბერდა ლამექ, მოეღო თვალთა მისთა ნათელი და იქმნა ბრმა. ხოლო ოდესაც ბრმაღა იყო იგი, არა მოურჩის მას ნადირნი, რომელნიცა არა მოჰკლის. ესოდენი სიმარჯვე აქუნდის ჯელსა მისსა და ჩვეულება. ხოლო არა მოკლის საჭმელად მისდა, არამედ ტყავისა და ბეწვისა მისთვის, რათა იქმოდის სამოსლად მისდა. და იტყვიან რომელნიმე, რამეთუ მაშინაო კაცნი იგინი არა სჭამდენ ჯორცსაო, არამედ შემდგომად წყლით რღუნისა იწყესო ჭამად ჯორცისა კაცთაო. ხოლო ლამექ სამარადისოდ იყოფოდა ჭალაკსა შინა წინამძღვრისა მისისა თანა, და არა სხვად რადმე ეჯმარებოდა წინამძღვარი იგი მისი, თვინიერ ამის: და ოდესცა იხილვიდის ნადირთა, აუწყებდის მას, თუ სადა არს ნადირი იგი. ხოლო დღესა ერთსა გამოვიდა ლამექ ნადირობად წინამძღვარითა მისითურთ და მოვიდნენ ჭალაკსა ერთისა პირსა. და ვითარცა მიეახლნეს ჭალაკსა მას, წინამძღვარსა მისსა ესმა ჯმა რამე დაცემა ვითარცა ნადირისა რასმე დიდისა. და მეყუსეულად მიიქცა და რქუა ლამექს: აჰა, აქა არს ნადირი დიდი. და ვითარცა ესმა ლამექს მეყუსეულად მოიმართა მშუილდი და ისარი და რქუა წინამძღვარსა მისსა, თუ სად არს, და მან გაუნიშნა და აუწყა და განუტევა ლამექ ისარი, და ჰკრა გულსა მისსა და მოკლა იგი და ესე არა იყო ნადირი, არამედ იყო კ ა ე ნ. და მიეჯადა სასჯელი აბელისა ძმისა მისისა. ხოლო ლამექ გულისჯმა ყო ძგერითა მით, რამეთუ მოკლა იგი და იქმნა მწუხარე ფრიად მოკლისა მისთვის კაენისა. და ესოდენ გარისხდა, რამეთუ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოკლა წინამძღუარიცა იგი მისი. ხოლო უბადრუკი იგი გუამი კაენისა დაშთა მუნ ჭალაკსა შინა დაუფვლელად და თავისა მისისაგან გამოვიდა წყარო ერთი სიმყრალისა. და წყალსა მას გამოაქუნდა მატლი რამე, რომელიცა არა ხილულა არაოდეს და არცა გამოჩენილა ქუეყანად მსგავსი მისი. ხოლო მატლთა მათ აქუნდათ ოთხი ფეჯი, თვალნი და ყურნი მათნი იყვნეს ვითარცა ნადირისა რისმე დიდისანი. ხოლო იტყვიან რომელნიმე, რამეთუ ძაღლნი მათ მიერ იშვნესო.

ხოლო ადამისა და ევასი უნუგეშინისმცემლო მწუხარება იგი სიკუდილისათვის აბელისა მისისა იხილა ღმერთმან, და შეეწყალნა იგინი და მისცა მათ ღმერთმან ნაცუალად აბელისა და შუეს ს ე ი თ. და იქმნა სეით კაცი ჭკვიან და ბრძენ და მართალ. ხოლო ამან დასდვა ს ა ხ ე ლ ე ბ ი შ ვ ი დ თ ა ვ ა რ ს კ უ ლ ა ვ თ ა მ ა ც დ ო ო რ თ ა. და ამანვე გულისჴმა ყო სიბრძნითა მისითა საბრუნავსაცა მას ცისასა, და სიბრძნეს მისსა. და წ ი გ ნ ი ც ა ი გ ი ე ბ რ ა ო ლ ი ა მ ი ს მ ი ე რ დ ა ი წ ე რ ა. ხოლო აქათგან იწყეს განმრავლება ნათესავთა კაცთამან ქუეყანად და განითესნეს ყოველთა პირთა ზედა ქუეყანისათა.

[3. წარღუნა]

და იცოცხლა ა დ ა მ ყოველნივე წელნი ცხოვრებისა მისისანი ც ხ რ ა ა ს ო ც დ ა ა თ ი და მოკუდა მასვე დღესა, რომელსაცა გარდაჴდა ბრძანებასა უფლისასა. და დაუტევნა ძენი ო ც დ ა ც ა მ ე ტ ნ ი და ასულნი ო ც დ ა შ ვ ი დ ნ ი, და კაცნი იგინი მის ჟამისანი შთასცვივდეს ბოროტსა და უკეთურსა გულისთქმასა და საქმეთა და ურწმუნოებათა და ცდომათა. დიდებასა და ამპარტავნებასა ესოდენ, რამეთუ დაუტევეს სარწმუნოება ჭეშმარიტისა მის ღუთისა, და ი წ ყ ე ს თ ა ყ უ ა ნ ი ს ც ე მ ა დ კ ე რ პ თ ა, ზ ო გ თ ა მ ზ ე ს ა და ზ ო გ თ ა მ თ ო ვ ა რ ე ს, ზ ო გ თ ა ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ თ ა, ზ ო გ თ ა ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა, ზ ო გ თ ა ნ ა თ ე ლ ს ა, ზ ო გ თ ა წ ყ ა ლ თ ა, ზ ო გ თ ა ხ ე თ ა, ზ ო გ თ ა კ ლ დ ე თ ა დ ა ლ ო დ თ ა, ზ ო გ თ ა თ ვ ი თ ო ფ ე რ თ ა პ ი რ უ ტ ყ ვ თ ა. ხოლო მას ჟამსა შინა იყო ერთი შვილისშვილთაგანი სეითისა სახელდებული ნ ო ე. და ესე ყოველთავე სიკეთითა სრულიად უნაკლულო და მოძულე

ყოვლისავე უკეთურებისა და უსამართლოებისა, და მტ[illegible]
რე ყოვლისავე ცოდვისა და უკეთუ ვინმე იხილის უტყუარად
მქმეევი დაუსჯელად, ჰყვედრიდის და ამხილის მას უკეთურება
იგი მისი. და იყო მაიძულებელ მისდა, რათა მოიზიდოს იგი
შიშსა და კრძალვასა ღუთისას. და ვინათგან ვერღარა უძლო
მოქცევად მათდა, ამისათვის რამეთუ ეშმაკსა მას ჰყუანდა ბი-
რებულ იგინი მისდა და რწმუნებულ ყოვლისავე წადილებისა
მისისა ზედან. და განიზრახა ნოე გულსა მისსა ესრეთ, რათა
განეშოროს მათგან. აღდგა და განეშორა და დაუტევა
მამისა მამული იგი მისი. წარვიდა და განეშორა მათგან
და ესრეთ იტყოდა, რამეთუ: „უმჯობეს არს ჩემდა ყო-
ფად უცხოთა და უმეცართა ქუეყანათა, ვიდრე ყო-
ფად უღთოთა და უკეთურთა და უსჯულოთა კაცთა თანა“.
მაშინ იხილა ღმერთმან მიუდრეკელი იგი გონება მისი, რამე-
თუ არა მიდრკების უკეთურებასა ზედან. მოუვლინა ანგელო-
ზი მისი და რქუა ნოეს ესრეთ, რამეთუ: „ნებავს უფალსა ეს-
რეთ აღკოცად ყოველთავე ნათესავთა კაცთასა. ხოლო აწ შენ
განმზადენ ულტოლველნი და მაგარნი. და შემზადე კიდობანი
და იყოს სივრცე მისი სამს მწყართა და ოცდაათ სიმაღლე და
უქმენ კარნი გვერდით კერძოვე და ქმენ ძირით კერძო სახლნი
ორრიგნი და სამრიგნი. და შეეედ შენ და ცოლი შენი და ძე-
ნი შენნი და ცოლნი ძეთა შენთანი და ყოველთაგან საცხო-
ვართა პირუტყუთა და ნადირთაგან და ყოველთავე ჴორციელ-
თა, რაოდენიცა არიან ქუეყანათა ზედან, ორორნი მამალნი
და დედალნი. შეიყუანე შენ თანა და გამოზარდენ იგინი. ხო-
ლო შენ იზრუნე და შეიკრიბე საზრდელი მათთუის. და იწყო
ნოე სიტყუისაებრ ანგელოზისა მის. დაიწყო შენება კიდობნი-
სა მის და სრულ ყო მესამესა წელსა. ხოლო ესეოდენსა წელსა
შენება კიდობნისა მის სხუა არარა იყო. გარნა ამისა ვინ
უწყის უკეთუ შეინანონ კაცთა მათ უშჯულოებათა მათთაგან
ხედვითა მისითა. ხოლო ოდესცა ჰკითხვიდეს ნოესა მას კაცნი,
გინა თუ რასათვის აშენებს მას, მიუგებდა და ეტყოდა მათ,
რამეთუ: „საძულველ იქმნა წინაშე ღვთისა უშჯულოება
ერისა ამის და უნებს უფალსა, რათა მოავლინოს წყლით
ღრღუნა და ახოცოს პირისაგან ქვეყანის ყოველნივე კაცნი და
პირუტყუნი. და მკითხველნი იგი ეკითხვიდეს და ემღერდეს
სიტყუათა მათ ნოესთა. და ოდესცა აღასრულა ნოემ კიდობანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგი, მაშინ უბრძანა ღმერთმან ნოესა: „შეეგედ შენ და ცოლი შენი და ცოლნი ძეთა შენთანა და ძენნი და შვილნი ძეთა შენთანა და ყოველთაგან ნადირთა და პირუტყუთა და მჴეცთა და ცხოველთა და ყოველთავე ჴორციელთა ორორნი: მამალი და დედალნი შეიყვანენ შენთანა. აჰა შვიდ დღეთა არს და იწყებს წვიმა საშინელი, ორმეოც დღე და ორმეოც ღამე“. და ყო ნოე ბრძანებისაებრ უფლისა: და შეეიდა კიდობანსა მას იგი და ცოლი მისი და სამნი ძენი მისნი: ს ე მ, ქ ა მ და ი ა ფ ე თ და სამნი ცოლნი ძეთა მისთანი და წულნი მათნი და თანა შეიყვანეს ყოვლისავე თესლადისა ცხოველისა ორორნი მამალნი და დედალნი, და დახურა კარი კიდობანისა მის ნოე. და განრისხდა უფალი გულისწყრომითა მისითა უშჯულოებასა მას კაცთასა და განაღო საქანელი ცისა და ყოველნივე წყარონი უფსკრულისანი. და გარემოეცემოდა წყალი, იგი ვითარცა ზღუა ორმეოც დღე და ორმეოც ღამე. და განმრავლდა წყალი იგი და ზე აღიღო კიდობანი იგი ქუეყანით და იყო კიდობანი ზედა წყალთა და დაფარნეს წყალთა მათ ყოველნი მთანი, ბორცუნი ქუეყანისანი და აღჴდეს წყალნი იგი მთათა მათ უმაღლესად, ვიდრე ათხუთმეტ მწყართაოდენ. და მოსწყდენ ყოველნივე ჴორციელნი, რაოდენიცა იყო ქვეყანათა ზედან, ფრინველი და პირუტყუნი, ნადირნი, მჴეცნი და ყოველნი კაცნი. და ყოველნივე რომელსაცა აქუნდა სული ცხოველნი. და აღიჴოცნეს სრულიად ყოვლისაგან პირისა ქუეყანისა კაცთაგან მიპირუტყვათმდე მჴეცნი და მფრინველნი ცისანი. ხოლო კიდობანი იგი დადგა მთასა ერთსა, რომელსაცა ეწოდების ა რ ა რ ა ტ.

[4. ნოეს ნათესავნი]

და ოდესაც დასცხრა სიმრავლე იგი წყალთა მათ, განაღო ნოე კიდობანი იგი და განუტევა ყ ო რ ა ნ ი ერთი, რათა იუწყოს მის მიერ უკეთუ დასცხრა სიმრავლე იგი წყალთა მათ. ხოლო ყორანი იგი ვითარცა წარვიდა და ჰპოვა დამრჩვალთა მათ კაცთა და პირუტყუთა მძოვრი, არღარა უკუნ იქცა მისდა, რათა აუწყოს მას რამეთუ დასცხრა წყლით რღუნა იგი, და შემდგომად ამისა იხილა ნოე, რამეთუ არღარა მოიქცა ყორანი იგი მისდა, განაღო კუალად კიდობანი იგი და განუტევა სხვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ერთი ყორანი რათა მოიქცეს მისდავე. და მოართუას მგზავრთა შანი რამე, უკეთუ დასცხრა წყლით ღრღუნა იგი. ხოლო არცა იგი მოიქცა მისდა. დაითმინა სხუათა შვიდი დღე ნოე კიდობანსა მას და კუალად განაღო კიდობანი იგი დღესა მას მეშვიდესა და განუტევა ტრედი ერთი და წარვიდა. ხოლო ტრედი იგი ვინათგან წმინდა არს და უმანკო, არა სათნო იჩინა დაჯდომა ტალახთა ზედან. და მიიღო პირით მისით რტო ერთი ზეთისხილისა და მიიქცა კუალად მუნვე კიდობნად. და მეყუსეულად სცნა ნოე, რამეთუ დასცხრა წყლით ღრღუნა იგი. და ესრეთ გამოვიდა ნოე კიდობნისა მისგან ცოლითურთ და ძეთა მისთათ და ყოველითურთ სახლეულით მისით და გამოვიდნეს ცხოველიცა იგინი, რომელნიცა შესრულ იყვნეს მისთანა კიდობანსა მას ყოველთაგან თესლთა ქუეყანისათა. და მოიღო ნოე შესაწირავი ღუთის და შესწირა მას, და იხილა უფალმან შესაწირავი ნოესი და აკურთხა ღმერთმან კუალად ბუნებანი კაცთანი და ცხოველთანი. ესრეთ აღორძინდებოდა და განმრავლდებოდა ყოველსა პირსა ქუეყანისსა. და იყო წელნი გარდაჯდომილად მისგან ვიდრე წყლით ღრღუნამდე ორიათას ორასორმოცდაორი.

ხოლო ჟამსა იყუნეს შვილისშვილთაგანი ნოესთა: და გამოსჩნდეს გმირნი და გონება მაღალნი მესრემ და ნებროთ. ხოლო იყო სხუაცა ძისძე ნოესი: ავნან, რომელნი შვა იაფეთ ძემან ნოესმან და, ავნან შვა თარშის და თარშის შვა თარგამოს. და ესე თარგამოს იყო მამასომეხთა და ქართველთა და რანთა და მოვაკანელთა, ჭერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიელთა. და იყო კაცი გმირი და შემდგომად განყოფისა ენათასა, ოდეს აღაშენა ნებროთ ბაბილოვანსა გოდოლი და განუყნეს მუნ ენანი და განიბნივნეს ყოველსა ქუეყანასა, ადამს აქეთ ჩღჭ (1798) წელს უკან იყო ნებროთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეონტი მროველი

[ცხოვრება ქართველთა მეფეთა.ნინოს მიერ ქართლის მოქცევა]

სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისათა
ვიწყო მითხრობად

ცხოვრება ქართველთა მეფეთასა და პირველთაგანთა
მამათა და ნათესავთა

[1. ქართველთა და კავკასიის ხალხთა ბიბლიური ეთნარქები]

პირველად ვაჯსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა — ამათ თჳსთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს. ესე თარგამოს იყო ძე თარშისი, ძისწული იაფეთისი, ძისა ნოესი. და იყო ესე თარგამოს კაცი გმირი: და შემდგომად განყოფისა ენათასა, ოდეს აღაშენეს ბაბილონს გოდოლი, და განეყნეს მუნ ენანი და განიბნინეს მუნით ყოველსა ქუეყანასა. და წარმოვიდა ესე თარგამოს ნათესავითურთ მისით, და დაემკჳდრა ორთა მათ მთათა შუა კაცშეუვალთა, არარატსა და მასისსა და იყო ნათესავი მისი დიდი და ურიცხჳ, რამეთუ ესხნეს ცოლ მრავალ, ძენი და ასულნი, და შვილნი და შვილისშვილნი ძეთა და ასულთა მისთანი, რამეთუ ცხოვნდა იგი ექუსას წელ. და ვერღარა იტევდა ქუეყანა არარატისა და მასისისა.

ხოლო ქუეყანა იგი, რომელი წილით ხდომოდა, ესე არს საზღვარი ქუეყანისა მისისა: აღმოსავლით ზღუა გურგენისი, დასავლით ზღუა პონტოსი და სამხრით ზღუა ორეთისი, და ჩრდილოთ მთა კავკასია.

ხოლო შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს კაცნი რვანი, გმირნი ძლიერნი და სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა ერქუა ჰაოს, მეორესა ქართლოს, მესამესა ბარდოს, მეოთხესა მოვაკან, მეხუთესა ლეკ, მეექუსესა ჰეროს, მეშჳდესა კავკას, მერვესა ეგროს. ესე რვანი იყვნეს გმირნი: ხოლო ჰაოს უმეტეს გმირი იყო ყოველთასა, რამეთუ ეგევი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარი არაოდეს ყოფილ იყო არცა წყლის-რღუნის წინააღმდ
არცა შემდგომად ტანითა, ძალითა და სიმჯნითა.

ხოლო ვერღარა იტევდა ქუეყანა არარატისა და მასისისა, განუყო თარგამოს ქუეყანა და ნათესავი თჳსი რვათა ამათ გმირთა: ნახევარი ნათესავისა მისისა და ნახევარი და უმჯობესი ქუეყანისა მისისა მისცა ჰაოსს, ხოლო შჳდთა ამათ მისცა ხუედრი მათი არძანიგებისაებრ მათისა: წარმოიყვანნა შჳდნი იგი ჩრდილოთ კერძო და განუყჳნა ქუეყანანი ღირსებისაებრ მათისა. მისცა ქართლოსს და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით ჰერეთი და მდინარე ბერდუჯისი; დასავლით ზღუა პონტოსი; სამხრით მთა, რომელი მიჰყვების ბერდუჯის მდინარისთავსა, და მთა, რომელი მიჰყვების დასავლით კერძო, რომლისა წყალი გარდმოდის ჩრდილოთ კერძო და მიერთვის მტკუარსა, რომელ მიჰყვების მთა შორის კლარჯეთსა და ტაოს ვიდრე ზღუამდის; და ჩრდილოთ საზღვარი ღადო, მთა მცირე, რომელი გამოვლის შტოდ კავკასისაგან და მოჰკიდავს წუერი დასასრულსა ღადოსა, რომელსა აწ ჰქჳან ლიხი. და ამათ საზღვართა საშუალ მისცა ყოველი ქართლოსს.

ხოლო ბარდოსს მისცა მტკუარს სამხრით, ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე სადა შეკრბებიან მტკუარი და რაჴსი. ამან ბარდოს აღაშენა ქალაქი ბარდავი და დაეშენა მუნ.

ხოლო მოვაკანს მისცა მტკუარსა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ზღუამდე. და ამან აღაშენა ქალაქი მოვაკნეთი, და დაემკჳდრა მუნ.

ხოლო ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკურისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ტყეტბამდე, რომელსა აწ ჰქჳან გულგულა. და ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა, და უწოდა სახელი თჳსი ჰერეთი. და მის გამო ჰქჳან ჰერეთსა ჰერეთი. და აწ მას ადგილსა ჰქჳან ხორანთა.

ხოლო ეგროსს მისცა ქუეყანა ზღჳსყურისა, და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსაც აწ ჰქჳან ლიხი; დასავლით ზღუა; ჩრდილოთ მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასისა. ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თჳსი ეგრისი. აწ მას ადგილსა ჰქჳან ბედია.

ხოლო კავკასიათა ჩრდილოთ არა იყო ხუედრი თარგამო-

სისა, არამედ არცა იყო კაცი კავკასიასა ჩრდილოთ; და უმ-
კჳდრო იყო ქუეყანა იგი კავკასიითგან ვიდრე მდინარემდე
დიდად, რომელი შესდის ზღუასა დარუბანდისასა. ამისთჳს გა-
მოიყვანნა მრავალთა გმირთაგან ორნი გმირნი, ლეკან და კავ-
კასი. და მისცა ლეკანს ზღჳთგან დარუბანდისათ ვიდრე მდი-
ნარემდე ლომეკისა, ჩრდილოთ ვიდრე მდინარემდე დიდად
ხაზარეთისად. და მისცა კავკასს ლომეკის მდინარითგან ვიდ-
რე დასასრულადმდე კავკასისა, დასავლით.

ხოლო ჰაოს დაემკჳდრა საყოფელთა მამისა თჳსისა თარ-
გამოსისასა, და დაიპყრა ქუეყანა ჩრდილოთ, ვითა დამიწერია:
სამხრით მთით ორეთისითგან, აღმოსავლით ვიდრე ზღუადმდე
გურგენისა, და დასავლით ვიდრე ზღუადმდე პონტოსა. და
ამათ შჳდთავე გმირთა ზედა იყო განმგებელ და უფალ ჰაოს.
და ესე ყოველნი იყვნეს მორჩილ ჰაოსისა. და ესე რვანივე
ერთობით ჰმონებდეს ნებროთს გმირსა, რომელი იყო პირვე-
ლი მეფე ყოვლისა ქუეყანისა.

შემდგომად ამისა მცირედთა წელიწადთა მოუწოდა ჰაოს
შჳდთა მათ გმირთა, შემოკრიბნა და რქუა მათ: „მოგუცა
ღმერთმან მაღალმან ძალი და სიმრავლე ნათესავისა ჩუენისა.
აწ შეწევნითა დამბადებლისათა ვიყვნეთ არა ვისა მონა, და
არავის ვმსახუროთ თჳნიერ ღმრთისა დამბადებელისა“. ეწამ-
ნეს შჳდნი იგი გმირნი, და დაუმტკიცეს განზრახვა იგი; და
განუდგეს ნებროთს და არღარა მისცეს ხარკი. და ეზრახნეს
სხუათა ვიეთმე ნათესავთა, და დაუორგულდეს სხვანიცა ნა-
თესავნი.

მაშინ განუწყრა ნებროთ, და შემოკრიბნა გმირნი მისნი და
ყოველნი, რომელნი ერჩდეს, სპანი მისნი, და მომართა თარგა-
მოსიანთა. ხოლო ჰაოს მოუწოდა შჳდთავე გმირთა და ყოველ-
სავე ნათესავსა თარგამოსისსა. და შეეწივნეს სხუანიცა ვინმე
ნათესავნი დასავლეთისანი: შეკრიბნა ჰაოს ესე ყოველნი და
დადგა ძირსა მასისისასა. და ვითარ მოადგა ნებროთ ქუეყანასა
ადარბადაგნისასა, და დადგა მუნ და წარავლინნა გმირნი სამე-
ოცნი და მათ თანა სპანი ძლიერნი წყობად თარგამოსიანთა.

ხოლო ვითარცა მოიწივნეს სპანი იგი ნებროთისნი, მაშინ
მიეგებნეს შჳდნი იგი გმირნი ძმანი ჰაოსისნი სპითა ძლიერითა.
ხოლო ჰაოს სპითა უძლიერესითა დაუდგა უკანით, ზურგით.
იქმნა მათ შორის ბრძოლა სასტიკი, რომელი ემსგავსა სასტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებასა ჰაერისასა. რამეთუ მტუერი ფერჯისა მათისა ვითარცა ღრუბელი სქელი; ელვა აბჯრისა მათისა ვითარცა ელვა ცისა; ჴმა პირისა მათისა ვითარცა ჴმა ქუხილისა; სიმრავლე ისართა და ტყორცნა ქვისა მათისა ვითარცა სეტყუა ჴშირი, და დათხევა სისხლისა მათისა ვითარცა ღუარი სეტყუათა. განძლიერდა ბრძოლა მათ შორის, და მოსწყდა ორგნითვე ურიცხვ.

ხოლო ჰაოს უდგა ზურგად გმირთა მისთა, ძალ-სცემდა და ნუგეშის-ცემდა ჴმითა საზარელითა, რომელი მსგავსი იყო მეხისტეხისა. მაშინ სძლეს თარგამოსიანთა და მოსრნეს სამეოცნი იგი გმირნი ნებროთისნი და სპანი მათნი. ხოლო შვდნი ესე გმირნი თარგამოსიანნი — ქართლოს, ბარდოს, მოვაკან, ჰეროს, ლეკან, კავკასან, ეგროს — ესენი დარჩეს ცოცხლებით თჳნიერ წყლულებისა და ძლევაშემოსილნი ჰმადლობდეს ღმერთსა.

ხოლო ვითარცა ესმა ნებროთს, განწყრა და წარმოემართა მათ კერძო ყოვლითა ძალითა მისითა. ხოლო ჰაოსს არა ჰყვეს სპანი ნებროთის სპათა ოდენნი: განმაგრდა იგი ღირღალთა შინა მასისისათა. მიუდგა ქუეშე კერძო ნებროთ; და იყო იგი მურვილი რკინითა და რვალითა ტერფთაგან ვიდრე თხემამდე. და აღჴდა გორასა ერთსა ზედა ზრახვად ჰაოსისა და ეტყოდა დამორჩილებასავე მისსა, რათა სთნდეს მიქცევა მისი. ხოლო ჰაოს რქუა გმირთა მისთა: „განმიმაგრეთ ზურგით კერძო ჩემი, და მივეახლო ნებროთს“.

და წარვიდა და მივიდა პირისპირ მახლობელად ნებროთისა, და სტყორცნა ისარი და ჰკრა მკერდსა ნებროთისსა, ფიცარსა ზედა რვალისასა, და განავლო ზურგით. მაშინ დაეცა ნებროთ, და იოტა ბანაკი მისი. და განთავისუფლდეს ნათესავნი თარგამოსისნი. და მაშინ ჰაოს ჰყო თავი თჳსი მეფედ ძმათა თჳსთა ზედა და სხუათაცა ნათესავთა ზედა, მახლობელთა საზღვართა მისთასა. ხოლო შვდნივე ესე ძმანი წარვიდეს თჳსთჳსად ქუეყანად, და იყვნეს მორჩილ ჰაოსისა. ხოლო აქამომდის დავწერეთ ამბავი ესე რვათავე ძმათა.

[2. ქართლოსის ქუეყანა]

ხოლო აქათგან ვიწყოთ და წარმოვთქუათ ამბავი ქართლისა და ნათესავისა მათისა, და ცხოვრება მათი ვიდრე დღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა ჩუენთამდე. და ვითარ-იგი განუყო ქუეყანა თარგამოს ნა-
თესავსა მისსა და რვათავე შვილთა მისთა, და მისცა
ქართლოსს ქუეყანა, რომელი ზემო აღვწერეთ. და ესე
ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთვს
არაგვ მტკუარსა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელ-
სა ეწოდების არმაზი. და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზე-
და, და იშენა მუნ ზედა სახლი, და უწოდა მთასა მას სახელი
თავისა თჳსისა ქართლი. და ვიდრე აღმართებამდე მუნ ზედა
კერპისა არმაზისი ერქუა მთასა მას ქართლი, და მის გამო
ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი, ხუნანითგან ვიდრე ზღუ-
ამდე სპერისა.

შემდგომად ამისსა ამანვე ქართლოს აღაშენა ციხე ორბისა,
რომელსა აწ ჰქჳან სამშჳლდე. და კუალად აღაშენა მტუერის-
ციხე, რომელსა აწ ჰქჳან ხუნანი. ცხოვნდა იგი მრავალთა
წელთა და განმრავლდა ნათესავი მისი.

ხოლო შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს ხუთნი გმირნი,
რომელთა სახელები ესე არს: პირველსა მცხეთოს, მეორესა
გარდაბოს, მესამესა კახოს, მეოთხესა კუხოს, მეხუთესა გა-
ჩიოს. ესე ხუთნივე იყვნეს გმირნი: არამედ მცხეთოს უგმირე
იყო სხუათა მათ.

მოკუდა ქართლოს და დაფლეს იგი თავსა ზედა ქართლი-
სასა, რომელსა აწ ეწოდების არმაზი. და შემდგომად ამისსა
ცოლმან მისმან აღაშენა დედაციხე. და მანვე აღაშენა ბოსტან-
ქალაქი, რომელსა აწ ჰქვიან რუსთავი, და განყვნა ცოლმან
ქართლოსისმან ხუთნივე იგი გმირნი, შვილნი მისნი.

გარდაბოსს მისცა ხუნანი და უჩინა საზღვარი: აღმოსავ-
ლით მდინარე ბერდუჯისი, დასავლით ქალაქი გაჩიანი, და სამ-
ხრით მთა პირველჴსენებული, და ჩრდილოთ მტკუარი.

ხოლო გაჩიოსს მისცა ორბისციხე და სკჳრეთის მდინარით-
გან ვიდრე თავადმდე აბოცისა. და ამან გაჩიოს აღაშენა ქალა-
ქი გაჩიანი, რომელსაც მაშინ ერქუა სანადირო ქალაქი.

ხოლო კუხოსს მისცა ბოსტანქალაქი, რომელსა აწ ჰქჳან
რუსთავი, მისცა არაგვთგან ვიდრე ჰერეთამდე, ...შესართა-
ვადმდე, მთასა კახეთისასა და მტკუარსა შუა.

ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთასა შორის,
არაგვთგან ვიდრე ტყეტბადმდე, რომელი არს საზღვარი ჰერე-
თისა. და ამან კახოს აღაშენა ჩელეთი; კუხოს შეეწია შენება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა ჩელეთისასა. რამეთუ დედაციხე კახოსის ხუედრი იყო, ბ
მისცა კახოს შეწევნისათჳს და შეეწია შენებასა ჩელეთისასა,
რომელსა ბერ ერქუა პირველშენებულსა კახეთისასა.

ხოლო მცხეთოს, რომელი უგმირე იყო ძმათა მისთა, ესე
დარჩა საყოფელთა მამისა მათისა ქართლოსისათა, რომელსა
აწ ჰქჳან არმაზი. და მანვე აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შო-
რის მტკურისა და არაგჳსასა, და უწოდა სახელი თჳსი მცხე-
თა. და დაიპყრა ქუეყანა ტფილისითგან და არაგჳთგან დასავ-
ლით ვიდრე ზღუადმდე სპერისა.

და ესე იყო განმგე და უფალ მათ ოთხთავე ძმათა ზედა.
და ესე ოთხნივე იყვნეს მორჩილ მისა. ესე არიან განყოფილ-
ნი ქართლოსის ძეთანი და რომელნი განყვნა დედამან მათმან
შემდგომად სიკუდილისა ქართლოსისა. ხოლო მრავალთა წელ-
თა და მრავალთა ჟამთა ცხოვნდა ძე ქართლოსისი, და გან-
მრავლდა ნათესავი მისი, და მათ ყოველთა განმრავლდა ნათე-
სავი მათი.

ხოლო შვილთა შორის მცხეთოსისათა გამოჩნდეს სამნი
გმირნი სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა
უფლოს, და შემდგომსა ოძრჯოს, და მესამესა ჯავახოს. განუ-
ყო მათ ქუეყანა და ნათესავი მათი ყოველი.

ოძრჯოსს მისცა ტასისკარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა,
ქუეყანა კლდოვანი. ამან ოძრჯოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქ-
ნი: ოძრჯე და თუჯარისი.

ხოლო ჯავახოსს მისცა ფანავრითგან ვიდრე თავადმდე
მტკურისა. და ამან ჯავახოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: წუნ-
და და ქალაქი არტანისა, რომელსა მაშინ ერქუა ქაჯთა ქალა-
ქი, ხოლო აწ ჰქჳან ჰური.

ხოლო უფლოს დარჩა საყოფელსა მამისა მათისა მცხეთო-
სისსა მცხეთას. და ეპყრა ქუეყანა არაგჳთგან და ტფილისით-
გან ვიდრე ტასისკარამდე და ფანავრადმდე. და ამან აღაშენა
უფლისციხე, ურბნისი, კასპი, არაგჳთგან და არმაზითგან ვიდ-
რე ტასისკართამდე უწოდა ამას ქუეყანასა ზენასსოფლისა, რო-
მელსა აწ ჰქჳან შიდაქართლი.

ხოლო ვიდრე სიკუდილამდე მცხეთოსისა ესე ყოველნი ნა-
თესავნი თარგამოსისნი იყვნეს სიყუარულსა ზედა ერთმანერ-
თისასა; და შიში აქუნდათ ნებროთიანთა, და ჰგონებდეს იგი-
ნი ნებროთიანთაგან ძებნასა სისხლისა ნებროთისსა. და ის-

წრაფდეს იგინი მაგრებასა ციხე-ქალაქთასა შიშისათჳს ნებგრძელ თიანთასა.

ხოლო ვითარცა მოკუდა მცხეთოს, ძე ქართლოსისი, შთავარდა შური შორის შვილთა ქართლოსისთა: იწყეს ბრძოლად და ჴდომად ურთიერთას. რამეთუ უფლოსს, ძესა მცხეთოსისა, არა ერჩდეს, არცა ხადოდეს უფლად, რომელი დატევებულ იყო საყდართა ქართლოსისათა, რამეთუ მამისა მისისაგან მიცემულ იყო უფლობა ქართლოსიანთა. იწყეს ბრძოლად და ჴდომად ურთიერთას; და განაგრძელეს მათ შორის ბრძოლა, რომელ ჟამ სამე აღდგიან ამათგანნი ორნი ნათესავნი ერთსა ზედა, და სხუანი შეეწეოდიან რომელნიმე მას; და რომელნიმე კუალად სხუანი აღდგეს ერთმანერთსა ზედა და სხუანი შეეწეოდიან. რომელსამე ჟამსა იქმნის მშჯდობა მათ შორის, და კუალად შეიშალნიან და ებრძოდიან.

და გაგრძელდა მათ შორის ესევითარი საქმე, და არავინ იყო მათ შორის უწარჩინებულეს და უსახელოვანეს, არამედ ადგილითი ადგილად თავადნი იჩინიან. ხოლო ვინცა იყვის მცხეთას, რეცა თავადი იგი იყვის ყოველთა მათ სხუათა ზედა. და არცა სახელ-ედებოდათ მეფედ, არცა ერისთავად, არამედ მამასახლისი ეწოდებოდათ, და იგი იყვის მაზავებელ და ბჭე სხუათა ქართლოსიანთა. რამეთუ ქალაქი მცხეთა განდიდებულ იყო უმეტეს ყოველთასა, და უწოდდეს დედაქალაქად.

და მას ჟამსა დაივიწყეს ღმერთი, დამბადებელი მათი, და იქმნეს მსახურ მზისა და მთოვარისა და ვარსკულავთა ხუთთა, და მტკიცე და უფროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლოსისი.

მას ჟამსა შინა განძლიერდეს ხაზარნი და დაუწყეს ბრძოლად ნათესავთა ლეკისათა და კავკასისათა. და ესე თარგამოსიანთა ყოველნი მას ჟამსა იყვნეს მშჯდობით სიყუარულსა ერთმანერთისასა.

ხოლო შვილთა ზედა კავკასისთა იყო უფალ დურძუკ, ძე ტირეთისი. ეზრახნეს ესე ექუსთავე ნათესავთა თარგამოსიანთა, და ითხოვეს შუელა ხაზართა ზედა. ხოლო შეკრბეს ყოველნი ნათესავნი თარგამოსიანნი, და გარდავლეს მთა კავკასია. და მოტყუენნეს ყოველნი საზღვარნი ხაზარეთისანი, და აღაშენნეს ქალაქნი პირსა ხაზარეთისასა, და წარმოვიდეს.

ამისსა შემდგომად ხაზართა იჩინეს მეფე, და დაემორჩილ-
ნეს ყოველნი ხაზარნი მეფესა მას ჩინებულსა მათსა. და წარ-
მოიძღუანეს იგი და გამოვლეს ზღვსკარი, რომელსა აწ ჰქვან
დარუბანდი. ვერ წინააღუდგეს თარგამოსიანნი, რამეთუ იყო
სიმრავლე ურიცხვ ხაზართა, წარტყუენეს ქუეყანა თარგამოსი-
ანთა, და შემუსრნეს ყოველნი ქალაქნი არარატისანი და მასი-
სისანი და ჩრდილოსანი. და დაურჩეს ციხე-ქალაქნი თუხარი-
სი, სამშვლდე და მტუერისციხე, რომელ არს ხუნანი, შიდა-
ქართლი და ეგრისი.

და ისწავეს ხაზართა ორნივე ესე გზანი, რომელ არს
ზღვსკარი დარუბანდი და არაგვსკარი, რომელ არს დარიალა,
და განამრავლეს ხაზართა გამოსლვა და ტყუენვა მათი და ვერ-
ღარა წინააღუდგეს. და მიერითგან იქმნეს ესე ყოველნი თარ-
გამოსიანნი მოხარკე ხაზართა.

ხოლო ოდეს პირველ გამოვიდა ხაზართა მეფე და მოტყუ-
ენნა ქუეყანანი, რომელნი ზემოთ დამიწერიან, და გარდავლო
მთა კავკასია. და იყო ძე მისი სახელით უობოს, და მისცა ძესა
თვსსა ტყუე სომხითისა და ქართლისა. და მისცა ქუეყანა კავ-
კასის ნაწილი, ლომეკის მდინარისა დასავლით, დასავლეთამდე
მთისა.

და დაეშენა უობოს: და მათნი ნათესავნი არიან ოვსნი, და
იგი არს ოვსეთი, რომელ ნაწილი იყო კავკასისა. ხოლო დურ-
ძუკ, რომელი უწარჩინებულეს იყო შვილთა შორის კავკასის-
თა, მივიდა და დაჯდა ნაპრალსა შინა მთისასა, და უწოდა სა-
ხელი თვსი დურძუკეთი. და მისცემდა ხარკსა მეფესა ხაზარ-
თასა.

ხოლო მასვე გზობასა მისცა მამისძმისწულსა მისსა ხაზარ-
თა მეფემან ნაწილი ლეკანისა, აღმოსავლით ზღვთგან დარუ-
ბანდისით მდინარემდე ლომეკისა. და მისცა ტყუე რანისა და
მოვაკნისა. და დაეშენა იგი მუნ, რომელ ნაწილი იყო ლეკა-
ნისი.

ხოლო ხოზონის, რომელ უწარჩინებულეს იყო ნათესავთა
შორის ლეკანისთა, მივიდა და დაჯდა ნაპრალსა შინა მთისასა,
აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვსი ხოზანიხეთი.

და გარდაჯდეს მას შინა ჟამნი მრავალნი. და ესე ყოველნი
ნათესავნი იყვნეს მოხარკე ხაზართა.

ხოლო მიერითგან განძლიერდეს სპარსნი მიერ მზისა აღ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსავლითგან, ნათესავნი ნებროთისნი. და გამოჩნდა ნათესავთა შორის ნებროთისთა კაცი ერთი გმირი, რომლისა სახელი აფრიდონ, „რომელმან შეკრა ჯაჭვთა ბევრასფი, გუელთა უფალი, და დაბა მთასა ზედა, რომელ არს კაცთშეუვალი“.

ესევითარი წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა. აფრიდონ ეუფლა ყოველსა ქუეყანასა სპარსთასა: ხოლო რომელთამე ქუეყანათა შეგზავნა ერისთავნი, ჴელადნი მისნი, და რომელიმე ქუეყანა მოხარკე ეყო. ამან წარმოგზავნა ერისთავი თჳსი სპითა დიდითა, რომელსა სახელი ერქუა არდამ, შვილი ნებროთის ნათესავთა. მოვიდა ქართლად და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი. და მოსრა ყოველი, რაოდეხი ხაზარი პოვა ქართლსა შინა.

ამან არდამ ერისთავმან აღაშენა ქალაქი ზღუსკარს, და უწოდა სახელი დარუბანდი, რომელი ითარგმნების „დაჴშა კარი“ და მანვე მოზღუდა მცხეთა ქალაქი ქჳთკირითა. და აქამომდე არა იყო ქართლსა შინა საქმე ქჳთკირისა. და ამის გამო დაისწავლეს ქჳთკირი. ამანვე არდამ მოჰკიდა კირი-ზღუდე ციხესა არმაზისასა და აქათ მტკურამდის, და წარმოზღუდა ცხჳრი არმაზისი ვიდრე მტკურამდე.

და ერისთავობდა არდამ მრავალთა წელთა. ხოლო ოდეს განუყო აფრიდონ ყოველი ქუეყანა სამთა ძეთა მისთა, მაშინ რომელსაცა ძესა მისცა სახლად სპარსეთი, და მასვე ხუდა წილად ქართლი, რომელსა სახელად ერქუა იარედ.

ხოლო შემდგომად არდამ ერისთავისა გარდაიცვალნეს დ ერისთავნი. მიერითგან უცალო იქმნეს ძენი აფრიდონისნი, რამეთუ იწყეს ბრძოლად ურთიერთას. და მოკლეს ორთა ძმათა იარედ, ძმა მათი. მაშინ პოვეს ჟამი მარჯუე ქართლოსიანთა.

ეზრახნეს ოვსთა, გარდამოიყვანეს ოვსნი და პოვეს ერისთავი სპარსთა ველსა გარე, და კნისობდა, და მოკლეს იგი. და რომელ პოვეს სპარსი, ყოველი მოსწყჳდეს ოვსთა და ქართველთა, და განთავისუფლდეს ქართველნი, ხოლო რანი და ჰერეთი დარჩა სპარსთა.

და შემდგომად ამისსა მრავალთა წელიწადთა კუალად განძლიერდეს სპარსნი. და განდიდნა მეფე სპარსთა, რომელსა ერქუა ქეკაპოს.

ხოლო მას ჟამსა იყო ვინმე ლეკეთს, კაცი მგრძხებელი, ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თესავი ხოზანიხიზისი. და მან გრძნებითა თჳსითა დააბრმავა ქეკაპოს მეფე და სპა მისი, და ვერ შეეიდა ლეკეთს, უკუმოიქცა და მაშინღა განუნათლდა თუალები. ამან ქეკაპოს კუალად მოხარკე-ყვნა ქართველნი და წარვიდა.

შემდგომად ამისსა რაოდენთამე წელიწადთა მოვიდა ამბავი, ვითარმედ მოსე განვლო ზღუა ისრაელთა, და იზრდებიან იგინი უდაბნოს მანანათა. განკჳრდეს ყოველნი, და მათ ყოველთა წარმართთა აქეს ღმერთი ისრაელთა.

და შემდგომად ამისსა რაოდენთამე წელიწადთა უცალო იქმნა ქეკაპოს, მეფე სპარსთა, რამეთუ იწყო ბრძოლა თურქთა. მაშინ პოვეს ჟამი მარჯუე სომეხთა და ქართველთა, და განუდგეს სპარსთა და განამაგრნეს ციხენი და ქალაქნი მათნი. და შეერთნეს ყოველნი ნათესავნი თარგამოსიანნი.

შემდგომად ამისსა რაოდენთამე წელიწადთა გამოგზავნა ქეკაპოს, სპარსთა მეფემან, ძე მისი, რომელსა ერქუა ფარაბოროტ, სპითა დიდითა სომეხთა და ქართველთა და ყოველთა თარგამოსიანთა ზედა. ხოლო შეკრბეს ესე ყოველნი თარგამოსიანნი, მიეგებნეს და ეწყვნეს ადარბადაგანს, და იოტეს ფარაბოროტ, და მოსრეს სპა მისი.

შემდგომად ამისსა მცირედთა წელთა კუალად გამოგზავნა ამანვე ქეკაპოს ძისწული მისი, ძე შიოშ ბედნიერისა, რომელი ეოიკლა თურქეთს, ვითარცა წერილ არს წიგნსა სპარსთა ცხოვრებისასა.

წარმოემართა ესე ძე შიოშისი, სახელით ქაიხოსრო. ვერ წინააღუდგეს მას სომეხნი და ქართველნი, რამეთუ დიდი იყო ძალი მისი. მოვლო ყოველი სომხითი და ქართლი, მოტყუენა ყოველივე, იავარ-ყვნა ყოველნი ციხენი და ქალაქნი, და დაუტევნა ერისთავნი, და აღაშენა ადარბადაგანს სახლი სალოცავი სჯულისა მათისა, და წარვიდა.

და შემდგომად ამისსა რაოდენთამე წელიწადთა უცალო იქმნა ქაიხოსრო მეფე, და იწყო ბრძოლად თურქთა, ეძიებდა სისხლსა მამისა მათისასა. და პოვეს ჟამი სომეხთა და ქართველთა, განუდგეს სპარსთა და მოსრნეს ერისთავნი სპარსთანი, და განთავისუფლდეს.

ხოლო ჰასვე ჟამსა მოვიდეს თურქნი, ოტებულნი მისვე ქაიხოსროსგან. გამოვლეს ზღუა გურგანისი, აღმოყვეს მტკუბრსა და მოვიდეს მცხეთას სახლი ოცდარვა. და ეზრახნეს მა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მასახლისსა მცხეთისასა, აღუთქუეს შეწევნა სპარსთა ზედ. ხოლო მამასახლისმან მცხეთელმან აუწყა ყოველთა ქართველთა. ინებეს დამეგობრება მათ თურქთა, რამეთუ აქუნდა შიში სპარსთა, და შემწეობისათჳს დაიმეგობრნეს თურქნი იგი გამოსხმულნი, და განიყვანეს ყოველთა ქალაქთა შინა.

ხოლო უმრავლესნი მათგანნი მოვიდეს და პოვეს ადგილი ერთი მცხეთას, დასავლით კერძო კლდეთა შორის გამოკუეთილი, ღრმა, და მოითხოვეს ადგილი იგი მცხეთელთა მამასახლისისაგან. მისცა და აღაშენეს იგი, მოზღუდეს მტკიცედ, და ეწოდა მას ადგილსა სარკინე.

და იყვნეს ესე თურქნი და ქართველნი ნებისმყოფელ ერთმანერთისა, მოელოდეს მოსლვასა სპარსთასა, ამაგრებდეს ციხეთა და ქალაქთა. მას ჟამსა შინა სადათაც ვინ მივიდის ძჳრისმოქმედთაგან საბერძნეთით, გინა ასურით ოტებული, გინა ხაზარეთით, ყოველნივე დაიმეგობრიან ქართველთა შემწეობისათჳს სპარსთა ზედა.

და გამოჴდეს ამას შინა ჟამნი მრავალნი. მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალემი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქჳან ზანავი. და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ ხარკითა, აწ ჰქჳან ხერკ ხარკისა მისთჳს.

აქამომდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს. ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხუნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა დაუტევეს ენა სომხური. და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული.

და იპყრეს სჯული უბოროტესი ყოველთა ნათესავთასა. რამეთუ ცოლქმრობისათჳს არა უჩნდათ ნათესაობა; და ყოველსა სულიერსა ჭამდეს; საფლავი არა იყო, მკუდარსა შესჭამდეს.

შემდგომად ამისსა რაოდენთამე წელიწადთა აღმოვიდა ძე სპარსთა მეფისა ვაშტაშაბისი, სახელით სპანდიატ-რვალი, გოლიათი იგი და სახელოვანი. ხოლო ვერ წინააღუდგეს სომეხნი და ქართველნი, არამედ განამაგრნეს ციხენი და ქალაქნი, და მოელოდეს მოსლვასა მისსა. ხოლო მოვიდა რა იგი ადარბადაგანს, ეწია ამბავი სპარსთა, რამეთუ მოკლეს მამისმამა მისი თურქთა და შემოვიდეს თურქნი სპარსეთად. მაშინ დაუტევა

სპანდიატ ბრძოლა სომეხთა და ქართველთა, შეიქცა თურქნი ზედა ძებნად სისხლსა მამისმამისა მისისასა. და განთავისუფლდეს სომეხნი და ქართველნი.

შემდგომად ამისსა რაოდენთამე წელიწადთა მეფე იქმნა სპარსეთს ძე სპანდიატისი, რომელი არს სახელით ბარამ, რომელი იცნობების არდაშირობით. ესე განდიდნა უფროს ყოველთა მეფეთა სპარსთასა. ამან დაიპყრა ბაბილოვანი და ასურეთი, მოხარკე-ყვნა ბერძენნი და ჰრომნი. და მაშინ ქართველნი მოხარკე-იყვნეს მისდავე. და იყვნეს ქართლს ესრეთ აღრეულ ესე ყოველნი ნათესავნი, და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძული. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამა და დედათა.

3. შემოსვლა ალექსანდრესი

ესე ალექსანდრე გამოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისასა, ქუეყანასა, რომელსა ჰქვან მაკედონი, ძე ნიკტანებისი, მეგვპტელისა, ვითარცა წერილ არს ამბავი მისი წიგნსა ბერძენთასა.

ამან ალექსანდრე დაიპყრნა ყოველნი კიდენი ქუეყანისანი. ესე გამოვიდა დასავლით, და შევიდა სამხრით, შემოვიდა ჩრდილოთ, გარდამოვლნა კავკასნი და მოვიდა ქართლად. და პოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა. რამეთუ ცოლქმრობისა და სიძვისათჳს არა უჩნდა ნათესაობა, ყოველსა სულიერსა ჰამდეს, მკუდარსა შესჭამდეს, ვითარცა მჭეცნი და პირუტყუნი, რომელთა ქცევისა წარმოთქმა უკმარ არს და იხილნა რა ესე ნათესავნი სასტიკნი წარმართნი, რომელთა-იგი ჩუენ ბუნთურქად და ყივჩაყად უწოდთ, მსხდომარენი მდინარესა მას მტკურისასა მიხუევით, დაუკჳრდა ესე ალექსანდრეს, რამეთუ არაროომელნი ნათესავნი იქმოდეს მას. და ენება რათამცა აღმოფხურნა იგინი ქალაქებისა მისგან, არამედ მას ჟამსა ვერ უძლო, რამეთუ პოვნა ციხენი მაგარნი და ქალაქნი ძლიერნი. კუალად გამოვიდეს სხუანი ნათესავნი ქალდეველნი, და დაეშენნეს იგინიცა ქართლს.

შემდგომად ამისსა განძლიერდა ალექსანდრე და დაიპყრა ყოველი ჩუეყანა, და აღმოვიდა ქუეყანასა ქართლისასა. და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოვნა ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი შუაქართლ: წუნდა, ხერთვსი მტკურისა, ოძრჯე მოკიდებული კლდესა ღადოსსა, თუხარისი მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქვან ჭოროხი, ურბნისი, კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი, სარკინე, ციხედიდი და ზანავი, უბანი ურიათა, და რუსთავი, და დედაციხე სამშვლდე, და მტუერისციხე, რომელ არს ხუნანი, და კახეთის ქალაქნი. ამათ ყოველთა ციხე-ქალაქთა შინა პოვნა კაცნი სასტიკად მბრძოლნი და განუყოლაშქარი თვსი და ყოველთა ამათ ციხე-ქალაქთა გარემოადგინნა, და თვთ დადგა მცხეთას. და დაუდგინნა ლაშქარნი იმიერ და ამიერ, ზემოთ და ქუემოთ, და თვთ დადგა ქსანს ზედა, ადგილსა, რომელსა ჰქვან ნასტაკისი.

ხოლო მტუერისციხესა და თუხარისსა არა ჰბრძოდა, რამეთუ ვერ შეუძლებდა დაპყრობად. ხოლო სხუანი ესე ციხენი და ქალაქნი დაიპყრნა ექუს თუე. ხოლო სარკინელთა ბუნთურქთაგანთა აგინეს მეფესა. განუწყრა ალექსანდრე და არღარა ინება ზავი, და ვედრება მათი არა შეიწყნარა, და რქუა მათ: „ვინათგან მაგინეთ მე, ესე არს ნაცვალი თქუენი, რათა დაგჯოცნე ყოველნი". და მოიცვა ქალაქი სარკინე, და ვერა სადეთ განერა ერთიცა კაცი. ხოლო სარკინელთა შესჭირდა, რამეთუ ჰბრძოდა თერთმეტ თუე. იწყეს ფარულად კლდესა კაფა, და განჭურიტეს კლდე იგი, რომელი ლბილ იყო და ადვილად საჭურეტელი. და განკრბეს ჯურელსა მას სარკინელნი ღამე, და შეივლტოდეს კავკასიად, და დაუტევეს ცალიერად ქალაქი.

დაიპყრა ალექსანდრე ყოველი ქართლი, და მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი, და უცხონი იგი ნათესავნი მოსრნა და დაატყუევნა, და დედანი და ყრმანი უცებნი, თხუთმეტისა წლისა უმცროსნი; და დაუტევნა ნათესავნი ქართლოსიანნი, და დაუტევა მათ ზედა პატრიკად სახელით აზონ, ძე იარედოსისი, ნათესავი მისი ქუეყანით მაკედონით, და მისცა ასი ათასი კაცი ქუეყანით ჰრომით, რომელსა ჰქვან ფროტათოს. ესე ფროტათოსელნი იყვნეს კაცნი ძლიერნი და მჯნენი, და ეკირთებოდეს ქუეყანასა ჰრომისასა. და მოიყვანნა ქართლად, მისცა აზონს პატრიკსა. და დაუტევა ქართლს ერისთავად აზონ, და მის თანა სპანი იგი, მპყრობელად ქართლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უბრძანა ალექსანდრე აზონს, რათა პატივ-სცემდეს ბა და მთოვარესა და ვარსკულავთა ხუთთა, და ჰმსახურებდენ ღმერთსა უხილავსა, დამბადებელსა ყოვლისასა. რამეთუ მას ჟამსა არა იყო წინასწარმეტყველი და მოძღვარი სჯულისა ჭეშმარიტისა, რომელმანცა ასწავა და ამხილა, არამედ თუთ მოიგონა სჯული ესე ალექსანდრე, მეფობასა შინა მისსა ყოველსა ქუეყანასა სჯული ესე დაუდვა. და წარვიდა ალექსანდრე.

ხოლო ამან აზონ მოარღვნა ზღუდენი ქალაქსა მცხეთას საფუძვლითურთ, და დაუტევნა ოთხნი იგი ციხენი, რომელნი მოსდგმიდეს პირსა ქართლისასა: თავადი ციხე, რომელ არს არმაზი; და ერთი ციხე დასასრულსა არმაზისა ცხვრისასა; და ერთი თავსა ზედა მცხეთისასა; მეოთხე ციხე, დასავლით, მცხეთა მტკვარსა ზედა. და ესენი მომტკიცნა, და განავსნა იგინი ლაშქრითა. და ყოველთა ქართლისა ქალაქთა მოარღვნა ზღუდენი, და დაიპყრნა საზღვარნი ქართლისანი, ჰერეთითგან და ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე ზღუადმდე სპერისა. და დაიპყრა ქართლსა ზედა ეგრისიცა, და მოხარკე-ყვნა ოსნი, ლეკნი და ხაზარნი.

და ვითარ წარვიდა ალექსანდრე ეგვიპტედ, აღაშენა ქალაქი ალექსანდრია, და თორმეტ წლამდის მოვლო ყოველი ქუეყანა, თორმეტსა წელსა შინა დაეპყრნეს ყოველნი კიდენი ქუეყანისანი. და მეთოთხმეტესა წელსა ალექსანდრიას შინა მოკუდაო იგი, უსწორო დიდი ჰელმწიფე. და ვითარ მოკუდებოდა იგი, სიცოცხლესავე შინა მისსა განუტევნა ყოველნი მთავარნი, რომელნი შეპყრობილ და დამონებულ იყვნეს მისგან. და იგინი წარვიდეს თვსთვსად ქუეყნად, ვითარცა ბრძანებულ იყო.

მერმე მოიყვანნა ოთხნი კაცნი, ტომნი მისნი, რომელნი იყვნეს სახელით: ანტიოქოზ, ჰრომოს, ბიზინტიოს და პლატონ.

და მისცა ანტიოქოზს ასურასტანი და სომხითი, და კერძო აღმოსავლეთისა უჩინა მას. და მან აღაშენა სახელითა მისითა ქალაქი ანტიოქია.

ხოლო ჰრომოსს მისცა თრიმიკოსი, და უჩინა კერძო დასავლეთისა. და მან აღაშენა ქალაქი ჰრომი.

და ბიზინტიოსს მისცა საბერძნეთი და ქართლი, და უჩინა კერძო ჩრდილოსა. და მოუწერა წიგნი ანდერძი აზონ პატრიკსა, ერისთავსა ქართლისასა. რათა მსახურებდეს იგი ბიზინ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტიოსს. და მან აღაშენა ქალაქი ბიზანტია, რომელსა აწ ჰქვან კონსტანტინეპოლი.

ხოლო პლატონ დაუტევა ალექსანდრიას. და მოკუდა ალექსანდრე.

ხოლო ამან აზონ დაუტევა სჯული ალექსანდრეს მოცემული, იწყო კერპთმსახურებად, და შექმნნა ორნი კერპნი ვეცხლისანი: გაცი და გაიმ. და მონებდა იგი ბიზანტიოსს, მეფესა საბერძნეთისასა. იყო კაცი ძნელი და მესისხლე, და ესე დააწესა და ამცნო სპათა მისთა, ვითარმედ: „ყოველმან ქართველმან ერმან, რომელმან პოვოს საჭურველი, მოკალთ იგი". და ჰყოფდეს ჰრომნი იგი ესრეთ ქართველთა ზედა, და ვინცავინ გამოჩნდის ქართველთაგანი ქმნულ-კეთილი და ასაკოვანი, მოკლიან იგი. და იყო ჭირი დიდი ნათესავსა ზედა ქართველთასა. და ეს აზონ მათ ჰრომთაცა ზედა იყო მესისხლე, და მოესრნეს მრავალნი მათგანნი.

4. [ცხოვრება ფარნავაზისი]

მას ჟამსა იყო ჭაბუკი ერთი მცხეთას ქალაქსა შინა, რომელსა ერქუა სახელი ფარნავაზ. ესე ფარნავაზ იყო მამულად ქართველი, ნათესავი უფლოს მცხეთოსის ძისა, და დედულად სპარსი ასპანელი. და იყო იგი ძმისწული სამარისი, რომელი მოსლვასა მას ალექსანდრესსა მცხეთელ მამასახლისი ყოფილ იყო.

ესე სამარ და ძმა მისი, მამა ფარნავაზისი, მოკლულ იყო ალექსანდრესგან. ხოლო დედასა ფარნავაზისსა წარეყვანა ფარნავაზ, სამისა წლისა ყრმა, და შელტოლვილ იყო კავკასიად. და მუნ აღზრდილ იყო და მოსრულ იყო მცხეთას, მამულსა თჳსსა.

ხოლო ესე ფარნავაზ იყო კაცი გონიერი, მჴედარი შემმართებელი და მონადირე ჴელოვანი. და იმალვიდა იგი სიკეთესა თჳსსა აზონის შიშისაგან. ხოლო მონადირეობითა მისითა იქმნა მეცნიერ აზონისა, და შეიყუარა იგი აზონმან მონადირეობისათჳს. ეველრებოდა ფარნავაზს დედამისი: „შვილო ჩემო, ეკრძალე აზონს და ნურარას იჩინებ თავისა შენისა სიკეთესა, ნუუკუე მოგკლან შენ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იყო შიში და ძრწოლა მას ზედა. და ვითარ განმარტა შიში აზონისი მათ ზედა, რქუა ფარნავაზს დედამან მისმან: „შვილო ჩემო, დაუტევე საყოფელი მამათა შენთა და წარმიყვანე მაშულსა ჩემსა ასპანს, ძმათა ჩემთა თანა, და განერე შენ ცოცხალი ჭელისაგან აზონისა.“

და დაამტკიცეს განზრახვა ესე, წარსლვა ასპანისა. ჭირ-უჩნდა ფარნავაზს დატევება საყოფელსა მამათა მისთასა, არამედ შიშისაგან დიდისა დაამტკიცა წარსლვა.

მაშინ იხილა ფარნავაზ სიზმარი, რეცა იყო იგი სახლსა შინა უკაცურსა, და ეგულვებოდა განსლვა და ვერ განვიდა. მაშინ შემოვიდა სარკუმელსა მისსა შუქი მზისა და მოერტყა წელთა მისთა, და განიზიდა და განიყვანა სარკუმელსა მას. და ვითარ განვიდა ველად, იხილა მზე ქუე-მდაბლად, მიჰყო ჭელი მისი, მოჰკოცა ცუარი პირსა მზისასა და იცხო პირსა მისსა. განიღვძა ფარნავაზ და განუკვრდა, და თქუა: „სიზმარი იგი ესე არს, მე წარვალ ასპანს, და მუნ კეთილსა მივეცემი“.

ხოლო მას დღესა შინა განვიდა ფარნავაზ და ნადირობდა ზარტო, და დევნა-უყო ირემთა ველსა დიღომისასა. და ივლტოდეს ირემნი ღირღალთა შინა ტფილისისათა. მისდევდა ფარნავაზ, სტყორცნა ისარი და ჰკრა ირემსა. და მცირედ წარვლო ირემმან და დაეცა ძირსა კლდისასა. მივიდა ფარნავაზ ირემსა ზედა; და დღე იგი მწუხრი გარდაჴდა, და დაჴდა ირემსა მის თანა, რათამცა დაყო მუნ ღამე და დილეულმცა წარვიდა.

ხოლო კლდისა მის ძირსა ქუაბი იყო, რომლისა კარი აღმოქმნულ იყო ქვთა ძუელად, და სიძუელითა შეჰქმნოდა დარღუევა შენებულსა მას. მაშინ დაასხა წჳმა მძაფრი: ხოლო ფარნავაზ აღმოიღო ჩუგლუგი და გამოარღჳა კარი ქუაბისა მის, რათამცა მუნ შიგა დაიმშრალა წჳმისა მისგან, და შევიდა ქუაბსა მას და იხილა მუნ შინა განძი მიუწდომელი, ოქრო და ვეცხლი და სამსახურებელი ოქროსა და ვეცხლისა მიუწდომელი.

მაშინ ფარნავაზ განკვრდა და აღივსო სიხარულითა. და მოეგონა სიზმარი იგი, და დაჰკრძალა კარი ქუაბისა ეგრეთვე. და მსწრაფლ წარმოვიდა და უთხრა დედასა თჳსსა და ორთა დათა მისთა. და მასვე ღამესა წარმოვიდეს სამნივე იგი საჴედრებითა და ჴურჴლებითა, და იწყეს გამოკრებად განძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის და დაფლვად სიმარჯუესა თჳსსა. ხოლო ვითარ განთენდეაბოდის, კუალად ეგრეთვე აღმოქმნიან კარი ქუაბისა მის. და ესრეთ გამოკრიბეს განძი იგი ხუთ ღამე და დაიგულეს სიმარჯუესა მათსა.

მაშინ ფარნავაზ წარგზავნა მონა თჳსი ქუჯის თანა და რქუა: „მე ვარ ნათესავი უფლოს მცხეთოსის ძისა, და ძმისწული სამარა მამასახლისისა, და არს ჩემ თანა ხუასტაგი დიდძალი, აწ ინებო, რათა მით ხუასტაგითა მოვიდე შენ თანა, და ვიყვნეთ ჩუენ ძმა და ვიჴმაროთ ჩუენ ხუასტაგი იგი ორთავე. გამოუჩნდეთ ჩუენ მტერად აზონ ერისთავსა, და სუემან ჩუენმან გუცეს ჩუენ ძლევა კეთილი“.

მაშინ განიხარა ქუჯი სიხარულითა დიდითა და რქუა: „აღდეგ და მოვედ ჩემ თანა, და ნუ შურობ ხუასტაგსა შენსა, და ხუასტაგითა შენითა განგიმრავლნე სპანი შენნი, ვიდრე გამოვჩნდეთ მტერად აზონისა, მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა აწყუედილთა მისგან და მიწყუდეულთა. და ვგონებ, რომელ ჰრომთა მათგანნიცა გამოგუერთნენ, რამეთუ ურიცხუნი აწყუედილ არიან მათგანნიცა აზონისგან“.

მაშინ ფარნავაზ ფარულად წარვიდა სიხარულითა, და რომელი შესაძლებელ იყო განძისა მისგან წარიტანა თანა, და დედაცა და დანი მისნი მის თანა. და მივიდა ქუჯის თანა და რქუა მას ქუჯი: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გმართებს უფლობა ჩემი. აწ ნუ შურობ ხუასტაგსა შენსა, რათა განვამრავლნეთ სპანი; და უკეთუ მოგუეცეს ძლევა, შენ ხარ უფალი ჩუენი და მე ვარ მონა შენი“.

მაშინ შეიერთნეს და ეზრახნეს ოვსთა და ლეკთა. ხოლო მათ განიხარეს, რამეთუ არა სთნდა ხარკისა მიცემა აზონისა. და გამოჰყვეს ოვსნი და ლეკნი, და განიმრავლნეს სპანი. ეგრისით შეკრბეს ურიცხუნი სპანი და მომართეს აზონს. ხოლო აზონმან მოუწოდა სპათა თჳსთა და შემოკრიბნა.

მაშინ ათასი მჴედარი რჩეული ჰრომთა მათგანი, რომელთა ბოროტი წაჰკიდებოდა აზონისაგან, განუდგეს აზონს და მოვიდეს წინაშე ფარნავაზისა. მაშინ ყოველნი ქართველნი განუდგეს აზონს. ხოლო სპანი რომელ დარჩეს აზონს, ვერღარა მიენდო მათ, რამეთუ ყოველთა ზედა ბოროტის მოქმედ იყო. წარვიდა აზონ და მივიდა კლარჯეთს, და გამაგრდა იგი სიმაგრეთა შინა კლარჯეთისათა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო მოვიდა ფარნავაზ მცხეთას და დაიპყრნა ოთხნი ციხენი მცხეთისანი. და მასვე წელიწადსა შინა დაიპყრა ყოველი ქართლი თუნიერ კლარჯეთისა.

ამან ფარნავაზ წარავლინნა მოციქულნი წინაშე მეფისა ანტიოქოს ასურასტანისა, და წარსცა ძღუენი დიდძალი. და აღუთქუა მას მსახურება, და ითხოვა მისგან შეწევნა ბერძენთა ზედა. ხოლო ანტიოქოს შეიწყნარა ძღუენი მისი, და უწოდა შვილად თჳსად, და წარმოსცა გჳრგჳნი. და უბრძანა ერისთავთა სომხითისათა, რათა შეეწეოდიან ფარნავაზს.

ხოლო წელსა მეორესა აზონ მოირთნა სპანი საბერძნეთით, განძლიერდა ფრიად და მომართა ფარნავაზს. ხოლო ფარნავაზს განემრავლნეს მჴედარნი ქართლისანი. მოუწოდა მათ და უჴმო ქუჯის და ოვსთა. და შეკრბეს ესე ყოველნი, და მოერთნეს ერისთავნი ანტიოქოზისნი სომხითით. და ესე ყოველნი შეკრიბნა ფარნავაზ და მიეგება ნაქალაქევსა თანა არტანისასა, რომელსა ერქუა მაშინ ქაჯთა ქალაქი, რომელ არს ჰური. და ეწყვნეს მუნ, და იქმნა ბრძოლა დიდძალი. და მოსწყდეს ორგნითვე ურიცხჳ. ხოლო იძლივნეს ბერძენნი ფარნავაზისგან, ივლტოდა ბანაკი მათი და მოკლეს აზონ, და ურიცხუნი სპანი მათნი მოსრნეს და ტყუე-ქმნნეს.

და წარვიდა ფარნავაზ და მოტყუენა საზღვარი საბერძნეთისა ანძიანძორა, და ეკლეციით შემოიქცა. მოვიდა კლარჯეთს და დაიპყრა კლარჯეთი, და წარმოვიდა მცხეთად სიხარულითა დიდითა. ხოლო სიმდიდრესა ზედა მისსა დაერთო ხუასტაგი აზონისცა. და იქმნა სიმდიდრე გარდარეული:

ხოლო ეგრისწყალს ქუემოთ დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკჳდრთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა. მაშინ ფარნავაზ მისცა დაჲ თჳსი ოვსთა მეფესა ცოლად, და მეორე დაჲ თჳსი მისცა ქუჯის ცოლად. და მისცა ქუჯის ქუეყანა ეგრისწყალსა და რიონს შუა, ზღჳთგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ. და მან ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი.

მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თჳსთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა. და განმრავლნა ყოველნი მჴედარნი ქართლოსიანნი, განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი.

ერთი გაგზავნა მარგჳს ერისთავად, და მისცა მცირით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღვრადმდე ეგრისისა, რი-
ონს ზემოთ. და ამანვე ფარნავაზ აღაშენნა ორნი ციხენი, შო-
რაპანი და დიმნა.

და გაგზავნა მეორე კახეთისა ერისთავად, და მისცა არაგვ-
თგან ვიდრე ჰერეთამდე, რომელ არს კახეთი და კუხეთი.

მესამე გაგზავნა ხუნანისა ერისთავად, და მისცა ბერდუჯის
მდინარითგან ვიდრე ტფილისამდე და გაჩიანთამდის, რომელ
არს გარდაბანი.

მეოთხე გაგზავნა სამშვლდის ერისთავად, და მისცა სკვრე-
თისა მდინარითგან ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და
აბოცი.

მეხუთე გაგზავნა წუნდის ერისთავად, და მისცა ფანვარით-
გან ვიდრე თავადმდე მტკურისა, რომელ არს ჯავახეთი და
კოლა და არტანი.

მეექუსე გაგზავნა ოძრჯის ერისთავად, და მისცა ტასისკა-
რითგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტისთავითგან ზღუამდის,
რომელ არს სამცხე და აჭარა.

მეშვიდე გაგზავნა კლარჯეთის ერისთავად, და მისცა არსი-
ანითგან ზღუამდე. და მერვე, ქუჯი, იყო ერისთავი ეგრისისა.

ხოლო ერთი დაადგინა სპასპეტად და მისცა ტფილისითგან
და არაგვთგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანვარადმდე, რომელ
არს შიდაქართლი. და ესე სპასპეტი იყო შემდგომადვე წინაშე
მეფისა. მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა. ხო-
ლო ამათ ერისთავთა ქუეშე, ადგილთა და ადგილთა, განაჩინნა
სპასალარნი და ათასისთავნი, და მათ ყოველთაგან მოვიდოდა
ხარკი სამეუფო და საერისთავო.

ესრეთ განაწესა ესე ყოველი ფარნავაზ მიმსგავსებულად
სამეფოსა სპარსთასა. და მოიყვანა ცოლი დურძუკელთა, ნათე-
სავი კავკასისი.

ამან ფარნავაზ მოზღუდა ქალაქი მცხეთა მტკიცედ, და ყო-
ველნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი, მოოჯრებულნი ალექ-
სანდრესგან, ამან აღაშენნა.

და ვერღარა იძიეს შური ბერძენთა მის ზედა, რამეთუ
უცალო იყვნეს ბერძენნი ბრძოლისაგან ჰრომთასა.

და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა
თჳსსა: ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ
ერქუა. ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მიერითგან ეწოდა არმაზი კერპისა მისთჳს. და ქმნა სამეფოვანი
რება დიდი კერპისა მისთჳს ალმართებულისა.

ოცდაშვიდისა წლისა მეფე იქმნა, და სამეოცდახუთ წელ
მეფობდა ნებიერ. და მსახურებდა იგი ანტიოქოსს, მეფესა
ასურასტანისასა. და ყოველნი დღენი მისნი, რაჲ დაჴდა,
მშჳდობით დაყვნა, და აღაშენა და განავსო ქართლი.

ხოლო თუენი გაზაფხულისა და სთულისა არისანი დაყვნის
მცხეთას, სამეუფოსა ქალაქსა; და თუენი ზამთრისანი დაყვნის
გაჩიანთა; ხოლო თუენი ზაფხულისანი--წუნდას. და ჟამითი
ჟამად მივიდის ეგრისს და კლარჯეთს, და მოიკითხნის მეგრელ-
ნი და კლარჯნი, და განაგის ყოველი საქმე დაშლილი.

ხოლო იგი ჰრომნი ათასნი მჴედარნი, რომელნი აზონისგან
მოერთნეს ფარნავაზს, რომელი ზემოთ ვაჴსენეთ, იგინი განყ-
ვნა ჴევთა და ქუეყანათა შინა, იპყრნა იგინი კეთილად, რამე-
თუ ბრძოლასა მას აზონისსა მჴნედ იყვნეს. და უწოდა მას სა-
ხელად აზნაურნი.

და რათგან წარვიდა ალექსანდრე, არღარა ჰამდეს კაცსა
თჳნიერ რომელ შესწირიან კერპსა მსხუერპლად. იყო განსუ-
ენება და სიხარული ყოველსა ქართლსა ზედა მითობისათჳს
ფარნავაზისსა და იტყოდეს ამას ყოველნი: „ვჰმადლობთ სუეს
ჩუენსა, რამეთუ მოგუცა ჩუენ მეფე ნათესავთაგან მამათა ჩუ-
ენთასა და აღგვიჴადა ხარკი და ჭირი უცხოთა ნათესავთაგან.
და ესე ყოველი აღასრულა ფარნავაზ პიბრძნითა და სიქუე-
ლითა, სიმჴნითა და სიმდიდრითა.

ეწუა ძე და უწოდა სახელი საურმაგ.

და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქარ-
თლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და
არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართუ-
ლისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული.

და მოკუდა ფარნავაზ, და დაფლეს წინაშე არმაზის კერ-
პისა.

[5. ფარნავაზიანი მეფენი]

და ამის წილ მეფე იქმნა ძე მისი საურმაგ.

მას ჟამსა შინა ზრახვა-ყვეს ერისთავთა ქართლისათა და
თქუეს: „არა კეთილ არს ჩუენდა, რათამცა ვმსახურებდეთ ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თესავსა ჩუენსა, არამედ ვიყოთ ერთად, და მოვკლათ ჩუენ საურმაგ, და ვიყვნეთ ჩუენ თავისუფალ, ვითარცა ვიყვენითა პირველ, და მივსცემდეთ ხარკსა ვინცა-ვინ გამოჩნდეს მძლე. რამეთუ ესრეთ ყოფითა უფრო განვისუენებთ". განამტკიცეს განზრახვა და მოკლვა საურმაგისი.

ხოლო იგრძნა საურმაგ, და წარვიდა ფარულად და ივლტოდა, წარიტანა თანა დედამისი და მივიდა ქუეყანასა დურძუკთასა დედისძმათა მისთა თანა.

მაშინ ჰრომთა იგი აზნაურნი წარვიდეს და მივიდეს დურძუკეთსვე, და რქუეს საურმაგს: „დიდი კეთილი დგას ჩუენ ზედა მამისა შენისა. ამისთჳს ვართ ჩუენ მტკიცე ერთგულებასა შენსა".

მაშინ საურმაგ ეზრახა ოვსთა მეფესა, მამისა დისწულსა მისსა, და ითხოვა შეწევნა. ხოლო იგი სიხარულით წარვიდა შუელად მისა, და საურმაგ შეიკრიბა დურძუკეთიცა, და წარმოემართა ქართველთა ზედა. და ვერვინ წინააღუდგა მას. და დაიპყრა ქართლი, და მოსრნა განდგომილნი მისნი; და რომელთამე შეუნდო, ხოლო დაამდაბლნა ქართლოსიანნი და წარჩინებულ-ყვნა აზნაურნი, ხოლო განმრავლებულ-ყვნა დურძუკნი, ნათესავნი კავკასისნი. ხოლო ტყუენვასა მას ხაზართასა ყოველნივე მშჯდობით დარჩომილ იყვნეს, სიმაგრისაგან ქუეყანისა, და ვერღარა იტევდა დურძუკეთი.

მაშინ ამან საურმაგ წარმოიყვანნა იგინი ყოველთა კავკასის ნათესავთა ნახევარნი, და რომელნიმე მათგანნი წარჩინებულ-ყვნა, და სხუანი დასხნა მთიულეთს, დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი, და ესენი დაიპყრნა მისანდობელად თჳსად, დედულნი.

და დაჯდა საურმაგ მცხეთას მეფედ. და უმატა ყოველთა სიმაგრეთა მცხეთისა და ქართლისათა. და მან შექმნა ორნი კერპნი, აინინა და დანანა, და ამართნა გზასა ზედა მცხეთისასა.

და მსახურებდა იგი მეფესა ასურასტანისასა. და მოიყვანა ცოლი სპარსი, ასული ბარდაველის ერისთვისა. და ესხნეს მის თანა ორნი ასულნი, და არა ესუა ძე. მაშინ მოიყვანა სპარსეთით შვილი ნებროთისი, ნათესავითგან ცოლისა მისისა, დედის დისწული, და დაიჭირა იგი შვილად, რომელსა ერქუა სახელი მირვან. და მისცა ასული თჳსი ცოლად, ქალაქი გაჩიანი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერისთავო სამშჯლდისა. და ერთი ასული მისცა ძესა ქუ[illegible]
სა, მამის დისწულსა თჳსსა.

მეფობდა საურმაგ ბედნიერად მრავალთა წელთა. და მო-
კუდა საურმაგ, და მეფე იქმნა მის წილ შვილებული მისი მირ-
ვან.

ესე მირვან იყო ტანითა სრული, შუენიერი, ძლიერი, მჯნე
და ქუელი. ამისსა მეფობასა დურძუკთა დაივიწყეს სიყუარუ-
ლი ფარნავაზისი და საურმაგისი; და გარდამოვიდეს დურძუ-
კეთს მყოფნი, და გაერთნეს თანა ჭართალეთსა მსხდომნი კავ-
კასიანნი, მოტყუენეს კახეთი და ბაზალეთი.

მაშინ მირვან მეფემან მოუწოდა ყოველთა ერისთავთა ქარ-
თლისათა, და შემოკრიბნა ყოველნი სპანი, მჯედარი და ქუეითი,
და ყოველნი კავკასიანნი იყვნენ სარწმუნოდ მორჩილებასა ზედა
მირვანისსა, რომელნი გარდამოვლინებულ იყვნეს საურმაგ მე-
ფისაგან, თჳნიერ ჭართალთასა. შემოიკრიბნა ესე ყოველნი და
წარემართა დურძუკეთს. შეკრბეს დურძუკნი და დაუდგეს სი-
მაგრეთა ზედა გარდასავალთა გზასა მას.

მაშინ მირვან გარდაჴდა ცხენისაგან, მივიდა ქუეითთა თანა
თჳსთა, და წარუძღუა წინა ქუეითთა, ზურგით შემოადგინნა
მჯედარნი, და მოვიდა კართა მათ შინა, ვითარცა ჯიქი სიფი-
ცხითა, ვითარცა ვეფხი სიმჯნითა, ვითარცა ლომი ზახილითა.
იქმნა მათ შორის ბრძოლა ძლიერი. ხოლო მირვანს ვერ ჰკუ-
ეთდა მახვილი დურძუკთა, ვითარცა კლდესა სიპსა, და დგა
უძრავად, ვითარცა კოშკი მტკიცე. და გაგრძელდა მათ შორის
ბრძოლა, და მოსწყდა ორგნითვე ურიცხვ, ხოლო იძლევნეს
დურძუკნი და ივლტოდეს. მიუდგეს უკან ქართველნი, მოსრნეს
და ტყუე-ქმნეს. და შევიდა მირვან დურძუკეთს, და მოაოკრა
დურძუკეთი და ჭართალი. და შეაბნა კარნი ქვტკირითა. და
უწოდა სახელად დარუბალ. და დაჯდა მირვან მცხეთას, მე-
ფობდა ნებიერად და უშიშად

იყო კაცი მიმნიჭებელი კეთილისა უხუად. და შეიყუარეს
იგი ყოველთა მკვდრთა ქართლისათა. და მსახურებდა იგი მე-
ფესა ასურასტანელთასა.

ამის ზე მიიცვალა ანტიოქისა მეფობა ბაბილონს. და ჰა-
ყამსა შინა მეფე იქმნა ხომხითს რომელსა ერქუა არშაკ. ეზრა-
ხა მირვან არშაკს, და მისცა ასული თჳსი ძესა არშაკისსა, არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაკს. და მოკუდა მირვან, და მეფე იქმნა მის წილ ძე მისი ფარნაჯომ.

ამან ფარნაჯომ მეფემან უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენება, და ამან აღაშენა ციხე ზადენი, და შექმნა კერპი სახელით ზადენ, და ამართა ზადენს. და იწყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი.

ამისა შემდგომად შეიყუარა სჯული სპარსთა, ცეცხლისმსახურება, მოიყვანნა სპარსეთით ცეცხლისმსახურნი და მოგუნი, და დასხნა იგინი მცხეთას, ადგილსა მას, რომელსა აწ ჰქჳან მოგუთა, და იწყო ცხადად გმობად კერპთა. ამისთჳს მოიძულეს იგი მკჳდრთა ქართლისათა, რამეთუ დიდი სასოება აქუნდათ კერპთა მიმართ. მაშინ შეითქუნეს ერისთავნი ქართლისანი უმრავლესნი, და წარავლინეს მოციქული წინაშე სომეხთა მეფისა და რქუეს: „მეფე ჩუენი გარდაჴდა სჯულსა მამათა ჩუენთასა, არღარა მსახურებს ღმერთთა მპყრობელთა ქართლისათა, შემოიღო სჯული მამული და დაუტევა სჯული დედული. აწ არღარა ღირს არს იგი მეფედ ჩუენდა. მოგუეც ძე შენი არშაკ, რომელსა უვის ცოლად ნათესავი ფარნავაზიანთა, მეფეთა ჩუენთა. გუაშუელე ძალი შენი, და ვაოტოთ ფარნაჯომ, შემომღებელი ახლისა სჯულისა, და იყოს მეფედ ჩუენდა ძე შენი არშაკ და დედოფლად ჩუენდა ცოლი მისი, შვილი მეფეთა ჩუენთა“.

მაშინ სთნდა სომეხთა მეფესა განზრახვა ესე. გაგზავნა მოციქული მათი პასუხითა კეთილითა და რქუა მათ: „უკუთუ ჭეშმარიტად უბიწოთა გულითა გნებავს მეფედ თქუენდა ძე ჩემი, თქუენ ყოველთა ერისთავთა მომეცით მე მძევალი, და მიგცე ძე ჩემი მეფედ თქუენდა, და ყოვლითავე ნიჭითა აღგავსნე“.

მაშინ ერისთავთა ქართლისათა უმრავლესთა მისცეს მძევლები და განაცხადეს განდგომა ფარნაჯომისი. მაშინ სომეხთა მეფე ყოვლითა ძალითა მისითა წარმოემართა ქართლს. ხოლო ფარნაჯომ მეფემან მოუწოდა სპარსთა და მოიყვანნა სპარსნი ძლიერნი და, რომელნიმე დარჩომოდეს, შემოკრიბნა ქართველნიცა. ხოლო ერისთავნი ქართლისანი განდგომილნი მიეგებნეს სომეხთა მეფესა ტაშირს, და მუნ შეკრბა სიმრავლე სომეხთა და ქართველთა. ხოლო ფარნაჯომ მიეგება მუნვე ტაშირს.

იქმნა მათ შორის ბრძოლა ძლიერი, მოსწყდა ორგნითვე ურიცხვ, რამეთუ იძლია ფარნაჯომ სომეხთა და ქართველთა, და მოიკლა ფარნაჯომ და მოსრეს სპა მისი. ხოლო ძე ფარნაჯომისი მირვან, წლისა ერთისა ყრმა, წარიყვანა მამამძუძემან მისმან, და ივლტოდა სპარსეთს. ხოლო სომეხთა მეფემან მოსცა ძე თვსი არშაკ.

დაჯდა მეფედ არშაკ, და დაიპყრა ყოველი ქართლი; და მეფობდა იგი ნებიერად, და უმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა. და უმეტეს მოამტკიცნა ზღუდენი ჯავახეთს, ქალაქსა წუნდას.

მოკუდა არშაკ, და მეფე იქმნა ძე მისი არტაგ.

და ესე მეფე არტაგ ორ წელ ოდენ მეფობდა. და მეორესსა წელსა მეფობისა მისისასა მოვიდეს ერისთავნი სპარსთანი, სპითა დიდითა, ძიებად სისხლისა ფარნაჯომისა და სპათა მათ სპარსთასა, რომელნი აწყუედილ იყვნეს ფარნაჯომის თანა. ვერ წინააღუდგა მათ არტაგ, მეფე ქართველთა, რამეთუ დიდ იყო ძალი სპარსთა, არამედ განამაგრნა ციხენი და ქალაქნი. და მოვლეს სპარსთა ყოველი ქართლი, და მოაოჯრნეს ველნი, არამედ ციხე-ქალაქნი ვერარომელი წარიღეს, და წარვიდეს.

მოკუდა არტაგ და დაჯდა მის წილ ძე მისი ბარტომ.

ამან მეფემან ბარტომ უმატა ზღუდეთა მცხეთისათა და ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა.

ხოლო აღზარდეს სპარსთა ძე ფარნაჯომისი მირვან, რომელი სიკუდილსა მას ფარნაჯომისსა წარეყვანა მამამძუძესა მისსა, რომელი ვაჯსენეთ პირველ. ესე მირვან იყო კაცი ქუელი, მჯნე მჯედარი, და მრავალგზის გამოიცადა იგი ბრძოლასა თურქთა და არაბთასა.

ამან მირვან შეკრიბნა სპანი ძლიერნი სპარსეთს, წარემართა ქართლს, და მოუგზავნა მოციქული ერისთავთა ქართლისათა, და რქუა მათ: „მოიჯსენეთ სიყუარული მამისმამისა, მირვანისი, და კეთილი მისი თქუენდა მომართ. დაღაცათუ მამამან ჩემმან შემოიღო სჯული უცხო თქუენ შორის, და მისგანცა გაქუნდა კეთილი. სამართლად მოიკლა მამაჩემი, რამეთუ ვერ კეთილად იპყრა სჯული მამათა თქუენთა, და აწ ნუ არს საუარავი და შიში გულსა თქუენსა სიკუდილისათჳს მამისა ჩემისა, რამეთუ სჯულისა დატევებისათჳს მოჰკლვენ მამანი შვილთა და ძმანი ძმათა, და არა იძიების სისხლი სჯულისა დატევე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისათჳს მოკლულთა. მე ვარ შვილი მეფეთა თქუენთა ფარნავაზიანთა. დაღაცათუ აღზრდილ ვარ სპარსთა თანა, არამედ ვარ მე სჯულსა ზედა მამათა თქუენთასა, და ვესავ მე ღმერთთა მპყრობელთა ქართლისათა, და სასოებითა მათითა წარმართებულ ვარ ძიებად მამულისა ჩემისა, აწ ითუალეთ ჩემგან დიდება და კეთილი".

ხოლო ერისთავთა ქართლისათა არა შეიწყნარეს ბრძანება მირვანისი, არამედ ყოველნი მივიდეს წინაშე ბარტომ მეფისა. ხოლო მცირედნი ვინმე ქართველნი, არა წარჩინებულნი, წარვიდეს და მიერთნეს მირვანს.

ხოლო მეფემან ბარტომ შემოიკრიბნა ყოველნი სპანი ქართლისანი, და მოირთო ძალი სომხითით, და მიეგება იგი ხუნანს. და იპყრა იგი ზურგად, ქალაქი ხუნანი. მოვიდა მირვან და დადგა მდინარესა ბერდუჯისასა. და იწყეს ბრძოლად, და გამოჩნდეს ორთავე შორის მუნ ბუმბერაზნი. იყვნეს ყოველთა დღეთა ბუმბერაზთა ბრძოლანი თუესა ერთსა: ოდეს მათ სძლიან, და ოდესმე ამათ სძლიან.

ხოლო ამას თუესა შინა ერთსა ამან მირვან თავის-თავითა მოკლა ცამეტი ბუმბერაზი ქართველთა და სომეხთაგანი. და არავინ გამოჩნდა ქართველთაგანი და სომეხთაგანი მძლე მირვანისი; და ვერცალა თჳთ ბარტომ მეფე ებრძოდა მას, რამეთუ არა იყო ბარტომის თანა გოლიათობა.

მაშინ ბარტომ მეფემან განაწყვნა სპანი თჳსნი, და მიმართა ყოვლითა სპითა მირვანს, და მუნით მირვან მოეგება სპითა ყოვლითა. და იქმნა ბრძოლა ძლიერი მათ შორის. მოსწყდა ორგნითვე ურიცხჳ. და იძლივნეს სომეხნი და ქართველნი სპარსთაგან, და მოკლეს ბარტომ, მეფე ქართველთა.

ხოლო ამას ბარტომ მეფესა არა ესუა ძე, არამედ ასული ერთი, და სიცოცხლესავე მისსა მოეყვანა ეგრისით ძისწული ქუჯისი, სახელით ქართამ, რომელსა შესდგმიდა ფარნავაზიანობა, ფარნავაზის დისა ქუჯის ცოლისაგან და დედისა მისისა, საურმაგის ასულისა ქუჯის ძისცოლისაგან. და ამის ქართამისდა ეგრისით მიეცა ასული თჳსი ცოლად ბარტომ მეფესა, და აღეღო ესე შვილად. და ესე ქართველთა სათნოებისათჳს ექმნა ბარტომს, რამეთუ ქართველთა დიდი სათნოობა აქუნდა ფარნავაზიანთა მიმართ; და არა უნდა სჯულსა ნათესავისა მეფობა, რომელსამცა არა შესდგმიდა ფარნავაზიანობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო ესე ქართამ, ძედ შვილებული ბარტომ მეფისა, ვე წყობასა მოიკლა ბარტომის თანა. ხოლო ცოლი მისი, ასულ ბარტომისი, უძლები დარჩა, ივლტოდა და წარვიდა სომხითს, და მუნ შვა ყრმა, და უწოდა სახელად ადერკი, და იზარდებოდა იგი მუნ.

ხოლო ვითარ მოკლა მირვან ბარტომი, და შემოვიდა ქართლად და დაიპყრა ყოველი ქართლი; და რომელნი დაშთომილ იყვნეს ერისთავნი ქართლისანი ციხეთა და სიმაგრეთა შინა, მისცა მათ ფიცი და აღთქმა, და გამოიყვანნა ყოველნი; და მძლავრებით გამოიყვანა ცოლი ბარტომისი სამშჯლდით და შეირთო ცოლად, რომელი შვილი იყო არშაკუნიანთავე. და დაჯდა იგი მცხეთას.

და ნებიერად მეფობდა მცირედ ჟამ და მოკუდა. და დაჯდა მის წილ ძე მისი არშაკ.

ხოლო ესე არშაკ მეფე იყო დედით არშაკუნიანი და მამით ნებროთიანი და ფარნავაზიანი. ამან არშაკ განაშორა ნელქარ, ქალაქი კახეთისა, რომელ არს ნეკრესი, და ჰმატა სიმაგრესა უფლისციხისასა. და იყო ესე ძლიერი ძალითა, დიდი და გოლიათი.

ხოლო ესე ადერკი, ძე ქართამისი, ასულისწული ბარტომ მეფისა, რომელი ვაჯსენეთ ზემოთ, აღზარდეს სომხითს. და იყო კაცი ასაკით შუენიერი, ტანით დიდი და გოლიათი, მრავალგზის გამოცდილ იყო ბრძოლასა სომეხთა და ასურთასა, და მას მოეკლა მრავალი ბუმბერაზი, და სახელოვანქმნილ იყო იგი.

ამან ადერკი მოითხოვნა სპანი სომეხთა მეფისაგან, და მოსცნა მას, და წარმოემართა არშაკს ქართველთა მეფესა ზედა, დედისძმასა თჳსსა. ხოლო არშაკ შემოკრიბნა ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, მოირთო ძალი სპარსეთით და მიეგება წინა.

და შეკრბეს ორნივე სპანი თრიალეთს და დაიბანაკეს მახლობელად ერთმანერთისა. სთხოვა ბრძოლა თავისთავ არშაკ ადერკს, ხოლო ადერკი სიხარულით აღიჭურა საჭურველითა შუენიერითა, და აღჯდა ტაიჭსა და რქუა სპათა თჳსთა: „განმიმაგრეთ ხურგით ელრძოლ ჩემ, და ნუ შეცბრწყინდებით“. და განვიდა ეგრეთვე არშაკ, [illegible] და განვიდა ეანწყობილთა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღიზახნეს ორთავე ჴმითა სასტიკითა, და მიეტევნეს ურთიერთას. და იწყეს ორთავე გურემად ოროლითა, და ვერა ჰკუეთდეს საჭურველსა ერთმანერთისასა. და ბრძოლისა სიგრძესა შინა განუტყდა ოროლები, აღმოიღეს ჩუგლუგები და იწყეს ბრძოლად ჩუგლუგებითა. ოდეს უხეთქიან ჩუგლუგი იგი საჭურველსა ზედა მათსა, ჰგუანდის ჴმა იგი ჴმასა მას ოროს მჭედლისასა, რომელი ეცემის გურდემლსა; და ჴმა ზახილისა მათისა მსგავს იყო ქუხილისა.

მაშინ ვერ სძლეს ურთიერთას, დაშურეს და უკუდგეს იმიერ და ამიერ. შელამდა დღე იგი და განისუენეს ორთავე. და დილეულ კუალად გამოვიდეს და აღიღეს მშჳლდები, და იწყეს რბევად და სრვად ერთმანერთისა. ჰკრა ადერკი ისარი მკერდსა არშაკისსა და ვერღარა უფარა სიმაგრემან საჭურველისამან; განვარდა ზურგით, და ჩამოვარდა არშაკ ცხენისაგან.

შემოიქცა ადერკი მსწრაფლ, და მივიდა სპათა თანა სომხითისათა, და რქუა მათ: „გაფუცებ ღმერთთა თქუენთა, ნუ განმარტებთ მახჳლთა თქუენთა ქართველთა ზედა, რამეთუ მამულნი არიან ჩემნი. და აწ მე ვარ მეფე მათი, ძალითა და შეწევნითა თქუენითა“. ისმინეს სომეხთა ვედრება მისი და დაადგრეს ადგილსა ზედა.

შემოიქცა და მოვიდა ადერკი მახლობელად ქართველთა სპათასა. და ჴმა-უყო ჴმითა მაღლითა: „მე ვარ შვილი მეფეთა თქუენთა, და სუესა ჩემსა მოუცემია მეფობა ჩემდა. აწ მიიღეთ ჩემგან კეთილი და სიხარული. აჰა ესერა აღარა მოუშვნე სპანი სომეხნი თქუენ ზედა“.

მაშინ მიუგეს ქართველთა: „შენ გამოსჩნდი უმჯობესი ყოველთა შორის ნათესავთა ფარნავაზისთა. რათგან მოკუდა მეფე ესე ჩუენი, აწ შენ ხარ მეფე ჩუენი; და ვმადლობთ სუესა ჩუენსა, რამეთუ მოგუეცა საზღვარად მეფისა ამის ჩუენისა შვილივე მეფეთა ჩუენთა, გოლიათი და სახელოვანი“.

და გარდაჴდეს ყოველნი ქართველნი, დაცჳვეს პირსა ზედა თჳსსა და თაყუანი-სცეს ადერკის. და მშჳდობით შეკრბეს ერთად სომეხნი და ქართველნი და სპარსნი რანისანი, და მოიღეს ქართველთა გჳრგჳნი არშაკისი, და დაადგეს ადერკის და წარმოიყვანეს.

და ამან ადერკი დაიპყრა ყოველი ქუეყანა ქართლი და ეგრისი. და მოსცა სომეხთა მეფემან ასული თჳსი ცოლად და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯდა მცხეთას და მეფობდა კეთილად: ოცდაათის წლისა იყო ფე იქმნა და ორმეოცდაჩვიდმეტ წელ მეფობდა.

ხოლო პირველსავე წელსა მეფობისა მისისასა იშვა უფალი ჩუენი იესო ქრისტე, ბეთლემს ურიასტანისასა. და მოვიდეს მისსა მოგუნი ძღუნისა შეწირვად, და მათ მოგუთა შესლვასა იერუსალემს მოვიდა ამბავი მცხეთას, ვითარმედ „სპარსთა იერუსალემი წარტყუენესო". და ურიანი რომელნი მცხეთას იყვნეს, იქმნა მათ შორის გლოვა და ტირილი. და შემდგომად მეორესა წელსა სხუა მოვიდა ამბავი, ვითარმედ „სპარსნი იგი არა წარტყუენვად მოვიდეს იერუსალემს, არამედ აქუნდა ძღუენი ყრმისა ვისმე შობილისათჳს". და ვანიხარეს ურიათა მცხეთელთა.

და შემდგომად ამისსა, ვითარ გარდაჯდეს წელნი ოცდაათნი, მოვიდეს მოციქულნი ურიათა იერუსალემით ურიათა თანა მცხეთელთა, ვითარმედ: „რომლისათჳს-იგი მოვიდეს მოგუნი და შეწირეს ძღუენი, აღზრდილ არს იგი და იტყჳს თავსა თჳსსა ძედ ღმრთისა. და აწ წარმოგჳვლენიან ჩუენ მოციქულნი ყოველთა თანა ურიათა, რათა მოვიდეს მეცნიერნი სჯულისანი, და განვიკითხოთ და განვბრჭოთ მას ზედა. და აწ თქუენგანცა წარმოვიდეს მეცნიერნი სჯულისანი მანდით".

და წარვიდეს აქათ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი. და მუნ დახუდეს ჯუარცმასა უფლისასა და მათ მოიღეს ბუნით კუართი უფლისა, ელიოზ მცხეთელმან და ლონგინოზ კარსნელმან, ვითარცა წერილ არს ესე განცხადებულად მოქცევასა ქართლისასა.

ხოლო ამან ადერკი მეფემან უმატა სიმაგრეთა ქართლისათა, ქალაქთა და ციხეთა, და უმეტეს მოამტკიცნა ზღუდენი ქალაქისა მცხეთისანი, წყლისა იმიერ და ამიერ. და ამისვე ადერკის მეფობასა შინა მოვიდეს ათორმეტთა წმიდათა მოციქულთაგანნი ანდრია და სჳმონ კანანელი აფხაზეთს და ეგრისს. და მუნ აღესრულა წმიდა სჳმონ კანანელი ქალაქსა ნიკოფსისასა, საზღვარსა ბერძენთასა. ხოლო ანდრია მოაქცივნა მეგრელნი და წარვიდა გზასა კლარჯეთისასა.

ხოლო ვითარცა ესმა მეფესა ადერკის მეგრელთაგან სჯულისა დატევება, განუწყრა და წარავლინა ერისთავნი მისნი, და იძულებით კუალადვე მიაქცივნა მეგრელნი და დამალნეს ხატნი და ჯუარნი, და შერისხნა მეფე ადერკი ერისთავსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლარჯეთისასა, რომელ მშჯდობით განუტევა ანდრია მოციქული.

ხოლო ამისვე ადერკის მეფობასა გამოჩნდა კუალად მეფობა სპარსეთისა. რამეთუ რადგან შესრულ იყო ალექსანდრე და განერყუნა სპარსეთი, აქა ჟამადმდე არღარა დაჯდომილ იყო მეფე სპარსეთს, რამეთუ ადგილთა და ადგილთა იყვნეს ერისთავნი სპარსეთისა.

მაშინ შეკრბეს ერისთავნი სპარსეთისანი და დასუეს მეფედ აჟღალან ბრძენი. მაშინ სომეხნი და ქართველნი იყვნეს მორჩილ აჟღალანისი სპარსთა მეფისა, და ვიდრე ადერკის მეფობამდე ერთი დაჯდის ქართველთა მეფედ, რაზომცა მრავალნი იყვნიან შვილნი მეფეთანი.

ხოლო ამას ადერკის ესხნეს ორნი ძენი, რომელთა ერქუა სახელად ერთსა ბარტომ და მეორესა ქართამ. და ამათ განუყო ყოველი ქუეყანა თჳსი: მისცა ქალაქი მცხეთა და ქუეყანა მტკუარსა შიდაქართლი, მუხნარით კერძო ქალაქი და ყოველი ქართლი მტკუარსა ჩრდილოთ, ჰერეთითგან ვიდრე თავადმდე ქართლისა და ეგრისისა — ესე ყოველი მისცა ბარტომს ძესა თჳსსა, ხოლო არმაზით კერძო ქალაქი, მტკუარსა სამხრით ქართლი, ხუნანითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა, და კლარჯეთი ყოველი მისცა ქართამს ძესა თჳსსა. და მოკუდა ადერკი.

და მეფობდეს შემდგომად მისსა ძენი მისნი. ხოლო ამათსა მეფობასა უესპასიანოს ჰრომთა კეისარმან წარმოტყუევნა იერუსალემი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს ძუელთავე ურიათა თანა, რომელთა თანა ერთნეს შვილნი ბარაბასნი, რომელი ჯუარცმასა უფლისასა განუტევეს ურიათა უფლისა ჩუენისა იესოს წილ.

და მეფობდა ესე ბარტომ და ქართამ მშჯდობით და სიყუარულსა ზედა ერთმანეთისასა. ესუა ძე ბარტომს, რომელსა ერქუა კაოს, და ქართამს ესუა ძე სახელით ფარსმან. და მოკუდეს ადერკის ძენი ბარტომ და ქართამ. და შემდგომად მათსა მეფე იქმნეს შვილნი მათნი: არმაზს — ფარსმან და შიდა ქართლსა — კაოს.

ხოლო ადერკისითგან ვიდრე ამათ მეფობამდე იყვნეს მორჩილებასა შინა სომეხთა მეფისასა. და უმეტეს არმაზელნი ძეფენი შეეწეოდეს სომეხთა ყოველთა მტერთა მათთა ზედა. მაშინ მეფე იქმნა სომხითს დიდი იგი მეფე იარვანდ. და დაიკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყა მან კეთილი ქართველთა, ემძლავრა ფარსმანს არმაზელსა, და მოუღო საზღვარსა ქართლისასა ქალაქი წუნდა და ალტანი მტკურამდე. და დასხნა წუნდას შინა კაცნი მჴეცნი, ნათესავნი ლევთანი, და უწოდა წუნდასა სახელად ქაჯატუნი, რომელიესე ითარგმანების ლევთა სახლად. და ვერ იძებნეს მეფეთა ქართლისათა საზღვარი, და მოკუდეს მწუხარებასა შინა დიდსა ფარსმან და კაოს.

და დასხდეს მეფედ შემდგომად მათსა შვილნი მათნი, არმაზს აზორკ და შიდაქართლსა არმაზელ.

ხოლო ესე მეფენი არმაზელ და აზორკ იყვნეს კაცნი მჴნენი და შემმართებელნი. და შეითქუნეს ესენი, და განიზრახეს ძიება საზღვართა ქართლისათა. მაშინ მოკლა სუმბატ ბივრიტიანმან იარვანდ, მეფე სომეხთა, და დასვა მეფედ ძმა იარვანდისი, რომელსა ეწოდებოდა სახელად არტაბან. მაშინ ამათ მეფეთა ქართლისათა აზორკ და არმაზელ მოუწოდეს ოვსთა და ლეკთა, და გარდამოიყვანნეს ოვსთა მეფენი, ძმანი ორნი გოლიათნი, სახელით ბაზუკ და აბაზუკ, სპითა ოვსეთისათა. და მათ გარდამოიტანნეს თანა პაჭანიკნი და ჯიქნი. და გარდამოვიდა მეფე ლეკთა და გარდამოიტანნა დურძუკნი და დიდონი. და ამათ მეფეთა ქართლისათა შემოკრიბნეს სპანი თჳსნი და შეკრბა ესე ყოველი სიმრავლე ურიცხჳ, და სიმარჯჳთ ფარულად შეკრბეს, ვიდრე შეკრბებოდეს სპანი სომეხთანი. და შევიდეს ესენი სომხითს და უგრძნულად წარმოსტყუენეს შირაკუანი და ვანანდი ბაგრევანამდე და ბასიანამდე, და შეიქცეს და ჩატყუენეს დაშტი ვიდრე ნახჭევანამდე, და აღიღეს ტყუე და ნატყუენავი ურიცხჳ, და აღივსნეს ყოვლითავე ხუასტაგითა, და გამოვლეს გზა ფარისოსისა.

მაშინ სუმბატ ბივრიტიანმან მოუწოდა სპათა სომხითისათა, და შეკრბეს მსწრაფლ სომეხნი და დევნა-უყვეს. ხოლო ესე ყოველნი ჩრდილონი განსრულ იყვნეს მტკუარსა და მისრულ იყვნეს კამბეჩოანს, და დაებანაკა იორსა ზედა, და განიყოფდეს ტყუესა და ნატყუენავსა. მაშინ სუმბატ წარავლინა მოციქული და რქუა: „რომელი აღგიღია ნატყუენავი სომხითით, პირუტყუ, ოქრო, ვეცხლი და ნაქსოვი, ყოველი მომინიჭებია თქუენდა; და რომელი დათხეულ არს სისხლი სომეხთა თქუენ მიერ, იგიცა უძებნელ იყოს თქუენ ზედა; გარნა რომელი აწ გყავს კაცი ტყუედ, განუტევეთ და წარვედით

ციფრული ბიბლიოთეკა

მშჯდობით, განმდიდრებულნი და აღსავსენი ყოვლითავე". ხოლო მათ პასუხი მიუგეს ესრეთ ვითარმედ: „არა სხუად შემოვედით სომხითს, არამედ ძიებად შენდა და ვერა გპოვეთ შენ. და აწ მოვედ ჩუენდა, მიიღე ნაწილი შენი, თუ არა, მოვიდეთ შენდა, სადაცა იყო და ვერ განერე ჴელთაგან ჩუენთა ცოცხალი".

მაშინ სუმბატ ბივრიტიანმან განვლო მტკუარი. და ბაზუკ ოვსთა მეფემან სთხოვა მუქარა, მიუგზავნა მოციქული და ითხოვა თავის-თავ ბრძოლა. ხოლო სუმბატ აღიჭურა და აღჯდა ვარსამატსა თჳსსა და განვიდა განწყობილთა შორის. და მუნით გამოჯდა ბაზუკ. და აღიზრახეს ორთავე და მიეტევნეს. და სცა სუმბატ ჰოროლნი სარტყელსა ზედა, და განავლო ზურგით წყრთა ერთი, აღიღო ცხენისაგან და დასცა ქუეყანასა ზედა. მაშინ მიეტევა აბაზუკ შუელად ძმასა თჳსსა, ხოლო მოსწუადნა სუმბატ ჰოროლნი იგი, მიეგება და ეგრეთვე მასცა სცნა და განავლო, აღიღო და დასცა ქუეყანასა ზედა. და თქუა: „ესე სომეხთა დედათა და მამათა, ყრმათა ჩჳლთათჳს, რომელნი თქუენ მოსრენით". მაშინ სპათა მათ ყოველთა ოვსთა, ლეკთა და ქართველთა, და ყოველთა მათ ჩრდილოთა ნათესავთა ერთპირად აღიზახნეს და თქუეს: „ვინათგან მოკლნეს ძმანი ესი ორნი, თავნი გოლიათობისა ყოვლისანი, სიკუდილი ჩუენი არად შესარაცხელ არს".

და უფროჲსად განბოროტნეს და შეკრბეს ყოველნი სპასალარობასა ქუეშე არზოკ და არმაზელისსა, ქართველთა მეფეთასა, და ყოველნი მიეტევნეს სუმბატს და სპათა სომხითისათა. მაშინ იქმნა ბრძოლა დიდძალი მათ შორის, და გაგრძელდა მათ შორის ბრძოლა სამ ჟამითგან ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე. და მოსწყდა ორგნითვე ურიცხჳ, და აღჯდა მტუერი, და ბნელ იქმნა ვითარცა ღამე, და აღრეულ იყვნეს ერთგან და ვერღარა იცნობდეს ერთმანერთსა მტუერისა მისგან.

მაშინ იძლია ბანაკი ჩრდილოჲსა სომეხთაგან, მეოტ იქმნეს და დაიფანჩნეს ყოველნივე, მიუდგა სუმბატ, მრავალთაგან მრავალთა მოწყლული, და სდევნა ღამემდე. და მოსრნა ყოველნი ოვსნი და ლეკნი, რომელთაგან მცირედნი დაურჩეს; ხოლო ქართველნი უფრო დარჩეს სამეოტოთა გზათა მეცნიერებისაგან. და შემოიხუეწნეს ორნივე მეფენი ქართლისანი მცხეთას, მოწყლულნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ სუმბატ გამარჯუებული შემოვიდა ქართლად, ხოლო მოაოჯრა ქართლი, რომელი პოვა ციხეთა და ქალაქთა გარე; ხოლო ციხე-ქალაქთა არა ჰბრძოდა, რამეთუ არა მზა იყო მსწრაფლ გამოსლვისაგან. არამედ აღაშენა ციხე ქუეყანასა ოძრჯევისასა, რომელსა ეწოდების სამცხე, ადგილსა, რომელსა ჰქუან დემოთი, მოკიდებულად მთასა ღადოსსა. და დაუტევნა მას შინა ლაშქარნი შემწედ წუნდელთა და მბრძოლად ოძრჯეველთა და წარვიდა.

ხოლო მეფენი ესე ქართლისანი, არზოკ და არმაზელ, სიფიცხლითა გულისა მათისათა არა შეუშინდეს, არამედ განამაგრნეს ციხენი და ქალაქნი თჳსნი, განწირნეს ყოველნი ველნი ქართლისანი და არა დასცხრეს კირთებისაგან სომეხთა ზედა.

და იწყეს ოვსთა ძებნა სისხლისა მათისა სომეხთა ზედა, გარდამოვიდოდეს ქართლად და დაემეგობრნეს ქართველთა, და აღერივნეს ერთად ოვსნი და ქართველნი. და მარადის ბრძოდეს სომეხთა.

და იყო ოძრჯეს ქალაქსა შინა ერისთავი მეფისა არმაზელისი, აზნაურთაგანი, და იგი დადგრომილ იყო სარწმუნოებით ერთგულებასა ზედა არმაზელისსა, და მას შეეწეოდეს მეგრელნი. ხოლო წუნდელნი და დემოთელნი შეეწეოდეს ერთმანერთსა, და დაუცხრომელად იბრძოდეს. და უფროსი ბრძოლა მათი იყვის მდინარესა ზედა, რომელსა ჰქჳან ნოსტე.

და იყო კლარჯეთს ერისთავი არზოკ მეფისა, აზნაურთაგანი. და იგი ავნებდის საზღვართა სომხითისათა, ქუეყანასა პარხლისასა, რომელ არს ტაო, და ვერავინ შევიდოდა მავნე კლარჯეთს. რამეთუ შეუვალი და მაგარი იყო ტყითა და კლდითა, და მკჳდრნი კლარჯეთისანი იყვნეს კაცნი მკჳრცხნი და მჴედარნიცა.

ხოლო თჳთ მეფენი ქართლისანი მცხეთით გაემართოდიან სომხითს გზასა აბოცისსა, და მარადის ესრეთ ჰკირთებდეს ქართველნი. მაშინ წარმოემართა ძალითა თჳსითა ყოვლითა არტაბან, მეფე სომეხთა, და სპასპეტი მისი სუმბატ ბივრიტიანი. ხოლო ქართველთა განამაგრნეს ციხენი და ქალაქნი, და მოირთეს ძალი ოვსეთით და განავსნეს ციხენი და ქალაქნი. და მოვიდეს სომეხნი და დადგეს მცხეთას, და ჰბრძოდეს ხუთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუე. და დღეთა ყოველთა იყვის ბრძოლა ბუმბერაზთა. მაშინ შესჭირდა ქართველთა და ოვსთა, ითხოვეს მშჯდობა, და აღუთქუეს მორჩილება და არღარა ძიება სისხლისა და ზღვარისა. მაშინ ისმინა სომეხთა მეფემან ვედრება მათი. და ქმნეს ფიცი და აღთქმა, და დაიმონნა ქართველნი და ოვსნი სომეხთა მეფემან, და წარვიდა.

ხოლო გარდაჴდეს ამას შინა წელნი რაოდენნიმე. და აღშენდა ქართლი მოოჴრებული სომეხთაგან. მაშინ უცალო იქმნეს სომეხნი, რამეთუ იწყეს ბრძოლა სპარსთა და ბერძენთა. და პოვეს მას შინა ჟამი მარჯუე ქართველთა და ოვსთა, იწყეს კირთებად სომეხთა. რამეთუ სპანი სომეხთანი ყოველნი და ორნი ძენი მეფისანი და სუმბატ იყვნეს ბრძოლად სპარსთა. და ვითარ განამრავლეს ქართველთა და ოვსთა ვნება სომეხთა, მაშინ არტაბან მეფემან შეკრიბნა სპანი, რომელნი შინა დარჩომოდეს, და მისცნა ძესა თჳსსა ზარენს, და წარმოგზავნა ქართველთა ზედა.

ხოლო შეკრბეს ქართველნი და ოვსნი, და მიეგებნეს ქუეყანასა ჯავახეთისასა. და ეწყუნეს და სძლიეს ქართველთა და ოვსთა, და აოტეს ზარენ, ძე სომეხთა მეფისა, და მოსრეს სპა მისი ყოველი და სდევნეს საზღვართამდე სომხითისა; მიეწივნეს ზარენს, ძესა მეფისასა, და შეიპყრეს იგი ტბისა მის პირსა, რომელსა რქჳან ცელი, და უკმოიყვანეს.

ხოლო ოვსთა ჰნებვიდა მოკლვა მის ზარენისი სისხლისათჳს მეფეთა მათთასა, არამედ ქართველთა დაიცვეს ცოცხლებით ძიებისთჳს საზღვართა მათთასა, და დასუეს პყრობილად ციხესა დარიალანისსა. ვერ ძებნეს სომეხთა, რამეთუ უცალო იყვნეს სპარსთაგან.

მაშინ წელსა მესამესა მოვიდა სუმბატ ბივრიტიანი და ორნი ძენი მეფისანი, არტავაზ და ტიგრან, ყოვლითა სპითა სომხითისათა. მაშინ მეფეთა ქართლისათა უბრძანეს ქუეყანასა მათსა შელტოლვა ციხეთა და ქალაქთა, და მთეულეთთა განამაგრნეს ციხენი და ქალაქნი. ხოლო მოვიდეს სომეხნი და დადგეს თრიალეთს. და აღდგეს მათ შორის მოციქულნი და დაიზავნეს; მისცეს ქართველთა ძე მეფისა შეპყრობილი, და აღუთქუეს შეწევნა ესრეთ: „უკუეთუ ვინ აღდგეს მტერი თქუენ ზედა და მოლმართ გებრძოდის, ჩუენ ორნივე მეფენი თავითა ჩუენითა და სპითა ჩუენითა თანადაგიდგეთ და გიშუე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლოთ; და უკუეთუ კუალად ვისმე მიღმართ ჰბრძოდით, ათასათასითა მჯედრითა ჭურვილითა შეგეწეოდით". და ესეცა აღუთქუეს ქართველთა, ვითარმედ: „ქალაქსა ამას ჩუენსა დრამა არტაბან მეფისა ხატითა დავსცეთო".

ხოლო ამისთჳს სომეხთა უკმოსცეს საზღვარი ქართლისა, ქალაქი წუნდა და ციხე დემოთისა, ჯავახეთი და არტანი. და მიერითგან იქმნეს მოყუარე სომეხნი. და ქართველნი და ოვსნი. და სამნივე ერთობით ბრძოდეს მტერთა.

და აღესრულნეს არზოკ და არმაზელი, ნუგეშინის-ცემულნი დიდად. რამეთუ სიმჯნითა მათითა უკუმოიხუნეს საზღვარნი ქართლისანი.

და შემდგომად მათსა მეფობდეს შვილნი მათნი: არმაზს — ამაზასპ და შიდაქართლს — დეროკ.

და შემდგომად მათსა მეფობდეს შვილნი მათნი: არმაზს — ფარსმან ქუელი და შიდაქართლსა — მირდატ.

აქამომდე ესე მეფენი ყოველნი ორ-ორნი იყვნეს მოყურობასა ზედა: ერთგან მოყუარენი ვისნიმე და ერთგან მტერნი ვისნიმე. მაშინ ამან მირდატ ქართველმან მოიყვანა ცოლი სპარსი, ნათესავი მეფეთა, და წუევითა სპარსთათა მტერ ექმნეს ფარსმან ქუელსა არმაზელსა, და განიზრახა მუხთლად სიკუდილი ფარსმან ქუელისა. და მოხადა მირდატ ფარსმან ქუელსა სახლსა თჳსსა რეცა მიჯლიშად და განცხრომად. რომელი-ესე უთხრა ვინმე ფარსმანს და განაკრძალა. ხოლო იგი არღარა მივიდა.

მიერითგან იქმნეს მტერ ურთიერთას, და მირდატს შეეწეოდეს სპარსნი, ხოლო ფარსმანს სომეხნი. და ესე მირდატ იყო კაცი ურვილი და მოსისხლე, ხოლო ფარსმან ქუელი იყო კაცი კეთილი და უხუად მომნიჭებელი და შემნდობელი, ასაკითა შუენიერი, ტანითა დიდი და ძლიერი, მჯნე მჯედარი და შემმართებელი ბრძოლისა, უშიში ვითარცა უჯორცო და ყოვლითავე უმჯობესი ყოველთა მეფეთა ქართლისათა, რომელნი გარდაცვალებულ იყვნეს უწინარეს მისსა. ესე უყუარდა მირდატის კერძთაცა ქართველთა და სძულდა მირდატ მესისხლეობისა და მედგრობისა მისისათჳს. და გამოერთნეს უმრავლესნი მირდატისაცა კერძნი, ემძლავრა ფარსმან ქუელი და აოტა მირდატ მეფე. და წარვიდა მირდატ სპარსეთად.

ხოლო იყო მაშინ სპასპეტი ფარსმან ქუელისა, ეგრეთვე

ქუელი და გოლიათი, სახელით ფარნავაზ, ესე ფარნავაზ ძუ-
ძუსმტე იყო ფარსმანისი, სარწმუხო, ერთგული და მისანდო-
ბელი. და იგი დაადგინა შიდაქართლსა, ადგილსა მირდატისსა.
და ყოვლადვე იყვის ფარნავაზ სპასპეტი ქართლსა შინა, ხოლო
მეფე ფარსმან ქუელი იარებოდის და განაგებდის სამეფოსა
თჳსსა.

მაშინ მირდატ გამოიყვანნა სპარსნი, სპანი ძლიერნი, და მო-
მართა ფარსმანს, ხოლო ფარსმან შემოიკრიბნა სპანი ქართლი-
სანი, და მოირთო ძალი სომხითით, და მიეგება იწროთა რკი-
ნისჴევისათა. და იწყეს ბრძოლად ბუმბერაზთა დღეთა მრავალ-
თა. და უკეთუ გამოჩნდის ბუმბერაზი სპარსთა შორის, რო-
მელსა ვერ ებრძოდიან ბუმბერაზნი ქართლისა და სომხითი-
სანი, მას ზედა განვიდის თჳთ მეფე ფარსმან, ანუ სპასპეტი
მისი ფარნავაზ, და ესრეთ აჴობიან და სძლიან. და მას ბრძო-
ლასა შინა მოკლა ფარსმან მეფემან ჩჴდმეტი ბუმბერაზი სპარ-
სთა, ხოლო სპასპეტმან მისმან ფარნავაზ მოკლა ოცდასამი.

მაშინ იყო სპარსთა შორის კაცი ერთი გოლიათი, სახელით
ჴუმბერ, რომელი ლომსა ჴელითა შეიპყრობდა. და მან სთხო-
ვა ბრძოლა თავის-თავ მეფესა ფარსმანს. ხოლო ფარსმან ქუე-
ლი სიხარულით აღიჭურა და განვიდა. და აღიზახნეს ორთავე
ჴმითა სასტიკითა, და მიეტევნეს ურთიერთას, და იწყეს ბრძო-
ლად ჴრმლითა. და ჴმა ბრძოლისა მათისა ემსგავსა ჴმასა ქუ-
ხილისა და ტეხისასა. აჴობა ფარსმან, ჩამოაგდო და მოკლა,
და მოიქცა სპისა თჳსისა კერძო, და ჴმა-ყო ჴმითა მაღლითა
და რქუა მათ: „აჰა, ლომნო მძჳნვარენო, ცხოვარნი დასეტყ-
ჳლნი!“

მაშინ მიეტევნეს ქართველნი და სომეხნი სპარსთა ზედა,
აოტნეს და მოსწყჳდნეს და ტყუე-ყვნეს ურიცხუნი, და წარვი-
და მირდატ მეოტი სპარსეთადვე. და წელსა მეორესა კუალად
მოვიდა მირდატ სპითა უძლიერესითა. ხოლო ფარსმან ქუელ-
მან შემოკრიბნა სპანი თჳსნი, მჴედარნი და ქუეითნი, და დად-
გა მცხეთას ქალაქსა შინა, რამეთუ არა ჰყვეს სპანი მირდატის
სპათა ოდენნი. მოვიდა მირდატ და დადგა ჯაჭუს, და ეგრეთ
ყოველთა დღეთა იბრძოდიან ბუმბერაზნი. და ბრძოლასა მას
შინა მოკლა ფარსმან მეფემან თავის-თავ თორმეტი ბუმბერა-
ზი, ხოლო სპასპეტმან ფარნავაზ თექუსმეტი ბუმბერაზი.

მაშინ ფარსმან მეფემან სიფიცხითა გულისა თჳსისათა არ-

ღარა განახა სიმრავლე სპარსთა, არამედ განვიდა ჟამსა გვიანად ადისასა სპითა თჳსითა, და დაესხა. და მოსცა სუემან მისმან ძლევა: აოტა ბანაკი მათი და მოსწყჳდნა ურიცხუნი. და წარვიდა მირდატ მეოტი სპარსეთადვე. და მიერითგან განითქუა სახელი ფარსმან ქუელისა და სპასპეტისა მისისა ფარნავაზისი. და წინამძღუარ ექმნა იგი სპათა ქართლისა და სომხითისათა. და იწყო ბრძოლად სპარსთა და შესლვად სპარსეთს. და ვერ-ღარაოდეს ვინ წინააღუდგა ფარსმან ქუელსა.

მაშინ სპარსთა გება-ყვეს სიმარჯუე ესე, რამეთუ მოიყვანეს მზარეული ერთი, და აღუთქუეს მას კეთილი დიდი, და რქუეს ესრეთ, ვითარმედ: „წარვედ და შეეწყნარე ფარსმან ქუელსა, და წარიტანე შენ თანა წამალი სასიკუდინე, და შეუზავე საჭმელსა თანა მისსა და შეაჭამე“. ხოლო წარვიდა მზარეული იგი და ყო ეგრეთ, ვითარცა უთხრეს სპარსთა მათ. და ესრეთ მოკლა ფარსმან მეფე ქუელი.

მაშინ იქმნა გლოვა და ტირილი, და ტყება ყოველთა ზედა ქართველთა წარჩინებულითგან ვიდრე გლახადმდე. და იტყებდეს ყოველნი თავთა თჳსთა ყოველთა შინა ქალაქთა და დაბნებთა, რამეთუ დასხდიან მგოსანნი გლოვისანი, და შეკრბიან ყოველნი და აჴსენებდიან სიმჴნესა და სიქუელესა, და სიშუენიერესა და სახიერებასა ფარსმან ქუელისასა, და იტყოდიან ესრეთ: „ვაჲ ჩუენდა, რამეთუ მოგჳძინა სუემან ბოროტმან, და მეფე ჩუენი, რომლისაგან ჴსნილ ვიყვენით მონებისაგან მტერთასა, მოიკლა იგი კაცთა მგრძნებელთაგან, და აწ მივეცენით ჩუენ წარტყუენვად ნათესავთა უცხოთა“.

მაშინ გამოვიდეს სპარსნი, და გამოიტანეს თანა მირდატ, და დაიპყრეს ქართლი, და მისცეს მირდატს ნაწილი მისი. ხოლო ნაწილი ფარსმანისი თჳთ დაიჭირეს, და დაუტევეს ერისთავი არმაზს. ხოლო ფარნავაზ სპასპეტმან წარიყვანა ცოლი და ძე ფარსმან ქუელისა, და ივლტოდა, და მივიდა სომხითს. რამეთუ სომეხთა მეფისა ასული იყო ცოლი ფარსმანისი. და დაიპყრეს ქართლი მირდატ და ერისთავმან სპარსთამან. ხოლო მეგრნი დადგეს ერთგულობასა ფარსმანის ძისასა.

ხოლო მას ჟამსა მოყუარე იყვნეს სომეხნი და ბერძენნი. მაშინ სომეხთა მეფემან მოირთო ძალი ბერძენთაგან, და წარმოემართა ბრძოლად სპარსთა და ქართველთა. მიერთნეს მეგრნი, და შეკრბა სიმრავლე ურიცხჳ. მაშინ მირდატ და ერისთავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზან სპარსთამან მოირთეს ძალი სპარსეთით. ხოლო სომეხნი
და ბერძენნი და მეგრნი შთავიდეს შიდაქართლს, და მუნ ბიე-
გებნეს სპარსნი და ქართველნი მდინარესა ზედა, რომელსა
ჰქვან ლიახვ. და მუნ იქმნა ბრძოლა მათ შორის ადგილსა,
რომელსა ჰქვან რეკაჲ. და მოსწყდა ორგნითვე ურიცხვ, იძ-
ლივნეს სპარსნი და ქართველნი, და მოკლეს მირდატ და ერის-
თავი სპარსეთისა, და მოსრნეს სპანი მათნი.

და დასუეს მეფედ ძე ფარსმან ქუელისა, რომელსა ერქუა
ადამი. და სამ წელ ოდენ მეფობდა და მოკუდა. და დარჩა ძე
მისი წელიწდისა ერთისა ყრმა; და ვიდრე აღიზრდებოდა
ყრმა იგი, მეფობდა დედა ადამისი, ცოლი ფარსმან ქუელისა,
რომელსა სახელი ერქუა ღადანა.

და ვითარ აღიზარდა ძისწული ფარსმან ქუელისა, სახელით
ფარსმანვე, მეფობდა იგი.

ხოლო მეფობდა ესე ფარსმან ყოველსა ქართლსა ზედა, და
ესუა ძე, და უწოდა სახელად ამაზასპ. და შემდგომად ამისსა
მოკუდა ფარსმან. და შემდგომად მისსა მეფობდა ძე მისი ამა-
ზასპ.

ესე ამაზასპ იყო კაცი ძლიერი და დიდი გოლიათი, მსგავსი
ფარსმან ქუელისა. და ამისსა მეფობასა გარდამოვიდეს ოვსნი,
სპანი დიდნი, გზასა დვალეთისასა. ხოლო ვერ იგრძნა ამაზასპ
მეფემან გარდამოსლვა ოვსთა ვიდრე გარდამოვლამდე მთისა.
მოვიდეს ოვსნი და დადგეს ლიახუსა ზედა რვა დღე განსუე-
ნებად, და არასადა განვიდა მარბიელი, რამეთუ ქალაქისა
მცხეთისა შემუსრვად მოსრულ იყვნეს.

მაშინ ამაზასპ მოუწოდა ყოველთა ერისთავთა ქართლისა-
თა. და მოვიდეს ერისთავნი აღმოსავლისანი: ერისთავი კახე-
თისა, ერისთავი ხუნანისა, ერისთავი სამშვლდისა. და შემოკრ-
ბეს მჴედარნი სპასპეტისანი; და ვიდრე მოსლვამდე დასავლე-
თისა ერისთავისა, მოვიდეს ოვსნი ჩრდილოთ კერძოთა ქალა-
ქისათა, რომელ არს მუხნარი.

მაშინ ამაზასპ მეფემან განავსნა ციხენი და კარნი მცხეთი-
სანი ლაშქრითა და იყო სიმრავლე ქუეითთა მცხეთელთა, რო-
მელნი კართა და ზღუდეთა სცვიდეს; მათგან კიდე, რომელი
გარე მეომრად განვიდოდეს, იყო ოცდაათი ათასი ქუეითი
ყოვლადვე. და მაშინ სხუა რომელი ჰყვა მჴედარი ათი ათასი,
და განვიდა ამაზასპ და განაწესნა ქუეითნი იგი არაგუსა იმიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამიერ სიმაგრეთა შინა კართასა, ხოლო მხედრითა ლაშქრითა განვიდა ადგილსა, რომელსა ჰქჳან საფურცლე. და იყო ზურგად ქალაქი და ქუეითნი იგი, რომელ დაეყენნეს კართა შინა.

და იწყეს ბრძოლად ბუმბერაზთა. და განვიდა ამაზასპ მშჳლდითა, და იწყო სროლად გულითა ფიცხელითა და მკლავითა ძლიერითა; ეზომ შორით ისროდა, რომელ დამართებითა მდგომთა ოვსთაგან არა შეიტყუებოდა და არცა ინახვებოდა სიშორითა, თუ ყოვლად აქუს მშჳლდი. და მან ჰკრის ისარი, რომელსა ვერ დაუდგის სიმაგრემან საჭურველისამან. და მას დღესა შინა ამაზასპ თავის-თავითა მოკლა ბუმბერაზი თხუთმეტი რჩეული და ცხენი მრავალი. და სხუათაცა ბუმბერაზთა ამაზასპისათა მოკლნეს ბუმბერაზნი მრავალნი ოვსთანი; და დასდვეს დიდი ვნება ოვსთა ზედა.

მას დღესა შინა შემოვიდა ამაზასპ ქალაქად მჯედრითა სპითა, ხოლო ქუეითნი იგი დგეს მუნვე ადგილსა ზედა კართა შინა. და ღამესა მას მოემატნეს მჯედარნი, რომელნი ვერ მოეტანნეს თანა ერისთავთა მათ სისწრაფითა.

და ვითარ განთენდა, კუალად განვიდა მუნვე ამაზასპ და აღიხუნა ოროლნი. და გამოვიდა ოვსთაგან კაცი ერთი, რომელსა ერქუა სახელი ხუანხუა; იგი გამორჩეულ იყო სპათა შორის ოვსთასა. აღიზახნეს ორთავე და მიეტევნეს ურთიერთას; და პირველსავე მისლვასა სცნა ოროლნი ამაზასპ და განავლო ზურგით, და მოკლა იგი. და აღმოიჯადა ჯრმალი, და მიეტევა სხუათაცა ბუმბერაზთა, და მოკლნა ორნი სხუანიცა, შემოიქცა და შემოვიდა ქალაქად მჯედრებითურთ. ხოლო ქუეითნი დგეს მუნვე კართა შინა, და მას ღამესა კუალად მოემატნეს მჯედარნი.

ხოლო განიზრახეს დასხმა ოვსთა; და განვიდა და დაესხა ოვსთა, განთიადისა ჟამსა, მჯედრითა და ქუეითითა ყოვლითა, სძლია და აოტა ბანაკი მათი, და მოკლა მეფე ოვსთა, და მოსრა ყოველი სიმრავლე მათი.

და წელსა მეორესა მოირთო ძალი სომხითით, და შეკრიბნა სპანი თჳსნი ყოველნი, და გარდავიდა ოვსეთს. და ვერვინ წინააღუდგა და მოტყუენა ოვსეთი, და მოვიდა შინა გამარჯუებული.

და შემდგომად ამისსა შეექმნა სილაღე, და იწყო მესისხ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეობად, და მოსწყჳდნა მრავალნი წარჩინებულნი. და ამისთჳს მოიძულეს იგი ერმან ქართლისამან. და მტერ ექმნა იგი სომეხთა, და შეიყუარნა სპარსნი.

მაშინ განდგეს ერისთავნი დასავლეთისანი ხუთნი: ორნი ერისთავნი ეგრისისანი, ერთი ოძრჴისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა. ეზრახნეს ესენი სომეხთა მეფესა, და ითხოვეს ძე მისი მეფედ, რამეთუ დისწული იყო ამაზასპისი. მაშინ სომეხთა მეფე ძალითა მრავლითა წარმოემართა ქართლად, და მოირთო ძალი საბერძნეთითცა. და ეზრახნეს ოვსთაცა, ხოლო ოვსნი სიხარულითა წარმოვიდეს, რამეთუ მესისხლე იყო ამაზასპ მათი. და გარდამოვლეს გზა თაკუერისა, და მოვიდეს ერისთავთა თანა ეგრისათა.

მაშინ ამაზასპ მოუწოდა სპარსთა, და მოვიდეს სპარსნი ძლიერნი და შეკრიბნა ქართველნიცა, რომელნი დარჩომოდეს. მაშინ ოვსთა და მეგრთა გარდამოვლეს მთა მცირე, და შეკრბეს იგინი და ერისთავნი ქართლისანი განდგომილნი, და მოვიდეს ესე ყოველნი წინაშე სომეხთა მეფისა.

ხოლო წარმოემართა ამაზასპ, და მოეგება იგი გუთისჴევს. და არავინ იპოვა ეგეოდენთა მათ სპათა შინა ბერძენთა, სომეხთა, ოვსთა, მეგრთა და ქართველთა მარტოდმბრძოლი ამაზასპისი, არამედ ეწყვნეს ურთიერთას სპანი იგი. და იქმნა ბრძოლა მათ შორის: იძლია ამაზასპ, და ივლტოდა სპა მისი. და მოკლეს ამაზასპ, და მოსრეს სპა მისი, და დაიპყრეს ქართლი. და დაუტევა სომეხთა მეფემან ძე თჳსი ქართლისა მეფედ, რომელსა სახელი ერქუა რევ, დისწული ამაზასპისი.

ამან რევ მოიყვანა ცოლი საბერძნეთით, ასული ლოღოთეთისა, სახელით სეფელია. და ამან სეფელია მოიტანა თანა კერპი, სახელით აფროდიტოს, და აღმართა თავსა ზედა მცხეთისასა.

ესე რევ მეფე დაღაცათუ იყო წარმართი, არამედ იყო მოწყალე და შემწე ყოველთა ჭირვეულთა: რამეთუ სმენილ იყო მისდა მცირედ რამე სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, და აქუნდა რამე სიყუარული ქრისტესი. და ამან მეფობასა შინა მისსა არღარავის უტევა ქართლსა შინა ყრმათა კლვა, რომელსა-იგი ამისსა უწინარეს და პირველ კერპთა მიმართ შესწირვიდეს მსხუერპლად ყრმათა; და ვიდრე იგი იყო მეფედ, არღარავინ კვლიდა ყრმათა კერპთათჳს, არამედ ცხუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისა და ზროხისა შეწირვა განუწესა. ამისთჳსცა ეწოდა მას რევ მართალი. და მეფობდა ესე რევ კეთილად, და მოკუდა რევ.

და შემდგომად ამისსა მეფობდა ძე მისი ვაჩე.

და შემდგომად ვაჩესსა მეფობდა ძე ვაჩესი ბაკურ.

და შემდგომად ბაკურისა მეფობდა ძე ბაკურისი, მირდატ.

და შემდგომად მირდატისა მეფობდა ძე მისი ასფაგურ.

ამან ასფაგურ აღაშენა ციხე-ქალაქი უჯარმა.

ხოლო ალექსანდრეს მეფობითგან ესე ყოველნი მეფენი მეფობდეს ქართლს და იყვნეს კერპთმსახურ. და ესე ასფაგურ იყო უკანასკნელი მეფე ფარნავაზიანთა ნათესავისა. და ამის ზე მეფე იქმნა სპარსეთს ქასრე ანუშარვან სასანიანი, რომელმან მოსრნა მეფენი აჟღალანიანნი, რომელი იცნობების არდაშირობით, ვითარცა წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა.

ხოლო სომხითს მეფე იქმნა კოსარო. და ამან კოსარო სომეხთა მეფემან უწყო ბრძოლად ქასრე მეფესა სპარსთასა, და შეეწეოდა მას ასფაგურ, მეფე ქართველთა, და ამან ასფაგურ განუხუნის კარნი კავკასიანთანი და გამოიყვანნის ოვსნი, ლეკნი და ხაზარნი, და მივიდის კოსარო მეფისა თანა სომეხთასა ბრძოლად სპარსთა.

და პირველსავე შესლვასა სპარსეთად ეწყო ქასრე, მეფე სპარსთა, და აოტეს იგი და მოსრეს სპა მისი. და მიერითგან ვერღარა წინააღუდგა ამათ მეფე იგი სპარსთა, და განამრავლეს შესლვა სპარსეთად და ტყუენვა სპარსეთისა.

ხოლო დაესრულნეს მეფენი ქართლისანი ფარნავაზიანნი.

[6. შემოსვლა სპარსთა ქართლს და მეფობა მირიანისი, ქასრეს ძისა]

ვითარ იოტეს სომეხთა და ქართველთა და ჩრდილოსა ნათესავთა მეფე სპარსთა, და განამრავლეს შესლვა სპარსეთს და ოჴრება სპარსეთისა; და ვერღარაოდეს წინააღუდგა მეფე სპარსთა. მაშინ მეფემან სპარსთამან, სავსემან მწუხარებითა, მოუწოდა მთავართა სოფლებისათა პატიახშთა და ერისთავთა სოფლებისათა, და ყო განზრახვა. და ეძიებდა ღონეებასა ბოროტისა მის მოწევნულისასა, და აღუთქმიდა ნიჭსა დიდსა და პატივსა, რომელმან უძლოს და უძიოს ღონე შურისგებისა.

ხოლო კრებულსა მას შორის იყო წარჩინებული ერთი მთავარი. სახელით ანაკ, ნათესავისაგან კოსაროს სომეხთა მეფისა. აღდგა იგი, წარმოდგა და თქუა: „ოტებულ არს სპა ჩუენი კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საროს სომეხთა მეფისაგან, აწყუედილ არიან მჯედარნი ჩუენ-
ნი, და დასდებია შიში და ძრწოლა მათი სპარსთა ზედა, და
განძლიერებულ არიან იგინი, და ვერ ძალ-გვც წინააღდგო-
მად მათდა. აწ ესე არს განზრახვა ჩემი, რათა მშჯდობითა და
ვედრებითა და ხარკისა მიცემითა დავამშჯდოთ კოსარო მეფე".
ესე რომელ თქუა ანაკ, არა გულითა თქუა, არამედ სიმრავ-
ლესა მას უფარვიდა გულისა მისისა განზრახვასა. მიეახლა მე-
ფესა და რქუა თჳსაგან: „უწყოდე, რამეთუ არა ესე არს გან-
ზრახვა ჩემი, რომელ ვთქუ, არამედ ღირს-მყავ მარტოდ ზრახ-
ვად შენ წინაშე, და ვაუწყო მეფობასა შენსა გულის-ზრახვა
ჩემი". მაშინ წარჩინებულთა მათ იზრახეს თჳს-თჳსად წინაშე
მეფისა და წარვიდეს. მაშინ ფარულად მოუწოდა მეფემან
ანაკს, და რქუა მეფესა ანაკ: „მეფე, ცხოვნდი უკუნისამდე, მე
გიძიო ღონე შურისგებისა კოსაროს ზედა. წარვიდე მის თანა
დედაწულით ჩემითურთ, და მომენდობის იგი ნათესაობი-
სათჳს, და სუემან შენმან მოავლინოს კეთილად, და მოვკლა
მეფე იგი, და დავდვა თავი ჩემი შენთჳს".

სთნდა განზრახვა ესე მეფესა. და მოკლეთა დღეთა წარ-
მოვიდა ანაკ და ძმა მისი დედაწულითა მათითა რეცა გან-
დგომად სპარსთა მეფისაგან. და მოვიდა საზღვართა სომხითი-
სათა, ქალაქსა, რომელსა რქჳან ხილახილა, საზამთროთა ად-
გილთა სომეხთა მეფეთასა. იხილა რა მეფემან კოსარო, დიდი-
თა პატივითა შეიწყნარა, რამეთუ ყოვლითავე სიმარჯჳთა მოს-
ლვასა მისსა სარწმუნოდ აჩუენებდა; და ხედვიდა მეფე, რა-
მეთუ ყოვლითა სახლეულითა მისითა მისდა მოემართა, მაშინ
მეფემან მისცა მას პატივი, მეორედ მისსა საყდარსა აღიყვანა
სიხარულით და განსუენებით. დაყვნეს რა დღენი ზამთრისანი,
და მოიწივნეს დღენი ზაფხულისა არისანი, და განდიდნეს
მდინარენი, წარმოვიდა მეფე მუნით და მოვიდა არარატისასა
ქალაქსა, და განმზადებულ იყო კოსარო მეფე კუალად შეს-
ლვად სპარსეთს. მაშინ დღესა ერთსა განვიდა მეფე ნადირო-
ბად, და გაჰყვეს თანა ანაკ და ძმა მისი, და იპყრნეს მახჳლნი
ლესულნი ფარულად საწჳმარსა ქუეშე სტეოედსა; და პოვეს
დრო და მოკლეს მეფე და იგლტოდეს. ხოლო დევნა-უყვეს
მთავართა სომხითისათა, და მოუსწრეს ვიეთმე ჯიდსა და რო-
მელთამე მოუსწრეს ფონსა, დაიწყუდინეს იწროსა შინა; და
ვერვინ წაუვიდეს, და მოკლნეს იგინიცა. და მოსრნეს ყოველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი ნათესავნი მათნი, თვნიერ დაშთეს ორნი შვილნი მ[illegible]
რომელნიცა აღიხუნეს მამამძუძეთა მათთა: ერთი შეივლტოდა
საზღვართა საბერძნეთისათა და მეორე საზღვართა სპარსეთი-
სათა.

ვითარცა ესმა ამბავი ესე სპარსთა მეფესა ქასრეს სასანი-
ანსა, აღივსო სიხარულითა და წარმოემართა ყოვლითა ძალი-
თა მისითა; მოვიდა პირველად სომხითს და დაიპყრა სომხითი,
მოსრა და ტყუე-ყო ყოველი ნათესავი სომეხთა მეფისა. ხო-
ლო ერთი ძე კოსარო მეფისა, მცირე ყრმა, შეივლტოდა საზღ-
ვართა საბერძნეთისათა, და მუნ იზარდებოდა, რომელსა ერქუა
თრდატ. მაშინ ვითარცა დაიპყრა სომხითი სპარსთა მეფემან
და შემოვიდა ქართლად, წარვიდა ასფაგურ ქართველთა მეფე
ოვსეთს, რათამცა მოიმატნა სპანი ოვსეთით და განამაგრნა
ციხე-ქალაქნი. ხოლო რაჟამს შევიდა ასფაგურ ოვსეთს, ეწია
სიკუდილი და მოკუდა მუნ.

ამას ასფაგურს არა ესუა ძე, არამედ ასული ერთი. მაშინ
შეკრბეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი მცხეთას ქალაქსა
სპასპეტისა თანა, რომელსა ერქუა მაეჟან. ზრახვა-ყვეს ერთბა-
მად სავსეთა მწუხარებითა და თქუეს: „არა ვაუფლოთ გულ-
თა ჩუენთა მწუხარება, რათა არ მიგუეღოს გონიერება, გარნა
ვიძიოთ ღონე ჭირთა და განსაცდელთა ჩვენთათჳს". მაშინ თქუა
მაეჟან სპასპეტმან: „უკუეთუმცა იყო ჩუენ თანა ძალი ეზომი,
ჩუენმცა მესამედთა სპარსთა შევესწოებოდეთ, დამ-ცა-ვსხე-
ნით თავნი ჩუენნი სიკუდილად და წინააღუდეგით მათ. და
თუმცა დარჩომილ იყო მკჳდრი მეფისა ჩუენისა ანუ ნათესავი
მეფეთა ჩუენთა, რომელიმცა ღირს იყო მეფობასა, დავდე-
გითო[illegible]ა ციხე-ქალაქთა შინა, დავსხენითმცა თავნი ჩუენნი სი-
კუ[illegible]ილად და ვჭამეთცა ჯორცი კაცისა, ვითარცა პირველ მაჟა-
თა ჩუენთა. არამედ მოწევნადსა ჟამსა ესრეთ მოუვლენია, რა-
მეთუ მოიკლა სპარსთაგან დიდი იგი მეფე სომხითისა, წაღე-
ბულ არს სომხითი, რომელსა ეკიდა სამეფო ჩუენი, და აღუ-
ღია პირი მისი სპარსთა მეფესა შთანთქმად ყოვლისა ქუეყა-
ნისა. არავინ არს ჩუენ თანა წინააღმდგომი მისი და დარჩო-
მილ ვართ ჩუენ ობლად, ვითარცა ცხოვარნი უმწყემსონი. აწ
ესე არს განზრახვა ჩემი, რათა მივაგოთ წინა მეფესა სპარსთა-
სა მორჩილება და ვითხოვოთ მისგან წყალობა და ვითხოვოთ
მისგან ძე მისი მეფედ ჩუენდა, და ვეეედრნეთ, რათა შერთოს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცოლად ძესა მისსა ასული მეფისა ჩუენისა ასფაგურისი. ვაუწყოთ ქალისა მის ნათესაობა ქართლოსიანთა და ნებროთიანთა და დიდებულთა არშაკუნიანთა და მეფეთა ჩუეხთა ფარნავაზიანთა, და ვითხოვოთ მისგან დამჭირვა სჯულსა ზედა მამათა ჩუენთასა, და ვითხოვოთ ჩუენ თანა არა აღრევა სპარსთა და წარჩინებულად პყრობა ჩუენი. ნუუკუე შეიწყნაროს ვედრება ესე ჩუენი, და ყოს ესე ყოველი ჩუენ ზედა და უკუეთუ სჯულსა მამათა ჩუენთასა მიგვლებდეს, და ჩუენ ზედა სპარსთა წარჩინებულ-ჰყოფდეს, და ნათესავსა მეფეთა ჩუენთასა მოსწყუედდეს, მაშინ სიკუდილი უმჯობეს არს თავთა ჩუენთათჳს ვიდრე მონახვასა ესევითარისასა. დავსხნეთ თავნი ჩუენნი ციხეთა და ქალაქთა შინა და მოვსწყდეთ ყოველნი".

მაშინ დაემოწმნეს ყოველნი ერისთავნი ზრახვასა მაეჟან სპასპეტისასა და წარგზავნეს მოციქული წინაშე სპარსთა მეფისა, და მოაჴსენეს ესე ყოველი, რომელი განეზრახა.

ხოლო გამოიკითხა სპარსთა მეფემან პირველად ქალაქისა მცხეთისა, და უთხრეს სივრცე და სიმაგრე მისი და მახლობელობა ხაზართა და ოვსთა. და კუალად გამოიკითხა გუარნათესაობა ასფაგურის ასულისა, და უთხრეს ნათესაობა ნებროთიანთა და არშაკუნიანთა და ფარნავაზიანთა. კეთილად სთნდა სპარსთა მეფესა, და შეიწყნარა ვედრება ქართველთა. რამეთუ თჳთცა უკეთესად გამოარჩია მცხეთას დასუმა ძისა მისისა მეფედ. რამეთუ ყოველთა ქალაქთა სომხითისა და ქართლისათა, რანისა და მის კერძოთა, ყოვლისა უფროსად და უმაგრესად გამოარჩია და მახლობელად ჩრდილოთა მტერთა, რათა ჰბრძოდის მათ მუნით და იპყრობდეს ყოველთა კავკასიანთა. აღუსრულა ყოველი იგი სათხოველი ქართველთა, და მისცა ყოველსა ზედა ფიცი და აღთქმა. და მოვიდა მცხეთას და მიეგება მაეჟან სპასპეტი და ყოველნი ერისთავნი ქართლისანი. მაშინ მოიყვანეს ასული ასფაგურ მეფისა სამშჳლდით, რომელსა ერქუა აბეშურა, და შერთო იგი სპარსთა მეფემან ძესა თჳსსა, რომელი მუნ თანაჰყვა შჳდისა წლისა, ნაშობი მჴევლისა, რომელსა ერქუა სპარსულად მიჰრან, ხოლო ქართულად მირიან. ესე მირიან იგი არს, რომელმან ჟამსა სიბერისა მისისასა იცნა ღმერთი დამბადებელი, და შეიწყნარა სახარება მოციქულთა წმიდისა ნინოს მიერ, და იქმნა აღმსარებელ წმიდისა სამებისა და თაყუანის-მცემელ ჯუარისა პატიოსნისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აწ ვაჯსენოთ ცხოვრება მირიანისა, ძისა ქასრე არდაშირი-სი სასანიანისა.

ვითარცა შეიწყნარა მეფემან ქასრე ვედრება ქართველთა, და შეჰრთო ძესა მისსა მირიანს ასული ქართველთა მეფისა და მისცა ქართველთა მეფედ ძე მისი და დასუა მცხეთას. და მისცა ქართლი, სომხითი, რანი, მოვაკანი და ჰერეთი. და იყო მირიან მაშინ წლისა შჯდისა. და თანაჰყვა ქასრე მეფესა დედა მირიანისი და არა დაუტევა იგი მირიანის თანა, რამეთუ უყუარდა დედა იგი მირიანისი ვითარცა თავი თჳსი, არამედ დაუტევა მამამძუძედ და განმგებელად წარჩინებული ერთი, რომელსა ერქუა სახელად მირვანოზ. და დაუტევა ორმოცი ათასი მჯედარი სპარსი რჩეული, და არა დახსნა ქართლისა საზღვართა სპარსნი იგი ფიცისა მისთჳს, რომელ ფიცებულ იყო ქართველთად, არამედ დასხნა ჰერეთს და მოვაკანს და სომხითს. ხოლო უბრძანა მირვანოზს, რათა სპარსთა მათგანი რჩეული შჯდი ათასი მჯედარი ყოვლადვე ქალაქსა შინა იპყრეს მცველად ძისა მისისა. და ესრეთ დაეზავა ქართველთა, რათა კარნი და ციხენი და ქალაქნი ყოველნი იპყრნეს ლაშქრითა სპარსითა: და სხუა სიმრავლე სპარსთა არა იყოს ქუეყანასა შინა ქართლისასა თანააღრეულად; „და იყოს შვილი ჩემი ორსავე სჯულსა ზედა: მამათა ჩუენთა ცეცხლისმსახურებასა და თქუენთა კერპთასა“, რამეთუ პირველვე ამას ზედა მოეცა ფიცი.

და წარვიდა მეფე და წარიხუნა ყოველნი ჴევნი კავკასიანთანი და დასხნა ყოველგან მთავარნი, და უბრძანა მათ ყოველთა, რათა იყვნეს მორჩილ ძისა მისისა მირიანისსა, და უბრძანა მირიანს, ძესა თჳსსა, და მამამძუძესა მისსა მირვანოზს, რათა ჰბრძოდიან ხაზართა, და წარვიდა მეფე სპარსეთად.

ხოლო ამან მირვანოზ ჰმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა და უმეტეს ყოველთასა მოამტკიცნა ზღუდენი ნეკრესისა ქალაქისანი. და აღიზარდა მირიან მსახურებასა მას შინა შჯდთა მათ კერპთასა და ცეცხლისასა. ხოლო შეიყუარნა ქართველნი, და დაივიწყა ენა სპარსული და ისწავა ენა ქართული. და ჰმატა შემკობა კერპთა და ბომონთა, კეთილად იპყრნა ქურუმნი კერპთანი, და ყოველთა მეფეთა ქართლისათა უმეტეს აღასრულებდა მსახურებასა მას კერპთასა, და შეამკო საფლავი ფარნავიზისი. ხოლო ესე ყოველი ქართველთა სათნოებისათჳს ქმნა, და კეთილად იპყრნა ქართველნი ნიჭითა და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოვლითა დიდებითა. და შეიყუარეს იგი ყოველთა ქართველთა უმეტეს ყოველთა მეფეთასა. და მეფობდა ესრეთ მირიან მცხეთით გალმართ ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს, მოვაკანს და ეგრს.

ხოლო იქმნა რა მირიან თხუთმეტისა წლისა, მოუკუდა ცოლი, ასული ქართველთა მეფისა, და ამას ზედა დაესრულა ქართლს შინა მეფობა და დედოფლობა ფარნავაზიანთა მეფეთა. მაშინ მწუხარე იქმნეს ყოველნი ქართველნი სიკუდილსა ზედა დედოფლისა მათისასა, არამედ დაადგრეს ერთგულებასა ზედა მირიანისსა, რამეთუ არღარავინ იყო ყოვლადვე ნათესავი ფარნავაზიანთა, რომელიმცა ღირს იყო მეფობასა ქართველთასა. და ესრეთ შეიტკბეს ამის მიზეზისათჳს მეფობა მირიანისი.

ხოლო მირიან მეფემან ჰმატა კეთილსა ქართველთასა, და მოიყვანა ცოლი საბერძნეთით, პონტოით. ასული ილიოტოსისი, სახელით ნანა. და იწყო ბრძოლად ხაზართა, და მარადის ჰბრძოდის: ოდესმე გაადგიან მირიანს ლეკნი და მათ გამოიყვანიან რა ხაზარნი თანაშემწედ მათდა, მიეგების მათ წინა მირიან ჰერეთს ანუ მოვაკანს და მუნ ეწყჳს მათ; და ოდესმე დურძუკთა და დიდოთა მოირთნიან და გამოიყვანიან ხაზარნი, მაშინ ეწყჳს და ვეროდეს სძლეს ხაზართა, და ყოვლადვე მირიან სძლის. და ესრეთ მრავალგზის გარდაიჴადა წყობა ხაზართა.

და უფროსი ლაშქრობა მისი იყვის დარუბანდს. რამეთუ მოვიდიან ხაზარნი და მოადგიან დარუბანდს, რათამცა წარიღეს და განაღეს კარი ფართო, და მუნით იწყეს გასლვად სპარსთა ზედა. ხოლო ოდეს მოვიდიან ხაზარნი დარუბანდს, მაშინ წარვიდის მირიან შუელად დარუბანდისა: ოდესმე უომრად მიჰრიდიან ხაზართა მათ მირიანს, და ოდესმე ბრძოლითა აოტნის.

ხოლო ვითარ იქმნა მირიან წლისა ორმეოცისა, მაშინ მოკუდა მამამისი, სპარსთა მეფე. და დაჯდა შემდგომად მისსა მეფედ სპარსეთს ძმა მირიანისი უმრწემესი, რომელსა ერქუა ბარტამ. და ვითარცა ესმა ესე მირიანს, მოუწოდა ყოველთა სპათა მისთა, შეიკრიბნა და წარემართა ბაღდადს, რათამცა დაჯდა საყდართა მამისა მისისათა. მაშინ ძმამან მისმან შეიკრიბნა სპანი ურიცხუნი და მიეგება ბრძოლად ჴევსა მას ზედა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნასიბისასა. და ვითარცა იხილეს მოხუცებულთა და მარხაპანთა სპარსეთისათა, ვითარმედ მახული დაეცეძის ურთიერთას, აღდგეს მათ შორის მოციქულად და ბჭედ, და დასჯერდეს ორნივე მეფენი ბჭობასა მათსა. და დასხდეს რა ბჭობად, მაშინ მირიან იტყოდა სარჩლად: „პირმშო შვილი ვარ მე მამისა ჩემისა და საუფლისწულოდ ებოძნეს ქუეყანანი უცხონი მკლავითა წახმულნი, და მუნ ყოველნი დღენი ჩემნი დამიყოფიან ბრძოლასა შინა ხაზართასა, და მრავალგზის სისხლითა ჩემითა დამიცავს სპარსეთი ხაზართაგან. ამისთჳს ჩემი არს საყდარი მამისა ჩემისა“.

ხოლო ბარტამ იტყოდა ამისთჳს, ვითარმედ: „თუმცა პირმშო მირიან არს, არამედ ნაშობი არს მჴევლისა, და ნაშობსა მჴევლისასა ეყოფის სუედ, რომელ მას მიხდომიან სამეფონი. ხოლო მე ნაშობი ვარ ჰინდოთა მეფისა ასულისა, სპარსთა დედოფლისა, და მოგისმენია ანდერძი მამისა ჩემისა, და მოგინახავს, რამეთუ ჴელითა მისითა დამადგა გჳრგჳნი თავსა ჩემსა“.

ხოლო მათ გაბჭეს და მისცეს მეფობა სპარსეთისა ბარტამს, ხოლო მირიანს გულის-სადებად მისცეს ბარტამისგან ჯახირეთი, და შამის ნახევარი, და ადარბადაგანი. და ესე ყოველი ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს ზედა მოურთეს. და წარმოვიდა მირიან. ხოლო ვიდრეღა მირიან ჯერეთ იყო მუნ, გარდამოვლეს ოვსთა ფეროშ და კავტია და განრყუნეს ქართლი. ხოლო მირიან გარეს-გარ გარდავიდა ოვსეთს, მოტყუენა ოვსეთი და მიუწია ხაზარეთამდი, და გარდამოვლო გზა დვალეთისა და მოვიდა შინა.

და შემდგომად ამისსა რაოდენთამე წელთა ჩვეულებისაებრ მოვიდეს ხაზარნი ბრძოლად დარუბანდისა. ხოლო მირიან წარვიდა შუელად დარუბანდისა, და ვიდრე იგი მუნ იყო წყობად ხაზართა, მაშინ უკუე მეფე გუთთა სპითა ურიცხჳთა შევიდა საბერძნეთს. ხოლო მეფე ბერძენთა შეკრბა სპითა დიდითა და წინააღუდგა. მაშინ მეფემან გუთთამან სთხოვა თავის-თავ ბრძოლა კეისარსა. ხოლო კეისარსა ვერ ძალ-ედვა ბრძოლა მისი. ხოლო მაშინ მუნ იყო იგი სპათა თანა ბერძენთასა ძე კოსაროს სომეხთა მეფისა, სახელით თრდატ, რომელი ვაჴსენეთ ზემოთ: აღზრდილ იყო იგი საბერძნეთს, და იყო იგი გოლიათი. მას ჟამსა შინა იყო იგი სპასთა თანა ბერძენთასა, და იგი გამოარჩიეს ყოველთა სპათა ბერძენთა, და შემო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნეს იგი შესამოსლითა და საჭურველითა კეისრისათა, დაბიბლიოთეკა
კეისრისსახედ გაუგზავნეს ბრძოლად გუთთა მეფესა. გამოვიდა მუნით გუთთა მეფე და მიეტევნეს ურთიერთს ბრძოლად: სძლო თრდატ და ჴელად შეიპყრა, და იოტეს ბანაკი გუთთა. ხოლო კეისარმან მისცნა სპანი თრდატს და გამოგზავნა სომხითს, მამულსა თჳსსა. გამოვიდეს სომხითს და გამოასხნეს სპარსნი ერისთავნი მირიანისნი.

მაშინ მირიან შეიქცა წყობისაგან ხაზართასა, და მოიყვანა სპარსეთით თჳსი მისი, ნათესავი მეფეთა, სახელით ფეროზ; და მან მოიტანა თანა სპა დიდი. და ამას ფეროზს მისცა მირიან ასული თჳსი ცოლად და მისცა ქუეყანა ხუნანითგან ბარდავამდე. მტკურისა ორივე კერძო, და დაადგინა იგი ერისთავად მუნ. და სხუაცა ძალი მოირთო სპარსეთით და უწყო ბრძოლად თრდატს. ხოლო ოდეს მოირთის ძალი თრდატ საბერძნეთით და მომართის მირიანს, და მას ვერ ძალ-ედვის წინააღდგომად, და გაამაგრნის ციხენი და ქალაქნი, და მოვლის თრდატ ქუეყანა მისი. და ოდეს განძლიერდის მირიან სპარსეთით, მაშინ ვერ წინააღუდგის თრდატ, და მოვლის მირიან სომხითი. და ესრეთ დაუცხრომელად იყვის შფოთი მათ შორის წელთა მრავალთა, და არავინ იპოვა ოდეს სპარსთა შორის მარტოდმბრძოლი თრდატისი. და სახელოვან იქმნა იგი ყოველსა ქუეყანასა, და სძლო ყოვლადვე მბრძოლთა მისთა. ვითარცა წერილ არს ამბავი მისი ცხორებასა სომეხთასა.

შემდგომად ამისსა მეფე იქმნა სპარსეთს მესამე ძმა მირიანისი და ბარტამისი, რომელმან მოუვლინა მირიანს მოციქული და რქუა: „რათა შევკრბეთ, და გარდავლოთ სომხითი, და შევიდეთ საბერძნეთად“. მაშინ გამოვიდა სპარსთა მეფე, და მიეგება მირიან, და შეკრბა სიმრავლე ურიცხჳ, ვითარცა თივანი ველთანი და ფურცელნი ხეთანი სიმრავლითა. და გარდაველეს სომხითი და ვერ წინააღუდგა თრდატ, არამედ განამაგრნა ციხე-ქალაქნი. და წარტყუენეს სომხითი და შევიდეს საბერძნეთად. და ვერ წინააღუდგა მათ ბერძენთა მეფე კოსტანტინე და შთავარდა მწუხარებასა დიდსა.

და ვითარ იწყეს ტყუენვად საბერძნეთისა, მაშინ არწმუნეს მეფესა კოსტანტინეს კაცთა ვიეთმე ღმრთისმსახურთა და რქუეს ვითარმედ: „ვიხილეთ საკჳრველება ქრისტესი და ძლევა მტერთა მოსავთა მისთაგან, ვითარ ყოველნი მოსავნი

ქრისტესნი წარძღუანებითა ჯუარისათა სძლევენ მტერთა მათ-
თა". ხოლო კოსტანტინე მეფემან ირწმუნა მათი, ვითარ-
წერილ არს ესე განცხადებულად მოქცევასა ბერძენთასა, ხა-
თელ-ილო კოსტანტინე, და წარმოიძღუანა სახე ჯუარისა, და
ეწყო მტერთა სპარსთა მათ ურიცხუთა სპითა მცირითა, და ძა-
ლითა ქრისტესითა აოტა ბანაკი მათი, და მოსრა სიმრავლე მათი.

და ივლტოდეს ორნივე იგი მეფენი მცირედითა მჯედრითა,
და მიუდგა უკანა კოსტანტინე, და შევიდა საზღვართა მათთა.
და სპარსთა მეფე შევიდა სპარსეთად მეოტი, ხოლო მირიან
დადგა ქართლად და განამაგრნა ციხე-ქალაქნი. უღონო იქმნა
მირიან და შეეშინა სრულიად ოტებასა ქართლით, რამეთუ
აწყუედილ იყვნეს წყობასა მას შინა ყოველნი წარჩინებულნი
მისნი, სპარსნი და ქართველნი. და ამისთჳსცა წარგზავნა მო-
ციქული წინაშე კოსტანტინე მეფისა, და ითხოვა მისგან
მშჳდობა, და აღუთქუა მას მსახურება და განდგომა სპარსთა-
გან და შემოდგომა მისდა. რომელი ესე სთნდა კოსტანტინეს,
რამეთუ შიში აქუნდა კუალადცა სპარსთა მეფისაგან და შემ-
წეობისათჳს დაეზავა მირიანს. და აღიყვანა შვილი მირიანისი
მძევლად, რომელსა ერქუა ბაქარ, და დაამოყურნა თრდატ და
მირიან, და ამზახნა ურთიერთას. რამეთუ მოსცა თრდატ ასული
თჳსი, რომელსა ერქუა სალომე, ძესა მირიანისსა ცოლად, რო-
მელსა ერქუა რევ. და განუჩინა საზღვარი მირიანს და თრდატს
ესრეთ: რომელთა ქუეყანათა მდინარენი დიან სამხრეთით და
მიერთვიან რაჭსსა, ესე ქუეყანანი თრდატის კერძად დაყარნა;
და რომლისა ქუეყანისა მდინარენი ჩრდილოთ დიან და მიერ-
თვიან მტკუარსა, ესე მირიანის კერძად დაყარნა. და ესე რა
განუგო კოსტანტინე მეფემან და შუამდგომელ ექმნა მათ, და
წარვიდა თჳსად სამეფოდ.

და მეფობდა მირიან მუნ ქართლს, რანს, ჰერეთს და მოვა-
კანს. და აქუნდა ეგრისიცა ვიდრე ეგრისწყლამდე; და მისცა
ძესა მისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი, და და-
სუა იგი უჯარმას, რევ და ცოლი მისი სალომე, ასული თრდატი-
სი, და ცხოვნდებოდეს იგინი უჯარმას. ხოლო ფეროზს, სიძესა
მირიანისსა, აქუნდა ქუეყანა, რომელი ზემო თავსა ვაჴსენეთ
მიცემულად მირიანისგან, და იყო იგი მუნ ერისთავად.

მას ჟამსა მოსრულ იყო წმიდა და ნეტარი დედა და ემბაზი
ჩუენი ნინო, და დაეყო მცხეთას შინა სამი წელი და განეცხა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ქება ქრისტეს სჯულისა, და იქმოდა კურნებათა თვნიერ წამლისა, და ჴმამაღლად იწყო ქებად სჯულსა ჭეშმარიტსა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისასა.

7. მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ

პირველად ვაჴსენოთ ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა და ყოვლისა ქართლისა განმანათლებელისა ნინო მოციქულისა, რომელი ესე თჳთ მანვე ნეტარმან მოგჳთხრა ჟამსა აღსრულებისა მისისასა, რომელი აღწერა მორწმუნემან დედოფალმან სალომე უჯარმელმან, ძისცოლმან მირიან მეფისამან, ასულმან თრდატ სომეხთა მეფისამან.

და იყო მათ ჟამთა შინა, ოდეს წმიდა გიორგი კაბადუკელი იწამა ქრისტესთჳს, იყო კაბადუკიათ ქალაქით კაცი ვინმე, მთავართა შესაბამი მონა ღმრთისა, სახელით ზაბილონ. და ესე წარვიდა ჰრომედ წინაშე მეფისა მსახურებად და ნიჭისა მოღებად მისგან. და მათვე დღეთა შინა კაცი ვინმე იყო კოლასტრას შინა, და ესხნეს მას ორ შვილ, ძე და ასული: და სახელი ძისა მისისა იობენალი, ხოლო ასულისა სოსანა. და აღესრულნეს მეუღლენი იგი, და დარჩეს და-ძმანი იგი ობლად, და აღდგეს და წარვიდეს იგინი ქალაქად წმიდად იერუსალემად. და იმედ-ყვეს იმედი იგი ყოველთა ქრისტიანეთა წმიდა აღდგომა, და მიევედრნეს მუნ. ვინაცა ძმა ესე იობენალი მიემთხჳა დევტალარობასა, ხოლო დაჲ იგი მისი სოსანა მსახურებდა ნიაფორსა სარა ბეთლემელსა.

ხოლო ესე ჭაბუკი კაბადუკელი, სახელით ზაბილონ, რომელი ვაჴსენეთ, მიიწია ჰრომედ წინაშე მეფისა. და აღდგომილ იყვნეს მას ჟამსა ბრანჯნი ბრძოლად ჰრომთა, ველსა ზედა პატალანისასა. და მოსცა უფალმან ძალი ზაბილონს, ჭაბუკსა მას კაბადუკელსა, უძლეველი, და ქმნა წინააღდგომა მტერთა მიმართ უზომოთა, და აოტნა ბრანჯნი, და შეიპყრა მეფე ბრანჯთა და ყოველნი იგი მთავარნი მათნი, და მიიყვანნა იგინი წინაშე მეფისა. ხოლო მეფემან განაწესა სიკუდილი მათი. მაშინ იწყეს ტირილად ბრანჯთა მათ, და ევედრებოდეს ზაბილონს:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მოგუეც პირველად სჯული თქუენი და შეგვყვანენ ტაძარსა ღმრთისა თქუენისასა, და მაშინღა იყავნ სიკუდილი ჩუენი, რამეთუ შენვე გვპყრენ და შენვე ყავ ესე ჩუენ ზედა, და უბრალო იქმნე სისხლისა ჩუენისაგან, ახოვანო“.

ხოლო ზაბილონს ვითარცა ესმა ესე, მსწრაფლ აუწყა მეფესა და პატრიაქსა სიტყუა მათი. და მოსცეს ნათელი ჴელსა ქუეშე ზაბილონისსა. და შეიყვანნეს ტაძარსა შინა ღმრთისასა, აზიარნეს წმიდათა საიდუმლოთა, ჯორცსა და სისხლსა ქრისტესსა, და უჩუენნეს მათ დიდებანი იგი მოციქულთანი.

და დილეულ ადრე ადგეს ბრანჯნი იგი, და შეიმოსეს სამოსელი სამკუდრო, და განვიდეს ადგილსა მას კაცისსამკლველოსა და წისხლისდასათხეველსა, ილოცვიდეს და ჰმადლობდეს ღმერთსა ნათლისღებისათჳს და იტყოდეს: „ჩუენ სიკუდილსა შინა უკუდავ ვართ, რამეთუ ღირს-გუყვნა ღმერთმან ესევითარსა დიდებასა მიღებად საგზალსა მას დაულევნელსა, ჯორცსა და სისხლსა ქრისტეს ძისა ღმრთისა უკუდავისასა, რომელი უმაღლეს არს ყოველთა მთათა და უჴუესკნელეს ყოველთა უფსკრულთა, რომელი იგი არს კურთხეულ უკუნისამდე. ხოლო ვაი ნაშობთა ჩუენთა, ნაყოფთა ხიმწარისათა და მკვდრთა ბნელისათა“. და ჰმობდეს: „მოვედინ მეჯრმლე და აღიხუენ თავნი ჩუენნი ჩუენგან“.

ამას რა ხედვიდა ზაბილონ, აღიძრა გონებითა და ტიროდა მწარედ. რამეთუ ვითარცა ცხოვართა თავნი მათნი წარკუეთად მოიდრიკნეს, და მოსიკუდიდ მიეპყრნეს, და ვითარცა კრავთა შვილთა მათთა საწყალობელად იგლოვდეს.

მაშინ მოწყალე ქმნული მათთჳს შევიდა ზაბილონ წინაშე მეფისა და გამოითხოვნა იგინი მეფისაგან სამკუდროდ შეკაზმულნი, და მიმადლნა მეფემან და რქუა: „მიმინიჭებია იგინი შენდა, და, რაჲცა გნებავს, უყავ მათ“. და განუტევნა იგინი.

ხოლო იგინი ევედრებოდეს ზაბილონს, რათა წარყვეს ქუეყანასა მათსა და მისცეს სჯული ქრისტესი, ნათლისღება წყლითა ყოველსა ერსა მათსა. ხოლო მან ისმინა ვედრება მათი, და მოითხოვა მღდელი პატრიაქისაგან; და ბრძანება მოიღო მეფისაგან. და წარვიდეს სიხარულით.

და ვითარ მიეახლნეს დღისა ერთისა სავალსა, მივიდა წინა ამბავი, ვითარმედ: „მეფე ცოცხალი არს, მოვალს, და ყოველნი მთავარნი მის თანა“. მაშინ შეიძრნეს ათნი საერისთავონი;

ხოზამა, ხოზა, გაახილაჯა, ტენებაგა, ხინგარაგი, ზიჯა, ზაგა, ზადა, ზარმა და თმონიდი სამეფო. და მიეგებვოდეს ესე ყოველნი მდინარესა ზედა დიდსა და ღრმასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და განყო მეფემან ერი იგი და დაადგინა წყალსა იმიერ და ამიერ. და აკურთხეს მღდელთა მათ წყალი იგი, და შთაჴდა ყოველი ერი იგი წყალსა მას, განიბანნეს და აღმოვიდეს აღმოსავალსა ერთსა, და დასდებდა ზაბილონ ჴელსა თჳსსა ყოველსა მას ერსა. და იყო მუნ ათ დღე. და აზიარნა ერნი იგი ყოველნი საიდუმლოსა ქრისტესსა, დაუტევნა მღდელნი და განუწესა ყოველი წესი ქრისტიანობისა.

ამისა შემდგომად იჴმნა მათგან, დაუტევა მშჳდობა ყოველთა და წარვიდა, ნიჭითა დიდითა, ჰრომედ, და განიზრახა გონებასა თჳსსა: „წარვიდე იერუსალემად და ვამსახურო ნიჭი ესე ჩემი ადგილთა ღმრთისათა“. წარვიდა იერუსალემს და, ვითარ მიიწია იერუსალემად, განუყო ყოველი იგი მონაგები თჳსი გლახაკთა, მცნებისათჳს ღმრთისა. დ აიხილა, რამეთუ პირველჴსენებული იგი დევტალარი პატრიაქ ქმნილ იყო; და ფრიად დაიმეგობრნეს ურთიერთას ზაბილონ და პატრიაქი იგი.

მაშინ რქუა სარა ნიაფორმან პატრიაქსა ესრეთ, ვითარმედ: „ესე ზაბილონ, მამა და ემბაზი ბრანჯთა, კაცი სრული ღმრთისმოშიშობითა და სიბრძნითა არს ყოვლადვე; მიეც უკუე დაჲ შენი სოსანა ცოლად მისდა. ვინაცა სთნდა წმიდასა პატრიაქსა განზრახვა ესე სარა ნიაფორისა, და მისცა სოსანა ცოლად ზაბილონს, და წარვიდა ზაბილონ თჳსად ქალაქად კოლასტრად.

ესე წმიდა ნინო, მოძღუარი ქართლისა, მათგან იშვა ოდენ მხოლოდ, თჳნიერ სხჳსა შვილისა. და აღზარდა დედამან მისმან სოსანა მსახურებასა შინა გლახაკთასა.

ხოლო ვითარ იქმნა ნინო თორმეტისა წლისა, მაშინ განყიდეს მშობელთა მისთა ყოველივე, რაცა აქუნდა, და წარვიდეს იერუსალემად და განუყვეს გლახაკთა. ხოლო მი-რა-იწივნეს იერუსალემად, მაშინ ზაბილონ დაიწერა ჯუარი პატრიარქისაგან და იჴმნა ცოლისაგან თჳსისა, და შეიტკბო მკერდსა თჳსსა ასული თჳსი წმიდა ესე ნინო, და დაყარნა, ვითარცა წყარონი, ცრემლნი თუალთაგან პირსა მისსა და რქუა: „შენ მხოლოო ასულო ჩემო, ესერა დაგიტეობ ობლად ჩემგან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიგათუალავ შენ მამასა ზეცათასა და ყოველთა მზრდელსა ღმერთსა. რამეთუ იგი არს მამა ობოლთა და მსაჯული ქურივთა. ნუ გეშინინ, შვილო ჩემო, ხოლო შენ მარიამ მაგდანელისა შური აღიღე ქრისტეს სიყუარულისათჳს და დათა მათ ლაზარესთა. და უკუეთუ შენ ეგრეთ შეიყუარო იგი, ვითარცა მათ შეიყუარეს, მან ეგრეთვე მოგცეს შენ ყოველივე, რაცა ითხოო მისგან".

ხოლო ესე რა თქუა, დაუტევა ამბორის-ყოფა საუკუნო და წარვიდა წიაღ იორდანესა კაცთა მათ თანა ველურთა, სადაიგი ყოფა მისი უწყის ღმერთმან, ყოვლისა მეცნიერად დამბადებელმან.

ხოლო დედა იგი ნინოსი მისცა პატრიაქმან მსახურად გლახაკთა დედათა და უძლურთა. და წმიდა ნინო მსახურებდა ნიაფორსა სომეხსა დვინელსა ორ წელ, და ჰკითხვიდა ყოვლადვე ვნებათა მათთჳს ქრისტესთა: ჯუარცმისა, დაფლვისა და აღდგომისა მისისა, და სამოსლისა მის და ტილოთა და სუდარისა, და ჯუარისა და სხჳსა ყოვლისავე შემდგომითი შემდგომად გამოეძიებდა, რამეთუ არვინ ყოფილ-ყო და არცავინ იყო შორის იერუსალემისა სწორ მისსა მეცნიერებითა სჯულისა, ძველისა და ახლისათა, ყოველსავე ზედამიწევნით. ხოლო იწყო უწყებად მისა და რქუა: „ვხედავ, შვილო ჩემო, ძალსა შენსა ვითარცა ძალსა ლომისა ძუისასა, რომელი იზახებნ ყოველთა ზედა ოთხფერჯთა, გინა ვითარცა ორბი დედალი, რომელი აღვიდის სიმაღლესა ჰაერთასა უფროს მამლისა, და ყოველი ჴმელი გუგასა შინა თუალისა მისისასა მცირისა მარგალიტისა სწორად შეიყვანის, განიხილის და განიცადის საჴმელი მისი ცეცხლებრ. ხოლო იხილის რა, მიუტევნის ფრთენი და მიეტევის მას ზედა. ეგრეთვე სახედ იყოს ცხოვრება შენი წინამძღურებითა სულისა წმიდისათა".

ხოლო აწ ვიწყო და მიგითხრა ყოველივე. რამეთუ ოდეს იხილეს ღმერთი იგი უკუდავი კაცთა მოკუდავთა ქუეყანასა ზედა, რომელი მოსრულ იყო მოწოდებად წარმართთა, ვითარცა თჳთ უნდა ჴსნა სოფლისა, იწყო კეთილის-ყოფად ჰურიათა: მკუდართა აღდგინებად, ბრმათა ახილვად, სნეულთა განკურნებად. რომელი ესე შეიშურვეს და შეიზრახნეს, და წარავლიწეს სტრატიოტნი ყოველსა ქუეყანასა მსწრაფლ მოს-

ლვად ჰურიათა და თქუეს, რამეთუ: „აჰა, ესერა წარვწყდმე-
ბით, მოვედით და შემოკერბით ყოველნი“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაშინ მოიწივნეს ყოვლით ქუეყანით კაცნი ურიცხუნი, სწავლულნი სჯულსა მოსესსა, რომელნი-იგი წინააღუდგეს სულსა წმიდასა, და რა-იგი ჯერ იყო ყოფად ქრისტესა, მათ აღასრულეს: რამეთუ ჯუარს-აცუეს და სამოსელსა მისსა ზედა წილი იგდეს, და წუდა წილითა მით ჩრდილოელთა მცხეთელთა მოქალაქეთა კუართი იგი უკერავი. ხოლო დაფლეს რა მათ ჰურიათა ქრისტე, და დაკრძალეს და დაბეჭდეს საფლავი იგი მისი. არამედ იგი აღდგა, ვითარცა თქუა პირველად, და ტილონი იგი პოვნეს საფლავსა მას შინა. ვითარ განთენა, ესე ყოველი წარმოიცა. და მოვიდა პილატეცა და ცოლი პილატესი ქრისტეს საფლავად. და ტილონი იგი, ვითარ პოვნეს, მოიხუნა ცოლმან პილატესმან და წარვიდა მსწრაფლ პონტოდ, სახლად თჳსად, და იქმნა მორწმუნე ქრისტესა.

ხოლო შემდგომად ჟამთა რაოდენთამე მივიდეს ჴელთა ლუკა მახარებლისათა, და დასხნა მან იგინი სადაცა თჳთ უწყის. ხოლო სუდარი არა იპოვა, დაღაცათუ თქუეს ვიეთმე პეტრეწთჳს, ვითარმედ: „ჴელ-ეწიფა ახუმადო და აქუნდეს მასო“. არამედ განცხადებულად არა გჳთხრეს, ვითარ სხუა იგი. ხოლო ჯუარნი იგი ამასვე ქალაქსა შინა იერუსალემსა დამარხულ არიან, გარნა ადგილი მათი არავინ უწყის; ოდეს ინებოს ღმერთმან, გამოჩნდნენ იგინიცა. ვითარცა ესმა ესე ყოველი წმიდასა ნინოს ნიაფორისაგან, მაშინ შეწირა ღმრთისა მადლობა და აკურთხა. და კუალად ჰკითხა მას, თუ „სადა არს ჩრდილოსა იგი ქუეყანა, სადათ-იგი მოსრულთა მათ ჰურიათა წილ-ხუდა და წარიღეს სამოსელი იგი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი“. მიუგო და რქუა ნიაფორმან, ვითარმედ: „არს ალმოსავლეთით ქალაქი სახელით მცხეთა, ქუეყანა ქართლისა და სომხითისა — მთეულეთი საწარმართო, არამედ ჟამსა ამას უჟიკთა საჴელმწიფოდ შექმნილ არს იგი“.

ხოლო მათ დღეთა შინა მოვიდა დედაკაცი ვინმე ეფესოთ თაყუანის-ცემად წმიდისა აღდგომისა, და ჰკითხვიდა დედაკაცსა მას ნიაფორი, ვითარმედ: „ელენე დედოფალი ეგრეთსავე ცთომილებასა და ბნელსა შინა არსა?“. ხოლო მან რქუა ესრეთ, ვითარმედ: მე ვარ მჴევალი მათი და მეცნიერი განზრახვასა მათსა ყოველსა, ცხადსა და დაფარულსა, და უწყი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მისი, რამეთუ აქუს მას დიდი წადიერება ქრისტეს სჯულისა
და ნათლისღებისათჳს".

ხოლო ესმა რა ესე დედაკაცისა მისგან წმიდასა ნინოს, რქუა ნიაფორსა ესრეთ, ვითარმედ: „წარმგზავნე მე და მივიდე წინაშე დედოფლისა ელენესსა, ნუუკუე მივიახლო მის წინაშე სიტყჳს-გებად ქრისტესთჳს". ხოლო ნიაფორმან აუწყა პატრიაქსა წადიერება ესე და საქმე ნინოსი. ხოლო დედისძმამან მოუწოდა წმიდასა ამას ნინოს, დისწულსა თჳსსა, და დაადგინა იგი აღსავალსა წმიდისა საკურთხეველისასა; და დასხნა ჴელნი მისნი წმიდანი მჯართა მისთა ზედა, სულთ-ითქუნა ცად მიმართ სიღრმითა გულისა მისისათა და თქუა: „უფალო, ღმერთო საუკუნეთაო, ჴელთა შენთა შევვედრებ ობოლსა ამას შვილსა დისა ჩემისასა, და წარვავლინებ ქადაგებად ღმრთეებისა შენისა, რათა ახაროს აღდგომა შენი; სადაცა სათნო-იყო სრბა მისი, ექმენ, ქრისტე ღმერთო, ამას მოგზაურ, ნავთსადგურ, მოძღუარ და ენა მეცნიერ, ვითარცა-იგი წიხათა მათ მოშიშთა სახელისა შენისათა".

და უჯმნა დედისაგან თჳსისა ამბორის-ყოფითა განშორებისათა და გამოსახა მას ზედა სასწაული ჯუარისა; და ესრეთ ლოცვითა ღმრთისა მიმართ და კურთხევითა განუტევა.

და წარემართა წმიდა ნინო დედაკაცისა მის თანა, ეფესოთ მოსრულისა, და ვითარ მიიწივნეს სამეფოსა ჰრომს სახიდ დედაკაცისა, რომლისა-იგი თანამოგზაურ იქმნა, პოვეს მუნ დედოფალი ვინმე მეფეთა ნათესავი, სახელით რიფსიმე, და დედამძუძე მისი გაიანე, მონასტერსა შინა ქალწულთასა, რომელთა ქრისტეს აღსარებისათჳს სუროდა და ელოდეს იერუსალემით ნათლისღებასა.

მაშინ დედაკაცმან მან მოიყვანა წმიდა ნინო და მისცა წმიდასა რიფსიმეს, და აუწყა საქმე მისი, რომელი-იგი იხილა რა ქრისტესმოყუარემან რიფსიმე, სიხარულით შეიტკბო და შეიწყნარა სახიდ თჳსად, წინაშე მისსა, წმიდა ნინო ჴელითგან მის დედაკაცისა თანამოგზაურისა.

და ესრეთ იყოფვოდა რა მის თანა წმიდა ნინო, მასვე შინა წელიწადსა ნათელი-ღო რიფსიმე, რომლისათჳს იგი სურვიელ იყო; მის თანა გაიანეცა დედამძუძემან მისმან და სხუათა მათ სახლეულთა მისთა, რიცხჳთა ორმოცდაათმან სულმან სხუამან; და უმრავლესთა მათგანთა ჴელსა ქუეშე წმიდისა ნინოსსა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნათელ-იღეს. და წარვიდეს ესე ყოველნი მონასტერსა თჳსსა, და იყო მათ თანა წმიდა ნინო ორ წელ.

მათ დღეთა შინა გამოგზავნნა კეისარმან ძებნად ქალისა ქმნულ-კეთილისა და შუენიერისა, რათამცა უპოვეს ღირსი ცოლად მისა. და ვითარ მოიწივნეს მონასტერსა მას ქალწულთასა მეძიებელნი იგი, და იხილეს რიფსიმე, და განიცადეს ხატი მისი და გამოიკითხეს გუარი მისი, რამეთუ არავინ იყო მსგავსი რიფსიმესი სახითა. და გამოსახეს ხატი მისი ფიცარსა ზედა, და წარგზავნეს წინაშე კეისრისა. სთნდა კეისარსა და აღივსო სიხარულითა, და განაწესა აღსრულება ქორწილისა მრავლითა სიხარულითა. რომლისთჳსცა მსწრაფლ წარავლინნა მოციქულნი და განმგებელნი ყოველთა შინა საბრძანებელთა მისთა, რათა ყოველნი ძღუნითა შემოკრბენ და დიდითა სიხარულითა მოვიდენ ბრძანებასა მეფისასა და ქორწილსა სამეუფოსა.

ხოლო იხილეს რა ყოვლად წმიდათა მათ დაფარული იგი მანქანება მტერისა და ისარნი მისნი განჴურვებულნი, რომლითა-იგი ისწრაფდა სისრად წმიდათა ქალწულთა, იურკოდეს, რამეთუ ჴური რისხვისა იპოვა მეფე, ვითარცა გუელი რომელ სამოთხესა შინა მსახველ ექმნა, ეგრეთვე აქა მსგავსად მისსა უსჯულო ესე, რომელსა აქუნდა შეგინებული თაყუანის-ცემა ბილწთა და საძაგელთა კერპთა.

ხოლო იხილეს რა ნეტარმან რიფსიმე, გაიანე და სხუათა მათ წმიდათა და ყოვლად ქებულთა დედათა განსაცდელი ესე მათ ზედა მოწევნულად, მაშინ მოიკსენეს მათ უბიწო იგი აღთქმა და ღირსი ქებისა მარტოებით ცხოვრება, რომელსა-იგი იყვნეს განსწავლულ, და გოდებით ტიროდეს გამოხატვით შესწავებისა მისთჳს წინაშე მეფისა უსჯულოსა შუენიერებისა წმიდისა რიფსიმესა, რომელი-იგი გამოეხატა და წარგზავნეს. ილოცვიდეს დაუცხრომელად და უფიცხელესთა კანონთა შეაყენეს თავნი მათნი, ევედრებოდეს ღმერთსა ყოვლად მოწყალესა მრავლითა ვედრებითა. და ერთობით განზრახვითა ურთიერთას ყოველთავე დაუტევეს ქუეყანა იგი ფარულად ორმოცდაცამეტმან სულმან.

და მოვიდეს ლტოლვილნი არეთა სომხითისათა, ადგილსა მას, რომელსა ჰქჳან ახალქალაქი, უალერეს შენებულსა, რომელ არს დვინი, საყოფელი სომეხთა მეფისა. და შევიდეს მუნ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საწნახელთა ვენაჯისათა, რომელი შენებულ არს ჩრდილოთ კერძ და აღმოსავალით, და იზარდებოდეს მუნ შინა ჴელთ-საქმრისაგან ვაჭრობით.

ხოლო კეისარი აღივსო მწუხარებითა და წარავლინნა კაცნი ყოველთა ადგილთა მოძიებად მათდა. მაშინ მოიწივნეს მოციქულნი კეისრისანი წინაშე თრდატ სომეხთა მეფისა და მოართუეს წიგნი კეისრისა, რომელსა წერილ იყო ესრეთ:

„თჳთმპყრობელი კეისარი საყუარელსა ძმასა და მეგობარსა და თანამოსაყდრესა ჩემსა თრდატს გიკითხავ. უწყებულ იყავნ ძმობა შენი და თანაშემწეობა, რომლისათჳს-იგი ყოვლადვე გუეგნების შეცთომილისა მისგან ქრისტიანეთა ნათესავისა. რამეთუ ყოვლადვე შეურაცხ იქმნების ჩუენი უფლება მათისაგან კრებულისა, და საწუნელ არს ჩუენი ჴელმწიფება მათგან. რამეთუ იგინი ჯუარცმულსა ვისმე მომკუდარსა მსახურებენ და ძელსა თაყუანის-ცემენ, და ძუალებსა კაცთასა პატივ-სცემენ, და თავისა მათისა სიკუდილი უფლისა მათისათჳს დიდებად შეურაცხიეს და არა ეშინის ჰურიათაგან და ჰურიათა ჯუარცმულისაგან ეშინიან და შეცდომილ არიან; მეფეთაც აგინებენ, ღმერთთა შეურაცხ-ჰყოფენ, და ძალსაცა ნათლისა მზისა და მთოვარისასა და ვარსკულავთასა არად შერაცხენ, არამედ შექმნულად იტყჳან მათ ჯუარცმულისა მის მიერ. და ესრეთ მიაქციენ ქუეყანა, ვიდრემდის მამანი დედათაგან და დედანი მამათაგან ცოცხლივ განეშორნეს. დაღაცათუ დიდითა ქადებითა და ფრიადითა სატანჯველითა მოვსწყჳდენით, არამედ კუალადცა უფროსად განმრავლდეს. ხოლო აწ შემემთხჳა მე ხილვად ნათესავისა მათისაგან ჭაბუკი ერთი ქალი, და განვიზრახე მოყვანება მისი ცოლად ჩემდა. ხოლო ჵას არა თუ ვითარცა მეფისა გული უთქმიდა სურვილებად ჩემდა, არამედ საძულელადცა და არაწმიდად შემრაცხეს. რომლითაცა მეოტ იქმნნეს ფარულად ჩემგან. და კერძოთა ქუეყანისა შენისათა წარმოსრულ არიან. უწყებულ იყავნ შენდა, ძმაო ჩემო, მოიძიეთ იგინი და, პოვნე რა, მისთანანი იგი სიკუდილით მოაკუდინენ. ხოლო რომელი-იგი შეაცთუნეს, შუენიერი ხატითა და სახელით რიფსიმე, ჩემდა წარმოავლინე. და უკუეთუ შენ გთნდეს, თავისა შენისათჳს იგულე, რამეთუ არავინ იპოვა სხუა, მსგავსი მისი, ითნთა სოფელსა შინა. და ცოცხლებით იყავნ ღმერთთა მსახურებით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო ვითარცა წარიკითხა თრდატ ბრძანება ესე კეისრისა, მსწრაფლ იწყო ძიებად მათდა, და პოვნა იგინი საწნეხელთა მათ შინა პირველჴსენებულთა.

და იხილა რა რიფსიმე, აღივსო გულისთქმითა და განიხარა სიხარულითა დიდითა, და განიზრახა ცოლად მოყვანება მისი. ხოლო არა ერჩდა წმიდა რიფსიმე. მაშინ იწამა იგი, დედამძუძე მისი გაიანე და სხუანი მრავალნი მათთანანი, ვითარცა წერილ არს წამება მათი და სასწაული მოქცევასა შინა სომეხთასა, რამეთუ მადლითა ღმრთისათა იქმნა მეფე თრდატ ეშუად. ხოლო რომელნიმე მათ წმინდათაგანნი დაიმალნეს და ივლტოდეს.

მაშინ ესე წმიდა ნინო დაიმალა ეკალთა შორის ვარდისათა, რომელი-იგი ჯერეთ არა ყუაოდა მას ჟამსა. და ოდეს-იგი აღმოვიდოდეს სულნი წმიდათა მათ მოწამეთანი, იხილა წმიდამან ნინო სტეფანეს მსგავსი დიაკონი, ჩამომავალი ოლარითა ნათლისათა; და ჴელთა მისთა აქუნდა სასაკუმევლე, რომლისაგან გამოვიდოდა კუამლი სულნელებისა, რომელი ცათა დაფარვიდა, და მის თანა სიმრავლე ერთა ზეცისათა. და მათ შეერთნეს სულნი წმიდათა მოწამეთანი.

რომელი ესე იხილა რა ესრეთ წმიდამან ნინო. ღაღად-ყო ესრეთ: „უფალო, უფალო, რად დამიტეობ მე შორის ასპიტთა და იქედნეთა". მაშინ ჴმა ესმა ზეგარდამო, რომელი ეტყოდა, ვითარმედ: „ესრეთვე იყოს წარყვანება შენი, ოდეს ეგე ეკალი, რომელი არს გარემოს შენსა, ყოველი იქმნს ვარდისფურცელ სურნელ. აღდეგ და ვიდოდე ჩრდილოთ კერძო, სადა-იგი არს სამკალი ფრიად და მუშაკი არა".

და წარმოვიდა მუნით წმიდა ნინო და მოვიდა ორბანთად, საზღვართა სომხითისათა, და მუნ დაიზამთრა ჭირთა შინა მრავალთა .და თუესა მეოთხესა, რომელ არს ივნისი, წარმოემართა და მოიწია მთათა ჯავახეთისათა, სადა-იგი მიემთხუა ტბასა დიდსა გარდამდინარესა, რომელსა ჰქუან ფარავნა. ხოლო მიხედნა რა მუნით, და იხილნა მთანი ჩრდილოსანი; რამეთუ დღეთა მათ ზაფხულისათა იყვნეს სავსენი თოვლითა და ჰაერითა სასტიკითა. და შეძრწუნდა წმიდა ნინო და თქუა: „უფალო, უფალო, მიიღე სული ჩემი ჩემგან".

და დაყო მუნ ორი დღე და ითხოვა საზრდელი მეთევზურისაგან, ტბასა მას შინა მონადირეთასა. და მწყემსნიცა იყვნეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მასვე ადგილსა და ჯუმილვიდეს საჯუმილავსა ღამისასა ერისა
წყსოსა მათსა ზედა; და ხადოდეს ღმერთთა მათთა არმაზს და
ზადენს. და აღუთქმიდეს მათ შესაწირავთა: „ოდეს მოვიდეთ
მშჯდობითო“.

ხოლო წმიდა ნინო მეცნიერ იყო მცირედ ენასა სომხურსა,
რამეთუ პირველ ესწავლა ნიაფორისგან, და პოვა მწყემსთა
მათ შორის სომხურად მზრახველი და ჰკითხა მას, ვითარმედ:
„რომლისა სოფლისანი ხართ?“ ხოლო მან მიუგო და რქუა,
ვითარმედ: „დაბით ელარბინით და საფურცლით, და ქინძა-
რელნი, რაბატელნი-დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთ-
ნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“. და ჰკითხა თუ „სადათ არს
მცხეთა?“ ხოლო მწყემსმან მან ესრეთ ოდენ აუწყა, რომელ
შდინარე გასდის ტბასა ამას მცხეთას მისლვად.

ხოლო წმიდამან ნინო დაიდვა ლოდი სასთუნალ, დაწვა და
დაიძინა გარდასადინელსა მის ტბისასა. და ვითარ-იგი ეძინა,
მოვიდა კაცი ერთი ჩუენებით, ასაკითა ზომი და თმითა ნახე-
ვარომოსანი. და მოსცა მან წიგნი დაბეჭდული წმიდასა ნინოს
და რქუა: „მიართუ ესე მცხეთას მეფესა მას წარმართთასა“.
ხოლო წმიდამან ნინო იწყო ტირილად და ვედრებად მისა:
„უფალო, მე დედაკაცი ვარ უცხო და უმეცარი, და არცა ვი-
ცი ენა, ვითარ მივიდე უცხოსა ქუეყანასა და უცხოთა ნათე-
სავთა თანა“. მაშინ კაცმან განუჯსნა წიგნი იგი, და მისცა
კითხვად, და წერილ იყო ჰრომაელებრ და ბეჭედი იყო იესო-
სი. დაწერილ იყვნეს წიგნსა მას შინა ათნი სიტყუანი.

ა̄. სადაცა იქადაგოს სახარება ესე, მუნცა ითქუას დე-
დაკაცი ესე.

ბ̄. არცა მამაკაცება არს, არცა დედაკაცება, არამედ
თქუენ ყოველნი ერთ ხართ.

გ̄. წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი
და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისათა, და ძისათა, და
სულისა წმიდისათა.

დ̄. ნათელი გამობრწყინდა წარმართთა ზედა დიდებად
ერისა შენისა ისრაელისა.

ე̄. სადაცა იქადაგოს სახარება ესე სასუფეველისა,
მუნცა ითქმოდინ ყოველსა სოფელსა.

ვ̄. რომელმან თქუენი ისმინოს და შეგიწყნარნეს, მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემიწყნარა; და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მო-
მავლინებელი ჩემი.

ზ. რამეთუ ფრიად უყუარდა მარიამ უფალსა, რამეთუ
მარადის ისმენდა მისსა სიტყუასა ჭეშმარიტსა.

ᲗᲘ. ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოწყჳდნენ ჯორ-
ცნი თქუენნი, ხოლო სულისა ვერ შემძლებელ არიან მოწყუე-
დად.

თ. რქუა მარიამ მაგდანელსა იესო: „წარვედ, დედაკა-
ცო, და ახარე დათა და ძმათა ჩემთა“.

ი. სადაცა ქადაგებდეთ სახელითა მამისათა, და ძისათა
და სულისა წმიდისათა.

ვითარცა წარიკითხნა სიტყუანი ესე წმიდამან ნინო, იწყო
ვედრებად ღმრთისა მიმართ და გულისხმა-ყო, ვითარმედ ზე-
ცით იყო ჩუენება იგი. და აღიხილნა თუალნი ზეცად და ხვა-
ლისაგან ითხოვა შეწევნა მისი.

და შემდგომად ამისსა წარემართა მდინარესა მას ტბისასა,
და იყო დინება მისი დასასვლეთით კერძო. და მიუდგა გზათა
ძნელთა და ფიცხელთა, ნახნა ჭირნი დიდნი გზათაგან და შიში
დიდი მჴეცთაგან, ვიდრეღა მიიწია ადგილსა მას, სადა წყალ-
მან აღმოსავლით იწყო დინება. და მიერითგან იქმნა ლხინება
მისი, რამეთუ პოვნა მუნ მოგზაურნი, რომელთა თანა მიიწია
სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა მას, რომელსა ეწოდების ურ-
ბნისი, სადა-იგი იხილა ერი უცხოთა თესლთა ღმერთთა მსა-
ხური; რამეთუ ცეცხლსა, ქვათა და ძელთა ღმერთად თაყუანი-
სცემდეს. რომლისათჳსცა შეეურვა სულსა ამის წმიდისასა და
შევიდა ბაგინსა ჰურიათასა ენისათჳს ებრაულისა, და დაყო
მუნ თუე ერთი, და განიცდიდა ძალსა ამის ქუეყანისასა.

მაშინ დღესა ერთსა აღიძრნეს ერნი დიდნი მით ქალაქით,
წარმავალნი დიდად ქალაქად სამეუფოდ, მცხეთად, მოვაჭრე-
ბად საჴმართა რათამე და ზორვად წინაშე არმაზ ღმრთისა მა-
თისა. და წარჰყვა წმიდა იგი მათ თანა. ხოლო ვითარ-იგი მი-
იწივნეს ქალაქად მცხეთად, წიაღ მოგუთასა ჯიდსა ზედა, და
დადგეს მუნ. და ხედვიდა წმიდა ნინო ცეცხლისმსახურთა მათ
ერთა მოგუებასა და ცთომასა; და ტიროდა წმიდა ნინო წარ-
წყმედასა მას ზედა მათსა, და იგლოვდა უცხოებასა თჳსსა.

და აჰა ესერა, ხვალისა დღე იყო ჴმა ოხრისა და საყჳრისა;
გამოვიდა ერი ურიცხჳ, ვითარცა ყუავილნი ველიხანი, და ზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი საშინელი გამოვიდოდა, და ჯერეთ მეფე არღა გამოჩენილ-
იყო. და ვითარ მოიწია ჟამი, იწყო სივლტოლა და მი-და-მო-
მალვა ყოვლისა კაცისა, შიშითა საფარველსა თჳსსა შეივლტოდა.
და აჰა, მყის გამოვიდა დედოფალი ნანა, და ნელიად მოვიდო-
და ერი. და შეამკუნეს ყოველნი ფოლოცნი თჳთოფერითა სა-
მოსლებითა და ფურცლითა. და იწყო ყოველმან ერმან ქებად
მეფისა. მაშინ გამოვიდა მირიან მეფე საზარელითა და თუალ-
შეუდგამითა ხილვითა.

და ჰკითხა წმიდამან ნინო დედაკაცსა ვისმე ჰურიასა, ვი-
თარმედ: „რა არს ესე?“ ხოლო მან რქუა; „ღმერთი ღმერთთა
არმაზ მიუწესს, რომელ არა არს მისსა გარეშე სხუა კერპი“. მა-
შინ მყის უკუე წარვიდა წმიდა ნინო ხილვად არმაზისსა. და აღი-
ვსნეს მთანი იგი დროშებითა და ერითა, ვითარცა ველნი ყუა-
�ილითა.

ხოლო წმიდამან ნინო შეუსწრო ციხედ არმაზად, და დადგა
იგი მახლობელად კერპისა მის ნაპრალსა ზღუდისასა. და ხედ-
ვიდა საკჳრველებასა მიუწდომელსა და ენითა გამოუთქმელსა,
ვითარღა იყო ზარის-აღსაჯდელი იგი შიში მეფეთა, მთავართა
და ყოვლისა ერისა წინაშე კერპთა მათ წარმოდგომილთა. და
იხილა წმიდამან ნინო, რამეთუ დგა კაცი ერთი სპილენძისა,
და ტანსა მისსა ეცუა ჯაჭჳ ოქროსი, და თავსა მისსა ჩაბალახი
მყარი, და თუალნი ესხნეს ზურმუხტი და ბივრიტი, და ჴელთა
მისთა აქუნდა ჴრმალი ბრწყინვალე, ვითარცა ელვა, და იქცე-
ოდა ჴელთა შინა. უკუეთუ ვინმე შეეხებიან, თავი თჳსი სიკუ-
დილად განწირის და იტყჳნ: „ჰ ჩემდა, ნუუკუე და-სამე-ვაკ-
ლე დიდებასა დიდისა ამის ღმრთისა არმაზისსა, ანუ შე-სამე-
ვსცეთ სიტყუად ებრაელთა განა, გინა მოგუთა თანა სმენისა;
და რომელ იტყჳან უცებნი უცხოსა ვისთჳსმე ღმრთისა, ნუ-
უკუე პოოს რამე ბიწი და მცეს მე მახჳლი იგი მისი, რომლი-
საგან ეშინის ყოველსა“. და შიშით თაყუანი-სცემენ მას.

და კუალად იყო მარჯუენით მისსა კაცი ოქროსი და სახე-
ლი მისი გაცი; და მარცხენით მისსა უდგა კაცი ვეცხლისა, და
სახელი მისი გაიმ, რომელნი-იგი ღმერთად უჩნდეს ერსა მას
ქართლისასა.

მაშინ ტიროდა და სულთ-ითქუმიდა ნეტარი ნინო ღმრთი-
სა მიმართ ცთომათა მათთათჳს ქუეყანისა ჩრდილოსა, მიფარ-
ვასა მათგან ნათლისასა და უფლებასა მათ ზედა ბნელისასა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამეთუ მიხედნა მეფეთა მათ დიდძალთა და ყოველთა მთავართა, რომელნი ცოცხლებით შთაენთქნეს ჯოჯოხეთსა, დაეტევა დამბადებელი, და ქუათა და ძელთა, სპილენძსა და რკალსა განჭედილსა ღმერთად თაყუანი-სცემენ და ესენი იცოდეს ყოვლისა შემოქმედად. მაშინ მოეკსენა სიტყუა იგი, რომელი ამცნო იობენალ პატრიაქმან, წმიდამან მამამან, ვითარმედ: „მამაკაცსა სრულსა წარგავლინებ, და მიწევნად ხარ ქუეყანასა უცხოსა და ნათესავთა დარაგეველ ზეფელ ბაკადულ, რომელ არს ბრანჯულად: „კაცთა ღმრთისმჯდომთა“.

მაშინ აღიხილნა ზეცად და თქუა: „უფალო, მრავლითა ძალითა შენითა გეცრუვნეს მტერნი შენნი და მრავლითა სულგრძელებითა შენითა იქმან, რასაც იქმან და მოიგონებენ მტუერნი ესე ქუეყანასა ზედა. არამედ ნუ უგულებელს-ჰყოფ, რამეთუ ხატი შენი არს კაცი, რომლისათჳსცა ერთი წმიდისა სამეგისანი კაც იქმენ და აცხოვნე ყოველი სოფელი, და მოხედენ წყალობით ამათცა ზედა ნათესავთა, და შერისხენ სულთა ამათ ურჩთა სოფლისმპყრობელთა და მთავართა ბნელისათა, და შთაჯედენ ადგილთა ძნელთა. და მიჩუენე მე, უფალო, ღმერთო მამისა და დედისა ჩემისაო, მჯევალსა ამას შენსა და ნაშობსა მათსა, რათა იხილონ ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა მაცხოვარება შენი და რათა ჩრდილო ბღუარსა თანა იხარებდეს და ყოველმან ენამან მხოლოსა ღმერთსა თაყუანის-გცეს ქრისტეს იესოს მიერ, ძისა შენისა, რომელსა შუენის მადლობა და დიდების მეტყუელება“.

და ვითარცა დაასრულა ლოცვა ესე წმიდამან ნინო, და წამის-ყოფა იყო ოდენ თუალისა — აღდგეს დასავლით ქარნი და ჰაერნი, და ჴმა-სცეს ქუხილითა, ჴმითა საზარელითა, და გამოჩნდეს ღრუბელნი მოსწრაფედ ნიშნითა საშინელითა. და მოიღო ნიავმან დასავლისა მზისამან სული ჯერკუალისა მწარისა და ნავღლისა მყრალისა. რომელი ესე იხილა რა სიმრავლემან ერისამან მათ ზედა მომავალად, მაშინ ივლტოდა ყოველი კაცი ქალაქად და სოფლად. მიეცა დრო, ვიდრემდის შეესწრნეს კაცნი საყოფელთა მათთა შინა. და მეყსეულად მოიწია რისხვისა იგი ღრუბელი, მწარედ სასტიკი, და მოიღო სეტყუა ლიტრისა სწორი ადგილსა მას ოდენ ზედა, საყოფელსა კერპთასა. და დააწულილნა კერპნი იგი და დამუსრნა, დაარღჳვნა ზღუდენი ქარმან სასტიკმან და შთააბნივნა კლდეთა ნაპ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რალსა. ხოლო წმიდა ნინო დარჩა მშვდობით ადგილსა მას, სადა პირველ შესრულ იყო.

ხოლო დღესა მეორესა გამოვიდა მირიან მეფე და ყოველი იგი ერი, ეძიებდეს ღმერთთა მათთა და არა ჰპოვებდეს. რომლისათჳს-იგი დაეცა მათ შიში და ძრწოლა. და იგლოვდეს გულფიცხელი ერი იგი და იტყოდეს, ვითარმედ: „ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან და ჩუენი ესე ღმერთი არმაზ ყოვლადვე მტერ არიან: ამან სამე მას ზედა ზღუა მოაქცია, და აწ მან შუარი იძია და მის მიერ მოიწია ესე“. ხოლო რომელნიმე იტყოდეს: „რომლისა ღმრთისა ძალითა თრდატ მეფე ეშუად იქმნა და მისვე ღმრთისა ძალითა კაცად იქმნა, და მან უკუე ღმერთმან მოაწია ესე. რამეთუ სხუა ღმერთი ვერ შემძლებელ არს ესევითარისა ქმნად“. ესევითარსა ამას იტყოდეს, რამეთუ ვინათგან თრდატ მეფე ქრისტეს ძალითა ეშუად ქმნილ იყო, და ქრისტეს ძალითვე კუალად კაცად მოქცეულ იყო. მიერითგან ქება-დიდება ქრისტესი არღარა ფარულად ითქმოდა ქართლს შინა, რამეთუ მადლსა ღმრთისასა ეწყო მიფენად აღმოსავლეთს.

ხოლო მასვე დღესა რისხვისასა, ოდეს დასცხრა სეტყუა იგი და ქარი სასტიკი, მაშინ გამოვიდა წმიდა ნინო კლდისა მისგან ნაპრალისა და პოვა თუალი იგი ბივრიტი, აღიღო და წარმოვიდა წინა კერძო დასასრულსა მის კლდისა ცხჳრისასა, სადა ყოფილ იყო ძუელი ციხე, და მუნ დგა ხე ერთი ბრინჯისა, შუენიერი, მაღალი და რტომრავალი, სადა-იგი ყოფილ იყო ბარტამ მეფისა საგრილი და განსასუენებელი. და მივიდა ხესა მას ქუეშე, გამონიშნა ნიში ქრისტეს ჯუარისა და ილოცვიდა მუნ ექუს დღე. და მადლობდა ღმერთსა და ევედრებოდა, რათა მოხედნეს წყალობით ერსა მას შეცთომილსა და იჳსნეს ეშმაკისაგან. ხოლო ოდეს იქმნა ესე, ჟამი იყო მეექუსე, და დღე მეექუსე და თჳსა მის, ოდეს-იგი ევმანოელ თაბორს მამისა ხატი უჩუენა თავთა მათ მოწაფეთა და თავთა მათ წინასწარმეტყუელთა.

მაშინ მოვიდა სეფექალი ერთი, სახელით შროშანა და იხილა იგი ხესა მას ქუეშე; განკჳრდა და მოიყვანა ბერძულად მეტყუელი დედაკაცი, და ჰკითხა გზა მისი. ხოლო წმიდამან ნინო აუწყა და უთხრა ყოველი გზა და საქმე მისი, თჳნიერ ხოლო დედაძმათა მისთა არა აუწყა, რამეთუ ტყუედ უთხრა თავი თჳსი. მაშინ შეეწყალა შროშანას უცხოებისა მისთჳს,

ესევსნეს თუალნი ცრემლითა და აიძულებდა მას, რათამცა
წარყვა სახიდ სამეუფოდ. ხოლო წმიდამან ნინო არა ინებვ-
წარსლვა მის თანა, და წარვიდა შროშანა.

შემდგომად ამისსა მესამესა დღესა ჩამოვიდა ქართლად,
გამოვლო მტკუარი და მიმართა სამოთხესა მას მეფისასა, სა-
და-იგი არს სუეტი იგი ღმრთივ აღმართებული და ეკლესია
საკათალიკოზო, და მი-რა-ვიდა კარსა მას სამოთხისასა, იხილა
სახლი მცირე სამოთხისა მცველისა. შევიდა წმიდა ნინო, და
ჯდა მას შინა დედაკაცი, რომლისა სახელი ანასტო. და ვითარ-
ცა იხილა დედაკაცმან მან, აღდგა მოეხვა და შეიტკბო ვითარ-
ცა მეცნიერმან, დაჰბანნა ჯელნი და სცხო ზეთი, მოართუა პუ-
რი და ღვნო, და დაყო მის თანა წმიდამან ნინო ცხრა თუე.

ხოლო იყვნეს ესე ანასტო და ქმარი მისი უშვილო და
ზრუნვიდეს ფრიად უშვილოებისათვს. მაშინ იხილა წმიდამან
ნინო ჩუენებასა შინა: მოვიდა კაცი ნათლისფერი და რქუა,
ვითარმედ: „შეეედ სამოთხესა მაგას, ბაბილო არს მცირე ხა-
ძუთა ქუეშე, საუფლო შეზავებული, მიწა აღიღე მის ადგილი-
საგან, შეაჭამე კაცთა მაგათ და ესუას შვილი. ყო ეგრეთ წმი-
დამან ნინო და რქუა მათ: „ძალითა ქრისტეს ძისა ღმრთისათა
დაუსაბამოსათა, რომელი თანამოსაყდრე არს მამისა და სუ-
ლისა წმიდისა და ჯსნისათვს ჩუენისა განკაცნა, ჯუარს-ეცუა,
დაეფლა და აღდგა მესამესა დღესა, და ამაღლდა ზეცად და
დაჯდა მარჯუენით მამისა და კუალად მოვალს დიდებითა გან-
სჯად ცხოველთა და მკუდართა, მან მოგცეს გულისხმის-ყო-
ფა“. და აუწყა ყოველი გზა ჭეშმარიტი.

მაშინ ცოლ-ქმართა მათ აღიარეს ქრისტე და დაემოწაფნეს
ფარულად. მაშინ წმიდამან ნინო ქალაქისა ზღუდეთა გარეგ-
ნით პოვა ქოჩი ერთი ბრწამი მაყულისა, სადა აწ არს საკურ-
თხეველი ზემოსა ეკლესიისა საეპისკოპოსო, და იგი შექმნა
საყოფელად თვსა. და შექმნა ჯუარი ნასხლევისა და აღმართა
ქოჩსა მას ქუეშე, და მარადის ილოცავნ დღე და ღამე დაუცხ-
რომელად, და მსახურებდეს ცოლ-ქმარნი იგი, და იყვნეს დაკ-
ვრვებულ ღუაწლთა მისთა, მარხვასა, და ლოცვასა, და მღვძა-
ვრებასა.

და მრავალგზის მოვიდის უბანსა ურიათასა ენისათვს ებ-
რაულისა და გამოძიებისათვს კუართისა უფლისა, რომელ ას-
მიოდა იერუსალემს ნიაფორისგან, ვითარმედ: „კუართი უფ-

ლისა მცხეთელთ ჰურიათა წარუღიაო". ამისთვს გამოეძიებენ ჰურიათა მათ თანა, რათამცა ცნა რამე საქმე კუართისა ამისა.

და პოვა ჰურია ერთი მღდელი, სახელით აბიათარ, და უქადაგა მას და ასულსა მისსა სიდონიას სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. ხოლო მათ რწმენა და დაემოწაფეს, იგინი და ექუსნი დედანი სხუანი ჰურიანი. და აღიღეს უღელი სწავლისა წმიდისა ნინოსი თჳნიერ ნათლისღებისა, რამეთუ ეოა იპოვებოდა მღდელი, რომელმანმცა ნათელ-სცა, და ფარულად იყვნეს მოწაფე მისი. და ჰყოფდა კურნებათა და საკჳრველებათა ძალითა ქრისტესითა: მრავალნი განრღუეულნი განკურნნა რეცა მიზეზითა წამლისათა.

და ესრეთ იქცეოდა მცხეთას ქალაქსა შინა სამ წელ ოდენ; და მათ ჟამთა შინა იყო შესლვა მირიან მეფისა და ძმისწულისა მისისა, დიდისა სპარსთა მეფისა, საბერძნეთად, ოდეს კოსტანტინე ბერძენთა მეფემან ძალითა ქრისტესითა და წინამძღურებითა ჯუარისათა იოტნა მეფენი და სპანი მათნი ურიცხუნი მოსრნა.

თქმული აბიათარ მღდელისა
რომელი დაემოწაფა წმიდასა და სანატრელსა ნინოს

«მე, აბიათარ მღდელი, ვიყავ წილით ხუედრებული მის წელიწადისა, ოდეს წმიდა ესე და ნეტარი ნინო მოვიდა მცხეთად. და მასვე ჟამსა მოწევნულ იქმნა ჩემდა წიგნი ანტიოქიით ჰურიათაგან მღდელთა, რომელსა შინა წერილ იყო ესრეთ, ვითარმედ: „სამად განხეთქა ღმერთმან მეფობა ისრაელისა. აჰა ესერა, წინასწარმეტყუელნი ჩუენნი დასცხრეს, და რომელსა სული აწუევდა, აღესრულა ყოველი და განვიბნიენით ჩუენ ყოველსა ქუეყანასა, და ჰრომთა დაიპყრეს ქუეყანა ჩუენი; ვტიროდით ჩუენ ერითურთ, რამეთუ განვარისხეთ შემოქმედი ღმერთი. აწ განიხილენ წიგნნი მოსესნი და სიტყუა იგი, რომელი დამიწერა ჩუენ ესე ყოველი, ვითარმედ: „რომელი იტყოდის ქუეყანასა ზედა თავსა თჳსსა ძედ ღმრთისად, მოკუედინო". ანუმე უკუე შევსცეთით ნაზარეველისა იესოს სიკუდილისა? რამეთუ ვხედავთ, ოდეს პირველ მამათა ჩუენთა შესცოდიან ღმერთსა და ყოვლად დაივიწყიან იგი, და მისცნის იგი ჴელმწიფებასა ძნელსა და ტყუეობასა; და ოდეს მოიქცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან და ღალად-ყვიან, მსწრაფლ განარინნის იგინი ჭირისაგან.

„ესე შჯდგზის ვიცით წერილისაგან. ხოლო აწ ვინათგან ჴელი შეახეს მამათა მათ ჩუენთა ძესა მას დედაკაცისა მწირისასა და მოკლეს იგი, აღიღო ღმერთმან ჴელი წყალობისა მისისა ჩუენ ზედა და განხეთქა მეფობა ჩუენი, განმაშორნა ტაძარსა მისსა წმიდასა და უგულებელს-ყო ნათესავი ჩუენი სრულიად. და არს მით ჟამითგან სამასი წელი და უმეტესცა, რომელ არა ისმინა ვედრება ჩუენი და არცალა ყო ლხინება ჩუენი. რომ-ლისათჳს საგონებელ-გჳჩნს, ვითარმედ ნუუკუედა ზეცით იყო განგება“. ესევითარი განმრავლდა მოწერილი.

«ხოლო მე, ვითარცა მესმა ესე, ვიწყე კითხვად დედაკაცისა მის ნინოსგან ქრისტესთჳს, თუ ვინა იყო იგი, ანუ რომ-ლისა მიზეზისათჳს იქმნა კაც ძე ღმრთისა. მაშინ აღაღო პირი თჳსი წმიდამან ნინო, ვითარცა ჯურღმულმან აღმომდინარემას, და იწყო სიტყუად საუკუნითგან, და წიგნთა ჩუენთა ზეპირით აღმოიტყოდა და განმიმარტებდა, და ვითარცა მძინარესა განმაღჳძებდა და ვითარცა დასულებულსა გონიერ-მყოფდა, და მამათა ჩუენთა შემაწყალებდა, და სჯულისა ცვალებასა დამაჯერებდა, ვიდრემდის მრწმენა სიტყუათა მისთა: იესო ქრისტე ძე ღმრთისა, ვნება მისი და აღდგომა, მეორედ მოსლვა მისი საშინელი და სადა-იგი არს მოლოდება წარმართთა. მე და შვილი ჩემი ღირს ვიქმნენით მოღებად საპკურებელსა მას განსაწმედელსა ცოდვათაგან, ემბაზისა წყალსა, რომელსა ინატრიდა დავით და ვერ ეწიფა. და მესმა ჴმა ახლისა სჯულისა, ეჰა საგალობელთა, რომელსა ინატრიდა დავით. და ღირს ვიქმნენით ზიარებად ჴორცსა და სისხლსა ქრისტეს ძისა ღმრთისასა, და კრავსა ცოდვათათჳს სოფლისათა შეწირულსა, რომ-ლისა ტკბილ არს გემოს-ხილვა მისი. და ამას ზედა, უფალო, ყავ განსლვა ჩემი ჴორცთაგან ჩემთა. და კუალად მრავალნი სასწაულნი იხილნა თუალმან ჩემმან მცხეთას, წმიდისა ნინოს მიერ დღეთა ჩუენთა».

თქმული მისივე აბიათარ მღდელისა
კუართისათჳს უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესისა

«მე, აბიათარ, მიგითხრობ თქუენ თხრობასა მას, რომელი მეუწყა და ყურითა ჩემითა ვისმინე მამისა და დედისა ჩემი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგან და რომელი წიგნთაგანცა უწყი. რამეთუ მათცა
და მშობელთაგან თჳსთა მოთხოობით და სმეᲲᲘთ უწყოდეს ეს-
რეთ, ვითარმედ: ოდეს-იგი ჰეროდე მეფობდა იერუსალემს,
მაშინ გუესმა ესრეთ, ვითარმედ „იერუსალემი სპარსთა და-
იპყრესო“. რომლისათჳს-იგი იქმნა გლოვა და წუხილი ჰური-
ათა ზედა ქართველთა, მცხეთელთა მკვდრთა, ბოდელთა
მღდელთა, კოდისწყაროელთა მწიგნობართა და სობის კანა-
ნელთა თარგმანთა — ესე ყოველნი აღიძრნეს სივლტოლად.
ხოლო შემდგომად მცირედთა დღეთა მოვიდა ღაღადისი ნუ-
გეშინის-ცემისა, ვითარმედ: „სპარსნი არა დაპყრობად მოვი-
დეს იერუსალემისა, არამედ საჭურველისა წილ აქუნდა ოქრო
ᲡᲐᲛᲔᲣᲤᲝ, და მური მსწრაფლმკურნალი წყლულებათა და გუნ-
დრუკი სულამო. და ეძიებდეს ყრმასა ვისმე შობილსა, ძესა
დავითისსა, რეცა პოვეს მწირი ერთი, მწირისა დედაკაცისაგან
შობილი უჟამოდ და უადგილოსა ადგილსა. და ესენი მის
ყრმისა მოვიდეს თაყუანის-ცემად, და შეწირეს მისა ძღუენი
იგი“. და იქმნა სიხარული დიდი ყოველთა ზედა ჰურიათა ქარ-
თველთა.

«ხოლო შემდგომად ამისსა, ვითარ გარდაჯდა ოცდაათი
წელი, მაშინ მოუწერა ანა მღდელმან იერუსალემით მამისმა-
მისა ჩემისა ელიოზის თანა ესრეთ, ვითარმედ: „იგი, რომლი-
სათჳს სპარსნი მეფენი ძღუნითა მოვიდეს, აღზრდილ არს იგი
და ჰასაკსა საზომსა მიწევნულ არს, და თავსა თჳსსა ხადის
ძედ ღმრთისად. მოვედით ყოველნი სიკუდილსა მისსა, რათა
აღესრულოს მცნება მოსესი“. და წარვიდა აქათ ელიოზ, მამის-
მამა ჩემი, კაცი მოხუცებული; და ესუა მას დედა ტომისაგან
ელია მღდელისა, და ესუა მას დაᲐ ერთი. და ევედრებოდა
ელიოზს დედამისი ესრეთ: „წარვედ, შვილო, წოდებასა მე-
ფისასა და წესსა სჯულისასა; ხოლო რომელსა-იგი განიზრახ-
ვენ, ნუ შეერთვინ ცნობა შენი, ნუ შვილო. რამეთუ იგი არს
სიტყუა წინასწარმეტყველთა და იგავი ბრძენთა“. და წარვიდა
ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი, და მუნ დახუდეს
ᲯᲣᲐᲠᲪᲛᲐᲡᲐ უფლისასა.

«ხოლო ოდეს დამსჭუალეს უფალი და პასანიკმან კუერითა
დაჰკრა სამსჭუალთა, აქა დედასა ელიოზისსა ესმა, და იკრჩხი-
ალნა და თქუა: „მშჳდობით, მეფობაო ჰურიათაო, რამეთუ
მოჰკალთ თავისა თქუენისა მაცხოვარი და იქმნენით მკლველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოქმედისა. ვაი თავსა ჩემსა, რომელ არა წინავე მოვკუედ, რათამცა არა სმენილ იყო ყურთა ჩემთა". და ამას ზედა შეიტ-სუენა.

ხოლო კუართი იგი უფლისა წილით ხუდა მცხეთელთა: წარმოიღო ელიოზ, და მოიღო მცხეთას. და მიეგება დაჲ მისი, შესუარული ცრემლითა: მოეხვა ყელსა ძმასა თჳსსა და მოუღო სამოსელი იგი იესოსი, შეიტკბო მკერდსა თჳსსა და მსწრაფლ სულნი წარჴდეს, სამითა ამით ტკივილითა: ქრისტეს სიკუდილისათჳს, და დედისათჳს, და ძმისათჳს, რომელ ეზიარა სისხლსა უფლისასა.

მაშინ იყო საკჳრველი დიდი და შეშფოთება მცხეთას შინა. რამეთუ განკჳრდა თჳთ დიდი მეფე ადერკი და ყოველი სიმრავლე ერისა და მთავართა. და სთნდა მეფესა ადერკის სამოსელი იგი, გარნა საკჳრველებისა მისგან ზარგანჴდილ და შეშინებულ იქმნა იგი და არა ინება გამოღება ჴელთაგან მის მკუდრისათა, რომელსა-იგი მაგრიად და სურვილით შემოემკრდა. და ელიოზ დამარხა დაჲ თჳსი, და ჴელთა აქუნდა სამოსელი იგი უფლისა. და არს ადგილი იგი, რომელი უფალმან უწყის.

შემდგომად მრავალთა წელიწადთა ძისწულისშვილმან ადერკი მეფისამან, მეფემან არმაზელ, ძიება ყო სამოსლისა მის ჰურიათა თანა და არა პოვა. რამეთუ აუწყეს ესე ყოველი, რომელი იყო, და არავის უწყის ადგილი იგი თჳნიერ ამისა, რომელ „არს მახლობელ ნაძჳსა მის ლიბანით მოღებულისა და მცხეთას დანერგულისა და აღორძინებულისა". რამეთუ მრავალგზის ბრძანა დედამან ჩუენმან, წმიდამან ნინო, რათამცა მოვიძიეთ სამოსელი იგი, გარნა მასცა ესდენ მიეთხრა: „არს ადგილი იგი, რომელსა ზედა ენანი კაცთანი არა დადუმდენ გალობად ღმრთისა მიმართ". ხოლო სახლი ელიოზისი იყო ქალაქსა დასავალით, წიაღ მოგუთასა, ჴიდსა ზედა.

მათ დღეთა შინა მრავალგზის იხილა ჩუენება წმიდამან ნინო მცირედსა მას მირულებასა მისსა მუჴლთა მისთა ზედა, რეცა მოვიდიან მფრინველნი ცისანი, ფერითა შავნი, და შთავიდიან მღინარესა მას შინა, განიბანნიან და განსპეტაკნიან, და აღვიდიან სამოთხესა მას, ბაბილოსა მოისთულებდიან და ყუავილსა მას ძოვდიან, და ესრეთ მოწლედ და სურვილით წმიდისა ნინოსდა მივლენ, რეცა მისი არს სამოთხე იგი, გარემო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ადგიან ქვეყანასა შუენიერად. ესე უთხრა წმიდამან ნინო: „
წაფესა თვსსა სიდონიასა, ასულსა აბიათარისსა. ხოლო
ნია რქუა წმიდასა ნინოს: „უცხოო და აქა შობილო ტყუეო
და ტყუეთა მკვსნელო, უწყი, რამეთუ შენ მიერ მოიწია ახალი
ესე ჟამი, და შენ ძლით ისმის ამბავი იგი ძუელი, მამათა ჩუ-
ენთა ნაქმარი ზეცისა მის კაცისა ზედა, უბრალოსა მის სისხ-
ლისა უსამართლოდ დათხევა, რომლითაცა იქმნა ჰურიათა
სირცხვლი: ცისკიდეთა განბნევა, მეფობისაგან დაცემა, ტაძრი-
სა მის წმიდისა მიღება, ერისა უცხოსა წოდება და დიდება მა-
თი მათდა მიცემად: იერუსალემ, იერუსალემ, ვითარ განგი-
მარტვან ფრთენი შენნი და შეიკრებ ყოველთა ცისკიდისა ნა-
თესავთა ფრთეთა შენთა ქუეშე. აჰა, აქაცა მოსრულ არს დე-
დაკაცი ესე, რომელმან შესცვალოს ყოველი წესი ამის ქუეყა-
ნისა". და კუალადცა მიექცა წმიდასა ნინოს და რქუა: „ჩუენე-
ბა ესე შენი არს, რამეთუ ადგილი ესე შენ მიერ იქმნეს სამო-
თხე".

ხოლო ვითარ მოვიდა მირიან მეფე საბერძნეთით, ოტე-
ბული კოსტანტინე მეფისაგან, და ვიდრე მოსლვამდე მისა გა-
ნეცხადა წმიდასა ნინოს ქადაგება ქრისტეს სჯულისა. რამეთუ
იტყოდა იგი ჴმამაღლად, ვითარმედ: „გპოვენ მკვდრნი ჩრდი-
ლოსანი ცთომასა შინა", და გამოაჩინა ჯუარი იგი ნასხლევისა,
და მით იქმოდა საკვრველებათა დიდთა. რამეთუ განრღუეულ-
ნი განკურნის თვნიერ წამლისა, შეხებითა ჯუარისათა. და მის
თანა ქადაგებდეს მოწაფენი მისნი, რომელნი პირველ ფარუ-
ლად დაემოწაფნეს, შვდნი დედანი, ნათესავნი ჰურიათანი: სი-
დონია, ასული აბიათარისი, და ექუსნი სხუანი; და სამოთხისა
მცველნი იგი ცოლ-ქმარნი, და აბიათარ მღდელი, ახალი იგი
პავლე, რომელი უშიშად და დაუცხრომელად ქადაგებდა
სჯულსა ქრისტესსა, რომელი ფრიად მეცნიერ იყო ძუელისა
სჯულისა, და ახალი ესე სჯული ესწავა წმიდისა ნინოსაგან და
უმეტეს ნინოსსა ამხილებდა ყოველსა კაცსა სჯულსა ჭეშმა-
რიტსა.

მაშინ აღიძრნეს ჰურიანი აბიათარს ზედა, რათამცა ქვა
დაკრიბეს მას. ხოლო მირიან მეფემან მიავლინნა მსახურნი და
განარინა აბიათარ სიკუდილისაგან, რამეთუ მირიან მეფესა
აქუნდა სურვილი ქრისტეს სჯულისა. რამეთუ ასმიოდა სასწა-
ული ქრისტეს სჯულისა საბერძნეთით და სომხითით, და არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააბრკოლებდა იგი ქადაგებად ნინოს და მოწაფეთა მისთა. არამედ ჰბრძოდა ეშმაკი, მტერი იგი უჩინო, და ვერ დაამტკიცებდა აღსარებასა ქრისტესსა. ხოლო ნანა დედოფალი გულფიცხელ იყო უმეტეს და შეურაცხ-ჰყოფდა ქადაგებასა მას.

ხოლო წმიდა ნინო ილოცვიდა დაუცხრომელად საყუდელსა მას თჳსსა მაყუალთა მათ ქუეშე. და დაკჳრვებულ იყვნეს წარმართნი იგი ლოცვასა მისსა და მღჳძარებასა. და უცხოუჩნდა საქმე იგი; იწყეს გამოკითხვად მისა, ხოლო იგი აუწყებდა ძუელთა და ახალთა წიგნთა, და განაბრძნობდა უგუნურთა და უგულისხმოთა მათ, და შთაუგდებდა გულსა მათსა სიყუარულსა ქრისტესსა.

და იყო ესრეთ სამ წელ, ვინაცა განაცხადა ქადაგება ქრისტესი და დაიმოწაფნა მრავალნი. მაშინ იყო ვინმე — ყრმაწული, უფალი მძიმისა სენისა, და მიმოაქუნდა დედასა მისსა კარითი კარად, რათამცა პოვა მეცნიერი ვინმე კურნებისა, და ჰყოფცა სარგებელი მისი. და შეისწავეს იგი ყოველთა და არაოდეს პოვეს სარგებელი კურნებისა ყრმისა მისთჳს. და მკურნალთაცა რქუეს დედაკაცსა მას, ვითარმედ: „არა სარგებელ-ეყვის ყრმასა მაგას“. ხოლო დედაკაცი იგი იყო წარმართი, გულფიცხელი, და მარადის სძაგებნ სჯულსა ქრისტიანეთასა, და აყენებდის სხუათაცა მისლვად და კითხვად წმიდისა ნინოსა. ხოლო ვითარცა საჰოწარკუეთილ იქმნა მკურნალთა მიერ, მოვიდა და დავარდა წინაშე წმიდისა ნინოსსა, და ევედრებოდა კურნებასა ყრმისასა. მაშინ რქუა წმიდამან ნინო: „კურნება, რომელი კაცთაგან არს, მე არარა ვყო; ხოლო ღმერთმან ჩემმან ქრისტემან მოსცეს ყრმასა მაგას კურნება, რომელი ყოველთაგან განწირულ არს“. და რომელსა კილიკსა ზედა მარადის ილოცავს წმიდა ნინო, მას ზედა დადება უბრძანა ყრმისა მის, და იწყო ვედრებად ღმრთისა მიმართ. და მასვე ჟამსა განიკურნა ყრმა იგი და განცოცხლებული მისცა დედასა მისსა. ხოლო დედამან ყრმისამან აღიარა ქრისტე და თქუა: „არა არს სხუა ღმერთი თჳნიერ ქრისტესა, რომელსა ქადაგებს ნინო“. და დაეჰოწაფა წმიდასა ნინოს, და შეუდგა კუალსა მისსა, და ადიდებდა ღმერთსა.

მაშინ დედოფალი ნანა შეეკარდა სენსა დიდსა და მწარესა, რომლისა კურნება ვერაკინ შეუძლო. რამეთუ ყოველთა ჰელოვანთა მკურნალთა წარმოაცალიერნეს წამალნი მათნი და

ვერ შეუძლეს კურნება მისი, ულონო იქმნეს და სასოწარკუეთილ. ხოლო აუწყეს ვეთმე დედოფალსა, ვითარმედ: ბაბილონელსა ტყვეობისა მის ჰრომისა ტყვსა მიერ, რომელსა ჰქვან ნინო, ლოცვითა მისითა მრავალნი სნეულნი განიკურნებიან". მაშინ უბრძანა მსახურთა თვსთა, რათა მოიყვანონ ნინო.

მივიდეს მსახურნი დედოფლისანი, და პოვეს წმიდა ნინო ქოჩსა მას ქუეშე მაყულისასა, ილოცვიდა ჟამსა მეექუსესა, და მიუთხრეს ბრძანება დედოფლისა. ხოლო წმიდამან ნინო რქუა: „არა ბრძანებულ არს ჩემდა, რათა განვიდე, სადა შუება ჩუენი არა არს, არამედ დედოფალი მოვედინ საყოფელსა ამას ჩემსა, და ჭეშმარიტად განიკურნოს ძალითა ქრისტესითა". ხოლო მსახურთა მათ მიუთხრეს დედოფალსა თქმული იგი ნინოსი. მაშინ დედოფალი გულსმოდგინედ ეტყოდა მათ: „შემიძზადეთ მე ცხედარი და მიმიყვანეთ მისსა". მაშინ წარიყვანეს ცხედრითა მსახურთა მათ, და ძე მისი რევ, და სიმრავლე ერისა მის თანა.

ვითარ მივიდეს საყოფელსა მას წმიდისა ნინოსსა, და დადვეს დედოფალი კილიკსა მისსა ზედა. იწყო წმიდამან ნინო ლოცვად და ვედრებად ღმრთისა მიმართ მყოვარ ჟამ, და მოიღო ჯუარი იგი, რომელი აქუნდა, შეახო თავსა, ფერჯთა და მჯართა ჯუარისსაჰედ, და მეყსეულად განიკურნა, და აღდგა განცოცხლებული. და ჰრწმენა ქრისტე და თქუა: „არა არს სხუა ღმერთი, თვნიერ ქრისტესა, რომელსა ქადაგებს ტყუე ესე დედაკაცი". და მიერითგან შექმნა იგი მეგობრად თვსად შინაურად, და მარადის ჰკითხავნ და გამოიწულილავნ სჯულსა ქრისტესსა, და ასწავებნ წმიდა ნინო და აბიათარ, ახალი პავლე, და ასული მისი სიდონია. და იქმნა დედოფალი მორწმუნე და იცნა ღმერთი ჭეშმარიტი.

და ჰკითხვიდა დედოფალსა მეფე, ვითარ-იგი მეყსეულად განიკურნა და უთხრობდა დედოფალი ყოველსა მას, რომელი იქმნა მის ზედა, ვითარ-იგი თვნიერ წამლისა, ლოცვითა და შეხებითა ჯუარისათა განიკურნა. და სიმრავლე იგი ერთა, რომელთა ეხილვა, დაამტკიცებდეს სიტყუასა მას დედოფლისასა.

მაშინ მირიან მეფე განკვრდა და იწყო გამოძიებად სჯულსა ქრისტესსა, და მრავალგზის ჰკითხავნ ჰურიაყოფილსა მას აბიათარს ძუელთა და ახალთა წიგნთასა, და იგი აუწყებდა ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველსა. და წიგნიცა რომელი ჰქონდა მირიან მეფესა ნებროთისი, და მასცა წიგნსა შინა პოვა წერილი ესრეთ: აღშენებასა მას გოდლისასა ჴმა იყო ზეცით ნებროთის მიმართ, რომელი ეტყოდა: „მე ვარ მიქაელ, რომელი დადგინებულ ვარ ღმრთისა მიერ მთავრობასა ზედა აღმოსავალისასა; განვედ ქალაქით მაგით, რამეთუ ღმერთი ჰფარავს ქალაქსა მაგას. ხოლო უკუანასკნელთა ჟამთა მოვიდეს მეუფე იგი ცისა, რომლისა-იგი შენ გნებავს ხილვა ერსა შორის შეურაცხსა. შიშმან მისმან განაქარვნეს გემონი სოფლისანი; მეფენი დაუტეობდენ მეფობასა და ეძიებდეს სიგლახაკესა; მან გიხილოს ჭირსა შინა და გიჴსნეს შენ“. მაშინ გულისხმა-ყო მეფემან მირიან, რამეთუ ძუელნი წიგნნი და ახალნი ეწამებოდეს და ნებროთის წიგნიცა დაამტკიცებდა, და შეექმნა სურვილი ქრისტეს სჯულისა. და ბრძოდა მტერი იგი უჩინო, აყენებდა აღსარებად ქრისტესა, გულსა შთაუგდებდა სასოებასა კერპთასა და ცეცხლისასა. არამედ მარადის ევედრებინ დედოფალი აღსარებასა ქრისტესსა. და იყო მეფე დედოფლისა მოქცევითგან წელიწადსა ერთსა ორგულებასა შინა. ხოლო ასწავებდა ერსა დაუცხრომელად წმიდა ნინო, და არავის აუწყებდა, თუ „ვინ ვარ, ანუ სადათ მოვალ“, არამედ ტყუედ იტყოდა თავსა თჳსსა.

შემდგომად ამისსა მოგჳ იგი მთავარი სპარსი, სახელით ხუარა, სნეულ იყო, სულითა უკეთურითა ფიცხელად იგუემებოდა, და სიკუდილსა მიახლებულ იყო, და იყო მთავარი იგი ნათესავისაგან მირიან მეფისა. მაშინ ევედრნეს წმიდასა ნინოს ნანა დედოფალი და მეფე, ხოლო მეფე იხილვიდა საქმესა მისსა მცირედ ორგულებით. ეტყჳნ წმიდასა ნინოს: „რომლისა ღმრთისა ძალითა იქმ კურნებასა ამას, ანუ ხარ შენ ასული არმაზისი, ანუ შვილი ზადენისი, უცხოებით მოხვედ და შეუვრდი, და ზედა-აც მათ წყალობა შენი და მიგანიჭეს ძალი კურნებათა, რათა მით სცხოვნდებოდი უცხოსა ქუეყანასა. დიდებულმცა არიან უკუნისამდე! ხოლო შენ წინაშე ჩუენსა იყავ ვითარცა მაწოებელი ერთი შვილთა ჩუენთა და პატივცემულ ქალაქსა ამას შინა. არამედ უცხოსა ამას სიტყუასა ნუ იტყჳ, ჰრომთა მათ შეცდომილთა სჯულსა, ნუცა გნებავს ყოვლადვე თქმად. რამეთუ აჰა ესერა, ღმერთნი დიდნი, სოფლის მპყრობელნი, მზისა მომფენელნი, წჳმისა მომცემელნი და ქუეყანისა ნაშობთა გამომზრდელნი ღმერთნი ქართლისანი, არმაზ და ზა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დენ, ყოვლისა დაფარულისა გამომეძიებელნი, ძუელნი ღმერთნი მამათა ჩუენთანი, გაცი და გაიმ, — იგინი იყვნეს სარწმუნებელად კაცთა მიმართ. აწ უკუეთუ განკურნო მთავარი ესე, განგამდიდრო და გყო შენ მკჳდრ მცხეთას შინა, მსახურად არმაზისა, დაღაცათუ ჰაერითა მით და სეტყჳთა მოიწია მის ზედა შემუსრვა მისი, არამედ იგი ადგილი უძლეველ არს. ესე არმაზ ქართველთა და ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან ყოვლადვე მტერ არიან: ამან მას ზედა ზღუა შემოადგინა, და მან ამას ზედა ესევითარი ურვა მოაწია, ვითარ აქუს ჩუეულება სოფლისმპყრობელთა. და კმა გეყავნ ჩემგან ბრძანება ესე".

მიუგო ნეტარმან ნინო: „შენ მეფე, სახელითა ქრისტესითა და გედრებითა დედისა მისისათა და მის თანა ყოველთა წმიდათათა, მოავლინენ შენ ზედა ღმერთმან, ცისა და ქუეყანისა შემოქმედმან, დამბადებელმან ყოვლისა დაბადებულისამან, დიდისა და დიდებულისა მისისა და აუოაცხელისა მრავალმოწყალებისაგან მოავლინენ შენ ზედა, ვითარცა საკმილისაგან ნაბერწყალი ერთი მადლისა მისისა, რათა სცნა და გულისხმა-ჰყო სიმაღლე ცისა და ნათელი მზისა, სიღრმე ზღჳსა და სივრცე ქუეყანისა და საფუძველი მისი, და უწყებულ იყო შენ, მეფე, ვინ შემოსნის ცანი ღრუბლითა და ქუხნ ჴმითა ჰაერისათა, და იძრვიან ქუეყანა სიმძლაფრითა მისითა, და რბიან მეხის-ტეხანი, და კუალსა მისსა ეგზების ცეცხლი გულისწყრომითა მისითა. ანუ ოდეს შეიძრას ვეშაპი იგი დიდი ზღუათა შინა, შეიძრის ყოველი ქუეყანა, ვიდრემდის დაირღჳან მთანი მყარნი, კლდენი და ქვანი. და მეცნიერ-გყავნ შენ ამას ყოველსა მიწევნად, რამეთუ ღმერთი არს ცათა შინა, უხილავ არს თავადი იგი ყოველთა დაბადებულთაგან, თჳნიერ ძისა მისისა, რომელი მისგან გამოვიდა, და ქუეყანასა ზედა გამოჩნდა ვითარცა კაცი, რომელმან აღასრულა ყოველი, რომლისათჳს მოსრულ იყო, და აღვიდა მათვე სიმაღლეთა მამისა თანა. და იხილა მხოლოდ დაუსაბამო, რომელი მაღალ არს და მდაბალთა ხედავს, და მაღალნი იგი შორით იცნის. მეფეო, ახლოს არს მიახლება შენი ღმრთისა მიხედვად, რამეთუ არს ქალაქსა ამას შინა სასწაული ერთი: სამოსელი ძისა ღმრთისა აქა არს, და ხალენისა მის ელიასი თქუეს ვიეთმე აქავე ყოფა: და მრავალნი სასწაულნი არიან, რომელნი ღმერთმან გამოაჩინნეს. და აწ მე მთავარი ესე შენი განვკურნო ძალითა ქრისტეს ღმრთისა ჩემისათა და ჯუარი-

თა ვნებისა მისისათა, ვითარცა დედოფალი განვკურნე სენისაგან დიდისა. და რა-იგი ვაუწყე მას, ჰყოფს იგი, რათა სულიცა თვსი განაბრწყინვოს და ერიცა თვსი მიაახლოს ღმერთსა".

და მიჰგუარეს მას მთავარი იგი, და მოვიდა დეოფალიცა იგი სამოთხესა მას შინა, ნაძუთა მათ ქუეშე; და დაადგინა იგი აღმოსავალით, სცნა ჴელნი აპყრობად და ითქუმია სამგზის: „ვიჯმნი შენგან, ეშმაკო, და შეუდგები ქრისტესა ძესა ღმრთისასა". და ტიროდა ნინო სულთქმითა სულისა თვსისათა, და ითხოვდა ღმრთისაგან შეწევნასა კაცსა მას ზედა. და იყვნეს მოწაფენი მისნი მუნვე ერთ დღე და ორ ღამე. და მსწრაფლ განვიდა მისგან სული იგი ბოროტი. და დაემოწაფნეს ნინოს სახლით და ერითურთ მისით, და ადიდებდეს ღმერთსა».

თქმული სიდონია დედაკაცისა

რომელი იყო მოწაფე ნინოსი, **რომელი ესე** იხილა **და** **დაიწერა** **მოქცევა** სასწაულითა მირიან **მეფისა, და** **შევრდომა** **ნინოსი** **აღსარებისათვს** ქრისტესისა, ჯუარისა **აღმართებისათვს**, ეკლესიათა **აღშენებისათვს** **და** **მას** **შინა** **სასწაულთა** **მისთათვს**.

„და იყო დღესა ერთსა ზაფხულისასა, თუესა ივლისსა ოცსა, **დღესა** **შაბათსა**, **განვიდა** **მეფე** **ნადირობად** **მუხნარით** **კერძო**, **და** **მოუჴდა** **უჩინო** **იგი** **მტერი**, **ეშმაკი**, **და** **შთაუგდო** **გულსა** **სიყუარული** **კერპთა** **და** **ცეცხლისა**; **და** **იგონებდა** **ყოველსა** **მსახურებასა** **მათსა** **და** **მახჳლითა** **მოწყუედასა** **ყოველთა** **ქრისტიანეთასა**. **და** **რქუა** **მეფემან** **ოთხთა** **თანამზრახველთა** **მისთა**: „ღირს ვართ ჩუენ ღმერთთა ჩუენთაგან ბოროტის-ყოფასა, **რამეთუ** **უდებ** **ვიქმნენით** **მსახურებასა** **მათსა** **და** **მიუშჳთ** **ჩუენ** **ქრისტიანეთა** **გრძნეულთა** **ქადაგებად** **სჯულსა** **მათსა** **ქუეყანასა** **ჩუენსა**: **რამეთუ** **გრძნებითა** **ჰყოფენ** **საკვრველებათა** **მათ**. **აწ** **ესე** **არს** **განზრახვა** **ჩემი**, **რათა** **ბოროტად** **მოვსრნეთ** **ყოველნი** **მოსავნი** **ჯუარცმულისანი** **და** **უმეტეს** **შეუდგეთ** **მსახურებასა** **ღმერთთა** **მათ** **მპყრობელთა** **ქართლისათა**; **ვამხილოთ** **ნანას**, **ცოლსა** **ჩემსა**, **შენანება** **და** **დატეობა** **სჯულსა** **ჯუარცმულისასა**, **და** **თუ** **არა** **მერჩდეს**, **დავივიწყო** **სიყუა-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული მისი და სხუათავე თანა წარვწყმიდო იგიცა". და დაუმ-
ტკიცეს განზრახვა მისი თანამზრახველთა მათ, რამეთუ მუნ-
ვალედ იყვნეს იგინი საქმესა ამას, და ნებვიდა პირველითგან
და ვერ იკადრებდეს განცხადებად.

ხოლო მეფემან მოვლო ყოველი სანახები მუხნარისა და
აღვიდა მთასა ზედა თხოთისასა მაღალსა, რათამცა მოიხილა
კასპად და უფლისციხედ. განვიდა თხემსა მთისასა. შუასამხრი-
სა ოდენ დაბნელდა მზე მთასა ზედა და იქმნა ვითარცა ღამე
ბნელი, უკუნი, და დაიპყრნა ბნელმან არენი და ადგილნი. და
განიბნივნეს ურთიერთას ჭირისაგან და ურვისა.

და დაშთა მეფე მარტო, და იარებოდა მთათა და მაღნარ-
თა შეშინებული და შეძრწუნებული. და დგა ერთსა ადგილსა
და წარეწირა სასოება ცხორებისა მისისა. და ვითარცა მოეგო
თავსა თჳსსა ცნობასა, და განიზრახვიდა ესრეთ გულსა თჳსსა:
„აჰა, ესერა, ვხადე ღმერთთა ჩემთა და არა ვპოვე ჩემ ზედა
ლხინება. აწ, რომელსა-იგი ქადაგებს ნინო ჯუარსა და ჯუარ-
ცმულსა და ჰყოფს კურნებასა, მისითა მოსავობითა, არამცა
ძალ-ედვა ჴსნა ჩემი ამის ჭირისაგან? რამეთუ ვარ მე ცოცხ-
ლივ ჯოჯოხეთსა შინა და არა უწყი, თუ ყოვლისა ქუეყანი-
სათჳს იქმნა დაქცევა ესე, ანუ თუ ჩემთჳს ოდენ იქმნა. აწ, თუ
ოდენ ჩემთჳს არს ჭირი ესე, ღმერთო ნინოსო, განმინათლე
ბნელი ესე და მიჩუენე საყოფელი ჩემი; და აღვიარო სახელი
შენი, და აღვმართო ძელი ჯუარისა და თაყუანის-ვცე მას და
აღვაშენო სახლი სალოცველად ჩემდა, და ვიყო მორჩილ ნი-
ნოსა სჯულსა ზედა ჭრომთასა".

ესე ყოველი რა წართქუა, განთენა და გამობრწყინდა მზე.
და გარდაჴდა მეფე ცხენისაგან, დადგა მასვე ადგილსა, განიპყ-
რნა ჴელნი აღმოსავლით ცად მიმართ და თქუა: „შენ ხარ
ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა და უფალი ყოველთა ზედა
უფალთა, ღმერთი, რომელსა ნინო იტყჳს; და საქებელ არს
სახელი შენი ყოვლისა დაბადებულისაგან, ცასა ქუეშე და ქუ-
ეყანასა ზედა. რამეთუ შენ მიჴსენ მე ჭირისაგან და განმინათ-
ლე ბნელი ჩემი. აჰა ესერა, მიცნობიეს, რამეთუ გინდა ჴსნა
ჩემი, ლხინება და მიახლება შენდა, უფალო კურთხეულო. ამას
ადგილსა აღვმართო ძელი ჯუარისა, რომლითა იდიდებოდის
სახელი შენი და იჴსენებოდის საქმე ესე სასწაული უკუნისამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე". და დაისწავა ადგილი იგი და წარმოემართა. იხილეს ნათელი და მოერთო ერი განბნეული. ხოლო მეფე ღაღადებდა: „მიეცით ღმერთსა ნინოსსა დიდება, რამეთუ იგი არს საუკუნითგან ღმერთი და მას მხოლოსა შუენის დიდება უკუნისამდე".

ხოლო ნანა დედოფალი და ყოველი ერი განვიდა მიგებებად მეფისა. რამეთუ ესმა პირველ წარწყმედა და კუალად მოსლვა მშჳდობით, და მიეგებოდეს ქინძარას და ღართას. ხოლო ნეტარი წინო დადგომილ იყო ლოცვასა მწუხრისასა მაყულოვანსა მას შინა, ჩვეულებისაებრ მისისა, ჟამსა თჳსსა, და ჩუენ მის თანა ორმეოცდაათი სული. და ვითარცა მოვიდა მეფე, იძრვოდა ქალაქი, და ჴმითა მაღლითა ღაღადებდა მეფე: „სადა არს დედაკაცი იგი უცხო, რომელ არს დედა ჩემი და ღმერთი მისი მჴსნელი ჩემი". და ვითარცა რქუეს, თუ: „აქა მაყულოვანსა არს და ილოცავს", მოვიდა თჳთ მეფე და ყოველი იგი ლაშქარი, გარდაჴდა მეფე ცხენისაგან და ეტყოდა ნინოს: „აწ ღირს ვარ სახელის-დებად ღმრთისა შენისასა და მჴსნელისა ჩემისასა?" ხოლო წმიდა ნინო ასწავებდა და ეტყოდა მსწრაფულ თაყუანის-ცემად აღმოსავალით და აღსარებად ქრისტეს ძისა ღმრთისა.

მაშინ იყო გრგჳნა და ტირილი ყოვლისა კაცისა, ოდეს ხედვიდეს მეფესა და დედოფალსა ცრემლოვანთა. და ხვალისა დღე წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთად მირიან მეფემან წინაშე კოსტანტინე ბერძენთ მეფისა და წიგნი ნინოსი ელენე დედოფალსა წინაშე. და აუწყეს ესე ყოველი სასწაული ქრისტესმიერი, რომელი იქმნა მცხეთას შინა მირიან მეფესა ზედა, და ითხოვნეს მოსწრაფებით მღდელნი ნათლისღებისათჳს. ხოლო წმიდა ნინო და მოწაფენი მისნი ქადაგებდეს ერსა მას ზედა დღე და ღამე დაუცხრომელად, და უჩუენებდეს გზასა ჭეშმარიტსა სასუფეველისასა».

თქმული მისივე აღშენებისათჳს ეკლესიისა

«ოდეს წარემართა მეფე და ყოველი ერი ქრისტიანობასა მოსწრაფებით ვიდრე მღდელთა მოსლვადმდე, რქუა მეფემან წმიდასა ნინოს: „მესწრაფების მე აღშენებად სახლსა ღმრთისასა; სადა აღვაშენო?" რქუა წმიდამან ნინო: „სადაცა მეფეთა გონება მტკიცე არს". რქუა მას მეფემან: „მიყუარან მე მაყუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალნი ესე შენნი და მუნ მნებავს გონებითა ჩემითა, გარნა არა ვყო ესრეთ, არამედ არა ვრიდო სამოთხესა მას სამეუფოსა, და ნაძუთა ამათ სიმაღლესა, და ბაბილოთა ამათ ნაყოფიერებასა, და ყუავილთა სურნელებასა. რამეთუ ჩუენება რომელი იხილე შენ მფრინველთა მათ ფრთითა უშუერითა განბანა წყლითა და განსპეტაკება ბრწყინვალედ, და დასხდომა მათი ხეთა მათ ზედა სამოთხისათა და ჴმობა მათი ჴმითა ტკბილითა, — ჭეშმარიტად სამოთხე ესე ჴორციელი წარმწყმედელი შეგუეცვალოს სამოთხედ საუკუნოდ, და მუნ აღვაშენოთ სახლი ღმრთისა სალოცველად ჩუენდა ვიდრე მოსლვადმდე მღდელთა საბერძნეთით". და მეყსეულად მოიღო ძელი და ასწრაფებდა ხუროთა, და მოჰკუეთა ნაძვ იგი და ნაძვსა მისგან შემზადნა შვდნი სუეტნი ეკლესიისანი. და ვითარ აღაშენეს კედელი იგი ძელითა და აღმართნეს ექუსნი იგი სუეტნი თვს-თვსად, ხოლო სუეტი იგი უდიდესი, რომელი საკვრველ იყო ხილვითა, საშუალ ეკლესიისა შესაგდებელად განმზადებული, ვერ შეუძლეს აღმართებად მისა. და აუწყეს მეფესა საკვრველი იგი ყოვლად ვერ-ძრვა ადგილითცა სუეტისა მის.

მაშინ მოვიდა მეფე სიმრავლითა ერისათა. და მოიხუნეს მრავალღონენი მანქანანი, და სიმარჯვთა და ერისა სიმრავლისა ძალითა ეცადნეს აღმართებად და ვერ შეუძლეს. და იყო დაკვრვებულ მეფე და სიმრავლე ერისა, და იტყოდეს: „რა-მე არს ესე"? და ვითარ იქმნა მწუხრი, წარვიდა მეფე სახიდ თვსად, შეწუხებული დიდად. ხოლო წმიდა ნინო და ათორმეტნი მოწაფენი მისნი დედანი დაადგრეს სუეტსა მას თანა. ხოლო სანატრელი იგი გოდებდა, სუეტსა მას ზედა დაადინებდა ცრემლთა მისთა.

ვითარცა შუაღამე ოდენ იქმნა, წარმოიქცეს ორნივე ესე მთანი, არმაზ და ზადენ, რეცა თუ ჩამოირღუეს და დააყენნეს წყალნი ორთავე: და მტკუარმან გარდამოხეთქა და წარჰქონდა ქა ქი, და შეიქმნეს ჴმანი საზარელნი ტყეებისა და გოდებისანი; და ეგრეთვე არაგვ გარდამოჴდა ციხესა ზედა, და იქმნებოდეს საზარელნი გრგვნვანი. შეეშინა დედათა მათ და ივლტოდეს. ხოლო ნეტარი ნინო ღაღადებდა: „ნუ გეშინინ, დანო ჩემნო, მთანი მუნვე ჰგიან, და წყალნი მუნვე დიან, და ერსა ყოველსა სძინავს. ხოლო ესე რომელ რეცა მთანი დაირღუეს, სამართლად გეჩუენების, რამეთუ ურწმუნოებისა მთანი დაირ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღუეს ქართლს შინა. და წყალნი რომელ დაეყენნეს, სისხლი იგი ყრმათა, კერპთა მიმართ შეწირული, დაეყენოს. ხოლო ჯმა ესე ტყეებისა არს ეშმაკთა სიმრავლისა, რამეთუ იგლოვენ იგი თავსა თჳსსა, რომელ არიან მეოტ ამით ადგილით ძალითა მაღლისათა და ჯუარითა ქრისტესითა. მოიქეცით და ილოცევდით ღმრთისა მიმართ". და მეყსეულად დასცხრეს ჯმანი იგი, და იყო არარა.

და დადგა წმიდა ნინო, განეპყრნეს ჴელნი და ილოცვიდა ღმრთისა მიმართ და იტყოდა: „რათა არა დაებრკოლოს საქმე ესე, რომელსა წარმართებულ არს მეფე". კუალად ვიდრე არა ეყივლა ქათამსა სამთავე კართა ქალაქისათა, დასცა ზარსა ლაშქარმან ძლიერმან: დალეწნეს კარნი და აღივსო ქალაქი სპარსითა ლაშქრითა; და შეიქმნა ჯმა ზარის-საჯდელი, ზრზინვა, და ყივილი, და კვლა. და აღივსო ყოველი ადგილი სისხლითა, და მოვიდა სიმრავლე ზახილითა და მახჳლითა, და სხუათა მათ შიშისაგან დადნებოდეს ჯორცნი და განილია სული მათი. ტიროდეს ნათესავთა თჳსთა.

და მსწრაფლ ისმოდა, ჯმობდეს რა ძლიერად: „მეფე სპარსთა, მეფეთ-მეფე ხუარანხუარა ბრძანებს: ყოველი ჰურია განარინეთ პირისაგან მახჳლისა". ესე რა მესმა, და მოვეგე თავისა ცნობასა; და შეორგულდით მე და ათნივე იგი ჩემთანანი, და მოახლებულ იყვნეს მახჳლოსანნი გარემოს ჩუენსა, სცემდეს და კლვიდეს.

და ისმა ჯმა ძლიერი — „მირიან მეფე შეიპყრესო". გარემოიხილა მჯნემან მოღუაწემან და თქუა: „ესე რომელ ყივის, ვიცი რომელ აწ სამე დიდად სჭირს; და ვმადლობ ღმერთსა, რომელ ესე ნიშანი მათისა წარწყმედისა არს, და ქართლისა ცხოვრებისა, და ამის ადგილისა დიდებისა". და ნუგეშინისგუცემდა, ვითარცა მოძღუარი ჴელოვანი, ჴეშმარიტად მოძღუარი და მოციქული ქრისტესი.

მიექცა ერსა მას მომავალსა და რქუა: „სადა არიან მეფენი სპარსთანი ხუარა და ხუარანხუარა, საბასტანით გუშინ წამოხვედით, მალე სამე მოხვედით და დიდი სამე ლაშქარი ხართ, ძლიერად დალეწეთ ქალაქი ესე, და მახჳლი დაეცით, ქართა და ნიავთა წარგუალეთ ბნელით ჩრდილოთ კერძო, მთათა და კედართა. აჰა, მოვიდა რომელსა თქუენ ეგლტით". და განძრა ჴელი ჯუარისსახედ და მეყსეულად უჩინო იქმნეს ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველნი იგი. და იქმნა დაუუდება დიდი, და დედანი იგი ნა[illegible]
დეს მას და ადიდებდეს ღმერთსა.

ხოლო ვითარცა ცისკარი აღეღებოდა, და მიერულა ყოველთა მათ დედათა. ხოლო მე, სიდონია, მღვძარე ვიყავ. და იგი დგა ჴელ-განპყრობით. აჰა ესერა, ზედამოადგა ჭაბუკი ერთი ნეტარსა მას, ყოვლად ნათლითა შემკობილი, შებლარდნილი ცეცხლის ზეწრითა, და რქუა რამე სამნი სიტყუანი. ხოლო იგი დაეცა პირსა ზედა თჳსსა, და ჭაბუკმან მან შეჰყო ჴელი სუეტსა მას და აღმართა და წარიღო სიმაღლესა შინა. და განკჳრვებული მივეახლე მას და ვარქუ ესრეთ: „დედოფალო, რა არს ესე?“ ხოლო მან მრქუა: „მოიდრიკე თავი ქუეყანად“, და ტირილად იწყო ზარისა მისგან. და მცირედისა ჟამისა შემდგომად აღდგა და აღმადგინა და განვეშორენით მას ადგილსა. ხოლო დედანი ვითარ იყვნეს კიდე, იხილეს მათცა სუეტი იგი, ცეცხლისსახედ ჩამოვიდოდა და მოახლდებოდა ხარისხად მონაკუეთსა ზედა ძირსა ნაძჳსასა.

ვითარცა რიჟურაჟუ ოდენ იყო, აღდგა მეფე გულგდებული ურვათაგან, მიხედნა სამოთხესა მას და დაწყებულსა ეკლესიასა, სადა-იგი მტკიცე იყო გონება მისი, იხილა ნათელი, ვითარცა ელვა აღწევნული ცად სამოთხით მისით. იწყო სრბად და მკჳრცხლ მოვიდოდა, და ყოველი სიმრავლე სახლისა მისისა და ყოველი ერი ქალაქისა მოვიდა მის თანა.

ვითარცა იხილეს საკჳრველი იგი, ნათლითა ბრწყინვალე სუეტი ჩამოვიდოდა ადგილად თჳსად, რეცა ვითარცა ზეცით, და დადგა ხარისხსა მას ზედა, და დაემყარა ჴელით შეუხებლად კაცთაგან. და ნეტარ იყო მას ჟამსა შინა, რამეთუ, რა იგი იქმნებოდა, შიშითა და სიხარულით აღივსო მცხეთა ქალაქი, და დიადეს მდინარენი ცრემლთანი მეფეთა და მთავართა და ყოველსა ერსა. სულთქმითა სულისა მათისათა ადიდებდეს ღმერთსა და ნატრიდეს ნეტარსა ნინოს. და იქმნეს სასწაულნი დიდნი მას დღესა შინა.

პირველად მოვიდა ჰურია ვინმე, ბრმა შობითგან; მიეახლა სუეტსა მას და იქმნა მხედველ მუნქუესვე, და ადიდებდა ღმერთსა. მეორე სეფეწული მოვიდა ყრმა, ამაზასპანი; იდვა რვისა წლისა. მოიღო დედამან მისმან სარწმუნოებით და დადვა ცხედრითა წინაშე სუეტსა მას ნათლისასა, და ნანდჳლვე ნათლისასა. ევედრებოდა ნინოს: «მოხედენ, დედოფალო, ძესა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამას ჩემსა, სიკუდილად მიახლებულსა. რამეთუ ვიცი ღმერთი
ღმერთთა იგი არს, რომელსა შენ ჰმსახურებ და ჩუენ გვქადა-
გებ". მაშინ წმიდამან ნინო შეახო ჴელი სუეტსა მას, დასდვა
ყრმასა მას და რქუა: „გრწმენინ იესო ქრისტე, ძე ღმრთისა,
ცხოვრებისათჳს ყოვლისა სოფლისა ჴორცითა მოსრული; გა-
ნიკურნე ამიერითგან და ადიდებდი მას, ვისმან ძალმან განგ-
კურნა". და მსწრაფლ აღდგა ყრმა იგი, ვითარცა უტკივნელი.
და დაეცა შიში დიდი მეფესა და ყოველსა ერსა. და თჳთოსა-
ხენი სნეულნი მოვიდოდეს და განიკურნებოდეს, ვიდრემდის
მეფემან შეუქმნა საბურველი ძელისა გარემოს სუეტსა მას, და
დაფარა ხედვისაგან. და ეგრეთვე შეეხებოდეს ერნი სართულ-
სა მას და განიკურნებოდეს. მსწრაფლ იწყო მეფემან და გა-
ნასრულა ეკლესია სამოთხესა შინა.

და ვითარცა მიიწივნეს მოციქულნი მირიან მეფისანი
კოსტანტინე ბერძენთა მეფესა წინაშე, და მიუთხრეს ყოველი,
რაცა იქმნა. მაშინ აღივსო სიხარულით მეფე და დედამისი,
ელენე დედოფალი: პირველად ამისთჳს, რამეთუ მადლი
ღმრთისა მიეფინებოდა ყოველთა ადგილთა და ჴელსა ქუეშე
მათსა ნათელს-იღებდა ყოველი ქართლი. შემდგომად ამისთჳს
განმხიარულდეს, რამეთუ დაიდასტურეს მირიან მეფისაგან
სრულიად მოწყუედა სპარსთა და მტკიცედ მიღება სიყუარუ-
ლისა მათისა. და ადიდებდეს და ჰმადლობდეს ღმერთსა. და
წარმოგზავნა მღდელი ჭეშმარიტი იოვანე ეპისკოპოსად, და
მის თანა მღდელნი ორნი და დიაკონნი სამნი. და მოუწერა
მირიანს კოსტანტინე მეფემან წიგნი ლოცვისა და კურთხევისა
ღმრთისა მადლობისა. და წარმოსცა ჯუარი და ხატი მაცხოვ-
რისა, და მის თანა ნიჭი დიდი. და ელენე დედოფალმან მოუ-
წერა წიგნი ქებისა და ნუგეშინის-ცემისა.

მოიწია იოვანე ეპისკოპოსი და მის თანა მღვდელნი და
დიაკონნი და მოციქულნი მცხეთად, და აღივსნეს სიხარულითა
მეფე და დედოფალი და ყოველი ერი მათი, რამეთუ სურვიელ
იყვნეს ყოველნივე ნათლისღებისათჳს. მაშინ მსწრაფლ გაგ-
ზავნა ბრძანება მირიან მეფემან ყოველთა თანა ერისთავთა,
სპასალართა და ყოველთა პირთა სამეფოსათა მოწოდებად წი-
ნაშე მისსა; და მსწრაფლ მოიწივნეს ყოველნი ქალაქად.

მაშინ ნათელ-იღო მეფემან ჴელსა ქუეშე წმიდისა ნინოს-
სა, და შემდგომად დედოფალმან და შვილთა მათთა ჴელსა

ძუეშე მათ მღდელთა და დიაკონთასა. და შემდგომად ამისსა აკურთხეს მდინარე მტკუარი, და ეპისკოპოსმან შემზადა ადგილი ერთი, მიწურვით ჯიდისა კარსა მოგუეთისასა, სადა ყოფილ იყო სახლი ელიოზ მღდელისა, და მუნ ნათელ-სცემდა წარჩინებულთა თვთოსა. და ეწოდა ადგილსა მას მთავართა სანათლო. ხოლო ქუემოთ მისსა, მდინარისავე პირსა, ორგან, ორნი იგი მღდელნი და დიაკონნი ნათელ-სცემდეს ერსა. და მიატყდებოდა ერი იგი ურთიერთას მოსწრაფებით და ეკედრებოდეს მღდელთა, რათა პირველად მას ვისმე ნათელ-სცეს. და ესრეთ სურვიელ იყო ერი იგი ნათლისღებისათვს, რამეთუ ესმინა ქადაგება წმიდისა ნინოსი, რომელსა იტყუნ: „ყოველმან რომელმან არა ნათელ-იღოს, არა პოვოს მან ნათელი საუკუნო“. და ამისთვს მოსწრაფე იყვნეს ნათლისღებად ყოველნი იგი. და ესრეთ სახედ ნათელ-იღეს ყოველმან ერმან და სიმრავლემან ქართლისამან, თვნიერ ხოლო არა ნათელ-იღეს მთიულთა კავკასიანთა, არცა მოვიდეს მოფენასა მას ნათლისასა, არამედ დაადგრეს ბნელსა შინა ჟამ რაოდენმე. და ჰურიათა მცხეთელთა არავე ნათელ-იღეს, გარნა ბარაბიანთა ნათელ-იღეს ორმოცდაათმან სახლმან და იქმნეს ქრისტიანე ჰეშმარიტ. ამისთვსცა დიდ იქმნეს იგინი წინაშე მეფისა; და მიუბოძა მათ დაბა, რომელსა ჰქჳან ციხედიდი. არამედ არა ნათელ-იღო ფეროზ, სიძემან მირიან მეფისამან, რომელსა ჰქონდა რანი ბარდავამდინ მიცემულად მირიან მეფისაგან; არცა ერმან მისმან ნათელ-იღო, არამედ ჯორციელ ოდენ მსახურებდა მირიან მეფესა.

მაშინ წარავლინა მირიან მეფემან ეპისკოპოსი იოვანე და მის თანა წარჩინებული ერთი წინაშე კოსტანტინე მეფისა, და ითხოვა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, რომელი მას ოდენ ჟამსა გამოეჩინა ღმრთისმოყუარესა ელენე დედოფალსა. და ითხოვნა მღდელნი მრავალნი, რათა განავლინნეს ყოველთა ქალაქთა და ადგილთა და ნათელ-სცემდეს ერსა, რათა მსწრაფლ ნათელ-იღოს ყოველმან სულმან ქართლისამან. და ითხოვნა ქვითხურონი აღშენებისათვს ეკლესიათა.

ვითარ მიიწივნეს წინაშე კონსტანტინე კეისრისა, სიხარულით მოანიჭა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, და ფიცარნი იგი, რომელთა ზედა ფერვნი დამსჭეალულ იყვნეს უფლისანი და სამსჭეალნი ჯელთანი. და წარმოგზავნნა მღდელნი და ხუროთ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნი ფრიად მრავალნი: რამეთუ კოსტანტინე მეფემან მეფობასა შინა მისსა აღაშენა წმიდა ეკლესია, ტაძარი ღმრთისა ხუთასი. და მოსცა განძი დიდძალი ეპისკოპოსსა იოვანეს და უბრძანა: „სადაცა ჯერ-იჩინო ადგილთა ქართლისათა, აღაშენენ ეკლესიანი სახელსა ზედა ჩემსა; და ნიჭნი ესე დაამკჳდრენ ქალაქთა ქართლისათა“.

და წარმოვიდა ეპისკოპოსი და მის თანა მოციქული. და ვითარ მოიწივნეს ადგილსა, რომელსა ჰქჳან ერუშეთი, და დაუტევნა ხუროონი საქმედ ეკლესიისა: დაუტევნა განძი და სამსჭუალნი უფლისანი და წარმოვიდა. და დაუტევნა წუნდას ხუროონი და განძი და, რაჟამს ეწყო ოდენ ეკლესიასა, წარმოვიდა და მოვიდა მანგლისს, და იწყო ეკლესიასა შენება; და დაუტევნა ფიცარნი იგი უფლისანი.

მაშინ შეწუხნა მირიან მეფე ამისთჳს, რამეთუ პირველ ხარა სამეუფოსა ქალაქსა მოვიდეს, არამედ სხუათა ქალაქთა და ადგილთა იწყეს შენებად ეკლესიათა და დაუტევნეს ნაწილხი. ხოლო მოვიდა წმიდა ნინო წინაშე მეფისა და რქუა: „ნუ სწუხ, მეფეო, რამეთუ ესრეთ ჯერ-არს: სადაცა მოვიდოდიან, დასთესვიდენ სახელსა ღმრთისასა. ხოლო არს ქალაქსა ამას შინა სამოსელი იგი დიდებული უფლისა“.

მაშინ მოიყვანა მეფემან აბიათარ მღვდელი და მის თანა ჴურიანი მრავალნი, და გამოიკითხა მათგან კუართისა მისთჳს. ხოლო მათ მიუთხრეს ყოველი, რომელი ზემო წერილ არს. მაშინ აღიპყრნა ჴელნი მირიან მეფემან და თქუა: „კურთხეულ ხარ შენ, უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისა ცხოველისაო; რამეთუ პირველითგანვე გინდა ჴსნა ჩუენი ეშმაკისაგან და ადგილისა მისგან ბნელისა. ამისთჳს სამოსელი იგი შენი წმიდა წარმოეც წმიდით ქალაქით იერუსალემით ებრაელთა მათ, ღმრთეებისა შენისაგან უცხოქმნილთა, და მომეც ჩუენ უცხოთა ნათესავთაგან“.

და წარემართა მეფე და ყოველი ქალაქი მტკიცედ ქრისტიანობასა. იწყეს ხუროთა შენებად ეკლესიისა გარეგნივ ზღუდესა, მაყუალთა მათ ზედა, საყოფელსა წმიდისა ნინოსსა, სადა აწ არს ეკლესია საეპისკოპოსო. მაშინ თქუა წმიდამან ნინო: „კურთხეულ არს უფალი ღმერთი იესო ქრისტე და მამა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, რომელმან მოავლინა სიტყუა მისი წმიდა ზეცითგან მაღალთათ, ითჳთ ძლიერისაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყდრისა გარდამოსრული ქუეყანად მდაბლად, შობილი ქუ-ჭუელად თესლისაგან დავითისა, დედაკაცისაგან მარტოდ შო-ბილისა, წმიდისა და უბიწოსა; რომელი სათნო ეყო მას მიზე-ზითა, მიზეზი ცხოვრებისა ჩუენისა, რომელმან ცასა ქუეშე ყოველივე განანათლა და მორწმუნენი აცხოვნნა; რომელი იშვა ვითარცა კაცი, ნათელი ყოველთა, ხატი ღმრთისა მამისა, და ვითარცა მსახურმან ვინმე სჯულისამან ნათელ-იღო წყლი-ხაგან და სულისა, ჯუარს-ეცუა, დაეფლა და აღდგა მესამესა დღესა, და აღჰდა სიმაღლესა მამისა თანა, და კუალად მო-ვალს დიდებით; რომელსა შუენის ყოველივე დიდება, პატივი და თაყუანის-ცემა თანა მამით და სულით წმიდით».

ამაღლებისათუის
პატიოსნისა ჯუარისა

ვითარცა ნათელ-იღეს მეფემან, და დედოფალმან, და შვილთა მათთა, და ყოველმან ერმან, მაშინ დგა ხე ერთი ად-გილსა ერთსა, კლდესა ზედა ბორცუსა შეუვალსა, და იყო ხე იგი შუენიერი ფრიად და სულნელი. და ესე საკჳრველება იყო ხისა მისგან, რამეთუ ისარცემული ნადირი, რომელი მოვიდის და ჭამის ფურცელი მისი და გინა თესლი მისი, განერის სიკუ-დილისაგან, დაღაცათუ საკლავსა ადგილსა დიდად წყლულ იყვის. ესე დიდად საკჳრველ-უჩნდის პირველთა მათ წარმართ-თა, და აუწყეს ეპისკოპოსსა იოვანეს ხისა მისთჳს. ხოლო ეპისკოპოსმან თქუა: „აჰა ესერა, ჭეშმარიტად პირველითგანვე დამარხულ არს ქუეყანა ესე ღმრთისაგან მსახურად თჳსად, რამეთუ ღმრთისაგან აღმოსცენდა ხე იგი დამარხული ჟამისა ამისთჳს. რამეთუ აწ მოეფინა მადლი ღმრთისა ქართლსა, და მის ხისაგან ჯერ არს შექმნად ჯუარი პატიოსანი, რომელსა თა-ყუანი-სცეს ყოველმან სიმრავლემან ქართლისამან“ .

და წარვიდეს რევ, ძე მეფისა, და ეპისკოპოსი, და სიმრავ-ლე ერისა, და მოჰკუეთეს ხე იგი და წარმოიღეს რტოთურთ თჳსით. და მოაქუნდა ათსა ათეულსა კაცსა ზე-ზე რტოთურთ და ფურცლითურთ შემოაქუნდა ქალაქად. და შემოკრბა ერი ხილვად მწუანისფერობასა მას და ფურცლიანობასა, ჟამსა ზამთრისასა, ოდეს ხეთა ყოველი ხე ჴმელ იყო, ხოლო ესე ფურცელ-დაუცჳნელი, სულამო და სახილველად შუენიერი. და ძირსა ზედა აღმართეს ხე იგი კარსა ზედა ეკლესიისასა,

სამხრით, სადა ბერვიდა ნელი ნიავი, და შლიდა ფურცელთა მის ხისათა, და ძრვიდა რტოთა მისთა. და იყო ხილვა მისი შუენიერი, ვითარცა სმენით ვიცით, ხისა მის ალვისა.

ესე მოჰკუეთეს მარტსა ოცდახუთსა, დღესა პარასკევსა. და დაადგრა ხე იგი ეგრეთ დღესა ოცდაჩვიდმეტსა, და არა შეიცვალა ფერი ფურცელმან მისმან, ვითარცა დგა ძირსავე ზედა მისსა, თავსა ზედა წყაროსასა, ვიდრემდის ყოველნი ხენი მაღნარისანი შეიმოსნეს ფურცლითა და ხენი ნაყოფისა გამომღებელნი შეიმოსნეს ყუავილითა.

მაშინ თუესა მაისსა ერთსა შექმნნეს ჯუარნი ესე, და შვდსა ამის თვსასა აღმართნეს ჭელის-დადებითა მეფეთათა, სიხარულითა და წადიერებითა ყოვლისა ერისა ქალაქისათა, და იყვნეს ეკლესიასა შინა. იხილა ყოველმან ერმან ქალაქისამან ყოველთა მათ დღეთა: აჰა, ჩამოვიდის ჯუარი ცეცხლისა ზეცით და მისა გარემოს, მსგავსად გვრგვნისა ვარსკულავისათა, და დაადგრის ეკლესიასა ზედა ვიდრე განთიადმდე. და რიჟურაჟუ ოდენ გამოვიდიან მისგან ორნი ვარსკულავნი: ერთი წარვიდის აღმოსავალით და ერთი დასავალით; და იგი თავადი ეგრეთ ბრწყინვალედ, ნელიად-ნელიად, განვიდის მიერ კერძო არაგუსა, და დადგის ბორცუსა მას ზედა კლდისასა, ზემო კერძო ახლოს წყაროსა მას, რომელი აღმოაცენეს ცრემლთა წმიდისა ნინოსთა და მუნით აღიმაღლის ზეცად. და ესრეთ მრავალგზის იხილა ყოველმან ერმან მაცხოვარება ღმრთისა ჩუენისა. მაშინ იწყეს კითხვად ნეტარისა ნინოსა, თუ „რა არს, რომელ გამოვალს ბრწყინვალე ვარსკულავი, და ერთი წარვალს აღმოსავალით და ერთი დასავალით“. ხოლო მან თქუა: „განავლინენით კაცნი მთათა ზედა მაღალთა აღმოსავალით ვიდრე კახეთის მთამდე და დასავალით ვიდრე სანახებამდე ამის ქალაქისა; და ოდეს გამობრწყინდენ მთიებნი იგი, ნახონ თუ სადა დადგენ, და მუნცა აღემართნენ ჯუარნი ესე ქრისტესნი“.

მაშინ ყო მეფემან ეგრე და შეიცვნა თავნი მთათანი მიწყებით. ხოლო დღე ესე იყო პარასკევი, და შაბათი განთენდებოდა. იყო იგივე სასწაული, და იქმნა ეგრეთვე, ვითარცა პირველ იქმნის. ხვალისა დღე მოვიდეს დასავალისანი, რომელნი დგეს მთათა ზედა ქუაბთა თავისათა, და მიუთხრეს მეფესა, ვითარმედ: „გამოვიდა ვარსკულავი იგი, ამაღლდა და მიიწია მთასა ზედა თხოთისასა, გარდასავალსა ზედა კასპისასა, დაად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრა ადგილსა ერთსა და ყოვლად უჩინო იქმნა".

და ეგრეთვე მოვიდეს მთით კახეთისათ და თქუეს: „ეგ-ლეთ ვარსკულავი აქათ მომავალი, და დაადგრა დაბასა ბოდე-სა კუხეთისასა". მაშინ უბრძანა ნეტარმან ნინო: „წარიხუენით ორნი ჯუარნი და აღმართენით ერთი თხოთს, სადა-იგი გამხი-ლა ღმერთმან ძალი მისი, და ერთი მიეც სალომეს, მჴევალსა ქრისტესსა, და აღმართოს უჯარმას ქალაქსა. რამეთუ ბოდი, დაბა კუხეთისა, არა წინააღუდგეს ქალაქსა მეფეთასა, რამეთუ ერისა სიმრავლე არს მას შინა. ბოდის კულა დაბა თჳთ იხი-ლოს სათნო იგი ადგილი ღმრთისა". და ყვეს ეგრეთ, ვითარცა უბრძანა დედოფალმან.

ხოლო ესე სასწაულითა ზეცისათა ჩუენებით ჯუარი პატი-ოსანი მცხეთას იპყრეს, ჴელითა კაცობრივითა, და მივედით ბორცვსა მას ქუეშე: წყაროსა მას ზედა ათიეს ლამე, და ილო-ცეს ღმრთისა მიმართ, და ნეტარი ნინო ცრემლითა შეაზავებ-და წყაროსა მას, და იქმნებოდეს კურნებანი და სასწაულნი დიდნი.

ხოლო ხვალისა დღე აღვიდეს კლდესა მას ზედა. და მივი-და ნეტარი იგი ბორცუსა მას ზედა, დავარდა ქვათა მათ ზე-და, ტიროდა თჳთ იგი და მის თანა მეფენი და მთავარნი, და ყოველი სიმრავლე ერისა, ვიდრემდის მთანი ჴმა-სცემდეს. და დასდვა ჴელი ერთსა ქვასა და რქუა ეპისკოპოსსა: „მოვედ, რამეთუ შენდა ჯერ-არს და დასწერე ჯუარი ქვასა ამას". და მან ყო ეგრეთ, და მუნ აღემართა ჯუარი იგი დიდებითა მეფე-თაგან. და მოდრკა ერი იგი ურიცხჳ, და თაყუანი-სცეს ჯუარსა, და აღიარეს ჯუარცმული ჭეშმარიტად ძედ ღმრთისა ცხოვე-ლისად. და ჰრწმენა სამებით დიდებული ღმერთი.

ხოლო დიდნი იგი მთავარნი არა განეშორებოდეს ეკლესი-ასა წმიდასა, და სუეტსა ნათლისასა, და ჯუარსა მას ცხოველსა, რამეთუ ხედვიდეს სასწაულთა მათ უზომოთა და კურნებათა მათ მიუთხრობელთა. და დღესა კვრიაკესა აღვსებისა ზატიკსა ყო ᲠᲘᲐᲜ მეფემან და ყოველმან მცხეთამან, შეწირეს შესაწირავი. იგი დღე განაწესეს ჯუარისა მსახურებად, აღვსებისა ზატიკი, ყოველმან ქართლმან მოდღენდელად დღედმდე.

და იყო რაოდენისამე დღისა შემდგომად, მარტჳლობისა უკანას, იხილეს სასწაული დიდად საშინელი, დღესა ოთხშაბათსა: აჰა ესერა, სუეტი ნათლისა, სახედ ჯუარისა, დგა ჯუარ-

ესა მას ზედა, და თორმეტნი ვარსკულავნი, სახედ გვრგვნისა, გარემოს მისსა, ხოლო ბორცვ იგი კუმოდა სახედ სულნელადვ და ხედვიდეს სასწაულსა ამას ყოველნი, და მრავალნი ულმრთოთაგანნი მოიქცეს და ნათელ-იღეს მას დღესა შინა. ხოლო ქრისტიანენი უფროს მორწმუნე იქმნებოდეს და ადიდებდეს ღმერთსა. მერმე კუალად იხილეს სხუა სასწაული ჯუარისა, ვითარცა რა ცეცხლი დგა თავსა ზედა მისსა, შვდწილად მზისა უბრწყინვალესი, ზედა დაადგრა მას და, ვითარცა საჴუმილისა ნაბერწყალნი აღვლენ, ეგრესახედ ანგელოზნი ღმრთისანი აღვიდოდეს და გარდამოვიდოდეს მას ზედა. ხოლო ბორცვ იგი იძრვოდა ძლიერად და, ვითარცა სასწაული იგი დასცხრებოდა, ეგრეცა ძრვა იგი დასცხრებოდა. ვითარცა იხილეს სასწაული იგი, დაუკვრდა ყოველთა, და უფროსად და უმეტესად ადიდებდეს ღმერთსა. და ვითარცა იქმნებოდეს წლითი წლად სასწაულნი იგი, და ყოველი ერი ხედვიდეს შიშით და ძრწოლით; მოვიდოდეს თაყუანის-ცემად გულსმოდგინედ.

მას ჟამსა რევის, ძესა მეფისასა, ესუა ყრმაწული მცირე, და იყო სნეულ, და მიწევნულ იყო სიკუდილად. რამეთუ იგი ოდენ მხოლო ესუა მათ, მოიღო და დადვა იგი წინაშე ჯუარისა და ცრემლით იტყოდა: „უკუეთუ მომიბოძო ყრმა ესე ცოცხალი, აღვაშენო კუბო საყუდელად შენდა“. და მუნქუესვე განიკურნა ყრმა იგი, და განკურნებული და განცოცხლებული წარიყვანა. მერმე მოვიდა აღნათქუემისა აღმასრულებელად და ყო მადლისა მიცემა დიდითა სიხარულითა. და გულსმოდგინებით აღაშენა კუბო ჯუარისა მცხეთისა რევ, ძემან მეფისამან, და წლითი წლად მოვიდის და აღასრულის აღნათქუემი იგი მსხუერპლისა. და მიერითგან უფროს მოვიდოდეს ყოველნი უძლურნი და სნეულნი, განიკურნებოდეს და სიხარულით ადიდებდეს ჯუარსა წმიდასა ქრისტესსა.

იყო ვინმე მამაკაცი ჭაბუკი, და ორნივე თუალნი დასდგომოდეს. ჴდა იგი წინაშე ჯუარსა ქრისტესსა, და შემდგომად შვლისა დღისა აღეხილნეს თუალნი: ხედვიდა და ადიდებდა პატიოსანსა ჯუარსა.

მერმე დედაკაცი ვინმე იყო, მარადის გუემული სულისაგან უკეთურისა ეგეოდენ, რომელ ძალი და გონება მისი მიეღო რვასა წელსა, და სამოსელსა თჳსსა დაიპებდა. და ვითარ მოიყვანეს და პატიოსანსა ჯუარსა შეამთხვვეს, შემდგომად თორ-

მეტისა დღისა განიკურნა და თჳსითა ფერჴითა წარვიდა. და ადიდებდა ღმერთსა და თაყუანი-სცემდა პატიოსანსა ჯუარსა.

და კუალად იყო ყრმა ვინმე მცირე: მეყსეულად დაეცა და მოკუდა. აღიღო იგი დედამან მისმან და დააგდო წინაშე ჯუარსა ყრმა იგი მომწყდარი, დილითგან მიმწუხრამდე. ხოლო დედამისი ტირილით ილოცვიდა წინაშე ჯუარსა, და სხუანი ეტყოდეს: „წარიღე, დედაკაცო, და დამარხე, რამეთუ მომკუდარ არს, და ნულარა აწყინებ". ხოლო მან არა წარიკუეთა სასოება, არამედ უფროს და უმეტეს საწყალობელად ტიროდა და ილოცვიდა. ხოლო მწუხრის ჟამსა სულიერ იქმნა და თუალნი აღეხილნეს. და შემდგომად შჳდისა დღისა განიკურნა, და განცოცხლებული წარიყვანა ყრმა იგი დედამან მისმან. და ადიდებდა ღმერთსა.

იხილეს რა სასწაული და კურნება ყოვლად წმიდისა ჯუარისა, მრავალნი უშვილონი მოვიდოდეს და ითხოვდეს შვილიერებასა, და შვილმრავალ იქმნებოდეს, და შესაწირავთა და მადლთა ჰყოფდეს. არა თუ რომელნი მოვიდიან მათ ოდენ მიიღიან კურნება, არამედ რომელნი შორით ილოცვიდიან წმიდასა ჯუარსა, მუნქუესვე შეწევნითა მისითა მიიღიან მადლი, მძლე ექმნებიან მტერთა და მოსწრაფედ მოვიდიან შეწირვად მადლისა.

მრავალნი უკუე უღმრთონი ჭირსა შთაცვვიან, და რაჟამს ხადოდიან წმიდასა ჯუარსა, მუნქუესვე განერიან ჭირისაგან და მოვიდოდიან შემთხუევად პატიოსნისა ჯუარისა, და მსწრაფლ ნათელ-იღიან და ადიდებდიან პატიოსანსა ჯუარსა. მრავალნი უკუე, მრავალსა ჭირსა შთაცვვნულნი, ძალითა პატიოსნისა ჯუარისათა განიკურნებოდეს პირად-პირადთაგან სატანჯველთა, მოივლტიედ ვედრებად და მყის განიკურნებიედ მოდღენდელად-დღედმდე და ადიდებდეს მამასა ,და ძესა, და წმიდასა სულსა.

წიგნი

რომელი მოუწერა პატრიაქმან ჰრომისამან და ბრანჯთა მეფემან ნინოს და მეფესა მირიანს და ყოველსა ერსა ქართლისასა

მათ დღეთა შინა მოვიდა წიგნი ჰრომით, წმიდისა პატრიაქისა, ნინოს და მეფესა და ყოველსა ერსა ქართლისასა. და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოავლინა ბრანჯი დიაკონი ქებისა შესხმად და კურთხევისა მიცემად, და ამის ნეტარისა ნინოსგან ლოცვისა წარღებად და მადლისა ზიარებად. აქუნდა წიგნი ბრანჯთა მეფისა ნინოსცა თანა: რამეთუ მამისა მისისაგან ნათელ-ეღო ბრანჯეთს. და ესე ყოველი შისმენილ იყო იერუსალემით და კოსტანტინეპოლით, ვითარმედ ქუეყანასა მას ქართლისასა მიეფინა მზე სიმართლისა. ამისთჳს სანატრელი წიგნი მოუწერა, რათამცა ეუწყნეს აქანი იგი სასწაულნი სუეტისა მის და მაყულოვნისა, და ძალი იგი კურნებისა. ესე ყოველი იხილა და მოისმინნა სასწაულნი იგი ბრანჯმან დიაკონმან, რომელნი ქმნილ იყვნეს მცხეთას, და განკჳრვებული ადიდებდა ღმერთსა; წარიღო წიგნები და წარვიდა.

მაშინ რქუა მეფემან წმიდასა ნინოს და ეპისკოპოსსა: „მნებავს ესრეთ, რათა იძულებით მახჳლითა მოვაქცივნეთ მთეულნი და სიძე ჩემი ფეროზ, და დავამონნეთ ძესა ღმრთისასა და ვათაყუანნეთ პატიოსანსა ჯუარსა“. მაშინ რქუეს: „არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახჳლისა აღება, არამედ სახარებითა და ჯუარითა პატიოსნითა უჩუენოთ გზა ჭეშმარიტი, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ, და მადლმან ღმრთისამან განანათლოს ბნელი იგი გულთა მათთა“.

და წარვიდა წმიდა ნინო და ეპისკოპოსი იოვანე, და მათ თანაწარატანა მეფემან ერისთავი ერთი. მივიდეს და დადგეს წობენს, და მოუწოდეს მთეულთა, პირუტყუთა სახეთა მათ კაცთა, ჭართალელთა, ფხოელთა, წილკანელთა და გუდამაყრელთა. და უქადაგეს მათ სჯული ქრისტიანეთა ჭეშმარიტი, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ. ხოლო მათ არა ინებეს ნათლისღება. მაშინ ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმართა მახჳლი მათ ზედა, და ძლევით შემუსრნა კერპნი მათნი.

გარდამოვიდეს მუნით და დადგეს ჟალეთს, და უქადაგეს ერწო-თიანელთა. ხოლო მათ შეიწყნარეს და ნათელ-იღეს. ხოლო ფხოელთა დაუტევეს ქუეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს. და სხუანიცა მთეულნი უმრავლესნი არა მოიქცეს, არაცედ დაუმძიმა მათ მეფემან ხარკი, ოდეს არა ინებეს ნათლისღება. ამისთჳს წარკრბეს იგინი და შესცთეს, და რომელნიმე უკანასკნელ მოაქცივნა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსმან და რომელნიმე მათგანნი დარჩეს წარმართობასავე შინა დღესამომდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო წმიდა ნინო წარემართა წარსლვად რანს, მოქცევად ფეროზისა. და ვითარცა მიეახლა კუხეთს, დაბასა ბოდისასა, დაყვნა მუნ დღენი რაოდენნიმე. და მოვიდოდეს მისსა კახეთით, ჰკითხვიდეს და აღიარებდეს სწავლასა მისსა სიმრავლე ერისა. მაშინ დასნეულდა მუნ; და ვითარცა ცნა რევ, ძემან მეფისამან, და სალომე, ცოლმან მისმან, რომელნი ცხორებდეს უჯარმას, მოვიდეს ნინოსა და აცნობეს მეფესა და დედოფალსა. ხოლო მათ მიავლინეს ეპისკოპოსი იოვანე წარმოყვანებად წმიდისა ნინოსსა, ხოლო წმიდა ნინო არა ერჩდა. მაშინ წარვიდა თჳთ მეფე და სიმრავლე ერისა. და შეკრბა მის ზედა სიმრავლე ერთა ძლიერთა. რამეთუ ხედვიდა ყოველი იგი ერი პირსა ნინოსსა, ვითარცა პირსა ზეცისა ანგელოზისასა, და მოსწყუედდიან ფესუსა სამოსლისა მისისა, მიიღებდეს და ემთხუეოდეს სარწმუნოებით, და იძულებით ევედრებოდეს ყოველნი დედოფალნი, გარემოს მსხდომნი, რომელთა გარდამოსდიოდეს ცრემლნი თუალთაგან მათთა განშორებისათჳს მოძღურისა მათისა და მოღუაწისა, და სნეულთა მკურნალისა ჴელოვანისა.

და ეტყოდეს სალომე უჯარმელი და პეროჟავრი სივნელი და მათ თანა ერისთავნი და მთავარნი ჰკითხვიდეს, თუ „ვინა ანუ სადათ მოხვედ ამა ქუეყანასა მაცხოვრად ჩუენდა? ანუ სადათმე იყო აღზრდა შენი? დედოფალო, მაუწყე ჩუენ საქმე შენი. რასა იტყჳ ტყუეობასა, ტყუეთა მჴსნელო სანატრელო? რამეთუ ესერა გჳსწავიეს შენ მიერ, ვითარმედ ყოფილ არიან წინასწარმეტყუელნი პირველ ძისა ღმრთისა, და შემდგომად მოციქულნი თორმეტნი და სხუანი სამოცდაათნი, და ჩუენდა არავინ მოავლინა ღმერთმან, გარნა შენ, და ვითარ იტყჳ, ვითარმედ ტყუე ვარი მე? ანუ ვითარ უცხო?“

მაშინ იწყო სიტყუად წმიდამან ნინო და თქუა: „ასულნო სარწმუნოებისანო, მახლობელნო დედოფალნო ჩემნო. გზედავ �უენ, ვითარცა პირველთა მათ დედათა, ყოველთა სარწმუნოებსა ზედა ქრისტესსა, და გნებავს გზათა ჩემთა ცნობა, გლახაკისა მჴევლისათა. აწ გაუწყოცა, რამეთუ ესერა მოსრულ არს სული ჩემი ჴორჴად ჩემდა, დამეძინების მე ძილითა დედისა ჩემისათა საუკუნოდ. არამედ მოიხუენით საწერელნი და დაწერეთ გლახაკი და უდები ცხოვრება ჩემი, რათა უწყოდიან შვილთაცა თქუენთა სარწმუნოება თქუენი, და შეწყნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება ჩემი, და სასწაულნი ღმრთისანი, რომელ გიხილვან“.

მაშინ მსწრაფლ მოიხუნეს საწერელნი სალომე უჯარმელ-მან და პეროჟავრი სივნელმან: იწყო სიტყუად წმიდამან ნინო, ხოლო იგინი წერდეს. და წამოუთხრა ყოველი, რომელი ზემოთ დავწერეთ, ცხოვრება მის წმიდისა და ნეტარისა. და შევედრა მეფესა იაკობ მღვდელი, რათა შემდგომად იოვანესსა იგი იყოს ეპისკოპოს. მაშინ იოვანე ეპისკოპოსმან შეწირა ჟამი და აზიარა წმიდა ნინო ჯორცსა და სისხლსა ქრისტესსა. და შევედრა სული თჳსი მეუფესა ცათასა, ქართლად მოსლვითგან მისით მეთოთხმეტესა წელსა, ქრისტეს ამაღლებითგან სამას ოცდათურამეტსა წელსა, დასაბამითგანთა წელთა ხუთიათას რვაას ოცდათურამეტსა.

მაშინ შეიძრნეს ორნივე ესე ქალაქნი, მცხეთა და უჯარმა, და ყოველი ქართლი, მიცვალებასა ნინოსსა. მუნ მივიდეს და დამარხეს ძლევით შემოსილი გუამი მისი ადგილსავე ზედა კუხეთს, დაბასა ბოდისასა, რამეთუ მუნ ითხოვა თჳთ დაფლვა მეფისაგან, შეხედვებითა ღმრთისათა: სიმდაბლისათჳს ქმნა ესე წმიდამან, რამეთუ ადგილი იგი შეურაცხი იყო. და მწუხარე იყო მეფე და ყოველნი წარჩინებულნი მუნ დაფლვასა მისსა, არამედ მცნებისა და ანდერძისა მისისა აღსრულებისათჳს დაფლეს მუნ.

და ვითარ აღასრულა ესე ყოველი ღმრთივგანბრძნობილმან მირიან მეფემან, განამტკიცა ყოველი ქართლი და ჰერეთი სარწმუნოებასა ზედა სამებისა წმიდისასა, ერთარსებისა ღმრთისა დაუსაბამოსასა, დამბადებელისა ყოვლისასა; და განმტკიცდეს სრულსა სარწმუნოებასა ზედა.

მაშინ კეისარსა კოსტანტინეს რომელ ჰყვა მძევალი, ძე მირიანისი, რომელსა ერქუა ბაქარ, გამოგზავნა იგი მეფემან კოსტანტინე ნიჭითა დიდითა, და მოუწერა ესრეთ: „მე, კოსტანტინე მეფე, თჳთმპყრობელი, ახალი მონა ცათა მეუფისა, პირველ ეშმაკისაგან წარტყუენული და მერმე გამოჴსნილი დამბადებელისა მიერ, მოვსწერ შენდა ღმრთივგანბრძნობილისა და ჩემ თანავე ახალნერგისა, მორწმუნისა მეფისა მირიანისსა. იყავნ შენ თანა მშჳდობა და სიხარული! ვინათგან იცან შენ სამება ერთარსება, ღმერთი დაუსაბამო, დამბადებელი ყოვლისა, არღარა მიჴმს მე შენგან მძევალი. არამედ კმა არს ჩუენ შორის შუამდგომელად ქრისტე, ძე ღმრთისა, პირველ

ჟამთა შობილი, რომელი განკაცნა ჴსნისათჳს ჩუენისა, და ჯუ-
არი მისი პატიოსანი, რომელი მოცემულ არს ჩუენდა ...
მძღურად, გულითა მოსავთა მისთა, და შუამდგომელობითა
ღმრთისა დამბადებელისათა ვიყვნეთ ჩუენ სიყუარულსა ზედა
ძმებრივ. და შვილი შენი შენდავე მიმინიჭებიეს, იხილე და გა-
ნიხარე; და ღმრთისაგან მოვლინებული ანგელოზი მშჯდობისა
იყავნ შენ თანა მარადის; განდევნენ ღმერთმან დამბადებელმან
ეშმაკი მაცთური საზღვართაგან შენთა".

მოვიდა ბაქარ, ძე მეფისა მირიანისი, და მოციქული კოს-
ტანტინე მეფისა მცხეთას. აღივსნეს სიხარულითა მირიან მე-
ფე და ნანა დედოფალი, და მადლობდეს ღმერთსა, ნიჭთა
სრულთა მომცემელსა.

მაშინ მირიან მეფემან განასრულა ეკლესია საეპისკოპოსო
და აღასრულა სატფურება მისი მრავლითა დიდებითა. და მოქ-
ცევითგან მირიან მეფისათ მეოცდახუთესა წელსა მოკუდა ძე
მისი რევ, სიძე თრდატ სომეხთა მეფისა, რომლისადავე მიეცა
მეფობა სიცოცხლესავე მისსა. და დაფლეს აკლდამასავე, რო-
მელი თჳთ მასვე რევს აღეშენა.

და მასვე წელიწადსა დასნეულდა მირიან მეფე, რომელი-
ცა აღესრულა. და მოიყვანა ძე მისი ბაქარ და ცოლი მისი ნა-
ნა, და რქუა ნანას: „აჰა, ესერა, მე წარვალ ვინაცა მოვედ, და
ვმადლობ მრავალმოწყალესა ღმერთსა, დამბადებელსა ცისა
და ქუეყანისასა, რომელმან წარტყუენული ეშმაკისაგან მიჴსნა
მე პირისაგან ჯოჯოხეთისა, და ღირს-მყო მე მარჯუენით მის
თანა. შენ, ნანა, უკეთუ გეცესღა მოცალება, ცხოვრებისა ჩე-
მისა შემდგომად განყავ სამეფო განძი ჩუენი ორად, და მიიღე
სამარხავსა ნინოსა, განმანათლებელისა ჩუენისასა, ჟამთა შეც-
ვალებისათჳს, რათა არა შეირყიოს უკუნისამდე იგი ადგილი;
რამეთუ მეფეთა საჯდომი არს, არამედ მწირ არს". ეგრეთვე
დავედრა ეპისკოპოსთა, რათა ადიდონ დიდება მის ადგილისა,
„რამეთუ ღირს არს პატივისცემასა".

ხოლო ძესა თჳსსა რქუა: „შვილო ჩემო, შეიცვალა ბნელი
ჩემი ნათლად და სიკუდილი ცხოვრებად. შენდა მომიცემია
გჳრგ ნი მეფობისა ჩემისა. ღმერთმან დამბადებელმან ცისა და
ქუეყანისამან დაგამტკიცენ შენ სრულსა სარწმუნოებასა ზე-
და. იწურთიდი ყოვლადვე მცნებათა ძისა ღმრთისათა, და და-
ადგერ სრულიად მათ ზედა: და სახელსა ზედა ქრისტესსა სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუდილი ცხოვრებად გიჩნდინ, რომლითა წარუვალი ცხოვრება მოიგო. და სადა პოვნე ვნებანი იგი ცეცხლისანი კერპნი, ცეცხლითა დაწუენ, და ნაცარი შეასუ რომელნი მათ ესვიდენ. და ესე შვილთაცა შენთა ამცენ, რამეთუ მე ვიცი იგი, რომელ კავკასიათაცა შინავე დაილევიან. ხოლო შენ ამას შეუდეგ გულითა შენითა, და თავი შენი შევედრე ძესა ღმრთისასა, პირველ ჟამთა შობილსა, და განკაცებულსა, და ვნებულსა ჴსნისათჳს ჩუენისა. და წარძღუანებითა პატიოსნისა ჯუარისათა სძლო მტერთა, ვითარცა აქუს ჩუეულება გულითა მოსავთა მისთა. და პატივ-სცემდი სუეტსა მას ცხოველსა ღმრთივაღმართებულსა, და იყავნ ყოვლითურთ სასოება შენი მისა მიმართ, და იყავნ მისლვა შენი ძილად საუკუნოდ სარწმუნოებასა ზედა სამებისასა".

და მოაყვანებინა ჯუარი იგი წმიდისა ნინოსი, რომელი პირველითგან აქუნდა, და ჩამოჰკიდა გჳრგჳნი სამეფო ჯუარსა მას. და მოიყვანა ძე თჳსი ბაქარ. და თავსა მისსა გამოსახა სახე ჯუარისა; და აღიღო გჳრგჳნი ჯუარისაგან და დადგა თავსა ძისა თჳსისასა: და აღესრულა მირიან მეფე, და დაეფლა ზემოსა ეკლესიასა, საშუალსა სუეტსა სამხრითსა, ჩრდილოთ კერძო. და მას სუეტსა შინა არს ნაწილი ღმრთივაღმართებულისა მის სუეტისა. და მეორესა წელსა მოკუდა ნანა დედოფალი, და დაეფლა მასვე სუეტსა დასავალით, სადა მირიან მეფე დამარხულ იყო.

[8. მირიანის შემდგომი მეფენი ქართლისა]

და დაჯდა მეფედ ძე მისი ბაქარ, და იყო მორწმუნე, ვითარცა მამამისი. და ამან მოაქცივნა უმრავლესნი კავკასიანნი, რომელნი ვერ მოექცივნეს მამასა მისსა. და შთავარდა შორის მისსა და სომეხთა მტერობა. რამეთუ სომეხნი ბაქარის ძმისწულის, რევის ძისა, თრდატ სომეხთა მეფის ასულისწულის მეფობასა ლამოდეს ქართლსა. ხოლო ესე ბაქარ ეზრახა სპარსთა მეფესა, მამის ძმისწულსა მისსა, დაემოყურა და გაუცვალა ქუეყანა დისი ძესა მისსა ფეროზს, რომელსა აქუნდა რანი ბარდავამდის მიცემულად მირიანისგან, და მისცა მის წილ სამშჳლდითგან მიღმართ ქუეყანანი ვიდრე თავადმდე აბოცისა. მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინლა ნათელ-იღო ფეროზ და ერმან მისმან. და მოირთოეს ... ლი ხუასროთაგან და ეწყუნეს სომეხთა ჯავახეთს: სძლეს და აოტნეს სომეხნი.

მაშინ მეფემან ბაქარ, შუამდგომელობითა ბერძენთა მეფისა და სპარსთა მეფისათა, დაწერა ჴელით-წერილი ძმისწულთა მისთა და დედისა მათისა სალომესგან ესრეთ, ვითარმედ: „ვიდრემდის იყოს ნათესავი ბაქარისი, რომელსა ეძლოს პყრობა მეფობისა, მისი იყო მეფობა, და არაოდეს ძებნონ მეფობა ნათესავთა რევისთა“.

მაშინლა მოიყვანნა ძმისწულნი მისნი და მისცა კუხეთი, და დასხნა რუსთავს ერისთავად. ამან ბაქარ ყოველნი დღეი ცხოვრებისა მისისანი დიდსა სარწმუნოებასა შინა აღასრულნა, და განამრავლნა მღდელნი და დიაკონნი ყოველსა ქართლსა და რანსა ეკლესიათა მსახურებად. ამან აღაშენა ეკლესია წილკნისა. მოკუდა და დაეფლა ძმასავე თვსსა თანა.

და დაჯდა მეფედ ძე მისი მირდატ, და მეფობდა დიდსა სარწმუნოებასა შინა. და მან აღაშენა ეკლესია თუხარისის ციხესა შინა, რამეთუ ჴევსა კლარჯეთისასა არა იყო ეკლესია, და მუნ შინა დაადგინნა მღდელნი მოძღურად კლარჯთა. და მატა შემკობა და შენება ერუშეთისა და წუნდისა ეკლესიათა.

მაშინ ამის მირდატის მეფობასა იწყეს ქართველთა სუეტისა ცხოველისაგან ნაწილის გამოღებად და ქმნად ჯუარად, რამეთუ დიდნი სასწაულნი და კურნებანი იქმნებოდეს, სადაცა იყვის ნაწილი სუეტისა ცხოველისა. და არა აყენებდა მირდატ მეფე ნაწილისა გამოღებად, რამეთუ ეპისკოპოსმახცა ჭეშმარიტმან იაკობ ეგრეთ ჯერ იჩინა და თქუა: „მინიჭებულ არს უფლისაგან და ჯერ არს სუეტისა მის ღმრთივაღმართებულისა ქმნა სახედ ჯუარისა“. და განეფინა ყოველთა ადგილთა ქართლისათა ნაწილი სუეტისა ცხოველისა.

მაშინ ამან მეფემან მირდატ მისვე სუეტისაგან შექმნა ჯუარი ზომიერი, და რომელი დარჩა სუეტისა მისგან ცხოველისა, მას გარემოქმნა ქვითკირითა, და აღამაღლა ქვითკირი პირველ სუეტისა ოდნად; და თავსა მის სუეტისასა აღმართა ჯუარი იგი, ძელი განმაცხოველებელი. და ყოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი უშფოთველად აღასრულნა სარწმუნოებასა შინა დიდსა. და მის ზე მოკუდა იაკობ ეპისკოპოსი, და დაჯდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ითბ სომეხი, ნერსე კათალიკოსისა დიაკონი. და მოკუდა მირდატ მეფე.

და დაჯდა მეფედ ძე მისი ვარაზ-ბაქარ. და შეირთნა ორნი ცოლნი: ერთი — ასული თრდატისი, რევის ძისა, მირიანის ძისწულისა; და ერთი — ძისწული ფეროზისი, მირიანის ასულისწულისა.

და უშვნა რევის ძმისწულმან ორნი ძენი, რომელთა სახელები ერქუა მირდატ და თრდატ; ერთი უშვა ფეროზის ძისწულმან, რომელსა ერქუა ფარსმან.

ესე ვარაზ-ბაქარ მეფე იყო კაცი ურწმუნო და მოძულე სჯულისა, და ვერ იკადრებდა ერისაგან განცხადებად სჯულისა სიძულილსა, რამეთუ მოქცეულ იყო ქართლი და დიდსა სარწმუნოებასა შინა იყვნეს აზნაურნი და ყოველი ერი ქართლისა. და ვარაზ-ბაქარ შიშისა მათისაგან ვერ განაცხადებდა დატევებასა სჯულისასა; არასადა აღაშენა ეკლესია, არცარა მატა შენებულთა, და ყოვლითავე იქცეოდა უსჯულოდ.

ამის ზე გამოგზავნა სპარსთა მეფემან ერისთავი სპითა დიდითა სომეხთა და ქართველთა ზედა ხარკისა დადებად. მაშინ სომეხთა მოგზავნეს ვარაზ-ბაქარისსა მოციქული და რქუეს, რათა შეკრბენ და მოირთონ ძალი ბერძენთაგან, და განახუნენ კარნი კავკასიანთანი, და გამოიყვანნენ ოვსნი და ლეკნი, და წინააღუდგენ სპარსთა. და წარჩინებულნი თჳსნიცა ეტყოდეს წინააღდგომასა სპარსთასა. არა ისმინა არცა სომეხთა, არცა წარჩინებულთა თჳსთა. რამეთუ იყო იგი ჩუკენი და მოშიში: უკუჯდა იგი ჴევსა კახეთისასა, და აღაშენა ციხე ჴიდარს, და განამაგრნა ციხე-ქალაქნი, და უბრძანა ყოველთა, რათა დამალნენ ჯუარნი.

და მოვიდეს სპარსნი პირველად სომხითს, და მოაოჴრეს სომხითი, და შემოვიდეს ქართლს. და აღაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისის კართა შორის ციხედ მცხეთისად. მაშინ ვარაზ-ბაქარ ეზრახა შევრდომით და ითხოვა მშჳდობა. ხოლო ერისთავმან სპარსთამან რქუა მას: „პირველად მომეც რანი და მოვაკანი, რამეთუ საზღვართა სპარსეთისაგანთა არს, და მათი არს, რომელნი სრულიად შვილნი არიან სპარსთა მეფეთანი და სხენან საყდართა მამათა მათთასა; და თქუენდა კმა არს ქართლი, რომელნი ნაშობნი ხართ მჴევლისანი. გაქუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს უკუე ქართლი და ხარკსა მისცემდეთ მეფეთა ხუროსანთა ვანთა".

მაშინ ვარაზ-ბაქარ ვერღარა პასუხი მიუგო შიშისაგან დიდისა, მისცა რანი და მოვაკანი, და განუკუეთა ხარკი, ხოლო ერისთავმან სპარსთამან მოსცა ციხე ტფილისისა და წარვიდა. და მიერითგან იქმნნეს სომეხნი და ქართველნი სპარსთა მოხარკენი.

და ამისა შემდგომად განდგეს კლარჯნი ვარაზ-ბაქარისაგან და მიერთნეს ბერძენთა. და დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღვთგან არსიანთამდე. და დარჩა ვარაზ-ბაქარს ქართლი თჳნიერ კლარჯეთისა, და ჰერეთი და ეგრისი. მანვე ერისთავმან სპარსთამან წარიყვანნა ტყუედ შვილნი ფეროზისნი, ასულისწულნი მირიანისნი, მორწმუნისა მეფისა, და ქუეყანა მათი საზღვარი ქართლისა მოსცა ვარაზ-ბაქარსვე. და მოკუდა ვარაზ-ბაქარ, და დარჩეს ძენი მისნი სამნი წურილნი, რომელნი ვერ იპყრობდეს მეფობასა.

მაშინ წარჩინებულთა ქართლისათა ზრახვა-ყვეს და დასუეს მეფედ სიმამრი ვარაზ-ბაქარისი, ძე რევისი, ძმისწული მირიანისი, კაცი მოხუცებული, სახელით თრდატ, და მისცნეს შვილნი ვარაზ-ბაქარისნი საზრდოდ, ასულისწულნი მისნი. ხოლო მესამესა შვილსა, მეორისა ცოლისასა, ზრდიდა ერისთავი სამშჳლდისა, რომელსა ერქუა სახელი ფარსმან. ხოლო მეფობდა ესე თრდატ მოხუცებული კეთილად, იყო კაცი მორწმუნე, ბრძენი და გონიერი. ამან სიბრძნითა თჳსითა დაამშჳდნა სპარსნი, გამოაჩინნა ჯუარნი და შეკაზმნა ეკლესიანი. და ამის ზე მოკუდა ეპისკოპოსი იაკობ, და დასუა მის წილ ელია. და ხარკსა მისცემდა სპარსთა მეფესა. ხოლო მან გამოიღო რუსთავი და აღაშენა ეკლესია; და მანვე აღაშენა ეკლესია ნეკრესისა. და მეფობდა უშფოთველად, და მოკუდა სარწმუნოებასა შინა დიდსა.

და დაჯდა მეფედ ძე ვარაზ-ბაქარისი, ძისწულისწული ფეროზისი, სახელით ფარსმან. რამეთუ იგი უხუცესი იყო ძმათა მისთა. და მოკუდა ელია ეპისკოპოსი, და დასუეს სჳმონ. ესე ფარსმან იყო კაცი მორწმუნე, მჴედარი შემმართებელი. ეზრახა მეფესა ბერძენთასა და ითხოვა მისგან შეწევნა; და აღასრულა თხოვა მისი კეისარმან. მაშინ განდგა და არღარა მისცა სპარსთა ხარკი; და განამრავლნა ჯუარნი, და განაახლნა ეკლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიანი ყოველსა ქართლსა შინა, და აღაშენა ეკლესია ბოლნი-
სისა. და მცირედ ჟამ მეფობდა და მოკუდა.

და დაჯდა მეფედ ძმა მისი მირდატ, ასულისწული თრდატი-
სი, ძე ვარაზ-ბაქარისი, მამულად ბაქარიანი, დედულად რევი-
ანი, ორითავე მირიანის ძეთა ნათესავი. და იყო ესე მირდატ
კაცი ქცეული, მჯედარი შემმართებელი, ურწმუნო და უშიში
ღმრთისა, ლაღი და ამპარტავანი, და მინდობილი მჯედრობასა
თჳსსა. არა მსახურა ღმერთსა, არცა აღაშენა ეკლესია, არცარა
მატა შენებულთა, და სილაღითა მისითა მტერ ექმნა ბერძენთა
და სპარსთა. ბერძენთაგან ეძიებდა კლარჯეთს, საზღვარსა
ქართლისასა, ხოლო სპარსთა არა მისცემდა ხარკსა. მაშინ
სპარსთა მეფემან გამოგზავნა ერისთავი, რომელსა ერქუა უფ-
რობ, სპითა ძლიერითა, მირდატის ზედა. მაშინ მირდატ, სილა-
ღითა თჳსითა, არა ჰრიდა სიმრავლესა სპარსთასა, მცირედითა
სპითა მიეგება გარდაბანს და ეწყო: იოტეს და შეიპყრეს სპარ-
სთა; მოვიდეს ქართლად, დაიპყრეს ქართლი და განრყუნნეს
ეკლესიანი. ხოლო ნათესავნი მეფეთანი დარჩეს ჯევსა კახეთი-
სასა, და სჳმონ ეპისკოპოსი მათ თანავე. ხოლო მირდატ წა-
რიყვანეს ბაღდადს და მუნ მოკუდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯუანშერი

1. ცხოვრება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისა

მშობელთა და შემდგომად თჳთ მის დიდისა და ღმრთისმოყუარისა მეფისა, რომელი უმეტეს სახელგანთქმული გამოჩნდა ყოველთა მეფეთა ქართლისათა

ვითარ-იგი შეიპყრეს ქართველთა მეფე მირდატ სპარსთა წყობასა შინა, და წარიყვანეს ბაღდადს და მუნ მოკუდა. და დაიპყრეს ქართლი სპარსთა, და განრყუნეს ეკლესიანი, და დამალეს ჯუარები ქართველთა. და ყოველთა შინა ეკლესიათა ქართლისათა ცეცხლისმსახურთა სპარსთა აღაგზნეს ცეცხლი.

ხოლო ნათესავნი ქართველთა მეფეთანი დარჩეს ჴევსა კახეთისასა. და შემდგომად სამისა წლისა უცალო იქმნა სპარსთა მეფე, რამეთუ აღდგეს მტერნი აღმოსავალით.

მაშინ შეითქუნეს აზნაურნი ქართლისანი, მოიყვანეს და დასუეს მეფედ მცხეთას ძე თრდატისი, ძმისწული მირდატისი, მეფისა წარტყუენულისა, სახელით არჩილ.

ამან არჩილ მოიყვანა ცოლი საბერძნეთით, ნათესავი ივბიმიანოს მეფისა, სახელით მარიამ, და განაცხადა მტერობა სპარსთა; გამოაჩინნა ჯუარნი და მოკაზმნა ეკლესიანი; მოსრნა და განასხნა ყოველნი ცეცხლისმსახურნი საზღვართაგან ქართლისათა; მოირთო ძალი საბერძნეთით და წარძღუანებითა ჯუარისათა იწყო ბრძოლად სპარსთა.

მაშინ ერისთავი სპარსთა მეფისა, რომელი ერისთაობდა რანს და მოვაკანს, ვიდრე არჩილის მეფობადმდე, მისივე გასაგებელი იყო ქართლი. ამან შეკრიბა სპა რანისა და მოვაკანისა და ადარბადაგანისა, და მომართა არჩილს. ხოლო არჩილ, სასოებითა და მინდობითა ღმრთისათა მიეგება საზღვართა ზედა ქართლისა და რანისათა, ეწყო მუნ მდინარესა ზედა ბერდუჯისასა, და ძალითა პატიოსნისა ჯუარისათა მოსრნა და ტყუეყვნა; შევიდა რანს, მოტყუენა და მოვიდა შინა გამარჯუებული. განავლინა ქადაგი ყოველსა შინა ქართლსა და რქუა ყოველთა: „არა ძალითა ჩუენითა, არცა სიმჯნითა, არცა სიბრძნითა, არცა სიმრავლითა სპათათა ვსძლეთ მტერთა, არამედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუარითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტეს, ძისა ღმრთისასა, რომელმან მოგუცა წინამძღურად და საჭურველად ჯუარი მისი პატიოსანი. აწ ყოველთა ქართველთა ადიდეთ სამება ერთარსება, ღმერთი დაუსაბამო, დამბადებელი ყოვლისა. შეწირეთ მადლობა, და მტკიცემცა არიან გულნი თქუენნი სარწმუნოებასა ზედა სამებისა წმიდისასა. და ყოველთა ქართველთა შეწირეს მადლობა ღმრთისა მიმართ, და განაახლნეს ეკლესიანი.

მაშინ არჩილ მეფემან აღაშენა ეკლესია სტეფანწმიდისა მცხეთას, კართა ზედა არაგვსათა, სადა იყვნეს კოშკნი მტკიცენი საბრძოლნი, რომელნი მასვე აღეშენნეს.

ესუა ძე არჩილს, და უწოდა სახელი მისი მირდატ. აღიზარდა ესე მირდატ, და დადგა ასაკსა მამაკაცობისასა. მირდატ იყო მორწმუნე და ღმრთისმსახური, ვითარცა მამამისი; და იყო იგი ქუელი და შემმართებელი. ამან უმეტესად უწყო ბრძოლად სპარსთა, შესლვად და ტყუენვად რანსა და მოვაკანსა; რამეთუ მას ჟამსა უცალო იყო მეფე სპარსთა, და ბრძოდა იგი ინდოთა და სინდთა და აბაშთა, და ვერ შემძლებელ იყო სპისა დიდისა გამოგზავნად; და სპათა რანისა და მოვაკანისა და ადარბადაგანისათა ემძლავრებოდეს ქართველნი. წინამძღუარ ექმნის მირდატ სპათა მამისა თჳსისათა, და მარადის ტყუენვიდის რანსა და მოვაკანსა.

მას ჟამსა შინა იყო რანს ერისთავად ბარზაბოდ, და ვეროდეს წინააღუდგებოდა იგი, არამედ განამაგრნის ციხენი და ქალაქნი, და შესლვასა ქართველთასა რანს, სადაცა ეწყუნიან სპარსნი ნაწყუედთა ლაშქართა, მტყუენველთა ქართველთა, მარადის სპარსნი იძლეოდიან. ხოლო ბარზაბოდს, ერისთავსა რანისასა, ესუა ასული ქმნულკეთილი, შუენიერი, რომელსა ერქუა საგდუხტ. უთხრეს მირდატს, ძესა არჩილისსა, სიშუენიერე მისი, და სმენითა სიშუენიერისა მისისათა ტრფიალ იქმნა მირდატ მის ზედა. მოაჴსენა მამასა თჳსსა: „ვეეედრები მეფობასა შენსა, მომგუარე ცოლად ჩემდა საგდუხტ, ასული ბარზაბოდისი, და შევქმნათ ჩუენ შორის მშჳდობა. დაღათუ ძალითა ქრისტესითა ჩუენ ვართ მძლენი, არამედ ვერა ავიხუამთ ციხეთა და ქალაქთა რანისათა. ნუუკუე იცალოს მეფემან სპარსთამან, და იძიოს ჩუენ ზედა შური, და მოაოჴჭრნეს ეკლესიანი და საზღვარნი ჩუენნი. და აწ ამით განქარდეს მტერობა ჩუენ შორის; რამეთუ ჩუენთჳს რაცა მოვაჴსენო მეფესა სპარ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სთასა, უსმენს იგი. და ამით მტკიცედ და შეურყეველად ვიპყრნეთ საზღვარნი ქართლისანი, და განმტკიცნეს სჯული ქრისტესი ქართლს, და არღარა შეიქმნას გულსა ქართველსა იჭვ და გმობა სჯულისა ქრისტესისა მძლავრებისათვს სპარსთასა". ესე ყოველი სიყუარულისათვს ქალისა მირდატ წარმოთქუა.

მაშინ არჩილ მეფემან აღუსრულა ნება მისი. წარგზავნა მოციქული ბარზაბოდისსა, და ითხოვა ასული მისი ცოლად ძისა თვსისა. ხოლო ბარზაბოდ განიხარა სიხარულითა დიდითა, რამეთუ მოოჯრებულ იყო ქუეყანა მისი და შესჭირვებოდა: ითხოვა ფიცი და აღთქმა მშვდობისათვს. და მისცეს ფიცი. და მოსცა მან ასული თვსი ზითვითა დიდითა: მოიყვანეს მცხეთას და ქმნეს ქორწილი, შუება და განცხრომა დღეთა მრავალთა. და მისცა მეფემან სამშვლდე ძესა თვსსა საერისთავოთა მისითა, და მუნ დასხდეს მირდატ და საგდუხტ.

ხოლო ამან საგდუხტ დედოფალმან გამოიკითხა სჯული ქრისტესი: რამეთუ ქმარმან მისმან მოჰგუარნა კაცნი სჯულისა მეცნიერნი, და უთარგმანეს სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. და ამხილეს, რამეთუ ჭეშმარიტი ღმერთი ქრისტე არს, რომელი განკაცნა ჴსნისათვს ჩუენისა. მაშინ საგდუხტ გულისხმა-ყო და იცნა სჯული ჭეშმარიტი, დაუტევა ცეცხლისმსახურება, ნათელ-იღო და იქმნა მორწმუნე. და მან აღაშენა სიონი სამშვლდისა.

ამის არჩილის ზე გარდაიცვალნეს სამნი ეპისკოპოსნი: იონა, გრიგოლი და ბასილი. და ბასილისა შემდგომად ამანვე არჩილ დასუა ეპისკოპოსი, რომელსა ერქუა მობიდან. ესე იყო ნათესავად სპარსი, და აჩუენებდა იგი მართლმადიდებლობასა. ხოლო იყო ვინმე მოგვ უსჯულო და შემშლელი წესთა, და ვერ უგრძნა არჩილ მეფემან და ძემან მისმან უსჯულოება მობიდანისი, არამედ ჰგონებდეს მორწმუნედ. და ვერცა განაცხადებდა ქადაგებასა სჯულისა მისისასა შიშისაგან მეფისა და ერისა, არამედ ფარულად წერდა წიგნებსა ყოვლისა საცთურებისასა, რომელი შემდგომად მისსა დაწუა ყოველი წერილი მისი ჭეშმარიტმან ეპისკოპოსმან მიქაელ, რომელი განიკუეთა ყადრებისათვს ვახტანგ მეფისა.

ხოლო ამან არჩილ მეფემან ყოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი აღასრულნა სარწმუნოებასა შინა სამებისა წმიდისასა, ეკლესიათა შენებასა, და ყოველსა ქართლსა შინა განამ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რავლნა მღდელნი და დიაკონნი და მსახურნი ეკლესიათანა, და მოკუდა.

და დაჯდა მეფედ მის წილ ძე მისი მირდატ. და მეფობდა იგი, ვითარცა მამამისი, დიდსა სარწმუნოებასა შინა. მიუდგა დედოფალი საგდუხტ და შვა ასული, და უწოდა სახელი მისი ხუარამზე. კუალად ევედრებოდეს ღმერთსა მეფე მირდატ და დედოფალი საგდუხტ, რათა მოსცეს ძე. და შემდგომად ოთხისა წლისა საგდუხტ მიუდგა და შვა ძე, და უწოდა სახელი მისი სპარსულად ვარან-ხუასრო-თანგ, ხოლო ქართულად ეწოდა ვახტანგ. აღივსნენ სიხარულითა მშობელნი მისნი შობასა ყრმისა ამის ვახტანგისსა, და განავლინეს მახარობელი ყოველთა თანა ერისთავთა. და გამოიღეს ხუასტაგი დიდძალი, ოქრო და ვეცხლი, და განუყვეს გლახაკთა, და შეწირეს მადლობა ღმრთისა მიმართ, ლოცვითა და ღამის-თევითა დღეთა მრავალთა.

და შემდგომად ამისა მოხადა მეფემან ყოველთა წარჩინებულთა ქალაქად; და დღეთა მრავალთა ყო პურობა და განცხრომა, და ევედრებოდეს ყოველნი ღმერთსა აღზრდისათჳს ყრმისა ვახტანგისსა. მოითხოვა მეფისაგან საზრდოდ საურმაგ სპასპეტმან ვახტანგ, დიდითა ვედრებითა, ხოლო მიანიჭა მეფემან და მისცა ძე მისი ვახტანგ საურმაგს სპასპეტსა საზრდოდ. რამეთუ წესი იყო, რომელ შვილნი მეფეთანი წარჩინებულთა სახლსა შინა აღიზარდნიან. შემდგომად ამისსა, მეექუსესა წელსა, შვა საგდუხტ ასული სხუა, და უწოდა სახელი მისი მირანდუხტ. და მოითხოვა იგი საზრდოდ სპასალარმან კასპისამან, და შისცა იგი მეფემან; და წარიყვანა იგი ქალაქად კასპისა. და იზარდებოდა მუნ. შემდგომად ამისსა, წელსა მეორესა, მოკუდა მეფე მირდატ; და დარჩა ვახტანგ შჳდისა წლისა ყრმა.

მაშინ საგდუხტ დედოფალმან, შეწუხებულმან მამისა მისისა ბარზაბოდისგან „ნუუკუე შური იგოს მამამან ჩემმან ნაქმრისათჳს მამამთილისა და ქმრისა ჩემისა, რომელ ეგეოდენნი ზოროტნი მოიწივნეს მის ზედა, და ნუუკუე შური იგოს ჩემ ზედა დატევებისათჳს სჯულისა, და წარწყმიდოს შვილი ჩემი, განრყუნას ქართლი და სჯული ქრისტესი წარწყმიდოს“ — ესე ყოველი მოიგონა და შთავარდა მწუხარებასა შინა დიდსა. ევედრებოდა ღმერთსა და განიზრახა წარსლვა წინაშე მამისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისისა და შევრდომა მისი. მოიყვანნა ყოველნი ერისთავნი სპასპეტისა თანა, და ცრემლითა სიმწარისათა შეეედრა ძე მისი სპასპეტსა და ყოველთა ერისთავთა.

და წარვიდა ბარდავს მამისა თჳსისა თანა. განიღო თავი, დაუყარნა მუჴლნი, და აღმოყარნა ძუძუნი მისნი, დავარდა პირსა ზედა და დადვა პირი თჳსი ფერჴთა მისთა ზედა, დაალტობდა ფერჴთა მამისა თჳსისათა ცრემლითა და ითხოვდა მისგან შეწყალებასა და არაჴსენებასა ნაქმართა მამამთილისა და ქმრისა მისისათა, და შენდობასა დატევებისათჳს სჴულისა: და ეევედრებოდა, რათა არა აიძულოს დატევება ქრისტეს სჴულისა, რამეთუ იგი არს ღმერთი ჭეშმარიტი. და ეევედრებოდა, რათა იპყრას შვილი მისი მამულსა შინა მისსა, და მოურავ ექმნეს იგი სპარსთა მეფისა წინაშე.

მაშინ ბარზაბოდ, განმზადებულმან ბოროტის ყოფად ქართველთათჳს, შეიწყალა ასული თჳსი: არა აიძულა დატევება სჴულისა, და აღასრულა ყოველი თხოვა მისი. ხოლო სჴულისათჳს ესრეთ რქუა: „იძულებით არცა ვის ქართველსა სხუასა დაგაგდებინებ სჴულსა ქრისტესსა, არამედ მივგზავნნე ცეცხლისმსახურნი ქალაქსა თქუენსა და იყვნენ მუნ ეპისკოპოსნი მათ ზედა სჴულისა ჩუენისანი. და ვინცა ქართველი ნებითა თჳსითა აღირჩევდეს სჴულსა ჩუენსა, ნუ აყენებთ“. მაშინ საგდუხტ ერჩდა მამასა თჳსსა შიშისაგან დიდისა. და აღუთქუა მინდობითა ღმრთისათა, და წარმოვიდა ქართლად.

მაშინ ბარზაბოდ წარმოგზავნა ცეცხლისმსახურნი მცხეთას და მათ ზედა ეპისკოპოსად ბინქარან, და დასხდეს მოგუთას. და საგდუხტ დედოფალი განაგებდა მეფობასა ძალითა და შეწევნითა მამისა თჳსისათა. და მოკუდა ბარზაბოდ, მამა საგდუხტისი, და მის წილ დაადგინა სპარსთა მეფემან ძევე მისი ვარაზ-ბაკურ, ძმა საგდუხტ დედოფლისა. და მოკუდა საურმაგ სპასპეტი, მამამძუძე ვახტანგისი.

მაშინ მეფემან დაადგინა სხუა სპასპეტი, რომელსა ერქუა ჴუანშერ. ხოლო ბინქარან, ეპისკოპოსი ცეცხლისმსახურთა, ასწავებდა ქართველთა სჴულსა თჳსსა, არამედ არავინ ერჩდა წარჩინებულთაგანი, გარნა წურილი ერი მიიქცა მრავალი ცეცხლისმსახურებასა.

და შეერია ქართლს წურილსა ერსა ცეცხლისმსახურება. ამისთჳს მწუხარე იყო საგდუხტ დედოფალი, არამედ მძლავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებისაგან სპარსთასა ვერას იკადრებდა. მაშინ მოიყვანა მღდელი ჭეშმარიტი საბერძნეთით, სახელით მიქაელ, და დაადგინა იგი ეპისკოპოსად ზემოსა ეკლესიასა, რამეთუ მობიდან ეპისკოპოსი გარდაცვალებულ იყო. და ესე მიქაელ ეპისკოპოსი წინააღუდგა ბინქარან მაცთურსა, რამეთუ ასწავებდა ყოველთა ქართველთა სჯულსა ჭეშმარიტსა. ამან იპყრნა სარწმუნოებასა ზედა ყოველნი წარჩინებულნი ქართლისანი და ერიცა უმრავლესი, არამედ მცირედნი ვინმე წურილისა ერისაგანნი მიიქცეს ცეცხლისმსახურებასა.

მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა, გარდამოვიდეს ოვსნი სპანი ურიცხუნი და მოტყუენეს ქართლი თავითგან მტკუარისათ ვიდრე ხუნანამდე, და მოაოჯრნეს ველნი. არამედ ციხე-ქალაქნი დაურჩეს, თჳნიერ კასპისა. ხოლო კასპი ქალაქი შემუსრეს და ტყუე ყვეს, და წარიყვანეს დაჲ ვახტანგისი მირანდუხტ, სამის წლის ქალი. რომელ დაურჩეს წარუტყუენველად ჴევნი ქარლისანი, კახეთი და კლარჯეთი და ეგრისი ჩავლეს რანისა და მოვაკანისა, წარტყუენეს იგიცა და განვლეს კარი დარუბანდისა, რამეთუ თჳთ გზა-სცეს დარუბანდელთა, და შევიდეს ოვსეთს გამარჯუებულნი.

მასვე ჟამსა გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრისწყალს ქუემოთი კერძი ყოველი, და დაიპყრეს ეგრისწყლითგან ვიდრე ციხე-გოჯადმდე. მაშინ იქმნა გლოვა და წუხილი ყოველთა ზედა ქართველთა და იტყოდეს: „განვამრავლეთ ცოდვა ღმრთისა მიმართ, და არა კეთილად ვიპყართ სჯული ქრისტესი და წესი იოვანეს მცნებისა. სამართლიანად მოაწია ღმერთმან ჩუენ ზედა ესე რისხვა, რამეთუ მიგუცნა ჩუენ წარტყუენვად უცხოთა ნათესავთა, და მიგჳღო ჩუენ საზღვარი ბერძენთაგან, ვითარცა მიუღო ვარაზ-ბაქარს მეფესა კლარჯეთი. და იგი ცოდვითა ვარაზ-ბაქარისითა მოიწია, რამეთუ ვერ კეთილად ეპყრა სჯული ქრისტესი. ხოლო ესე არა მეფეთა ჩუენთა ცოდვისაგან იქმნა, არამედ ერისა ცოდვათაგან. აწ მეფე ჩუენი ყრმა არს, და არა გჳვის ჩუენ წინამძღუარი, რომელიმცა სასოებითა ქრისტესითა და წინამძღუარებითა ჯუარისათა წარგჳძღუა ჩუენ. და ვიძიოთ ჩუენ შური პირველ ოვსთა ზედა, და შემდგომცა ვძებნეთ საზღვარი ქართლისა ბერძენთაგან“. ამას იტყოდეს ყოველნი ქართველნი და იყვნეს მწუხარებასა შინა დიდსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ ვახტანგ იზარდებოდა და ისწავლიდა მიქაელ ეპისკოპოსისაგან ყოველსა მცნებასა უფლისასა, და სიყრმისავე დღეთა შეიყუარა სჯული ქრისტესი უფროს ყოველთა მეფეთა ქართლისათა. და მწუხარე იყო იგი ამისთვს, რამეთუ შემორეოდა ქართლს ცეცხლისმსახურება ტყუეობისა და საზღვართა მიხუმისაგან. და უმეტეს იურვოდა სჯულისათვს გონებასა შინა, არამედ მძლავრებისაგან სპარსთასა ვერ იკადრებდა გამოცხადებად.

მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა თხუთმეტისა, მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ქართლისათა, და შემოიკრიბნა ყოველნი ქალაქად. და განმზადა მეფემან სახლი ერთი და დაჯდა საყდართა ზედა მაღალთა, ხოლო ჯუანშერ სპასპეტი და ორნივე ეპისკოპოსნი დასხდეს საყდართავე, და სხუანი ყოველნი ერისთავნი დასხდეს სელებითა, და ათასისთავნი და ასისთავნი და ყოველი ერი წარმოდგეს ზე.

მაშინ მეფემან, ვითარცა მოხუცებულმან და ბრძენმან და ვითარცა აღზრდილმან ფილოსოფოსთა თანა, იწყო ზრახვად ჴმითა მაღლითა და თქუა: „მეფეთა და ერთა ზედა მოიწევის განსაცდელი და ჭირი ღმრთისა მიერ ცოდვათა მათთაგან: ოდეს მორწმუნეთა აკლონ მსახურება ღმრთისა და გარდაჰჴდენ მცნებასა, მოაწევს ჭირთა ესევითართა ზედა, რომელი აწ ესე მოიწია ჩუენ ზედა, ვითარცა რა მამა კეთილი წურთინ შვილსა კეთილად კეთილთა ზედა საქმეთა. და უკუეთუ არა კეთილად აღასრულებდეს სწავლასა მამისა თჳსისასა, გუემს მამა იგი გუემითა და სწავლითა, რათა ისწავოს ყოველი კეთილი და იქმნას საჴმარ კეთილისა. ეგრეთვე გუწუართნა ჩუენ ღმერთმან, დამბადებელმან ცისა და ქუეყანისამან. ამისთვს გჴმს ჩუენ, რათა ვმადლობდეთ მოწყალებათა მისთა“. მაშინ ყოველთა მისცეს მადლი ღმერთსა.

კუალად იწყო ზრახვად მეფემან ვახტანგ და თქუა ყოველთა წარჩინებულთა: „ისმინეთ ჴმისა ჩემისა; დაღაცათუ ყრმა ვარ და არა გინახავს ჩემგან კეთილი, მამათა კულა ჩემთაგან გინახვან დიდნი კეთილნი და დიდებანი თქუენ, რომელნი დადგინებულ ხართ მთავრობასა ზედა. აწ უკუეთუ გუაცოცხლებს ღმერთი, მოგხუდენ კეთილნი და დიდებანი, რომელნი არა გეხილნეს მამათა ჩემთაგან. აწ რომელსა გეტყჳ თქუენ, დაღაცათუ ჩემ ზედა და თქუენ ზედა სწორად მოწევნულ არს განსაც-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დელი ესე, არამედ ესრეთ იპყართ, ვითარმცა არა მოწევნულ არს თქუენ ზედა, არამედ ჩემ ზედა ოდენ. და არა იყოს გულსა ჩემსა სიტყუა, თუ რომელ მოიწივნეს მათ ზედა განსაცდელნი, თჳსისა შურის-გებისათჳს ჰყოფენ ამას. არამედ ყოველნი ჩემდა სამსახურებელად დავითუალო, ყოვლისათჳს კეთილი მოგაგო. და არა დავითმინო კიცხევა ოვსთა, არამედ სასოებითა და მინდობითა ღმრთისათა, სამებისა ერთარსებისა დაუსაბამოსათა, და წარძღუანებითა ჯუარისა მის პატიოსნისათა, რომელი მოცემულ არს წინამძღურად და საჭურველად გულითა მოსავთა მისთა, ვიძიოთ შური ოვსთა ზედა. უკეთუმცა წარგუკიდებოდა ესე სპარსთა მეფეთაგან, ანუ ბერძენთა მეფისაგან, მო-მცა-ვითმინეთ. არამედ რა მოწევნულ არს ჩუენ ზედა ოვსთა კიცხთაგან, არა ჯამს დათმენა: სიკუდილი სჯობს თავთა ჩუენთათჳს.

მაშინ აღდგა ჯუანშერ სპასპეტი და თქუა: „ცხოვნდი, მეფეო, უკუნისამდე დიდებით და მტერთა შენთა ზედა ნება-აღსრულებით. ჭეშმარიტი ბრძანე, ცოდვათა ჩუენთა მიერ მოიწია განსაცდელი ესე ჩუენ ზედა, და სამართლად დაგუსაჯნა ღმერთმან: რამეთუ განვამრავლეთ ცოდვა წინაშე მისსა. და გჳღირს მადლობა ღმრთისა მიმართ: რამეთუ დიდსა პატიჟსა ღირს ვიყვენით და არა ეზომსა, რომელ მოიწია ჩუენ ზედა; არამედ მრავალმოწყალემან არა შეცოდებათა ჩუენთა ოდენი პატიჟი მოგუაგო, და ამით კნინითა პატიჟითა გუწუართნა. და ჩუენ, მკჳდრთა ქართლისათა, ამისთჳს დიდი მადლობა გჳღირს ღმრთისა მიმართ. რამეთუ შენ, უმჯობესი ყოველთა მეფეთა ქართლისათა და მამათა შენთა უფროსი, ყოვლითავე სრული, მსგავსი ნებროთ გმირისა, გამოგაჩინა წინამძღურად ჩუენდა და მოცემულ ხარ ღმრთისა მიერ განმაქარვებელად ჭირთა ჩუენთა, ძუელთა და ახალთა. და უკუეთუ ცოდვანი ჩუენნი არა დასძლევენ, შენ მიერ მოველით განქარვებასა ყოველთა ჭირთა ჩუენთასა და უმეტეს წარმატებასა საზღვართა ჩუენთასა ყოვლისა ჟამისასა, რამეთუ არავინ ყოფილ არს მამათა ჩუენთაგანი მსგავს შენდა. ცხოვნდი, მეფეო, უკუნისამდე, რათგან მოწევნულ არს ოვსთაგან ხუთსა ამას წელსა შინა, ყოფილ ვართ ჩუენ მწუხარებასა შინა დიდსა, ამისთჳს რამეთუ ყრმა იყავ, და არა ძალ-გედვა მჭედრობა და წყობათა წინამძღურობა, და არცა შინა მეფობისა განგება. აწ, მეფეო, და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღაცათუ სრულ ხარ სიბრძნითა და ძალითა, სიმჯნითა დაბრძანებ-
კითა, არამედ გაკლს სისრულე დღეთა მჴედრობისათჳს. ხოლო
ვხედავ სიბრძნესა შენსა: დაღაცათუ ყრმა ხარ, არამედ ძალ-
გიც განგება მეფობისა, ხოლო ჴედრობისა და წყობათა წი-
ნაგანწყობისა შენისა არა არს ჟამი. ესე არს განზრახვა ჩემი,
რათა სიბრძნითა შენითა და კითხვითა დედისა შენისათა გა-
მოარჩიე ერთი ვინ ჩუენგანი წინამძღურად სპისა ჩუენისა, და
მიგუცენ ჩუენ ყოველნი მას, და ვიყვნეთ მორჩილ ვითარცა
მამისა შენისა, და ძალითა სამებისა, ღმრთისა ერთარსებისათა,
წარვიდეთ და ვიძიოთ შური. ხოლო შენ იყავ შინა და განა-
გებდი მეფობასა. უკუეთუ ცოდვათა ჩუენთაგან ვიძლივნეთ
ოვსთაგან, მეფობა შენი უვნებელად დარჩეს; ხოლო უკუეთუ
კუალად თავითა შენითა ცოდვათა ჩუენთაგან იძლიო, სრული-
ად წარწყმდეს ქუეყანა ჩუენი, რამეთუ ნაცვალი შენი არა
არს ქუეყანასა ზედა". ესე თქუა ჯუანშერ სპასპეტმან და და-
ემოწმეს ყოველნი წარჩინებულნი და ერისთავნი ზრახვასა
მისსა.

მაშინ თქუა მეფემან: „ვითარ ხუდების სრულსა სიბრძნესა
და ერთგულობასა შენსა, ეგრეთ წარმოსთქუ ყოველი, ჯუან-
შერ, ხოლო მე არა ვარ მორჩილ ზრახვისა მაგის შენისა, რამე-
თუ, რათგან მოწევნულ არს განსაცდელი იგი ჩუენ ზედა, ყო-
ველნი დღენი ცხოვრებისა ჩემისანი მწუხარებასა შინა დამი-
ყოფიან, ვითარცა მყოფსა ბნელსა შინა. და სიბრალული დისა
ჩემისა განლევს გულსა ჩემსა ვითარცა მახჳლი ცეცხლისა, და
სიკუდილი მირჩევნია თავისა ჩემისა, ვიდრეღა სიცოცხლესა.
არამედ მინდობითა ღმრთისათა და წინამძღურობითა ჯუარისა
მის პატიოსნისათა თავითა ჩემითა წარვალ, და ვესავ მრავალ-
მოწყალებათა მისთა, — არა გამწიროს და მომცეს ძლევა".

მაშინ ვითარ ვერღარა დაუშლიდეს, მიემოწმნეს ყოველნი
იგი წარჩინებულნი და თქუეს: „ცხოვნდი, მეფეო, უკუნისამ-
დე! იქმნეს განზრახვა შენი, ღმერთმან დამბადებელმან მოავ-
ლინენ ანგელოზი მისი ძალად შენდა, და დასცენ ყოველნი
მტერნი შენნი, დაამტკიცენ მეფობა შენი".

და დაამტკიცეს ლაშქრობა ოვსეთისა, და განიყარნეს ყო-
ველნი სახლად თჳსად კაზმად. ხოლო ვახტანგ მეფემან წარავ-
ლინა მოციქული წინაშე დედისძმისა მისისა ვარაზ-ბაკურისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რანისა ერისთვისა: აუწყა ლაშქრობა ოვსეთისა და ითხოვა მისგან შეწევნა. ხოლო მან სიხარულით აღუთქუა, რამეთუ ქუეყანა მისიცა ტყუე-ქმნილ იყო ოვსთაგან. ხოლო ვახტანგ მოუწოდა ყოველთა სპათა ქართლისათა; და შემოკრბეს ყოველნი და დაიბანაკეს მუხნარს და ხერკს, ამიერ და იმიერ არაგუსა: და იყო ასი ათასი მჴედარი და სამოცი ათასი ქუეითი, და გამოგზავნნა ვარაზ-ბაკურ სპანი თჳსნი თორმეტი ათასი მჴედარი. და ვახტანგ მეფე განვიდა ქალაქით მცხეთით, და განასრულნა სპანი თჳსნი და განახნა: მოეწონნეს სიმრავლითა, ცხენკეთილობითა და მოკაზმულობითა, და იხილნა ყოველნი იგი მხიარულად და აზარვით, რამეთუ სავსენი იყვნეს შურითა ოვსთათა. აღივსო სიხარულითა და მადლობდა ღმერთსა. შემოვიდა ქალაქად, და აღასრულა შჳდეული ერთი ლოცვითა, და მარხვითა; და ღამის-თევითა; და განუყო ხუასტაგი დიდძალი გლახაკთა. და დაუტევნა განმგებელად სამეფოსა თჳსისა დედა მისი საგდუხტ და დაჲ მისი ხუარამზე, და დაწერა ანდერძი ესრეთ: „უკუეთუ არღარა შემოვიქცე ცოცხალი, დაჲ ჩემი ხუარამზე შეირთოს მირიან, რომელი ეყვოდა ვახტანგს მამის ძმისწულად, ნათესავისაგან რევისა, მირიანის ძისა, რომელი სიძე იყო თრდატ სომეხთა მეფისა, მან შეირთოს დაჲ ჩემი, და მან იპყრას მეფობა“. და ესე დაწერილი დედასა მისსა მისცა, და სხუასა არავის აუწყა. და იგი მირიან, მამისძმისწული მისი, დაუტევა მცხეთას.

წარვიდა ვახტანგ და დადგა თიანეთს. და მუნ მიერთნეს ყოველნი მეფენი კავკასიანნი ორმოცდაათი ათასი მჴედარი. და წარემართა სახელსა ზედა ღმრთისასა, განვლო კარი დარიალანისა. შესლვასა მისსა ოვსეთად იყო ვახტანგ წლისა თექუსმეტისა.

მაშინ მეფეთა ოვსეთისათა შეკრიბნეს სპანი მათნი და მოირთეს ძალი ხაზარეთით, და მოეგებნეს მდინარესა ზედა, რომელი განვლის დარიალანსა და ჩავლის ველსა ოვსეთისასა. და მასცა მდინარესა არაგვ ჰქჳან, რამეთუ ერთის მთისაგან გამოვალს თავი ორთავე: ქართლისა არაგჳსა და ოვსეთისა არაგჳსა.

და დაიბანაკეს ორთავე სპათა ამიერ და იმიერ, რამეთუ მდინარისა მის პირსა ორგნითვე ქარაფნი იყვნეს კლდისანი, ჭალაკნი და ველოვანნი პირთა მდინარისათა. და განეკრძალნეს ერთმანეთისაგან, და დაიცვნეს გზანი ქარაფთანი, და დად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეს ეგრეთ შჯდ დღე. ამას შჯდსა დღესა ბრძოლა იყო ბუმბერაზთა მდინარესა მას ზედა. მაშინ ოვსთა რომელ ჰყვეს ნიჯადნი ხაზართანი, მათ თანა ერთო კაცი ერთი გოლიათი, სახელით თარჯან. გამოვიდა ესე თარჯან ხაზარი, და ჴმა-ყო ჴმითა მაღლითა, და თქუა: „გეტყჳ თქუენ, ყოველთა სპათა ვახტანგისთა, ვინცა არს თქუენ შორის უძლიერესი, გამოვიდეს ბრძოლად ჩემდა“.

ხოლო ვახტანგ მეფესა რომელ ყვეს სპანი სპარსთა ნიჯადნი. მათ თანა ერთო კაცი ერთი, რომელსა ერქუა ფარსმან-ფარუხ: ამისდა ვერვის დაედგნეს ბრძოლასა შინა, რამეთუ მრავალი ლომი ჴელითა შეეპყრა. ესე განვიდა ბრძოლად თარჯანისად. და აღიზახნეს ორთავე, და მიეტევნეს ურთიერთას. და პირველსავე შეკრებასა უხეთქნა ჴრმალი ფარსმან-ფარუხსა ჩაბალახსა ზედა, და განუპო თავი ვიდრე ბეჭთამდე. მაშინ დაჭმუნდა ვახტანგ და სპანი მისნი, რამეთუ არავინ დარჩა მათ შორის მსგავსი ფარსმან-ფარუხისი. შეძრწუნდეს ყოველნი იგი სპანი, და აღივსნეს მწუხარებითა.

და დაღამდა დღე იგი, და ვახტანგ შევიდა კარვად თჳსად. და დადგა ლოცვად, და ცრემლითა ევედრებოდა ღმერთსა, და ვიდრე განთენებამდე არა დაჯდა ქუე ლოცვისაგან: ითხოვდა ღმრთისაგან შეწევნასა. და მინდობითა ღმრთისათა ეგულებოდა თჳთბრძოლა თარჯანისი, რამეთუ უშიშ იყო ვითარცა უჴორცო, და იმედი ჰქონდა ღმრთისაგან და ძალისა თჳსისაგან.

ვითარ განთენა, კუალად შთამოვიდა თარჯან კიდესა მდინარისასა, აყუედრებდა კუალად, და ითხოვდა მუქარასა, და არავინ იპოვა სპათა შორის ვახტანგისთა მბრძოლი მისი.

მაშინ ვახტანგ რქუა სპათა თჳსთა: „არა მინდობილ ვარ მე ძალისა ჩემისად და სიმჴნისა ჩემისად, არამედ მინდობითა ღმრთისა დაუსაბამოსათა, სამებისა ერთარსებისა ყოვლისა დამბადებელისათა განვალ თჳთ ბრძოლად თარჯანისა“. მაშინ განკჳრდეს წარჩინებულნი იგი, აყენებდეს ვახტანგს და მრავალღონედ ზრახვიდეს, რათამცა დააყენეს ბრძოლისაგან. რამეთუ ყრმა იყო ვახტანგ, და არა იცოდეს გამოცდილება მისი.

არა ერჩდა ვახტანგ, არამედ დაამტკიცა ბრძოლა მისი. გარდაჯდა ცხენისაგან და დავარდა ქუეყანასა ზედა, თაყუანისცა ღმერთსა, აღიპყრნა ჴელნი თჳსნი და თქუა: „ჰე, უფალო, დამბადებელო ყოვლისაო და შემმატებელო კეთილთაო, აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამაღლებელო მოსავთა შენთაო! შენ იყავ მწე ჩემდა. მოავ-
ლინე ანგელოზი შენი ძალად ჩემდა, და დაეც უსჯულო ისი,
და არცხჯნე მგმობართა შენთა, რამეთუ არა ძალისა ჩემისად
მინდობილი ვარ, არამედ მოწყალებისა შენისად". მოიქცა ვახ-
ტანგ და აღჯდა ტაიჭსა თჳსსა, და რქუა სპათა თჳსთა: „ევედ-
რებოდით ღმერთსა და ნუ შეძრწუნდებით". წარვიდა ვახ-
ტანგ, და დადგეს სპანი მისნი ზურგით მისსა; შეძრწუნებულ-
ნი და სავსენი მწუხარებითა თჳს-თჳსსა სჯულსა ზედა ევედრე-
ბოდეს ღმერთსა.

მაშინ ვახტანგ ჩავლო გუერდი და შთადგა მდინარისა პირ-
სა; აქუნდეს ჴელთა ოროლნი. მოხედნა თარჯან და რქუა: „მე
გოლიათთა და გმირთა გამოცდილთა მბრძოლი ვარ, არა ყმა-
წურილთა, გარნა შენ ზედაცა დავიმდაბლო თავი ჩემი". აღი-
ზახნეს და მიეტევნეს ურთიერთას, და პირველსავე შეკრებასა
სცნა ვახტანგ ოროლნი სარტყელსა ზედა; და ვერ უფარა სი-
მაგრემან საჭურველისამან, და განვლო ზურგით და მოკლა.

ხოლო ქართველთა ნუგეშინის-ცემულთა და სავსეთა სიხა-
რულითა აღიზახნეს ჴმითა საშინელითა, და შეწირეს მადლო-
ბა ღმრთისა მიმართ. ხოლო ვახტანგ მასვე ადგილსა გარდაჯდა
ცხენისაგან, და დავარდა მიწასა ზედა, თაყუანი-სცა ღმერთსა
და თქუა: „კურთხეულ ხარ შენ, უფალო, რომელმან მოავლი-
ნე ანგელოზი შენი და დაეც მტერი ჩემი; შენ ხარ აღმამაღლე-
ბელი მოსავთა შენთა; შენ ხარ, რომელმან აღადგინი ქუეყანი-
საგან გლახაკი და სკორეთაგან აღამაღლი დავრდომილი". მოჰ-
კუეთა თავი თარჯანს, აღჯდა და წარვიდა ლაშქართა თჳსთა
თანა. და ყოველთა მათ სპათა ჴმითა აღწევნულითა შეასხეს
ქება ვახტანგს და მადლობდეს ღმერთსა.

და მეორესა დღესა სხუა გამოვიდა ბუმბერაზი ოვსთაგან,
რომელსა ერქუა ბაყათარ. იგი იყო გოლიათი; და რადგან
დაეწყო მჯედრობად, ვერვის დაედგნეს მისთჳს ბრძოლასა ში-
ნა. და მოესრა ყოველი მბრძოლი მისი: რამეთუ იყო სიგრძე
მშჳლდისა მისისა თორმეტი მტკაველი და ისარი მისი ექუსი
მტკაველი. მოდგა ესე ბაყათარ პირსა მდინარისასა და ჴმა-
ყო ჴმითა მაღლითა და თქუა: „ვახტანგ მეფეო, ნუ განლაღ-
ნები შენ მოკლვისათჳს თარჯანისა: არა ერთი იგი გოლიათთა
და ამისთჳს მოიკლა იგი ყმაწურილისა მიერ. აწ უკუეთუ შენვე
გამოხჳდე მბრძოლად ჩემდა, მოგხუდენ ჩემგან ბრძოლანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიცხელნი, რომელთაგან ვერღარა განერე, თუ არა, ვინცა სპა-
თა შენთაგანი გამოვიდეს, მისთჳსცა მზა ვარ“.

მაშინ პასუხ-უგო ვახტანგ ბაყათარს და რქუა: „არა ძალი-
თა ჩემითა ვსძლე თარჯანს, არამედ ძალითა დამბადებელისა
ჩემისათა. და არა მეშინის მე შენგან, ვითარცა ძაღლისა ერ-
თისაგან, რამეთუ ძალი ქრისტესი ჩემ თანა, და ჯუარი მისი
პატიოსანი საჭურველ ჩემდა“. და განაწესნა ვახტანგ სპანი და
დაადგინა განმზადებულად; და აღჯდა ტაიჭსა შეჭურვილსა
ჯავშნითა, და აღიღო ფარი მისი ვიგრის ტყავისა, რომელსა
ვერ ჰკუეთდა მახჳლი, და ჩავლო გუერდი, და მიდგა მახლო-
ბელად მდინარისა. ჴმა-უყო ბაყათარს და რქუა: „არა გამო-
ვალ მე მდინარესა, რამეთუ მეფე ვარ; არა მივეახლები მე
სპათა ოსეთისასა, რამეთუ წარწყმედითა ჩემითა წარწყმდე-
ბის სპა ჩემი ყოველი. ხოლო შენ მონა, ხარ, და წარწყმედითა
შენითა არა ევნების სპათა ოსეთისათა, ვითარცა ძაღლისა
ერთისათა. გამოვედ მდინარესა ჩემ კერძო“. მაშინ ბაყათარ
ოსმან აღასრულა სიტყუა მისი და რქუა: „მე, მომკლველმან
შენმან, გამოვლო მდინარე, არამედ პირისაგან მდინარისა უკუ-
დეგ სამ უტევან“.

მაშინ ვახტანგ უკუდგა. გამოვლო მდინარე ბაყათარ, და
უწყო სროლად ისრითა. მაშინ ვახტანგ სიფიცხლითა თუალთა-
თა, და სიმახჳლითა გონებისათა, და სიკისკასითა ტაიჭისა მი-
სისათა ირიდებდა ისარსა: რამეთუ შორსვე იხილის ისარი მო-
მავალი, და უხლდებოდა და სიმარჯჳთ მიეახლებოდა. ამიერ
და იმიერ სპათაგან იყო ცემა ბუკებისა და დაბდაბთა. და იზახ-
დეს ჴმითა აღწევნულითა სპანი ორნივე, ქართველნი და ოს-
ნი, რომლითა იძრვოდეს მთანი და ბორცუნი. და ვერა ჰკრა
ისარი, ორისა ისრისაგან მეტი, ბაყათარ ფარსა ვახტანგისსა,
და ვერ ჰკუეთა ყოვლად. და კუალად ჰკრა სხუა ისარი ცხენ-
სა ვახტანგისსა, და გააგდო შიგა. და ვიდრე დაეცემოდა ცხე-
ნი ვახტანგისი, მიუჯდა ზედა და უხეთქნა ჴრმალი მჴარსა ბა-
ყათარისსა, და ჩაჰკუეთა ვიდრე გულამდე.

მაშინლა დაეცა ცხენი ვახტანგისი, სწრაფით მიჰყო ჴელი
და შეიპყრა ცხენი ბაყათარისი. და პირველ დავარდა ქუეყა-
ნასა ზედა, და თაყუანი-სცა ღმერთსა, და შეწირა მადლობა
უმეტეს პირველისა. აღჯდა ცხენსა ბაყათარისსა, და მოდგა
მახლობელად სპათა თჳსთა, და რქუა ჴმითა მაღლითა: „მჴნე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იყვენით და განძლიერდით, რამეთუ ღმერთი ჩუენ კერძო არს".

ხოლო სპანი იგი წარემართნეს განძზადებულნი, ცხენთორნოსანნი და ჯაჭუჩაბალახოსანნი, წინა კერძო და მათ უკანა ქუეითნი, და ქუეითთა უკანა სიმრავლე მჯედართა, და ესრეთ მიმართეს ოვსთა. ხოლო ოვსნი წარმოადგეს ქარაფსა ზედა და დაასხეს ისარი, ვითარცა წვმა მძლავრი.

მაშინ ვახტანგ მეფე მოქცეულ იყო სპასა მისსა ზურგით რჩეულითა მჯედრითა, უზახებდა და განაძლიერებდა და ნუგეშინი-სცემდა სპათა მისთა. მაშინ წინა ცხენთორნოსანთა აღვლეს გზა ქარაფისა, აღჯდეს ვაკესა, და აღუდგეს უკანა ქუეითნი და შემდგომად სიმრავლე მჯედართა. და იქმნა ბრძოლა ძლიერი მათ შორის. ხოლო ვახტანგ უკუეთუ მარჯუენით კერძო იბრძოდის, მარცხენით კერძო ძრწოდიან; და უკუეთუ მარცხენით კერძო იბრძოდის, მარჯუენით კერძო ძრწოდიან. და ეგოდენსა სიმრავლესა სპათასა იცნობებოდა ჯმა ვახტანგისი, ვითარცა ლომისა; და თანა-ჰყვებოდეს მას ორნი მჯედარნი: არტავაზ ძუძუსმტე, ძე საურმაგ სპასპეტისა, და ბივრიტიან სეფეწული. და იგინიცა იბრძოდეს მჯნედ.

მაშინ იძლივნეს ოვსნი და ივლტოდა ბანაკი მათი. მოიხრნეს და ტყუე იქმნნეს, ხოლო უმრავლესი მეოტი ოვსთა მათგანი ცოცხალი შეიპყრეს უკმოჯსნისათჳს ტყუეთასა, რომელნი წარტყუენულ იყვნეს პირველ ოვსთაგან ქართველნი. ვითარ უკმოიქცეს დევნისაგან, და დაიბანაკეს ბანაკსავე თჳსსა: სამ დღე განისუენეს და შეწირეს მადლობა ღმრთისა მიმართ. და მერმე განიბნივნეს ტყუენვად ოვსეთისა, შემუსრნეს ქალაქნი მათნი და აღიღეს ტყუე და ნატყუენავი ურიცხჳ.

და განვიდეს პაჭანიკეთს, რამეთუ მაშინ მუნ იყო პაჭანიკეთი მოსაზღვრედ ოვსეთისა, მდინარესა მას ოვსეთისასა წიალ, და ჯიქეთი მუნვე იყო. შემდგომად ჟამთა მრავალთა იოტნეს პაჭანიკნი და ჯიქნი თურქთაგან; და წარვიდეს პაჭანიკნი დასავლით კერძო, ხოლო ჯიქნი დაემკჳდრეს ბოლოსა აფხაზეთისასა. და მოტყუენა ვახტანგ პაჭანიკეთი და ჯიქეთი, და შეიქცა, და მოადგა ოვსეთსავე. და მეფენი ოვსთანი შევლტოლვილ იყვნეს სიმაგრეთა კავკასისათა. აღდგეს მათ შორის მოციქულნი, და დაიზავნეს. და ითხოვეს ვახტანგისგან ოვსთა ნაცვლად დისა მისისა ოცდაათი ათასი ტყუე ოვსეთისა, ყოველ უკეთესი, რომელი სახელდებით თქუეს ოვსთა. და მისცა ვახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანგ ოცდაათი ათასი ტყუე დისა მისისათჳს, და ესე ბრძოლისა.

ხოლო ტყუენი ქართველნი რომელ ჰყვეს ოვსთა ექუსსა მას წელსა, იგი ყოველნი უკმოიჴსნა თჳთო თჳთოსათჳს, და აღიღო მძევალი ოვსთაგან და მძევლისათჳს მისცა სხუა ტყუე ოცდაათი ათასი, და რომელი უკმოიჴსნა ტყუე ქართლისა, რიცხჳთ სამასორმოცდაათი ათასი, და რომელ დარჩა ტყუე ოვსი ამათ განტეობილთაგან კიდე თუალვით ექუსასორმოცდაათი ათასი თჳნიერ პაჭანიკთა და ჯიქთასა. და ესე ყოველი აღესრულა ოთხ თუე.

მაშინ მეფემან განუტევნა ნიჯადნი იგი სპარსთანი და მეფენი კავკასიანთანი ნიჭითა დიდითა, წარმოგზავნნა დაჲ მისი მირანდუხტ და ტყუე იგი ყოველი გზასა დარიალისასა, და თჳთ სპითა დიდითა ქართლისათა წარმოვიდა გზასა აფხაზეთისასა. სულგრძელად და უშიშად იწყო ბრძოლად ციხეთა აფხაზეთისათა. რამეთუ მეფე ბერძენთა ლეონ დიდი უცალო იყო ბრძოლისაგან სპარსთასა, და ვერშემძლებელ იყო სპათა გამოგზავნად აფხაზეთს; და სამ წელ წარტყუენნა ყოველნი ციხენი აფხაზეთისანი ვიდრე ციხე-გოჯამდე. და მოვიდა სახლსა მისსა, ქალაქსა სამეუფოსა მცხეთას. გაეგება წინა დედამისი, და დანი მისნი, და სიმრავლე ქალაქისა მამათა და დედათა მიუფენდეს საჴელთა და სამოსელთა მათთა ფერჴთა ქუეშე მისთა. და აყრიდეს თავსა დრამასა და დრაჰკანსა, და აღწევნულითა ჴმითა შეასხმიდეს ქებას; რამეთუ არარომელსა მეფესა ექმნა ეგევითარი ძლიერი წყობა.

მაშინ ვახტანგ მეფემან შეწირა მადლობა ღმრთისა მიმართ მრავლითა ლოცვითა და ღამის-თევითა, და გლახაკთა მიცემითა, და გასცა ნიჭი ერსა თჳსსა, და წარჩინებულ ქმნნა მჴედარნი, მსახურნი მჴნედ და გამოცდილნი წყობასა მას შინა ოვსთასა. და წარსცა ძღუენი ნატყუენავისა მისგან დედისძმისა მისისა თანა ვარაზ-ბაკურისა: მონა ათასი, ცხენი საჴედარი ათასი, ჴდალი ცხენი ათასი. და კუალად წარსცა წინაშე სპარსთა მეფისა მონა ათი ათასი, ცხენი საჴედარი ათი ათასი, ცხენი ჴდალი ათი ათასი, ესე ყოველი მიუძღუანა სპარსთა მეფესა ჴელითა ბინქარან ეპისკოპოსისათა, და ითხოვა სპარსთა მეფისაგან ასული ცოლად; ხოლო სპარსთა მეფემან მოსცა ასული მისი ცოლად, რომელსა ერქუა ბალენდუხტ. და მოსცა სომხითი და ყოველნი მეფენი კავკასიანნი ზითვად და მისწერა მის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თანა წიგნი, რომელსა პატრუცაგსა წერილ იყო ესრეთ: „ურ-
მისდისგან, ყოველთა მეფეთა მეფისა, ვახტანგის მიმართ, ვა-
რან-ხუასრო-თანგისა, ათთა მეფეთა მეფისა ახოვანისა“. და
მოუწერა მან ბრძოლა კეისრისა, რამეთუ კეისარი განსრულ
იყო ბრძოლად სპარსთა.

მაშინ ვახტანგ აუწყა ყოველთა სპათა მისთა და ყოველთა
მეფეთა კავკასიისათა. შემოკრბეს და დადგეს მტკუარსა იმიერ
და ამიერ, ვითარ ორასი ათასი. და მოერთო ვარაზ-ბაკურ,
დედისძმა მისი, ერისთავი რანისა, ბრძანებითა სპარსთა მეფი-
სათა, სპითა ადარბადაგანისათა, რანისა და მოვაკანისათა, ვი-
თარ ორას ათასითა მჯედრითა.

მას ჟამსა იყო ვახტანგ წლისა ოცდაორისა; და იყო იგი
უმაღლეს კაცთა მის ჟამისათა, და უშუენიერეს სახითა და
ძლიერი ძალითა, რომელ ჭურვილი ქუეითი ირემსა მიეწიის,
უპყრის რქა და დაიჭირის, და ცხენი ჭურვილი აღიღის მჯარ-
თა ზედა და მცხეთით აღვიდის ციხესა არმაზისასა. და მარტო
იყო იგი ძე მამისა მისისა, და ერთი დაჲ მისი ხუარამზეცა იყო
ძლიერი და შუენიერი. და ნათესავისაგან მირიან მეფისა მორ-
წმუნისა ვახტანგ და დანი მისნი დარჩომილ იყვნეს: იგინი იყ-
ვნეს ნათესავნი ბაქარ მირიანის ძისა.

ხოლო მირიან და გრიგოლ იყვნეს ნათესავისაგან რევისა,
მირიანისვე ძისა, და აქუნდა მათ კუხეთი, და ცხოვნდებოდეს
რუსთავს ციხე-ქალაქსა. რამეთუ შემცირებულ იყვნეს ურთი-
ერთსა კლვითა.

მირიან მეფისითგან ვიდრე ვახტანგ მეფისამდე გარდაცვა-
ლებულ იყო ნათესავი რვა და მეფენი ათნი, და წელიწადი ას-
ორმოცდაჩჯდმეტი, ხოლო ეპისკოპოსნი წესსა ზედა ჭეშმა-
რიტსა გარდაცვალებულნი რვანი, ხოლო სხუანი შემშლელნი
წესისანი.

წარემართა ვახტანგ შესლვად საბერძნეთად. და მიიწივნეს
სომხითს, და მოერთნეს პეროჟა-კაფას, სადა-იგი ციხე აეგო
ბირველკსენებულსა ფეროზს, ერისთავნი სომხითისანი: სივ-
ნელი არევ, ასფურაგნელი ჯუანშერ, ტაროვნელი ამაზასპ გრი-
გოლის შენებულისა ქალაქისაგან, თრდატ ნათესავისაგან დი-
დისა თრდატისა. და მოადგეს ციხე-ქალაქსა, რომელსა ერქუა
კარახპოლა, ხოლო აწ ეწოდების კარნუ-ქალაქი. და ბრძოდეს
მას, ხოლო ვერ შეუძლეს დაპყრობად, რამეთუ იყო იგი ზღუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დითა მაღლითა სამითა. და დაუტევნეს ორნი ერისთავნი ჯუნ-
რითა თორმეტი ათასითა ბრძოლად ქალაქისად.

წარვიდა ვახტანგ პონტოს და მოაოჯრნა გზასა ქალაქნი
სამნი: ანძორეთი, ეკლეცი და სტერი. და მოადგეს ლაშქარნი
პონტოსა ქალაქსა დიდსა ზღვსკიდესა; და ბრძოდეს სამ თუე,
და მიუწია ლაშქარმან ვიდრე ქალაქისა მის კოსტანტინისა.
ხოლო სპარსნი რომელთა ჰპოვებდეს ეკლესიისა მსახურთა,
დაჰკლვიდეს; ხოლო ვახტანგ მეფემან ამცნო სპათა სომხითი-
სათა და ყოველთა სპარსთა, რათა არავის ჰკლვიდენ მოწესე-
თაგანსა, არამედ ტყუე ჰყოფდენ, და რქუა მათ:

„მამისმამა ჩემი მირიან ოდეს შემოჰყვა მეფესა სპარსთა-
სა, ძმისწულსა თჳსსა, ბრძოლად ბერძენთა ზედა, ესევითარსა
უყოფდეს მოწესეთა და ეკლესიისა მსახურთა, და იძლივნეს
ძლევითა ბოროტითა ურიცხუნი სპანი მცირეთა ლაშქართაგან.
მიერითგან მიიღეს საზღვარი ესე ბერძენთა ჩუენ, ქართველ-
თაგან, აღმოსავალით ზღვსა ამის. ხოლო წყობა პირველთა მე-
ფეთა იყო ანძიანძორს, სადა უკუე აწ არს საფლავი დიდისა
მოძღურისა გრიგოლისი, და მუნით იოტნეს მეფენი ჩუენნი.
ხოლო ჩუენ ათისა დღისა სავალი ჩამოგვვლია, ჩრდილოთ მოქ-
ცეულ ვართ. და ჩვენცა ვართ სჯულსა ზედა ბერძენთასა აღმ-
სარებელ ქრისტესა, რომელ არს ღმერთი ჭეშმარიტი ყო-
ველთა.

„ანუ არა გასმიანა სასწაულნი, რომელნი იქმნნეს კოსტან-
ტინეს ზე მეფისა წარძღუანებითა ჯუარისათა, ანუ რომელნი
ქუეყანასა ბერძენთასა იქმნნეს სასწაულნი ივლიანეს ზე მეკერ-
პისა მეფისა? — ვითარ იგი ისარმან ზეცისამან მოკლა, და შეკ-
რბეს სპანი ბერძენთანი და ივბიმიანოს აჩინეს მეფედ, ხოლო
მან არა თავს-იდვა ვიდრემდის არა დამუსრნეს კერპნი და აღ-
მართნეს ჯუარნი, და მას ზედა დაარქუეს გჳრგჳნი მეფისა; ხო-
ლო ანგელოზმან უფლისამან აღიღო გჳრგჳნი და დაადგა თავ-
სა ივბიმიანოსსა, ჭეშმარიტსა მეფესა. და ჴმა იყო ზეცით, რო-
მელი ეტყოდა სპარსთა მეფესა ხუასროთანგსა: «დაეცადენით
ბრძოლად ივბიმიანოსისა, რამეთუ ძალითა ჯუარისათა უძლე-
ველ არს». და მიერითგან იქმნეს მოყუარე მეფე და ხუასრო,
ვიდრემდის ორნივე იგი შეიცვალნეს.

„ანუ თქუენ, მკვდრთა მაგათ სომხითისათა არშაკუნიანთა,
ბატიახშთა ბივრიტიანთა, არა გაჴსოვანა საქმენი გრიგოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პართეველისანი და წინააღმდგომთა მისთა, თრდატ მეფისა, არშაკუნიანისა — ვითარ დასცა ზუაობისაგან და იქმნა იგი ეშუად? არამედ გრიგოლი მოაქცია იგი, და მიერითგან იქმნა იგი მუშაკ ეკლესიათა, და ეკლესია დიდი აღაშენა თრდატ ზურგითა თჳსითა, რამეთუ იყო იგი გმირი. ხოლო თქუეს, მკჳდრნო ქართლისანო, ნათესავნო მეფეთა ქართლისათანო, რომელნი დღეს მთავრობასა ზედა დადგინებულ ხართ ჩუენ, მეფეთაგან, რომელნი ვართ ნათესავნი ნებროთ გმირისანი, რომელი უწინარეს ყოველთა მეფეთა გამოჩნდა ქუეყანასა ზედა, რომელი ლომსა ძალითა ვითარცა თიკანსა მოიყვანებდა, კანჯართა და ქურციკთა ქუეითი იპყრობდა. რამეთუ ეზომ განდიდნა ძალი მისი, რომელ დაემორჩილნეს ყოველნი ნათესავნი ნოესნი, ვიდრემდის შეუძლო ქმნად ქალაქი, რომლისა ქვად შექმნა ქვა ოქროდ, და ხარისხად ვეცხლი, და გარემოს მისსა მოიქმოდა აგურითა და კირითა, ხოლო ქუდნი კართა და სარკმელთანი იაკინთისა და ზურმუხტისანი შექმნა; რამეთუ მათისა ნათლისაგან ვერ შეუძლებდა დაბნელებად ღამე. და ქმნა მას შინა ტაძრები და კოშკები, რომელ ვერ შესაძლებელ არს გაგონებად თქუენდა, მოუგონებელ არს თჳთოეულისა სიბრძნე მისი, რომელი მიეცა მას ვიდრემდის აღმართა სამისა დღისა სავალსა, რომელი ექმნა აღსავალად ხარისხად ზღუდეთა ზედა. და ენება, რათა აღვიდეს ცად და იხილნეს მყოფნი ცისანი. ხოლო ვითარცა განვლო საზღვარი ჰაერისა და შევიდა საზღვარსა ვარსკულავთასა, ვერღარა უძლებდეს საქმედ მოქმედნი, რამეთუ დადნებოდა ოქრო და ვეცხლი; რამეთუ მუნით გამო ვიდრემდე არს ჴელმწიფება ცეცხლისა ეთერისა მის, რომელი ეგზების მძლაფრიად სამყაროსა ქცევისაგან. და ესმა მუნით საზრახავი შჳდთა გუნდთა ზეცისათა, რომლისაგან შესულბეს ადამიანნი. და იქმნა ყოველი კაცი თჳთო ნათესავითურთ მეტყუელ თჳთო ენასა, და არღარა ერჩდეს ურთიერთას პირსა მოყუსისა თჳსისასა, და წარვიდეს.

ხოლო ნებროთს ენითა სპარსულითა რქუა: „მე ვარ მიქაელ ანგელოზი, რომელი დადგინებულ ვარ ღმრთისა მიერ მთავრობასა ზედა აღმოსავლისასა. განვედ ქალაქით მაგით, რამეთუ ღმერთი ჰფარავს ქალაქსა მაგას ვიდრე გამოჩინებადმდე სამოთხისა. რომელი-ესე დგას მახლობელად ნაშენებსა მაგას შენსა, რომელსა შორის არს მთა ესე, რომლისაგან აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვალს მზე და გამოვლენ მისგან ორნი მდინარენი: [illegible] და გეონი. რამეთუ გეონსა გამოაქუს სამოთხით ხე სულხელი და თივა, რომელი შეეზავების მუშკსა. აწ წარვედ შენდა. და დაჯედ ორთავე მდინარეთა შორის, ევფრატსა და ჯილასა, და განუტევენ ნათესავნი ესე, ვითარცა ვინ ინებოს, რამეთუ წარუვლენიან უფალსა. ხოლო მეფობა შენი მეფობდეს ყოველთა ზედა მეფეთა, არამედ ჟამთა უკანასკნელთა მოვიდეს მეუფე ცისა, რომლისა შენ გნებავს ხილვა მისი, ერსა შორის შეურაცხსა; შიშმან მისმან განაქარვნეს გემონი სოფლისანი, მეფენი დაუტეობდენ მეფობასა და ეძიებდენ სიგლახაკესა. მაშინ გიხილოს შენ ჭირსა შინა და გიჯსნეს ღმერთმან».

და დაუტევეს ყოველთა ქალაქი და წარვიდეს. და დაუტევნა ჰინდურად მზრახველნი ჰინდოეთს, სინდნი — სინდეთს, ჰრომნი — ჰრომს, ბერძენნი — საბერძნეთს, აგ და მაგუგ — მაგუგეთს, სპარსნი — სპარსეთს; ხოლო პირველი ენა ასურებრი იყო, და ესე არიან შჯდნი ენანი, რომელნი ნებროთისამდე ზრახვიდეს. ამისთჳს მოგითხარ, რომელ მამათა ჩუენთა დაფარულად ეპყრა წიგნი ესე, ხოლო მე შურმან საღმრთომან მაიძულა თქმად ამისსა, ამის მიერ შეიწყნარა მამამან ჩუენმან მირიან სახარება ქრისტესი ნინოს მიერ.

„ანუ არა ქრისტეს მოსლვამდე მიიღებდეს მამანი ჩუენნი ხარკსა, და მუნითგან მოუძლურდით, ესერა ბერძენნი მიღმართ ბრძვანან? და მან იხილა ნებროთ ჯოჯოხეთსა შინა და იჯსნა: იგი არს პირველი ყოველთა მეფეთა, და დანიელცა ეწამების, ვითარმედ მიქაელ დადგინებულ არს ძალად სპარსთა. და თქუენ, ყოველთა ქართველთა, იხილენით სასწაულნი ესე, რომელ ქმნნა ნინო. ანუ ჰგონებთ, ვითარმედ ბერძენნი განწირნა ღმერთმან? არა უმეტესნი ქუეყანანი სპარსთანი მათ შემუსრნეს და მათ შემოურთვან, და დღეს მეექუსე თუე არს, რაჲთგან ასმიეს ჯმა ლაშქრობისა ჩუენისა; ქცეულ არს კეისარი, რამეთუ ასმიეს შემოსლვა ჩუენი, და აწ მოახლებულ არს ბრძოლად ჩუენდა. აწ უკუე ყოველნი ნათესავნი უფალსა ღმერთსა მსახურებდით და დასცხერით ვნებათაგან ეკლესიისათა“.

და ვითარცა ესე ყოველი წარმოთქუა, განავლინა ქადაგი, რათა ყოველნი მოწესენი გამოვიდენ სამალავთაგან მათთა, და ტყუენი განუტევნენ, და სადაცა ენებოს წარვიდენ. და გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიდა სიმრავლე მღდელთა და დიაკონთა, მოწესეთა მონაზონთა და ენკრატისთა, ქუაბებით და მთათაგან, და უმრავლესნი პონტო ქალაქით, რამეთუ შეიწრებულ იყო ქალაქი ოთხ თუე ოდენ.

და მათ თანა იყვნეს ორნი კაცნი: პეტრე მღდელი, მოწაფეთაგან გრიგოლი ღმრთისმეტყველისათა რამეთუ საფლავსა მისსა ზედა მღდელობდა და სამოელ მონაზონი. წარდგეს წინაშე ვახტანგისსა მადლისა მიცემად განტევებისათჳს ტყუეთასა და განთავისუფლებისათჳს ეკლესიათასა და მღდელთასა. და ვითარ წარმოთქუეს ლოცვა, სთნდა მეფესა და მოიხილნა იგინი, და უბრძანა შემოსლვად ყოველთა ტყუეთა და მოწესეთა, განტევებულთა მისგან უძლურთა, რამეთუ ყოველნი უძლურნი ქალაქით გამოსრულ იყვნეს. უძლურთა მისცა საჭედრები და ჭაბუკთა სამ-სამი დრაჰკანი, და განუტევნა. ხოლო პეტრე მღდელი და სამოელ მონაზონი მის თანა დაიჭირნა.

და ვითარ წარვიდეს სპანი იგი კარვად თჳსად, და მეფე შევიდა სერობად, რქუა მეფემან პეტრეს: „სთნდამცა ღმერთსა საქმე ესე ჩემი, რამეთუ დაიცვენ ეკლესიანი და განუტევენ ტყუენი“.

რქუა პეტრე: „იტყოდის მონა შენი წინაშე შენსა კადნიერად, ანუ მიგცემდე ქებასა სიცრუვისასა“.

რქუა მას მეფემან: „იტყოდე, რამეთუ არას ვეძიებ გარნა მხილებასა, რათა განვერნეთ სიცრუვისაგან“.

რქუა პეტრე: „ეკლესიანი ჯორცთანი უფროს არიან წინაშე ღმრთისა, ვიდრე ეკლესიანი ქვათანი. ეკლესია ქვათა ოდესმე დაირღუეს, და აღაშენიან მითვე ქვითა; ხოლო ეკლესიანი ჯორცთანი ოდეს დაირღუენ, ვერვინ შემძლებელ არს განკურნებად, ვერცა მკურნალი და ვერცა მეფე. აწ რაოდენნი გუამნი კაცთა მართალთანი დაგიცემიან, რომელსა იტყჳს სისხლისათჳს აბელისსა: ყოველი სისხლი ნოეს რღუნითა განიწმიდა; და სისხლისა მისთჳს ზაქარიასსა, ბარუქის ძისა, მიუგო ყოველი შეურაცხება ჰურიათა, ვითარცა იტყჳს ესაია: აღიღე და წარწყმიდე ყოველი წული მათი, ტიტოს და სპასიანოსის მიერ, ანუ არა აღმოგიკითხავსა წიგნთაგან მოსესთა, რაჟამს ისრაიტელმან ისიძვა უცხოსა თესლსა თანა, რაოდენი სული მოკუდა ერთისა მის სიძვისათჳს? აწ უკუე სპათა შენთაგან რაოდენნი ჭალწულნი განხრწნილ არიან, ტაძარნი ღმრთისანი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რქუა მეფემან: „არა ხედავ, ვითარ-იგი ივბიმიანოს დაცვისათჳს ეკლესიათასა იყო ივლიანეს თანა უკეთურისა? და თუ დაბრკოლდეს კაცი, უმჯობეს არს დაცემა სრულიად“.

რქუა პეტრე: „არა დაბრკოლებულსა დაგცემ, არამედ დაცემულსა აღგადგინებ, ვითარცა დავით საცთურისაგან ურიადსა; და არა მნებავს შენი, რათა იყო ვითარცა კაცი, რომელი მარჯუენით იქმნ და მარცხენით არღუევნ; და არცა ვითარცა რომელნი პირითა მათითა აკურთხევდენ, და გულითა მათითა სწყევდენ და აგინებდენ, არამედ ვითარცა მეფენი კეთილად ჴსენებულნი, რომელთა დაიპყრეს სოფელი ესე და სასუფეველსა არა განეშორნეს: დავით, სოლომონ და კოსტანტინე, ივბიმიანოს და ყოველნი მსგავსნი მათნი. ხოლო რა არს მსგავსება შენი ივბიმიანოსისსა, და ვინ არს შენ ზედა უფალ, რომელმცა ჴრმალი მისი იყო კისერსა შენსა ზედა, ვითარცა-იგი ივბიმიანოსისსა ივლიანესი? ანუ სადა გევნო შენ ვითარცა ივბიმიანოსს ივლიანესგან? ანუ ვის ხედავს ღმერთი, რომელი შენ ზედა უფალ-ყო და ჰქონდამცა პასუხი შენსა სიმართლესა წინაშე ღმრთისა. არა უკუე შენ უფალ-გყო ამათ ყოველთა ზედა, და შენ შეგიდგინა ყოველნი. ამიერითგან ითხოვოს ღმერთმან ყოველი ჴელთაგან შენთა საქმე ბოროტისა, და შენ მიგაგოს არა თუ შეინანო“.

რქუა მეფემან: „მნებავს განმართლება თავისა ჩემისა, ხოლო სიმართლით შენ დამსაჯე უმსჯავროებასა ჩემსა“.

რქუა პეტრე: „ვინათგან გზა ეც შეწამებად, ცოდვა შენი განგეშორა შენგან. ხოლო აწ გითხრა გულის-სიტყუა შენი; არა უმეცრებამან აღგძრა ბრძოლად ძეთა ზედა ღმრთისათა, არამედ შუელისათჳს ნათესავისა შენისა სპარსთასა. და არა უწყია, რამეთუ ბერძენნი ნათესავნი ღმრთისანი არიან აღთქმისა მისთჳს, რაჟამს უწოდა მათ შვილად ღმრთისა და მოსცა მათ ბეჭედი, რომლითა შემუსრა ჯოჯოხეთი და არს იგი ჯუარი?“

რქუა მეფემან: „აწ რა გნებავს შენ?“

რქუა მას პეტრე: „მნებავს, რათა შენ მიერ აღგზებული ესე ცეცხლი შენვე დაშრიტო და მეგობარ იყო კეისრისა, ვითარცა დღესამომდე იყავ სპარსთა“.

მიუგო მეფემან: „ესე მნებავს, რათა მიჩუენოთ ლოცვითა თქუენითა ამას ღამესა კეისარი და მე შეკრებულნი, და რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელ ზრახვად არს ჩუენ შორის სიყუარულისა ყოფა, და ვცნა-
მე, ვითარმედ სთნავს ქრისტესა ზრახვა ესე შენი ჩემდა მო-
მართ".

რქუა პეტრე: „დამძიმდა თხოვა ესე შენი ჩემ ზედა, რამე-
თუ ესე არს კაცთა რჩეულთა, რომელ არიან ვითარცა ანგე-
ლოზნი სრულითა საქმითა, და არიან ამათ კლდეთა შორის,
და ესევითარი მათგან ეგების საქმედ, რომელსა შენ ითხოვ.
მომეც მე დრო, რათა წარვიდე და ვეველდრო მათ, და უთხრა
ბრძანება შენი, და ლოცვითა მათითა აღესრულოს განზრახვა
შენი; არამედ შეურაცხ გვჩნს თავი ჩუენი, რამეთუ კაცნი
ვართ ცოდვილნი, ნუუკუე სილაღედ იხილოს ღმერთმან".

შერისხნა მას სამოელ მონაზონმან და რქუა: „მღდელო,
საქმე ღმრთისასა ვითარცა საქმესა კაცთასა ზრახავ, ანუ არა
აღმოგიკითხავსა, ვითარ ეტყუს ღმერთი პალეკარპოსს — უკე-
თუმცა არა დაბრკოლდებოდეს ანგელოზნი კაცთა სათნოები-
სათჳს, ყოველთამცა ქალაქთა შინა ჯუარს ვეცუ, რათა ყო-
ველნი ვაცხოვნნე? ანუ-მე უფროს არს აქაბ, მეფე ისრაელისა,
მეფესა ქრისტიანეთასა, რომელსა ეტყჳს ესაია — ითხოვე სას-
წაული სიმაღლედ, ანუ სიღრმედ, და მისთჳს თქუა: მიუდგეს
ქალწული? ანუ ვინ რქვა ისრაიტელსა — რაცა ითხოვო სახე-
ლითა ჩემითა, მოგეცეს? ისო რქუა სამყაროსა ცისასა „მოი-
ქეც", და სამსა ჭდესა მოიქცა იგი. აწ სიტყუა სიმდაბლისა
შენისა კეთილ არს, პეტრე, არამედ საბრკოლებელ არს მცი-
რედ მორწმუნეთა კაცთა. ხოლო შენ, მეფეო, მცირედ შეგუ-
ეწიე ჩუენ სარწმუნოებითა, რამეთუ ლოცვამან ჭირვეულისა
ამის ქალაქისამან ყოს ნება შენი". და წარვიდეს წმიდანი იგი
სადგურად თჳსად.

ხოლო მეფემან მყოვარ ჟამ ილოცა და დაწვა. და მირულ-
ბასა შინა მისსა, აჰა, უკუე, მოვიდა დედაკაცი იგი, რომელი
იყო წმიდა ნინო, და რქუა: „აღდეგ, მეფეო, და განკრძალულ-
ად მიეგებვოდე, რამეთუ ორნი მეფენი ზეცისა და ქუეყანი-
სანი მოვლენ შენდა". და რეცა მიხედნა, და იხილა პირველ
სახე ქალაქისა, ვითარ არს კოსტანტინეს; და მიიწია იგი სწრა-
ფით და იხილნა ორნი საყდარნი: ერთსა ზედა მჯდომარე ჭა-
ბუკი, საჭურველითა, გჳრგჳნოსანი; და მეორეთა საყდართა
იხილა მოხუცებული მჯდომარე ზეწრითა სპეტაკითა, და თავსა
ზედა ედვა გჳრგჳნი ნათლისა, არა ოქროსა, და ფერჯთა მისთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანა ჯდა ნინო; და ჴელი ვახტანგისი მარჯუენა ეპყრა პეტრესი
მღდელსა და მარცხენა სამოელს მონაზონსა. და რქუა სამო-
ელ: „შეუვრდი პირველად დიდსა იმას მთავარსა ზეცისასა
გრიგოლის“. მივიდა და თაყუანი-სცა. და რქუა გრიგოლი:
„რა ესე ჰყავ ბოროტი, კაცო, რამეთუ მოაოჴრე ბანაკი ჩემი,
და მჴეცთა შეაჭამენ საცხოვარნი ჩემნი. უკეთუმცა ორნი ეგე
არა, რომელნი გუერდით გიდგან, და დედაკაცისა ამისთჳს
სათნოსა, რომელი მარადის იღუწის მარიამის თანა თქუ-
ენთჳს, — შურ ვიგემცა შენგან, ვითარცა მამათა შენთაგან,
რომელნი ესვიდეს ცეცხლსა შეიმწუელსა და არა ბრწყინვალე-
ბასა განმანათლებელსა ყოველთასა“. და მისცა ჴელი და ამ-
ბორს-უყო, რეცა და მიჰყო ჴელი გჳრგჳნსა ნათლისასა, რეცა
ეგევითარივე გჳრგჳნი მისცა ვახტანგს, და რქუა: „დაარქუ ეგე
პეტრეს“. და აღიღო პეტრე მისვე გჳრგჳისაგან რეცა უდარესი,
და დაარქუა სამოელს მონაზონსა. და რქუა ნინო ვახტანგს:
„აწ უკუე მივედ მეფისა და მიიღე ნიჭი შენი“. მივიდა მეფი-
სა, და ამბორს-უყვეს ურთიერთას, და ადგილ-სცა საყდართა
თჳსთა, და დაისუა იგი თანა. და მისცა ბეჭედი ჴელისა მისი-
საგან, რომლისა იყო თუალი ფრიად ნათელი, და რქუა კეი-
სარმან: „უკუეთუ გნებავს, რათა მოგცე გჳრგჳნი, აღუთქუ ვინ
ესე დგას ჩუენ ზედა, რათა ჰბრძოდი მტერთა მისთა და მიიღე
მისგან გჳრგჳნი“. მოიხილა ვახტანგ და იხილა ჯუარი, რომელ-
სა ფრთეთა მისთა ზედა აქუნდა გჳრგჳნი, და უმეტესად ხილ-
ვამან ჯუარისამან დასცა შეძრწუნება, რამეთუ უსაშინელეს
იყო ზარი მისი, და დადუმნა. ხოლო აღდგა ნინო და მიხედნა
პეტრეს კერძო და სამოელისა, და ერთითა პირითა თქუეს:
„ჩუენ ვართ თავსმდებნი, ვითარმედ უმეტეს ყოველთასა წა-
რემართოს, ჰ ჯუარო უძლეველო“. და მიჰყო ჴელი კეისარმან,
და მოიღო გჳრგჳნი ჯუარისაგან, და დაარქუა გჳრგჳნი იგი
ვახტანგს თავსა.

და იწყეს გამოსლვად, რეცა ჴმა ყო ეპისკოპოსმან სამგზის,
და თქუა: „ვახტანგ, ვახტანგ, ვახტანგ! უმეტეს მორწმუნე იყო
შენ ყოველთა შორის ნათესავსა სპარსთასა“. მეორედ: „შენ-
გან აღეშენენ ეკლესიანი და განეწესნენ ეპისკოპოსნი და ეპის-
კოპოსთა მთავარი“. და მესამედ: „გჳრგჳნიცა წამებისა მიიღო“.
და გამოვიდა, რეცა მოუწოდა ძილსავე შინა პეტრეს და სამო-
ელს, და უთხრობდა ძილსავე შინა ჩუენებასა, და იგინი აუჴსნი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დეს: „რომელი-იგი იხილე საყდართა ზედა გურგენოსანი ნათ-
ლითა, იგი არს დიდი მოძღუარი გრიგოლი; და მან რომელ
მომცა მე გურგენისა მისგან, მომცა ეპისკოპოსთა მთავ-
რობა; და მე რომელ მივეც გურგენისა ჩემისაგან მოყუ-
ასსა ჩემსა, ჩემ მიერ ყოფად არის ეპისკოპოსად; და რო-
მელ ნახე გურგენითა ოქროსათა ჭურვილი, იგი არს კეისარი;
და რომელ მოგცა შენ ბეჭედი, მოგცეს შენ ასული ცოლად,
და ყოველი საზღვარი ქართლისა მისგან უკმოღებული მოგ-
ცეს; ხოლო გურგენი ჯუარისაგან რომელ მოგცა, ვრცელნი
ღუაწლნი გარდაიჯადნე შეწევნითა ჯუარისათა; ხოლო მოძღუ-
არმან ჩუენმან რომელ სამგზის გიჯმო, სამნი ნიჭნი გითხოვნა
ღმრთისაგან, რათა შენ მიერ ჭეშმარიტება დაემტკიცოს ქარ-
თლისა კათალიკოსთაგან და ეპისკოპოსთა, და სძლევდე მტერ-
თა ვიდრე დღედმდე აღსრულებისა შენისა. ხოლო აღსრულე-
ბასა შენსა გურგენი წამებისა მიიღო ბრძოლასა შინა, ჴელთა
მტერთასა არა შეჰვარდე. ესე ყოველი აღესრულოს ვიდრე მო-
უძლურებადმდე შენდა და სიბერედმდე“.

ვითარცა განიღვძა მეფემან ვახტანგ, მადლობდა ღმერთსა,
რომელმან ყოველივე გამოუცხადა, და მოუწოდა მსწრაფლ
პეტრეს და სამოელს, და რქუა: „რა იხილეთ?“ ხოლო მათ
რქუეს: „იტყოდე, მეფე: ერთი მარჯუენით და ერთი მარცხე-
ნით ვდეგით, რაჟამს შენ საყდართა მსხდომარეთა წინაშე კე-
ისრისა და ღმრთივგამომეტყუელისა სდეგ; და კუალად იგივე
დედოფალი ჩუენი დაამშჯდებდა მოძღუარსა მას განძჯნებულ-
სა შენ ზედა, და მიგცემდა შენ ჴელთა მისთა“.

და რქუა მათ მეფემან: „დუმენით, წმიდანო, რამეთუ ყო-
ველივე ჩემ თანა გიხილავს. აწ ვითარ გნებავს თქუენ ქალა-
ქისა ამის საქმე, რომელი შემუსრვად მიწევნულ არს? ანუ რა
ვყოთ ტყჳსა ამისთჳს, რომელი უმეტეს არს ბევრ ათასისა, რო-
მელი არს ჴელთა ჩუენთა? აწ უკუე სწრაფით განვიდეს აქათ
ქადაგი, ვითარმედ სპარსთა მეფე წარმომართებულ არს ქუე-
ყანად ჯაზირეთად, და გამოვლეს ფილისტიმი კუალსა მეფისა
კეისრისასა, რომელმან მოაოჯრა ქუეყანა სპარსთა, და სპარს-
თა მეფემან ვერ უძლო ბრძოლად. ხოლო კეისარმან ვითარცა
ცნა, ვითარმედ ჩუენ მოვედით ქუეყანასა მათსა, მოისწრაფის
ბრძოლად ჩუენდა, და ვხედავთ რეცა სპარსთა მეფე მოვალს
ძალაი ჩუენდა. და ვიცით, ვითარმედ სპანი სპარსთანი სომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხითისა და ქართლისა სპათა უმრავლეს არიან, და არავინ არს ჩუენ შორის ჭეშმარიტი ძორწმუხე; რომელნი დანერგნა ძაძამან ჩუენმან მირიან, გინა თრდატ, დედით ნათესავმან ჩემმან, აქა ამათ ყოველთა სარწმუნოება ვიცით, რამეთუ სავსე არს საცთურითა. ნუუკუე გამოცხადებასა საქმისა ჩემისასა განწყრეს დედისძმა ესე ჩემი, და ვეწყვნეთ ურთიერთას და ვიქმნეთ საცინელ ყოველთა მტერთა ჩუენთა. არამედ ესე ვყო, რეცა მოვიდენ სპანი ჩუენნი და მაუწყონ ჩუენ მოსლვა კეისრისა, და მას ზედა უკუვრიდოთ ჩუენ. პირველვე საქმე ესე ვაუწყოთ, ოდეს მოვიდეს და მოგუეახლოს ჩუენ კეისარი; მაშინ ვითარცა იზრახოს სიწმიდემან შენმან, ეგრეთ ვყოთ და არცა ერთი ტყუეთა მისთაგანი დააკლდეს".

და წარვიდა პეტრე კეისრისა, ხოლო სამოელ დადგა წინაშე მეფისა. ხოლო ხვალისა დღე მოვიდა რეცა დიასპანი და უქადაგა მეფესა, ვითარმედ სპანი ბერძენთანი შემოვიდეს კონსტანტინეპოლედ. და მოუწოდა მეფემან ვახტანგ დედისძმასა თჳსსა და ყოველთა მეფეთა, და რქუა: „რასა იტყჳთ, რამეთუ უწყით სიმრავლე სპათა ბერძენთა, და ვერაგობა წყობისა მათისა, და სიმარჯუე ზღუათა შინა ნავებითა. ესერა შევიდეს იგინი სპარსეთს, ქუეყანასა გმირთა და გოლიათთასა, და მათ ვერ უძლეს წყობად. აწ მეშინის, ნუუკუე სპანი ნავებითა მოვიდენ, შეიპყრან გზა ჩუენი და მოგუწყჳდნენ ჩუენ, ვითარცა ბაკსა შინა. არამედ აღვდგეთ აქათ და დავიბანაკოთ ზღუასა სამხრით კერძო, რათა გუაქუნდეს ჩუენ გზა ჭირისა და ლხინისა".

აღიყარა ლაშქარი გარემოს ქალაქისა, და ვლეს ხუთისა დღისა სავალი სამხრით კერძო, და დადგეს სპერით კერძო. და განვიდეს მყოფნი ქალაქისანი, მიწევნულნი სიკუდილად, და მისცეს მადლი ვახტანგს, და მისცეს ძღუენი ათასი ლიტრა ოქრო და ხუთასი თავი სტავრა, და განვიდა ერი იგი მშვდობით სავაჭროსათჳს და საჯმრისა.

ხოლო ვითარცა მივიდა პეტრე წინაშე მეფისა კეისრისა, და უთხრა ყოველი იგი. ხოლო კეისარმან განიხარა ფრიად, და ყოველი რომელი ეხილვა ჩუენებასა შინა, მისცა მას ზედა ნება ვახტანგს. და წარმოავლინა პეტრე მღდელი, და მიუმცნო აღთქმითა და ფიცითა ძლიერითა, რათა სწორ იყოს მეფობისა მისისა. არამედ ორთავე სპათა დასცნენ სპარსნი, რომელნი იყენეს ვახტანგის თანა, არა აღვიდენ საბრძანებელთა მათთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან, ოდეს შეკრბენ ვახტანგ და იგი. ხოლო ვიდრე პეტრე და მოციქულნი მოვიდოდეს ვახტანგისსა, კეისარი შემოვიდა კოსტანტინედ და წარმოავლინა ხუთასი დრომონი, რომელსა შინა ისხდა ხუთას-ხუთასი კაცი, და უბრძანა, რათა მიეახლნენ ვახტანგს და დადგენ თჳნიერ ბრძოლისა. და წარმოემართა კეისარი გზასა პონტოსასა რვაასი ათასითა კაცითა. და ვითარ მოეახლნეს სპანი იგი ზღჳსანი, უნდა სპარსთა წყობა მათი, ხოლო მეფე აყენებდა, და არა მიუშუნა ბრძოლად.

ხოლო ვითარცა შეართუეს ძღუენი მოციქულმან კეისრისამან და პეტრე, ჰქონდა სიტყუა საიდუმლო და კუალად ჰქონდა სიტყუა საერო. და თქუა ცხადად, ვითარმედ: „ნუ ივლტი, დადეგ ვიდრე ჩემად მოსლვამდე, რათა რომელნი-ეგე შენ თანა არიან სპარსნი, რომელნი დაგურჩეს შესლვასა ამას ჩუენსა სპარსეთს მოუწყუედელად, მოვსწყჳდნეთ ეგენიცა“.

ხოლო საიდუმლოდ მოართუეს მას ჯუარი და გჳრგჳნი შუამდგომელად, და შესამოსელი ტანისა მისისა, და თქუა: „რა შევკრბეთ, მიგცე ციხე თუხარისი და საზღვარნი ქართლისანი“. ხოლო მისცა ვახტანგ მეფემან პასუხი საეროდ, ვითარმედ: „არარომლისა მიზეზისათჳს მოვედით აქა, გარნა წყობისა შენისათჳს, აწ მოვედ აქა, და თუ არა, ჩუენ მოვიდეთ კოსტანტინედ“. და ფარულად ამცნო და რქუა: „რომელი არა შუენის შენსა ღმრთისმოყუარებასა, რომელი შენ არა ჰყო, სხუასა ნუ აწუევ, რამეთუ ღადრობა არა ჴელ არს კაცთა პატიოსანთა. დაღათუ აწ შენ მიგცნე სპარსნი, არა უკუე განცრუვდესა სახელი ჩემი? და უმეტეს ჩუენსა აქუს მრავალთა მათგანთა სიყუარული ქრისტესი, არამედ შიშისაგან მათისა ვერ გამოაცხადებენ. აწ ბრძანე, რათა საქმე ესე ჩუენი მშჳდობით ვყოთ, ვითარცა ივბიმიანოს და ყოველთა სპარსთა. ხოლო შემდგომად ამისსა, რაჟამს გაწყდეს საქმე ჩუენი, უმარჯუესადრე შევყარნე იგინი ჴელსა შენსა, და ნუმცარა იქმნების საქმე უშუერი, და ნუცა საქმე შფოთისა თქუენ მიერ, რათა არა დაეცნენ პირითა მახჳლისათა ერნი თქუენნი, რამეთუ ერნი თქუენნი განლაღებულ არიან ჯობნასა ზედა სპარსთასა, ხოლო სპარსნი არავე შეშინებულ არიან, არამედ შურითა თქუენითა წადიერ არიან წყობასა: ანუმცა მოკუდეს, ანუმცა იძიეს შური სისხლთა მათთა. ხოლო სპანი ესე შენნი თუ მიღმართ ჰბრძანან, მემცა უბრალო ვარ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წარვიდა მის თანა მოციქულად ვარაზ-მიჰრ, მამა-
სა მისისა ძმა, და სამოელ მონაზონი. ხოლო კეისარი ძოწეულ
ულ იყო პონტოდ ქალაქად, და პონტოელნი გამოსრულ იყვ-
ნეს მიგებებად, და შეასხმიდეს ქებასა და ვახტანგ მეფისა
მადლობასა, რამეთუ უკურიდა მათ და არა მისცნა იგინი სი-
კუდილად. ვითარცა მიიწივნეს მოციქულნი ვახტანგ მეფისანი
ქალაქად, მიართუეს ძღუენი მუთაკალი მუშკი, ხუთასი ამბარი
და ათასი ლიტრა ალვა. და განსრულ იყო გუნდი მეფისა ვახ-
ტანგისი ალაფობად, და მიეტევნეს მათ მკვრცხლნი ბერძენთა-
ნი, და მათ თანა შეკრებულნი ჰევთა და ქალაქთა მჴედარნი
ვითარ სამასი ათასი.

ხოლო ვახტანგ მეფე აყენებდა მიიძულებად სპათა მათ მე-
ალაფეთა, ვიდრე არა მივიდა დედისძმა მისი, ერისთავი სპარს-
თა, და რისხვით რქუა ვახტანგს: „მ გუელო და ნათესავო ას-
პიტისაო! არა უწყია, რამეთუ დედა მამისა შენისა ბერძენი
იყო, ნათესავი ივბიმიანოსისი? და გძლო შენ ბუნებამან მამის-
დედისა შენისამან, და სიყუარული ჯუარცმულისა მის კაცისა
მომკუდარისა გიპყრიეს, და გნებავს შეყენება ჩუენი ჴელსა
ბერძენთასა". ხოლო ვახტანგ რქუა: „აჰა, შენ და ბერძენნი,
და იხილო ძალი კაცისა მის მომკუდარისა და ცოცხლისა მის
სასოსა შენისა". და სცეს საყვირსა და განვიდეს ყოველი სომ-
ხითი, და სპარსნი, და მეფე დარუბანდისა. ხოლო მეფე ვახ-
ტანგ და ქართველნი განვიდეს ხედვად და დადგეს. და აღჴდა
მეფე პილოსა ზედა თეთრსა, და ეწყვნეს იგინი ზღუსკიდესა
მას, რომელ არს ჭალაკი, რიყე ხერთვისისა. მისლვამდე სპარს-
თა ლაშქრისა მოეკლა ბერძენთა ერისა მისგან ოცდაშჴდი ათა-
სი, და განძლიერდა ბრძოლა, და მოკლეს დედისძმა ვახტანგი-
სი, ერისთავი სპარსთა, და მოკლეს იპაჯაჯ, მეფე ლეკთა, და
მრავალნი ერისმთავარნი, და იძლია ბანაკი აღმოსავლეთისა.
იყო ბერძენთა სპასალარი პალეკარპოს ლოღოთეთი, დისწული
მეფისა. და იყო იგი ძლიერი, და მას მოეკლნეს ძლიერად
მბრძოლნი სპარსთანი და ესეცა ერისთავი მანვე მოკლა.

მაშინ გარდამოჴდა მეფე ვახტანგ ეტლთაგან და თქუა: „არა
რომელი ჩუენ გჴნდა, გარნა რომელი ღმერთსა სთნდა, რამე-
თუ ჩუენ ვიტყოდით მშჴდობასა, არამედ სილაღემან სპარსთა-
მან აგინა ღმერთსა, და ღმერთმან შურ-იგო, და მოკლეს ერის-
თავი რანისა, რომლისათჳს ყოველი სპარსეთი ვითარცა მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოკრებასა სპარსეთისასა იგლოვს. აწ დამდაბლდა სილაღე
სპარსთა, მოიყვანეთ ჯუარი და წარვიძღუანოთ, რათა რომლი-
თა გუძლევდენ მითვე იძლივნენ, და იქმნენით ძედ ძლიერები-
სად, და ნუ-ვინ ბრძავთ ურთიერთას სხჳსა მიერ, და ნუ ეძიებთ
ძლევასა მტერთასა; არამედ იყვნენ ჴელნი თქუენნი ვითარცა
ჴელნი ჩემნი, რათა არა ვიძლივნეთ სრულიად. არა ხოლო თუ
აქა ვდევნნეთ, არამედ ვიდრე ადარბადაგანამდე; ვითარცა იდე-
ვნიან ყორანნი მართუეთაგან თჳსთა".

და მოიყვანა პეტრე მღდელმან ჯუარი, და რქუა მეფემან:
„დადეგ წინაშე პირსა მტერისასა და ერისა ჩუენისასა, და
არქუ ყოველთა — «თაყუანის-ეცით ჯუარსა და ვსძლოთ
მტერსა, და რომელმან არა თაყუანი-სცეს, მოკალთ". და უბ-
რძანა დემეტრეს, ერისთავსა თჳსსა, და ჯუანშერს სპასპეტსა,
რათა მიჰყვენ ჯუარსა თანა. და ქადაგი ჴმობდა ძლიერად:
„რომელმან არა თაყუანი-სცეს ჯუარსა, მოკუედინ". და მივი-

ოდეს ყოველნი ერნი, და თაყუანი-სცემდეს, და დადგებო-
დეს წინაშე ჯუარსა. ხოლო ბორზო მოვაკნელმან მეფემან
თქუა: „არა დაუტეობ ნათელსა შემწუელსა, და არა თაყუანის-
ცემ ძელსა მაშმელსა, რომელი განშუენებულ არს ოქროთა
და ანთრაკითა", და სცა მას ლახუარი ჯუანშერ სპასპეტმან, და
დაეცა მძორი მისი. მიერითგან არღარავინ იკადრა გმობად
ჯუარისა, და აღთქმით ეტყოდა ერი იგი მეფესა ვახტანგს:
„უკუეთუ შემეწიოს ჩუენ ჯუარი, არღარა იყოს ჩუენდა სხუა
ღმერთი გარნა ჯუარცმული".

და გარდაჴდა მეფე და თაყუანი-სცა მას, და ყოველმან ერ-
მან მის თანა. და თქუა მეფემან: „აჩუენე ძალი შენი ერსა ამას
შენსა ურწმუნოსა, რათა მოიყვანნე სარწმუნოებად, უფალო
ღმერთო, მორწმუნენი შენნი; დაღაცათუ მოკუდენ, არამედ
ცოცხალ არიან, და ცხოველნი შენნი შენ ცხოველისაგან ძლი-
ერ არიან. და სპანი იგი ბერძენთანი ამოვიდეს ვითარცა ელვა.
ხოლო პალეკარპოს ვითარცა მგელი სისხლითა აღმოსვრილი
და ვითარცა ლომი განძჳნებული მოიზახდა და შეურაცხ-ჰყოფ-
და სპათა მათ. ხოლო მეფემან რქუა: „ვინ არს თქუენ შორის
კაცი, რომელი ეწყოს იმას და სწორ იყოს მეფობისა ჩემისა".
წარვლო ქადაგმან ორგზის, და ვერვინ იკადრა ყოვლად სი-
ტყუად.

მაშინ თქუა ვახტანგ: „არა ძალითა განძლიერდების კაცი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არამედ ღმერთმან მოსცის ძალი. და მე ვესავ ძალსა შენსა, და ვითარცა დავით განვალ ნიშითა ჯუარისათა; მომეც ძალი ვითარცა დავითს გოლიათსა ზედა, რამეთუ ესეცა მაყუედრებელად და შეურაცხებით მოუჯდა ჯუარსა შენსა; რაჟამს იხილა ჯუარი აღმართებულად ძალად ჩუენდა, არა ივლტოდა მისგან, არამედ სასოებითა ძალისა მისისათა განვიდეს ბრძოლად". და თქუა: „იხილი, ღმერთო, ამპარტავანი და დაამდაბლი; კუალად იხილი ჭირვეული და იჯსნი. ხოლო ისი შეურაცხად მიჩნს და არა მეშინის, რამეთუ ძალი შენ მიერ მოცემულ დიდ არს, რომლითა ვსძლო; არამედ მეშინის მე შენგან, რამეთუ მდაბალთა ჴმანი ისმინნი და შენ გხადი შემწედ ჩემდა".

აღმოიჯადა ჯრმალი და შეამთხჯა ჯუარსა, და განვიდა შორის განწყობილთა მათ, და თქუა: „არა ჰბრძავენ ლომი ჯარსა, რამეთუ მე მეფე ვარ და შენ მონა, არამედ დავდვა თავი ჩემი ერისა ამისთჳს სიმდაბლით, რათა რწმენეს ძალი ჯუარისა". და მოეტევა პალეკარპოს. ხოლო ვახტანგ მსუმრიად და ნებასა მიეახლებოდა. და აღიზახნეს ორთავე მათ განწყობილთა ჴმითა საშინელითა, და იყო ჴმა იგი ვითარცა ჴმა ქუხილისა, რომლითა შეიძრა ქუეყანა. და დასცა ლახუარი პალეკარპოს ფარსა ვახტანგისსა, რომელი იყო ვიგრის ტყავისა, და განავლო ფარსა ვითარ წყრთა ერთი, რამეთუ იყო სიმსხო ლახურისა ვითარ მკლავი კაცისა. და მისცა ფარი იგი მეფემან ლახუარსა მისსა, და მიეტევა პირისპირ, და სცა ჯრმალი ჩაბალახსა ზედა და განაპო თავი მისი ვიდრე ბეჭთამდე. და მიჰყო ჴელი და უპყრა თავისა მისისა ნახევარი, და მოიღო წინაშე ჯუარისა, და თქუა: „ყოვლისა განდგომილისა შენისა ესე იყავნ ნაწილი".

და მიეტევნეს სპანი ვახტანგისნი სპათა ბერძენთასა, და აოტნეს იგინი, და აღიჭრნეს გუნდ-გუნდად, და მიაწყუდინეს ზღუსპირსა; და არავინ განერა მათგანი, გარნა რომელი შეესწრა ზღუად და ივლტოდეს ნავითა. მას დღესა შინა მოსწყდა სპათაგან ვახტანგისთა ორმოცდასამი ათასი, და სპათაგან ბერძენთასა მოსწყდა სამოცდათორმეტი ათასი; და შეიპყრეს ტყუედ მათგანი ასოცდახუთი ათასი.

და ვითარცა მოიქცეს სპანი იგი ვახტანგისნი და მივიდეს გუამსა ზედა ვარაზ-ბაკურისსა, ვახტანგის დედისძმისასა, იგლოვეს და შემურეს იგი საბრითა და მურითა, და წარსცეს ბარდავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო მეფემან ვახტანგ მოუწოდა ყოველთა სპათა, და უბრძანა მოყვანება ყოველთა ტყუეთა, და მოიყვანნეს დაუკლებელად: და იყო ერთრიცხვად ყოველი მამაკაცი და დედაკაცი შვდასოთხმოცი ათასი. და წარსცა იგი ყოველი წინაშე კეისრისა, ჴელითა ნასრესითა და ადარნასესითა, ერისთავთა მისთათა. და მიწერა წიგნი, ვითარმედ: „სიბრძნე ღმრთისა მიუწდომელ არს, და სიბრძნესა კაცთასა და ნებასა სძლევს ნება ღმრთისა. მე უწყი, რამეთუ არა არს ნება შენი საქმესა ამას, რომელი-ესე იქმნა პალეკარპოსისაგან, არცა თუ იყო ნება ჩემი, რომელი ესე ქმნა დედისძმამან ჩემმან, და ორნივე ესე ძვრის-მოქმედნი ძვრმანვე მოინადირნა. ამისთჳს ყო ესე ღმერთმან, რათა ახალნერგნი ესე მოიყვანეს სარწმუნოებად შიშსა მისსა, ვითარცა-იგი უძღებისა შვილისათჳს ყო საქმე განსაცხრომელი. ხოლო თქუენ პირმშონი შვილნი ხართ ღმრთისანი, და მარადის მისნი ხართ. აწ მწუხარება ესე დედისძმისა ჩემისა, დისწულისა თქუენისა მიერ ნუგეშინის-ვეც, რაჟამს ვიძიე შური მკლველთა მისთა. ხოლო თქუენ ნუგეშინის-გეცით ერისა ამისთჳს, რომელი იჴსნა ღმერთმან შვდასოთხმოცი ათასი. და უკუეთუ ბრძანებამდე მიმთხუევად ჩემდა, გამოისწრაფე; და უკუეთუ არა მოციქულითა განაგე საქმე ჩუენი. რამეთუ დამძიმდა დგომა ჩუენი ქუეყანისა ამისთჳს მოოჴრებულისა“.

ხოლო ვიდრე მისლვამდე მოციქულთა ფრიად მწუხარე იყო კეისარი. არამედ რაჟამს უთხრეს, ვითარმედ ტყუე პირველ შეპყრობილი და ტყუე ერისაგან მეოტისა ყოველი დაუკლებელად განუტეობია, მაშინ განიხარა ფრიად და ყოველთა დაუტევეს მწუხარება. და შეჴდა მეფე ნავსა და განვიდა სამასითა დრომონითა, სუბუქად გამოვიდა ზღუსკიდესა, და მოუწოდა ვახტანგს; და ყვეს ურთიერთას აღთქმა და ფიცი, და განაგეს საქმე წინდობისა. და უკუმოსცა კეისარმან საზღვარი ქართლისა, ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი, ზღუთგან ვიდრე არსიანთამდე, და ჴევნი რომელნი მოსდგმანან ღადოთა.

და გამოიკითხა კეისარმან საზღვარი საბერძნეთისა, ქუეყანა ზღუსპირისა, რომელ არს აფხაზეთი, და რქუა ესრეთ: „ეგრისწყლითგან ვიდრე მდინარედმდე მცირისა ხაზარეთისა — ესე საზღვარი არს საბერძნეთისა ალექსანდრობითგან, რომელი აწ შენ მიგიღია მკლავითა ჩუენგან. აწ იგი უკუმოგუეც, და ოდეს წარიყვანებდე ცოლსა შენსა, ასულსა ჩემსა, მაშინ

მოგცე მისგან ქუეყანა". და დაუწერა ეგრისწყალსა და კლი-
სურასა შუა ქუეყანა ზითვად, და სხუა აფხაზეთი უკუეცა ვახ-
ტანგ ბერძენთა.

და წარმოვიდა ვახტანგ გზასა კლარჯეთისასა, და სპანი მის-
ნი განუტევნა გზასა სომხითისასა. და ვითარ მოიწია თუხარი-
სად, მიხედნა და შეუყუარდა ციხე, და თქუა: „ჰეშმარიტად
თუ ხარ შენ ციხე". და ვითარცა წარმოვიდა, იხილა კლდე შუა
კლარჯეთსა, რომელსა სოფელსა ერქუა არტანუჯი. და მოუ-
წოდა არტავაზს, ძუძუსმტესა მისსა, და დაადგინა იგი ერისთა-
ვად; და უბრძანა, რათა ააგოს ციხე არტანუჯისა; და უბრძანა,
რათა გამონახოს ჯევსა მას შინა ადგილი სამონასტრე და აღა-
შენოს ეკლესია, და ქმნეს მონასტრად, ვითარცა ეხილვნეს მო-
ნასტერნი საბერძნეთისანი. და რქუა არტავაზს: „უკუეთუ გან-
ძლიერდენ სპარსნი ჩუენ ზედა, საყუდელი ჩუენი აქა ყოფად
არს".

ხოლო არტავაზ აღაშენა ციხე არტანუჯისა, და მონასტერი
რომელ არს ოპიზა, და სამნი ეკლესიანი: დაბა მერისა, შინდო-
ბისა და ახიზისა. და განაახლა ციხე ახიზისა, და ქმნა იგი ქუ-
აბად.

და ვითარ წარმოვიდა ვახტანგ და მოვიდა ქალაქად თჳსად
ჳცხეთად, იყო სიხარული დიდი და მადლისა მიცემა ღმრთისა,
რამეთუ მოვიდა იგი მშჳდობით. და მისცა ნიჭი დიდი ერსა
თჳსსა.

ხოლო მეფემან სპარსთამან ვითარცა ცნა, ვითარმედ მიიქ-
ცა ვახტანგ ბერძენთა კერძო, შეიქცა სპარსეთად და მოკუდა.
და დაჯდა მეფედ ძე მისი, და ვიდრე მოიწიფებოდა იგი, წარ-
ჯდა ამას შინა წელიწადი სამი.

ხოლო ვახტანგ მეფესა უშვნა ცოლმან ძე და ასული მარ-
ჩბივად, და მოკუდა შობასა შინა ბალენდუხტ დედოფალი,
ასული სპარსთა მეფისა. ხოლო ვახტანგ უწოდა ძესა თჳსსა სა-
ხელი სპარსულად დარჩილ და ქართულად დაჩი. მაშინ ვახ-
ტანგ მეფემან ვერ მოიცალა მოყვანებად ცოლი ბერძენთა მე-
ფისა ასული, და ვერცა კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა; რა-
მეთუ მოელოდა იგი სპარსთა მეფისა მოსლვასა: ამაგრებდა
ციხეთა და ქალაქთა, და ჰკაზმიდა მჴედართა, და განამზადებდა
ბრძოლად სპარსთა. მაშინ შეაგდო საპყრობილესა შინა ბინქა-
რან მაცთური, ეპისკოპოსი ცეცხლისმსახურთა, და მოსრნა და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განასხნა ყოველნი ცეცხლისმსახურნი საზღვართაგან ქართლისათა.

ხოლო სპარსთა მეფე შემდგომად სამისა წლისა წარმოემართა ბრძოლად ვახტანგისად, და მოიწია ინდაბრიანთა, და დაიბანაკა მუნ. ხოლო ვახტანგ წარავლინა ბერძენთა მეფისა თანა და მიუმცნო, ვითარმედ: „აჰა, დღე იგი, რომელ აღმითქუამს, ვითარმედ სპარსნი შემოვაწყუდივნე ჯელსა შენსა; აჰა ესერა, მომიყვანებიან იგინი შუა საზღვართა ქართლისათა და ყოველი კაცი მათ თანა ვითარ სამასი ათასი. რამეთუ ჰგონებდა იგი განმრავლებასა სპათა მისთასა სომხითით და მეფეთაგან კავკასიანთასა, ხოლო მათ ვერ იკადრეს განრთვად მისა. რამეთუ რომელთამე მათგანთა აქუნდა სასოება ჯუარცმულისა, ხოლო რომელნი იძლივნეს ეშმაკისაგან, მეფენი დარუბანდისანი გაერთნეს. აწ აღმისრულებიეს აღთქმა ჩემი, რომელ აღმითქუამს: რამეთუ სადაცა მიპოვნიეს სახლი ცეცხლისა, დამივსია ფსლითა, და მოგუნი და მზირნი მათნი მიმიცემიან სატანჯველსა ბოროტსა, და მაცთური ბინქარან მივეც საპყრობილესა, და სიკუდილისაგან გარდაიხუეწა. მან უკუე მოიყვანნა სპარსნი ქართლად, და დავსუ ეპისკოპოსად მიქაელ, კაცი სარწმუნო. ხოლო ბინქარან, ვითარცა მოიწია საზღვართა ქართლისათა, მოკუდა. აწ სწრაფით წარმოემართნენ სპანი შენნი, რათა აქა შინა დაეცნენ ყოველნი მტერნი ჯუარისანი, და მოიცალო შენ ყოველთა მტერთა შენთაგან, ხოლო უკუეთუ ჩუენ გუძლოს, განძლიერდეს იგი და შემოვიდეს საზღვართა შენთა გზასა შიმშატისასა“.

ხოლო ვიდრე მიიწეოდეს მოციქულნი ვახტანგ მეფისანი, წარსრულ იყო კეისარი ქუეყანით ხაზარეთით კერძო, რომლისაგან ვერ მოიცალებდა მოსლვად ქართლად. მაშინ ვახტანგ განაძლიერნა ციხენი ქალაქისანი, და ურჩეულესი მბრძოლი ერისა მისისა ვითარ ასი ათასი მჯედარი და ასი ათასი ქუეითი იპყრა მის თანა, და დაუბანაკა მათ დილმით ვიდრე ქართლის კართამდე, და სპარსთა დაიბანაკეს ცხენისტერფითგან ჩაღმართ.

ხოლო ვახტანგ განაფართა ჯიდი მოგუეთისა ვითარ სამოცი მჯარი ქცევისათჳს მას ზედა სპათასა. ხოლო მეფე და ჯუანშერ სპასპეტი დადგეს მცხეთას, და ნასრა და მირდატ დაუტევნა სპათა ზედა სომხითისა და ქართლისათა, რომელნი დგეს არმა-

ზით კერძო. და რა ბრძოდიან სპარსნი არმაზით კერძო, ეარეული
თით განვიდიან; და რა განვიდის ლაშქარი იგი მიერ კერძო
მცხეთით, ეწყუნიან არაგუსა ზედა. და ოდესმე განვლიან ფო-
ნი მტკურისა და შეიბნიან ფონსა ზედა ტფილისისასა, და რო-
მელსამე დღესა მათ სძლიან და რომელსამე დღესა ამათ.

ხოლო ვახტანგ მეფესა შეექმნა ჩაბალახი ოქროსი, და გა-
მოესუა წინათ მგელი და უკანათ ლომი; და რომელსა კერძსა
იძლეოდიან ქართველნი, მუნითცა მინმართის და მოსრის სპისა
მისგან სპარსთასა, ვითარცა ლომმან კანჯარნი. მიერითგან ვერ-
ლარა შეუძლებდეს სპარსნი წყობად მისა, რამეთუ დაისწავ-
ლეს იგი, რომელსა ეწერა მგელი და ლომი, და ვითარცა იხი-
ლიან ვახტანგ, თქუან: „დურ აზ გორგასალ“, რომელ არს ესე:
„მირიდეთ თავსა მგლისასა“. და მის მიერ სახელ-ედვა ვახტანგ
მეფესა გორგასალ.

განგრძელდა მათ შორის ბრძოლა ოთხ თუე ოდენ. და მო-
ვიდა მოციქული კეისრისაგან, და მოართუა ძღუენი ვახტანგს,
და მოჰგუარა სპათაგან ბერძენთასა ოთხმოცი ათასი მჭედარი,
და მოუწერა ვახტანგს, ვითარმედ: „შეეექეც წყობასა ხაკანისა-
სა, და მომივლენია შენდა ოთხმოცი ათასი მჭედარი, და მომი-
წერია ლეონისდა: უკუეთუ გიჯმდეს შენ ლაშქარი, წინაშე შენ-
სა არს მელიტენითგან ვიდრე ლამეიდმდე და მოლმართ ვიდრე
კარნუ-ქალაქამდე, და მიბრძანებია ლეონისდა წინაშე შენსა
იყოს“.

და მოწევნულ იყო ლაშქარი ბერძენთა ჯავახეთს. ხოლო ვი-
თარცა ცნა სპარსთა მეფემან ბერძენთა მოსლვა შუელად მათდა,
იწყო ზრახვად ვახტანგისა. მიუმცნო მოციქულსა მისსა და
რქუა: „რასათჳს მოვსწყდებით ურთიერთას, ძმანი კაცნი ვართ,
შვილნი ნებროთისნი? უკუეთუ ცეცხლი არს ღმერთი, შე-უკუე-
ეწიენ იგი; ხოლო ჩუენ დავადგრეთ სიყუარულსა ზედა მამათა
ჩუენთასა. ხოლო თჳთოეული ჩუენგანი სათნოსა სულისა
თჳსისასა ჰმსახურებდეს“.

ვითარცა მოვიდა მოციქული და უთხრა ვახტანგ მეფესა
ყოველი შეთუალილობა სპარსთა მეფისა, და სთნდა ვახტანგს
და ყოველსა ერსა მისსა. და მისცა ნიჭი ვახტანგ მეფემან, მი-
უვლინა მოციქული მისი და რქუა: „გიხილავს ძალი ჯუარისა,
რამეთუ ყოველთა მეფეთა მოგუაქუნდა ხარკი ვიდრე გამოჩი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნებადმდე ჯუარცმულისა. რაჟამს გამოჩნდა იგი, მძლე გექმნ-
ნეს ყოველნი თაყუანის-მცემელნი მისნი წინაშე მისსა, და მო-
ხარკენი შენნი ბერძენნი მოღმართ გბრძვანან, და მოაოჯრნეს
სამსახურებელნი ცეცხლისანი. აწ, უკუეთუ გუბრძოდი ჩუენ
დატეობისათჳს სჯულისა, მოვკუდეთ ჩუენ მისთჳს, ვითარცა
იგი მოკუდა ჩვენთჳს, და მან აღმადგინნეს ჩუენ. ხოლო უკუე-
თუ აღასრულო სიტყუა შენი და არა იყოს ცეცხლი ღმერთად
შენდა, და იყოს ღმერთად ჩუენდა ქრისტე, მამად და უფლად
გხადო შენ. დაღაცათუ ჩუენ პირმშონი ვართ, არამედ თქუენ
სხდეთ საყდართა ზედა მამისა ჩუენისათა".

ვითარცა უთხრეს სიტყუა ვახტანგისი, შეიწყნარა და წარ-
სცა ძღუენი გორგასალსა ძლიერად, და მის თანა გჳრგჳნი
ანთრაკოანი, და ჟამი დადვეს შეკრებისა. აღიყარა მეფე სპარ-
სთა, და უკუდგა რუსთავად, და გამოვიდეს იგინი განთიად და
დადგეს ველსა კალაისასა: რამეთუ ტფილისი სოფელი და კა-
ლაიცა მოოჯრებულ იყო მაშინ. ხოლო მეფე ვახტანგ დადგა
ჯაჭუს, და შეკრბეს მასვე ველსა ორნივე მეფენი, და მოი-
კითხეს ურთიერთას, და ყვეს აღთქმა თავისთავისა სჯულსა
ზედა გარდაუვალ. და მოხადა მას დღესა სპარსთა მეფე გორ-
გასალმან ლაშქრითურთ თჳსით ტფილისად, და უძღუნა გორ-
გასალმან მჴევალი ათასი, მონა ხუთასი, სტავრა სკარამანგი
ხუთასი, ბიზიონი ზუზმა ხუთასი, ჴდალი ცხენი ათი ათასი,
ცხენი ბარგისა ხუთასი, ჯორი სამასი, ზროხა ოთხი ათასი,
ცხუარი ათი ათასი, და დღესა მესამესა მივიდა გორგასალი მის
თანა და თანა წარიტანა ლეონ, ანთიპატი კეისრისა, და ყვეს
განზრახვა. და აზრახა ანთიპატმან გორგასალსა, რათა ყოს
მშჴდობა შორის კეისრისა და ხუასროსა, რამეთუ ეშინოდა
ბერძენთა — ნუუკუე შევიდენ საბერძნეთად სპარსნი და მოა-
ოჯრონ იგი, რამეთუ სპანი საბერძნეთისანი ყოველნი იყვნეს
ხაზარეთს.

და რქუა ხუასრო გორგასალსა: „ითხოვე ჩემგან რაცა გნე-
ბავს თავისა შენისათჳს, ანუ სხჳსა ვისთჳსცა გნებავს". ხოლო
გორგასალმან რქუა: „მნებავს, რათა იყოს მშჴდობა შენ შო-
რის და კეისრისა". რქუა ხოსრო: „დამძიმდა თხოვა შენი ჩემ
ზედა: რამეთუ ბერძენთა რაჟამს პოვიან ჟამი ჩუენ ზედა, არა
ყვიან წყალობა. და მე ამით ვყავ სიყუარული შენ ზედა, რა-
თა შევიდე საბერძნეთად და შური ვიძიო მათგან. და აჰა, მო-

ციქული ხაზართა მეფისა მეათე დღე არს, რაჲთგან მოსრულ-
არს, და შენ არა უწყი მიზეზი მტერობისა ჩუენისა. ხოლო აწ
მიგითხრა სილაღე მათი ჩუენ ზედა, და მერმე ვყო ნება შენი,
ვინათგან აღგითქუ ფიცითა ძლიერითა, ვითარმედ არა ვყო
უნებელი შენი". და თქუა, ვითარმედ: „შენ უწყი, რამეთუ
ზღუასა მოღმართ ჩუენი არს საზღვარი, განუყოფელი ნოე-
სითგან, და აწ იგი მბრძავს ჩუენ ჯაზირსა და შამსა და მოოჴ-
რებულ არიან ქალაქნი, ხოლო შამი სამეფო ჩუენი არს. არა-
მედ ჯაზირისა ნახევარი, განწესებული მამათა ჩუენთა, შენი
არს ხუედრი, და მიუღებიეს იგი ბერძენთა, და მე ესერა შევი-
დოდე უკმოღებად მისა. აწ რომელი ნაწილი მამათა შენთა
არს, შენ განუყავ, შენ იცი და ბერძენთა. ხოლო სხუა ჯაზი-
რისა მომცენ მე ბერძენთა, და რომელი ვითხოვე მე შენგან".

ხოლო ვითარცა ესმა ესე ლეონ ანთიპატსა, განიხარა
ფრიად და თაყუანი-სცა ორთავე მეფეთა, და თქუა: „ხუთნი
ქალაქნი ჯაზირისანი შენდავე იყვნენ, შენკერძნი, რამეთუ ნა-
ხევარი სიკილიისა, რომელი მოგუეღო შენგან, უკუგცეთ, და
დღეთა ჩუენთა იყავნ მშჳდობა შორის შენსა და მისსა".

და თქუა მეფემან: ვინ უწყის, თუ დასჯერდეს ბერძენთა
მეფე ჭმნულსა ჩუენსა. და თქუა ლეონ: „რაჟამს წარმომავლი-
ნა მე ძალად ამის მეფისა, რქუა მეფესა ჩუენსა მონაზონმან
ვინმე ღმრთისმეცნიერმან, ვითარმედ სთნავს ღმერთსა მშჳდო-
ბა სამთავე ამათ მეფეთა. და იქმნაცა ეგრე. ხოლო კეისარმან
უბრძანა მწიგნობარსა და დაწერა წიგნი ზავისა. და აჰა, აქა
არს აღწერილი წიგნი მისი".

ვითარცა ესე თქუა, წარიკითხეს წიგნი იგი, და წერილ იყო
ფიცით: „თჳნიერ მისსა, რომელი მოსცა სპარსთა მეფემან
ივბიმიანოსსა, არა ვძებნო თქუენ ზედა". და მოუწოდა სპარ-
სთა მეფემან ხაზართა მეფისა მოციქულსა, და უთხრა მან
აღზრზენა სპარსთა ბერძენთა ზედა. მაშინ მოიღო სპარსთა მე-
ფემან ქარტა და დაწერა ჴელითა თჳსითა წიგნი ბერძენთა მეფი-
სა სიყუარულისა, და ჩინება საზღვართა, და სიკილიისა
უკუცემისათჳს. მისცა ფილისტიმი საზღვრითა იერუსალემი-
სათა. და თქუა, ვითარმედ: „ქალაქი სჯულისა თქუენისა არს
იერუსალემი". და მისცა გორგასალსა ნიჭი: ალვა ლიტრა სამი
ათასი, ამბარი ლიტრა ხუთასი, მუშკი ლიტრა ხუთასი, ტაიჭი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხენი სამი ათასი, სამოსელი ხუასროვანი ათასი და ხაზდი სამი ათასი.

და წარვიდა ვახტანგ შინა; ხვალისა დღე მოუვლინა მეფემან ვახტანგს ბარზაბან, საკუთარი მობიდანი, და რქუა ესრეთ გორგასალს: „რომელი გინდა ჩემგან, მე ვქმნე. აწ განაგე საბრძანებელი შენი, ვითარცა გნებავს: მიავლინენ დასტურნი და მიითუალენ ქალაქნი შენნი, რომელნი მიმცენ შენ და კეისარსა. ხოლო ბარზაბანისდა მიბრძანებია მისლვა კეისრისა მითუალვად ქუეყანათა და ქალაქთა თქუენთა. ხოლო შენ უწყი, რამეთუ საქმესა ამას ჩუენ ზედა განრისხნენ სპარსნი მოხუცებულნი, რამეთუ მათ ეგონა ჩემ მიერ შემუსრვა საბერძნეთისა, ხოლო მე დღეს საზღვართა ჩემთაგან ორი სამეფო მივანიჭე. აწ ესე არს სათხოველი ჩემი, რათა დაჲ შენი მომცე ცოლად, და შენ წარმოხჳდე ჩემ თანა ქუეყანასა მამულსა ჩუენსა, რათა ჰნახნე ნათესავნი შენნი და შენ შემწე მეყო მე თავითა შენითა მტერთა ჩემთა ზედა, აბაშთა და ელამთა, ჰინდოთა და სინდთა, რამეთუ უძჳრესი ბოროტი და დამდაბლება მეფობისა ჩემისა მათ ყვეს. აწ ოდეს მოხჳდე ჩემ თანა, და ესრეთ რქუა მოხუცებულთა და მარზაპანთა ჩემთა, რამეთუ სიყვარული ვყავ ჩემი და მოყუარეთა ჩემთა, რამეთუ ესრეთ ინება ძმამან ჩემმან ვახტანგ მეფემან. რომელნი ქუეყანანი მივცენით, მათითავე შემწეობითა მოხარკე ვყვენით მტერნი ჩუენნი, და ამით დავაცხროთ გულისწყრომა მათი ბერძენთა ზედა. ხოლო შენ თავითა შენითა მინებ ძალად ჩემდა, არამედ სპანი შენნი ადგილსავე იყვნენ“.

მაშინ ვახტანგ მოუწოდა თანამზრახველთა თჳსთა, და ეზრახა ლეონ ანთიპატი ესრეთ, ვითარმედ: „დიდ არს კეთილი შენი ბერძენთა ზედა, უფროს მეფეთა მათ, რომელნი სხენან საყდართა მათთა, რამეთუ შენ დასცევ ქალაქი პონტოსა შემუსრვისაგან, და შენ მიანიჭე შჳდასოთხმოცი ათასი სული, და დღეს შენ მიერ მიეცემის ჯაზირა და ფილისტიმი, რომელი მშჳდობით არაროემელსა მეფესა ბერძენთასა შეუპყრიეს. და მართალ არს ხუასრო, უკუეთუ არა ჰყო მის თანა სათნოება, უკმრად შერაცხოს იგი ერმან მისმან; დაღაცათუ მან არა გითხრა, მიღმართ ვაძლიოთ, რამეთუ ესე არს სრული სიყუარული; მე მიგცე ლაშქრისა ჩემისაგან ათი ათასი ჭურვილი და მე

წარვჰყვე მოციქულთა შენთა თანა წინაშე კეისრისა, და მეცა
ნით გამოგერთო ჯაზირას სპითა ძლიერითა".

ესე განაზრახა ლეონ ანთიპატმან. და სთხოვა მეფესა ვახ-
ტანგს და ყოველთა წარჩინებულთა მისთა განზრახვა მისი; და
მისცა სპარსთა მეფესა დაჲ მისი ვახტანგ მეფემან ცოლად,
რომელსა ერქუა მირანდუხტ, რომელი წარტყუენულ იყო
ოვსთაგან და გამოეკსნა ვახტანგს. ხუარამზე ამისთვს არა მის-
ცა, რამეთუ დაწინდებულ იყო სომეხთა პატიახშისა. და მოიყ-
ვანა ვახტანგ ძე მისი, რომელსა ერქუა სპარსულად დარჩილ,
ხოლო ქართულად დაჩი. იყო ხუთისა წლისა, და დაადგ
გვრგვნი, და დაუტევნა მეფედ, და დაუტევნა მის თანა შვიდნი
წარჩინებულნი მისნი:

პირველად ჯუანშერ სპასპეტი, მპყრობელი შიდაქართლისა
და მფლობელი ყოველთა ერისთავთა; და დემეტრე, ერისთავი
კახეთისა და კუხეთისა; და გრიგოლი, ერისთავი ჰერეთისა; და
ნერსარან, ერისთავი ხუნანისა; და ადარნასე, ერისთავი სამ-
შვლდისა; და სამნაღირ, ერისთავი შიდაეგრისა და სუანეთი-
სა; და ბაკურ, ერისთავი მარგვსა და თაკუერისა.

და ამათ შეჰვედრა ძე თვსი დაჩი, და უბრძანა აღშენება
უჯარმისა და მუნ შინა ზრდა დაჩი მეფისა, რამეთუ სიმარჯუედ
გამონახა იგი ნადირთა და ცხოვართათვს. და წარიტანნა თანა
ოთხნი წარჩინებულნი მისნი: არტავაზ, ერისთავი კლარჯეთისა;
და ნასარ, ერისთავი წუნდისა; და ბივრიტიან, ერისთავი ოძრ-
ჯისა; და საურმაგ, ეჯიბი მისი დიდი; და მათ თანა ათი ათასი
მჴედარი ლაშქრისა მისისა დარჩეული.

და ლეონ ანთიპატმან დაუტევა ლაშქრისა მისისაგან ათი
ათასი ბერძენი, და თვთ წარვიდა წინაშე კეისრისა. და ვახტანგ
მეფემან წარიტანა თანა მოციქულად არტავაზ, ერისთავი
კლარჯეთისა; და წარსცა ყოველი ნიჭი წინაშე კეისრისა, რო-
მელი მიენიჭა მეფესა ხუასროს; გარნა სტავრები და ტაიჭები
დაიჭირა თავისათვს, და სხუა ყოველი წარსცა და უბრძანა
არტავაზს, რათა ჯაზირას მოერთოს ლეონ ანთიპატისა თანა.

ხოლო ვახტანგს ეევედრნეს დედა და დაჲ მისი ხუარამზე,
რათა წარიტანნეს თანა და ილოცოს იერუსალემს. წარიტან-
ნა, და წარვიდეს ვახტანგ მეფე და ხუასრო გზასა ადარბადა-
განისასა; და მუნით წარვიდეს ვახტანგ და დედა და დაჲ მისი
იერუსალემს, და ხუასრო ელოდა ანტიოქიას. შევიდეს და

ილოცეს წმიდასა აღდგომასა, და მოილოცნეს ყოველნი ადგილნი წმიდანი, და შეევედრნეს წმიდასა აღდგომასა, შეწირეს შესაწირავი დიდი და წარმოვიდეს ანტიოქიას.

ხოლო ლეონ, ანთიპატოსი კეისრისა, და არტავაზ, ერისთავი ვახტანგისი, მოვიდეს ოცი ათასითა მჯედრითა რჩეულითა, და მოართუეს ხუასროს კეისრისაგან ძღუენი მიუწდომელი და ვახტანგს ნიჭი მიუწდომელი. და მოემცნო კეისარსა მოციქულთად სიხარული და მადლისა მიცემა ღმრთისა, და ვახტანგის ქება და მადლი მიუწდომელი. და მოემცნო ვახტანგისად: „და მიბრძანებიეს ლეონისდა ესრეთ, რათა იყოს შიშსა და ბრძანებასა შენსა ქუეშე ვითარცა ჩემსა“. და შეკრბა ვახტანგის საბრძანებელსა ქუეშე ბერძენი და ქართველი და სომეხი ორმოცდაათი ათასი მჯედარი რჩეული.

მაშინ უბრძანა სპარსთა მეფემან ვახტანგს: „ვინათგან დედა და დაჲ შენი აქამდის დამაშურალ არიან, მოვიდენ იგინიცა სამეფოდ ჩემდა, რათა ერთობით აღვასრულოთ სიხარული ჩუენი. მერმე თუ ინებონ წარსლვა ქართლს, წარვიდენ იგინი გზასა რანისასა. ხოლო თუ ინებონ ლოდინება შენი, გელოდიან ურაჰას ქალაქსა შინა“.

სთნდა უკუე ვახტანგს ბრძანება ხუასროსი, და წარიტანნეს თანა და წარემართნეს. და წარგზავნა სპარსთა მეფემან მოციქული წინაშე ყოველთა წარჩინებულთა სპარსეთისათა, და მიუთხრა ესე ყოველი. ხოლო მათ განიხარეს სიხარულითა დიდითა. რამეთუ ცეცხლებრ ეგზებოდეს ბრძოლისათჳს ჰინდოთა, სინდელთა, და აბაშთა, და ჯორჯანთათჳს. და მივიდეს ბაღდადს, და მოეგებნეს ყოველნი წარჩინებულნი სპარსეთისანი სიხარულითა დიდითა. და აღასრულეს ქორწილი სამეუფო, ექუს თუე განცხრომითა და განსუენებითა მიუწდომელითა. და შემდგომად ქორწილისა მისცა ნიჭი დიდძალი დედასა და დასა ვახტანგისსა, და წარმოვიდეს ურაჰას. და პატივსცემდა ვახტანგს ყოველი ერი სპარსეთისა ვითარცა ხუასროს, მეფესა მათსა, და მერმე წარემართნეს მტერთა ზედა.

პირველად მივიდეს ჯორჯანეთს, და წარმოტყუენეს ჯორჯანეთი, და ყოვლად უმკჳდრო ყვეს. და დასხნეს ადგილსა მათსა ნათესავნი სპარსთანი. და მიერითგან იქმნნეს ჯორჯანნი გლეხად, რომელნი აწ არიან მებეგრენი სპარსთანი.

და მუნით შევიდეს ჰინდოეთად, და მუნ იქმნნეს ბრძოლა-

ნი ძლიერნი და თჳთოთჳთო. და იყო მუნ წესად: რომელმანცა მათგანმან სძლის, ივლტინ მის წინაშე ბანაკი. ხოლო ვახტანგ მეფემან მოკლა ბუმბერაზი თხუთმეტი მუნ შინა, რომელთა დაეცნეს მრავალნი გოლიათნი სპარსთანი. და დაყვეს ბრძოლასა შინა ჰინდოეთისასა სამი წელი, და წარმოტყუენნეს უმრავლესნი ქუეყანანი ჰინდოეთისანი, არამედ მტკიცენი ციხე-ქალაქნი ვერ განტეხნეს, რამეთუ ზღუდეთა შინა იყვნეს. და წარმოიღეს ხარკი ჰინდოთა მეფისაგან; მუშკი ლიტრა ათასი, ამბარი ეგზომივე, ალვა ნავი ათი, თუალები იაკინთი და ზურმუხტი ნავი ერთი, და მის თანა საფირონი თჳთოსახე, ოქრო აქლემი ასი, ვეცხლი აქლემი ხუთასი.

და მუნით შევიდეს სინდეთს. მაშინ სინდთა მეფემან განყო ერი თჳსი ციხეთა და ქალაქთა შინა; და რომელსაცა კერძსა განვიდიან სპარსნი მტყუენავნი, გამოუჯდიან სინდნი ციხეთა და ქალაქთაგან და დასდვიან ცნება დიდი სპარსთა ზედა, და მოსწყდა ურიცხჳ ერი სპარსთაგანი. ხოლო ძალითა ქრისტესითა არასადა იძლივნეს ვახტანგის სპათაგანნი, და ყოვლადვე მძლედ გამოჩნდეს მტერთა ზედა, და მჯნედ მბრძოლად გამოჩნდეს ოთხნი იგი წარჩინებულნი ვახტანგისანი და ლეონ ბერძენი; რამეთუ მათ დასცნეს მრავალნი მჯნედ მებრძოლნი ბუმბერაზნი სინდთანი. ხოლო სინდთა მეფე იყო ქალაქსა შინა სინდიას. მაშინ ყოვლითა ძალითა მათითა მივიდეს სინდიას, და მუნ მოხუდეს ბრძოლანი ძლიერნი, და დღეთა ყოველთა გამოვიდეს თჳთ სინდთა მეფე, რამეთუ იყო იგი მჯნე გოლიათი და შემმართებელი, და გამოიტანნის მჯედარნი სინდეთისანი, და იყვის ბრძოლა ბუმბერაზთა; რომელსამე დღესა მათ სძლიან და რომელსამე მათ. და სინდთა მეფემან სძლო თავისთავითა ყოველთა ბუმბერაზთა მბრძოლთა მისთა, და არა მიხუდეს იგი და ვახტანგ ბრძოლასა შინა დღეთა მრავალთა.

მაშინ სინდთა მეფემან ველსა მას ზედა, კართა ქალაქისათა, ღამე თხარა მთხრებლი დიდი დასამალავად შიგა მჯედართა, და სიმარჯჳთ დაუტევნა გზანი გამოსავალნი, და ჩაადგინნა მუნ შინა მჯედარნი ათნი რჩეულნი. და დილასა ადრე გამოგზავნა ბუმბერაზი ერთი. და მას დღესა ხუედრი იყო ვახტანგისი კართა ცვისათჳს. და მიდგა ესე ბუმბერაზი და სთხოვა ბრძოლა თავისთავ, რათამცა წარიტყუა და შეჰჯადა მჯედართა მათ ზედა. მაშინ საურმაგ, ეჯიბი ვახტანგისი, განვიდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რქუა: „არა ხარ შენ კადნიერ ბრძოლად მეფისა, არამედ
ბრძოლო, მონა მონასა“, და მიეტევა. ხოლო სინდელი იგი
გაიქცა, და მისდევდა საურმაგ ჩვეულებისაებრ: რამეთუ მრა-
ვალგზის ბრძოლილ იყო ველსა მას ზედა. და ვითარ წარჯდა
დამალულთა მათ მჴედართა, გამოუჯდეს ზურგით მისსა და იგი
მეოტი შემოიქცა. ხოლო საურმაგ სცნა ჰოროლნი წინასა მას
და მოკლა, ხოლო ათთა მათ მოკლეს საურმაგ.

მაშინ მიეტევა თჳთ ვახტანგ მეფე და მის თანა სამნი იგი
წარჩინებულნი მისნი: არტავაზ, ბივრიტიან და ნასარ, და მათ
თანა ლეონ ბერძენი. ხოლო სინდელნი იგი ივლტოდეს, და
მისდევდა ვახტანგ მოყუსითურთ ვიდრე კართამდე ქალაქისა-
თა, და სინდნი იგი შეივლტოდეს ქალაქად. მაშინ ვახტანგ
სავსე მწუხარებითა შეიქცა, და იგლოვდა გუამსა ზედა საურ-
მაგისსა, ვითარცა ძმისა საყუარელისასა. რამეთუ თანაზრდილ
იყო მისი, ძმისწული მამამძუძისა მისისა, არტავაზის მამისა,
ერთგული, მისანდობელი და ქუელი.

მაშინ სინდთა მეფე გამოდგა კართა ქალაქისათა, და ჴმა ყო
ჴმითა მაღლითა, და რქუა: „ვახტანგ მეფეო, მსგავსი ხარ შენ
ყუავისა მის უგუნურისა, რომელმან პოვა ქორი მოწყლული
და გაგლეჯილი არწივისაგან, რომელსა ვერ ეძლო აფრენა და
მიახლოებულ იყო სიკვდილსა. და არა ქმნა ყუავმან მან ვი-
თარცა წესი არს ყუავისა. რამეთუ სხუამან ყუავმან ოდეს
იხილის ქორი, იწყის ჴმამაღლად-ყივილი, და ასმინის სხუათაცა,
და დაესხის სიმრავლე ყუავთა ქორსა, რათამცა განიოტეს სა-
ყოფელთაგან მისთა, და უშიშადმცა დაყვნეს დღენი მათნი,
რამეთუ პირუტყუთაცა იციან სარგებელი თავისა მათისა.

არა ქმნა ყუავმან ესევითარი, არამედ შეიწყალა ქორი იგი,
ვითარცა კეთილისმყოფელი მისი; დაუტევა ზრდა მართუეთა
თჳსთა, და მარადის უკრებნ მკალსა და გუელსა, რამეთუ
სხჳსა შეპყრობა არა ძალ-უც ყუავსა, და მით ზრდიდა ქორსა.
ვითარცა მოეზარდნეს ქორსა მას ფრთენი, თქუა გონებასა
თჳსსა: „ესერა დღეთა მრავალთა გაზრდილ ვარ მკალითა და
გუელითა, და არა მომცემია ძალი მამა-დედათა ჩემთა, რამე-
თუ მკალითა ვერ განვძლიერდები. თუმცა ძალ-მედგა მიწევნა
მფრინველთა და მით გამოზრდა თავისა ჩემისა, არამედ შევი-
პყრა ყუავი ესი, მზრდელი ჩემი, შევჭამო და განვისუენო ორ
დღე: მომეცეს ძალი და ვიწყო წესისაებრ ნადირობად, მამათა

ჩუენთაებრ". რომლისათჳსცა აღასრულა ესე, შეიპყრა ეკლესიანი
იგი და შეჭამა. მიერითგან იწყო ნადირობად დიდთა და მალე-
თა მფრინველთა. არა მიეცა ყუავსა მას ქება მოწყალებისა
მისთჳს, არამედ უგუნურად და თავისა მკვლელად ითქმის.
არცა მიეცა ქორსა მას ყუედრება უწყალოებისა და კეთილის-
უყსენებლობისა; რამეთუ იგი არს გუარი და წესი ქორისა: გა-
ნილეოდა და მოკუდებოდა მკალითა, და ქმნა წესისაებრ, და
განერა სიკუდილისაგან. ხოლო ყუავმან მან არა წესისაებრ
ქმნა, და მითცა მოკუდა.

აწ სპარსნი, რომელნი პირველთაგან მოაქამომდე და წაღ-
მართ მიუკუნისამდე მტერნი არიან ჯუარისმსახურთანი, ჟამსა
შინა, ულოსნოებით, ლიქნით ყვიან სიყუარული; და ოდეს ეცის
ჟამი, არა ყვიან წყალობა და კეთილის-ყსენება. ესე, ბევრის-
ბევრეულჯერ ქმნილი, გუასმიეს წიგნთაგან. და ოდეს იხილენ
სპარსნი ჩემ მიერ შეცნინებულნი, არა ჰყავ იგი, რომელი ჯერ
იყო შენდა საქმედ, სიხარული და მადლისა შეწირვა ღმრთისა
შენისა, და ზრახება სხუათაცა ნათესავთა, და მტერთა აღზრ-
ზენა სპარსთა ზედა, და შეწევნა მტერთა სპარსეთისათა. არა
ჰყავ ესევითარი, არამედ დაგიტეობიეს საყოფელი მამათა შენ-
თა, და წინამძღუარ ქმნილ ხარ სპასა დიდსა საქრისტიანოსა
საბერძნეთისასა, და მოგივლია ორისა წელიწდისა გზა, და
მოსრულ ხარ ძალად სპარსთა, რათამცა განძლიერდეს, და
მოიწყუნეს, და წარგწყმიდეს შენ და ქუეყანა შენი, და დაი-
პყრეს წარსაწყმედელად ყოველთა ჯუარისმსახურთა. ჰეშმარი-
ტად ამას იმზადებ თავისა შენისათჳს და ყოველთა ჯუარის-
მსახურთათჳს. რად ვთქუ მე შენთჳს ყუავისა იგავი? რამეთუ
მეფე ხარ თჳთმპყრობელი და ახოვანი, და ნებითა შენითა მი-
გიცემია თავი შენი მონად მტერთა შენთა. და ვითარ არა უგუ-
ნურად ვთქუა თავი შენი?"

მაშინ ვახტანგ რქუა: „გეგონა შენ, ვითარმედ სიბრძნით
გამონახულად იზრახე, არამედ ცრუ არიან სიტყუანი ეგე შენ-
ნი. მე გითხრა და გაუწყო ჰეშმარიტი: უგუნურო, მსგავს ხარ
შენ თაგჳსა მის მთხუნველისა, რომელსა არა ასხენ თვალნი, და
საყოფელი მისი არს მიწასა ქუეშე; და არა უწყის ბრწყინვა-
ლება მზისა და შუენიერება ველთა; და დაჯერებულ არს იგი
ცხოვრებასა თჳსსა. რამეთუ ეგეოდენი ჰგონიეს მას ცხოვრე-
ბა ყოველთა იძრვისთა, ვითარსა ცხოვრებასა თჳთ არს; და

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა სურვილ არს ხილვად ნათელსა და შუენიერებასა ცისა ანგელ ქუეყანისასა.

ეგრეთვე შენ ბრმა ხარ გონებისა თვალითა, და ყრუ ხარ გონებისა ყურითა: არა ხედავ, არცა გესმის, და არცა უწყი ცხოვრება სულიერი; და არცა სურვიელ ხარ შენ მისლვად ცხოვრებასა მას საუკუნოსა, ნათელსა მას დაუსრულებელსა, დიდებასა მას მოუგონებელსა და მიუწდომელსა. და არცა იცნობ შენ ღმერთსა შემოქმედსა ყოვლისასა, რომლისა მიერ შეიქმნა ყოველივე.

არ მიქმნია მოსვლა ამას ქუეყანასა დიდებისათჳს ამა სოფლისა, არცა მსახურებისათჳს სპარსთა მეფისა, არამედ მსახურებისათჳს ღმერთისა დაუსაბამოსა, სამებისა ერთარსებისა, დამბადებლისა ყოველთასა, დიდებისათჳს მერმისა საუკუნოსა დაუსრულებელისა. რამეთუ ჩემითა აქა მოსლვითა პირველად გამომიჴსნია იერუსალემი, წმიდა ქალაქი, სადა დადგეს ფერჴნი უფლისა ჩუენისა იესოს ქრისტესნი, და მუნ აღასრულა ყოველივე ჴსნისათჳს სულთა ჩუენთასა. და შემდგომად ყოველი საქრისტიანო დამიჴსნია მოოჴრებისაგან, რამეთუ მისცემოდა ჟამი სპარსთა მეფესა მოტყუენვად ყოვლისა საქრისტიანოსა.

დაღათუმცა ქუეყანა ჩემი დაცულ იყო ძალითა ქრისტესითა და სიმჴნითა სპათა ჩემთათა, არამედ უცალო იყვნეს ბერძენნი და ვერ წინაღუდგებოდეს. და ესრეთ ჴერ არს ჩუენ ქრისტეს მოსავთაგან, რათა ერთისა მოყუსისა ჩუენისათჳს დავდვათ სული ჩუენი. ხოლო ბევრისა-ბევრეული სული დაჴსნილ არს ჩემითა აქა მოსვლითა, და ამისთჳს მიქმნიეს ესე, რათა ღმერთმან დამბადებელმან შეიწიროს მსახურება ესე ჩემი, და აღმისუბუქნეს ცოდვანი ჩემნი. და რომელ სთქუ შენ, თუ „მოიწყონ რა სპარსთა, მტერ ექმნებიან ქრისტიანეთა“, მე ძალითა და შეწევნითა ქრისტესითა ჟამსა ამას დამიჴსნიან ქრისტიანენი ჭირისაგან დიდისა, და უკანას ღმერთმან დამბადებელმან წყალობა ყოს კუალად მოსავთა მისთა ზედა.

დაღათუმცა არა იყო მიზეზი ქრისტიანეთა ჴსნისა, და თჳთ ძალად სპარსთა მოსრულ ვიყავ აქა. ჴერ იყო ესეცა პირველად ნათესაობისათჳს და შემდგომად ამისთჳს, დაღაცათუ არა ჭეშმარიტსა სჴულსა ზედა არიან სპარსნი, არამედ მეცნიერნი არიან ღმრთისა დამბადებლისანი, და რწამს ცხოვრება

სულიერი. ხოლო თქუენ სრულიად უმეცარნი ხართ ღმრთისანი და უგულისხმო, ვითარცა ცხენი და ჯორი. ვითარ უკუეცარ-
ეროვნული
ბიბლიოთეკა
არამცა მსახურებად შეიწირა ღმერთმან დამბადებელმან ყოვლისამან.

და საწუთოსაცა ამის საქმეთაგან საძაგელ არს გონება შენი. რამეთუ ქორმან ღადარმან, რომელმან შეჭამა ყუავი იგი, მზრდელი მისი, აშენებ ნაქმარსა მისსა. ხოლო ბუნება ჩუენი ესე არს, რათა კეთილისმყოფელისა ჩუენისათჳს დავდვათ სული ჩუენი, და მოვიგოთ მადლი ღმრთისაგან, და ვპოვოთ ცხოვრება საუკუნო, და სოფელსა ამას მოვიგოთ ქება კაცთაგან. და სახელსა ზედა ღმრთისასა და მცნებათა მისთათჳს თუ მოვკუდეთ, უკუდავნივე ვართ, და სიკუდილისაგან ცხოვრებად მივიცვალებით".

მაშინ რქუა სინდთა მეფემან: „ცუდ არს სიგრძე ზრახვისა ჩუენ შორის, არამედ რომელ სთქუ შენ, თუ „სახელისათჳს ღმრთისა ჩემისა მოვკუდე, სიკუდილისაგან ცხოვრებად მივიცვალები", მაშა უკუეთუ კაცმან უწყოდის მის ზედა მომავალი დიდება და კეთილი, ჯერ არს ესრეთ, რათა ისწრაფოს მიმთხუევად სუფევისა მის. აწ უკუე ჭეშმარიტად უწყი სუფევად მისლვა შენი. გამოვედ ბრძოლად ჩემდა, რათა ჩემ მიერ მიიცვალო დღეს სიკუდილისაგან ცხოვრებად, რამეთუ წარჩინებული ესი შენი წარმოგივლენია წინამორბედად შენდა, რათა განგიმზადოს სადგური შენი".

რქუა ვახტანგ: „აწინდელი სიკუდილი არა მიჩნს სიხარულად, რამეთუ ცოდვილი ვარ, და არა სრულიად აღმისრულებია მცნება ღმრთისა, და არა სრულიად აღმიჴოციან ცოდვანი ჩემნი სინანულითა, არამედ ძალითა ქრისტესითა არა მეშინის მე შენგან სიკუდილისა; რამეთუ იგი არს მფარველი ჩემი, რომლისა მიერ დაცულ ვარ ყოვლადვე; და მრავალმოწყალემან ღმერთმან, მრავლითა ძალითა მის-მიერითა, ჩემ მონისა მისგან მოგკლას მგმობარი მისი, და სული შენი წარვიდეს ბნელსა მას გარესკნელსა, ცეცხლსა უშრეტსა".

მაშინ გამოვიდა სინდთა მეფე, და ვახტანგ რქუა მოყუასთა თჳსთა: „ღმერთსა ევედრენით, და ზურგით კერძი ჩემი განმიმაგრეთ". და განვიდა ვახტანგ, და ორთავე მათ აქუნდა ჰოროლები. მაშინ იწყეს რბევად მრგულივ ნავარდსა, და ღონესა ეძიებდეს ორნივე, რათამცა შეჰყვეს წუერსა ჰოროლისასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ დაიჟამა სინდთა მეფემან შეყოლა ვახტანგის ჰოროლნი-
წუერისა და შეუტევა, რათამცა სცნა ჰოროლნი. ხოლო სიმჯნე-
თა და სიკისკასითა ტანისა მისისათა მიუდრკა ვახტანგ ჰო-
როლსა და წარჯდა, და შემოუმრგლო ვითარცა გრიგალმან და
სცნა ჰოროლნი სინდთა მეფესა ბეჭსა მარცხენასა. ვერ უფარა
სიმაგრემან საჭურველისამან, და იწყლა წყლულებითა დიდი-
თა, რამეთუ წინათ განავლო წყრთა ერთი. და ჩამოიჭრა სინ-
დთა მეფე, და მივიდა ზედა ვახტანგ, ჩაჰყო ჯელი და უპყრა
ფერჯი მისი, და თრევით მიიღო წინაშე სპარსთა მეფისა.

მაშინ ყოველმან სპამან ჯმითა მაღლითა შეასხეს ქება ვახ-
ტანგს, და აღივსო სიხარულითა სპარსთა მეფე და ყოველი
ბანაკი მისი. და მოვიდოდეს ყოველნი წარჩინებულნი წინაშე
ვახტანგ მეფისა ძღუნითა, და შესწირვიდეს ძღუენსა. მაშინ
სპარსთა მეფემან მოიყვანა მკურნალი ჯელოვანი და დაადგინა
ზედა სინდთა მეფესა, რათა განიკურნოს წყლულებისაგან, და
მის მიერ წარიღოს ყოველი სინდეთი. ხოლო სინდთა დაიჭი-
რეს ნაცვლად მეფისა მათისა ძე მისი.

მაშინ მეფემან ვახტანგ აზრახა სპარსთა მეფესა განტევება
სინდთა მეფისა, აღება ხარკისა და მძევალთა, რამეთუ ვერ წა-
რიღებდეს სინდეთსა. არამედ სთნდა სპარსთა მეფესა განზრახ-
ვა ვახტანგისი: განუტევა სინდთა მეფე, აღიღო მისგან ხარკი
ორი ეგზომი, რომელი აეღო ჰინდოთაგან, და ორნი შვილნი
მძევლად. და ესე ხარკი სინდთა სპარსთა მეფემან ყოველი მია-
ნიჭა ვახტანგს.

მაშინ მეფე იგი სინდთა დაემოყურა ვახტანგს სიყუარული-
თა დიდითა: პირველად ამისთჳს, რომელ, ოდეს შევარდა ჯელ-
თა ვახტანგისთა, არა მოკლა და ცოცხლებით მიიყვანა წინაშე
სპარსთა მეფისა; და შემდგომად ამისთჳს, რამეთუ ვახტანგის
მიერვე განთავისუფლდა ტყუეობისაგან. და უძღუნა ვახტანგს
ძღუენი მიუწდომელად დიდძალი. და წარმოვიდეს სინდეთით
წელსა მეოთხესა სინდეთს შესლვისა, და დარჩომოდეს მოუ-
ოკრებელად ქალაქნი სინდეთისანი: სინდილა, თოფორი, კიმრაი.

და მოვიდეს მუნით აბაშეთს. ხოლო აბაშნი მსხდომარე
იყვნეს ქუეყანასა, რომელსა მოსდგმიდა წყალი და ლერწმოვა-
ნი, რომელსა ვერ იარებოდა ნავი, და ვერცა ოთხფერჯი, არა-
მედ საზღვართა ზედა არს სპარსთასა, და სულგრძელად
ჰბრძოდეს. რამეთუ წყალი იგი რომელ შესდიოდა, გარდაუგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს, და ლერწმოანი იგი დაწუეს ცეცხლითა, და წარმოტყუენეს აბაშეთი ყოველი. და განყვნა მეფემან სპარსთამან აბაშნი ორად: და ნახევარნი დაუტევნა ადგილსავე ზედა, და ნახევარნი წარმოიყვანნა ვითარ სახლი ათასი, და განყვნა იგინი ადგილითი ადგილად. და ესე არიან ქურდნი, ნათესავნი იგი რომელ წარმოტყუენნა აბაშთაგან.

და წარმოვიდა ვახტანგ წელსა მერვესა შესლვით მისითგან სპარსეთად ვიდრე ანტიოქიამდე, და მოვიდა ურაჰად. ხოლო სპარსთა მეფე აძლევდა ვახტანგს ცოლად თჳსთაგან მეფეთასა. ხოლო ვახტანგ რქუა: „არა ჯერ არს ჩემგან ორთა ცოლთა პყრობა, რამეთუ მიცის მე ცოლი ასული კეისრისა". დაუმძიმდა ესე მეფესა ხუასროს, არამედ ვერარა რქუა, ხოლო ვახტანგ მშჳდობით პოვნა დედა და დაჲ მისი, და წარმოვიდეს ვიდრე განსაყოფელსა ბერძენთა და სომეხთასა.

და წარვიდა ლეონ ბერძენი და სპა მისი შიმშატად. ხოლო ვახტანგ წარავლინა მოციქული წარმოყვანებად ცოლისა მისისა, და პეტრეესთჳს კათალიკოსისა და სამოელ ეპისკოპოსისა. წარმოვიდა ვახტანგ ქართლად, და მიეგება ძე მისი დაჩი და მის თანა ყოველნი სპასალარნი, და მათ თანა ეპისკოპოსნი. და ვითარცა ცნა ეპისკოპოსმან, ვითარმედ წარავლინა მეფემან მოციქული მოყვანებად კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა, დაუმძიმდა მას ზედა. და იწყო რეცა ამბოხებად და მიზეზობად, და მიუვლინა მეფესა და რქუა, ვითარმედ: „შენ დაგიტეობია ქრისტე და ცეცხლსა ესავ". ხოლო ვახტანგ მოუვლინა, ვითარმედ: „ძალითა ქრისტესითა შევედ და სიმართლით გამოვედ ძალითავე ქრისტესითა, და უბრალო ვარ, ღმერთმან იცის! მაგრა წარმივლენია მოციქული მოყვანებად კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა".

და ვითარცა ესმა ესე ეპისკოპოსსა, დაიდასტურა; და ჰგოწებდა, რათა შფოთითა დააცადოს საქმე იგი მოსლვა მათი, და ყრულ-ყო მეფე და ყოველნი სპანი მისნი. ხოლო მეფემან თქუა: „დალაცათუ უბრალო ვართ, სიმდაბლე ჯერ არს ჩუენგან". და მივიდა მეფე, და გარდაჴდა საჴედარსა, რათამცა შეუმთხჳა ფერჴთა ეპისკოპოსისათა. და განძრა მან ფერჴი, და მიამთხჳა პირსა მეფისასა ფანდაკითა და შემუსრა კბილი მისი. ხოლო მეფემან თქუა: „სილაღე ესე ამპარტავნებისა არს საცთური ეშმაკისა; უკუეთუ სიმრავლემან ცოდვათა ჩემთამან

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღგძრა, არა გაქუს ჴელმწიფება ბოროტისა, არამედ შენდობისა, ვითარცა იტყჳს სახარება, ვითარმედ: „არა დაშრიტო პატრუკი მგზნებარე, არცა განსტეხო ლერწამი დაჩეჩქჳლი“. ხოლო შენ ჰგონებ ვითარმცა შენითა სივერაგითა ჩუენ დაგუაცადენ სიყუარულსა ქრისტესსა. მაშინ გამოჩნდა ცხადად, რაჟამს გესმა უმთავრესისა შენისა ქართლად მოყვანება, და აღეგზენ შურითა ბოროტად, ვითარცა იუდა პეტრესითა; რამეთუ შენ ხარ ვითარცა იუდა, ხოლო ეკლესია ვითარცა პეტრე. ვერცხლისმოყუარე ხარ შენ, რამეთუ შენცა მეგუადრუცე ხარ ქრისტესი. აწ მიგავლინო შენ პატრიაქისა კონსტანტინეპოლეად და, ვითარცა ჯერ-იყოს, განგიკითხოს“.

და წარსცა იგი დიასპანთა, და მის თანა კბილი მისი, და შეუთუალა, რათა კათალიკოსი და თორმეტნი ეპისკოპოსნი სწრაფით წარმოავლინენ. და მათ შორისმცა არს პეტრე კათალიკოსად და სამოელ ეპისკოპოსად, და სხუანი ვინცა სთნდენ. და ვითარცა მიაწიეს მიქელ ეპისკოპოსი, რქუა მას პატრიაქმან: „ვინათგან დაითხია სისხლი შენ მიერ ქუეყანასა ზედა, არღარა ღირს ხარ შენ ეპისკოპოსად, და კადრებისათჳს მეფისა თანაგაც შენ სიკუდილი, ვითარცა იტყჳს: „დაემორჩილენით თქუენ მეფეთა, რამეთუ არა ცუდად ჯრმალ აბიეს, რამეთუ ღმრთისა მიერ მთავრობს, ვითარცა ლომი შორის ცხოვართა“. და ექსორია-ყვეს მიქელ ეპისკოპოსი მონასტერსა მღჳმარეთასა.

და წარავლინეს პეტრე მღდელი და სამოელ მონაზონ ანტიოქიას. და მიუწერეს ანტიოქიისა პატრიაქსა მეფემან და პატრიაქმან კოსტანტინეპოლელმან ესრეთ, ვითარმედ: „პირველად, დასაბამსა ქართლის მოქცევისასა დედაკაცისა ჰრომაელისა ნინოს მიერ, განივლინა აქათ ეპისკოპოსი, რამეთუ შორის სპარსთა და ბერძენთა შფოთი იყო, და მით ვერ მოაწიეს საქმე ესე ჯერისაებრ სჯულისა: რამეთუ ჩუენ უწყით, ვითარმედ ქართლი და აღმოსავლეთი და ჩრდილო მაგის წმიდისა საყდრისანი არიან, ვითარცა განაწესეს მოციქულთა სახარებასა შინა, რომელ არს უწინარესობა“. და მიუწერეს ყოველი საქმე დიდისა ვახტანგ მეფისა, ვითარმედ: „ეპისკოპოსი იგი, რომელი მათ მიერ დადგინებულ იყო, უკუვადგინეთ, და დღეს იცოდეთ ახალნერგად ჭეშმარიტად ქართლი. აწ ორნი ესე მათნი თხოილნი აკურთხენ, სხუანი თორმეტნი, ვინცავინ შენ გე-

ნებოს, იგინი აკურთხენ. და ჩუენდა წარმოვიდენ, რათა ეკლესიანი ნიჭითა და საკმრითა ყოვლითა განუტევნეთ". და ანტიოქელმან პატრიაქმან აკურთხნა თორმეტნი ეპისკოპოსნი და პეტრე კათალიკოსად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოვიდეს კოსტანტინეპოლედ, და მეფემან მისცა ნიჭი დიდძალი, და ასული თჳსი მისცა, სახელით ელენე, მეფესა ვახტანგს, და გამოავლინა იგი სპითა დიდითა ვიდრე საზღვარამდე სომხითისათა. და მიეგება ვახტანგ მეფე, და შეიქცეს სპანი ბერძენთანი. და წარმოვიდეს მცხეთად.

ხოლო მცხეთას მეფემან ვახტანგ აღაშენა ეკლესია მოციქულთა სუეტი ცხოველი, და უპყრა სუეტსა შინა სამხრით ადგილსა მას, სადა-იგი დაცემულ იყო ეკლესია, რომელ არს სიონი დიდი. და მუნ შინა დასუეს პეტრე კათალიკოსად და სამოელ ეპისკოპოსად მცხეთასავე საეპისკოპოსოსა.

და დასუა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა ა ხ ი ზ ი ს ა ს ა; ერთი ა რ ტ ა ნ ს ერუშეთს; ერთი ჯავახეთს, წ უ ნ დ ა ს; ერთი მ ა ნ გ ლ ი ს ს; ერთი ბ ო ლ ნ ი ს ს; ერთი რ უ ს თ ა ვ ს; ერთი ნ ი ნ ო წ მ ი დ ა ს, უჯარმისკარსა, რომელი გორგასალსა აღეშენა; ერთი ჭ ე რ ე მ ს, მისსავე აღშენებულსა, და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელი-იგი მანვე აღაშენა; ერთი ჩ ე ლ ე თ ს, რომელი სოფელსა შუა აღაშენა; ერთი ხ ო რ ნ ა ბ უ ჯ ს და ერთი ა გ ა რ ა კ ს, რომელ არს ხუნანს გამართებით.

შემდგომად მისსა აღაშენა ეკლესია ნიქოზისა საგზებელსა თანა ცეცხლისასა და დასუა ეპისკოპოსი, სადა-იგი ეფლა გუამი წმიდისა რაჟდენისი, რომელი იწამა სპარსთა მიერ წყობასა ვახტანგისსა.

ესე რაჟდენ იყო მამამძუძე ვახტანგის ცოლისა, რომელი-იგი პირველ მოეყვანა სპარსთა მეფისა ასული; და მოიქცა იგი ქრისტიანედ, და იქმნა იგი დიდად მორწმუნე; და იყო იგი ბრძოლასა მას შინა ძლიერ, შეიპყრეს იგი სპარსთა და აიძულებდეს, რათამცა უარ-ყო ქრისტე. ხოლო მან წმიდამან აღირჩია წარუვალი იგი დიდება და იწამა ქრისტესთჳს.

და ესხნეს ვახტანგს ბერძნისა ცოლისაგან სამ ძე და ორ ასულ. ხოლო ძესა მისსა პირმშოსა პირველისა ცოლისასა, დაჩის, მისცა ქალაქი ჭერემისა და ნეკრესისა, და ქალაქი კამბეჩოვანისა, რომელ არს ხორნაბუჯი; და ყოველი ქუეყანა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მტკუარსა ალმოსავლით. და თჳთ ვახტანგ დაჯდა უჯარმოს, და ალაშენა იგი ნაშენებითა უზომოთა. და დაჲ მისი ხუარამზე მისცა ბაკურს ცოლად, პატიახშსა სომხითისასა.

და ვითარცა წარჯდეს ამას შინა ჟამნი რაოდენნიმე, მოკუდა ხუასრო, მეფე სპარსთა, და დაჯდა მის წილ ძე მისი ხუასრო. და განძლიერებულ იყვნენ სპარსნი, რამეთუ ყოველნი მტერნი მათნი დაემორჩილნეს შესლვითა ვახტანგისითა, და წარმოემართა იგი ბრძოლად ბერძენთა, და მოუვლინა გორგასალსა მოციქული და რქუა: „მოკუდა მამაჩემი, და მეფე-მყო, მე ყოველმან ერმან მისმან საყდართა მისთა ზედა. და ესრეთ მიბრძანეს მოხუცებულთა ჩემთა, რათა მივიდე წინაშე შენსა და ვერჩდე ბრძანებასა შენსა, და შენ წარმიძღუე ჩუენ, მეფეო, წინამძღურად ჩვენდა შესლვასა ამას ჩუენსა საბერძნეთად. და მომეც ასული შენი ცოლად, რათა ვიყო მე ვითარცა ერთი შვილი შენთაგანი". და ვითარცა მოვიდა მოციქული წინაშე ვახტანგ მეფისა, და ვახტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისისასა და საფუძველი ოდენ დაედვა.

და ვითარცა უთხრა მოციქულმან შეთუალილობა ხუასრო მეფისა, თქუა მეფემან: „ამისთჳს თქჳენ: მჭედელო, გამახუე მახჳლი შენი, რათა მსწრაფლ განეწონოს ასოთა შენთა". მაშინ ვახტანგ დღეთა მიწევნულ იყო ვითარ სამოცისა წლისა და თქუა ესრეთ: „უთხართ მეფესა ხუასროს: პირველად განემზადე ბრძოლად ჩუენდა, და ეგრე შევედ საბერძნეთად, რამეთუ ძალნი, რომელნი იქმნნეს, ყოველნი ძალითა ჯუარისათა იქმნნეს. აწ ცხოვრება ჩუენი იყავნ სასოებითა ჯუარცმულისათა".

და წარავლინა ქადაგი, რათა დაუტეონ სოფლები და ქალაქები, რომელი იყო არაძლიერი, და შეივლტოდიან კავკასიანთა და კახეთად, რამეთუ კახეთი ტყე იყო და შეუვალი მტერისა მიერ. ხოლო დაჩი მეფე და დისწული მისი გარდავიდეს კახეთად, და შედგეს ჴევსა ლოპოტისასა, ქუეყანასა მას კლდითა მოზღუდვილსა და იყვნეს სოფლისა მის კაცნი ცეცხლისა და წყლის მსახურ, და სავსე იყო ჴევი იგი სიმრავლითა კაცთათა ვიდრე ნოსრამდე, ხოლო გორგასალისა ცოლი და შვილნი — უჯარმისჴევსა. და წინასა ციხესა თჳთ შედგა, და მის თანა ჯუანშერ და ადარნასე. ხოლო მცხეთას დემეტრე და ნერსე და ბივრიტიანი დაუტევა, წარავლინა მოციქული და მიუმცნო კეისარსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოვიდა ხუასრო მეფე და შემუსრნა ქალაქი კამბეჩოანი, და ჭერმისა ციხე, და ველისციხე. და ვითარცა მოიწივნეს კა-ხეთად, დაიბანაკეს იორსა ზედა. ხოლო სპანი ვახტანგისნი დადგეს ველსა ზედა, გარემოს ციხე-ქალაქსა, სადა ჰქუან დარ-ფაკა. და შეიბნეს იორსა ზედა, და სამ დღე ყოველთა დღეთა იბრძოდეს, და დაეცემოდა ორთავე სპათაგან ურიცხვ. მაშინ ვახტანგ მოუწოდა პეტრე კათალიკოსსა და რქუა: „უწყოდე, რამეთუ არა ხარკისა მიცემისათუს გუბრძვანან, არამედ ქრის-ტეს დატეობისათუს. აწ მე ესე განმიზრახავს, რამეთუ ცხოვ-რებასა ჩემსა სიკუდილი უმჯობეს არს სახელსა ზედა ქრის-ტესსა, რათა სასუფეველი გუაქუნდეს, აღთქმული მათ თანა, რომელთა ეტყუს: „რომელმან წარიწყმიდოს თავი თუსი ჩემ-თუს, მან პოოს იგი“.

რქუა მას პეტრე კათალიკოსმან: „გიხილვან საქმენი, რო-მელნი არავინ ნათესავთა შენთაგანმან იხილნა, შეწევნანი ქრისტესმიერნი. რამეთუ უწყის სიბრძნემან შენმან, ვითარმედ მტერი იგი გამომცდელი ჩუენი აცილობს ღმერთსა ჩუენთუს ვითარცა იობისთუს; რამეთუ ღმერთი მიუშუებს მოძულებულ-თა მათ თუსთა წარწყმედად, ხოლო შეყუარებულთა თუსთა განმრთობად. იყავ შენ, ვითარცა გაზრახოს ღმერთმან, დაღა-ცათუ არა მოჰკუდეთ, მოვკუდეთ“. და ამით სიტყუთა ამხილა, ვითარმედ წყობასა მას არა დარჩეს, და რქუა: „არა-ხოლო-თუ ქართლი მიეცეს განსარყუნელად, არამედ იერუსალემიცა, რო-მელ არს მშობელი ყოველთა შვილთა ნათლისათა“.

და რქუა მეფემან: „დადეგ ეკლესიასა შინა რაჟდენ წმიდი-სასა, რომელი რაბატსა შინა უჯარმოსასა აღმიშენებიეს; და ვეჭუ, ვითარმედ ყოველნი ქალაქნი გარემოს უჯარმოსა იძლივ-ნენ, რამეთუ მტკიცენი და ძლიერნი ზღუდენი აქა დავსხენით“. და ყო ეგრე კათალიკოსმან. ხოლო ეპისკოპოსნი ყოველნი წმიდანი მუნ შეკრბეს.

და იყო ლაშქარი ვახტანგისი ორასორმოცი ათასი, ხოლო სპარსთა — შვდასორმოცი ათასი. და განყო ვახტანგ ლაშქარი მისი სამად: და კლდით კერძო მოავლინა ქუეითი; და ერთ კერძო მოავლინნა პატიახშნი და სპასპეტი; და სადათ სპარსთა მეფე იყო, მუნით თუთ მივიდა ვახტანგ ვითარ ასი ათასითა სპითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამესა ნისლისაგან განცისკრებულსა ოდენ დაესხა ვახ-
ტანგ სპარსთა ზედა და რქუა ყოველსა ერსა მისსა: „ყოველი
კაცი, რომელი დარჩეს სიკუდილისაგან და მტერთა ჩუენთაგა-
ნისა თავი ანუ ჴელი არა გამოიტანოს, ჩუენ მიერ მოკუედინ
იგი“. და ცისკარი რა აღელებოდა, დაესხა და შევლო ვიდრე
პალატამდე მეფისა. შევიდა კარავსა შინა მეფისასა და მეფე
შეესწრა ცხენსა ზედა, და ძე მისი ბარტამ მოკლა და მოჰკუე-
თა თავი მისი. და მუნ შინა სპარსმან ვინმე სცა ისარი მკერდსა
ვახტანგისსა, და იყო ბრძოლა ვიდრე შუადღემდე. სძლო ვახ-
ტანგ სპარსთა მათ, და მოკლა მათგანი ვითარ ასოცდაათი
ათასი, ხოლო სპათაგან ვახტანგისთა მოკუდა ვითარ ოცდარვა
ათასი. და წარმოიღეს ნატყუენავი ცხენი ვითარ ასი ათასი, და
სრულიად ვერ იოტნეს სიმრავლისაგან. და აიყარა მუნით
სპარსთა მეფე, და ჩადგა რუსთავს. და დამძიმდა წყლულება
ვახტანგისი, რამეთუ შეწეულ იყო ისარი ფირტუად. და წარ-
ვიდა უჯარმოს, და უბრძანა სპასალართა ქართლისათა, რათა
ადგილსავე დადგენ.

ცნეს სპარსთა, რამეთუ დამძიმდა ვახტანგ წყლულებისა-
გან, მოაოჯრეს ტფილისი და არმაზი ქართლი, ხოლო მცხეთა
ვერ დაიპყრეს, გარნა რომელი ზღუდესა გარეგნით იყო, მოა-
ოჯრეს, რომელი-იგი მუხნარით და არაგუსა ხერთვისსა იყო.

ხოლო ბერძენთა მეფე, სიმამრი ვახტანგისი, მოკუდა და
დაჯდა მეფედ ზენონ, ძე მისი. და გამოვიდა სპერად, გამოს-
ლვად ქართლს. და ვითარცა ცნა სიმძიმე ვახტანგისი, დაადგრა
კარნუ-ქალაქსა. და მივიდა მუნ ხუასრო, და შეიბნეს ხუასრო
და კეისარი კარნიფორას. და დაიჴოცა ორთაგანვე სპათა,
რომელ იქმნა სისხლისა მდინარე; და მის მიერ ეწოდა ადგილ-
სა მას კარნიფორა, რეცა სისხლისა მუცელი. და ვერ სძლეს
ერთმანერთსა, რამეთუ სპანი ორთანივე დაიჴოცნეს, და შეიქ-
ცა ხუასრო გზასა ქართლისასა.

ხოლო ვახტანგ შეიტყო სიკუდილი თავისა თჳსისა, და მო-
უწოდა კათალიკოსსა, და ცოლსა თჳსსა, და ძეთა და ყოველთა
წარჩინებულთა, და თქუა: „მე ესერა წარვალ წინაშე ღმრთისა
ჩემისა, და ვმადლობ სახელსა მისსა, რამეთუ არა დამაკლო
გამორჩეულთა წმიდათა მისთა. აწ ვამცნებ თქუენ, რათა მტკი-
ცედ სარწმუნოებასა ზედა სდგეთ და ეძიებდეთ ქრისტესოჳს

სიკუდილსა სახელსა მისსა ზედა, რათა წარუვალი
მოიგოთ".

და რქუა ყოველთა წარჩინებულთა: „თქუენ, მკვდრნო ქართლისანო, მოიკსენენით კეთილნი ჩემნი; რამეთუ პირველად სახლისა ჩემისა მიერ მიიღეთ ნათელი საუკუნო, და მე პორციელებრითა დიდებითა გადიდენ თქუენ. ნათესავთა ჩემთა და სახლსა ჩუენსა ნუ შეურაცხ-ჰყოფთ, და სიყუარულსა ბერძენთასა ნუ დაუტეობთ".

და რქუა ძესა თჳსსა დაჩის: „შენ ხარ პირმშო შვილი ჩემი, შენდა მიმიცემია გჳრგჳნი მეფობისა ჩემისა, და ნაწილად ძმათა შენთა მიმიცემია ტასისკარითგან და წუნდითგან ვიდრე სომხითამდე და საბერძნეთამდე, საზღვარი აფხაზეთისა, რომელი მოცემულ არს ეგრისწყალსა და კლისურასა შუა, იგი თჳთ ძმათა შენთა დედისა არს, იგი აქუნდეს მათ, და იყვნენ შენდა ერისთავად მორჩილებასა ქუეშე ნათესავისა შენისასა".

და მოუწოდა ნასარს, ერისთავსა წუნდისასა, და არტავაზს, ერისთავსა კლარჯეთისასა, და ბივრიტიანს, ერისთავსა ოძრჯისასა, და მათ მიათუალა ცოლი თჳსი ელენე და შვილნი მისნი, რომელთა ერქუა ლეონ და მირდატ, და შეავედრნა მათ სამივე ერისთავთა ცრემლითა და შეხედვებითა ღმრთისათა.

მაშინ წარჩინებულთა და ყოველსა ერსა ზედა დღე იყო სასჯელისა, და იტყებდეს ყოველნი თავთა თჳსთა, ისხმიდეს ნაცარსა, და ყოველნი ინატრებდეს სიკუდილსა თავისა თჳსისასა; და ჴმისაგან ტირილისა და გოდებისა იძრვოდა ქუეყანა; და მორწმუნე ერი ჰნატრიდა მეფესა, რამეთუ ქრისტესთჳს მოიკლა. და მოკუდა ვახტანგ, და დაეფლა მცხეთას, საკათალიკოსოსა ეკლესიასა შინა სუეტსა თანა, რომელსა შინა არს ღმრთივ-აღმართებულისა სუეტისაგან დაპყრობით.

[2. ვახტანგის შემდგომი მეფენი ქართლისა]

და დაჯდა საყდარსა მისსა ძე მისი დაჩი. ხოლო ცოლი და ორნი ძენი ვახტანგისნი წარიყვანნეს სამთა მათ ერისთავთა, და დაიპყრეს დასავლეთი ქართლისა, რომელი მისცა ვახტანგ. და დასხდეს წუნდას ქალაქსა ზაფხულის, და ზამთრის იყვნიან ოძრჯეს. და არა ეწოდა მათ მეფედ, არამედ ერისთავთა მთავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად, და იყვნეს მორჩილებასა ძმისა მათისა დაჩი მეფისასა.

ხოლო ამან დაჩი მეფემან იწყო შენებად ქართლისა, რამეთუ მოოჯრებულ იყვნეს ყოველნი ჯვნი ქართლისანი, თჳნიერ კახეთისა და კლარჯეთისა და ეგრისისა. და განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი, და, ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეუფოდ.

და მოკუდა პეტრე კათალიკოსი და დაჯდა სამოელ და მეფემან მას მიათუალა მცხეთა, რამეთუ ეგრე ებრძანა მეფესა ვახტანგს. ამანვე მეფემან დაჩი დაჰპატიჟა მთეულთა კახეთისათა, რათა აღიარონ ქრისტე, ხოლო მათ არა ინებეს, და განდგეს ყოველნი ნოპატელნი.

ხოლო ორთავე მათგან ძეთა ვახტანგისთა, ნაშობთა ბერძნისა ცოლისათა, მოკუდა რომელსა ერქუა ლეონ, და დარჩა მირდატ ოდენ. ამას მირდატს დაევაჭრა ძმა მისი დაჩი: მეფემან გაუცვალა ქუეყანა, და აღიღო მირდატისგან ეგრისწყალსა და კლისურას შუა, მირდატის დედული საზღვარი საბერძნეთისა, და მისცა ნაცვლად ჯავახეთი ფარავნითგან მტკურამდე. დაიპყრა მირდატ, ძემან ვახტანგისმან, ფარავნითგან და ტასისკარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა, და ერისთავობდა მუნ; და იყო მორჩილ დაჩი მეფისა, ძმისა თჳსისა. ამან აღაშენა ჯავახეთს ეკლესია წყაროსთავისა. და მოკუდა დაჩი მეფე.

და დაჯდა მეფედ ძე მისი ბაკურ. და მოკუდა ბაკურ.

და დაჯდა მეფედ ძე მისი ფარსმან. და მოკუდა კათალიკოსი სამოელ, და დაჯდა კათალიკოსად თავფეჩაგ. და მოკუდა თავფეჩაგ. და დაჯდა კათალიკოსად ჩერმაგ.

და ვახტანგისითგან მოაქამომდე ესე მეფენი მშჳდობით იყვნეს, და შვილნი მირდატისნი ჰმონებდეს შვილთა დაჩისთა.

ამის ფარსმანის მეფობასა მოვიდეს სპარსნი, მოაოჯრეს ქართლი და რანი. ხოლო ფარსმან, მეფემან ქართველთამან, ითხოვა სპარსთ მეფისაგან, რათა არა მოაოჯრნეს ეკლესიანი და იპყრას ქართლი სჯულისა ზედა ქრისტესსა. რამეთუ მას ჟამსა ბერძენნი უცალო იყვნეს: დასავლით მტერნი აღდგომილ იყვნეს, და ვერ შემძლებელ იყვნეს შეწევნად ქართველთა და წინააღდგომად სპარსთა. მაშინ სპარსთა მეფემან ისმინა ვედრება მისი და დაიცვნა ეკლესიანი. და ფარსმან დაუწერა მას მორჩილება და მსახურება, და წარვიდა სპარსთა მეფე.

მიერითგან განიყვნეს ნათესავნი ვახტანგ მეფისანი. რამე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუ შვილნი დაჩისანი ჰმსახურებდეს სპარსთა, ხოლო შვილნი ძირიდატისნი დაადგრეს მოორჩილეთასა ბერძენთასა.

მოკუდა ფარსმან და დაჯდა მეფედ ძმისწული მისი, რომელსა ერქუა ფარსმანვე.

და იყო იგი მორწმუნე ვითარცა მამისძმა მისი, და ჰმატა ყოველთა ეკლესიათა შემკობა.

და მოკუდა კათალიკოსი ჩერმაგ, და ამანვე ფარსმან მეფემან დასუა საბა. აქათგან არღარა მოიყვანებდეს კათალიკოსსა საბერძნეთით, არამედ ქართველნი დასხდებოდეს, წარჩინებულთა ნათესავნი. და მოკუდა კათალიკოსი საბა, და მანვე მეფემან დასუა კათალიკოსად ევლავიოზ.

მისვე ფარსმანის ზე მოვიდა იოვანე შუამდინარით, რომელსა ეწოდა ზედაზადნელი, განმანათლებელი ქართლისა და განმწმედელი სჯულისა, მაშენებელი ეკლესიათა, რომელმან ქმნა სასწაულები და ნიშები მრავალი, მან და მოწაფეთა მისთა, რომელთა განაკჯრვნეს ყოველნი ქართველნი. დაიწერა ცხოვრება და სასწაულნი მათნი და დაისხნეს ეკლესიათა შინა ქართლისათა.

და მეფობითგან მირიან მეფისათა ვიდრე მეორისა ფარსმანისა გარდაჯდეს წელნი ორასორმოცდაათნი. და მეფენი გარდაიცვალნეს ი̄დ. და ვახტანგისითგან კათალიკოსნი გარდაიცვალნეს რვანი და მოკუდა ფარსმან, და დაჯდა მეფედ ძე მისი ბაკურ.

ესე ბაკურ იყო მორწმუნე და მაშენებელი ეკლესიათა. ამან განამრავლნა ეკლესიანი და მღდელნი სამეფოსა შინა თჳსსა. და განწმიდა ქართლი ყოვლისა ურწმუნოებისაგან.

და მოკუდა კათალიკოსი ევლავიოზ, და მანვე მეფემან დასუა კათალიკოსი მაკარი.

ამასვე ჟამსა მეფობდა სპარსეთს, რომელსა ერქუა ურმიზდ.

და მასვე ჟამსა იყო სომხითს კაცი ერთი, შვილი მთავართა, სახელით ვასქენ. და ესუა მას ცოლი, მთავართა შვილი, რომელსა ერქუა შუშანიკ, ასული ვარდანისი. ხოლო ამას ვასქენს ეუფლა ეშმაკი და განიზრახა მიქცევა ცეცხლისმსახურებად: წარვიდა წინაშე სპარსთა მეფისა, და დაუტევა სჯული ქრისტესი, და იქმნა ცეცხლისმსახურ. ხოლო სპარსთა მეფემან წარმოგზავნა იგი ნიჭითა დიდითა ერისთავად რანისა. ვითარ მოვიდა და ცნა ცოლმან მისმან შუშანიკ ქმრისა მისისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან დატევება ქრისტეს სჯულისა, არღარა ერჩდა იგი ცოლ-ბად. და დაივიწყა საყვარული ქმრისა თვსისა, და ყოველ-გულითა შეუდგა იგი ქრისტესა აღსრულებად მცნებათა მისთა.

მაშინ ვასქენ შეუდგა მრავალღონედ, პირველად ლიქნითა და ვედრებითა, და ნიჭისა მიცემითა; შემდგომად შეაგდო სატანჯველთა შინა დიდთა, რომელ სიგრძისაგან ვერ დავწერენ ღუაწლნი წმიდისა შუშანიკისნი. და მოკლა იგი ქმარმან მისმან ვასქენ, ერისთავმან რანისამან.

მაშინ ბაკურ, მეფემან ქართველთამან, მოუწოდა ყოველთა ერისთავთა მისთა, და შემოკრიბნა ლაშქარნი ფარულად, და წარემართა ვასქენს ზედა პარვით. რამეთუ ვასქენ ველსა გარე დგა კიდესა მტკურისასა, სადა მიერთვის მდინარე ანაკერტისა მტკუარსა, დაესხა და შეიპყრა ვასქენ. დაჭრეს წურილად და ასონი მისნი დამოჰკიდეს ხესა. ხოლო გუამი წმიდისა შუშანიკისი წარმოიღეს დიდითა პატივითა, და დაფლეს ცორტავს.

ამან ბაკურ მეფემან წარგზავნა მოციქული წინაშე სპარსთა მეფისა, აუწყა ესე ყოველი, და ითხოვა მისგან შენდობა. მაშინ სპარსთა მეფემან განიზრახა გონებასა თვსსა, და თქუა: „უკუეთუ შევრისხნე ქართველთა, განერთნენ იგინი ბერძენთა". და შენდობა აღირჩია: გამოგზავნა მოციქული ბაკურისი პასუხითა კეთილითა; რამეთუ ყოველი გმობა და ბრალობა ვასქენ მოკლულისა უბრძანა, და ამართლა ბაკურ სიკუდილსა მისსა. და წარმოგზავნა რანს და მოვაკანს სხუა ერისთავი, რომელსა ერქუა დარელ. და უბრძანა, რათა კეთილად მეგობრობდეს ქართველთა

და მოკუდა კათალიკოსი მაკარი, და მანვე მეფემან დასუა სჯმონ კათალიკოსად, და მოკუდა ბაკურ, და დარჩეს შვილნი მისნი წურილნი, რომელნი ვერ იპყრობდეს მეფობასა.

მაშინ მეფემან სპარსთამან ურმიზდ მისცა ძესა თვსსა რანი და მოვაკანი, რომელსა ერქუა ქასრე ამბარვეზი. მოვიდა და დაჯდა ბარდავს, და უწყო ზრახვად ერისთავთა ქართლისათა: აღუთქუა კეთილი დიდი, და დაუწერა საერისთავოთა მათთა მამულობა შვილითი შვილამდე, ად ესრეთ წარიბირნა ლიქნითა და განდგეს ერისთავნი და თვსთვსად ხარკსა მისცემდეს ქასრე ამბარვეზსა.

და შვილნი ბაკურისნი დარჩეს მთეულეთს კახეთისასა; და ნათესავნი მირდასტისნი, ვახტანგის ძისანი, რომელნი მთავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობდეს კლარჯეთს და ჯავახეთს, იგინი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა. სხუა ყოველი ქართლი, სომხითი და ასფურაგანი დაიპყრეს სპარსთა და ჰბრძოდეს ბერძენთა.

შემდგომად ამისსა მცირედთა წელთა იქმნნეს შფოთნი დიდნი სპარსეთს შინა, რამეთუ შევიდა თურქთა მეფე სპარსეთს შინა; მოვიდეს ბერძენნი, ეწყუნეს სპარსთა შუამდინარესა, აოტნეს და შევიდეს სპარსეთს, და იწყეს ტყუევნად სპარსეთისა. მაშინ ქასრე ამბარვეზმან დაუტევა რანი და ქართლი, და წარვიდა შუელად მამისა თჳსისა.

ესრეთ რა უცალო იქმნეს სპარსნი, მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქუემონი, და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა, და ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა და რათა იყვნენ ერისთავნი იგი თჳს-თჳსსა საერისთავოსა შეუცვალებელად.

მაშინ კეისარმან აღასრულა თხოვა მათი, და მოსცა მეფედ ძისწული მირდატისი, ვახტანგის ძისა, ბერძნის ცოლისაგან, რომელსა ერქუა გუარამ, რომელი მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს.

ამას გუარამს მოსცა კეისარმან კურაპალატობა, და წარმოგზავნა მცხეთას.

და შვილნი ბაკურ მეფისანი, ნათესავნი დაჩისნი, ვახტანგის ძისანი, რომლისაღა მიეცა მეფობა ვახტანგ მეფესა, იგინი დარჩეს კახეთს. და დაიპყრეს კუხეთი და ჰერეთი იორითგან, და დასხდეს უჯარმოს, და იყვნეს მორჩილებასა გუარამ კურაპალატისასა.

მაშინ კეისარმან წარმოსცა განძი დიდი გუარამ კურაპალატისა თანა, და უბრძანა, რათა მით განძითა გამოიყვანნეს ჩრდილოს ლაშქარნი, და შეერთნეს თანა სპანი ქართველთანი, და შეგზავნნეს სპარსეთს. ხოლო გუარამ ყო ეგრე: გამოიყვანნა ოვსნი, დურძუკნი და დიდონი, და წარუძღუანნა წინა ერისთავნი ქართლისანი. შევიდეს ადარბადაგანს, და უწყეს ტყუენვად. და ესევითარნი ჭირნი და უცალოებანი მოიწივნეს სპარსთა ზედა.

მაშინ გამოჩნდა სპარსეთს კაცი ერთი, რომელსა ერქუა ბარამ ჩუბინი. ესე ეწყო თურქთა, სპარსეთს შემოსრულთა, ვითარცა წერილი არს ვანცხადებულად ცხოვრებასა სპარსთა-

სა, მოკლა საბა, თურქთა მეფე, და აოტა ბანაკი მათი. ხოლო
სპანი იგი ბერძენთანი, რომელნი შესრულ იყვნეს სპარსეთ
შეიქცეს და წარვიდეს შინა. და ჩრდილონი იგი, გუარამ კუ-
რაპალატისა შეგზავნილნი, წარმოვიდეს იგინიცა შინა; რამეთუ
ვინათგან მოიცალეს სპარსთა თურქთაგან, შემინდეს, და დაე-
ცა შიში და ძრწოლა ქართველთა სპარსთაგან.

და ამან გუარამ კურაპალატმან იწყო ციხეთა და ქალაქთა
მაგრებად.

და კუალადცა წყალობა-ყო ღმერთმან ქრისტიანეთა ზედა,
და სხუა შუღლი დავარდა სპარსეთს: რამეთუ იგივე ბარამ
ჩუბინი გაადგა სპარსთა მეფესა, და დასწუნეს თუალნი ურ-
მიზდ მეფესა ცოლისძმათა მისთა, და იწყეს ბრძოლად ჩუბინ-
მან და ქასრე. იოტა ქასრე ჩუბინისაგან, და წარვიდა საბერ-
ძნეთს. და კეისარმან მავრიკ მოსცა ასული თჳსი ცოლად ქას-
რეს, და მოსცა სპა მისი და წარმოგზავნა ჩუბინსა ზედა. იოტა
ჩუბინი სპარსეთით, და ქასრემან დაიპყრა სპარსეთი.

მაშინ მავრიკ კეისარმან იურვა ქართველთათჳს ქასრეს თა-
ნა, და რქუა: „ვინათგან დაუტეობია ქართველთა კერპთმსახუ-
რება, მუნითგან მორჩილნი ბერძენთანი არიან; რამეთუ ჟამსა
შინა მძლავრებისაგან თქუენისა იქმნის განრყუნილ ქართლი,
თუ არა სამართალი თქუენი არა არს ქართლსა ზედა. აწ ბრძა-
ნებითა ღმრთისათა, ვინათგან სრულსა სიყუარულსა ზედა
ვართ მე და შენ, და ქართლი ჩუენ შორის იყავნ თავისუფალ,
მშჳდობით: მე ვარ მწე და მოურავი ყოველთა ქართველთა და
ყოველთა ქრისტიანეთა“.

მაშინ ერჩდა სპარსთა მეფე კეისარსა, და განთავისუფლ-
დეს ქართველნი. და ესე გუარამ კურაპალატი დადგა მორჩი-
ლებასა ზედა ბერძენთასა.

იყო კაცი მორწმუნე და მაშენებელი ეკლესიათა. ამან იწყო
ეკლესია ჯუარისა პატიოსნისა; და აქამომდე ჯუარი ველსა ზე-
და იყო, და ქმნა ეკლესია წელთამდის ოდენ.

და მეფობდა კეთილად და უშფოთველად. არამედ ერის-
თავნი ქართლისანი ვერ სცვალნა საერისთოოთაგან მათთა, რა-
მეთუ სპარსთა მეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან ჰქონდეს
სიგელნი მკჳდრობისათჳს საერისთავოთა მათთა, არამედ იყვ-
ნეს მორჩილებასა გუარამ კურაპალატისასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოკუდა კათალიკოსი სუმონ და დაჯდა სამოელ. და მოკუდა კათალიკოსი სამოელ და დასუეს სამოელვე.

ამანვე გუარამ კურაპალატმან განაახლა საფუძველი ტფილისისა სიონისა.

რამეთუ ნათესავნი მორწმუნისა მირიან მეფისანი ყოველნი ეკლესიათა მაშენებელნი იყვნეს. და მოკუდა გუარამ კურაპალატი.

[3. ქართლის ერისთავთა მთავრები]

და დაჯდა ძე მისი სტეფანოზ. მეფობისა სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან, არამედ ერისთავთა მთავრად ხადოდეს. და მოკუდა სამოელ კათალიკოსი, და ამან სტეფანოზ დასუა ბართლომე კათალიკოსად. ხოლო ესე სტეფანოზ იყო ურწმუნო და უშიში ღმრთისა, არა ჰმსახურა ღმერთსა, არცა ჰმატა სჯულსა და ეკლესიათა.

და ამის ზე იქმნა შფოთი დიდი საბერძნეთს: რამეთუ მავრიკ კეისარსა განუდგა ფოკას მჭედარი, და მოკლა მავრიკ კეისარი და შვილნი მისნი. და დაიპყრა საბერძნეთი ფოკას მჭედარმან. მაშინ სიძემან კეისრისამან, სპარსთა მეფემან ქასრე, იწყო ძებნად სისხლსა სიმამრისა და ცოლისძმათა მისთასა, შესლვად და ტყუევნად საბერძნეთისა. განძლიერდა ბერძენთა ზედა, და ვერ წინააღუდგა ფოკას კეისარი. ხოლო სტეფანოზ, მთავარი ქართლისა, შეუშინდა მეფესა სპარსთასა, განუდგა ბერძენთა და მიექცა სპარსთა.

მას ჟამსა მანვე მეფემან ქასრე წარმოტყუენა იერუსალემი და წარიყვანა ძელი ცხოვრებისა; და შემდგომად ამისსა ალიღო ღმერთმან ჯელი წყალობისა ქასრესგან: შეიპყრა იგი ძემან თჳსმან, შესუა იგი საპყრობილესა, და მოკუდა სენითა ბოროტითა.

ხოლო ამის სტეფანოზის ზე მცხეთას მოაკლდებოდა და ტფილისი განძლიერდებოდა, არმაზი აღოჯრდებოდა და კალა აშენდებოდა. და ძმა სტეფანოზისი, სახელით დემეტრე, აღაშენებდა ეკლესიასა ჯუარისა პატიოსნისასა. რამეთუ სენიცა იყო მის თანა ბოროტი, და ვერ შემძლებელ იყო განშორებად კარსა ეკლესიისასა. და სტეფანოზ მთავრობდა ყოველსა

ქართლსა ზედა, და დაჯდა იგი ტფილისს, და ჰმორჩილებდა იგი სპარსთა.

ხოლო შემდგომად ამისსა რაოდენთამე წელიწადთა გამოჩნდა საბერძნეთს კაცი ერთი, თჳსი მავრიკ კეისრისა, სახელით ერაკლე. ამან მოკლა ფოკას კეისარი, და დაიპყრა საბერძნეთი. განძლიერდა იგი და მიიყვანნა დასავლეთით თურქნი, და შეკრიბნა სპანი ურიცხუნი, და წარმოემართა სპარსეთად ძებნად ძელისა ცხოვრებისასა. და მოვიდა პირველად ქართლს.

ამან სტეფანოზ არა ინება განდგომა სპარსთაგან, და განამაგრნა ციხე-ქალაქნი, და დადგა ტფილისსა შინა. მოვიდა ერაკლე მეფე და მოადგა ტფილისსა. ხოლო სტეფანოზ იყო ქუელი მჴედარი და შემმართებელი; დღეთა ყოველთა გამოვიდის კართა ქალაქისათა და ებრძოდის ბერძენთა. მაშინ უკუე მას წყობასა შინა ჩამოაგდეს სტეფანოზ და მოკლეს. და დაიპყრა კეისარმან ტფილისი.

ხოლო ციხესა კალისასა დარჩეს კაცნი, და არა მოერთნეს მეფესა; და ციხით გამოლმართ ციხისთავმან აგინა მეფესა და რქუა: „ვაცისა წუერნი გასხნენ და ვაცბოტისა კისერი გაქუს". მაშინ ბრძანა მეფემან: „დაღაცათუ კაცმან ამან ბასრობით მრქუა მე ვაცბოტობა, არა არს ცუდ სიტყუა მისი". და მოიღო წიგნი დანიელ წინასწარმეტყუელისა და პოვა მას შინა წერილი ესრეთ: «გამოვიდეს ვაცი დასავლისა, და შემუსრნეს რქანი ვერძისა აღმოსავლისანი». მაშინ განიხარა მეფემან და დაიდასტურა, რამეთუ ყოველივე განემარჯუებოდა სპარსთა ზედა.

მაშინ კეისარმან მოუწოდა ძესა ბაკურისსა, ქართველთა მეფისასა, ნათესავსა დაჩისასა, ვახტანგის ძისასა, რომელი ერის ითბდა კახეთს, რომელსა ერქუა ადარნასე, და მისცა მას ტფილისი და მთავრობა ქართლისა. და დაუტევა მის თანა ერისთავი, რომელსა ერქუა ჯიბლა, და უბრძანა ბრძოლა კალისა, და თჳთ წარემართა მეფე ბრძოლად სპარსთა.

ხოლო მცირედთა დღეთა წარიღეს კალა და შეიპყრეს ციხისთავი იგი. ამან ერისთავმან პირველად პირი დრაჰკნითა აღუვსო, რომელ სიტყჳთა შენითა კეისარმან განიხარაო. და შემდგომად ამისსა ტყავი გაჰჴადა, და კეისარსა უკანა მისწია გარდაბანს: კადრებისათჳს მეფისა უყო ესე.

და ესევითარითა სიკუდილითა წარეგნეს სტეფანოზ და მსაჰურნი მისნი. ამისთჳს უყო ესე ღმერთმან მთავარსა მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტეფანოზს, რამეთუ არა მინდობითა ღმრთისათა ცხოვნდებენ
და: ძორწმუნეთა ემტერებოდა და ურწმუნოთა მოყუარეობდა.

მაშინ კუალად წარიღეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა: სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღვსპირი. და შვილნი სტეფანოზისნი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა, სხუა ყოველი ქართლი დაიპყრა ადარნასე ბაკურის ძემან მთავრობით, და მეფობისა სახელი ვერცა მან იკადრა. და ერისთავნი იგი თვსთვსსა საერისთვოსა შინა მკვდრობდეს შეუცვალებლად, და მორჩილებდეს ადარნასე მთავარსა.

ხოლო ერაკლე მეფე შევიდა სპარსეთს, და მოკლა ხუასრო მეფე, და წარიღო ბაღდადი, და წარმოიყვანა ძელი ცხოვრებისა. უკმოიარა გზა ქართლისავე მეშვდესა წელსა, რაჲთგან ჩაევლო. და ეკლესია ჯუარისა პატიოსნისა და სიონი ტფილისისა განესრულნეს ადარნასე ქართლისა მთავარსა.

მაშინ ერაკლე მეფემან წარიხუნა მანგლისით და ერუშეთით ფერჯთა ფიცარნი და სამსჭუალნი უფლისა ჩუენისა იესოს ქრისტესნი, რომელნი მოცემულ იყვნეს კოსტანტინესგან მირიანისდა.

შეწუხნა ადარნასე, ქართლისა მთავარი, და ეევედრებოდა კეისარსა, რათა არა წარიხუნეს ნიჭნი იგი ღმრთისამიერნი. არა ისმინა კეისარმან ვედრება მისი და წარიხუნა.

ხოლო ამისა ადარნასეს ზე გარდაიცვალნეს სამნი კათალიკოსნი: იოვანე, ბაბილა და თაბორ.

მოკუდა ადარნასე, და დადგა ძე მისი სტეფანოზ.

ესე სტეფანოზ იყო უმეტეს ყოველთა ქართლის მეფეთა და მთავართა მორწმუნე და განმწმედელი სჯულისა, მაშენებელი ეკლესიათა. და მან მოადგნა ზღუდენი ეკლესიასა ჯუარისა პატიოსნისასა, და აღაშენნა დარბაზნი, და დაუწერა კრება ყოველთა პარასკევთა, და მუნ შეკრბიან ყოველნი ეპისკოპოსნი და მღდელნი მის ადგილისა და არისანი კათალიკოსის თანა, წინაშე პატიოსნისა ჯუარისა; ადიდიან პარასკევი, ვითარცა დიდი პარასკევი. ხოლო საკათალიკოსოსა არიან კრებანი ყოველთა ხუთშაბათთა და ადიდიან წმიდა სიონი, ვითარცა დიდსა ხუთშაბათსა, საიდუმლოსა თანა ჯორციოთა და სისხლითა ქრისტესითა. ხოლო მცხეთას საეპისკოპოსოსა არნ ყოველთა სამშაბათთა კრება და ჴსენება პირველმოწამისა სტეფანესი და ყოველთა მოწამეთა, დიდისა მისგან ძლიერებისა სპარსთასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელ წამებულ იყვნეს, და აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისა, რომელმან მოაქცივნა უმრავლესნი მთეულნი არაგუსა ალმოსავლეთნი. ხოლო პატიოსანი გუამი მისი დადვეს მცხეთას, საეპისკოპოსოსა, სამარხავსა ეპისკოპოსთასა. და დღესასწაულსა მისსა უფროს ყოველთა დღესასწაულთასა შეკრბიან და ადიდებდიან ღმერთსა.

მათ ჟამთა გამოჩენილ იყო მოჰამად, ნათესავი ისმაელისი, მოძღუარი სარკინოზთა სჯულისა, და ყოველი არაბია და იამანეთი დაიპყრა. და მოკუდა იგი, და დადგა მის წილ აბობიქარ, და შევიდა სპარსეთს. რამეთუ ვინათგან შესრულ იყო ერაკლე მეფე სპარსეთს, და განერყუნა სპარსეთი; და არღარავინ იყო წინააღმდგომი სპარსეთს. ამან აბობიქარ აგარიანმან დაიპყრა სპარსეთი, შევიდა ბაღდადს და მძლავრობით დაატეობინა უმრავლესთა ცეცხლისმსახურება, და მოაქცივნა სარკინოზად. და მოკუდა იგი, და დადგა მის წილ ომარ, და უმეტეს განძლიერდა იგი.

უთხრეს მეფესა ერაკლეს, ვითარ შემოვლენ აგარიანნი შამად და ჯაზირეთად, რომელ არს შუამდინარე. და გამოვიდა ერაკლე ფილისტიმად, რათამცა ეწყო მუნ. ხოლო იყო მუნ მონაზონი ვინმე, კაცი ღმრთისა, და მან რქუა მეფესა: „ივლტოდეთ, რამეთუ უფალმან მისცა ალმოსავლეთი და სამხრეთი სარკინოზთა, რომელ არს თარგმანი მისი სარას ძალთა“. და მონაზონისა მის სიტყუთა ესე უთხრეს ერაკლე მეფესა ვარსკულავთმრიცხველთა და სრულთა მისანთა. აღაშენა ერაკლე მეფემან სუეტი და დაწერა მას ზედა: „მშჯდობა შუამდინარეო და ფილისტიმო, ვიდრემდის წარჯდეს შჯდნი შჯდეულნი“. შჯდეულისათჳს ესრეთ პოვეს ჟამი განსაზღვრებული ფილოსოფოსთა ჰერმის ტრისმეჯისტონის წიგნთა შინა სარკინოზთათჳს, რომელ არს ორასორმოცდაათი წელი.

მაშინ ყოველნი ნათესავნი ბერძენთანი წარჩინებულნი ჰფლვიდეს ქუეყანათა შინა განძთა, რათა რაჟამს გამოვიდენ, პოვნენ განძნი იგი და არღარა ნახონ ჭირი წაღებისა და ყუალად გამოღებისა.

და ალმოვლო ერაკლე კეისარმან გზა რანისა და მეორედ შემოვიდა ქართლად. და რქუა ნათესავსა სპარსთასა, რომელნი შემოლტოლვილ იყვნეს სარკინოზთაგან: „უკუეთუ უწყით, ვითარმედ დასრულდა მეფობა თქუენი; დაუტევეთ ჩრდილო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შემოვედით ჩუენ თანა". და მათ დაუტევეს ქუეყანა ესე, და დაფლნეს განძნი მათნი; რომელნიმე წარჰყვეს და რომელ-ნიმე დადგეს, და შეიტანნეს ყოველისა საგანძურისა გუჯარნი. და რა გუჯარი დაწერეს, აღწერეს ნათესავი თჳსი და ქუეყანა, და დადვეს, რათა ოდეს მოვიდენ ბერძენნი, მით გუჯრითა მოიძივნენ ნათესავნი მათნი და თჳთოეულად განუყონ ქუეყანა და განძი.

ხოლო სტეფანოზს ესხნეს ორნი ძენი არჩილ და მიჰრ. და განუყო ყოველი ხუასტაგი სამეფოსა მისისა, საგანძური ოქროსა და ვეცხლისა და თუალთა პატიოსანთა: და ნახევარი წარიღო ქუეყანასა ეგრისსა და წარიყვანა ძე თჳსი პირმშო მიჰრ; და ნახევარი საქონელისა მისისა მისცა არჩილს, უმრწემესსა ძესა თჳსსა. ხოლო არჩილ დაჰფლა საგანძური უფროსი ჴევსა კახეთისასა; ხოლო სამსახურებელნი ოქროსა და ვეცხლისანი ჴევსა უჯარმოსასა, და საგანძურნი ქართლისა და ჯავახეთისანი დასხნა გორს, რომელი მანვე ერაკლე განაჩინა სამალავად განძთა მათთჳს, რომელნი თანა ვერ წარჰქონდეს. სახელი გორისა მის არს ტონთიო, რომელ არს თარგმანებით „მთა ოქროსა". და დასუა მას ზედა ტილისმი, რათა ვერვინ შეუძლოს გამოღებად. ხოლო საგანძურნი ყოველთა ქართლისა ეკლესიათანი დაფლნა აჩრდილსა დიდისა სიონისასა მცხეთასა. და შემდგომად მცირედთა ჟამთა შევიდა არჩილცა ეგრადვე, რამეთუ მოიწია ამირა აგარიანი ქართლად, რომელსა ერქუა მურვან ყრუ, ძე მომადისი, რომელი წარმოევლინა ეშიმს, ამირმუმლსა ბაღდადელსა, ძესა აბდალ-მელიქისსა, ნათესავისაგან ამათისა. ამისთჳს ეწოდა მეორედ ყრუ, რომელ არა მიითუალვიდა სიტყუასა განმზრახთასა.

და ყოველნი მთავარნი და პატიახშნი, ნათესავნი ერისთავთა და წარჩინებულთანი შეიმეოტნეს კავკასიად, და დაიმალნეს ტყეთა და ღრეთა. და მოვლო ყრუმან ყოველი კავკასია, და დაიპყრა კარი დარიელისა და დარუბანდისა, და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა.

და ვითარ ცნა, რამეთუ მეფენი ქართლისანი და ყოველნი ნათესავნი მათნი წარვიდეს ეგრისად და მუნით კუალად მიიცვალნეს აფხაზეთად, შეუდგა კუალსა მათსა. შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისის ქუეყანისანი. და ციხე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი სამზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი, შემუსრა, და შევლო ზღუდე იგი საზღვარი კლისურისა. და მოსლვასა მისსა კათალიკოსი იყო თაბორ.

და ვითარცა შევლო ყრუმან კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა, და შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი. და მოადგა ციხესა ანაკოფისასა, რომელსა შინა არს ხატი ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა, არა კაცობრივთა ჴელითა დაწერილი, არამედ ზეგარდამო, რომლისათჳს არავინ უწყის — ვინა იგი მოსრული იპოვა თავსა ზედა მის გორისასა, რომელსა მოსდგამს სამხრით ზღუა და ჩრდილოთ ჭალაკი მწყურნები. მუნ შინა იყვნეს მაშინ მეფენი ქართლისანი მირ და არჩილ; ხოლო მამა მათი გარდაცვალებულ იყო და დამარხულ ეგრსა შინა. და ერისთავი კლისურისა ლეონ შესრულ იყო ციხესა შინა სოგლისასა, რომელ არს გარდასავალსა ოვსეთისასა. და ვერვინ შემძლებელ იყო წყობად ყრუსა, რამეთუ იყვნეს სპანი მისნი უფროს და უძრავლეს ჭალაკთა ეგრისათა.

მაშინ რქუა არჩილ ძმასა თჳსსა მირს: „მიწყუდეულ არს ციხე-ქალაქი ესე შემუსრვად. და უკუეთუ შეგვპყრნენ ჩუენ ჴელად, გამოიკითხნეს ყოველნი საგანძურნი ნამალევნი, რომელნი იგი დავფლენით ქუეყანასა ჩუენსა, მონაგებნი მირიან ღმრთივგანბრძნობილისანი, და კუალად ვახტანგ ღმრთივგანბრძნობილისა მეფისანი, და ყოველთა შვილთა მათთანი, რომელთა გუშვნეს ჩუენ. და იგიცა ითხოვოს, რომელი დამალა ერაკლე მეფემან, რომლისა აღწერილი ყოველი დავდევით ორთა მათ თანა გვრგვნთა ზურმუხტისა და იაგუნდისა ძოწეულისათა, რომელნი-იგი გამოიტანნა მამამან ჩუენმან, დიდმან მეფემან ვახტანგ, ინდოეთით და სინდეთით, დავფლენით იგინი უჯარმოს, მახლობელად შორის ორთა მათ კოშკთა უმცველოთა, და ყოველი იგი აღწერილ არს გონებასა ჩემსა. და შენ წარიხუენ ორნი იგი გვრგვნნი, ოქროსა და ანთრაკისანი: ერთი მირიან მეფისა და ერთი ვახტანგისი, რომელი მოუძღუანა სპარსთა მეფემან ვახტანგს, ყოველსა თანა ოქროსა და ვეცხლსა, რომელი აჰკიდა სატჳრთავსა ხუთასსა და მკვრცხლსა ორი ათასსა; და შენ და მამამან ჩუენმან დასდევით იგი ქუთათისს და ციხე-გოჯს. ხოლო მე გვრგვნნი იგი ჩემნი და გუჯარნი ტყავისანი მარტოდ დავსხენ. აწ, უკუეთუ მოვკუდეთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

განძი იგი ყოველი უცნაურად დარჩეს, და განმლვა-
ძენთასა ძიება-ყოს კეთილსრულნ ნათესავისა ჩუენისათჳს, და
მოსცეს მეფობა და განძიცა იგი. აწ უკუე არა ვიქმნეთ ჩუენ
მიზეზ მოოკრებისათჳს ქართლისა და საბერძნეთისა, არამედ
განვიდეთ და ვეწყუნეთ ზღუთ კერძოსა ამას გუერდსა შინა.
და თუ ენებოს ღმერთსა, ერთითა იოტოს ათასი და ორითა
ბევრი".

და მივიდეს წინაშე წმიდისა მის ხატისა ყოვლად წმიდისა
ღმრთისმშობელისასა, თაყუანი-სცეს შევრდომით და იტყო-
დეს: „განვალთ სასოებითა ძისა შენისა და ღმრთისა ჩუენისა-
თა, რომელი იშვა შენგან, მისა შეწირე ოხა ჩუენთჳს, და თა-
ნამავალ მეყავნ ჩუენ წყალობა შენი". და იყო მათ თანა სიმრავ-
ლე მცირედ ტაძრეულისა მათისა და ნათესავი ერისთავთა და
პატიახშთა, ათასი ოდენ, ხოლო სპათაგან აფხაზთა მბრძოლი
ორი ათასი. და ვიდრე განთენებამდე მოავლინა უფალმან სარ-
კინოზთა ზედა ხოროშაკი ბლუარისა, და გუემნა იგინი სატლითა
სისხლისათა. და ეჩუენა მას ღამესა არჩილს ანგელოზი უფლი-
სა, რომელმან რქუა მას: „წარვედით და ეწყუენით აგარიანთა,
რამეთუ მიმივლენია მათ ზედა გუემა სასტიკად მომსრველი,
კაცითგან მიპირუტყუეთამდე. და გან-რა-ხჳდეთ, გესმეს ბანა-
კით მათით ჴმა ვაებისა და ტირილისა. ხოლო თქუენ მჴნე
იყვენით და განძლიერდით სასოებითა ღმრთისათა" და ვი-
თარცა განთენდებოდა, ისმა ბანაკით მათით ჴმა ტირილისა
და გოდებისა.

მაშინ უკუე განვიდეს სასოებითა ღმერთისათა წყობად
მათდა: და ეწყუნეს, და მოსცა უფალმან ძლევა მცირედთა
ერთა ქრისტეანეთა; და მოსწყდა სატლითა სარკინოზთაგან
ოცდათხუთმეტი ათასი, ხოლო მახჳლითა — სამი ათასი. და
იწყალა მირ მაზრაკითა ფერდსა, ხოლო ქრისტიანეთაგან მას
დღესა შინა მოკლეს კაცი სამოცი, და სარკინოზთა ცხენი დაე-
ცა ვითარცა ჭალაკი და ჩაჰყრიდეს ყოველსა მას ზღუად.

მაშინ იხილა აგარიანმან ვინმე ჩუენება, რომელსა ეტყოდა
რეცა მოციქული მათი: „მოუცემია ღმერთსა ძლევა ჩუენდა
ვიდრე აღსრულებადმდე ათთა მეფეთა, ვითარცა რქუა აბრა-
ამს და აგარს ღმერთმან, არამედ ეკლესიათა წმიდათა და კაც-
თა ღმრთისმსახურთა ეკრძალებოდეთ, ვითარცა-იგი გამცენ
კურანსა შინა ჩემსა". მსწრაფლ აღიყარნეს და უკუნ იქცეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კუალსავე თჳსსა. და ვითარცა აღიარეს ციხე-გოჯი, და დაიბანაკეს წყალთა მათ ზედა ორთა, მსგავსად ერთისა, და გარდამოჴდა წჴმა ფიცხელი, აღდგეს მდინარენი სასტიკად; და მიმართა უმცროსმან წყალმან სპასა აბაშთასა, და წარიღო მათგან მკჳრცხლი ოცდასამი ათასი. და მიმართა უფროსმან წყალმან მჴედართა, რომელთა-იგი ბანაკი იყო უჭალაკე, რომელნიმე იელტოდეს ადგილითა და რომელნიმე ხეთა ზედა გაჴდეს, და წარიღო ცხენი ოცდათხუთმეტი ათასი. და მიერითგან საჴელ-ედვა ორთა მათ მდინარეთა: ერთსა ცხენისწყალი და ერთსა აბაშა.

და აღიყარა მუნით და შეეოვლო გზა გურიისა. და განვლეს სპერისა, და სიმრავლისაგან არა შეჩენილ იყო დაკლება. ხოლო უწინავე დასჭრეს კუდები ცხენთა მათთა, რამეთუ თიჴისაგან ვერ ითრევდეს.

ხოლო იქმნა მას ჟამსა განრყუნილ ქუეყანა ქართლისა, სომხითისა და რანისა და არღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საჭამადი კაცთა და პირუტყუთა ყოვლადვე. და წარავლინეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა მირ და არჩილ და ლეონ, ერისთავმან აფხაზეთისამან, და აუწყეს ესე ყოველი, რაცა იქმნა ღმრთისა მიერ ჴელითა მათითა. ხოლო მან წარმოსცა ორი გჳრგჳნი და გუჯარი მირსა და არჩილს, და მოსწერა მათთანა, ვითარმედ: „თქუენი იყო მეფობა, სიმჴნე და სიბრძნე ქართლსა შინა. აწ დალაცათუ იდევნებით ჩუენთანა მსახურებისათჳს ჯუარისა, მოქცევასა ჩუენსა, ვითარცა აღმითქუა ჩუენ ღმერთმან ჩუენთანავე იდიდნეთ. არამედ დაადგერით სიმაგრეთა შინა თქუენთა, ვიდრემდის წარჴდეს წელიწადნი მათნი სამასნი; რამეთუ ორასმეერგასესა წელსა განივლთოს მეფობა მათი და განსრულებასა მესამასისა წლისასა მოეცეს ძალი მეფობასა ჩუენსა, და შევმუსრნეთ აგარიანნი, და ყოველნი მათნი ამაღლებულნი დამდაბლდენ, და ჩუენ თანა მადიდებელნი ამაღლდენ“.

და მოუწერა ლეონს ესრეასახედ: „ყოვლადვე საზღვართა ქართლისათა ჩუენგან ქმნილ არს ვნება და მეფეთა მათთაგან ჩუენდა მომართ თანადადგომა და რგება. აწ ესე მესამე მსაბურება და რგება დადგეს ჩუენ თანა საყდარსა ამას სამეუფოსა: პირველად ნათელი მიიღეს ჴელსა ქუეშე ჩუენსა; კუალად შემუსრვისაგან დაარჩინეს დიდი ქალაქი პონტოსა, და შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩუენსა და შორის სპარსთა ყვეს მშვდობა. რამეთუ იგივე ვახტანგ მეფე შუამდგომელ იქმნა, და ჯრმლითა მისითა უკმოულო სამეფოსა ამას პალესტინე და ორი ნაწილი ჯაზირეთისა. აწ თუმცა ღმერთსა არა მაგათ მიერ დაებრკოლა ბოროტი ეგე მტერი, შემო-მცა-სრულ იყო ვიდრე კოსტანტინეპოლედმდე. და შვილთა შორის ნებროთისთა წარჩინებულ-ყვნა ღმერთმან ეგენი, რამეთუ არა მოაკლდეს ნათესავსა მაგათსა ბრძენი გულისხმისმყოფელი და მბრძოლი, ვითარცა-ესე მოგვთხრობს ჩუენ აღწერილი გუჯარი, რომელსა შინა აღწერილ არიან მეფენი, წარჩინებულნი ტომებით და სოფლებით მათით. ხოლო შენდა მიბრძანებიეს ერისთავობა აფხაზეთისა შენ და შვილთა შენთა და მომავალთა შენთა მიუკუნისამდე. არამედ კეთილად ბატივ-სცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა, და ამიერითგან ნულარამცა ჰელგეწიფების ვნებად მათდა და საზღვართა მათთა ეგრისათა, ვიდრემდის იყვნენ მანდა ანუ განვიდენ მანდით".

ხოლო მირ დამძიმდა წყლულებისა მისგან მოსიკუდიდ, და რქუა ძმასა თვსსა არჩილს: „მე ესერა წარვალ, ძმაო, მამათა ჩუენთა თანა; არამედ წარმეც და დამფალ საფლავსა მამათა-ვე ჩუენთა თანა. და შენ გაუწყო ადგილი საგანძურთა ჩუენთა ნამალევთა სადა არს. და არა მივის ძე-წული შვილი მკვდრად, არამედ მისხენ შვდნი ქალნი. აწ შენ ხარ მკვდრი სახლისაგან მეფობისა ჩუენისა, მირიან მეფისა. და შენ თვთ უწყი, ვითარმედ ქალი, შვილი ჩუენი, არა მივსცით ერისთავთა ჩუენთა ცოლად. ანუ მივსცით მეფეთა, ანუ მო-ვინმე-ვიდის სპარსთაგან ნათესავი მეფეთა, ვითარცა ფეროზ, რომელსა მისცა მირიან მეფემან ასული მისი ცოლად. და ჩუენ შემცირებულ ვართ, რამეთუ შენ ხარ უცოლო, და მე ვარ უძეო. აწ რათგან მოიყვანნიან მამათა ჩუენთა ცოლნი ასულნი ერისთავთა ჩუენთაწი, მისცენ მათ ასულნი ჩემნი და განუყვენ მათ ქუეყანანი ქართლისანი: ნახევარი შენ და ნახევარი მათ. ხოლო საუხუცესოდ რომელ მქონდა, მომიცემია შენდა, და მქონდეს საუხუცესოდ: ეგრისი, სუანეთი, თაკუერი, არგუეთი და გურია. ხოლო კლარჯეთი და შუამთიულეთი მიეც ასულთა ჩემთა, რათა მუნ შინა იყვნენ ჟამთა ამათ ბოროტთა. და მამაცა ჩუენი მოკუდა შფოთსა ამას შინა და ვერ წარვეცით იგი მცხეთას, წარსცენ ძუალნი მისნი და დაჰფლენ საყდარსა ქუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათისსა, რათა იპოვოს იგი საწამებელად სამკვდროსა ჩუენისა, ბ
და შენ დაადგერ აქა და ემოყურებოდი ბერძენთა, ვიდოე-
დის განქარდეს ბნელი ესე".

და მოკუდა მირ, და წარმოსცეს მცხეთას, და დაფლეს ზე-
მოსა ეკლესიასა, შესავალსა კარისასა.

ხოლო არჩილ მოუწოდა ერისთავთა ქართლისათა, და მის-
ცნა ძმისწულნი მისნი:

ერთი მისცა მამის ძმისწულსა მისსა, შვილსა გუარამ
კურაპალატისასა, რომელსა ჰქონდა კლარჯეთი და ჯავახეთი;

მეორე მისცა პატიახშსა, ნათესავსა ფეროზისსა, რომე-
ლი მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს;

მესამე მისცა ნერსეს ნერსიანსა, რომელი-იგი იყო წარ-
ჩინებული ვახტანგ მეფისა;

მეოთხე მისცა ადარნასეს ადარნასიანსა, და ორთავე
ამათ განუყო ზენასოფელი, რომელ არს ქართლი;

მეხუთე მისცა ვარზმანს, და მისცა კოტმანითგან ქურ-
დისჭევამდე; იყო ესე ვარზმან ნათესავი სპარსთა ერისთავისა
ბარდაველისა, რომელი იყო დედისმამა ვახტანგ მეფისა;

მეექუსე მისცა ჯუანშერს ჯუანშერიანსა, რომელ-იგი
იყო ნათესავი მირიან მეფისა, შვილთაგან რევისთა, და მისცა
ჯუარი და ხერკი, და ყოველი მთიულეთი, მანგლისისჭევი და
ტფილისი.

ხოლო ნაწილი არჩილისი იყო განზოგადებით გამონაყოფი
ყოველთა ამათ ჭევთაგან. და ვითარ იხილეს, რამეთუ ჯუან-
შერს უმეტესი ნაწილი მისცა, დაუმძიმდა მცირედ რამე სხუა-
თა მათ. და განუტევნა მთავარნი ესე ცოლებითურთ თჳს-
თჳსად ადგილად.

ხოლო არჩილ მოუწოდა ლეონს და რქუა: „კურთხეულ
იყავნ შენ უფლისა მიერ, რამეთუ კეთილად იღუაწე სტუმრო-
ბა ჩუენი, და დამიცვენ ჩუენ ადგილთა შენთა მშჳდობით:
გარნა აწ უწყიეს შენება ადგილთა ჩუენთა კლისურითგან
აღმართ. წარვალ და დავეშენები ციხე-გოჯს და ქუთათისს. აწ
ითხოვე თავისა შენისათჳს რა გნებავს ჩემგან, ნაცვლად კეთ-
ლისა მსახურებისა შენისა".

ხოლო ლეონ რქუა: „მომცა მე კეისარმან ქუეყანა ესე
მკვდრობით კეთილად სიმჴნითა თქუენითა. ხოლო ამიერითგან
არს ესე მამულობით სამკვდრებელ ჩემდა კლისურითგან ვიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე მდინარედმდე დიდად ხაზარეთად, სადა დასწუდებიან ყველა-
რი კავკასიისა ამის. შემრთე მეცა მონათა შენთა თანა, რო-
მელნი-ესე დღეს ღირს-ყვენ შვილად და ძმად შენდა. არა მინ-
და ნაწილი შენგან, არამედ ჩემიცა ესე შენდაგე იყოს".

მაშინ მისცა ლეონს ცოლად ძმისწული მისი გუარანდუხტ
და გვრგვნი იგი, რომელი ბერძენთა მეფესა წარმოეცა მირის-
თვს. და ყვეს აღთქმა და ფიცი საშინელი, ვითარმედ არა იყოს
მტერობა შორის მათსა, არამედ ერჩდეს ლეონ არჩილს ყო-
ველთა დღეთა მისთა.

წარმოვიდა არჩილ და დაემკვდრა ეგრისს ვიდრე შორაპ-
ნადმდე. და განაგნა ყოველნი ციხენი და ქალაქნი, და აღაშენა
ციხე საზღვარსა ზედა გურიისა და საბერძნეთისასა. და წარ-
ვდა ამათ შინა წელიწადი თორმეტი, და იწყო შენებად ქარ-
თლმან. ხოლო განრყუნილ იყო საყოფელად მცხეთა. გარდა-
მოვიდა არჩილ ეგრისით, და დაჯდა ნაციხარსა ჯიდრისასა.

მაშინ მოვიდა მისა მთავარი ერთი, რომელი იყო ნათესავი-
საგან დავით წინასწარმეტყველისა, სახელით ადარნასე, დის-
წული ადარნასე ბრმისა, რომლისა მამა მისი მზახებულ იყო
ბაგრატონიანთადვე, და ბერძენთა მიერ დადგინებულ იყო
ერისთავად არეთა სომხითისათა, და ტყუეობასა მას ყრუისასა
შთასრულ იყო იგი შვილთა თანა გუარამ კურაპალატისთა
კლარჯეთს, და მუნ დარჩომილ იყო. ითხოვა არჩილისგან და
რქუა: „უკუეთუ ინებო და მყო მე ვითარცა მკვდრი შენი, მო-
მეც ქუეყანა". და მისცა შულავერი და არტანი.

ამისა შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად, და ყოველთა
ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი, და აზნაურ-ყვნა იგინი,
აღაშენა ეკლესია საძმორს, შეირთო ცოლი ასული გუარამ კუ-
რაპალატისა, რომელი იყო შვილთაგან ვახტანგ მეფისათა,
ბერძნის ცოლისა ნაშობთა. და დაჯდა წუქეთს, და აღაშენა
კასრი, და ჰევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე. და პოვნა წუ-
ქეთს მთავარნი, რომელთადა მიებოძა ვახტანგ მეფესა წუქე-
თი, და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა
ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხუ-
ასრო, და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი. და აღაშენა
ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატს ორთა წყალთა შუა. ხოლო ნუხპა-
ტელნი უწინარეს იყვნეს კაცნი წარმართნი და მჭეტისბუნები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანი, არამედ ყრუსა მოესრა სიმრავლე მათი. და იძულებითი მონათლნა არჩილ იგინი.

განძლიერებულ იყვნეს სარკინოზნი ქუეყანასა რანისასა; დაეპყრა გაზირი და სომხითი, და ჰბრძოდა მასლამა ბერძენთა. ხოლო ძმისწულნი ადარნასე ბრმისანი, რომელთა დასწუნეს მამისძმასა თუალნი, წარმოვიდეს ტარონით შაკიხად, სამნი ძმანი, და დაემკვდრნეს მუნ, ბრძანებითა არჩილისითა, რამეთუ ყოველი პირი კავკასიისა, რანით კერძი, უმკვდრო ქმნილ იყო. ხოლო ჰერეთი და კახეთი ჭალაკთა და ტყეთაგან უკეთე დარჩომილ იყო, და დაემკვდრნეს სამივე იგი ძმანი ვიდრე გულგულამდის.

მასვე ჟამსა პატიახშნი ვინმე არა შეეშუნეს კლარჯეთს, სხუად წარვიდეს ნახევარნი მათგანნი, და შეიპყრეს კლდე ერთი ტაოს, რომელსა ერქუა კალმახი, და აღაშენეს ციხედ. ხოლო ნახევარნი მოვიდეს კახეთად არჩილის თანა. ერთსა მათგანსა მისცა ცოლად ნათესავისაგან აბუხუასროსა, რამეთუ დაქურივებულ იყო იგი და არა ესუა ქმარი, და მიუბოძა წუქეთი ციხით და კასრითურთ. ჟამთა მათ დაეცადნეს სარკინოზნი შემოსლვად ქართლად ყრუსა წარსლვითგან წელიწადსა ორმოცდამეათესა. აქა ჟამამდე არღარა შემოვიდოდეს, ამამედ მიიღებდეს ნარკსა ერისთავთაგან.

და ესხნეს არჩილს ძენი ორნი: ჯუანშერ და იოვანე, და ასულნი ოთხნი: გურანდუხტ, მარიამ, მირანდუხტ და შუშან.

ესე არჩილის წამება, და მეფეთა ცხოვრება, და ნიწოს მიერ ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეონტი მროველი

წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა რომელი იყო მეფე ქართლისა

და ვითარ გარდაჴდეს წელიწადნი ორმოცდაათნი, კუალად მოვიდა ჭიჭნაუმ, ძე მოჰამადისი, მოაოჴრა და შემუსრა ყოველი შენებული ქართლისა, და მიმართა შესლვად კახეთად, რათამცა მოაოჴრა და ყოვლითურთ უმკჳდრო-ყო. და იყო ‘ბიში დიდი მეფეთა და მთავართა და ყოვლისა ერისა, და არა შემძლებელ იყვნეს წინააღდგომად: რამეთუ რაჲთგან განერყუნა ქუეყანა ესე ყრუსა, დაღაცათუ გარდავლნა ჟამნი მრავალნი მშჳდობით, არღარა მოგებულ იყო კუალსა თჳსსა.

ხოლო წმიდამან არჩილ განიზრახა გონებასა თჳსსა, სიმჴნითა გულისა მისისათა, რათა მივიდეს და ნახოს, და ითხოვოს მისგან მშჳდობა ქუეყანისა და დაცვა შეურყეველად ეკლესიათა და არა დაპატიჟება დატევებისათჳს სჯულისა. მინდობითა ღმრთისათა აღირჩია თავისა თჳსისა და სულისა დადება საკსრად ქრისტიანეთა, აღდგა და მივიდა ჭიჭნაუმს თანა, რომელსა ეწოდა ასიმ.

ხოლო მან ვითარ ცნა მისლვა მისი, მიეგება სიხარულით, და მოიკითხა დიდითა დიდებითა. დაყვეს დღე იგი ერთობით. აქო სიკეთე მისი, შეუყუარდა სისრულე ასაკისა მისისა და უმეტესად შეეწიერება პირისა მისისა. შემდგომად მცირედთა დღეთა იწყო ლიქნით სიტყუად, აღუთქმიდა ნიჭთა და აწუევდა დატევებასა ქრისტეს სჯულისასა და მიქცევად სარკინოზად. ხოლო წმიდამან არჩილ ყოვლადვე არა თავს-იდვა სიცხილი მისი, და მტკიცითა გონებითა მიუგო და რქუა: „ნუ იყოფინ; თუმცა სიტყუათა შენთა გისმიწე, ანუმცა დაუტევე ქრისტე ღმერთი ცხოველი, რომელი-იგი არს ღმერთი ჭეშმარიტი, რომელმან ჴსნისათჳს ჩუენისა ჴორცითა სიკუდილი დაითმინა, — და უკუეთუ გისმინო შენი, უწყოდე, რომელ მოვკუდე სიკუდილითა რომლითა ვიტანჯებოდი საუკუნოდ. გარნა უკუეთუ შენ მომკლა, აღვდგე ვითარცა ღმერთი ჩუენი და მის თანაცა ვიდიდო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესმა რა ესე ყოველი უსჯულოსა მას და იხილა სიმტკიცე მისი უძცეველი, დაუკვრდა ფრიად და უბრძანა შეპყრობა მისი და შეყენება საპყრობილესა, რათა ღონისძიებითა მიაქციოს; რამეთუ არა სთნდა სიკუდილი მისი სიშუენიერისათჳს ხატისა მისისა და სიმაღლისათჳს ასაკისა მისისა. და ვითარ შეაყენეს საპყრობილესა, აკურთხევდა ღმერთსა და ითხოვდა შეწევნასა მისგან, რათა მოწყალებითა მისითა ღირს-ყოს მიმთხუევად და მკჳიდრ-ყოფად ნათელსა დაუსრულებელსა ყოველთა თანა წმიდათა, რომელთა ღმრთისათჳს სიკუდილითა უკუდავება მოიგეს.

მაშინ უკუე წარმოდგა წინაშე ასიმისა მთავარი ერთი გარდაბანელი მიქცეული სარკინოზად, რომლისა მამისძმა მოეკლა წინართა და მკლველნი მისნი განერინნეს მშჳდობით პაპსა არჩილისსა, ადარნასე მეფესა. ამისთჳს უკუე შური იგო გარდაბანელმან და რქუა ასიმს: „არა უწყია, თუ ვინ არს ესე არჩილ? ესე არს ძე სტეფანოზისი, ნათესავი დიდისა მეფისა ვახტანგისი, რომელი იყო ნათესავისაგან მირიანისა, ძისა ქასრესა. და ესე იყო მამისა თჳსისა თანა, რაჟამს-იგი დაჰფლვიდეს საგანძურთა სამეფოსა ქართლისათა; და იგიცა იცის, რომელ ერაკლე მეფემან დაფლნა საგანძურნი თჳსნი; რამეთუ ერაკლეცა უჩუენებდა, სადაცა დაჰფლვიდა“.

ესმა რა ესე ყოველი ასიმს, მოუწოდა კუალად არჩილს და რქუა: „უწინ თვალ-გახუენ ქმნულკეთილობისა შენისათჳს, რამეთუ ფრიადცა ქმნულკეთილ ხარ. ხოლო აწ მითხრეს შენთჳს, რამეთუ შვილი ხარ დიდთა მეფეთა ხუასროანთა. არამედ აწ უფროსად განსდიდნენ წინაშე ჩემსა, უკუეთუ ისმინო ჩემი, და იყოს სამეფო შენი შენდავე, და საგანძურნიცა მამათა შენთანი მოგანიჭნე შენცე. პირველად მიჩუენენ საგანძურნი მეფეთა ბერძენთანი, მოიქეც სჯულსა ჩემსა, და იქმენ სარკინოზ, და სპასალარ-გყო შენ ქუეყანასა ზედა ქართლისასა და მეფე და უფალ ერთა ზედა ქართლისათა“.

მაშინ მიუგო და რქუა წმიდამან არჩილ: „უწყოდე მტკიცედ, რამეთუ მცირე ვიყავ ასაკითა, ოდეს-იგი განვლო ქუეყანა ესე ერაკლე მეფემან. ხოლო მამამან ჩემმან და ძმამან დასხნეს ყოველნი საგანძურნი ციხესა მას, სადათ-იგი შეიქცა ყრუ ამირა და აწ აქუს იგი ბერძენთა. ხოლო მე არა დაუტეო

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფალი ღმერთი ჩემი, არცა განვყიდო წარუვალი იგი ღმერთი მსწრაფლ წარმავალისა ამისთვს".

მიუგო და რქუა ასიმ: „შენ უკუე იყავ დაცემასა მას სარკინოზთასა აფხაზეთს შინა?".

რქუა წმიდამან არჩილ: „მე ვიყავ მაშინ, რაჟამს დასცნა იგინი ღმერთმან".

რქუა ასიმ: „რომელმან ღმერთმან დასცნა სარკინოზნი?"

მიუგო წმიდამან არჩილ და რქუა: „ღმერთმან ცხოველმან, რომელ არს შემოქმედი ცისა და ქუეყანისა და რომელ-იგი მოვიდა ზეცით ქუეყანად ჴსნისათჳს ნათესავისა კაცთასა, და სიკუდილითა თჳსითა აღგუადგინა და უკუდავება მოგუანიჭა; მან უკუე დასცნა და დაამდაბლნა იგინი".

მაშინ რქუა ასიმ წმიდასა არჩილს: „რომლისა ღმერთი მოკუდავი არს და სასოება ცხოვრებისა მოკუდავისა მიმართ აქუს, ჯერ-არს მისიცა სიკუდილი".

და უბრძანა თავისა მოკუეთა და აღსრულება წმიდისა არჩილისი, და არა ჰრიდა სიკეთესა მისსა, არცა შეირცხჳნა დიდებისაგან წარჩინებულებისა მისისა. და განიყვანეს გარე და მოჰკუეთეს თავი მისი თუესა მირკანისსა, რომელ არს მარტი, ოცსა მის თჳსსა. და შეჰვედრა სული დამბადებელსა თჳსსა. აღირჩია სიკუდილი უკვდავებისა მომატყუებელი, შეცვალა მცირედისა ჟამისა ესე მეფობა საწუთოსა სიხარულად საუკუნოდ. ღირს იქმნა განწყობილსა შორის წმიდათასა და ახოვანთა მოწამეთასა წარდგომად წინაშე ღმრთისა და მათ თანა გჳრგჳნოსანი იხარებს წინაშე სამებისა წმიდისა.

ხოლო ვითარცა აღესრულა წმიდა მოწამე, მოვიდეს ღამესა მას გოდერძიანნი ტბელნი და მათ თანა სხუანიცა აზნაურნი მამეანნი, და მოიპარეს გუამი წმიდისა მოწამისა არჩილისი, წარმოიღეს და შემურეს დიდითა პატივითა, და დამარხეს ნოტკორას, მის მიერ აღშენებულსა ეკლესიასა. ხოლო ცოლმან მისმან მიუბოძა სოფლები მათ, რომელთა მოიღეს გუამი წმიდისა არჩილისი კახეთს შინა სამკჳდრებელად.

წიგნი ესე წამებისა მისისა იპოვა ესრეთ სულმცირედ აღწერილი, რომელ ჟამთა შლილობითა ჯერისაებრ ვერვის აღეწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ქამითი ქამად. ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან, ძმის წულის ქმარმან წმიდისა არჩილისმან, ნათესავმან რევისმან, მირიანის ძისამან. მიერითგან შემდგომთა მომავალთა ნათესავთა აღწერონ ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ქამმან უწყებად მისცეს გონებასა მათსა ღმრთივ განბრძნობილისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცნობი მემატიანე

[მატიანე ქართლისა]

[1. არჩილის შემდგომი მთავრები ქართლისა]

შემდგომად ამისსა, რაჟამს აღესრულა წმიდა მოწამე არჩილ, დაშთეს შვილნი მისნი იოვანე და ჯუანშერ. წარვიდა იოვანე ეგრისად და წარიტანა თანა დედა და ორნი დანი თჳსნი. ხოლო ჯუანშერ და ორნი დანი მისნი დაშთეს ქუეყანასა ქართლისასა და კახეთისასა. არამედ უმრწემესი დაჲ მისი იყო საახითა შუენიერ. და მიესმა სიშუენიერე მისი ხაზართა მეფესა ხაკანს; მოუგზავნა მოციქული და ითხოვა შუშან ცოლად, და უქადა შუელად სარკინოზთა ზედა. რაჟამს მოიწია მოციქული ხაკანისა, მიუმცნო ჯუანშერ ძმასა თჳსსა და დედასა. ხოლო მათ არა ინებეს და უთხრეს: „უკუეთუ უღონო იქმნეს ყოფა ჩუენი, უმჯობეს არს, რათა შევიდეთ საბერძნეთად და მივმართოთ ქრისტიანეთა, ვიდრეღა რა შეიგინოს შვილი ჩუენი წარმართთა მიერ“. და შუშანცა აგინა ხაზართა მეფესა.

შემდგომად სამისა წლისა მოგზავნა ხაკანმან სპასალარი თჳსი ბლუჩან; გამოვლო გზა ლეკეთისა და შემოვიდა კახეთად; მოადგა ციხესა, რომელსა შინა იყვნეს ჯუანშერ და დაჲ მისი შუშან, და მცირედთა დღეთა წარიღო და ტყუე ყვნა იგინი; შემუსრა ქალაქი ტფილისი, წარტყუენა ქართლი და ყოველი ესე ქუეყანა.

და ვითარ წარემართა გზასა დარიალანისასა, დღესა ერთსა რქუა შუშან ძმასა თჳსსა: „უმჯობეს არს ჩემთჳს სიკუდილი, რათა ღირს მყოს მე უფალმან წმიდათა დედათა თანა, ვიდრეღარა შევიგინო წარმართთა მიერ“. და ჰქონდა მას ბეჭედი ალმოუგდო მას თუალი და შოწოა იგი; რამეთუ იყო თუალსა მას ქუეშე წამალი სასიკუდინე, და მუნ ქუესვე მოკუდა.

წარვიდა ბლუჩან ხაკანისა, მიჰგუარა ჯუანშერ და მიუთხრა სიკუდილი დისა მისისა შუშანისი. ხოლო იგი განუწყრა არამიტანებისათჳს გუამისა მისისა, რომლისა წადიერ იყო ხილვად. შეიპყრეს ბლუჩან და მოაბეს ყელსა საბელი, და განზიდად სცეს ორთა ცხენოსანთა იმიერ და ამიერ, და მოსწყჳდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მისი ბოროტად. და ვითარ დაჰყო ჯუანშერ წელიწადი შვიდი, განუტევა ნიჭითა დიდითა ხაკანმან და წარმოგზავნა ქუეყანად თვსად.

ხოლო ამიერითგან იწყო შემცირებად მეფობამან დიდთა მეფეთა ხუასროანთამან. პირველად, უფლება სარკინოზთა განდიდნა და მიერითგან მიეცა ყოველი ესე ქუეყანა ჟამითა ჟამად რბევასა და ოჯრებასა. მეორედ, იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა და შეერია ბრძოლა, იქმნეს მტერ ურთიერთას. და უკუეთუ ვინმე გამოჩნდის შვილთა შორის ვახტანგისთა, რომელიმცა ღირს იყო მეფედ, იქმნის შემცირებულ სარკინოზთაგან. რამეთუ დაიპყრეს ქალაქი ტფილისი აგარიანთა, შექმნეს სახლად საყოფლად თვსად; მიიღებდეს ხარკსა ქუეყანისა ამისგან, რომელსა ჰქვან ხარაჯა. რამეთუ განგებითა ღმრთისათა სიმრავლისათვს ცოდვათა ჩუენთასა განდიდნა ნათესავი აგარიანთა.

ხოლო ამან ჯუანშერ შეირთო ცოლი ნათესავი ბაგრატონიანთა, ასული ადარნასესი, სახელით ლატავრი, და აბრალა დედამან მისმან მოყვანება მისი ცოლად: არათურე კეთილად მეცნიერი იყო, ვითარმედ არიან იგინი ნათესავნი დავით წინასწარმეტყველისანი, რომელი-იგი ჯორციელად მამად ღმრთისად იწოდა. და ვითარ იხილა ძისცოლი თვსი, შეუყუარდა, აკურთხა და დალოცა.

და ვითარ გარდაჯდეს ამას შინა წელიწადნი მრავალნი, მოვიდა ამირა აგარიანი, რომელი მთავრობდა სომხითს, ქართლს და ჰერეთს, სახელითა ხუასრო; ამან აღაშენა ტფილისი ქალაქი, მოოჯრებული ხაზართაგან.

ხოლო რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამკვდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულისწული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, და იპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ. და შემდგომად ამისსა ჯუანშერცა მიიცვალა.

არამედ სიცოცხლესავე ჯუანშერისა იცვალა ადარნასე ბაგრატონიანმან ნასამალი კლარჯეთისა, შავშეთისა, აჭარისა, ნიგალისა, ასისფორისა, არტანისა და ქუემოსა ტაოსა, და ცი-

ხეთაგანცა რომელნი ჰქონდეს შვილისშვილთა ვახტანგ ეროვნული ბიბლიოთეკა
სათა. და წარვიდა ადარნასე კლარჯეთად და მუნ მოკუდა.

[2. ბრძოლა ქართლსა ზედა]

შემდგომად სიკუდილისა ადარნასესისა განადიდა უფალ-
მან მეფობა აშოტ კურაპალატისა: ხოლო ეუფლა ქართლს და
საზღვართა მისთა. რამეთუ მათვე ჟამთა შესრულ იყო მასლამა
საბეოძნეთად, და შეიქცა მოუძლურებული და განწბილებუ-
ლი. მაშინ ბერძენთა მეფემან მოუბოძა კურაპალატობა აშოტს,
და მოუძლურებულ იყვნეს სარკინოზნი, და განდიდნა აშოტ
კურაპალატი. ხოლო ტფილისს არავინ დარჩა სარკინოზთაგანი
თჳნიერ ალი შუაბის ძისა. და გრიგოლი მთავრობდა კახეთს.
მას ჟამსა გამოილაშქრა აშოტ კურაპალატმან, და უშუელა
თევდოსი აფხაზთა მეფემან, ძემან მეორისა ლეონისმან, რო-
მელი-იგი სიძე იყო აშოტ კურაპალატისა. მოვიდა გრიგოლ
კახეთით, და გრიგოლს უშუელეს მთიულთა და წინართა
და ამირამან ტფილელმან. და შეიბნეს ქსანსა ზედა აშოტ და
გრიგოლ. გააქციეს გრიგოლ, მთავარი კახეთისა, და დაიპყრეს
ქუეყანა, რომელი ჰქონდა ქართლისაგან. და დაიპყრა აშოტ
კლარჯეთითგან ვიდრე ქსნამდე.

შემდგომად ამისსა მოვიდა ხალილ იზიდის ძე არაბიელი, და
დაიპყრა სომხითი, ქართლი და ჰერეთი. და მოკლეს აშოტ კუ-
რაპალატი გარდაბანს, ეკლესიასა შინა, და სისხლი მისი, რო-
მელი მაშინ დაითხია, აწცა იხილვების ვითარცა ახალი.

ხოლო კუალადცა ეუფლნეს სარკინოზნი ქართლსა და ვი-
თარ წარვიდა ხალილ, დაუტევა ამირად ალი შუაბის ძე. მას
ჟამსა შეითქუნეს გარდაბანელნი და განაჩინეს ქორეპისკოპო-
სად დაჩი, ძე იოვანე ქუაბულის ძისა და შემდგომად ამისსა
დასუეს ქორეპისკოპოსად სამოელ დონაური. კუალად მეო-
რედ მოვიდა იგივე ხალილ არაბი. შეებნეს გარდაბანელნი, გა-
ვაზს; და გააქციეს ხალილ, და მოსწყდა სიმრავლე ფრიადი.
კუალად დაჯდა ამირად ტფილისს საჰაკ ისმაელის ძე. ხოლო
ხალილ მოვიდა მესამედ, და მოკლეს ჯავახეთს. და ძე მისი მო-
ჰამად მოვიდა ქართლს. მოერთო მას ბაგრატ, ძე აშოტ კურა-
პალატისა, და მისცა მას ქართლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვიდა საჰაკ, ამირა ტფილელი, ლაშქრითა და დადგა
რეკს, ხოლო მოჰამად და ბაგრატ წარიღეს უფლისციხე. და
მოვიდეს კახნი გარდაბანელნი შუელად საჰაკისა; შეიბნეს რეკს
და იყო ბრძოლა მათ შორის: არცა იგინი გაიქცეს და არცა
იგინი, ვიდრემდის გაიყარნეს. აიყარა მოჰამად და წარვიდა
ბარდავს.

აქა ჟამამდის გარდასრულ იყვნეს წელიწადნი მოჰამადის გა-
მოჩინებითგან, რომელმან სარკინოზთა სჯული დაუდვა, ორას-
ცხრამეტნი.

მაშინ მოვიდა ბუღა თურქი, მონა, ბალდადით, რომელი
გამოეგზავნა ამირ-მუმნსა, სპითა დიდითა: შემუსრა ყოველი
სომხითი და ტყუე ყვნა ყოველნი მთავარნი მათნი. და მოვიდა
და მოადგა ქალაქსა ტფილისსა, რამეთუ არა მორჩილობდა
ამირა საჰაკ: მოკლა საჰაკ, შემუსრა ტფილისი, დაწუა ცეცხლი-
თა და მოაოჯრნა ყოველნი არენი მისნი.

და თევდოსი, მეფე აფხაზთა, გამოვიდა წინააღმდგომად მი-
სა, და დადგა კუერცხობს. ხოლო ბუღა, ვითარცა ცნა, წარავ-
ლინა ზირაქ, სპასალარი თჳსი, და ბაგრატ, ძე აშოტ კურაპა-
ლატისა: შეიბნეს და გააქცივნეს აფხაზნი, და მოსწყდა სიმ-
რავლე ურიცხჳ. და თევდოსი მეფე წარვიდა მეოტი გზასა
დვალეთისასა.

კუალად უკუმოქცეულთა დაუდგეს წინა გარდაბანელნი
ჯუარისგუერდსა, და ავნეს დიდად ლაშქარსა. ვითარ ცნა ბუ-
ღა, აღიყარა მუნით და მოვიდა ჭართალეთს, და დადგა მუნ
შინა; აღიყვანნა მთიულთაგან მძევალნი, კაცი სამასი, და ლა-
მოდა შესლვასა ოვსეთად, და შევიდა ცხავატამდის. ხოლო
აბულაბაზ სომეხთა ერისთავმან და გუარამ აშოტის ძემან მიუ-
წერეს მთიულთა, რათა არა შეუშუან. ხოლო მათ გაწირნეს
მძევალნი მათნი. უშუელა ღმერთმან: რამეთუ მოვიდა თოვლი,
დაუდგეს წინა და შეებნეს. მოსცა ღმერთმან ძლევა, და მოკუ-
და ურიცხჳ ერი სარკინოზთა; და ცხენმან მათმან ძოვა იელი,
და დაიჭოცა ფრიად. ხოლო სიმრავლისაგან ლაშქრისა არა
აჩნდა დაკლება, რამეთუ იყო სიმრავლე მისი ვითარ ასოცი
ათასი.

შეიქცა გარე და დაიზამთრა ბარდავს. და შეიპყრა ხუციისა
ვინმე ძე, რომელი გამთავრებულ იყო, და შემუსრა გარდაბანი,
განალო კარი დარუბანდისა და გამოიყვანნა ხაზარნი, სახლი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასი, და დასხნა იგინი შანქორს. დარიალანით გამოიყვანა ოვსნი ვითარ სახლი ასი, და დასხნა იგინი დმანისს, და ენება ზაფხულის შესლვა ოვსეთად. ხოლო ამირ-მუმნმან ვითარ ცნა, ვითარმედ ხაზართა, ტომთა მისთა, ზრახავს, მოუვლინა ბუღას, რათა დაუტეოს ქართლი ჰუმედს, ხალილის ძესა. და წარვიდა ბუღა, და ამირობდა ჰუმედ, ხალილის ძე. და გარდაადგინა ამირამან მან ჰუმედ და დაადგინა ისე შიხის ძე, ნათესავი ჰუმედისივე.

და ქორეპისკოპოსი იყო გაბრიელ დონაური, ძმა სამოელ ქორეპისკოპოსისა. და წარვიდა ისე, და მოვიდა სხუა ამირა, აბრაჰამ. და მოვიდა კუალად ამირად ხალილის ძე ჰუმედ, და უფროს ნებიერად დაიპყრა ყოველი ესე ქუეყანა; სომხითი, ქართლი და რანი.

და წარვიდა ხალილის ძე, და დადგა ამირად კაცი საჰაკის მონათაგანი, სახელით გაბულოც. ხოლო გუარამ, ძემან აშოტ კურაპალატისამან, შეიპყრა გაბულოც და წარსცა საბერძნეთად: რამეთუ განდიდებულ იყო გაბულოც და დაემორჩილნეს გარდაბანელნი.

და ბრძოდა აშოტ მამისძმისწულსა მისსა, ძმასა გუარამისსა. ხოლო გუარამს დაეპყრა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი და აბოცი, და არტანი. და ჰბრძოდა სარკინოზთა: ზოგჯერ სძლის გუარამ და ზოგჯერ სარკინოზთა. ხოლო გუარამ განუყვნა ქუეყანანი ძმათა თჳსთა ადარნასეს და ბაგრატს, და აბოცი განუყო ცოლისძმასა თჳსსა სომეხთა მეფესა.

მას ჟამსა გამოვიდა გიორგი, აფხაზთა მეფე, ძმა თეოდოსესი და დემეტრესი, ძე ლეონისი; დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ძე დემეტრესი, და ვითარ გარდაიცვალა გიორგი აფხაზთა მეფე, დარჩა ძე დემეტრესი მცირე, რომელსა ერქუა ბაგრატ, რომელი იცნობების ექსორიაქმნილობით. და ცოლმან გიორგი მეფისამან მოკლა ძე დემეტრესი, ერისთავი ჩიხისა. და ეცრუა იგი ივანე მთავარსა შავლიანსა, და მთააგდეს ბაგრატ ზღუასა. ხოლო ღმერთმან გაწარინა იგი, და მიიწია ქალაქად კოსტანტინეპოლედ. და მოჰგუარა მეფემან იოვანე ძესა თჳსსა ადარნასეს ცოლი, ასული გუარამ აშოტის ძისა. და მოკუდა იოვანე, მეფე აფხაზთა, და მეფობდა მის წილ ძე მისი ადარნასე. და შეიპყრნა ლიპარიტ ქუეყანანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდეკართა და იპატრონა დავით ბაგრატის ძე.

ხოლო ნასრა, ძე გუარამისი, და გურგენ იყვნეს აფხაზთა კერძ, ხოლო დავით და ლიპარიტ უშუელდეს სომეხთა, და იბრძოდეს სომეხნი და აფხაზნი ქართლსა ზედა. მას ჟამსა მონაზონ იქმნა გუარამ.

და ვითარ მოკუდა კახთა ქორეპისკოპოსი გაბრიელ დონაური, დაჯდა ქორეპისკოპოსად ფადლა არევმანელი, კაცი ბრძენი და საქმის მეცნიერი.

მას ჟამსა, ვითარცა მოიტყუა ნასრა ძემან გუარამისმან დავით ძე ბაგრატისი, მამის ძმისწული მისი, და მოკლა იგი.

ხოლო ნასრას შეუკრბეს მტერად სომეხნი, ლიპარიტ და ქართველნი, და აშოტ ძმა დავითისი, და მათ თანა სარკინოზნი. და შეებნეს ნასრას და გააქციეს, და მიუხუნეს ციხენი. და წარვიდა საბერძნეთს წინაშე ბერძენთა მეფისა.

და მოკუდა გუარამ ძე აშოტისი, და დამარხეს ოპიზას, მეორედ მისგან აღშენებულსა.

ხოლო ბაგრატ, ძე აფხაზთა მეფისა დემეტრესი, შესრულ იყო საბერძნეთად, კოსტანტინეპოლედ, და მოსცა ბერძენთა მეფემან ლაშქარი, და მოგზავნა ზღვთ და ნავითა შემოვიდა აფხაზეთად, და მოკლა ადარნასე, ძე იოვანესი, და დაიპყრა აფხაზეთი და შეირთო ცოლი მისი ცოლად, ასული გუარამისი; და გამოიყვანა ბაგრატ აფხაზთა მეფემან ნასრა ცოლისძმა მისი საბერძნეთით და მისცა ლაშქარი მისი. ხოლო ნასრა შეიპყრნა სამნი ციხენი სამცხეს: ოძრჯე, ჯუარისციხე და ლომსიანთა, გუარამისივე აღშენებული.

მოვიდეს გურგენ და ადარნასე, ძე დავითისი; უშუელეს სომეხთა, შეიბნეს მტკუარსა ზედა; იძლივნეს აფხაზნი, მოკლეს ნასრა და ბაყათარ, მთავარი ოვსი, და ერისთავი აფხაზთა.

ხოლო ფადლა ქორეპისკოპოსი განძლიერდა და დაიმორჩილნა გარდაბანელნი, და შემდგომად მისსა დაჯდა კვრიკე ქორეპისკოპოსად; და იპყრობდეს ქართლს აზნაურნი.

მას ჟამსა გამოვიდა კოსტანტი აფხაზთა მეფე, დაიპყრა ქართლი, და ემტერა სომეხთა მეფე სუმბატ ტიეზერაკალი; გამოილაშქრა სპითა დიდითა, და მოადგა უფლისციხესა, და მოიღეს პალან-კურდანი, აღმოაგეს ზემო კერძო და წარიღეს

ციხე ჭერჯითა. ხოლო კეთილად იმზახნეს სუმბატ და კონსტა-
ტი, და უკუმოსცა უფლისციხე და ყოველი ქართლი.

ხოლო ამისსა შემდგომად მოვიდა ამირა აგარიანი, სახე-
ლით აბულ-კასიმ, ძე აბუ-საჯისა, რომელი გამოეგზავნა ამირ-
მუმნსა სპითა დიდითა და ურიცხვთა, რომელთა არა იტევდა
ქუეყანა. რამეთუ მოვიდა პირველად სომხითს, და მოსრა ყო-
ველი სომხითი, სივნეთი, ვაეძორი და ასფურაგანი. და სუმბატ
სომეხთა მეფემან ვერ დაიდგნა ზარისა მისისაგან, და წარმო-
ვიდა მუნით მეოტობით და მიმართა მთათა აფხაზეთისათა, და
მუნ იყოფოდა.

და მოვიდა აბუ-საჯის ძე ტფილისს, და მას ჟამსა ამირა
იყო ჯაფარ, ძე აღისი. მოვიდა და მოადგა უჯარმოს. შიგა
დგა სამასი კაცი, და ჰბრძოდეს მრავალთა დღეთა. და ვითარ
იხილეს, რამეთუ ვერ დაუდგმიდეს, დააგდეს ღამე და გარდა-
იხუეწნეს: რომელნიმე წარვიდეს და რომელთამე ეწივნეს და
დაჴოცნეს. ვითარცა ცნეს ბოჭორმელთა ციხოვანთა წაღება
უჯარმისა, დააგდეს ციხე და გარდაიხუეწნეს. რაჟამს მოვიდეს,
პოვეს იგი უკაცური და თქუეს: „რომელი ბაკი იყო, მუნ შინა
ფიცხლად შეგუებნეს; და რომელი ციხე არს, იგი უკაცურად
დაუვდიათ". აღიღეს ბოჭორმა და დაიჭირეს ციხედვე, და
უჯარმის ზღუდენი დაარღვვნეს.

ხოლო კვრიკე ქორეპისკოპოსმან ვითარ იხილა, რომელ
არა იყო ღონე მისი, მიენდო ფიცითა, მივიდა და ნახა; და ჰკი-
თხა მან: „ვინ გაწვა აქა მოსლვა?" და უთხრა: „მაწვა დედამან
ჩემმან". და თქუა: „არა ვატკინო გული ერთისა შემხედვარისა".
და შეუყუარდა სიკეთისა მისისათჳს და განუტევა, გარნა ბო-
ჭორმა თჳთ დაიჭირა.

შემდგომად ამისა შემოვიდა ქართლად, და მოაოჴრა ქარ-
თლი; და ვიდრე იგი შემოვიდოდა, მოარღვვნეს ზღუდენი უფ-
ლისციხისანი, რომელ არა დაიმჭირონ. შევიდა მუნით სამცხეს,
და მოაოჴრა სამცხე და ჯავახეთი, მოადგა ციხესა თმოგვსასა.
და ვითარ იხილა სიმტკიცე მისი და სიმაგრე, აიყარა მუნით,
მოვიდა ყუელს, მოადგა გარე და უწყო ბრძოლად.

იყო მუნ შინა ჭაბუკი ერთი, სახელით გობრონ; ებრძოდა
შიგნით გამოლმართ ყოველთა დღეთა მოყუასთა თჳსთა თანა.
და ვითარ წარიღეს ციხე იგი, შეიპყრეს წმიდა გობრონ და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აწამეს, რომლისა წამება მისი ვრცელად აღწერა წმიდამან მა-
მამან ჩუენმან სტეფანე მტბევარ ეპისკოპოსმან.

აღიყარა მუნით და წარვიდა დვინად ქალაქად. მოვიდეს და
უთხრეს, ვითარმედ სუმბატ მეფე შევიდა ციხესა კაპოეტისასა;
მსწრაფლ აღიყარა და მიუმცნო ლაშქარსა თჳსსა, რათა ყოვე-
ლი კაცი, რომელი პოვონ ცოცხალი, გამოიყვანონ მის წინაშე.
მოვიდა და მოადგა ციხესა კაპოეტისასა; და ციხოვანთა დედა-
წული რომელი პოვა გარეგნით, დაიპყრა ჴელთა. ამისთჳს გა-
მოსცეს ციხე და შეიპყრეს სუმბატ; წარიყვანა დვინს, ჩამოჰ-
კიდა ძელსა და მოკუდა.

შემდგომად ამისა,ვითარ გარდაჴდეს წელნი რაოდენნიმე
და მოეშენა ქუეყანა, მაშინ უჴმო კჳრიკე ქორეპისკოპოსმან
კოსტანტი აფხაზთა მეფესა; ჩავიდეს ჰერეთად და მოადგეს
ციხესა ვეჟინისასა. აფხაზთა მეფე მოადგა ზედათ კერძო, და
კჳრიკე ქუემოთ. და ვითარ მისწურეს წაღებად, მაშინ ადარნა-
სე პატრიკი მოვიდა, პარასკევის ჴუარსა მიუპყრა ზავის პირი,
მოსცა აფხაზთა მეფესა არიში, გავაზნი, და კჳრიკეს ორჭობი.
ვითარ დაიზავნეს, და შემოიქცეს. მოვიდა კოსტანტი აფხაზთა
მეფე, ილოცა ალავერდს წმიდის გიორგის წინაშე, და შემოსა
ხატი მისი ოქროთა. ხოლო ლაშქარი მისი უმრავლესი წარავ-
ლინა გზასა გარესა და ფრიად პატივ-სცა კჳრიკე ქორეპისკო-
პოსმან, და წარვიდა ქუეყანად თჳსად.

შემდგომად მცირედთა დღეთა გარდაიცვალა კოსტანტი,
აფხაზთა მეფე, და იშლებოდა ქუეყანა აფხაზეთისა ჟამ რაო-
დენმე. რამეთუ ესხნეს ძენი ორნი კოსტანტი მეფესა: ერთი
უხუცესი და მეორე, რომელი უშვა მეორემან ცოლმან, უმრ-
წემესი. უხუცესსა ერქუა გიორგი, უმრწემესსა ბაგრატ. და
იყო მათ შორის ბრძოლა ფიცხელი, რომელი თჳთოეულად ჰპო-
ვო ცხოვრებასა მათსა.

ხოლო ესე ბაგრატ სიძე იყო გურგენ ერისთავთ-ერისთავი-
სა; უშუელდა გურგენ ყოვლითა ძალითა მისითა, ვიდრე არა
მიიცვალა ბაგრატ, არა იყო მშჳდობა. და შემდგომად სიკუდი-
ლისა მისისა მიიღო სრულობით მეფობა აფხაზთა გიორგი მე-
ფემან. იყო იგი სრული ყოვლითა სიკეთითა, სიმჴნითა და
ახოვნებითა; ღმრთისმოყუარე იყო, უმეტეს ყოველთა მაშე-
ნებელი ეკლესიათა, მოწყალე გლახაკთა, უხჳ და მდაბალი, და
ყოვლითა კეთილითა და სათნოებითა სრული. ამან განაგნა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაწყუნა ყოველნი საქმენი მამულსა და სამეფოსა. მეცხრე
აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საეპისკოპოსოდ, და გა-
ნაშუენა იგი ნაწილთა სიმრავლითა წმიდათა მარტჳლთათა.

მას ჟამსა გარდაიცვალა კჳრიკე ქორეპისკოპოსი, და დაჯდა
ქორეპისკოპოსად ფადლა, ძე კჳრიკესი; ამან აღაგო ციხე ლო-
წობანთა. ამასვე ჟამსა მოვიდეს სარკინოზნი, რომელთა
უკმობდეს საჯობით, და მოტყუენეს კახეთი, და დაწუეს ჯუა-
რი და მცხეთა, და შეიქცეს; და წარვიდეს და წარიტანეს თანა
ჯუარი პატიოსანი დაჭრილი. და შეედვათ სნება მუცლისა, და
გულისსმა-ყვეს, რომელ ჯუარისაგან ევნოთ. შეკრიბნეს ნაწილ-
ნი და წარმოსცნეს ჯუარსა. ჩაკრიბნეს ბუდესა შინა და აღმარ-
თეს ადგილსავე თჳსსა.

და ჰერეთსავე, მეფობამდე იშხანიკისსა, პირველნი ყოველ-
ნი იყვნეს მწუალებელნი; ხოლო იშხანიკ დისწული იყო გურ-
გენ ერისთავთ-ერისთავისა, და დედამან მისმან მოაქცივნა
მართლმადიდებელად, დინარ დედოფალმან. და სალართა და-
ეპყრა მაშინ ბარდავი და ადარბადაგანი.

ხოლო გიორგი აფხაზთა მეფემან მისცა ქართლი ძესა
თჳსსა უხუცესსა კოსტანტის.

და ვითარ დაყო სამი წელიწადი, იწყო მტერობად მამისა
თჳსისა და ძებნად მეფობისა. და ვითარ გამოცხადნა საქმე
მისი, შედგა იგი უფლისციხეს და შეუდგეს თანა ტბელნი და
სხუანი მრავალი აზნაურნი.

ხოლო გიორგი მეფემან ვითარ დაიდასტურა განდგომა ძისა
თჳსისა, და გამოილაშქრა ყოვლითა ძალითა თჳსითა, და მოიყ-
ვანნა ტაოელნი მეფენი და ფადლა ქორეპისკოპოსი, და მოადგეს
უფლისციხეს. და ბრძოდეს მრავალთა დღეთა და ვერარას
ავნებდეს ციხესა, რომელ მრავლად დგეს შიგნით. ზოგსა დღე-
სა შეიბნიან ცხენითა, და ზოგსა დღესა ქუეითნი.

მაშინ გიორგი მეფემან იბირნა აზნაურნი საზუერელნი
ესრესახედ: „გამოვედ, ჩუენ წარგიყვანოთ აფხაზეთად, შეხ
დაჯედ მეფედ და მამაშენი დარჩეს გარეგნით“. ხოლო მან
დაიჯერა და მიენდო, გარნა აზნაურნი იგი, რომელნი უდგეს
თანა, უშლიდეს საქმესა ამას, და მაწ არა ისმინა მათი. გამო-
ვიდა ღამე ტივითა მტკუარსა, და ვითარ განეწურა პირსა
მტკურისასა, ვერლარა დაითმინეს და მიეტევნეს შეპყრობად.
და ვითარ იგრძნა ზაკულება მათი, შეაქცივნა ტივნი გარე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათამცა შევიდა ციხესავე. ვერღარა დაიმორჩილნეს ტივნი და ჩაჯდეს ადგილსა, სადა ტივნი დადგებოდეს. შეიქმნა ჯმა, გამოვიდა მეფე და ყოველი ლაშქარი; დაიცვეს ციხე გარეშეცო. და რაჟამს განთენა, იწყეს ძებნად. ხოლო იგი გამოსრულ იყო წყლით, და შესრულ იყო ნაპრალსა კლდისასა, და მუნ დამალულ იყო. პოვა იგი კაცმან ვინმე უნდომან, შეიპყრეს და მოჰგუარეს მეფესა, და მეფემან გააპატიჟა ბოროტად: პირველად თუალნი დასწუნეს და მერმე გამოყუერეს, და მოკუდა. ხოლო აზნაურნი, რომელნი დგეს ციხესა შინა, მინდობით გამოიყვანნა, და ტბელნი განუტევნა მშვდობით, და გაგზავნნა იგინი ასფურაგანს.

გარდაიცვალა ფადლა ქორეპისკოპოსი, და დაჯდა კვრიკე ქორეპისკოპოსად. ამისა შემდგომად გადგეს აზნაურნი გარდაბანელნი, იწყეს ზრახვად გიორგი მეფისა. გამოილაშქრა გიორგი მეფემან, ჩავიდა კახეთად, მოსწუა და ასწყვდა, და წარვიდა თვსადვე ქუეყანად. კუალად დადგა ატენს. და ძე მისი ლეონ იყო ერისთავად ქართლისა; და აწვა ყოველი ლაშქარი კუალად შთასლვად კახეთად. ვითარ ცნა კვრიკე, რამეთუ ვერ დაუდგებოდა, მოვიდა მათ წინაშე. და კუალად ენება გაპარვა ზაკვთ, შეიპყრა ჴელთა და წარვიდა კახეთად, რათამცა დედაწული მისი აკრიბა ჴელთა. გარდაეხუეწნეს, რამეთუ აცნობეს აზნაურთა ქართველთა.

მოერთო შურტა, ძმა კვრიკე ქორეპისკოპოსისა, გიორგი მეფესა, და მოუტანა თანა ციხე მისი უჯარმო; და ეუფლნეს სხუათაცა ციხეთა კახეთისათა თვნიერ სამთა ციხეთა: ნახჭევანისა, ბოჭორმისა და ლოწობანთა.

ლოწობანნი ჰქონდეს ივანე არშის ძესა, და გამაგრდა შიგან, გაწირა პატრონი. აუგეს შურისციხე და დაუყენნეს შიგან ლაშქარნი. და ციხე მარანისა ჰქონდა მაშინ ხახუასა, არშის ძესავე, ძმასა ივანესსა; ლამოდა მსგავსად ძმისა თვსისა მკლავითა დაჭირვასა. მივიდა მეფე, უბრძანა შებმა ლაშქართა. ხოლო მათ წარიღეს ჴერჴითა და ხახუა მოიყვანეს შეპყრობილი წინაშე მეფისა; და მეფემან წარსცა პყრობილად ჯიქეთს.

ციხე ნახჭევანისა ჰქონდა ფადლას, ძესა კვრიკესსა. იგიცა გამაგრდა შიგან. ვითარ იხილა კვრიკე ქორეპისკოპოსმან, რამეთუ არღარა იყო ღონე მისი, ითხოვა სიმტკიცე ცოცხლებით გაგზავნისა, და დაულოცა კახეთი გიორგი მეფესა. ხოლო ლე-

ონ, ძე მეფისა, არა ლამოდა განტევებას კვრიკესსა, ეარცა პირველ მეპყრობასა იყო ნება მისი, გარნა არა უსძინა მაშამან მისმან. და კვრიკე ესე პირი ითხოვა, რათა მას ზამთარსა არა ალიღონ ციხე ბოჭორმა, და შემდგომად აღვსებისა წარვიდეს და ნება-სცეს. ამისთვს ალიღეს ციხე ნახჭევანისა და შვილი ერთი უმრწემესი, დავით, მძევლად, და განუტევეს დღესა ლამპრობასა.

წარვიდა მეფე აფხაზეთად, და შევიდა კვრიკე ბოჭორმას; ეკაზმოდა და ლამოდა შემდგომად აღვსებისა წარსლვასა. მაშინ შეეზრახნეს აზნაურნი ქართველნი და მათ თანა კახნი: გოდერძი მგდეური, მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე სხვლოსელნი, სარა და გრიგოლ ძმანი ფხუენელნი, და მათ თანა ორმოცდაათი აზნაური სხუა, და მიერთნეს კვრიკეს. დაუწყეს ბრძოლად ციხეთა, და მცირედთა დღეთა წარიხუნეს ციხენი ყოველნი; დაარღვნეს შურისციხე და ლოწობანთა, და კუალად ეუფლა კვრიკე მამულსა თვსსა.

მოვიდეს და უთხრეს გიორგი მეფესა წაღება კახეთისა. დაუმძიმდა დიდად, და აბრალა ყოველთა ვინცა-ვინ აწვა გაშუება კვრიკე ქორეპისკოპოსისა. და ვითარ ამას შინა გარდაჴდა ზამთარი, კუალად გაგზავნა ლაშქარი თვსი, და ძე მისი ლეონ უჩინა წინამძღურად. და მივიდა და მოწუა კახეთი, და მასვე ლაშქრობასა შინა მოართუეს ამბავი: მიცვალება დიდისა და ღმრთისმოყუარისა გიორგი მეფისა. მაშინ მოუწოდა ლეონ კვრიკე ქორეპისკოპოსსა; და შეკრბეს ბაზალეთს, ტბისა პირსა, თვთო ცხენოსნითა, და იუბნეს დღე ერთი, ვიდრემდის განუცხადა მიცვალება მამისა თვსისა. და აჰკიდა სიყუარული, და უქადა ძისა მისისა სიძობა. და ვითარცა ესმა ესე კვრიკეს, გარდაჴდა ცხენისაგან, და თაყუანის-ცემითა მისცა მადლი, და განიხარა ზავი და სიყუარული, და უფროს პირი მზახობისა.

შეიქცა ლეონ და ეუფლა მამულსა და სამეფოსა თვსსა, რამეთუ მაშინვე შთავიდა აფხაზეთად. და განადიდა უფალმან ღმერთმან მეფობა მისი მსგავსად მამისა მისისა. იყო იგიცა ღმრთისმოყუარე და სავსე ყოვლითა კეთილითა. ამან აღაშენა ეკლესია მოქვსა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, აკურთხა და განასრულა ყოვლითა განგებითა. და ვითარ ეუფლა მამულსა თვსსა, აღუსრულა აღთქმა თვსი კვრიკე ქორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპისკოპოსსა, და მისცა ასული თჳსი ცოლად ძესა მისსა. და შემდგომად მცირედისა მოკუდა ასული ლეონისი.

კუალად იწყო მტერობად კჳრიკესა და ძებნად კახეთისა; გაილაშქრა სპითა დიდითა, ჩადგა არაგჳსპირსა, ასწყჳდა მუხნარი, ხერკი და ბაზალეთი, და მასვე ლაშქრობასა დასნეულდა, შეიქცა გარე და მოკუდა.

შემდგომად მისსა დაჯდა დემეტრე მეფედ, ძმა ლეონისი, და ეუფლა ქართლსა. და ვითარ მოიწყო სამეფო თჳსი, გარდაჯდეს ამას შინა ჟამნი. და იყო ძმა მისი თეოდოსი საბერძნეთს, უჯმეს კაცთა ვიეთმე ამის ქუეყანისათა, რათა გამოვიდეს ძმასა თჳსსა ზედა. რამეთუ სიცოცხლესავე დიდისა გიორგი აფხაზთა მეფისასა გაეგზავნეს ორნი შვილნი საბერძნეთს, თეოდოსი და ბაგრატ, რათა მუნ იზრდებოდიან, ამისთჳს რათა შემდგომად სიკუდილისა მისისა არა იყოს მათ შორის ბრძოლა და ჴდომა.

გამოვიდა თეოდოსი საბერძნეთით, მოვიდა სამცხეს, და დადგა მარგის მერეს, უჯმობდა მეესხთა აზნაურთა, იკრებდა ლაშქართა და ლამოდა მკლავითა თჳსითა აღებასა მამულისა თჳსისასა. ხოლო დემეტრე მეფემან წარავლინა ლაშქარი თჳსი, დაესხნეს უგრძნობლად და გააქციეს თეოდოსი. წარვიდა ქართლს და მიმართა ადარნასეს, ძამელსა მთავარსა; შეიყვანეს იგი ძამის ციხესა და მუნით გამოიმართ ეძიებდა საქმესა თჳსსა.

მაშინ დემეტრე მეფემან მიგზავნა ლაშქარი თჳსი, მოადგეს ციხესა ძამისასა, და ჰბრძოდეს სამ თუე ოდენ. და ციხით გამოიმართ ევნებოდეს ფრიად. და ვითარცა მისჭირდა ციხოვანთა, ითხოვეს ფიცი და სიმტკიცე, რათა გაწუტეონ თეოდოსი და წარვიდეს მშჳდობით. და მათ მიინდვეს იგი, და გაგზავნეს მშჳდობით. წარვიდა წინაშე დავით კურაპალატისა, და მუნ დაყო წელიწადი ერთი.

და კუალად წარმოვიდა ტაოთ და მოვიდა კახეთად. მაშინ მოუგზავნა მოციქული დემეტრე მეფემან თეოდოსის და კჳრიკე ქორეპისკოპოსსა და რქუა: „რათგან მოვიდა ძმა ჩემი საბერძნეთით, არა დაილევის ჩუენ შორის ბრძოლა, სიტყჳთა კაცთათა; აწ შუამდგომელობითა შენითა მომაწდევ ძმა ჩემი, და ვიყვნეთ ორნივე სწორად უფალ მამულსა ჩუენსა, ვითარცა ვიყვენით უწინარეს მე და ლეონ; და აღიღე ჩემგან სიმტკიცე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შუამდგომელნი, და შენგან დიდად დავიმადლო საქმეებსა ამ-
ვითარ ცაა კუოიკე ქორეპისკოპოსძან სიტყუა დემეტრე მეფი-
სა, მოიყვანა თეოდოსი და აწუა მინდობა მისი, და ეტყოდა:
„მე ვიყო მეძიებელი სისხლისა შენისა“ და თეოდოსი მიანდო
ძმასა თჳსსა და გაგზავნა.

მაშინ წარიყვანეს იგი ფიცითა და სიმტკიცითა, რომლითა
ეფუცნეს წინაშე სუეტსა ცხოველსა კათალიკოსი, მღდელთ-
მოძღუარნი და დიდებულნი ყოველნი. და ვითარ მოვიდა თე-
ოდოსი წინაშე ძმისა თჳსისა, დაყვნა დღენი მცირედნი. ხოლო
დემეტრე მეფემან დაივიწყა შუამდგომლობა ღმრთისა და
კაცთა, და შემართა ფიცთა გატეხა: შეიპყრა თეოდოსი და
დასწუნა თუალნი. და ვითარ იხილეს ესე მყოფთა მამულისა
მისისათა, ძიება ყვეს ძმისა მათისა, რომელსა ერქუა ჩალა-
მეფე, და ვერ შეუძლეს ამისი ქმნა, რამეთუ დემეტრე მეფე
იყო მჯნე და ახოვანი. და რაჟამს აღესრულა დემეტრე მეფე,
იხილეს ყოველთა მკჳდრთა ქუეყანისათა, რომელ არღარა
დარჩა მკჳდრი აფხაზეთისა და ქართლისა, გამოიყვანეს თეო-
დოსი, და დასუეს მეფედ.

მაშინ მოვიდეს კახნი და მოადგეს უფლისციხესა. და იყო
მათ ჟამთა ერისთავი ქართლისა ივანე მარუშის ძე, კაცი ძლი-
ერი და ერმრავალი. ამან წარავლინა მოციქული წინაშე დავით
კურაპალატისა; აწუა, რათა გამოილაშქროს ძალითა მისითა,
აღიღოს ქართლი: ანუ დაიმჭიროს თჳთ, ანუ უბოძოს ბაგრატს,
ძესა გურგენისსა, ასულისწულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა,
რომელსა ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი. ესევე ივანე
მარუშის ძე ეძებდა ბაგრატს მეფედ. და ვითარცა მოისმინა
დავით კურაპალატმან სიტყუა ივანე მარუშის ძისა, წარმოე-
მართა ძალითა თჳსითა ყოვლითა, და მოვიდა ქართლად. და
რაჟამს ცნეს მოსლვა მისი კახთა, წარვიდეს ვითარცა მეოტნი
და დაუტევეს ქართლი.

მოვიდა დავით კურაპალატი, ჩამოდგა ქუაჯურელთა; მოე-
ტეგა წინა ქართლის ერისთავი ივანე მარუშის ძე, აღიღო მის-
გან უფლისციხე, და მიუბოძა ბაგრატს და მამასა მისსა გურ-
გენს, რამეთუ არა ესუა შვილი დავით კურაპალატსა, და ბაგ-
რატ, ძე გურგენისი, გაეზარდა შვილად თჳსად.

ესე დავით კურაპალატი უმეტეს განდიდნა ყოველთა მე-
ფეთა ტაოსთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

. / რამეთუ იყო პირველად ღმრთისმოყუარე და გლახაკთმოყ-
წყალე, მდაბალი, მშჳდი და ძჳრუჴსენებელი, ეკლესიათა მაშე-
ნებელი, ტკბილი, უხჳ, კაცთმოყუარე და ფიჩოსანთმოყუარე,
ყოველთათჳს კეთილისმყოფელი და სავსე ყოვლითა კეთილი-
თა. ამან აღაშენა მონასტერი და საყდარი ღმრთისა, წმიდა
ეკლესია ხახულისა.

და ვითარ შეიქცა მუნით გარე, დაუტევნა უფლისციხეს
გურგენ და ძე მისი ბაგრატ. მას ჟამსა იყო ბაგრატ ჯერეთ
ასაკითა თჳსითა უსრულ, ამისათჳს თანაგანმგებელად დაუტევა
მამამისი გურგენ. შემოკრიბნა ქართველნი აზნაურნი და უბრ-
ძანა: „ესე არს მკჳდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა,
შვილი და გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი ამისი და თა-
ნაშემწე; ამას დაემორჩილენით ყოველნი". და დაყვნა ღენი
მცირენდნი და წარვიდა ტაოს.

[3. საქართველოს მეფენი]

ვითარ წარჴდეს ამას შინა ჟამნი რაოდენნიმე, იწყეს კუა-
ლად მედგრობად ზაკულებით, ვითარცა არს ჩუეულება ქარ-
თლისა აზნაურთა: შეეუბნეს ნაქურდეველთა და საბოტარელ-
თა, და მოიყვანნეს ლაშქარნი კახეთით; და გასცეს უფლისცი-
ხე, და შეიპყრეს გურგენ და ძე მისი ბაგრატ და დედოფალი
გუარანდუხტ, წარიყვანეს კახეთად.

რაჟამს ცნა ესე დავით კურაპალატმან, დაუმძიმდა ფრიად,
გამოილაშქრა ყოვლითა ძალითა მისითა, მოვიდა თრიალეთს
შთასლვად კახეთად. და რაჟამს ცნეს კახთა, მოუგზავნეს მო-
ციქული და მოუპყრეს პირი ზავისა: განუტევნეს გურგენ და
ბაგრატ და დედოფალი გუარანდუხტ, და შეუქციეს ქართლი
და უფლისციხე, ხოლო წირქუალისციხე და გრუი თჳთ
დაიჭირეს. მას ჟამსა ეპყრა უფლისციხე და ქართლი გუარან-
დუხტ დედოფალსა. ესე გუარანდუხტ დედოფალი ასული იყო
გიორგი აფხაზთა მეფისა და დედა ბაგრატისი.

და ვითარ გარდაჴდა ამას შინა წელიწადი სამი, და მეფობ-
და აფხაზეთს თეოდოსი მწუხარე. განირყუნა ქუეყანა იგი და
შეიცვალა ყოველი წესი და განგება, პირველთა მეფეთაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნწესებული. იხილეს რა წარჩინებულთა მის ქუეყანისანი, იყვნეს ყოველნი ერთობით ძწუხარებასა შინა დიდსა.

ამანვე ივანე მარუშის ძემან ინება, რათა მოიყვანოს ბაგრატ მეფედ აფხაზეთისა. და მის თანა ყოველთა დიდებულთა, ერისთავთა და აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისათა გამოითხოვეს ბაგრატ მეფედ დავით კურაპალატისგან. ხოლო მან დიდითა იძულებითა ძნელად აღასრულა თხოვა მათი; ვითარცა ვთქუ პირველად, უშვილო იყო დავით კურაპალატი, და ბაგრატ გაეზარდა შვილად, მპყრობელად ორისავე კერძოსა ტაოსა. გარნა რაჟამს უმკჳდრო ქმნილ იყო ქვეყანა ქართლისა და აფხაზეთისა, მოსცა მათ სიმტკიცითა და მძევლითა.

შთაიყვანეს იგი აფხაზეთს, დალოცეს მეფედ და დაემორჩილნეს ყოველნი ბრძანებასა მისსა: რამეთუ განსრულებულ იყო ასაკითა. და ვითარ გარდაჴდა ამას შინა წელიწადი ორი, იწყო განგებად და საურავად და განმართებად ყოველსა საქმესა მსგავსად პაპისა მისისა, დიდისა გიორგი მეფისა, გინა თუ უმეტესადრე ვთქუა, რამეთუ ყოვლითურთ მიემსგავსებოდა ქცევასა გამზრდელისა თჳსისასა, დიდისა მეფისა დავით კურაპალატისასა, და იხილვებოდა მის თანა ყოველი საქმე კეთილისა. გამოგზავნა თეოდოსი მეფე, დედისძმა მისი, ტაოს წინაშე დავით კურაპალატისა, რამეთუ ესე საქმე გამონახა უმჯობესად, რათა ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა, სასოება კეთილისა, გინა შიში უწესოებისათჳს მისა მიმართ აქუნდეს.

შემდგომად ამისსა გარდამოვიდა ქართლს, რათა განაგნეს საქმენი დაშლილნი ქართლისანი. მოვიდა და დადგა თიღუას. ხოლო მას ჟამსა აზნაურთა ქართლისათა რომელთამე არა ენება გარდამოსლვა მისი, რამეთუ თითოეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა, დალაცათუ იყვნეს მორჩილებასა შინა გუარანდუხტისასა.

იწინამძღურეს ქავთარ ტბელი, მოეგებნეს ბრძოლად და დაუდგეს თავსა ზედა მოღრისასა. იხილა რა ბაგრატ აფხაზთა მეფემან, აღუზახნა სპათა თჳსთა, მივიდეს და შეებნეს. იოტნეს ქართველნი: რომელნიმე დაჴოცნეს, რომელნიმე დაიპყრნეს და სხუანი კუალად მეოტნი გარდაიხვეწნეს და დაიფანჩნეს. მოვიდა უფლისციხეს, აღიღო ციხე დედისაგან თჳსისა, დაყვნა ღღენი და განაგნა მცირედ საქმენი ქართლისანი; წარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვანა დედა თვსი და წარვიდა ქუეყანად აფხაზეთისა. და ვი-თარცა ჰელოვანმან მენავეთმოძღუარმან განაგო ყოველი საქმე აფხაზეთისა; რამეთუ მცირედ ამხილის ყოველთა, ვინ უკვე-ბოვს ურჩი, და მისსა ადგილსა განადიდის ერთგული და მი-სადღობელი თვსი.

და ამას შინა გარდაჴდეს წელიწადნი რაოდენნიმე. იყო მას ჟამსა ერისთავად კლდეკართა რატი, და ჰქონდა ციხე ატენისა და ქართლისაგან მტკუარსა სამხრით-კერძო ყოველივე, თრი-ალეთი, მანგლისჴევი და სკურეთი; არა მორჩილობდა კეთი-ლად ბაგრატ მეფესა.

შეკრიბა უცნაურად სპა თვსი ყოველი ბაგრატ მეფემან და გამოვიდა ქართლს; ენება შეპყრობა რატი ერისთავისა. მაშინ უკუე აუწყეს მსწრაფლ დავით კურაპალატსა და უთხრეს ესრე-სახედ: „არა სადა წარვალს სხუაგან, არამედ განმზადებულ! არს სიკუდილად შენდა. და შეკაზმულ იყო გურგენ, მამა ბაგ-რატისი, მისლვად შვილისა თვსისა თანა. ხოლო დავით კურა-პალატი წარმოვიდა მსწრაფლ, მოუწოდა ლაშქარსა თვსსა და უჴმო ყოველთა მეფეთა სომხითისათა. და მაშინ ჴერეთ ცო-ცხალ იყო პაპა ბაგრატისი, ბაგრატ ქართველთა მეფე; იგიცა მოვიდა დავით კურაპალატისა წინაშე, რამეთუ ეშინოდა ძისა თვსისა გურგენისგან წაღებასა მეფობისსა. მოვიდეს და დად-გეს ლიკვს სპითა დიდითა, რომელთა არა იყო რიცხვ, და გაგზავნნა ლაშქარნი გურგენს ზედა. მიეგებნეს წინა გურგენს, და შეიბნეს გარდათხრილთა, თავსა შავშეთისასა; გააქციეს გურგენ, და შთაიხუეწა მეოტი, და შევიდა ციხესა წეფთისასა.

მას ჟამსა მოსრულ იყო ბაგრატ თრიალეთს; დადგა კარუ-შეთს. გაგზავნა მოციქული, განახნა ლაშქარნი და იხილა, რო-მელ ძალითა არა ეგებოდა წინააღდგომა დავით კურაპალატი-სა. მაშინ დაუტევნა სპანი თვსნი ადგილსა ზედა, და თვთ მარტო მივიდა წინაშე მისსა; ითხოვა შენდობა და აუწყა, ვი-თარმედ: „სხვსა არა რომლისათვს მოვედ, გარნა არა მორჩი-ლებისათვს რატისა“. ხოლო მან გაგზავნა და უბრძანა ესრეთ: „მითხრეს, რომელ სიკუდილად ჩემდა გამოსრულ იყავ, გარნა აწ ვსცან დასტური, რომელ უბრალო ხარ. არამედ მითავი-სუფლებიხარ რატის ზედა; დაიმორჩილე ვითაცა სახედ გწა-დიან“.

მაშინ წარმოვიდა სიხარულითა საკსე, და წარვიდა მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟამსა აფხაზეთადვე, რათა ვერ უგრძნას რატი და უგრძნეულად მივიდეს ოდეს არა გონებდეს. ვითარ მოიწია ჟამი ზამთრისა, მოვიდა ძალითა თჳსითა ყოვლითა და მოადგა კლდეკართა. იხილა რა ესე რატი, გამოვიდა გარე და გამოიტანა შვილი მისი ლიპარიტ თანა, შეეედრა ბაგრატ აფხაზთა მეფესა, და მისცა ციხე თჳსი ბაგრატს, და თჳთ დაჯდა მამულსა თჳსსა არგუეთს.

კუალად ვითარ წარჯდეს ამას შინა ჟამნი რაოდენნიმე და ვითარ ვთქუ პირველვე, მოიწყუნა და განაგნა ყოველნი საქმენი აფხაზეთისანი: ურჩნი თჳსნი შეცვალნა დიდებისაგან და ადგილთა მათთა დაადგინნა ერთგულნი და მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებათა მისთა. და წარემატა ყოველთა მეფეთა აფხაზეთისა და ქართლისათა ყოვლითა განგებითა. და განამრავლა ლაშქარი თჳსი უმეტეს ყოვლისა ჟამისა.

გამოილაშქრა ყოვლითა სპითა თჳსითა, გარდამოვიდა ქართლს, წარგზავნა მოციქული კახეთს, ითხოვნა ციხენი ქართლისანი, რომელნი მათ ჰქონდეს. მას ჟამსა იყო ქორეპისკოპოსი დავით. ხოლო მან არა ინება მოცემა ციხეთა, არამედ მიუმცნო ესრეთ: „უკუეთუ ეძიებ ციხეთა, იყოს ჩუენ შორის დამჯერებელ მკლავი და ომი. ხოლო მე წინა მოგეგებო ქსანსა ზედა“.

განუწყრა ბაგრატ, აფხაზთა და ქართველთა მეფე და კურაპალატი. იყო მას ჟამსა დლივს, რამეთუ განაგებდა საქმეთა ტაოსა და ქართლისათა, რომელ მაშინ თჳთვე ეპყრა ტაო მიცვალებასა ზედა მამისა მათისა გურგენ მეფეთ-მეფისა. წარგზავნა კაცი მოსწრაფედ, აწუა სპათა აფხაზეთისა და ქართლისათა, და თჳთ წარემართა ზემოთა ლაშქრითა, გაიარა თრიალეთი, გავლო ჯიდი მცხეთისა. და მოერთნეს თანა აფხაზნი და ქართველნი. დადგა თიანეთს, და იწყო შემუსრვად კახეთისა. და ვერ წინააღუდგა დავით, რამეთუ იყო ძალი მისი ურიცხჳ; იწყო ბრძოლა ციხეთა და მას ჟამსა აღიღო ქუეყანა ჰერეთისა, და განაჩინა მთავრად აბულალ და წარმოვიდა შინა.

და მათვე ჟამთა, რაჟამს წარმოვიდა ბაგრატ აფხაზთა მეფე, კუალად მიიქცეს კაცნი ჰერეთისანი და მიერთნეს დავითს; აღიღო დავით ჰერეთი. შემდგომად მცირედისა ჟამისა მიიცვალა. კუალად გამოვიდა ყოვლითა სპითა თჳსითა ბაგრატ, აღიღო მეორედ ჰერეთი. დაიჭირა დინარ დედოფალი თჳსად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწყო ძებნად კახეთისა, და ძალითა მისითა მიუწდომელითა ორ წელ წარიხუნა ყოველნი ციხენი კახეთისანი. შეაწყუდია კვრიკე ბოჭორმას, და დაუყენნა ციხესა გარეშემო მცველნი წელიწდამდი, წარიღო ბოჭორმაცა. და დაიპყრა სრულიად ჰერეთი და კახეთი, წარმოიყვანა კვრიკე და დაიჭირა თჳსსა კარსა ზედა.

მას ჟამსა განდიდნა ფადლონ, ამირა განძისა, იწყო კირთებად ერისთავთა ჰერეთისა და კახეთისათა, ჟამითი ჟამად მეკობრობით და პარვით რბევად და ტყუენვად ადგილითა ადგილად. ხოლო იხილა რა დიდმან მეფემან ბაგრატ კადნიერება მისი, დიდად შეძრწუნდა და აღივსო შურითა. განემზადა ყოვლითა სპითა მისითა, წარგზავნა მოციქული წინაშე გაგიკ შაჰანშა სომეხთა მეფისა; აწჳა, რათა იძიოს შური ფადლონისგან. ხოლო მან განიხარა სიხარულითა დიდითა, მოსწრაფედ მოუწოდა ყოველთა სპათა თჳსთა, წარმოემართა და მოვიდა წინაშე ბაგრატ აფხაზთა მეფისა. შეკრბეს ორნივე ძორაკერტს; მიმართეს ფადლონს, დიდად განლაღებულსა, მოძულესა ქრისტიანეთასა, რომელი-იგი ყოვლითურთ ეძიებდა წარწყმედასა ყოველთა ჯუარისმსახურთასა. და ვითარ იხილა ძალი მათი უძლეველი, შეუშინდა, წარვიდა და მიმართა სიმაგრეთა შესლვად.

ამან დიდმან და ყოვლითურთ ძლევაშემოსილმან მეფემან ბაგრატ წარმოტყუენა ქუეყანა რანისა, მოადგა ქალაქსა შანქორსა, დაუდგნა ფილაკავანნი, და მცირედთა დღეთა დალეწნეს ზღუდენი შანქორისანი. ხვალისა დღე ეგულებოდა შემუსრვად და წარტყუენვად ქალაქისა მის. მას ღამესა მოუვლინა მოციქული ფადლონ, ითხოვა შენდობა; აღუთქუა დღეთა შინა სიცოცხლისა მისისათა მსახურება, გაუკუეთა ხარაჯა და დაუწერა თავის-თავითა ლაშქრობა მტერთა მისთა ზედა. მაშინ უბრძანა და შემოკრიბნა ყოველნი დიდებულნი წინაშე მისსა; უბრძანა ბირველად, რათა დაიჭირონ ქალაქი იგი ძალითა მათითა. იხილეს და განიცადეს, და მოაჯსენეს, რომელ ვერვის ძალედვა, და უფროს ამისთჳს, რომელ სხუათა ყოველთა სალაშქროთა საქმეთაგან უცალო იქმნებოდეს.

კუალად უბრძანა და განიზრახა დაზავება ფადლონისი. და მათ ყოველთა, სიბრძნითა მათითა, გამოარჩიეს და უმჯობესად აწჳეს ზავი, უბრძანა და გაგზავნა მოციქული, და მისგან აუწყა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზავი ფასტერი. მაშინ ფადლონ განიხარა სიხარულითა დიდითა, აღასრულა ყოველი იგი, სიტყვთ აღთქმული, საქმით: უძღუნა ძღუენი დიდი და მიუწდომელი, აღავსნა ყოველნი დიდებულნი ნიჭითა მიუწდომელითა, და წარმოვიდა შინა გაგამარჯუებული.

ამანვე დიდმან მეფემან აღაშენა საყდარი ბედიისა, და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, მოცვალა მუნ გუდაყჯსა საეპისკოპოსო, შეწირნა სოფელნი მრავალნი ყოველთა ჰევთა და ადგილთა, განასრულა ყოვლითა განგებითა, შეამკო ყოვლითა წამკაულითა ეკლესია, აკურთხა და დასუა ეპისკოპოსი. უკუეთუ ვისმე ენებოს განცდად და გულისხმის-ყოფად სიმაღლისათჳს დიდებისა მისისა, პირველად განიცადოს სამკაული ბედიისა ეკლესიისა, და მისგან გულისხმა-ყოს, რომელ არავინ ყოფილ არს სხუა მეფე მსგავსი მისი ქუეყანასა ქართლისასა და აფხაზეთისასა.

ამანვე აკურთხა ეკლესია ქუთათისისა განგებითა დიდითა და მიუწდომელითა. რამეთუ შემოკრიბნა მახლობელნი ყოველნი ჰელმწიფენი და კათალიკოსნი, მღვდელთმოძღუარნი და ყოველთა მონასტერთა წინამძღუარნი, და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი, მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი, და სხუათა ყოველთა საჰელმწიფოთანი.

ესე ბაგრატ, აფხაზთა და ქართველთა მეფე წარემატა ყოველთა ჰელმწიფეთა ყოვლითა განგებითა. ამისდა შემპოვნედ და ამისდა მოაჯედ შეიქმნეს ყოველნი ჰელმწიფენი, მახლობელნი და მოთაულნი მამულისა და სამეფოსა მისისანი, მოლაშქრედ ვითარცა თჳსნი და მისანდობელნი. და დაუმორჩილნა ღმერთმან ყოველნი მტერნი და წინაალმდგომნი მისნი; მომადლა დღეთა მისთა მშჳდობა და დიდი დაწყნარება ქუეყანისა. და უკუეთუ ვინმე ინებოს თჳთოეულად წარმოთქმად ყოველთა განგებულებათა მისთა, მოუძლიერდეს ძალი მისი, რომელთაგან მცირედი წარმოვთქუ ჟამთა სიგრძისაგან არადაიწყებისათჳს.

და ვთქუა ესეცა, რომელ შემდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასალისა არავინ გამოჩენილ არს სხუა მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა, და ყოვლითა გონებითა; ეკლესიათა მაშენებელი იყო, გლახაკთა მოწყალე და სამართლის მოქმედი ყოველთა კაცთათჳს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეფობდა ოცდათექვსმეტ წელ და გარდაიცვალა შემკობილი შკვითა მუეხიერითა, ქორიკონსა ორასოცდათოთხმეტსა, თუესა მაისსა შვდსა, დღესა პარასკევსა. და იყო დღეთა მიცვალებისა მისისათა ტაოს. და წარმოიღო გუამი მისი ზვადმან ერისთავთ-ერისთავმან, და დამარხა ბედიას.

შემდგომად მისსა მეფე იქმნა ძე მისი გიორგი. და იყო იგიცა სავსე ყოვლითა სიკეთითა.

ხოლო ესე გიორგი ეუფლა ყოველსა მამულსა და სამეფოსა თვსსა ჟამსა ოდენ სიყრმისა და სიჭაბუკისა მისისასა, რამეთუ იყო, რაჟამს მეფე იქმნა, წლისა თორმეტისა.

ხოლო მეშვიდესა წელსა მეფობისა მისისასა გამოვიდა ბასილი, მეფე ბერძენთა, მას ზედა ყოვლითა სპითა საბერძნეთისათა და უცხოთესლითა ურიცხვთა. ხოლო გიორგი მეფე განვიდა სპითა დიდითა წინააღდგომად მისსა. და დაიბანაკეს ორთავე ქუეყანასა ბასიანისასა მრავალდღე, და არა მიმართეს ბრძოლად ურთიერთას. მორიდა გიორგი მეფემან, მოვიდა და დაწუა ქალაქი ოლთისი. და მუნით მოვიდა კოლას, და გამოუდგა კუალსა, და მოუდგა უკანა ბასილი, მეფე ბერძენთა. და შეკრბეს უკანამავალნი გიორგისნი და წინამავალნი ბასილისნი, და იქმნა ბრძოლა დიდი სოფელსა, რომელსა რქვან შირიმნი. და მოისრნეს ორკერძოვე მრავლად, მოკლნეს ერისთავნი და დიდებულნი: რატი, ძე ლიპარიტისი, და ხურსი. და გვანად ეწია ჯმა გიორგი მეფესა, ვითარმედ ომი არს უკანამავალთა ზედა. მაშინ უბრძანა სპათა თვსთა და აღიჭურნეს მსწრაფლ. განვიდა თვთ გიორგი მეფე, რამეთუ ახოვან იყო და უშიში ყოვლითურთ ვითარცა უკორცო, და მის თანა სიმრავლე სპისა მისისა. და მოვიდა მუნით ბასილი მეფე ყოვლითა სპითა მისითა. შეკრბეს იმიერ და ამიერ, იქმნა ბრძოლა დიდი, და მოისრნეს ბერძენნი ფრიად, და წარმოიღეს ავარი. ეზომ გაგრძელდა მათ შორის ბრძოლა, რომელ სივლტოლად განემზადა ბასილი მეფე.

ხოლო ვითარ სულმოკლე იქმნეს ქართველნი, მორიდეს და წარმოვიდეს. წარმოუდგეს უკანა ბერძენნი და დაკოცნეს ურიცხუნი პირითა მახვლისათა. მოუწია ლაშქარმან არტანსა, ტყუე ყვეს და მოაოკრეს არტანი. და რაჟამს წარვიდა გიორგი მეფე თრიალეთს, წარმოუდგა უკანა, ასწყვდა ქვეყანა ჯავახეთისა და გარდავიდა თრიალეთს. კუალადცა დაეახლნეს

ურთიერთას, რამეთუ განძლიერდა გიორგი მეფე და მეტი
ძალი კახეთისა და ჰერეთისა, გარნა დაუშალეს შებმა მეო-
რედ.

შეიქცა ბასილი მეფე თრიალეთით, უკუმოიარა ჯავახეთი
და არტანი. და კუალად უბოროტესადრე შურისგებით მოა-
ოკრნა ქუეყანანი იგი; წარვიდა და დაიზამთრა ქუეყანასა ხალ-
დისასა, მახლობელად ქალაქსა ტრაპიზონთასა. და ვიდოდეს
მათ შორის მოციქულნი ზავისა და სიყუარულისათჳს.

მას ჟამსა იქმნა დიდი განდგომილება საბერძნეთს. შეიერ-
თნეს სპასპეტი და წარვეზი, ძე ფოკას განდგომილისა და წა-
რიდგინეს ქუეყანა აღმოსავლეთისა. და დიდად შეძრწუნდა
ამისთჳს ბასილი. გარნა პატივ-სცა ღმერთმან მასვე, და მოკლა
წარვეზი ქსიფე; და გადგეს რომელნი მირთულ იყვნეს. ხოლო
ქსიფეს მიეგო ცრუობა წარვეზისა: რამეთუ შეიტყუეს ციხესა
დალასანოსთა სისხლისათჳს ფოკას ძისა, შეიპყრეს და მოჰგუ-
არეს ბასილი მეფესა, და მან ექსორია ყო კუნძულსა რომელ-
სამე. და მისთანათა მრავალთა მოჰკუეთა თავი მახჳლითა, რო-
მელთა თანა იყო ფერის, ძე ჯოჯიკისი, ნათესავით ტაოელი, და
სხუანი იყვნეს ბერძენნი.

კუალად შემოიქცა ბასილი, მოვიდა ბასიანს, ითხოვდა
ქუეყანათა და ციხეთა, და აღუთქმიდა ზავსა და მშჳდობასა.
ცნა რა გიორგი მეფემან წარავლინა ზჳადი ერისთავი სპითა
მისითა და უბრძანა, რათამცა ზავის მიპყრობითა მცირედ-ხან
დაიმჭირვა ადგილსა, და თჳთ წარუდგა უკანა სპითა ძლიერი-
თა. და განიზრახვიდა ესრეთ: „უკუეთუ ინებოს ზავი ბასილი
მეფემან იქმნეს ესრეთ; და უკუეთუ ინებოს ომი, განვემზადნეთ
მისთჳსცა“. ხოლო რომელთა არა უნდა ყოფად მშჳდობისა,
იწყეს განმზადებად ბრძოლად. და მივიდეს ბასილი მეფესა
ზედა დაბანაკებულსა, რომელსა უწოდიან სჳნდაქსად.

იწყეს ბრძოლად და აოტეს ზოგი ლაშქრისა მისისა. განუ-
წყრა ბასილი მეფე, უბრძანა მოყვანებად ძელისა ცხოვრებისა,
და მანდილი წმიდა დადვა ქუეყანასა ზედა, და თქუა: „უკუეთუ
მიმცე ჴელთა მტრისათა, არღარა ვიყო თაყუანის-მცემელი
თქუენდამი უკუნისამდე“. და ვითარ გაგრძელდა მათ შორის
ბრძოლა, კუალადცა მეოტ იქმნნეს სპანი ქართველთანი და
წარმოვიდეს მეოტად, მოისრნეს ურიცხუნი პირითა მახჳლისა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თა; და რომელნიმე ტყუე იქმნნეს.და წარიღეს ავარი დიდძალი
და განძი სამეფო, რომელი ჰქონდა თანა.

და წარმოუდგა უკანა ბასილი მეფე. ხოლო კუალადცა
იწყეს ზავად, ვითარცა პირველ; რამეთუ შიში დიდი აქუნდა
საბერძნეთით განდგომისა. და ყვეს მშჯდობა და დაიზავნეს,
და მისცა გიორგი მეფემან მძევლად ძე თჳსი ბაგრატ წელიწ-
დისა სამისა და ციხენი რომელ პირველ გაეცნეს აზნაურთა
დაუცალნა და მისცნა; სხუანიცა ციხენი პირველ მიცემულნი
და უკანის თოთხმეტნი; და ქუეყანა, რომელი ჰქონდა დავით
კურაპალატსა ტაოსთა, ბასიანს, კოლა-არტანთა და ჯავახეთს.
ხოლო რომელნიმე ამა ქუეყანათაგან ეკლესიანი, სოფელნი და
ადგილნი დაულოცნა გიორგი მეფესა. და წარვიდა ბასილი მე-
ფე და თანა წარიყვანა ბაგრატ უფლისწული მძევლად ძე გი-
ორგი მეფისა ჩუენისა. აღუთქუა ფიცითა აღთქმა, ვითარმედ:
„წელსა მესამესა გამოგიგზავნო ძე შენი“. და იყო სამ წელ
ქალაქსა სამეფოსა კოსტანტინეპოლეს. და წელსა მესამესა გა-
მოგზავნა, ვითარცა აღუთქუა.

რაჟამს მოიწია მამულსა და სამეფოსა თჳსსა, მოჰყვა თანა
კატაბანი აღმოსავლეთისა ვიდრე საზღვართამდე მამულისა
მისისა. და ვითარ შეიქცა გარე, მოეწია სწრაფით მანდატური
და მოართუა კატაბანსა წიგნი კოსტანტინე მეფისა, რომელსა
წერილ იყო ესრესახედ, ვითარმედ: „განგებითა ღმრთისათა
მიიცვალა სანატრელი ძმა ჩემი, ბასილი მეფე, და ნაცვლად
მისსა ვიქმენ მე მეფედ ყოველსა საბერძნეთსა. აწ უკუე, სა-
დაცა მიწევნულ იყოს განსაგებელსა ჩემსა ბაგრატ, ძე გიორ-
გი აფხაზთა ჴელმწიფისა, შეაქციეთ სწრაფითა დიდითა, რო-
მელ მოიწიოს წინაშე ჩუენსა“.

ხოლო მან, ვითარცა წარიკითხა გრძანება მეფისა, ენება,
რათამცა შეაქცია გარე გრძანებისაებრ მისისა. შეიქცა სწრა-
ფით, დევნა უყო უკანა. რაჟამს მიეახლა, იხილა, რომელ
სიმრავლე დიდძალი მიგებებულ იყო წინა: დიდებულნი,
ერისთავნი და აზნაურნი ტაოელნი, მესხნი და ქართველნი,
რომელთა არა იყო რიცხჳ სიმრავლისა მათისა. შეიქცა გარე
და უთხრა მანდატურსა, რომელი მიწეულ იყო: „უკუეთუ ძალ-
გიც შენ, აქციე, ჩემგან კულა ესე აღარა ეგების“.

ჰ, დიდი საკჳრველება და მოწყალება ღმრთისა! ვითარ
მყის განერა მართალი ჴელთაგან მათთა, რომელთა ენება

ზაკვთ შექცევა მისი. და თუ ვისმე გენებოს განცდად ესეფი-
თართა, შეწევნითა ღმრთისაძიერითა იხილეთ და გახიცოცხლეთ
ურიცხუნი ველის ამყოფობანი ღმრთისამიერნი ამას დიდსა ბაგ-
რატს აფხაზთა მეფესა ზედა, რომელნი არავის ზედა მოწევ-
ნულ იყვნეს სხვსა მეფისა, რომლისათვს ჟამსა და ჟამსა გაუ-
წყოს წინამდებარემან სიტყუამან.

ვითარ უკუე მოიწია წინაშე მამისა თვსისა გიორგი მეფისა,
სახლად მათდა ქუთათისს, იხილეს მშობელთა მისთა შვილი
მათი მსგავსი განუცდელისა და მიუთხრობელისა სიკეთისა მა-
თისა, ყოვლითურთ შუენიერი, რომლისა სიკეთისა მისისათვს
შეუძლებელ არს კაცთაგან მითხრობა. იხილეს რა, განიხარეს
სიხარულითა მიუთხრობელითა და შეწირეს მადლობა ღმრთი-
სა მიმართ. იყო ქრონიკონი მას ჟამსა ორასორმოცდახუთი.

შემდგომად ორისა წლისა გარდაიცვალა გიორგი მეფე,
სავსე ყოვლითა სიკეთითა, ჟამსა ოდენ სიყრმისასა, რომელ
არავინ გამოჩენილ იყო მსგავსი მისი მამათა შორის მისთა
ახოვნებითა, ჭაბუკობითა და სიქუელითა, ტანითა და სახითა,
ცნობითა, და სავსე ყოვლითა განგებითა საჴელმწიფოთა, ქრო-
ნიკონსა ორასორმოცდაშვდსა, თუესა აგვსტოსა თექუსმეტსა,
ქუეყანასა თრიალეთისასა, ადგილსა, რომელსა ეწოდების
მყინვარნი გინა იწრონი. და დაუტევა გლოვა და მწუხარება
ყოველთა მკვდრთა მამულისა და სამეფოსა მისისათა. იგლოვ-
დეს ყოველნი სიკეთისა, და სიჭაბუკისა, და ახოვნებისა მისი-
სათვს. წარიყვანეს და დამარხეს საყდარსა ქუთათისსა.

ესხნეს შვილნი ოთხნი: ძენი ბაგრატ და დემეტრე, და
ასულნი გუარანდუხტ და კატა; მეხუთე შვილი მათი მართა
მიცვალებულ იყო. შემდგომად მიცვალებისა დიდისა მეფისა
გიორგისსა, მასვე ჟამსა მეფე იქმნა ბაგრატ ყოველსა მამულ-
სა და სამეფოსა მისსა ზედა, ზემოსა და ქუემოსა, წელიწდისა
ცხრისასა.

მასვე ჟამსა წარვიდეს აზნაურნი ტაოელნი საბერძნეთს: ვა-
ჩე კარიჭის ძე და ბანელი ეპისკოპოსი იოვანე, და მათ თანა
სიმრავლე აზნაურთა ტაოელთა. ხოლო კოსტანტინე მეფემან
მოქცევასა ოდენ წელიწდისასა გამოგზავნა პარკიმანოზი
ლაშქრითა ურიცხუთა, მოვიდა და ჩამოდგა, და მოაოკრნა იგი-
ვე ქუეყანანი, რომელნი ბასილი მეფესა მოეოკრნეს. მოვიდა
თრიალეთს ციხესა ქუეშე კლდეკართასა; მას ჟამსა ჰკონდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავსა, ძესა ლიპარიტისასა. შემოკრიბნა სხუანიცა აზნაურნი, დაუდგეს განძათა და შეებნეს ციხესა ქუეშე. რაჟამს იხილა პარკიმანოზმან, რომელ ვერას ავნებდა, შეიქცა გარე. მასვე ჟამსა წარვიდა ჩანჩახი ფალელი საბერძნეთს, მისცა ციხე გარყლობისა, მიერთო ბერძენთა, და არჯევან ჰოლოლას ძემან მისცა ბერძენთა ციხე წერეფთისა.

რაჟამს იხილა საბა, მტბევარმან ეპისკოპოსმან, რომელ შავშეთს არღარა იყო სხუა ღონე, ააგო ციხე თავსა ზედა ტბეთისასა, დაიჭირა ქუეყანა შავშეთისა, ქმნა დიდი ერთგულება ბაგრატ აფხაზთა მეფისათჳს. პატივ-სცა ღმერთმან და ვერ წარუღეს ქუეყანა მტერთა. რაჰეთუ მას ჟამსა გაგზავნა პარკიმანოზმან და პროედროსმან იოვანე ბანელი ხარტულარი, წარიყვანა თანა ვალანგი ლაშქრითა დიდითა, და მისცა თანა დემეტრე კლარჯი, ძე სუმბატისი, რეცა შესატყუევნელად ქუეყანისა კაცთათჳს, და ამით მიზეზითა მოიქცეს მრავალნი კაცნი მის ქუეყანისანი წურილისა ერისაგან. შემოვიდა მასვე ციხესა შინა ეზრა ანჩელი, და რომელნი აზნაურნი გამოჩნდეს ერთგულად, შეუდგეს მასვე ციხესა შინა და ვამაგრდეს ფრიად.

ხოლო ციხე არტანუჯისა ჰქონდა იოვანეს ერისთავსა აბუსერსა, და მათ ჟამთა ქუეყანათა ამათ შინა იქმნნეს ბრძოლანი და შუღლნი და მი-და-მონი მრავალნი. და ვითარ დიდად იღელვებოდა ქუეყანა ესე, კუალადცა პატივ-სცა ღმერთმან ბაგრატს, აფხაზთა და ქართველთა მეფესა. ეწია სენი სასიკუდინე კოსტანტინე მეფესა. მოუწერა პარკიმანოზს პროედროსსა, უჯმო შეღმართ. ხოლო იგი წარემართა მსწრაფლ და, ვიდრე მოვიდოდა, მიიცვალა კოსტანტინე მეფე. და რაჟამს მიიცვალებოდა, დასუა სხუა მეფე, სახელით რომანოზ, და შერთო ცოლად ასული თჳსი ზოია.

შემდგომად ამისსა, წელსა მესამესა, წარვიდა დედოფალი მარიამ, დედა ბაგრატისი, აფხაზთა მეფისა, საბერძნეთად ძიებად მშჳდობისა და ერთობისა, და კუალად ძიებად პატივისა კურაპალატობისა ძისათჳს თჳსისა, ვითარცა არს ჩუეულება და წესი სახლისა მათისა, და მოყვანებისათჳს ძისცოლისა.

და ვითარცა მიიწია საბერძნეთად წინაშე ბერძენთა მეფისა, აღუსრულა ყოველი სათხოველი სიხარულით: მოსცნა ფიცნი და სიმტკიცენი ერთობისა და სიყუარულისათჳს, დაუ-

წერნა ოქროობეჭედნი, მოსცა ბატივი კურაპალატობისა, და მოსცა ცოლად ბაგრატისთჳს ელენე დედოფალი.

მო-რა-იწია მარიამ დედოფალი მამულსა ძისა თჳსისასა, ჭუეყანასა ტაოს, მოართუა ბატივი კურაპალატობისა; აღასრულეს ქორწილი, უკურთხეს გჳრგჳნი ბანას.

და შემდგომად მცირედისა ჟამისა მიიცვალა ელენე დედოფალი ქუთათისს შინა, და შეირთო ცოლად ბაგრატ მეფემან ბორენა დედოფალი, ოვსთა მეფისა ასული, დაჲ დორღოლელისა.

და ამისსა შემდგომად სხუაცა ძე დარჩა გიორგი მეფესა ანაკოფიას შინა, ოვსთა მეფისა ასულსა მეორესა ცოლსა თანა. და აზნაურთაგან იყო მათ შუა მი-და-მო საუბარი, და ყრმა მცირე იყო, სახელით დემეტრე. ვერცა გაამეფეს, თუცა ვის გულსა ედვა, და ვერცალა გამოინდვეს ბაგრატ მეფემან და დედამან მისმან, არცალა თავადთა დიდებულთა ამის სამეფოსათა. და ვერღარა დაიდგნა და წარვიდა სამეფოსა მისგან, და მიმართა ბერძენთა მეფესა, და წარუტანა თანა ანაკოფია. და მიერითგან წარუჴდა ანაკოფია აფხაზთა მეფესა მოაქაჟამადმდე.

და შემდგომად ამისა მოირჴუნა და ეუფლა ზემოსა და ქუემოსა თავის მამულსა ზედა ბაგრატ.

და დიდი ფადლონ ავად იქცეოდა, და სწუნობდა ყოველთა მოთაულთა ამის სამეფოსათა. და ვიდრე ყრმალა იყო ბაგრატ, შეკრბეს ლაშქარნი ამის სამეფოსანი, იპირნეს ლიპარიტ და ივანე აბაზას ძე; მოვიდა დიდი კჳრიკე, რანთა და კახთა მეფე, დავით სომეხთა მეფე, და ჯაფარ ამირა ტფილელი, რამეთუ ესე ყოველნი პიროზითა კჳრიკესითა შეკრებილ იყვნეს ეკლეცს ფადლონს ზედა; გააქციეს ფადლონ და აუწყჳდეს ლაშქარი, აიღეს ავარი და განძი ურიცხჳ. ამიერითგან ვიდრე სიკუდილამდე შეჰავდა ფადლონ.

და სიმცირესავე შინა ბაგრატ მეფისასა ლიპარიტ ლიპარიტის ძემან და ივანე აბაზის ძემან, ქართლის ერისთავმან, მუხათგუერდსა გამოიტყუეს ტფილელი ამირა ჯაფარ, და შეიპყრეს, და დიდი ხანი დაყვეს პატიმრობასა შინა, და წარულეს ბერთჳსი. შეიწყალა აფხაზთა მეფემან და გაუტევა ტფილელს ზედა ამირად; და მიერითგან დარჩა მტერობა ლიპარიტეთ და ამირას შუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

. და შემდგომად მცირედისა ჟამისა აზრახა ლიპარიტ ბაგ-
რატს წაღება ტფილისისა. მოადგა ტფილისსა მტკუარსა ამიე-
რით, ზემოთ და ქუემოთ, აფხაზთა მეფისა ლაშქარნი, და
წყალსა იმიერით, ისნით კერძო, მოადგეს ლაშქარნი კახნი და
ჰერნი. მას ჟამს მოკლულ იყო დიდი კახთა მეფე კვრიკე ოვსი-
სა ვისმე მონისა მიერ, რამეთუ წყობასა შინა ოვსთა მეფე
ურდურე მოეკლა კვრიკე მეფესა. და მესისხლეობით მოიკლა
კვრიკე მეფე ნადირობასა შინა, ფიდრაზისგორთა, ოვსისა მო-
ნისა მიერ.

მას ჟამსა იყო მეფე კახეთს გაგიკ, ძე დავით სომეხთა მე-
ფისა სამშვლდარისა და ძორაკერტელისა, დისწული კვრიკესი,
და ბრძოდეს ორ წელ ტფილისსა. და მას ჟამსა იყო ამირად
ჯაფარ, ძე ალისი. და ესრე შეაჭირვეს ტფილელთა, რომელ
ლიტრა ვირის ჯორცი ხუთას დრამად ასყიდიეს, და ვერღარა
დაუდგმიდეს შიმშილთა და ბრძოლათა ძლიერთა. ტფილელ-
თა განიზრახეს მოცემა ტფილისისა. და ამის ქალაქისა ბრძო-
ლასა შინა წაუხუნეს ციხენი ორბეთი და ფარცხისი აფხაზთა
მეფისა ლაშქართა. და ამირა შეეკაზმა თავის ლაშქრითა, შემ-
ზადა ტივები და ხავები ღამით წარსლვად განძას ლაშქარიას
თანა ფადლონის შვილსა. და რომელთამე დიდებულთა აფხაზ-
თა მეფისათა ლიპარიტისაგან ფარულად გააზრახეს მეფესა არა
განძება ამირასი, და ფარულად ლიპარიტისაგან დაჰკიდეს ზავი
ამირასა, გამოაცხადეს და დაამკვდრეს ამირა ტფილისსავე ზე-
და. და იბირნა აფხაზთა მეფემან კახნი, ამოტ მთავარი მარი-
ლელი, დისიძე კვრიკე მეფისა, და ხახულაგურნი ჯუარისციხი-
თა; და მოეყარა აფხაზთა მეფე ქალაქსა და ემტერა კახთა. და
მიერითგან შეიქმნა ლიპარიტ ქუეგამხედვარად თავის პატრო-
ნისაგან.

გაილაშქრა აფხაზთა მეფემან კახეთს, შეება და შეუჯდა
მთასა ზედა მიქელ-გაბრიელთასა. და წყობასა შინა შეიპყრნა:
სტეფანოზ ვარჯანის ძე, პანკისისა ერისთავი; და ვაჩე, ძე
გურგენ ბერისა, ხორნაბუჯის ერისთავი; და ჯედი, დისწული
გოდერძისა, შტორის ერისთავი და მაჭელისა. გარდადგა თია-
ნეთს და დაწუა დარბაზი ბოდოჯისა, სახლი სახელოვანი, დი-
დისა კვრიკე მეფისა აგებული. და ესე ერისთავნი ქენებით
აძლევდეს ციხეთა მათთა; და ვერღარა ჩავიდეს კახეთს და შე-
მოიქცა, რამეთუ ლიპარიტ იწყო საურავთა გუერდქცეულთა.

შემდგომად მცირედისა ჟამისა გამოიყვანა ლიპარიტ ... მეტრე, ძმა ბაგრატისი, საბერძნეთით ბერძენთა მეფისა ლაშქ-
რითა. და მიერთნეს სხუანიცა ვინმე დიდებულნი და აზნაურ-
ნი. მოვლეს ზემო ქუეყანა და ჩამოვიდეს ქართლს, მოადგეს
ატენს, არე-არე მოწუეს ქართლი.

და ჰყვეს ლიპარიტს კახნი და ბერძენნი, და ვერ წაიღეს
ატენი, რამეთუ ციხეთა უფალნი კაცნი მტკიცე იყვნეს ერთ-
გულობასა ზედა ბაგრატისსა, თჳნიერ ფარსმან თმოგველისა
და ბეშქენ ჯაყელისა, თუხარისისა ერისთავისა. გავიდეს ჯავა-
ხეთს და იწყეს ახალქალაქისა ზღუდეთა შენებად, რამეთუ
მას ჟამსა უზღუდო იყო. არე ზამთრისა მოწევნულ იყო; ბერ-
ძენთა ენება შელმართ წასლვა. დაეზავა ლიპარიტ აფხაზთა
მეფესა; უბოძა მეფემან ქართლის ერისთავობა. წარვიდეს
ბერძენნი საბერძნეთად და წარიტანეს დემეტრე თანა.

და კუალად განძლიერდა და მოირჭუნა ბაგრატ მეფემან
თავის მამულსა ზედა. და დააგო სუემან ბაგრატისმან ჟამი;
მოერთო ვესტი ცხრითა ციხითა ანისისათა, თჳნიერ ამბერდი-
სათა. და მოსცეს ანელთა ანისი ბაგრატის დედასა, რამეთუ
მამულად ეყოდეს სომეხნი — სენაქერემ სომეხთა მეფისა
ასული იყო მარიამ დედოფალი, ბაგრატის დედა.

იყო ჟამი გაზაფხულისა და ბაგრატ აფხაზეთს იყო; მოად-
გა ანაკოფიას და მისწურა წასაღებელად. და მოვიდეს ტფი-
ლელნი ბერნი, რამეთუ მის ჟამისა პირველ მომკუდარ იყო
ტფილელი ამირა ჯაფარ. უქადეს ქალაქი და უჴმეს სასწრა-
ფოდ. წამოვიდა და მოაყენა ანაკოფიას გარე ქუაბულელ ჭაჭას
ძე ოთალო აფხაზეთისა ლაშქრითა. ამოიარა და მოვიდა ქუ-
თათისს, და მოიყენა ქუთათისისა სამოქალაქოსა ლაშქარი, და
გურიელნი აზნაურნი და ლომსიანნი მოიყვანნა ხუფათსა, და-
უდგნეს ფილაკავანნი და ბრძოდეს. და მოიარა მეფემან და მო-
ვიდა ქართლს, და მოვიდეს სხუანი მჴმობელნი ბერნი ტფი-
ლელნი.

წარემართა ტფილისად და მოეგებნეს ქალაქის ბერ-
ნი, დარბაზის ყმანი, ცხენოსანნი დიდმისა ველსა, და ყოველი
ერი ქუეითი დაკაზმული უმედეულსა, და დედათა და მამათა
სიმრავლე იყო მოედანს. და იყო ჴმა ბუკთა და დუმბულთა
ორკერძოვე საშინელი, რომლისა ჴმითა იძრვოდა ქუეყანა; და
იყო სიხარული ორკერძოვე განსაკჳრვებელი. შეიყვანეს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოავლეს ქალაქი, ასხმიდეს დრამასა და დრაჰკანსა, და მოარ-
თუნეს კლიტენი ქალაქისანი, და შეიყვანეს საამირაოსა დარ-
ბაზსა. დაჯდა მეფე ბაგრატ საურავად. აღიხუნა კოშკნი კარ-
თანი თავის კაცითა, და აღილო ციხე ქალაქისა დარიჯელი, და
ორნივე კოშკნი წყალყინისანი და თაბორი, და დაადგინნა ში-
გან ლაშქარნი თჳსნი და ერისთავნი. ხოლო ისნელთა ჩააგდეს
ჴიდი და არა მოსცეს ისნი; დაუდგნეს ფილაკავანნი, და ბრძო-
დეს ისნსა, და ესროდეს ისარსა. და ისნის ველსა მოვიდეს
კახთა მეფე გაგიკ და ერისთავთ-ერისთავი გოდერძი, და ყო-
ველნი დიდებულნი კახეთისანი დარბაზობად ბაგრატ მეფისა
წინაშე და მშჳდობისა ძებნად. მაშინ განვიდა ბაგრატ მეფე
ველსა ისნისასა, მოიყვანნა კახნი და ითაყვანნა, მისცა მშჳდო-
ბა და განუტევნა. და იყო სიხარული და მშჳდობა და საურავი
დღითი დღე შემატებისა.

და ვითარ ამას შინა გარდაჴდეს დღენი ზაფხულისანი, და
ჟუალად იწყო ლიპარიტ მათვე ფიცხელთა საურავთა. და გა-
მოიტყუვნა ანისით დედოფლისაგან აბუსერი, ერისთავი არტა-
ნუჯისა, და ხიხათა და ციხისჯუარისა და აწყუერის ციხის პატ-
რონი, და ივანე ერისთავი, ივანე დადიანი და გუარამ გოდერ-
ძის ძე, ბეჭისციხისა პატრონი, — და შეიპყრნა ივინი ანისის
კარსა. და დააგდო ტფილისი მეფემან, და გავიდა ჯავახეთს.

ამის შემდგომად გამოიყვანნა მაწყუერელმან მესხნი, გან-
ძითა ბაგრატისათა, შუელად მეფისა. და მეფე დგა ღრტილას.
ხოლო ლიპარიტ შეკრიბნა კახნი და მოადგა ფოკათა. გამოექ-
ცა მაწყუერელი მეფესა ბაგრატს და შეეზრახა ლიპარიტს. ვი-
თარცა ცნა ესე მეფემან, ზამთრისა ბუქთა საშინელთა გარდა-
ვარა შავშეთი და ჩავიდა ქართლს.

და ლიპარიტ გამოიყვანნა ახლად საბერძნეთით დემეტრე,
ძმა ბაგრატ მეფისა. ბერძენთა მეფისა განძი და ლაშქარი შემ-
წე იყო. და განხეთქნა ამის სამეფოსა კაცნი: რომელნიმე წა-
რუდგინნა დემეტრეს, და რომელნიმე დარჩეს ბაგრატის ერთ-
გულობასა შინა. და ძე ლიპარიტისი ივანე მძევლად დარჩა
ბაგრატის ჴელთა შინა, და ითხოვა იგი ბაგრატისგან, და ნაც-
ვლად გაუშუა აბუსერი თავის ციხითა მშჳდობით. და იყვნეს
თანამდგომ ლიპარიტისსა კახნი ძალითა მათითა, და დავით სო-
მეხთა მეფე ძალითა მისითა. და განძლიერდა იგი ძალითა ძა-

თითა ამის კერძოსა ქართლისასა. და იყო მი-და-მო სოფლად ბელოვნებისა.

და მოვიდეს ვარანგნი სამი ათასი კაცი, და დააყენა ბაშს; გარდამოიტანა თანა შვიდასი კაცი. და მოვიდა ბაგრატ შიდათ ლაშქრითა; და ამათ ვარანგთა მესხნი ვერღარა მოიოლოდინნეს, მივიდეს, და შეიბნეს თავსა სასირეთისა ჭალისასა; გაიქცა შიდა ლაშქარი. და ომსა ამასვე შეიპყრეს აბუსერი და სხუანიცა დიდებულნი მის თანა, ვერღარა უძლეს ბრძოლად ვარანგთა; მისცნა ლიპარიტ პაშტანი და წინა მათსა ბურსა უკაზმიდეს; და ეგრეთ ლიხნი გარდავლეს.

და ამისსა პირველ მომკუდარ იყო ძმა ბაგრატისი დემეტრე. და შემდგომად გაქცევისა შეშინდა ბაგრატ სამეფოსა და მამულისა მისისა განხეთქილობასა. და უქმნა მუდარა ლიპარიტს, და მცირედითა ცხენოსნითა მივიდა ლიპარიტის თანა ხოვლეს. და რა ცნა ლიპარიტ მისლვა მისი, არა ნახა, გარიდა მუნით; შეიქცა მეფეცა და წარვიდა აფხაზეთს.

და შემდგომად მცირედისა ჟამისა სულა ერისთავმან კალმახისამან, გრიგოლ ერისთავმან ართანუჯისამან შეაერთეს სიტყუა და შეიწვნეს მათ თანა სხუანიცა აზნაურნი მესხნი, და უკმეს მეფესა ბაგრატს. და წარმოემართა ლაშქრითა, გარდამოვლო გზა რკინისჯუარისა, და შეკრბეს ერყისციხეს. ცნა ესე ლიპარიტ და შეკრიბა თავისი ლაშქარი, და მოირთნა კახნი და სომეხნი, და ბერძენნიცა თანავე ჰყვეს. და მიუკდა უგრძნეულად ერყისციხეს, და შეიბნეს. და სძლია ლიპარიტვე, და გააქცია მეფე, შეიპყრეს სულა, კალმახისა ერისთავი, და მრავლითა ტანჯვითა და ძელსა გასუმითა სთხოვეს კალმახი, და არა მისცა. მასვე ომსა შეიპყრეს გრიგოლ, ძე აბუსერისი; და სთხოვეს ართანუჯი სიკუდილისა ქადებითა, და მისცა. მოირჭუნა ლიპარიტ ზემოსა ქუეყანასა და ალიხუნა ციხენი, და მიიერთნა თავადნი კაცნი, და გარეს-გარე წარვიდა ლიპარიტ მითვე ლაშქრითა დვინად, და ულაშქრა ბერძენთა მეფესა დვინელსა ზედა, და შემოიქცა თავის ქუეყანად.

და შემდგომად წელიწდისა მოქცევისა გამოჩნდეს თურქნი სულტნისანი ბარაჰიმ-ილმისანი ქუეყანასა ბასიანისასა. გამოვიდა ბერძენთა მეფისა ლაშქარი, და უკმეს ლიპარიტს. და წარვიდა ლიპარიტ შუელად ბერძენთა ყოვლითა ლაშქრითა ამის ზედაჲს კერძისათა. შეიბნეს ორდროსა და უკუმიასა ქუ-

ემოთ, და გააქციეს ყოველი სპა საბერძნეთისა და ლიპარიტ თურქთა. იქმნა მოსრვა დიდი, და შეიპყრეს ლიპარიტ და წარიყვანეს ხუარასანს სულტანსა თანა. დიდებულთა ამის სამეფოსათა და შვილთა ლიპარიტისთა, ივანე და ნიანია, იძებნეს უშიშოება და გამოიყვანეს მეფე მეფედ. და კუალად მოირჭუნა და შეიპყრა შვილნი ლიპარიტისნი; აიღო უფლისციხე და გამოუშუა ივანე.

და დადგომილ იყვნეს განძას ქუეყანასა თურქნი, და წასაღებელად მიეწურა განძა. გამოგზავნა თავისა ნაცვლად ბერძენთა მეფემან ლიხტური ლაშქრითა დიდითა, და აწვეს ბაგრატ ყოვლითა ლაშქრითა მისითა, და წაჰყვა თანა. დაემართნეს თურქთა; და მივიდეს განძას კარსა, და მირიდეს თურქთა, და დაარჩინეს განძის ქუეყანა, და შემოიქცეს მშვდობით. და ამისსა შემდგომად კუალად უკმეს ტფილელთა და მოსცეს ტფილისი ბაგრატს, და შეიყვანეს შინა, და იყო სიხარული და მშვდობა დიდი.

ამისსა შემდგომად დაეკსნა ლიპარიტ თურქთა, და შემოვიდა ანისს. დაავდო ბაგრატ ტფილისი ლიპარიტის გზითა, აღმოვლო ქართლი და მოვიდა ჯავახეთს. განძლიერდა ლიპარიტ, რამეთუ მსახურებისათჳს ბერძენთა მეფისა ტყუექმნილ იყო; წარვიდა საბერძნეთს, და ნახა ბერძენთა მეფე, და მოირთო ბერძენთა მეფისაგან ძალი. და ვერღარა დაუდგა ბაგრატ.

ამისსა პირველ სუმოდა ძე მისი გიორგი ბაგრატს, დაუტევა ქუთათისს მეფედ სამეფოსა ზედა აფხაზეთისასა და წარვიდა საბერძნეთს. მას ჟამსა იყო ბერძენთა მეფე კოსტანტინე მონომახი. და ლიპარიტის სათნოთა სწრაფით ვერღარა შემოიქცა ბაგრატ თავის მამულსა ზედა; და დაყო მუნ სამი წელიწადი დიდსა დიდებასა და პატივსა შინა.

ვიდრეღა იყო ბაგრატ საბერძნეთს, ითხოვა ლიპარიტ ძე ბაგრატისი, გიორგი, მეფედ, რათა მოსცეს იგი დედამან მისმან და დიდებულთა მის ქუეყანისათა. მოიყვანეს საყდარსა რუისისასა და აკურთხეს მეფედ. და მოიყვანეს მზრდელად მისა ლიპარიტ და პატრონად დაი ბაგრატისი გუარანდუხტ დედოფალი, კაცი სრული და უნაცვალო სახითა, სიბრძნითა, სიუხჳთა, ღმრთისმსახურებითა და ყოვლითა სიკეთითა. და შემდგომად მცირედისა ჟამისა მოითხოვა გუარანდუხტ ბაგრატ ბერძენთა მეფისაგან, და გამოგზავნა ბერძენთა მეფემან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდითა დიდებითა, ნიჭითა და განძითა მიუწდომელითა. მხე-
გება ყოველი ლაშქარი აფხაზეთისა ზღვს პირსა, ხუფათს. და ეგო
სიხარული და ღმრთის მადლობა დიდი, ბრძანა და შემოვიდა
სახლად თვსად ქუთათისს.

და ლიპარიტ მოირჭუნა ზემოსა კერძსა დაუკლებელად, და
იყო მოყუარედ მისა ხუარასანს დოღლუბეგ სულტანი და
საბერძნეთს ბერძენთა მეფე, და ზრდიდა ბაგრატის ძესა გი-
ორგის მცირესა სახელითა მეფობისათა. ხოლო ბაგრატს აქუნ-
და ლიხსა ქუემოთი კერძი დაწყობით.

და მცირედისა ჟამისა შემდგომად ამის სამეფოსა დიდე-
ბულთა მოეწყინა პატრონობა ლიპარიტისი. სულა კალმახელი
და ყოველნი ძესხნი გამოექცეს ლიპარიტს, და შეიპყრეს
ღლივს ლიპარიტ და ძე მისი ივანე, ხოლო ნიანია გარდაეხუ-
ეწა და მიმართა კლდეკართა; და არა შეუშუეს მამისა მისისა
ციხოვანთა, და წარვიდა ანისს ბერძენთა თანა. ხოლო ლიპარიტ
და ივანე პყრობილნი სულა წარიყვანნა კალმახს. და მსწრაფლ
გაგზავნა სულა მეფისა წინაშე სულთა ზედა მჴმობელნი.
ხოლო გუარანდუხტ და გიორგი, ძე ბაგრატისა, დგეს ღრტი-
ლას, და რა ცნეს შეპყრობა ლიპარიტისი, შეიყვანეს ახალქა-
ლაქსა და მუნ მოიღოდინეს ბაგრატ სულთა ზედა. მოვიდა
ბაგრატ და ამის მსახურებისა ნაცვლად მეფემან უბოძა სულას
მამულობით ციხისჯუარი და ოძრჯე ბოდოკლდითა, და სხუაცა
მრავალი საქონელი და სამღვდელთმოძღურონი, და რაცა
უნდა.

მოვიდა მეფესა წინაშე სულა ჯავახეთს, და მოჰგუარნა
ლიპარიტ და ივანე პყრობილნი, და მოაჯსენნა; ჴელთა აღიხუ-
ნა ლიპარიტეთგან ციხენი არტანუჯი და ყუელი, უფლისცი-
ხე და ბირთვისი. ხოლო კლდეკარნი მტკიცედ ეპყრნეს ციხო-
ვანთა; რამეთუ მუნ შიგან დგა ანამორი, მწიგნობართუხუცესი
ლიპარიტისი. მიიყვანეს თრიალეთს, ამოთა თხოვითა არა მოს-
ცნეს ციხოვანთა კლდეკარნი, აღმართნეს ძელნი და გაასხნეს
მას ზედა ლიპარიტ და ივანე, და განწირნეს სიკუდილად. და
შემდგომად დღეთა რაოდენთამე მოიმტკიცეს მეფე და დიდე-
ბულნი ამის სამეფოსანი ციხოვანთა ლიპარიტისთა მშვდო-
ბით გაშუებისათუს ლიპარიტისა და ივანესა. მოსცნეს კლდე-
კარნი; გამოიღო თავისი ხუასტაგი და ჩაიცუნა ჩოჯანი ლიპა-
რიტ, და შეჰვედრა ძე თვსი ივანე მეფესა. დარჩა არგუეთის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამული ივანეს. ეფუცა ლიპარიტ მეფესა შეუცოდლობისა თვს, და გაუშუეს და წარვიდა სამეფოსა.

და შემდგომად მცირედისა ჟამისა გაიპარა და წარვიდა ივანე საბერძნეთს და დაყენა მუნ წელნი რაოდენნიმე. და ნიანია მოკუდა ანისს ბერძენთა ყმობასა შინა; და ივანეს უურვა თავის მამამან ბაგრატს თანა.

და თვთ ბაგრატცა გამოიზიდნა და გამოიყვანა ამას სამეფოსა, და უბოძა მამული არგუეთისა და ქართლისა, და ჰმონებდა ერთგულობით. და იყო თავად თავადთავე თანა ამის სამეფოსათა და სპასალარ სიკეთითა მისითა. ხოლო ლიპარიტ მიიცვალა საბერძნეთს სამეფოსა ქალაქსა კონსტანტინეპოლეს, და წარმოიყვანეს დიდითა დიდებითა ერთგულთა და გაზრდილთა მისთა, მოიყვანეს და დამარხეს კაცხს, სამარხავსა მამათა მათთასა.

და მოირჭუნა ბაგრატ და განძლიერდა უფროს ყოველთა მეფეთა მის ქუეყანისათა. და ამან წარიხუნა ყოველნი ციხენი ჰერეთისა და კახეთისანი, თვნიერ კუეტარისა და ნახჭევანისა. და შემდგომად ამისსა იქმნნეს დიდნი საქმენი და აღძრვანი დიდთა მეფეთანი.

[4. თურქთა შემოსვლა]

ამის მეფობისა ჟამთა შინა გამოვიდა სულტანი არფასარან, მეფე სპარსეთისა, დასხმის გუარად. უგრძნეულად მოვიდა და შემუსრა კანგარი და თრიალეთი, და დღესა ერთსა მარბიელმან მისმან მიუწია ყუელისყურსა, გარდავიდა შავშეთს, კლარჯეთს და ტაოს ვიდრე ფანასკერტამდე. და მასვე დღესა ჩამოუწია თორს და ღვისჭევს, და თვთ დადგა თრიალეთს სამ დღე.

რამეთუ მას ჟამსა მომავალი იყო მეფე ტაოთ, და თანა ჰყვანდეს დედა, და დაი, და ძე მისი გიორგი; დადგრომილ იყვნეს ხეკრებულთა. და აყრისა მისისა ჟამსა მოუჯდა ლაშქარი სულტანისა; მოვიდეს და წარმოადგეს ქედსა ზედა. ხოლო იგინი ჩამოესწრნეს ქართლს. წავიდეს ჯავახეთს და მოადგეს ახალქალაქს, რამეთუ მესხნი აზნაურნი და ზემოსა კერძისანი ძლიერად დგეს ახალქალაქს, და ბრძოდეს სამ დღე, რამეთუ

არა ზღუდითა მტკიცითა განსრულებულ იყო ახალქალაქი, ვერღარა დაუდგმიდეს ბრძოლათა ძლიერთა, აღიჭურნეს მყოფნი ქალაქისანი, და განახუნეს კარნი, და შეებნეს ძლიერად, მოსრნეს ბირითა მახვლისათა. და შევიდეს ქალაქად ურჩნი და ტყუე ყვნეს ურიცხუნი სულნი ქრისტიანეთანი; აღიღეს განძი და ტყუე ძლიერი, და შეიღება წყალი ახალქალაქისა სისხლითა.

და მოუვლინა ახალქალაქით მოციქული სულტანმან ბაგრატ მეფესა; აჰკიდა მზახობა და სთხოვა დისწული ცოლად. და მიიქცა სულტანი ანისად, შემუსრა და წაილო ანისი, მოსრნა და ტყუე ყვნა ურიცხუნი სულნი, და წარვიდა ქუეყანად თჳსად სპარსეთად. და ანისი წარუღო ბერძენთა და მისცა მანუჩას, ძესა აბულასვარისსა.

ხოლო დისწული ბაგრატისი, რომელსა ითხოვდა სულტანი, იყო ძმისწული სომეხთა მეფისა კვრიკესი. სთხოვა ბაგრატ და არა მოსცა სომეხთა მეფემან. მიგზავნა ბაგრატ მოციქულად დიდძალად ერისთავი ვარაზ-ბაკურ გამრეკელი. იბირნა კაცხი სომეხთა მეფისანიცა, და სამშჳლდეს შემომავალი სომეხთა მეფე კვრიკე და ძმა მისი სუმბატ შეიპყრეს ქუეშის ჭალასა, და აცნობეს ბაგრატს. და წარვიდა ქვაკურელთათ მსწრაფლ, და მოგუარნეს პყრობილნი კლდეკართა ქუეშე. სთხოვა სამშჳლდე და არა მოსცეს, რამეთუ ერთი ძმა მათი ადარნასე შესრულ იყო სამშჳლდეს. ხოლო მიიყვანეს სამშჳლდეს და ამართეს ძელი, და გასუეს სომეხთა მეფე კვრიკე სამ დღე; ითხოვეს მშჳდობა და მოსცეს სამშჳლდე. ხოლო მოსრულ იყვნეს ორნი ერისთავნი სომეხთა მეფისანი: ლუკიის ერისთავი და კაშვაქარისა. აძლევდა და მოსცემდა სამთა ციხეთა სუმბატ, ძმა კვრიკესი: ოფრეთს და კოშკსა და ვარზაქარსა. ხოლო შეეწყალნეს ბაგრატ მეფესა: მისცნა და უთავისუფლნა ყოველნი ციხენი თჳნიერ სამშჳლდისა; და არცა სხუანი ციხეთა უფალნი, კაცნი დიდებულნი, შემოუშვნა, არამედ სამშჳლდე ოდენ იურვა სახლად თჳსად, და ეგრეთვე მონებდეს სომეხნი.

ხოლო დიდმან ბაგრატ მეფემან გაათხოვა ასული თჳსი მართა და შერთო ბერძენთა მეფესა.

ხოლო შემდგომად ამისსა გაათხოვა დისწული თჳსი და შერთო სპარსთა მეფესა სულტანსა. და შემდგომად სამისა წლისა გამოვიდა სულტანი, შემოვლო რანი და უგრძნეულად

შევიდა ჰერეთად. და მის ქუეყანასა დიდებულნი იყვნეს მორ-
თულ და ერთგულ ბაგრატისსა. და მას ჟამსა იყო ძცირედი
საქონლითა მეფე კახეთისა აღსართან, ძე გაგიკისი. და ყოველ-
თა დაყარნეს ციხენი მათნი, და ივლტოდეს კავკასიად. და იყო
ბაგრატ გალაშკრებული აღებად კახეთისა, და ლაშქარი მისი
წინა გაგზავნილი იყო ვეჟინის ერისთავსა თანა წირქუალელსა.
შეძოიქცეს მშვდობით, და უამბეს შემოსლვა სულტანისა და
დაყრა ციხეთა. შემოიქცა სწრაფით და მოვიდა ქუეყანად
თკად ქართლად.

ხოლო აღსართან მიერთო სულტანსა. მიუძღუანა ძღუენი
დიდი, დაუტევა სჯული, დაიცვთა წინა, აღუთქუა ხარაჯა; და
მისცნა ყოველნი ციხენი დაყრილნი სულტანმან მასვე: და რო-
მელნი აფხაზთა მეფისა კაცთა დაეყარნეს, და რომელნი თვთ
აღსართანისთა, მისცნა ყოველნი. და შემდგომად სამისა კვრი-
სა წარმოემართა აფხაზთა მეფესა ზედა. და მიერთნეს სომეხ-
თა მეფე კვრიკე, და ტფილელი ამირა, და აღსართან; შემოჰ-
ყვეს ქართლს თანა ჯაჭვთა. გაუშუეს მარბიელი ცისკრად, და
სამწუხროდ აღივსო ყოველი ქართლი, თუესა დეკემბერსა
ათსა, დღესა სამშაბათსა, ხოლო ქრონიკონი იყო ორასო-
თხმოცდარვა.

და იყო ქართლს შინა პური და ღვნო ფრიადი. და დაყო
ექუსი კვრა, და იწყო ოჯრებად და ჭოცად კაცისა, და გარდა-
ვიდა მარბიელი მისი არგუეთს. მიუწიეს და დაარბევეს ვიდრე
სუერის ციხემდე. და მოისრა ურიცხვ სული ქრისტიანეთა და
ტყუე იქმნა; და იქმნა საძაგელ ქუეყანა ქართლისა სახილვე-
ლად კაცთა: მოოჯრდეს ყოველნი ეკლესიანი და სიმრავლითა
მძორისათა არღარა დაედგმოდეს ქუეყანასა თუალნი; და ცოდ-
ვათა ჩუენთა მოსაგებელსა რისხვასა ღმრთისასა ზეცით ცეცა
წამებდა, და სისხლის მწუმელი ღრუბელი აღმოსავლეთით მო-
ეფინა ქართლსა ზედა; და იქმნა ღამე უკუნი, ვითარცა ნათე-
ლი დღისა. და იყო ხილვა მისი საშინელი და შესაძრწუნებე-
ლი, და არე-არე სისხლის წვმა ეხილვა კაცთა. და იქმნა ზამ-
თარი სასტიკი; რომელი გარდაეხუეწა და მიმართა მთათა,
მოსწყდა იგიცა სიფიცხისაგან ზამთრისა. ხოლო ყოველსა
ქართლსა შინა დადგა ლაშქარი, და თვთ თავადი სულტანი
დადგა კარბსა, და მერმე ჩამოდგა შერთულთა და აჭირვა
სიძნელემან ზამთრისამან და ბუქთა ძლიერთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მიგზავნა მოციქულად ივანე, ძე ლიპარიტისი, მეფემან ბაგრატ ძიებად მშვდობისა. ხოლო სულტანმაა შეაქცევინა აფხაზეთად ბაგრატისა, სთხოვა ხარაჯა და უქადა მშვდობა. ხოლო სიფიცხლისაგან ზამთრისა ვერღარა მოილოდინა და წარვიდა ქართლით. და ჩამავალმან წარულო ტფილისი და რუსთავი, და მისცა ფადლონს, განძისა პატრონსა. არათუ მეფეთა ჩუეხთა მტეროობისათჳს ოდენ ამოსწყჳდა ტფილისი და რუსთავი ამას საძეფოსა, არცა ამისთჳს ქმნა, თუმცა იგი ამირანი ორგულად დადგომილ იყვნეს კარსა მისსა ზედა, არამედ კეთილისა და მსახურებისა ნაცვლად ბოროტსა უყოფდიან ყოველსა კაცსა, რამეთუ მინდობილ იყვნეს იგინი მალსა ულმრთოებისა მათისასა, და იყვნეს იგინი ყოვლით კერძო მცბიერ. და ამის ქართლისა ოჴრებასა შინა იყო ლაშქრისა მისისა სიმრავლე ხუთასი ათასი.

და წარვიდა სულტანი ქუეყანად თჳსად. და ვითარცა მოიწია არე გაზაფხულისა, შეიქმნა სიმდიდრე წყალთა ძლიერი, და მტკუარი ვერღარა ეტია ნადინებსა თჳსსა, მოეფინა ველთა და წარიღო მრავალი სული, რომელი დარჩომოდა სულტანსა.

და ამისა შემდგომად იწყო ფადლონ ამპარტავანებასა და ურჯუებასა, და სიახლესა ტფილისისა სადა სადმე გამოყვანებასა ჴელოსანთასა. და ვითარცა იქმნა გაზაფხული, გარდამოვიდა მეფე ქართლად და ჩადგა დიდგორთა, რამეთუ საზაფხულო მეფეთა სადგომი არს ადგილი იგი. ხოლო ფადლონ არად შერაცხა დიდგორთა დგომა მეფისა. წარმოემართა ლაშქრითა, ოცდაცამეტი ათასითა კაცითა, მოვიდა ტფილისს და დაიბანაკა ველსა ისნისასა. ხოლო მუნ დაუტევნა კარავნი და აღმოვლო ღამე ყოველ მუხნარისა, და არბივნა ქართლისა ნაპირნი.

ხოლო ცნა ტფილისით გაღმართ აფხაზთა მეფემან ქართლისა ვნება, წარმოსლვა ფადლონისი, გამოგზავნა ხილვად ივანე ძე ლიპარიტისი, და ნიანია ძე ქუაბულისი, და მურვან ჯაყელი, ერისთავი ყუელისა, და მათ თანა სხუანიცა აზნაურნი მცირედნი რჩეულითა ლაშქრითა. ხოლო ქართლს ვერღარა ჩამოესწრნეს, შექცეულთა გაუსწრეს მუხნარს წინა წილკნის გორთა თანა. უკანასა კერძსა შეებნეს და პირველსავე ჴრმლისა მოკიდებასა გააქციეს ფადლონ. და მიადგა ფადლონის ლაშქარი გაქცეული ხრამსა ნარეკუავისასა, მიჰჴოცდეს და

იპყრობდეს აფხაზთა მეფისა ლაშქარნი, და აღმოიგო ხრამი
იგი ცხენითა და კაცითა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ზედა ლაშქარმან მეოტმან გასლვა იწყო შობის ტყეთ. და ყოველთა ტყეთაგან და ძეძუნართაგან, ვითა ჭუისა მართუეთა, გამოჰკრებდეს დამალულსა ლაშქარსა ფადლონისსა ბაგრატის ლაშქარნი. და შემოუსწრეს წინა იწროსა ღართისასა, და მცირედნი ვინმე გაესწრნეს და სდევნა ლაშქარმან ბაგრატისმან ვიდრე მთამდე ხერკისა. მოსრეს და ტყუე ყვეს ლაშქარი ფადლონისი. ხოლო ფადლონ თხუთმეტისა ოდენ ცხენოსნითა წარვლო გზა წილკნისა, და მიეხვნა პირსა არაგვსასა, და გაჰდა ნარღუევთა გზით ერწოდ, და თქუა თავი თჳსი მოციქულად, ვითარმედ: „ფადლონის მოციქული ვარ და მახარობლად მივალ აღსართანის თანა; აფხაზთა მეფისა ლაშქარი გავაქციეთ“.

დახუდა კაცი ვინმე მეცნიერი, რომელი იცნობდა ფადლონს, და რქუა: „არა ხარ შენ მოციქული, არამედ ხარ ამირათ-ამირა ფადლონ“.

და რქუა კაცსა მას ფადლონ: „მიიღე ჩემგან ოქრო და ვეცხლი დიდძალი და საკარგავნი მრავალნი, და ნუ შემიწამებ; გარდამიყვანე მინდორად და წამომყევ თანა“.

რქუა მას კაცმან: „ვერ ვიქმ საქმესა მაგას, რამეთუ მკჳდრი ვარ ამის ქუეყანისა. აწ ისმინე ჩემი და მომყევ თანა, და მე მიგიყვანო აღსართანის თანა, და მან გაგგზავნოს ქუეყანასა შენსა“.

ნებსით არა უნდა ესე ფადლონს, არამედ ერწოდ ვერღარა შემძლებელ იყო წარსვლად. წარუძღუა კაცი იგი და მიჰგუარა ჟალეთს ისაკ ტოლოშელის ძესა, აზნაურსა მესხსა. ხოლო რა ცნა ფადლონის კარად მისლვა, გაძარცუა ერისა ფადლონისი, გარდაყარნა ცხენსა და დაიჭირნა ჴელთა, და გასუა ჯორსა ფადლონ. და არა იჴსენა ისაკ მკჳდრობა აფხაზთა მეფისა, რომელმცა აფხაზთა მეფისაგან გაქცეული ფადლონ შეიპყრა, და შეგუარა ბოჭორმას ბაგრატისთჳს. არამედ მსწრაფლ წარიყვანა და მიჰგუარა აღსართანს თელავს. ხოლო აღსართან მსწრაფლ წარიყვანა ხორნაბუჯს, რამეთუ აფხაზთა მეფისაგან ეშინოდა უკანა ჩამოდგომისა. მიუპყრეს ხორნაბუჯს ფალდონ, და მისცა ხორნაბუჯი. წარიყვანეს არადეთად და მისცა არადეთი აღსართანსვე.

ხოლო ბაგრატ შეშინდა გაშუებასა ფადლონისასა, მისცა ბოჭორმა და უჯარმო კათხა, და წამოიყვანა ფადლონ. გასუეს ძელსა და მიუპყრეს ტფილისსა; და აილეს ჭირვეულად ტფილისი, რამეთუ მუნ შინა მდგომი კაცი თვთ გაამირებასა ლაშობდა, და არა დაიჭირა ბაგრატ თავისად ტფილისი, არამედ დმანისს დატეეებული სითლარაბი ძებნა, შემოიყვანა ტფილისად, და მისცა მას ტფილისი. ხოლო თავისად აღიხუნა ციხენი: რუსთავი, ფარცხისი, აგარანი, გრიგოლწმიდანი, ქავაზინი, და ორმოცდათხი ათასი დრაჰკანი, და მძეგალნი ძმისწულნი მისი, ძე მანუჩარი, და სამთა თავადთა განძისათა.

და მოგზავნა სულტანმა საარანგი ალხაზი, და მისითა შუამდგომლობითა და სიტყუთა სულტანისათა დაეზავა ბაგრატ და განუტევა ფადლონ, და გაგზავნა საკელმწიფოსა თვსსა განძას, და წარჰყვა საარანგი თანა.

და მოართუნეს გაგით კლიტენი, და აღიღო აფხაზთა მეფემან გაგი. შემდგომად ამისსა ფადლონმა გატეხნა ფიცნი და შუამდგომლობანი დიდისა სულტანისანი, და მოიპარა ქავაზინი. და შემდგომად მისსა მეფე აფხაზეთს იყო, მოვიდა ფადლონ და მოადგა აგარათა; და მისცნა ციხისთავმან აგარანი. და მსწრაფლ აღმოვიდა მეფე, მივიდა და მოადგა აგარათა. და წარიხუნა აგარანი.

და გამოიყვანა დორღოლელი, ოვსთა მეფე, ორმოცი ათასითა კაცითა ოვსითა, და წარუძღუნა ძე მისი გიორგი კურაპალატი და მოაოჯრა განძა, და აღიღო ტყუე და ნატყუენავი ურიცხვ, და გაგზავნა თავის სამეფოდ. ამისა შემდგომად აღისურვილა დიდმან ოვსთა მეფემან დორღოლელმან დისიძისა მათისა ბაგრატისა სევასტოსისათვს, და ითხოვა დარბაზობა ბაგრატისგან. ხოლო ბაგრატ ნება სცა და მხიარულად წარმოემართა ოვსთა მეფე ყოვლითა თავადითა ოვსეთისათა, და აღმოვლო გზა აფხაზეთისა და მოვიდა ქუთათისს. და ნახა დაი მათი დედოფალი, დედა გიორგი კურაპალატისა; რამეთუ გიორგი კურაპალატი გებულ იყო უწინა, და მოიყვანეს ქართლს. და მეფე დგა ტინისჯიდის ჭალასა, ნადარბაზევს, და მოეგება წინა დიდითა ზიარმითა და პატივითა.

შეკრბეს ერთგან კეზუთა ზედა. და იყო სიხარული და ჯმა ბუკთა და დუმბულთა საშინელი და მიუწდომელი. და დაყვეს ერთგან დღე თორმეტი, და განისუენეს ყოვლითა განსუენები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა და სიხარულითა. და მიზეზითა ზამთრისათა გაისწრაფეს, და მისცა ნიჭი და საბოძვარი მეფესა და ყოველსა დიდებულსა ოვსეთისასა. გაგზავნა და წარვიდეს სიხარულითა.

და შემდგომად ამისსა არებდა სულტანი მოციქულთა, და უკრებდა ძღუენთა ბაგრატ მეფესა, ამოთა ენითა სთხოვდა ხარაჯასა. ხოლო არა დაიდვა ბაგრატ მეფემან ხარაჯა, არამედ ავლენდა იგიცა მოციქულთა, და უკრებდა იგიცა ძღუენსა. და იყო მათ შორის სიტყვთ სიყუარული.

და შემდგომად მცირედთა წელიწადთა სამშჯლდის ტბათა მდგომსა ბაგრატ მეფესა დაეცა სალმობა მუცლისა, და ჩადგა მარაბდათა. და გაუძნელდა სალმობა, და ტახტითა წარმოიყვანეს, და თანა ჰყვა გიორგი კურაპალატი და ყოველნი დიდებულნი მისნი. ხოლო გიორგი კურაპალატი გაგებულ იყო წინა, და მოიყვანეს ქართლს მეფე, და ყოველნი დიდებულნი მისნი მუნ მოვიდეს. და მოვიდა დედა მისი მარიამ დედოფალი, და ცოლი მისი ბორენა, და ასული მისი მარიამ. და შემდგომად მცირედთა დღეთა მიათუალა ძე მისი გიორგი კურაპალატი მეფედ დიდებულთა ამის სამეფოსათა, და ყოველნი შეჰვედრნა მას, და რქუა დედასა თჳსსა: „დედაო, მეწყალი შენ, რამეთუ ყოველნი შობილნი შენნი წარგჳქციენ წინა და ეგრეთცა შენ მოჰკუდები“. და შემდგომად ამისსა მიიცვალა თუესა ნოემბერისა ოცდაოთხსა, ქრონიკონსა ორასოთხმოცდათორმეტსა.

და ამისვე ბაგრატის სიკუდილისა ჟამსა შინა მოიკლა სულტანი კაცისა ვისგანმე, ბერისა თურქისაგან, თავის ლაშქართა ხარგასა შინა. გაევლო ჯეონი შჳდასი ათასითა კაცითა, გაელაშქრა თურქთა მეფესა ზედა, სამარკანდისა სიახლესა ციხესა რომელსამე მოადგა; და მოიკლა მის ციხისა პატრონისა თურქისა მიერ. და ვერღარა შეესწრა თურქი იგი ციხესა, და დაჭრეს უწყალოდ მახჳლითა. და ვერღარა ცნეს ბაგრატ და სულტანმან ერთმანერთისა სიკუდილი.

შემდგომად ამისსა დაჯდა ძე ბაგრატისი გიორგი კურაპალატი მეფედ.

და არა აფრინდა ყოველსა შინა მამულსა მისსა ერთიცა ქათამი, და დიდითა დიდებითა და პატივითა წარიყვანეს და დამარხეს ჭყონდიდს. ესე მეფე ბაგრატ წელიწდისა ცხრისა მეფე იქმნა, და აღესრულა წლისა ორმოცდათექუსმეტისა. ესე

ბაგრატ პირველ იყო კურაპალატი, და შემდგომად ნოველისი-
მოსი, და მერმე იქმნა სევასტოს. იყო კაცი სახითა უშუ[illegible]
რესი ყოველთა კაცთასა, სრული სიბრძნითა, ფილოსოფოსი-
ენითა, სვანი ბედითა, უმდიდრესი ყოველთა მეფეთა აფხაზე-
თისათა, მოწყალე შეცოდებულთათჳს, უხვ ალაგთა ზედა. ხო-
ლო ჟამთა მისთა ქუეყანასა დაწყნარება არა ჰქონდა: ეკლესი-
ანი და გლეხნი, აზნაურნი და გლახაკნი ვერ იკითხვებოდეს.

ხოლო გიორგი მეფე იყო მოწყალე და განმკითხველი გლა-
ხაკთა, კაცი საშიში და უუხუესი ყოველთა მეფეთა აფხაზეთი-
სა, და პურად უკეთესი ყოველთა კაცთასა, ცხენოსან-მშჳლ-
დოსანი რჩეული.

და შემდგომად მამისა მისისა დაყო მშჳდობით ზამთარი
ერთი და ზაფხულისა ნახევარი. ხოლო შემდგომად თავადთა
ამის სამეფოსათა ნიანია ქუაბულის ძემან, და ივანე ლიპარი-
ტის ძემან, და ვარდან სუანთა ერისთავმან, რეცა თუ იკლეს
რამე სიყრმითა გიორგი მეფისა, და აუშალეს ქუეყანა: ივანე
მოირთნა კახნი და დადგა ქსნის პირსა; და ნიანია წარუღო
ქუთათისისა საჭურჭლე და შედგა ქუთათისს შიგა, და ვარდან
გაადგინნა სუანნი ავისა მოხარკულნი, დაარბიეს და ამოს-
წყჳდეს საეგრო.

ხოლო გიორგი მეფემან სძლო სიკეთითა, სიბრძნითა, და
ძჳრუჴსენებელ იქმნა: უბოძა ივანეს სამშჳლდე; და ძესა ივა-
ნესსა ლიპარიტს მისცა ლოწობანნი ნაცვლად რუსთავისა, რო-
მელი მიეცა კახთა; და ნიანიას თმოგჳ და სხუანი საქონელნი
რჩეულნი; ვარდანს უბოძა ასკალანა და ოთაღო ჭაჭას ძესა, ივა-
ნეს სიტყჳთ, უბოძა... და ყოველივე ერთგული და ორგული
დაფარა წყალობითა, და დაიწყნარა მეფობა თჳსი გიორგი მე-
ფემან.

კუალად გადგა ივანე ლიპარიტის ძე, და ცნა გიორგი მე-
ფემან. ქუთათისით გარდამოვიდა სამცხეს, მოირთნა მესხნი,
გარდამოიარა და მივიდა სამშჳლდისკარსა. მუნ მოიყვანა კახ-
თა მეფე აღსართან. ვერ დადგა ივანე ციხეშიგან, მირიდა მთა-
თა სამხრისათა. და მას ვერწყობილობასა შინა წაიხუნა ლო-
წობანნი ლიპარიტისაგან აღსართან. მოეყარა სამშჳლდესა,
გარდადგა ჯავახეთს, და მოიყვანა მეფეთ-მეფემან გიორგი მათ
წინაშე, და დაიფიცნეს ეკრანთას, და დაიმტკიცა ივანე კლდე-
კართა და სამშჳლდესა ზედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუალადცა გადგა ივანე, გამოსტყუა გაგი ციხოვანთა გიორგი მეფისათა, და მიჰყიდა ფადლონს, გახძის პატრონსა. და მოვიდა სულტანი მალიქშა მტერად ყოველთა ქრისტიანეთა. მიაგება ივანე ძე მისი ლიპარიტ წინა, შეაწყნარა სულტანსა, და დაყო მის თანა მცირედი ხანი და გამოეპარა. და მოვიდა სულტანი, და მოადგა სამშჯლდესა, და წარუღო სამშჯლდე, და ტყუე იქმნა ივანე თავითა, ცოლითა და შვილისშვილითა და ყოველთა აზნაურთა დედაწულითა, და დაიჭირა სამშჯლდე სულტანმან და მუნ დგომასა მოარბია ქართლი, წაიღო ტყუე და ხატყუენავი ურიცხვ, და შეიქცა გარე. და აიღო განძა, და დაადგდო სარანგი თავადად განძას და ბრძოლად ქუეყანისა ყოვლისა, ორმოცდარვა ათასითა კაცითა. შედგა ფადლონ ციხეთა მაგართა, და ვერ დაუდგნა, გამოიყვანეს და დააპატიმრეს იგიცა.

შემდგომად მცირედისა ხანისა შეკრბა სარანგი ყოვლითა ლაშქრითა მისითა და განძისათა, დვინისა და დმანისისა ამირათა თანადგომითა, და მომართა გიორგი მეფესა. შეკრბა გიორგი მეფეთ-მეფე ყოვლითა სპითა მისითა, ზემოთა და ქუემოთა, და მოიყვანა მათ წინაშე აღსართან, კახთა მეფე, და დაჰმართეს ერთმანერთსა. განაძლიერა ღმერთმან გიორგი მეფე; წარძლუანებითა პატიოსნისა ჯუარისათა მიუჴდა ზედა, ფარცხისს ქუემოთ, და იოტა ბანაკი სარანგისი: გააქცია და ასწყვდა: იყო ჟამი მწუხარისა, და სიღამემან დაარჩინა ნეშტი სარანგის ლაშქრისა, და შემოიქცა უკლებლად და მშჯდობით მეფეთ-მეფე გიორგი თავისა სამეფოსა.

და შემდგომად ამისსა მომადლა ღმერთმან მძლავრებისაგან ბერძენთასა წახმულნი ციხენი. წაუხუნა ბერძენთა ანაკოფია, თავადი ციხეთა აფხაზეთისა, და მრავალნი ციხენი კლარჯეთისა, შავშეთისა, ჯავახეთისა და არტანისა. და შემდგომად ამისსა ესეცა მომადლა ღმერთმან, აღიღო ქალაქი კარისა, ციხე-ქუეყანა, და სიმაგრენი ვანანდისა და კარნიფორისანი, და იოტნა თურქნი მის ქუეყანისანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი]

ამისა შემდგომად მოვიდა სულტანი მალიქ-შა, მოადგა სამშვილდესა და წარიღო, და ივანე ძე ლიპარიტისი ტყუე-ყო, მოაოკრა სომხითი და წარვიდა. ხოლო მასვე წელსა მოვიდა სარანგი ძალითა სულტანისათა, ჩამოდგა სამშვილდის ბარს; და მივიდეს ლაშქარნი გიორგი მეფისანი, შეიბნეს ფარცხისს, სძლიეს სპათა გიორგისთა და იოტნეს სპარსნი, რამეთუ დიდი ძლევა მოსცა ღმერთმან გიორგის.

და წარვიდა მეფე გიორგი მამულსა თჳსსა ტაოს, და მოვიდა ბანას.

ხოლო მუნ მოვიდა წინაშე მათსა ზორვარი აღმოსავალისა გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისნი, და კარნუქალაქი, და კარი, და დიდად განიხარეს და განისუენეს. და მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა, და განიყარნეს. ხოლო მეფემან გიორგი დაუტევნა კარს აზნაურნი შავშნი და წარმოვიდა შინა. ხოლო განძლიერებასა თურქთასა დაუტევნეს ბერძენთა ქუეყანანი მათნი, ციხენი და ქალაქნი, რომელ აღმოსავლეთს ჰქონდეს, და წარვიდეს. რომელნიცა აიხუნეს თურქთა და დაემკჳდრნეს მას შინა. და ვინათგან მეზობლობით მოეახლნეს საზღვართა ჩუენთა, განმრავლდა შიში და ჭირი მათგან ჩუენ ზედა. რამეთუ იწყეს მიერითგან რბევად, ტყუენვად და მოოკრებად, წუად, სრვად და ტყუეობად ჩუენ ქრისტიანეთა.

რამეთუ მათ ჟამთა შინა გიორგი მეფესა, ყუელს გარედგომასა, დაესხნეს უგრძნეულად თურქნი დიდნი, რომელთა თავადი იყო აჰმად, ამირა ძლიერი და მაგრიად მოისარი, რომელსა მას ოდენ ჟამსა აეღო კარი. მოვიდეს ესენი შინაგანცეზითა ქრისტიანეთათა, აოტეს გიორგი მეფე და სპა მისი ურიცხვ.

ხოლო საჭურჭლენი დიდნი და სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლათანი, ოქროსა და ვეცხლისანი, ბაგრატეულნი სასმურნი და სამწდეონი პატიოსანნი, კარავნი სამეფონი და ყოველთა დიდებულთა აიხუნეს იავარად და წარვიდეს. ხოლო გი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორგი მეფე წარვიდა მეოტი აჭარით აფხაზეთად. მათ უკუე ლაშქართა, ესევითარითა ალაფითა სავსეთა მიმავალთა, წინა დაემთხვენეს ამირანი დიდნი, ისა ბარი და აბუ-იაყუბ, და მათ თანა სიმრავლე ურიცხვ თურქთა, საბერძნეთს მიმავალთა. რომელთა იხილეს რა ესეოდენი სიმრავლე ოქროსა და სიმდიდრისა, რომელი ჰქონდა, და ცნეს მეოტობა გიორგისი, და ესმაცა მათგან, ვითარმედ: „რად წარხვალთ საბერძნეთად? აჰა ქუეყანა საქართველო, უკაცური და სავსე ესევითარითა სიმდიდრითა". ხოლო მათ მყის მოაქციენეს გზანი მათნი და მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი.

და დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვისპირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა. მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკჳდრი ყოველი. და მასვე ერთსა დღესა დაწუეს ქუთათისი, და არტანუჯი, და უდაბნონი კლარჯეთისანი. და დაყვეს ამათ ქუეყანათა შინა თურქთა ვიდრე მოსლვადმდე თოვლისა, მოჭამეს ქუეყანა და მოსწყჳდეს, თუ სადღა ვინ დარჩომილ იყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ჯურელთა ქუეყანისათა. და ესე იყო პირველი და დიდი თურქობა; რამეთუ ქრონიკონი იყო სამასი. ხოლო თუ ვინმე მთიულეთს ანუ სიმაგრეთა სადამე ვინ დამთა კაცი, ზამთრისა სიფიცხითა, უსახლობითა და შიმშილითა ეგრეცა მოისრა.

და განგრძელდა ესევითარი ჭირი ქრისტიანეთა ზედა; რამეთუ არესა თანა გაზაფხულისასა მოვიდიან თურქნი და მათვე პირველთა საქმეთაებრ იქმოდიან, და ზამთრის წარვიდიან. და არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა: მოოჯრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა, და ნაცვლად კაცთა მჴეცნი და ნადირნი ველისანი დაემკჳდრნეს მას შინა. და იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკჳდრთა ქუეყანისა, შეუსწორებელი და აღმატებული ოდესვე ყოფილთა სმენილთა და გარდასრულთა ოჯრებათასა. რამეთუ წმიდანი ეკლესიანი შექმნეს სახლად ჭუნეთა თესთა, ხოლო საკურთხეველნი ღმრთისანი ადგილად არაწმიდებისა მათისა. და მღდელნი რომელნიმე თჳთ შეწირვასავე შინა სალმრთოსა მსხუერპლისასა მუნვე მახვილითა შეწირულ იქმნეს და სისხლნი მათნი აღირიცხეს მეუფისათა თანა. და რომელნიმე მწარესა ტყუეობასა მიცემულ იქმნეს, მოხუცებულნი არა შეწყალებულ იქმნეს, ხოლო ქალწულნი

გინებულ, ჭაბუკნი დაკუეთებულ, ხოლო ჩჩვლნი მიმოდაბა-
ცებულ. ცეცხლი უცხო და მბრძოლი, რომლითა მოიხმეს ეკ-
ნებული ეოველი, მდინარენი სისხლთანი, ნაცვლად წყლისა
ნაკადულთა, მრწყველნი ქუეყანისანი. და რათა თვთ მათ იე-
რემიასათა ვიტყოდით, რამეთუ ამან ოდენ კეთილად უწყოდა
ეამისა ამის ჯეროვანი გოდება, ვითარმედ: „ძენი სიონისანი,
პატიოსანნი და ბოროტისა გამოუცდელნი, უცხოთა გზათა
ტყუეობისათა მოგზაურობენ. ხოლო გზანი სიონისანი იგლო-
ვენ არაყოფისათვის ჭაჟ ზედა მედღესეასწაულეთასა. და ჭელ-
ნი დედათა მოწყალეთანი არა საზრდელისა შვილთა მიცემად
მოქმედებენ, არამედ საზრდელ თვსსა ჰყოფენ თვთ თვსთა მათ
საყუარელთა“. და ესენი ესრეთ და ფრიადცა უძვრეს.

ამათ რა საქმეთა ესრეთ ხედვიდა მეფე გიორგი და რამე-
თუ არასადათ იყო ღონე ჴსნისა და შეწევნისა, არცა რა დამჴს-
ნელი ამათ ძვრთა, რომელ მოეცვა პირი ყოვლისა ქუეყანისა,
რამეთუ ძალი ბერძენთაცა შემცირებული იყო, და რომელნი
ქუეყანანი მათ აღმოსავლეთს ჰქონდეს ზღუასა გარეთ, ყოვე-
ლი თურქთა დაეპყრა. მაშინ ჰყო განზრახვა დიდებულთა
თვსთა თანა, და დაამტკიცეს წარსვლა მაღალსა სულტანსა მა-
ლიქშას წინაშე.

და ესრეთ დადვა სული თვსი და სისხლი ქრისტეანეთა
ჴსნისათვს. და მინდობითა ღმრთისათა და წარძღუანებითა
ძელისა ცხოვრებისათა წარვიდა ასპანს, ნახა სულტანი და
შეწყნარებულ იქმნა მისგან ვითარცა შვილი საყუარელი.

რამეთუ იყო კაცი იგი მალიქშა ვითარცა სიდიდითა კიდე-
თა მპყრობელობისათა შეუსწორებელ, ეგრეთვე სახითა სიტ-
კბოებისათა და სახიერებითა აღმატებულ ყოველთა კაცთასა,
რომლისანი მრავალ არიან და სხუანიცა ურიცხუნი საცნაურე-
ბანი, მართალმსაჯულობანი, მოწყალებანი, ქრისტიანეთა სი-
ყუარულნი, და, რათა არა განვაგრძოთ სიტყუა, ყოვლად
უბოროტო რამე გონება ყოვლით კერძო აქუნდა. ამისთვსცა
ყოველი სათხოველი აღუსრულა მეფესა გიორგის, უმეტესცა
სასოებისა. და სამეფო მისი განათავისუფლა ზედამარბეველ-
თაგან და მოსცა კახეთი და ჰერეთი, გარნა ხარაჯა ითხოვა სა-
მეფოსა მისისა, რომელსა აიღებდეს ეამთა მრავალთა. და ესრე
განდიდებითა და მრავლითა დიდებითა გამოგზავნა თვსად სა-
მეფოდ და წარმოაყოლნა სპანი დიდნი, რათა წარვლონ გზა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მშჯდობისა და რათა აართვან კახეთი. და ქამსა სოფულისასა მოვიდეს კახეთად და მოადგეს ციხესა ვეჟინისასა და, ვიდრე ბრძოლესლა, მოვიდა თოვლი.

ხოლო მეფესა გიორგის მოეკვეენა ნადირობა აჯამეთისა, არღარას ზრუნვიდეს სხუასა, არცა ელოდა აღებასა ვეჟინისასა და კახეთისა, არამედ ლამჭართა თურქთასა, რომელ ჰყვა, მისცა ნიჭად სუჯეთი და ყოველი ქუეყანა იორისპირი კუხეთი, რომელი მოოჯრდა მუნ დღეინდელად დღედმდე. ხოლო თჳთ გარდავლო მთა ლიხთა და შთავიდა აფხაზეთად.

მათ ჟამთა კახთა მეფე აღსართან წარვიდა მალიქშას წინაშე, დაუტევა ქრისტეანობა და შეეძინა სარკინოზთა სჯულსა, და ამით ლონითა აიღო სულტანისაგან კახეთი. ამათ ესევითართა ჟამთა არავე დამშჯდნა ქუეყანა, არცარა იქმნა ლხინება კაცთა უკეთურებისათჳს მკჳდრთა მისთასა, რამეთუ ყოველმან ასაკმან და ყოველმან პატივმან ყოვლითურთ შესცოდეს ღმერთსა და მიიქცეს გზათაგან წრფელთა ყოვლისა მიმართ უკეთურებისა, და ბუნებით მოწყალე და სახიერი ღმერთი ესეოდენ განარისხეს, ვიდრემდის თჳთ მოიხადეს განჩინება რისხვისა, ქადებული უსჯულოთათჳს ესაიას მიერ მეტყუელისა ესრეთ: «ვაჲ ნათესავსა ცოდვილსა, ერი რომელი სავსე არს უსჯულოებითა, კუალითგან ფერჯთათ ვიდრე თავადმდე, არა არს მას შინა სიცოცხლე, არცა ბრძჳლ, არცა შესახუეველ» და შემდგომნი: «ამისთჳს ქუეყანა თქუენი ოჯერ, ქალაქნი ცეცხლითა მომწუარ, სოფელთა თქუენთა უცხოთესლნი მოსჭამდენ, და მოოჯრებულ და დაქცეულ არს ერისაგან უცხოტომთასა».

ესე ყოველი მოიწია, და თუალითა ჩუენითა ვიხილეთ და ფრიად უფროს ამათ წარმოთქმულთასა, რამეთუ ვითარმცა ვინ გამოთქუა თითოეულად რომელი დღეთა ჩუენთა მოიწია ჭირი. ამას ყოველსა ზედა არავე დასცხრა გულისწყრომა უფლისა ჩუენ ზედა, რამეთუ არა შევინანეთ, არცა გულისხმაყოფეთ, არცა ჯეროვნად მოვიქეცით გზათა მიმართ უფლისათა. ამისთჳსცა ქუეყანით მავალთა ბოროტთა ზედა სხუანიცა საშინელებანი ზეგარდამონი, ღმრთისა მიერ მოვლინებულნი გუემანი მოიწივნეს ქუეყანასა ჩუენსა ზედა, რათა არა თქუან მცოდველთა, ვითარმედ: „ესე აღძრვანი წარმართთანი არა ცოდვათა ჩუენთათჳს იქმნნეს, არცა ღმრთისა მიერ მოიწივ-

ნეს, არამედ შეცვალებითა რათამე ჟამთათა და დამთხვევითა
ალძრვისა საქმეთათა".

ამისთვსცა დღესა ალვსებასა თჳთ მას ალდგომასა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა, რომელსა შინა სიხარული და განსუენება ჯერ იყო, ძოხედნა უფალმან რისხვითა და შეძრა ქუეყანა საფუძველითურთ, ესეოდენ სასტიკად, ვიდრეადის მთანი მალალნი და კლდენი მყარნი სახედ ძტუერისა დაიგალნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღუეს, ეკლესიანი დაეცუეს, და სახლნი დაინთქნეს და დაზულეს, და იქმნეს საფლავ მას შინა მკუდრითა. რომელთა თანა თმოგჳცა დაიქცა და დაიპყრნა ქუეშე კახაბერი ძე ნიანიასი ცოლითურთ. და განგრძელდა ესევითარი ძრვა ქუეყანისა საშინელი ვიდრე წელიწდამდის, რომელსა შინა მოსწყდა სიმრავლე ურიცხჳ.

მაშინ რისხვასა შინა მოიკსენა წყალობა მან, რომელი „სწავლის ყოველსა შვილსა, რომელი უყუარს, მოაკუდინებს და აცხოვნებს", რომელი მზა არს წყალობად, უფროს ძამისა მოწყალისა, რამეთუ წერილისაებრ: „არათუმცა უფალმან დამიტევა ჩუენ თესლი, ვითარცა სოდომნიმცა შევიქმნენით და გომორელთამცა მივემსგავსენით". რამეთუ ამიერითგან იწყეს ნიავთა ცხოვრებისათა მობერვად და ღრუბელთა მაცხოვაებისათა ალმოჴჳრობად, ვინათგან ათორმეტ წელ ამათ თჳთოსახეთა ჭირთა განგრძობითა ბნელსა უკუნსა შინა იწყო ალმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელმოდგამმან დავით, ღმრთისა მამისამან, და თჳთ სამეოცდამეათურამეტემან შვილმან ამის დავითინსმან, დავით.

მას ჟამსა იყო ჰასაკითა თექუსმეტისა წლისა, ხოლო ჭრონიკონი სამას და ცხრა. ამას მარტოდ შობილსა გიორგ სგან თჳთ მამამან დაადგა გჳრგჳნი მეფობისა და, უჴეშმარიტესი ვთქუათა, „თჳთ მამამან ზეცამან პოვა დავით, მონა თჳსი, და საცხებელი მისი წმიდა სცხო მას. რამეთუ ჴელი მისი შეეწეოდა მას, და მკლავმან მისმან განაძლიერა იგი»; «წყალობა და ჭეშმარიტება შეემოსებოდა მას»; და «უზეშთაეს ყო იგი უფროს ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა» ვიდრემდის «დავსდვა ზღუასა ზედა ჴელი მისი და მდინარეთა ზედა მარჯუენე მისი». გარნა შრომითა ფრიადითა და ღუაწლითა ძლიერითა მრავალ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თა დღეთა შემდგომად იქმნა ესე, ვითარცა წინამდებარემან ჩიტაყუამან ცხად-ყოს.

რამეთუ მეფე იქმნა რა დავით, მოოჯრებულ იყო ქართლი და თჳნიერ ციხეთა სადამე არასადა იყო კაცი სოფელსა შინა, არცარა შენებულობა. და მათ ჟამთა შინა ჰქონდეს თრიალეთი და კლდეკარნი და მიმდგომი მისი ქუეყანა ივანე ლიპარიტის ძესა, და მეფესა დავითს წინაშე იყო რეცა ერთგულად. ეგრეთვე ნიანია კახაბერის ძეცა და სხუანიცა აზნაურნი მცირედ-მცირედ შემოკრბიან დაშთომილნი სადავე და სოფლებადცა იწყეს შთამოსლვად და დასხდომად.

და იყო მაშინ საზღვარი სამეფოსა მთა მცირე ლიხთა, და სადგომი სამეფო წალულისთავი. და ოდესცა ნადირობა უნდის ქართლისა ჭალათა, ანუ ნაჭარმაგევს, რომელი ყოვლად აღსავსე იყო ირემთა და ეშუთა მიერ, ხოლო ცხენკეთილნი კაცნი ჩამოგზავნიან და გაინახიან; ეგრეთოლა ჩამოვიდიან ნადირობად ვაკესა.

ხოლო ამა ვითარებასა შინა გარდაჯდა წელიწადი ოთხი, მოკუდა სულტანი მალიქშა და ივანე ლიპარიტის ძე ამირამან იწყო მათვე მამულპაპურთა კუალთა სლვა, რამეთუ ზაკვდა წინაშე მისსა მოპოვნებად უსჯულოებისა. დაღათუ ქრისტიანე იყო სახითა, გარნა ორგულება და სიძულილი პატრონთა გუარისაგან მოაქუნდა გონებითა. და ვინათგან გულისხმის-ყოფა არა ინება კეთილისა, დადგა ყოველსა გზასა არაკეთილსა.

ამას რა ესევითარებასა ხედვითა დავით, ინება გაწურთა მისი. ამისთჳსცა პყრობილ ყო იგი ჟამ რაოდენმე, რომელი კმა იყო განსასწავლელად გონიერისა ვისმე. და ესრეთ მომტკიცებული მრავალთა და მტკიცეთა ფიცთა მიერ და ერთგულობისათჳს ღმრთისა შუამდგომელად მომცემი განუტევა იგი. და მითვე დიდებითა ადიდა და არა შეუცვალა. რამეთუ კეთილმან არა თუ მართალსა, არამედ არცალა თუ ბოროტსა ადვილად აბრალის, ვინათგან სიბოროტედ არა განსწავლულ არს, არცა მეჭუელ.

ხოლო იგი ვითარცა ძალი მიექცა ნათხევარსა და ვითარცა ღორი ინწუბა სანგორელსა მწჯრისასა: განაცხადა მტერობა და უკეთურებასა იწურთიდა საწოლსა ზედა თჳსსა. იხილა რა მწჯდმან და ღმრთივგანბრძნობილმან მეფემან დავით, რამეთუ კუდი ძალისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად

ვალს, მეორესა წელსა კუალად შეიპყრა, ორ წელ პყრობილ-ყო, და საბერძნეთს გაგზავნა. და მუნ განეკუა ცხორებასა.

ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალემი და ანტიოქია, და შეწევნითა ღმრთისათა მოეშენა ქუეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს. რამეთუ ვიდრე აქამომდე ზამთრისა მოწევნასა თანა ფალანგებითა მათითა ჩამოდგიან ჰავჭალას და დიღომს, ჩაღმართ მტკურისა და იორის პირთა, რამეთუ მათი იყო სადგური.

კახეთს მეფობდა კვრიკე, კაცი მეფობისავე თანა მეფექმნილი ვნებათა ზედა და ჭეშმარიტი ქრისტიანე. მისცა ჟამი ღმერთმან მეფესა დავითს და წარუღო კვრიკეს ციხე ზედაზადენი. ქრონიკონი იყო სამას ოცდასამი. და წარემატებოდა დიდებითა და განმარჯუებულობითა. რომელთა თანა ესეცა იქმნა: მოკუდა რატი, ძე ლიპარიტისი, კაცი ორგული და ნანდვლვე ნაშობი იქედნესი. ესრეთ დასრულდა სახლი ბაღვიოვაშთა, სახლი განმამწარებელთა, რამეთუ სუა უკანასკნელი თხლერისხვისა, სასუმელი ცოდვილთა ქუეყანისათა. და არღარავინ დაშთა საყოფელთა მათთა მკვდრი, რამეთუ აღიკვნა უსჯულოება მამათა მათთა წინაშე უფლისა, და მამული მათი აღიღო მეფემან.

და შემდგომად წელიწდისა ერთისა მიიცვალა მეფე კვრიკე, და დასუეს კახთა მეფედ ძმისწული კვრიკესი ალსართან, რომელსა არარა ჰქონდეს ნიჭნი მეფობისანი, რამეთუ იყო ცუნდრუკი რამე, უსჯულო და უმეცრად უსამართლო, და ყოვლად წინაუკმო მამისძმისა მისისა.

მას ჟამსა განიცადა მეფემან გონებისა თუალითა და კეთილად გულისხმა-ყო საქმე, რომლითა მოიმადლებდა ღმერთსა და სარგებელი დიდი იქმნებოდა.

რამეთუ წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ ყვნეს, და ულირსთა და უწესოთა მამულობით უფროს ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი, ვითარცა ავაზაკთა, და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინნეს, რომელნი ნაცვლად სჯულთა საღმრთოთა უსჯულოებასა აწურთიდეს მათ ქუეშეთა ყოველთა. და თჳთ სახლით უფლისათ და მღდელთაგან გამოვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოდა ყოველი უსჯულოება და ცოდვა, რომელთა თუალი ღმრთისა ხედვიდა ყოველთა და განრისხებულ იყო, ვითარცა ზემო ვთქუთ.

და რამეთუ არა სწორ არს ცოდვა მღდელისა და მჴედრისა, არცა ერისა და მღდელთმთავრისა, არცა მწყემსისა და სამწყოსა, ვითარცა წერილ არს: «მონამან რომელმან იცოდის ნება უფლისა თჳსისა და არა განემზადოს წებისაებრ მისისა, იგუემოს ფრიად». ამათ უკუე ესეცვითართა და დიდთა წყლულებათა კურნებად შემოკრიბა ერი მრავალი: რამეთუ სამეფოსა თჳსისა კათალიკოსი, მღდელთმთავარნი, მეუდაბნოენი, მოძღუარნი და მეცნიერნი შემოკრიბნა წინაშე მისსა ჟამსა და ადგილსა ჯეროვანსა, და დღეთა მრავალთა ფრიადითა გამოწულილვითა კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცთომა განმართეს, კეთილი და სათნო ღმრთისა წესი ყოველი დაამტკიცეს, ულირსად გამოჩინებულნი განკუეთნეს, და შეაჩუენნეს, გარდამოსთხინეს საყდართაგან, დალათუ ძნელლა იყო ესე, რამეთუ იყვნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთა უწესოდ დაეპყრნეს საყდრები; და მათ წილ ჴელმარიტნი მწყემსნი და სათნონი ღმრთისანი დაადგინნეს, და ძეგლი შუენიერი ჴელმარიტისა სარწმუნოებისა აღწერეს, მიმდგომი და ნოწამე წმიდათა ათორმეტთა კრებათა. და ესრეთ ყოველნი ნიჴითა სამეფოთა წარგზავნნეს თჳთოეული სახიდ თჳსად. და ესეცა მიმსგავსებულად დიდისა კოსტანტინესსა აღასრულა მეფემან დავით უწინარეს ყოველთა კეთილთა საქმეთა თჳსთა, რომლისა სანაცვლოდ იხილეთ, თუ რა განაგო ღმერთმან გულთმეცნიერმან, უძილმან მცველმან ისრაელისამან.

რამეთუ ესე აღსართან, კახთა მეფედ ჯსენებული, შეიპყრეს ჰერთა დიდებულთა, არიშიანმან და ბარამ, და დედისძმამან მათმან ქავთარ ბარამის ძემან, და მოსცეს მეფესა. და აღიხუნა მეფემან ჰერეთი და კახეთი, და ერწუხს ქმნნა წყობანი დიდნი და ჴმაგასმენილი იგი დიდი ძლევა, რომელ მცირედითა ლაშქრითა და განწილულითა ერითა დაჴოცნა სულტანისა იგი ურიცხუნი სპანი, ათაბაგი განძისა და უმრავლესი კახთა და ქუეყანისა ერი, მტერთავე თანა გარემოდგომილი ჩუენდა. ესეოდენ ადვილად და მოსწრაფედ ჴელთ-უსხნა ღმერთმან საკჳრველებათამან, რომელ ერთი ათასთა არა თუ სდევდა, არამედ ჴელითა იპყრობდა, და ორთა არა თუ წარექცივნეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბევრნი, არამედ სამალავთაგან თჳთ მათვე ტყეთა და ღრეოთაგან ტყუედ მოჰყვანდეს ყოველნი.

ხოლო თჳთ მეფე არა თუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თჳსთა, ანუ შორით უზახებდა, ვითარცა ერთი მთავართაგანი ვინმე, არამედ უპირატეს ყოველთასა თჳთ წინა უვიდოდა, და ვითა ლომი შეუზახებდა ჴმითა ძალითა, და ვითა გრიგალი მი-და-მო იქცეოდა; და თჳთ გოლიათებრ მიმართებდა და მკლავითა მტკიცითა დაამჴობდა ახოვანთა, სრვიდა და დასცემდა წინა დამთხუეულთა ყოველთა, ვიდრე ემდის ფრიადისა ცემისაგან არა თუ ვითარცა ძუელსა დავით ელიაზარის ჴელი ჴრმლისა ვადასა ოდენ დაეწება, არამედ ჴრმლით მისით უკმომდინარითა სისხლითა წელნი აღსავსე ესხნეს, რომელი შემდგომად ომისა გარდაჴდისა და სარტყლისა განჴსნისა საცნაურ იქმნა, ქუეყნად რა დაითხია ესეოდენისა მტკნარისა სისხლისა შეყინებულისა, რომელსა პირველ განხილვისა თჳთ მისგან ვგონებდით გამოსრულად. და მას დღესა სამნი ცხენნი გამოუკლნეს და მეოთხესაღა ზედა მჯდომმან სრულ ყო მის დღისა ომი. და ესე მრავლისაგან ყოვლად მცირედი და კნინი წარმოვთქუთ.

ესრეთ რა თჳთმპყრობელობით დაიპყრა ჰერეთი და კახეთი, და ნებიერად აღიხუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი, მზეებრ მიჰფინა წყალობა ყოველთა ზედა მკჳდრთა ქუეყანისათა, და გინათგან ღმერთი ესრეთ განაგებდა საქმეთა დავითისთა, და წარუმართებდა ყოველთა გზათა მისთა, და მოსცემდა ჟამითი ჟამად ძლევათა საკჳრველთა, და უძღოდა ძალითი ძალად, — არცა იგი უდებებდა განმრავლებად ტალანტთა, არამედ სრულითა გულითა მსახურებდა, და მათ იქმოდა, რომელნი ნებისა ღმრთისად დაამტკიცნის და სათნოყოფილად მისდა აღუჩნდის, ვითარცა აწ ითქუას.

რამეთუ მოიგონა აღშენება მონასტრისა და დაამტკიცა რომელიცა გამოირჩია მადლმან სალმრთომან ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა, რომელსა შინა ვითარცა მეორე ცაჲ გარდაართხა ტაძარი ყოვლად წმიდისა და უფროსად კურთხეულისა დედისა ღმრთისა, რაბამ რამე ალმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულთა, რომელი ზეშთა ჰმატს შუენიერებასა ყოველთასა, სივრცითა და ნივთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა სიკეთითა და სიმრავლითა, და მოქმნულობისა შეუსწორებ-
ლობითა, რომელსა აწ თანამოწმობით ხედვენ თუალნი ყო-
ველთანი. და აღავსო სიწმიდეთა მიერ პატიოსანთა ნაწილთა
წმიდათასა, და წმიდათა ხატთა მიერ და სიწმიდისა სამსახუ-
რებელთა ყოვლად დიდებულთა და სხუათა ნივთთა ძნიად სა-
პოვნელთა.

ამათ თანა დასხნა მუნვე დიდთა და ხოსროანთა მეფეთა
ტაბტნი და საყდარნი, სასანთლენი და კიდელნი ფერადფე-
ოადნი ოავარად მოხმულნი თჳსნი. და კუალად გჳრგჳნნი და
მანიაკნი, ფიალანი და სასუმელნი, რომელნი მოუხუნა მეფეთა
არაბეთისათა, რაჟამს თჳთ იგინიცა ტყუედ მოიყვანნა, მასვე
ტაძარსა შინა შეწირნა ღმრთისა საჴსენოდ და სამადლობელად
ძლევისა მის საკჳრველისა.

და მუნვე შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და
შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თჳსთა ოდენ სამეფოთა
შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთა სადათცა ესმა ვიეთ-
მე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ჯორციელითა
სათნოებითა აღსავსეობა, იძინა და კეთილად გამოიძინა, მოიყ-
ვანნა და დაამკჳდრნა მას შინა.

და მამული ლიპარიტეთი უმკჳდროდ დარჩომილ იყო, არა-
მედ სხუათა მრავალთა და სამართლიანთა უსარჩლელ-მიუხუ-
ეჭელთა სოფელთა თანა მისცნა დედასა ღმრთისასა სამსახუ-
რებელად მისსა წინაშე მდგომელთა მისთათჳს, და უზრუნვე-
ლი ტრაპები განუჩინა. რომელიცა აწ წინამდებარე არს ყოვ-
ლისა აღმოსავალისა მეორედ იერუსალემად, სასწავლოდ ყოვ-
ლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათი-
ნად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა, დიაკო-
ნად ყოვლისა საეკლესიოსა შუენიერებისად.

და კუალად სხუა მოიგონა საქმე, შემსგავსებული მოწყა-
ლისა და ტკბილისა ღმრთისა სახისა, კაცთმოყუარეობისა თჳსი-
სა: აღაშენა ქსენონი ადგილსა შემსგავსებულსა და შუენი-
ერსა, რომელსა შინა შეკრიბნა ძმანი, თჳთოსახითა სენითა
განცდილნი, და მოუმზადა ყოველი საჴმარი მათი, უნაკლუ-
ლოდ და უხუებით, და განუჩინნა შესავალნი და საღუაწი
მათნი ყოველადვე. თჳთ მივიდის და მოეხილნის, მოიკითხნის
და ამბორს უყვის თჳთოეულსა, აფუფუნებდის მაგებრ, სწყა-
ლობდის და ნატრიდის, განამჴნობდის მოთმინებისა მიმართ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონახის თჳსითა ჴელითა ცხედრები, სამოსლები და საგებელნი მათი, ჰინაკი და ყოველი საჴმარი მათი, მისცის თჳთოეულსა ოქრო საყოფინი, და განაკრძალნის ზედამდგომელნი მათნი, და განაგის ყოველი საქმე მათი დიდად შუენიერად და ღმრთისმსახურებით.

ხოლო ვიდრე ამა ჟამადმე ქალაქი ტფილისი, რუსთავი და სომხითი და ყოველი სამშჳლდე და აგარანი თურქთა ჰქონდეს. ხოლო თრიალეთი და კლდეკარნი ჰქონდეს თევდორეს, ჭყონდიდელისა დისწულსა, კაცსა გონიერსა და დიდად მყოფსა. რამეთუ რა მეფე გარდავიდის აფხაზეთად, უმცროორე ეშინოდის თურქთა და მათთა ციხოვანთა. მას ჟამსა მეფე გარდავიდა იმერეთს; და შეკრბეს გიორგი ჭყონდიდელსა და მწიგნობართუხუცესსა წინაშე თევდორე, აბულეთი და ივანე ორბელი, და სიმარჯჳთ მოიპარეს სამშჳლდე.

მაშინ იქმნა დიდი სიხარული, რამეთუ დღითიდღე შეემატებოდა საზღვართა სამეფოსათა. ცნეს რა თურქთა აღება სამშჳლდისა, უმრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტევნეს, და ღამით მეოტ იქმნნეს, და ჩუენთანა მოითუალნეს იგინი რამეთუ ვიდრე მოაქამომდე სთუელთა ჩამოიარიან თურქთა სომხითი, ყოვლითა ფალანგითა მათითა, ჩამოდგიან გაჩიანთა, პირსა მტკუარისასა, ტფილისითგან ვიდრე ბარდავადმდე, და იორის პირთა, და ყოველთა ამათ შუენიერთა ადგილთა საზამთროთა, რომელთა შინა ზამთრისა, ვითარცა არესა გაზაფხულისასა, ითიბების თივა, და აქუს შეშა და წყალი უხუებით, და მუნ არს სიმრავლე ნადირთა თჳთოფერი და საშუებელი ყოველი. ამათ ადგილთა შინა დადგიან ხარგებითა. ცხენისა, ჯორისა, ცხუარისა და აქლემისა მათისა არა იყო რიცხჳ, და აქუნდა ცხოვრება სანატრელი; ნადირობდიან, განისუენებდიან და იხარებდიან, და არა იყო ნაკლულევანება მათ თანა. თჳსთა ქალაქთა ვაჭრობდიან, ხოლო ჩუენთა ნაპირთა არბევდიან ტყჳთა და ალაფითა სავსეთა. გაზაფხულსა თანა იწყიან სლვა აღმართ მთათა სომხითისა და არარატისათა. ეგრეთვე ზაფხულისცა ჰქონდის შუება და განსუენება, თივათა და ველთა შუენიერთა, წყაროთა და ადგილთა ყუავილოვანთა, და ესეოდენ დიდი იყო ძალი მათი და სიმრავლე, რომელ სთქუამცა თუ „ყოველი თურქობა ყოვლისა ქუეყანისა იქი არსო“. და

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავისგან მოსაგონებელ იყო ოდესცა მათი გასხმა ანუ ვნება, აღცა თუ თუთ სულტანისაგან.

ოდეს საბშულდე და ძერნა აიღეს, ქრონიკონი იყო სამასოცდაათი. მას წელსა მოვიდა ძალი სულტანისა და ყოველი თურქობა, კაცი ვითარ ასი ათასი, უგრძნეულად სიმარჯვთა, ხოლო მეფე დგა ნაჭარმაგევს ტაძრეულითა. ცნა რა მიმწუხრი მოსლვა მათი თრიალეთს, ღამე ყოველ წარვიდა მისეულითა კაცითა ათასხუთასითა, რამეთუ ესეოდენნი დახუდეს მას წინაშე. ცისკარსმოვიდეს თურქნი და იქმნა ბრძოლა ფიცხელი მას დღესა, და შეწევნითა ღმრთისათა იძლია ბანაკი მათი. და მიდრეკასა დღისასა მიდრკეს სივლტოლად ესეოდენ ზარგანჯდილნი და მოსწრაფენი, ვიდრემდის არცა თუ კარავთა მათთა და ჭურჭელთა მიხედნეს ყოვლად, არამედ მოსწრაფებასა პატივ-სცეს ფერჯთა მათთა უფროს საქონლისა მათისა, და ესრეთ განიბნივნეს თჳსთა ქუეყანათა.

ხოლო ესევითარსა საკჳრველსა სივლტოლასა მათსა თჳთ მეფე და სპანი მისნი ესოდენ ურწმუნო იყვნეს, ვიდრემდის არავინ სდევნა ყოვლად, რამეთუ ხვალისა ომი ეგონა. და წარიღო გიორგი ჭყონდიდელმან რუსთავიცა, მეფისა მუხნარს ყოფასა. ქრონიკონი იყო სამასოცდათხუთმეტი. რომლისათჳსცა დიდად წყენა შეექმნა თურქთა და რიდობა საზამთროთა ადგილთა დგომისა. რამეთუ მოიმსტვარნის მეფემან რომელთა მოსრვა ეგებოდის, და უგრძეულად დაესხნის და მოსწყჳდნის. და ესე არა ერთგზის ან ორგზის, გინა სამ, არამედ მრავალგზის, ვითარცა აწ ერთი ითქუას.

რამეთუ ტაოს ჩამოდგეს დიდნი თურქნი ხარგებითა, ვინათგან ზამთრისა სიფიცხესა და მთათა სიმაგრეთა მიენდვნეს. ხოლო მეფემან მოიჯელოვნა ესრეთ, რამეთუ სპათა ქართლისათა შზაობა უბრძანა და თჳთ ქუთათისს გარდავიდა, რომლითა უეჭველ ყვნა იგინი. და თუესა თებერვალსა აცნობა ქართუელთა და მესხთა, რათა კლარჯეთს დახუდენ პაემანსა, და თჳთ შიდითა სპითა ხუფთით ჭოროხის პირი წარვლო. და შეკრბეს ერთად, და უგრძნეულად დაესხნეს მათ ზედა, უშიშად გულდებითა მსხდომარეთა ბასიანამდე და მთად კარნიფორისად. რამეთუ ქრონიკონი იყო სამასოცდათექუსმეტი.

მოსრეს სიმრავლე მათი ურიცხჳ, და აღიღეს დედაწული მათი, ცხენები, ცხოვარი, აქლემები და ყოველი ნაქონები მა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თი, რომლითა აღივსო ყოველი სამეფო მისი ყოვლითა კეთილ-
ლითა.

და მასვე წელსა ასული თჳსი კატა გაგზავნა საბერძნეთს
ცოლად ბერძენთა მეფისად. რამეთუ პირველ ამისსა პირველ
ასული თჳსი თამარი გაეგზავნა დედოფლად შარვანისა, რათა
ვითარცა ორნი მნათობნი — ერთი აღმოსავლეთს, ხოლო მეო-
რე დასავლეთს — ცისკროვან ჰყოფდენ სფეროსა, მამისაგან
მიმღებელნი მზეებრთა შარავანდედთანი.

და მეორესა წელსა დაიპყრნა გრიგოლის ძენი, ასათ და
შოთა, და აღიღო ციხე გიში. და გაგზავნა ძე თჳსი დემეტრე
შარვანს სპითა ძლიერითა ლაშქრად. ხოლო მან ქმნნა ომნი
საკვრველნი, რომლითა განაკვრვნა მხილველნი და მსმენელნი;
გამოიღო ციხე ქალაძორი და ძლევაშემოსილი მოვიდა წინაშე
მამისა თჳსისა, სავსე ალაფითა და ტყჳთა ურიცხჳთა.

ხოლო მეორესა წელსა ბზობად წარმოემართა მეფე ღა-
ნუკით წარსლვად რაჯსის პირსა, და ზატიკი გარდაიჯადა ნა-
ჯიდურს. მუნ მოართუეს ამბავი ბეშქენ ჯაყელისა ჯავახეთს
თურქთაგან მოკლვისა. და ამისთჳს უშლიდეს დიდებულნი მას
ქამსა წარსლვად. და არა მოისმინა ყოვლად, არამედ დაესხა
თურქთა, რაჯსის პირსა მდგომთა, და მოსრა სიმრავლე მათი,
და წარმოიღო ტყუე და ალაფი ურიცხჳ.

ამასვე წელსა აღიღო სომხითისა ციხე ლორე. და მასვე
წელსა, ივლისსა, აღიხუნა აგარანი, მეორესა დღესა, ცისკარს.
რამეთუ პირველცა ესე ციხე აღიღო ბაგრატსა, პაპსა მისსა,
გარნა სამ თუე ბრძოლითა. ხოლო ამასვე წელსა აგვსტოსა
მოკუდა სულტანი მალიქი, მალიქშას ძე, და ალექსი ბერძენ-
თა მეფე. და ვერ ცნეს ერთმან მეორისა სიკუდილი. ქრონიკო-
ნი იყო სამასოცდათურამეტი.

ხედვიდა რა მეფე დავით ესეოდენთა ზეგარდამოსა
ღმრთისა მიერ წყალობათა, შეწევნითა, ძლევათა და გამარჯ-
ვებათა თჳსთა, და რომელთა ღმერთი მოსცემდა სამეფოთა
ქუეყანათა, ქალაქთა და ციხეთა. რამეთუ არა იყო ესეოდენი
სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა შინა მისსა, რათამცა ქალაქთა
და ციხეთა შინა მდგომად და დამჭირველად და კუალად თჳს
მის თანა მყოფად და მოლაშქრედმცა კმა ეყვნეს დაუცხრომ-
ლად მიმოსლვასა ლაშქრობასა მისსა ზამთარ და ზაფხულ,
ამისთჳსცა შემოიკრიბა გოხება, კეთილად და გონიერად გაძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონე, ვითარცა დავით, სულისა მიერ წმიდისა, აღიღო მაღ-
ლად თავი თჳსი და მიმოავლო თუალი გონებისა თჳსისა და
განიცადა კეთილად, განიზრახა სამეფოთა ცნობითა, რომელ
არა კმა იყვნეს სამეფოსა მისისანი თანამიყოლად კრთომათა
და წადიერებათა სულისა მისისათა.

და მსგავსად ალექსანდრესსა ქმნა და ამანცა სულთითქუ-
ნა, რამეთუ ითქუმისცა მისთჳს, ვითარმედ ფილოსოფოსმან
ვინმე რქუა მას: „არიანო მრავალნი და ურიცხუნი სამეფონი,
რომელთა არცა თუ სახელი გასმიეს შენ". და მან სულთითქუ-
ნა და თქუა; „უკეთუ დამიშთეს ესენი, რა იყოს მპყრობელო-
ბა ჩემი". ამისთჳსცა ამან მეორემან ალექსანდრე განიზრახა
სივრცითა გონებისათა, რამეთუ სხუაებრ არა იყო ღონე, და
უწყოდა კეთილად ყივჩაყთა ნათესავისა სიმრავლე, და წყო-
ბათა შინა სიმჴნე, სისუბუქე და მიმოსლვა, სიფიცხე მიმარ-
თებისა, ადვილად დასამჭირვლობა და ყოვლითურთ მომზა-
ებლობა ნებისა თჳსისა. და ამათ თანა უადვილეს იყვნეს
მოსლვად მახლობელობითაცა და უპოვარებითა, და რამეთუ
პირველ მრავალთა წელთა მიერ მოეყვანა სანატრელი და
ყოვლად განთქმული სიკეთითა გუარანდუხტ დედოფალი, შვი-
ლი ყივჩაყთა უმთავრესისა ათრაქა შარაღანის ძისა, სჯული-
ერად მეუღლედ თჳსად და დედოფლად ყოვლისა საქართვე-
ლოსა. ამისთჳსცა წარავლინნა კაცნი სარწმუნონი და მოუწო-
და ყივჩაყთა და სიმამრსა თჳსსა.

ხოლო მათ სიხარულით მიითუალეს, გარნა ითხოვეს გზა
მშვიდობისა ოვსთაგან. ამისთჳსცა ბრძანა მეფემან წარსვლა
ოვსეთს, და სიტყუასავე თანა წარემართა და თანაწარიტანა
გიორგი ჭყონდიდელი და მწიგნობართუხუცესი თჳსი, კაცი
სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ჴორცთასა, სავსე
სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი სჳანი და ფრთხილი,
თანააღზრდილ-აღმზრდელი პატრონთა და თანაგანმკაფელი ყო-
ველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა მისთა.

შევიდეს ოვსეთს და მოეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და
ყოველნი მთავარნი მათნი, და ვითარცა მონანი დადგეს წინა-
შე მისსა. და აღიხუნეს მძევალნი ორთაგანვე, ოვსთა და ყივ-
ჩაყთა, და ესრეთ ადვილად შეაერთნა ორნივე ნათესავნი. და
ყო შორის მათსა სიყუარული და მშჳდობა ვითარცა ძმათა. და
აღიხუნა ციხენი დარიალასა და ყოველთა კართა ოვსეთისათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კავკასიისა მთისათანი. და შექმნა გზა მშვიდობისა ყ[illegible]
თათვს. და გამოიყვანა სიმრავლე ფრიად დიდი; და სიმამრი
და ცოლისძმანი თვსნი არა ცუდად დაშურეს; არცა ცუდ-
იქმნა გამოყვანა მათი, არამედ მათითა ჴელითა მოსრნა სრუ-
ლიად სპარსეთისა ძალნი, და დასცა შიში და ზარი ყოველთა
მეფეთა ქუეყანისათა, და მათითა თანადგომითა ქმნნა საქმენი
დაურწმუნებელნი, ვითარცა ითქუას წალმართ.

ხოლო ესეოს ოვსეთს ყოფასა მიიცვალა გიორგი ჭყონდიდე-
ლი. თავადგა სიყრმითგანთა პატრონისა მსახურებათათვს; და
პატივითა დიდითა წარმოგზავნა მონასტერსა ახალსა და მუნ
დაემარხა. რომელი იგლოვა ყოველმან სამეფომან და თვთ მე-
ფემან, ვითა მამა უმეტესცა ძაძისა შემოსითა ორმეოც დღე,
ვიდრემდის იშვა ვახტანგ, რომლისა ხარებითა დაიჴსნა გლოვა.

ხოლო ყივჩაყნი დააყენნა ადგილთა მათ მარჯუეთა დედა-
წულითა მათითა, რომელთა თანა იყო წყობად განმავალი რჩე-
ული ორმოცი ათასი. ესენი განასრულნა ცხენებითა და სა-
ჭურველითა; და კუალად მონანი რომელ ჰყვეს რჩეულნი და
განსწავლულნი ღუაწლსა, ვითარ ხუთიათასი კაცი, ყოველნი
ქრისტიანე ქმნულნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმჴნითა.
და თვთ ყივჩაყნიცა უმრავლესნი ქრისტიანე იქმნებოდეს დღი-
თიდღე, და სიმრავლე ურიცხჳ შეეძინებოდა ქრისტესა. ესენი
რა ესრეთ შემოიკრიბნა, და დააწყუნა გუარად-გუარად და და-
უდგინნა სპასალარნი და მმართებელნი; და ეგრეთვე თვსისა
სამეფოსა სპანი, რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენკეთილნი და
პირშეუქცეველნი; და საშუალ მათსა თვთ იგი უმსგავსო სპას-
პეტი და წინამბრძოლი, მიმსგავსებული ძუელისა ქაიხოსროს-
თვს მოთხრობილთა, წინაუძღოდა, და იწყო რბევად სპარსე-
თისა, შარვანისა და სომხითისა დიდისა. რამეთუ არა დაშურე-
ბოდა, არცა მოეწყინებოდა, არამედ ჟამიერად და წესიერად
ალაშქრებდა მათ, მართებდა და განაგებდა მსგავსად მისსა
დიდგონეობითა, და ვინღამცა იყო წინამდგომი მისი, და ანუ
მიმმართი ომისა მის წინაშე. რამეთუ დაღათუ წერილმან
ფრთოვანსა ვეფხსა მიამსგავსა მაკედონელი იგი სიფიცხითა
მიმმართველობისათვს, და მსწრაფლ მიმოვლისა ქუეყანათა
შინა, და ჭრელად მრავალფერობისათვს ქცევათა და განზრახ-
ვათა მისთასა, არამედ ჩუენი ესე გჳრგჳნოსანი და ახალი
ალექსანდრე, დაღათუ იყო ჟამითა შემდგომი, არამედ არა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქმითაცა, არცა განზრახვითა, არცა სიმჯნითა უმცირე, და თჳთ მათ საქმეთა შინა, რომელთა მძლედ ითქმის ალექსანდრე, არა უმდაბლე, არამედ მრავლითა უმაღლეს მგონიეს ესე. და რაოდენ საწუთოთა და ჯორციელთა შინა იგი მისთა სწორთა და მისგან და მის ჟამისათა ყოველთა უმაღლეს და უზეშთაეს იყო, ეგეოდენ ესე საღმრთოთა და ქრისტეს მცნებათა შინა ჯორციელთაცე თანა მისთა პირველთა ყოველთა ჰმატდა. რამეთუ არა სცა ძილი თუალთა, არცა ჰრული წამთა, არცა განსუენება ჯორცთა თჳსთა; არა მიდრკა გემოვნებათა მიმართ, არცა ნებასა ჯორცთასა; არა სასმელ-საჭმელთა, არცა სიმღერა-სილოდათა და არათურთითა არარა ჯორციელთა შეაკრა გონება, გარნა საღმრთოთა და სასულიერეოთა ყოველთა დასრულებად და უდებებად მზიდველთა ნებისათა. და განიცადეთლა ოთხთა ამათ წელთა ქმნილნი მისნი, რომელთა მრავალგზის ქმნულთა მცირედი მეგულების თქუმად.

ხოლო აქუნდის ჩუეულებად ესე მეფესა, რამეთუ განზრახვით გარდავიდის აფხაზეთით და ჩამოიტყუენნის თურქმანნი საზამთროთა ადგილთა მტკურისპირისათა. რამეთუ მათნიცა მსტოვარნი ზედა ადგიან მეფესა და ეძებდიან გზათა მისთა. გარდავიდა მეფე გეგუთს და მიერ ხუფათს, და ამით გულბყრობილ ყვნა იგინი. ქრონიკონი იყო სამასორმოცი. ხოლო მათ ცნეს რა სიმორე მისი, ჩამოდგეს ბოტორას, დიდნი ფრიად, და დაიზამთრეს. და არა ჰრულოდა მეფესა, არამედ გარდამოიფრინვა თებერვალსა ათოთხმეტსა და უცნაურად დაესხა ზედა, და ძლით ვინმე შეესწრა ცხენსა და გარდაიხუეწა. აღიღეს ტყუე და ალაფი ურიცხვ, და მოვიდა ლანუკს.

და მასვე შჳდეულსა ბირმარხვასა დღესა აიღო შარვანს ქალაქი ყაბალა, და აღავსო სამეფო თჳსი ოქროთა და ვეცხლითა და ყოვლითა სიმდიდრითა. წარმოვიდა ქართლს და მსწრაფლ შეკრიბა სპა, და ჩავიდა შარვანს, მაისსა შჳდსა, არბია ლიჟათათ ვიდრე ქურდევანამდე და ხიშტალანთამდე, და სავსენი ალაფითა მოვიდეს ქართლს. მათვე დღეთა შეიბნეს შარვანელი და დარუბანდელი, მოკლეს აფრიდონ, და მოსწყჳდნეს შარვანელნი.

თუესა ნოემბერსა წარვიდა მეფე აშორნიას, დაესხა თურქმანთა, მოსრწა და იავარყჳნა, და წარმოიღო წატყუენავი მათი ურიცხვ. ჩამოვლო მგზავრ, დაესხა სეფგელამეჯს თურქმან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავე და არა დაუტევა მოტირალი კარავთა მათთა ესე ერთისა წლისა.

და მასვე ზამთარსა ჩავიდა აფხაზეთს ბიჭვინტამდე და განაგნა საქმენი მანდაურნი: ლირსნი წყალობისანი შეიწყალა, შემცოდენი დაიპყრნა და წუართნა; რამეთუ იყო ზამთარი ძნელი და თოვლი ფრიადი. ხოლო ცნეს რა თურქთა, ვითარმედ შორს არს მეფე, გულდებით ჩამოდგეს პირსა მტკურისასა, გარნა ლომსა მოჯელოვნებულსა არა სცონოდა, არცა ჰრულოდა ომისათჳს, ვერცარა დამხრწეველთაგანი დაიმჭირვიდა. წარმოვიდა მსწრაფლ აფხაზეთით თოვლთა საშინელთა, გარდაათხრევინა მთა ლიხისა, სადა გარდანაკუეთსა თოვლისასა აქუნდა სიმაღლე მჯარი სამი. და დახუდა მზად სპა მისი, და პირველ ამბავისა ქართლისა ცნობამდე დაესხა ხუნანს. და აღავსო ლაშქარმან მთით მტკურამდე და გაგთათ ბერდუჯამდე. და მოსრეს პირითა მახჯლისათა, რომელ არა დაუშთა მთხრობი ამბავისა. ქრონიკონი იყო სამასორმოცდაერთი, თუე მარტი.

გაზაფხულ განდიდნა მტკუარი, რომელ ნადინებსა ვერ დაეტია. ამისითა მინდობითა ჩადგეს თურქმანნი ბარდავს გულდებითა. მაშინ მონახნა მეფემან იგინიცა და ალონს მტკუარსა გაცურდა ყივჩაყითა დაუზრავსა მას წყალსა, მოსრნა თურქნი, ორბია ბარდავი, და დაყო ორი დღე, და ნებიერად მოვიდა შინა საფსე ალაფითა. თუე იყო ივნისი.

ამათ ესეფითაართა ჭირთაგან შეიწრებულნი თურქმანნი და კუალად ვაჭარნი განძელ-ტფილელ-დმანელნი წარვიდეს სულტანსა წინაშე, და ყოველსა სპარსეთსა შეიღებნეს შავად, რომელთამე ბირნი, და რომელთამე ჭელები, და რომელნიმე სრულიად; და ესრეთ მიუთხრნეს ყოველნი ჭირნი, მოწევნულნი მათ ზედა, რომლითა ალძრნეს წყალობად თჳსა, და იქმნა გლოვა ფრიადი შორის მათსა.

მაშინ სულტანმან მოუწოდა არაბეთისა მეფესა დურბეზს, სადაყას ძესა, და მოსცა ძე თჳსი მალიქი და ყოველი ძალი მისი; და აჩინა სპასალარად ელლაზი, ძე არდუხისი, კაცი დაჰმანი და მრავალღონე. და უბრძანა თურქმანობასა სადალაცა ვინ იყო, დამასკოთ და ჰალაბითგან ამოლმართ, ყოველსა მჴედრობად შემძლებელსა, ამათ თანა ათაბაგსა განძისასა მისითა ძა-

ლითა და ყოველთა სომხითისა ამირათა. ქრონიკონი იყო ... მასორმოცდაერთი.

შეკრბეს ესე ყოველნი, შეითქუნეს, შეიმტკიცნეს სიმრავლითა ვითარცა ქვიშა ზღუსა, რომლითა აღივსო ქუეყანა, და აგვსტოსსა თორმეტსა მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელ თუთ ფერჯთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა. ხოლო მეფემან დავით, უშიშმან და ყოვლად უძრავმან გულითა, თუ ვითარ წინა განაწყო სპა მისი, და ვითარ ყოველი საქმე შუენიერად და ღონიერად ყო, რაბამ რამე წყნარად, უშფოთველად და გამოცდილებით და ყოვლად ბრძნად განაგო, და თუ ვითარ თჳსნი სპანი დაიცვნა უვნებელად, — ამათ ყოველთათჳს არა ჩუენი, არამედ ვგონებ, რომელ ყოველთა ბრძენთა სოფლისათა ენა ვერ შემძლებელ არს მითხრობად ზედამიწევნით ყოველსავე.

რამეთუ პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა, რამეთუ ჰელი მაღლისა შეეწეოდა, და ძალი ზეგარდამო ფარვიდა მას, და წმიდა მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოდა მას და მკლავითა თჳსითა მოსრვიდა ზედამოწევნულთა უსჯულოთა მათ წარმართთა, რომელ თუთ იგი უსჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს და მოგჳთხრობდეს სასწაულსა ამას მთავარმოწამისა გიორგისსა, და ვითარითა ღონითა მოსრნა სახელოვანნი იგი მებრძოლნი არაბეთისანი, და ანუ მეოტთა ვითარ სიმარჯჳთ და განკრძალულად სდევნნა და მოსრნა, რომლითა აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მძორებითა.

ხოლო სპანი ჩუენნი და უფროსად ყოველი სამეფო აღავსო ოქროთა და ვეცხლითა, არაბულითა ცხენებითა, ასურულითა ჯორებითა, კარვებითა, სრა-ფარდაგებითა, სხჳთა უცხოთა ჭურჭლებითა საბრძოლელთა თჳთოსახეთათა, ქოსთა და ფილაკავანთათა, სასმურთა ტურფათა და სანადიმოთა, საბანელთა და სამზარეულოთათა, — რაოდენმან ქარტამან და მელანმან დაიტიოს აღწერად! და რამეთუ გლეხთა, იხილემცა, ოდეს არაბთა მეფენი მოჰყვანდეს ტყუედ. და სხუათა გოლიათთათჳს რადღა რამცა გჳნდოდა თქმად.

ხოლო ამად რა თხრობად მოვიწიე, ვაებისა ღირსად შევრაცხენ დიდნი იგი და სახელოვანნი გამომეტყუელნი, ვიტყჳ უკუე უმიროსსა და არისტოვლის ელინთა, ხოლო იოსიპოს

ებრაელსა, რომელთაგანმან ერთმან ტროადელთა და აქეველ-
ხი შეამკვნა თხრობანი, თუ ვითარ აღამემნონ და პრიამოს, ანუ
აქილევი და ეკტორი, მერმეცა ოდისეოს და ორესტი ეკუეთ-
ნეს, და ვინ ვის მძლე ექმნა; და მეორემან ალექსანდრესნი
წარმოთქუნა მძლეობანი, სიმჯნენი და ძლევაშემოსილობანი;
ხოლო მესამემან ვესპასიანე ტიტოს-მიერნი მეტომეთა თჳსთა
ზედანი ჭირნი მისცნა აღწერასა. და ვინათგან ამათ ნივთნი საქ-
მეთანი არა აქუნდეს კმად მისათხრობელად, ამისთჳსცა მის ჴე-
ლოვნებითა რიტორობისათა განავრცელნეს, ვითარცა იტყჳს
თჳთ სადამე ალექსანდრე: „არა დიდ იყავ აქილევი, არამედ
დიდსა მიემთხჳე მაქებელსა უმიროსს“. რამეთუ ოცდარვა წელ
განგრძობასა ტროადელთა ბრძოლისასა ვერარა ღირსი ქებისა
იქმნა. ხოლო მეფისა დავითისი ესეოდენთა მიმართ წინაგან-
წყობა სამ ჟამადმდე იყო, და ვერცა პირველსა კუეთებასა შე-
უძლეს წინადადგომად. ჰქონებოდესმცა ამათ ბრძენთა თხრო-
ბათა ნივთად საქმენი დავითისნი, და მათმცა აღწერნეს ჯეროვ-
ნად მათისაებრ რიტორობისა, და მაშინღამცა ღირს ქმნილ
იყვნეს ჯეროვანსა ქებასა. და ესენი ესეოდენ.

ხოლო მეორესა წელსა აღიღო მეფემან ქალაქი ტფილისი,
პირველსავე ომსა, ოთხას წელ ქონებული სპარსთა, და დაუმ-
კჳდრა შვილთა თჳსთა საჭურჭლედ და სახლად თჳსად საუკუ-
ნოდ. ქრონიკონი იყო სამასორმოცდაორი.

და მეორესა წელსა მოვიდა სულტანი შარვანს, შეიპყრა
შარვანშა, აიღო შამახია და მოგზავნა მოციქული მეფისა წინა-
შე, და მოუწერა წიგნი და მორქუა, ვითარმედ: „შენ ტყეთა
მეფე ხარ და ვერა ოდეს გამოხვალ ველთა; ხოლო მე ესერა
შარვანშა შევიპყარ ჴელთა და ხარაჯასა ვითხოვ; შენ თუ გე-
ნებოს, ძღუენი ჯეროვანი გამოგზავნე, და თუ გინდა სამალავ-
თათ გამოვედ და მნახე“. ხოლო ესმა რა ესე მეფესა, მსწრაფლ
ჴმა უყო ყოველთა სპათა მისთა, და ბრძანებასავე მისსა თანა
მოვიდეს წინაშე მისსა ყოველნი სამეფოსა მისისანი. და წარე-
მართა სულტანსა ზედა, და ყივჩაყნი ოდენ ალთუალულ იყვნეს
მაშინ, და იყო შემბმელი კაცი ორმოცდაათი ათასი. და ეუწყა
რა სულტანსა ზედამისლვა და ძალი და სიმრავლე სპათა მის-
თა, და განკრთა, აიყარა ველთათ, სადა დგა, და მსწრაფლ შე-
ვიდა ქალაქად და გარემოიზღუდა ერთ კერძო სხრტითა და
ხანდაკებითა, და სხჳთ კერძო ზღუდითა ქალაქისა შამახიისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა. ხოლო ცნა რა ესე მეფემან, არღარა ჯერ უჩნდა ზედამიდ-
ლვა მლტოლვარისა, არამედ დავარდა მწყასა ზედა და მადლო-
ბა შეწირა ღმრთისა სახიერისა და კაცთმოყუარისა, და ადგი-
ლობანსა დადგა.

მაშინ სულტანმან მრავალთა მიერ ვედრებათა და ძღუენთა
და მუდარითთა შეთულილობათა, ვითარცა მონამან ჭირვეულ-
მან, არღა ძღუენი ანუ ომნი ითხოვნა, არამედ გზა სამლტოლ-
ვარო, ფრიად რამე სიმდაბლით და არა სულტანურად, შეიწ-
რებულმან შიმშილითა და წყურილითა მრავალ დღე.

მასვე დღესა სულტანსა წინაშე მიმავალი ათაბაგი რანისა
აღსუნღული, ძალითა მრავლითა, მოსრეს მონათა მეფისათა
ვითარ ოთხი ათასი კაცი, და იგი ოდენ მარტო მეოტი ძლით
მივიდა სულტანსა წინაშე. იხილა რა ესე სულტანმან, მასვე
ღამესა გაიპარა, და სასდუნით მეოტი სხჳთ გზით წარვიდა
სოფლად თჳსად. და ესრეთ ძლევაშემოსილი და მმადლობელი
ღმრთისა შემოიქცა მეფე. და მცირედთა დღეთა განისუენა
ამთენს.

და მეორესა თუესა, ივნისსა, კუალად წარვიდა შარვანს,
აღიღო გულისტანი, სახლი თავადი შარვანისა, სიცხეთა მათ
საშინელთა, მოირთო შარვანი და აღავსნა კეთილითა ყოველნი
მორჩილნი ბრძანებათა მისთანი. წარმოვიდა ქართლად. ხოლო
სთუელთა გადავიდა გეგუთს, ინადირა, განისუენა, განაგო მან-
დაური ყოველი, და მარტსა გარდამოვიდა ქართლად, და აღი-
ღო ქალაქი დმანისი. და აპრილსა დაესხნეს შაბურანს, დარუ-
ბანდელსა, და მოსწყჳდნეს ქურდნი, ლეკნი და ყივჩაყნი და-
რუბანდელისანი და აღიხუნეს შარვანისა ციხენი ღასანნი და
ხოზაონდი და მიმდგომი მათი ქუეყანა.

და მყის აღისრბოლა ვითარცა არწივმან, და მაისსა აღიხუნა
ციხენი სომხითისანი: გაგნი, ტერონაკალი, ქავაზინნი, ნორბე-
დი, მანასგომნი და ტალინჯაქარი. და ივნისსა წარემართა ლაშ-
ქრითა, განვლო ჯავახეთი, კოლა, კარნიფორა, ბასიანნი სპერამ-
დის, და, რაცა პოვა თურქმანი, მოსრა და ტყუე ყო; ჩამოვლო
ბულოთაყური, და დაწუნა ოლთისნი, და მოვიდა თრიალეთს
დიდითა გამარჯუებითა. და მცირედნი დღენი შუა გამოჯდეს
და განიყარა ლაშქარი თჳსთჳსად.

და აგვსტოსსა ოცსა მოვიდეს მეწიგნენი ანელთა თავადთა-
ნი და მოაჯსენეს მოცემა ქალაქისა და ციხეთა ბოჟანასწყარო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა ზედა მდგომსა. და მსწრაფლ წიგნები წუევისა წარსცა ყო-
ველთა, და მესამესა დღესა სამოცი ათასი მჯედარი წინაშე
უდგა. წარემართა და, ვითარცა მიიწია, მესამესა დღესა აღიღო
ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველად, და სოფელნი და
ქუეყანანი მიმდგომნი ანისისანი.

და წარმოიყვანა ბულასვარ, რვათა ძეთა მისთა თანა და
მჯეველთა და სძალთა, და ჩაგზავნა აფხაზეთად; ანისისა მცვე-
ლად დაუტევნა აზნაურნი მესხნი, და წარმოვიდა ქართლად.
და მცირედთა დღეთა მოუსუენა სპათა თჳსთა. და მერმე წა-
რემართა შარვანს, და აღიღო ქალაქი შამახია და ციხე ბირი-
ტი, სრულად ყოველი შარვანი, და დაუტევნა ციხეთა და ქა-
ლაქთა შინა ლაშქარნი დიდნი, ჰერნი და კახნი. და განმგებე-
ლად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა აჩი-
ნა მწიგნობართუხუცესი თჳსი სჳმონ, ჭყონდიდელი მთავარ-
ეპისკოპოსი, მაშინ ბედიელ- ალავერდელი, მიმსგავსებული გი-
ორგი დედისძმისა თჳსისა, კაცი ყოვლითურთ სრული და
ბრძენი.

და განაგო მეფემან ყოველი საქმე შარვანისა, აღავსნა კე-
თილითა და საბოძვარითა ქურდნი, ლეკნი და თარასნი, მოვი-
და ქართლად. და ყივჩაყთა თჳსთა უჩინა საზამთროდ სადგუ-
რი, და საზრდელი, და კაცნი ზედამდგომნი მათნი და განაგო
ყოველი საქმე ქართლისა, სომხითისა და ანისისა. და ეგულე-
ბოდა გაზაფხულ ქმნა დიდთა საქმეთა და უფროსთა ლაშქრო-
ბათა, ვინათგან არავინ წინააღუდგა მას. რამეთუ თჳთ სულ-
ტანი მუნ, სადა იყო, ძრწოდა შიშისაგან მისისა, და არცაღა
თჳთ ძუელად ქონებულთა ქალაქთა და ქუეყანათა ჰგონებდა
თჳსად ქონებად, არამედ რაოდენცა შორს იყო, ეგრეცა ეოცვ-
ბოდა მძინარესა შიში და მღჳძარესა სიკუდილი.

ამისთჳსცა ზედასზედა წარმოავლენდის მოციქულთა
ძღუენითა დამშჳდებად პირსა მისსა. რამეთუ წარმოსცნის
საჭურჭლენი მძიმენი, ტურფანი, მრავალფერნი, მფრინველნი
და ნადირნი უცხონი და ძჳრად საპოვნელნი, და ეძიებენ
მშჳდობასა და სიყუარულსა და ყივჩაყთაგან არა რბევასა.
ამისთჳსცა არარას მიხედვიდეს წარსაგებელთა სიმრავლესა,
ოდენმცა მუნ თჳთ, სადა იყვის, იპოვის მშჳდობა და სიცოცხ-
ლე თავისა თჳსისა. და ვგონებ, ვითარმედ მამათა და პაპთა-
გან წალებულნი ქუეყანანი, ტყუენი და სიმდიდრენი მრავალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილად უკუმოიზღუნა ამან მკნემან. დაამშუდა ქუეყანა, ალბა-
სო და გარდაეცა ყოველთა კეთილითა, განავსო და ალაბეია
ყოველი ოკერქმნილი. და გარდაემატა ყოველთა ჟამთა მშუდო-
ბითა და სიმდიდრითა სამეფო ჩუენი, ნაცვლად გარდასულთა
ოკრებათასა.

ესევითარნი უკუე არიან მეფობრივთა მიმოსლვათა მისთა,
წყობათა და ღუაწლთა, ძლევათა და წარმართებულებათა, და-
პყრობათა და ახუმათა დიდთა მათ და მრავალთა სამეფოთა და
სამთავროთა მოთხრობანი და საქმენი, რომელნი მან ქმნნა და
ალასრულნა, რომელნი ჩუენ მცირედითა და ყოვლად კნინითა
სიტყუთა წარმოგუჩენიან დიდთა მათ და მითხრობად შეუძლე-
ბელთა საქმეთა მისთაგან, და ბრჭალთაგან ლომსა და ფესუსა-
გან მცირისა ყუავილისასა ქსოვილისა ვითარებასა საცნაურ
ყოფად ვმეცადინობთ, ვითარცა აჩრდილისაგან კაცსა, რომელ-
ნი-ესე შეუძლებელ არიან ყოფად.

ხოლო ჯორციელთა საქმეთა ესრეთ მოქმედისაგან უკუთუ
ვიეთმე ჰგონონ, ვითარმედ რადღამცა მოეცალა საღმრთოთა და
სულიერთა სათნოებათა მიმართ მიხედვადმცა და მოგონებად,
არა თუ ქმნად, ვინათგან ფრიადცა კმა არიან ესენი ერთისა
ჯორცთა შინა მყოფისა კაცისაგან ქმნად და წარმართებად, და
თუ სადათ პოვა სამეფო თჳსი სიმდაბლედ შთასრული, და თუ
სადა სიმაღლედ აღიყვანა, და თუ სადა დასხნა საზღვარნი და
ძლეულნი ვითა მძლედ გამოაჩინნა, — ამათნი მგონებელნი
ნუუკუე არა იბრალნენ, არამედ ეუწყენ მათ, ვითარმედ უკუე-
თუ ამათ პირთათჳს ვინ გამოიძიოს და ზედამიწევნით ვინ
ცნობა ინებოს, კნინლა და ესე ჯორციელნი საქმენი წარმოთქ-
მულნი ფრიად უნდოდ და არარად პოვნეს, ვითარცა ნანდუულ-
ვე მცირედნი და სასაწუთონი; და მდგომათა მათ თანა მტკი-
ცეთა და საუკუნოდ ღმერთმყოფელთა მისთა საქმეთა, რო-
მელთა-იგი უმეტეს ამათსა მათ მოქმედებდა და უსასწრაფოეს
აქუნდა, რომელთაგანნი მცირედნი მრავლისაგან, ვითარცა
სასმელი ერთი მტკურისაგან, ჩუენცა მივსცეთ თხრობასა.
იტყჳს სოლომონ: «დასაბამად სიბრძნისა მოიგე სიბრძნეო».
ხოლო დავით, მამა ღმრთისა: «დასაბამად სიბრძნისა შიში უფ-
ლისა». ესე შიში უფლისა მოიგო სიყრმითგან თჳსით დავით,
და ჰასაკსა მისსა თანა აღორძნდა, და ჟამსა თჳსსა ესევითარნი
ნაყოფნი გამოიხუნა, რომლითა ორკერძო ცხოვრება თჳსი განა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუენა, რომლითა შეამკუნა საქმენი თჳსნი, რომლითა განაგნა ჰორციელნი და წარმართნა სულიერნი.

ხოლო ისმენდი, თუ ვითარ გონიერად დედად სიბრძნისა რა პოვა შიში უფლისა, ღმერთთადც — სალმრთონი წერილნი. და ესენი მდიდრად შეიკრიბნა, რაოდენნი პოვნა გარდამოღებულად ენასა ქართველთასა სხუათა ენათაგან. ძველნი და ახალნი, ვითარცა სხუამან პტოლემეოს, ამას ზედა ოდენ სასოვან ქმნილმან, და ესეოდენ შეიყუარნა და შეითჳსნა, რომელ სთქუამცა, თუ მათ შინა ცხოველ არს და მათ შინა იძრვის. იგინი იყვნეს მისსა საზრდელ, ყოველთა გემოან, და სასმელ ტკბილ და საწადელ; იგინი — შუება, განცხრომა საწურთელ და სარგებელ. დღე და ღამე მიმოსლვათა შინა მიმდემთა, ლაშქრობათა მოუწყენელთა, შრომათა განუსუენებელთა წიგნები ეტჳრთა სიმრავლესა ჯორთა და აქლემთასა; და სადა გარდაჴდის ჰუნესა, პირველ ყოვლისა წიგნნი მოაქუნდიან ჴელითა, და არა დააცადის კითხვა, ვიდრე არა დაშურის.

ხოლო შემდგომად სერობისა, ნაცულად ძილისა ანუ სხჳსა რასმე საქმისა, კუალად კითხვა წიგნთა. და რაჟამს თუალნი დაშურიან, სასმენელნი ანაცვალნის, სადა არა გარეწარად, არამედ ფრიადცა ფრთხილად ისმენნ წინაშე თჳსსა მკითხველისასა, გამოეძიებნ, ჰკითხავნ, უფროლა თჳთ განმარტებნ ძალსა და სიღრმესა მათსა. და უსაკჳრველეს არს ესე: უწყით ყოველთა, თუ ვითარ სასწრაფო არს ყოველთა საქმე ნადირობისა, და თუ ვითარ დაიმონებს შედგომილსა თჳსსა და წარტყუენულ ჰყოფს, და ნადირობასა შინა არს ესე: უწყით გარნა ხილვასა და დევნასა ნადირისასა; და თუ ვითარ ჴელთ იგდოს, მიმხედველ ჰყოფს. გარნა მისი გულსმოდგინება ამასცა სძლევდა, რამეთუ თჳთ ნადირობასა შინა წიგნნი აქუნდიან ჴელთა და, რაჟამს ჟამი იყვის, მისცნის ვისმე მსახურსა და ესრეთ დევნა უყვის. და ნუუკუე ჰგონო, ვითარმედ ჴელითა ცალიერითა მოიქცის, ანუ ცუდად დაშურის. რამეთუ ვინ ჰგავნ ჰორცხელი ანუ ვინ იხილა ესეოდენ განმარჯუებული ნადირობასა შინა. მოსიმახოს ვინმე ითქმის ებრაელი მოისროობის და კეთილმმართებლობისათჳს ალექსანდრეს სპათა შორის მჯობად, და აქილევი კენტავროსისგან განსწავლულად მოისროობისა და ელენთა შორის, ხოლო ბარამ-ჯური სპარსთა შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედად უცხოთა და საკვრველთა, გარნა ჭეშმარიტად ვეტყვ[illegible] ერთი ამათგანი შეესწორებოდა ამას, ვითარცა გვხილავს ჩუენ.

და ვთქუა სხუაცა საქმე, საცნაურმყოფელი წიგნთა სიყუარულისა, რომელსა შინა არარა იყოს ტყუვილი, ვინათგან წარსწყმედს უფალი «ყოველნი რომელნი იტყვან სიცრუესა». წინადაიდვა ოდესმე წიგნი სამოციქულო წარკითხვად; და რაჟამს დაასრულის, ნიშანი დასუის ბოლოსა წიგნისასა. ხოლო მოქცევასა წელიწდისასა მით ნიშნითა აღვთუალეთ: ოცდაოთხჯერ წარეკითხა.

არიან უკუე სხუანიცა მრავალნი საცნაურებანი ამისა პირისანი, გარნა მე ერთიღა შევსძინო სიტყუად სხუა ამათ თანა. ქალაქი ტფილისი იყო, ოდეს ჯერეთ არა სრულიად შემოყენებულ იყო უღელსა ქუეშე მორჩილებისასა, ვითარცა აწ, არამედ სავსე იყო სისხლითა ქრისტიანეთათა: რამეთუ ოდესმე ყვიან ღავღავი და თუნიერ მიზეზისაცა მოსრნიან რაოდენნი პოვნიან ქრისტიანენი, ხოლო ოდესმე ქარავანსა თანა შემოყოლილთა თურქთა ზედა გასცნიან შემომავალ-გამომავალნი ქრისტიანენი, და ტყუეობად და სიკუდილად მისცნიან, და ესრეთ ისრვოდა ქუეყანა მრავალჟამ, რომელი ესე ფრიად ეძუნებოდა სულსა დავითისსა.

შემოვიდა ოდესმე ქარავანი დიდი განძით, და თანა შემოჰყვეს თურქნი დიდნი. ცნა რა მეფემან, გაგზავნნა მონათაგანნი თხუთმეტნი კაცნი რჩეულნი, რათა ლოჭინით კერძო ნახირი მძოვარი ქალაქისაჲ წარმოიტაცონ, წუუკუე იგი თურქნი გამოვიდენ დევნად, და მოსწყუდნეს ამით ლონითა. ხოლო თუთ სამასითა ოდენ მჴედრითა დაიმალა ღელეთა ავჭალისათა, და არავის მიენდო მჴედარსა სხუასა, არამედ თუთ მარტო წარვიდა ყოვლად უსაჭურველო, ჴრმლითა ოდენ. და თანა წარიტანა წიგნი ღმრთისმეტყუელი, და ამცნო სპათა არა შეძრვად ყოვლადვე მისლვადმდე მისა მათთანა.

ხოლო მონათა მათ ყვეს ბრძანებული მათდა, და წარმოიღეს ნახირი; მოეწივნეს თურქნი, ვითარ ესი კაცი. და შემდგომად დიდისა ომისა ჩამოყარეს მონანი, და დაუკოცნეს ცხენნი, გარნა ქუეითცა იბრძოდეს ფიცხლად. ხოლო მეფე ცხენსა რა გარდაჯდა, არა ჰგონებდა ჯერეთ მოსლვასა; შეექცა კითხვასა და ესეოდენ წარიტყუენა მისგან გონებითა, რომელ სრულიად დაავიწყდა წინამდებარე საქმე, ვიდრემდის ჴმა რამე კივილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემოესმა ყურთა. მყის დაუტევა წიგნი მუნვე, და აღმკვდ-
ბული მიჰყვა ვას ჯმასა. და ვითარცა ზედა წარადგა მოხათა
თჳსთა, ესევითარსა ღუაწლსა შინა მყოფთა, — და რამეთუ
აშორვიდა სპათა თჳსთა, და უკეთუმცა მათდა ცნობად წარ-
სულ იყო, მონათა დაუჴოცდეს, — მსწრაფლ შთაბრიალდა ვი-
თარცა არწივი, და დააბნივნა ვითარცა კაკაბნი, და მსწრაფლ
ესეოდენნი მოსწყჳდნა, რომელ მათნი ცხენნი კმა ეყვნეს მო-
ნათა მათ. და აღმჴედრებულთა ესეოდენნი მოსრნეს, რომელ
მცირედნიღა შეესწრნეს ქალაქს. ხოლო გზანი სავსენი იყვნეს
მძორითა მათითა და ფრიადისა ცემისაგან ჴრმალმანცა დაღუ-
ლარჭნილმან უარ-ყო ქარქაში თჳსი. მაშინღა მოვიდა სპათა
თჳსთა თანა, რომელნი ფრიად აბრალებდეს მას. განიცადეთღა
ჩემდად, რომელ ესევითარსა საქმესა შინა და ესეოდენ უცა-
ლოსა წიგნივე აქუნდეს უსასწრაფოესად საქმედ. და ესენი
ესეოდენ.

ხოლო ვთქუა ესეცა, ვითარმედ უკუეთუმცა არა წერილთა
მეცნიერებანი და გარდასრულთა საქმეთა შემცნებანი, პირველ
ყოფილთა მეფეთა კეთილ ძღუანებულთა ანუ ვერას წარმარ-
თებულთა შემთხუეულნი წინაგანსაკრძალებელად სახედ არა
შემოეხუნეს და არა მოეჴმარნეს, ვითარცა იტყჳს სოლომონ,
ვითარმედ: „იცნის ქცეულებანი ჟამთანი, აღჴსნანი იგავთანი
და გარდასულთა შეამსგავსნის მომავალნი», — არათუმცა ესე-
ნი ესრეთ, კუერთხი მეფობისა ესეოდენ დამდაბლებული, ესე-
ოდენ ძნელი და ნანდჴლვე დიდი განსაგებელი რათა იპყრა
ესრეთ მაღლად, ვითარ ვერვინ სხუამან? რამეთუ განბრძნდა
უფროს ბესელეილისსა და უმეტეს ეთამ ისრაიტელისა, წერი-
ლისაებრ; და ვითარ ვინ აღრაცხნეს რაოდენნი საქმენი ეთხო-
ვებიან მეფობასა, რაოდენნი მართებანი და განსაგებელნი, კი-
დეთა პყრობანი, ნაპირთა ჭირვანი, განხეთქილობათა კრძალვა-
ნი, სამეფოსა წყნარებისა ღონენი, ლაშქრობათა მეცადინო-
ბანი, მთავართა ზაკვისა ცნობანი, მჴედართა განწესებანი, სა-
ერონი შიშნი, საჴელოთა და საბჭოთა სჯანი, საჭურჭლეთა შე-
მოსავალნი, მოციქულთა შემოხუევანი და პასუხნი, მეძღუნე-
თა ჴეროვანნი მისაგებელნი, შემცოდეთა წყალობითნი წურ-
თანი, მსახურებულთა ნიჭმრავლობანი, მოჩივართა მართალნი
გამოძიებანი, მოსაკითხავთა შესატყჳსნი მოკითხვანი, სპათა
დაწყობანი და ღონიერნი მიმართებანი, და რაოდენნი ვინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმოწყუნეს სიტყვთა უფსკრულისაგან სამეფოთა საქმეთაჲ, რომელთა შინა ვერვინ ძველთა და ახალთაგან მეფეთა ემსგავსა, ვითარცა საქმენი წამებენ მზისა შარავანდთა უბრწყინვალესნი და ცხადნი, რომელნი სიბრძნითა თჳსითა ქმნნა.

რამეთუ სულტანი დასუა მოხარკედ თჳსა, ხოლო მეფე ბერძენთა ვითარცა სახლეული თჳსი. დასცნა წარმართნი, მოსრნა ბარბაროზნი, მრწემად მოიყვანნა მეფენი, ხოლო მონად ჴელმწიფენი; მეოტად წარიქცივნა არაბნი, იავარად ისმაიტელნი, მტუერად დასხნა სპარსნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათნი. და რათა მოკლედ ვთქუა, პირველ ყოფილნი მეფენი, გოლიათნი, გმირნი კაცნი იგი, საუკუნითგან სახელოვახნი, მჭნენი და ძლიერნი, და რათაცა საქმეთა ზედა სახელოვანნი, ყოველნივე ესრეთ დასხნა, ვითარცა პირუტყუნი ყოველსა საქმესა შინა.

ხოლო კუალად საღმრთოთა სათნოებათა და სულიერთა საქმეთა მისთა ვიეთი გონება მისწუთეს, ანუ მოგონებულსა ვისმან ენამან შეუძლოს თხრობად. რამეთუ ვითარცა ღმერთი მართლ სჯიდა სამწყსოთა თჳსთა თუალუხუავითა მით ბჭობითა თჳსითა, და არა სადათ მიდრკებოდა «წამი სასწორისა», ვითარცა სოლომონისთჳს გუესმის საბჭოთა შინა და თჳთ მოსესმიერნი გუაუწყებენ ბჭობანი და თხრობანი. ხოლო თავი სათნოებათა, სიწმიდე ესეოდენი მოიგო, ვითარცა დიდმან ანტონი; ნუ მეტყჳ მისთა სიჭაბუკისათა რათამე, რომელნი არცა ღმერთმან მოიჯსენნეს! უწყი ჭეშმარიტებით, რამეთუ ყოველთა ათისა წლისა ჟამთა სამარადისოდ წმიდითა პირითა და განწმედილითა გონებითა მიიღებდა უხრწნელთა ქრისტეს საიდუმლოთა თანამოწამებითა სჳნდისისათა და არა მხილებითა გონებისათა, რომლისა მოწამე არს სარწმუნო იგი ცათა შინა. კუალად ლოცვისა და მარხვისათჳს რადღა საჴმარ არს თქმა, რომლისა იგი საქმარ ოდენ იყო. და კუალად მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოვლისა საეკლესიოსა განგებისასა დარბაზის კარით მიიღებდიან, ვითარცა კანონსა უცთომელსა, ყოვლად შუენიერსა და დაწყობილსა, კეთილწესიერებასა ლოცვისა და მარხვისასა.

ხოლო საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, და გინება ღმრთისა საძულელი, და ყოველი უწესოება მოსპო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილ იყო ლაშქართა შინა მისთა და ურიცხუსა მას შინა ბ[illegible]
რავლესა ენათა ნათესავთასა, ვითარცა ცათა შინა მყოფთა შო-
რის. კუალად წყალობა ვლახაკთა ეაეოდენი აქუნდა, ვიდრეშ-
დის აღავსო ზღუა და კმელი ქუეყანის საქმემან მისმან. რამეთუ
ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თჳსთა ოდენ
სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა, მთაწმიდისა და ბორღა-
ლეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კუპრისა, შავისა მთისა,
პალესტინისანი, აღავსნა კეთილითა, უფროსღა საფლავი უფ-
ლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, და მყოფნი იერუსალემისანი
თჳთოფერთა მიერ შესაწირავთა განამდიდრნა. კუალად უშო-
რესცა ამათსა: რამეთუ მთასა სინასა, სადა იხილეს ღმერთი
მოსე და ელია, აღაშენა მონასტერი, და წარსცა ოქრო მრა-
ვალათასეული, და მოსაკიდელნი ოქსინონი, და წიგნები საეკ-
ლესიაო სრულებით, და სამსახურებელი სიწმიდეთა ოქროსა
რჩეულისა.

და კუალად დღითი დღე წარსაგებელთა, რომელთა თჳსითა
ჴელითა მისცემდა ფარულად, ვინ ალრაცხოს თჳნიერ მამისა
ზეცათასა, რომელი მიაგებს ცხადად. რამეთუ იყო მისა კისაკი
მცირე: აღავსის დრაჰკნითა რა დღე სარწმუნოთა თჳსთა ჴელი-
თა, და სამწუხროდ ცალიერი მოაქუნდის იგი მხიარულსა სუ-
ლითა და პირითა. ოდესმე ნახევარი წარაგის მისი, და ოდეს-
მე არავინ ეპოვნის, და ეგრე სავსე მისცის დამარხვად ხვალისა
და სულ-თქმითა თქჳს: „დღეს ვერა მივეც ქრისტესა მარცხე-
ზითა ჩემთა ცოდვათათა". და ამას არა თუ ჴელოსანთაგან
მორთმეულისა იქმოდის, ანუ თუ საჭურჭლით, არამედ ჴელთა
თჳსთა ნადირებულისა. რომელთაგანი თჳსსა მოძღუარსა ითვა-
ნეს მისცა ოდესმე დრაჰკანი, ვითარ ოცდაოთხი ათასი, რათა
განუყოს გლახაკთა. და ესეცა მცირედი მრავლისაგან თქმად
შეუძლებელ.

ხოლო განათავისუფლნა არა მონასტერნი ოდენ და ლავრა-
ნი მოსაკარგვეთა მიჭირვებულთაგან, არამედ ხუცესნიცა სამე-
ფოსა შინა მისსა ყოვლისა ჭირისა და ბეგრისაგან, რათა თა-
ვისუფალთა სალმრთო მსახურება მიუპყრან ღმერთსა.

ხოლო ამათ თანა რაოდენნი ეკლესიანი აღაშენნა, რაო-
დენნი ჴიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი გზანი,
საწყინოდ სავალნი, ქვაფენილ ყვნა, რაოდენნი ეკლესიანი,
წარმართთაგან შეგინებულნი, განწმიდნა სახლად ღმრთისად,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაოდენნი ნათესავნი წარმართთანი შვილად წმიდისა ემბაზისა
სად მოიყვანნა და შეაწყნარნა ქრისტესა, და დადგა მისთვს
უმეტესი მოსწრაფება, რათამცა ყოველი სოფელი მოსტაცა
ეშმაკსა და შეასაკუთრა ღმერთსა, რომლითა მიიღო მადლი
მოციქულობისა, ვითარცა პავლე და ვითარცა დიდმან კოს-
ტანტინე.

სხუათავე კეთილთა თანა აქუნდა ესეცა, რამეთუ სლვათა
შინა თჳსთა სამეფოთასა სიმრავლითა სპათათა და სიმალითა
სლვისათა ვერ ადვილად მიემთხუეოდიან მოჩივარნი და დაჭი-
რებულნი და მიმძლავრებულნი, განალა ვიეთღამე რომელთა
საჭიროდ უჴმდის განკითხვა და შეწევნა მეფობრივი, ნუუკუე
და ვინმე აღვიდის ბორცუსა ზედა რასმე, გზისა მახლობელსა,
ანუ კლდესა, გინა თუ ხესა, ვითარცა ზაქე. უკუეთუ ოდენ ეპო-
ვის ესევითარი რამე, და მუნით საცნაურ ყვის ჭრტინვა თჳსი,
ამისთჳს დაედგინნეს კაცნი მართლად მცნობელნი და განმკი-
თხვარნი მოჩივართანი, რომელთა მიერ მიიღებდეს კურნებასა.
მრავალგზის გჳხილავს იგი დამალტობელად ღაწუთა თჳსთა
ცრემლითა ხილვასა ზედა თჳთოსახეთა სენთა მიერ განცდილ-
თასა და ხილვად საძნაურთა, რომელნი შეემთხუევიან მიუნ-
დობელთა ამათ და უბადრუკთა ჯორცთა, რომელთა ზრდის
სხუათა უმეტეს ქუეყანა ქუთათისისა. ვინ აღრიცხუნეს ტყუე-
ნი, რომელნი მან განათავისუფლნა და რომელნი უკუმოიჴსნნა
თჳსთა ყივჩაყთაგან ფასითა. ვინ ჯეროვნად წარმოთქუნეს ბა-
ტივის პყრობანი მონაზონთანი, სიმდაბლით შემთხუევანი და
მოკითხვანი, და სიყვარულით შეწყნარებანი მათნი, თჳთოეუ-
ლისა ნიჭნი და საჴმარნი, რომლითა უზრუნველ-ყვნის ყოველ-
თა საჭიროთაგან.

ხოლო აქუნდა ამას ყოვლად ბრძენსა მეფესა საქმედ ესე-
ცა, რომლითა უმეტეს ყოველთა საშიშად საზარელ იყო ყო-
ველთა, რამეთუ ღმრთისა მიერ იყო მის ზედა ნიჭი ესე და
საქმე ყოვლად საკჳრველი. არარა შორიელი არცა სამეფოთა
შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთა, დიდთა
და მცირედთა, საქმე ქმნილი, კეთილი გინა სიტყუა ბოროტი
თქმული — არარა დაეფარვოდა ყოვლადვე, არამედ რაოდენ-
ცა ვის ფარულად ექმნის ან თუ ეთქჳს, ყოველივე ცხად იყო
წინაშე მისსა, ვიდრემდის გულის-სიტყუანიცა და მოგონებანი
ვიეთნიმე მიუთხრნის მათ, რომელთა ზარგანჴდილ-ყვნის. და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაზონთა განშორებულთა სენაკთა შინა მათთა ქმნეს ლუაწლნი და სათნოებანი უწყოდნის ცხადად, და სიშორე გზისა ვიდრე ეკლესიამდე ზომით იცოდის, და მოთმინებისათჳს აქებდის და ნატრიდის. ნუ ამას ეძიებ, მკითხველო, თუ ვითარ იქმნებოდა ესე, არამედ ამას ცნობდი, თუ რა სარგებელი ჰოვის ამათ მიერ. რამეთუ არა თუ ცუდად რადმე და განსაკითხავად საგიობელთა საქმეთად, ანუ საკიცხელად ვიეთთათჳსმე იქმოდის: ნუ იყოფინ ესე, წარვედ!

არამედ დიდნი საქმენი და ფრიად სასწრაფონი წარმართნა ამით, და მრავალთა კეთილთა მიზეზ-იქმნა ესე: პირველად ორგულებასა, და ზაკუასა, და ღალატსა რასმე ვერვინ დიდთა ანუ მცირეთაგანი იკადრებდა მოგონებადცა, არა თუ თქმად ვისდა, არცა თუ მეუღლესა და ცხედრეულსა თჳსსა თანა, ანუ მოყუასსა თჳსსა, გინა ყრმათა თჳსთა თანა, ვინათგან ესე მტკიცედ უწყოდა ყოველმან კაცმან, რომელ პირით აღმოსლვასევე თანა სიტყჳსასა საცნაურ-ქმნილ არს უეჭველად წინაშე მეფისა. და მრავალნი განპატიჟებულცა იყვნეს და მხილებულ ესევითართათჳს. ამისთჳსცა ვეროდეს ვინ განიზრახა ღალატი რაჲთურთით დღეთა მისთა, არამედ იყო ყოველთაგან საკრძალავ და საროდო.

და კუალად მღდელთმოძღუართა, მღდელთა და დიაკონთა, მონაზონთა და ყოველთა კაცთა ესევე საქმე ექმნა წესიერებად და გზად ყოველთა სათნოებათა მიმართ. რამეთუ შიშითა მისითა ვერ იკადრებდიან უწესოდ სლვად, ვინათგან უწყოდიან არარას დაფარულობა წინაშე მისსა, და მის მიერ ქება სათნოებისა, და ძაგება არაწმიდათა და უწესოთა საქმეთა. რამეთუ ვერცა მსოფლიო ვინმე და ვერცა მოქალაქე, ვერ მჴედარი და ვერ რომელი ბატივი და ასაკი იკადრებდა განდრეკილად სლვად: რამეთუ ყოველთა კაცთა იყო წესიერება, ყოველთა კანონ, ყოველთა ბატიოსნება, და თჳთ მათ მეძავთაცა ყოველთა კრძალულება, ყოველთა შიშ და მმართებელ გზათა სალმრთოთა და მშჳდობისათა.

ესე დიდნი საქმენი, ღმრთისაგან ოდენ შესაძლებელნი, ესრეთ ადვილად წარმართნა ამით, ვითარცა ვერვინ ადვილ წარმართის ეგრეთ. ამისთჳსცა შიში დიდი და ზარი მისი განითქუა კიდეთა ქუეყანისათა, და განკრთეს ყოველნი მკჳდრნი ქუეყანისანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო შემოკრბა ოდესმე წინაშე მეფისა ნათესავი გულარ-ძნილი, ყოვლად ბოროტთა სომეხთა ეპისკოპოსები და მონასტერთა მათთა წინამძღურები მრავალი ფრიად, რომელნი აზმნობდეს თავთა თჳსთა მიწევნად თავსა ყოვლისა სწავლულებისა და მეცნიერებისასა. და მოაჴსენეს, რათამცა ყო ბრძანებითა მისითა კრება და ყველსმცა სიტყჳსგება და გამოძიება სჯულისა: უკუეთუ იძლივნენ სომეხნი, და იქმნენ თანაერთჴმა სჯულისა და თჳსი სჯული შეაჩუენონ; ხოლო უკუეთუ სძლონ სომეხთა, ესოდენ მიემადლოს, რათა არღარა გჳწოდდეთო მწვალებელად და არცა შეგუაჩუენებდეთ.

მაშინ მოუწოდა მეფემანცა იოანეს, კათალიკოსსა ქართლისასა, და მის ქუეშეთა ეპისკოპოსთა და მეუდაბნოეთა, და არსენის იყალთოელსა, თარგმანსა და მეცნიერსა ბერძენთა და ქართველთა ენათასა, და განმანათლებელსა ყოველთა ეკლესიათასა, და სხუათა მეცნიერთა და ბრძენთა კაცთა.

ყველს უკუე სიტყჳსგება ურთიერთას ცისკრითგან ვიდრე ცხრა ჟამამდე,და ვერას უძლეს დაბოლოებად. რამეთუ იყო ორკერძოვე ძლევისმოყუარება ოდენ და ცუდ სიტყუათა პაექრობა: რამეთუ შევიდიან შეუვალთა საქმეთა და ძნიად გამოსავალთა, რომელი ესე შეეწყინა მეფესა და რქუა ჳათ: „თქუენ, მამანო, სიღრმეთა სადამე შესრულ ხართ და უცხაურთა ხედვათა, ვითარცა ფილოსოფოსნი, და ჩუენ ვერარას უძლებთ ცნობად, ვითარცა უსწავლელნი და ყოვლად მსოფლიონი. და ესე საცნაურ არს თქუენდა, რამეთუ მე შორს ვარ სწავლულებასა და მეცნიერებასა, ვითარცა მჯედრობათა შინა აღზრდილი. ამისთჳსცა უსწავლელთა და ლიტონთა და მარტივთა მიერ სიტყუათა გეზრახო თქუენ“.

ესერა თქუა, იწყო მათდა მიმართ სიტყუათა თქმად, რომელსა ღმერთი მოსცემდა უეჭველად პირსა მისსა. ესეოდენთა იგავთა და სახეთა წინადაუდებდა, აჴსნათა საკჳრველთა მიერ წინადაუდგრომელთა და უცილობელთა, რომლითა დაანთქნა, ვითარცა მეგჳპტელნი, და დაუყო პირი მათი და უპასუხო ყვნა და ყოვლად უსიტყუელ, ვითარცა ოდესმე დიდმან ბასილი ათინას შინა.

ესე მწვალებელნი ესეოდენ ზარგაჴდილ ყვნა და ყოვლად ულონო, რომელთა აღიარეს ცხადად ძლეულება თჳსი ამისთა ოდენ მეტყუელთა, ვითარმედ: „ჩუენ, მეფეო, მოწაფე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუეგონე ამათ მოძღუართა თქუენთა, გარნა, ვითარ ვხედავ, შენ სამე ხარ მოძღუარი მოძღუართა, რომლისა ბრჭალსა ვერ მიმწუთარ არიან ეგე მოძღუარ საგონებელნი თქუენნი". და ესერეთ ფრიად მაბრალობელნი თავისანი მიიქცეს სირცხვლეულნი, არღარაოდეს მკადრებელნი ამისნი ოდესცა.

ხოლო არიან ვინმე მაბრალობელნი მეფისანი ჯერეთ ესეოდენ მჭირსედ მოქალაქობისა და მოლაშქრეობისათჳს და მჯედრობათა მისთა განუსუენებელისა მიმოსლვისათჳს და დაჭირებისა, ვითარმედ: „არცა მშჳლდი თავს იდებსო მარადის გარდაცმულობასა, არცა ძალი ორღანოსა მარადის განსხირპულობასა, რამეთუ ჟამსა ჯმარებისა მათისასა თითოეული მათი უჯმარ იპოვოსო". და ესევითართა უგიობლისა მისთჳს და ყოვლად უმიზეზოსა იტყჳან.

გარნა ისმინეთ ესევითართა მათ პირველად ესე, რამეთუ სამეფო აფხაზეთისა მცირე ჰქონდა მოკლებული, და მცირე იყო, და ტყუეობათა და ზემოჯსენებულთა ჭირთაგან მცირე გუნდი მჯედრობისა და იგინიცა დაჯაბნებულნი, მრავალგზის მტერთაგან სივლტოლითა უცხენო და უსაჭურველონი, და თურქთა მიმართ წყობისა ყოვლად უმეცარნი და ფრიად მოშიშნი. უკუეთუმცა ესეოდენ უწყინორთა ლაშქრობითა და მცირედ-მცირედ ბრძოლითა და სწავლითა გუარიანად და ღონიერად წინაძღომითა, და მრავალთა ძლევათა მიერ მოგუარებითა არა განეწუართნეს სპანი თჳსნი, და განეკადნიერნეს წყობათა მიერ მჯნეთა ქებითა და ნიჭთა მიცემითა, ხოლო ჯაბანთა სადედოთა შთაცუმითა და კიცხევით ძაგებითა, არამცა მოეღონა, ვიდრემდის სპათა შორის მისთა ყოვლად არა იპოვებოდა ჯაბანად ზრახული, რათამცა ექმნნეს ესეოდენნი ძლევანი, ანუ რათამცა ექმნნეს და აღეხუნეს ესეოდენნი სამეფონი? ნუუკუე ძილითა ანუ ადგილთა მწუანვილოვანთა ზედა მოსმურობითა და განცხრომითა და მაჩუკნებელთა საქმეთა შედგომითა; არა ესრეთ, არა, არამედ არცა ალექსანდრე ქმნა ესრეთ. რამეთუ პირველად მამულისა თჳსისანი შეკრიბნა და მით დაიპყრნა დასავლისანი ევროპი, იტალია, ჰრომი, და აფრიკეთი, და მათითა წარტანებითა დაიპყრა ეგჳპტე, შესრულმან კარქედონით, და მიერ ეგჳპტით პალესტინე და ფინიკე, და კილიკიასა თჳსად შემქმნელი, წინაგანეწყო დარიოს. და რაჟამს სპარსეთი მოირთო, მაშინღა სძლო პიროს ჰინდოსა, და ეგრეთღა ამით ყოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლითა მოვლო ყოველი ქუეყანა; და ქმნა, რა იგი ქმნა; თუ არ
ქართველთა ოდენ სპითა ვერცარას ალექსანდრე იქმოდა კარგსა.
და თუმცა დავითს სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა
და ჰრომთა ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინმცა გენახ-
ნეს ნაქმარნი მისნი, უალრეესნი სხუათა ქებულთანი.

ხოლო ვთქუა მეორეცა მიზეზი ამისვე პირისა, ვინათგან
ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე
თჳსთა უფალთა. რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და
დიდება პოონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა,
ვითარცა მოგჳთხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი
აწ ხილულნი. და ესე მან უბრძნესმან ყოველთა კაცთამან კე-
თილად სადმე უწყოდა. ამისთჳსცა არაოდეს მოაცალა ამისად
განზრახვად, ანუ განსუენებად, ანუ შეკრებად და ქმნად რას-
მე ესევითარსა. არამედ საქმეთა, რომელთა იწყო ქმნად, გა-
ასრულნაცა მაღლად და შუენიერად. ნუუკუე და ლომსაცა აბ-
რალონ ეგევითართა, რამეთუ არა ციდამტკავლურად იხედავს,
არცა კუერნაულად კრთების.

კუალად სხუასა ბრალობასა შემოიღებენ მეტყუელნი ეს-
რეთ: „შეიყუარნის ვინმე და განადიდნის ვინმეო, და კუალად
მოიძულნის ვინმე და დაამცირნისო, ესე აღამაღლის და ესე
დაამდაბლისო“. ეჰა უსამართლობასა, ჰ უგუნურებასა! ამის-
თჳს აბრალება, რამეთუ კაცი მიწისაგანი ღმერთსა ემსგავსა
რომლითაცა საქმითა? ვინ იხილა ესე საუკუნითგან, ჰ კაცო?
ამისთჳს რად არა ღმერთსაცა აბრალებ, უგუნურო, ამასვე ეს-
რეთ მოქმედსა? ანუ არა ხუთთა ქანჭართა ათ მყოფელსა
მისცნაა ათნი ქანჭარნი? ანუ არა ერთისა დამფლველსა მოუ-
ღო იგიცა და მისცა ათთა ზედა მეთერთმეტედ?

ანუ რასათჳს ქადაგებულ არიან სამოთხისა შუებანი და სა-
სუფეველისა წიტარებანი ღმრთისა ნებისმყოფელთათჳს ჭეშ-
მარიტად, ხოლო საშინელებანი ურჩთა და უღირსთათჳს? უკუე-
თუ მეფემან ერთგულნი, ფრთხილნი და ახოვანნი, ნაცვლად
ორგულთა, ჯაბანთა და უღირსთა, ადიდნეს, რა უსამართლო
ქმნა? წუუკუე დუხჭირმანცა აბრალოს სარკესა, რამეთუ სახე
მისი ცხადად უჩუენის: უჭმარნი და უღირსნი ნუ მას, არამედ
თავთა თჳსთა აბრალებდენ. უკუეთუ არა, ვინ იყო ესოდენ მარ-
თლად აღმწონელ საქმეთა და მცნობელ ვითარებასა კაცისასა,
რომლისა აჩრდილსა შეკრებულ იყვნეს ერნი, ტომნი და ენა-

ნი, მეფენი და ჴელმწიფენი ოვსეთისა და ყივჩაყეთისანი, ხეთისა და ფრანგეთისანი, შარვანისა და სპარსეთისანი, ხილვისაებრ ნაბუქოდონოსორისა: «ვხედევდო, იტყჳს, ხესა შორის ქუეყანისა სიმაღლედ ცისა მიწდომასა, და რტოთა მისთა კიდედმდე ქუეყანისა. ფურცელნი მისნი შუენიერ, და ნაყოფი მისი ფრიად და საზრდელი ყოველთა მის შორის. ქუე კერძო მისსა დაიმკჳდრეს მჴეცთა ქუეყანისათა, და შორის რტოთა მისთა მკჳდრობა ყვეს მფრინველთა ცისათა, და მისგან იზრდეზოდა ყოველი ჴორციელი».

აჰა ესერა, სახე არა უმსგავსო, არამედ ფრიადცა თანაშეტყუებული ჩუენისა თჳთმპყრობელისა, და ყოვლად გამომსახველი სიტყჳთ საქმეთა თუალთა ჩუენთა ხილულთა. რამეთუ სიტკბოებისა, სახიერებისა და სიბრძნისა მისისა ხილვად წყურიელნი კიდით ქუეყანისათ შემოკრბებოდეს წინაშე მისსა. ვინ იყო ეზომ ტკბილ შემთხუევათა შინა, ვინ სატრფიალო ზრახვითა და სასურველ დუმილითა, იგივე შუენიერ ხატითა, უშუენიერეს მორთულობითა გუამისათა, შეწყობილ ანაგებითა და ახოვან ტანითა, ძლიერ ძალითა, უძლიერეს სიმახჳლითა, საწადელ ღიმილითა, უსაწადელეს მჭმუნვარებითა. მადლიერ ხედვითა, საზარელ ლომებრ მკრთომელობითა, ბრძენ ცნობითა, უბრძნეს გამორჩევითა, მარტივ სახითა, მრავალსახე მართებითა, შემრისხველ მყუდროებითა, მაქებელ განმსწავლელობითა, და არცა ერთსა კეთილთაგანსა შემაშთობელ უზომოებითა. მაღალ უმაღლესთათჳს და მდაბალ უმდაბლესთათჳს, და თჳთ მათ მტერთაგანცა საწადელ და საყუარელ სათნოებათა მისთაგან შეკდიმებულთა. ვინა ესრეთ მიიღო ერთიცა სათნოებათაგანი, ვითარ ვინ ყოველთაგანმან შეიკრიბა ყოველი სრულებითი თითოეული, რომელ ყოველთათჳს შეუძლებელ არს დაკჳრვება ოდენ, არათუ მიბაძვება, რომლითა სრულ იქმნა იგი ყოველსა შინა, ესრეთ რა აღსავსე იყო ნავი უფასოთაგან ტჳრთთა სათნოებისათა, და არღარა შემძლებელ წარსლვად ღადირთა.

და აქუნდა ყოვლით კერძო მშჳდობა და დაწყნარება სამეფოთა მისთა. მაშინ დიდმან მან წინაგანმგებელმან ცხოვრებისა ჩუენისამან და ყოვლისავე უმჯობესად შემცვალებელმან განგებითა მით, რომელი მან უწყის და განაწესებს ჟამთა და წელთა ჩუენთა, ესრეთ განაგო, ვითარცა მუშაკმან კეთილმან:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაჟამს იხილნის ჯუვილნი აღსავსედ ნაყოფითა და ქუეყანა დალოკილნი, ისწრაფის დაუნჯება მათი; და ვითარცა მენავეთან ბრძენმან განიცადის რა ნავი თჳსი აღსავსედ მრავალფერითა ტჳრთითა, მიისწრაფის ნავთსადგურად, რათა არარა ევნოს სოფლისა ამის მღელვარისა ზღჳსაგან.

რამეთუ ჟამსა ზამთრისასა, მშჳდობასა და დაწყნარებასა ყოველისა სამეფოსასა, არა გარეგნად მენაკიდურესა, არამედ საშუალ თჳსთა სამეფოთა ადგილთა, თჳთ მის მიერვე წინათ განჩინებულთა განსასუენებელად და მისაძინელად, ვითარცა ჭრულითა რათამე შუენიერითა დაიძინა მამათა თჳსთა თანა. და თჳთ მებრ ესე კმა არს საცნაურმყოფელად საკუთრებისა თჳსისა ღმრთისა მიმართ. რამეთუ მრავალგზის მრავალთა მიზეზთა და განსაცდელთა სიკუდილისათა შთავარდა იგი, რომელთაგან მცირედი მივსცეთ თხრობასა. რამეთუ ნადირთა დევნასა შინა ოდესმე მუხნარს წაექცა ცხენი, და ესეოდენ შეიმუსრა, რომელ სამ დღე ყოვლად უსულო მდებარე იყო უძრავად, სამშჳნველისაგან ოდენ საცხაური ცოცხლად. და შემდგომად სამ დღე ნამტკნარსა სისხლისასა აღმომყრელსა მოექცა სული და სიტყუა, და ძლითღა აღდგა ცოცხალი. და ესევითარი მრავალგზის შეემთხჳა და ღმერთმან იჳსნა სიკუდილისაგან.

კუალად ციხესა რომელსამე ბრძოდეს ქართლს, და მეფე კარსა კარვისა თჳსისასა დგა, პერანგითა მოსილი ოდენ, შუადღე, და ციხით ვინმე შემოსტყორცა ისარი, და ჰკრა ხატსა მთავარანგელოზისასა, რომელი ეკიდა ყელსა, ოქროსა მცირე, და ძალმან საღმრთომან განარინა მშჳდობით. რაოდენგზის ყივჩაყთა თჳსთა განიზრახეს ღალატი, და განაჩინნეს კაცნი მჴნენი, რომელნიმე ჯრმლითა, რომელნიმე შუბითა, სხუანი ისრითა; და ესე არა ერთი და ორ, გინა სამ, არამედ მრავალგზის; და არაოდეს მიუშუა «ღმერთმან კუერთხი ცოდვილთა მართალსა მას ზედა», არცა ოდეს «მისცა იგი ჴელთა მეძიებელთა» მისთასა, დაღათუ მრავალგზის დევნასა თურქთასა მარტო დაეპყრის ანუ უსაჭურველო, გარნა ყოველსა შინა ჴელი იგი ზეგარდამო ფარვიდა მდევართა მისთაგან, არამედ ყოვლადვე და ყოველსა შინა საქმესა მისსა იყო ბედნიერ და ხჳან, და მადლითა აღსავსე.

ეგრეთვე ჟამსა შინა შუენიერსა და ჯეროვანსა მოუწოდა

ღმერთმან შემყუარებელსა თჳსსა და მარადის მოსურნეთა
მარადისოდ მეფობად წინაშე მისსა. და არღარა მიუშვა მო-
ვალუამ სჯად და დაჭირვად სამსხემოსა ამას კედარსა შინა
მკჳდრობითა, და ჯორცთა ამათ ქუეყანაზედველთა მიეო შეკ-
რვად სულსა გონებაქმნულსა, არცა განხრწნადითა გჳრგჳნითა
და პორფირითა, ვითარცა სიზმრითა და ნაოცნითა, უმრავლე-
სად ჴელრად, არამედ ნანდჳლ ჭეშმარიტითა და მტკიცითა, წა-
რუდინებელითა და სამარადისოთა. სადა თჳთ იგი ბუნებით
ღმერთი მეუფებს მადლით ღმერთქმნილთა ზედა, მუნ აღიყვა-
ნა მის თანა მეფობად, უხრწნელითა და ბრწყინვალითა გჳრ-
გჳნითა და პორფირითა შემკული, სადა იგი აწ მკჳდრ არს და
იქცევის ნათელსა შინა ღმრთაებისასა.

რამეთუ ᲐᲧᲝ მაშინ თუე იანვარი ოცდაოთხი და დღე შა-
ბათი, ოდეს ქრონიკონი იყო სამასორმოცდაცამეტნი. ხოლო წე-
ლიწადნი მისნი შობითგანნი ორმოცდაცამეტნი. ხოლო მეფობ-
და ოცდათექუსმეტ წელ და, ვითარცა პირველმან დავით სო-
ლომონი, ამანცა თჳსითა ჴელითა დასუა საყდართა თჳსთა ძე
თჳსი დიმიტრი, სახელით ოდენ ცვალებული, მარადღე გარ-
დამონასახი, ყოვლითურთ მსგავსი მამულთა ძირთა, და დაადგ
თავსა შუენიერსა გჳრგჳნი ქვათაგან პატიოსანთა, ვიტყჳ
უკუე სათნოებათა მამულთა, და შეარტყა წელთა ძლიერთა
მახჳლი, ეჰა, რაბამ სჳანად ჴმარებული, და შემოსა პორფირი
მკლავთა ლომებრთა და ტანსა ახოვანსა. და დაულოცა ცხოვ-
რება წარმართებული და განგრძობა დღეთა ბედნიერობით,
თაყუანის-ცემად მისა მეფეთა ქუეყანისათა და ყოველთა წარ-
მართთა მონებად მისა, გამობრწყინვებად დღეთა მისთა სი-
მართლე და მრავალი მშჳდობა. და ესრეთ განცვალა ქუენა
მოქალაქეობა ზენად სუფევად, რომლისა მკჳდრნი განჴსნილ
არიან შრომათაგან და ოფლთა და ზრუნვათა, და მუნ მეფობს
სიმდიდრეთა მათ ზედა, რომელნი წინა წარგზავნნა, საუნჯეთა
მათ მაღალთა დამპარავთაგან უშიშთა დალევნისა და მოკლე-
ბისაგან, ქალაქსა მას, რომლისა შუენიერება არა უხილავს
თუალსა სხეულიანსა და რომლისა ბრწყინვალება ვერა
აღვალს გულსა ჯორციელსა, ვერცა სასმენელი დაიტევს სმე-
ნილსა. რამეთუ მუნ არს შუება და სიხარული, რომელსა არა
აქუს მწუხარება და სიმდიდრე, რომელსა არა შეუდგს სიგლა-
ხაკე და მხიარულება, რომელსა არა განკუეთს ურვა და მე-
ფობა, რომელსა არა აქუს აღსასრული, და მუნ არს ცხოვრება,
რომელსა არა შეამღურევს სიკუდილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სუმბატ დავითის ძე

ცხოვრება და უწყება ბაგრატოვნიანთა

ჩუენ ქართველთა მეფეთასა, თუ სადათ მოიწივნეს ამას
ქუეყანასა ოგინი, ანუ რომლით ჟამითგან უპყრიეს
მათ მეფობა ქართლისა, რომელი აღწერა

სუმბატ ძემან დავითისმან

ადამ შვა სეით. სეით შვა ენოს. ენოს შვა კაინან. კაინან შვა მალელ. მალელ შვა იარედ. იარედ შვა ენოქ. ენოქ შვა მათუსალა. მათუსალა შვა ლამექ. ლამექ შვა ნოე. ნოე შვა სემ. სემ შვა არფაქსად. არფაქსად შვა კაინან. კაინან შვა სალა. სალა შვა ებერ. ებერ შვა ფალეგ. ფალეგ შვა რაგავ. რაგავ შვა სერუქ. სერუქ შვა ნაქორ. ნაქორ შვა თარა. თარა შვა აბრაჰამ. აბრაჰამ შვა ისაკ. ისაკ შვა იაკობ. იაკობ შვა იუდა. იუდა შვა ფარეზ. ფარეზ შვა ესრომ. ესრომ შვა არამ. არამ შვა ამინადაბ. ამინადაბ შვა ნაასონ. ნაასონ შვა სალმონ. სალმონ შვა ბოოს. ბოოს შვა იობედ. იობედ შვა იესე. იესე შვა დავით მეფე. დავით მეფემან შვა სოლომონ. სოლომონ შვა რობუამ. რობუამ შვა აბია. აბია შვა ასაფ. ასაფ შვა იოსაფატ. იოსაფატ შვა იორამ. იორამ შვა ოზია. ოზია შვა იოთამ. იოთამ შვა აქაზ. აქაზ შვა ეზეკია. ეზეკია შვა მანასე. მანასე შვა ამონ. ამონ შვა იოსია. იოსია შვა იოვაკიმ. იოვაკიმ შვა იექონია, იექონია შვა სალათაელ. სალათაელ შვა ზორაბაბელ. ზორაბაბელ შვა აბიუდ. აბიუდ შვა ელიაკიმ. ელიაკიმ შვა აზორ. აზორ შვა სადუკ. სადუკ შვა აქიმ. აქიმ შვა ელიუდ. ელიუდ შვა ელიაზარ. ელიაზარ შვა მატათან. მატათან შვა იაკობ. იაკობ შვა იოსებ, ქმარი მარიამისი და ძმა კლეოპასი. კლეოპა შვა ნაომ. ნაომ შვა სალა. სალა შვა რობუამ. რობუამ შვა მოხთარ. მოხთარ შვა ელიაკიმ. ელიაკიმ შვა ბენიამენ. ბენიამენ შვა იერობემ. იერობემ შვა მოსე. მოსე შვა იუდა. იუდა შვა ელიაზარ. ელიაზარ შვა ლევი. ლევი შვა იორამ. იორამ შვა მანასე. მანასე შვა იაკობ. იაკობ შვა მიქია. მიქია შვა იოვაკიმ. იოვაკიმ შვა იერუბემ, იერუბემ შვა აბრაჰამ. აბრაჰამ შვა იობ. იობ შვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქაბ. აქაბ შვა სუმონ. სუმონ შვა იზაქარ. იზაქარ შვა აბიმელეხ. შვა გაად. გაად შვა ასერ. ასერ შვა ისაკ. ისაკ შვა დან. დან შვა სოლომონ. სოლომონ შვა შუდნი ძმანი, რომელნი-იგი მოსცნა ღმერთმან ტყუეობასა შინა.

და ესენი შუდნი ძმანი, ძენი ამის სოლომონისნი, წარმოვიდეს ქუეყანით ფილისტიმით, ტყუეობით წარმოსულნი ჰურიანი, და მოიწივნეს ეკლეცს წინაშე რაქაელ დედოფლისაჲ და მისგან ნათელ-იღეს. და დაშთეს იგინი ქუეყანათა სომხითისათა და მუნ დღეინდელად დღედმდე შვილნი მათნი მთავრობენ სომხითს.

და ოთხნი ძმანი მათნი მოვიდეს ქართლს: ხოლო ერთი მათგანი, სახელით გუარამ, განაჩინეს ერისთავად, და ესე ქართლისა ბაგრატიონიანნი შვილისშვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისნი.

ხოლო ძმა მისი, სახელით საჰაკ, წარვიდა კახეთს და დაემზახა იგი ნერსეს. და სხუანი ორნი იგი ძმანი ამათნი, სახელით ასამ და ვარაზვარდ, წარვიდეს კამბეჩანს, და მოკლეს მათ სპარსთა სპასალარი და დაიპყრეს კამბეჩანი, და დასხდეს იგინი მუნ ცხოვრებად ხორნაბუჯს. და ამა ჟამამდე შვილნი მათნი მთავრობენ მას შინა.

ხოლო ვინათგან მოაკლდა მეფობაჲ შვილთა გორგასლისათა მით ჟამითგან ეპყრა უფლებაჲ ქართლისა აზნაურთა ვიდრე ამათადმდე. არამედ დაესრულა უფლებაჲ ქართლისა აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათგან.

მას ჟამსა მცხეთას კათალიკოსი იყო სუმონ-პეტრე; და მცხეთა აღთხელდებოდა და ტფილისი აღშენდებოდა, არმაზი შემცირდებოდა და კალაჲ განდიდდებოდა. და სპარსნი უფლებდეს ქართლს, კახეთს, ჰერეთს, სომხითს, სივნიეთს, ასპურაგანს.

მას ჟამსა კათალიკოსი იყო მცხეთას სამოელ, და ერთად შეკრბა ყოველი ქართლი და გამოარჩივეს გუარამ, დავითის ნათესავისაგან, მოწევნული ძმათა მისთა თანა, ასამს და ვარაზვარდს, რომელნი იგი ზემო ვაჯსენენით. ესენი წარმოვიდეს ეკლეცით, რომელნი მონათლნა რაქაელ დედოფალმან, ძმანი შუდნი ჰურიანი, ტყუეობით მოსრულნი ქუეყანით ფილისტიმით, და ნათელ-იღეს ეკლეცს ჯელითა რაქაელ დედოფლისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა. რომელმან სამთა მათგანთა უცვალა სახელი: რამეთუ ერთ-
სა სახელ სდვა მუშელ, და ერთსა ბაგრატ, რომელ არს მამაჲ
ბაგრატონიანთა, ერთსა აბგავარ; ერთი შემოიყვანა სიძედ და
ორნი მათგანნი აშზახნა სომხითის მეფეთა.

ხოლო ოთხნი ესე ძმანი წარმოემართნეს ქართლს, ვითა
ზემო ვაჯსენეთ, და გუარამ განაჩინეს ერისთავად და მოსცა
ამას მეფემან ბერძენთამან პატივად კურაპალატობაჲ და წარ-
მოგზავნა მცხეთას. და ამან დადვა საფუძველი ჯუარისა ეკ-
ლესიაჲსა, რომელ არს მცხეთას.

ხოლო სამნი ესე ძმანი წარვიდეს კახეთს და საჰაკ დაემზა-
ხა ბაკურის ძესა ნერსეს. და ასამ და ვარაზვარდ წარვი-
დეს კამბეჩოანს, და გარდაუქციეს ერი ვეზანს, ერისთავსა
ბაჰარ ჩუბინისსა, და ვეზან მოკლეს, და დაიპყრეს მათ კამბე-
ჩოანი.

და იყო მას ჟამსა მცხეთას კათალიკოსი სამოელ. და ამის
ზე ტფილისისა მკვდრთა ეკლესიისა გებად იწყეს, რომლისა
ნახევარსა ყოველი ერი აშენებდა, და ნახევარსა ერთი ვინმე
დედაკაცი.

და კათალიკოსი იყო მცხეთას ბართლომე.

და შემდგომად ამის გუარამისსა ერისთავობდა ძე მისი
სტეფანოზ და ძმაჲ დემეტრესი. და აშენებდეს ეკლესიას ჯუა-
რისასა მცხეთას.

და ამის ზე წარვლო ერეკლე მეფემან ბერძენთამან, და
მივიდა ტფილისად, და დადგა დამართებით ციხესა კალისასა.
და ციხისთავმან ჴმაჲ-უყო ციხით გამოემართ და რქუა ერეკლე
მეფესა: „რომელსა გასხენ წუერნი ვაცისანი და ვაც-ბოტისა
კისერი გაქუს“. მაშინ ვითარცა ესმა ერეკლე მეფესა, განრისხ-
ნა მისთჳს, და აღმოიკითხა წიგნისაგან დანიელ წინასწარმეტყ-
უელისა სიტყუაჲ იგი, ვითარმედ: „აღმოვიდეს ვაცი დასავლი-
საი და შემუსრნეს რქანი აღმოსავლისა ვერძისანი“. და თქუა მე-
ფემან: „უკუეთუ იყო ჩემდა სიტყუაჲ ეგე, კადნიერებისათჳს ჩე-
მისა მისაგებელი ორკეცი დაგიტეო შენ“. და დაუტევა ტფი-
ლისს ჯიბღუ ერისთავი ბრძოლად ციხესა ტფილისისასა, და
თჳთ წარემართა ბაღდადს. და მივიდა გარდაბანს, ვარაზ გრიგო-
ლისსა, და დაილაშქრა ადგილსა მას, რომელსა ჰქჳან ხუზაშე-
ნი, და ნათელ-სცა ერეკლე ვარაზ გრიგოლსა და ყოველსა ერსა
მისსა. და იწყო შენებად ეკლესიასა, რომელი იგი უბრწყინვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეს არს ყოველთა ეკლესიათა. და მუნით წარვიდა ბაღდადს
და დადგა გულსა სოფლისასა. და აღმართა ჯუარი ქვისაჲ და დად-
ვა საფუძველი წმიდისა ღმრთისმშობელისა ეკლესიისა, და
აღასრულა გუმბათი მისი. ხოლო მან ჯიბღუ წარიღო კალა და
ციხე იგი ტფილისისა გამოიღო, და ციხისთავი იგი შეიპყრა.
და დრაჰკნითა პირი აღუვსო ამისთჳს, რამეთუ თქუა სადიდე-
ბელი იგი მეფისაჲ ერეკლესი. ხოლო კადრებისა მისთჳს ტყავი
გაჰკადა და მეფესა მისწია იგი გარდაბანს ვარაზ გრიგოლისასა.
და გარდაბანით მეფემან მიცვალა ლალს, და უწოდა მეწეკევ-
ნელთა მთავარსა, ნათელ-სცა და წარვიდა ბაღდადს. და გამო-
იღო ბაღდადი, და შეიპყრა ხუასრო მეფე, და მოაღებინა ძელი
ცხოვრებისა. და იწყო შენებად იერუსალემისა, და დასუა მო-
დისტოს პატრიაქად და წარმოემართა აქათვე, და მოვიდა
წელსა მეშჳდესა. და ვიდრე მოსლვადმდე მისსა ტფილისის
ეკლესია სიონი განესრულა, ხოლო ჯუარისა ეკლესიასა აკლდა.

და მან ერეკლე მეფემან ტფილისს და მცხეთას და უჯარ-
მოს ქადაგნი განავლინნა, რათა ყოველნი ქრისტეანენი ეკლე-
სიასა შევიდენ, და ყოველნი მოგუნი და ცეცხლისმსახურნი,
რომელნიცალა არა მოინათლნენ, მოისრნენ. ხოლო მათ ნათ-
ლისღება არა ინებეს, არამედ ზაკუვით აღერივნეს ქრისტიანე-
თა თანა. და მიაწიეს ყოველთა მათ ზედა მახჳლი, და ეკლე-
სიათა შინა მდინარენი სისხლთანი დიოდეს. და განწმიდა სჯუ-
ლი ქრისტეს ღმრთისაჲ ჩუენისა, და წარვიდა ერეკლე მეფე სა-
მეფოდვე თჳსად.

და მთავრობდა ქართლს იგივე სტეფანოზ დიდი. კათალი-
კოსი იყო მეორე ბართლომე მის ზედავე.

და შემდგომად მისსა ჰმთავრობდა ადარნასე. ძე მის
სტეფანოზისი. და მის ზე სამნი კათალიკოსნი იცვალნეს: იო-
ვანე, ბაბილა და თაბორ. და ამისა შემდგომად მოკუდა ადარ-
ნასე მთავარი და მის წილ დაჯდა სტეფანოზ, ძე მისი. და მან
განასრულა ეკლესია ჯუარისა და განაწესა მუნ ჯუარისა კრება,
და დაჯდა ტფილისს ცხოვრებად. და კათალიკოსი იყო სამოელ
და ენონ. და მის ზე ქუეყანა ქართლისა აღწერეს, და წარიღეს
საბერძნეთს. და ამბავი მოიწია, ვითარმედ ბაღდადი დაიპყრეს
აგარის ნათესავთაო.

და ამის სტეფანოზისა შემდგომად ერისთავობდა ძე მისი
გუარამ კურაპალატი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და შემდგომად მისსა ვარაზ-ბაკურ, ძე მისი, ანთიპატოსი — პატრიკიოსი, რომელმან გარდაბანელნი მოაქცივნა. და მერმე ნერსე და ძენი მისნი, ფილიპე და სტეფანოზ და ადარნასე. და ძენი მისნი გურგენ ერისთავი, აშოტ კურაპალატი.

ხოლო აშოტ კურაპალატი მთავრობდა ქუეყანასა მას შინა და სახლად მისა იყო ბარდავი და ტფილისი, და ჰქონდა მას ქუეყანა, რომელ არს გარემოს მისსა. და მაშინ გაძლიერდა ჴელმწიფებაჲ აგარიანთა და იწყეს ძიება აშოტ კურაპალატისა. და ვერ უძლო წინააღდგომად მათდა აშოტ და ივლტოდა მათგან. და წარემართა, რათა წარვიდეს საბერძნეთად და თანა ჰყვეს მას დედა და ცოლი და ორნი ძენი ასაკითა ჩჳლნი, უხუცესი ადარნასე და შედეგი ბაგრატ. ხოლო უმრწემესი ძე გუარამ ჯერეთ არა ესუა. და ერი თჳსი მცირედ ჰყვა თანა, მკჳდრნი მისნი, დედაწულითურთ და შვილითურთ. მოიწივნეს მთასა ჯავახეთისასა, კიდესა დიდისა მის ტბისა ფარავნისასა დამაშურალნი სლვისაგან, და გარდაჰჴდეს განსუენებად კიდესა მის ტბისასა. ჭამეს რა პური, და მცირედ მიერულა. და მძინარეთა ეწივნეს დიდნი ლაშქარნი სარკინოზთანი. მაშინ შეეწია ღმერთი აშოტ კურაპალატსა, და კნინსა მას ლაშქარსა მისსა მოსცა ძლევაჲ მათ ზედა, და მოსრნეს სიმრავლენი ურიცხუნი. წარმოვიდეს მუნით და მოიწივნეს ჴევსა შავშეთისასა.

ხოლო ჴევი შავშეთისა უშენებელი იყო მაშინ, გარემე მცირედთა სოფელთასა. რამეთუ ჟამთა სპარსთა უფლებისასა აოჴრდა, ოდეს-იგი ყრუმან ბაღდადელმან შემუსრნა ყოველნი ციხენი და მოვლო შავშეთიცა და ლადონი. და კუალად შემდგომად მისსა სრვამან სატლობისამან მოაოჴრა შავშეთი, კლარჯეთი და მცირედღა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ. ხოლო დაშთომილთა მათ მკჳდრთა შავშეთისათა შეიწყნარეს იგი სიხარულითა და სიყუარულითა, და დაემკჳდრა მუნ. და მისცა ღმერთმან გამარჯუება და აჴელმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთისა ზედა. და მან სოფლები ზოგი იყიდა საფასითა, და ზოგი ოჴერი აღაშენა, და განამრავლა სოფლები აშოტ კურაპალატმან ქუეყანათა მათ შინა. და მისცა ღმერთმან და განამტკიცა ჴელმწიფება მისი ნებითა ბერძენთა მეფისათა

და ამან აშოტ კურაპალატმან პოვა კლარჯეთის ტყეთა შინა კლდე ერთი, რომელი პირველ ვახტანგ გორგასალს ციხედ აღეშენა, სახელით არტანუჯი; და აოჴრებულ იყო ბაღდადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისა მის ყრუობითგან. იგი განაახლა აშოტ და ეგრეთვე ციხედ, და წინა კერძო მისსა ქუეშეთ აღაშენა ქალაქი. და აღაშენა ციხესა მას შინა ეკლესია წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი, და შექმნა მას შინა საფლავი თჳსი, და დაემკჳდრა ციხესა მას შინა ცხოვრებად. და მერმე კუალად ეუფლა ქუეყანათა ვიდრე კარადმდე ბარდავის ქალაქისა. და მრავალგზის მოსცა ღმერთმან აშოტს კურაპალატსა ძლევა და დიდი დიდებაჲ ბრძოლათა შინა.

და იყო ერთსა შინა ჟამსა, განვიდა აშოტ, რათამცა შეკრიბა ლაშქარი ბრძოლისათჳს სარკინოზთასა. მოვიდა იგი ადგილსა რომელსამე და განავლინნა ლაშქრისაჲ მაწუეველნი. და ვიდრე არღარა შეკრებულ იყო ლაშქარი იგი მისი მისთანა, დაესხნეს მას სარკინოზნი უცნაურად და აოტეს იგი. წარმოემართა და მოიწია ჴევსა ნიგალისასა და იწყო ძებნად ერისაჲ, რათამცა ვითარ განიმრავლა ლაშქარი თჳსი. და წარმოემართნეს მოსლვად მის წინაშე იგინი, რომელთა მან უბრძანა, ხოლო იგინი მოვიდოდეს კლვად მისსა. მაშინ ვიდრე მოწევნადმდე მათდა კარად მისსა არა უწყოდა აშოტ ზაკუა მათი, და რაჟამს მოიწივნეს იგინი კარად მისსა, მაშინღა აგრძნა რაჲ იგი ეგულვებოდა მათ. და არა ჰყვა მას ერთი თჳსი თჳნიერ მცირედთასა რომლითა ვერ წინააღუდგებოდა იგი მათ. ამისთჳსცა შეივლტოდა აშოტ კურაპალატი ეკლესიად, და მოწყლეს იგი მახჳლითა საკურთხეველსა ზედა და შეისუარა საკურთხეველი იგი სისხლითა მისითა, რამეთუ დაკლეს იგი მუნ, ვითარცა, ცხოვარი, ალსავალსა საკურთხევლისასა და სისხლი იგი მისი დათხეული დღესცა საჩინოდ სახილველ არს.

ხოლო ესმა რა ესე ამბავი ერსა მისსა, რომელნი-იგი იყვნეს დოლისყანასა, ვითარმედ მოიკლა უფალი იგი მათი აშოტ ჴელითა ოროზ-მოროზის ძეთათა, წარვიდეს დოლისყანით და დევნა უყვეს მკლველთა მათ უფლისა თჳსისათა, დაეწივნეს მათ სანავესა ზედა ჭოროხისასა, მოსრნეს იგინი ბოროტად, ვიდრემდის არა დაუშთეს არცა ერთი მათგანი, და წარმოიღეს მკუდარი აშოტ კურაპალატი და დაფლეს მისსა მას საფლავსა შინა ციხესა არტანუჯისასა, ეკლესიასა წმიდათა მოციქულთასა. ხოლო მოიკლა ესე აშოტ კურაპალატი დასაბამითგან წელსა ხ̅ჳ̅ლ, ქრონიკონსა მეათცამეტედ მოქცეულსა შინა მ ჳ, თუესა იანვარსა ოცდაცხრასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დაუტევნა სამნი ძენი: უხუცესი ადარნასე და შედეგი მისი ბაგრატ. ესე ორნი თანა ჰყვეს მას, რაჟამს-იგი მოიწია შავშეთ-კლარჯეთად. ხოლო უმრწემესი გუარამ არტანუჯის მოსლვასცა შინ დაებადა.

და შემდგომად აშოტის სიკუდილისა, მამისა მათისა, რომელ გარეთ ქუეყანაჲ ჰქონდათ ძეთა აშოტისთა — წარულეს სარკინოზთა, რამეთუ იყვნეს იგინი უსრულ ასაკითა. ხოლო რაჟამს სრულასაკ იქმნნეს იგინი, კუალადცა მოსცა ღმერთმან მათვე ყოველივე იგი ნაქონები მამისა მათისა. და ვიდრე უსრულოლა იყვნეს იგინი ასაკითა, იზარდებოდეს ციხესა შინა არტანუჯისასა, და იყვნეს ხარკის მიმცემელ სარკინოზთა ყოველწივე ჴევნი შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალისანი. ხოლო არტანუჯით გამოღმართ დაიპყრეს მათ ნაქონები იგი მამისა მათისა, დასუეს ბაგრატ კურაპალატად. და წარმართა ღმერთმან ჴელმწიფებაჲ მათი.

და იყვნეს ძენი უხუცესისა მის ძმისა მათისა, აშოტის ძისა ადარნასესნი, სამნი: გურგენ, რომელ-იგი დღეთა სიბერისა მისისათა კურაპალატად დასუეს, და ძმანი მისნი აშოტ კეკელაჲ და სუმბატ არტანუჯელი, რომელი ჴელმწიფობასა მისსა დასუეს ანთიპატოს-პატრიკად. და ძენი ბაგრატ კურაპალატისანი სამნი: დავით, რომელი შემდგომად მამისა თჳსისა დასუეს კურაპალატად, ადარნასე და აშოტ. და ძენი უმრწემესისა აშოტის ძისა გუარამისნი ორნი: ნასრა და აშოტ.

ხოლო აშოტ კეკელაჲ, ძე ადარნასესი, გარდაიცვალა ქრონიკონსა ჴ-ზ, და დაუტევა გურგენ, რომელი შემდგომად კურაპალატად დასუეს, და სუმბატ არტანუჯელი ანთიპატრიკი.

გარდაიცვალა აშოტ, ძე მამფლისა გუარამისა, უწინარეს მამისა თჳსისა ქრონიკონსა ჴ̄თ. არა დაუტევა ძე.

გარდაიცვალა ადარნასე, ძე ბაგრატ კურაპალატისა, ქრონიკონსა ჵ̄დ; სიცოცხლესავე მამისა თჳსისა, და არა დაუტევა შვილი. და მამამისი, ბაგრატ კურაპალატი, ძე აშოტ კურაპალატისა, გარდაიცვალა ქრონიკონსა ჵ̄ვ, და დაუტევნა ძენი: დავით, რომელი შემდგომად მისსა კურაპალატ ყუეს; და მოიკლა იგი ჴელითა მამისძმისწულისა თჳსისა ნასრა გუარამის ძისითა, სიცოცხლესავე შინა გუარამისსა, ქრონიკონსა რ-ა, სუფევასა შინა გუარამისსა, ხოლო გუარამ მამფალი, მამისძმა მისი, მამა ნასრისი, უბრალო იყო სისხლისაგან დავით კუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაპალატისთა; და დაუტევა ამან დავით მოკლულმან ძე მცირე ადარნასე, მოუწიფებელი ჰასაკთა, ხოლო ნასრ მკლველი ივლტოდა სამეფოსა კოსტანტინეპოლედ და იყო მუნ მრავალ წელ.

და ამისსა შემდგომად დასუეს გურგენ ძე ადარნასესი კურაპალატად, დიდისა აშოტ კურაპალატის ძისა.

გარდაიცვალა გუარამ მამფალი, ძე აშოტ დიდისა, მამა ნასრისა, ქრონიკონსა რ̄ბ.

და გარდაიცვალა აშოტ, ძე ბაგრატ კურაპალატისა, ქრონიკონსა რ̄ე.

და ამისსა შემდგომად გამოვიდეს ნასრ სამეფოთ და მოვიდა აფხაზეთს. და იყო მაშინ აფხაზთა მეფე ბაგრატ, დისიძე ნასრისი, და შეეწია მან დიდითა ლაშქრითა, მეფემან აფხაზთამან, და მუნით გარდამოვიდა ნასრ სამცხეს და შეკრიბა სხუაცა ლაშქარი ურიცხუ. ხოლო ადარნასე, ძე მოკლულისა კურაპალატისა, განვიდა ბრძოლად მისა, და მიჰყუა მის თანა შეწევნად ადარნასესა გურგენ კურაპალატი და შვილნი მისნი. და ყუეს ბრძოლა და ომი დიდი ნასრის ზედა. და შეეწია ღმერთი მცირეთა ამათ ადარნასეს კერძთა და სძლეს ნასრას, მეოტ ქმნეს, შეიპყრეს და მოკლეს ნასრა ჴევსა სამცხისასა, სოფელსა ასპინძას, ქრონიკონსა რ̄Ჩ. და არა დაუშთა შვილი ნასრას, და აღიჴოცა საჴსენებელი მისი.

ადარნასე, ძე დავით კურაპალატისა, დასუეს ქართველთა მეფედ ნაცვლად მის მოკლულისა, და ამან ადარნასე, ძემან დავით მოკლულისამან, აღაშენა ბანა ჴელითა კვრიკე ბანელისათა, რომელი-იგი იქმნა პირველ ეპისკოპოს ბანელ.

და მამფალი სუმბატ არტანუჯელი, ძე ადარნასესი, ძისა აშოტ დიდისა, გარდაიცვალა ქრონიკონსა რ̄თ, და დაუტევნა ძენი ორნი: ბაგრატ მამფალი არტანუჯელი და დავით მამფალი.

და სიცოცხლესავე შინა სუმბატ არტანუჯელისასა მოისრა ნასრ; და ქუეყანა ნასრისი დაიპყრეს სხუათა ამათ მთავართა.

ხოლო გურგენ კურაპალატი წარვიდა ტაოთ, კალმახით, მამულით თჳსით, ცხოვრებად შავშეთს და არტანს. და ამისსა შემდგომად შეიმტერნეს ურთიერთას და შეკრიბეს ლაშქარი ერთმანერთსა ზედა ერთ კერძო გურგენ კურაპალატმან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა მისთა, მეორე კერძო ადარნასე ქართველთა მეფემან და ბაგრატ არტანუჯელმან. მოვიდეს ესენი ჰევსა არტანისასა, სოფელსა მგლინავსა, და ჰბრძოდეს ერთმანეთსა. და მეოტ იქმნა გურგენ კურაპალატი, წყლეს და შეიპყრეს. და მოკუდა წყლულებითა მით გურგენ კურაპალატი, ძე ადარნასესი, ძისა აშოტ დიდისა, ქრონიკონსა რ̄ი̄ა. და დაუტევნა ორნი ძენი: ადარნასე და აშოტ, რომელიცა შემდგომად ერისთავთ-ერისთავად დასუეს.

შემდგომად გურგენ მამისა თჳსისა კურაპალატისა გარდაიცვალა ადარნასე ქრონიკონსა რ̄ი̄ვ, და დაუტევნა ორნი ძენი მცირენი: დავით ერისთავთა-ერისთავი და გურგენ, რომელი შემდგომად, მერმე, დიდი ერისთავთა-ერისთავი იყო.

და გარდაიცვალა ბაგრატ მამფალი არტანუჯელი, ძე სუმბატისი, ქრონიკონსა რ̄კ̄თ, თუესა აპრილსა კ̄, დღესა აღვსებასა, და დაუტევნა ძენი ოთხნი: ადარნასე, რომელი-იგი მონაზონ იქმნა და ბასილი სახელიდვა, გურგენ ერისთავი, აშოტ და დავით.

გარდაიცვალა დავით ერისთავი, ძე ადარნასესი, ძისა გურგენ კურაპალატისა, ძმაჲ დიდისა გურგენისა, ქრონიკონსა რ̄კ̄ჱ, და არა დაუტევა შვილი.

აშოტ ერისთავთა-ერისთავმაწ, ძემან გურგენ კურაპალატისამან, რომელსა ეწოდა კუხი, აღაშენა ტბეთი შავშეთს და განასრულა იგი ყოვლითა განგებითა, და დასუა პირველად ეპისკოპოსად სანატრელი სტეფანე უწყებითა სულისა წმიდისათა. და გარდაიცვალა ესე აშოტ კუხი ქრონიკონსა რ̄ლ̄ჱ, და არა ესუა შვილი.

და ამისსა შემდგომად გურგენ, ძმისწული მისი, ძე ადარნასესი, დასუეს ერისთავთა-ერისთავად.

გარდაიცვალა დავით, ძე ბაგრატ არტანუჯელისა, ქრონიკონსა რ̄მ̄ბ, და დაუტევა ძე მუცელსა შიწა ცოლისა თჳსისა, რომელსა-იგი ეწოდა ბაგრატ.

გარდაიცვალა ადარნასე, ქართველთა მეფე, ძე დავით მოკლულისა, ქრონიკონსა რ̄მ̄გ, და დაუტევნა ძენი ოთხნი: დავით, რომელი შემდგომად მამისა თჳსისა ქართველთა მეფე იქმნა, აშოტ კურაპალატი, და ბაგრატ მაგისტროსი, და სუმბატ, რომელი ძმათა შემდგომად კურაპალატად დასუეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა გურგენ ერისთავი, ძე ბაგრატ არტანუჯელისა, ქრონიკონსა რ̄მ̄გ, მასვე წელსა შინა, რომელსა შინა ქართველთა მეფე ადარნასე მიიცვალა, და დაუტევა ამან გურგენ ძე მუცელსა შინა ცოლისა თჳსისა, რომელსა ეწოდა გურგენვე, სახელი მამისა თჳსისა.

გარდაიცვალა დავით, ქართველთა მეფე, ძე ადარნასე მეფისა ქართველთასა, ქრონიკონსა რ̄ნ̄ზ, და არა ესუა ძე.

გარდაიცვალა აშოტ, ძე ბაგრატ არტანუჯელისა, ქრონიკონსა რ̄ნ̄თ, თუესა ივნისსა, და არა ესუა ძე.

გარდაიცვალა გურგენ დიდი ერისთავთა-ერისთავი, ძე ადარნასესი, რომელმან უმეტესნი სიმჯნენი და ბრძოლანი ქმნნა ყოველთა მამათა მისთასა, და დაიმორჩილნა ყოველნი გარემოსნი, ქრონიკონსა რ̄ჲ̄ა, თუესა თებერვალსა ი̄დ. არა ესუა ძე.

გარდაიცვალა მამფალი დავით, ძე სუმბატ არტანუჯელისა მონაზონობასა შინა, ქრონიკონსა რ̄ჲ̄გ, თუესა თებერვალსა ოცსა, და დაუტევა ძე თჳსი სუმბატ, რომელიცა-იგი დასუეს ერისთავთა-ერისთავად.

გარდაიცვალა ბაგრატ მაგისტროსი, ძე ადარნასე ქართველთა მეფისა, ქრონიკონსა რ̄ჲ̄ე, თუესა მარტსა, და დაუტევა ძე თჳსი ადარნასე, რომელი შემდგომად მამისა თჳსისა მაგისტროსი იქმნა და შემდგომად მამისძმათა კურაპალატი იქმნა. მასვე წელსა ბაგრატ მაგისტროსის გარდაცვალებისასა ბასილი მონაზონი კლარჯი გარდაიცვალა, ძე ბაგრატ მამფლისა.

გარდაიცვალა აშოტ კურაპალატი, ძე ადარნასე ქართველთა მეფისა, ქრონიკონსა რ̄ო̄დ, და არა ესუა ძე. და ამასვე წელსა აშოტ, ძე სუმბატისი, გარდაიცვალა და არა ესუა ძე.

და შემდგომად აშოტ კურაპალატისა ძმა მისი დასუეს კურაპალატად, სუმბატ. და ესე სუმბატ კურაპალატი, ძე ადარნასე ქართველთა მეფისა, გარდაიცვალა ქრონიკონსა რ̄ო̄Ჩ, და დაუტევნა ძენი ორნი: ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი, რომელი ქართველთა მეფედ დასუეს, რეგუენი, და ადარნასე კურაპალატი.

გარდაიცვალა ადარნასე კურაპალატი ძე ბაგრატ მაგისტროსისა, ქრონიკონსა რ̄ჯ̄ა, რომელი ესე ძეთა შეიპყრეს და მონაზონ ქმნეს. მოკუდა უნებლიეთ ფიჩჯთა მოსილი და დაუტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნა ძენი: ბაგრატ და დავით ერისთავთა-ერისთავი. გარდაიცვალა ესე ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი, ძე ადარნასე კურაპალატ-სა, ქრონიკონსა რ҃ჯ҃ვ, ხოლო ძმა მისი დავით კურაპალატი იქმნა დიდად.

გარდაიცვალა გურგენ, ძე გურგენის ძისა ბაგრატ მამ-ფლისა, ქრონიკონსა რ҃ჯ҃Ჩ.

გარდაიცვალა ადარნასე, ძე სუმბატ კურაპალატისა, ძმა ბაგრატ რეგუნისა, ქრონიკონსა ს გ, და დაუტევა ძე დავით მცირე.

გარდაიცვალა სუმბატ ერისთავთა-ერისთავი, კაცი მართა-ლი, ძე დავით მამფლისა, არტანუჯელი, ქრონიკონსა ს҃Ჩ და დაუტევნა ძენი ორნი: დავით და ბაგრატ. და შემდგომად მიც-ვალებისა მისისა და დღესა მეორმოცესა გარდაიცვალა ძე მი-სი ბაგრატ, და დაუტევნა ძენი ორნი: სუმბატ და გურგენ.

გარდაიცვალა სუმბატ, ძე ბაგრატ რეგუნისა, ქართველთა მეფისა, ქრონიკონსა ს҃ი҃ბ, და არა ესუა შვილი.

გარდაიცვალა დავით, ძე სუმბატ ერისთავთ-ერისთავისა დიდებულისა, კაცისა მართლისა; და გარდაიცვალა ბაგრატ რეგუენი ქართველთა მეფე, ძე კურთხეულისა სუმბატ კურა-პალატისა, ქრონიკონსა ს҃ი҃დ, და დაუტევა ძე თჳსი უხუცესი გურგენ, რომელსა უწოდეს მეფეთა-მეფე. და ამას გურგენს ესუა ბაგრატ დედით აფხაზთა მეფისა დისწული, დემეტრესი და თევდოსესი. ვიდრე გურგენის გამეფებამდე ესე ბაგრატ მეფე იქმნა აფხაზეთს, და ამისთჳს გურგენს მეფეთ-მეფობა ეწოდა.

გარდაიცვალა დავით დიდი კურაპალატი, ძე ადარნასე კუ-რაპალატისა, ქრონიკონსა ს҃კ҃ა, და არა ესუა ძე.

და აოჯრდა იმიერტაო; და გამოვიდა ბასილი ბერძენთა მე-ფე, და მისცნეს მას ციხენი აზნაურთა ამა დავითისთა, და და-იპყრა ბასილი მეფემან მამული დავით კურაპალატისა. და მივიდეს მის წინაშე ბაგრატ აფხაზთა მეფე და მამა მისი გურ-გენ. და მოსცა ბასილი მეფემან პატივი — გურგენს მაგის-ტროსობა და ბაგრატს კურაპალატობა, რათამცა ვითარ მტერ ყვნა ერთმანერთისა მიმართ მამაძენი ესე, და ამით ღონითა იძმაცუა. ხოლო გურგენ ჭეშმარიტი და მართალი იყო და ვე-რა აღძრა გული მისი ზაკუთა ამით მიზეზითა და ვერა უძლო ღონისძიებითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა ესე გურგენ მეფეთ-მეფე, ძე ბაგრატ ფალ-
თველთა მეფისა, ქრონიკონსა ს~კ~Გ, და დაუტევა ძე ეგ
ბაგრატ, აფხაზთა მეფე, კურაპალატი დიდი, და ეუფლა ტაოს
მამულსა თჳსსა, და დაიპყრა ყოველი კავკასია თჳთმპყრობე-
ლობითა ჯიქეთითგან ვიდრე გურგენადმდე. ხოლო ადარბადა-
განი და შარვანი მოხარკე-ყო, სომხითისა ჴელმწიფებითა, ნე-
ბიერად განაგებდა. მეფე სპარსთა თჳს მეგობრად და ერთ-
გულ-ყო სიბრძნითა და ძლიერებითა თჳსითა უფროს სახლე-
ულთა თჳსთასა, და ბერძენთ მეფესაცა შიში აქუნდა ამისი
ყოვლადვე.

და ამან ბაგრატ კურაპალატმან მოიყვანნა კლარჯნი ჴელმ-
წიფენი სუმბატ და გურგენ, ძენი ბაგრატ არტანუჯელისანი,
თჳსნი მამისდისწულისანი, დარბაზობად მის წინაშე ციხესა
შინა ფანასკერტისასა, და მუნ შინა შეიპყრნა იგინი. და აღი-
ხუნა ქუეყანანი და ციხენი მათნი, რამეთუ იგინი პატიმარ-ყვნა
ციხესა შიგა თმოგჳსასა. და მუნ ციხესა შინა თმოგჳსასა გარ-
დაიცვალა სუმბატ არტანუჯელი ქრონიკონსა ს~ლ~ა. და ეგ-
რეთვე მასვე წელსა შინა გურგენცა გარდაიცვალა, ძმა სუმ-
ბატისი. ქრონიკონსა ს~ლ~ბ ხოლო შვილნი ამათნი წარვიდეს
კოსტანტინეპოლედ, ძე სუმბატისი ბ გრატ და ძე გურგენისი
დემეტრე, ბასილი მეფისა წინაშე, და მათნივე შვილნი კლარ-
ჯთა მეფეთანი რომელ დაშთეს ამათ ქუეყანასა, მოისრხეს
ყოველნი სიკუდილითა პატიმრობასა შინა.

ამისსა შემდგომად მოვლო ბაგრატ ყოველი სამეფო თჳსი,
აფხაზეთი, ჰერეთი და კახეთი, მოვიდა და დაიზამთრა ჴევთა
ტაოსათა. და მო-რა-იწია ზაფხული, მოვიდა მასვე ციხესა
ფანასკერტისასა წელსა მესამესა. და მუნ შინა გარდაიცვალა
ესე ბაგრატ ქრონიკონსა ს~ლ~დ, თუესა მაისსა ზ~, დღესა პა-
რასკევსა. და დაუტევა ძე თჳსი გიორგი და დაჯდა იგი მეფედ
წლისა ი~Გ.

ხოლო დაჯდა რა ესე გიორგი მეფედ, განუდგა ამას ქუეყა-
ნა ჰერეთ-კახეთისა, და ოადრობითა აზნაურთათა შეპყრობილ
იქმნეს ერისთავნი. მათ ქუეყანათ კუალადვე ეუფლნეს მათნი
უფალნი, რომელთა პირველ აქუნდა იგი.

და ამის გიორგის მეფობისა მეშვიდესა წელსა გამოვიდა
ბასილი ბერძენთა მეფე ამას გიორგის მეფესა ზედა. ხოლო
ესე გიორგი განვიდა ლაშქრითა დიდითა და დაიბანაკეს ქუე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყანასა ბასიანისასა ორთავე მრავალდღე, და არა მივიდეს ბრძოლად ერთმანერთსა ზედა, არამედ მოერიდა გიორგი და მოვიდა და დაწუა ქალაქი ოლთისი. გამოუდგა კუალსა და მოუდგა უკანა მეფე ბერძენთა. და შეკრბეს რა უკანამავალნი გიორგისნი და წინამავალნი ბასილისნი ლაშქარნი, იქმნა ბრძოლა დიდი სოფელსა შინა, რომელსა ეწოდების შირიძთა. და მრავლად მოისრნეს ორკერძოვე და მოიკლნეს მუნ დიდნი ერისთავნი: რატი ძე ლიპარიტისი და ხურსი. და ვითარცა მოესმა ჯმა ომისა გიორგი მეფესა, აღბორგნეს, განვიდეს და მოვიდეს ადგილსა მას, სადა იყვნეს ბრძოლად, და მოვიდა მუნ ბასილი მეფეცა სპითა დიდითა.

და შეკრბეს იგინი იმიერ და ამიერ. და იქმნა მუნ ბრძოლა დიდი და მოისრნეს მუნ ბერძენნი დიდნი და ფრიადნი. და წარმოიღეს გიორგისთა ავარი, და ეზომ განდიდნა ბრძოლა იგი, რომელ სივლტოლა ეგულებოდა ბასილი მეფესა. გარნა გიორგისნივე სულმოკლე იქმნეს, რამეთუ მორიდეს და წარმოვიდეს. ხოლო ბასილი უკანა წარმოუდგა და მოვიდა არტანს, და დაწუა იგი; და რომელი პოვა, ტყუე-ყო. ხოლო გიორგი წარვიდა ნიალით კერძო სამცხედ, და მიუდგა მას უკანა ბასილი ჯავახეთით კერძო, და მოაოჯრა ყოველივე. გარდავიდა გიორგი თრიალეთად, და მოადგა ბასილიცა თრიალეთადვე. და რა ეახლნეს ერთმანეთსა, კუალად განძლიერდა გიორგი ლაშქრითა, რამეთუ მოიყვანნა წანარნი და შაქნი. ხოლო იხილა რა ესე ბასილი, შეიქცა თრიალეთით და უკმოვლო ჯავახეთი და არტანი დღეთა შინა ზამთრისათა, და კუალად უბოროტესადრე მოაოჯრა. და წარვიდა და დაიზამთრა ხალდიასა, ქალაქსა ტრაპიზონტას. და ვიდოდეს მოციქულნი ორთავე ამათ მეფეთანი ზავისათჳს ერთმანერთისა წინაშე და მშჳდობისა.

ხოლო იქმნა ამას ჟამსა შინა განდგომილება დიდი საბერძნეთს, რამეთუ შეირთნეს ბასილის სპასპეტი და წარვეზი, ძე ფოკას განდგომილისა, და მეფე იქმნა ქსიფი, და მიიდგინეს მათ ყოველი აღმოსავლით კერძი ქუეყანა. ხოლო ღმერთმან ბასილის დიდად შეშინებულსავე პატივ-სცა, რამეთუ განუდგეს ქსიფი წარვეზს, და ყოველნივე ერნი მისად მიმდგომელნი შეიტყუვნეს ციხესა შინა, შეიპყრეს და ბასილის წინაშე წარმოგზავნეს. და მან ექსორია-ყო იგი კუნძულსა შინა და მიმ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დგომთა მისთა მრავალთა თავი მოჰკუეთა, რომელთა თანა იყო ფერის ჯოჯიკის ძე ქართველი.

და კუალად შემოიქცა ბასილი მეფე და მოვიდა ბასიანს. და ითხოვდა იგი გიორგი მეფისაგან ციხე-ქუეყანათა და აღუთქმიდა ზავსა და მშჳდობასა. ხოლო გიორგი მეფემან განავლინა ზუადი ლაშქრითა დიდითა უწინარეს თჳსსა. და დაილაშქრა ზუადმანცა ამიერ კიდესა ბასიანისასა, რეცა ზამთრის სახედ. ხოლო თჳთ გიორგი მეფე უკანა ისრე განვიდა ზავად წადიერ ლაშქრითა დიდითა და ძლიერითა. გარნა ორკერძოვე მზაკუარნი იგი აზნაურნი არა მიეშუნეს გიორგის ყოფად ზავისა, რამეთუ არა უნდოდა მშჳდობა, არამედ აზრახეს მას ბრძოლად. აწუეს იგი ბასილის ზედა, რომელნი-იგი ზავად და მშჳდობად ჰკონებდა მისლვასა მათსა, და ეგონებდა და მოელოდა. ხოლო გიორგისთა იწყეს ბრძოლად და აოტეს ზოგი ბასილის ლაშქრისა. მაშინ უბრძანა ბასილი მეფემან დამოკიდება წუერსა ჰოროლისასა დაწერილისა მათისა, რომელნი მისად დაეწერნეს გიორგი მეფესა ჩუენსა სიმტკიცისა და ზავისანი. და ესრეთ ბასილი მეფემან ჰოროლისა წუერითა ამართნა იგინი. მიუპყრა ღმერთსა და თქუა: „იხილე, უფალო, წერილი ესე მათი და საქმე, რომელსა აწ იქმან".

და კუალად მოიღო ბასილი მეფემან ძელი ცხოვრებისა მანდილითა წმიდითა, და დასცა იგი ქუეყანასა ზედა და თქუა ესრეთ, ვითარმედ: „უკუეთუ მიმცე მე ჴელთა მტერთასა, არღარა თაყუანის-გცე უკუნისამდე". და ვითარ ესე-ყო და თქუა, მყის მასვე ჟამსა იძლივნეს და მეოტ იქმნეს სპანი გიორგისანი, რომელნი-იგი პირველ მივიდეს; და გამოვიდეს მიერ კეთილ ძო ტალმანი მეფისანი რუსნი, და არა განერა ერთიცა პირველ მოსრულთა მათ თჳნიერ მცირედთასა. რამეთუ თჳთ მეფე გიორგი და უძლიერესი ლაშქარი მისი არღარა მისრულ იყო ჯერეთ ყოვლადვე, და მოიკლნეს მათგანი მას დღესა შინა, რომელთაცა-იგი მშჳდობის-ყოფა არა ენებათ, და მეოტ იქმნეს ყოველნი. და მოისრნეს ურიცხუნი პირითა მახჳლისათა და რომელნიმე მეოტ იქმნეს. წარიღეს ბერძენთა ავარი დიდძალი და განძი სამეფო ყოველი სრულიად, რომელი აქუნდა.

და წარმოიძრა მცირედ ბასილი მეფე და მოუდგა უკან. და კუალად იწყო ზავად და მშჳდობად პირველისაებრ, რა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეთუ შიში აქუნდა საბერძნეთით კუალადცა განდგომილებისა. და ყვეს მაშინ მშჯდობა და დაიზავნეს.

და მისცა გიორგი მეფემან მძევლად ძე თჳსი ბაგრატ, სამისი წლისა ყრმა ჩჩჳლი, და მისცა ციხე ათორმეტი, და ქუეყანა დავით კურაპალატისანი ნაქონები ტაოს, ბასიანს, ჯავახეთს და შავშეთს. და ესრეთ წარვიდა ბერძენთა მეფე ბასილი, და თანა წარიტანა ბაგრატ ყრმა მცირე. და შემდგომად სამისა წლისა შინავე წარმოგზავნა აღუთქუა გიორგის ბაგრატისი.

გარდაჴდეს რა სამნი წელნი, მაშინ წარმოგზავნა ბასილი მეფემან ქალაქით კოსტანტინეპოლით ბაგრატ, ძე გიორგისი, ვითარცა-იგი აღეთქუა. და მოიწია ბაგრატ ტაოს და შემოვიდა თჳსსა მამულსა ბანას თანამოყოლითა მისად კატაბანისა აღმოსავლისათა ზღვრადმდე ბაგრატის მამულისა. ხოლო შეერა-იქცა კატაბანი იგი, მოემთჴჳნეს მას მანდატურნი წიგნითა ესრეთ წერილითა, ვითარმედ: „მიიცვალა ბასილი მეფე, ძმა ჩემი, და ვიქმენ მე მეფედ ყოვლისა საბერძნეთისა. და აწ სადაცალა მოწევნულ იყოს საჴელმწიფოსა შინა ძე გიორგისი ბაგრატ, გარე-ვე-აქციე იგი სწრაფით და წინაშე ჩუენსა მოგზავნე“. და ვითარცა აღმოიკითხა კატაბანმან, მსწრაფლ მოიქცა და დევნა უყო ბაგრატს, გარნა ვერ ეწია მას, რამეთუ თჳსსა მამულსა შემოსრულ იყო იგი და განძლიერებულ ლაშქრითა, რომლისა ბრძოლად ვერღარა ეძლო კატაბანსა მას, არამედ გარე-უკუნ-იქცა და წარვიდა. ეჰა, დიდი და საკჳრველი მოწყალება ღმრთისა! ვითარღა განერა მართალი ჴელთაგან შემპყრობელთა და მტერთა მისთასა, ქრონიკონსა ს̄ მ̄ ე.

და მოვიდა ბაგრატ საბერძნეთით წინაშე მამისა თჳსისა გიორგი მეფისა და დედისა თჳსისა მარიამ დედოფლისა ქალაქსა მათსა ქუთათისს. და ესრეთ შეკრბეს იგინი მშჯდობით, და მისცეს დიდება და მადლობა ღმერთსა მომადლებისათჳს მათდა ესევითარისა მის კეთილისა. და შემდგომად ამისსა რა გარდაჴდეს წელნი ორნი, გარდაიცვალა გიორგი, მამა ამის ბაგრატისი, თრიალეთს, ადგილსა მას, რომელსა ეწოდების მყინვარნი, ქრონიკონსა ს̄ მ̄ ზ, თუესა აგჳსტოსსა ი̄ ვ. და დამარხეს იგი ქუთათისს.

და დაჴდა შემდგომად მისსა მეფედ ძე მისი ბაგრატ ცხრისა წლისა. ხოლო აზნაურნი ტაოელნი წარვიდეს საბერძნეთს: ვაჩე კარიჭისძე, და ბანელი ეპისკოპოსი იოვანე, და ამათ თანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმრავლესნი აზნაურნი ტაოსა, რომელნიმე ციხოვანნი და რომელნიმე უციხონი, განუდგეს ბაგრატს და მიერთნეს კოსტანტინეს, ძმასა ბასილი ბერძენთა მეფისასა, რომელი შემდგომად მისსა მეფე იყო.

და წელსა მეორესა გამოგზავნა კოსტანტინე მეფემან პარკიმანოსი თვსი მიუწდომელისა ძალითა ლაშქრითა თვსისათა და განძითა ურიცხვთა ყოვლად უძლიერესად ბასილი მეფისაცა. მოვლო და მოაოჯრა ქუეყანანი იგი, რომელნი პირველ მოეოჯრნეს ქუეყანანი ბასილი მეფესა, და უმეტესცა. რამეთუ მიიწია ესე თრიალეთს ციხესა ქუეშე კლდეკართასა, სადა-იგი იყვნეს მაშინ აზნაურნი ბაგრატისნი, და ბრძოლა ყვეს, გარნა არა დიდად. და განდგეს კუალად აზნაურნი, და მისცნეს ციხენი. ჩანჩახმან, ერისთავმან შავშეთისამან, მისცა ციხე წეფთისა, და თვთ წარვიდეს იგინი საბერძნეთს.

ხოლო აღაშენა სიმაგრე საბა მტბევარ ეპისკოპოსმან, მახლობელად ტბეთის ეკლესიასა და სახელ-სდვა მას სუეტი. და შეკრიბა მაშინ მან ერი თვსი და შევიდეს მას შინა თვთ საბა მტბევარ ეპისკოპოსი, და ეზრა ანჩელ ეპისკოპოსი, და შავშეთის აზნაურნი, და განძლიერდა მას შინა.

ხოლო მოავლინა მუნ პარკიმანოსმან იოვანე ხარტულარი, სახელით ვალანგ, ლაშქრითა დიდძალითა, და თანა მოსცა მას ძე გურგენ კლარჯისა დემეტრე, რეცა შესატყუენელად ქუეყანისა მკვდრთა, რომელი ესე იქმნა ესრეთ რამეთუ მიიქცეს ერნი სოფლიონი უგუნურ-უსუსურნი ცნობითა და გონებითა. და გამოადგინეს ლაშქარნი სუეტსა მას ტბეთისასა, და ებრძოდეს ძლიერად მრავალლონედ. და ღმერთმან განაძლიერნა მყოფნი იგი სუეტსა მას შინა მადლითა და მეოხებითა წმიდათა მოციქულთათა და ლოცვითა წმიდათა ამათ მღდელთმოძღუართათა. და ვითარცა ერთგულნი და ჭეშმარიტნი მარტვლნი სალმრთონი თავთა თვსთა სიკუდილად განსწირვიდეს, და ჯორციელთა უფალთათუს თავთა თვსთა განსწირვიდეს, და სისხლთა დასთხევდეს სიტყვსაებრ მოციქულთასა, და განძლიერდებოდეს. ყოველთავე ეტყოდეს, ვითარმედ: „ნუმცა შეგვტყუებენ ჩუენ ლიქნანი ესე და საფასენი მსწრაფლ წარმავალნი, არამედ მოვიგოთ მადლი ერთგულებისა და გურგვნი აზოვნებისა“. რამეთუ ებრძოლნი იგი გარე მოდგომილნი მათ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ლიქნიდეს აღთქმითა და ქადაგებითა კეთილითა და საფა-
სეთათა.

ხოლო ესევითარად რა ღელვად აღტეხილად იგუემებოდა
აღმოსავლეთი, მსწრაფლ ეწია რისხვა უმსჯავროსა მას მეფესა
კოსტანტინეს, მსგავსადვე ივლიანეს უსჯულოსა, უწყალოები-
სათჳს ბაგრატ მეფისა ჩუენისა, მოოჯრებისათჳს მამულისა მი-
სისა, და მოსწრაფედ მოუწერა პარკიმანოსს პროედროსსა
თჳსსა, რათა მსწრაფლ შეიქცეს იგი ლაშქრითურთ თჳსით და
მოვიდეს კოსტანტინეპოლედ. და წარვიდა იგი, ესმა რა ესე,
და ვითარცა გარდაიცვალა ესე კოსტანტინე მეფე, დაუტევა
შემდგომად მისსა მეფობა რომანოზს, ნათესავსა და მიმდგომ-
სავე თჳსსა.

ამისსა შემდგომად წელსა მესამესა სანატრელმან დედო-
ფალმან მარიამ, დედამან ბაგრატ მეფისამან, შეიმოსა სიმჴნე
და ახოვნება, რამეთუ, ნაშობი იყო ბრწყინვალეთა მათ ძლი-
ერთა და დიდთა მეფეთა არშაკუნიანთა და წარვიდა კოსტან-
ტინეპოლედ წინაშე რომანოზ მეფისა, ვედრებად მისა, რათა
მშჳდობა-ყოს აღმოსავლეთისათჳს და რათა არღარა იყოს
ბრძოლა ბერძენთა და ქართველთა, და გლახაკნი დაწყნარე-
ბულ და მყუდრო იყვნენ, და რათა მიუთხრეს პატივი ძესა
თჳსსა ბაგრატს მეფესა წესისაებრ სახლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ცხოვრება დემეტრე მეფისა

სრულ-ყო რა დავით სრბა მეფობრივი ქრონიკონსა სამასორმოცდახუთსა, და მივიდა დაუსრულებელსა სუფევასა საუკუნოდ, სიცოცხლესავე შინა მისსა დასუა მეფედ ძე მისი დემეტრე, და დაადგა გვრგვნი თვთ მისითა ჴელითა. დაიპყრა სამეფო ტახტი და საჯდომი მკლავითა ლომებრივითა მისათჳრობელად ბრძენთა ქებისმოყუარეთათჳს. იტყჳს სოლომონცა მეფე: «ჟამნი არიან მშჳდობისანი სარწმუნოება მეფეთა». პირველად მოშიში იყო ღმრთისა, სჳანი და გამარჯუებული, სიმაღლესა და სიმდიდრესა შინა მდაბალი, და გლახაკთა მოწყალე, ობოლთა და ქურივთა განმკითხველი, საყდართა და ეკლესიათა, მღდელთა და მონაზონთა კეთილისმყოფელი, შემწირველი სოფელთა და აგარაკთა. დიდებულთა სამეფოსა მათისათა და კარსა ზედა მყოფთა ტკბილად მოუბარი, უხჳ და ჰბოძებელი. ვითარ გაავრცელა და აღაშენა სამეფო მისი: ოდეს დიდმან დავით ტფილისი აღიღო, ჰერეთი და კახეთი მოირთო, ციხეთა და ქალაქთაგან კიდე კაცი არსადა იყო. ჰერეთი, სომხითი, ტაშირი, ჯავახეთი, ქუენაარტანი და ზენაარტანი ამათსა მეფობისა შინა აშენდა, და ტაოს ნაპირნიცა.

ოდეს ჯერ არა იყო მეფე, დიდმან დავით შარვანს გაგზავნა შვილი დემეტრე და ქმნნა ომნი და ბრძოლანი, რომელ ყოველნი მხედველნი მისნი განაკჳრვნა, და აღიღო ციხე ქალაძორი, და აღივსო ალაფითა და ტყჳთა ურიცხჳთა, გააქცივნა სუქმანეთნი. ოდეს სუქმანეთნი გააქცივნა დემეტრე, ქრონიკონი იყო სამასორმოცდაათი, თავნი ყოვლისა სპარსეთობისა, დაჴოცნა და ამოსწყჳდნა, და აღავსნა საჭურჭლენი და ლაშქარნი მისნი.

ერთგულთა შემწყნარებელი იყო და შეცოდებულთა საჭართლიანად მწურთელი. ვინათგან არა სწორ არს ცოდვა მღდელისა და მჴედრისა, არც ერისა და მღდელთმთავრისა. «რომელმან იცოდის ნება უფლისა თჳსისა და არა ყოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგუემოს ფრიად». ყოველითურთ ემსგავსა ძირსა კეთილსა და ვითიანსა, ხესა ღმრთივდახერგულსა და ცხებულიანსა. წარვ-ლო ცხოვრება, და მიიწია სრულქმნილი სიბერესა. შეიმოსა ჩოჯა და იკურთხა სქემითა. დაყო წელიწადი ერთი და მო-კუდა.

და დასუეს მეფედ ძე მისი დავით. იმეფა ექვს თუე და მოკუდა.

შემდგომად მისსა დაჯდა ძე მისივე გიორგი ქრონიკონსა სამასსამოცდათხუთმეტსა.

ამასვე წელსა დემეტრე მეფე მოკუდა, და დაჲ დემეტრესი თამარ, თიღუსა ალმაშენებელი, იგიცა შემონაზონებული გარ-დაიცვალა. და დაჲ მისი კატა დედოფალი საბერძნეთს გათხო-ვილ-იყო.

ამის დავითის შვილი და გიორგის ძმისწული დემეტრე დარჩა, და ოდეს ორბელნი უკუადგეს გიორგი მეფესა, იგი თანაუკუიტანეს და ლორეს შედგეს. მუნით გამოასხნა ორ-ბელნი მეფემან, და იპყრნა და დაჴოცნა. და დემეტრე კლდე-კართა დასუეს, უკანის თუალნი დასწუნეს და მოკუდა და მცხეთას დამარხეს.

დემეტრე მეფე ბელტის ციხეს მიიცვალა და გელათს წა-რიყვანეს მისგანვე კურთხეულსა ახალსა მონასტერსა. ქრონი-კონი იყო სამასამოცდათოთხმეტი. დემეტრე აბულეთის ძესა ივანეს თავი მოჰკუეთა ჩხერეს მერეს მეოცესა წელიწადსა მე-ფობისა მისისასა, და მეტეხთა დადვა ფიცის არ გატეხისათჳს.

2. ცხოვრება გიორგი მეფისა

დაჯდა მეფედ გიორგი, უმაღლესი ყოველთა მეფეთასა, მძლე და მორჭმული მტერთა და შეცოდებულთათჳს, კეთილისმსა-ხური ღმრთისა. საყდართა, ეპისკოპოსთა, მეუდაბნოვეთა, მღდელთათჳს კეთილისმყოფელი იყო და უკადრი შეცოდე-ბისა დიდთა და ცოტათაგან, გლახაკთა და ქურივთათჳს მო-წყალე იყო და ერთგულთათჳს უხჳ და მბოძებელი იყო.

სპარსეთისა სულტანნი, შორს მყოფნი და ახლოს მყოფნი, მეძღუნედ და მოხარკედ მისდა იყვნეს, და ყოველნი სანაპი-რონი სამეფოსა მისისანი უშიშად ჰქონდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღიღო ანისი, ადრითგან წანაღები თურქთა, ქრონიკონსა სამასოთხმოცსა. შეიპყრა სალდუხი, ამოსწყუტა ყოველი ბიბლიოთეკა მისი, მოაღებინა ძღუენი და საჭურჭლენი, რომელი არა აითვალვოდა. და აღივსნეს სამეფო და ლაშქარნი მისნი.

უშიშრად ჰქონდეს განძას სულტანი და ხლათის სულტანი. და შამისა, ჯაზირისა და არდოხისძე სალდუხი გააქცივნა და დაჯოცნა. და მოვიდა ილდღუზი დიდითა ლაშქრითა სპარსეთისათა, დაარბია შავშეთი, კლარჯეთი და გავალის ჯარს ესრე დაჯოცნეს, რომელ მოამბე ერთიცა ვერ წავიდა.

ოდეს ორბელნი გადგეს, ქრონიკონი იყო სამასოთხმოცდაჩვიდმეტი.

და აფხაზეთი, სუანეთი და ყოველი სამოქალაქო აქუნდა დაწყნარებით. და ოვსთა და ყივჩაყთა რაოდენი ათასი კაცი უბრძანის, მოვიდიან, ეგრეთვე შარვანის სახლი.

და მოსცა ღმერთმან შვილი გვრგვნის ცოლსა თანა ბურდუხანს, მსგავსად აღთქმით შობისა, ვითარ ანნას სამოელი, რომლისა მიერ გამობრწყინდა სიმართლე და მრავალი მშვდობა დღეთა მისთა, და იმეფა ოცდარვა წელი და მიიცვალა სტაგირს კახეთისასა, თუესა მარტსა ოცდაშვდსა, სამშაბათსა ვნებისასა. და დამარხეს მცხეთას ჟამის სიძნელისაგან, და მასვე წელსა გელათს წარიყვანეს.

3. ცხოვრება დიდისა მეფეთ-მეფისა თამარისი

იქმნა ყოველთა მეფეთა შორის უდიდეს, სჯანი და ბედნიერი, ღმრთისმოშიში, ტკბილი, სახიერი, და თავი ყოველთა კეთილთა ღმრთისმოშიშება არს და სიმდაბლე, ეკლესიათა და მონაზონთა მოყუარე, გლახაკთა და მოჩივართა განმკითხველი.

საბერძნეთისა მთაწმიდისა, იერუსალემისა და შავმთისა საყდარნი და ეკლესიანი რომელნიმე დარღუეულნი აღაშენნა, რომელნიმე მათითა საფასოთა დაიჯსნნა ხარკისაგან უცხოთესლთასა. და თვთ ჯელთაგან მისთა სთულისა სამსხუერპლოდ ღმრთისა და სიწმიდისა სამსახურად აკერვინებდა, და ეგრე დასდებდეს ეკლესიათა იქი და აქა აღმოსავლეთისათაცა შინა.

ლოცვისა მოყუარე იყო დაუცადებელი: ვითარ მოწესემაჴ-
უწინარეს ძილისა ლოცვა და ფსალმუნება გარდაიჴადა.

ვაზირთა მისთა და ლაშქართა განურისხებელი, ღირსთა-
თჳს მშობლურთა წყალობათა მიმფენელი და ეგზომ, რომელ
მისსა სამეფოსა შინა ერთიცა მსახური არ გაპატიჟებულა,
თჳნიერ გუზან ტაოსკარელისაგან კიდე: მას თუალნი დასწუ-
ნეს. გალმა გასული სპარსეთს ზაქარია ასპანის ძემან შეიპყრა
და დარბაზს მოგუარეს.

და რომელ მისა მეფობასა შინა სულტანნი გააქცივნეს, ქა-
ლაქნი და ციხენი აიხუნნეს, ესე არს: ათაბაგი განძისა გააქ-
ცივნეს ქრონიკონი იყო ოთხას და რვა. აღივსო ტყჳთა და ალა-
ფითა სამეფო მათი. მჴარგრძელმან ზაქარია მანდატურთუხუ-
ცესმან და ამირსპასალარმან, მისმან ძმამან ივანე ათაბაგმან აღ-
ილეს დვინი მეცხრესა წელსა მეფობისა მისისასა, ქრონიკო-
ნი იყო ოთხასოცდაცამეტი.

მათვე აღილეს გელაქუნი, ბიჯნისი, ამბერდი და ბარგუშატი
ზემოთ ანისთ და ვიდრე ხუდაფრინისა ჴიდამდის. არავის
ასმია, არცა ყოფილა სხუა ჴელმწიფისა ყმა, ვითარ ესენი,
ერთგულად მსახურებითა სჴანნი და გამარჯუებულნი.

მოვიდა რუქნადინი და თანა ჰყვნა ლაშქარი დიმუშკით და
ალაბით ამოლმა წაღებად ამის სამეფოსა. მიეგებნეს ბასიანის
ქუეყანასა, გაიქციეს, ჴოცეს და ამოსწყჴდეს. მოასხნეს სულ-
ტანნი და ამირანი ტყუედ ერზინკიელი, შამელი და ბივრიტე-
ლი, საჴურჴლისა ზანდუკთა ოქროთა და მარგალიტითა სავსე-
თა, და დროშათა სასულტანოთა მრავალთა კარავთა, ვეცხ-
ლის ჴურჴელთა და ოქროსათა სადა იყო სიმრავლე. აქლემი-
თა, ჯორითა და ცხენითა აღავსნეს მინდორნი და ველნი. ქრო-
ნიკონი იყო ოთხასოცდათხუთმეტი.

ამისსა შემდგომად აღილეს კარი, და ციხენი კარნიფორისა,
და ვანანდისნი, და რავსისპირის ციხენი; და წინა ამისსა ხა-
ხული, ოშკი და ბანა წაეღო.

ამათ ესდენთა ღმრთისა წყალობათა უფროსიცა ღმრთისმო-
შიშება მოემატებოდა. საყდართა და მონასტერთა დალეწასა
ვერვინ იკადრებდა. ქარავანსა ვერვინ ძარცვდა ამერი და
იმერი. ძველი სამეფო მათი აფხაზეთისა დაწყნარებით ჰქონ-
და, რომელ ერთიცა ქათამი არსად მოიკლვოდა: მპარავი, ავის-
მოქმედი აღარ იყო. თუ ნაპარევი ვინმე პოვის, კარსა ზედა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიდის და დროშათა ქუეშე დადვის. ოვსმან, მთიულმან, და ყივჩაყმან, და სუანმან ვერ იკადრიან პარვა. და იყო მდიდარ ესე სამეფო, რომელ აზნაურის ყმანი მათთა პატრონთა სწორად იმოსებოდეს.

თამარის ქმარი დავით იყო ოვსთ მეფე, ტომი ბაგრატიონთა, ჭაბუკი და ლომი მისათხრობელი, ამათ ყოველთა განმარჯუებათა და ნაქმართა თანადამხუდარი და. თჳთმქონელი, შემმართებელი, მოლაშქრე მკჳრცხლი.

დალეწნეს სპარსეთისა ქალაქნი, და მარანდი ამოსწყჳდეს და ერანის ქუეყანა. ესდენად სიმორეესა შინა მივიდენ, რომელ არცათუ სახელი ქართველობისა ისმოდა.

ორნი შვილნი მიეცნეს: გიორგი და რუსუდან. ამის გიორგის შობასა ზედა გაილაშქრა და აღიღო კარი: ესრე ჩნდა ბედნიერობა ამისი და თამარ მეფისა.

და ასული მამის მისისა გიორგისი, რუსუდან დედოფალი, იყო ტკბილი და მოწყალე, ნუგეშინის-მცემელი და შემხუეწელი დაჭირვებულთა, და მზრდელი ჩჳლთა და ობოლთა, რომელ ღირსნი მათგან ზრდისანი ნაშობთა მათთა წინაშე მიუსხმიდიან. ჴელთა მისთაგან ნაქნარი საყდართა და ეკლესიათა იგზავნებოდა.

მოახლენი მათნი სულტანნი მოხარკედ დასხნა და სამეფო განუხეთქელად დაიცვა. ყოველნივე შეიტკბნა და მშჳდობა-ყო ყოველთათჳს. მეფობასა შინა დაყო ოცდასამი წელიწადი და აღვიდა წინაშე ღმრთისა, სადა იგი მკჳდრობენ წინასწარმეტყუელნი და მამათმთავარნი და მეფენი, თუესა იანვარსა თორმეტსა, დღესა ოთხშაბათსა, აგარათა სომხითისათა, ქრონიკონსა ოთხასოცდაშჳდსა. დამარხეს ახალსა მონასტერსა გელათს.

ვაი იყო ჟამისა მისთჳს, რაოდენ ულხინებელი გლოვა, ტყეპა და თმათა ფხურა იქმნებოდა, ლმობიერებანი, სიტკბოებანი, ღირსთათჳს მშობლურნი ზრდანი და ბოძებანი. საკმარ იყო გულისხმის-ყოფა მეცნიერთაგან, მოთქუმა ნუგეშინის-მცემელთაგან. იგლოვა ყოველმან ამან სამეფომან ჟამსა ჴეროვანსა. დასუეს გიორგი ძე მისი მეფედ მასვე წელიწადსა, რომლისა წელნიცა. მრავალჟამეულ არიან და ცხოვრება მათი კეთილად წარმართებულ აქა ცვალებადსა თანა, მერმესაცა დაუსრულებელსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდეს დაიბადა, ქრონიკონი იყო ოთხას და ცამეტი.

მრავალ არიან ჭირნი მართალთანი, იტყჳს წინასწარმეტყველი, და ყოვლისავე ბოროტისაგან იჴსნნეს მოშიშნი მისნი. და კუალად მოციქული: ჰ სიბრძნე სიმდიდრისა და სიბრძნისა ღმრთისა, ვითარ გამოუკულეველ არიან გზანი მისნი, ვინ ცნა გონება უფლისა, ანუ ვინ თანამზრახველ ეყო მას.

შემდგომად გარდაცვალებისა თამარ მეფეთ-მეფისა, წარიწირა სასოება ყოველმან ამან სამეფომან, გარნა ღმერთმან, გჳანმან მრისხანებისათჳს და მოსწრაფემან მოწყალებისათჳს, ზოსცა მშობელისავე მსგავსი მისგანვე შობისა ლაშა.

თორმეტისა წლისა იყო, ოდეს მეფედ დაჯდა ნერგი კეთილმოზარდი და ყუავილი ყოველთა ფერთაგან შემკობილი, ლომი ძალითა და უმანკო გონებითა, მოყუარული ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა, მთავართა მათითა პატივითა, მონაზონთა და მღდელთა მათითა პატივითა, მშჳდი და განურისხებელი ბუნებითა, მშჳდთა სამეფოთა მეფე მონისაცა ერთისა მათრაჯისა არა მკრველი, მშჳლდოსანი და ცხენოსანი გულოვანი და შემმართებელი, რომელ მისთა მკლავითა ომნი დასხნა და გარდაიჯადნა სიმცროსავე შინა სწორნი დავით ჰაპისპაპისა მისისანი. ბედნიერი ლაშქრობითა, ბედნიერი ქუეყანისა ნაყოფთა მოსლვისათჳს, დაჭირებულთა განმკითხველი, ბჭე და მოსამართლე, დამხედვარი მეტად ჟამისა და ასაკისა მისისა.

და იყო სამეფო მისი დიდსა დაწყნარებასა შინა და იყვნეს განმგედ და განმზრახად ყოველთა საქმეთა მისთა მისისავე მშობლისობითგან მჯარგრძელი ზაქარია, მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი, და ივანე ათაბაგი. პირველსა მშობელმან მათმან დიდმან თამარ მეფეთ-მეფემან გაალაშქრებინა მისსა ბედსა ზედა და აიღო კარი. შემდგომად გაილაშქრა, წარვიდა და შევიდა დიდსა სპარსეთს, გატეხა არდაველი, დალეწნა ციხე-ქალაქნი და აღავსო სამეფო ალაფითა.

ამისსა შემდგომად მოწუა და მოარბივა ხლათისა ქუეყანა, შემოიხუეწა ხლათელი და ძლევაშემოსილმან მას ზედა მისცნა ზავისა სიმტკიცენი მათგან შეუცოდებელობასა შინა წყობისნი. და სხუა შემოიხუეწა კარნუ-ქალაქელი მოყურად და ერთგულად სახლისა მისისა, ჩადგა ბასიანს და მუნ ითამაშეს და გაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუენეს ერთგან. აღიღო კეჩროლი შალვა თორელმან მ[illegible]
ჯრმლითა და ომითა მისათხრობელითა, რომელ არა ყ[illegible]
კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი.

მეფემან აღიღო ოროტი და ყოველნი ციხენი და მიმდგომნ[illegible]
მისნი ვიდრე ნახჭევანამდე და განძასკართამდის, აღიღო შან-
ქორი.

,და შემოვიდეს უცხოთესლნი ვინმე ლაშქარნი სომხითს და
ჰერეთს, ევნო რამე მცირედი მათგანცა. შექცეულთა მიეწია,
ბალისწყალთა ზედა და პირველი წყლულება მათგან იქმნა.
შემდგომ მოხედვითა ღმრთისათა და ლმობიერ-ქცევითა მეფი-
სა გიორგისითა გააქცივნეს და ამოსწყვდნეს გაქცეულნი. მეო-
რესა წელიწადსა კულაცა მომართეს და დადგეს ბარდავისჭა-
ლასა. შეიყარა სამეფო მისი და მოირთნა კარნუ-ქალაქისა
ლაშქარნი, დადგა ლომთაგორსა და აგარათა შუა და ვიდრე
ზედამისლვადმდე გაექცნეს და გარდაიხუეწნეს, განვლეს და-
რუბანდისა გზა.

და ვიტყოდეთ ქებასა მისსა წინაშე ყოველთა კაცთა, არა
ვტყუოდეთ, არცა გურცხუენოდის. ვითარ იტყჳს დავით მამა
ღმრთისა: იქმნეს მშჳლდ რვალისა მკლავნი მისნი და ექმნა
შემწედ მაცხოვარება მისი.

ესრეთ წარმართებასა და ბედნიერობასა შინა მათსა დაჲ ძა-
თი რუსუდან ითხოვეს ხლათსა დასასმელად დიდმან სულტან-
მან მელიქმან, რომელსა ეგჳპტით ვიდრე ხლათამდის სპარსე-
თი ჰქონდა, და დაშალა მოწყალებამან ღმრთისამან და არა-ყო
ესრე.

შემდგომად ამისსა დიდითა შემოხუეწითა სთხოვა შარვან-
შაჰმან. უქადეს და უბრძანეს მიცემისა პირი. გაგზავნა შარ-
ვანს ქართლისა ერისთავი და თჳთ გიორგი მეფე ბაგავანს მი-
ვიდა გაკაზმად და მიცემად დისა მისისა და ათ დღე დაყო,
დრო იყო წასლვისა მისისა. ხოლო მოგუაგო ღმერთმან პატი-
ჟად ცოდვათა ჩუენთა: მოკუდა გიორგი მეფე ბაგავანს იან-
ვარსა თურამეტსა, დღესა ოთხშაბათსა. ქრონიკონი იყო
ოთხასორმოცდაორი.

და იქმნეს საშინელნი ტკივილნი, ცრემლთა წილ გულით
სისხლის დენანი, წარწირვანი დარჩომისა და სიცოცხლისანი
თანაალზრდილთა და მომჯსენებელთა კეთილთა და სიამოვნე-
თა მისთანი, ტკივილნი და ნაცრისა თავსა სხმანი ვაზირთა და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდებულთა და ყოვლისა სამეფოსაგან და თჳთ მისისა გამზრდელისა ივანე ათაბაგისაგან.

ღმერთმან, რომელი მდიდარ არს მოწყალებითა და მიუწდომელ ძლიერებითა, მოხედნა და არა განწირა ესე სამეფო, რისხვასა შინა წყალობით მოიჴსენა: ესრე ღმრთისა ნებითა დარჩომილი ამასვე სამეფოსა შინა რუსუდან დასუეს მეფედ მასვე წელიწადსა. უკუეთუმცა ღმერთსა წარწყმედისაგან არა დავეცვენით, აღარ საგონებელი იყო სიცოცხლესა ტკივილისაგან ძმისა მისისა.

წარიყვანეს მაშინვე გელათს, დამარხეს საფლავსა მამისა მისისასა. და არა დარჩა ცოლსა თანა გჳრგჳნისა შვილი.

ხოლო ღმერთმან ყოვლისა სახიერებისამან, რომელი არა განსწირავს მოშიშთა მისთა, დაიცავნ სამეფო ესე და მეფე ჩუენი ღმრთივგჳრგჳნოსანი რუსუდან, და ყავნ ნაყოფი მისი ჩუენდა სალხინებელად თესლითი თესლადმდე, და მიეცინ სიმრავლე წელიწადთა, შემდგომად უწინარესი და სასუფეველი ცათა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცნობი მემატიანე

ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი

რომელმან წყლისა მოაბადნი რიტორთა მძლე ჰყავ ყოველთა, ენაუტყვ მეტყველ-ჰყავ ანგელოზთა მთავრისა მიერ, აწცა განმარტე ენაბრგუნილი ისტორიათა და აზმათა მეტყველებასა შინა შარავანდედთასა.

ვინათგან მოსე, მხილველი ღმრთისა და წინასწარმეცნი ყოფადთა, ეურჩა განმგზავნსა ისრაელთადმი. მათდა მომღები ენამძიმობისა, მიერული ურულოსა, ვითარ ყოფადთა დამსახსა, ვითარ ესევითარისა შემკადრე ვიქმნა მე, ვერმეტყვ თქმათა აღმატებულებისა. უკუეთუ იგი, სიტყუათა ცეცხლისათა გარდანაცი, კუერთხისა გუელადობითა და ჴელის ფერთა ქცეულებითა მბრძოლთა ვერას ამცნობდა, ვითარ დავსცე სულამიტისა სახედ აღსაყვრსა „ქებასა ქებათასა“, რომელსა-იგი გალობს სიბრძნითა მეიგავე სოლომონ, რომლისაგან შთამოთესლოვანებისა ვერ-საკმო არსა შემსხმელად ულუმპიანობათა მათ გარდაცემასა, თამარისსა ვიტყვ, ჴელმწიფეთა სახელისა და დიდებისა დავით მის პირველისა, არსთა დამწყისაცა ჴელითქმნულებით მოქადულმყოფელისა ღმრთისა, რომელი საჴუეველთაგან აღმსჭუალავს შორის სულსა, გულსა შინა, ერთმთავრობა ერთუფლებასა ერთისა კაცისასა, ერთისა ღმრთისა და კაცისა სრულისა მიერ სრულ კაცად აღმოჩენით აღმოჩენილსა და აღმობრწყინვებულსა. ვინაცა ამან შეაყო თჳსისა სულისა წყარო ხედვათა პირველსა ამას წყაროსა ქრისტესა, ნათელსა მამისასა, რომელმან მოიგონნა ხუთნი საგრძნონი: ხედვა, სმენა, შეხება, გემოსხილვა და განრჩევა. და დაამორჩილნა კლდესა მას ქრისტესა ასფოდელოდ ქმნითა გონებისაჲთა, არა არს მექმნი ნებისა თჳსისა.

ესე შვილ იქმნა მშობელთა ძირ-რტოებათა, შესატყჳსთა და შეზავებულთა, ვითარ საცნაურ არს ხე ნაყოფისაგან და ნაყოფი ხისაგან, დავითიანთაგან და ხუასროიანთაგან და პანკრატონიანთა, რომელთა სახელი უფროს მზისა იცნობებოდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოვლისა ქვეშისა, და მის მინადებისა, რომელმან ნებროთისა ჰასაკითა მოიგო ჰაოსის ძეთა სამთავროები, რომელთა შემსხმელად ჯამს ომიროს. რაბამ იგი იდიდსიტყუა ალექსანდრეს-ადმი პლუტარხოს ზემომაღლელი ისტორიათა მწერლობასა შინა ჭელმწიფეთა შემსხმელობისასა, ვითარ ჟამთა და ჟამთა ზეგარდამო ჩინებითა აღმონათდებიან ქუეყანის მფლობელნი, და მიიღებს თვთეული საქმისა შესატყვსებასა, აღმკულებასა სიტყვთა და საქმითა, და ვინმე საგმობნი აღძეგლნა ბოროტთა საქმეთა შინა.

აწ მე, რომელი გინა თუ მიხილავს, გინა თუ ბრძენთა და გონიერთა კაცთაგან მასმიან, გარდავსცე ისტორიასა და ვასილოლრაფსა, რომელ არს „მითხრობა მეფეთა", ვინათგან ლუკა აღმავლობასა სიტყვსასა იქმს «სეითისა, ადამისა და ღმრთისა», მეცა ესრეთ ვიწყო ამის თამარისა, სამგზის სანატრელისა და სამებისაგან ოთხად თანააღზევებულისა, რომელი ეთეროან იქმნა ჭელმწიფეთა შორის, რომლისა სახე და სახელი თვსსა ადგილსა სიტყუამან საცნაურ ყოს.

მამა იქმნა გიორგი, მეფე მეფეთა, ძე დიმიტრი მეფისა, რომელსა დავითცა ესუა ძედ, ძესა დავითიანისასა, და აღმოსავლეთისა და კერძო ჩრდილოეთისა მეციხოვნისა და ზღვართა დამდებლისა და ზღუათა ზღუამდინ მპყრობელისა, რომლისა დიდებითა, სიმჯნითა და გუარითა ცხოვრებასა აღმოაჩენს იოვანე ფილოსოფოსისა ჭიმჭიმელისა შესხმა-მითხრობა.

დიმიტრისა, მჯნესა ჯდომათა შინა და მძლესა ბრძოლასა შინა, ორ ძე ებადა, რომელთა დავით და გიორგი ეწოდებოდა სახელად. მარჩეველი ძისა უმცროსისა მლარწველ და მკიცხველ იქმნა, ვითარ ისაკი იაკობისდამი. და ვედრებისა შემასმენელმან ღმერთმან დავითის დღეთა შემცირებითა სრულ ყო პირველ მამისა. და მამამან ძითურთ ძე ტკბილი, შემგუარი მამისა, აღამაღლა თავისა თანა და ძისა სწორად მოსაყდრედ გამოაჩინა — მზე მნათობთა შორის; ალექსანდრე და ქაიხოსრო მპყრობელთა შორის; აქილევ, სამბსონ და ნებროთ გმირთა შორის; სპანდიატ, თაჰამთა და სიაოშ გოლიათთა შორის; სოლომონ, სოკრატ და პლატონ ბრძენთა შორის.

ამას თვსსა მეფობასა შინა მოგუარა ცოლი მამამან, ასული მეფისა ხუდდანისი, სახელით ბურდუხან, ესე თვთ ვითარი შესატყვსი ქმრისა პირმზისა, ტანლომისა, თვთ მზე-მზეთა შუე-

ნებითა და მომფენაობითაცა, ვითარ ითქმის, ცოდვილთა და მართალთა ზედა, რომელი ჰყუარობდა მართალთა დაბრწყინებულობდა ბრალეულთა. რომლისათჳს თუ ვთქუა სახეები გარეშეთა გინათუ ვიეთმე სატრფიალოთა, თჳთ მისავე ქრისტეშემოსილობისაგან მაქუს შიში და კდემა; რომელი ეკატერინესა და პენელოპის, ირინექმნილისა, და თჳთ მარიამ განმანათლებელისა ცისა და ქუეყანისა ესახების, თჳნიერ ქმრისა მყოფლობისა, მადლითა, სიბრძნითა, შეწევნითა და მეოხებითა. ნუუკუე ზეშთა განზიდვითა დამრუმდეს თუალი გონებისა და ვიმთხრებლე ნეშთად წყენა სახეობითა, რომელ უმარჯულო და უმარცხულო მავალი გზებისა გზისასა მაბრალებდეს გარდაქცეულებასა ესევითარსა.

აწ ვიწყო ძალისაებრ და ღონე მიწუდომისა ესე. შვილისა ნათელშემოსილისა მამა იგი გორგასლიანი, აღმასრულებელი ვახტანგისა ნეტარებათა, რომელი დავითს მამადობათა შინა ღმრთისა ქენებით აღთქმულსა «აღდგინებად ტომთაგან მისთა» მისებრ მპყრობელი აღმოსავლეთისა და დასავლეთისა. ამისთჳსცა ესევითარად დალექსავს მლექსავი ვინმე და იტყჳს:

> შენ, ვახტანგ, სანატრელი ხარ შენთჳს ღმრთის მაქებარისა,
> ცნამცა შენი მტერთა ძლევა, თჳთ მზეებრ მაშუებარისა,
> მუსულმანთ ამწყუედელისა, ქრისტიანთ მშენებარისა,
> და ვინ დაგბადა მანვე უწყის დაბადება ბუნებისა.

ამან რა იპყრა შარავანდედი მეფობისა, შჳდ სამეფოდ განწესებული, აღმკულმან ზენათა პორფირითა და გჳრგჳნითა, აღიჭურნა მკლავნიცა მუსრვად და მოწყუედად წინააღმდგომთა ქრისტეს სჯულისათა აგარიანთა, ისმაიტელთა და მამადიანთა.

პირველად წყალობისა მიმფენმან იმიერთა და ამიერთა, ზემოთა და ქუემოთა, დიდებულთა და აზნაურთა, სპასალართა და სპასპეტთა, შინაურთა და გარეშეთა, ჴელ-ყო შეყრად და გამართებად ქალაქსა ზედა კალზევანსა და წარმოტყუენა ყოველი ჴევნები კლდოვანი და ქალაქები აშორნისა, სომეხთა მეფედ წოდებულისა შაჰარმენისა.

და შემდგომად ამისსა კუალად შემყრელმან სპათა მისთამან მიმართა დიდად ქალაქად და სახელგანთქმულად დვინად, აწ რომელ არს არარატისა ძირსა ზღვარი სომხითისა და ადარბადაგანისა, მამული თრდატ გოლიათისა, რომელი ოდესმე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლორ იქმნა მიზეზითა გრიგოლ პართელისათა. მდგომელმან წყალ-
ბად და განმზადებულმან თჳთ წინამსრბოლობითა იჴუმია კუ-
ეთება, რომელნი მოაწყუდივნა ქალაქსა გარეთ. კუალად შემ-
ზახებელმან სპათა მისთამან გამოიღო და წარმოტყუენა ქალა-
ქი, რომლისა სიმრავლემან ტყუეთა და საუნჯეთამან დაფარა
პირი ველთა და მთათა, ვინათგანცა აღივსო სამეფო ქალაქი
ტფილისი, რომელ ტყუესა თჳთო დრამად გინა ფუკად მომს-
ყიდავთაგან მომსყიდელობდეს. შემდგომად ამისად მნადირე-
ბელი და მომნადირებელი მთათა და ბართა მოვლიდა, ვითარ
ონათან მშჳვლდკაპარჭოსანი, ვითარ ჩუბინ უცდენელად
მსროლელი, მყის სისრამყოფი მტერთა და მჴეცთა ზედა, და
არტემისა სახედ, რომელი ითქმის «მთაფოლო», რომელ არს
ღმერთი მონადირე.

კუალადცა ინება შეყრად და გალაშქრებად, და მიმართა
დიდად ქალაქად ანისად, რომელი ძველ ოდესმე ბერძენთა მე-
ფეთა სახლი და საჯდომი იყო, რომელსა შინა მოდღესამდე
არს ათას და ერთი ეკლესია. და მირიდებითა ბერძენთათა და
მიმოცვალებითა ჟამთათა დიდად გუარიანთა ვიეთმე შადადი-
ანთა გამგედ დადგმულთა ამას ზედა მყის მიმჯდომმან სამ დღე
ყო ომთა სიმრავლე და ძგერა ჰუნეთა, სიტყჳთ და საქმით ბო-
ლოდ დასტეხნეს; ვითარცა აკანაფიანმან ამფხურელმან
და მეხისტეხის მყოფელმან შორის ელვებსა, გარდახუ-
ეწასა შინა შადადიანისა ჴელთ იგდო ქალაქი ნებისა-
ებრ თჳსისა და არა დამბრუნებელმან და შემტყობელ-
მან დაიმჭირა სადგომად, ტახტისა მისისა შესანახავად
და გასამაგრებლად. დამგდებელმან ივანე ორბელისა, მან-
დატურთუხუცესისა და ამირსპასალარისა, თანაშემწეობითა
სარგის მჴარგრძელისათა და სხუათა თემისა დიდებულთა აზ-
ნაურთათა ურვაქმნილმან მოჰმართა თჳსთავე სანადიროთა,
სათამაშოთა და გასახარებელთა.

რომლისა ჯავრისაგან აღიძრა ნავღელფიცხელობა და ქედ-
მაღლობა აგარიანთა და ისმაიტელთა. და შარიარმან სულტა-
ნად მწოდებელმან თავისამან მაწვეველ იქმნა ყოვლისა შამი-
სა, ჯაზირისა და დიარბაგისა თურქთა თანა გარდმანისათა: არ-
დოხის ძე, რომელი პაპისა მისისაგან დიდგუარიანის კუზის ძე
იყო, რომლისა მამამან. ლაშქრობათა შინა სპამრავლად სა-
ხელგანთქმულმან, გამოჩენილი ივანე აბულეთის ძე ლტოლ-

ვილ ყო; სალდუხ სალჩუკიანი, რომელი სულტანთა გუარსტა-
მობდა სრულიად, მრავალთა დიდთა მეპატრონეთა დ[illegible]
შაჰთა სპარსეთისათა თანა, მსგავსად მჴეცთასა აღმლესველი
ბილთა, დიდითა და მიუწდომელითა ძალითა და უჰაძრავითა
ლაშქრითა მოვიდა და მოადგა ანისსა, ყოველთა დღეთა კართა
ზედა მბრძოლი მაშქერებელი და მაძგერებელი ცხენთა და აბ-
ჯართა.

ხოლო ცნა ესე მეფემან მეფეთამან გიორგი ნაჭარმაგევსა
სახლსა სათამაშოსა შინა, კაცმან მამადმან და ზეს გამომდე-
ბელმან წყობათა შინა, იჴმნა დასნი და დასნი და ზედადმმარ-
თველმან ერთმანერთთა ზენა-ქუენათა, ვითარ ყოველთა ხი-
ლულთა ზესთაობასა წინააღმდგომ ექმნა ჩრდილოსა და აღ-
მოსავალსა. და ვითარ ითქმის, „გმირი სრბად გზასა, შეირტყა
და წარემართა და სუფევდა“, არღა დამხედველი მცირეთა, და
ყოვლადვე არღა მომლოდინე ექმნა სახელგანთქმულთა ჭაბუკ-
თა ლიხთიმერთა და ვიეთთამე ამერთაცა მინდობილი წყალო-
ბათა შემძლისა, ვითარ იტყჳს ისტორია ისქანდარ მაკიდოვნე-
ლისა, და ხადა ძალსა ძალთასა, რომელი მეუფებს ცასა ცათა-
სა და თუალავს სიმრავლესა გარემომდგომთა მტერთასა. არცა
განმძლეობასა მტერთასა მახვილთა ელვისა, გარდამავალი მთა-
თა შთავიდა შირაკად. რომელსა თანავაზირობდეს იოვანე
მწიგნობართუხუცესი და სუმბატ სვიმონქმნილი, რომელი სხუ-
ათა საჭურთა თანა საქმითაცა აღჭურვილ იყო და მით მშლელ
მისლვისათჳს სიმცროსათჳს სპათასა. არა დამორჩილდა მჴნე
მჴნეთა და გოლიათი გოლიათთა, ჭეშმარიტად მიმღები მოწა-
მეთა ღუაწლთა და გჴრგჴნსა, თჳთ სეხნაობითაცა მიმსგავსე-
ბული გიორგი: მან თუ ერთი ვეშაპი, ამან კულა ბევრნი ბევრ-
თა სახენი ასპიტთა და იქედნეთანი სძლივნა უძლეველმან მჴე-
დარმან, მართობთაცა შინა გონებისათა მიმართ. მხილველმან
სარკინოზთა სპაებისამან გარდასლვითა მლოცველმან და მა-
გედრებელმან, თუალთა ზეცად აღმპყრობელმან აღსაჭურვე-
ლეს მიმცემელმან იოვანესდა ძელისა ცხოვრების მიძღუანვად.
და ამჴედრდეს გულითა განჴურვებულითა და ურთიერთას გა-
ნამჴნობდეს და შვილნი ცხოვრებისანი სიკუდილსა არა რი-
დებდეს თავსა.

ხოლო მეფემან მტკიცედ აზევებულმან ჰუნესა ზედა ჴმითა
შით ხოსროვანითა გასცა ღაღადი და სწავლა გულსა მჴედარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თასა, ვითარმედ: „კაცნო ძმანო, ერთსულნო და ერთსჯულნო! თუ რაზომ დიდად კეთილ არს საღმრთოთა სჯულთა და ქრისტეს სახარებისათჳს სიკუდილი, რომელნი სამარადისოდ ვნატრით ქრისტეს კუალთა შემდგომთა და მომკუდართა მათ თჳთ ბუნებითა მკუდართა სხეულთაგან. და ხედავთა, თუ რაოდენ უფრო სასახელო არს მჴნებრივ სიკუდილი, ვიდრეღა სენითა განდნობითა განლეულებასა შინა, რამეთუ სახე და სახელი კეთილისა საუკუნოდ გზად გუყუების. რამეთუ გუასმიეს ძუელთა მომთხრობელთაგან, თუ რაოდენნი კუეთებანი თავს ისხნეს საღმრთოთა სჯულთათჳს ტომმან ებრაელთამან არტარქსერქსის ზე, ელენთა — ოდეს-იგი იძღუანებოდეს თემისტოკლეოს მიერ უცთომელისა სპასპეტისაგან სოფლისა მქონებელსა მძლესა არტარქსერქის ზედა, რომელმან ზღუაცა მტკიცე ყო უომრად სპაებთათჳს, ხოლო ათინელთა ერთისა ოდენ ქალაქისაგან უკუნრღუეულ იქმნა. აწ ფრთოვანნო ლომნო ჩემნო, ჩემთჳს განლახურილისა აღვიხუნეთ ლახუარნი და ოროლნი, და უგმირნეთ ურწმუნოთა ღმრთაებისა მისისათა“.

და წარმომთქუმელმან უკანასკნელთა ლოცვათამან მოუწოდა ამირახორსა მისსა სუმბატის ძესა ლიპარიტს, ბექასა სურამელსა, ქირქიშს აბულეთის ძესა და და სამ ათასთა თანა, მბრძანებელმან, მუნცა ღიმილითა და სიცილითა მლაღობელმან: „მოყმენო, იგიცა ვჯობთ, რომელმანცა უმსწრაფეს უხეთქნეთ დროშის მქონესა, და დაცემითა მისითა დავსცეთ ბანაკი ნაბალისი, მასმიეს და კედრისა შთამოსულთა“.

ესრეთ სასოებით მოქადულმან განვლნა რაზმნი და სუმპერაზმანი, განაწონნა კინენი მსგავსად ფრიდონისა მქონესა წყობათა მამტკიცებელისასა.

და ვითარ იხილეს დროშა დაცემული მკლავითა აქილიანითა, იქცევისი მკუეთრ მკუეთელად, იჴმიეს სივლტოლა ძალისაებრ ჰუნეთასა. რომელსა შინა აღესრულა სიტყუა წარქცევად ერთისაგან ამირსპასალარნი, დიდებულნი და ლაშქარნი. ამათ აქათ და მათ მუნით ადინეს ღუარი სისხლისა. და თჳთ მეფე ალექსანდრეს სუითა და სიაოშის მოყმეობითა სდევდა მრავალგზის გამომცვლელი რაზმთა, სცემდა და იცემებოდა, სრვიდა და ისროლებოდა, და ბუმბერაზნი მისნი თანაშემწეობდეს.

მხედველნი ვითარცა ერნი ისრაელისანი, და მზეცა, ისუ

ნავეთებრ, მდეგი ვერღარა მპყრობელი ეტლთა განგებისა მსრბოლობისათა, შთაეწურა დევნასა შინა მათსა.

და კუალად შემქცეველთა იხილეს სიმრავლე სრვილისა და მოსრვილისა, ჴელმწიფეთა და დიდებულთა აზნაურთა, ლომთა და მონათა, სიმრავლე კარავთა და სარაფარდათა, სიმდიდრე თუალთა და მარგალიტთა, ოქროთა ჭედილთა და უჭედელთა, აქლემთა, ცხენთა და ჯორთა და ყოველთა განძთა, სოფლისა სიმდიდრეთა და მონაგებთა, აღსარიცხად გარდარეული. ცოცხალთა უჰამრავთა თანა იხილეს ოთხთა მკუდართა მიერ აპყრობა ჴელისა, რომელი რქუა ათასისადა ათასთა ესრესახედ მგებარეთადა ქმნა, რათა იწყეს შეკრება ორმოთა ზედა.

იხილნა მეფემან კოსტანტინე საყუარელნი და საკუთარნი ვეზირნი, სპასალარნი, ჴელისუფალნი და თავადნი, დიდებულნი და აზნაურნი, მონანი და მოყმენი და შეხედნეს მას ყოველმან ერმან და ესრეთ ჰრქუეს შემოსილსა ჴელმწიფესა დაკოდილთა და ნაცემთაცა: «მშუდობა». რადცამცა სახედ დაისახოდა, თუ ვითარ მხიარულნი და მმადლობელნი ღმრთისანი და ღმრთისაგან ბის სახედ ჩენილისა პატრონისანი იშუებდეს ფრიად მპოვნელნი მამა ძისა და ძე მამისა, ძმა ძმისა და თჳსი ნათესავისა, პატრონი ყმისა და ყმა პატრონისა. გამარჯუებულნი და აღვსილნი ყოვლითურთ სიხარულითა იღიმოდეს, ამბორს უყოფდეს ურთიერთას.

და ამას ესევითარსა განსაცხრომელსა და სიხარულევანსა მეფობასა შინა თჳთ მეფე მისით სპითურთ გარდამავალი თაყუანის-მცემელ ექმნა ზენასა განგებასა. არა სჯულთა სიმტკიცეთა, არცა მსხვილ-ბარკალთა მამაკაცისათა, არამედ მას ზენასა ხუედრსა და ზეშთა წმიდასა განგებასა უგალობდა, დამხედ სიმდაბლითა დავარდა წინაშე უფლისა ღმრთისა საბაოთისთა ძალთასა და ცრემლთა მიერ სულდართულ დაჯდა განსუენებად და აღებად ბევრისა ბევრეულთაგან ნიჭთა მცირედ მცირედისათა.

და ეგრეცა აღვსილმან საჭურავთა და საჭურჭლეთა მიერ, აღმსხმელმან ჴელმწიფეთა და დიდებულთამან, აზნაურთა და მონათამდის, სამ დღე დამყოფელმან კართა ანისისთა და მაურვებელმან ქალაქისამან და მას შინა დამყენებელმან ამირისამან და ლაშქართა ამყრელმან პირითა მხიარულითა წარმოავლინა მახარობელი წინაშე ფილოსოფოსთა და პატრიაქისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლისა ლოცვა თანამწედ ჰქონდა. და თჳთ ნათლითა პირითა პირველად მივიდა გამზრდელისა მისისა წინაშე, თამარსა დედოფალსა დედოფალთასა, რომელმან დაივლტო პირველად ცრემლითა და მერმე სიხარულითა გარდარეულითა და კუალად შეეყარა ცოლსა თჳსსა ურცხუენელითა პირითა და ახოვნითა სახითა.

ამას ესევითარსა მისსა მორჭმულობასა და გაზეებასა და აღმატებულებასა რომელმან აღვლნა ყოვლითურთ საზღვარნი პაპთა და მამათანი, და განისმა ამოწყუეტა შამისა და ჯაზირისა, სომხითისა და არზრუმისა ლაშქართა, ჯელმწიფეთა და დიდებულთა. მიესმა სულტანსა ხუარასნისასა და ერაყისასა, და ხალიფას მპყრობელსა დიდისა ბაბილოვნისასა და ცრუ სჯულისა მდებელსა სარკინოზობისასა, და ვარაზგ ათაბაგსა სპარსეთისასა. და მწუევართა და შემკრებელთა ისლემობისათა მოაკსენეს და ძებნეს ცეცხლითა განლეულნი ძუალნი ზოროასტროსისნი, რომელი იყო პირველ მეფე და ვარსკულავთმრიცხველი სპარსთა შორის, რომელთათჳს ითქუა ესრეთ: „ვიდრემდის გაქუნდეს ესე, არა მოაკლდეს მეფობა სპარსთა“. და შეიყარნეს რანს და მომართეს ქუემო კერძოსა ქუეყანასა სომხითისასა, და მოადგეს ციხესა გაგისასა, აღიღეს იგი და მოაოჯრნეს ყოველნი საზღვარნი.

ცნა ესე სახელგანთქმულმან და უძლეველმან მჯედარმან და უებრომან ჭაბუკმან გიორგი მეფემან და მსწრაფლ შემყრელმან შვიდთავე მისთა სამეფოთა, იმერთა და ამერთამან, და გამოასხნა ოვსნი და ქუეყანანი დიდძალნი და მომართა სულტანსა, მყოფსა აურაცხელითა და უჰამრავითა ლაშქრითა. რამეთუ იყვნეს აქეთცა სიკეთე და სისრულე დაუსრულებელი, და მომართეს და გავიდეს მათ ლაშქართასა. და ვითარცა ცნა ესე სულტანმან, ათაბაგმან და ყოველთა ფალავანთა და დიდებულთა მათთა, თქუეს ვითარმედ: „არა არს კაცი დღეს პირისპირ შემბმელი გიორგისი და მისთა ლაშქართა ქუეყანასა ზედა; მივრიდოთ თავი და ვეფაროთ.“ დამყრელთა ყოვლისა სანოაგისათა და უფროსღა გაგის შინა მყოფთა განვლეს წყალი ეკლეცისა, რომელსა შინა ჩსწრაფლმსრბოლობამან და ჯრამან შეაყენა ისინი, და ეწივნეს მწუერვალნი ლაშქართანი, დაუწყეს ჩამოყრა.

ესე ვინათგან ცნა ჯელმწიფემან და სუეგანდიდებულმან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკლავმან აქილიანმან და გულმან მალნინტოანმან, მიეტევა სუ-
ხედ მჯეცისა, გარნა უქმ იქმნავე ესევითარი ძლევად გულ-
დებულება. ანტაკრა ექმნეს ვიეთნიმე დიდებულთაგანნი ვიდ-
რე სადავეთაცა დაჭიდებადმდე, ხოლო უფროსღა ვარდან კო-
ლონკელიძის ძე, რომელსა მას ჟამსა ერისთავობაცა ეპყრა ჰე-
რეთს, კაცი დღითა მომწყესებული და ბრძოლათა შინა ძლიე-
რი და გამოცდილი. ნუუკუე შურმან და მტერობამან ყო ერ-
თი-ერთისამან, რამეთუ კეთილისა და სრულისა ნაქმრისა დარ-
ღუევა ორთა ვნებათა მიერ: ანუ მოკლებისაგან ძალისა, ანუ
შურისა. ხოლო ურჩეულეს ყოველთა ძალთა და ყოველთა
ზესთა ძეს ღმერთი ვითარ მბადი ყოველთა ძალთა და მოქმე-
დებათა. და არავინ ეკუეთნეს მის მიერ ურჩეულესად დაბადე-
ბულსა მოკლებად ოდესმე ძალისა. რამეთუ მიზეზთა მიერ
ზესთა ძალთასა აღეგო იგი. კუალად თუ შურისა მიერ დასდევ
იგი დასარღუეოდ, ვითარ ეგოს ურჩეულესი ყოველთა თჳს
ზემო მქონეობასა და ბუნებით კეთილობასა შორის? რამეთუ
უცხო არს კეთილისაგან შური, ვითარ სახენიცა ცხად ჰყოფენ.

და არა მიუშუეს მეტყუელთა ამისთა: „ვინათგან გაქცეულა
სულტანი ყოვლითა სპითა მისითა, მუღარა აღზუავებულ მკად-
რებლობ ღმრთისა". ესრეთ მიზეზი უმიზეზო, სიტყუა უსიტ-
ყუე, საქმე უქმი. გარნა ვინათგან მეფე ცნობითა ბრძენი და
მომსმენი იყო, დამორჩილებული კუალად ეგო, გამყრელი
ლაშქართა თჳსსავე შუებასა, სიხარულსა და ნადირობასა.

შემდგომად ამისსა სულტანი და ათაბაგი ყოვლითა ძალითა
მათითა და სპითა მათითა აღვიდეს გელაქუნად. მომტყუებე-
ლი ძალისა მოვიდა და მოადგა კართა ანისისათა, და ზემოთ
შაჰარმენი და ყოველი ჴელმწიფე არაბეთისა. მას ჟამსა შინა
ანისსა განამტკიცებდა თორელი, დიდი და სახელგანთქმული
მოლაშქრე, და განამზადნა საბრძოლველნი მანქანანი, დამრ-
ღუეველმან და მარბიელმან და ამაოჴრებელმან გარეთთა ქუ-
ეყანათამან.

ესე ამბავი ვითარ მოისმა ქუეყანასა ამას, და მიიწია წინა-
შე მეფისა, რომელი მცირედითა ლაშქრითა, მონადირე და
მხიარული, დგა შორის მთათა ლორისა და დმანისისათა. რო-
მელსა წინაშე მოსრულ იყოცა მოციქული სულტნისა, კაცი
მოგვ და ტრელი, მეცნიერი საქმისა, ამხილველი და გამომხილ-
ველი ლაშქართა დგომისა, ვითარ ითქმის ინდოთა აღწერილსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქილილა-დამანასა შინა იგავი ბუთა და ყუავთა, ეგრეთვე ამან სახედ ყუავისა გამომცდელმან ლაშქართამან, მოისხნა ფრთენ და აფრინდა, და მივიდა წინაშე სულტნისა და ათაბაგისა, და მეტყუელმან ესრეთ თქუა: „აჰა, ჟამი კუალად გებისა ჩუენისა. უკუეთუ აწ არა მიხუდეთ, სხუა ჟამი ვეღარა ჰპოვოთ".

ვინათგან იხილა მცირედითა მდგომი, და განლაღებული ამას ზედა ძალითა შემმართებელითა მკლავმაგრისა, სუეამაღლებულისა მეფისა წარმმართველმან ღამისამან ჟამსა განთიადისასა მძინარეთა ზედა დამსხმელ ექმნეს ესრეთ, რომელ ძლითღა იჯუმია სწრობა შეჭურვისა და ამჯედრებისა. ამას ზედა ივანე ამირსპასალარმან და სხუათა დიდებულთა კნინლა და შეპყრობისა სახედ წარმოიყვანეს და გამომართეს მეტყუელთა ამისთა: „ნუუკუე, მეფევ, ჟამი არს ომისა, და ჟამი არს სივლტოლისა, ვინათგან ყოველსავე საქმესა ჟამი მიაჩანს. რამეთუ ოდესშეს ალექსანდრეცა იძლივა დედაკაცისა მიერ, და ეგრეთვე სამბსონ დალილასაგან და სოლომონ სიბილასაგან" და სხუანი სახენი ჴელმწიფეთა ძლეულებისანი წინაუყენეს. „ნუ უკუე რათამე განვარისხეთ ზე-მეპყრი შარავანდედობისა შენისა და საწთოდ იმამებრივა მამამან ძისა სწორად აღზევებულსა ძესა დავითიანსა ზედა, ვინათგან იგი საულისაგან იდევნებოდა, მეფე და წინასწარმეტყუელი, უფროსღა მამად ძისა ღმრთისა განჩინებული. აწ ჩუენცა თავსმდებელთა ვიჯუმიოთ სივლტოლა, და კუალად შემძლევმან ძლევათამან ჩუეულებითავე მოგუაგოს უძლეველობა".

და ესრეთ იძულებითა წარმოყვანილი და გამომართებული მრავალგზის იგი და მისნი მოყმენი რაზმსავე შინა იპოვნეს გარეუკუნმქცეველნი და დამჯოცელნი სპათა მისთანი, რომელთა ესევითარი სიმჯნე, უცხო და გაწსაკრთომელი საქმე იხილვა, რამეთუ არა დიდებული, არა აზნაური, არა ვარგი და საცნაური აზნაურის ყმაცა დაკლებულ იქმნა მათ ლაშქართა შინა, თჳნიერ ერთისა ჯუარის მტვირთველისა ქანის ძისა და ერთისა ბედითის კაცის აზნაურის კიდე, გარნა ჯუარი წარმოყვანებულ იქმნა მშჯდობით.

ჰი, განსაკრთომელი სიმჯნე და სიქუელე და ჴელი საუფლო! ვითარ რომელთა წყობათა შინა სმენილ არს, გინა ძუელთა გინა ახალთა, ესრეთ უვნებელობა უგრძნეულად დამსხმელობასა შინა. შემდგომად ამისად და ვინაცა იხილეს ისლემთა განმ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრჯობი ჰელთა მათთაგან, მეტყუელთა ესრე განიხარებდეს „ვ ნათგან უგრძნეულად დამსხმელთა ვერ ჰელთ ვიგდეთ, აწ გრძნობილისა დევნა არს აჩრდილთა და წიაღითა პყრობა ქართა. აწ უკუნ ვიქცეთ, რომელი მოგუცა ღმერთმან ამისნი მმადლობელნი, თჳსადვე მამულად“.

ხოლო ესე ესრესახედ იპყარ ყოველმან მცნობელმან და წარმკითხველმან ამისმან: «საზღვარი დასდევ და არა გარდაჴდეს». და ვითარ მზე, დიდი ბასილი, მნათი კესარიისა ბუნებითმეტყუელობასა შინა არსთა ქმნილებისასა «ექუსთა დღესათა“ იტყჳს ვითარ: „ჩიტი ალკუნი ბაგესა ზედა ზღჳსასა დამსხმელ იქმნების კუერცხთა, ოხრანი და ღელვატეხილობანი ზღჳსანი ვერ გარდაჴდებიან ბრძანებასა ღმრთისასა; და მცველ ექმნების თესლოვანებასაც ალკუნისასა». აწ უკუეთუმცა მიუშუა ზენასა განგებისასა და არა წინააღმდგომ ჰქონდეს გაქცევასა სულტნისასა, დამ-ცა-ქცეულ იყვნეს ყოველნი მალნარნი სარკინოზობისანი. და ეგრეთვე, არათუმცა უკუნ ექცივნეს შიშსა და სიმჴნესა მეფისასა და სპათა მისთასა, წარტყუენილ იყვნესმცა უმანკონი არენი და ადგილნი.

შემდგომად ამისა უბოძა ანისი თჳსსავე მემამულესა და ითაყუანა თავისა თჳსისა ყმად. და თჳთ შემოეხუეწა ელდიგუზ ათაბაგი და ჩამოდგა შუა სულტანსა და ქართველთა, და ითხოვა ზავი. აქეთ დედოფალი რუსუდან, დაჲ მათი, სულტნის ცოლყოფილი ჩამოდგა, და შეიქმნა მშჳდობა და ზავი ჟამ რაოდენმე.

თჳთ მეფე დაჴდა სიხარულად და განსუენებად და ნადირობდა. ოდესმე, ჟამსა ზამთრისასა, გარდავიდის ლიხთიმერითს და მიუწიის ზღუად პონტოსა, მოიწიის და მოინადირის ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი, ოდესმე გურგენის ზღუადმდე. და ამას შინა სუფევდა და იხარებდა სუფევითა ულუმპიანითა. და ვინათგან უღონო იქმნეს ლაშქარნი და დიდებულნი ამის სამეფოსანი, მკადრებელნი იტყოდეს ესრეთ: „არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისა თჳნიერ ლაშქრობისა და რბევისა“. და მომსმენელმან მეფემან წარსცნა ზავნი და ფიცნი შინა, და ესრესახედ ილაშქრა: ლიხთ-იქით ყოფასა შინა დამსკუნელმან ლაშქრობისამან და ერთსა დღესა შინა პაემან-შემქმნელმან უბრძანა ტაოელთა, კლარჯთა და შავშთა მორბევა ოლთისისა და ბანისა, მესხთა და თორელთა — კარისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშორნისა, და ამირსპასალარსა და სომხითართა — მტკუარს აქეთ ვიდრე განძამდის; თჳთ ხასაგანიანთა, ლიხთიმერთა და ქართველთა — განძას დამართებით მტკურისპირი იმიერ და ამიერ ხოლთამდის, ჰერთა და კახთა — ალაზნის შესართავით ვიდრე შარვანამდის. იქმნა ესევითარი უცხო ლაშქრობა, რომლისა სიგრძე არაოდეს ვის ეხილვა.

მჯნედ და მსწრაფლ მავლობისა მისისა რომელთამე ვინღა თქჳს? ნუუკუე და უმსწრაფლეს ამბაკომისა, დანიელის ანუ თუ ილიასი, სინასა შინა წვიმისა ერთი ღრუბლითა შემკრებელისა ანუ თუ ელვისა ეტლითა აღმავალისა? ნუუკუე და ჰნიელ მსგავსი მღასოსა, ფერჯთა წყალმცენარისა, ან ვეფხისა მის ფრთოვანისა წამსა შინა მლაშქვრელმან და აღვსებულმან აურაცხელითა და მიუწდომელითა საუნჯითა გარდმფრინველობისა ნავროზობითა გეგუთსვე ეგო, რომელ მუნ მყოფთა ძლითღა სამე ირწმუნეს ყოფა ამისი.

ხოლო აწ ესევითარნი რა ენამან, ანუ რა გონებამან თჳთეულისა ჯელ ყო მოთხრობად, საწყენ სამე იქმნას აღწერილი განგრძობითა სათქმელთათა. ვინათგან დავითიანობა და სოლომონიანობა მოჰგვარობდა ცხებულსა ღმრთისასა, ამასცა სოლომონიანებრ ჰმონებდეს ყოველნი მეფენი ქუეყანისანი.

მოვიდა ოდესმე ანდრონიკე კომნიანოსი ცოლითა სახებრწყინვალითა და შუენიერითა, თანა შვილებითურთ და დისწულითა, მამის ძმისწული დიდისა მანოელ კეისრისა და ყოვლისა დასავლეთისა და საბერძნეთისა მეფისა და ვითარ მართებდა, ეგრეთ მმადლობელმან ღმრთისამან შეიწყნარა და მისცა პატივი შესატყჳსი სახლისშვილობისა მისისა. და მიმცემელმან ქალაქთა და ციხეთამან კმასაყოფელთამან დაუდგნა საჯდომნი სიახლესა საყდრისა თჳსისასა, პირისპირ მამის დისწულისა მისისა აღსართანისასა, რომელი მეფე იყო შარვანისა და ზღჳსპირისა დარუბანდით ხირხალამდის, რომელი მეფესა უჩნდა ვითარცა შვილყოფად ვითარცა ერთი დიდებულთა მისთაგანი. ესე შარვანშა შემოეხუეწა ოდესმე დაჭირებული დარუბანდელთა ხაზართაგან. მაშინ შეიყარა ლაშქარი იმიერით და ამიერით, თჳთ ძმა ბერძენთა მეფისა ანდრონიკე წარიყვანა წინაშე და მივიდა ვიდრე კართამდის დარუბანდისათა. მოაოჭრა ქუეყანა მუსკურისა და შარაბამისა, და აღიღო ქალაქი შაბურანი, რომლისა კართა თჳთ მჭვრეტელობასა შინა მეფისასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოსაწონელ იქმნა ანდრონიკე თჳთ მისგან და ყოველთა ქალთა მისთაგან. და უბოძა ქალაქი იგი მამის დისწულსა მისსა ბასიანვანშას, და მუნიდალმან, მომრბეველი ბასიანისა, რომელი ესე უცხო იყო შესაძლებელად კაცობრივისა ძალისაგან, შემოქცეული მუნით და გამარჯუებული იშუებდა და იმოთხვიდა საყოფელთა მისთა.

ოდესმე გამგზავნელი სპათა და სპასალართა მისთა, მიუწიის წახჩევნის კარამდის, ოდესმე მასისამდის და ღალუამდის, ოდესმე ბარდავამდის და ბელაყნამდის. ამას ესევითარსა მარჯუებასა და ზეობასა შინა განამრავლნა საჭურჭლენიცა, და დადვა თჳთ მისით მონაგები და მისთა ტყუეთაგან მონაგები ციხესა შინა უჯარმოისასა, რომელი აგებულ იყო ვახტანგ გორგასლისაგან, რომელსა შინა თჳთ აღესრულა ლომი იგი ლომთა, გოლიათი გოლიათთა. სანადირითა ქორთა და ძაღლთა სიმრავლე და სიტურფე და მოკაზმულობა არაოდეს ვისგან ქმნილა, არცა წიაღ მართ ყოფად არს.

ამას ესევითარსა და სრულყოფასა ყოვლისა სოფლისასა და საწუთროთა გემოთა საწადელთასა მოიწიფა ძმისწული მისი, შვილი დავით ძმისა მისისა უხუცესისა, სახელით დემეტრე, სახეკეთილი და ყოვლითა ჴელითა მარჯუე, ნასწავლი, მსგავსი სახლიშვილობისა მათისა, გარნა რომელი ცუდ იქმს ყოველთა სიკეთეთა და სწავლულებათა, სახეუკლებობათა და ჭაბუკებათა, იგი ექმნა მკლველ და შემმწარებელ ჟამთა ცხოვრებისა მისისათა: უშიშობა ღმრთისა და გარდამავლობით მოქმედება სჯულისა ქრისტეს მცნებათასა, ვითარ თანაშთამომავლობა და გუართა უბედურობა ამის სამეფოსა კაცთა. ვინათგან დავითცა, მამამან მისმან, ღალატსა და განდგომილებასა შინა მამისა მის დემეტრესსა ამოსწყჳდნა ამის სამეფოსა დიდებულნი რომელნიმე ექსორიაქმნითა, რომელნიმე სიკუდილითა და რომელნიმე განპატიჟებითა, აქაცა მსგავსად მისა შევიდა ეშმაკი გულსა და გონებასა მისსა და მის მიერ შერისხდა ღმერთი ორბელთა და ყოველთა ტომთა და მიმდგომთა მათთა: სამცხეთართა, ჰერეთთა, კახეთთა და სადაცა ნათესავი და ნატამალი მსმენარი მათდა იყო. იქმნა განდგომა, ბრძოლანი, კლვანი, სისხლნი და რბევანი. და არა მიმშუებელმან ღმერთმან, მოქმედმან სამართალთამან, რომელ მან დავითის ზე აბესალომს არა მისცა უფლება, რომლისათვჳს ითქმის წმიდასა შინა სახა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რებასა: „უკუეთუ ჰქუას მშობელსა შვილმან „კორბან“ — ნიჭი, ჩემგან სარგებელ ყოფად სიკუდილითა მოაკუდინა“, ამისთჳსცა მისცა გიორგისვე ძლევა, მძლეთა მძლესა.

და შემყრელმან ლაშქარმან ტფილისით ქალაქით მიმართა სომხითის მთასა ყოფობასა შინა, იოტნა, გააქცივნა, შეიხუეწნა ციხესა ლორისასა, და მოუხუნა ყოველნი სიმაგრენი და ციხენი. ვიხაცა წამოუვიდა დემეტრეს სარგის მჯარგრძელი, შვილითა და ძმისწულითა მისითა, ძმა და საყუარელი ორბელთა. ესე შეიყუარა და შეიტკბო მეფემან, და მისცა მისანდობლობა გუარისშვილობისა მისისა. და მომრბეველმან ტაშირისა და ლორის კართამან დაიბანაკა აგარათა. და გაგზავნა ლაშქარსი, რომელნი დარჩომილ იყვნეს ერთგულად მისად და სხუა თემისა და თემის: მესხნი, თორელნი, ქართველნი, სომხითარნი და თჳთ გაზრდილი მისი მეჯინიბეთუხუცესი ჭიაბერი, და მივიდეს ქუეყანასა ჰერეთისასა. და მუნით მოვიდეს ჰერეთის ერისთავი და ყოველნი ჰერნი სრულითა ლეკითა და კავკასითა. და შეიქმნეს ომნი ფიცხელნი და კუეთარ-კუეთებანი, რამეთუ იყვნესცა გამოცდილნი და ლომნი ჭაბუკნი. ამას შინა სძლო მსჯავრისა და სიმართლისა მქონებელმან, და გააქცივნეს ჰერნი დიდებულნი აზნაურნი, და ლეკნი. შეიპყრენს... და გრიგოლ ასათის ძე, ფიცხლა დაიკარგა ომსა შინა, თჳთ ჴრმლის დაკოდილობითა და გამოკლვითა ცხენისათა. შეიპყრეს ივანე ვარდანის ძე, რომელი ითქმოდა პირველითგანვე მთხრებლად მთხრებლისად, და თანა შოთაცა, ძე ართავაჩოსძისა. ესენი ვითარცა შინათგამცემელნი განზრახ განგებითა ჴელთ იპყრნეს, წამოსრულთა მოასხეს წინაშე მეფისა, მარჯუება აღმატებულისა და გაიხარეს სიხარულითა დიდითა ფრიად, ვინათგან ხედვიდა მარჯუებისა მომცემსა ღმერთსა.

მაშინ მეფე აგარას მყოფი აღვიდა და მოადგა ლორეასა. მუნიდაღმან წარსრულ იყვნეს სპარსეთს ქართლის ერისთავი სუმბატის ძე ლიპარიტ, მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე, რომელნი ესე გიორგისაგანვე იყვნეს ჴელისუფალნი, და ანანია დვინელი; ზოგნი შაჰარმენისა, ზოგნი ელდიგუზის ძეთასა. დაღაცათუ უშუელეს და მოჰყვეს, ეგრეთვე უქმადვე უკუნ აქცია მართლმსაჯულობამან ქრისტესმან. ამას შინა დაულონოვდეს ლორეს შინა მდგომნი. დემეტრე, გარდამომბმელი საბლისა, გარდამოჴდა ციხისაგან და მომართა თავისავე ბიძასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამირსპასალარი და სხუანი, რომელნი დარჩეს ციხესა შინა, გამოასხეს მსგავსად სუისა და ეტლისა მათისა. აღიღო ლოდი ერთი, დაიმჭირა თავისა თჳსისათჳს. ხოლო მას ჟამსა თჳთ მორჭმული და ზეამაღლებული წარმოვიდა ურჩთა და მტერთა მისთა ზედა და შემსგავსებული საქმეთა მათთა მიაგო მისაგებელი. თჳთ მოვიდა ნაჭარმაგევს, იშუებდა და იხარებდა შემრისხველი მტერთა მისთა.

შემდგომად ამისსა მეორესა წელიწადსა შეიყარა ყოვლით სამეფოთ მისით შემოქცეული ღანუყით ნაჭარმაგევსა. შემყრელმან შვიდთავე სამეფოთა მისთამან აწჳა დედოფალთა დედოფალი, ბედნიერი და სჳანი ცოლი მისი ბურდუხან და შვილი მათი თამარ, ნათელი და ბრწყინვალება თუალთა მათთა, და მანიაკი ყოველთა მეფეთა, და გჳრგჳნი ყოველთა ჴელმწიფეთა.

განრჩევითა და გამორჩევით, განგებითა და გაოგნებითა ზენისა მის ხუედრისა შარავანდედთა მნებებელისათა მეფე-ყო თამარ, თანადგომითა ყოველთა პატრიაქთა და ებისკოპოზთა, დიდებულთა იმიერთა და ამიერთა, ვაზირთა და სპასალართა და სპასპეტთა. და დაისუა მარჯუენით მისსა მეფე და დედოფალი, შემკული და შემოსილი პირად-პირადითა ფესუედითა ოქროანითა, ბისონითა და ზეზითა, რომელსა ხადა მთად ღმრთისად, მთად პოხილად და მთად შეყოფილად, და დაადგა გჳრგჳნი ოქროსა თავსა მისსა, ოქროსა მის ოფაზისა, აღმკული იაკინთთა, ზმირთა და სმარაგდოთა მიერ და მდიდარნი ერისანი ლიტანიობდეს წინაშე პირსა მისსა. და თჳთ მეფე, მაფიცებელი ერთგულობისა და ერთსულობისა მისისათჳს და ცრემლით მლტოლველი და შემვედრებელი ღმრთისა, მაკურთხეველ ექმნა აბრამიანთა ისაკისადმდე, და ისაკიანთა იაკობისადმდე, და იაკობიანთა ვიდრე იოსებიანთადმდე, რომელი ჩანს ვითარ მზე უღრუბლო ჰაერისასა მიდღევანდლად დღედმდე, კურთხევა მამისა შვილსა საყუარელსა, ნარნარსა და მშჳდსა დავითიანებრსა ზედა, რომელი მსგავსად ლოდისა მის გამოვიდა მთისა მის, დანიელისაგან ხილულისა, იმატა, იმატოს და მერმეცა იმატა, ვიდრემდის იქმნა მთა დიდ, ლოდ საკიდურ და არა ლოდ შებრკოლებისა. და შემუსრა ყოველი ხატი და ყოველი კერპოვნება ოქროსა და ვეცხლისა, რკინისა, რვალისა და კეცისა, რომელიმე უხილავთა ძალთა ძეგლები და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანდრიანტები, რომელიმე ხილულთა მბრძოლთა და წინააღ-
მდგომთა.

შემდგომად ამისა დღეკეთილობასა და სუესრულობასა შინა მოიწია თანანადები სოფელსა ამას შინა, არამედ მოსრულთა, გარნა უჟამო და შეუსწორებელი შემცირებით განწესებულთა მოქცევათა, და მიიცვალა დედოფალი, დედა თამარისი, სწორი ძისა ღმრთისა დედისა და თუ ვითარ ვამთა და ვაებათა სიმრავლენი იქმნეს, შესატყჳსნი მოსაწევარისანი, რომელმანცა ენამან გამოთქუა? გარნა ესეოდენ ვთქუათ პატივად და სიმტკიცედ მოსაწევართა.

მეფესა, გეგუთს მყოფსა, უთხრეს ესეოდენ ზარგანჯდილობა. თმათა და წუერთა ამფხურელმან, მსგავსად მათ აბესალომ ოქროთმოსნისათა, და ცრემლთა ნაკად დენითა ათასეულთა და ბევრეულთა მცემელმან მკერდსა, მკულელ უღონო ქმნილმან აღიკუეცნა თმანიცა თავისა მისისანი, სოფლისანი, და ესევითარითა შემუსრვილითა გულითა აღისწრაფა შეყრა საყუარელისა და ტკბილისა დედისაგან უსამშობლო ქმნილისა, რომელსა ნათელი ცისკროვნება ჰაერისა მისისა სიმრუმედ გარდაქცეოდა. და ნაკადნი ცრემლთანი ოთხთავე თუალთაგან, მოხუევასა შინა ურთიერთას, მსგავსად სამოთხისა მომცენარეობდეს სახედ გეონისა, ვინათგანცა ესრე იქმნა ქუეყანა ქართლისა, კუალ ნუგეშინის-მცემელი და შემატკბობელი შვილისა საყუარელისა და სატურფოსა უმეტეს ზომისა იმედის მდებელ ექმნა ორკერძოვე სიყუარულისა მინიჭებითა და ვამისა უქმნელობითა. დააგდო ქართლი და მიჰმართა ჩაღმართ. ვითარცა წესი იყო, რა გარდაჴდა ჟამი ამის ვამისა და მოსაწევრისა მოქცევისა, კუალად იშუებდა მონადირე მთათა და ბართა, ბრძანებითა მპყრობელი აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილოსა და სამხრისა. სძღუნობდეს და სძმობდეს მას მეფენი ბერძენთანი, იერუსალემს ალამანთანი, და ჰრომთანი, და ჰინდოთანი, და ხონელნი; და ეგრეთვე სულტანნი ხორასნისა, ბაბილოვნისა, შამისა, ეგუპტისა და იკონიისანი ჰმონებდეს და შემდგომნი ამათნი სკუთნი, ხაზარნი, ალანნი ხუარაზმელნი და ხუარაზმშა, და ბერეთელნი, აბაშნი, არაბნი, მიდნი, ელამიტელნი და შუამდინარელნი, და ყოველნი ენანი და ნათესავნი მაშრიყით მაღრიბამდე.

ამას ესევითარსა სისრულესა სოფლისა მონაგებთა და დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღებათასა აჰა მოიწია ჟამი ევას წყევისა და ადამის ცთომათა-
გან დანასაჯი აბელ მართლისათ ვიდრე ზაქარიასა და ფრ-
სისა იოვანესამდის, აღმსარებელთა მართალთასა, ჯოჯოხეთად
ტვირთვად სამოელ მკლველისა ჩუენისა და თჳთ თავისა
მკლველისა, ცით ცათათ უფსკრულად ქუესკნელსა შთასრუ-
ლისა, ანგელოზობისა და ნათელმოსილობისა სიბნელედ ბყვი-
სა და ეშმაკად გარდაქცეულისა, რომლისა ჴელთა შინა იპყრობო-
დეს მყუარებელნი და ყუარებულნი ღმრთისანი. ამისად ჴსნად
მნებებელმან ღმერთმან კაცთა ცთომილთა კაცობრივითა სახითა
იმოქმედა, არა ძლიერებისა მომმძლავრებელმან, ვინათგან ოც-
დაათცამეტთა წელთა ქმნენ ნიშნი და სასწაულნი და იმეუფა
ქუეყანასა ზედა მეუფემან და მექმემან ცისა და ქუეყანისა-
მან. ამისად შემდგომად, თავისა მსხმელმან ცოდვათა და ცთო-
მათა მედინისა ამის და ხრწნადისა სოფლისათამან, მიიღო სი-
კუდილიცა უკუდავმან, გარნა ჴორცთა ჩუენისაგან თბისა ჩუ-
ენისა, დაჴსნისათჳს ჩუენისა მიმხუმელმან. და ვინათგან ღმერ-
თმან და ძემან, უწინარეს საუკუნოთა უკუდავმან, არცაღა მის-
გან მოსილნი ჴორცნი უკუდავ ყვნა, სხუა რამცა ვსახე, სხუა
რამცა გავისახე, რამცა ნუგეშინის-მცემელი სხუა რამცა, ოთხ-
თა სტჴქოთაგან დამჭირვად სული სხეულსა შინა მსმენელმან
ამისმან? თუმცა პირველ იგი მზე მზეთა და შარავანდი ჴელ-
მწიფობისა, ახალი ნებროთ, ალექსანდრე და აქილევ, ქუეყანით
ცად მიიმართა, და ამანცა მასვე მსგეფს მის ვნებისასა ივნო;
ესრეთ «ვითარცა იგი ცათა შინა, ეგრეთვე ქუეყანასა ზედა»:
ვინათგან მან ჴორცითა, სიგლახაკითა და სიმდაბლითა, წარვლ-
ნა ჟამნი ოცდაათცამეტისა მოქცევისანი, ხოლო ამან არა ეს-
რეთ, გარნა ვითარცა სახედჩენილმან ღმრთისამან.

ესერა ესევითარი საგოდი და მოსაწევარი მოსაწევართა,
განსახეთქელი კლდეთა და განსაპობელი კართა საბლისა და
საშინელება შთამოსაცვრი მანანათა და ვარსკულავთა, ესმა
სამნათობიერსა მეფეთ-მეფისაგან მეფედ ქმნულსა თამარს
ქალაქსა შინა ტფილისსა, საჯდომსა მათსა ციხესა ისახს. ყოვ-
ლითურთ სამოთხის მსგავსი სამყოფი იქმნა მსგავს ჯოჯოხეთი-
სა. და შუებათა წილ და სიმღერისა აჰკდეს ჴმანი ვაებისა და
ტყებისანი, და ნათელთა წილ მიუაჩრდილებელთა შეიმუსრნეს
არსნი და საგონებელ-არსნი. და თამარი, პირი იგი ეთეროვანი,
და უკიმირო ჰაერი, და უმრუმო ნათელი შეიზღუდა ბნელითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თმათა დამფხურელსა თამარსა უსწრობდა წყარო სისხლის, წყაროსა ცრემლთასა. და წარსრულმან პატრიაქმან და დიდებულთა კმასაყოფელთა წარმოიყვანეს სამშვლდით, მთხრობელთა საზაროთა და საშინელისა და მიუწდომელისა სათქმელისათა, დაჲ მეფისა დედოფალი რუსუდან თანა გაზრდილითა მისითა, რომელთადა შემყრელნი იყვნეს. მომხუეველნი ურთიერთისანი და მოლტობილნი სისხლრეულითა ცრემლითა შევიდეს ტაძარსა სამეუფოსა. ამხილველთა თუალთა მათთასა, მხილველთა საყდრისა ცამდი ამაღლებულისათა ნათელმზე გაბაონიანისა და შუქის ჰალონიანისა საჯდომისა მარმენიოთა და სუეთაგან პოეს დაცლილად. მიმოიხილეს გარემოს და იხილეს მიქაელ პატრიაქი ყოველთა ებისკოპოზითურთ მდგომი, და ვაზირი ანტონი, და ამირსპასალარი ყუბასარ, და სხუანი ჴელისუფალნი: ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთუხუცესი, ვარდან დადიანი ჩუხჩარხი, ჭიაბერი მეჯინიბეთუხუცესი, აფრიდონ მსახურთუხუცესი, ივანე... და დიდებულნი, აზნაურნი, მონანი და მოყმენი, თანა პორფირი და გვრგვნი სკიპტრითა და საჭურველითა სვანად ჴმარებულითა, და კუალად ამხილველთა იხილეს კედლები და ცა სრისა სავსე მეომართა, რაზმები, სპები, მონასპები, ქალაქები და ციხეები აწყუედილი და ოჴერქმნილი. და თვთ იხილეს ტანითა გორგასლიანითა და მკლავითა აქილიანითა და პირითა მნათობიერითა კაცი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მოყუარეთა. თუ მაშინ ნაბუქოდონოსორ სამთა ყრმათა
თანა ოთხებად იხილა ერთი სამებისაგანი, აქა კულა სამებისა
თანა იხილვების ოთხებად თამარ, მისწორებული და აღმატე-
ბული.

ხოლო შემყრელთა შუდთავე ამის სამეფოსა მეთქუ-მეტყუ-
თა ჰკადრეს და მოაკსენეს დედოფალსა რუსუდანს: „დღეს შე-
ნა სჩან მშობელთა ამათთა ნაცვლად, და ვინათგან ვხედავთ
ყრმასა თამარს გონებითა არა ყრმებრივითა, არამედ მეცნიე-
რითა, ცნობიერითა, გონიერითა და შუენიერითა, მომსმენე-
ლად და პატივის-მცემელად შენდა, ხუედრთაებრ ჩუელები-
თა, და უჩინოდ გხედვიდეს სახედ მშობელთა, არქუ მთქმელ-
მან მბრძანებელმან და მომკსენებელმან შეცვალება ამის ესე-
ვითარისა შეითისაგან და, სადა ძმასა თქუენსა და მამასა მათ-
სა დაუსუამს ზეობასა და სიმკნესა შინა მათსა, მუნ კელ-ყოს
განბრწყინვებად კელმწიფობასა და შარავანდედობასა ტომის-
გუარისა თქუენისა. უკუეთუმცა არა შემეცნებულ იყო სისრუ-
ლესა და პყრობასა ულუმპიანობისა და, ზეშთა სთქუათ, ამ-
თავრებისასა მანიაკი იგი გკრგკნი მეფობისა, არმცა მრწმუნე-
ბელ ქმნილ იყო საყდარსა დავითისსა და ბეჭედსა სოლომო-
ნისსა. აწ ვინათგან მან კელ-ყოს კელითა მეფობასა და კურ-
თხევითა გკრგკნოსან ყოფად აღვიდეს, და ამაღლდეს და დაჯ-
დეს საყდარსა თკსთა მამათასა აღპყრობითა და აღძღუანები-
თა ძელისა ცხოვრებისათა და კურთხევითა მელქიზედეკისათა,
რომელი ყო აბრამის მიმართ, და მან დაიპყრნეს კიდენი ქუე-
ყანისანი და მეფობდეს იგი ზღვთი ზღუადმდე“.

ამისმან მსმენელმან, მომწონებელმან და მაჯერებელმან
დედოფალმან უბრძანა და მოაკსენა თამარსა, მეფესა და დე-
დოფალსა და მორჩილებდა პირველსავე ბრძანებასა აწ კადრე-
ბულსა დიდებულთა შუდთავე სამეფოთასა და მსმენელი ჰაჯი-
სა, ძალითა სამე დამორჩილ იქმნა.

აღმყვანელთა საყდართა და საჯდომთა მამაპაპეულთა აღ-
სუეს მზე იგი მზეთა და ნათელი ნათელთა, ელვარება და მზე-
ებრ მაშუქებელი სხუათა. და მოიღეს გკრგკნი, და აღიღეს კმა
მგალობელთა და ძლევით გკრგკნოსნობისა და მძლედ მფლო-
ბელობისა, და მოაკსენეს მთასა ზეთისხილთასა ჯუარი გამოჩე-
ნილი კოსტანტინესთკს. და ამას ესევითარსა შესხმასა და გა-
ლობასა შინა, ვინათგან ლიხთიმერითგან იყო წესი დადგმად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გვრგვნსა თავსა სამეუფოსა, აწ ვეს მონაზონი ღირსი და მადლ-
შემოსილი, მთავარეპისკოპოსი ქუთათელი ანტონი საღირის-
ძე, მოღებად გვრგვნისა, და ცალკერძ კახაბერი, ერისთავი რა-
ჭისა და თაკუერისა, და სრულ-ყვეს მოჴელეთა სჴანთა და დი-
დებულთა ვარდანის ძეთა, საღირის ძეთა და ამანელის ძეთა
მოღება და დადება ჴრმლისა. ამას შინა ჰკრეს სპერმურთა,
ბუკთა, ქოსთა და წინწილთა, და იყო ზარი და ზაჰმი ქალაქსა
შინა, სიხარული და შუება და იმედი უიმედო ქმნილთა. თაყუ-
ანი-სცეს, დალოცეს და ადიდეს სპათა შჴდისავე სამეფოსათა.
და დაიპყრა ჟამიერად თჴთოეულმან თჴსი ადგილი. თამარ
შჴდმნათობიერი იდიდა მისგან, რომელმან წამოაჩინნა და აღ-
მოაჩინნა ექუსთა შინა დღეთა ყოველნი არს-საჩენნი და გან-
სუენებად სცა მეშჴდესა.

ესე თამარ არს, რომლისათჴს თქუა განსუენებად სულსა
შინა მშჴდსა და წრფელსა და მოქადულ იქმნა მოქმედი აღზ-
რდილისა ალთბებისა. აწ მხილველმან იხილა და იყო ნათელი
უმეტეს ნათლისა მის პირველისა, «და იყო კეთილი და უწოდა
ნათელსა მას დღე», ამას უწოდა ნათელი ულუმპიანთა შორის
დიდსუეობისა და ამან, განმმზადებელმან სიბრძნისა შჴდთა
სუეტთამან, აღაშენა მათ ზედა ტაძარი და სადგური შჴდთა
მადლთა შჴდთავე სამპყრობელოთა განმანათლებელად. და
შჴდგზის დღესა შინა მადიდებელმან ღმრთისამან შჴდწილ გან-
წმენდილ ყვნა სიტყუანი სახედ მოაბადისა და მეფისა, ვითარ
იტყჴს რომელსამე ესაია და რომელსამე დავით. «და პატივის-
მცემელი შჴდთა უფროსლა ნაწილ-ჰყოფს და მერვისა მის-
თჴს», სიტყჴსაებრ სოლომონისსა, განმაბრწყინვებელი შჴდ
არვედ ერთად; კუალად შჴდცა და სამეოცდაათ შჴდცა ყვის
შჴდეულსა თჴთოეულსა შინა შემნდობლობა ბრალეულთა. და
შჴდთა მათ სარტყელთა ცისათა და მნათეთა სფეროსთა, რო-
მელ არიან: კრონოს, ზევს და აფროდიტე, ერმი, აპოლონ და
არეა — ამათ შეასახა სფერო მიწიერი ხუთთა მათ საგრძნოს-
ცნობათათა შჴდმყოფელად თანადართვითა სულისა და გონე-
ბისათა, და ოდესმე რომელიმე აღებაძვის ზენასა მნათსა ქუ-
ენა მნათი, გინათუ შუენებითა უცხოთა და უსახოთა, გინათუ
სიბრძნის-მპყრობელობითა, გინათუ მზეებრ უხუებითა და
მომფენობითა მართალთა ზედა და ცოდვილთა ზედა, გი-
ნათუ მძლეველობითა სძლევდა საჭიროთა მიმართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამათ და ესევითართა მნათთა და ზოდთა თუ ვინ ეძიებს, თჳსთა ძალთა თჳთებისა აღაორძიხებს თანაჰასაკისასა უმეტესად უმეტეს, გარდაითავისა მონაბერმან ხეხათა სუეთამან ავღუსტიანმან, ვითარცა სამოთხე, დასხმული ჴელითა ღმრთისათა და სულნელებითა მით მადედღებელითა საყნოსელთათა. და შეკრიბნიან შორის მისსა ძღუენნი გონებათანი და სულთანი, გრძნობათანი და ნერგოვნებათანი; და გონება ღმერთუქმნია და სული მხედ მხედავისა არსთასა, და მუნ შინა ჰგიეს, ულიქნავი სატანას და გულისა მიერ. აჰა იხილვებისცა, ვითარ სოლინარი, მცენსა თანა მედინთა ნაკადისათა, და ვითარ პითოდორა და კრიტია შენებულთა ხედვათაგან განსაცადნი. და ჴელ-ყო ქაიხოსროს მსგავსმან ჴელმწიფემან წყალობად და შეწყალებად, განცემად და მინებებად. განჴსნილითა მით თუალითა განჴსნა საჭურჭლენი მონაგებნი პაპთა და მამათა მისთანი. პირველ ესეოდენი ნაწილი დაუდვა პირველსა მას და კუალადსა და პირველსა მის ზეცისათჳს და კუალადისა ქუეყანისა ჩუენისათჳს, რომლისა მცნებანი იპყრნა, მაღლისა და განურყუნელისა, განრყუნად შეუხებელსა ადგილსა დამდებელმან; და ესეოდენისა დღეინდლადმდე წარმომდგინებელ იქმნა დარსა წარგებად მშობელთამდე, რომლისა რიცხჳ ურიცხუ არს და ჰამარი უჰამრავი. და იჴსნნა მოვალენი ვალთაგან, და მისცა ობოლთა ღონე და ქურივთა ჴელმწიფობა ქორწინებად, და ღონიერ ყვნა გლახაკნი და მდიდარ ღონიერნი. და თჳთ დედოფალი რუსუდან სწორად აღსარებულ იყო, თჳთ მისთჳს და გაზრდილისა მისისათჳს, მიცემითა ქალაქთაცა, ჴევთა, სოფელთაცა სამსჭუალთათა.

ამას ესევითარსა შინა დაწყებასა წყალობისასა იმიერთა და ამიერთა, ზემოთა და ქუემოთა შჳდთავე თემთასა იწყეს რომელთამე ძუელებრი კაცთა დაუდგრომელობისა შემსგავსებული საქმე, და დიდებულთა ვიეთმე ჴელისუფალთა ყვეს ფიცი ესრეთ, ვითარმედ: „აღარ ვეგებით ძუელთა ჴელისუფალთა და გამგებელთა საქმისათა ფარმანსა ქუეშე მყოფნი, ვინათგან მათგან დაძრცვილნი და უნატოდ გაძეულნი ვართ, და გუარიანნი და მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახელოდ გასრულ ვართ უგუაროთა და უჴმაროთაგან“.

დაღაცათუ ერთგული და კარგი მოყმე და ჭაბუკი იყო ყუბასარ, გაზრდილი პატრონთაგან, და იყო ამირსპასალარი და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანდატურთუხუცესი, გარნა სენისა მიერ ფილენჯად წოდებულისა ძოღებოდა ენა, ჭელი და ფერჯი. და აწვეს მეფესა თამარს მოღებად ყოვლისა დიდებულისა ქონებისა და სიმდიდრისა, გარნა უქმ იქმნა განზრახვა მათი, ვინათგან თამარი სახიერ იყო და მოწყალე, მოიჯსენა სიყუარული, სამსახური და ზრდილობა მისი, თვნიერ ჭელისუფლობისა და ლორისაგან კიდე არარა დააკლო, და ეგრეცა სიყუარულითა დიდითა და პატივითა დაიჭირა დღემდი მიცვალებისა.

კუალად აფრიდონ, აზნაურისა ყმობისაგან ღმრთის მობაძაობითა კაცქმნილი, მიიწია მსახურთუხუცესობამდის, თმოგჯსა და სხუათა ციხეთა და ქუეყანათა პატრონობამდის აღზეებული, მოიშალა და დაიმჯო ნებითა და თნევითა ლაშქართათა და ბრძოლამყოფთა ჭელისუფლობისა და დიდებისათჯს ურთიერთს დაუწყეს ზიდვა.

და ესეცა უცხო მოსაგონებელი: ყუთლუ-არსლან, ცხენისა და ჯორის სახედ არა გულისხმის-მყოფელმან, ვითარ მისცემს ნიჭთა გონებისა მზაკუარება, მომღებელმან წესსა რასამე სპარსთა განაგისსა, ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანისასა და სანახებსა საღოდებლისასა და თქუა: „დასხდომილნი მუნ შიგა, განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა; მაშინღა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი“.

ესე ვიეთ საწყენელ იყო, დასასრულისა ჭელმწიფობისა პატრონისა მიმცემელი, ესრეთ იწყინა, და გაიკვრვა, და გაიგონა უკლებელმან გონებითა და საუნჯემან სიბრძნისამან. და მოიღონა ჭელით გდება თავისა მის მოქმედთასა და, თანამზრახველ მყოფელმან ერთგულთა და საკუთართა მისთამან, შეიპყრა ყუთლუ-არსლან, მეჭურჭლეთუხუცესი და აწ თავისა თვსისა ამირსპასალარად და სომხითს სომეხთა მეფისა ადგილსა ლორეს დაჯდომად განმზადებული.

და ვითარცა ცნეს ესე ლაშქართა თანაშეფიცულთა და თანაშემწეთა მისისა მის გზადგამყუელობისა და უკეთურებისათა, შეიყარნეს და უკუადგეს თამარს, დაადგინეს ახალი სიმტკიცე ყუთლუ-არსლანის გაშუებულობისა და არა მიშუებისა ვნებად მისსა მეტყუელნი, განემზადნეს ისანისაცა შემობმად. გარნა ვინათგან ჭელი საუფლო და მკლავი მაღალი შემწე და

თანამბრძოლ ექმნებოდა მბრძოლთა მათ მისთა, და მის წილ ამღებელი ჭურისა და ფარისა ეკუეთებოდა დამჯობად ყოველ-ალმდგომთა მისთა, ცუდ სამე იქმნა განზრახვა მათი, ვითარ განზრახვა აბიათარ მღდელისა და იოაბ სპასპეტისა, რომელნი ეთანებოდეს ადონიას, ძმასა სოლომონისსა; და ამას შინა თამარ, წარმგზავნელმან ორთა საპატიოთა დიოფალთამან, რომელი იყო ერთი ხუაშაქი ცოქალი, დედა ქართლისა ერისთავთ-ერისთავისა რატისი, და ერთი კრავაჲ ჯაყელი, დედა აწ მყოფთა სამძივართა, უბრძანა ფიცით მონდობა და სხვსა არავისი ბრალობა. და მოჰყვეს დიდებულნი ბრძანებასა პატრონისასა და წინაშე მოსრულთა დავრდომით თაყუანი-სცეს, აღიღეს ფიცი პატრონისაგან და მისცეს მათ პირი ერთგულობისა და ნებისმყოფლობისა მათისა.

კუალად დაჯდა ცხებული ღმრთისა თამარ მეფე საყდართა მათ ცამდი აღმართებულთა შუენებითა მით აფროდიტიანითა და სიუხვთა მით მზეებრითა აპოლონიანითა, სატრფო საჭურეტი დაბნედამდის და გაჭრამდის ყოველთა გამცდელ-მხედთა და შეპყრობამდის წყალ-ჯავარითა მით უმსგავსოთა სახითა მით ღმრთივქმნულითა. იურვის და იურვოდა ურვაქმნისათჳს ყოველთა შეურვებულთათჳს.

პირველად გარდაცვალებასა და გამორჩევასა შინა ორთა— ვაზირთა და სპასპეტთასა, თანადგომითა და ერთნებაობითა ბრძანა დამტკიცებად ჭყონდიდლად და მწიგნობართუხუცესად და ვაზირად ანტონი, გაზრდილივე მამისა მათისა, ბრძენი და გონიერი, პატრონთათჳს სჳანი და ერთგული და შემეცნებული საურავთა და განაჩინა ამირსპასალარად სარგის მჯარგრძელი, კაცი გუარიანი და აღზრდილი ლაშქრობათა შინა და ჭაბუკობათა, და უბოძა ლორე სათავადო და სამთავრო სომხითსა შინა, და წყალობა-ყო ძისაცა მისისა ზაქარიას დალოცვითა, და ითაყუანა დარბაზის ყმად უმცროსი შვილი მისი ივანე. და განაჩინა და უბოძა ჭიაბერსა მანდატურთუხუცესობა, და მისცა არგანი ოქროსა ჴელთა მისთა, და შთააცუეს ტანსა მისსა სკარამანგი. და დასუეს სელებითა ოქროჭედილითა რომელნიმე მარჯუენით მისსა და რომელნიმე მარცხენით, და კუალად უბოძა მეჭურჭლეთუხუცესობა დიდსა და გუარიანსა კაცსა კახაბერს ვარდანის ძესა, და მსახურთუხუცესობა ვარდანს დადიანსა, ჩუხჩარეხობა მარუშიანსა, ძეს ჩუხჩარეხისასა, ვინაცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ ორთავე მამანი მომჯცოვნებულ იყვნეს, და დასდვა მამისა პატივი მათისა და დასხჭა სასთაულითა. და უბოძა ამირახორობა გამრეკელსა თორელსა, რომელი ამირსპასალარცა იქმნა შემდგომად სარგის მჯარგრძელისა.

და ერისთავნი მის ჟამისანი ესენი იყვნეს: ბარამ ვარდანის ძე — სუანთა ერისთავი; კახაბერი კახაბერის ძე — რაჭისა და თაკუერის ერისთავად; და აფხაზთა ერისთავად ოთაღო შარვაშისძე; ცხუმის ერისთავად ამანელის ძე; და ოდიშის ერისთავად ბედანი. ლიხთამერით: ქართლის ერისთავად — რატი სურამელი; და კახეთის ერისთავად — ბაკურყმა ძაგანის ძე; და ჰერეთის ერისთავად — გრიგოლის ძე ასათ, რომელმან მისტაცა მძლავრობით და მორევით საღირს კოლონკელიძის ძესა და მცირედ-ჟამ ქონებასა შინა იაჯა არიშიანის ადგილსა დაჯდომა სასთაულითა, და ჴელთუდვა შვილსა მისსა გრიგოლს ჰერეთის ერისთავობა; და სამცხის ერისთავად და სპასალარად აჩინეს ბოცო ჯაყელი და სხუანი ჴელისუფალნი, ტაძრისა და საყდრისა სამეუფოსა წინაშე მდგომელნი, განაჩინეს წესისაებრ სახლისა.

ამას შინა აღავსნა ეპისკოპოსნი და საყდარნი შესაწირავითა, თავისუფალ ყვნა ეკლესიანი ხარაჯისა და ბეგარისაგან; გააზნაურდეს ქუეყანისა მოქმედნი, და გადიდებულდეს აზნაურნი, და გაჴელმწიფდეს დიდებულნი მეფობასა შინა ამისსა, რომელ აწ ჩანს დაწერასა შინა ამისსა.

ათორმეტთა მოქცევთა ჟამთა თამარ სამგზის სანატრელი, რომელმან სიმშჯდითა დავითიანითა, სიბრძნითა სოლომონიანითა, სიმჯნითა და საურავთა დღესისთა ხვალისა არ-მიგდებითა ალექსანდრიანითა, იპყრნა ზღჳთ პონტოსით ზღუადმდე გურგანისად და სპერითგან დარუბანდამდის და ყოველნი კავკასიისა იმერნი და ამერნი ხაზარეთამდის და სკჳთამდის, მიმხუმელ იქმნა ცხრათა ნეტარებათა, რომელმან ესევითარი იჴუმია სიბრძნე და ფრიადებაჲ ცნობიერებისაჲ და სიმშჯდე გონებისაჲ, ვიდრემდის ამას განგებასა ათორმეტსა წელიწადსა შინა არცა თუ ტაჯგანაგი უბრძანა ვის სადმე კრვად. კიდემქონებელი ყოვლისა მესისხლეობისა და მბნელობლობისა და სასოთა მიღებისა, ნებაალმსრულებელი, შიშისა და ზარისა დამდებელი, მშჯდი და მშჯდობის მყოფელი იშუებს და სუფევს სამეუფოთა და სამფლობელოთა შინა მისთა, რომელი არა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვის უხილავს, ოვნიერ ამისსა, ესევითარსა კაცისა ფუნ-
ლობასა შინა უვნებელად და მშვდობით დაჭირვა და ძოწერ-
თა კაცთა ქედფიცხელობისა და გონებაურჩებისა.

ხოლო სხუანი ზნენი: გამმარჯუებლობანი, აღვლანი საზღ-
ვართა მიმართ, მამადობანი მამათა და ტომთა მისთანი, ოდესმე
რაინდობანი და მკვრცხლმოქმედობანი და მჭედრობანი მჭე-
დართანი, ეროელად საგონებლობანი, ოდესმე ნარნარად და
წყნარ-მშვდად მეპასუხობანი, თუ რანი და რაოდენ იქმნეს,
წინამდებარისაგან ეუწყენ მსმენელთა რათა სრულ იქმნას წყა-
ლობა და წადილი პატრონისა ტკბილისა და სახიერისა ლაშ-
ქართა და სპათა მისთა ზედა, შეიყარნეს შემჭირნენი და ზრახ-
ვა ყველ ძებნა წალმართისა და მოყვანა ქმრისა, რომლისათვს
ჯამდა თუმცა ყოფილიყო ჟამი გმირთა და გოლიათთა ყოფისა,
ანუმე გარეშედ წოდებულთა ელინთა სისხლისა დათხევისა,
ანუმე გაჭრანი მიჯნურთა ცოფ-ქმნილთანი: ვითარ თამთა თუ-
მიანისთვს, ვითარ ამირან ხორაშნისათვს, ვითარ ხოსრო-შანშა
ბანუისთვს, ვითარ მზეჭაბუკ მზისათვს ხაზართასა, ვითარ ია-
კობ რაქელისთვს და იოსებ ასანეთისთვს, დავით ბერსაბესთვს
და აბისაკისთვს, ვითარ ბელოპი მჯნედ მბრძოლი იპოდამის-
თვს, ონომაოს ასულისა, ვითარ ბლუტონ პერსეფონისთვს, ვი-
თარ რამინ ვისისთვს, ვითარ ფრიდონ შაჰრინოს-არნავაზისთვს,
ვითარ შადბერ აინლიეთისთვს.

და უჩნდა საჯამსოდ, თუმცა გამოჩენილ იყვნეს ვინმე ანუ
გმირნი სახენი გმირთანი, ანუ მამანი სახენი მამამთავართა შუ-
ენიერთა და კეთილად მბრძოლთანი, ანუ მსგავსნი გარეშეთა-
ნი, სისხლდამთხეველნი შეყუარებულთათვს, ანუ მიჯნურნი
ლომნი და მზენი, მჭეცებრ გაჭრილნი ამის მზისა და უმეტეს
მზისა და თვთ მათ მითხრობილთა მზედ და მნათობლად საგო-
ნებელთა უბრწყინვალესისა და უნათლესისათვს.

გარნა ვინათგან ცუდ საგონებელ იქმნა და აღარ დაებადა
ლმერთსა სწორი ამისი, არცა მგონიეს თუ დაბადებად არს, გა-
მოგიდა ვინმე ჩუენდა მეტყუელი, მკვდრთა ტფილისისათა შინა
თავადი და მეფეთ-მეფისაგან წყალობაჭელდასხმული და ამი-
რა ქართლისა და ტფილისისა, სახელით აბულასან, და მეტყუ-
ელმან თქუა: „მე ვიცი შვილი ჭელმწიფისა ანდრია დიდისა
რუსთ მთავრისა, რომელსა მონებენ სამასნი მთავარნი რუსთა-
ნი. და იგი, მცირე დარჩომილი მამისაგან, ექსორიაქმნით დევ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნული გარდამოიხუეწა ბიძისა, სავალათად სახელწოდებული-
საგან. და არს იგი ყივჩაყთა მეფისა სევინჯისა ქალაქსა“.

მაშინ მომსმენართა მისთა უკმეს ერთი მკვდრთაგანი დიდ-
ვაჭარი ზანქელ ზორაბაბელ. მსწრაფლ მისრულმან ცვალებითა
ჴუნეთათა წარმოიყვანა და მოიყვანა უწინარე პაემნითა მოყმე
სახეკეკლუცი, სრული ანაგებითა და ჭურეტთაგან საჩეხი გუ-
არისშვილად. ამისთა მნახველთა და გამცდელთა — პატრია-
ქმან, დიდებულმან, ვაზირთა და სპათა მოაჯსენეს თამარს, და
მათგან ნებადაურთავი განმზადეს ქორწილი. რამეთუ თამარ
ჭეშმარიტი იყო და მტკიცე სჯულთა ზედა, და ვიეთნიმე და-
ღონებულობით აწუევდეს ალექსის მოყვანასა ქმრად, რომელი
ახლოს სთჳსობდა და მამულად მამისძმისწული იყო ბერძენ-
თა მეფისა, ესე მას ჟამსა აქა მყოფ-იყო, და შიშითა ამისის
ქმნისათა ყოვლად უწადინელმან ქორწინებისამან იაჯა ჴსნა
ქმროსნობისაგან. ხოლო არა მშუებელმან დედოფალმან და
სპათა აიძულეს ქმნად, და ვითარ იყო ხუედრი და რიგი
ულუმპიანობისა და შარავანდედობისა მათისა, ეგრეთ იქმნა
ქორწილი სახედაუდებელი და იგავმიუწდომელი; სიმრავლენი
სახეობათანი, ძღუნობანი და ნიჭებანი თუალთა და მარგალიტ-
თანი, ოქროჭედილთა და უჭედელთანი, სიმდიდრეთა და ლარ-
თა კერულთა და უკერელთანი, მსგეფსამდი სიხარული, შუება,
ძღუნობანი, გაცემანი.

ხოლო მე ესეცა გაუწყო საბრალო და საძნაური საქმე: რა-
მეთუ მოსრულ იყვნეს ოვსთა მეფეთა შვილნი, შუენიერნი და
სახეკეთილნი მოყმენი, მოჰაჯენი და მთხოველნი, ღირსნი და
მონდობილნი ჭაბუკობისანი, ვითარ: „ღირს რამცა ვიყავით მო-
წონებად და მიხდომად ბედსა ამას საზეესთოსა!“ და ვინაცა
უქმ იქმნა განზრახვა მათი, წარსრულთა თჳსად მამულად ერთ-
სა მათგანსა შეემთხჳა მოუთმენელი სურვილი და სიყუარული
თამარისი, რომლისათჳს ვერ გამძლე, მივრდომილი საგებლად
ბნედასა შინა, მიიწია აღსასრულად ნიქოზს საყდარსა შინა
წმიდისა ჩაჟდენისსა, რომელი მუნვე დაკრძალეს.

ამისდა შემდგომად ჴელ-ყვეს გალაშქრებად და გავიდა
ტფილისით მეფე რუსთა და უფროსღა აფხაზთა, და აბეს
დროშა სჳანი და ჴმარებული და წარიძღუანეს ძელი ცხოვრე-
ბისა, მცველი და მფარველი მეფეთა სკიპტრისა. პირველ
ილაშქრეს ქუეყანასა კარისა და კარნიფორისასა, და მოარბიეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდრე ბასიანამდის. და გამარჯუებულნი და აღვსებულნი მოიქცეს და მოვიდეს წინაშე პატრონსა მას ღმრთივგანათლებულსა, და აღივსნეს სიყუარულითა და სიხარულითა.

ამისგან უწინ მოვიდეს ლაშქარნი არანისა და გელაქუნისა თურქთანი ქუეყანასა პალაკაციოს და ძაღლისჴევად წოდებულსა და მომრბეველთა ზედა გამრეკელი კახას ძე მიუჴდა; და სჳსაგან თამარ უძლეველისა მცირეთაგან დიდნი იძლივნეს, გააქცივნეს, ამოსწყჳდნეს და მოიღეს არმაღანი წინაშე თჳთმპყრობელისა.

და მასვე ჟამსა მოვიდეს კარნუქალაქელნი, შამელნი და თურქნი გარმიანისანი, ცხენოსანნი და ქუეითნი, და აღივსო შავშეთისა და კლარჯეთისა ქუეყანა. აქათ შეიყარნეს გუზან აბულასანის ძე ტაოელი და მის ქუეყანისა ლაშქარნი, და ბოცო და ვინცაღა იახლა, მიესწრნეს მესხნი და მარბიელ გაშუებულთა შეებნეს მუწვე. ბედმან და სუემან თამარისმან სძლია, გააქცივნეს მუნცა და დაჴოცნეს. და მუნითცა მოიღეს ურიცხჳ კაცი და ცხენი წინაშე მეფისა ღმრთივგჳრგვნოსნისა და ღმრთიდღე აღმატებულისა და წარმართებულისა. ამას შინა იხარებდეს, იშუებდეს, ნადირობდეს, მხიარულობდეს.

ამისდა შემდგომად წარვიდეს მჴარგრძელნი, ძენი სარგისისნი და ვარამისნი, მოყმენი პირწალმართნი, უხუცესნი ზაქარია და ზაქარია დალოცვილნი, ივანე და სარგის დაულოცველნი, და ილაშქრეს ქუეყანასა დვინისასა. და გამარჯუებულთა და ალაფაღებულთა მოეწივნეს ლაშქარნი დვინელნი. და კმა იყო ლომისა სიფიცხედ, ვინაცა ბოლოდ გააქცივნეს. და გამარჯუებულნი და აღვსებულნი და სახელოვანნი მოვიდეს წინაშე მეფეთა. და მათ წყალობის მყოფელთა გარდაიჴადეს მადლი.

შემდგომად ამისა გამოსლვასა ხანისასა ლაშქრობდეს ქუემონი ქუემოთ, და ზემონი ზემოთ, და შუანი შუათ, და ყოველგან ძლევაშემოსით და გამარჯუებით.

და კუალად მეფემან, შემყრელმან სპათამან ბრძანებითა თამარისითა, მიმართა დვინად. მოაოჴრა ქუეყანა პართთა, და წარმომღებელი და გამომღებელი ქალაქისა და მას შინა მყოფთა საუნჯეთა და ტყუეთა მოვიდა თამარს სუე-სრულსა და ნათელ-ბრწყინვალესა წინაშე, რომლისა თუალი უღამო და დღე უუკუნო, და საწადელ და საშუებელ სულისა და ჴორც-

თა. ამას შინა ოდესმე მოისვენიან ლაშქრობათაგან, და მშვიდ-
ებელნი გარდავიდიან იმერთა ქუეყანათა წესისაებრ, და ჟამსა
ოდესმე ჩავიდიან შარვანისა ზღვრამდე, და მოვიდის შარვან-
შა დიდითა ნიჭითა და ძღუნითა, და, ერთგან მომნადირებელ-
ნი მინდორთანი და მხიარულნი, კუალად განიყარნიან და
უბოძის საბოძუართა სიმრავლე და წარგზავნის პატივითა ძმებ-
რივითა, და მონებდა და მსახურებდა იგი მონებითა ყმებრი-
ვითა.

შემდგომად ამისსა შეიყარა დიდძალითა ლაშქრითა და მი-
მართა გელაქუნად, რომელი ძნელ იყო შესამართებლად ზღვს
ქვშასახეობითა თურქმანთათა; დაესხნეს, ამოსწყვდეს და აღი-
ღეს დიდძალი ნატყუენავი და იავარი. გამომართულთა მოეწია
ყოველი თურქმანობა გელაქუნისა, წინაძღომითა შამელთა
დიდებულთა როსტომ და იაღლუზ-ალფესითა, რომელნი მას
შინა დაემჭირნეს ყიზილ-არსლან ათაბაგსა და ვითარ წყობა და
რაზმი ერთმანერთს განეწყვნეს, იმათებურეს მოყმეთა თამა-
რისთა და უსწრობდა ბერი ყრმასა და ყრმა ბერსა, პატრონი
ყმასა და ყმა პატრონსა: გააქცივნეს, და ამოსწყვდნეს და და-
ეცნეს და მოვიდეს თვსადვე სამეფოდ წინაშე მეფისა და
დედოფლისა ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლისა, ჩრდი-
ლოეთისა და სამხრეთისა.

შემდგომად ამისსა წუევითა ასათ გრიგოლის ძისათა დიდი
და სასახელო ილაშქრეს განძას ქუემოთ ბელაყნამდის, შემ-
დგომად ზემო კერძო რაჭისა პირი მასისამდე. მუნცა დიდთა
ლაშქართა მოწევასა შინა ისახელეს თავი ბუმბერაზთა ამის
სამეფოსათა, თვთ მეფისა მჭურეტელობასა შინა, ვარდან და-
დიანმან მსახურთუხუცესმან, ოთხთავე მჯარგრძელთა და სხუ-
ათა დიდებულთა და აზნაურთა დიდი დაჭირებული ომი გარ-
დაიჯადეს და გააქცივნეს და შემოიქცეს მუნითცა გამარჯუე-
ბულნი და აღვსებულნი სიხარულითა.

ამას ესევითარსა მშვდობასა, მარჯუებასა და ზეობასა შემო-
ვიდა უცხო რამე და უმსგავსი საქმე, შეუმსგავსებელი და და-
უჯერებელი კაცთა გონებისაგან. შევიდა სატანა გულსა სუ-
უბედურისა რუსისასა, სკვთ-რამე სახელდებულისა, და სიტყვთ
აღიძრა წყეწად თამარისა, ჭელმწიფეთა მზისა და მეფეთა ელ-
ვა-ცისკროვნებისა, და იუდა მყოფელმან თავისა მისისამან
აღარ იცოდა რამცა ექმნა. ძლეული და ტაძარქმნილი შვდთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულთა უბოროტესთა პირველისათა სოდომურიცა მოაქცევა ქცევა დაქცევითა დაქცეულმან და წარწყმედითა წარწყმედულმან. ამას ესევითარისა უცხოსა და ურიგოსა საქმისა შემოსლვასა შინა ითმენდა თამარ წყნარი და ნარნარი, ცნობიერი და გონიერი, და ორ წლამდის გინა უმეტეს იყო განსაცდელისა უცხოსა თმენასა შინა.

და ვითარცა უგრძნეს ესე ვაზირთა და დიდებულთა, განკჯრვებულთა ერთჯმა ყვეს მცნობელთა ამისთა, ვითარმედ ესე მისვე ძუელისა მტერისა არს, რომელმან მოაკულევინა ძმასა ძმა და მამასა შვილი და ექსორიაქმნა პირველი იგი კაცი სამოთხით, ვითარ ესე აწ ხილულისა ამის სამოთხისა და უბოროწყინვალესისა ედემისადა შეუმზადებია ექსორიაქმნა, რამეთუ მისვე ძუელისა ხაკან სკუთისა შემსგავსებულად მოსდგომია აქაცა. მუნ თუ იგი მოადგა დედოფალსა ქალაქთასა, აქა ესე დედოფალსა დედოფალთასა და მეფესა მეფეთასა. ბოლოდ რაღა თჳნიერ ამისსა ვერღარა მინდობილთა უღონო ქმნილისა მის ეშმათა ბომონისა ჯელყვეს ცრემლმდინარეობისა შინა თამარისსა ჯერცა მოწყალისა და გაურისხებელისასა, და წარიყვანეს ექსორიაქმნად, გარნა აურაცხელითა ლარითა, სიმდიდრითა და საჭურჭლითა, ვინათგან რომელი სიკუდილსა ემართლებოდა და არავის მისცა სასიკუდინოდ, იგივე სიუხჳთა მზეებრითა არავის მიეშუა გაძრცუასა, და ვინაცა ჩასმული ნავითა ზღუად მიიწია კოსტანტინეპოლედ, და იყოფოდა ჟამთა რაოდენთამე მუნ.

ამისსა შემდგომად უფროს და უფროს, უკეთ და უკეთ მთავრობასა და ჯელმწიფებასა ათქმევს ყოველსა მწირსა ჯელი საუფლო და მკლავი მაღალი, თანაშემწე და თანამძლე ბრძოლათა შინა, და არა მსგავსებული ბედი და სუე პაპთა და მამათა მისთა, ნუუკუე არცა ბედისა ოდენ მინდობილთა წარმართთა.

რამეთუ ამას სძღუნობდეს ყოველნი მეფენი აღმოსავლით დასავლეთამდი, ამისთჳს ხელდებიან ყოველნი მსმენნი ესრეთ სახებრწყინვალეობისა მისისანი. რამეთუ ბერძენთა მეფისა მანოელისა შვილი უხუცესი იყო გაჭრითა და გახელებით, არათუმცა ანდრონიკეს, ჟამსა მის მეფობისასა და მისგან ბერძენთა ამოწყუედისასა, შეეპყრა და განეპატიჟა იგი მოყმე პოლიკარპოს, მსგავსი ასურასტანისა და შუამდინარისა ანტიოქე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისა მეფისა შვილი იყო: უკუეთუმცა ჰქონებოდა გზა ერეკ-ალგუართა ბარბაროზთა შუაყოფისაგან, წამსაცა შინა აქა პოვნილ იყო. კუალად სულტნისა ყიზილ-არსლანის შვილთა-განი ერთი, ამბვისა სმენითა ხელქმნილი, ძალითღა-სამე დაიმ-ჭერა მამამან სჯულისა დაგდებისა შიშითა.

ხოლო ახლო მყოფთა ესევითარი აქუნდა ტრფიალი, რომელ არცა უღირსთა უღირსობისა აქუნდა კდემა-რცხუენა, არცაღა თჳსთა თჳსობისა გავლენა. ვინაცა სახედ მზისა შარავანდნი ცისაგან იშუქებდეს მიწიერთა საჭურეტლად, ეგრეთვე ქუე-ყანისაგან თამარის ჴელმწიფობისა შარავანდთა ნათელთა ბრწყინვალებანი ეფინებიან იატაკსა ამას ზედა ცისასა.

მცნობელმან ამისმან სალდუხის ძისძემან, სახელით მუ-ტაფრადინმან, აღარ დამხედმან მშობელთა არნებობისამან და დამგდებელმან მუჰამედისამან, სჯულისა ტკბილისამან, რო-მელმან მოზიდვითა კაცთათა უმოძღურა კაცთა საწუთო ესე ნებასა ზედა თჳსსა, სურვილითა და სმენა სატურფოთა სახე-თაგან ძლეული მოვიდა წინაშე თჳთმფლობელისა, ყოველთა მეფეთა უზესთაესისა ამის თამარისა სამფლობელოთ თჳსით დიდითა ლაშქრითა, მრავლითა დიდებულითა, ხოჯაებითა და საჭურისითა, მონებითა და მჴევლითა, ბარგითა და სიმდიდ-რითა, საჴელმწიფოთა ძღუნითა კმა საყოფინელითა, თუ-ალისა და მარგალიტისა, საჭურჭლეთა და ლართა თანა ავაზებისა და ტაიჭებისა სიმრავლითა. და წესისაებრ სახ-ლისა საჴელმწიფოსა მიეგებნეს დიდებულნი პატივითა და სიყუარულითა, მოიყვანეს სრად სამეფოდ, რომლისა პაპი სალ-დუხ ეზდინი პაპსა ამათსა დემეტრეს, ჴელმწიფესა დიდსა და სახელგანთქმულსა, ჭაბუკსა გორგასლიანსა, ძალითა და ღუ-აწლთა სიმრავლითა ჴელთ ეგდო და მოეყვანა. აწ ამან სიტყ-ვთა, და ნუუკუე არცაღა სიტყვსა ღირსებითა, მოიყვანა ვი-თარცა მონა მოხარკე. ნელიად და წყნარად და მიმყოვრებითრე უდარბაზა, რომელმან ნახვასავე თანა რამინისებრი აჩუენა ცრემლთა ნაკადთმრავლობა. დასუა პატივითა ტახტსა თანა სე-ლითა, და იქმნა სიხარული გამოუთქმელი, ვითა მართებს ნა-დიმს და წყლიანობასა ამის სახლისა დიდებულთა მოყმეთა, უკლებლობასა მრავალგუართა სახეობათა, მუტრიბთა და მო-თამაშეთა განწყობილობათა, ნიჭთა და საბოძუართა და შემო-სათა ვინაცა იქმნა უჰამრავი. ამას ესრეთსა სიყუარულსა, პა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტივსა და ბოძებასა შინა დაყო ჟამი ზამთრისა სომხითს და ტფილისს მომწონებელმან სანადირეთა ქუეყანათა და მოყმეთამან თვთ თავადის პატრონისამან, რომლისა სიკეთისა მითხრობა კაცთაგან შეუძლებელ არს და ჟამსა ღანუყობისასა თანაწარმტანელთა აჩუენეს საყოფნი სანადირონი, მინდორნი, მოედანნი და ქუემონი კახეთისანი და რანისანი. და რანისა დიდებულნი მოყმენი და ლაშქარნი, განალამცა მომწონებელნი და მაქებელნი, იშუებდეს და იხარებდეს და ადიდებდეს მომლოდენი ჟამისა მის პატრონისა მათისა უკუდავქმნილისანი.

გარნა ვინათგან თამარ ამაყი და ლაღი, უჯერო შესატყუსობისა, აზეებდა ფრთოვანებასა გონებისა მისისასა; შემოსრულთა ქალაქად სამეფოდ დაამჯუეს ქედმაღლობა ტრფიალისა მისისა, და წინაუკმო საულისა იპოვა შვილი სალჩუკეანი: მან მძებნელმან კარაულებისა მამისამან პოვა მეფობა, ამან მძებნელმან მეფობისა და ზესთა მეფეთა მეფობისამან პოვა რომელი საულისა დანაკარგთ ჯამდა.

იყო ვინმე ერთი ხარჭთაგანისა ნაშობი, რეცა სახელდებული შვილად მეფისა. და ვინაცა მთქმელთა არა უქმ-საგონებლობისათა უფროსლა უქმ-მყოფელთა და დამასკუნელთა ქორწილისათა შერთეს და გარდაიჯადეს ქორწილი სახელოანი. შემოსასა თანა მრავალ-მრავალსა უბოძნეს ცხენი და აკაზმულობანი სხუათა საქონელთა და სიმდიდრეთა თანა და ლართა, და წარგზავნეს თვსად საყოფლად არზრუმად, გარნა თუ ვითარითა ცრემლითა და ვითარითა გლოვითა, გამოუთქმელ არს კაცთა ენისაგან.

ხოლო შემდგომად ამისა რეცა დარბაზობისა სახედ მოვიდა შარვანშა აღსართან, რომელი მიჯდილ იყო ცნობათა სიყუარულისაგან და, სჯულისაებრ ძუელისა და თვთ დღესა ისლიმთასა, გუარისაგან განვლენილი, თვსისა სჯულისა დაგდებად განმზადებული, მოქენე იქმნა ყოველთა საქმისმოქმედთა, მოძღურისა და კათალიკოსისა, მიუწდომელისა ქრთამისა მძებნელი. გარნა უქმ სადმე და ცუდ იქმნებოდის ზაკუანი ეშმაკისანი, ვინათგან აქუნდა თამარს სული მყოვარე და შეყუარებული ზენარისა მის ხუედრისა და გონება, მშობელი სიტყვსა, გონებისა მის დიდისა მიმართ აღემსჭუალა, და სეფე-გუარ ჰყოფდა ტაძარსა შჯდწილ განწმედილსა ღმრთისა სიტყვსასა. და ყოველთა მამონისაგან ძლეულთა და ქმნად მაწუეველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა სირცხვლეულ ჰყოფდა მომსმენელთა სატანას ზაკვთ. ბრძანებელმან წესისაებრ პატივითა და სიყუარულითა ნიჭ-ვრავლობასა შინა მისცა მცნება: „კუალად აღარა შესძინედ ესევითართა თქმად“.

თამარ სუესვანისა ჴელმწიფისა იმატებენ ზარნი, ლაშქრობენ მოყმენი, არს მარჯუება, სიხარული, სიყუარული, შუება და ნადირობა მთათა და ბართა, გარნა წუხდეს და იურვოდეს შემჭირნენი უწყალმართობისა და შვილის უსმელობისანი. და ვითარ მოეცვა შჯდივე ესე სამეფო შეჭირვებასა ესევითარისა საქმისასა, პოვეს ღონე განგებითა ღმრთისათა, რომელი აღამაღლებს მდაბალთა და შემუსრავს ლაღთა, რომელ ბრძანებს წმიდასა შინა სახარებასა: «არა რომელთა მე გამომირჩიონ, გარნა რომელნი მე გამოვირჩივნე». და ვითარ იტყჳს დავით, რომელსა აწ სათნო ეყო გამოჩინებად: «უმცირეს ვიყავ მე ძმათა ჩემთა და უმრწემეს სახლსა მამისა ჩემისასა, ხოლო თავადმან უფალმან მოიღო და მცხო ზეთითა ცხებულისა მისითათა» და შემდგომი.

იყო სახლსა შინა დედოფლისა რუსუდანისსა მოყმე ეფრემის ძეთაგანი, რომელ არიან ოვსნი, კაცნი მძლენი და ძლიერნი ბრძოლასა შინა. ესე დედოფალსა რუსუდანს ვინათგან თჳს ეყვოდა მამისდისა მისისა დავითის ასულისა ოვსეთს გათხოვილობისა მიზეზითა, მოეყვანა საზრდელად სახლსა შინა მისსა. და იხილეს მუნ მიმავალთა და წამომავალთა, რამეთუ მოყმე იყო ფერნაკუთად კარგი, ბეჭბრტყელი, პირად ტურფა და ტანად ზომიერი, ორთავე კერძოთა გუართაგან საჴელმწიფო.

ჰკადრეს და მოაჴსენეს დედოფალსა რუსუდანს მკვდრთა ამის სამეფოსათა, იგი განაღამცა ნებისა დამრთავი, ვაზირთა და დიდებულთა თანაშემწე ქმნითა მომჴსენებელ და მოაჯე ექმნეს თამარს, მეტყუელნი ამისნი: „უკუეთუმცა არა იყო ზენა განგება მისსა მოქმედებასა შინა, ჰხედავს შარავანდედობა თქუენი, თუ რაოდენნი რაოდენგზის მოყმენი, შვილნი ჴელმწიფეთანი — ბერძენთა და ჰრომთანი, სულტანთა და სკვთთანი, სპარსთა და ოვსთანი, მცდელნი, სამართალთაებრ უკუწ არღვნა არ შემძლეობამან თჳნიერ ბრძანებისა საუფლოსა“.

მაშინ თამარ, მინდობილმან მამისდისა მისისამან მშობლისა სახედ და მისგან დიდად წყალობიანთა ლაშქართა და სპათამან, ესრეთ თქუა მბრძანებელმან: „მოწამე არს ჩუენდა ღმერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი, აროდეს ყოფილა გული ჩემი მოწადინე ქმროსნობისა, ცა პირველ, არცა აწე, თუმცა არა მოსვლოდა უწალმართობა ჩემი საყდარსა, რომელი რწმუნებულ არს ჩემდა პირველ ღმრთისაგან და შემდგომად მშობელთა ჩემთაგან, აწცა ამისი ვარ მოაჯე".

მაშინ არ მომშუებელთა ჰკადრეს დედოფალსა. და წარვიდეს დიდებულნი იმერნი და ამერნი, და წარმოიყვანეს დედოფალი და გაზრდილი მისი დავით, რჩეული ღმრთისა მისა; და მოვიდეს სრასა დიდუბისასა, სანახებსა ტფილისისასა. და მუნ ქმნეს ქორწილი შესატყვსი და შემსგავსებული ჴელმწიფობისა და სახელზეობისა მათისა. ვინათგან დედოფალი რუსუდან ყოვლითა სიბრძნითა სავსე მოქმედებდა: აქათ ბაგრატიონი ბაგრატოანითა გუარზეობითა აწყობდა რიგთა სახლისათა, და ქუეემოთ ხუარასნისა და ერაყისა სულტანთა სძლობითა გამეცნიერებული, მუნებრივითა სახიობითა და შუებითა მოქმედებდა. მშუებელნი იხარებდეს, გლახაკნი განმდიდრდებოდეს, იყო ზმა მგოსანთა და მუშიათთა, სახიობითა მჭურეტელნი იყო რაზმთა სიმრავლე და სრულქმნა ამასა შინა. მითხრობად შეუძლებელ არს, თუ ვითარსა ბედნიერობასა. სჯანობასა დღეკეთილობა თამარისი დავითის, მოყმისა დავითიანის, თანა ბედნიერ და განმარჯუებულ იქმნა, და წალმართ-წალმართითა მით მითხრობითა წინამდებარითა გეუწყოს.

ესე დავით წელიწდის მოქცევამდე ესრეთ წაეჯობინა ყოველსა მშჯლდოსანსა, ცხენოსანსა და მცურავსა, მოასპარეზესა, მწიგნობარსა და ყოველსა ნასწავლსა ჴელთა სიკეთითა, ვითა დღეს ჩანს, რომელ შინათ ვინ ყოფილა მისი მსწავლებელი და თანა მოსწავლე, და თუ გარეთთა ქუეყანთა მოსრულა, ვერავინ სადა გამოჩენილა მისებრი.

შემდგომად ამისსა, მშჯდობისა და მტერთა მძლეობისა ამათისა, ოდესმე მოესმა, ვითარმედ რუსი იგი ძნელბედი და სუეუსუეო წამოსრულა კოსტანტინეპოლით და მოსრულა ქუეყანად ეზინკისად, კარნუ-ქალაქისად.

და მას ჟამსა ნაცვალი მეჭურჭლეთუხუცესისა, სჯულითა ბარბაროზი და ქცევითა ტარტაროზი, კეთილთა და ჰამოთა ბატრონთაგან სრულწყლიანი, საქმის მოციქულად წარავლინა საქმისა რასათჳსმე, და მას კარნუ-ქალაქსა მისვლასა შინა შეიყარნეს რუსი და იგი ერთად, მიუდგეს იმიერნი, რათა რუსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასახლესა შინა შეყვანილ ყონ; მისისა სარგებლისა მოწადინენი შეეხუეწნეს ამას დიდსა მოციქულსა, რომელი აქით მისრულ იყო. მაშინ ცნეს ამის სამეფოსა კაცთა და უფროსღა ეშმაკმან, რომელი მარადის მბრძოლ არს ვითარ «განკჳრვებასა დავითისსა სიცრუე კაცთა გულებისა» და რომელნი თანაზიარ მეფობისა მათისა და უხუად და უგულსავსედ წყალობითა იყვნეს, მათცა ქნეს საქმე ყოველთა ძუელთა გინა ახალთაგან უბუროტესი. უკუეთუ ამას სამეფოსა განდგომად პატრონთა უნებელ ქმნილა რომელი, დაწყებითგან სოფლისათ არავის ოდეს სადა უნახავს წარმართებული და გამარჯუებული, გარნა ეგრეცა თჳსთა და ნატამალთა, შვილთა და ძმათა ამის სახლისათა მიზეზითა ქმნილა. გარნა ესე ვინა ანუ სით?

პირველად მიერთო გუზან, პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა, რომელი ძუელთა მეფეთა ტაოელთა დიდებულთა ადგილსა ზედა შეეწყალა პატრონსა. აქით ბოცო, სამცხისა სპასალარი და სისრულისაცა ალმატებით შეწყალებული, სხჳთა მესხითა დიდებულ-აზნაურითურთ, თჳნიერ ივანე ციხისჯუარელისა, რომელსა ყუარყუარეცა ეწოდების. ესე დამაგრდა თჳსითურთ მოკიდულითურთ, ვითარ გუარ-ეყოდაცა მომგონებელსა სულასა ერთგულობისასა, რომელ ბალუაშსა ზედა უერთგულა ბაგრატს. ვარდან დადიანი, მსახურთუხუცესი, ლიხთ აქით პატრონი ორბეთის და კაენისა, ლიხთ იქით ნიკოფსამდის უცილობელად ქონებისა, და თჳთ შუაციხესა მყოფი, მაგარსა და მტერთაგან უვნებელსა. ესე მცირედისა რასმე წარვიდა და მივიდა გეგუთს, რეცა პატრონისა წადილითა. შეყარა ყოველი სუანეთი და აფხაზეთი, საეგროი, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკუერი და არგუეთი. მომრთველმან სანიგთა და ქაშაგთამან აფიცა რუსისა გამეფებისა და მისის მეფე-ყოფისათჳს დიდებულნი და ლაშქარნი ქუეყანისანი.

გაგზავნა ლაშქარნი ქუეყანისანი და მივიდეს გუზანისად. მუნით წარმოვიდა რუსი, და შეყრილთა მიჰმართეს სამცხესა. და მიეგება ბოცო და ვინცა მისი მიმდგომი იყო. და გარდამვლელნი მთისანი მივიდეს გეგუთს. ჰი ღაღადი დიდი და განსაკჳრვებელი კაცთა ცნობისა! ვინა ანუ ვისიღა მოსაყდრე საყდარსა დაჯდა დავითიანსა?

მაშინ თამარ, ქალაქსა მყოფი, უსახურისა და უაზრავისა საქმისა განკჳრვებული, პირველად მომხადველი ჩუეულები-

საებრ ზენათა წყალობათა, მბრძანებელ ექმნა ყოველ-
თავთა ერთგულთა, ვინაცა შეშოკრბეს სპასალარნი და დიდე-
ბულნი ჰერეთით, კახეთით, ქართლით, სომხითით და სამცხით.
მკვრნეთა საქმითა ჰკადრეს ფიცით არა მათგან ნებადართუ-
ლობა საქმისა, და ვითა შეაჯერეს უმათოდ ქმნილობა, მეეცებრ
განმჭნდა გული მათი ერთგულობისათჳს და თავისა საწამებე-
ლად დადებისათჳს. და თჳთ თამარ ჯელითა საუფლოთა და
სიტყჳთა ოქრონექტარითა მრავალგზის მართლად იკითხვიდა
მიზეზსა მკჳდრთა მისთაგან. ოდესმე თევდორე პატრიაქსა
და ანტონი ქუთათელსა, რომელი იგი ოდენ დარჩა მას ჟამსა
ერთგულად ლიხთ-იმერით, სისხლთა დათხევამდის, და სხუა-
თა ეპისკოპოსთა გზავნიდის, ოდესმე შინაურსა ეჯიბსა და მეს-
ტუმრესა და მათგან ვერას პირის მპოვნელი.

მაშინ შეკრბა კრებული ღმრთისმბრძოლი, აღიღეს მახჳ-
ლები და წათები, წარმოემართნეს პატრონსა ღმერთშემოსილ-
სა ზედა. ნახევარნი თჳთ მეფითურთ გარდამოვიდეს მთითა
ლიხისათა: ამწყუედელნი და ამაოჯრებელნი ქართლისანი მო-
ვიდეს ნაჭარმაგევამდის და გორამდის. და ნახევართა, დადიან-
თა წინაძღომითა, გარდაიარეს რკინისჯუარი და ჩავიდეს ცი-
ხისჯუარს და დაწუეს ქალაქი ოძრჯე. მუნ შეიყარნეს ბოცო
და მესხნი, ვინცა იყვნეს მიმდგომნი მათნი. და განმგებელთა
ესევითარისა საქმისა, ღმრთისა უკითხავად, შვილთა მზეგრძელ
უჴმეს. რამეთუ გააგეს პირველად აღება ჯავახეთისა, თმოგჳსა
და ახალქალაქისა, კუალად თრიალეთისა და სომხითისა, ვი-
ნათგან ქურდვაჭრისა იქით გასდგომოდავე ყოველი სომხითი:
ივანე ვარდანის ძე, პატრონი გაგისა; მაყა, პატრონი კაიწონი-
სა, კაენი თჳთ ვარდანისი იყო, სხუანი მის ქუეყანისა აზნაუ-
რისშვილნი, თჳნიერ ზაქარია ვარამის ძისა; იგი კაცი ერთგუ-
ლი იყო და ჭაბუკი გამოცდილი. ამათ ყოველთავე აგარათა
შეყრა გააგეს და მუნიდალმა მათ და ზემოქართლის მყოფთა
ქართა ქალაქისათა მოსლვა, სადა-იგი იყო მზე მზეთა, ნათელი
ნათელთა, ტარიგი უმანკო, მსგავსი ქრისტესი, მშჳდითა მით
დავითიანებრითა გონებითა მინდობილი ზენასა მას განგებასა,
იმედისა მდებელი წყალობათა მისთა გულმოწყალეთა.

მაშინ უბრძანა ამირსპასალარსა გამრეკელსა და ოთხთა
მჯარგრძელთა და სხუათა თორელთა, ზემოთა და ქუემოთა,
წასლვა და მიგებება წინა ქუეყანასა ჯავახეთისასა და მუნვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობა ძალისა მათისა, უფროსღა ცნობა ძლიერებისა მართლ-
მსაჯულობისა ღმრთისასა, და მივიდეს მტკუარსა ზედა, ვინათ-
გან იგინიცა მუნვე მოსრულ იყვნეს. და მიერთნეს მესხნიცა,
ერთგულად დარჩომილნი; და აქით ესენი მისრულნი მტკუარ-
სა ზედა, და იგინი მუნით ჯიდსა ზედა შეიბნეს.

და შეიქმნა ომი და სროლა. მას დღესა სიღამემან და
წყლის შუა-ყოფამან გაჰყარნა. ვითარ შეღამდა, შეიყარნეს და
ზრახვა ყვეს, ვითარმედ „ვხედავთ მჯეცქმნილობასა ამათ ლაშ-
ქართასა, და ვინათგან არა გუაქუს ძალი და ღონე შებმისა,
აწ მივრიდოთ სიმაგრისაკენ და მუნიდალმა ღონითა ვეცადნეთ
ღალატსა და ძლევასა“.

სიქველისა მომნიჭებელმან თამარის კერძთა ლაშქართა ამ-
ცნო გულ უყოვნელ ქმნა შებმისა და დევნა ყოფისა. და გამ-
ვლელთა ჯიდისათა მიმართეს მთასა ტორნაძიად სახელდებულ-
სა, ღონედ სიმაგრისა საძებნელად და, ვერღარა მუნ დამდგმელ-
თა, გარიდეს და მიიწივნეს ველსა ნიალისასა და წყალსა ხინ-
გრისასა; თმოგუსა და ერუშეთს შუა შეიქმნა ომი, ვითა ხუ-
დებოდა რჩეულებსა იმერთა და ამერთა მოყმეთასა, რომელ-
კმა იყო ძველთაცა გოლიათთა და ჭაბუკთა ომად, რომელთა
ზედა მოვიდოდეს ქუეითთა სიმწუავენი და მოკუეთილებანი
ისრისანი, მფეთებანი ჯრმალთანი და მხეთქებელობანი ჰოროლ-
თანი. და განგრძობასა შინა ჰომთასა მიეცა ძლევა ბუმბერაზ-
თა და მოყმეთა თამარისთა, და გაქცეულნი რომელნიმე დაიპყ-
რნეს, დაჯოცეს და ტყუე ყვეს. ამათ არა ევნო არცა სიკუდი-
ლითა, არცა დაკოდითა, თუნიერ რომელ ივანე სარგისის ძე და-
კოდეს.

შემოქცეულთა მხიარულითა პირითა და განათლებულითა
გულითა თავისუფალ და უდევნელ ყვნეს იგინი ქენებისა და
ბატრონისავე არა დაკლებისათჳს და მოვიდეს წინაშე ღმრთივ-
გჳრგჳნოსნისა მეფისა და მეფეთ-მეფისა. მიმცემელმან ღმრთი-
სა მიმართ ჯეროვნისა მადლობისამან ნახნა მოყმენი მისნი პი-
რითა ბრწყინვალითა, თუალითა ტკბილითა და გულითა დაჯე-
რებულითა. ვინაცა ცნეს ესე პირველ მახარობლისა მოსლვი-
თა, სარგის ვარამის ძისათა, ზრახვა ყვეს რომელნი მყოფ იყ-
ვნეს მის წინაშე: თჳთ ჭიაბერი მანდატურთუხუცესი, ჰერნი
და კახნი, დიდებულნი და აზნაურნი, თანადართვითა ყივჩაყ-
თათა, და შეყრილთა ქართლისა ერისთავისა და ქართველთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდებულთა, წინამძღუანვითა დავით მეფისა სჯანისათა-ლისა-ხმა ყვეს ქართლს მყოფთა, რომელთა მიერთნეს ვიეთნიმე ქართველნიცა და სიმრავლე ყოვლისა კავკასიისა და მთეულობისა.

და ვითარ აგრძნეს მათ ამოწყუედა და გაქცევა ზემოთა ლაშქართა, მსწრაფლ იჴმიეს გარდავლა. და შემოქცეულთა და მოსრულთა წინაშე თჳთ თამარისა ჰკადრეს გასლვა სომხითით და მიმართება ურჩთა და განდგომილთა მეფობისა მისისათა. დამორჩილდა ქრისტეშემოსილი ჴელმწიფე, შემეცნებული ღმრთისა წყალობა-აურაცხელობითა.

ვინა ესეცა უწყოდეთ, რომელ წურთათა ღმრთისათა სივრცე დიდ ფრიად არს; რამეთუ კეთილთა და კეთილგამგონეთა ნიშთა აღჩენითა სწურთის კეთილად დართვითა, ძლევა მინიჭებითა. რამეთუ კეთილისა სულისათჳს ღმრთისმოყუარე და თჳსად მისი არს, ვითარ იტყჳსცა დღე ბერძენთა ხედვისა პლატონ: «კეთილი კეთილთათჳს არს კეთილ, ვინა იგივე კეთილი ბოროტთათჳს ბოროტ».

ხოლო აწ ჴამს და უფროსღა გაგონება ნათქუამთა მათ დაუვიწყებად და ხედვა ზენათა წყალობათა, რათა დავჰყოთ თუალი იგი ამათ ესევითართა წყალობათა განგრძობითა.

ხოლო ვინაცა ცნეს განდგომილთა შერისხვა ღმრთისა მათთანათა თჳს-თჳსთა, რომელნიმე დამგდებელ იქმნეს აწ ციხეთა და სიმაგრეთა, და უწინარეს სჯულისანიცა, ვინათგან თამარსა ზედა ესევითარი უსახური საქმე იკადრეს; რომელნიმე მოვიდეს ყელ-საბელ მობმით; რომელნიმე მკლველ ექმნეს თავის ბიძასა, და ეგრე მოვიდეს. და მუნცა იქმნა ჩუეულებითი გამარჯუება: შემოქცელი დგა ჭალასა აგარათასა, მონადირე და მონადიმე, მხიარული და შემწყალებელი ერთგულთა და საკუთართა მისთა.

შეიწყალა ზაქარია ვარამის ძე, და უბოძა გაგი ქურდვაჭრითა განძამდის მრავლითა საკუთარითა და მრავლითა სანახევროთა ქალაქებითა, ციხეებითა და სოფლებითა. შეიწყალეს და უბოძეს სარგისის ძესა ივანეს პირველად მსახურთუხუცესობა, ჴელი შიწაური და საპატიო, და კაენი და კაიწონი გელაქუნით და სხჳთა მრავლითა სახარაჯოთა ქალაქითა და ციხითა. შეიწყალნეს და დალოცნეს სხუანიცა დიდებულნი მრავალნი, და შექცეულთა მიმართეს სახლთა მათ და ნატამალთა ნაჭარმაგევსა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ლიხთიმერთა დიდებულთა, შემნანებელთა შეცოდებისათა და მოაჯეთა შენდობისათა, ითხოვნეს ცხოველხი ხატი და თჳთ დედოფალი რუსუდან მათ წინაშე საყოფელად, კათალიკოსი, მანდატურთუხუცესი, და სხუანი ეპისკოპოსნი შინაურითურთ სახელდებულით. ვინაცა გარდამოვიდეს სუანნი დიდებულნი და მეჯეგენი და გარდამოიტანეს რუსი, მეფეყოფილი, და მისცა დედოფალმან სიმტკიცე პირველად რუსის უვნებელად გაშუებისათჳს, და მერმე მის ჟამისა შეცოდებისათჳს არას შენანებისა. და წარმოძღუანვებითა დედოფლისათა მოვიდეს ნაჭარმაგევად და რუსი, ივანეს მისანდობელად მთხოველი, წარვიდა, მასვე მისსა სუეუბედურსა გზასა გაემართა, და შეიქმნა მშჳდობა, სიხარული და ერთობა, რომელი არაოდეს სადა ვის უხილავს. და «ერთბამად ძოვდეს ლომი და ჯარი, და იხარებდეს ვეფხი თიკანთა თანა, და მგელი ცხუართა თანა». განდიდნა სახელი თამარისი ყოველსა ზედა პირსა ქუეყანისასა და ლაშქრობდა დავით ბრძანებითა და გამორჩევითა თამარ სუე ალექსანდრიანისათა და იმარჯუებდა შეწევნითა ზეგარდამოთა.

და ამას შინა მიიცვალა გამრეკელი ამირსპასალარი, და თმოგჳსაგან კიდე არა დააკლეს შვილთა მისთა. მაშინ უბოძეს ამირსპასალარობა ზაქარიას მჯარგრძელსა, ძესა სარგის ამირსპასალარისასა, მჯდომსა სომეხთა მეფისა ადგილსა, პატრონსა ლორისასა. მოუმატეს ქალაქიცა რუსთავი მოყმესა ღირსსა სპასპეტობისასა. და ჭიაბერსა მანდატურთუხუცესსა მოუმატეს და უბოძეს ჟინვანი, ქალაქი და ციხე, მრავლითა მთიულეთითა. და შეიწყალეს სარგის ვარამის ძე, დალოცეს და უბოძეს თმოგჳ, და ქუემოთ წირქუალელნი, ზარტიბის ძენი, გრიგოლის ძენი, ჭიაბერის ძენი და მახატლის ძენი, და თავნი კახეთისანი თორღას ძენი, შეიწყალნეს თჳთოეულნი თჳსითა წესითა: რომელნიმე ახლად დალოცვითა, რომელნიმე მომატებითა; ეგრეთვე ქართველნი, სომხითარნი, თორელნი, მესხნი და ტაოელნი.

ვინაცა გუზან პირველითგანვე წარწყმედელი თავისა, აწცა გამტანელი ტაოსკარისა, ვაშლოვანისა და სხუათა ციხეთა მრავალთა, წარვიდა ქუეყანასა შაჰარმენისასა.

მაშინ წარავლინეს სარგის თმოგუელი და კახა სამძივარი სხჳთა აზნაურისშვილებითა, რომელთა თანა იყო მეღჳნეთუხუ-

ცესიცა სეფე, შუელად კლარჯეთისა და შავშეთისა დადგ-
დეს მთასა კოლისასა. მოეგებნეს წინა ზაქარია ფახასკერტელი
და ძინიელნი, კალმახელნი, ყრმანი კარგნი და პატრონისაგან
შეწყალებულნი. და შეყრასავე თანა ცნეს გუზანის შვილისა
და შაჰარმენის ლაშქრითა მისლვა გუზანის ცოლისა და შვი-
ლისა წარსხმად და ციხეთა შინა თურქთა შეყენებად. დალა-
ცათუ ლაშქარნი დიდნი იყვნეს და პატრონნი თორმეტისა
დროშისანი და ესენი მცირენი, და მჯსენებელთა ქრისტეს სჯუ-
ლისათა და თამარის ბედისა და სიმართლისათა შებმა ყვეს
და სიდიდითა მათითა და სიკეთითა დიდად დაჭირვებული ომი
გარდაიჯადეს. ბოლოდ, მათთა გამქცეველთა და ამომწყუე-
დელთა, ჴელთამყრელთა გუზანის ცოლ-შვილთა, თანაშემოქ-
ცეულთა აიხუნეს ციხენი და სიმაგრენი. და კუალადმგებელნი
ქუეყანისანი მოიწივნეს წინაშე თამარისა, რომელმან მიჰფინა
ნათელი წყალობისა და გარდაიჯადა მადლი მოჭირვებისა და
სიმჯნისა მათისათჳს, და დარჩეს ყრმანი სახელოანნი და პატ-
რონი სარგებლიანი.

და ამას ესევითარსა წყალობასა შინა ღმრთისასა ორნიღა
მკლებიან წაღმართის გამოჩენილობანი; ილოცვიდეს მოქენე-
ნი, ღმრთისა და წმიდათა ხატთა მომჯსენენი პირმშოთა ძლი-
ერებითა. ხოლო ვინათგან ჰყოფს წყალობათა «დამრეკელთა
განღებისასა, და მთხოველთა ნიჭებისასა, და მეძიებელთა პოვ-
ნისათა», ვითარ იქმნა სარას ზე, გინა თუ რაქაელისსა, ანუ თუ
ელისაბედისსა და უფროსღა ანნასსა და, ვიკადრო, მარიამისსა.
მიუდგა თამარი განწმედილითა გონებითა და ტაძრისა ღმრთი-
სა აღმსჭუალულისა სანთლითა სხეულისათა, მჯურვალითა გუ-
ლითა და განათლებულითა სულითა და ტაბაჯმელისა ბეთლემ-
მყოფელმან მუნ შუა ძე, სწორი ძისა ღმრთისა და უწოდა სა-
ხელი ახოვნისა მის მამისა თჳსისა გიორგი, რომლისათჳსცა ყუ-
ავილი უკუდავთა ნაწილისა აღმოგუეყუავილა.

ამას ესევითარსა მოხედვასა ღმრთისა, სამებითა ბრული-
სასა, პირველ დარჩომასა თამრისსა და აღმოშობასა ძისა
გორგასლიანისასა რამცა თქმად მიეგებოდა სახე სიხარულისა
ანუ მადლობისა ღმრთისა? იხარებდეს, იშუებდეს, იმოთხვი-
დეს სამოთხესა შინა ამის საწუთოსასა, განმათავისუფლებელ-
ნი ტყუეთანი, შემწირველნი ეკლესიათანი, მწირვებელნი
მღდელთანი და მიმცემელნი მონაზონთანი, მოწყალენი გლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაკთანი, ერთბამად მადიდებელნი ღმრთისანი, მწყობელნი ეპისკოპოსთანი შვდისავე სამეფოსა სპათა თანა. და თვთ დედოფალმან რუსუდან, და გაზრდილმან მისმან მეფემან დავით, და დამან თამარისმან, და ყოველთა მყოფთა ამის სამეფოსათა, მსგავსად მოგუთასა, ჯელყვეს ძღუნებად და მინიჭებად. მცნობთა გარეთ ბერძენთა მეფეთა, სულტანთა, ათაბაგთა და ამირათა სპარსეთისათა წარმოავლინეს ნიჭნი და განძნი კმასაყოფელნი.

და ესევითარსა ამას დღეკეთილობასა შინა იხილეს ყრმა ახალი, პირველ საუკუნეთა განწესებული ძედ მეფისა, მეფედ, შვილად ცხებულად დავითიანად. რამეთუ ოდეს დახატული ბუნებისაგან იშვა და წარმოიჩინა, მოაქუნდეს თვთ შორის ხატნი და სახენი თვსთა დამსახთა მშობელთანი, და მნათობნი სცვიდეს მას, და ენთებოდა სული ზენისა სფეროისა, და მეტბედი ბედსა ზედა და სვანობა სუესა ზედა, მარჯუებანი უმეტესნი წარემატებოდეს შარავანდთაგან მამრჩობლებითა. ესევითარი იქმნა გალაშქრება, რომელი არაოდეს ვისგან ქმნილ იყო ბაგრატოანისა.

პირველად შემკრებელთა ბედსა და სუესა ზედა ლაშასა, რომელი განმაწათლებელად სოფლისა ითარგმანა, მიჰმართეს ბარდავად, დიდად და ძუელად ქალაქად. ამომწყუედელთა არანისათა გამოიღეს დიდძალთა ომთა პირველ ნებროთისა ჰეროსის ძმისა ბარდოსისა მამული და შენებული. ავსილთა სიმრავლითა ტყუეთა და საუნჯეთათა აურაცხელთა ათავისუფლეს სამბევრობა ტყუეთა დღეგრძელობისათვს თამარისა და ძისა მისისა.

მუნით გამომგზავრებულთა არცა თუ თვსა ერთისა გამომსუენებელთა მსწრაფლ წარსრულთა ილაშქრეს არზრუმს, კარსა კარნუ-ქალაქისასა. და მუნ იყო სიმრავლე ომთა, წყობა ჰუნეთა და ხეთქება აბჯართა, რომლისა მეშუელად იყვნეს სურმანელი, კარელი და შიგნით სალდუხის ძე ნასრ-ადინ და ორნი ძენი მისნი ლაშქრისა სიმრავლითა, ქუეითისა და ცხენოსნითასა, უჰამრავითა. და ცისკრისა ბინდსა მისრულთა და დამწყებელთა ომისათა ღამისა ბინდმან ულხინა გაყრად. და ვითარ გამოჴდა ღამე იგი, და მოვიდეს ლაშქარნი უთუალავითა და მიუწდომელითა ალაფითა. და შიგნით მყოფნი, ვითარცა მჴეცნი, ილრჭენდეს კბილსა მათსა და წუერსა იფხურიდეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხილველნი ვინმე ცოლთა დატყუევებულთანი, და ვინმე შვილთა, და ვინმე სიმრავლესა ჯოგისასა და რემისასა, და მთქმელნი ესრე ტიროდეს: „ვინა ჩემდა ესევითარი შერისხვა, ვინათგან არაოდეს გჯილავს ტომი ქრისტიანეთა სანახებსა საყოფელთა ჩუენთასა“.

და ვითარცა განთენდა, ჰკრეს ბუკთა და დაბდაბთა, და შეიქმნა ზაჰმი ქალაქსა შინა. დამსკუნელნი სისხლთა მათთა დათხევისანი გამოვიდეს ბჭეთა ქალაქისათა, გააწყუეს რაზმი ქუეითისა და ცხენოსნისა; წარმოდგეს ბანსა ზედა და შუკთა შინა ისრის მსროლელნი და ქვის მსროლელნი. და ვითარცა იხილა მეფემან დავით და სპათა მისთა გულმყარად გამოსრულება მათი, ითხოვეს საჭურველი და აღსხდეს რაშთა, ამხმელნი ჰოროლთანი. აჰა მისლვასავე დასტეხეს სახედ მეხისტეხისა, აღიხუნეს და ჰკრეს და დაჯერებულნი თავის კატობასა შეიხუეწნეს ჯარითა, ამწყუედელნი ერთმანერთისანი და რცხუენილნი ცოლთაგან, საკიცხელ და სანერწყუავ იქმნეს ბიბთა ელიმთა და ხადუმთაგან, მკილენი და მგინობარნი მუჰმედის სჯულისმდებლობისანი. და შემოქცეულნი მეფე დავით და ლაშქარნი მისნი მოვიდეს მხიარულნი ქუეყანადვე თჳსად, მუნით ძლევაშემოსილნი და აქათ მნახავნი თამარის საშოთ მთიებისა აღმობრწყინვებულისა იაკობის ვარსკულავისანი, რომელმან იზმნა სუენი, იზმნა ძლევანი, იზმნა ნათელი.

ხოლო-მე მორიდეს განგრძობასა წყინობისასა მცონის დაგდებად ღუაწლი ომთა და მარჯუებათა უკანასკნელთა, უმჯობესთა პირველისათა და მაიძულებელი გული აღძრავს ორღანოსა გონებისასა, რომელი არს ენა მეტყუელი და წარმომეტყუელი მთხრობლთა ესევითართა. ოდესმე ჟამსა ერთსა შინა შეყრილნი გავიდეს ბელაქუნად, და ჩაიარეს ხაჩიანი, და ჩავიდეს ქუეყანად ყარყარად, და მიუწიეს ბელაყნამდის, და მოარბიეს ყოველი არანი და ამოიარეს კარი განძისა. და შეიქმნა კართა ზედა დიდი შუღლი და განაღამცა გააქცივნეს და შეიხუეწნეს ქალაქად, და ყარყრით შანქორამდის ეჭუსი დღე იარეს, და რომელი დღე გარდასრულა, თუმცა არა მოწეულ იყვნეს ლაშქარნი და არა შემობმოდეს? და ყოველგან ძლევა-შემოსილნი და მძლენი შემოიქცეს, და მოვიდეს სიხარულსა წინაშე ყოვლისა სოფლისასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კუალად ლორიდალმა წარვიდეს ორნი ძმანი, სარგისი ძენი, ზაქარია ამირსპასალარი და მსახურთუხუცესი ივახე, მორბევად რაჯსის პირსა და მუნით წამოსრულ იყვნეს ლაშქარნი დვინელნი, ბიჯნელნი და ამბერდელნი მეკობრობად და მზერად ქარავნისა. ვერ ცნეს ამათ, შეიყარნეს საშუალობასა გზისასა, ეკუეთნეს ურთიერთას, და უფროს ომისა და მჯნედ ბრძოლვისა საქებელ იყო წამღებელი სულისა სიფიცხე ქვეყლობისა მათისა. აღვსებულნი და სახელოვანნი მოვიდეს წინაშე დავით სუეამაღლებულისა და თამარ ღმრთივდამყარებულისა.

შემდგომად ამისსა კაენისა პატრონმან ივანე მსახურთუხუცესმან აწჯა დავით ლაშქრობისა ძალითა შესამართებად დიდსა და სასახელოსა: მოსარბეველად დიდისა გელაქუნისა, სპარსიბაზრისა და გორალაუქისა. მაშინ გაჰყვა მოყმე დღითიდღე მატებული, წარმართებული და წაკუეთებული ომთა და ლაშქრობათა. დამსხმელთა აღიღეს ტყჳსა, ჯოგისა, აქლემისა, ზროხისა და ცხურისა სიმრავლე, შემსგავსებული ქვიშათა, და სადაცა ვის ლაშქარნი და მეშუელნი თავისა დედაწულთანი გარდეკიდნეს, გააქცივნეს, ამოსწყჳდნეს და დაჰოცნეს. ვინაცა იავარმქმნელთა სპარსიბაზრისა სულტნის მოედანს შინა ჰელყვეს სიხარულად და ასპარეზობად, რომელი ესეცა აროდეს ვისგან ქმნილ იყო.

ვინათგან ოდესმე იგივე რუსი, ამის სამოთხისაგან ექსორიაქმნილი, კაენისაებრ მკლველი არა ძმისა, არამედ თავისა თჳსისა, ვერცა ღირს იქმნა და მოიშალა სამოთხესა, ქალაქსა კოსტანტინეპოლის, ყოფისაგან, ყოველგნით არა მტერ-აწყუედილი მეფე, არამედ სამბერველ-აწყუედილი მივიდა ათაბაგისა და მისგან აიღო არანის ქუეყანისა სამყოფი, შემსგავსებული სჳსა მისისა. მუნიდალმან შემყრელი ლაშქართა განძისა და არანისათა მოვიდა ქუეყანასა კამბეჩანისასა და შიგნით მინდორი მოარბია, და აიღო სიმრავლე ტყჳსა და ნატყუენავისა.

მაშინ ხორნაბუჯისა პატრონმან საღირ მახატლის ძემან ცნა ესე და შეიყარა მცირედითა ლაშქრითა და მიეწია სამითა შვილითა წამებად თავისა. არა თუ ორნი ერთისათჳს ლაშქრობდეს, და ათნი ერთისათჳს, და ოცნი ორთათჳს; გარნა მანვე სუემან და სიმართლემან თამარისმან დასცა რისხვა ღმრთისა უხილავი და, ვითარცა გედეონისგან გასმიეს, მცირედნი მიეწივ-

ნეს და გააქცივნეს, ჩამოყარნეს და დაჯოცნეს, ვინ-ვინ ეგ-ეგ ძლით-სამე გარდაიხუეწა.

ხოლო ესეცა უწყოდით თქუენ, მსმენელთა, დაღაცათუ სამისოდ გაჭრით მჯეცქმნილთა მჯეცებრ აჩუენის ულმობელობითა უწყალო-ქმნა, გარნა იხილეთ თუ ვითარ სატურფო და ანდამატებრივი მომხიდობა აქუს მჯეცთა გულებისა. ოდესმე შარვანშას ლომისა ბოკუერი გამოეგზავნა, მათ გაეზარდეს. და ესდენ დიდი და საზარელი შეიქმნა, რომელ არცა ველური, არცა შინაური გაზრდილი არცა ვის უნახავს მისი არაკი. რაჟამსცა დარბაზს მოიყვანიან, ესრეთ აქუნდა ტრელი, სურვილი და სიყუარული თამარ ღმრთივგანათლებულისა, რომელ მრჩობლთა ჯაჭუთა მი-და-მოცალებამან კაცთა კიდებისამან ვერ დაიჭირის, ვირე თავი უბეთა არა ჩაუდვის და ლოშნიდის, ვითარცა ძუელ ოდესმე მოწამეთა მეტაფრასები მოგვთხრობს და ოდესმე დაიჭირიან და დამაგრდიან, წყაროს მსგავსნი ცრემლნი გარდამოსთხივნის თუალთაგან, რომელნი დაალტობდეს მიწასა.

ამას ესევითარსა მძლეველობასა მტერთა და მჯეცთასა, წინაალმდგომთა და ურჩთა დამჯობასა, შინათა და გარეთასა, გაჯდა შიში და ზარი, სახელი ოთხბუნებათა და ოთხკუთხებათა სულის ანგელოზებისა, აღმოსავლეთით დასავლეთამდე, ჩრდილოეთით სამხრამდის.

ამას ჟამსა შინა მოიკლა ყიზილ-არსლან ათაბაგი, და აწ გასულტნებული, მუჰლიდთა მიერ. დარჩეს სამნი შვილნი ფალავანდისნი, მპყრობელად ყოვლისა სპარსეთისა, რომელთა მამისაგან და ბიძისაგან გაჰყოფოდეს ქუეყანანი ესრეთ: უფროსსა, ხუტლუ-ინანჩის, ერაყით ხუარასნამდის და ბაბილონამდის; და შედეგსა, ამირ-ბუბაქარს, ადარბადაგანი სომხითამდის; და უმცროსსა, ამირ-მირმანს, არანი გურგანის ზღვთ გელაქუნის ზღუადმდე. ამას შინა, ვითარ არს წესი მრავალმთავრობისა, შეიქმნა შური და ჯდომა, და სძლია ამირ-ბუბაქარ და აოტა უფროსი ძმა, და დაჯდა ათაბაგად. და უმცროსი ძმა არანიდალმან, ამირ-მირმან, შეესიძა შარვანშას. და თჳთ შარვანშას და მას ბელაყნის კარსა ზედა დაესხა და გააქცივნა, და თჳთ დარჩა გადიდებული და გალაღებული ჟამადმდე. ხოლო ვინათგან ულონო იქმნეს შარვანშა და ამირ-მირმან, რამეთუ მას ჟამსა შერისხვაცა მოიწია სახლსა ზედა შარვანისასა: «რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელი შეაძრწუნებს ქუეყანასა, შეახებს მთათა და აღკუმოლებს», შერყევით შეარყივნა და დასცნა ზღუდენი და ციხენი შამახიისანი; უჩინო იქმნეს ყოველნი მას შინა მყოფნი, რომელსა შინა წარწყმდეს შარვანშას ცოლი და შვილნი. და მსმენელთა ამისთა, მტყუებელთა თავისათა, დამსხმელთა თავთა ნაცრისათა, აღიხილნეს თუალნი მათნი, და არავინ იხილეს მჯსნელი და მაცხოვარი მათი, გარნა ღმერთი მხოლოი და ღმრთისაგან ღმერთქმნილნი დავით და თამარ. წარმოავლინეს მოციქულნი შემოსახუეწელად ძღუნითა ურიცხვთა, თუალისა და ბარგალიტისა ფასდაუდებელისა წარმოგზავნითა, და მოაჯეთა და მოქენეთაცა ამისთა: „ვინათგან ძალ აქუს ძალსა თქუენსა და ბრძნივგამორჩეულებასა და სუესა ალექსანდრიანსა თქუენ თამარისასა, სიმჯნესა და სიქველესა თქუენ დავითიანისასა, უებრობასა ლაშქართა თქუენთასა აღებად ყოვლისა სპარსეთისა, მაშინ დასჯთ ასული თქუენი, წათელი და შესატყვსი ნაყოფი საამო მეცნიერებისა და ბრწყინვალება შარავანდთ-მკრთომელობისა თქუენისა, პატრონად ყოვლისა სპარსეთისა“.

მაშინ არამაღირსმან სიძობისამან უბრძანეს იმედი შუელისა და ჯელისაპყრობისა; და განსცა ბრძანება და წარავლინა შიქრიქნი და მალემსრბოლნი წუევად ლაშქრისა იმერით და ამერით. რამეთუ მას ჟამსა ძმა ყივჩაყთა მეფისა სევინჯისა სავალათი აქა იყო სამსახურად. დიდთა ლაშქართა შემყრელნი დადგეს დასოთა შინა, რომლისა სიმრავლითა აღივსნეს მტკურისპირი, ალგეთისპირი, კციისპირი და ქურდვაჭრისპირი, ესე ოთხნივე მდინარენი ტფილისით ყარლჩამდის.

მაშინ მოვიდეს ამირ-მირმანი ფალავანდის შვილი და აღსართან შარვანშა, ყოვლისა არანისა დიდებულითა და ღულაბითა. დადგეს ჯელმწიფენი სუესრულნი და ღმრთივ აღმობრწყინვებულნი ჭალასა აგარათასა და პატივისმცემელთა ნებისმყოფლობისა მათისათა აწვეს და მოიწვეს დიდითა ზარითა და პატივითა დედოფალი რუსუდან; აქა რომელმანცა სახემან ანუ ვისმცა გონებამან და ენამან აღმოთქუნა ქებანი ზართა დიდებისათა, კარავთა და სარაფარდათა, კოშკთა და ფილოპატთანი, მოკაზმულობანი და შემკობილებანი ბესელიელებრნი გინა სოლომონიანნი ტაძრისა ღმრთისანი, რომელსა შინა იხილვებოდა ღმრთისაგან ღმერთქმნილად, შორის ღმერთთა გამკითხვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად ღმრთისა სახეობად, რომელსა მოესთულო სურნელ-
და შუება სამოთხისა, მოეფუტკრა ვარდბუტკობა, ყუავილ-
მცენარეობა, ასფოდელ-ნარგისობა ილჯსიოს ველის ნამორ-
ჩებთა? ანუ ვისმცა ქება მიხდომოდა დავითის მოყმისა, ბაყა-
თარისა და თარხნისა მსგავსისა, ეფრემიანისა და დიდებულთა
ბუმბერაზთა და მოყმეთა, მსგავსთა როსტომისთა და გივისთა?

და შეიყარნეს ზარითა მით გონებისა ზარგანჯდილითა, და
შეიქმნა დარბაზობა. და დასხდეს ტახტსა ზედა ოქროჭედილსა
თჳთ თამარ, დავით და ძე მათი გიორგი, დიდებულნი და მასა-
ხელებელნი ყოვლისა ულუმპიანობისა და შარავანდ-მპყრობე-
ლობისა გუარფესუობისანი, და რომელთათჳს მოქალაქობისა
მოქმედნი .ვითარ თქუას სიტყუამან: «შევინანნე კაცნი ესენი»,
კაცთ ზეშთამან კაცთმოყუარებამან კაცნი საყუარნი, მბაძნი და-
საბამისა ღმრთისგამგებლობისა კაცთქმნილობით კაცთა ჴსნი-
სათჳს, შეწევნითა და ძალითა მის ზენას მკლავისათა იჴსნნესცა
სიკუდილისა და ეჭსორიობისაგან მვედრნი და შემხუეწნი
ფერჴთა მათთანი.

პირველად რა გამოვიდეს ტფილისით ქალაქით, მიეგებნეს
წინა ოვსნი და ყივჩაყნი ახალნი; და შემდგომად ამისა ჰერნი
და კახნი; შემდგომად ქართველნი; და შემდგომად მესხნი და
თორელნი, შავშ-კლარჯ-ტაოელნი; შემდგომად სომხითარნი;
შემდგომად აფხაზნი და სუან-მეგრელ-გურიელნი თანა რაჭა-
თაკუერ-მარგუელითურთ, და თჳთ კარვის კარსა ჴელისუფალ-
ნი და შინაურნი.

ხოლო ვინათგან შინაური და თჳსი იყო შარვანშა, პირვე-
ლად შემოვიდა იგი და თაყუანის-მცემელი, მოიკითხეს წესი-
საებრ და დასუეს თჳსსა ადგილსა. და შემდგომად ამისსა მო-
ვიდა ამირ-მირმან, მამულად ძმისწული სულტანისა, შვილი
ფალავანდისი, და დედამისი იყო ასული ინანჯანისი, ხუარას-
ნის მემამულისა, რომელი აწ ცოლი იყო ტუღრილ სულტნისა.
და მოიყვანეს პატივითა და ზარითა; მომკითხველთა დასუეს
პატივითა და შეიტკბეს, ვითარცა შვილი, მოყმე კარგი და შე-
სახედავ-საყუარელი. და მოასხეს დიდებულნი, ზოგნი ელდი-
გუზისნი, ზოგნი შვილთა მისთანი, ათაყვანნეს და მოიკითხნეს
შესატყჳსითა პატივითა.

და შეიქმნა სიხარული გულისა მათისა მიუთხრობელი და
მათ, განცჳფრებულქმნილთა, ფიცითა დაამტკიცეს: „არა ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხულა კაცთა თუალთაგან, არცა წაგვკითხავს ძველთა წერილთა შინა, გინა ახალთა, სახე თამარისი და მსგავსი ქცევითა ყოფისა მისისა". და მოეწონა თჳთ მეფე დავით და დიდებულნი და მოყმენი მათნი, და თქუეს მხიარულთა და იმედოანთა: „გავიმაგრნეთ გულნი ჩუენნი და აღვიძარცოთ კმაება შეჭირვებისა თუალთაგან ჩუენთა! ჭეშმარიტად ძალ-უც ჴსნა ჩუენი და კუალად-გება მამულადვე ჩუენდა".

მაშინ ითხოვეს პური და შემდგომად პურობისა დაიდვეს ნადიმი, სიკეთე და სიტურფე გამოუთქმელი. იყო სიხარული და ზმა მგოსანთა და მოშაითთა. იგინიცა დამოსნა ძჳრფასითა შესამოსლითა, იგი ორნივე და ლაშქარნი მათნი. დამყოფელთა მსგეფსისა ერთისათა ჰქონდა ყოველთა დღეთა სიხარული: მათგან ძღუნობა, ამათგან ბოძება, ნადირობა და ბურთობა. რომლისათჳსცა ისმოდა ქება თჳთ ამირ-მირმანისი და დიდებულთა და ღულამთა მისთა, ვითა: „ერაყსა, ადარბადაგანსა და ერანს ამათებრნი მობურთალნი არ დარჩომილან".

უბრძანა მეფემან ამირსპასალარსა მისსა ზაქარიას და მსახურთუხუცესსა ივანეს, ჰერეთისა ერისთავსა გრიგოლს და სხუათა მოყმეთა და ჩავიდეს მოედანს. და მუნით ჩამოვიდა ამირ-მირმან მისითა დიდებულითა და მონითა, და თჳთ თამარ საჭურეტელად პირითა მით ბრწყინვალითა და ნათელთა მფენთა. ისლიმნი, დაჯერებულნი მეცნიერობისანი და მძლე მბრძოლნი, მსწრაფლ იძლივნეს დავით მეფისა და მისთა მოყმეთაგან და შეიქცეს ძლეულნი და მჭმუნვებელნი.

ამა სიხარულსა და შუებასა შინა ეკაზმოდეს და ემზადებოდეს დამსკუნელნი შულლისანი. და მოვიდეს და აცნობეს ათაბაგსა, ნახჭევანიდაღმან ყოვლისა სპარსეთისა შეყრითა მყოლსა, არანს მოსულსა, რომლისადა წარმოეგზავნა ხალიფას დროშა მისი და ლაშქარნი, რომლისა თავსა ზედა იყო ოქრო ათასისა ხალიფურისა.

მაშინ შეკრბეს თამარს წინაშე ყოველნი ვაზირნი და სპანი და თჳთ შარვანშა. დამასკუნელთა მიმართებისათა უყოვნელ ყვეს დღენი ყოველთავე თჳთეულად თემთა და თჳთ შარვანშა და ამირ-მირმან წინაშე ითხოვეს სიტყუა მდაბლისა და გამარჯუებულისა, მძლევისა და წარმართებულისა პირისა მისგან სჳანისა.

და წარემართა დავით, წარმძღუანელი ძელისა ცხოვრებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შემყრელი დროშისა სჯანად მოჯმარებულისა, ბაგრატ-
რისა და უფროსლა გორგასლიანურისა.

წარსულთა დაიბანაკეს წყალსა ზედა ეკელეციასა. და
მუნით აყრილნი მოვიდეს სიახლესა შანქორისასა, თუესა ივ-
ნისსა ა, დღესა ხუთშაბათსა, რომელი განთენდებოდა პარას-
კევად, რომელსა შინა ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან შემუსრა
ძლიერება მჯდომისა და დათრგუნა ორთავი იგი ვეშაპი.

და ვითარცა ცნა მეფემან და სპათა მისთა, შარვანშა და
ამირ-მირმან და ლაშქართა მათთა, პირველად მხიარულთა და
მმადლობელთა ღმრთისათა ახლოს პოვნისათჳს მტერისა მათი-
სა, დაეცა განკჳრვება, თუ „ვითარ დამგდებმან განძისა და
არანისა ჭალათა, მთათა მაგართასა აჰჴედა საფარველი, და
მკჳრცხლ შეუმართებია ომად მოგებვად წინა“. გარნა ესე სა-
მე გამორჩევითა და განზრახვითა მოსრულ იყვნეს ადგილსა
მას, პირველად იმედითა სიმრავლე აურაცხელობისათა, მერმე
ჴევისა და სიმაგრისა შეზღუდვილობითა.

მაშინ აღიჭურა და შეიჭურა მეფე, შეჯდა ზერდაგსა, რო-
მელი სახელგანთქმულობისათჳს ეყიდა ვახტანგ ხაჩენელისა-
გან მბოძებელსა ციხისა და სოფლისასა, რომელ არიან ჭარმა-
ნი. ამირ-მირმან მოყმემან, ამღებელმან ჰოროლთამან, შეირ-
ტყა მშჳლდკაპარჭი, მოსიმახოს უცთომელმან მსროლელმან
და ვითარ განსწავლილმან კენტავროსისაგან.

და მას ჟამსა ჭიაბერი და მწიგნობართუხუცესი ანტონიცა წი-
ნაშე იყო, კაცი შესახედავითაცა ჭაბუკი და გუარტომად. მას
უბრძანა წარძღუანვა ძელისა ცხოვრებისა, რომელ არს სკიპ-
ტრა და ჯაჭუ-ჭურ მეფეთა. განმამჯნობელნი ურთიერთარსისა-
ნი, მომგონებელნი ქრისტეს მათისათჳს ვნებათანი, აღმხილ-
ველნი ღმრთისა და მითუალულნი, და მისდა შევრდომთა თა-
ყუანის-მცემელნი, შემვედრნ სულთა და სხეულთანი მოაჯსე-
ნებდეს ერთი-ერთისა სიმჯნესა, მარჯუებულობასა პაპთა და
მამათასა, თუ ვითარ ძუელ ოდესმე წინაშე დავითისა ოცდაათ-
შჯდმეტნი გმირნი მბრძოლობდეს და მძლეობდეს უცხოთესლ-
თა და ვითარ სპანი ვახტანგისნი წინაშე ვახტანგისა, და ვითარ
სპანი ახლისა დავითისნი წყობათა დავითისთა იერუსალემს
ერთობდეს, აწ შვილისა მის თამარისნი, რომელი დავით წი-
ნასწარმეტყველითგან ოთხმეოცსა ერთობს შვილად ცხებუ-
ლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მეტყუელნი სპასპეტნი სპათანი: „თუ იგი ვინმე მაშინ იყვნეს მძებარნი სახელთანი და დამდებნი თავისანი ისტორიის ქებისანი შესხმათასა, აწ ჩუენცა უსწროთ და გარდავსტაცოთ ქება მაქებელთა და შემსხმელთა, დავაძუელნეთ და დავარცხვნეთ ჰომთა მათთა და მოვიგონნეთ ვიეთნიმე სჯულისა და ქრისტეს კუალთა შედგომილებისათჳს თავისმსხმელნი ლანძუთა და ტაფათა და კატაპელტთანი, და ვინმე გმირნი გოლიათნი, სახელის მძებრობისათჳს არამრიდნი სიკუდილისანი, და ვინმე მიჯნურნი და მნათობთა მათთა მოგონებითა ყოვლად უწყალოდ მქნელნი ჯორცთა და სულისანი. აჰა, ჩუენცა ჴელნი ჯრმლად და სული ღმრთად!“.

მაშინ ჰკრეს სპერმურთა, და სცეს ზარი, დააწყუეს რაზმი წესისაებრ; მიუწია წუერმან რაზმისამან მარჯუენითმან მთად და მარცხენითმან მტკურად. და წარემართნეს და წარვიდეს სიახლესა შანქორისასა, გარდაეცნეს ზედა, და განყო რაზმი მიმახლებელმან ქალაქისამან და ომთამან. თჳთ მეფე, რაზმითა დამგდებელი მარჯუენით შანქორსა, მოსწრაფე იქმნა განსლვად წყლისა შანქორისასა კერძოსა. და უმცირეს რაზმისასა კართა ზედა და ჴიდთა შეიქმნა ომი და სროლა. ძნელსა და საჭიროსა გზასა სიმჴნითა ჴელყვეს ჴსნად, განვიდეს პირსა ისლემთა რაზმისასა, რომლისა ზარი — უზარო, ჰამრი — უჰამარო გაგონებისაგან და თუალთა მხედველობისაგან. შეიქმნა ომი და კუეთება არათუ სრულობით წარმოღურითა რაზმისათა, გარნა წინამსრბოლთაგან, რომელთა ყივჩაყთა ენითა „ჭალაშ“ და „დასნაჭტდა“ ეწოდების.

და გაგრძელდა ომი გზისა სიგრძისაგან, ვინათგან მეფე და რაზმნი მისნი მიზეზითა ბელთა და კაპანთათა დაყოვნებულ იყვნეს. და მოუკლეს ცხენი ზაქარიას ვარამის ძესა, და დაუკოდნეს სხუათა მრავალთა დიდებულთა. მაშინ ცნეს მჯარგრძელთა, ძეთა სარგისისთა, ზაქარია ამირსპასალარმან და ივანე მსახურთუხუცესმან, წარმომართეს, ვითარცა ვეფხთა ფრთოსანთა და მოესწრნეს კწინსა დაჭირებისაგან უკურიდებულთა. და მომხედველთა იხილეს: მიახლებოდა მეფე და მისი რაზმი; დროშა იგი გორგასლიანი, რომელი სინდეთს შესლვითგან მოსპეტაკდებოდა. ყოვლადცა პატივის-მცემელ ექმნებოდა ზენა იგი განგება. და მათ პირველ მოსრულთა, წახეთქნეს ნა-

ხევარნი ლაშქართა და რაზმთანი. ვიდრე მეფისა მოსლვამდე
გამაგრდა რაზმი ათაბაგისა.

და რაჟამს იხილეს მეფე, დაეცა რისხვა ღმრთისა უხილავი
და ჯრმლები და ჰოროლები მეფისა, რაზმთა მისთა მსრველი.
და აჰა, მისლვამდი იოტეს და გააქციეს, დაათრვნეს ისარნი
სისხლითა და ჯრმალნი ჭამდეს ჯოროცთა მტერთა მათთასა. და
მეფე იქცეოდა მსგავსად აქილევისა და მიუწია მდევარმან
ერთკერძომან განძის ბაღთამდი, ერთკერძომან მთამდი გელა-
ქუნისა. არა თუ წარმქცეველი ერთი ათასთა და ორი ბევრთა
იხილვებოდეს, არამედ შემომქცეველნი ერთი ათასთა და ერ-
თი ბევრთა ტყუემჭნელად ჯელმწიფეთა, დიდებულთა და აზ-
ნაურთა, გარნა ათაბაგი მხოლოდ განერა ერთითა მონითა. და-
ონავრეს ქალაქნი სამნი, ვითა არს წესი სარკინოზთა ლაშქარ-
თა შინა ქონება ქალაქთა და სიმდიდრეთა: ერთი ათაბაგისა,
ერთი ათაბაგის ძისა ბეშქენ ქველისა, ერთი სათმაზ ეზდინის
ძისა, რომლისა მამისა სიუხვსა სახელი სპარსეთს ასეთი ით-
ქმოდა: «ჰათემ თაიელისა». და წარუღეს დროშაცა ხალიფასა-
გან ღაზოდ წარმოგზავნილი. მადლიანითა და ჭეშმარიტითა პი-
რითა კურთხეული ესევითარი აჩუენეს აწ საქმისა გამარჯუე-
ბულება. მიმჯედრობითად სამე დევნისაგან შემოიქცა მეფე და
მიეგება წინა ანტონი ვაზირი ჯელგაპყრობით მადიდებელი
ღმრთისა და თჳთ აღვსილი ლარითა და საჭურჭლითა ათაბაგი-
სათა, რომელმან რიდობითა მონაზონობისათა არა იჯადა მახვ-
ლი და მისრულმან სამითა ყრმითა შემოაქცია სამასი ჯორი და
აქლემი.

მაშინ მოვიდეს მადიდებელნი სპანი და სპასალარნი და
სპასპეტნი. თჳთ შარვანშა და ამირ-მირმან; პირითა მხიარუ-
ლითა გარდამოჯდეს, თაყუანი-სცეს, დალოცეს და ქება შეას-
ხეს მეფესა და ბუმბერაზთა მისთა. და მას ღამესა დაიბანაკეს
საადგომსა მათსა, რომელი გუშინ მნახველთაგან აღარ იცნო-
ბებოდა. მენარათა წილ აღმართნეს ეკლესიანი და მყივანთა წილ
ჰკრეს ძელსა, და ნაცვლად მუყრთა იხილვებოდა ღაღადება
მდდელთა ადონაისადმი: უფალო საბაოთ ძალთასა.

ვითარცა განთენდა, მოვიდეს შანქორელნი და მოართუნეს
ყლიტენი. და ამღებელმან ქალაქისამან და ყოველთა მისთა
შიმდგომთა ქალაქთა და ციხეთამან ითაყუანა ამირ-მირმან და
უბოძა მას. თჳთ გაემართა განძას და მივიდა სიახლოესა ქალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქისასა: გამოეგებნეს დიდებულნი და დიდვაჭარნი, ყადი და მულიმნი. დავრდომით მიწა-ქნით თაყუანის-მცემელთა შეასხეს ქება დავით მეფესა და ცრემლით მოქენეთა შეავედრნეს თავნი და შვილნი; განახუნეს კარნი ქალაქისანი, და მიუფენდეს სტავრასა კართა სრამდი სულტნისა, და გარდაასხიდეს თავსა ოქროსა და ვეცხლსა, დრამასა და დრაჰკანსა და ვითარცა შევიდა სრად, აღვიდა და დაჯდა ტახტსა სულტნისასა.

შეიქმნა დარბაზობა და დასხნეს ამირ-მირმან და შარვანშა თჳთეული თჳსსა ადგილსა. ეგრეთვე ვაზირნი: მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი და შემდგომნი წესისაებრ, რომელი აქუნდა წესი ჯდომისა და დგომისა, დასუეს. მაშინდელი ზარი და ზეიმი ვისმანმცა ენამან გამოთქუა, ანუმცა ვისი გონება მისწუთა მეფობისა და სულტნობისა ერთად მქნელობასა, ათაბაგის ძისა და შარვანშას ყმად ყოლასა, ყოვლისა მუსულმანობისა ტყუექმნასა შინა და რომელნი დარჩომილ იყვნეს მოსლვასა და სამიწოდ თაყუანებასა შინა? შეიქმნა პურობა და ნადიმობა შესატყჳსი ჟამთა და მის დღისა.

მაშინ წარმოგზავნეს მახარობლად მანდატურთუხუცესი ჭიაბერი და მოვიდა ტაბაკმელასა და ჰკადრა თამარს საქმე აღსავსე სიხარულითა გამოუთქმელითა. ხოლო აღუზუავებელითა და წყნარითა ტკბილითა სულითა და ლმობიერითა გულითა შეწირეს ღმრთისა მიმართ მადლი და ქება ჯეროვანი.

და ქალაქს სლვისა გამომრჩეველნი მივიდეს სრასა. და მოვიდა მეფე და მის წინაშე ლაშქარნი, სავსენი წყალობითა ღმრთისათა, სახელითა მიუწდომელითა და სარგებელითა გამოუთქმელითა. მოიღეს ნიჭი, არმაღანი და განძი აურაცხელი: კაცი ჰელმწიფე-აზნაურითგან მონამდის თორმეტი ათასი, ავაზა ორმოცი, ცხენი ოცი ათასი, ჯორი შჳდი ათასი, აქლემი თხუთმეტი ათასი. დროშათა სხუათა, სიმრავლეთა საჭურჭლეთა, ოქროთა და ლართა ვინმცა უძლო აღრიცხვად? იქმნა თამარისა შეწყალება, რომლისათჳს დროშა იგი ხალიფასი, რომელი მოიღო შალვა ახალციხელმან, წარგზავნა ესე მონასტერსა დიდსა წინაშე ხახულისა ღმრთისმშობელისასა, მსგავსად მამისპაპისა მათისა: მაშინ მას წარეგზავნა მოძრცჳლი ქედისაგან დორბეზე სადაყაის ძისა ,ჟამთა დიდგორთა გაქცევისათა, მანიაკი ოქროსა, შემკული თუალებითა ძჳრფასისათა. მიზეზად ძღუნის შემწირველობისასა და მვედრებელობისა ამან-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცა ესევითარად ესე იამბიკო ხუთეული ოცდახუთ ლექსად აღწერა:

ცასა ცათასა დამწყებ არს ღმერთ-მთავრობა,
ძე საუკუნობს პირველი და კუალადი.
სულმან მან ღმერთმან სრულ ყო მოქმედებადი,
სამებით სრულმან ერთითა ღმრთაებითა,
მიწით პირველის, პირმშოისა კაცისა.

შენ მიერ მისთჳს დრკუსა მის განმგებელი
დრკული მიდრკა უვნებელი ვნებისადმი,
ივნო და ვნება პირველი უვნებელ ყო.
შენგან შობილმან, ჩუენ ღირს-გუყვნა აღმოშობად
ბნელით ნათელსა, ნათელთა მხედველობად.

შენგან, ქალწულო, რომელსა შენთჳს დავით
როკვიდა, ძისა ღმრთისა ძედ შენდა ყოფად,
მე თამარ, მიწა შენი და მიერივე,
ცხებულობასა ღირს მყავ და თჳსობისა.
ედემს, ღადირთად, სამხრით და ჩრდილოეთით

შუამფლობელი იავარს შენდა ვმრთმელობ,
ხალიფას დროშა თანავე მანიაკსა
შევრთე, ცრუ-სჯულთა მოძღურად ღაზოდ მძღუანი,
ვინ დავით, ძეებრ ეფრემის მოისარმან,
მოირთხნა, მოსრნა სულტნითა, ათაბაგით.

ერანს ებრძოლეს ჩემ მიერ მისთა სპათა
ჩუენნი მჴედარნი, მოსავნი შენნი, სძალო;
მოწყლნეს, მოსწყჳდნეს აგარის ნათესავნი.
მუნით მოხმულთა ნიჭთაგან ერთსა ამას
შენდა შევწირავ! მიოხე ძეებრ, ღმერთო!

და ვინათგან თამარ მზეებრ უხჳ იყო და ყოვლად უჭნოთა მათ ნიჭთა ამღებელი იქმნებოდა, ამისგან თჳთოსა დამჯერებელმან აიღო საპატრონო პატრონმან ჴმელთა და ზღჳსამან. და მადლისა და წყალობისა გარდამჴდელმან გაყარნა ლაშქარნი. ხოლო მწყემს ოდენ ეკმაებოდეს ტყუესა და ნატყუენავსა, და თჳთ იშუებდეს, იხარებდეს, ნადირობდეს და სუფევდეს ულუმპიანად და შუენიერად ბედიანნი და სჳანნი თამარ და დავით ორთა შვილთა თანა, ნათელმოსილთა და ბრწყინვალეთა.

აწ თქუას სიტყუამან ესეცა საძნაური და საბრალო. ვინათგან სიბრძნედ და მეცნიერობად ნათესავსა აგარიანთასა აქუს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქმე გრძნებისა და მოგუობისა განსწავლილთა იუნიტანისაგან, რომელ ნებროთ იხილა კიდესა ზღვასასა კვროისა-ზე და დარიოსისა. შემდგომითი შემდგომად არიან მჩხიბავნი, მწამლველნი, უარისმყოფელნი ღმრთისანი. აქაცა რწმენა ვინმე დიდძალისა ოქროსა ქადებითა ბუბაქარ ათაბაგ-ყოფილმან და ნახჭევანს გარდახუეწილმან მოწამლვა და სიკუდილი ძმისა მისისა ამირ-მირმანისა. და მისცეს წამალი სასიკუდინე და დასნეულდა. და გაგზავნეს კაცი მცნობელი და მუნით დიდითა შიშითა და ზარითა, ასპიტისაგან კბილნი მთართახნი, ძლივსადმე მოვიდა მთასა კაპისსა, სანახებსა განძისასა და ცხეს დასტური სიკუდილი.

მოვიდა ბუბაქარ განძას; გავიდეს და შეიბნეს ყმანი ამირ-მირმანისეულნი. და ზოგნი დაჴოცეს და ზოგნი გარდახუეწნეს. თუთ მოიფიცა განძა და გამაგრდა; შიშითა მანდ არა დამყოვნელი ხანისა გავიდა ჴერთ უმეცარი ამირ-მირმანის სიკუდილისა, არა დამხედავი მცირეთა ყოვლისა. გაემართა და მივიდა შანქორამდი. და მუნღა მოეგებნეს დიდებულნი არანისანი მტირალნი, დამსხმელნი თავსა ნაცრისანი, და ჰკადრეს: „ჟამად აღარა იქმნებისო; სიმაგრეთა ესე წაუხუამთ და ბუბაქარს აღარსად დაუდგნა ამას ქუეყანასა“.

მაშინ შემოიქცა მეფე დიდებულითურთ, მოვიდა წინაშე თამარსა და, მსგავსად ალექსანდრესა, ვით დასდვა პატივი დიდი პორეს ლუსკუმასა შინა ჴდომითა, ეგრეთვე შავითა შეიმოსა ნათელი იგი, პირველი ნათლისაცა უბრწყინვალესი, და დიდითა ცრემლითა მოიტირნა. დიდებულნი ხასაგიანნი და მონანი ამირ-მირმანისეულნი დიდითა პატივითა და სიყუარულითა დაიჭირნეს.

ხოლო ივანე მჯარგრძელი მჯნე და ბრძენი იყო ომთა და ლაშქრობისა საქმესა შინა. მოჰმართა, და გავიდა გელაქუნად მცირედითა ლაშქრითა, და დადარნა ვითარცა დათუმან მომზირალმან ბრჭალსა მტერისასა, ვით ლეკუმან ლომისამან, და ძეთა ისრაელისათა ძეთათჳს ბენიამენისთა, და არავინ იახლა თანა ყმა ფიცხელი.

ამას შინა თუთ ივანე, მდგომმან მსტოვრობასა შინა, იხილნა ლაშქარნი შორს, ჴეკმად ათკეცად უფროს ლაშქართა მისთასა, მომავალნი განძით და მიმავალნი ქუეყანასა დვინისასა სურმანს, მასისის გჳრაბისა და შურისასა; თუთ ბალბან, გაზრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილი ელდიგუზ ათაბაგისა, ლომი ჭაბუკი, პატრონი დ[illegible]
და სომხითისა, ძმა სურმანელისა, სურმანელითა ლაშქრითა;
ალი შურიშამი, დიდად მყოფი, კაცი მმარჯუე, ეგრეთვე დრო-
შის პატრონი. ვინათგან ივანე კაცი გულმჭეცი იყო, არ და-
ხედნა სიმცროსა მათსა და უფროსობასა მტერთა მათთასა, და
გამომჯდომმან დაფანჩნა და დაპანტნა, ვითა წერონი ტულრილ-
მან და ვითა ჯოგი კანჯრისა ლომმან, დაკოცნა, ამოსწყვდნა და
რისხვა ღმრთისა მოავლინა თავსა მათსა ზედა; თვთ ბალბან,
ლაშქარნი და დროშანი, მკუდრისაგან კიდე კაცი ცოცხალი
ოთხი მოიღო. თვთმპყრობელთა განალამცა გაიხარეს დიდად
წყალობათა მიმცემელთა და ღმერთსა შესწირევდეს მადლო-
ბასა ჯეროვანსა.

შეიყარა მეფე სპითა იმიერთა და ამიერთათა ქუეყანასა
განძისასა, და თამარ ჩავიდა დვირამდი, წინაშე მოვიდა შარ-
ვანშა სამსახურად; და გაგზავნა ლაშქარი, შემოქცეული დად-
გა აგარათა მორჭმითა და სუფევითა. და მოვიდეს კარსა განძი-
სასა. ამწყუედელთა და მთხრელთა არანისათა დაყვეს კარსა
ქალაქისასა დღე ოცდახუთი. ცალკე ივანე მსახურთუხუცეს-
მან, დიდთა ლაშქართა და ურიცხვსა ალაფისა შინა გამომგზავ-
ნელმან, ხაჩენელნი დიდებულნი მიიტანნა წინაშე მეფისა. რა-
მეთუ განმაქარვებელნი არანისანი, და განძისა და სხუათა ქა-
ლაქთაგან ხარაჯა-ძლეულნი, შემოიქცეს სამეფოდ ძლევაშემო-
სილნი, შარვანშას თანამომტანელნი. მაშინ უბოძა საბოძუარი
და შემოსეს მრავალ-მრავალჯერ, გაგზავნეს შინა პატივითა.

და წარვიდეს ლიხთიმერითს; შთასრულთა ზღუა პონტოსა
მოიურვეს, და მოირჭუნეს დიდად და კარგად, ვინათგან ქუ-
ეყანა არტანისა, ძალინისჴევისა, პალაკაციო წაეღო თურქთა.

და თამარსა, გონებითა და განზრახვითა ბრძენსა, არ ავიწყ-
დებოდა მას ყაბოს მკულეველი კეკოს. და მიუწია მარბიელმან
ბასიანამდის და ყურაბებამდი. ავსილთა დაიბანაკეს «სისხლის
მუცელსა». აწცა იხილვებოდა, მსგავსადვე ძუელ ოდესმე
თქმულისა და მჭონელისა, ქუეყანა და საყოფი მათი, ვითარცა
«სისხლის მუცელი».

ამა ძლევითა და გამარჯუებითა იყო თვთ მეფე მეფეთა.
არცა იგი უმადლოდ იპოებოდა გამმარჯუებულისა მისისა, არა-
მედ დიდბუნება იყო სკიპტრის-მპყრობელთა შორის უსაჩინო-
ესთა ესე თამარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამისთვსცა უდიდესთა ჴელ-ყო საქმეთა, რომელთა მთხრობელად მოწევნული მყის თავსა შორის ჩემსა, უჴმოსა და უგუნებოსა, მსგავსი იპოებოდი უმეცრებით ლექსთა მეტყუელებად. და ვინათგან საქმეთა დიდთა კეთილთა დავიწყებად შეიქნა, არა ჯერ ვიჩინე დადუმებად, რომელნი ზესთა ძალისა არიან არა ჩემთვს ოდენ, არამედ ვგონებ პირველთა სიტყვსმოქმედთა. ვინა უტყუელი პირი იტყვს: «ეძიებდი სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს». და ამისმან მსმენელმან და კეთილად გულისჴმისმყოფელმან აღიხილნა თუალნი მაღლისა მიმართ და აღამაღლა გონება, ყოვლად რამე ბრძენი და კეთილად ცნობა-გონიერი, რომელი ყოვლითურთ შეეყო მაღალსა მას, ყოველთა ზედა მხედველსა, და შემსჭუალა თუალი უმრუმედ მხედველი, რათა მეცნიერ-ყოს და მას მხოლოსა ხედვიდეს.

ვერ შეიტყუა იგი საშუებელმან ამის საწუთროსამან, არცა მეფობამან გჳრგჳნისამან და სკიპტრამან, არცა ქვათა პატიოსანთა უხუად ქონებამან, არცა სპათა სიმრავლემან და ესოდენ სიმჴნემან, რომელი სიტყუამან ცხად-ყოს. არა მიდრკა, ვერცა წარიპარა სიმდიდრემან, ვითარ ძუელ ოდესმე მეფენი მრავალნი და უმეტეს ამის სანატრელისა მამა, ყოველთა ბრძენთა უპირატესი და უმეტესი სოლომონ. ესრე უბრძნე იქმნა ბრძენისა მის, რომელ ესეოდენ შეიყუარა ღმერთი იგი და უცხო ექმნა საცთურთა სოფლისათა. ამან ისმინა ჴმა იგი უტყუელისა პირისა და შეიტკბო იგი, რამეთუ ღამე-ყოველ მღჳძარება, ლოცვა, მუჴლთ დრეკა და ცრემლით ვედრება ღმრთისა ზემდგომრობითა განსაკჳრვებელ აქუნდა, და ღამე ყო ჴელსაქმარი, რომელი გლახაკთა მიეცემოდა. ერთი ოდენ ვაჴსენოთ.

ლოცვისა და ჴელსაქმარისა მიერ მაშურალმან მცირედ მიიჩინის ბუნებითისა წესისამებრ. ამას მცირედ მირულებასა შინა იხილა ჩუენებით რაცა საყოფელი, სახილავად ტურფა და სიკეთე აღმატებული ადგილი, ყუავილთა, მწუანვილთა და ნერგთა მიერ განშუენებული რომელი საწადელ იყო მხილველთათვს და სიკეთესა და შუენიერებასა მისსა სამოთხისასა მითხრობა შეუძლებელ. ამას შინა იყო შესწორებული საყდრები და სკამები, პატიოსნად შემკული ოქროთა, რომელიძე ვეცხლითა, თჳთოფერად განშუენებული საჯდომი თჳთოეულისა კაცისა, არძანიგისაებრ საქმეთა, ნაქმარისა მისისა. ხოლო

ზენა კერძო იყო ტახტი, უპატიოსნესი ყოველთა დასაჯდომელთა, ოქროსა, შემკული თუალითა და მარგალიტითა პატივსცემითა. ამას სამოთხესა შინა შეიყვანეს ჭეშმარიტად ღირსი მას შინა ყოფისა მეფე თამარ. იხილა საჯდომები და განიზრახა გულსა შინა თჳსსა, ვითარმედ: „მეფე ვარ მპყრობელი და ჩემი არს უზენაესი და უპატიოსნესი ესე საჯდომი". და მყის მიმართა მუნ დაჯდომად. ხოლო წარმოუდგა კაცი ვინმე ნათლითა მოსილი და უპყრა ჴელი, მოხედნა და რქუა: „შენი არა არს საჯდომი ისი, რამეთუ შენ ვერ შემძლებელ ხარ დაპყრობად იმისსა". და მეფე იტყოდა: „ვინ უპატიოსნეს არს ჩემსა, რომელმან დაიპყრას უპატიოსნესი საჯდომი?" მან რქუა: „საყდარი ისი შენისა დიასახლისისა არს, ამისთჳს რომელ ათორმეტთა მღდელთა მისთა ჴელთა შესთული ჰმოსიეს, რაჟამს წარდგენ შესაძრწუნებელსა და საშინელსა ტრაპეზსა შეწირვად უსისხლოსა და პატიოსნისა მსხუერპლისა. ამისთჳს იგი უზეშთაეს შენსა არს; დაღაცათუ შენ მეფე ხარ, კმა არს შენდა დიდება ესე, დაღათუ საყოფი შენი აქავე არს". და უჩუენა უდარესი და უუნდოესი.

ვითარ განიღჳძა, წინაშე მოყვანებად სცა დიასახლისი იგი, რომელმან აღიარა თორმეტისა მღდელისათჳს უფროსად სრულისა კუართ-ფილონისა შესთვა და მღდელთა მიძღუანვა. მერითგან იწყო ამანცა ალექსანდრიით ვაჭართა მოღებულისა მატყლისაგან სთვად და ქმნად შესამოსლისა, ვიდრემდის ათორმეტად სრულყოს.

თქმულ არს ესეცა, დაღათუ მოუწყობელ არს სიტყუა, ვითარმედ თჳსითა ჴელითა ამასცა შურებოდა, რომელ მის დღისა საჭამადი მისი ფას-რაოდენ დღივ შეჭამის, ჴელით საქმარი მისი განყიდის და ეგოდენ ფასი გლახაკთა აჴელსაქმრის და მისცის არა სამეფოდ შემოსავალთაგან. საეკლესიო ლოცვად წესი ლოცვისა დაუკლებელად აღესრულებოდის, ვითარცა ტიბიკონი მოასწავებდა და განწესება პალესტინისა მონასტრისა მოგჳთხრობს, ყოველი სრულიად. დარბაზის კარს მყოფი წირვად ვერვინ დააკლდებოდა: მწუხრი, დილეულ, სამხრი, ვითარცა თქმულ არს.

გარნა სამართალთათჳს რადღა მიჴმს თქმა? რამეთუ ჟამთა მისთა არა იყო მიმმძლავრებელი, არცა მტაცებელი, არცა მეკობრე და მპარავი. იტყოდა, ვითარმედ: „მე ვარ მამა ობოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა და მსაჯული ქურივთა". მოწყალებისათჳს კმა გეყავნ დადგინანი ვარდან, გუზან, რომელი თუალ-მრუმე ოდენ ყვეს, ბოცოს ძე ბოცო და ამათნი მიმდგომნი დიდებულნი და აზნაურნი, რომელნი ჩანან შეწყალებულნი.

ვინათგან უდიდესნი საქმენი წინამდებობენ, ვითა თქმულ არს, «ვინმცა მცნა მე ფრთენი ტრედისანი», ვინმცა მცნა მე ისტორიათ აღმწერელმან ქმნა ღმრთისმოყუარესა თამარს წინაშე სასწაული განსაკრთომელი და ყოველთა ქართველთა და მართლმადიდებელთა აღმატებულითა სიხარულითა ამმაღლებელი?

მოვიდეს ძმანი ორნი მეფეს წინაშე მსახურებად, ძენი სარგის ამირსპასალარისანი, რომელნი მას ჟამსა დიდად განდიდებულნი იყვნეს მეფისა მიერ: ზაქარია ამირსპასალარი და ივანე მსახურთუხუცესი. ყოველნი მკჳდრნი მეფის წინაშე იყვნეს: კათალიკოსი იოანე, სულმობერული, კაცი ანგელოზთა მოსაგრე, და მცირენი ეპისკოპოსნი, და სხუანიცა საქართველოს წარჩინებულნი შეკრებულ იყვნეს. ვითარ კათალიკოსი იოანე უსისხლოსა მსხუერპლსა მღდელმოქმედებდა, მოიღო და შესწირა მან ჟამი. აღსრულებისა ყოველნი ღირსნი მოუჴდებოდეს ჴამად სეფისკუერისა. ინება ზაქარია ამირსპასალარმან შეხებად და აღებად სეფისკუერისა. ხოლო მღდელთა არა მისცეს, რამეთუ იყო სარწმუნოებით სომეხი, შეჩუენებულთაგანი; და სირცხჳლითა იკადრა ზაქარია აღტაცებად სეფისკუერისა და შეჴმად. რომლისათჳს კათალიკოსი, ცეცხლებრ აღტყინებული, ძლიერად ამხილებდა და ეტყოდა: „ნეფსით არავინ მართლმადიდებელთაგანი იკადრებს მღდელმოქმედებასა სეფისკუერს თქუენ, შჳდგზის წყეულთა სომეხთა, მოცემად, მომტაცებელი ძაღლიცა თუ იპოოს". რომლისათჳსცა სირცხჳლეული წარვიდა ზაქარია კარვად თჳსად.

და დარბაზს მასერებელი ზაქარია ამირსპასალარი მცირედ რასმე სიტყუასა ჰყოფდა ურწმუნოსა, რამეთუ სიტყჳთა ჴგმობდა სარწმუნოებასა ჩუენსა. ვითარ სულმობერული კათალიკოსი მიუგებდა და აუჴსნიდა, წინააღდგომად ვერ შემძლებელი ზაქარია ეტყოდა: „მე, მელაშქრე, ვერ კეთილად მეცნიერ ვარ სიტყჳსგებად შენდა; არამედ მოუწოდო მოძღუართა სარწმუნოებისა ჩუენისათა, რომელთა ჩემ წილ სირცხჳლეულ გყონ". კათალიკოსი იოანე მიუგებდა: „იყავნ ნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქრისტესი და ზარადის ქალწულისა ღმრთისმშობელისა, მეფემან სიცოცხლეულ ყვნეს უარისმყოფელნი თჳსნი".

ამისმან მსმენელმან ზაქარია წარავლინა კაცი კათალიკოსისა მიმართ მათისა, თანა-და ეპისკოპოსთა, ყოველთა ვარდაპეტთა და მეცნიერთა. ხოლო ივანე წინააღუდგებოდა და ეტყოდა: „განიყენე მაგისა ქმნად, რამეთუ უწყით, ვითარმედ ჭეშმარიტი სარწმუნოება ესე არს". გარნა მხოლო არა ისმინა ზაქარია.

და მოვიდა კათალიკოსი ვანისა და ყოველნი ვარდაპეტნი. და დაიდგა სამსჯავრო, და დაჯდა დედოფალი, დედოფლისა მოსავი დავით მეფე და წარჩინებულნი საქართველოსნი ერთ-კერძო, მჯარგრძელნი ზაქარია და ივანე ერთ-კერძო. მოუწოდეს კათალიკოსსა იოანეს. შევიდა და იტყოდა ფსალმუნსა ამას: «აღდეგ, ღმერთო, საჯე სჯა შენი, მოიჯსენე ყუედრება შენი, რომელ არს უგუნურთაგან». ვითარ შევიდა, აღდგეს მეფენი და პატივით თანადაისუეს; ეგრეთვე მარღასთა და ვარდაპეტთა სომეხთა მათცა პატივი უყვეს წესისაებრ.

ვითარ მოკითხვამან ჟამი მოიღო, დადუმნეს ყოველნი და იწყეს სომეხთა სარწმუნოებისა მათისა თქმად სიტყუა-მჭევრად და ვრცელ-სიტყუად, ვინაცა კეთილად მოჯსენებულ იყვნეს. კათალიკოსი, ზეგარდამოთა ნიჭითა აღსავსე, გონიერებით აღუჯსნიდა და ბრძნად მიუგებდა უკურღუევად თქმულთა მათთა, ხოლო თჳსისა დამამტკიცებელად. და გაგრძელდა სიტყჳსგება მიმწუხრამდე.

მოშიშმან ისტორიისა სიგრძისამან კმა ვიყო თქმად: ვითარ უწყით სომეხთა სიტყუა-მისვეობისა, ძლიერი ღაღადი აღუტევეს, ცილობისა სწორი ძლევა იქმნებოდა. ამის მსმენელმან კათალიკოსმან იოანე, ღმრთისმეტყუელისა მოსახელემან, ნუკუე ზენათ სულის წმიდის მიერ აღვსებულმან, ანუ თუ მარილისა სარწმუნოებისა მინდობილმან — არა უწყი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელი აწ იქმნა და ითქუა, ვჰგონებ, სულისა მიერ წმიდისა, პირითა მსახურისა მისისა კათალიკოსისათა. რამეთუ თქუა:

„სახლით თარგამოსნო, რომელნი შეკრებულ ხართ ძჳნად და მტერად მართლისა სარწმუნოებისა! უწყითა, რომელ ნათესავთა კაცთასა ეუფლა ეშმაკი? დამყოფელმან თუალთა გონებისთამან შეასაკუთრნა ხრიზმოსთა, და არამეცნიერნი და დამტევებელნი ღმრთისანი უზორვიდეს კერპთა, ხახუსა და ნიორსა და ჯინჭარსა. ხოლო ღმერთი, არა უგულებელს-მყოფელი დაბადებულთა თჳსთა, ეზრახა აბრაჰამს და მერმე ნათესავსა მისსა; კუალად მოსეს მოსცა სჯული და მსჯავრი უკანასკნელ, უმეტესთა წყალობათა აღძრული, ზეცით გარდამოჴდა ერთი სამებისაგანი, ძე და სიტყუა, ქალწულისა მარიამისგან ჴორცნი შეისხა და მსგავს კაცთა იქმნა, რამეთუ სისხლთაგან ქალწულისათა მიიხუნა ჴორცნი კაცობრივნი და სული სიტყჳერი, იქცეოდა კაცთა თანა და ყოველნივე განგებულნი აღასრულნა. რაჟამს შესაძრწუნებელი იგი ნებსით ჯუარცმა ეგულებოდა, ათორმეტთა მოწაფეთა თანა ისერა და სრულ-ყო პასექი. ვითარ სრულ იქმნა, იწყო ახალსა ამას ღმერთმყოფელსა საიდუმლოსა: მოიღო პური, განტეხა და მისცა მოწაფეთა, და თქუა: „მიიღეთ და ჭამეთ, ესე ჴორცი ჩემი არს მისატევებელად ცოდვათა“. ეგრეთვე სასმელიცა: „სუთ ამისგან, ესე სისხლი ჩემი არს“. და პირველ იტყოდა: „უკუეთუ არა სჭამოთ ჴორცი ძისა კაცისა, არა გაქუნდეს ნაწილი ჩემ თანა“. და კუალად იტყოდავე: „ჴორცი ჩემი ჭეშმარიტი საჭმელი არს და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი სასმელი არს. და მრავალ-სადმე არიან ესევითარნი სიტყუანი. აწ უკუე მომიგეთ: გრწმენა ესევითარნი ჴმანი მახარობელთანი?“ ხოლო მათ მიუგეს: „უცილობელ არს ეგე, რამეთუ მოგუცა ჴორცი და სისხლი მისი, რათა უკუდავებად ვჭამდეთ და ვსუმიდეთ; ესე არს ნიჭი დიდი ჩუენდა მომართ, რათა ქრისტეს ღმერთად აღმსარებელნი ვჭამდეთ ჴორცსა მისსა და ვსუმიდეთ სისხლსა მისსა“.

და კუალად კათალიკოსმან ჴმა ყო ბრწყინვალედ: „კეთილ, შვილნო, ვინათგან აღიარეთ, აწ უკუე ესეცა გრწამს, ვითარმედ ახალი სჯული და ახალი პასექი იყო სერობა იგი, და ყოველნი, ქრისტეს ღმრთად და კაცად აღმსარებელნი, მღდელ-ვმოქმედებთ ქრისტეს ვნებათა მომჴსენებელნი; ვჭამთ ჴორცსა მის-

სა და ვსუამთ სისხლსა მისსა; იგი არს სჯული ჩუენი და მცნება-
ბა ახალი“.

ხოლო სომეხთა მიუგეს: „აგრე, ამას არავინ უმეცარ არს“.

კათალიკოსმან თქუა: „აწ უწყოდეთ, უკუეთუ სარწმუნოება
თქუენი უმჯობეს-სადამე არს, თქუენ მიერ შეიცვალების პური
ჯორცად უფლისად. თუ ჩუენი უმჯობეს არს, ჩუენ მიერ
მღდელმოქმედებული შეიცვალების ჯორცად უფლისად“.

მათ თქუეს: „ეგრეთ არს“.

კათალიკოსმან თქუა საშინელი სასმენელად სიტყუა: „საქ-
მითა გამოვაჩინოთ, არა სიტყვთა“.

მათ თქუეს: „რომელსა ჰყოფ, ჰყავ“.

კათალიკოსი ეტყოდა: „მოგცემ ძაღლსა ერთსა და დრო-
გიყოფ სამთა დღეთა, რომე ღამე განათიოთ ლიტანიითა და
ღმრთისა ვედრებითა; სამ დღე ძაღლი უჭმელად დამარხეთ.
და ერთი ძაღლი მე მომეცით, სამ დღე უჭმელად დავმარხო,
ღამე განვათენო ლიტანიითა და ღმრთისა ვედრებითა, და გა-
მოჩნდეს მართალი სარწმუნოება. მესამესა დღესა აღვასრუ-
ლებ უსისხლოსა მსხუერპლსა და მოვიღებ სეფისკუერსა ჯე-
ლითა ჩემითა. დაღათუ არა საკადრებელ არს, დაუგებ ძაღლსა
წინა, რომელი თქუენ გვყავს, და ეგრეთვე თქუენ სეფისკუერი
მოიღეთ და დაუგეთ ძაღლსა მას, რომელი მე მყავს. რომლი-
საცა შეჭამოს, მისი რწმუნება არა არს: თქუენი შეჭამოს, თქუ-
ენ გრცხუენეს; თუ ჩუენი შეჭამოს, ჩუენ გურცხუენეს“.

ესმა ესე მეფეთა და ერსა, განკვრდეს და უღონოებამან
მოიცუნა. ვითარ გონებად მოვიდეს, რქუეს კათალიკოსსა: „რა
ესე სთქვ, სასმენელადცა ზარია!“ კათალიკოსი უმეტეს დაამ-
ტკიცებდა. გარნა სომეხთა აღარა ენება, მისცნეს ძაღლნი ურ-
თიერთსა, და წარვიდეს კარავთა მიმართ.

ხოლო მეფე, ძლიერად მბრძოლი, ეტყოდა კათალიკოსსა:
„რა სთქუ, ვინ შემძლებელ არს ამისდა ქმნად, მოგონებად და
სმენად, რამეთუ განსაკვრვებელ არს?“ კათალიკოსი წყნარითა
გონებითა მიუგებდა: „საქმე ესე არა მინდობითა თავისა ჩემი-
სათა ვყავ. არამედ ვყოფ ამას სასოებითა ქრისტეს ღმრთისა-
თა, რათა აჩუენოს მორწმუნეთა მართალი მორწმუნეობა თუ
ვისი არს, და ვინ არიან მართლ აღმსარებელნი, და ვისითა
მღდელმოქმედებითა შეიწირავს უსისხლოსა მსხუერპლსა და
ვისთა ჯელთა მისცემს ტარიგი ღმრთისა დაკლვად თავსა თვს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა, ანუ ვინ ვჭამთ ჯორცსა მისსა და ვსუამთ სისხლსა მისსა, მინდობითა მართლმადიდებლობისათა ცხად ვყოფთ ჭეშმარიტებასა. მეფეო, შემეწიე შენ და ყოველნი ქართველნი, დიდი და მცირე". განკვრდა მეფე და ყოველი ერი, ისმინეს რა ბრძანება კათალიკოსისა და წარვიდეს თვს-თვსად.

იყო დღე იგი ბარასკევი. იწყეს ლიტანიობად: ერთკენ მეფემან და კათალიკოსმან და ყოველმან სამღდელომან კრებულმან, მცირედნი იყვნეს მუნ ეპისკოპოსნი, რამეთუ არა კრება ეყო მეფესა, და ერთ კერძო სომეხნი და მჯარგრძელნი ზაქარია და ივანე. ღამე იგი ორთავე გაათენეს, შაბათსა კუალად იწყეს ლიტანიობად და მწუხრი ერთშაბათი გაათენეს და აღმოჰდა მზე და ყოველნი წარემართნეს ეკლესიად, ცრემლით მვედრებელნი ღმრთისანი. განამზადეს წმიდა ტრაპეზი ორგნითვე, იყო ტირილი ორისავე კრებულისაგან. და სრულყო რა უსისხლოსა მსხუერპლისა შეწირვა, აღიქუა კათალიკოსმან ფეშხუმითა შესაძრწუნებელი იგი ჯორცი ჩუენთვს კაცთქმნილისა ქრისტეს ღმრთისა. წარმოვიდა კრებულისა მიმართ მგზავრმეტყველი: «წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქუეყანა დიდებითა მისითა».

მოუწოდა სომეხთა ეპისკოპოსთა და მჯარგრძელთა და ყოველთავე სარწმუნოებისა მათისა ზიართა და ეტყოდა: „ისმინეთ აწ, სახლო თარგამოსისო! უწყით, რამეთუ ღმერთმან, ჩუენთვს კაცთქმნილმან, მოგუცა ჯორცი თვსი საჭმელად მეტყველმან: «უკუეთ არა სჭამოთ ჯორცი ჩემი, არა გაქუნდეს ცხოვრება, ამას ჰყოფდით მოსაჯსენებელად ჩემდა». და მოციქულიცა იტყჳს; «პურსა ამას რომელსა განვტეხთ, არა-მე ზიარება ჯორცთა ქრისტესთა არს?» აწ უკუეთუ სარწმუნოება თქუენი ჭეშმარიტ არს, პური ესე წმიდა ჯორცი ქრისტესი იქმნების; უკუეთუ ჩუენი სარწმუნოება სთნავს, ჩუენ მიერ კურთხეულ იქმნების ჯორცად უფლისად ყოვლადვე. ნუ იყოფინ, რომელ იკადროს რომელმანცა უარისყოფაჲ. აწ მოიყვანეთ ძაღლი, რომელი მე მოგეც; დაღაცათუ არა საკადრებელ არს, წინადაუგებ პურსა ამას წმიდასა. უკუეთუ შეეხოს ძაღლი და იკადროს მიახლებად, არა სადამე არს სარწმუნოება ჩუენი. მოყვანებად ვცეთ ძაღლი თქუენი, დაუდვათ პური თქუენ მიერ კურთხეული; იხილეთ რაჲ იქმნას, და მას ზედა გამოჩნდეს, ვისი სარწმუნოება სთნავს ქრისტესა".

ხოლო სომეხთა დაღაცათუ არა ენება, გარნა არა იყო ჰბრძანებული სუეი სამართლისა; ძლით ეტყოდეს კათალიკოსსა: „შენ ბრძანებულსა განჩინებულსა ამას საქმესა შენ გიღირს ქმნად“. ხოლო იყო ერსა ზედა შემოსვლად ჯარი რაძი იქმნას. და ამისმან მსმენელმან კათალიკოსმან თქუა „მე ვყო“. და ბრძანა ერისა შორად განყენება და მრგულივ გარემოდგომა, რათა ყოველთა მიერ სახილველ იქმნას დიდებულება ღმრთისა. და განდგა ერი შორადრე.

წარმოდგა კათალიკოსი იოანე შემოსილი, და ჴელთა ეტჳრთა ზარის ასაკდელი იგი საიდუმლო, ჯორცქმნილი, მღდელმოქმედებული. მეფე და ყოველი ერი ხედვიდეს განცჳფრებულნი და შეძრწუნებულნი. და კათალიკოსი დგა, ვითარცა გოდოლი შეურყეველი, ტურფად აღშენებული, ესრე მტკიცედ დგა განშუენებულითა პირითა. მაშინ მოყვანება ბრძანა სამდღე უჭმელისა ძაღლისა; და მოიყვანეს ძაღლი იგი შიმშილითა განლიგებული. და წარდგა იოანე კათალიკოსი და აღმოუტევა ჴმა ბრწყინვალე: „ქრისტე მეუფეო, ჴსნისათჳს კაცთასა განკაცებულო, ჯუარცმულო ჩუენთჳს, დაფლულო და აღდგომილო და ზეცად მამისა ამაღლებულო, რომელმან მოგუეც ჯორცი შენი, რათა მოსაჴსენებლად შენდა ვჰყოფდეთ; შენ, მეუფეო, გთნავს სარწმუნოება ქართველთა, გთნავს სარწმუნოება ესე ჩუენი შეუხებელად და მიუახლებელად დაიცევ ზარისა ასაკდელი ჯორცი ესე შენი, ჩუენ მიერ მღდელ-მოქმედებული; შენ უკუე შეიწირე შეუძრველი ეგე და აჩუენე ერსა ამას გზა ჭეშმარიტი, და მოხედე მსხუერპლსა ამას და სირცხჳლეულ ყვენ წინააღმდგომნი ჩუენნი“.

და რაჟამს ესე ითხოვა, დაავო შესაძრწუნებელი იგი უსისხლოსა მსხუერპლისა აღმონაკუეთი მომყმარისა მის ძაღლისა წინა. ხოლო მხილველი პურისა ვითარ მიეტევა, მიეახლა მიუახლებელსა მას; მყის ძლიერად იყჳრნა ძაღლმან და ვერ შეეხო წმიდასა მას წმიდათასა. და იხილეს განსაკრთომელი ესე სასწაული, განკრთეს მეფე და ყოველი ერი. მაღლითა ჴმითა ჴმა-ყო კათალიკოსმან და ყოველმან სიმრავლემან ერისამან: «დიდ ხარ შენ, უფალო, და საკჳრველ არიან საქმენი შენნი!» და აღუტევეს ჴმა სიხარულისა მადიდებელად ღმრთისა ცრემლითა სიხარულისათა. ხოლო სომეხნი, უღონოებასა მიცემულნი, განკჳრვებულნი დგეს და უკჳრდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაშინ ევედრა კათალიკოსი მეფესა, რათა დაადუმოს ერი-
იგი. და ვითარ დაწყნარდეს ჴმანი იგი, რქუა ხათელმოფეხი-
ლითა პირითა მარლასთა სომხითისათა და მჴარგრძელთა: „ის-
მინეთ და უწყოდით: ღმერთი, უხილავი და მიუახლებელი და
შეუხებელი ბოროტისა რომლისაგანვე, უბოროტო არს და მან
თავადმან ბრძანა პურისა ამის წმიდისა ჴორც ქმნად. ნუ გიკ-
ჳრს, რამეთუ მანვე თქუა: «იყავნ ნათელი და კუალად გამოჩ-
ნდა ნათელი», «ჴმელ — და გამოჩნდა», მანვე სიტყუამან არა-
რასაგან ქმნა ჴმელი. არა თუ სახისმეტყუელებ არს, არამედ
ჭეშმარიტად ჴორცი მისი. ამას რა შეეხებოდა? ჴორცი მისი
თუ პური ანუ ორივე ერთ არს, ანუ უმჯობეს რომელიმე».

ხოლო სომეხთა არათუ ენება, უნებლიეთ თანაეედვა ამისი
ქმნად. ვითარ მღდელნი დგეს და მოიყვანეს ძაღლი, რომელი
ჰყვა კათალიკოსსა, და მოუგდეს მსხუერპლი მათი. და მყის
აღიტაცა. და ქართველთა იწყეს მადლობად ღმრთისა ჴმითა
სიხარულისათა, იქით და აქეთ ხლდომითა მასვე იტყოდეს:
«დიდ ხარ შენ, უფალო, და საკჳრველ არიან საქმენი შენნი!».
და კათალიკოსი შემოსილი შესუეს ჰუნესა თჳსსა, და ჴელთა
ეტჳრთა ტაბაკითა სეფისკუერი და თანაჰყვებოდეს ყოველნი
წარჩინებულნი და ლაშქართა შინა ვიდოდეს მეტყუელნი ეს-
რეთ ფსალმუნსა ასოცდამერვესა.

«მრავალგზის მებრძოდეს მე მტერნი ჩემნი სიყრმით ჩე-
მითგან და მე ვერ მერეოდეს.

«ბეჭთა ჩემთა მცემდეს მე ცოდვილნი და განაგრძეს უს-
ჯულოება მათი.

«უფალმან შემუსრნა ქედნი ცოდვილთანი.

«ჰრცხუენოდენ და მართლ უკუნ იქცეან ყოველნი მოძუ-
ლენი სიონისანი.

«უფალსა უგალობდით, რამეთუ დიდებით დიდებულ არს.
უფალმან შემუსრნა მბრძოლნი, უფალ არს სახელი მისი».

ესრეთ მხიარულითა პირითა მოვლეს ყოველი ბანაკი. სო-
მეხნი, ვითარცა მყუარი უტბო, ეგრეთ დგეს უჴმოდ, ქუეყა-
ნად მხედველნი, ვითარ ძუელ ოდესმე მღდელნი ასტარტესნი.
ხოლო თუ ვითარი სიხარული, სასოება და მადლობა ღმრთისა
მოიწია ქართველთა ზედა, თხრობა შეუძლებელ არს. და შე-
რა-ვიდეს, დიდი სერი შემზადეს მეფემან და კათალიკოსმან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო სომეხნი სირცხვლეულნი წარვიდეს მჯარგრძელ-ყარვად. ივანე მსახურთუხუცესი ეტყოდა ძმასა თვსსა, ამირ-სპასალარსა ზაქარიას, ვითარმედ: „მე არა მენება ცილობა; ქართველთა მართალი სარწმუნოება უპყრიეს. რაღა არს მყენებელ ჩუენდა, რომე მართალი სარწმუნოება არა შევიწყნა-როთ და არა ნათელ-ვიღოთ ქართველისა კათალიკოსისა მი-ერ?“ ხოლო იგი მიუგებდა: „უწყი, ძმაო, რამეთუ მართალი სჯული არს ქართველთა, მაგრა რომელი განიკითხვის დღესა მას, ჰკითხონ; მე არა შევერთვი ქართველთა!“ და ესმა ივანეს და რქუა: „მიკვრს სიბრძნისა შენისაგან, რომელ უმჯობესსა არა არჩევ, მე არა შევერთვ განზრახვასა შენსა, ნათელ-ვიღებ სარწმუნოებასა ზედა ქართველთასა“.

რადღა საჯმარ არს სიტყუა? მოვიდა და ნათელ-იღო სარ-წმუნოებასა ზედა ჩუენსა იოანეს მიერ კათალიკოსისა. და მრავალი სიმრავლე სომეხთა მოვიდა ნათლისღებად. და იქმნა სიხარული, და ზაქარია ეგოვე ურწმუნოებასა ზედა.

ესევითარი ნიჭი და პატივი მიმადლა მის მიერ შეყუარე-ბულმან ღმერთმან თამარსა, გარნა არცა ის უდებ იქმნა მოქ-მედებად საქმეთა სათნოთა ღმრთისათა. ამისთვს ჴელ-ყო აღ-შენებად საყოფელსა გამმარჯუებელსა მისა ზეშთა კურთხე-ულსა ვარძიისა ღმრთისმშობელსა, ზემო ვარძიის ქუემო ვარ-ძიითა მიცვალებითა, რომელი კლდისაგან გამოჰკუეთა, თვთ პატიოსანი ეკლესია და მონაზონთა საყოფი სენაკები, რომელი მტერთაგანცა შეუვალ და უბრძოლველ-ყო. ესე ვარძია პირ-ველად დაეწყო სანატრელსა მამასა მისსა გიორგის, გარნა ვერ სრულ-ექმნა და დაეტევა, რომელ დიდმან ამან აღასრულა და შეამკო ყოვლითურთ, და შესწირნა მრავალნი და დიდროანი სოფლები, და შეჰკაზმა ტრაპეზისა შემოსავალნი დიდნი, რო-მელი ყოვლისაგანცა მოთხრობა ძნელ არს. თუ ვისმე ნებავს ამისგანცა, იხილენ ვარძია და საქმენი მისნი ქმნულნი და ნა-შენები ქუაბ-ქმნილი. ვინა მეფემან თამარ გულს იდგინა მსა-ხურებად უბიწოსა და განსაკრთომელისა სასწაულთა მოქმე-დისა ვარძიისა ღმრთისმშობელისა, ამისთვს უმეტეს პირველთა იდიდა მეფობა მისი.

ხოლო სხუანი საქმენი მისნი, აღშენებანი და შეწირვანი მონასტერთანი ისმინენით. არა ოდენ საქართველოსა მონას-ტერნი ააშენნა, არამედ პალესტინეს იერუსალემს ააშენა პირ-

ველად მონასტერი; და კუალად კუპრეს ღალია შეამკო და
უყიდნა შესავალნი და აღაშენა მონასტერი და შეამკო ყოვ-
ლითა წესითა პატიოსნისა მონასტრისათა. და კუალად კოს-
ტანტინეპოლის აღაშენა მეტოქი მათი. და გრძელ სადმე არს
ყოვლისა მოთხრობილობა, რომელ საბერძნეთს და ყოველსა
ელადას შინანი მონასტერნი უხუად წყალობა მიფენილ ყვნა
და საქართველოსა მცირითგან მონასტრით საყდარ-ეკლესიანი
არა დაუტევა, რომელ არა წყალობითა აღავსო.

ესრეთ კეთილად აღეპყრა საუკუნოსა გონებასა, და მომ-
ნიჭებელი წარმოუმართებდა საქმესა დღე-კეთილობასა შინა.
და ყოველნი გარემოს მყოფნი მეფენი, ქალაქნი და ამირაწი
ძღუნითა და ხარკითა მოამშჯდებდეს პირსა მჯნეთა სპათა მის-
თასა, და არბევდიან ურჩთა.

აქამომდე კარი თურქთა ჰქონდა. წარავლინნა ლაშქარწი
გარემოდგომად. და ცნეს თურქთა, დააგდეს კარი და ივლტო-
დეს. ხოლო მეფემან აღიღო და მიითუალა კარი და დაუტევა
კარის მცველად ახალციხელი ივანე, და აჩინა მონაპირედ, და
უბოძა ათაბაგობა და ამირთა-ამირაობა. რომლისთჳსცა დიდი
წყენა შეექმნა თურქთა; და დიდად ავნებდა რომელ წარულო
თურქთა გარეშემონი ქუეყანანი, აიხუნა და მიითუალნა. და
წარმოგზავნა მახარობელი მეფისა წინაშე და დაიმადლა. ივა-
ნესვე უბოძა კეჩროლი და მისი ქუეყანა. და წარემართებოდა
სამეფო თამარისი და შეემატებოდა დღითი დღე. შიში და ზა-
რი მეფისა იყო ყოველთა სულტანთა ზედა.

უდიდესნი საქმენი აღმომიჩნდეს და გონება ვიწყე უღონო-
ებად თხრობისა სიდიდითა საქმეთათა, დაღათუ არა შესატყუ-
სი არს ჩემდა ამათ მოთხრობა, არამედ დიდთა სიტყჳსმოქმედ-
თა პირველთა არს.

ესე ესმა მაღალსა სულტანსა სელჩუქიანსა, სახელით ნუქ-
რადინს, რომელი უმაღლეს და უდიდეს იყო სხუათა ყოველთა
სულტანთა რომელი მთავრობს დიდსა საბერძნეთსა, ასიასა და
კაბადუკიასა ვიდრე პონტოდ ზღუადმდე. ამან მოუწოდა ყო-
ველსა სიმრავლესა სპასა მისსა და შეკრბა კაცი ორმოცი ბევ-
რი, რომელ არს ოთხასი ათასი. და წარმოავლინა მოციქული
მეფეს წინაშე და წარმოსცა წიგნი, რომელსა წერილ იყო სახე
ესევითარი:

„ღმრთისა ოდენ უქუენესისა და ყოველთა კიდეთა მპყრო-

ბელისა! ყოველი დიაცი რეგუენია, და შენ გიბრძანებია ქალ-
თველთათვს აღებად ჯრმალი მუსლუმანთა ჯოცად. ესე ბოცა-
რომელ ჯრმალი დიდისა მოციქულისა მოჰმედისა, მისისა ერის
თავისა, ბოძებულთა. აწ წარმომივლენია ყოველი მჯედრობა
ჩემი, რათა აღვკოცო ყოველი მამაკაცი მაგ ქუეყნისა, და ცო-
ცხალი იგი ოდენ დარჩეს, რომელი წინამომეგებოს, თაყუანის-
ცეს ჩათრსა ჩემსა, სასოება იგი თქუენი ჯუარი წინაშე ჩემსა
დალეწოს და მოჰმედი აღიაროს". ნაცვალი სიტყუა მეფისა
ნუქრადინისადმი: „ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა
მინდობილმან, მარადის ქალწულისა მარიამისა სასოებით მო-
სავმან და პატიოსნისა ჯუარისა მვედრებელმან წარვიკითხე
ღმრთისა განმარისხებელი წიგნი შენი, ნუქრადინო, და ვცან
სიცრუვენი შენნი, რომელთა ბჭე ღმერთი იყოს! შენ ოქროსა
მეგირეთა სიმრავლისად მინდობილ ხარ, ხოლო მე არცა სიმ-
დიდრესა და არცა ძალსა სპათა ჩემთასა, არამედ ძალსა
ღმრთისა მპყრობელისასა და ჯუარისა წმიდისა, რომელი შენ
ჰგმე. აწ წარმომივლენია ყოველი მჯედრობა ჩემი წინამოგებე-
ბად შენდა. იყავნ ნება ღმრთისა, ნუ შენი! სამართალი მისი,
ნუ შენი!".

და ვითარ მოვიდა მოციქული და შეიყვანეს მეფეს თანა
თამარსა წინაშე, წიგნი მისცა და წარდგა, იწყო არა საკადრე-
ბელთა სიტყუათა თქმად: „უკუეთუ მეფემან თქუენმან დაუტე-
ოს სჯული, იპყრას სულტანმან ცოლად; და უკეთუ არა დაუ-
ტეოს სჯული, იყოს ხარჭად სულტნისა!" ვითარ ამპარტავნად
იტყოდა სიტყუათა ამათ, წარმოდგა ზაქარია ამირსპასალარი
და უხეთქა ჭელითა პირსა. და ვითარცა მკუდარი დაეცა და
იდვა. ვითარ აზიდნეს და ამართეს და ცნობად მოვიდა, რქუა
ზაქარია: „თუ მოციქული არა იყავ, პირველად ენისა აღმო-
კუეთა იყო შენი სამართალი და მერმეღა თავისა, კადნიერად
კადრებისათვს. აწ არა არს სიტყუა! ესე წიგნი მიართვ ნუქრა-
დინს და არქვ: ჩუენ მზა ვართ წყობად და წინამოგებებად, სა-
მართალი ღმრთისა იყავნ!"

მისცა ესევითარი წიგნი. და მერმე შემოსეს და ნიჭი უბო-
ძეს, წარგზავნეს პასუხითა მწუავითა. მაშინ მოუწოდეს სპა-
თა იმერთა და ამერთა, ნიკოფსით დარუბანდამდის, და შეკრ-
ბეს ჯავახეთს. და მივიდა თამარ ვარძიას, ვარძიისა ღმრთის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობელისა წინაშე და ცრემლით შევედრა სოსლან დავით და სპა მისი; და დროშა მისი სჯანი და ბედნიერად მყოფი გაგზავნა ვარძიით. ლაშქარნი წარემართნეს. წინამებრძოლად იყო ზაქარია მჯარგრძელი ამირსპასალარი, და ორნიცა იგი ძმანი ახალციხელნი, შალვა და ივანე, დალათუ მანდატურთუხუცესი იყო ჭიაბერი, და სხუანი თორელნი, და წარემართნეს ბასიანის კერძოსა. და მეფე თამარ მოვიდა ოძრჯეს. და ეახლნეს შავთელი, კაცი ფილასოფოსი და რიტორი, ლექსთა გამომთქმელი და მოღუაწებათა შინა განთქმული, და ევლოგი სალოსად წოდებული და წინასწარმცნობლობისა ღირსქმნილი. ამათ თანა იყვის მეფე თამარ დღისი და ღამე ლოცვითა, ფსალმუნებითა, ღამისთევითა დაუძინებელად, და ყოველთა ღამეთა დღე ლიტანიობდა და არა დასცხრებოდა. და ყოველგან საყდართა, მონასტერთა და სოფელთა უბრძანა ლიტანიობა და ვედრება ღმრთისა.

ხოლო მეფემან დავით ქმნა, უნდოდა რამეთუ ზედა მიჰმართა სადა დაბანაკებულ იყო ბასიანისსა ადგილსა ბოლოსციხედ წოდებულსა. და ეახლნეს ბანაკსა სულტანისასა რომელ არა იყო რიცხჳ ცხენისა, ჯორისა და აქლემისა მათისა, კარვებისა და სარაფარდებისა. მინდორი იგი ძლივ იტევდა კარვებსა მათსა და აღმდგომსა მისსა და უმეტეს ქართველთასა. ესრეთ წყნარად და უკადრად მდგომარე იყო სულტანი. და ეახლა დავით და ქართველნი. დააწყუეს რაზმი, სადა იგი წინამბრძოლად იყო ზაქარია მჯარგრძელი ამირსპასალარი და ახალციხელნი შალვა და ივანე, და სხუანი თორელნი; და ერთ კერძო აფხაზნი და იმერნი, ერთ კერძო ამერნი და ჰერკახნი. ესრეთ წყნარად ვიდოდეს. დარაჯნი არა უდგეს სულტანსა, არამედ იხილა კაცმან სულტნისამან: მოვიდა სპა ურიცხჳ ქაფარი. წარიკუეთა სასოება მეფისა მათისა. ხოლო იგინი განკრთეს და მოიღეს ჯოგი; აღიჭურნეს და აღსხდეს ჰუნეთა, ბარგი და კარვები დაუტევეს. რა მოვლეს კარავთაგან, წინაგანეწყვნეს, და ეახლნეს წინამბრძოლნი ორთავე, და იქმნა ომი ფიცხელი და ძლიერი, რომელი ძუელ ოდესმე ქმნილ იყო მჯნეთაგან ეგევითარი ომი.

და განგრძელდა მყოვარ ჟამ და მოსწყდებოდეს ორგნითვე, ხოლო უმეტეს სულტნისა სპანი მოისრვოდეს. და ესეოდენ განგრძელდა ომი, რომელ მოუკლეს ცხენი ივანეს მსახურთუხუ-

ცესსა, ზაქარია გაგელს, ახალციხელთა შალვასა და ივანეს, თაყაიადან თმოგუელსა, კაცსა მჯნესა, და სხუათა მრავალთა თავადთა და კნინლა სივლტოლად მიდრიკნეს, დ ქუეითად დარჩეს რაზმსა შინა მჯნენი საქართველოსანი. და იხილეს ლაშქართა თავის-თავისნი პატრონნი ქუეითნი, გაწირნეს თავნი სიკუდილად და ჩამოჯდეს ცხენისაგან და პატრონთა მათთა გუერდსა დაუდგეს, ქუეითნი ქუეითთა, და ეგრეთ ძლიერი ომი შეიქმნა. და ვითარ იხილა დავით მჯნემან, ამანცა მჯნემან მორიდა ერთ კერძომან, და მარჯუენასა მჯარსა მორიდა ზაქარია მჯარგრძელმან. და ვითარ ქართველთა განეშორეს, რათა არა ცხენითა მათითა დაითრგუნნა ქუეითნი ქართველნი, და მიმართეს სპარსთ კერძ. და ვითარ ნადირისთჳს მოსწრაფე იქმნეს მონადირე, ეგრეთ მსწრაფლ მოეტევნეს ერთ კერძო სოსლან დავით და ერთ კერძო ზაქარია, გარნა ვინ უმახლობელეს იყო, უწინარეს მივიდა. მასვე წამსა შინა დავით და სპა მისი მივიდა და, ვითარ მგელნი ცხოვართა, ეგრეთ შეუცვივდეს ურიცხუსა მას სპასა შინა სულტნისასა. პირველსა მოკიდებასა და ხეთქებასა ჯრმალთასა მოხედა წყალობა აურაცხელმან ღმერთმან მოსავთა ჯუარისათა, და განადიდა დიდება დავითისი და თამარისი ვარძიისა ღმრთისმშობელმან. და ანასდათ ეგოდენი სიმრავლე განსქდა, იძლია, დაიპანტა, და ამას ჰგუანდა — თუალგარდუწდომელი მაღნარი მიწითურთ მოგლეჯილ იყო და დაზულეულ, და ღირს სადმე ყოფილიყო. სადგან თუალი მხილველობდა, ყოველგან ტყეთა მსგავსი ლაშქარი იხილვებოდა ლტოლვილი.

ხოლო მჯნე ესე ქართველნი, რომელნი ესე ზემო ქუეითად მყოფნი ვაჯსენეთ, აღსხდეს ჰუნეთა და ვიდრე ღამედმდე, დევნა უყვეს და ჯოცდეს, ჩამოჰყრიდეს და იპყრობდეს და თჳთ ნათვე ჯარითა ვერ იტევდეს და ურთიერთას დასთრგუნვიდეს.

ამათ თხრობათა მოწევნულსა კუალად მენება დუმილი: განკვრეებულ ვარ, თუ ვითარითა წყალობითა მოხედა სამკჳდრებელსა თჳსსა ღმერთმან და ვარძიისა ღმრთისმშობელმან, ვითარ უვნებელად დაიცვა მის წინაშე და მისი შეევედრებული ერი ქართველთა და ეგრეთ წარმოვლენილი ერი, რომელ ეგოდენისა სიმრავლისაგან არცა ერთი ვარგი, მეფისაგან შესწავლილი, კაცი მოკუდა, ვითარ ეგოდენი სიმრავლე სპისა მათისა ივლტოდა და თუ ვითარ უვნებელად დაიცვა სპანი თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარისნი: აღივსნეს ოქროთა და ვეცხლითა და ჭურჭლითა ბეტიოსნითა. ხოლო ცხენ-ჯორისა და აქლემისა სიმრავლე, რომელ დაყარეს, ვინმე აღრაცხნეს? ხოლო კარავთა საფენელთა და შესამოსელთა და ლარის არტახთა მიერ სავსე იყო ყოველი საბანაკო მათი, რამეთუ ესეოდენ ზარგანჯდილნი ივლტოდეს, რომელ მოსწრაფენი არა მიხედვიდეს კარავთა და ფარდაგთა მათ სიმდიდრეთა, არამედ თჳთოთა ცხენითა ივლტოდეს და მარჭაფასა განუტევებდეს.

ესრეთ ძლევაშემოსილნი, მადიდებელნი ღმრთისანი, შემოიქცეს და დადგეს კარავთა შინა მათთა. ვითარ რიყე იდვა მუზარადი შაქრისა. და იყო იგი ადგილი წყაროთა სავსე; მოვიდის კაცი და მუზარადისა სადები ამოჰფრიწის და შაქრითა გატენის და წყლითა აღავსის და სუმიდის. ესრეთ სახელოვანმან დავით მიმართა მზესა მისსა მიმართ.

ხოლო ესე თქმულ არს, რომელ მეფისა თამარისა ოძრჯეს ყოფასა შინა ეახლნეს შავთელი იოვანე და ევლოგი, და იყო ვედრება ღმრთისა და ღამეთა გათევა ლაშქართა გამარჯუებისათჳს. დღესა ერთსა შავთელი და ევლოგი მეფესა თამარსა წინაშე სხდეს და ანასდათ განკჳრვება დაეცა ევლოგის: იწყო აღმართ ხედვად. ვითარ ხედვიდა, ანასდათ ევლოგი დაეცა ჭმუნვის სახედ — და ვითარ აჰა ესერა — სამგზის, და მეყსეულად ახლტა და ჴმა ყო: „აჰა წყალობა ღმრთისა სახლსა ზედა თამარისსა მოიწია!“ და ივლტოდა და აღვიდა მთასა, რომელსა ჭქჳან არაგანნი. მაშინ შავთელმან რქუა: „უწყოდე მეფეო, რომელ ჩუენება იხილა სულელ-საგონებელმან, გარნა ჩუენებასა კეთილსა ვჰგონებ!“ ამისთჳს დაწერეს დღე და ღამე და ჟამი იგი.

მოწყალემან ღმერთმან პირველ შესახა ესე ყოველი ნივთთა აგება უკანასკნელისა ჴსნისა ჩუენისათჳს და მოწყალემან მასვე დღესა შესახა ჴსნა ჩუენი აღდგომითა თჳსითა და ესრეთ მხიარულითა პირითა სახელგანთქმულნი მოვიდეს ვარძიას, თჳთ თამარიცა მივიდა. და ჯეროვანი მადლობა შეწირეს.

ამათ დღითი დღე წარმართებათა და განდიდებათა შინა იყო სკიპტრისმპყრობელთა ყოველთა უბრწყინვალესი თამარ; უმეტეს შეუმატებდა ღმრთისმსახურებასა, ეკლესიათა და მონასტერთა კაზმასა და შენებასა, ობოლთა და ქურივთა შეწყალებასა და სამართლისა მოფენასა. ამას შინა იშუებდეს და ია-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რებდეს სამეფოსა; ჟამ გარდვიდიან აფხაზეთს დ განაგ[illegible]ნ-ნენი მანდაურნი, და მოინადირიან კეთილი იგი სანადირო — გეგუთი და აჯამეთი. მერმე გარდმოვიდიან ქართლს, სომხითს, და დადგიან დურს; მოვიდიან ხარაჯითა განძელნი და აღმართ-ქალაქნი. გაზაფხულ აღმოვლიან სომხითი, მოიღიან ხარაჯა ნახჭევნელთა; და წარვიდიან კოლას, თავსა არტანისასა, და მუ-ნით მოიღიან ხარაჯა კარნუ-ქალაქით და ეზინკით და სხუათა გარემოსა ქალაქთა.

ესრეთ სიხარულსა შეუთქს მწუხარება.

ამისთჳს მოიწია მწუხარება, რამეთუ მიიცვალა სოსლან დავით, კაცი აღსავსე ყოვლითა სიკეთითა, საღმრთოთა და საკაცობოთა, შესახედავად განშუენებული ხოლო წყობათა და ომთა შინა მჯნე ვინმე გულოვანთაგანი, უხჳ და მდაბალი და სიკეთე აღმატებული. და დაუტევნა ორნი ძენი: ყრმა ვიდრემე ლაშა-გიორგი, ხოლო ასული რუსუდან. და იტირეს და იტ-ყებდეს და დაუტევეს მწუხარება ყოველსა მკჳდროვანსა.

მათ უკუე ჟამთა, არა მცირედ მყოფელთა, მშჳდობა იყო ყოველგან. და მეფე იყო გეგუთს, რამეთუ იყო წმიდა მარხვა-ნი; მჯარგრძელნი ორნივე მეფეს წინაშე იყვნეს. და ვითარ ცნა არდაველის სულტანმან, აღძრა მტერობა ქრისტეანეთა ზე-და და შოუწოდა სპათა მისთა, და წარმოემართა და მოაოჯრა ანისი, რამეთუ უწყოდა მჯარგრძელთა შინა უმყოფლობა. წარ-შოვიდა და აღვლო რაჯსის პირი, და უგრძნობლად მოვიდა ანისსა; გზა-გზა არავის ავნო და დიდსა შაბათსა მწუხრი მო-ვიდა ქალაქსა ანისისასა. და ვითარ ცისკარი მოეახლა და ჰკრეს ძელსა და განახუნეს კარნი ქალაქისანი, მყის მიეტევნეს კარ-სა ქალაქისასა, შეუტევეს ცხენი, და ვერ მოასწრეს კარნი, და შევიდეს ქალაქად. იწყეს ჯოცად, კლვად, ტყუეობად. უმრავ-ლესი ერი იყო ეკლესიათა შინა, ვითარ შეჰგავს ქრისტეანეთა სჯულსა. რომელიმე ივლტოდა დარბაზოანთა და მუნ გამაგ-რდა, რომელიმე ივლტოდა ჭუაბოანსა, რომელსა ქარტუნობი-თა უჴმობენ. და რა განერა, ანუ ციხესა ანუ ქარტუნსა შინა შევიდა, რამეთუ გარეშემო სამგნით ქარაფი იყო კლდიანი და ჭუებიანი.

ესრეთ ჴელთ იგდეს ქალაქი, ერთი ბევრი და ორი ათასი კაცი ეკლესიათა შინა, ვითარ ცხვარი, დაკლეს, თჳნიერ მისსა, რომელი უბანთა და ფოლოცთა შინა მოიკლა. ესეოდენ მძჳნ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვარედ მოაოჯრეს ანისი, და სავსენი ტყვთა და ალაფითა მი-
იწივნეს შინა.

ესე ანისისა მოოჯრებისა ამბავი გეგუთს ახალ-კვრიაკედ
აცნობეს მეფესა თამარს, ამირსპასალარსა ზაქარიას და მსა-
ხურთუხუცესსა ივანეს. ესმა და დიდად დამძიმდეს, და მწუ-
ხარებამან მოიცვნა, და რამცა ყვეს არა უწყოდეს; გულნი
მათნი ცეცხლებრ ენთებოდა. მეფე და ყოველნი სპანი მისნი
მწუხარებითა და გულისწყრომითა მოცულნი სპარსთა მიმართ
ბრძოლისა ყოფად აღემზადნეს.

მაშინ მჯარგრძელთა რქუეს მეფესა: „მოიწია ბოროტი
ჩუენ ზედა გარდასლვითა მცნებათა ღმრთისათა; უბოროტე-
სად ესეოდენი სული ქრისტიანე მოიკლა ცუდსჯულთა სარკი-
ნოზთა მიერ ცოდვათა ჩუენთათჳს. არამედ ვესავ წყალობასა
ღმრთისასა და პატიოსანსა ჯუარსა, რათა არა მისცნეს მოსავნი
ჯუარისანი სრულიადსა წარწყმედასა სარკინოზთა მიერ, არა-
მედ შურ-ვაგოთ, ნაცვლის ქმნად განვემზადნეთ, და სიცრუვე
მათი მათვე მიექცეს. შენ, მეფეო, ამცენ სპათა შენთა — მზა
იყვნენ არდაველის სულტანსა ზედა; წარვიდეთ ანისს და, ვინ
სადა ვპოოთ სპარსთაგან, მოვინადიროთ. ნუ დიდნი წავალთ,
გარნა მცირენი რამეთუ, უკუეთუ დიდნი წავალთ, სცნობენ და
სიმაგრეთა შევლენ; მცირითა ლაშქრითა შემეწიე. რაჟამს შე-
გინებული მარხვა მოვიდეს, მზამცა არიან, რომელ ჩუენ მო-
გაჯსენოთ“. სთნდა მეფესა თქმული მათი. და უბრძანა მეფე-
მან, რათა მზა იყვნეს სპანი მისნი.

და მჯარგრძელნი წარმოვიდეს ანისს და იწყეს კაზმად. და
მოეახლა ბილწის სჯულისა მათისა მარხვა. წარმოავლინეს მე-
ფეს წინაშე კაცი ლაშქრის მთხოველი. მაშინ უბრძანა მესხთა,
თორელთა, თმოგუელთა, ჰერ-კახთა, სომხითართა; ქართველნი
არა წარიტანნეს, რათა არა აგრძნან არდაველს მყოფთა. შეკ-
რბეს ანისდა წარემართნეს არდაველს. გარდავლეს გელაქუნი
და ჩავლეს ისპიანი, გავიდეს ხუდაფრინის ჯიდსა და მიმართეს
არდაველს. ესრეთ მოუწონეს ჟამი, რომელ აიდი განთენდებო-
და, რომელ არს აღვსება მათი, და მას ღამესა გარე მოადგეს
არდაველს. ვითარ ჯმა-ყო ქადაგმან ბილწისა ქადაგებისა მა-
თისამან და გაჯშირდა მუყრთა ყივილი, ყოვლგნით ცხენი შე-
მოუტივეს მჯარგრძელთა, შეუჯდეს და უომრად ჴელთ იგდეს
ქალაქი, თჳთ სულტანი, ცოლნი და შვილნი მისნი და ყოველი

სიმდიდრე სულტნისა ქალაქისა. ესრეთ აღივსნეს სიმდიდრითა აურაცხელითა, თუალითა და მარგალიტითა, ოქროთა და ვეცხ-ლითა, ჭურჭლითა ოქროსა და ვეცხლისათა, შესამოსლითა, საფენელითა და ყოვლითა სიმდიდრითა ეგეოდენ გამდიდრებულისა ქალაქისა, რომელ მოთხრობა ძნელ სადმე არს. აღივსნეს ცხენითა, ჯორითა, აქლემითა, საქონელი მათი თჳთ მათვე საჴედართა ძლით აჰკიდეს და წარმოემართნეს. ხოლო სულტანი არდაველისა მოკლეს, ცოლნი და შვილნი მისნი ტყუეჰყვეს და წარმოასხეს; ათორმეტი ათასი კაცი რჩეული მიძგითთა შინა მოკლეს, ვითარ მათ ყვეს ანისისა ეკლესიასა შინა; სხუა უმრავლესი ერი მოსწყჳდეს და სხუა ტყუე ჰყვეს. აღმოიარეს იგივე გზა და ისეთი ძლევაშემოსილნი მოვიდეს ანისს დიდად ნუგეშინის-მცემელნი. მოვიდეს მეფეთა-მეფესა და მზეთა-მზესა და დედოფალთ-დედოფალსა წინაშე; მოიღეს ძღუენი და არმაღანი, აღავსეს ყოველი მთავარი, თჳთ მეფე და ყოველნი წინაშე მისსა მყოფნი. მას ჟამსა კოლას დგა მეფე, აღივსო ყოველი ქუეყანა სიმდიდრითა, ოქროთა, ვეცხლითა, თუალითა, მარგალიტითა, რომელი მოიღეს ზაქარია და ივანე. რომლისათჳსცა დიდად მადლიერმან მეფემან უბოძა მრავალნი ციხენი და ქალაქნი და ქუეყანანი. ესრე მადიდებელნი ღმრთისა იშუებდეს. და მეფე ნებიერად იყოფოდა და მოუდიოდა გარეშემოთადაღმა ხარაჯა და ძღუენი ურიცხჳ.

არამედ სხუანი უდიდესნი საქმენი აღმოუჩნდეს. მოვიდეს მჯარგრძელნი, ამირსპასალარი ზაქარია და მსახურთუხუცესი ივანე და ვარამ გაგელი, მეფეს წინაშე და მოაჯსენეს: „ძლიერო ჴელმწიფეო, შარავანდედთა შორის უმეტეს აღმობრწყინვებულო! იხილე და განიცადე სამეფო თქუენი და ცან სიმჴნე და სიქველე სპათა შენთა; გულისჴმა ყავ, რამეთუ მრავალნი ახოვანნი, მჴნენი და რჩეულნი იპოებიან სპათა შენთა შორის, რამეთუ არა არს წინააღმდგომი მათი. აწ ბრძანოს მეფობამან თქუენმან, რათა არა ცუდად დავიწყებასა მიეცნეს სადამე სპათა შენთა საქმენი, არამედ აღვამჴედროთ ერაყს, რომგურსა ზედა, რომელ არს ხუარასანი, და ცნან ყოველთა სპათა აღმოსავლეთისათა ძალი და სიმჴნე ჩუენი. და უბრძანე სპათა საქართველოსათა — მზა იყვნენ ლაშქრობად ხუარასანს. დაღათუ არავინ ქართველთაგანი მიწევნულ არს ხუარასანს და

ერაყს, არამედ ბრძანე, რათა ნიკოფსით დარუბანდამდე აღი-ჭურნენ და მზა იყვნენ!“

და ვითარ ესმნეს თქმულნი მჯარგრძელთანი მეფესა, მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ამის სამეფოსათა, იმერთა და ამერთა, და აუწყა თქმული მათი. ვითარ ესმა ლაშქრად წუევა მჯარგრძელთაგან, სთნდა ყოველთა თქმული მათი და დაასკუნეს ლაშქრობა და იწყეს კაზმა.

მოიწია არე სთულისა, მოვიდეს ტფილისს მეფეს წინაშე. განახნა სპანი მისნი და იხილნა აბჯარითა კეთილითა და პატიოსნითა და მოუწონა აბჯარი და ცხენკეთილობა მათი, სიდიდე და სიმჯნე სპათა მისთა, შურითა სპარსთათა აღსავსეობა და მოიღო დროშა სჯანად ჯმარებული, გორგასლიანი და დავითიანი, და შეავედრა მასვე ვარძიისა ღმრთისმშობელსა. დროშა და ლაშქარი დალოცა და წარავლინა სპარსეთს და მისცა დროშა ზაქარია ამირსპასალარსა, და წარემართნეს სპარსეთად.

ჩავლეს პირი ნახჭევნისა და გავიდეს ჯულას და რაჯსა, და შევლეს ვიწრო იგი ჯევი დარდუზისა, და აღვიდეს მარანდსა. ხოლო მარანდელნი, ამისნი მცნობელნი, ლტოლვილ იქმნეს კლდეთა შინა. ხოლო ესენი მარანდს რა მივიდეს, არა პოვეს კაცი, ეგონათ მთასა მარანდისასა ყოფად სპათა ადარბადაგანისათა. ამისთჳს დაარჩიეს ნუთასი მჯედარი რჩეული დიდებული და აზნაური. უჩინეს მჯედართმთავრად თაყაიადინ თმოგუელი. წარემართნეს, აღვლეს აღმართნი მარანდისანი, აღვიდეს ვაკესა თავსა მარანდისასა და დადგეს მთასა მას, რამეთუ ესრეთ ემცნო ზაქარიას: „არავის ბრძოლოს მიღმართ, სადამდის არა მივიდეს იგი და სრულად ლაშქარი მთასა მას ზედა თუ დიდი ლაშქარნი ნახონ, აცნობონ ზაქარიას; რაც რქუას, ყონ“.

და დადგა ხუთასი კაცი წარჩინებული. იხილეს მთით მარანდელთა, რომელნი შელტოლვილ იყვნეს ღირღალთა და კლდეთა მაღალთა, რომელ არს ზედა კერძო თავსა მთასა მარანდისასა, უმაღლესი სხუათა მთათა, სავსე ქვითა და კლდითა. იხილეს მცირე ლაშქარი და აღიჭურეს, მოუჯდეს ზარითა და ამბოხებითა მარანდელნი, რამეთუ საწუნელ უჩნდეს სიმცროსათჳს. ხოლო ესენი მიეტევნენ ესოდენ ძლიერ და აოტნეს, რომელ მცირედნი განერნეს, და უმრავლესნი მოკლეს და სხუათა დევნა უყვეს გრძლად.

მაშინ აღვიდეს ლაშქარნი და იხილეს ნაომარი ადგილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკუდრითა კაცისა და ცხენითა სავსე, და ქართველთა კაცი
ცა ერთი იპოებოდა. ესეოდენი ძლევა მოეცა ღმერთსა, რომელ
ხუთასი შუბი ხუთასსა კაცსა და ცხენსა ზედა ესუა. იხილეს
და განკვრდეს; კაცისა ქართველისა ვერ პოვნა უკვრდათ. ამის-
თჳს ულონო ქმნილი და მწუხარე ზაქარია იგონებდა და არა
უწყოდა, რამცა ყო. მცირე ხანი დაყვეს, გამოჩნდეს დევნისა-
გან შემოქცეულნი ლაშქარნი. და იხილა ზაქარია და გამხია-
რულდა. და დიდად მადლობდეს ღმერთსა, რომელ არცა ერ-
თი კაცი მომკუდარიყო ქართველი და ასეთი ძლევა მისცემო-
და, რომელ ხუთასი შუბი ხუთასსავე კაცსა ხუთასისა ცხენისა
და კაცისათვის შეეცა და ხუთასსა ზედა დასობილი იხილეს.

დაღათუ ესრეთ გამარჯუებოდა, გარნა ყოვლად აბრალობ-
დეს თაყაიადინსა, და უმეტეს ზაქარია მჭისედ ეტყოდა სიტყუ-
ასა ამბავის უცნობებლად შებმისათჳს.

განმხიარულებულნი და მადიდებელნი ღმრთისანი გამარ-
ჯუებისათჳს წარმოემართნეს და მიმართეს ქალაქსა თავრეჟს.
გარდავლეს მთა დევსოფნად წოდებული. და ვითარ ესმა თავ-
რეჟს მყოფთა მისვლა ქართველთა ლაშქრისა, განკრთეს, და
ძრწოლამან შეიპყრნა ყოველნი მკჳდრნი თავრეჟისანი. ხოჯანი
და ყოველნი წარჩინებულნი და მიმდგომნი თავრეჟისანი გა-
ნიზრახვიდეს, რათა ხარკის მიცემითა, და ძღუნითა და შევრ-
დომითა და ზენარისა თხოვნითა დაამშჳდნეს ქართველნი თა-
ვადნი და სპანი. წარმოავლინეს მოციქული, ითხოვეს მშჳდო-
ბა, არა მოოჴრება ქალაქისა მათისა. აღუთქუეს ძღუენი: ოქრო
და ვეცხლი, სხუა მრავალი თუალი პატიოსანი და მარგალიტნი
ძჳრფასისანი. განკჳრდეს ყოველნი წარჩინებულნი ქართველ-
ნი, ზაქარიაცა და ივანე მჴარგრძელნი; აღუთქუეს მშჳდობა
და უჴნებელ განვლა ქუეყანისა მათისა, მოიმტკიცეს ფიცისა
მიერ. მოვიდეს ყადნი, ხოჯანი, დარვეშნი და ყოველნი თავად-
ნი თავრეჟისანი, მოიღეს ოქრო და ვეცხლი, ლარი, ცხენები,
ჯორი და აქლემი, თუალი, მარგალიტი, შესამოსელი, საზრდე-
ლი კმა საყოფი ლაშქართათჳს. აღივსნეს დიდი და მცირე.

მისცეს ქალაქსა მცველნი და წარვიდეს. განვლეს ადარბა-
დაგანი, მიმართეს მიანას. და ცნა მელიქმან მიანისამან მისლვა
ქართველთა და ქმნული თავრეჟელთა. ითხოვა მანცა მშჳდობა
და აღუთქუა მოცემად ერიცხჳ საქონელი. რომელი ესმინა
ზაქარია, მოიყვანა მშჳდობის ყოფად, და მოიღო მანცა ოქრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვეცხლი და ქვანი ძვრფასისანი. აღავსნა მანცა ყოვლითა სიმდიდრითა. დაუტევნეს მცველნი და წარმოვიდეს მშვდობით დამტევნელნი მიანისანი.

მიიწივნეს მცირესა ქალაქსა ზანგანს, ალიზის ზღუდით განმაგრებულსა. ხოლო ქალაქი ძლიერად გაამაგრეს და იწყეს ფიცხლა ბრძოლა. ვითარ გაგრძელდა ომი, განყვეს თემთა და თემთა ზღუდე ქალაქისა, რათა შესთხარონ. და იწყეს თხრად ზღუდეთა: უწინარეს მარჯუენასა მჯარსა მესხთა შეჯურიტეს ზღუდე — ალიზით იყო, — და უწინ შევიდეს ქალაქსა შინა და იწყეს ჯოცად და სრვად ვინცა მეომარი იყო. აღივსნეს მესხნი საქონლითა. შემოჯურიტეს ყოველგნით და შემოვიდეს, მოატყუევეს და აღივსნეს საქონლითა. დადგეს და მცირედ განისუენეს. და მიერ აღმჯედრნეს და წარემართნეს ხორასნად და მწუხრი მივიდეს მცირესა სოფელ-ქალაქსა მუსულმანსა, რომელი მოაოჯრეს, და განისუენეს სადამე.

მერმე წარემართნეს ქალაქსა ხუარასნისასა, და ყაზმინს რა მიიწივნეს — მახლობლად ყაზმინისა და აჰვრისა — ვერ წინააღუდგეს; მოარბიეს და აღივსნეს საქონლითა; აჰკიდეს საქონელი მათი მათთავე საჯედართა; კაცთა არა ავნეს, ტყუედ წარმოიყვანდეს კაცთა და მცირედსა ვაჟსა. წარემართნეს, მათ ლტოლვილთა მიესწრნეს და მიეწივნეს. აღივსნეს მუნცა ოქროთა და ვეცხლითა, ცოლთა მათთა სამკაულითა. და უშინაგანესისა რომგურისა მიმართ მიიწივნეს, რომელ არს ხუარასანი.

და რაღა გრძელ სიტყუა საჯმარ არს? მიიწივნეს ვიდრე გურგანისად ქალაქად და მოაოჯრეს ქუეყანა იგი. ვერ ძალ ედვა წიაღ მისლვად ალაფისაგან.

შემოიქცეს გამარჯუებულნი და ძლევაშემოსილნი ქართველნი. ქართველთა ნათესავი ვერავინ მიწევნილ იყო ლაშქრად, არა მეფე, არა მთავარი, და ვერვინ წინააღუდგა სპარსეთს შესულთა, ვერ ხუარასნისა სულტანი, ვერ ერაყისა და ვერა რომელი თემი. ესრეთ უზომოთა და ურიცხვთა სიმდიდრითა შემოქცეულნი მივიდეს კერძოთა ერაყისათა. და ვითარ გურგანისა ქუეყანისა ამბავი, ქართველთა მიერ ქმნული, უცნაურ ქმნულ იყო ყოველთა და ერაყის სულტნის მოსრვა, კაცი ვინმე მოსრულ იყო მიანას სულტანსა თანა, ესევითარი ტყუვილი სიტყუა ეთქუა, ვითა: „ვითარ მოვიდა თვთ დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულტანი და გილანელნი, ყოვლგნით გზა შეუკრეს ქართველთა და მოსრნეს და მოსწყჳდნეს, რომელ არცა ერთი კაცი განერა ეგოდენისა სიმრავლისაგან, არცა მთხრობელი მივა საქართველოთა".

ხოლო ესე რა ესმა მელიქს მიანისასა და მიანელთა, განიხარნეს, ქართველთაგან დატეეებულნი მცველნი მიანისანი დაკოცნეს და ძელსა ზედა ჩამოჰკიდეს. გარნა ერთი კაცი დაიმალა მცველთა მათგანი ქალაქსა შინა. და ვითარცა მოვიდეს ქართველნი გამარჯუებულნი მიანას, წინამიეგება მიანისა სულტანი ძღუნითა, ნაქმრისა მათისა დაფარვა ეგონა. და იხილა ზაქარია, იკითხნა მცველნი მისგან დატეეებულნი: რქუეს მათ: „თავრეჟს წარვიდეს მუნ დატეეებულთა მცველთა თანა". მოვიდა დამალული იგი კაცი მცველთა, და აუწყა ნაქმარი მიანელთა და მცველთა მოწყუედა, ტყავის განჴდა და ძელსა ზედა დაკიდება, და შესწამა მელიქს პირისპირ, და იგინი იდგეს უსიტყუელ.

და ვითარ ესმა ესე ზაქარიას და ივანეს, ძლიერად გამწარდეს და ბოროტად აღუჩნდა; და შეიპყრეს მელიქი და თჳსნი მისნი, და ყოველნი სიკუდილად დასაჯის; და მოაკუდინეს თჳთ იგი და შვილნი მისნი, და განჴადეს ტყავები და საყივარსა, რომელსა მენარა უწოდეს, ზედა ჩამოჰკიდეს, და ქალაქი მოაოჯრეს, მოწუეს, ტყუე-ყვეს, ხოლო სიმდიდრე რომელ წარმოიღეს შეუძლებელ სადამე არს აღრიცხვად.

და ესრეთ მოჰმართეს გზასა, რომელ აღმავალ იყო ადარბადაგანით, და მოვიდეს და მოეგებნეს პირველად უჟენით და მერმე თავრეჟელნი მითვე ძღუნითა ურიცხჳთა, და მოართუეს სიმდიდრე აურაცხელი, რომლითა აღივსო სრულიად სამეფო. თჳთ მეფეთა მზისა და მზეთაცა მზისათჳს წარმოგზავნეს თუალნი დიდ ფასისანი, ძჳრად საპოვნელნი, და ჭურჭელნი უცხონი. და დაუტეეს მშჳდობით მყოფნი ადარბადაგანისანი და ქალაქნი ადარბადაგანისანი, გამოვლეს რაჴსი, და შემოვლეს პირი ნახჭევნისა და მოვიდეს ტფილისს მეფეს წინაშე. მხიარულ იქმნა მეფეთა მეფე, მმადლობელი ღმრთისა, მხიარულითა პირითა გაეგება, ზემითა და დიდებითა. იყო ჴმა ბუკთა და დუმბულთა, რომელი არცა ძუელ ოდესმე ქმნულ იყო ესევითარი გამარჯუება არცა მეფეთაგან, არცა მთავართაგან.

შევიდეს ისანთა, დაჯდა მეფე ტახტსა სამეფოსა; შეუძღუა

ამირსპასალარი და შევიდეს თავადნი და დასხდეს წესისაებრ. და მოიღეს არმალანი ურიცხვი და დადვეს მეფეს წინაშე. განკვრდა მეფე; არავის ქართველთაგანსა ენახა ეზომი სიმდიდრე, და აურაცხელნი თუალნი და მარგალიტნი. ხოლო მეფეცა თამარ არა უმადლო იპოვა ღმრთისა მიმართ; აღასრულებდა ლიტანიობასა და ღამისთევასა, მრავალნი გასცა ობოლთა და გლახაკთა ზედა და ლაშქართა ზედა გაყო საჭურჭლე დიდი, აღვსებულნი კუალად აღავსნა. იყო მადლობა ესევითარისა გამარჯუებისათჳს ღმრთისა მიმართ!

ვინათგან მოიწია მწუხარება, და მიიცვალა ზაქარია ამირსპასალარი, ძე სარგის ამირსპასალარისავე, კაცი დიდად გამდიდრებული და ყოვლითა სათნოებითა აღსავსე, გამარჯუებული, მჯნე და ძლიერად მბრძოლი, მთავარი თემისა ლორისა, რომელი მეფემან იგლოვა და ყოველმან კაცმან საქართველოს მყოფმან. რამეთუ არავინ მჯნედ გამოჩენილ იყო მთავარი ჟამთა ამათ, რამეთუ გუარისაგანცა მო-ვე-აქუნდა, რომელი იყო ნათესავი არტაქსერქსი მჯარგრძელისა. და იყო სარწმუნოებითა სომეხი, არამედ ყოველნი სათნოებანი საღმრთონი და საკაცობონი აქუნდეს. და ესრეთ, დამარხეს მჯნე მამა დამტევებელი შვილისა ერთისა, რომელსა შანშა ეწოდებოდა.

მაშინ მეფემან მოუწოდა ძმასა ზაქარიასსა ივანე მსახურთუხუცესსა, და ინება პატივსა ძმისა მისისასა აღყვანება, და უბოძა ამირსპასალარობისა პატივი. ხოლო ივანე საქმეთა შინა განკჳრვებულ იყო და ესე რქუა მეფესა: „პატივი ესე, რომლითა პატივ-გიცემიეს ჩემდა, დიდად დიდი არს და მე უღირს ვარ; ესრეთ შემეწიე, რათა ძმისა ჩემისა სახელსა ჩემ ზედა არა აჴსენებდენ, რათა არა მრცხუენეს ნაცვლად მისა დგომად, არამედ ათაბაგობითა პატივ-მეც; საქართველოსა არა არს წესად და ჴელად თქუენ მეფეთა წინაშე ათაბაგობა. და ამით განადიდე წყალობა შენი ჩემ ზედა, რომე ახალსა და უალრესსა პატივსა ღირს-მყო და ათაბაგობა მიბოძო, რომელ სულტანთა წესი არს ათაბაგი, რომელი მამად და გამზრდელად მეფეთა და სულტანთა იწოდების ათაბაგი; ამით განადიდე წყალობა შენი უწინარეს ჩემთა პირველთა“. ყოცა მეფემან და უბოძა ათაბაგობა, რომელი არა ყოფილ იყო საქართველოს მეფეთა წინაშე, არცა ვის ბოძებოდა. მსახურთუხუცესობა უბოძა ვარამს,

ზაქარია გაგელის ძესა, კაცსა საპატიოსა და ლაშქრობათა-მოსილ-ნა გამარჯუებულსა. ესრეთ იყვნიან მეფეს წინაშე.

ხოლო მეფე თამარ ზამთრის დურს იყვის და ზაფხულს კოლას და ცელის ტბასა, ზოგჯერ გარდავიდის აფხაზეთს: გეგუთს და ცხუმს.

მათ უკუე ჟამთა იწყეს მთეულთა განდგომად, კაცთა ფხოველთა და დიდოთა. დიდონი უკუე ბუნებითა მშთვართა და უხარშავსა ჭამენ, და მრავალნი ძმანი ერთსა დედაკაცსა მიიყვანებენ ცოლად; რომელნი უჩინარსა რასამე ეშმაკსა თაყუანის-ცემენ და ზოგნი უნიშნოსა შავსა ძაღლსა, და ამას ჰყოფენ. ხოლო ფხოველნი ჯუარისმსახურნი არიან და ქრისტიანობასა იჩემებენ. ამათ იწყეს რბევად და ჴოცად და ტყუეობად, ცხადად და ღამით.

მოუწოდა მეფემან ათაბაგსა და ყოველთა მთეულთა: დვალთა, ცხრაზმელთა, მოჰევეთა, ჴადელთა, ცხავატელთა, ჭართალთა, ერწოთიანელთა, მისცა ივანე ათაბაგსა და წარავლინა მათ ზედა. ხოლო ივანე გონიერად ყო: აღვიდა მთასა ჴადისასა და წარვლო წუერი მთისა, წარდგა მთასა ფხოველთასა და დიდოთასა, რომელი არავის ექმნა, არცა პირველ, არცა შემდგომად, რამეთუ ერთ კერძო დაურჩა დურძუკეთი და ერთკერძო დიდოეთი და ფხოეთი.

ცნეს რა მისლვა ათაბაგისა, მოვიდეს ძღუნითა მეფენი დურძუკთანი, მოსცეს ლაშქარნი და დაუდგეს გუერდსა. და იწყეს ზეიდალმან ბრძოლად, და რბევად, და კლვად, და ტყუეობად და დაწუად; მოსწყჳდეს ურიცხჳ კაცი დიდი და ფხოვი, და დაყვნეს სამნი თუენი: ივნისი, ივლისი და აგვსტოსი. მაშინ შეიწრებულთა ათაბაგისათა მოსცეს მძევლები და აღუთქუეს მსახურება და ხარაჯა, და პირი სიმტკიცისა აღუთქუეს. წამოასხეს მძევლები, ქმნეს ზავნი. და ესრეთ გამარჯუებითა მოვიდა ივანე მეფეს წინაშე და რქუა: „ძლიერო მეფეო! იქმნა ბრძანება შენი, მოვაოჯრენ ურჩნი შენნი დიდოეთი და ფხოეთი“. ხოლო მეფემან დიდად დაიმადლა და უაღრესსა პატივსა აღიყვანა.

და იყო ყოველგან მშჳდობა, წარმატება, დღითიდღე შემატება სამეფოთა ღმრთივდაცულისა მეფისა თამარისი, ხოლო სპანი მისნი განსუენებასა, ნადირობასა და ბურთობასა. თჳთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავადნი და წარჩინებულნი მარადის მეფეს წინაშე იყვნიან, განისუენებდიან და აღივსებოდიან საბოძურითა მეფისა მიერ მათისა.

ხოლო გითარ დიდისა კოსტანტინეს ძმისწულისა ივბიმიანოსისათჳს წერილ არს, რომელ რქუა ანგელოზმან მონაზონსა ვისმე, მგოდებელსა სიკუდილისათჳს ივბიმიანოსისა; „რასა დააკლო ღმერთმან ქრისტიანეთა ესევითარი ესე მეფე, რომელსა ანგელოზმან დაადგა გჳრგჳნი სახილველად ყოველთა“ — და ეტყოდა ანგელოზი: „რა არს, ბერო, გამოძიება შენი მსჯავრთა ღმრთისათა? აწ გიბრძანებს, დასცხერ ბოროტისაგან. არა უწყი, რომელ აღმოსავლეთით დასავლეთამდის უკუეთუ ყოველი ქუეყანა მართლმადიდებელი იყო, არცა იგი ღირს იყო მეფობასა ივბიმიანოსისასა, არა თუმცა საბერძნეთი ოდენ“, — ეგრეთვე აწცა იქმნა ამის დიდისა მეფისა საქმე: არა ღირს იყო არამცა ყოველი ქუეყანა — არათუმცა საქართველო ოდენ — ამის მეფობასა.

ამისთჳსცა მოხედნა რისხვით მოწყალემან ღმერთმან სამკჳდრებელსა თჳსსა და მიიცვალა მეფე თამარ ტაბაჴმელსა დგომასა შინა. მოიწია მწუხარება მიუთხრობელი მკჳდრთა საქართველოსათა. და ძნელად გამწარებულნი იტყებდეს და ისხმიდიან თავსა ნაცარსა და მტუერსა ათაბაგი და ყოველნი. და იქმნა ტყება მსგავსი კალოთა ატადესთა და გოდებანი მსგავსნი მოოჴრებისა იერუსალემისანი ერემიაჲს მიერ მგოდებელისა, და ჴერცა ეგრე იყო. და ყოველთა ადგილთა მსხდომარეთა გოდებათა და ტყებათა შეიწუებოდეს მკჳდრნი სამეფოსანი. და იტყოდიან მიუთხრობელთა სიკეთეთა მისთა, გამარჯუებათა და მოწყალეობათა, მოსამართლეობათა, სიუხუეთა, სიმდაბლეთა. და წარიყვანეს სამკჳდრებელსა მათსა გელათს და დამარხეს სამარხოსა პატიოსანსა და დაუტევა სამეფო ძესა თჳსსა ლაშას.

ა რ ს ე ნ ი იტყჳს იყალთოელი:

მეფე, მთავარი, სიონი და წყარონი;
ჰაბუკი, ქალწული, ებგური საებგურო;
აღჳრი კიცუთა, თუალნი და ისრაელი,
გოდოლი, მენავე, სახლი და მამაცა,
მეგჳპტელი ცხენი, ლაზარე, ქუდი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი ო ა ნ ე ი ტ ყ ვ ს ჭ ი მ ჭ ი მ ე ლ ი:

თუ თალი მილისეველმან სფერო შესახა შამსისი,
მან ისტრულაბსა დასცა და მიდგნა დაყიყა ჯამსისი,

დ ა ვ ი თ, — ვთქუა, — ზესთა განდიდნეს, მით ჯრმალი ჯორცსა ჭამს მისი,
და აქილევისებრ ძალითა მჰყრობ ელადეთსა ჯამს ისი.

დიდება ღმერთსა!

ამან დიდმან და სახელგანთქმულმან ცხოვრებასა შინა დაუტევა მძლეობა ქართველთა გამარჯუებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი]

დაჯდა მეფედ გიორგი, ძე დემეტრესი, დავითის შვილისა, ქორონიკონსა სამასსამოცდათხუთმეტსა. ამან დაყვნა მორჭმასა შინა ყოველნი ჟამნი და დღენი მისნი და იმეფა კეთილითა მეფობითა და მატა ყოველთა საყდართა, მონასტერთა და ეპისკოპოსთა. ამას შვილი არა ესუა და მისთვს მწუხარე იყო უშვილოებისათვს. მერმე ინება ზეგარდამო მოწყალებამან ღმრთისამან, და იწყო მობერვად ნიავმან ამომან, და იშვა მათგან ქალი, ქმნილ-კეთილი, ყოვლითურთ უნაკლულო და შესატყვსი. ამას დაარქუა სახელი თამარ.

გარდაჯდეს ამას შინა წელნი რაოდენნიმე, და გარდაიცვალა მეფე გიორგი. და იქმნა გლოვა და მწუხარება უზომო, უფროსღა დასა თვსსა რუსუდანს.

ესე იყო სძალყოფილი დიდთა სულტანთა შამირამეთი და დედოფალი ყოვლისა ხუარასნელთა უფლებისა, რომელი სიქურივისათვს თვსადმე მამულად მოყვანებული დედოფლად დაჯდა ქართველთად, უფროსღა დიდებად სახლისა თვსისად და ყოვლისა ამის სამეფოსა. ამას წინაშე იყო თამარ მაშინ, ვითარცა თვსსა მამიდასა თანა, დითურთ თვსით, რომელსა რუსუდანვე მოაქუნდა სახელად. რომლისათვს აწ დამაკლებს წინამდებარე ესე მითხრობად, თუ რაოდენ შუენიერება და თავდგმულობა ექმნა ყოველთა პირველ მისსა ყოფილთა დედოფალთა. ვიკადროთ რამე, რამეთუ ოთხმოცისა წელიწდისა დღეთამან შეიყუარა მტკიცედ ქალწულება, სიწმიდე და სიკეთე დიდად სრული.

და ჩუენ პირველსავე სიტყუასა წარუძღუეთ. გლოვა იყო ნანდვლვე ღირსთა, არამედ არა თავს იდვეს წარჩინებულთა სამეფოსათა, მიმხედველთა თამარისთა. განიყარეს გლოვა და დასცეს საყვრსა, ვითარცა ოდესმე სოლომონისთვს, და დადგეს სვანი ტახტი ვახტანგეთი, საყდარი დავითიანი, რომელი პირველ მთოვარისა განამზადა მეფეთ-მეფემან საბაოთ ელოიმ სამფლობელოდ, ზღვთი-ზღუამდი და მდინარითგან კიდემდი სოფლისა. აღმართეს სკიპტრა დიდებულთა, ძელი ჯუარისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის თანა დროშა დავითისი, არაოდეს მობერილი წინააღმდგომთაგან ნიავთა და ყოველთა ერთა ჰმაქმნილთა აღუვსს თამარს ჯრმალი მამული თანა-საყდრითურთ მამისა მინიჭებული.

ლიტონად-მე შიიღოა დიდმან ამან გონებამან? არა, ნუ იყოფინ! უმშუენოდ-მე შეიწყნარა იგი გვრგვნმან და მეფობამან? ანუ არა მაღნანტ ექმნა ყოველსა თუალსა თვსად? ვინ ძველი სიტყუა აქა ახლად ვიჯმაროთ «ბრმა-შობილმან ბრმადვე წარვლო» უმხედველომან თამარისმან. ტანსა ზომიერსა გრემანობა თუალთა და ღაწუთა სპეტაკთა ზედა ვარდებრივ ფეროვნობა, მორცხვ ხედვა, ლაღი მიმოხედვა, ტკბილი პირი, მხიარული და ულიზღო სიტყვს სინარნარე და ზრახვისა უჩუკნობა. არა ცუდად დასდვა ღმერთმან მადლად თამარს ესრეთ შემკულობა. რომლისათვს არა უჯერო მიჩნს თქმად, ვითარმედ პირი ამისი პირველვე იქო დავითის მიერ თქმითა, რათა ლიტანიაობით თაყუანი-სცემდენ მეფენი და მთავარნი, და მეძღუნეობდნენ ნათესავნი.

ესრეთ იდიდა ღმერთი ყოველთა პირთაგან. იხილეს რა ჭელითა მღდელთმოძღუართათა მეფე გვრგვნოსანი, და ქება შეასხეს ძალითა საქებელსა ჯმითა ოხრისათა. და სთქუმცა, თუ ყოველნი ძალნიცა ზეცისანი თანაშემწე არიან სიხარულსა ქუეყანისათა. და ესე უსაკვრველეს მიჩნს ყოვლისამე, რომელ სხუა მჯედარი არაოდეს იხილა მის ჟამისათა მამადებრ მეფედ და ყოველნი ვითარ გამოცდილნი სასოებითა წინასწრობითა უძღოდა ერთი ერთსა, და სიხარულითა სავსენი ღმერთსა ჰმადლობდეს, მეფესა აქებდეს და თავთა ჰნატრიდეს.

დაჯდა ნებითა ღმრთისათა თამარ მეფედ დასაბამითგანთა წელთა ექუსიათს ექუსას ოთხმოცდაექუსსა, ქორონიკონსა ოთხას და სამსა, შვილი მეფეთ-მეფისა გიორგისი, დიდისა დავითის ძისა დემეტრეს ძისაგან, ცოლისაგან ბურდუხან ოვსთა მეფისა ასულისა, რომელი ჰმატდა სიკეთესა დედათასა სხვთა ყოვლითა, გარნა თამარის დედობითა, სძალი სხუა მისებრი მაშინ არა ეხილვა ქართლისა თემსა. და შემდგომითი შემდგომად აქონ.

ამიერითგან რა ჯერ არს თამარის თქმად, გარნა მონაცვლეობა ღმრთისა, სამეფოსა და ერისათვს, რამეთუ აღიღო გონება მაღლად და მდაბლითა სულითა, და განიცადა სიდიდე საქმისა, მისდა რწმუნებულისა, მიაყვნა მყვანებელსა თვსსა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზედვა და იწყო განგებად, ვითარ იგი მობერვიდა სული. მიმოიხილა სიმახვლითა ცნობისათა თვსსა გარემო ყოველი და მყისსა შინა შეემეცნა ხილვითა ოდენ წრფელთა და დრკუთა, და სიბრძნითა განგებითა თვსითა პირველად ყოველთა ზედა დასხა წყალობა უხუებით, რათა ჟამთა საქმეთასა ერთნი ერთგულობით მადლიერობდენ, ხოლო მეორენი უსიტყუელ იყვნენ მიგებისათვს სამართლისა.

ხოლო სჯულთათვს სულითთა მეორე კოსტანტინე იქმნებოდა და მისებრვე ჰგოროვნებდა დაწყებასა საღმრთოსა საქმეთასა, რამეთუ იწყო აღლესვად ორპირსა მახვლსა მოსასრველად თესლთა ბოროტთა და ინება, რათა იქმნას შეყრა და გაძორჩევა დიდთა მათ და მსოფლიოთა კრებათა.

პირველად აღმოუწოდა წმიდით ქალაქით იერუსალემით ნიკოლაოზს გულაბერისძესა, რომელსა სიმდაბლისა ძალითა ეჯმნა ქართლისა კათალიკოზობისაგან. ესე რა მოიყვანა, შემოკრიბნა ყოველნი სამეფოსა თვსისა მღდელთმოძღუარნი, მონაზონნი და მეუდაბნოენი, კაცნი მეცნიერნი სჯულისა საღმრთოსანი და მოსწრაფე იყო, რათა მართლმადიდებლობასა ზედა შემოთესილნი თესლნი ბოროტნი აღმოფხურნეს სამეფოსაგან თვსისა. რომელი-ესე ადრე განემარჯუა სასოებისა კეთილისა მქონებელსა.

ხოლო შემოკრბეს ორისავე სამთავროსა ეპისკოპოსნი, რომელთა პირად აქუნდა ზემო მოჯსენებული ნიკოლაოს, მსგავსი სეხნისა თვსისა, და ანტონი ქუთათელი საღირის-ძე, დიდად განთქმული სათნოებათა შინა და ძლიერი საქმით და სიტყვთ. მიეგებოდა მათ თამარ დიდითა სიმდაბლითა, ვითარცა კაცი და არა მეფე, ვითარ ანგელოზთა და არა კაცთა. შეკრიბნა ყოველნი ერთსა სადგურსა და დასხნა საყდრებითა, ხოლო თვთ დაჯდა შორის მათსა მარტოდ და არა მეფობით და ესრეთ ეუბნებოდა:

„ჰ წმიდანო მამანო, თქუენ ღმრთისა მიერ განჩინებულ ხართ მოძღურად ჩუენდა და მმართებლად წმიდასა ეკლესიასა და თანა გაც სიტყვს მიცემა სულთათვს ჩუენთა. გამოიძიეთ ყოველი კეთილად და დაამტკიცეთ მართალი, ხოლო განჯადეთ გულარძნილი. იწყეთ ჩემ ზედა, რამეთუ შარავანდი ესე მეფობისა არს და არა ღმრთის მბრძოლობისა. ნუ თუალ-ახუამთ მთავართა სიმდიდრისათვს, ნუცა გლახაკთა უდებ-ჰყოფთ სიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირისათჳს. თქუენ სიტყჳთა, ხოლო მე საქმით; თქუენ ენ-
ლით, ხოლო მე განსწავლით; თქუენ წურთით, ხოლო მე გან-
წურთით, ზოგად ჴელი მივსცეთ დაცვად სჯულთა საღმრთოთა
შეუგინებელად, რათა არა ზოგად ვიზღჳვნეთ: თქუენ ვითარცა
მღდელნი, ხოლო მე ვითარცა მეფე; თქუენ ვითარცა მნენი,
ხოლო მე ვითარცა ებგური".

ესმნეს რა სიტყუანი ესე ყოველსა მას კრებულსა მამათასა,
მადლობდეს ღმერთსა და თანად მეფესა ღმრთივგანბრძნობილსა. ჴდა უკუ-თამარ მცირედ ჟამ შორის მათსა, მერმე მო-
იღო კურთხევა მათგან და წარვიდა პალატად თჳსად.

ხოლო წინამძღუართა კრებისათა ნიკოლაოს და ანტონი,
რომელნი ვითარ პირმეტყუელნი მთიებნი უძღოდეს მომრგუა-
ლებასა ცაებრისა მის ვარსკულავთა კრებულისასა, არა ინებეს
შორის მათსა ყოფად მაშინდელი იგი ქართლისა კათალიკოსი,
რამეთუ წინაუკმო რამე იწყო წესთაგან ეკლესიისათა და
ჭყონდიდელ-მაწყუერელობა და მწიგნობართუხუცესობა მო-
ევერაგა უფლისაგან. არამედ ვერა განაყენეს, დაღაცათუ ფრი-
ად იღუაწეს, რომელი ადრე თჳთ განაყენა სასჯელმან ღმრთი-
სამან. ხოლო სხუანი ვინმე ეპისკოპოსნი შეიცვალნეს და მათ
წილ საღმრთონი კაცნი დასხნეს და სხუანი საეკლესიაონი წეს-
ნი განმართნეს უდებთა მიერ დაჴსნილნი.

ხოლო აღივსებოდა რა კრება, შემოვიდეს ყოველნი სპასა-
ლარნი და ერისთავნი სამეფოსანი და მოაჴსენეს მამათა, რათა
ზოგად იღუაწონ შემოყვანებად სიძისა თამარისთჳს, რომელი
ყვესცა. და შემოკრბეს წინაშე რუსუდან დედოფლისა და გან-
ზრახვითა ყოველთათა წარავლინეს კაცი ვინმე რუსთა სამე-
ფოდ ქრისტიანობისა და მართლმადიდებლობისათჳს მათ ნა-
თესავთასა. და ესე ვერა კეთილად განაგეს, რამეთუ არცა კა-
ცი იგი ღირსი საქმისა წარავლინეს და არცა მისსა მეცნიერ
იყვნეს, რომელსა-იგი მოიყვანებდეს.

შემდგომად ჟამისა მოიწია კაცი იგი წარვლინებული და
მოიყვანა კაცი დიდად გუარიანი, უდიდესი ყოველთა მათ მე-
ფეთა მის კერძოსათა და სახითაცა არა უმარჯჳ. რომელიცა
იხილეს რა, ყოველთა კაცთა სთნდა, რამეთუ არარას მეცნიერ
იყვნეს ჩუეულებისათჳს მისისა.

შეკრბეს წინაშე რუსუდან დედოფლისა პატრიაქი და და-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დებულნი, სპასპეტნი და ერისთავნი და აცნობეს თამარს და აწუევდეს ქორწინებასა და ასწრაფობდეს ამის პირისათჳს.

არამედ იგი მიუგებდა, ვითარმედ: „კაცნო, ვითარ ღირს არს შეუტყუებელი ესე ქმნად? არა ვიცით კაცისა ამის უცხოსა ქცევა და საქმე, არცა მჴედრობისა, არცა ბუნებისა, და არცა ქცევისა. მაცალეთ, ვიდრემდის განიცადოთ ყოველთა სიკეთე, გინა სიდრკუე მისი“.

ხოლო იგინი წინააღუდგებოდეს, უშვილობასა მოაკსენებდეს, სახლისა მისისა უნაყოფოებასა დრტჳნვიდეს, წინამძღუარსა სპათასა ითხოვდეს, და ყოვლითურთ შეაიწრებდეს სულსა მისსა, და ირემსა ემსგავსებოდეს სახისა ოდენ მიხედვითა, პილოთაებრ არა განიხილვიდეს მისაყრდნობელსა და ყოვლითურთ შეაიწრებდეს სულსა მისსა და ესეოდენ მძიმესა საქმესა სუბუქად შეეხებოდეს.

რასაღა მრავალსა ვიტყოდით? შემდგომად მრავლისა ცილობისა თჳნიერ ნებისა მისისა ყვეს ქორწილი და მრავალჟამ იყვნეს განცხრომასა შინა, მსგავსად საქმისასა.

არა მრავალთა დღეთა შემდგომად მიიღო აღსასრული სიტყუამან თამარისმან. და გამოაჩნდებოდეს რუსსა სკჳთურნი ვითარ ნაღებთა ბუნებითნი. და სიმთრვალეთა შინა საძაგელთა უწესოებად იწყო მრავალთა, რომელთათჳს ნამეტნავ არს წერად და თქუმად, რათა არა სიგრძედ მიიწიოს სიტყუა.

ორისა და ნახევრისა წელთა, ვითარ გურდემლი, მოითმენდა მჴნე თამარ უკეთურებათა რუსისათა, გარნა სხუა ვერღარავინ მოითმენდა. და იწყეს ჭრტინვად, არამედ ცილობათა მათთჳს პირველთა რცხუენოდა ყოველთა თამარისგან.

ხოლო ბრძენმან თამარ იძია მრავალი ღონე განკურნებისა მისისა და უბრძანა სარწმუნოთა მონაზონთა პირითა მრავალგზის, დაღათუ ყოვლად არა სარგებელ ეყო რუსსა. ამისთჳსცა თჳთ პირისპირ იწყო მხილებად მისდა, არამედ უფროს განძჳნდებოდა რუსი, ვითარცა ღმრთისაგან საფარველმოძურცილი. ვითარ იტყჳს წერილი, «ვკურნებდით ბაბილონს და არა იკურნებოდა». არა თუ ოდენ არა შეიგონა, არამედ უძჳრესთა მიმართ იწყო და შერაცხილნიცა კაცნი უბრალოდ გუემნა და ასოთა აღმოგდებითა ტანჯნა.

შეუძნდა ესე ყოველი თამარსცა და წინაშე ყოველთასა ესრეთ თქუა: „დაღათუ საღმრთოსა სჯულისა მიერ სწავლულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარ მე «არა განშორებად პირველსა საწოლსა», არამედ მელმან არა დაიცვას საწოლი თჳსი წმიდად, არა ჯერ არს მის თანა დათმენა, რამეთუ შემაგინებელ არს ტაძრისა ღმრთისა. და მე არა მიძლავს ჰჩრდილისა მრუდისა ხისასა განმართვად და უბრალოდ განვიყრი მტუერსაცა, რომელი ალმეკრა შენ მიერ".

ესე თქუა და აღდგა და დაუტევა იგი. ხოლო რუსუდან დედოფალმან და ყოველთა მთავართა საწყალობელად განაძეს იგი, და არა ეგეოდენ უბადრუკი მეფობისაგან დამჴობითა, რაოდენ შუენიერებისაგან თამარისსა დაკლებითა.

კუალად იწყეს ურვად ყოველთა, რამეთუ თამარს ხედვიდეს უშვილოდ და მარტოსა მკჳდრად სახლისა თჳსისა.

იყო უკუე შვილი ოვსთა მეფისა, გაზრდილი რუსუდან დედოფლისა, ყრმა ფრიად შუენიერი ასაკითა, ვითარცა შუენის მეფეთა შვილსა, სჴვთა კულა ზრდილობითა კეთილად წურთილი, მჴნე და მჴედარი ძლიერი, რაინდობითა უსწორო და მშჳლდოსნობითა შემმართებელი, ტანითა ახოვანი და ყოვლითურთ სრული სიკეთითა. ამისი ინებეს ყოველთა შეერთება თამარისი და საქმე ღმერთსა მიანდვეს. თამარცა მიემორჩილა წებასა მათსა მეცნიერებისათჳს ყრმისა. არღარა ყოვნეს, არამედ შეიყარნეს დიდუბეს, და შერთეს დავით თამარს.

შემოვიდეს ტფილისად, დასხდეს ტახტსა ბედნიერსა ორნი ნნათობნი, ორნი მზენი, ორნი განმანათლებელნი. განიხარა დიდითგან მცირედმდე ყოველმან ერმან, და ნიშანნი ცხოვრებისანი მაზინვე იხილვებოდეს მათ ზედა: იყვნეს ლაშქრობანი გამარჯუებულნი ზემოთ და ქუემოთ, და არა სადათ ვინ ჩნდა წინააღმდგომი.

მოკუდა ქართლისა კათალიკოსი, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, ქართველი, მირიანის ძე მიქაელ, რომელსა აქუნდა სამთავისიცა, და არავინ შეწუხნა მისთჳს, არცა დიდი და არცა მცირე, რამეთუ ყოველნი სძულობდეს.

მოკუდა ამირსპასალარი გამრეკელი და ესე ყოველთა იგლოვეს.

ამას ქამსა მცირედ რამე ადიძრნეს იმერელ-სუანნი მსგავსად ჩუეულობისა ურჯულოობისა და რუსი მოიყვანნეს, რეცა კუალად განსამეფებლად. ეუბნებოდეს მესხთაცა მირთვასა, რომელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წავიდეს სირცხვლეულნი, რამეთუ ღმერთი თამარისთვს მოურნეობდა.

ხოლო თამარ ევედრებოდა ღმერთსა და იგონებდა, თუ ვის მიანდოს დავით, და სპა თვსი, და განსაგებელი სახლისა თვსისა. რომლისათვსცა არა არცხვნა ღმერთმან, არამედ აღავსო სიბრძნითა და მეცნიერებითა. და მიმოიხილა ყოველთა ზედა სამეფოსა თვსისა მთავართა, და განიცადა თუალითა გონებისათა, მიანდო ღმერთსა საქმე, მოიყვანა ანტონი გლონისთავის-ძე გარეჯით, რომელი პირველ ჭყონდიდელ იყო და მიქაელ კათალიკოსმან მას მისტაცა, მოძმაცვთა ვიეთმე მეფისა განმზრახთათა; ესე მოიყვანეს, ნანდვლვე კაცი ღირსი ქებისა, ჭეშმარიტი ქრისტიანე, მართალი, წრფელი, უმანკო, სახიერი; მოწყალე ყოველთა, ტკბილი, მდაბალი, პატრონისა ერთგული უზომოდ, ეკლესიათა და მონასტერთათვს რადღა საჯმარ არს თქუმად: თვთ წამებენ ქმნილნი მისნი ყოველთაგან, ვითარცა მღვმესა და კლარჯეთს თვთ მის მიერ ქმნილსა მონასტერსა და ყოველთა ადგილთა. ესე დასუეს ვაზირად, მისცეს ჭყონდიდი, სამთავისი, კისისჯევი და მწიგნობართუხუცესობა, რამეთუ მართალსა უკუეთუ უბრკუმეს, არავე დაეცეს.

იწყეს განზრახვათა კეთილთა სამეფოსათვს და ერისა უმჯობესთა. მოიყვანეს სარგის ამირსპასალარისა მჯარგრძელისა ორნი ძენი, ზაქარია და ივანე, კაცნი ბრძენნი, მჯნენი, ბრძოლათა შინა დიდად გამოცდილნი და გუარეულადცა ერთგულნი მეფეთანი, ამისთვს დიდად შეყუარებულნი თვთ თამარის პაპთა და მამათაგანცა. ამათ მიხედნა თამარ და ესეცა ღმერთსა მიანდო და შეიწყალნა. და ზაქარიას უბოძა ამირსპასალარობა და უმცროსსა დღითა, ივანეს, მსახურთა უხუცესობა. ესე კაცნი ღირსნი იყვნეს კაცობისანი: დაღაცათუ სჯულითა სომეხნი იყვნეს, გარნა ყოვლითურთ მართლმადიდებლობისა მოსავნი. ესე ივანე წერილთა ზედამიწევნითა სწავლული იყო, რომლისათვსცა გულისჯმა-ჰყო სიმრუდე სჯულისა სომეხთასა, ნათელ-იღო და იქმნა ჭეშმარიტ ქრისტიანე.

და შემდგომად ამისსა მოიყვანეს ჭიაბერი, კაცი ესეცა მართალი და ერთგული, და მისცეს მანდატურთუხუცესობა. და დღითიდღე წარემატებოდეს საქმენი თამარისნი უმჯობესად და უკეთესად ბრძნად და მართლად განგებისათვს.

ამიერითგან განგება ღირს, რომელმან შეუძლოს აღწერასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიცემად წარმართებანი თამარის საქმეთანი, რამეთუ ვინცა
თმანი თავისანი თუთეულად ვერავინ აღრიცხუნეს, ეგრეთვე
ვერცავინ ესენი აღწერნეს, და რომელთაცა ოდენ შეუძლონ,
საეჭუელ მიჩნს მომავალთაგან შემდგომად არა დარწმუნებად.
გარნა ლომი ბრჭალთაგან საცნაურ არს და თამარ საქმეთა-
გან: ვის უნდეს ცნობად, იხილნეს ქალაქნი, ციხენი და თემნი
სულტანთა სასხდომნი, მისგან ახმულნი, მზღვარნი, რომელნი
მას დახუდეს მას გარეთ მისსა სამეფოსა ორად განფართე-
ბულნი, და ამისგან ცნას მეძიებელმან საქმეთამან, მერმე ცნას
ერაყამდის ქუემოთ მისგან დადებული ხარაჯა და ბაღდადის
კერძ მარღამდის, და თუთ იგი ხალიფა შეშინებული და მოაჯე
კმა არს ქუე ჯდომით მოქმედისაგან.

ითქუმოდენ წერილისა: «მოაკლდენ ძალი ბაბილოვნისა და
აღაშენა მთა ერმონისა, განქარდა კუამლი სუბაკთა და გან-
ძლიერდეს ბჭენი სილიმისანი».

ესევითართა წყალობათა შინა ღმრთისათა იშუებდა ერი
ქრისტიანეთა, გარნა წუხდეს და იურვოდეს უნაყოფოები-
სათუს თამარისა. არამედ ღმერთმან, რომელმან მოხედნა პირ-
ველ მანოეს და აბრაამს, და მდედრთაცა ანნას და ელისაბედს,
არა ყოვნა არცა აქა. რამეთუ შემდგომად მცირედის ჟამისა
დაორსულდა თამარ. და ცნეს რა ესე ყოველთა, იწყეს ლიტა-
ნიაობით ღმრთისა ვედრება, მარხვითა, ლოცვითა და ცრემ-
ლითა, რათა მისცეს ღმერთმან შვილი წული. რომელი-ესე იქ-
მნაცა, და შვა შვილი ყოვლითურთ მსგავსი პაპისა. და დაარ-
ქუეს სახელი გიორგი. და განიხარეს ყოველთა სიხარულითა
მიუთხრობელითა.

და შემდგომად წელიწდისა კუალად დაორსულდა და შვა
ასული, თუსი შემსგავსებული, რუსუდან, რომლისათუს კუა-
ლად უფროსი სიხარული შეიქმნა ყოველთა ზედა.

და უმეტეს გარდაემატა ბედნიერობით ქუეყანა ყოვლითა
კეთილითა და განმარჯუებათა ლაშქართათა. იწყეს ყოველგნით
რბევად სპარსეთისა და იქმნებოდეს განმარჯუებანი საკვრველ-
ნი: ციხეთა მქონებელნი ბრძანებითა ოდენ დასცლიდეს, ტყუსა
და ალაფისაგან აღივსო ყოველი კაცი, ხოლო დაშთომილნი
მათნი ვითარცა მელნი იმალვოდეს და ვითარცა მთხუნველნი
ძურებოდეს მიწათა შინა.

შეიწრდეს ყოვლით კერძონი სპარსნი და ულონოებამან მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცუნა და მხოლოდ ერთიღა სასოება ცხოვრებისა მოიპოვებდეს, ესე იგი არს სიკუდილითა ჴსნა თავისა. ამისთჳსცა შეკრბეს ყოვლით კერძო შეთქმულებითა, შეიღებნეს სამოსელნი და პირნი, და მივიდეს წინაშე ხალიფასსა, აუწყეს თჳსი ჭირი და აწუევდეს, რათა უბრძანოს ყოველსა სპარსეთსა შეწევნად მათდა. რომელი-ესე ყო ხალიფა: განახუნა ძუელნი საგანძურნი და იდუმალ წარავლინა კაცი ყოველსა შინა სპარსეთსა, მისცა ოქრო აურაცხელი, რათა შეკრიბონ ყოვლით კერძო ლაშქარი ურიცხჳ და მისცა ბრძანება რათა რომლისაცა სამთავროსაგან სპარსთასა არა წარმოვიდენ, თჳთ მათ ზედა მისლვითა იაგარ ყვნენ. ესე ესრეთცა იქმნა: იწყეს ამოღმართ რომგჳროს და ინდოეთისა და ქუემოთ სამარყანამდი და დარუბანდამდი. შეკრბა ესეოდენი, ვიდრემდის არცა რიცხჳ იცოდეს და ვერცა ერთსა თემსა დაეტეოდეს. შეკრბეს ადარბადაგანს და მაშინღა გაამჟღავნეს წაკიდება თჳსი.

ესმა ესე ყოველი თამარს და მოუწოდა ყოველთა ვაზირთა თჳსთა და შეიქმნა გამორჩევა. უბრძანა ჭყონდიდელსა ანტონის არა ავითა გულითა, არცა დედაკაცურითა სიტყჳთა, არამედ ესრეთ: „ისწრაფეთ დაწერად და მიმოდადევით ბრძანება, რათა მსწრაფლ შემოკრბეს მჴედრობა. და კუალად მიუმცენით ყოველთა ეკლესიათა და მონასტერთა, რათა დაუცადებელნი ღამისთევანი და ლიტანიაობანი აღესრულებოდიან ყოველსა ადგილსა. და წარგზავნეთ ფრიადი საფასე და საჴმარი გლახაკთათჳს, რათა მოიცალონ ლოცვად და მოწყალე ყონ ღმერთი, ნუ სადა თქუან წარმართთა: სადა არს ღმერთი იგი მათი“.

ესე უბრძანა და ბრძანება საქმე იყო. და ათსა შინა დღესა, ითარცა გროი შავარდენთა, მოფრინდა ყოველი მჴედარი, ყოვლით კერძო, სავსენი სიხარულითა, რომელნი ძალით იპყრობდეს თავთა შინა თჳსთა. შეკრბეს სომხითს შინა. და მივიდა თამარ და იხილნა. დაყვნეს მცირედნი დღენი მათცა ლოცვისათჳს. მერმე რქუა მათ:

„ძმანო, ჩემნო, ყოვლად ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუენნი სიმრავლისა მათისათჳს და სიმცირისა თქუენისა, რამეთუ ღმერთი ჩუენ თანა არს. გასმია გედეონისთჳს სამასნი და სიმრავლე ურიცხჳ მადიამელთა მათ მიერ მოწყუედილი, კუალად ასურასტანელთა ბანაკი ლოცვითა ეზეკიელისითა წამსა შინა

ანგელოზისა მიერ დაცემულნი? მხოლოდ ღმერთსა ოდენ ენდვენით და გულნი თქუენნი სიმართლით იპყრენით წინაშე მისსა და სასოება ყოველი ჯუარისა მიმართ ქრისტესისა იყავნ. შეისწრაფეთ ქუეყანად მათდა შეწევნითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისათა და ძალითა უძლეველისა ჯუარისათა წარემართენით".

ულოცა მათ და შეავედრნა ღმერთსა, წარუძღუაწა ძელი ცხოვრებისა და თანა წარატანა ანტონი ჭყონდიდელი.

ხოლო თვთ წარიჯადნა სამოსელნი ფერჯთანი, და ფერჯივ შიშულითა ფერჯითა მიიწია ტაძარსა ღმრთისმშობელისასა მეტეხთა, და წინაშე ხატსა მას წმიდასა მდებარე არა დასცხრებოდა ცრემლითა ვედრებად, ვიდრემდის სრულ-ყო ღმერთმან სათხოველი მისი.

რამეთუ შემდგომად მცირედთა დღეთა მოიწია სარგის მჯარგრძელი თმოგუელი და მოართუა სახარება ლაშქართა განმარჯუებისა და ყოვლითურთ უნაკლულოება მჯედრებისა.

არამედ აწ ჯერ არს მოკსენებად, თუ ვითარი შეწევნა მოიღეს თამარის ცრემლთაგან სპათა ჩუენთა. შევიდეს უკუე ქუეყანად მათდა, და იხილნეს განძას და შანქორს საშუალმდგომნი, რომელნი სიმრავლითა უმეტეს იყვნეს რიცხუსა, ვითარცა მკალნი.

მყის გარდაჯდეს ცხენითგან ყოველნი, თაყუანი-სცეს ღმერთსა, და წმიდასა ჯუარსა ევედრნეს ცრემლითა, და ვითარ არწივთა მიმართეს, და ვითარ ვეფხნი ეკუეთნეს. და პირველსავე წყობასა ათკეცი რაზმი მათი დაჴსნეს და შესდვეს მახჳლი მათი და ძალი ღმრთისა, და ვითარცა თაგუთა მოსრვიდეს, და ვითარცა ქათამთა იპყრობდეს დიდთა მათ ამირათა მათთა ბაღდადელთა და მუსულელთა, აგრიელთა და ერაყელთა და ადარბადაგანელთა და ერანელთა და სხუათა მრავალთა ადგილთასა, რომელნი ნიჯადად ჰყვეს, ვითარ ვთქუა ინდოეთითგან მზარეულნი, წუერითა ზიდვით მოიყვანებდეს წინაშე დავით მეფისა. და იხილვებოდა დიდი საკჳრველი და გარდამეტებული შეწევნა ღმრთისა, რამეთუ თვთ მოიღებდეს საქონელთა მათთა და თვთ მოაჴსნიდეს აქლემთა და ჯორთა კიდებულთა, და თვთ იყვნეს მსახურ იავარისა მათისა და ნატყუენავისა.

ხოლო ათაბაგმან ბუბაქარ აქო თჳსი ლონე და ლონიერება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამეთუ მიწევნულმან ჴნარცუსა სადმე მცირესა მიწასა შინა
დაფლა თავი თჳსი.

ესრეთ მოწყალებათაგან ღმრთისათა აღვსებულნი მიიწივ-
ნეს განძად და გამოეგებნეს მოქალაქენი, თავთა თჳსთა მშჳდო-
ბა ითხოვეს და ქალაქი ნებსით შესწირეს. შეიყვანეს დავით
დარბაზსა შინა, ტახტსა სასულტნოსა ზედა დასუეს, ფანჯანო-
ბათსა სასულტნოსა უკრეს, და ღორის ჴორცითა დიდად ძალი
ჰურობა გარდაიჴადეს. ყოველთა მას წინაშე განძელთა დიდი
ძღუენი და ხარაჯა შესწირეს, გაჴსნეს საჭურჭლენი მათნი და
მრავალი ტურფა ფიალ-ჯამი და ფეშხუმები სხჳსა თანა განძი-
სა მრავლისა წარმოიღეს. და გარეგან ქალაქისა დაიბანაკეს
მცირედთა დღეთა, რამეთუ ეძიებდეს ათაბაგსა და ვერა პოვეს.
ეგრეთვე შანქორელთა ითხოვეს მშჳდობა და მონება.

აქა ვერ კეთილად განაგეს ზაქარია და ივანე, და ესეოდენ
იქმნა დაკლება ამას განმარჯუებასა შინა. იყო ვინმე კაცი
სპარსი, შარვანშეთ სიძე, სახელით მირმირან. ესე შემოხუეწით
იყო წინაშე თამარისსა სათხოველისა რომლისათჳსმე და მაშინ
დავითს წინაშე სამსახურად. ამან მირმირან გამოითხოვა განძა
ცნობადმდე თამარისსა და მისცეს შესანახავად.

რაჟამს ბუბაქარ ცნა ჩუენთა ლაშქართა შინა მოსლვა, გა-
მოჩნდა და განძელთა ქალაქი მასვე მისცეს, თუცა მირმირან
შიშითა ცოცხალი გამოუშუეს, ვითარცა ვთქუ.

მცირენი რა დღენი გარდაჴდეს, წარმოემართნეს ლაშქარნი
დიდად მოხარულნი ულუმპიანსა ამას ზედა ძლევასა, ფრიად
უაღრესსა საქებელისა მისგან ძლევისა, რომელი ყო ალექსან-
დროს დარიოს ზედა.

ვითარცა მიეახლნეს, მოეგებოდა მათ თამარცა, რამეთუ
მისრულ იყო სარგის თმოგუელი მახარობელად. იხარებდა და
მადლობდა ღმერთსა, მოიკითხვიდა თჳთეულსა, ვითარცა
შვილთა და იშუებდეს იგინი ხილვითა მისითა.

აღივსნეს ყოველნი ველნი გარემო ტფილისისა და ვერღა-
რა იტევდა კაცსა, ცხენსა, ჴორსა და აქლემსა. და ესეოდენ მო-
საწყინელიცა იყო სიმრავლე იგი ტყუეთა, ვიდრემდის შეიყვა-
ნიან ქალაქად და ერთად კუტლად ფუკისად გაყიდიან. და ამი-
სი მოწამე თჳთ იგი ღმერთი უტყუელი არს, და რათა არა
ტყუილი ვისმე ეგონოს და ზღაპარი გიჩნდეს თქმულნი ესე
მომავალთა ჟამთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანდვლვე ერმონელთასა უსახელოვნესთა მათ კაცთა ... ქარია და ივანე, აღიღეს ფანჯიაკი სამეფოდ და განაწყეს ... დიდებისასა ავჭალამდი აქლემი ყუელა ტვრთითა, ცხენი ყუ-ელა შეკაზმული. ეგრეთვე ყოველნი იგი ამირანი თვს-თვსითა დროშითა: პირველად ხალიფას დროშა, მერმე ათაბაგისა, შემ-დგომი — შემდგომად. გააწყუეს კარითგან ქალაქისათა ჴევამ-დე გლდანისა ტყუე ყოველი. განიყვანეს თამარ, და შესწირეს, და ათაყუანეს ყოველნი იგი თავნი სპარსეთისანი. მერმე თვთ-ცა თაყუანის-სცეს და მიულოცეს ბედნიერი მეფობა ღმრთი-სამიერი.

ამისსა შემდგომად შევიდეს ქალაქად, და თვთეულმან იწყო ძღუენთა მოღებად: ოქროსა და სამკაულისა, და ჭურჭელთა მისთა, თუალთა პატიოსანთა და მარგალიტთა უსასყიდლოთა, ჯაჭუთა, მუზარადთა, ჴრმალთა ამათ გამოცდილთა, ნაქსოვთა ფერად-ფერადთა, ოქროქსოვილთა და შესამოსელთა მრავალ-სასყიდლოანთა, ცხენთა და ჯორთა, მანიაკთა ოქროსათა თუა-ლიან-მარგალიტიანთა, სულნელთა მრავალფერთა და ალვისა ხეთა სპილენძებითა ტვრთულად. იწყეს ანაკოფის ციხით ვიდ-რე ციხედმდე გულისტანისა. სეფენი აზნაურთანი აღივსნეს ტყვთა რჩეულითა, და ყოველნი საგანძურნი ოქროთა, ვითარ-ცა მიწათა და ინდოურითა ქვითა, და პატიოსანთა მარგალიტ-თა მიერ ურიცხუთა.

გარნა ამას ყოველსა ზედა აღზუავნა გული თამარისი, გან-ლაღნა ერთგზისცა წარბთა აღებითა? არა, ნუ იყოფინ! არამედ უფროსად დამდაბლდებოდა წინაშე ღმრთისა მმადლობელი და მოქენე მისგან წყალობისა, აღავსებდა ჴელსა მოქენეთასა და წიაღებსა გლახაკთასა, განამდიდრებდა სამზრუნველოთა ეკ-ლესიათა, ქურივთა და ობოლთა და დავრდომილთა, ზოგად ყოველთა ზედა. ღმრთისა ჴელობად მიუპყრობდა მასვე ძღუ-ნად, რომელმან არწმუნა განგებად, და მასვე მიუზღვიდა, რო-მელი მისცემდა მდიდართაგან და მოუკლებელთა წიალთა. ძუ-ელთა აუმსგავსოებდა თვსთა საქმეთა ზედა, ახალთა წარჴდე-ბოდა, ვითარცა უახლესთა მოქმედი, ვინა ზემოვე ვთქუა, არა-მედ ჩუენ ვიტყოდეთ წერილისასა: «იყო სიმტკიცე ქუეყანასა ჩუენთა და მშვდობა თავსა მთათასა».

არა ოდენ ქუეყანა იავარსა განადიდებდა თამარ, არამედ სარწმუნოება განმტკიცნებოდა, წმიდანი ეკლესიანი შეიმკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდეს მრავალ ფერთა მიერ სამკაულთა, ლოცვანი და ღამეთევანი განმრავლდებოდეს, უფროსღა თჳთ პალატსა შინა წმიდათა საიდუმლოთა სრულყოფანი მიმდემნი. და რასა მრავალსა ვიტყოდი? წყალობა ღმრთისა განმრავლდებოდა და ყოველი სიბოროტე ეშმაკისა მოუძლურდებოდა.

ყოველნი თჳს-თჳს იღუწიდეს, რათამცა თამარ მოიმადლეს და ვინაცა გამოაჩინნეს საქმეთა შინა საქებელთა. მონაპირენი, რომელნი იყვნეს, ღამეთა დღეთავე ზედა დართვიდეს შეუსუენებელად, და რომელნი შიგნით იყვნეს იგინი სანაპიროთა იაჯდეს. და ესევითარმან გულსმოდგინებამან და მოსწრაფებამან ყოველთამან ესევითართა მიაღწია სამეფო:

რამეთუ პირველ ქუემოთი სანაპიროი გაგი იყო, რომელნი ჰქონდა ზაქარიას მჯარგრძელსავე, ვარამის მამასა, და ესენი მუნ მონაპირობდეს, კაცნი მჯნენი, ბრძოლასა შინა მრავალგზის გამოცდილნი და განმარჯუებულნი, და შიშითა ღმრთისათა და პატრონისა ერთგულობითა დიდად საქებელნი.

ამოღმართ ძორაკერტი იყო და ტაშირი, სადათ ზაქარია და ივანე დაიწყეს პირველად ბრძოლა ლომურად ზემოთ, და ქუემოთ, და ყოველსა ადგილსა.

და ზემოთ ჯავახეთი, სადა სარგის მჯარგრძელივე თმოგუელი და შალვა თორელი მონაპირობდეს.

ზედათ არტანი, სადა მესხნი მონაპირობდეს, რომელთა შორის იყო ყუარყუარა, სამცხისა სპასალარი, ჯაყელი, კაცი დიდად გამარჯუებული და ერთგული მეფეთა.

შავშეთით სპერით კერძო ფანასკერტი იყო. ამის შავშეთისა ღადოთა შინა გამოჩნდა ვინმე კაცი ასპაანის ძე, გუარითა არა უაზნო და ქცევითა და არცა, ღმერთო, უბედო. ამას ზაქარია ერქუა სახელი. არცა სახელსა არცხჳნა, არცა პატრონისა წყალობა აუქმა თჳსსა ზედა, გარნა საქებელთა ზედა შერთო თავი. მარტოდ იქმოდა მრავალთა და დიდთა საქმეთა: აღიღო ბანა, ხახული და სხუანი მრავალნი სახელოვანნი ციხენი და ადგილნი.

ქუემოთ წაპირის კერძ გრიგოლის-ძენი, და უფროსღა ტბელი, და მაჯატლიჴ-ძენი მონაპირობდეს, რომელთა შიშითა გაწძას და ბარდავს ყრმა მცირე ვერ აუტირდებოდა დედასა, და ვერცა თურქნი იორის პირსა და მტკურის ბირსა საძოვარსა აწყენდეს.

ესე ყოველი რა გესმოდის, ნუ ვინ ესრეთ ჰგონებთ, თუ
თვნიერ თამარისსა რამე ქმნილ იყო ვისგანცა, არამედ ესრეთ
განიგონე: მონაპირეთა მონახიან საქმე, ანუ ციხე ასაღებელი,
ანუ თურქმანი შემოდგომილი, ანუ ქალაქი განსატეხელი, ანუ
ქუეყანა მოსარბეველი, მოაკსენიან თამარს და მან გასინჯის
საქმე იგი და გამოიკითხეს. უკუეთუ ღირს იყვის შეყრასა ლაშ-
ქართასა, უბრძანის ზაქარიას და ივანეს და შეყარნიან ლაშ-
ქარნი, თვთ დავით მეფე წარვიდეს და არა სადათ შემოქცეული
ცუდად. უკუეთუ უმცირესი რამე იყვის, მყის შესხნის დარბა-
ზისერნი თვსნი და, ვითარ შავარდენთა, მოისაქმიან. თუ თვთ
იყვის ანუ მინდორით ნადირობასა შინა, ანუ შინა მყოფსა და
ესმის რამე, და შესხნის მუნ ღირსნი მისნი, ვითარ არწივთა კა-
კაბნი ეგრეთ დანაბნიან ყოველნი წინააღმდგომნი.

არცა თვთ უქმობდა და არცა თვსთა ყმათა აუქმებდა, ვი-
თარ იგი იტყვს ვინმე ჟამთააღმწერელი ალექსანდრესთვს. და
ამან საარწმუნო ყოს სიტყუა ესე, რამეთუ დიდად სახელგან-
თქმულისა ქალაქისა ტფილისისა შემოსავალი წელიწდისა მას-
ვე და ერთსა წელიწადსა არა ეყვის გასაცემრად მახარობელ-
თა ზედა. მრავალგზის და ერთსა მასვე დღესა სამნი და ოთხნი
მოვიდიან მახარობელად. და, თუ ვითარ, ისმინე: ქმნიან რამე
ერთი საქმე და წარმოავლენიან ამბავი გამარჯუებისა; და მას
დღე მას არა დასჯერდიან და კუალად სხუა რამე წარუმართის
ღმერთმან და სხუაცა მახარობელი წარმოგზავნიან. და სხუანი
ესეგითარნი ალრაცხელ არიან, რამეთუ ზემონი სხუათა იქმო-
დიან, ხოლო ქუემონი სხუათა, და ერთსა შინა დღესა მოიწიის
მრავალი ამბავი და მახარობელი, რომელთა ნამეტნავ არს და
შეუძლებელ არს აღწერად, ესე ღმერთმან უწყის თვთ.

ამას ყოველსა დაუშრომელად რა მოქმედებდა, არა თვსისა
ქონებისა მოქენე იყო და არცა სამეფოდ იმჭირვიდა ესეო-
დენთა ქალაქთა და ციხეთა, არამედ თვთ მათვე მისცემდა, რო-
მელთა აუცალოებდა, თვსთა ლაშქართა, ვითარ წამებს დიდი
და სახელგანთქმული სახლი სომეხთა მეფეთა ანისი, რომელი
წარულო სპარსთა შანშეობისა თანა მრავალჟამ მათგან ქონე-
ბული, ხოლო სპარსთა სახლი სახელოვანი დვინი და ამათ ორ-
თა პირთათვს იქმოდა: პირველად, რათა მარადის გული უთქუ-
მიდეს და შური აღიღონ ერთმანერთისა წარმართთა შეძინები-

სათჳს თჳსისა, და მეორედ, რათა მოუკუეთოს ყოველი მოსაგ-
ზი, რომელი დაჴსნის ერთგულობასა.

და კუალად ამისთჳს არა უდებებდა, რათა არა მოცლილთა განსუენებად სიჩუკნედ განსცენ თავი და სხუათა განზრახვათა დამოეკიდნენ, ვითარცა სიმდიდრითა ალალებულთა, ანუ ერთი-ერთისა მტერობად მოიცლიდეს და ბრძოლად, ვითარ ყველსცა ვიეთმე დაწყებასავე ამისსა მეფობისასა მისვე დრკუსა ძირისა ნაყოფთა ლიპარიტეთთა, შვილთა კახაბერთა, რამეთუ იწყეს ძმაცუად და ბრძოლად მახლობელთა თჳსთა, რომელთა არცა მხილებულთა შეიგონეს, არცა წყალობათაგან თამარისთა შეიკდიმეს, არამედ ძუელად მათთჳს დაწერილი კუალად განახლდეს და კუდსა ძაღლისასა, გინა კუთხსა ფლასისასა ემსგავსებოდეს. და ქმნესცა დიდი ბოროტი: და ორნი ძმანი ანტონი ჭყონდიდელისანი დაჴოცნეს და ამით შეაწუხეს მართალი იგი და განარისხეს თავთა თჳსთა ზედა ღმერთი და თამარ, რამეთუ ჭალასა მდგომმან, მოუწოდა ხუთთავე, და სიბრძნითა თჳსითა შეიპყრნა და თჳთო თჳთოსა ციხესა შესუა, რათამცა განიწუართნეს. არამედ იგინი იგივე იყვნეს, ამისთჳს ექსორია ყვნა მაკედონიას საბერძნეთისასა და მუნ მოსწყდეს ყივჩაყთა მიერ კარგნი ჭაბუკნი ბრძოლასა შინა, ვითარცა გუესმა.

ამისთჳს არავის მისცემდა მოცალეობასა: ანუ იყვნიან წინაშე მისსა, ახარებდის და საბოძვარითა ღირსებისაებრ სწყალობდის და განუსუენებდის, ანუ თჳთ წარუძღჳს, იორისპირი და მტკურისპირი მოინადირის. მერმე დასოს შემოდგის და მუნ იხარებდიან, ვიდრემდის თოვლმან არა დაამძიმის კარავი. მუნით სომხითს შემოვიდიან, ნადირობდიან ამოთა თამაშითა. და ამას შინა თუ რამე სადით ესმის ანუ ნახიან, ყოვლად არა მომედგრდებოდეს განსუენებისა ძილითა, არცა რას დააცალებდეს, რომელიცა რა წინააღმდგომი ცნიან სამეფოსა და თამარისი.

აღივსებოდა ნილოსი და იეფობდა ეგჳპტე. მოაკლდებოდა ისმაელს, განიქიტნებოდა აგარ, იკურთხეოდა ისაკ. ესე სხუამან ვინმე სხჳსათჳს თქუა, და მე აქა ამისთჳს წინასიტყუაგყოფ, რამეთუ მოაკლდებოდა ძალსა მოჰმადიანთასა, და მცემელიცა ებანსა, რამეთუ ქრისტიანეთა ორღანონი ჴმოვანობდეს კიდით კიდედმდე. დაშრტა სასოება მუსურმანთა, და ყოვლითურთ უღონონი ღონე-ყოფდეს, რათა წყალობად მოიზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონ წყალობის მოყუარე თამარ. ამისთჳს კუალად წარვ[illegible]
ხალიფასა, არღარა პირველებრ, არამედ ფრიად შეცვალებით,
და შესახუეწელთა სიტყუათა მოაჴსენებდეს, რათა ეველრეს
თამარს აღებად ხარკისა ოდენ, მახჳლი მსრველი დააყენონ და
ჴაჭჳ შემკრველი. რომელი ესე ყო ხალიფამან და წარმოავლი-
ნა მოციქული ორგზის ამის პირისათჳს, და დიდნი და მრავალ-
ფერნი სამეფონი ძღუენნი უცხონი წარმოგზავნნა, და დიდითა
სიმდაბლითა შემოეხუეწა თამარს, რათა აღიღოს ხარკი და და-
აცადოს რბევა. ისმინა თამარ ამისი ვედრება და ესრეთ მისცა
პასუხი: „აღმისრულებიეს თხოვა შენი და, რომელთაცა ინებონ
მშჳდობა თავთა თჳსთა და მოიღონ ხარკი წინაშე ჩემსა, ამათ-
და მიმინიჭებიეს მეცა ცხოვრება ვედრებისათჳს შენისა". რო-
მელი ესე ესრეთ იქმნა.

ესე იჩემებდა ზაკუთ სიყუარულსა და გზავნიდა მოციქულ-
თა მშჳდობისათჳს მრავალჟამ, და ძღუენთა შუენიერთა მრა-
ვალთა, ეგრეთვე თამარ ჰყოფდა, ნაცვალსახედ მოციქულთა
წარავლენდა ძღუენითა. გარნა იგი ზაკუასა ჰფარვიდა, და ფი-
ცთა მიერ განმსტრობად მოსწრაფე იყო ამის სამეფოსა.

განახუნა პაპა-მამურნი საუნჯენი და გამოყარნა ოქრო აუ-
რაცხელნი და წარგზავნიდა ოქროთა შეკრებისათჳს მჴედრო-
ბისა, და ამცნებდა, რათა ორსა კეცსა მისცემდენ გაჩენილი-
სასა. და წარავლინა ყოველთა საზღვართა თჳსთა, და იწყო მე-
სოპოტამიას და კალონეროთ, გალატიას, ღანგრას, ანკჳრიას,
ისავრიას, კაბადუკიას, დიდსა სომხითს, ბითჳნიას და საზღვარ-
თა ფებლაღონისათა და არა დაუტევა თჳნიერ დედაკაცისა სო-
ფელთა შინა მათთა, არამედ ყოველნი აამჴედრნა.

ხოლო თჳთ ამოისწრაფა და მიიწია უჯად სახელდებულთა
მათ თურქთა თანა, რომელ არიან მჴნე ბრძოლასა შინა და არი-
ან სიმრავლითა ვითარცა მკალნი, გინა ჯინჭუელნი. ამათ მის-
ცნა ოქრონი მრავალნი, და კუალად ნიჭნი დიდნი ესეოდენ,
ვიდრე ასი ათასი მჴედარი შეკაზმული გამოიყვანა მათგან.

და კუალად მიირთნა, თჳნიერ ნებისა მათისა, შიშით, ეზინ-
კელნი, ხალფერდელნი და კარნუ-ქალაქელნი; სალდუხის ძე,
რომელსა ნაცვლად მსახურებისა მიუღო კარნუ-ქალაქი და
თჳსი ძმა დასუა მუნ.

ვითარცა იტყჳან გძლარბისათჳს ჴმელისასა, შვილმრავალ
არს ცხოველი ესე და რაჟამს იხილნეს ნაშობნი თჳსნი მრავა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლად, გამოვალს ბუდით თვსით მართუეებით და განაწყობს და
გოდლოის მათ ზედა. ხოლო ეგრეთვე ყო ნუქარდინცა: იხილ-
ნა რა ფრიადი იგი სიმრავლე შეკრებულად, რომელი ზეშთა
იყო რიცხვსა, აღზუავნა გულითა, მსგავსად სენაქერემისა, და
ამაღლდა ღმერთსა ზედა, და არა შეიშინა პირველთა მათ მზა-
კუართა ფიცთაგან და სიყუარულისა აღთქუმათა, არამედ
ფრიად წინა-უკუმო განმზადა თავი თვსი და მოიწია ქალაქად
სევასტიად, და იწყო მუნ განმზადებად საომართა მანქანათა.

მაშინ წარმოავლინა მოციქული წინაშე თამარისა ესევითა-
რითა წიგნითა, რომელსა შინა წერილ იყო სახე ესევითარი:
„მე ნუქარდინ, სულტანი ყოვლისა ცისა-ქუეშისა უმაღლესი,
მიმსგავსებული ძლიერებასა ანგელოზთასა, თანამდგომი
ღმრთისა, მოვლინებული დიდისა მოჰმედისაგან, მოგიმცნობ
მეფესა ქართველთასა თამარს. „ყოველი დიაცი რეგუენია და
შენ გიბრძანებია ქართველთად აღებად ჯრმალთა და ღმრთისა-
გან საყუარელისა ისლემთა ერისა დაჯოცად მუსულმანთა და
კუალად ნათესავსა ზედა თავისუფალსა დადებად ხარკი ყმე-
ბური. და აწ მე მოვალ, რათა უსაჯო სამართალი სახლსა სპარ-
სთასა და განგწუართო შენ და ერი ეგე შენი არაოდეს კად-
რებად აღებად ჯრმლისა, რომელი ღმერთსა ჩუენდა უბოძებია,
ხოლო ცხოვნებით იგი ოდენ ვაცხოვნო, რომელმან უწინარეს
მოსლვისა ჩემისა თაყუანი-მცეს წინაშე კარვისა ჩემისა და
აღიაროს ქადაგება მოჰამად მოციქულისა, და უარ-ყოს სჯული
შენი და ჯელითა თვსითა იწყოს წინაშე ჩემსა ლეწად ჯუარისა,
რომლისა მიმართ დაგიცთ ცუდი სასოება, და აწ მოელოდი
ნაცვალსა ჩემსა, რომელი შეამთხვე სპარსთა“.

წიგნი ვითარცა მიართვეს და იხილა თამარ, ყოვლად არა აჩ-
ქარდა, არამედ სხუა ეზეკია იქმნებოდა სიმდაბლითა. და გან-
მარტა წიგნი იგი წინაშე ღმრთისა, სულთ-ითქუნა სიღრმით
გულისათ და ცხელთა ცრემლთა დამოდინებითა, და ღმრთისა
მიმართ სასოებისა დამდებელმან მერმე მოუწოდა მაშინ რო-
მელნიცა დახუდეს, და ეზრახა მათ ამის პირისათვს, არცა ჩუკ-
ნად, არცა მდედრად, არცა განუბრძნობელად.

და ბრძანება და წიგნები ქროდა მალემსრბოლთა. და ცო-
ტათა შინა დღეთა შემოკრბეს ვითარცა ვეფხნი სიკისკასითა
და ვითარცა ლომნი გულითა. ქრისტესა ღმერთსა ესვიდეს და
არღარა ყოვნეს, არამედ მსწრაფლ მიმართეს ტაძარსა ყოვ-

ლადწმიდისა ღმრთისმშობელისასა ვარძიას. და ვარძიისა ღმრთისმშობელსა წინაშე ცრემლით შევედრნა სოსლან დავით და სპა მისი, და დროშა ბედნიერად ჯმარებული, და წარგზავნა ვარძიით ლაშქარნი, რომელთა თჳთ თამარ უძღოდა წინა შიშულითა ფერჯითა და ცრემლითა ასოვლებდა ღაწუთა თჳსთა. და წარუძღუა ბასიანის კერძოთა და მიიწივნეს მახლობელად კარისა და დადგეს დღისა ერთისა სავალსა.

ხოლო თჳთ უბრძანა თჳსთა სპათა ყოველთა შესხდომა, და თჳთ განვიდა უმადლესსა ადგილსა, სადათ ყოველთა ხედვიდა, და დავარდა მუჴლთა თჳსთა ზედა დიდხან, და ტიროდა წინაშე ღმრთისა. მერმე, აღდგა რა, იხილვებოდა ადგილი იგი ყოვლად დალტობილად ცრემლთაგან მისთა.

მერმე მოიყვანნა წინაშე თჳსსა ყოველნი წარჩინებულნი და უბრძანა ერისთავთა, რათა თჳთოეული მათი მოვიდოდის წინაშე წმიდასა ჯუარსა და თაყუანი-სცემდენ და შეემთხუეოდიან. და იწყეს მოსლვად ყოველთა და ტირილით ვედრებად, და თაყუანის-ცემად პატიოსნისა ჯუარისა, და ამბორის-ყოფად, და ეგრეთვე შემთხუევად ჴელსა თამარისსა. და ანდერძ-ყოფდეს ყოველი სახლთა, შვილთა და სულთა წინაშე მისსა. რამეთუ ერთითა ჴელითა თჳთ მას ეპყრა ძელი ჯუარისა, ხოლო ერთითა ეზოსმოძღუარსა ბასილის და ჯუარისმტჳრთველსა. სრულ იქმნა რა ყოველთაგან ესრესახედ თაყუანის-ცემა ჯუარისა, მერმე თჳთ მიიქუა პატიოსანი იგი ჯუარი ჴელითა თჳსითა, და ამჴედრებულთა ზედა ყოველსა მჴარსა ნიში ჯუარისა გამოსახა სამგზის, დაულოცა, და ეგრეთ წარემართნეს მინდობილნი ღმრთისანი და თამარის ცრემლთანი.

და მეფე თამარ მოიქცა სამცხეს, და მოვიდა ოძრჴეს, და მოიცალა ლოცვად და მარხვად. მუნ იყო წინაშე მისსა თევდორე, ქართლისა კათალიკოსი, კაცი წმიდა და სახიერი, და მას თანა მრავალნი ეპისკოპოსნი და მონაზონნი, ღმრთის სათნონი, იყვნეს მიმდევნი ღამისთევანი და ლიტანიობანი.

აწ ჯერ არს მოჴსენებად, ვითარ იგი წყალობა ყო ღმერთმან ერსა თჳსსა ზედა მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისათა და შეწევნითა ცხოველსმყოფელისა ჯუარისათა. ხოლო გითარ მიიწივნეს ქუეყანად ბასიანისა, მუნ იყო სულტანი დაბანაკებული. ესრეთ ნებიერად მდგომარე იყვნეს, და არა უდგა დარაჯანი სულტანსა. მუნ დააწყუეს რაზმი ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოველთა და მუნ წინამბრძოლად იყო ზაქარია მჯარგრძელი, ამირსპასალარი, და ახალციხელნი შალვა და ივანე, და სხუანი თორელნი. და ერთ-კერძო აფხაზნი და იმერნი, და ერთ-კერძო ამერნი და ჰერ-კახნი. ხოლო ვითარ იხილნეს სპარსთა, რამეთუ აუზიდავად მიდიოდეს, დააგდეს სადგომი მათი, და სიმაგრეთა მიმართეს, რამეთუ მიავლინა მათ ზედა ღმერთმან შიში დიდი. ხოლო ქრისტიანეთა იხილნეს რა მათ წინაშე გაქცეულნი, მიეტევნეს, და არა უტევნეს წარსლვად, არამედ გარემოიცვნეს.

რამეთუ მისცნა ღმერთმან ჴელთა მათთა, და იხილვებოდა საქმე საკჳრველი, რამეთუ თჳთ იყვნეს მსახურ თჳსისა შეკრვისა, რომელნი განერნეს პირსა მახჳლისასა. უდიდესი მათი შეიკროდა უმცროსისა მიერ თჳსისა, და უწარჩინებულესი მათი მოიყვანებოდა გამობმული ძუასა ცხენისასა, და ერთითა საბლითა ერთისა მიერ კაცისა შეიკროდა ოცი, და თმითა გამოებმოდა ერთი-ერთსა, ყრმისა მიერ მცირისა უმჯობესნი მბრძოლთანი მოიყვანებოდეს ვითარცა თიკანნი. გამოიძივნეს ყოველნი ადგილნი, და გაქცეულთა ჴოცდეს, ხოლო ნეშტთა ვითარცა მართუეთა ქათამთასა მოჰკრეფდეს და გაუშუებდეს აურაცხელსა სიმრავლესა. რამეთუ ასსა სპარსსა ერთი ქრისტიანე ძლით მიხუდებოდა წარმომყვანელად.

ესეოდენი დიდებული ძლევა მიმადლა ღმერთმან ცრემლთა და სასოებისა სიმტკიცეთა თამარისთა. ხოლო ესე ყოველი რა ესრეთ იქმნა, მერმე მოუჴდეს ბარგსა მათსა, რამეთუ არა იყო განცდა და აღრიცხვა სიდიდეთა ოქროსა და ვეცხლისა ჭურჭელთა, ნაქსოვთა სიმრავლე აურაცხელი, სასმურნი ოქროსანი, თუალ-მარგალიტოვანი ლანკნები და პინაკები, ლაგჳნებისა ღა ქუაბებისა თანა ყოვლითურთ სავსეთა მიუწდომელითა ალაფითა. ხოლო ცხენ-ჯორისა და აქლემებისა სიმრავლე და კარავთა და საფენელთა სიმრავლე და ურიცხველობა, რომელ დაყარეს, ვინ-მე აღრაცხნეს? რამეთუ სავსე იყო ყოველი საჩანაკო მათი.

ამისა შემდგომად შეეკაზმა მოქალაქეთა დიდითა მოკაზმულობითა ქალაქი ტფილისი, და შევიდა თამარ და დავით ვითარცა მზისა შარავანდედი მიფენითა, და შეიღეს დროშა ნუქარდინისი. შეიყვანეს პირველად ეზინკელი, და მერმე სხუანი იგი წარჩინებულნი მოიყვანნა, რომელნი სთნდეს, წინაშე თჳსსა. თამარ ყოველთა ნუგეშინი-სცა და დიდად სახელოვნად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერითა ისტუმრნა და უბოძა ყოველთა შესატყვსად და ყარ-
გზავნა ციხეთა შინა ყოველსა ადგილსა, თუნიერ ეზინკელისა.
არამედ იგი დაიმჭირა ტფილისს პატიმრად, პირველისა პატი-
ვისა და სიყუარულისა მისისა წილ, ხოლო უკანასკნელ ეგეო-
დენი სახელოვანი კაცი და დიდებული განყიდა ნალად ცხენ-
თა, რომელი ესე ყო თამარ პატივად სახლისა თუსისა და დი-
დებად, რომელი ესე არაოდეს ვისგან ქმნილ იყო დასაბამით-
გან. ესე ყო დიდებად და საკსენებელად თუსა.

აწ კუალად აღივსნეს ყოველნი საგანძურნი სამეფონი ოქ-
როთა და ჭურჭლითა ოქროსათა, რამეთუ მიწისა მსგავსად შე-
ასხმიდეს ოქროსა, ხოლო თუალსა და მარგალიტსა წყუთ დას-
დებდეს, ხოლო ოქროქსოვილთა ბერძულთა და სხუათა ნაქ-
სოვთა ძვრად საპოვნელთა, ვითარცა ცუდთა სამოსელთა,
ურიცხუთა დაყრიდეს. ხოლო ვეცხლისა ჭურჭელთა არღარა
აქუნდა პატივი პალატსა შინა მეფისასა, რამეთუ ყოველი ოქ-
როსა და ბროლისა წინადაგებული იყო, ინდოურთა ქვათაგან
ნემკობილი, რომლითა აღავსნა ყოველნი ეკლესიანი, რომელთა
მიანიჭა სამსახურებელად სიწმიდეთა საიდუმლოთასა და აღავ-
სნა ყოველნი ჴელნი მთხოველთანი, და განაძღნა ყოველნი
გლახაკნი და აღუვსო წიაღნი მათნი უხუებით.

ესრეთ ადიდებს ღმერთი მადიდებელთა თუსთა, ესრეთ აღა-
მაღლებს წინაშე თუსსა მდაბალთა, ესრეთ შემწე არს მოსავთა
მისთა, ესევითართა ნიჭთა მიანიჭებს მინდობილთა თუსთა,
რამეთუ არარაი სხუა დაიდვა თამარ გულსა თუსსა, ვითარ
«დასაბამი იგი სიბრძნისა, შიში ღმრთისა», და სამართალი და
წყალობა სწორად ყოველთა ზედა.

იყო დღეთა მისთა სიმართლე და მრავალი მშუდობა, განე-
ფინა მადლი ბაგეთა მისთა. ამისთუს აკურთხა იგი ღმერთმან
უკუნისამდე და დაადგრა თავსა მისსა გურგუნი პატიოსნებისა,
და დასდვა წელთა მისთა მახვლი ძლიერებისა და წარემართა
სუფევად უკუნისამდე ჭეშმარიტებისათუს, სიმშუდისა და სი-
მართლისა.

ჯერ არს ამისთუსცა თქმად, ვითარმედ ქმნნეს მრავალთა
დედათა მოღუაწება და ძლიერება, არამედ არა ესრეთ ვითარ
ამან, არა ვერაგობისა ღონითა აცხოვნებდა ერსა თუსსა, არამედ
სიბრძნისა წინაძღომითა, და სიმართლითა, და უმანკოებითა
დავითიანითა, სიმშუდითა იაკობის მსგავსითა, სიუხვთა აბრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისებრითა, მოწყალებითა იესოს ღმრთისა მსგავსითა, და სამართალითა მისისა მობაძავითა.

დღეთა შინა თამარისთა არავინ გამოჩნდა მიმძლავრებული მეცნიერებითა მისითა, არცა ვინ დასჯილი, თვნიერ ძუელისა სჯულისა, რომელი ძეს ავაზაკთა ზედა ძელსა ზედა ჩამორჩობა. თვთ არცა ვის ღირსსა სიკუდილისასა და არცა პატიჟისასა მიეკადა თანანადები, არცა ვინ ბრძანებითა მისითა ასო-მოკუეთილ იქმნა, და არცა ნიბრმითა დაისაჯა, თვნიერ გუზან, ღირსი სიკუდილისა, რომელი ორგულებით განდგა და კოლას სადმე მთათა შინა ავაზაკობდა მალვით. ესე შეიპყრეს მთიბავთა თივისათა და დავით მეფისა წინაშე მოიყვანეს. ხოლო მან იცოდა დიდი მოწყალება თამარისი, ამისთვს მისსა შეკითხვამდის თუალნი დასწუნა, ნაცვლად მრავალთა სისხლთა ქრისტიანეთასა.

არა ოდენ თვსსა სამეფოსა შინა იყო კეთილიანობა, არამედ ყოველთა ქრისტიანეთათვს და რომელნი მძლავრობდეს ქრისტიანეთა, ყოველთა მიუმცნო, რათა აზადად იყვნენ და ფიცხლად დამორჩილდენ შიშითა და სიყუარულითა მისითა.

წარავლენდის სარწმუნოთა თვსთა და დაავედრის ესრეთ: „იწყეთ ალექსანდრიით ყოვლისა თანა ლუბიისა, სინისა მთისა“, და მათ კერძოთა ეკლესიათა, მონასტერთა და ერთა ქრისტიანეთა მოიკითხვიდის, ხოლო იერუსალემისათვს რადღა საკმარ არს თქმად, რამეთუ წარგზავნიდის ამათ ყოველთა შინა ეკლესიათა ბარძიმ-ფეშხუმებსა, და სიწმიდეთა საბურავებსა და მონაზონთა და გლახაკთათვს ოქროთა აურაცხელთა.

ტყუენი განათავისუფლნის და ხარკი ერისა თვთ უკუნ სცის, და ყოველი ჭირი დაჭირებული აღიღის მათგან.

კუალად კერძოთა ელადისათა და მთაწმიდას, ეგრეთვე მაკედონიისათა პეტრიწონს, კერძოთა თრაკისათა და კოსტანტინეპოლის მონასტრებთა, რომანას და ყოველგან, კუალად ისავრიას, კურუსეთს, და ყოველთა მათ სანახებთა შავისა მთისათა და კვპრისათა. ესე ყოველნი აღავსნა ქველის საქმითა, რომლისათვს ისმინეთ, თუ ვითარ მოხედვიდა ღმერთი საქმეთა მისთა:

მოიწონეს ოდესმე ჩუეულებისაებრ ქველისმოქმედებათათვს ამისთა მონაზონნი შავისა მთისა, ანტიოქიით და კვპრისა ჭალაკით, ეგრეთვე მთაწმიდით და მრავალთა ადგილთათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიწყნარნა თამარ ჩუეულებისაებრ ვითარ ანგელოზი და მრავალ დღე არა გაუშვნა, მერმე მისცნა ყოველთა დიადი, და ადავსნა ყოვლითა საჯმრითა. უკანასკნელ მათგან უფრო შორიელთა მისცა დიდძალი ოქრო, თვთ მათთვს და ყოველთა მონასტერთა განსაყოფელად. წარვიდეს მონაზონნი იგი და მიიწივნეს რა კოსტანტინეპოლედ, ესმა მეფესა ბერძენთასა ალექსის, ანგელსა, რომელმან ძმასა თვსსა ისაკს თუალნი დასწუნა და მეფობა წარულო. ესე ყოვლითურთ ბოროტი კაცი იყო, და შეუტყუებელი მეფობისა, გარნა უმეტეს ანგარებისათვს საძაგელ იყო ყოველთა მიერ. იხილა სიდიდე იგი ოქროსა, რომელი მიეცა თამარს და წარულო მათ მონაზონთა.

ცნა რა ესე თამარ მეფემან, ნაცვლად სხუა უფროსი წარგზავნა მათ წმიდათა მიმართ, და ამით უმეტეს არცხვნა ეშმაკი. ხოლო განრისხნა მეფესა ზედა ბერძენთასა, წარგზავნნა მცირედნი ვინმე ლიხთ-იქითნი, და წარულეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კიტიორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფეგლაღონისა და პონტოსანი, და მისცა ნათესავსა თვსსა ალექსის კომნიანოსსა, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თვთ წინაშე თამარ მეფისა შემოხუეწილი.

ხოლო ესმა ესე ფრანგთა, რამეთუ მოელო ბერძენთა შეწევნა ალმოსავლეთით, გამოვიდეს ვენეტიკნი და წარულეს სამეუფო ქალაქი, მეფობისა თანა, და შეიხუეწა უბადრუკი იგი ალექსი ბორღალეთს, თვსისა სიძისა თანა. იხილა რა ბორღალელთა მეფემან, სიძემან მისმან, შეიყვანა ციხესა ერთსა, და დაუფინა წინაშე მისსა ოქრო დიადი, და რქუა ესრეთ: „აჰა ალექსი, გულისსათქმელი იგი შენი; ოქრო ესე მიიღე, თვნიერ სხვსა რომლისამე საზრდელისა, და წყლისა წილ, რამეთუ ამისთვს წარსწყმიდე სახლი სამეუფო ქრისტიანეთა, და დაჯსენ თვთმპყრობელობა ბერძენთა“. და ესრეთ მოკუდა საწყალობელი იგი სიყმილითა, დაკლებული შეწევნისაგან ღმრთისა.

ესრეთ საზარელ იყო თამარ მტერთა ზედა, და კუალად ესეოდენ ტკბილ და ძჯრუჯსენებელ, ვიდრემდის ესმა რა ესე ყოველი, დიდითა ტკივილითა იგლოვა, დაღათუ არა ღირს იყო მისთვს ტკივილი. რამეთუ რაცა ვის არა ჭეშმარიტებით აქუნდეს, არა იპყრობს დიდხან, გარნა თამარ უცხოსაცა ზედა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავრდომილთა ლმობიერ იყო ტკივნეულობად და წყალობად, ვითარ აწ ამასცა ზედა.

ხოლო წარმოვთქუათ ესეცა, რამეთუ ოცდამესამედ, გინათუ მეოთხედ, აღმავლობასა მეფობისა მისისა წელიწადსა იკითხა საქმე კარისა. რამეთუ მრავლით ჟამითგან ჰბრძოდეს სარგის თმოგუელი, შალვა თორელი და მესხნი, გარნა ვერარა ღონე ქმნეს აღებისა, რამეთუ ზამთრის მკსინვარებისაგან და სიცივისა უღონო იყვნეს მიდგომად. ხოლო ჟამსა ყინვისასა წყლისაგან განყინულისა ვერ შეუძლებდეს ბრძოლად, გარე შემოუხუნეს ყოველნი ციხენი და სოფელნი და იგი მხოლო მარტოჰ ჰქონდათ სპარსთა. ამისთჳს განიზრახა კეთილისა გონებითა და წარავლინა დავით ზემოთ ლაშქრითა. წაატანა ზაქარია და ივანე, და უბრძანა, რათა დადგენ მუნ და ძლიერად ეომონ. და ხანგრძლად იქმნა ესე, და თჳთ თამარ დადგა ჯავახეთს, და მუნ მოელოდა ამბავსა მათსა.

ხოლო იგინი მივიდეს და ებრძოლეს უკუე შეკრულსა მას ღობესა წყლისათჳს და მრავალთა შინა დღეთა განტეხეს ადგილი იგი. და გამოიცალა წყალი და მის თანა უმრავლესნი მოქალაქენიცა. ხოლო დაშთომილთა მათ ითხოვეს დავითისგან, რათა თჳთ თამარ მივიდეს და მას მიენდვნენ, რამეთუ ეშინოდათ სიტყუათა მათთათჳს გინებისათა, რომელთა ციხით გამოიტყოდეს პირველ.

მაშინ მოაჴსენეს ესე ყოველი თამარს. ხოლო იგი მივიდა. და მოიხუნეს ციხოვანთა მათ კლიტენი წინაშე ძისა მისისა გიორგისა და მერმე თამარის წინაშე და ითხოვდეს მშჳდობასა და ფიცსა ,რათა არა განსცეს კარი, ვითარ ანისი და დვინი, არამედ სამეფოდ დაიმჭიროს. ამისთჳს მისცა სიტყუა მტკიცე და უბრძანა ძესა თჳსსა გიორგის, რათა შევიდეს და თჳთ მიითუალოს ქალაქი და ციხე. რომელი ესე ესრეთ იქმნა. და ესე ერთი ქალაქი და ციხე თჳსად დაიმჭირა, მათ ყოველთაგან, რომელნი აიხუნა ძორაკერტით რაჴსამდის, გაგით განძამდის და ჯავახეთით სპერამდის.

და ვისცა ათჩჴდმეტსა წელიწადსა შინა ესე საქმენი თამარისგან გემცრებიან, და მისთა ლაშქართაგან, წელიწდისა ერთისა დღეთა თუ ვითარ შეუძლო ყოველთა მათ გარეთა აღმართ ოდენ შეხედენ, რომელნი ჰქონან ციხენი მჴარგრძელთა ოდენ სახლთა, ზემოთ და ქუემოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხიარულად ამბისაგან მეტყველი პირი აწ მწუხარეთ
მიმართ მიიქცევის. რამეთუ მეგულვების აწ წარმოთქმა ყოვ-
ლისა სოფლისა საგლოველისა ამბისა.

ნაჭარმაგევს გარდმოდგა მეფე თამარ და მის წინაშე იყვ-
ნეს ყოველნი დიდებულნი და წარჩინებულნი. და იურვნა და
განაგნა საქმენი სამეფოსა ოუსისანი, და უფროსღა ეკლესიათა
და მონასტერთანი. და მუნ დგომასა შინა გამოაჩნდა სენი რა-
მე მომაოჯრებელი ჩუენი, რომელი დღითი-დღე დამძიმდებო-
და მის ზედა და დიდხან ფარვიდა, რათა არავინ შეაწუხოს.
გარნა ურგებელ იქმნა რა ჭირი, არა მიმთუალველი კურნები-
სა, მაშინღა განაცხადა, რამეთუ დედობრივმან უძლურებამან
განგრძობილთა შინა მჴედრობათა არა თავს-იდვა შეუმთხუევ-
ლად მიშუება აგებულებისა.

და აქა საბრალობელ მიჩნს დიდად ერთგულნი იგი კაცნი,
თუ ვითარ უგულებელს-ყვეს ეგეოდენი ტკივნეულობა მისი.
რამეთუ წარმოიყვანეს კუბოთა ტფილისს, და შემდგომად
მცირედთა დღეთა ენებათ ჩუეულებისაებრ, რათა დასოს გან-
ვიდენ. ისწრაფდეს და მუნ წარიყვანეს კუბოთავე და დიდად
განძნელდა ს ნი იგი უწყალო. და კუალად წარმოიყვანეს ავა-
რათა ციხესა.

და უქმ იქმნა მის ზედა ყოველივე ბუნებათა გამომეძიებ-
ლობა მკურნალთა ჴელოვნებისა. ამისთჳსცა იყვნეს თჳთ
მუნ და ყოველსა ადგილსა ლიტანიობანი და ღამისთევანი მიმ-
დემნი, და ცრემლთა დინებანი იხილვებოდეს მდიდართა და
გლახაკთანი სწორებით. გარნა განჩინება წინააღუდგომელი
იყო და დღემან იწყო მიდრეკად, და მზემან დასლვად, და ჰა-
ერმან სხუად ფერად უფერულობა. და ცისკარსა დღისასა ზე-
და იწყეს შემოსად ბნელთა ღრუბელთა: ღაწუთა მათ ვარდო-
ვანთა იწყეს დაჭნობად, და თუალთა მათ ტბაებრ მზისა შემ-
ცხრომელთა სიმრუმედ მიმართეს. ჴელთა მათ, მსახურებისა-
გან გლახაკთასა არაოდეს დაცხრომილთა, იწყეს მოუძლურე-
ბად და ფერჴთა მათ, მარადის ღმრთისათჳს მაშურალთა, იწყეს
შედრეკად და ყოველნი ნიშნი ცხოვრებისანი სხუად და სხუად
ფერად იხილვებოდეს.

ზოგადმან ულონოებამან მოიცვნა ყოველნი და არა უწყო-
დეს, თუ რამცა ყვეს. მთავარნი იცემდეს პირთა, გლახაკნი
იტყებდეს თავთა, და ყოველნი ნაცვლად მიუპყრობდეს თავ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თა თჳსთა და შვილთა თჳსთა ღმერთსა, და ითხოვდეს მის ზედა მომავალსა სიკუდილსა: „რათა მარტო ესე დარჩეს და ჩუენ ყოველნი მოგუსრენ“. ამას ჴმობდეს და მოეცვათ სასუენებელი პალატისა, რომელსა აქუნდა ცხედარი უბადრუკებისა ჩუენისა, და ღონე თუმცა იყო, ეცდებოდეს, რათა არა აუფლონ სიკუდილსა შემოსლვად. რა იყო, რომელი არა იხილვებოდა მუნ, ანუ სავედრებელთაგანი გინა მწუხარებათა, გარნა მწოდებელი კართა ზედა დგა და მბრძანებელისა წინააღდგომა შეუძლებელ იყო.

ბრძენმან ბრძნისა ნეტარება აქაცა მოიღო თამარ, რამეთუ შემოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა სამეფოსა თჳსისათა წინაშე მისსა, განიმტკიცა თავი თჳსი, და მჴნედ მჴდომარე ესრეთ ეტყოდა: „ძმანო ჩემნო და შვილნო! მე ესერა მივიწოდები მსაჯულისაგან საშინელისა, უსაშინელესისა უფროს მეფეთა ქუეყანისათა, რომელმან მიუხუნის სულნი მთავართანი. თქუენ ყოველნი თჳთ მოწამე ხართ, რამეთუ თავისა ჩემისა თანა მაქუნდა სიყუარული თქუენი, და სარგებელსა და სათნოსა თქუენსა არა დავაკლე თჳთოეულისაებრ არძანიგისა, ვიდრემდის განგებითა ღმრთისათა ვიყავ თქუენ ზედა მეფედ. აწ მეცა წარვალ მამათა ჩუენთა თანა გზასა ჩემგან უცხოსა, ბრძანებითა საშინელითა და განყოფითა საკჳრველითა. გევედრები ყოველთა, რათა მარადის კეთილსა შინა იყვნეთ მაჴსენებელი ჩემდა. აჰა, ესერა მკჳდრად სახლისა ჩემისა დაგიტევებ რომელნი მომცნა ღმერთმან შვილნი ჩემნი, გიორგი და რუსუდან. ეგენი მიიხუენით ჩემ წილ და მაგათ აღმოგივსონ დაკლებული ჩემი“.

შევედრნა ყოველთა და მიუთუალნა წინაშე ხატსა ქრისტესსა და ჯუარსა ცხოველსმყოფელსა. და მერმე უკანასკნელ ჴმა აღმოუტევა, და ყოველთა მშჳდობა მისცა ესრეთ მეტყველმან: „ქრისტე, ღმერთო ჩემო მხოლოო, დაუსრულებელო მეუფეო ცათა და ქუეყანისაო! შენ შეგვედრებ სამეფოსა ამას, რომელი შენ მიერ მერწმუნა, და ერსა ამას, პატიოსნითა სისხლითა შენითა მოსყიდულსა, და შვილთა ამათ ჩემთა, რომელნი შენ მომცენ და მერმე სულსა ჩემსა“.

მაშინ განვიდეს ყოველნი მწარედ მტირალნი. და თამარ დაიძინა ძილი იგი მართალთა თუესა იანვარსა ი-Გ. და აღივსო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე ქართლისა, და საფლავმან სადიდებელად თჳსად ჭირვა ცხოვრება მსოფლიო ყოველთა ქრისტიანეთა.

აქა რაღა ჯერ არს თქმა, გარნა ბავთისა ღაღადი, ბნელი უნათლო და გლოვა უნუგეშინის-ცემო, რამეთუ ვინ იყო ნუგეშინის-მცემელი, ოდეს მწუხარება ზოგადი იყო ყოველთათჳს. სატუხელ იქმნა პირი ქუეყანისა, აღეპარსა ყოველთა თავისა თმანიცა მხოლოდ სახელისა ოდენ მქონებელთა. ჴმასა თანა ვაებისასა ქუესკნელნიცა შეიძრნეს, ყოველნი ფლასითა შეიმოსნეს .ესრეთ გუანდა, დაღათუ ჩუენ თანა იგლოვს ცა და ყოველი სოფელი.

მაშინ უკუ აღმოიყვანეს და მცირეთა შინა დღეთა მცხეთად დადვეს, და მერმე უკანასკნელ თჳთ მუნვე გელათს დაამკჳდრეს თჳსსა შინა სამარხოსა, დიდებად მუნ შინა დამკჳდრებულთა პაპთა და მამათა მისთა, სახელოვანთა დიდთა მეფეთა თანა.

იცვალა ფერი ქართველთა მხიარულებისა, რამეთუ განბიცნეს ბაგენი მათნი, რომელთა პირსა შინა პირველ სხუა არარა მოაქუნდა, ვითარ თამარ. რამეთუ სახლთა ზედა აკროსტეხორად თამარის შესხმათა დასწერდეს, ბეჭედთა ზედა და დანათა და არგანთა შეამკობდეს, და ზედა თამარის ქებასა დასწერდეს. და ყოველთა პირნი ერთბამად მზა იყვნეს, რათა ღირსი რამე თამარის საქებლობისა სიტყუა აღმოთქუან: ყრმანი მემროწლენი, განპებასა შინა ორნატთასა, თამარის ქებათა მელექსეობდიან; ერაყს მყოფნი მეებნენი, გინა მეჩანგენი თამარის შესხმათა მუსიკობდიან; ფრანგნი და ბერძენნი, ზღუასა შინა მენავენი, ნიავ-კეთილობათა შინა, თამარის ქებათა იტყოდიან. ესრეთ ყოველი სოფელი სავსე იყო მის მიერითა ქებითა და ყოველი ენა ადიდებდა, რომელსაცა ოდენ სახელი მისი ასმიოდეს.

ხოლო საქმეთა მისთათჳს რაღა საჴმარ არს თქმად, რამეთუ ქიდით-ქიდედმდე განისმნეს, ვითარცა თჳთ მოწამე არს ყოველი ჩუენ მიერ ხილული სიტყჳსაებრ ბრძნისა.

არა უცთომელობა მგონიეს ძალისა უზეშთაესსა მეცადინეობა, რამეთუ დაწყება და აღსასრული ამის ჴელ-ყოფისა სრულებით ესრეთ ჩანს, ვითარცა სიმძიმესა და პატიოსნებასა თანა ოქროსასა ქარქუეტისა ნამუსრევი. რამეთუ ვინ რა წარმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქუას ღირსი ამისთჳს, გინა რა ვინ პირველ აქოს, ანუ რომელი უკანასკნელ: სიმდაბლე უზომო, სიმაღლე შეუსწორებელი, სიმშჳდე საქებელი, სიმქისე ჯეროვანი, ლმობიერება მოწყლე, მოწყალება თანალმობილი, უმანკოება უზაკუელი, სიწრფოება უსიცრუო, სახიერება ზოგადი, სიუხუე აღუზუავებელი და — თავი ყოვლისა კეთილისა — შიში ღმრთისა და მსახურება მისი შეუორგულებელი, — რომელი-ესე ყოველი ამან ესრეთ მოიგო, ვითარ ვერცა ერთი სხუამან ვერვინ. და წამებს ამას ყოველი მახლობელი სამეფო გარეშემო ქართლისა, თუ რაოდენნი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა, რაოდენთა მიმძლავრებულთა უკუნ-სცა სამეფო თჳსი, რაოდენნი განდევნილნი სამეფოდვე თჳსად კუალად აგნა და რაოდენნი სიკუდილად დასჯილნი განათავისუფლნა. და ამისი მოწამე არს სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყვნეს და მტერთაგან უზრუნველობასა.

ხოლო სჯულთა მიმართ საღმრთოთა ვინ იყო ესრეთ მოშურნე, გინა სიმდაბლით თავისა მომდრეკელ, რამეთუ თეოდოსი დიდსაცა აღემატებოდა. ლოცვანი და ღამისთევანი, რომელნი ბალატსა შინა ამისსა აღესრულებოდეს, საეჭუელ მიჩნს მეუდაბნოეთაგანცა; ხოლო მარხვისათჳს რაღა ვთქუა, რამეთუ წესი იყო მონაზონთა და მამხილებელ უდებთა ერი ბალატისა.

ეგრეთვე სიყუარულისათჳს ხუცესთა და მონაზონთასა ნამეტნავ არს თქმად, რამეთუ წესიერად ცხორებულნი კაცნი მარადღე იყვნიან წინაშე მისსა, და მახლობელად სასუენებელისა მისცის მათ საყოფელი და თჳთ ზრდიდის საზრდელითა და ყოვლითა საჴმრითა, რაცა უნებნ. და უკუეთუ მათგანი ვინმე იყვის უძლურ, თჳთ მივალნ მოხილვად და ნუგეშინის-ცემად, და თჳთ განუმზადებნ ცხედარსა და სარეცელსა.

ხოლო გლახაკთათჳს განეჩინნეს სარწმუნონი ზედამდგომელნი და ყოვლისა სამეფოსა მისისა შემოსავალნი, რაცა იყო შინათ და გარეთ, ყოვლისა ნაათალი გლახაკთა მიეცემოდა დაუკლებელად ერთისა ქრთილისა მარცულამდეცა. და ამას ყოვლადვე არა გონებდა ქველის საქმედ მითუალვად წინაშე ღმრთისა, რამეთუ რაჟამს მოი

ველთასა სუცესთა და გლახაკთა განუყოფენ თჳსითა ჭეშმარიტებაჲ.

ესრეთ წესითა განმტკიცებულითა ღმრთისა სახიერისა სათნოებისათა არა დაწყებისასა მიხედვიდა, არამედ აღსასრულისათა, და, ვითარცა მზე სწორ-პატიობით ყოველთა ზედა განუტეობდა ნათელსა თჳსთა შარავანდედთასა. ესრეთ წყალობითა ყოველთათა მოიზიდვიდა წყალობად ღმრთისა, ესრეთ გამოიფრდიდა ჟამთაგან, ესრეთ განაძლიერებდა მეგობართა, დაღათუ არარათ სიცრუით მოგებულითა და უსამართლოთა.

არაოდეს მომედგრდა ჟამისაგან, არცა უდებ იქმნა ოდესცა განგებისათჳს, არაოდეს აუქმა გონება მისდა რწმუნებულთა საქმეთათჳს, არა დაუმძიმა კრთომასა გონებისასა დამზიდველი რამე ჩუკენებრივი, არცა სიმდაბლესა მირიდა, არცა სიმაღლესა განეყენა, არც სიტკბოება ჟამიერი უმოთნო ყო, არცა საშინელება შეურაცხ-ყო; ყოველნი განზავა ყოვლითა, რათა სრულებით სრულისაგან წარმოაჩინოს თავსა შორის თჳსსა.

უღაფრობა მაარსებელისა განუგმობელად დაიცვა, რათა მოქცევასა შინა სიმრგულისასა არარად ელმად და უცხოდ მიდრკეს, არცა გარდაყვეს სავსებელისა დუღილსა შინა, არცა მოაკლდა შთაზიდვასა შინა საბლისასა, არამედ მეტად დამდაბლებულმან გონიერისა გონებისაგან იყოვლისფერა გარემოდ, რათა მოქცევი თჳსი მარტიობით იხილვოს გუარსა შინა ანაგისასა შეუყოფელად ვნებათა. ისურვებდა და სასურველ იყო, იწადებდა და საწადელ იყო, იქებოდა და საქებელ იყო, ნატრიდეს და სანატრელ იყო, და არარა იყო სხუა კეთილი, რაცა იგი არ იყო მის შორის.

ურჩნი თჳსნი დაამდაბლნა და მოყუარენი აღამაღლნა. არა იღუწიდა უმეზობლობასა, არცა «შერთვიდა სახლსა სახლსა ზედა, არცა აგარაკსა აგარაკსა ზედა უცხოსა», არამედ თჳსი მამული ძუელი კმა იყო, რათა არა უსამართლოდ ჰგონონ და მიმხუეჭელად, ვინათგან სამართალმანცა ზენამან უბჭო მართალსა. არა შინებით უთქმიდა მეზობელთა, არამედ უფროსლა სცვიდა მაშინებელთაგან, და მათ საშინელ ყოფდა მტერთა ზედა. შორს განიოტა წურბლის მსგავსი ვერ-მაძღრისობა, ვინ არა გესლოვან ყო ნაყოფი, და არცა ბუგრიან ნაშრომი.

ბჭედ ჯდა შორის თავისა თჳსისა და მეზობელთა მეფეთა, არა მიშუებად ბრძოლისა, არცა გარდადებად უღელსა მძლავ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რობისასა ურთიერთას, და სახედ თავსა თვსსა მისცემდა და ამისთვს მათ ზედა მეორე სოლომონ იქმნა მეფეთა შორის; და არა ერთისა გული აღძრა სუოვილად, არამედ ყოველნი რომელთა ესმა სახელი მისი, ვინა დიდთა მეფეთა, ცუდად შერაცხნეს თვსი ბედკეთილობა ვერ-ხილვისათვს მისისა. კნინდა-და ყოველსა ზღუასა აღმოიწრედდა თვსად, ვითარცა ღრუბელი ყოველთა ზედა მსხურებელი ტკბილთა წვმათა.

განიგემნე ყოველნი მატიანენი, ძუელთა გინა ახალთა მეფეთა მაქებელნი, რამეთუ გარდაემატა თამარის საქმეთა ჭეშმარიტებით საქებელობა სიტყვსაებრ პირველთასა: სახარელ იყო თსრობათა შინა და კდემულ განმსწავლელობათა, შემხებელ ლბილობით და განმწურთელ სიტკბოებით, მგუემელ მოწყალეობით და შემრისხველ თანალმობით, რათა ყოვლად ყოველითურთ განუგმობელ აჩუენოს თვსება ღმრთისა. სანთელი იყო გონიერთა და უგუნურთა, პირველთა განმანათლებელ და მეორეთა დამწუველ. აღვრი იყო უწესოდ მკრთომელთა და დეზ უდებთათვს; კანონი სირცხვლისა მოხუცებულთა და კუერთხი რკინისა ჭაბუკთათვს; კეთილმავალთა სიბრძნით მცველ, ხოლო მბორგალეთა თუალუხუავად მგუემელ.

მღდელთმოძღუართა შეიმოსეს შიში; მღდელთა დაიცვეს წესი თვსი; მონაზონთა მოიგეს წესიერი მოქალაქობა; მთავარნი განისწავლნეს სიწმიდით ცხოვრებად და სიმართლით სლვად; ერნი განემტკიცნეს შიშით მონებად ღმრთისა და ერთგულობით უფალთა თვსთა; ყრმანი განიწუართნეს მოძაგებად უჯეროსა უსჯულოებისა, რამეთუ ბილწებამან უწესომან და ყრმებრივმან მბორგალებითმან ბორგნეულობამაწ ვერცა თუ კუალი პოვა დღეთა თამარისთა. ვინა-და თვთ გინებადცა შორს იყვნეს, რომელნიცა პალატსა შინა ღირს იყვნეს გინა კარსა ზედა მსახურებად.

ესრეთ ყოველსა შინა დაცვითა ღმრთისა მცნებათათა მოიგო წყალობა ღმრთისა, და აკურთხა ღმერთმან ცხოვრება მისი, და განამრავლა ნაყოფი მისი, და თავწარსხმულ ყო მსგავსად წერილისა: «ნათელი აღმოუბრწყინდა მართალსა» განთიადისა თანა, და მეუღლე მისი სიხარული შუადღე, და მწუხრი მშვდობით დაიძინა სარეცელსა ზედა თვსსა. შეამკუნა ღმერთმან დღენი მისნი პატიოსნებით და ჟამნი მისნი მშვდობით. და მეფობასა შინა მისსა არა შეიჭუა პირი მისი, ამისთვს რამეთუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაოდეს გარე მიაქცია ჴელი სათხოველისაგან ქურბანთა, ობოლთა და მიმძლავრებულთასა. წარვლნა დღენი მისნი სიხარულსა შინა, ამისთჳს რამეთუ მარადღე ახარებდა ყოველთა გლახაკთა და დავრდომილთა. და უკანასკნელ წარვიდა მამათა თჳსთა თანა, და შეეძინა; და დაუტევნა ორნი შვილნი, გიორგი და რუსუდან, შუენიერნი, საწადელნი, სასურველნი და საქებელნი, შექმნით სეფისპირნი, გონიერებით აღსავსენი, სიბრძნით შემკობილნი, და ყოვლითა სიკეთითა სრულნი. თამარ ოცდასამთა შინა წელიწადთა შეაწყუდია ყოველი გუარი კეთილმეფობისა.

აქა დავჴში სიტყჳსა წყობა, მომავალთათჳს ყოველთაგან აწინდელთა სხუათა ძლევისა მიცემითა ყოველთა, და უმჯობესად შესატყჳს შესაძლებლად სახისმეტყუელებასა უაღრესისა სიტყჳსასა პოვნით, და ამისთჳს ჩუენ მიერ დუმილით პატივ-ცემით დავიდუმოთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟამთააღმწერელი

[ასწლოვანი მატიანე]

ამას საწატრელსა სიცოცხლეშიგან დაედგა გვრგვნი ძისა მათისა გიორგისდა, რომელსა ლაშობითცა უწოდა. იყო წლისა ათცამეტისა, რაჟამს დაიდგა გვრგვნი მეფობისა და მეფემან თამარ მიუულოცა მეფობა, ხოლო რაჟამს მიიცვალა თამარ, იყო თანა ლაშა ათვრამეტისა წლისა. დაუტევა მეფობა ძესა თჳსსა, ხოლო ნათესავსა ქართველთასა — ცემა, მწუხარება, ვაება და გლოვა, რამეთუ ცოცხალნიცა ჩასრულ იყვნეს ჯოჯოხეთს მკვდრნი სამეფოსა მისისანი და ეგრეთცა ჯერ იყო.

შემდგომად მისისა დაიპყრა მეფობა ძემან თამარისმან ლაშა გიორგი, რომელი იყო ტანით ძლიერი, მჯნედ მოისარი, ნადიმობათა შინა მოსწრაფე, ლაღი და თჳთბუნება. და უმეტეს ამისთჳს განლაღებულ იქმნა, რამეთუ დაემორჩილნეს ყოველნი წინააღმდგომნი მისნი კეთილად მოჯსენებულსა და ღმრთისმოყუარესა დედასა მისსა და უშფოთველად და წყნარობით დაეტევა სამეფო და ყოველნი მახლობელნი მათნი მოხარჯე შეექმნეს, ვითა განძელნი და მიმდგომნი, ნახჭევნელნი და კარნუქალაქელნი, და სხუანი მრავალნი ძღუნითა და ხარაჯითა მოვიდოდიან მისსა მას ჟამსა, იშუებდა, იხარებდა და ყოველგან იყო მხიარულება.

და იწყეს განძით განდგომა, არღარა მოსცეს მეფეს ხარკი. ამისმან მცნობელმან მეფემან ლაშა მოუწოდა ყოველთა სპათა საქართველოსათა, იმერთა და ამერთა, მჯარგრძელსა ივანეს, რომელსა მაშინ ბატივი ათაბაგობისა მინებებოდა დედისა მათისა თამარისაგან, რამეთუ იყო ათაბაგობა ისრე განდიდებული, იყო უმეტეს სხუათა ერისთავთასა. ესე იყო ვაზირი კარსა მეფისასა. თქუა მეფემან: „ვინათგან მეფეთა შორის ბრწყინვალემან და საწატრელმან დედამან ჩემმან დამიტევა მეფობა, ყოველნი წინააღმდგომნი პაპთა და მამათა ჩემთანი მოხარაჯედ შეექმნა და დღეისმომდე მორჩილნი ბრძანებისა ჩუენისანი არიან. აწ განძის ათაბაგს საწუნელ უქმნიე და ხარკისა არღარა ნებავს მოცემა. მე ესრეთ განმიზრახავს, რათა შური ვაგოთ განძასა ზედა და თქუენ შრომასა შეგამთხჳო. ძალითა და თა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნადგომითა თქუენითა დაუცემია სანატრელთა ჰაპთა და
თა ჩემთა დიდთა სულტანთა ბლიერებანი. აწ მიიღეთ ჩემკან
პატივი და ნიჭი და აღვიმჭედროთ განძასა ზედა. რათა სუფთა
მტერთაგან არა საწუნელ ვიქმნეთ. შეწევნითა ღმრთისათა და
წარძღუანებითა პატიოსნისა ჯუარისათა და სიქველითა თქუე-
ნითა ვსძლიოთ მტერთა".

ვითარ ესმა ყოველთა წარჩინებულთა სამეფოისათა, განი-
ხარეს და დაუმტკიცეს და რქუეს, ვითარმედ: „დიდი ნუგეში-
ნის-ცემა მოგუემატა ღმრთისა მიერ, რამეთუ გპოვეთ ახოვანი
და გოლიათი, გორგასლიანი და დავითიანი, მსგავსი მათი. მინ-
დობითა ღმრთისათა და ძალითა თქუენითა დავიმორჩილნეთ
ურჩნი მეფობისა თქუენისანი და შევანახოთ ყოველთა ურჩება
თქუენი". დაამტკიცეს ლაშქრობა და განძის დარბევასა წარე-
მართნეს თუთ მეფე სპითა დიდითა. ვერ წინააღუდგეს გახძელ-
ნი და მოაოჯრეს განძის ქუეყანა, აღიღეს ტყუე და ნატყუე-
ნავი ურიცხუ და მოადგეს ქალაქსა განძისასა, მოადგეს გარე
და მრავალ დღე ებრძოდეს, და ყოველთა დღეთა გამოვიდიან
ქალაქის კარსა ბრძოლად ჩალიშად, აქათცა და მუნითაც ურ-
ჩეულნი ებრძოდიან.

მაშინ ინება მეფემან გარეშემოვლა ქალაქისა მცირედითა
ლაშქრითა, და ვითარ მოვლიდა მტკურისაკენ ქუემოთ, ცნეს
ესე განძის მყოფთა, ყოველნივე აღიჭურნეს, კაცი ჭურვილი
ვითარ ათი ათასი. ხოლო მეფეს ჰყვა ოთხი ათასი კაცი ოდენ,
ამათ შინა უმეტეს მესხნი, რამეთუ ერთკერძო მჯარგრძელნი
დგეს, ერთკერძო ჰერ-კახნი და სომხითარნი, ქართველნი და
თორელნი; ერთკერძო აფხაზნი, დადიანი ბედიანი და ლიხთ-
იქითნი ზედმოკიდებით ურთიერთას.

ვითარ მოვლიდა მეფე, იცნეს, განახუნეს კარნი და, ვითარ-
ცა მჭეცნი, ზედამიუჯდეს. და იხილა მეფემან ლაშა სიმრავლე
მათი უშიშითა გულითა, განმჭნობითა სპათა მისთა, ეგრეთვე
სპანი მეფისათჳს სიკუდილად განმწირველნი ეტყოდეს: „სი-
კუდილამდის ვილუაწოთ და დავდვათ თავი სასიკუდილოდ და
არა ვარცხჳნოთ პირველსა ომსა მეფობისა შენისასა". და მყის
მიეტევნეს ურთიერთას და იქმნა ბრძოლა ძლიერი და დიდად
სასტიკი. და მიეცნეს პირსა მახჳლისასა უმრავლესნი რჩეულნი
განძისანი. თუთ მეფე ლაშა წინამიეტევა მჯნედ და ძლიე-
რად, თუთ გოლიათი მკლავითა სჳანითა და ჯელითა გო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიათითა ,რომლის თანა წინამბრძოლობდეს ძლიერად ყუარ-
ყუარე ჯაყელისა შვილი პირმშო, ბიბილა გურკელი, ბოცო
ბოცოს ძე, მემნას ძმა, რამეთუ ესენი წინაგანეწესნეს. ვითარ
იხილეს სიმჴნე მათი განძელთა, სწრაფად ივლტოდეს პირისა-
გან მათისა, და სდევნეს ვითარ კართამდე ქალაქისად, მცირედ-
ღა შეივლტოდეს ქალაქად, და უმრავლესნი ტყუე-ყვეს და
ზოგნი მოისრნეს.

ამისნი მხილველნი დედანი ძლიერად იცემდეს მკერდსა
მათსა და საყელოსა თმითურთ იფხურიდეს, და განაძლიერეს
ყივილი და ზრიალი. ყოველგნით გარემომდგომთა ლაშქართა
ესმა და მეფესა მომართეს, ხოლო მეფე, უვნებელად დაცული
ღმრთისა მიერ, იგი და მისნი წინამბძროლნი თავადნი სახელო-
ვანნი მოეგებნეს, რომლისათჳს ლაშქარნი და თავადნი
მბრძოლნი დაამტკიცებდეს არღარა ყოფად მოლაშქრედ და
არცა კარსა მეფისასა ყოფად. ხოლო მეფე იგი ჰუნისაგან ჩა-
მოჴდა და ევედრა შენდობა უმეცრებით ქმნულებისა. ესრეთ
მივიდეს კარვად სიხარულითა. მსგეფსამდი იყო მხიარულობა
და გაცემა ლაშქართა ზედა.

ესრეთ შემჴირდა ათაბაგი განძისა და ევედრა, რათა განუ-
ჩინონ ხარაჯა პირველი, რომელი ისმინა მეფემან და უკუსცა
ტყუენი ფასითა და მრავლითა ძღუენითა, თუალითა და მარ-
გალიტითა, ოქროთა და ვეცხლითა.

მივიდა თჳთ მეფე ტფილისს და აღავსო საქართველო ძღუ-
ნითა, რამეთუ იყო ყოველთა მეფეთა უმეტეს უხჳ და არავის-
თჳს მოშურნე, მლოცველ, მმარხველ, განმკითხველ და მოწყა-
ლე. არამედ უკანასკნელ მიდრკა სიბოროტედ თანამიყოლითა
უწესოთა კაცთათა. ვითარცა სოლომონისათჳს წერილ არს,
რომელი შეაცთუნეს დედათა, ეგრეთვე ესე უწესო კაცთა. ვი-
თარცა ქუემორე სიტყუამან საცნაურ-ყოს. ვითარ განისუენებ-
და ნადიმობითა და მსმურთა თანა, მიდრკა სიბოროტემდი,
ვითარ წერილ არს ისრაილთათჳს: „დასხდა ერი იგი ჭამად და
სმად, და აღდგეს სიმღერად“.

ხოლო სმამან მღერასა და სიღოდასა და ნაყროვანებამან
სიბილწესა უმეტეს გარდარია, განიშორნა ვაზირნი სანატრე-
ლისა დედოფლისა და მეფისა წესითა მსწავლელნი, შეიყარა
თანამოსაკენი მსმურობითა და დედათა უწესოთა თანაალრე-
ვად, რომელ ესოდენ უსახურობად მიიწია, რომელ ოდესმ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მსმელი ფრიადისა ღვინისა, ტფილისს მყოფი, წარიყვანეს რინ-
დთა თანა, რათა მუნ განიძღონ სიბილწე თვსი. ხოლო რინდნი,
მეფისა მისლვისა არამგონებელნი და ღვნით უცნობოქმნილ-
ნი, ზედამოეტევნეს მგუემელნი ძლიერად, ვიდრემდი ერთიცა
თვალი მარჯუენე ხედვისაგან უხედვო-ყვეს.

ამისნი მცნობელნი თავადნი საქართველოსანი ფრიად მწუ-
ხარენი, და უმეტეს ივანე ათაბაგი და ვარამ გაგელი, ზაქარიას
ძე, განეყენებოდეს დარბაზს ყოფისაგან: „არა თავს-ვიდებთ
შენსა მეფედ ყოფასა, უკუეთუ არა განეყენო ბოროტთა კაცთა
სიახლესა და ავსა წესსა, რომელსა იქმ". ხოლო მეფემან შეი-
ნანა და აღთქუა სიმტკიცეთა მიერ აღარა ქმნა თვნიერ მათისა
განზრახვისა. დაღათუ აღასრულებდა, არამედ ძლიერებდა მტე-
რი უჩინო, ვერ არწმუნეს ცოლისა სმა, ვითარცა არს გულის-
თქმის მიერ შემწველობა დედათა მიმართ. მისრულმან კახეთს,
სოფელსა ერთსა, ველისციხესა, იხილა ქალი ფრიად ქმნულ-
კეთილი და მყის აღტაცებულ იქმნა გულისთქმათა მიერ და
დამვიწყებელმან დავითის და ურიის ცოლისა მიმართისა საქ-
მისამან მსწრაფლ თვსად მიიყვანა და შეიყუარა. და მუცლად-
ილო დედაკაცმა და შვა ყრმა, რომელსა უწოდეს დავით. ესე
იგი არს დავით, რომელ უკანასკნელსა დიდთა განსაცდელთა
შემდგომად მეფე იქმნა, რომელ ქუემორე სიტყუამან საცნა-
ურ-ყოს. ესე ყრმა აღსაზრდელად მისცა დასა თვსსა რუსუ-
დანს, რომელი-იგიცა მხოლო ესუა თამარსა, რომელთა ძმებ-
რივისა და დებრივისა სიყუარულისა უმეტესობა აქუნდა ურ-
თიერთას.

ამათ წარმართებულობათა და დაწყნარებულობათა შინ-
იყო მეფე და ყოველგნით ნიჭი და ძღუენი მოუვიდოდეს მო-
ხარკეთა მიერ კარვად მეფისა. მხიარულითა პირითა მოვლი-
დის სამეფოსა მისსა განსაგებელთა საქმეთათჳს. გარდავიდის
ქუეით აჯამეთს, ნადირობდის ცხუმს და აფხაზეთს და განაგნის
საქმენი მანდაურნი, და სთუელთა შთავიდის ტფილისს, ხოლო
საზამთროდ დადგის დურს სომხითისასა და მიერ ბრძოდის
განძელთა. ზაფხულის აღვიდის თავად მტკურისა, დადგის კო-
ლას, და მოვიდოდიან წინაშე მისსა მოხარკენი ძღუნითა ხლა-
თითა და საბერძნეთით.

ამათ განსუენებასა შინა მყოფმან არა ინება ქორწინება
ცოლისა. ამისთჳს შეკრბეს კათალიკოზნი, ეფისკოპოზნი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაზირნი, მოაჯსენებდეს: „არა ჯერ-არს, რათა მჴევალი გესვას და არა ცოლი, ვითარცა დასწერს მოციქული, პირი ქრისტესი, პავლე: „ქორწილი წმიდა არს და საწოლი შეუგინებელ. ხოლო მსიძავნი და მემრუშენი საჯნეს ღმერთმან“. ხოლო მეფესა არა ენება. წარგვარეს ქალი იგი, დედა დავითისი, და ქმარსავე მისსა მისცეს. ხოლო არცა მაშინ ექორწინა მეუღლესა, არამედ ეგო უქორწინებლად. რამეთუ იყო ესე ლაშა გიორგი მჴნე, ახოვანი, ძლიერი, ლაღი, ამპარტავანი, თავჴედი, თჳთბუნება, ვითარცა მითქუამს, უხჳ, სახიობისმოყუარე, ღჳნისმოყუარე და გემოთმოყუარე. და მშჳდობა იყო სამეფოსა შინა მისსა და შექცეული იყო სმასა და ჭამასა, რომლისათჳს დასწერენ მამანი: „სამნი არიან მიზეზნი ვნებათანი, რომელთაგან იშვებიან ყოველნი ბოროტნი: გემოთმოყუარებანი, ვეცხლისმოყუარება და დიდებისმოყუარება. ამათნი პირმშონი არიან სიძვა, მრუშებანი, რისხვა, მწყინარობა, ამპარტავანება. ამათ ბოროტთაგან გამოვლენ ჴორცთმოყუარებანი, უწესოდ ნებისა მიდევნებანი, რომლისა თჳთეულად არა არს ჟამი აღწერად, ვითარცა წინასწარმეტყველიცა იტყჳს: „ჭამა იაკობ, განძღა, განსხუა, განსუქნა და დაუტევა ღმერთი, შემოქმედი თჳსი, და განუდგა ღმერთსა მაცხოვარსა თჳსსა“.

ეგრეთვე იქმნა ნათესავსაცა ამას შინა ქართველსა. რამეთუ განძღეს და იშუებდეს, უწესოებად მიდრკეს სიძვათა და მთრვალობათა შინა უგუნურნი კაცნი, მეფის კარსა ზედა არა ყოფის ღირსნი და აწ კარსა ზედა მყოფნი. დაღათუ კათალიკოზთა ორთავე და თავადთა ამის სამეფოსათა და უმეტეს ივანე ათაბაგსა უმძიმდა საქმე ესე, არღარა ინებეს მას თანა სამარადისო ყოფა, არამედ განეშორნეს და თჳს-თჳსად იყოფოდეს. ამისთჳს აღმოსცენდეს მიზეზნი ცოდვათა სიმრავლითა საქართველოსა მოოჯრებისანი, რომელი ქუემორე სიტყუამან ცხადყოს.

ქუეყანასა მზისასა აღმოსავლეთით კერძო, რომელსა ეწოდების ჩინ-მაჩინი, გამოჩნდეს კაცნი ვინმე საკჳრველნი ადგილსა, ყარაყურუმად წოდებულსა, უცხო სახითა, წესითა და შესახედავადცა, რამეთუ არცა ძუელთა წიგნთა სადა იპოების ამბავი მათი, რამეთუ არიან უცხოენა, უცხოსახე, უცხოცხორება. ჰურისა გემო არა იცოდიან, ჴორცითა და პირუტყუთა სძითა ცხოვნდებოდეს. ხოლო იყჳნეს ტანითა სრულ, გუამითა

ახოვან, ძლიერ ფერჯითა, შუენიერ, სპეტაკ ჯორცითა, თუალი-
თა მცირეჭურიტ და გრემან, განზიდულ და საჩინო, ცხვრითა
დიდ, თმითა შავი და ჯშირ, შუბლბრტყელი, ცხვრითა მდაბალ
ესოდენ, რომელ ღაწუნი უმაღლეს იყვნიან ცხვრთა და მცი-
რედნი ოდენ ნესტუნი ჩნდიან ცხვრთა, ბაგენი მცირე, კბილნი
შეწყობილნი და სპეტაკ. ყოვლად უწუერული, ესევითარი
აქუნდა უმსგავსო სახე. და ნუ ვის გიკვრს, რომელ აღმატებულ
რამე შუენიერება აქუნდა ამათ მამათა და დედათა. ამას თანა
მოეგო სიმჯნე, მოისარნი იყვნეს რჩეულნი, მაგრითა მშვლდი-
თა უცდომრად მსროლელნი, რომელთა ნაკრავსა ვერამან სა-
ჭურველმან უმაგრის. უფროს ცხენსა ზედა იყვნეს მჯნე, რამე-
თუ აღზრდა მათი ცხენსა ზედა იყვის, საჭურველისა არასა
მქონებელნი, მშვლდისა და ისრისა კიდე.

ესე იყვნეს კაცნი განსაკვრვებელნი, რამეთუ იხილნი-რა,
სულელ საგონებელ იყვნიან, ხოლო ყოველი სიბრძნე იპოებო-
და მათ შორის და ყოველი გონიერება მოეგო, მცირემეტყუე-
ლება. და ტყუვილი სიტყუა ყოვლად არა იყო მათ შორის,
არა თუალ-ახუნიან პირსა კაცისასა, არცა დიდსა, არცა მცი-
რესა, და უმეტეს საბჭოთა შინა, რამეთუ კეთილნი წესნი ეპყ-
რნეს, ჩინგიზ ყაენისაგან განჩენილნი, რომელთა თვთეულად
წარმოთქუმა გრძელ არს.

ამათ აქუნდა სჯულად ერთისა ღმრთისა უკუდავისა თაყუ-
ანის-ცემა. პირი მზისა აღმოსავლეთით ქნიან და სამისა ჩოქისა
ქნა და სამჯერ თაყუანის-ცემა და შუას თითისა ცერსა ზედა
და ნებსა დადება და დატკაცუნება, და მეტი არარა.

ხოლო უილურნი კერპისმსახურნი იყუნეს, რომელთა ქუ-
ჯინად უკმობდეს. ხოლო მოიპოეს წერილიცა ამა მცირედითა
ასოთა, რამეთუ ათექუსმეტითა ასოთა დასწერენ წიგნსა, რო-
მელ ადვილ სასწავლოცა არს და ადვილ გულისჯმისსაყოფიცა.
ამათვე შექმნეს ქორონიკონისსახედ ათორმეტი წელიწადი.
ათორმეტთა პირუტყუთა ცხოველთა სახელსა ზედა და თვთოს
პირუტყუს და ცხოველს თვთოსა წლის მთავრობა განუჩინეს,
ვითარ ძუელ ოდესმე ელლინთა ბრძენთა ათორმეტთა ზოდთა,
რომელ არიან ეტლნი მზისა და მთოვარისანი, ამათ ეტლთა
თვთეულთა მისცეს მზისა საჯდომად ოცდაათ-ათი დღე, არათუ
ცხოველნი არიან, არამედ ზოდნი, ეგრეთვე ამათ თვთოსა წე-
ლიწადსა მთავრობა განუჩინეს თვთოსა პირუტყუსა. რომელი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა თორმეტივე გათავდების, თავსავე დაიწყებს, ვითარ ათ-ცხრამეტული, ათცამეტური, ზედნადები და ზედექუსეული, რამეთუ ცხრამეტ წლად გააწევს და მერმე თავსავე დაიწყებს. და ეგრეთვე ესე თორმეტ წლად გააწევს, რომელსა უწოდენ სახელად ესრეთ: ყალღუნჯილ, უქურჯილ, ფარსინჯილ, თავლაინჯილ, ლუილჯილ, მოღილჯილ, მორინჯილ, ყონიჯილ, მეჩინჯილ, თაღანჯილ, ნოხინჯილ, ყაყაინჯილ. ესე არს სახელი ათორმეტთა ცხოველთა, რომელთა მისცეს მთავრობა თვთოსა წლისა თვთოსა პირუტყუსა, რომლისა პირველად თავ-ყვეს ყალღუნ, რომელ არს თაგუ, მერმე ზროხა, ავაზა, კურდღელი, ვეშაპი, გუელი, ცხენი, ცხოვარი, ყაპუზანა ქათამი, ძაღლი, ღორი. ესენი აქუნდეს წელიწადის სათუალავად, ვითა ჩუენ ქართველთა ქორონიკონი.

ხოლო აქუნდა წესად ერთისა ღმრთისა თაყუანის-ცემა, რომელსა თენგრი უწოდეს ენითა მათითა, და წიგნისა თავსა ესრეთ დასწერდეს: „მანგუ თენგრი ქუჩუნდურ“, ესე არს, „უკუდავისა ღმრთისა ძალითა“.

ესენი მცირედთა საზრდელთა განეშორებოდეს, ყოველსა სულიერსა ჭამდეს, ჯორცსა კატისა, ძაღლისა და ყოველსა.

ამათნი ნათესავნი მრავალგუარად განყოფილ იყვნეს და არიანცა ჯერეთ, ხოლო ათორმეტთა ოდენ მოვიჯსენოთ სახელი რამეთუ პირველი გუარი არს საყირთა, ქინდნი, ყათნი, ჯალაირი, ოირადი, სულდუსი, ნიჰიმნი, ყონღარდი, მანღუთი, თანღუთი, ყიათი და უიღურნი.

ხოლო უიღურნი კერპისმსახურნი არიან, რომელსა უწოდენ ქუჯინად. ესენი ენითა მათითა უწოდიან თავსა მათთა მანღოლ, ხოლო ქართველნი თათრად, რომელთა ვგონებ ერთსოფლელად.

ამათთა ნათესავთა ყიათთა გუარისათა გამოჩნდა კაცი ერთი სახელით თემურჩი, რომელ არს ჩინგიზ ყაენი; ჰაეროვან, შუენიერი, ტანითა აწოვანი, თმითა მომწითურო, ძლიერი, მჯნე, შემმართებელი, მოისარი ჯელოვანი, ღრმად გამგონე, განმზრახავი სჯანი. ესე წარვიდა ნიჭისა და პატივისა მოღებად უმთავრესისა მათისა, რომელსა ხანობით უჯმობდეს ჯელმწიფესა მათსა, რომელსა ერქუა ონ-ხან. ვითარ იხილა, შეიყუარა სიკეთისა მისისათჳს, დიდსა პატივსა აღიყვანა, უწარჩინებულეს ყოველთა სწორთა მისთა, და მჯედართა მთავრობა ჯელთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდვა ლაშქართა მისთა. და ყოველგან მოწყუედდიან ფიცარ-
და გამდგომთა მისთა, ვინაცა ყოვლგნით გამარჯუებული მი-
ვიდის პატრონსა მისსა ონ-ხანს ჴელმწიფეს წინაშე. ხოლო მან
უაღრესსა პატივსა აღიყვანის. ესე შეიშურვა ძმამან ონ-ხანის-
მან, სახელით უთქინ, და შვილმან ქურაქ, და შეასმინეს: „ბე-
ბავს დაპყრობა შენი მეფობისა, რომელსა ხანობით გინა ყო-
ნობით უწოდენ“. და მან განიზრახა მოკლვა მისი. გარნა ავრ-
ძნა თემურჩი, რამეთუ უთხრეს ორთა ვიეთმე კაცთა, რომელ-
თა სახელი ერთისა ქალექ და მეორესა ბად: „ჰნებავს სიკუ-
დილი შენი“. ხოლო იგი ივლტოდა და ორნიცა იგი კაცნი მის
თანა. მივიდა სახლსა და ხარგთა შინა, აჰყარა დედაწული და
ეარა ერთი დღე და ერთი ღამე. და მერმე დაყარა დედაწული,
ბარგი და ხუასტაგი წყლისა მის პირსა, რომელსა ჰქუა ბალ-
ჯუნი. და განუშორა ლაშქარი მცირედ და უკუდგა ჴევსა რასა-
მე. და ცნა ონ-ხან სივლტოლა თემურჩისა, დევნა-უყო და მო-
ეწია დედაწულსა და ბარგსა მისსა. აღიღეს ტყუე ურიცხვ და
დამძიმდეს ალაფითა ლაშქარი. ზედამოუჴდეს თემურჩი ყო-
ველთა თანა ლაშქართა. იქმნა ბრძოლა სასტიკი და ძლიერი,
მოსწყდა ორგნითვე ურიცხვ, და იძლია ონ-ხან. დევნა-უყვეს,
შეიპყრეს, მოკლეს ონ-ხან. და მსწრაფლ დაესხა დედაწულსა
ონ-ხანისასა და ჴელთ იგდო ცოლი და შვილი და ყოველი სიმ-
დიდრე მისი, თჳნიერ ქურაქ, უხუცესისა შვილისა, ონ-ხანისნი.

და დაჯდა ტახტსა ონ-ხანისასა, უწოდეს სახელად ჩინგიზ
ყაენი.

და ბრძოლა-უყო ყონღარდთ ჴელმწიფესა ალთუ-ხანს, და
სძლო და მოაკუდინა იგი და დაიპყრა მეფობა მისი. მერმე ქუ-
რაქ, შვილი ონ-ხანისი, მივიდა გორ-ხანსა ვისმე თანა და ბრძო-
და ჩინგიზ ყაენს. ხოლო მან ბრძოლა გორ-ხანს და მასცა
სძლო, და მოკლა გორ-ხან და დაიმორჩილა გორ-ხანის ლაშ-
ქარნი.

ამისა შემდგომად უიღურთა ზედა წარემართა. რამეთუ უი-
ღურნი ჴელმწიფესა მათსა ედიყუთობით უჴმობდეს. და ამას
ჟამსა სარჩუყ ვინმე იყო მთავარი უიღურთა, რომელთა გუა-
რისა საქმენი განსაკჳრებელ არიან, ვითა ზღაპარნი და არიან
ზღაპარ და ცუდ, ამისთჳს უჯერო არს აწ თქუმა. ჩინგიზ ყაენ-
მან შეიწყნარა და პატივითა დაიჭირა, აღიხუნა მრავალგუარნი
თათარნი და დაიმორჩილნა, და ყარაყითიცა დაიმორჩილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვითარ მოიწყო თათართა ზედა, გამოჩნდა კაცი ვინმე საკვრველი, რომელსა თებ-თენგრობით უკმობდეს. ესე მივიდა ყაენს წინაშე ,იტყოდა თუ: „მე მას მთასა, რომელსა უწოდო ბალიყი, წარვალ, ღმრთისა სიტყუა მესმის. ამას ბრძანებს, ყოველი ქუეყანა თემურჩის და მისთა ლაშქართათჳს მიმიცემია, და სახელადცა ჩინგიზ ყაენ ერქუას“.

ხოლო თქმულ არს ესე: ვითარ ჩინგიზ ყაენი აღვიდა მთასა მაღალსა, და გამოუჩნდა უფალი იესო ქრისტე, ღმერთი ყოველთა. და მან ასწავა სამართალი, სჯული, სიწმიდე და სიმართლე, ტყუვილისა, პირვისა და ყოვლისა ბოროტისაგან განშორება და რქუა თუ: „მცნებანი ესე დაიმარხე. ყოველი ქუეყანა შენთჳს და ნათესავისა შენისათჳს მიმიცემიეს. წადი და აღიღე ყოველი ქუეყანა რაოდენი გეძლოს“.

ხოლო იქმნა რა ყაენად და მივიდა რა ხატაეთს, და შევიდა რა ხილვად ეკლესიისა, იხილა ხატი მაცხოვრისა იესო ქრისტესი, და მეყსეულად თაყუანი-სცა და თქუა: „აჰა, კაცი იგი, რომელი მთასა ჩინეთისასა ვიხილე, ამ სახითა იყო, ამან მასწავა ყოველი წესი“. ესე შეიყუარა ჩინგიზ ყაენმან და მას ჰკითხევდის და ამის მცნება, რაოდენიცა ამცნო, ყოველივე მტკიცედ დაიცვა.

მერმე ებრძოლა ხატაეთის ჴელმწიფესა, არსლან-ხანსა ზედა და სძლო. ესრეთ ჴელთ-იგდო, რომელ ორას ათასი კაცი მოაკუდინა არსლან-ხანისა. ამისმან მცნობელმან არსლან-ხან, სახლსა შინა შესრულმან ცოლითა და შვილითურთ, ცეცხლისა მოდება უბრძანა მსახურთა მისთა, რომელთა ყვეს ეგრეთ და დაიწვა არსლან-ხან დედაწულითურთ. შევიდა ჩინგიზ-ყაენ და დაჯდა ტახტსა მას ზედა, დაიპყრა ხატაეთი. ესე აქამომდე იყავნ.

აწ ვახსენოთ მცირედ შვილთათჳსცა ჩინგიზ ყაენისათა

ამა ჩინგიზ ყაენსა ცოლნიცა მრავალი ესხნეს და შვილნიცა. და უხუცესის ცოლის სევინჯებისაგან ესუა შვილი, რომელსა ერქუა თუში, რომელსა ქართველნი ჯოჩიდ უწოდდეს. მეორე ჩაღათა, მესამე ოქოთა, მეოთხე თული. ესე ოთხნი ყაენად განაჩინნა ხატაეთს მყოფმან. უხუცესსა თუშის მისცა

ლაშქრისა ნახევარი და წარავლინა დიდსა საყივჩაყეთსა ზედა, ხაზარეთს, რუსეთსა, ოვსეთსა, ვიდრე ბნელეთამდე. და ესე ყოველი ამას მისცა, და ამათ სხუათა უკანასკნელ ვაჴსენოთ.

ესე მაღალმან და ყოველთა ჴელმწიფეთა უდიდესმან ხუარაზმშა, რომელი მაშინ დღეთა სიმრავლითა მიმჴცოვნებულ იყო და შვილისა ჯალალდინისდა ჴელთ-ედვა სულტნობა და ქუეყანანი, რომელნი ეპყრა ჯეონს აქათ ხუარასნისა და ერანისა, ცნა რა მოახლება თათართა, მოუწოდა სპათა მისთა, ვითარ ექუსასი ათასთა კაცთა, და წარემართა ჩინგიზ ყაენსა ზედა. ხოლო იგი ხუარაზმშას წინადაემთხჳა. იქმნა ძლიერი და ფიცხელი ომი, რომელ მოსწყდა ორგნითვე ურიცხჳ სიმრავლე, და იძლივნეს ხუარაზმელნი. დაშთა რაზმსა შინა ბერი ხუარაზმშა მცირედითა ლაშქრითა, და თათარნი გარემოადგეს.

ცნა ესე სულტანმან ჯალალდინმან, რომელი იყო კაცი მჴნე, ქველი, შემმართი, უშიში ვითარ უჴორცო, ძალითა საჩინო, წყობათა შინა უცხო. მივიდა მცირედითა კაცითა შუელად მამისა და მყის წარიყვანა მამა თჳსი, და ივლტოდეს ხუარასნად.

ამისა შემდგომად ებრძოლა კუალადცა სულტანი ჯალალდინ მრავალჯერ, რამეთუ სამჯერ ჯეონს იქით შეება და ოთხჯერ ხუარასანს, ჯეონს აქათ. ვინათგან ღმერთსა ცოდვათა ჩუენთათჳს მიეცა ყოველი ქუეყანა, იძლია სრულიად და ივლტოდა. ცნა რა სივლტოლა ამისი და სიმაგრეთა შინა შევლტოლა ჩინგიზ ყაენმან, წარმოავლინნა ორნი თავადნი ზემოჴსენებულნი, იამა და სანპიანი, რომელთა ქართველნი სება-ჴებობით უწოდიან, რათა მოვლონ ქუეყანა ხუარასნისა და ერაყისა, სადამდი ეძლო სლვად, და განიხილონ ქუეყანა.

ესენი წარმოვიდეს ათორმეტი ათასითა მჴედრითა და თჳნიერ საჴურველისა და საზრდელისა ქონებისა, არამედ მშჴლდნი ოდენ, უჴრმლოდ. განვლეს თურანი, ჯეონი, ხუარასანი, ერაყი, ადარბადაგანი, და მოიწივნეს განძას. და ვერავინ წინააღუდგა. თუ ვინ სადა გამოჩნდის, ყოველთა სძლიან.

და მოიწივნეს საზღვართა საქართველოსათა, ქუეყანა გაგისა, იწყეს დარბევა. და ცნა ესე ვარამ გაგელმან და ივანე ათაბაგმან, და აცნობეს მეფესა უცხოსა ნათესავისა მოსლვა, უცხოთა ენითა, ოჴრებად სომხითისა. მეფემან მოუწოდა სპათა თჳსთა, იმერთა და ამერთა, და შეკრიბა ოთხმოცდაათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათასი მჴედარი, და წარემართნეს თათართა კერძ, გაგისა ბოლ-
ლოს მდგომთა. იქით ივანე ათაბაგი და ძმისწული მისი, ზაქა-
რიას ძე ამირსპასალარისა, შანშე, და ვარამ გაგელი, მსახურთ-
უხუცესი, მოერთნეს დიდითა ლაშქრითა. და წარემართნეს.

ხოლო იგინი დაბანაკებულნი წყალსა ზედა ბერდუჯსა, და
აწ საგიმად წოდებულსა, მყის ამჴედრდეს და ეწყვნეს ურთი-
ერთას. .და იქმნა ძლიერი ბრძოლა. ნახევარნი ივლტოდეს თა-
თარნი და ნახევართა მზირი ეყო, უკანით მოუჴდეს. მაშინ
მოიწია რისხვა ზეგარდმო უსჯულოებათა და ცოდვათა ჩუენ-
თათჳს, და ივლტოდეს ქართველნი სპანი და თჳთ მეფე ლაშა,
და ურიცხჳ სული ქრისტიანე მოკუდა, სადა-იგიცა დიდი ივა-
ნე ათაბაგი ძლით ცოცხალი განერა. და სამცხისა სპასალარის,
მეჭურჭლეთუხუცესის ყუარყუარესა შვილი ბექაი მოკლა ძლი-
ერად მბრძოლი. და აქა იქმნა მოწევნა სრულიადისა ღმრთი-
სა რისხვისა და განწირვა ქართველთა ნათესავისა სიმრავლი-
სათჳს უსჯულოებათა ჩუენთათჳს. და იქმნა უკუქცევა სუეს-
ჯანისა ბედისა, მაღლისა და საჩინოსა დავითიანისა დროშისა
გამარჯუებულისა, რამეთუ, რადგან მიეცა ღმერთსა დიდსუ-
ესა და დიდბედისა დავითისად გამარჯუება, აქა ჟამამდი სჯანი
იყო ბრძოლათა შინა დროშა დავითიანი და გორგასლიანი.
ხოლო აქა, ვითარ იქმნა ცვალება ბედისა ქართველთა ნათესა-
ვისა. არღარა მიეცა ძლევა თათართა ზედა ვიდრე ჟამთამდე
ჩუენთა.

ესრეთ ლტოლვილნი მოიწივნეს ქალაქსა ძლიერნი იგი და
სახელოვანნი, რომელნი სულთქმითა და მწუხარებითა შეიც-
ვებოდეს. ხოლო თათარნი მოიწივნეს სამშჳლდემდე და მიერ
უკუნიქცეს, რომელთა ქმნეს საკჳრველი ესე საქმე: წარვიდეს
გზასა დარუბანდისასა, ვერცა შარვანშა წინააღუდგა და ვერცა
დარუბანდელნი. განვლეს კარი დარუბანდისა და შევიდეს
ყივჩაყეთს, რომელთა ბრძოლა აჰკიდეს. და მრავალგან შემო-
ებნეს ყივჩაყნი და ყოველგან თათარნი მძლე ექნეს. და წარ-
ვიდეს ომითა, უსაჭურლონი, ვითარცა მითქუამს, უჭედელითა
ცხენითა ესოდენ გზათა მავალნი, განვლეს ყივჩაყეთი და შე-
მოუარეს ამა დარუბანდისა ზღუასა გარე და მიიწივნეს ველ-
მწიფესა მათსა ჩინგიზ ყაენს წინაშე ყარაყურუმს. და ქმნეს
საკჳრველი ესე საქმე, მოუსუენებლად სლვა ამა ყოველთა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გზათა უჭედელითა ცხენითა, ყარაყურუმით წარმოსრულნი მუნვე მიიწივნეს.

ამისმან მცნობელმან ჩინგიზ ყაენმან, რომელ ყოველგან სძლიეს თათართა, წარმოავლინა შვილნი მისნი ხუარასანს სულტანისა ჯალალდინის ძებნად. ცნა ესე სულტანმან ჯალალ-დინ, შეიყარა და მრავალჯერ ბრძოლა ქმნა, ვითარცა ვთქვ. და იგრძნა რა სრულიად ძლეულება, აიყარა დედაწულითა და ლაშქრითა, თანაჰყვა დედაწულით კაცი ასორმოცი ათასი, და იცლტოდეს პირისაგან თათართასა.

ვითარ გარდაჯდა წელი, არავე დასცხრა გულისწყრომა უფლისა, რომლითა განვარისხეთ, დასნეულდა მეფე ლაშა. მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა სამეფოსათა, შევედრა დაჲ თჳსი რუსუდან ცრემლითა მომდინარემან და თქუა: „უწყი უმანკოება და ერთგულება მეფეთა ნათესავისაგან თქუენ მკჳდრთა საქართველოსათა. შეხედევებითა ღმრთისათა მიგათუალავ დასა ჩემსა, რუსუდანს, რათა შემდგომად ჩემსა მეფე-ჰყოთ, ვითარ არს ჩუეულება ნათესავისა თქუენისა, ერთგულობით მონებდით და სიმჴნითა თქუენითა დაიცევით ტახტი მტერთაგან უვნებელად. დაღათუ არა მამაკაცი არს, არამედ დედაკაცი, არა აკლია სიბრძნესა და სამეფოთა საქმისა ცნობასა. თქუენ, წარჩინებულთა ამის სამეფოსათა, იცით და გაჴსოვს წყალობა და ნიჭი და პატივი სანატრელისა და კეთილად მოჴსენებულისა, მეფეთა შორის ბრწყინვალისა დედისა ჩემისა. ეგრეთვე, თუ ღმერთსა უნდეს, დამანცა ჩემმან იცის პატივი თქუენი. აწ შეგვედრებ წინაშე ღმრთისა, რამეთუ მეფე-ჰყოთ იგი შემდგომად ჩემსა. ხოლო დასა ჩემსა, რუსუდანს, ვამცნებ წინაშე ღმრთისა და სასმენელად თქუენდა ყოველთა, რათა აღზარდოს შვილი ჩემი დავით. რაჟამს ეძლოს მეფობა და მჴედრობა, რომელ დავით მეფე-ყოს, და იგი დაადგინეთ მეფედ და მემკჳდრედ მეფობისა ჩემისა. დაღათუ ყრმა არს, და ინებოს ღმერთმან აღზრდა მისი, ვჰგონებ, რომე შემძლებელ არს პყრობად მეფობისა, კეთილითა ასაკითა არს და ჰაეროვან“.

ვითარ დაასრულა ბრძანება, შეისუენა, რომლისათჳს არს გლოვა და მწუხარება მიუთხრობელი, რომელ დამან მათმან რუსუდან აღასრულა გოდებანი მრავალ დღე. და წარიყვანეს სამკჳდროსა მათსა გელათს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვითარ აღსრულდა მეფე, შეკრბეს წარჩინებულნი მის სამეფოსანი, იმერნი და ამერნი, კათალიკოზთა ორთავ წინაშე, ნიკოფსით ვიდრე დარუბანდამდე, ყოველნი მორჩილებასა მათსა ქუეშე მყოფნი, და მეფე-ყვეს რუსუდან, დასუეს საყდართა სამეფოთა და მიულოცეს მეფობა წესისაებრ.

ხოლო იყო რუსუდან ხილვითა შუენიერი, ვითა დედამისი, მდაბალი, უხვ, პატივის-მცემელი, პატიოსანთა კაცთა მოყუარე. ამან მოიწყო ყოველი საბრძანებელი და მეფობა მშჳდობით, და აღივსო ყოველი სამეფო რუსუდანისა ყოვლითა კეთილითა.

იწყეს უძღებება და განცხრომა ყოველმან ასაკმან და მიიქცეს ყოველნი სიბოროტედ. და ვითარ არა გამოიცადეს ღმერთი, ამისთჳს მისცენ იგინი ღმერთმან უჯეროდ გინებად და ჴოცად წარმართთა, რამეთუ მეფეცა რუსუდან ჩვეულებითა წესსა ძმისა მისისასა ვიდოდა. ამისთვის აღდგენ ბოროტნი უდიდესნი.

ესე ზემოჴსენებული სულტანი ჯალალდინ უღონო იქმნა რა ბრძოლილი თათართაგან, მოუწოდა სპათა მისთა და რქუა: „იცით და გაჴსოვს ყოველთა მარზაპანთა და ერისთავთა კეთილი და წყალობა პაპთა და მამათა ჩემთა. აწ იცით, თუ რა მოიწია თქუენ ზედა და ჩემ ზედა უცხოთა ნათესავთა თათართაგან. და მრავალგზის ბრძოლა-ვყავთ და მრავალი ღუაწლი დავითმინეთ და განგებითა ზეგარდმოთა ყოველგან ვიძლიენით. აწცა მოახლებულ არს მდინარესა ჯეონისასა, წინამბრძოლად წარმოავლინა ძე მისი უხუცესი. აწ ესე არს განზრახვა: ვინათგან მისცა ძლევა ღმერთმან, გთნავს, დაუტეოთ ქუეყანა ესე, აღვიღოთ დედაწული, სიმდიდრე, ჯოგი, და წარვიდეთ საბერძნეთს, მუნ დავემკჳდრნეთ. დაღათუ თათარნი გუძლევენ, გარნა ყოველთა ნათესავთა ჩუენ ვსძლიოთ. უკუეთუ ვინ ინებოს, წარმოვიდენ ჩემ თანა და თუ სთნავს ვისმე, იყავ შინა. რამეთუ ნება იყავნ ყოველთა სათნოდ უკუნისამდე“.

ყოველთა თქმული ესე ეკეთა, აღიღეს დედაწული და მოიწივნეს ადარბადაგანსა, კაცი ვითარ ასორმოცი ათასი. და მოიწივნეს ქუეყანად მჴარგრძელთა, რამეთუ ივანე ათაბაგსა ეპყრა დვინი, და ანისი მიეცა ძმისწულისა მისისა შანშე მანდატურთუხუცესისათჳს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ესე ხუარაზმელნი მოვიდეს წელსა მესამესა ლაშა გეორგის მიცვალებისაგან ტყუენვად, მოოჯრებად ქუეყანისა დვინისა და კერძოთა მისთა. ცნეს რა ივანე ათაბაგმან და ვარამ გაგელმან, მივიდეს მეფესა რუსუდანს წინაშე, მოაცხენეს მოსვლა ხუარაზმელთა, თჳთ დიდისა სულტანისა ჯალალდინისა, ჴოცად და მოსრვად ქრისტიანეთა. ესრეთ უწყალოდ მოსრვიდეს, რომელ არცა თუ დედათა და ჩჳლთა ყრმათა რიდებდეს.

ვითარ ცნა რუსუდან შემოსლვა ხუარაზმელთა სამეფოსა შინა მისსა, მოუწოდა ყრმათა იმერთა და ამერთა, მოიღო დროშა სეფე და მოუწოდა ივანე ათაბაგსა, რომელ მას ჟამსა მიმჴცოვნებული იყო, არა განცხადებულად, არამედ ფარულად მონაზონქმნულ იყო, კაცი აქამომდე გონიერი და სათნოებიანი. განაჩინა მეფემან რუსუდან სპათა მისთა თავად, უბოძა დროშა სეფე სჳანი, წარავლინა ბრძოლად სულტნისა.

ხოლო მიიწივნეს დვინსა და ამობერდს. დაებანაკა ხუარაზმელთა სოფელსა, რომელსა ჰქჳან გარნისი. და მი-რა-ვიდეს სპანი მეფისანი, წინაგანეწყო სულტან ჯალალდინი. აქათ ივანე ათაბაგმან განაწყო სპანი მეფისანი იმიერ და ამიერ, და აჩინა წინამბრძოლად თორელნი და ძმანიცა იგი ორნი ახალციხელნი, შალვა და ივანე, სახელოვანნი იგი მბრძოლნი, ვითარ წესად არს სახლისა მათისა წინამბრძოლობა.

ვითარ დაეახლნეს წინამბრძოლნი და სულტანი, აქა დაიპყრა ფერჴი ივანე ათაბაგმან, იტყჳან შურითა ყო ახალციხელთა შალვა და ივანესითა. მი შური, ყოველთა ბოროტთა დასაბამი და ძჳრად მომწყუედელი ნათესავისა კაცთასა და ყოველთა ნათესავისა მწყალველი! ვითარ ურიათა ღმრთის მკვლელობა არწმუნა, და კუალად ამათსა უბოროტესი უგბილი და ულმობელი და საქართველოსა სრულიადი მოსპოლვა, ვითარ ქუემორე სიტყუამან ცხად-ყოს; ათაბაგსა ივანეს არწმუნა, რომელ ჟამსა წყობისა და ჟამსა ომისასა უკუნდგა და არღარა ვიდოდა მბრძოლთა კერძ.

ხოლო წინამბრძოლთა ყოველთა მოუვლინეს კაცი და რქუეს: „დაახლებულ ვართ სულტანსა და სპათა მისთა. ჩუენ დიდად უმცირესი ვართ და ომი ძლიერი წინაგჳც, და წარმოიმალონ მჴნეთა სპათა მეფისათა და სიმჴნემან შენმან“. ესე ორგზის მოუვლინეს, ხოლო იგი არასა მიუგებდა. ხოლო ვი-

ნათგან წინამბრძოლნი თორელნი და უმეტეს ახალციხელნი
შალვა და ივანე ახოვან იყვნეს და წყობათა შინა სახელო-
ვანნი, არღარა რიდეს სიმრავლესა სულტნის სპათასა. ვითა
მჴეცნი ზედამიეტევნეს, რომელთა შინა იქმნეს ძლიერი ომი.
მოსწყდა ორგნითვე ურიცხვ. და ძლიერად ბრძოლობდეს
შალვა და ივანე, ახოვანთა და ძლიერთა სრვიდეს. გან-
გრძელდა ომი სასტიკი. ივანე ათაბაგი და სპანი ქართველთანი
ხედვიდეს ძლიერსა ომსა და არა შეიწყალებდეს თანამონათე-
სავეთა და ერთსჯულთა ქრისტესაღმსარებელთა თორელთა და
მათ თანა მრავალთა სახელოვანთა, არამედ დგეს შორით და
არა ინება შველა ივანე ათაბაგმან, რომელსა შურითა იტყჳან
ამას ყოფად და არა თუ შიშითა.

და ვითარ განგრძელდა ომი, ცხენნი ორთავე ძმათა ახალ-
ციხელთა დაუჯოცეს, და ქუეითნი მჴნედ იბრძოდეს, და მოის-
რვოდის ორგნითვე ურიცხვ, და უმეტეს თორელნი. და ვი-
თარ შენივთდა ძლიერად ომი, ჴრმალნიცა ახალციხელთანი გა-
ტყდეს ჩაბალახსა ზედა, ივლტოდეს ქართველნი, ხოლო შალ-
ვა მუნვე შეპყრობილ იქმნა სიმრავლისა ფრიადისა მიერ, და
ივანე, გარნისისა კლდესა შელტოლვილი, ზენაკერძო მოტევე-
ბულითა ქვითა მოიკლა. ხოლო შალვა წარიდგინა სულტან
ჯალალდინსა წინაშე, რომელი იცნეს ნახჭევნელთა და ადარ-
ბადაგანელთა და ხვევ-სალმასელთა და მოაჴსენეს სულტანსა
ახოვანება და წყობათა შინა სიქველე მისი, არა მოკლა და
თჳსთა თანა იპყრა პატივითა და მიანიჭნა ქალაქნი ადარბადა-
განისანი, თავადთა თანა პატივ-სცა, რომელი შემდგომად წე-
ლიწდისა ერთისა მოიკლა სულტნისა მიერ არადატევებისათჳს
სჯულისა.

ხოლო ივანე ათაბაგი უკუნიქცა ბიჯნისად, და სულტანი
მიიქცა ადარბადაგანს და ნახჭევანს და მიერ აღაოჴრებდეს სა-
ქართველოსა, არბევდეს და ტყუე-ჰყოფდეს და სრულიად
უწყალოდ ჴოცდეს, და არავინ იყო ნუგეშინის-მცემელი მათი.
შემდგომად ორისა წლისა მიიცვალა ივანე ათაბაგი და მთავარ-
ყვეს ძე მისი, ავაგ, და უბოძეს ამირსპასალარობა.

ამისა შემდგომად უდიდესნი ბოროტნი შეიცვიდეს ნათე-
სავსა ქართველთასა: მოახლებულ იყო სრულიად მოსპოლ-
ვა სიმრავლისათჳს უსამართლობათა ჩვენთა, რამეთუ აიმჴედ-
რა სულტანმან საქართველოსა შემოსლვად და მეფე-ყოფად

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისა თჳსისა. მივიდა და მოაოჴრა ყოველი ქუეყანა დვინისა, კუსტისა დვინისა და ყოველი ანისი, სომხითი, გაგი გიდე, შანქორი, უწინარეს ამისა ვარამ გაგელსა, კაცსა გონივრსა და ლაშქრობათა შინა წარჩინებულსა, ამას აქუნდა შანქორი და მიმდგომი მისი ქუეყანა. ესევითარნი ჭირნი და წფოთნი იძრვოდეს.

ამათ ჟამთა შინა მოეყვანა მეფესა ორტულის შვილი მძევლად ერთგულებისათჳს, რომელი კეთილი იყო და სრული ასაკითა, შუენიერი გუამითა, მჴნე, ძლიერი ძალითა. ვითარ განიცადა, სთნდა მეფესა რუსუდანს და ინება ქმრად მიყვანება მისი, რომელი აღასრულაცა და იქორწილა ორტულის შვილი, რომლისგან იშვა ასული სიტურფეაღმატებული და უწოდა სახელი სანატრელისა დედისა მათისა თამარ. და კუალად მიუდგა და შვა ძე, უწოდა დავით. და კუალად ზრდიდა ძმისწულსა მისსა, ძესა ლაშა გიორგისასა.

ხოლო ვითარ აღიზარდა ასული მათი თამარ, ესმა საბერძნეთისა სულტანსა, ძესა ნუქრადინისა, ყიასდინსა, ქმნულკეთილობა მეფისა ასულისა. ევედრა მრავალთა ნიჭთა და ძღუენთა მიერ, რათა მისცეს ცოლად ასული მისი თამარ, და აღუთქუა ფიცითა არადატევება სჯულსა ქრისტიანეთასა. რომელი ისმინა მეფემან რუსუდან და მისცა ასული მისი სულტანსა ყიასდინს, რომელი-ესე უჯერო იყო ქრისტიანეთა მიერ, რამეთუ დიდითა დიდებითა მისცა აწყუერი ზნითვად.

გარნა პირველჴსენებულნი იგი სპარსნი ხუარაზმელნი მცირედ მოახლობდეს საქართველოსა, განრყუნიდეს ქუეყანათა. მაშინ ცნა სულტანმან ჯალალდინ ავაგ ათაბაგისა და ამირსპასალარისა ბიჯნისს ყოფა, ინება ნახვა მისი. მოუვლინა მოციქული და რქუა: „შენ ხარ ვაზირთუხუცესი, და ითუალავ საქართველოსა. თჳთოთა კაცითა შევკრბეთ, რამეთუ მნებავს სიტყუად შენ თანა“. სთნდა ავაგს და ნება-სცა ხილვად. წარვიდა ჭურვილი ერთითა კაცითა, და იქით სულტანი ხრამსა ზედა ბიჯნისისასა ერთითა მონითა, ჭურვილი იგიცა, და შეკრბეს მახლობელად ერთიერთისა. მაშინ იწყო სულტანმან სიტყჳსა თქუმად: „არა მოვედ მე რბევად საქართველოსა, არამედ ზავისა და მშჳდობისათჳს. გარნა თქუენ მსწრაფლ საომრად აღიჭურენით და ფიცხლა შემებენით, და არა იქმნა მშჳდობა. აწ ვინათგან წარჩინებულ ხართ ქართველთა შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვაზირი კარსა მეფისასა, ისმინე ჩემი: გასმია გუარი და
თესავი ჩემი, სიდიდე სამეფოსა ჩემისა და სიმრავლე, რომელ
არავის ჯელმწიფესა ძალედვა სწორება ჩემი, მე ვარ მაღლისა
და დიდისა ჯელმწიფისა ხუარაზმშას ძე და ფარმანსა ჩემსა
ქუეშე იყო ყოველი სპარსეთი ადარბადაგნით ვიდრე ჯეონამ-
დე და ჯეონით ვიდრე ინდოეთამდე, თურანი, ხატაეთი, ჩინ-
მაჩინი და ყოველი აღმოსავლეთი. განგებითა ზენითა გამოჩ-
ნდეს ქუეყანასა ჩინეთისასა, ადგილსა შეურაცხსა, ყარაყურუ-
მად წოდებულსა, კაცნი ვინმე საკვრველნი, უცხონი და უც-
ხოთა ცხორებითა მყოფნი, რომელთა ყოველი აღმოსავლეთი
დაიმორჩილნეს და მრავალნი ჯელმწიფენი მოსრნეს. ხელმწი-
ფედ ჰყვის კაცი ვინმე საკვრველი, ღრმა და გამგონე, მჯნე
ბრძოლასა შინა, სახელითა ჩინგიზ ყაენი. ამან რა ჯელთ-იგდო
ხატაეთი, წარვემართე ლაშქრითა ერანითა, თურანითა, სპარ-
სითა, თურქმანითა, და მრავალგზის ბრძოლა-ვყავთ ჯეოხს
იქით და უკანასკნელ ჯეონს აქათცა. გარნა იქმნა ქცეულება
ბედისა ხუარაზმშას სახლისა და ყოვლგან ვიძლიე. და ვითარ
განძლიერდეს და ვცან, არღარა იყო ღონე, დაუტევე სამეფო
ჩემი, წარმოვედ საქართველოსა მშჯდობისა და ზავისა ყოფად.
მესმა სიმაგრე ქუეყანისა და ქართველთა ნათესავისა სიმჯნე
წყობათა შინა. აწ მნებავს, რათა შევერთნეთ მტკიცეთა ფიცი-
თა და ვბრძოლოთ მტერთა. მესმიეს, რომელ მეფე თქუენი
ლედაკაცი არს, და მყოთ ქმარ მისა და მეფე თქუენ ზედა, და
ვ ძლოთ ყოველთა მტერთა ჩუენთა. უკუეთუ არა ჰყოთ, მო-
ოკრდეს სამეფო თქუენი. თუ მე წარვიდე, თათარნი ეგრეცა
მოსულ არიან, თქუენ ვერა წინააღუდგებით. წარავლინეთ კა-
ცი მეფესა თქუენსა წინაშე და აუწყეთ თქმული ჩემი, რამე-
თუ არა მნებავს ოკრება საქართველოსა, არამედ დავიცვა
მტერისაგან. და თქუენ მიერ მე განვძლიერდე".

და ესმა სიტყუანი სულტანისანი ავაგს. არა პასუხ-უგო,
არამედ თქუა: „ვაუწყებ თქმულსა მაგას მეფესა და ვაზირთა
მისთა". მსწრაფლ წარავლინა კაცი წინაშე მეფისა და აუწყა
თქმული.

ვითარ მოიწია თქმული ესე და იხილეს წიგნი, განკვრდა
მეფე და უცხო-უჩნდა საქმე ესე, და მოუმცნეს ავაგს არცა
თუ სმენად საქმისა მაგისა, არამედ სრულიად განყენებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო ავაგ მიუმცნო სულტანსა. მან რა მოისმინა, აღიყარა
და წარმოემართა ტფილისს, რათა ბრძოლოს ქალაქსა.

ვითარ ცნა მეფემან მოსვლა სულტნისა, აღიყარა და წარვიდა ქუთათისს, ხოლო ტფილისს მცველად დაუტევა ლაშქარი, თავად ორნი ძმანი ბოცოს ძენი, მემნა და ბოცო.

მოიწია სულტანი სომხითად, მოაოკრა ყოველი სომხითი. დაეცნეს მკვდრნი მისნი პირითა მახვლისათა. და მოიწივნეს ტფილისად.

ხოლო მცველნი ქალაქისანი აღიჭურნეს, და იქმნა ძლიერი ბრძოლა. და ბრწყინვალე ძლევა აჩუენეს ქართველთა. მერმე მიუვლინეს სპარსთა კაცი სულტანსა მიცემად ქალაქისა. რათა კართა, რომელსა სპარსნი სცვიდეს, განუხუნეს და შიგნით ბრძოლა-უყვეს. ვითარ განთენდა, კუალად აღიჭურა სულტანი, მინდობილი სპარსთა შინაგანცემისა, ხოლო ამისნი უმეცარნი მცველნი ქალაქისანი აღიჭურნეს და მივიდეს განძის კართა კერძო, მემნა ბოცოს ძე და ძმა მისი ბოცო, და ეგულებოდა განსლვად და მუზარადისა დარქმად. მემნას სპარსმან ვინმე აფთითა ძლიერ დაუხეთქა უმუზარადოსა თავსა, განუპო და მყის დაეცა და მოკუდა. და იქმნა შინათ ომი, რამეთუ სპარსნი ზღუდით მიერ ბრძოდეს. განახუნეს კარნი სპარსთა ტფილელთა. ესრეთ რა შინაგანცემა იყო ქალაქისა, ივლტოდეს მცველნი ქალაქისანი და შედგეს ისანთა. ბოცოს ძემან ბოცო გააშაგრა ისანი და ქმნა ძლიერი ომი. ხოლო არა შემინდობს ტკივილი გულისა მოკსენებად, თუ ვითარ იქმნეს ხუარაზმელნი შინაგან ქალაქსა. ვინმე უძლოსა მაშინდელთა თქმულთა და ქმნილთა და განსაცდელთა, რომელი მოიწია ქრისტიანეთა ზედა წარმართთა მიერ? აქა მეგულების დადუმებად, რომელ სალმობიერსა მიუთხრობ გულისა ტკივილთა, რამეთუ ესოდენ მძუნვარედ იწყეს მოსრვად, ვითარ ჩვლიცა ძუძუთაგან დედისათა აღიტაცნიან და წინაშე დედისა ქვაზედა დაანარცხიან, და რომელსამე თუალნი წარსცვვდიან, და რომელსა ტჳნნი, და უკანის დედანი მოიკლვოდიან. ბერნი უწყალოდ ფოლოცთა შინა ცხენთა მიერ დაითრგუნვოდეს, ჭაბუკნი ეკუეთებოდეს, სისხლისა მდინარენი დიოდეს, ტჳნი კაცთა, დედათა, ბერთა, ჩჳლთა, თმა და სისხლი, თავი მჴართაგან განშორებული, ნაწლავნი ცხენთა თანა დათრგუნვილი, ურთიერთისა აღრეულ იყო. არა ჰყოფდეს წყალობასა, რამეთუ რო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მელნიმე დანითა იოლიასა დასობილნი, სხუანი — მკერდსა
დაცემითა, რომელნიმე — მუცელსა და ზურგსა, განიგმირე-
ბოდეს.

ში სალმობიერი ღაღადი და დიდი ღაღადი! ცრემლთა,
ყვირილთა და ზახილთა და ვაებათა საზარელთა ჴმათაგან
იძრვოდა ქალაქი ყოველი, რამეთუ უმრავლი უმრავლესი ერი
ვითა ცხოვარი შეკრიბეს, და კუალად ხედვიდეს ზოგნი სა-
ყუარელთა შვილთა, ზოგნი — ძმათა და მამათა, ცოლნი —
ქმართა და ქმარნი ცოლთა უპატიოდ მკუდარ მდებარეთა,
ცხენთა მიერ დათრგუნვილთა და ფოლოცთა შინა ძაღლთა
მიერ ზიდულთა, და არცა თუ დაფლვასა მიწასა შინა ღირს-
ჰყოფდეს. ეკლესიანი და ყოველნი პატიოსანი სამსხვერპლონი
შეურაცხ იქმნებოდეს, და პატიოსანნი მღდელნი ეკლესიათა
შინა თჳთ ხატთა და ჯუართავე თანა შეიმუსრვოდეს. და ესე-
ვითარნი ჭირნი მოიწივნეს, რომელ არაოდეს ძუელთა სადმე
წიგნთა მიერ სმენილ არს, რომელნი თანაშეესწორებიან
ქრისტეს ჯუარისა მცემელთა იუდიანთა ზედა ქმნულთა, იერუ-
სალიმისა სრულიადსა მოსპოლვასა ტიტეს და უესპასიანეს
მიერ, ვითარცა ჟამთააღმწერელი და მრავალმომთხრობელი
იოსიპოს წარმოიტყჳს ესოდენ ძნელბედობასა იუდელთასა,
ვიდრეღა სამასსა ბევრსა აღრაცხავს მამაკაცსა ოდენ, სიყმი-
ლისა და მახჳლისა მიერ აღსრულებულსა, რომლისა მსგავს
იქმნა ჟამსაცა ამას სარკინოზთა მიერ ქალაქსა ტფილისისასა.

ხოლო ვინათგან არღარა იყო ღონე და ლხინება ქალაქისა
მცველისა ბოცოს და სხუათა მცველთა ქალაქისათა, წარმო-
უვლინა მეფემან რუსუდან კაცნი ბოცოსა და სხუათა მცველ-
თა ქალაქისათა, რათა დაუტევონ ისანი და წარვიდენ. და ვი-
თარ მრავალგზის მოავლინა დასტური მეფემან დატევებად
ქალაქისა, ძალითა დაარწმუნა ბოცოს წარსვლა, ვითარცა
სწერს ვინმე ბერი მღჳმელი.

და ესრეთ რა ძლიერად ჴელთ-იგდო ქალაქი სულტანმან,
კუალად იწყო უბოროტესთა ქმნად ქრისტიანეთა ზედა. ესო-
დენ მძჳნვარედ მოსრვიდა, რომელ სავსე იყვნეს ფოლოცნი,
ხრამნი და ჴნარცუნი მოკლულთა მიერ და უმრავლეს მკუ-
დართა მტკუარსა შეუტეობდეს. ამასთან არავე დამშჳდნა
ცუდრჯული იგი და ბილწი, მოიგონა სხუაცა სიბოროტე, რომ-
ლისა ჴსენება სირცხჳლ მიჩანს. ბლოვათა და ცრემლთა მიერ

შეკიცვები, თუ ვითარ განვარისხეთ მოწყალე და შემწყნარებელი ღმერთი არაშეწყალებად ჩუენდა: იწყო როუევად ბიბლიოთეკა ლესიათა, ვიდრე საფუძველადმდე აღფხურა, რომლისათჳს იკადრა და ჴელ-ყო სიონისა გუმბადსა შემუსრვად და ზედა ბილწისა საჯდომისა მისისა აღშენებად, რომელი-იგი ჴიდითა მაღლითა და გრძელითა განჴიდა აღსლვად. და ესეცა შესძინა, რამეთუ ხატი უფლისა ჩუენისა იესოს ქრისტესი და ყოველად წმიდისა ღმრთისმშობლისა, რომელი სიონს მკჳდრ იყო, ბრძანა მოყვანებად და ჴიდისა შესავალსა დადებად პირალმართ, და ბრძანა ყოველთა მათ პყრობილთა ქრისტიანეთა, მამათა და დედათა, იძულებით დათრგუნვა პატიოსანთა ხატთა და დატევება სჯულისა, უკუეთუ არა ყონ, წარკუეთა თავთა და ვითარ აღასრულებდეს ბრძანებულსა, მოჰყვანდეს მამაკაცნი დედათა თანა და აიძულებდეს ესრეთ ყოფად. მრავალთა უკუე ბრწყინვალე ძლევა აჩუენეს არა თავსდებად შეურაცხებად წმიდათა ხატთა და დატევებად სჯულისა. ხოლო მრავალი სიმრავლე მამათა და დედათა იპოვა ახოვნად, რომელთა ძიიღეს გჳრგჳნი წამებისა, რომლისა აღრაცხვა შეუძლებელ არს სიმრავლისათჳს, რამეთუ ვჰგონებ, ვითარმედ ათ ბევრ აღიწია რიცხჳ მოკლულთა.

ესრეთ რა მოაოჴრეს ტფილისი, იწყეს რბევად, ტყუენვად, ჴოცად და კლვად სომხითისა და კამბეჩიანის და იორისპირთა, ქართლს და თრიალეთს, ჯავახეთს და არტანს, ზოგი სამცხეს და ტაოს, კარნიფორას და ანისის მიმდგომთა.

გაგრძელდა ესევითარი ჭირი და ზეგარდამომავალი რისხვა ხუთისა წლისა ჟამთა, რამეთუ ორ წელ პირველ აღაოჴრეს ქუეყანა და ხუთი წელი ქალაქსა დაყვეს და აოჴრებდეს ქუეყანათა ამა ზემოჴსენებულთა. არღარა იყო შენებულება, თვინიერ ციხეთა და სიმაგრეთა, რამეთუ ქუეყანა საქართველოსა მიეცა განსარყუნელად ამის ძალითა, რამეთუ დაუტევეს მეფეთა და მთავართა სამართალი, მოწყალება, სიყუარული, სიწრფოება, სიმშჳდე, სიმართლე, და ამის წილ მოიპოეს ამპარტავანება, ზაკვა, შური, ჴდომა, სიძულილი, ანგარება, მიმძლავრება, კლვანი, პარვანი, სიძვანი, უწესობანი, ვითარცა იტყჳს წინასწარმეტყველი: „ვაჲ მათდა რომელნი კუალსა ბალამისსა შეუდგეს და საქმეს სოდომელთასა იქმან“, რამეთუ ყოველმან ასაკმან, ბერთა და ჭაბუკთამან, მცირითგან ვიდ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რე დიდადმდე, მიაქციეს სიბოროტედ, რამეთუ სენი იგი სოდომელთა და სალმობა გომორელთა მოიწია. ამის ძალითა მისცნა იგინი ღმერთმან წარწყმედად ბოროტად, რამეთუ განვიწირენით ღმრთისა მიერ, რომელ დავივიწყეთ ღმერთი და ღმერთმანცა სამართლად დაგვივიწყა. და მოოჴრდა ქუეყანა საქართველოსა ლიხთ აქათ, ვითარცა ჴმობს ესაია წინასწარმეტყველი: „ვაჲ ნათესავსა ცოდვილსა, ერი რომელი სავსე არს ცოდვითა, ნათესავნი ბოროტნი. ძენი უსჯულოებისანი. დაუტევეთ უფალი და განარისხეთ წმიდა იგი ისრაელისა. რასა იწყლვით და შესძინებთ უსჯულოებასა ყოველი თავი სალმობად და ყოველი გული მწუხარებად კუალთაგან ფერჴთა ვიდრე თავადმდე? არა არს მშჯდობა მას შინა, მწუხარება, სიცოცხლე, არ არს წყლული, არც ნაგვემი, არცა ბრძჯლი განსივებული, არა არს სალბუნი დასადებელი, არცა ზეთი, არცა შესახუეველი. ქუეყანა თქუენი ოჴერ არს და ქალაქი თქუენი ცეცხლითა მომწუარა. სოფელსა თქუენსა წინაშე თქუენსა უცხოთესლნი მოსჭამენ, და მოოჴრებულ არს და დაქცეულ არს ერისაგან უცხოთესლთასა. დაშთეს ასული სიონისა, ვითარცა კრავი ვენაჯსა შინა და ვითარცა ხილისსაცავი, და ვითარცა ქალაქი მოცული. უკეთუმცა არა უფალმან საბაოთ დამიტევნა ჩუენ თესლი, ვითარცა სოდომელნიცა შევიქმენითცა და გომორელთა მივემსგავსენით“.

ამათ ულხინოთა ჭირთა შინა იყო რა ‹უეყანა საქართველოსა და სხუანიცა უდიდესი ძნელბედობა აღმოუჩნდებოდეს. რამეთუ ზემოდატევებული ამბავი აღმართმაბიჯებელთ› კუალად ვიწყოთ. ამათ ჭირთაგან შეიწრებული მეფე რუსუდან იყო რა ქუთათისს და ყოველსა აფხაზეთსა, და იქმნა ძე მისი, დავით, ვითარცა წლისა ხუთისა, ინება მეფედ ყოფად ძისა მისისა. ვითარ არს წესი სოფლისა მოყუარეთა, შეიყუარა წარმავალი საწუთრო, დაივიწყა შიში ღმრთისა და სიყუარული ძმისა, და მოიგონა საქმე ყოველთა მიერ განსაკრთომელი, რამეთუ ზემოჴსენებული ძმისწული თჳსი, დავით, რომელი ძმისა მისისგან, გიორგისაგან, ანდერძობით შევედრებულ იყო და აღეზარდა, წარუვლინა ფარულად ასულსა მისსა და სიძესა სულტან ყიასდინს თანა საბერძნეთსა, რათა წარწყმიდონ, და იყოს უშფოთველად ძისა მისისა დავითისათჳს არა განყოფად მეფობისა.

ვითარ მიიწია დავით წინაშე სულტნისა და ცოლ[illegible]
სისა, რუსუდანისა ასულსა თამარს, რომელსა სულტანი სანე-
ლად უწოდდა გურჯი-ხათუნად, იხილეს იგი და შეიყუარეს,
თჳსთა თანა იპყრეს პატივითა, და გურჯი-ხათუნ დედოფალი-
ცა კეთილსა უყოფდა ყრმასა, ბიძისძესა დავითს. და არა ისმი-
ნეს ბრძანება მკლველებრივი მეფისა რუსუდანისა, და ფრიად
პატივ-სცემდეს დავითს.

ხოლო ვითარცა წარგზავნა ძმისწული საბერძნეთს, მოუ-
წოდა ყოველთა სპათა მისთა, აფხაზთა, დადიანს ბედიანსა,
რაჭის ერისთავსა, კათალიკოზსა აფხაზეთისასა, და დასუეს
მეფედ დავით, ძე რუსუდანისა, აკურთხეს ქუთათისს და და-
ადგეს თავსა მისსა გჳრგჳნი. დასუეს ტახტსა ზედა სამეფოსა
და მიულოცეს მეფობა წესისაებრ. სრულ-ყო კათალიკოზმან
წესი კურთხევისა.

ხოლო ამიერ ესე სამეფო უცალო იყო ხუარაზმელთაგან,
რამეთუ მანდატურთუხუცესი შანშე იყო ანისსა და ამირსპა-
სალარი ავაგ ბიჯნისსა, ეგრეთვე ვარამ გაგელი, ჰერნი და
კახნი, სომხითარნი, ქართველნი, თორელნი, შავშნი, კლარ-
ჯელნი, ტაოელნი, ყოველნი სიმაგრეთა შინა ცხოვნდებოდეს,
თჳთეულნი მორჩილებისა შინა მეფისა რუსუდანისასა, და
უცალოებისა ძალითა ვერ დახუდეს დალოცვასა მეფისა და-
კითისასა.

გარნა ვაჴსენოთ თათართასა პირველჴსენებულისა ჩინგიზ
ყაენისა. ვითარცა მოიწივნეს ქუეყანასა ჩუენსა, ვითარ მეო-
ტი სულტანი ჯალალდინ ივლტოდა და დაუტევა სამეფო მისი,
ადვილად ჴელთ-იგდეს თურანი, სათურქეთი და ყოველი ხუა-
რასანი. და გაბყო ოთხად ლაშქარი თჳსი და განაჩინნა შვილნი
ოთხნი ყაენად.

პირმშო შვილს მისცა ნახევარი ლაშქრისა და წარავლინა
დიდსა საყივჩაყეთსა, ვიდრე ბნელეთამდე, ოვსეთსა, ხაზა-
რეთსა, რუსეთსა ვიდრე ბორღართა და სერბეთამდე, კავკასთა
ჩრდილოთა ყოველთა მკჳდროვანთა, ჳითარცა მითქუამს.

ხოლო მეორესა შვილსა ჩაღათას მისცა ლაშქარი და უილ-
ურთა ქუეყანა სამარყანამდე, და ბუხარა ვიდრე ალმალიყის
ქუეყანამდე. ვგონებ, ესე არს თურანი.

მესამესა შვილსა ოქოთასა მისცა თჳთ მისი ტახტი საჯდო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზად და ყარაყურუმი, ჩინ-მაჩინი, ემელისა და ყუბაყისა ქუეყანა, ხატაეთი.

და მეოთხესა შვილსა თული ერქუა. ამას მისცა ლაშქარი და ოქოთას ზედმოკიდებით ქუეყანა აღმოსავლეთით.

ესე ოთხნი გააჩინნა ყაენად და ამცნო, წელიწადსა შინა ერთხელ ოქოთასას მივიდოდენ ძმანი მისნი უხუცესნი ყურულთისა საქნელად. ამად, რომ ტახტი მისი ოქოთას მისცეს.

ესრეთ რა დააწყვნა შვილნი, მივიდა თურანს და წარმოავლინა შვილი მისი უმრწამესი თული ხუარასნისა მოთუალვად. გამოვლო ჯეონი და მივიდა ნიშაბურს, სადა ნიშაბურელთა სამგზის წყობა-ყვეს ბრძოლისათჳს. პირველსა ომსა ჴელადიგდო ქალაქი, სადა-იგი სამასი ათასი კაცი თავდაკუეთით მოკლა, ხოლო მეორესა ჯერსა — ასი ათასი, და მესამესა ომსა — ოცდათორმეტი ათასი. უკუეთუ არა ჯერ-ხართ, სამართლადცა არს, დიდისა საჰიბ-დივანისა ხოჯა შამსადინისა ძმა თანადამხუდარი იტყოდა ამას ნიშაბურისა მოოჯრებასა.

წარმოვიდა ესე თული, გამოვლო ხუარასანი, მაზანდარანი. მოეახლა ერაყის ქუეყანასა. ცნა ესე სულტანმან ჯალალდინ, აიყარა ტფილისით დედაწულითა და ბარგითა, წარმოემართა ბრძოლად თათართა. მივიდა ადარბადაგანს, წარმართა მოციქული ხლათის სულტანსა და ხალიფას, ბაღდადის მპყრობელსა, რათა შეეწივნენ მასცა და თავთაცა მათთაცა. ეგრეთვე ერაყის სულტანსა მიუმცნო: „უკუეთუ თჳთ თავითა არა გნებავს ბრძოლა თათართა. ლაშქარნი წარმოავლინენით და ვბრძოდე. რამეთუ ვიცი წყობა მათი. თუ არა ისმენთ ჩემსა, ვიდრე მე წინა არა აღუდგები, თქუენ ვერ შემძლებელ ხართ".

ვითარ მივიდა მოციქული სულტნისა და არა ინებეს ბრძოლა თათართა, ცნა ესე სულტანმან და გულისჯმა-ყო, რომელ სპანი მისნი და ადარბადაგანისანი ვერ წინააღუდგებიან. დაუტევა ადარბადაგანი და წარმოემართა მეორედ ტფილისს. და ესმა ესე მეფესა რუსუდანს, მოუწოდა ყოველსა სპათა თჳსთა, იმერთა და ამერთა. შანშეს მანდატურთუხუცესსა, ავაგს ამირსპასალარსა, ვარამს მსახურთუხუცესსა, ჰერ-კახთა, სომხითართა, ჯავახთა, მესხთა, ტაოელთა, დადიანსა ცოტნეს, კაცსა წარჩინებულსა და სათნოებიანსა, აფხაზთა, ჯიქთა და ყოველსა იმერსა სამეფოსა, რომელთა თვითეულად არა არს ჟამი თქუმად. განუხუნა კარნი დარიალისანი და გარდამოიყვანნა

ოვსნი, დურძუკნი, ამათ თანა ყოველნი მთიულნი. შერეულნი ნაჭარმაგევსა სიმრავლე ურიცხვ და წარავლინა ეფემან ბრძოლად ხუარაზმელთა.

ხოლო თვთ დროშა სეფე არა წარგზავნა საქმისათვს ივანე ათაბაგისა. წარემართნეს და განვლეს ტფილისი. ხოლო სულტანი დაბანაკებულ იყო სომხითს, ჯელსა ბოლნისისასა. და ვითარ იხილეს დარაჯათა სულტანისათა, აცნობეს სულტანსა. ხოლო იგი აღიჭურვა, რამეთუ იყო უშიში ბრძოლათა მინა, წინაგანეწყო და იქმნა ომი სასტიკი. და პირველსავე შეკრებასა სძლევდეს ქართველნი. ხოლო ვითარ შენივთდა ბრძოლა, მოსწყდა ორგნითვე ურიცხვ კაცი. მოხედნა ღმერთმან რისხვით ნათესავსა ქართველთასა, რამეთუ არა დასცხრა გულისწყრომითა უფალი, არამედ ჯელი მისი მაღლადვე არს და მოჯსენა უსჯულოებანი ჩუენნი, და იძლივნეს სპანი მეფისანი და ხუარაზმელთა მიერ ივლტოდეს. ხოლო სულტანი კუალად მივიდა ტფილისად. თუღა სადა ვინმე პოვნა, დარბევად ქუეყანათა მათ ზემოჯსენებულთა.

ხოლო თათართა უმთავრესი თული მივიდა ერაყს, ვიდრე ყაზვინადმდე მოაოჯრა ქუეყანა, მოსწყჳდნა ურჩნი. წარვიდა და განვლო ხუარასანი, ჯეონი, და მივიდა მამასა მისსა ჩინგიზ ყაენს წინაშე და ძმათა თანა. ვითარ ცნა სრულიად ლტოლვა სულტან ჯალალდინისა, მოუწოდეს ოთხთა ერისმთავართა, რომელთა ნოინობით უჯმობენ, სახელით ჩორმაღონსა უპირველესსა და მეორესა ჩაღატას, არა ყაენ ჩაღატას, არამედ ნოინსა ჩაღატას, იოსურსა, ბიჩოსა, და ამათ ათი ათას-ათასი კაცი მოსცეს დედა-წულითა მათითა და წარმოავლინეს ძებნად სულტნისა. და ესევე ოთხნი ნოინნი ამა ოთხთა ყაენის შვილთა ყაენთანი იყვნეს. თვთეულსა აცნობეს, რათა სადაცა მივიდოდიან და ზენაარსა ითხოვდენ, შეიწყალებდენ, და ურჩთა მოსრვიდენ, და ხარაჯას მის ქუეყანისასა ოთხად იყოფდენ და თავის ჯელმწიფეთა გაუგზავნიდენ.

წარმოვიდეს ოთხნი ნოინნი, ჩორმაღონი, ჩაღატა, იოსური და ბიჩო. გამოვლეს ჯეონი, ხუარასანი ვითარ ორმოცი ათასითა კაცითა და დედაწულითა. მივიდეს ქუეყანასა ალმუთისასა და წინაგანეწყვნეს და დიდად ავნეს. და წარვიდეს მიერ ქუეყანად ერაყისა და მოაოჯრეს. რომელი მივიდის, შეიწყალიან. და მერმე მოვიდეს ადარბადაგანს, რომელ არს თავრე-

ღი. წინამიეგებნეს ყოველნი ადარბადაგანელი ძღუნითა ურიცხვთა. მიერ მივიდეს ქალაქად არდაველისა, იგიხიცა მოეგებნეს. გავლეს რაჯსი და მივიდეს განძად, რომელი-იგი მტკიცედ მიერ განმაგრებულ იყო. და სამთა დღეთა რა შინა ბრძოლაუყვეს თათართა, მყის ჴელთ-იგდეს, და შიგან ქალაქსა შევიდეს, მოაოჴრეს და ურიცხვ სული მოსწყჴტეს, რამეთუ საძაგელ-უჩნდა სჴული მოჰამედისა მიერ ქადაგებული.

ამისი მცნობელი სულტანი მსწრაფლ აიყარა დედაწულითა და ივლტოდა საბერძნეთად. ხოლო თათართა დევნა-უყვეს და მოიწივნეს ბასიანს. იხილეს რა, განიბნივეს ესოდენ, სულტანი მარტო დაშთა. სადა-იგი მიიწია სოფელსა რომელსამე შეურაცხსა, იხილა იგი კაცმან ვინმე შეურაცხმან და მოაკუდინა, რომლისა სარტყელი და უნაგირი, კაპარჭი უფასოთა თუალთა მიერ შემკული იყო, და მის ძალითა მოიკლა კაცი იგი მაღალი და სახელოვანი ჴელმწიფე. ვინა დაუდგრომელ არს მინდობა სოფლისა ამის ამაოსა, ვითარ იტყჳს ბრძენი ეკლესიასტე: „ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო არს". ამისათჳს ამაო იქნეს სპანი, სიმტკიცე ქედისა, წყობათა შინა მძლეობა და გარდარეული სიმდიდრე. და ყოველივე ამაო არს, გარნა საუკუნო იგი უკუდავი ცხოვრება დაულევნელი.

ესე რა ხუარაზმელნი განიბნივნეს და უმრავლესნი ივლტოდეს გარმიანსა და სულტანი ჯალალდინ მოიკლა. და აქა შინა დასრულდა ჴელმწიფობა მაღალი. ცნა მოკუდინება სულტნისა, ხუარაზმშას ძისა, ყიასდინ სულტანმან, მოიყვანა კაცი იგი, რომელმან მოიღო სარტყელი, უნაგირი და კაპარჭი სულტნისა ძნიად საპოვნელითა თუალითა შემკული. განკჳრდეს ყოველნი მხილველნი, ხოლო კაცი იგი, მომკვლველი სულტნისა, ცეცხლითა დაწუეს.

ხოლო მო-რა-იქცეს თათარნი ხუარაზმელთა დევნისაგან, მიერ წარვიდეს და მოაოჴრეს ქუეყანა ხლათისა და ვალაშკერტისა. და ვერ წინააღუდგა სულტანი ხლათისა, არამედ გამაგრდა ქალაქსა შინა. ხოლო თათარნი წარვიდეს ადარბადაგანს, რამეთუ ზავნი იქმნეს თავრეჟელთა შორის და თათართა. და აღიღეს თავრეჟი და მიმდგომი მისი ქუეყანა. და მეორესა წელსა წარვიდეს ბარდავს, განძას და მუღანს, და იწყეს რბევად და ოჴრებად საქართველოსა. იწყეს დარუბანდით აღმომართ, ქუეყანასა შარვანშისასა და კაბალას, ჰერეთს,

კახეთს, სომხითს, და ქუეყანასა არშაკუნიანთასა დვინს და ანისსა. ხოლო ვინათგან მეზობლობით მოეახლებოდეს ქუეყანასა საქართველოსასა, უდიდესნი და უბოროტესნი ზემოჴსენებულთა მათ განსაცდელთა მსგავსთაგან უმეტესიცა მძჳნვარენი განსაცდელნი აღიძრვოდეს საქართველოსა საზღვართა უკეთურებისათჳს მკვდართა ქართლისათა, რამეთუ ყოველი ასაკი ბერთა და ყრმათა, მეფეთა და მთავართა, დიდთა და მცირეთა, მიდრკა სიბოროტეთა. რამეთუ დაუტევეს სიმართლე და ჭეშმარიტება, ვინათგან თჳთ მღდელთა მიერ იხილვებოდა არაწმიდება, ვინათგან ყოველი ერი იქმოდეს სიბილწესა, ვითარ ოდესმე ძენი ბენიამენისნი. ვითარ იგინი მიეცნეს მოსასრველად. ეგრეთვე ესენი აქა შინა მისცნა ღმერთმან ნათესავნი ქართველთანი მოსასრველად მსგავსად ძეთა ბენიამენისთა, ვითარცა იტყჳს წინასწარმეტყველი ესაია: „უფალი, უფალი საბაოთ უბრძანებს ნათესავთა ჭურვილსა მოსლვად ქუეყანით მორით, კიდით საფუძველთაგან ცისათა, უფალი და ჭურვილნი და მბრძოლნი მისნი განრყუნად ყოვლისა სოფლისა და ცოდვათა მოსპოლვად მისგან. ღაღადებდით, რამეთუ ახლოს არს დღე უფლისა, და შემუსრვა ღმრთისა მიერ მოიწიოს“. და შემდგომ კუალად ჴმობს: „დღე უფლისა მოვალს უკურნებელი, რისხვითა და გულისწყრომითა დადებად ყოველი სოფელი ოჯრად და ცოდვილთა წარწყმედად მისგან“. ვითარ იქმნაცა ყოველი სოფელი ქართლისა ოჯრად.

ხოლო ვითარ ცნა მეფემან რუსუდან მოახლოება თათართა, დაუტევა ტფილისი და წარვიდა ქუთათისს, და ტფილისს მუხას ძე დაუტევნა და ამცნო, რომელ მოწუას ტფილისი, თჳნიერ პალატისა ისანთა, რომელ არღარა იპყრნას სახლად ვითარ ხუარაზმელთა.

რა ჟამს ცნა მუხას ძემან მოახლება თათართა, მოწუა სრულიად ქალაქი და თჳთ პალატი და ისანნი, და ესრეთ მოოჯრდა ქალაქი ტფილისისა. ხოლო ნოინნი ესე ზემოჴსენებულნი შემოვიდეს ქართლს, თრიალეთს, სომხითს, ჯავახეთს, სამცხეს, შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს, კოლას, არტანს, ანისს, და მოეფინეს მსგავსად მკალთა ოჯრებად და ჴოცად. და არსად იყო ლხინება, უწყალოდ მოისრვოდა ყოველი ესე ქუეყანა. მანდატურთუხუცესი შანშე შეივლტოდა ქუეყანად აჭარისასა, და ამირსპასალარი ავაგ შევიდა ციხესა კაენისასა, და ვარამ გა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ველი შეივლტოდა ქუთათისს, და ეგრეთვე ჰერნი, კახნი, სომხითარ-ქართველნი, მესხნი, ტაოელნი, თორელ-არტან-კოლაელნი, — ყოველნი ივლტოდეს ციხეთა და მთათა, ტყეთა და სიმაგრეთა კავკასიანთასა და მთიულეთსა.

და გაგრძელდა ოჯრება და მოსპოლვა ქუეყანისა სიმრავლისათჳს ულჯულოებათა ჩუენთასა, რამეთუ განრყუნა ყოველმან ჰასაკმან ქუეყანა, დალათუ საქართველო, არამედ სპარსეთი, ბაბილოვანი და საბერძნეთი. რამეთუ მიეცემოდეს მწარესა ტყუეობასა უწყალოთა სიკუდილითა, რომელ არა იყო წყალობა, სავსე იყვნეს მოკლულთა მიერ ქალაქნი და სოფელნი, ველნი, ტყენი, მთანი და ჴევნი. თჳნიერ სიმაგრეთა თუღა სადმე ვინ დაშთომილ იყო, სავსე იყო ტყებითა და გოდებითა მიერ შეიცვებოდეს ყოველნი მკჳდრნი საქართველოსანი ამერისნი. ხედვიდეს მამა-დედანი შვილთა მოკლულთა, და შვილნი — მამათა და დედათა მკუდართა მდებარეთა, სხუანი — ძმათა, სხუანი — ნათესავთა და დათა თჳსთა, იავარად წარსხმულთა ცოლთა და შვილთა, ყოველთა სიმდიდრესა მათსა. და ესეოდენნი ზარნი იქმნეს თათართანი, რომელ უმრავლესნი ქართველნი ციხეთა და მაგართა ადგილთა დაუტეობდეს და ივლტოდეს კავკასად.

ამათ ულხინებელთა რა ბოროტთა მოეცვა ქუეყანა, ძლიერნი ერისთავთა ერისთავნი და ვაზირნი განდგეს ურთიერთას, თავთა მათთა შემწყობელნი, რამეთუ მეფე რუსუდან ყოვლადვე დამკჳდრდა ლიხთ იქით და ვერცა ლიხთ აქეთ გარდამოვიდეს და ვერცა ამიერნი მათ წინაშე მივიდიან უცალოებისა ძალითა, გარნა ლტოლვილნი. და ესრეთ ურთიერთას შეუზრახებელ იყვნეს და შეუთქმელ, რამეთუ ძლიერნი იგი საქართველოსანი და სახელგანთქმულნი უღონო იქმნეს ყოვლად ვერ შემმართებელნი ჴსენებადცა წყობისა მიყოფად თათართა, რამეთუ ჰერეთი და კახეთი ტყეთა მიერ ძლიერად იცვებოდეს. მაშინ მკჳდრნი საქართველოსანი, სახელოვანნი და წყობათა შინა მჴნენი ერისთავნი სრულიადსა მოოჯრებასა მიეცნეს, ეგრეთვე აღმომართ ყოველნი მკჳდროანნი.

ამათ რა ბოროტსა ხედვიდა ამირსპასალარი ავაგ. ძე ივანე ათაბაგისა, წარმოავლინა მოციქულნი ბარდავს, სადა დაეზანაკა ზემოჴსენებულთა მათ მთავართა, როჳელთა ზამთრის აქუნდა საყოფელად ბარდავი, და ზაფხულის — გელაქუნისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთანი და არარატისნი, რამეთუ მაშინ აღო ანისი ჩორმაღონს. ამათ წარმოუვლინა ავაგ მოციქული ზავისა თხოვად, და თქუა მათ წინაშე მისლვა, ხილვა, და მსახურება, და ხარაჯის მიცემა, დადება ქუეყანისა მისისა, ითხოვა ფიცი და სიმტკიცე. ხოლო მათ გაიხარეს და სიხარულით შეიწყნარეს მოციქული ავაგისი და ფიცთა მიერ მტკიცეთა გულსავსე-ყვეს.

მათ აქუნდა სჯულად ერთისა ღმერთისა თაყუანის-ცემა, და დილეულ აღმოსლვასა მზისასა მზისა აღმოსავლით სადისა ჩოქისა ყოფად და მეტი არარა. ხოლო ფიცთა სიმტკიცედ ოქრო წმიდა სამჯერ წყალსა ჩაყონ და განავლონ იგი, და შეასუან, და მინდობილნი შეიწყნაროს. და ამას ფიცსა რა დაამტკიცებენ, არა ეცრუვნენ. სიტყუა ტყუილი არა ამოვიდეს პირითა მათითა, მეკობრე და მბორგველი კაცი გაუკითხავად მოიკლას. და სხუანი მრავალნი კეთილნი წესნი განეჩინნეს ზემოჯსენებულსა მას მთავარსა ჩინგიზ ყაენს. ამით ოქროთა საფიცარითა დაუმტკიცეს მოციქულთა ავაგისთა ფიცი, რომლითა დაჯერებულ იქმნა ამისთჳს, რომელ არა იყო ტყუილი, არცა სიცრუვე ფიცთა მათ შორის.

წარვიდა ამირსპასალარი ავაგ, დამდები სულისა მისისა ქუეყანისა მისისათჳს, და მივიდა ჩორმაღანს, ჩაღატას, ბიჩოსა და იოსურს წინა, რომელთა იხილეს და პატივ-სცეს, და შეიყუარეს და მცველნი ქალაქისანი დაუდგინნეს, რომელთა შანად უწოდდეს სიტყჳთა მათითა.

ვითარ დამშჳდნა ქუეყანა ავაგისი და ცნა შანშე მანდატურთუხუცესმან ზავი ავაგისი და თათართა, უვნებელად დაცვა ინება ქუეყანისა, დაცვა ზავითა მყოფელი. და ავაგსაცა მიუმცნო, უკუეთუ მანცა მიუმცნოს, მივიდეს ხილვად თათართა. ამისნი მცნობელნი თათარნი სიხარულითა შეიწყნარებდეს, რომლისათჳს მიუმცნეს მითვე ოქროთა საფიცრითა მტკიცე ფიცი უვნებლობისა, და წარვიდა შანშეცა და იხილნა იგინი, რომელთა შანშესაცა ფრიად პატივი უყვეს, და ანისი და მათ მიერ წაღებული მისი ქუეყანა ყოველი მისცეს, და მცველნი დაუდგინნეს ქუეყანასა შინა. და ვინცა მოვიდის ქართველთა მთავართაგანი, პატივითა შეიწყნარიან, ხოლო ურჩთა ქუეყანა მოისრვოდა.

ამისი მცნობელი ვარამ გაგელი, ზაქარიას ძეცა, მიენდო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ზავითა შეწყნარებული ქუეყანა მისიცა დამშჳდნა. ხოლო ჰერეთი ღა კახეთი, სომხითი, ქართლი და აღმართ კარნუქალაქამდის ყოველი ქუეყანა მწარესა ოჯრებასა შინა იყო, არბევდეს, ტყუე-ჰყოფდეს, სრვიდეს მამაკაცთა, ვიდრე დედათა და ყრმათა ტყუედ წარიყვანებდეს.

და ქალაქი ტფილისი მათვე დაიჭირეს და იწყეს შენებად, და ზამთრის დაიბანაკეს ბარდავს და მტკურისა პირსა, ორისპირთა და აღმომართ გაგამდე. და მოტყუენვიდიან, არბევდიან ქართლს და სამცხეს და ჯავახეთს და აღმართ საბერძნეთამდი, კახეთს და ჰერეთსა დარუბანდამდე.

ამათ ულხინებელთა ჭირთაგან შეიწრებულნი მთავარნი საქართველოსანი ყოველნი მიენდვნეს თათართა, ჰერ-კახნი და ქართველნი, თორელი გამრეკელი, თმოგუელი სარგის, კაცი სწავლული და ფილოსოფოსი და მრავალღონე. ხოლო მესხნი სათნოებისათჳს მეფისა რუსუდანისა არა მიენდვნეს. ამისთჳს განძჳნებულმან ჩალატა ნოინ აღიმჭედრა სამცხეზედან, არამედ მესხნი შეივლტოდენ ციხეთა შინა. ესრეთ მოისრა და ტყუე იქმნა სული მრავალი სამცხესა და ბევრი ერი მოიკლა.

ოდეს არღარა იყო ღონე, მოაჴსენა მეფესა რუსუდანს ივანე ციხისჯუარელმან ჯაყელმან, რომელსა ყუარყუარეცა ეწოდებოდა, უკუეთუ სთნდეს, რათა იჴსნას ქუეყანა სამცხისა ოჯრებისაგან, იგიცა მიენდოს ჩალატას, რამეთუ პატივითა იყო მეჭურჭლეთუხუცესი და მთავარი ქუეყანასა სამცხისასა. ინება მეფემან და წარმოგზავნა დასტური. მაშინ წარვიდა ივანე და იხილა ჩალატა, რომელმან პატივითა შეიწყნარა და დაუდგინნა მცველნი ქუეყანისანი.

და ესრეთ რა ჴელთ-იგდეს, განიყვეს ოთხთა მათ ერისმთავართა ოთხად ქუეყანა და ეგრეთვე ერისთავნიცა თჳთეულნი ხუედრი მისი, და ხარაჯა, რომელსა აიღებდიან და წარგზავნიდიან. და ესრეთ მცირედ იწყო ქუეყანამან დაწყნარებად.

გულისჴმა-ყო რა მეფემან რუსუდან, რომელ წარუღეს ქუეყანა ამიერი თათართა, განიზრახა, რათა წარმოავლინოს ძე თჳსი, დავით, და მოანდოს თათართა, და აღიღოს სიმტკიცე უვნებლობისა. და წარავლინეს მოციქულად თათართა შანშე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ავაგ, და ვარამ, და ჰერეთის ერისთავი შოთაი, რომელ-
მანისი ფერობისათჳს კუპრობით უკმობდეს.

ვიდრე წარმოავლენდა მეფე ძესა თჳსსა, ენება აღმჴედრებად დიდსა სულტანსა ყიასდინსა, ნათესავითა სალჩუქიანსა, რათა დაიმორჩილონ, რომელსა აქუნდა საბერძნეთი. და წარავლინეს ბიჩო ნოინი, და თანაწარიყვანნა დიდნიცა იგი მთავარნი საქართველოსანი. ვითარ მიიწივნეს ქუეყანასა სევასტიას და ეზინკისასა, იწყეს ოჴრებად. მაშინ სულტანმან ყიასდინ მოუწოდა ყოველთა სპათა და შემოიკრიბა მჴედრები თჳსი, კაცი ორმოცი ბევრი, რომელ არს ოთხასი ათასი. და განაჩინა მჴედართა თავად შარვაშის ძე აფხაზი, სახელით დარდინ, რომელი სიმჴნისა მისისათჳს პირველვე დიდსა დიდებასა აღეყვანა, და მტკიცედ ეპყრა სჴული. ამას თანა ფახრადავლა, თორელისა ახალციხელისა შალვას ძე, რომელი ლტოლვილი წარსრული იყო სულტანსა წინაშე, კაცი მჴნე და წყობათა შინა სახელოვანი. ესენი მჴედართა მთავარ-ყვნა და წინამბრძოლად განაჩინნა. და მოეახლა, მახლობლად მათსა დაიბანაკა.

ვითარ ესმა თათართა მოსლვა სულტნისა წყობად მათდა, ესეზომ განლაღებულ იყვნეს და განრისხნეს, რომელ ამისი მსმენელი ბიჩო ნოინი მივიდა თხრობად ქართველთა მუნ მყოფთა მოსლვასა სულტნისასა, და იხილა ძისწული ყუარყუარე ჴაყელისა, სახელით სარგის, კაცი მჴნე და შემმართებელი, ჴელოვანი ბრძოლათა შინა, და ჴმა-უყო ბიჩო და რქუა: „მახარობელად ვიდრემე მოვალ, ვიდრე რა იყო ნიჭი ჩემი, რამეთუ დიდსა სულტანსა ასმიეს მოსლვა ჩუენი და ხლებულ არს, და, ესერა, ახლოს დაუბანაკებიეს დიდითა და უამრავითა ლაშქრითა. და ხვალე ეგულების წყობად და ბრძოლისა ყოფად ჩუენდა“.

ესმა რა ესე სარგისს, განკჳრვებულმან რქუა: „უწყი წყობათა შინა სიმჴნე და გამარჯუება თქუენი, ჰ ნოინო, გარნა სიმრავლისათჳს მათისა არას ვგონებ სიხარულევანსა“. ხოლო ბიჩო განიღიმნა და რქუა: „არა კეთილად მეცნიერ ხარ ნათესავსა ჩუენ მოღოლთასა, რათგან მოგუცა ღმერთმან ძლევა, არად შეგჳრაცხია სიმრავლე სპათა, რამეთუ უმრავლესითა უმჯობესად ვიდრემე ვსძლევთ და უმრავლესითა აღვივსებით ალაფითა. აწ განემზადენით ხვალისა ბრძოლად და ვიხილოთ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვითარ ვებრძვით მტერთა". ეზომ განლაღებულ იყვნეს ყოველთა ნათესავთა ზედა.

ვითარ განთენდა და მივიდა სულტანი სპითა საზარელითა, რამეთუ იყო ოთხასი ათასი მჯედარი, და განაწყვეს რაზმი. აქეთ თათართა განაწყვეს რაზმი და ურჩეულესი მათი მარცხენასა მხარსა დააწესნეს. ესრეთ აქუნდა წესად, უმჯობესთა ვიდრემე მარცხენასა კერძოსა დააწესებდიან ამის ძალითა, რომელ სხუანი ნათესავნი ყოველნი უმჯობესთა და უმჯნეთა მარჯუენით აქუნდა დაწესებითა, რათა ურჩეულესნი ურჩეულესთა შეემთხვვნენ. მხოლოდ დროშათა მათთა სიმეწამულე მოასწავებდა სისხლისა დამოღურილობასა მტერთასა.

ამათ რა ესრეთ ყოველი ნათესავი ქართველთა წინამბრძოლ-ყვეს და ვითარცა მიიახლნეს ურთიერთას, იწყეს თათართა ჴმითა მაღლითა თქუმად: „აჰლა, აჰლა, აჰლა", რომელ ძნელად სათარგმანებ არს და უცნაურ; და სამსა ვიდრემდე ჯერსა აქუნდა წესად თქუმა ამის: „აჰლა, აჰლა, აჰლა". და მყის მიეტევნეს. ხოლო ქართველნი უპირატეს და უმჯხეს ძლიერად ეწყუნეს და იქმნა ომი სასტიკი. მოსწყდა სიმრავლე ურიცხჳ სპათაგან სულტნისა, საღა სახელოვანიცა შარვაშის ძე დარდინ აფხაზი, მჯედართმთავარი მათი, მოიკლა, და ივლტოდეს სპანი სულტანისანი, და დევნა-უყვეს რა თათართა და ქართველთა, ურიცხჳ მებრძოლი მოსრეს და შეიპყრეს. ხოლო ახალციხელი სულტნისა მიერ მოიკლა შურითა ქართველთა. ესოდენ ეწყუნეს პირველ, განკჳრდეს ყოველნი მჯედართმთავარნი მათნი ძლიერად მბრძოლობასა ქართველთასა, სიყუარულსა და პატივსა და ნიჭსა წინაუყოფდეს და ქებასა შეასხმიდეს.

ხოლო აღივსნეს ქართველნი და თათარნი ყოვლითა სიმდიდრითა, ოქროთა და ვეცხლითა სასმურთა და სამზარეულოსა ოქროსა და ვეცხლისათა უტეხელისათა, უცხოთა ლარითა და სამოსლითა. ცხენისა და ჯორისა და აქლემისა არა იყო რიცხჳ, რაზომი აღიღეს. ესრეთ სავსენი მივიდეს საბერძნეთსა დევნად სულტნისა და მიჰყვეს ვიდრე იკონიადმდე, რომელ არს ქალაქი დიდად დიდი და ზღუდეთა მტკიცეთა მიერ განმაგრებული, სად-იგი შელტოლვიდ იყო სულტანი. და კუალად კართა ქალაქისათა იქმნა ომი ძლიერი, რომელ თჳთეულად არა არს მოთხრობად, რამეთუ უმრავ-

ლესთა დღეთა გამოვიდიან ჩალიშად და ესრეთ იბრძოლეს
საფა-იგიცა ძლიერი და სახელოვანი ჩალიშობა გარდაიკადეს
მრავალთა დღეთა ქართველთა.

ხოლო სულტანმან, შეიწრებულმან ომითა, ითხოვა ზავი,
აღუთქუა ხარაჯა დიდი და მძიმე, და მრავალთა ძღუენთა და
უფასოთა თუალთა და მარგალიტთა ძღუენად მომცემელმან
მოამშჯდნა, და ითხოვა მცველნი და ესრეთ: ჟამ რაოდენძე
არა იხილონ სულტანი, ვიდრემე განიზრახონ უმჯობესი. ამი-
სი შემწყნარებელნი თათარნი უკმოიქცეს და მივიდეს ხლათს,
ხოლო სულტანმან ხლათისამან ითხოვა ზავი და წინამოეგება
ძღუენთა ურიცხუთა მომღებელი, რომელი კეთილად შეიწყნა-
რეს, მცველნი ქუეყანისანი, რომელ არიან შანანი, დაუდ-
გინნეს.

და წარვიდეს საზაფხულოსა ადგილსა გელაქუნს და არა-
რატის მთათა, და წარუვლინეს მოციქული მეფესა რუსუ-
დანს, რათა ზავი იქმნას მათ შორის, და მოსცეს ძე მისი,
დავით, და მისცენ მეფობა, და ტფილისი და ყოველი საქარ-
თველო. და ვითარ ესმა რუსუდანს, სთნდა სიტყუა ესე და
გულსავსე იყო ამისთჳს, რომე ფიცსა მტკიცედ იპყრობდეს
და მინდობილსა შეიწყნარებდეს. გარდამოვიდა თჳთ მეფე და
წარმოგზავნა ძე თჳსი, დავით, რომელთა წინამიეგებნეს შან-
შე, ავაგ და ეგარსლან, რომელი თათართა დიდად პატივითა
შეეწყნარა, არარათა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონე-
ბელი, შოთა კუპარი, გაგელი ვარამ, ქართლის ერისთავი სუ-
რამელი გრიგოლ, სამცხის სპასალარი და მეჭურჭლეთუხუცე-
სი ყუარყუარე ციხისჯუარელი, თორელნი, თმოგუელნი,
შავშ-კლარჯნი და ტაოელნი, და წარიყვანეს მეფე, ძე რუსუ-
დანისი, დავით. ხოლო მეფემან რუსუდან თანაწარიტანნა ყო-
ველნი მთავარნი ლიხთ-იმერელნი, დადიანი ცოტნე, კაცი პა-
ტიოსანი და სათნოებიანი და ბრძოლათა შინა სახელოვანი,
ბედიანი, რაჭისა ერისთავი, გურიელი და ყოველნი წარჩინე-
ბულნი. წარემართნეს და შევიდეს ტფილისს და წარვიდეს
ბარდავს, სადა დაებანაკა ნოინთა. მიიყვანეს დავით დიდითა
პატივითა და ლაშქრითა. ვითარ იხილეს ჩორმაღონ, ჩაღატა,
იოსურ და ბიჩო, განიხარეს და პატივი უყვეს მეფესა და
მთავართა საქართველოსათა, მოსცეს ყოველი საქართველო,
ტფილისი, სამშჯლდე, რომელი პირველი ომითა აეღო იოსურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოინს და ანგურგას თანადახდომითა ავაგისთა. და ესრეთ კეთილად შეიწყნარეს დავით მეფე, რომელსა ნარინ დავითობით უწოდეს, ესე იგი არს, სეფისპირი დავით.

მაშინ წარავლინეს მოციქული წინაშე დიდისა ყაენისა, რომელი იჯდა ყარაყურუმს, ტახტსა ჩინგიზ ყაენისა, რამეთუ ჩინგიზ ყაენი გარდაცვალებულ იყო და ჴელთ-იგდო ძემან მისმან, სახელით ოქოთა, ყაენობა. რომელი იყო კაცი კეთილი და დიდად უხჳ, და მოსამართლე. და იგიცა გარდაიცვალა. და დასუეს ძე ოქოთასი ყაენად, სახელითა ქუქ. და იგიცა მოკუდა და ჴელთ-იგდო ყაენობა ძემან ქუქისმან, მანგუ. წარავლინეს მოციქული და აუწყეს აღება სპარსეთისა, საქართველოსა, საბერძნეთისა, და ყოველთა თემთა ქუდი და აბჯარი და ტანისამოსი გაუგზავნეს და წესი მიუმცნეს ესევითარ: „ქართველნი სრულიად მოვიდეს, მეფე და ერთობილნი მთავარნი, რომელთა აქუს სჯული კეთილი, და ტყუილსა ევლტიან, მწამლველი არცა თუ სახელ იდების მათ შორის“. და სპარსთათჳს მიუმცნეს ესრეთ: „არიან სპარსნი ცრუ, მოღალატე და ფიცის არშემნახველ, და მრავალნი იპოვნებიან მწამლველნი და შამათმავალ ურცხჳნოდ“.

მიიწია რა ელჩი პირველად ბათოისსა, რომელ იყო შვილი თუშისი, პირმშოსა ჩინგიზ ყაენის შვილისა. რამეთუ მაშინ უპირატესობა ყოველთა ბათოს ყაენს ეპყრა, რომელსა აქუნდა ოვსეთი და დიდი ყივჩაყეთი, ხაზარეთი, რუსეთი ვიდრე ბნელეთამდის და ზღუადმდე დარუბანდისა. და ამან წარავლინა მანგუ ყაენისა. და ვითარ იხილა მოციქული, განიხარა, და ჩაბალახისა ხილვასა განკჳრდა. და ესრეთ მიუმცნო ნოინთა მანგუ ყაენმან: „ვითნაგან ქართველნი წყობათა შინა კეთილად გიხილვან და ტყუილი არა არს მათ შორის და მინდობა იციან, თქუენ თანა იპყრენით მტერთა თქუენდა ბრძოლად, ხოლო სპარსნი მოსწყჳდენით, და მის ქუეყანისა თავადნი წარავლინეთ ყაენთა წინაშე“.

ესე მოციქული რა მოიწია, ავაგ, რომელი ამირსპასალარობისაგან ათაბაგ იქმნა მეფისა რუსუდანის მიერ, წარავლინა ჩაღატა ნოინმან წინაშე დიდისა ყაენისა ბათოსა, და ხლათისა სულტანი. წარვიდეს უცნაურსა და ყოველადვე ქართველთა ნათესავისაგან უვალსა გზასა. და ვითარ მიიწინეს წინაშე ბათოსა, რომელი იყო მას ჟამსა უმთავრესი ყაენთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უზეშთაესი და უალმატებულესი შუენიერებითა, თავსწარეყვანა ათაბაგსა ავაგს ივანე ახალციხელის ძე, სახელით დავით, ეჯიბი ავაგისი, რომელმან რქუა ავაგს: „ვინათგან უცხოთა ნათესავთა მომართ მოიწიე და არა უწყი, თუ რა ყოფად არს ჩუენდა, ესრეთ განგაზრახებ, რათა ვიქმნე მე, ვითარცა პატრონი და მთავარ შენდა, და შენ იქმნე მონა. უკუეთუ ენებოს მოკუდინება შენი, მე მოვიკლა და არა შენ. არღარა ვგონებ, უკუეთუ ბატონი მოიკლას, ყმათაცა დაჴოცად“. და ესრეთ მრავლითა ვედრებითა და იძულებითა დაარწმუნეს ავაგ ამისდა ყოფად. ვითარ შევიდეს წინაშე ბათოსა, წინაწარიძღუანა დავით, ვითარცა უმთავრესი. და ესოდენ სათნოება ქმნა დავით, განმწირველმან თავისამან პატრონისათჳს სიკუდილად. იხილა ყაენმან ბათო, განიხარა და დიდად პატივსცა მრავალთა დღეთა. და ვითარ ცნეს კეთილის-ყოფა ბათოსაგან და უშიშ იქმნეს სიკუდილისა, ერთსა დღესა შეუწოდა ბათო, და ავაგ წინაწარუძღუა, რომელი იხილა რა ყაენმან, განკვირვებითა შემხედველი ეტყოდა ავაგს: „არა სადაჲ მეცნიერ ხარა, რომელ პატრონი არს შენი, რომელი უკანის შენსა დგას და წინა წარმოსძღომიხარ?“ ხოლო დავით ღიმილით ეტყოდა: „დიდო, დიდო განმარჴუებულო ჴელმწიფეო! ეგე არს პატრონი და მე მონა მისი“. და განკჳრვებული ყაენი ჰკითხვიდა მიზეზსა მისსა ყოფად, რომლისთჳს დავით თქუა: „მის ძალითა ვყავ, დიდო ყაენ, რომელ არა მეცნიერნი ვართ შენნი, და არა უწყოდით, რას შეგუამთხუევდით. უკუეთუ გენება მოკუდინება, მემცა მომკუდარ ვიყავ უწინარეს და არა პატრონი ჩემი“. რომლისათჳს დიდად განკჳრდა და აქო დავით და თქუა: „უკუეთუ ნათესავი ქართველთა ეგევითარი არს, ვბრძანებ, რათა ყოველთა ნათესავთა, რომელნი არიან მორჩილებასა ქუეშე მოღოლთა, უმჴობეს და უწარჩინებულეს იყვნეს, და მოღოლთა თანა მჴედართა აღრაცხონ, მამული და საქონელი მათთა ჴელთა შინა იყოს და ყოველსა შინა მისანდოდ იყვნენ“. ამისთჳს ბრძანება დააწერინა და წარმოსცა, და ესრეთ განაჩინა წარვლენა დიდსა მანგუ ყაენისსა ხატაეთს და ყარაყურუმს. ესე აქამდინ იყავნ, ხოლო, ჩუენ დაშთომილისას სიტყჳსა მიმართ აღვიდეთ.

გარდამოვიდა მეფე რუსუდან ლიხით და მივიდა ტფილისად და მოეგებნეს ყოველნი წარჩინებულნი სამეფოსა მისი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სანი. და წარავლინა ძე თჳსი, დავით, ნოინთა წინაშე, რომელ-თა პატივითა შეიწყნარეს და მოსცეს ყოველი სამეფო, წარ-ჩინებულნი და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი. და ეს-რეთ კუალად ეგო სამეფო ბრძანებასა ქუეშე რუსუდან მე-ფისასა.

კუალად აქაცა ვინებე დუმილად, ვინათგან მეგულების განსაკრთომელისა მოთხრობისა, დალათუ არა საკადრებელ არს თხრობა მეფეთათჳს უშუერსა რასმე, რამეთუ იტყჳს მო-სე, მხილველი ღმრთისა: „მთავარსა ერისა შენისასა არა ჰრქუა ბოროტი“. გარნა ვინათგან წიგნი ესე შუამდებარე არს კეთილისმოქმედთა და ბოროტისმოქმედთა, შენდობილ იყჳნენ სიტყუანი ჩემნი, რამეთუ ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტისმე-ტყუელება არს და არა თუალახმა ვისიმე. რამეთუ ამათ ჟამთა დაივიწყა შიში ღმრთისა და ანდერძი ძმისა და ფიცი იგი, რომელ ამცნო ძმამან მისმან რუსუდან მეფესა, განიზრახა ზრახვა უცხო, რათა დაუმტკიცდეს მეფობა ძესა მისსა, და-ვითს. და წარავლინა კაცი საბერძნეთს, სულტანსა სიძეს და ასულსა თამარს წინაშე, რათა ძმისწული მისი, დავით ყრმა, რომელ პირველ წარავლინა მათდა, რათა ბოროტი რა ეყოს მათ მიერ, და არა ბოროტ ეყო, აწ რომელ წარსწყმიდონ და მოაკუდინონ, და უზრუნველად ეპყრას მეფობა მას და ძესა მისსა, დავითს.

ხოლო მათ არა ისმინეს. და კუალად სხუა წარავლინეს მოციქული ამავე პირისათჳს. ხოლო იგინი არა ერჩდეს. და მესამედ სხუა საველრებელი წიგნი წარგზავნა შვილისა და ძმისწულისა, გინა ძმისმკვლელობითა სავსე, და იგინი არცა მაშინ ერჩდეს. ამისგან განცჳბრებულმან, გულისწყრომითა აღვსებულმან დაივიწყა სჯულიცა და ლმობა ნათესავთა და თჳთ შვილის სიყუარული ედედობრივი, ვითარცა იტყჳს ბრძე-ნი სოლომონ, ვითარმედ: „გულისწყრომამან კაცისამან სი-მართლე ღმრთისა არა ყოის“. ვითარ ამანცა, კეთილთა ძირთა მორჩმან, არა ყო სიმართლე, დაწერა წიგნი სიძეს სულტან-სა ყიასდინს თანა, და ესრეთ მიუმცნო, ვითარმედ: „ამისთჳს შენება მოკლვა ძმისწულისა ჩემისა დავითისი, რომე ცოლსა შენსა და ასულსა ჩემსა ძმისწული ჩემი, დავით თანა-ეყოფ-ვის, და ამისთჳს არა ნებავს ასულსა ჩემსა ბოროტი მისი“. ჰ გონება, მჴეცთა უმძჳნვარესი, ვაჲ მკვლელობა, ოდესმე სმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილთა და გარდასრულთა მკვლელობათა უბოროტესი, „ეგრეთ-ლი აღასრულა შვილსა და ძმასა ზედა დამვიწყებელმან დედობრივთა და ძმებრივთა ლმობათამან!

და მიიწია წიგნი სულტანს წინაშე. მყის აღშფოთდა და შეეცდა სახლსა სადედოფლოსა, და უპატიოდ განითრია ცოლი თვსი მოფხურითა თმათა, ფერკთით ძლიერად უხეთქნა პირსა მისსა შუენიერსა. და ტანი ფრიადისა ცემისაგან სისხლისფრად იყო. და ხატნი იგი, რომელი სამარადისოდ აქუნდა წინაშე მათსა, შეაგინნა და დამუსრნა. და ყოველნი მის წინაშე მყოფნი მსახურნი და მოჯელენი ექსორია-ყვნა და რომელნიმე მოსწყვდნა. და ცოლსა მისსა შეშინებით უთქმიდა უწყალოდ სიკუდილსა; უკუეთუ არა დაუტეოს სჯული ქრისტესი და მუსულმან იქმნას. და მრავალნიცა ტანჯვანი შეამთხვნა, რომლისა შემდგომად მრავალთა ტანჯვათა მიერ მომეგებულმან უარ-ყო სჯული ჭეშმარიტი, რამეთუ აქამომდე მტკიცედ ეპყრა სჯული ქრისტესი, რამეთუ ხუცესნი და ხატნი წინაშე მისსა აქუნდის არა ფარულად, არამედ განცხადებულად.

ხოლო ყრმა დავით შეიპყრეს და მრავალნი ტანჯვანი შეამთხვნეს, რათა ჭეშმარიტი აღიაროს. ხოლო იგი იტყოდა: „უბრალო ვარ, მოწამე არს ღმერთი, დაღათუ ესე ცილი დამწამა მამიდამან ჩემმან, და დასაჯერებელ არს, გარნა საქართველოთა ბრალისა და შეცოდებისათვს ექსორა-მყო და სიკუდილი ჩემი მოგიმცნო. აწ იხილე, მოწყალეო და მაღალო სულტანო, რომელ პირველითგანვე მკვლელობისა ჩემის გული აქუნდა“. ესე ვითარ ესმა სულტანსა, მცირედ ლმობიერ იქმნა. მაშინ სიკუდილი არა ინება მისი განგებითა ზეგარდამოთა, რამეთუ მსჯავრნი და განგებულებანი ღმრთისანი გამოუკულეველ არიან, ვითარცა წერილ არს: „ვინ ცნა განგება უფლისა, ანუ ვინ თანამზრახველ ეყო მას?“. გარნა არავე დამშვდნა გულისწყრომა სულტნისა, ვითარცა ალითა მძაფრითა ენთებოდა გული მისი. ამისთვს მოუწოდა მენავეთმოძღუართა და მისცა დავით ჯელთა მათთა, და ამცნო, რათა წარიყვანონ ზღუად და შთააგდონ პილრმესა ზღვსასა. უკუეთუ არა ყონ, იავარ-ყოს სახლი და დედაწელი მათი, და იგინი ბოროტად მოისრნენ. ხოლო მენავეთა მათ წარიყვანეს, შთას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეს ნავსა და მიმართეს პელენგოდ, მიიწივნეს სილრმედ დიდად განშორებულ ქუეყანისაგან, და ენება შთაგდება დაკითისი. ევედრა მენავეთა, რათა ილოცოს მცირედ. ხოლო მათ დრო-სცეს. ვითარ აღდგა და აღმოიღო უბითგან ხატი ყოვლად წმიდა ღმრთისმშობელისა, რომელი ვედრებისსახედ დასახულ იყო, და მარადის თანა აქუნდის, და მისა მიმართ აქუნდა სასოება. ესე დაიდვა პირსა და თუალთა და ცრემლნი სიმწარისანი გარდმოსთხივნა: „ყოვლად წმიდაო დედაო მჯსნელისა ჩუენისაო იესო ქრისტესო, ცოდვილთა შესავედრებელო და ნუგეშინის-მცემელო, შეივედრე სული ჩემი, რამეთუ შენ ხარ ნუგეშინის-მცემელი მწარისა ამისა სიობლისა ჩემისა და უმსჯავროსა სიკუდილისა, რომელ სამარესა და მიწასა შინა დაფლვად არავინ ღირს-მყო, არამედ საჭმლად თევზთა. არცაღა საფლავი ჩემი საცნაურ იქმნების, არამედ მოწყალებათა შენთა მინდობილი ვითხოვ უკანასკნელსა ამას ოხჭანსა შინა, რომელ მიჯსნა ჰაერისმცველთა ჯელთაგან და საშინელთა მათ სატანჯველთაგან, რომელსა მოელიან ჩემებრ ცოდვილნი და ბრალეულნი ყოველნი“.

რამეთუ ამას და ამისსა უმრავლესსა ილოცვიდა ლმობიერად და ცრემლთა მწარეთა დამომდინებელი, აღკადეს შესამოსელი და ხატი წარუღეს, რომლისათჳს ლმობიერად ევედრა, რათა მისცეს ხატი ყოვლად წმიდისა და თანა აქუნდეს, რომელი ისმინეს მენავეთა და მისცეს ხატი იგი და დაჰკიდეს ყელსა. ხოლო ვითარ ეგულებოდა შთაგდება, ერთმან მენავეთაგანმან ყო წყალობა განგებითა ღმრთისათა და ყოვლად წმიდისა და ვედრებისა ღმრთისმშობელისათა და მცირე რამე ფიცარი მისცა ჯელთა მისთა. და ესრეთ შთაავდეს ზღუად. ხოლო დავით მოეხჯა ფიცარსა მას, და მოჰბერა ქარმან ძლიერმან და უჩინო იქმნა თუალთაგან მათთა. და მიმოაქუნდა ღელვათა, ვითარ კიდობანი ნოესი, და მყის განაგდო ჴმელად. და იხილა იგი ვაჭარმან ვინმე მგზავრმავალმან და მიავლინა მან მცურველი, რამეთუ ჯერეთვე შორს ვიდრე იყო ქუეყანისაგან, ვითარ უტევან. და გამოიყვანა ვაჭარსა მას თანა. მყის შემოსეს და საზრდელი მოართუეს და ნუგეშინისცეს. და განძლიერდა შიმშილისა და წყურვილისაგან შეიწრებული, რომელ თვალთაცა კამკამებად ძლითა ეძლო. იწყო კითხვად ვაჭარმან მან მიზეზი შთაგდებისა მისისა ზღუად.

ხოლო მან ყოველივე ესე ზემოჯსენებული აუწყა, რომელნიმე
სათჳს განიხარა ვაჭარმან და სახლად თჳსად წარიყვანა და
იწყო პატივის-ცემად, ვითარ საყუარელსა შვილსა, ესრეთ ფუ-
ფუნებად. დაყო მას ვაჭართანა ექუსი თუე ოდენ, და გან-
ცხადნა საქმე ესე ყოველთა თანა, ვითარ ვაჭარსა ვისმე
ხლუასა შთაგდებული ქართველთა მეფის ძე უპოვნიეს. და
მიიწია სიტყუა ესე და ესმა სულტანსა ყიასდინს. გულის-
წყრომითა აღვსილმან წარავლინნა მჯედარნი, მიიყვანა დავით
და ვაჭარიცა იგი, და მენავენი იგი პყრობილ-ყვნა, და სიკუ-
დილსა აქადებდა. ხოლო ისწავა რა ვაჭრისაგან ზღუთ გამო-
ყვანება, ვანუტევნა მენავენი.

ხოლო დავითისთჳს არავე დასცხრა გულისწყრომად და
შესძინა, ვითარცა ჰეროდე, კაცისკვლად, რამეთუ კაცის-
კლვასა ზედა კუალადცა კაცისკლვა შესძინა, და უბოროტე-
სი სატანჯველი განაჩინა. რამეთუ იყო ჯურღმული ღრმა, რო-
მელსა შინა წყალი არა იყო. ამას შინა იყვნეს გუელნი შთაყ-
რილნი, რომელი სავსე იყო განძჳნებულითა და ცოფითა გუ-
ელითა. და ზედა იდვა ლოდი და არა იყო ნათელი, და ესრეთ
მწარითა სიკუდილითა მოჰკლვიდა. სულტანმან მას შიგა
შთაგდება ბრძანა დავითისი. და ვითარ წარიყვანეს, თანავე
აქუნდა ხატი იგი. და აღიღეს ორმოსა მისგან ქვა, შთააგდეს.
და დაცულ იქმნა, ვითარცა დანიელ პირისაგან ლომისა, ყოვ-
ლად არა ავნეს ესოდენ ყოვლად გესლიანთა. დაბურეს ქვა
ზედა.

დავითს პირველვე წარტანებულ იყო ვინმე, სახელით
ხოსან, რომელი მიეცა მამასა მისსა ლაშას. ესე შეუდგა, რა-
ჟამს წარიყვანებდეს შთაგდებად ჯურღმულსა მას. ამან იხილა
ჯურღმული იგი. ხოლო კაცთა მათ სულტნისათა რაჟამს დაუ-
ტევეს ჯურღმული იგი, გათხარა ხოსან მცირედ ქვას ქუეშეთ,
და მიერ შთაუტევნის ბური, რომელი ითხოვის. და ესრეთ
ზრდიდა ხუთ წელ. რა დაწვის, გუელნი რომელნიმე მოეხუ-
ევის ყელსა, რომელნიმე ფერჯსა, სხუანი უბესა, სხუანი გუ-
ერდსა უწვიან. და ვითარ ეძინა, და გარდაიქცეოდა რა
გუერდსა ზედა, მჯარითა დააჭირა გუელსა ერთსა, რომელმან
მჯარსა სასტიკად უკბინა. ხოლო სხუათა გუელთა დაიჭირეს
გუელი იგი, მკბენელი დავითისი, და იწყეს ენითა ლოკად და
მყის განკურნეს დავით, და გუელი იგი შეჭამეს მათ გუელთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესრეთ საკვრველებით განარინა ღმერთმან ყოვლისა წარსაწყ-
მედელისაგან, რომელნი მოეწივნეს მას ზედა.

რამეთუ ესრეთ განიზრახა მეფემან რუსუდან თავით
თჳსით დამტკიცებად მეფობისა ძისა თჳსისა, არამომჴსენე-
ბელმან სიტყჳსა წინასწარმეტყველისა ესაიასა, რომელსა
იტყჳს: „და მოხედნეს უფალმან განგებასა მას ზედა დიდსა
მთავარსა ასურასტანისასა და სიმაღლესა მას ზედა დიდებისა
თუალთა მათ მისთასა, რამეთუ თქუა: ძალითა ჴელთა ჩემთა-
თა ვყო, და სიბრძნით გულისჴმის-ყოფისა ჩემისათა მოვიპყ-
რნე საზღვარნი თესლებისანი და ძალი მათი წარმოვიღო და
შევძრნე ქალაქნი დამკჳდრებულნი, და სოფელი ყოველი და-
ვიპყრა ჴელითა ჩემითა ვითარცა მართუენი, და ვითარცა კუ-
ერცხნი დაშთომილნი აღვიხუნე. და არავინ იყოს, რომელი
განმერეს მე ანუ სიტყუა-მიგოს. აწ უკუე იდიდოს-მე ცული
თჳნიერ მკუეთელისა, ვითარმცა თავითა თჳსითა ჰკუეთდეს,
ანუ ამაღლდეს ხერხი თჳნიერ მზიდველისა მისისა? ეგრეთვე
ვინ აღიღოს კუერთხი გინა შეშა? არა ეგრეთ, არამედ მოავ-
ლინოს უფალმან საბაოთ შენსა პატიოსნებასა ზედა უპატიო-
ება, დიდებასა შენსა ზედა ცეცხლი აგზებული ატყდებოდეს“,
ვითარ აღესრულა პატიოსნისა მეფისა რუსუდანს ზედა.

რამეთუ სირცხჳლ-მიჩნს კადრებად და კუალად ვერ მიძ-
ლავს დუმილად, რამეთუ უპატიო-ჰყო თავი თჳსი ბოროტითა
ამით, რომელ აღადგინა ძმისწულსა თჳსსა ზედა. გარნა განა-
ქარვნა ზრახვანი მისნი ზეგარდამომან განგებამან, ვითარ აქი-
ტოფელისნი დავით წინასწარმეტყველის ზე, და არა გულის-
ჴმა-ყო, რამეთუ „განაქარვნის ზრახვანი კაცთანი ზრახვამან
ღმრთისამან“, ვითარ ფარაოსი მოსეს ზე, ვითარ განერა
ჴელთაგან მისთა ლტოლვილი პირველად, ვითარ იტყჳს ჟამ-
თააღმწერელი იოსიპოს, და კუალად ვითარ განერა დავით
ჴელთაგან საულისათა, რამეთუ ცუდად იქმნა განზრახვა მისი,
და სხუაცა მოვიჴსენო, რომელ იქმნა განზრახვითა მეფისა
ასტუვაგისათა. არა ცუდ იქმნა წარვლენა ასულისა მისისა
მანდანისი სპარსთათჳს, ყოვლად ამას შინა მოცემა ძისა მისი-
სა კროსისი, რომელი შემდგომად ასტუვაგისა მეფე იქმნა?
ანუ არა ამაო იქმნა ხრიზმოზიცა იგი აპოლონის დელფელისა
შენისა კრისოის გაწცდილი მე ობოლი მთხრობლი ძლეული
კრისოსა მიერ შეპყრობილ იქმნა კროსისა მიერ, და უმეტეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამისსა არა განცუდნა ხრიზმოზიცა იგი პრიამოსისი ბერძენ-ასულთასა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პირისა მთავრისა ალექსანდრე პარიდოსისა ზედა, რომელი იპყრა წელთა ოცდათორმეტთა უწინარეს, რომელმან, მიმტაცებელმან ელენესმან ცოლისა, აღამემნონის ძმისა მენელეოსისგან, ოცდარვად წლად უმშჯდებელნი ბრძოლანი მოუგნა ტროველთა სრულიად მოსპოლვად ნათესავსა მისსა?

ესე ყოველი არა თჳთ განზრახვით იქმნა, ჰ ბრძენო, კეთილთა და პატიოსანთა ძირთა მორჩო, დედოფალთ დედოფალო, მეფეო რუსუდან. გარნა რა მოივაჭრე? იხილე, რამეთუ ხუთისა წლისა ჟამნი დაყვნა ულხინობთა ჭირთა შინა ჯურღმულსა ღრმასა გუელთა თანა, რამეთუ ესე გემოჴსენებულნი ზრახვანი დაჴსნა ზენამან განგებამან ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისამან, ვითარცა აწცა.

ჩუენ პირველსა სიტყუასა აღვიდეთ.

მოიწია მეფე ტფილისს და ძე მისი, დავით, ნოინთა წინა წარავლინა. და მათ ინებეს დავითის წარვლინება დიდსა ყაენს ბათოსასა და მიერ ყარაყურუმს მანგუ ყაენისსა, და ვითარ ცნა რუსუდან წარვლინება ძისა თჳსისა უცხოთა ნათესავთა, შორთა და უცნაურ გზათა, ტკივილითა და უზომოთა მწუხარებითა შეიცვებოდა და დაუწყუედელთა ცრემლთა მოადინებდა, და მოიჴსენებდა რა-იგი უყო ძმისწულსა თჳსსა დავითს; ვითარ ექსორია-ყო, ეგრეთვე თათართა წარავლინეს ძე მისი ვითარ ექსორიად წინაშე ბათოსსა.

ხოლო ვითარ არღარა იყო ღონე, წარვიდა ნარინ დავით. და თანაწარატანა მეფემან რუსუდან მცირედ თანაზრდილნი მისნი, ქართლისა ერისთავის სურამელის გრიგოლის შვილი, ბეგა, გურკლელი მახუჯაგის ძე, ამირეჯიბი ბეშქენ. და თუალნიცა ორნი დაუმალნა ძჳრად საფასონი. და წარვიდა შემდგომად კუალსა ავაგისსა და ხლათის სულტნისასა, რამეთუ პირველ იგიწი წარავლინეს თათართა. და მიიწივნეს წინაშე ზემოჴსენებულისა ბათოსსა, რომელმან კეთილად იხილნა ნარინ დავით მეფე, ორი წლისა ჟამთა თანა იპყრა და მიერ წარავლინა ჩინ-მაჩინს და ყარაყურუმს მანგუ ყაენს წინაშე. რომელი მიიწია რა, კეთილად შეიწყნარა. და ავაგს შეეყარა და მის თანა იყოფვოდა.

ხოლო თათართა მათ ოთხთა ნოინთა მოეჴსენა ბოროტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმუთელთა, რომელი შეამთხვეს მოღოლთა, და აღიმჴედრეს
მათ ალმუთსა ზედა და თანამბრძოლობა განაჩინეს ქართველ-
თა, და წარმოუვლინეს მოციქული მეფესა რუსუდანს, რათა
მისცენ საყოფი საქართველოსა ლაშქრად ალმუთს. ხოლო მე-
ფე რუსუდან მას ეამსა ტკბილისა შვილისათჳს მწარედ ილე-
ოდა, და დასნეულებული გარდაიცვალა ტფილისს. და წარიყ-
ვანეს მთავართა დიდითა პატივითა და ტყებითა, და დამარხეს
სამარხოსა მამათა მათთასა მონასტერსა გელათს.

და გაჴდეს ქართველნი უნუგეშინის-ცემოდ და უმეფოდ,
რამეთუ არღარავინ იპოვებოდა ნათესავი მეფეთა, რამეთუ
ნარინ დავით ყარაყურუმს წარავლინა და სხუა იგი დავით
საბერძნეთს მკუდრად საგონებელი იყო და არა უწყოდეს, თუ
რა შემთხუეოდა. ამისთჳს თჳთეული თავისა თჳსისათჳს გან-
გებად ზრუნვიდა, რამეთუ თჳთეული ერისმთავარი თჳთოსა
ამას ნორჩსა შეუდგა.

და განაჩინეს თათართა ბევრისა მთავარნი, რომელთა
დუმნისა თავად უწოდეს. და გამოარჩიეს მთავარნი, პირვე-
ლად ეგარსლან ბაკურციხელი, კაცი ღრმად მოუბარი, ხოლო
არა ნიჭთა მქონებელი საჴმართა, და მას ჴელთ-უდვეს სპა
ჰერეთისა და კახეთისა და კამბეჩიანისა ტფილისითგან და
ალმართ ვითარ მთამდე შამახიისა და შანშეს ჴელთ-უდვეს
მამული მისი და ავაგისი. ვარამს ჴელთ-უდვეს ყოველი სომ-
ხითი, გრიგოლ სურამელს — ქართლი, გამრეკელს თორელსა,
მსგავსსავე ეგარსლანისასა საჭაბუკოთა შინა, ჴელთ-უდვა ჯავა-
ხეთი, სამცხე და ალმართ ვიდრე კარნუქალაქამდე, ხოლო
ცოტნე დადიანსა და რაჭის ერისთავსა — ყოველი იმერი სა-
მეფო.

და ესრეთ განაჩინეს თათართა და განიყვეს საქართველო,
წარვიდეს ბრძოლად ალმუთს და ქართველნი თანაწარიტანეს,
რომელნი განყვეს ორად. ნახევარნი ერთსა წელსა და ნახე-
ვარნი მეორესა წელსა იყვნიან ალმუთს, რამეთუ შუდ წელ
განგრძელდა ბრძოლა ალმუთისი, რომელნი არიან კაცის-
მკვლელნი მიპარვითა. რომელთა მულიდად უწოდიან. და ამათ
ჰბრძოდეს თათარნი ჩორმაღონ, ჩალატა, იოსურ და ბიჩო მო-
უწყენელად ზაფხულ და ზამთარ. ხოლო ქართველნი განყო-
ფილნი თჳთეული მისსა წელიწადსა ხუდის და იყვის ალ-
მუთს, და კუალად წარვიდიან სხუანი ხუედრსა მისსა, წელი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წად ერთ იყვის ალმუთს, და კუალად სხუანი — ხუთ-
მათსა. და ესრეთ შჳდისა წლისა ჟამთა განგრძელდა ყოფა და
ომი ალმუთს.

დღესა ერთსა წარმოგზავნეს ალმუთელთა მულიდი ჴელო-
ვანი. მივიდა ღამით და შემოეპარა მცველთა ჩაღატა ნოინი-
სათა, შევიდა კარავსა მისსა, მძინარესა დასდვა დანა გულსა
მისსა და მოკლა იგი, რომელ ვერავინ ცნა. და ვითარ განთენ-
და, იხილეს კარვისმცველთა ჩაღატა ნოინი მოკლული. იწყეს
ტირილად და ტყებად და ვაებად. რომელ იხილეს სპათა ჩა-
ღატა ნოინისთა, მირბიოდეს, და იხილეს მათცა, რომე მომ-
კუდარ იყო ჩაღატა და არა უწყოდეს ვისგან მოკლულ იყო.

მაშინ თქუეს ყოველთა: „ვინათგან ქართველნი დიდსა
ჭირსა შინა არიან ჩუენ მოღოლთაგან, შურით ქართველთა
მიერ მოიკლა უცილოდ“. ამას ყოველნი დაამტკიცებდეს,
თჳნიერ ჩორმაღონ ნოინისგან გარეშე. ხოლო იგი ეტყოდა:
„დასწყნარდით, კაცნო, რამეთუ არა არს ნათესავი ქართველ-
თა ქაცისმკლველი და არცა სჯული უც ესევითარისა საქმისა
ქმნად. ხოლო იგინი აღშფოთებულნი, სიკუდილისათჳს პატ-
რონისა განძჳნებულნი, წარმოემართნეს ბანაკისა მიმართ
ქართველთასა, რამეთუ მახლობელად ჩაღატა ნოინისასა დაბა-
ნაკებულ იყვნეს. და ვითარ მომართეს, განკრთეს ქართველნი
და უღონოებასა მოეცვნეს, და არა უწყოდეს, რამცა ყვეს,
ხოლო ზოგნი ომისა მიმართ განემზადებოდეს, და ზოგნი აყე-
ნებდეს, რამეთუ ფრიად მცირე იყვნეს. მაშინ გრიგოლ სურა-
მელი, ქართლის ერისთავი, იტყოდა: „არა არს ჟამი ბრძოლი-
სა, რამეთუ მცირე ვართ. და უკუეთუ ვებრძვით, დიდით მცი-
რემდი მოგუწყუედენ. და თუ არ ვებრძვით, ჩუენ წარჩინე-
ბულთა ოდენ, ვგონებ, მოკუდინებად. და უმჯობეს მიჩნს,
რათა ჩუენ მოვიკლნეთ და არა ყოველი ესე ძალი. გარნა
შევრდომა ღმრთისა ჯერ-არს, რამეთუ არავიწ არს მჴსნელი
ჩუენი თჳნიერ იესო ქრისტე, ძე ღმრთისა, და ყოვლად წმიდა
მშობელი მისი, მარადის ქალწული მარიამ, რომელი მარადის
მცველი არს მოსავთა ძისა მისისათა და უმეტეს ჩუენ ქრის-
ტიანეთა. აწ ყოველთა სამ-სამი მუჯლი მოიდრიკეთ, შევრ-
დომით ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა მიმართ, და რო-
მელთა უწყით, თქჳთ შესხმა ესე მისი: „მოწყალებისა კარი
განგჳღე, კურთხეულო ღმრთისმშობელო“, და შემდგომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარ აღასრულეს ლოცვა ესე სამადლობელი და ქება ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა, და მოახლებულ იყვნეს ბარბაროზნი იგი, უწყალოდ მსპოლავნი ქართველთა, მაშინ გამოვიდა კაცი ერთი ლერწმოანით, რომელსა აქუნდა ლახუარი წუდილი, შეღებილი სისხლითა. და ლახუარი იგი აღიპყრა ზე, და ძლიერად ჴმა-ყო, „მან ქუშტემ ჩაღატა“, რომელ არს ენითა სპარსულითა: „მე მოვკალ ჩაღატა“.

ვითარ იხილეს თათართა, მიეტევნეს, ხოლო იგი ივლტოდის ლერწამთა მიმართ. ხოლო მათ შეუდვეს ცეცხლი და გამოიყვანა ცეცხლმან ლერწამთაგან კაცი იგი. და მოიყვანეს ჩორმაღონ, იოსურსა და ბიჩოსა წინაშე. ხოლო იგინი ჰკითხვიდეს, ვითარ მოაკუდინა ჩაღატა ნოინ. და მას ესრეთ აუწყა: „მე ვარ მულიდი, მულიდთა შორის საჩინო. მათ მულიდთა თავადთა მომცეს ოქრო ფრიადი, რათა თქუენგანი ვინმე მოვაკუდინო ოთხთა მაგათგან. წარმოვედ, მოვკალ და დავიმალე“. იგინი ეტყოდეს: „რა იყო მიზეზი გამოსლვისა შენისა და ყივილი მაღლად სიკუდილი დიდისა ნოინისა, ვინათგან დამალულ იყავ?“ და კუალად მულიდი მიუგებდა: „ლერწამთა იმათ უჴშირესსა შევედ და დავიმალე. მყის მოვიდა დედაკაცი ვინმე სიტურფეალმატებული და მრქუა მე: „რა ესე ჰქმენ, კაცო? შენ მოჰკალ კაცი და დაიმალე. აწ მრავალი სული მოკუდების მიზეზად შენდა და იგი უბრალონი მოსწყდებიან“. და მე ვარქჳ: „რა ვყო, დედოფალო?“ ხოლო მან მრქუა: „აღდეგ და შემომიდეგ მე, წარვედ და თქუ, რამეთუ შენ მოჰკალ კაცი იგი, და განარინე ურიცხჳ სული სიკუდილისაგან“. მსწრაფლ აღვდეგ და შეუდეგ, სადა-იგი მომიყვანა წინაშე თქუენსა. ვითარ ჴმა-ვყავ და მიხილეთ, დედაკაცი იგი უჩინო იქმნა, და არა უწყი, ვინა მოსრულ იყო. და მე, ესერა, ვარ წინაშე თქუენსა“.

ვითარ ესმა სიტყუა კაცისა მისგან თათართა, განკჳრდეს და კაცი იგი მულიდი ჴრმლითა ორად განკუეთეს. და ესრეთ იჴსნა ერი თჳსი ყოვლად წმიდამან ღმრთისმშობელმან და განარინა უმსჯავროსა სიკუდილისაგან, ვითარ ოდესმე იჴსნა ქალაქი იგი დიდი კოსტანტინეპოლი, რაჟამს-იგი ბარბაროზთა მძჳნვარედ გარემოიცვეს, მჴედართმთავრობასა სავრონისასა და მძჳნვარედ აღდგომასა ხალან სკჳთთა მთავრისასა, ვი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარ დაინთქეს ზღუად მბრძოლნი ქალაქისა მის მისდა მეფეთა ბილისანი, რამეთუ აღდუღნა ზღუა და განდნა ძივთი ნავისა და დაინთქნეს ზღუად შეწევნითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისათა, და მჴდომთა ზედა წჴმა აწჴმა, ვითარ ძველ ოდესმე სოდომელთა. ამათ საკჴრველებათა არა უდარეს ვგონებ, რომელ აწ იქმნა მსწრაფლი და ანაჴდათი ჴსნა ქრისტიანეთა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისა მიერ. გარნა წინაშე ვინმე შეუძლოს დიდებისმეტყუელებისა მიერ სამადლობელისა შესხმა საკჴრველებისა ამისათჴს, რომელ დაიცვა ურიცხჴ სული ნათესავისაგან ქართველთა ყოვლად უბიწოსმან სიტყჴსა ღმრთისა მშობელმან ღმრთეებისა და კაცობრისა გუამოვნებითა და შეერთებითა შემაერთებელმან ღმერთად სრულად და კაცად სრულად, ორთა შინა ბუნებათა და ორთა ნებათა შეურევნელად.

ამის უბიწოებისაგან დაცულნი ქართველნი დიდსა ჭირსა შინა იყვნეს თათართა მიერ, რამეთუ მიმდები და მოუწყინებელი ბრძოლა აქუნდა ალმუთელთა მიმართ. და ქართველნიცა თანაწარჰყვიან, და ორად განყოფილნი იყვნიან, და თჴთეული ერისმთავარი თჴთოსა ნოინსა დააგნეს ურთიერთას. ზემოჴსენებული ესე ეგარსლან, კაცი საკჴრველი და მჴედრობის წესთაგან ცარიელის ეზომ განდიდნა, რომელ კნინლადა სახელის-დებადცა მეფისა იკადრა, და ყოველი ქართველთა ნათესავი ბრძანებასა მისსა მორჩილობდეს, ვითარცა მეფესა, თჴთ დიდი და პატიოსანი შანშე მანდატურთუხუცესი, და გაგელი ვარამ და ყოველნი მთავარნი.

ამათ ჟამთა შინა სხუანიცა ბოროტნი ალმოსცენდეს. ვითარ ცნეს თურქთა, შამს მყოფთა, უმეფობა ქართველთა და ლაშქართა ალმუთს წარსლვა თათართა თანა და უცალოება ქართველთა, შეკრბა სიმრავლე ფრიადი, კაცი ვითარ სამოცი ათასი, რომელთა მთავრად და პატრონად ჰყვა კაცი ვინმე სახელოვანი, სახელით ყარა-ხან. გამოემართნეს ოჴრებად საქართველოსა, და მოიწივნეს ქუეყანასა ვალაშკერტისასა, რომელი მას ჟამსა ოდენ აღეღო შანშეს, და იწყო ოჴრებად ვალაშკერტისა და რაჴსს იქით ქუეყანათა ვიდრე სურმანადმდე, რომელი-იგიცა ოდენ დაეპყრა შანშეს მანდატურთუხუცესსა. ამან ვითარ იხილა ოჴრება, მოუწოდა სპათა თჴსთა და ავაგ

ათაბაგისათა, და შეკრბეს მჴედარი ვითარ ოცდაათი ათასი, განვლეს რაჴსი და მივიდეს ვალაშკერტს, სადა დაებანაკა ყარა-ხანს.

ვითარ მიეახლნეს, დააწყვეს რაზმი და მიეტევნეს. ხოლო შანშე უპირატეს ყოველთასა მიეტევა, რომელმან ჰორლითა განგურიმა სახელოვანი თურქი. იქმნა ომი ძლიერი და მოსწყდა სიმრავლე ურიცხვ სპათაგან თურქთასა. ხოლო სპანი შანშესნი კეთილად დაცულ იყვნეს შეწევნითა ძელისა ჭეშმარიტისათა, რომლისა მიმართ მინდობილ იყო.

და შენივთდა ომი, იძლია ყარა-ხან იგი, და სპა მისი ივლტოდეს. და დევნა-უყვეს ვიდრე ხლათამდე, მოსრეს და ტყუეყვეს სიმრავლე ურიცხჳ, და აისავსნეს ცხენითა, ჯორითა და აქლემითა, კარვითა და ხარგითა, ალაფითა ურიცხჳთა. ესრეთ სახელოვანი და გამარჯუებული მივიდა ანისსა, სახლსა და ტახტსა მისსა.

გარნა ვინათგან განითქმოდა ყოველგან უმეფობა საქართველოსა, აღიძრვოდეს ყოველნი ნათესავნი ოჯრებად ქართველთა. მაშინ აღიძრნეს საბერძნეთს მყოფნი თურქნი და სულტანი ეზინკისა და სხუათა ქალაქთა შინა მყოფნი ამირანი, და შეკრბა სიმრავლე ურიცხჳ, და წარმოემართნეს საქართველოს. ვითარ ესმა მყოფთა ტაოსთა, და შავშ-კლარჯთა, და კოლა-არტან-კარნიფორელთა, განკრთეს და წარმოავლინეს კაცი სამცხეს ყუარყუარე ციხისჯუარელ-ჯაყელთანა, რათა შეეწიოს. ხოლო მან მოუწოდა ყოველთა მესხთა ერისთავთა და ყოველთა ტაძრეულთა, და შეკრბა მჴედარი, ვითარ ათი ათასი, და წარმოემართნეს. ხოლო იგინი მოსრულ იყვნეს და ბანას გარემოსდგომოდეს, რამეთუ ოლთისნი და ბულათაყური ყოველი მათ აქუნდა. და ოჯრებდეს ტაოსა. და წინამძღუარ ექმნა ყუარყუარე სპათა მესხთა და მოვიდეს თავსა კალმახისასა. ვითარ ესმა თურქთა მოსლვა მესხთა, აღიჭურნეს, რომელთა თავადნი იყვნეს ალთუ-ხან და ორ-ხან. აჴათ მესხნი ჩავიდეს მინდორსა მას, რომელსა ეწოდების ავნისვაკე. და შეკრბეს ურთიერთას, და იქმნა ომი ძლიერი და სასტიკი. და ბერძენნი და თურქნი, მინდობილნი სიმრავლისათჳს, არა გარეუკუნიქცეოდეს. და ეგრეთვე მესხნი, მინდობილნი სიმჴნისანი არა უკუნიქცეს, ძლიერად ბრძოდეს, რამეთუ კაცმან ვინმე აზნაურმან კაცსა ერთსა თურქსა მუზარადსა შინა

ჯრმლითა თავი გაუპო და მოკლა, და მეორესა ორ-ხანის მგელი-
თაგანსა ზურგსა უხეთქნა, გაკუეთა და ზურგნი განუწყუტნა,
ვითარ მკუდარი დაეცა. და ესრეთ განგრძელდა ომი და
ორგნითვე მოსწყდა ურიცხვ. იძლივნეს ბერძენნი და თურქნი
და ივლტოდეს. აღიღეს ტყუე და იავარი ურიცხვ, ცხენი და
ჯორი, აქლემი, კარვები, ყოველი სიმდიდრე, რომელი აქუნდა,
და ესრეთ სავსენი და სახელოვანნი მივიდეს სამცხეს, და
ესოდენ გამარჯუებულნი, რომელ ესევითართა სპათა შინა
არავინ მოიკლა სახელდებული კაცი. ხოლო ამას ომსა უწოდ-
დენ ბანასჯარად, რომელ ესოდენსა სიმრავლისა მათისათჳს
ეწოდა ბანასჯარი, რომელ ძალითა დაეტევნეს ბანას და
ავნისვაკეს სიმრავლისათჳს.

ვითარ იქმნა ესე, ამან ერისთავმან, სამცხის სპასალარმან
ყუარყუარე წარავლინა ძისწულნი თჳსნი ივანე, და უმრწამე-
სი მისი სარგის, რომელსა ეწოდა პაპა. ორნივ, იყვნენ ძმანი
ძლიერნი და მჯნენი უმეტეს ყოველთა, წყობათა შინა უშიშნი
და შემმართებელნი. და ბრძოდეს ოლთისთა და აღიღეს ოლ-
თისნი და ბულათაყურის ციხე იგი ძლიერად განმაგრებული,
ნაომარი ომთა დიდთა შინა. მართალ არს მოთხრობა.

ჟამთა ამათ შფოთთა შეკრბეს ყოველნი მთავარნი საქარ-
თველოსანი კოხტასთავსა, იმერნი და ამერნი: ეგარსლან,
ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყუარყუარე, კუპარი შოთა,
თორღაი, ჰერ-კახნი, ქართველნი, თორელ გამრეკელი, სარ-
გის თმოგუელი, მესხნი, ტაოელნი, და ყოველნი იტყოდეს:
„რაჲ ვყოთ? არღარა არს ნათესავი ქართველთა მეფეთა, რათა
წინამძღუარ გუექმნას და ვბრძოდეთ თათართა. და ჩუენ ერ-
თი ერთისაგან განდგომილ ვართ, ვერ წინააღუდგებით თა-
თართა. და იგინი ბოროტად გუაჭირვებენ ესოდენ, რომელ
ყოველთა წელთა ალმუთს წარვალთ ჭირთა და ყოველთა ბო-
როტთა შემთხუევად, არა არს ღონე. დაღათუ უმეფო ვართ,
არამედ შევკრბეთ და ვიბრძოდეთ თათართა". დაამტკიცეს
ომი და დადვეს პაემანი ქართლს შეკრებისა, და განიყარნეს.
უშორეს მყოფნი აფხაზნი, დადიანი ცოტნე და ბედიანი, კაცი
კეთილი და სრული საღმრთოთა და საკაცობოთა, და რაჭის
ერისთავი წარვიდეს კაზმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარ ესმა თათართა ერთგან შეკრება ქართველთა, წაბრძანდეს მოვიდეს ბიჩო და ანგურაგ და მივიდეს კოხტასთავსა. დახუდეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი. რამეთუ ლაშქარი გაყრილ იყო და ვერღარა წინააღუდგეს, წარასხნეს ქუეყანასა ანისისასა და ადგილსა, რომელსა ეწოდების შირაკავანი. ვითარ მიიწივნეს ჩორმაღონ ნოინს წინაშე, ჰრქუა: „რა არს შეკრება თქუენი, უკუეთუ არა იქმთ განდგომილებასა?“ ხოლო მთავარნი მიუგებდეს: „არა განდგომად შევკრბით, არამედ რათა განვაგოთ საქმე თქუენი და ხარკი განვიჩინოთ“, რომელსა-იგი უწოდდეს ხარაჯად.

ესე რა ესმა, არა სრულიად ირწმუნა და ბრძანა განძრცვა ყოველთა, მჯართა შეკრვა ყოველთა, სიცხესა შინა შიშველთა მუჯლთა ზედა დასხდომა. და ყოველთა დღეთა ჰკითხვიდეს მიზეზსა შეკრებისასა, და უკუეთუ არა აღიარონ, სიკუდილსა მისცნენ ყოველნი ესე ზემოჯსენებულნი მთავარნი. ხოლო იგინი დაამტკიცებდეს: „რათა განვაჩინოთ ხარაჯა“. და ამას ჰყოფდეს მრავალ დღე. რამეთუ არა არწმუნებდეს.

და ვითარ მოეახლა პაემანი, მივიდა დადიანიცა ცოტნე ლაშქრითა მთასა ღადოსა, შორის სამცხესა და გურიასა, რომელ არს რკინისჯუარი. და ვითარ აუწყეს წარსხმა ყოველთა მთავართა საქართველოსათა ანისად, და შეკრებილთა ყოფა სატანჯველთა შინა ბოროტთა ვითარ ესმა, მწუხარე იქმნა უზომოდ და თჳსად სიკუდილად და სირცხჳლად შერაცხა საქმე იგი. და წარავლინა ლაშქარი თჳსი და ორითა კაცითა წარვიდა ანისად, დამდები სულისა თჳსისა და აღმსარებელი მცნებისა უფლისასა, რომელი იტყჳს: „უფროს ამისსა სიყუარული არა არს, რათა დადვას კაცმან სული თჳსი მოყუსისა თჳსისათჳს“, რომელ ყო პატიოსანმანცა ამან კაცმან ცოტნე სათნოება მაღალი და განსათქმელი, საქმე საკჳრველი და ყოვლისა ქებისა ღირსი. განვლო სამცხე და ჯავახეთი და მივიდა ანისსა.

რამეთუ ქალაქად შესრულ იყვნეს ნოინნი, ესე წარჩინებულნი მოედანსა შინა, დაკრულნი მჯრითა, შიშველნი, მსხდომარე იყვნეს. ვითარ იხილნა ცოტნე წარჩინებულნი, ესრეთ უპატიოდ სიკუდილად განწირულნი, გარდაჯდა ჰუნისაგან, და დააბნია სამოსელი თჳსი, განშიშულდა და შეიკრა მჯარი და დაჯდა წარჩინებულთა თანა. და ვითარ იხილეს თათართა, გან-

კვრდეს და მსწრაფლ აუწყეს ნოინთა, ვითარმედ: „ცოცხალ დადიანი მოვიდა ორითა კაცითა, და განიძარცუა სამოსელი თჳსი და შეკრული დაჴდა ქართველთა თანა“. რამეთუ კეთილად მეცნიერნი იყვნეს ცოტნესი, რომლისათჳს განკჳრდეს თათარნი, და წინაშე მათსა ბიუწოდეს და ჰკითხვიდეს მიზეზსა მუნ მისლვისა მისისასა. ხოლო იგი ეტყოდა, ვითარმედ: „ჩუენ ყოველნი ამად შევიკრიბენით, რათა განვაგოთ ხარაჴა თქუენი და ბრძანება თქუენი აღვასრულოთ, ესე იყო შეკრება ჩუენი. აწ თქუენ ძჳრისმოქმედთა თანა შეგურაცხენით, და მე ამის ძალითა მოვედ წინაშე თქუენსა. უკუეთუ მოიკითხო და ღირსი რამე სიკუდილისა უქმნა, მეცა ამათ თანა მოვკუდე, რამეთუ თჳნიერ ჩემსა არა უქმნიეს: უკუეთუ ცხოვნდენ, მათ თანა ვიყო“. და ვითარ ესმა ესე ცოტნესაგან ნოინთა, განკჳრდეს სათნოებისათჳს და თქუეს: „ვინათგან ნათესავნი ქართველთანი ესოდენ კეთილ არიან, და არა განცრუვდებიან, რომელ აფხაზეთით მოვიდა კაცი, რათა დადვას სული თჳსი მოყუარეთათჳს, და არა განცრუვნეს, ესრეთ განწირა თავი თჳსი სიკუდიდ, არა არს სიცრუვე მათ შინა, და ამის ძალითა უბრალო ვპოვებთ და განუტეოთ ყოველნი“. რქუეს ცოტნეს: „განდგომილება ვგონეთ თქუენ, ქართველთა, და აწ, ვინათგან ჰყავ სათნოება კეთილი, ყოველთა ქართველთა შენ მოგანიჭებთ, შენდა მონდობილ ვართ“. და განუშუნეს ყოველნი ესე წარჩინებულნი.

და განიყვნეს მთავარნი საქართველოსანი და წინააღმდგომ იქმნეს ურთიერთას. მაშინ შეკრბეს დიდებულნი ამის სამეფოსანი, რამეთუ ეგულებოდა მთავარყოფა მათ ზედა ეგარსლანისი, არასაწუნოთა გუარითგან აღმოჩენილისა. ამისთჳს შეკრბეს მთავარნი ამერის საქართველოსანი — შანშე, ვარამ გაგელი, ყუარყუარე ჯაყელი, სარგის თმოგუელი, კაცი მეცნიერი და ფილოსოფოსი და რიტორი, სურამელი გრიგოლ, ქართლის ერისთავი, გამრეკელი თორელი, ორბელნი, და მრავალნი ერისმთავარნი, და ძებნა-ყვეს ლაშას ძისა დავითისათჳს. და ეუწყა ვიეთგანმე ვაჭართა, ვითარმედ ჯერეთ ცოცხალ არს, გარნა ბყრობილი ჯურღმულსა შინა ღრმასა გუელთა თანა მყოფობს. ვითარ ეუწყა, წარვიდეს ჩორმაღონს, იოსურს, ბიჩოს და ანგურაგს თანა, რამეთუ ჯერეთ ყაენი არა მოსრულ იყო ქუეყანასა ამას, არამედ ესე ზემოჴსენებულნი ნოინნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაგებდეს ქუეყანათა, და მოაჯსენეს: „ვინათგან წარავლინ-
ნეთ მეფე ჩუენი, ნარინ დავით, ყაენს წინაშე, და არა უწყით,
რა შეემთხვა, და დედა მათი, რუსუდან, გარდაიცვალა, და
არა არს ნათესავი მეფეთა, და ჩუენ ურთიერთას დაუმორჩილ-
ებელ ვართ, და არა ეგების, თუმცა დავემორჩილენით ვის-
მე, უკუეთუ არა იყოს ნათესავი მეფეთა. აწ გუასმიეს თუ, არს
შვილი მეფისა ჩუენისა ლაშასი, სახელითა დავით, რომელი
დაუტევა ძმამან დასა თჳსსა, რუსუდანს, რათა იგი დაადგინოს
მეფედ, ხოლო რუსუდან მეფემან წარავლინა საბერძნეთს,
სულტანს თანა, რათა წარწყმიდოს. და გუასმია, რომე ცო-
ცხალ არს, და პატიმრად ჰყავს. აწ გევედრებით, რათა წარავ-
ლინოთ ერთი ვინმე სახელოვანი კაცი და მოიყვანოთ დავით
და მეფე-ჰყოთ ჩუენ ზედა“.

და ვითარ ესმა ნოინთა, განკჳრდეს საქმისა მისთჳს, რო-
მელი ექმნა მეფესა რუსუდანს. და მსწრაფლ წარავლინეს
ანგურაგ მოციქული, და ვარამ გაგელი და სარგის თმოგუე-
ლი. მცირედთა დღეთა მიიწივნეს საბერძნეთს სულტანს თანა,
და აუწყეს, ვითარმედ: „დავითის ძებნად მოვსრულ ვართ,
რათა მოგუცეთ და წარვიყვანოთ“. ხოლო იგი არღარა ჰგო-
ნებდეს სიცოცხლესა მისსა, და ეტყოდა, ვითარმედ: „ყრმა
დავით წარმოევლინა მეფესა ქართველთასა, რათა ექსორია-
ვყო, და ძუელ ოდესმე ექსორია-ვყავ. აწ არს შჳდი წელი, არა
უწყი, ცოცხალ არს, ანუ მკუდარ“.

ხოლო მათ აუწყეს, ვითარმედ: „ჩუენ უწყით, რომე ცო-
ცხალ არს, ჯურღმულსა შინა მყოფი გუელთა თანა“, რამეთუ
სოსანს ასმოდა მისლვა მათი და ეხილნეს ვარამ და სარგის და
ეუწყა სიცოცხლე დავითისი. ხოლო ვითარ ცნა სულტანმან,
წარავლინა კაცი და გამოიყვანა დავით, კნინლა სულიერ მყო-
ფი, რამეთუ ვითარ უსულოდ რადმე, განყინულად ანუ მკუდ-
რად მოძრავად საგონებელ იყო მხილველთა მიერ, და უცხო
იყო სახილველად, რამეთუ ფერი პირისა მისისა დაყჳთლე-
ბულ, და თმანი ვიდრე მსხვილბარკლამდე, და ფრჩხილნი
ფრიად გრძელ. რომელ იხილეს, განკჳრდეს სიცოცხლესა მის-
სა სულტანი, და ვარამ და სარგის დიდად ცრემლოოდეს. ხო-
ლო სულტანი ლმობიერ იქმნა, განბანა და მრავალი ნიჭი მია-
ნიჭა: შესამოსელი, ცხენნი რჩეულნი, ოქრო და ვეცხლი,
ფრიად პატივ-სცა და შენდობასა ევედრებოდა. და ესრეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოავლინა. და ვითარ მოიწივნეს საქართველოს, მიეგებ-
ნეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი, შანშე და ძე
მისი, ზაქარია ამირსპასალარი, კაცი სიკეთითა აღმატებული,
ყუარყუარე ჯაყელი, სურამელი გრიგოლ, ქართლის ერისთავი,
ორბელნი, გამრეკელი, შოთა კუპარი, და ყოველნი მთავარ-
ნი, თჳნიერ ეგარსლანისა.

და წარვიდეს ნოინთა წინაშე. ხოლო მათ იხილეს და განი-
ხარეს. მეფობა ვერ დაუმტკიცეს, არამედ წარავლინეს დიდსა
ბათო ყაენისასა. და წარჰყვეს თანა შანშეს ძე ზაქარია, ვარა-
მის ძე აღბუღა და სარგის თმოგუელი. წარვიდეს ბათოს წი-
ნაშე.

ვითარ მიიწივნეს, კეთილად შეიწყნარა ბათო, შანშეს ძე
ზაქარია და აღბუღა თჳსად დაიჭირნა და მეფე დავით მანგუ
ყაენს წინ წარავლინა. და წარჰყვა თანა სარგის თმოგუელი
ყარაყურუმს. მიიწივნეს მანგუ ყაენს წინაშე, რომლისადა
მიემცნო ბათოს, რათა განიხილოს და განბჭოს, რომელსაცა
ორთაგან დავითს ხუდებოდეს მეფობა, მას დაუმტკიცოს.

ხოლო მი-რა-იწივნეს, დახუდეს მანგუ ყაენისსა ნარინ და-
ვით მეფე, ათაბაგი ავაგ, სურამელი, გურკლელი, ამირეჯიბი
ბეშქენ. და ესრეთ მრავალ ჟამ იყოფოდეს ხატაეთს და ყარა-
ყურუმს.

მაშინ ინებეს თათართა ნოინთა, საქართველოს მყოფთა,
მიუვანა სულტნისა ყიასდინისა წინაშე მათსა, და მოუწო-
დეს ელჩთა, მსწრაფლ წარავლინეს. ვითარ იხილეს სულტანი
სიმდიდრითა უზომოთა და განსაკრთომელითა, ინებეს მისცა
წარვლენა ყაენს ბათოს თანა, და წარავლინეს იგიცა. და თუ
სადა ვინ იყო ჴელმწიფე, დამორჩილებული მათი, ბათოსთან
წარავლენდიან, და ბათო მანგუ ყაენს თანა წარავლინის, ვი-
თარ ესე სულტანი ყიასდინცა წარავლინა მანგუ ყაენისასა. და
იყოფოდეს ორნი იგი დავით და დავით, ყიასდინი, სულტანი
საბერძნეთისა, ხლათისა სულტანი, და ათაბაგი ავაგ ხატაეთს
და ყარაყურუმს, და დაყვნეს ვითარ ხუთისა წლისა ჟამი.

ხოლო ამათ ჟამთა იქმნა საქმე ესე. ამას მანგუ ყაენს
ესხნეს ძენი ორნი: უხუცესი ვითარმე ყუბილ ყაენ, უმცირესი
ულო, რომელსა ეჯანობითცა უწოდდეს. ამან მანგუ ყაენმან
განაჩინა ყაენად პირმშო ძე თჳსი, ყუბილ ყაენ, და უბრძანა
ლაშქრობა დასავლეთით კერძო, ბაბილოვანსა, რომელ არს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაღდადი, და ეგვიპტისა და ყოვლისა დასავლეთისა კერძოთა. ხოლო ულოს უბრძანა წარსლვა დიდთა ინდოეთად და ეუნ განლაშქრობა. გარნა ძნელად აღუჩნდა ყუბილ ყაენს წარმოსლვა დასავლეთით, ულოს წარსლვა ინდოეთის კერძოთა. მაშინ ევედრა ულო ძმასა, რათა განცვალონ ლაშქრობა და ულო დასავლეთით კერძო წარმოვიდეს და ყუბილ ყაენ — ინდოეთს. ვითარ ცნა ყუბილ ყაენმან, სიხარულით შეიწყნარა სიტყუა ულოსი და განცვალეს ლაშქრობა. და მოაჯსენეს მანგუ ყაენს, მამასა მათსა, სალაშქროსა განცვალება და ულოსი ბაბილოვანს და ეგვიპტეს წარსვლა, რომელსა ნება-სცა მანცა. და მოუწოდა ძესა თჳსსა ულოს და მისცა ლაშქარი ვითარ ექუსი ბევრი მჴედარი დედაწულითა მათითა და ხუასტაგითა, და განაჩინა მჴედართმთავრად, რომელთა-იგი ულუს-ნოინობით უწოდენ და აწ ბეგლარბეგად, სახელად ელგა ნოინ, ნათესავით ჯალაირი, კაცი პატიოსანი და სათნოებიანი, სიმართლისმოქმედი. ამას მოსცა ვითარ მჴედარი ათი ათასი. წარვიდეს ულო და მჴედართმთავარი მათი ელგა ნოიხი, განვლეს თურანი და ჯეონი, მოიწივნეს ხუარასნის არესა, და მიერ ალმუთს.

ვითარ მოიწივნეს ბრძოლად ალმუთისა, მოკუდა მანგუ ყაენი. და დასვეს ტახტსა მამისა მისისა ყუბილ ყაენი, რომელი მამასა მისსა დაედგინა ყაენად. და დარჩეს ყარაყურუმს ზემოჯსენებულნი ესე ჴელმწიფენი, დავით და დავით, უცალოებისაგან თათართასა.

ხოლო ულო მოიწია ადარბადაგანს მჴედრით სამოცი ათასითა. ვითარ ცნეს ნოინთა ჩორმაღონ, იოსურ, ბიჩო, ანგურაგ, წარემართნეს მიგებებად ულოსა, და თანაწარიტანნეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი, და უმეტეს ეგარსლან, რომელსა, ვითარცა მეფესა, მორჩილებდეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი. და მიეგებნეს ადარბადაგანს. და შეკრბეს ორნივე თათარნი, პირველ მოსრულნი, რომელთა თამაჩობით უწოდეს, და ულო ყაენს თანა მოსრულნი.

და წარჩინებულნიცა საქართველოსანი მივიდეს ულოს წინაშე. იხილნა და კეთილად შეიწყნარნა, და აამჴედრა, მათ თანავე მბრძოლად განაჩინა, და უბრძანა რომელსამე ულდაჩად, რომელ არს მეჯრმლე, რომელსა არტყია ჯრმალი და კარსა ზედა მდგომარე არს; რომელსამე სუქურჩად, ესე იგი არს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსა საგრილობელად შექმნული მრგუალი შესაკეცელი
და გასაშლელი აქუნდა თავსა ზედა ყაენისასა, მაღალსა შე-
შასა, ვითარცა ბუნსა დროშისასა ზედა განრთხომილი იყვის.
ამას სუქურად სახელ-სდებდეს, და უკუეთუ არა ყაენთა ნათე-
სავი იყვის, არავის ჴელ-ეწიფებოდა დაჩრდილება მათი; სხუათა
ყუბჩაჩად, რომელთა აქუნდის ტანისამოსი და ალაქ-ბაშმაღი;
სხუათა ეგვდანჩად, რომელ არიან კარისმცველნი მეკარენი;
სხუათა ყორჩად, რომელთა აქუნდა მშჯლდ-ქარქაში. ესევი-
თარითა უშუერითა პატივითა პატივ-სცა ყაენმან დიდთა ამათ
მთავართა საქართველოსათა და თჳთეულსა პატივად განუჩინა.

და წარმოვიდეს ადგილსა, რომელსა ეწოდების ალატაღი.
და მივიდეს ყოველნი მორჩილნი წინაშე მისსა, და დაჯდა
ტახტსა საკელმწიფოსა, და ილოცეს წესისაებრ მათისა და
უწოდეს ყაენად. აქა იწყო ყაენობა ამათ ზედა ულოსი.

რამეთუ პირველ ამათ **თამაჩთა ნოინთა** ოთხთა მიერ განე-
გებოდა ქუეყანა საბრძანებელისა მათისა. პირველად რომგუ-
რი, რომელ არს ხუარასანი, ერაყი, ადარბადაგანი, მოვაკანი
და ბარდავი, შირვანი, საქართველო ყოველი, ხლათი და სა-
ბერძნეთი დიდი ვიდრე ასიადმდე ამათ ოთხთა ნოინთაგან გა-
ნეგებოდა და მათი საურავი იყვის, ვითარ ძუელ ოდესმე შემ-
დგომად სიკუდილისა რიმოისა, რომოსიონთა ქუეყანათა განა-
გებდეს ოთხნი იპატოსნი. და ვინათგან მოიწია ულო, იწყო
საურავად ქუეყანათა და განაგებდა წესთა ყაენობისათა
აღსრულებად.

მათვე ჟამთა წარმოავლინეს სხუათაცა ყაენთა შვილნი
მათნი, რომელთა ქოუნ უწოდიან: ბათო — ვიდრემე ტუთარ,
ჩაღატა ყაენის შვილმან, ურყან, — ყული და თულის ნათესა-
ვისგან — ბალაღა, რათა ქუეყანა მათი წილხდომილი ყაენის
შვილთა დაიპყრან და ხარაჯასა იგინი აიღებდეს. და ოქოთა
ყაენის შვილისშვილი, ყუბილ ყაენის ძმა, ულო, აქა დახუდა
პირველ მოსრული.

ვითარ იხილა ულო სამნი ესე ქოუნნი, შეიწყნარნა და მის-
ცა ქუეყანა ხუედრი მათი, და ესრეთ მშვიდობით იყოფოდეს.

ხოლო ქუეყანა სამეფო, საყდარნი და მცხეთა და მისი მიმ-
დგომი ქუეყანა და მონასტერნი არავისაგან იცვებოდეს, რა-
ზეთუ წარჩინებულნი სამეფოსანი თჳსისა ქუეყანისათჳს
ზრუნვიდეს. ამისთჳს წარვიდა ულოს წინაშე კათალიკოზი ნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლოზ, მხილველი კაცი, ანგელოზთა მობაძე, მრავალთა მოღუაწებათა შინა საკჳრველი, მართლმადიდებელი, ძლიერი და თუალუხუავად მამხილებელი მეფეთა და მთავართა, რამეთუ იყო უმანკოცა, და არვის თუალნი აუხუნის. იხილა რა ყაენმან, განკჳრდა წესსა და ხილვასა შესახედავსა მისსა, რამეთუ არა მეცნიერ იყო ნათესავსა ქართველთასა, თჳნიერ არქუანთა, და ვითარ პატივ-სცა, დაუწერეს იერლაყი, რომელ არს ბრძანება. შეუქმნეს და მოსცეს შანად ჯუარნი ოქროსანი და შეუმკუნა თუალითა და მარგალიტითა, და უბოძა ერთი თჳთ კათალიკოზსა და ერთი — მოძღუარსა ვარძიისასა, რომელი თანა-ჰყვა კათალიკოზსა. და არგანიცა იგი, ოქროთა შემკული, მოანიჭა კათალიკოზსა ოდენ, ჯუარიანი იგიცა. და ესრეთ პატივითა წარმოავლინეს, და დაიცვნა ყოველნი საყდარნი და მონასტერნი.

ხოლო იყვნეს ორნივე დავით და დავით ყუბილ ყაენს წინაშე და იურვოდეს ორნივე მეფობასა. თმოგუელი სარგის ძლიერად წინააღუდგებოდა თჳთ ნარინ დავითს და რომელნი მის წინაშე იყვნეს, თანაზრდილნი მისნი, რამეთუ იტყოდეს: „არა ჯერ-არს, რათამცა ნაშობმან დედაკაცისამან დაიპყრას მეფობა და არა ძემან თჳთმპყრობელისა მეფისა მამაკაცისამან“. ხოლო ივინი მიუგებდეს, ვითარმედ: „დაღათუ ნარინ დავით დედაკაცისა ნაშობი არს, არამედ მეფე იყო გჳრგჳნოსანი რუსუდან, ძმისა მისისა გიორგისაგან დატევებული, და მეფისავე ძე არს ნარინ დავით“. და ვითარ განგრძელდა ცილობა, ავაგ ამირსპასალარი წარმოავლინეს და მისცეს იერლაყი შეწყალებისა, და ქალი ქმნულკეთილი, ნათესავი წარჩინებულთა, სახელით ესლომ, და ელჩი ულოს ყაენს თანა, რათა კეთილად შეიწყნაროს ავაგ. და ესრეთ მოიწია ულო ყაენს წინაშე, ხოლო მან პატივითა შეიტკბო და წარმოავლინა საქართველოს, მამულსა თჳსსა.

და ვითარ ცნეს ქართველთა მოსლვა ავაგისი, ამირსპასალარისა, წინამოეგებნეს ყოველნი მთავარნი და წარჩინებულნი, თჳთ შანშე და ეგარსლან, რომელსა კნინღადა სახელიცა მეფობისა ეპყრა. და ვითარ მიეახლა ავაგ, ჰგონებდა ჰუნისაგან გარდამოჯდომად და ეგრეთ ხილვად ეგარსლანისაგან. ხოლო იგი განლაღებულ იყო, არა ინება წესისაებრ პატივით ხილვა და ამბორის-ყოფად ავაგისა. და ვითარ იხილა ავაგ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

განძჴნდა, თავსა მათრაჯითა უხეთქნა და უბრძანა მის დაწესებულთა, რათა ცხენისაგან უპატიოდ დაამჴუან ქუეყანად, და ყველსცა ეგრეთ, პატივისაგან უპატიო-ყვეს და განძრცჴლ განაძეს, და მიერითგან უპატიო იქმნა. და ესრეთ განაგდეს შანშე და ავაგ და თავადთა საქართველოსა.

ხოლო ჩუენ პირველივე სიტყუა მოვიჴსენოთ. და ვითარ ცილობა იყო მეფეთა შორის და არა განეჩინეს ყუბილ ყაენს, თუ რომლისა იყოს მეფობა, ამისთჴს დაშთეს მრავალთა წელთა ყარაყურუმს. ხოლო სულტანი ყიასდინი და ხლათელი წარმოავლინეს ავაგსავე თანა, და მივიდეს სახლსა სამეფოდ მათდა, და ვითარ განგრძელდა ყოფა ყარაყურუმს და ხატაეთს ორთავე მეფეთა, მაშინ ინება ყაენმან ყუბილმან, წარმოავლინნა ორნივე მეფენი ძმასა მისსა ულოს თანა, და მიუმცნო ესრეთ, რათა, უკუეთუ სთნდეს, ორთავე მისცეს მეფობა, რომელ ყოცა ულო უკანასკნელ. და ესრეთ მოიწივნეს ულოს წინაშე, რომელი იხილა და შეიწყნარა, და ორთავე მეფობა დაუმტკიცა და მისცა ყოველი სამეფო მათი.

და ვითარ ესმა ქართველთა მოსლვა მეფეთა, უზომოთა სიხარულითა აღვსებულნი წინმიეგებნეს ალატაღს იმერნი და ამერნი წარჩინებულნი, და იყო სიხარული და მადლობა ღმრთისა. ვითარ დაყვეს მცირედი ჟამი ულო ყაენს წინაშე, წარმოავლინა ქართლს, და მოვიდეს ტფილისს სიხარულითა. და შეკრბეს კათალიკოზისა თანა ყოველნი ეპისკოპოზნი და ყოველნი მთავარნი და ერისთავნი, დასხდეს ტახტსა მამათა მათთასა ტფილისს დავით და დავით, — ორნივე.

ხოლო მოწევნულ არს ესეცა სიტყუა, რომელ სხუა ვინმე ყოველთა აღმწერელი იტყჴს, ვითარმედ: ყარაყურუმს ყოფასა ორთავე მეფეთასა გუიუქ ყაენმან ესრეთ გაბჭო, რომე მეფობა ლაშას ძესა დაუმტკიცონ, და ესრეთ წარმოავლინა, და რუსუდანისა ძე, დავით, მაშინვე ლტოლვილი ღამით განიპარა და წარვიდა აფხაზეთს. და მე არა შევიწყნარებ ამას. პირველად უწყოდეთ, რომელ გუიუქ ყაენსა მას არა გაეყო, და არც მანგუ ყაენს, ყუბილის და ულოს მამასა, და მეფობა ორთავე მანგუ ყაენის შვილმან, ყუბილ ყაენმან, მოსცა და ულო ყაენისა წარმოავლინა, და მანცა ორთავე დაუმტკიცა მეფობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ორნი დასხდეს ტახტსა ზედა და აზომ, რომელ მრავალი სიგელი იპოვების და თუთ მე მინახავს, რომელ სიგლისა თავსა სწერია: „მეფენი ბავრატოანნი“, და „ნებით ღ̄თისათა, დავით და დავით“, და ჴელიცა ორთავესი რთავს: „ჩემ დავითისგან მტკიცე, და ჩემ დავითისგანცა მტკიცე არს“. ხოლო დასხდეს ორნივე მტკიცედ მეფედ, ვითარ ვთქუ, რომლისათჳს საეჭუელ იქმნა შანშესგან ლაშას ძისა დავითის სიყუარული, და ავაგისგან რუსუდანის ძისა დავითის მიმდგომობა. და ვერ განაცხადეს, რამეთუ ორნივე, დავით და დავით, სიყუარულსა ზედა ეგნეს და არა წინააღუდგებოდეს ერთმანერთსა. და მორჩილობდეს ყაენსა ულოს და ხარაჯას მისცემდეს. ხოლო უპირატესი პატივი და ზემოჯდომა ლაშას ძესა, დავითს, ეპყრა ლაშას ძეობისათჳს, დაღაცათუ უხუცესობისათჳს.

ვინათგან თათარნი არა დამშჳდნეს ყოველთა ნათესავთა სრვად და ოჴრებად, და თანამებრძოლ აქუნდეს ქართველნი წყობათა შინა სიმჴნისა მათისათჳს, ამისთჳს დიდსა ჭირსა შინა იყვნეს მეფენი და მთავარნი. დაუცხრომლად ებრძოდეს ურჩთა, და უმეტეს ალმუთს მყოფთა. რამეთუ შჳდისა წლისა ჟამთა განგრძელდა ბრძოლისა ყოფა მათი, ამისთჳს წარავლინნა ულოცა ნოინნი და მათ თანა მეფე გიორგის ძე, დავით, ქართველთა სპითა, რათა ბრძოდეს ალმუთს. ხოლო იგინი, ამისნი მცნობელნი, მრავალთა ომთა მიერ შეიწრებულნი, ყოვლისა ღონისძიებისაგან ულონოქმნილნი, ივლტოდეს ეგვპტედ, რომელ არს მისრი, რამეთუ აღიღეს დედაწული და ხუასტაგი და ყოველი სიმდიდრე მათი, და მუნ დაამკჳდრნა სულტანმან მისრეთისამან. და აწ რომელ მულიდნი მისრეთით გამოვლენ, იგივე ალმუთელნი არიან, მუნ დამკჳდრებულნი.

და ესრეთ რა ჴელთ-იგდო ულო ალმუთი და ყოველი ხუარასანი, ინება ამჴედრება ყოველთა ნათესავთა ურჩთა, და მოსრვიდა კაცთა ესოდენ, რომელ ათორმეტი დღე ოდენ დაყვეს ერთსა სადგურსა ზედა ამისთჳს, რომე მოკლულითა კაცითა აღყროლდის ადგილი იგი, რომელ დგის. ხოლო უმეტეს სპარსთა მოსწყუედდის, რამეთუ საძაგელ-უჩნდის სჯული მუსულმანთა. ხოლო ამას თანა აქუნდა სამართალი განმკითხველობისა.

ამას ულოსა თანა იყვნიან მარადის მეფენი ორნივე, დავით და დავით. ხოლო იყო ესე ლაშას ძე დავით ტანითა დიდ და

ახოვან და სხჳლ, და მოისარი მაგრითა მშჳლდითა, ფრფელ, მალემრწმენ, შემხდობელ ბოროტისმყოფთა. და რუსუდანის ძე დავით იყო ტანითა ზომიერ და თხელ, ფერითა ფეროვან და შვენიერ, და თმითა თხელ, ფერჴითა მალე, მონადირე რჩეული და კეთილად მსროლელი ნადირთა, ენატკბილ და სიტყჳერ, უხუ და მდაბალ, ცხენსა ზედა მჯნე, და ლაშქრობათა შინა გამგონე და სამართლისმოქმედ, უმეტესობის მოლუაწე. ესენი უმრავლესსა ჟამსა ულოს ყაენს წინაშე იყვნენ. და ულო ლაშას ძისა დავითისათჳს უმეტეს მოყუარული იყო და რუსუდანის ძისა დავითისთჳს მოძულე. ხოლო ვითარ იყო რუსუდანის ძე ალატაღს ულოს წინაშე, დაიპყრეს და წარმოავლინეს საზამთროსა ადგილსა ბარდავს. და ვითარ მოიწივნეს ნახჭევანს, მიერ წარვიდეს დავით რუსუდანის ძე სამითა ოდენ კაცითა, რომელ იყო გურკელი, და ამირეჯიბი, და სურამელი ბეგაი, რომელსა თათარნი სალინ-ბეგობით უჴმობდეს, ესე იგი არს კარგი ბეგაი, წარვიდა აფხაზეთს, რამეთუ ლაშას ძე დავით ტფილისს იყო მას ჟამსა. და ვითარ მოიწია ნარინ დავით ქუეყანად ავაგ ათაბაგისა შეურაცხითა შესამოსლითა, იხილა იგი მომავალი ნადირობას მყოფმან სუმბატ ორბელმან.

რამეთუ მოწყუედასა მას ორბელთასა მეფისა მიერ ლტოლვილი წარსრულ იყო ნახჭევანს, სახელითა ლიპარიტ. ესე მიიწია ქუეყანად ელიგუნისად. ხოლო ელიგუნ იხილა რა ლიპარიტ ორბელი, სიძედ შეიყვანა და ასული თჳსი აქორწინა, რომელმან შვნა ორნი ძენი, რომელსა უწოდეს ერთსა ელიგუნ და მეორესა სუმბატ. და შვილად მიიყვანა ელიგუნ სუმბატ. ამის სუმბატის შვილმან შვილისამან, სუმბატ, შეიმთხჳა დავით და წარიყვანა სახლად თჳსად. ხოლო დავით ევედრა სუმბატს, რათა არა განაცხადოს, და წარავლინოს აფხაზეთს, და თუალიცა მისცა იგი სახელოვანი, რომელი წარეტანებინა დედასა მათსა რუსუდანს. და წარმოავლინა უნდოთავე შესამოსლითა შიშისათჳს თათართასა. და მოიწია თორს, ლიპარიტ თორელისასა, რომელსა დევისყურცა ეწოდებოდა. და მან უძღუნა ცხენი და შესამოსელი, წარჰყვა ქუთათისს. ხოლო ვითარ ცნეს აფხაზთა, სუანთა, დადიანმან ბედიანმან, რაჭის ერისთავმან და სრულიად ლიხთიმერელთა, შემოკრბეს სიხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულითა დიდითა და მეფე-ყვეს დავით აფხაზთა ვიდრე ლიხ-თამდე.

და აქა შინა შეიქმნა სამეფო ესე ორ სამთავროდ, გარნა ეგრეთცა იყვნეს სიყუარულსა ზედა ერთმანეთისასა დავით და დავით. და დარჩა ლიხთსაქათი ლაშას ძესა დავითს, და ლიხთიმერი რუსუდანის ძესა. და მოიწყო ყოველი ქუეყანა, და მოიგო სიმდიდრე უზომო, და წარმართა სახლი სამეუფო კეთილად, და მონებდა ჯაენსა.

მაშინ წარმოავლინა ელჩი დიდმან ყაენმან ბათო, რომელსა ეპყრა ყივჩაყეთი და ოვსეთი, ხაზარეთი, რუსეთი, ბორღალეთი ვიდრე სერბეთამდე, დარუბანდამდე და ხატაეთამდე, და მოუწოდა მეფესა დავითს. და წარვიდა წინაშე ბათოსა მეფე დავით ნიჭითა უზომოთა, და დაუტევა განმგებელად სახლისა სამეუფოსა დედოფალი ჯიგდა-ხათუნ და მესტუმრე ჯიქური, რამეთუ იყო ესე ჯიქური ერთგული მეფეთა უმეტეს ყოველთა კაცთა, რამეთუ სრულიად სამეფოსა შინა მპარავი და ავაზაკი არ იპოებოდა, და თუ საცა გაჩნდის, ძელსა ჩამოჰკიდიან; და სხუად არარა ნიჭთა მქონებელი. ესე განდიდნა მეფისა დავითის მიერ დიდად ერთგულობისათჳს, ჴელთ-უდვა სამეფოსა და სახლისა განგება, და დაუტევა ტფილისს დედოფლისა წინაშე, რომელმან აღაშენა ისანთა პალატი განგებითა დიდითა, და ფხოელნი მოხარკე-ყვნა და მეჯორედ ყვნა კაცნი იგი მჴეცისა ბუნებანი.

და წარვიდა მეფე წინაშე ბათოსა, პატივითა შეიწყნარა და ყოველი სათხოველი აღუსრულა. და იყოფოდა მეფე წინაშე ბათოსა ჟამთა მრავალთა. და თჳთეული თემისთემისა ადგილი თჳთეულსა კაცსა შევედრის, რომლისათჳს კახეთიცა პანკელსა თორღუას შევედრა, და ამცნო, რათა ბრძანებასა დედოფლისასა ერჩდეს. ჰგონა თორღუამან არღარა მოსლვა მეფისა. უკუდგა პანკისსა ციხესა, თჳსად დაიჭირა კახეთი, არღარა მორჩილდებოდა დედოფალსა და მესტუმრესა ჯიქურსა.

მაშინ შეიწყალა ყაენმან მეფე დავით და მოსცა სუქური საჩრდილობელი, რომელი სხუასა არავის აქუნდის, თჳნიერ ყაენთა და ნათესავსა მათსა. და მოუმცნო ულოს, რათა თჳნიერ ულუსისა ნოინისა კიდე ურდოს შესლვასა მეფისა ზედათ არავინ დადგებოდის, რამეთუ ესე იყო წესი თათართა, რომელ ყაენს წინაშე არავინ დაჯდებოდის, არცა პურისჭამასა

შინა. ესრეთ პატივ-სცა მეფესა და წარმოავლინა საბრძანებელი ქართლად. და ვითარ მოიწია ჰერეთს, მიეგებნეს ყოველნი წარჩინებულნი სამეფოსა მისისანი. ხოლო თორღუა შეშინებული უკუდგა პანკისს. და მეფე მოიწია ტფილისს და იყო სიხარული ყოველთა მკვდრთა საქართველოსა. ხოლო თორღუას მოუწოდა მეფემან დავით, და არა მოვიდა კარად მეფისა შიშისათჳს. და მრავალჯერ უწოდა, და ვერ ეძლო გულპყრობად მოსლვად. მაშინ განზრახვითა ჯიქურისათა წარვიდა ხორნაბუჯელი, მივიდა თორღუას სახლსა, რათა მას მიენდოს ფიცითა მტკიცითა. ხოლო თორღუამან რქუა: „წარვალ ალავერდს გიორგის წინაშე, და მუნ შემომფიცე და მუნ ძმობდევ“. და წარვიდეს ორნივე, და თორღუა გამოება ფესუსა სამოსლისა ალავერდისა მთავარმოწამისასა. და მივიდა ხორნაბუჯელიცა, შეჰფიცა და გამოჴსნა ფესჴსაგან. ხოლო თორღუამან რქუა: „რა-იგი ჰყო ჩემ ზედა, ამა წმიდამა გიორგი გიყოს შენ, რამეთუ მარტო ვარ და სიკუდილითა ჩემითა უმკვდრო იქმნების მამული ჩემი, და ეგრეთვე უმკვდრო-ყოს წმიდამა მთავარმოწამემან სახლი შენი“. და წარმოიყვანა ხორნაბუჯელმან, ფიცთა მტკიცეთა მიერ შეკრულმან, ტაბაჴმელას, და შეურაცხ-ყო აღთქმა და ფიცი იგი, და შეიპყრა ჯიქურმან განზრახვითა დედოფლისათა, თჳნიერ მეფისა ცნობისა, და წარიყვანეს კლდეკართა და გარდმოაგდეს.

ხოლო ვითარ მიეგო ბოროტი ხორნაბუჯელსა ალავერდის მთავარმოწამისა აღთქმისა და ფიცის გატეხისათჳს, იხილეთ, რამეთუ ესუა შვილი ხორნაბუჯელსა, სახელით შალვა, სიკეთეაღმატებული. ამას შალვას ესხნეს შვილნი და მყის დაიჭოცნეს, და ეგრეთ ბერი ხორნაბუჯელი მოკუდა მწუხარებითა, და ხედავთ უმკვდრობასა სახლისა მისისა. და დარჩა მათი შვილი, სახელით შალვა, რომელი უკანასკნელ თათართა მიერ მოიკლა, და უმკვდრო იქმნა სახლი მისი. და ესრეთ შური იგო ალავერდისა მთავარმოწამემან.

ხოლო ვითარ მოიწყო დავით მეფემან სამეფო, წარვიდა ყაენს ულოს წინაშე ნიჭითა დიდითა, რომელი იხილა რა ულო ყაენმან, პატივითა შეიწყნარა, და ნოინთა თანა დააწესა წინასადგომად და ჯდომად, და განმკითხველად და ბჭედ.

ამათ ჟამთა ინება ულო ყაენმან აღმჴედრება ბაბილოვანს ზედა, რომელ არს ბაღდადი, და ჴელმწიფესა ბაბილოვნელთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა ხალიფას ზედა. და მოუწოდა ყოველთა სპათა მისთა და წარემართა ბაღდადს ბრძოლისა ყოფად ხალიფასა. მივიდა ქუეყანასა ბაბილოვნისასა, და ვერ წინააღუდგა ხალიფა, არამედ შეივლტოდა ბაღდადს. ხოლო ყაენი გარემოადგა და მოიცვა იგი. ერთკერძო თჳთ ყაენი მოადგა წყალს აქეთ, და წყალს იქით ელგა ნოინი, და ერთკერძო მეფე დავით, რამეთუ მის წინაშე იყვნეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი. და ბრძოდეს ძლიერად არა მრავალთა დღეთა, არამედ ათორმეტ დღე, აღიღეს ბაღდადი.

მეფემან დავით უბრძანა ლაშქართა მისთა, რათა შეთხარონ ზღუდეთა ქუეშე. და შეთხარეს, ზღუდესა შიგან შევიდეს ქართველნი და იქმნა ძლიერი ბრძოლა. და მოსრვიდეს სპათა ბაღდადელთა, და შიში ფრიადი აქუნდა ბაღდადელთა. და ესრეთ განუხუნეს კარნი ქალაქისანი ქართველთა და თათარნი შევიდეს. ამისი მცნობელი ხალიფა, რომელ შევიდეს ქალაქად თათარნი, ივლტოდა ნავითა წყალსა მას ზედა, რომელი ქალაქსა სდის. იხილა ელგა ნოინმან, რომელი იყო წყალსა იმიერ კერძო, მოუჯდა, და ვერ უძლო წარსვლად, უკუხიქცა პალატად თჳსად. ესრეთ ადვილად რა ჴელთ-იგდეს სახელგანთქმული იგი ქალაქი ბაბილოვანი, ვინმე მოუთხრნეს განსაცდელნი და ჭირნი, რომელ მოიწივნეს ბაღდადს ზედა? მოსრნეს მახჳლითა ესეოდენი სიმრავლე, რომელ არა იყო რიცხჳ, სავსე იყვნეს უბანნი, ფოლოცნი და სახლნი მკუდართა მიერ. ხოლო სიმდიდრისა და ალაფისა, მაშინ პოვნილთა, ვინმე მიუთხრნეს? რამეთუ აღივსნეს თათარნი და ქართველნი ოქროთა, ვეცხლითა, თუალითა, მარგალიტითა პატიოსნითა, ლარითა და შესამოსლითა, სამსახურებელი ჭურჭელითა ოქროსა და ვეცხლისათა, რომელ არავინ აღიღებდა თჳნიერ ოქროსა და ვეცხლსა, თუალსა და მარგალიტსა, და შესამოსელთაგან კიდე. სხუანი ჭურჭელნი, ჩინეთით და ქაშანით მოხმულნი და მუნ შექმნილნი, სპილენძი და რკინა უპატიოდ იბნეოდა. და ესრეთ აღივსნეს ლაშქარნი, რომელ უნაგირნი და კურდანი, და ყოველი შეურაცხი სამსახურებელი თუალითა და მარგალიტითა და წითლითა ოქროთა განტენიან, და ზოგთა ჯრმალთა ვადისპირსა მოსტეხდიან და ქარქაშნი წითლითა განტენიან და ზედ ნატეხნი ჯრმლისა ჩააგნიან. ზოგთა მკუდარი კაცი ბაღდადელი გამოწლიან და წითლითა ოქროთა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თუალითა და მარგალიტითა განტენიან და, ვითარ მკუდარი, განიყვანიან გარეშე ქალაქსა. და ესრეთ აოკრებდეს და ჰკოცდეს და ტყუე-პყოფდეს.

მიიწინეს პალატად ხალიფისა, გამოიყვანეს ხალიფა და ძე მისი, და ყოველი სიმდიდრე ძისი განსაკვირველელი, და მოიყვანეს წინაშე ყაენის ულოსა. და ვითარცა წარადგინეს წინაშე მისსა, ეტყოდეს ხალიფას, რათა თაყუანი-სცეს ყაენსა. ხოლო მან არა თავს-იდვა, დადგა და ეტყოდა: „ჯელმწიფე ვარ თჳთმპყრობელი და მონებასა ქუეშე არავის მყოფი. უკუეთუ განმიუტეო, დაგემორჩილები, და თუ არა განმიტეოთ, არღარავის მონებასა ქუეშე მყოფი მოვკუდები". ხოლო იგიცა აიძულებდეს თაყუანის-ცემად. გამოუხუნიან ფერკნი მისნი და პირალმართ დაეცის, და არა თაყუანი-სცა. ბრძანა განყვანება გარე და წარავლინა ელგა ნოინი, რათა მოკლან ხალიფა და შვილი მისი. ვითარ რქუა ხალიფას, „ყაენმან შეგიწყალა", მხიარულ იქმნეს და ეტყოდა: „ვითარ შემიწყალებს, განმიტეოს და ბაბილოვანივე მომცეს". ხოლო ელგა ნოინმან რქუა: „არა. არამედ ყაენი თჳთ მისითა ჯელითა და ჯრმლითა მოგაკუდინებს, და ყაენის შვილი აბაღა შენსა შვილსა მოჰკლავს". და ხალიფა განკჳრვებული ეტყოდა: „უკუეთუ მომკლავთ, გინებს, ძაღლმან, და გინებს, კაცმან მომკლას". და ესრეთ მოიკლა ხალიფა ყოვლითა სახლეულითა მისითა. და შეიწყალნეს დაშთომილნი ბაღდადელნი, და ბრძანა შენება, და დაყარნეს შანანი. და ესრეთ სავსენი ტყუე-ალაფითა მივიდეს სადგურს.

ამათ ჟამთა შინა იქმნა ესეცა, რამეთუ ყაენმან ბათო, რომელ უდიდეს იყო ყოველთა ყაენთა, ინება განსწორება და აღთუალვა ყოვლისა ქუეყანისა, და პოვა კაცი ვინმე, ნათესავით ორადი, სახელით არღუნ. სამართლისმოქმედი და მართლისმეტყუელი, და ღრმად გამგონე, და განმზრახი რჩეული. ესე წარავლინა ყოველსა საბრძანებელსა მას მისსა რუსეთს, ხაზარეთს, ოვსეთს, ყივჩაყეთს, ვიდრე ბნელეთამდე, და აღმოსავლით ვიდრე ჩინეთამდე და ხატაეთამდე, რათა აღთუალოს და განაჩინოს მჴედარი და მეომარი ლაშქრად განმავალი ნოინთა თანა, დიდთა და მცირეთა, ღირსებისაებრ მათისა ულუფა, რომელ არს ძღუენი მიმავალთა გზად, ქირა ცხენისა და საპალნისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარ განაჩინა საბრძანებელსა ბათოსსა, მიერ წარავლინა ყარაყურუმს ყუბილ ყაენს წინაშე, რათა მანცა ესრეთ განაჩინოს ჴელსა ქუეშე არღუნისასა. და მი-რა-იწია ყუბილ ყაენს წინაშე, ინება მანცა ესრეთ ქმნად და წარავლინა იგივე არღუნ განგებად საბრძანებელისა მათისა. და განუწესა იგივე წესი და მივიდა ტახტსა ჩაღატა ყაენისასა და ურყანს წინაშე, ინება მანცა და განაწესეს თურანს, და განაგო მანდაური ყოველი. და გამოვლო ჯეონი და მოვიდა ხუარასანს, ერაყს და ყოველსა რომგურსა, და განაგო ესრეთვე.

და მოიწია ყაენს ულოს წინაშე, და მან პატივითა შეიწყნარა და წარმოავლინა საქართველოს, მეფეს დავითს წინაშე, და საბერძნეთად, და ყოველსა საბრძანებელსა მათსა ზედა, განაჩინა აღწერად და განგებად. და ვითარცა მოიწია საქართველოსა, დიდსა ჭირსა მიეცნეს ყოველნი მკვდრნი სამეფოსა დავითისნი. და იწყეს აღწერად კაცითგან და პირუტყუთამდე, ყანით ვენაჯამდე, წალკოტით ბოსტნამდე. და ცხრასა გლეხსა, სრულისა მიწისა მქონებელსა, ერთი ლაშქარს წარმავალი კაცი შეაგდიან. და გამოჯდა სამეფოსაგან დავითისა ცხრა დუმანი მჯედარი თათართა თანა წარმავალი, რომელ არს ცხრა ბევრი. და განაწესეს ძღუენი სოფლისაგან ათასისა მჯედრისა მთავარსა კრავი ერთი და დრაჰკანი ერთი, ხოლო ბევრისა მთავარსა ცხოვარი ერთი და დრაჰკანი ორი, და მიზდი ცხენისა თეთრი სამი, — დღისა ერთისა. და ესრეთ განუწესა და წარვიდა საბერძნეთს და ბაღდადს და ყოველგან.

ამან არღუნ განაწესა, რა-იგი ჯერ-იყო, ოთხსავე საყაენოსა შინა, რამეთუ იყო კაცი ესე სამართლისმოქმედი. ხოლო ხუცესთა და მონაზონთა და საეკლესიოთა განწესებათა არა შეაგდო საზღავი, არცა ყალანი, ეგრეთვე შეიხთა და დავრიშთა, და ყოვლისა სჯულისა კაცნი, სალმრთოდ განჩენილნი, განათავისუფლნა.

და მას ჟამსა ინება ყაენმან ულო აღმჯედრება ეგვიპტეს ზედა, და მოუწოდა მეფესა ყოვლითა სპითა მისითა, და წარვიდა ბრძოლად სულტნისა. და მიიწია შუამდინარედ, და იწყო ოჯრებად ყოველსა შუამდინარესა და შამსა. და ვითარ ესმა სულტანსა ეგვიპტისასა, აღმჯედრდა წინაგანწყობად თათართა და მოიწია მდინარესა ზედა ევფრატსა ყოვლით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჯედრებით მისით. და მივიდეს თათარნი და განვლეს მდინარე, რამეთუ არა მოახლებულ იყო სულტანი პირსა მდინარისასა. და წინამიეგებნეს, სულტანი წინა განეწყო და იქმნა ომი ძლიერი, სადა-იგი დავით მეფე და სპანი მისნი წინამბრძოლობდეს ძლიერად. და პოსწყდეს ორგნითვე, და ივლტოდეს მეგვპტელნი, ხოლო ერი მრავალი მოსწყდა სულტნისა. და ესრეთ ყაენმან დაიბანაკა მრავალ დღე პირსა ევფრატისასა, სადა-იგი იხილა ქალაქი მცირე მდინარესა ზედა ევფრატისასა, ძლიერად განმაგრებული, რომელ ერთკერძო კლდე იყო და ერთკერძო მდინარისა ევფრატისა მიერ შეცვული. და ვითარ იხილა ყაენმან სიმაგრე ქალაქისა, უღონო იქმნა ბრძოლად, გარნა მოიგონა საქმე საკვრველი, რამეთუ ეტყოდა მის ქუეშე დაწესებულთა: „არა არს ღონისძიება ბრძოლისა ყოფად ქალაქისა. მნებავს, რათა აღვმჯედრდეთ და გარემოვიცვათ ქალაქი და, ვითარ ძაღლთა, ვიწყოთ ყუილი და ყვირილი". და ვითარცა ესმა ესე, განკვრდეს, და აღმჯედრდეს და, ვითარცა ძაღლთა, იყუვლეს. და რა მიიწია ჯმა ესე ქალაქად, იქმნა საქმე საკვრველი, რამეთუ განსქდა ქალაქი ორად, ნახევარი წარიქცა კლდითურთ წყლისაკენ და მოისპო სული ურიცხვ. ესრეთ ჯელთ-იგდო და წარვიდა შამად და შუამდინარედ. და მოეგებნეს ყოველნი მკვდრნი შუამდინარისანი და შამისანი, სავსენი ურიცხვთა ძღუნითა.

ხოლო მეფე დავით ღა ქართველნი იაჯდეს ყაენისაგან წარმოსლვასა, რამეთუ მრავლით ჟამითგან იყვნეს ლაშქრობათა შინა. მაშინ ყაენმან ულო მისცა თავისუფლება და წარმოემართნეს, და ესრეთ სავსენი ურიცხვთა ნიჭითა და ალაფითა გამდიდრებულნი მეფე დავით და ქართველნი მოიწივნეს ადარბადაგანს და მუნით მოვიდეს ტფილისს, სავსენი სიხარულითა.

ამათ ჟამთა შინა მწუხარე იყვნეს წარჩინებულნი მეფისანი, რამეთუ ჯიგდამან არა შვა შვილი. ამისთჳს ინება მეფემან მოყვანება შვილიერების ძლით ალთუნ, ნათესავით ოვსი, მეუღლედ, აღმთქმელმან, უკუეთუ მიეცეს ყრმაწული, არღარა შეიწყნაროს, არამედ განუტეოს. და ვითარ გამოჯდა მცირე ჟამი, მუცლად-იღო ალთუნ ძე და შვა, და უწოდეს სახელი გიორგი, რომელი აღიქუა და შეიყვანა შვილად დედოფალმან ჯიგდა-ხათუნ. და შემდგომად მცირედისა მიუდგა და შვა ასუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლი, და უწოდა სახელი თამარ. და აქა შინა განიშორა საყუა-
რელი თვსი ალთუნ, ნათესავით ოვსი, რომელი ფრიად
ქმნულკეთილი იყო. და შემდგომად მცირედისა გარდაიცვალა
დედოფალი ჯიგდა-ხათუნ, და წარიყვანეს სამარხოსა დედო-
ფალთასა მცხეთას, და დაკრძალეს.

მას ჟამსა წარვიდა მეფე დავით ულო ყაენს წინაშე მუ-
ღანს, რამეთუ იგი აქუნდა სადგურად საზამთროდ, და მიერ
წარმოჰყვა სადგურსა საზაფხულოსა, და მუნით წარმოავლინა
მეფე ქართლად, რათა მზა იყოს ლაშქრად ეგვპტესა, რომელ
არს მისრეთი. და შემოიარა ქუეყანა ავაგ ათაბაგისა. ივანე
ათაბაგის ძისა, რამეთუ მას ჟამსა გარდაცვალებულ იყო ავაგ,
და არა დაშთა ყრმაწული, არამედ ქალი ერთი, სახელით ხუა-
შაქ. და მივიდა მეფე ბიჯნისს ტირილად, და იხილა ცოლი ავა-
გისი, კახაბერის ძეთა, რაჭის ერისთავთა ასული, სახელით
გუანცა, ქმნულკეთილი, ეტრფიალა და შემდგომად მცირედი-
სა მიიყვანა იგი ცოლად და დედოფლად, წარმოიყვანა სამე-
ფოდ. ხოლო ქალი იგი ავაგისი დაუტევა მამულსა თვსსა ზე-
და, და შევედრა მანკაბერდელსა სადუნსა, რომელი იყო კაცი
ბრძენი და გონიერი, და კეთილისგანმზრახავი, და ჰაეროვანი,
ძალითა ფრიად ძლიერი და მორკინალი რჩეული საჩინო და
მოისარი ჴელოვანი, რომელი წარდგა წინაშე და თაყუანი-სცა
ულოს და ჴელპყრობილმან რქუა: „ვინათგან მოგცა თქუენ
ღმერთმან ძლევა ყოველთა მტერთა ზედა და ყოველთა კაცთა
უმჯობესად გამოგაჩინა, და აწ აქა არს მჴედარი ასი ათასი,
ვინცა მერკინების გიწა მედგინების, ანუ ისარსა განვასრევთ,
მზა ვარ“. და არავინ იპოვა მსგავსი მორკინალი მისი, და ვინ-
ცა იპოვა, ყოველთა სძლო. ესე შეყუარებულ იქმნა ყაენ
ულოსაგან, და იწყო განდიდებად. და გონიერებითა მისითა
მეფემანცა დავით პატივ-სცა და შევედრა სახლი ავაგისი.
ხოლო დედოფალი გუანცა მიუდგა და შვა ყრმა და უწოდა დი-
მიტრი, რომელი შემდგომად დავითისა მეფე იქმნა, რომელი
ქუემორე სიტყუამან ცხად-ყოს.

ამის გუანცას დედოფლობა მძიმედ უჩნდა მესტუმრესა ჯი-
ქურს, რამეთუ მტერ იყვნეს. ამისთჳს განზრახვითა სუმბატ
ორბელისათა შესმენილ იქმნა, ვითარმედ: „ჯიქურ წარავლენს
კაცთა არღუნს წინაშე, რათა აუწყოს ყაენს ულოს სიმდიდრე
მეფისა, და ეგულების განდგომაჲ“. ხოლო ვინათგან დავით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე უმანკო იყო, რომლისათჳს უმანკოსა ყოველი რწმაზნ-ფიმოთეკა
რავლისა მსწრაფლ წინაშემდგომელნი და ბრძანა წინაშე მოყ-
ვანება მისი, და სახლისა მისისა იავარ-ყოფად. და ვითარ
აღასრულეს მსახურთა მეფისათა, და წარადგინეს წინაშე მე-
ფისა ჯიქური ღამით, რამეთუ მეფე ჯდა ისანთა მხედველი
მტკურისა, და არა სიტყუა-ყო მის თანა, არამედ განუკითხა-
ვად ბრძანა შთაგდებად მტკუარსა. ხოლო ვითარ განთენდა,
იხილეს ჯიქური, რიყესა ზედა განგდებული წყლისაგან, და
განკჳრდეს ყოველნი მხილველნი ანასდათისა სიკუდილი-
სათჳს, და არავინ იპოვა დამფლველი მისი, რამეთუ არა ესუა
შვილი. და შეკრბეს ყოველნი გლახაკნი და ობოლ-ქურივნი
და ეგედრნეს მეფესა, რათა მიანიჭოს გუამი ჯიქურისი ამად,
რომე მრავალი კეთილი ექმნა მათ ზედა. ისმინა დავით და
მისცა გუამი მისი, და მრავლითა გოდებითა წარიღეს ეკლესი-
ასა წმიდისა ქალწულისა ქრისტინასსა, რომელი ხუარაზმელ-
თაგან დარღუეული ახლად აღშენებულ იყო, და მუნ დაფლეს
დიდითა პატივითა, რაცა ოდენ გლახაკთა ძალ-ედვა.

ხოლო შემდგომად ამისა ინება ყაენმან აღმჯედრება სულ-
ტანსა ზედა მისრეთისასა, და შეკრიბნა ყოველნი მთავარნი
და სპანი მისნი, და მოუწოდა მეფესა დავითს და სპასა მისსა
ეგჳპტედ. ხოლო შეიწრებულ იყო მეფე და საბრძანებელი
მისი არღუნის აღთუალვისაგან, და რომელი-იგი განეწესა,
რაცა განისყიდებოდეს ტფილისს, ასსა თეთრსა ზედა სამი თეთ-
რი საყაენოდ დაიდებოდეს. ამას ზედა ხოჯა-აზიზ ვინმე, ნა-
თესავით და სჯულითა სპარსი, განეჩინა და დაეტევა ტფი-
ლისს, რომელი ესეოდენ უწესოდ მიიწია, თუ სამზარეულოსა
მეფისასა ცხოვარი, გინა კრავი ისყიდებოდის, მას ზედანცა
ხარაჯა წარუღიან, რომელსა-იგი ტამღად უწოდდეს. ამის მიერ
შეიწრებული მეფე იგონებდა, „უკუეთუ წარვიდე ეგჳპტედ,
ანუ თუ განუდგე ყაენსა“, და ვერას დაამტკიცებდა. გარნა
წარემართა ლაშქრად, და ვითარ მოიწია ქუეყანად ჯავახეთი-
სად, დაამტკიცა განდგომა, და მოუწოდა თანაგამზრახთა მის-
თა და რქუა: „უკუეთუ ვისმე ნებავნ, დაუტევენ მამული და
წარმოვედინ ჩემ თანა. უკუეთუ არა ნებავს, წარმოვედინ მსა-
ხურებად ყაენისა მისრს, რათა დაიცვას ქუეყანა მისი, რამე-
თუ ნება კაცად-კაცადსა ზედა იყავნ, და მე არღარა მნებავს
მონება თათართა მძლავრებისათჳს ხოჯა-აზიზისა, რომელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაადგინა ჩემ ზედა არღუნ, რამეთუ ვერ თავს-ვიდებ ესო-
დენსა შეურაცხებასა". ხოლო წარჩინებულნი ამის სამეფოსა-
ნი რომელნიმე დაუმტკიცებდეს, და რომელნიმე — არა, გარნა
ეგრეთცა დაამტკიცა განდგომილება. და უმრავლესნი წარვი-
დეს ყაენს წინაშე: შანშეს ძე ივანე, და გრიგოლ სურამელი,
თორელი კახა, ერისთავი ახალქალაქისა, თავნი და პირნი ქუ-
ეყანისანი წარვიდეს ყაენს წინაშე, და უმრავლესნი ჰერ-კახნი.

ვითარ ცნა მეფემან წარსლვა დიდებულთა, მანცა ნება-
სცა, და წარვიდა განდგომად და მოუწოდა სარგის ჯაყელს
ციხისჯუარელსა, რომელსა აქუნდა პატივი სამცხის სპასალა-
რობისა, და ეზრახა, რათა განუდგენ ყაენს. ერჩდა სარგის და
წარმოიყვანა სამცხეს, სახლსა მისსა, და ფრიადითა პატივითა
განუსუენა უმეტეს წესისა მეფეთასა, და აძლევდა ყოველთა
ციხე-ქალაქთა და ქუეყანათა მისთა გამოსაზრდელად მეფესა
და ლაშქრისა მისისათჳს, ხოლო მეფემან არა ინება. და დაყო
ზაფხული იგი მცირე ერთგულითა, რომელნი დადგეს ერთგუ-
ლებასა მისსა ზედა და ესრეთ იყოფოდეს სამცხეს. ხოლო დე-
დოფალი გუანცა და ძე მცირე მისი, დიმიტრი, დაუტევა
სახლსა ავაგისსა ბიჯნისს.

ამას შინა მოვიდა ყაენი ულო განმარჯუებული ბრძოლისა-
გან სულტნისა მეგჳპტელისა, რამეთუ სძლო მათ და აოტნა,
სადა-იგი მუნ დამხუდართა ქართველთა ძლიერი ბრძოლა-
ყვეს. ხოლო ვითარ მოიწია საზაფხულოსა სადგურსა თჳსსა,
ალატაღს, და მიერ სიაქუსა, და მერმე წარვიდა საზამთროსა
ადგილსა, რომელსა აწ ყარაბაღობით და მუღანობით უჴმო-
ბენ, იკითხა საქმე დავითისი, და ცნა განდგომილება მისი. მო-
უწოდა არღუნს და ორასთა მთავართა, და აჩინა მჴედართ-
მთავრად და მისცა მჴედარი ოცი ათასი. და უბრძანა ქარ-
თველთა, რომელნი ერჩდეს მას, რათა წარჰყვენ არღუნ ოი-
რადსა, და მივიდენ მეფესა ზედა სამცხეს და ბრძოლა-უყონ.
წარმოვიდა არღუნ მჴედრითა ოცი ათასითა, და შემოვლო
განძა და სომხითი, და მოიწია ტფილისს. და მუნ მოერთნეს
ყოველნი ესე ზემოჴსენებულნი მთავარნი საქართველოსანი და
წარმოემართნეს სამცხეს ბრძოლა-ყოფად მეფისა. და ვითარ-
ცა ესმა მეფესა დავითსა მოსლვა არღუნისი და ყოველთა
მთავართა ქართლისათა, მოუწოდა მესხთა, შავშ-კლარჯთა და
ვინცა დადგრომილ იყო ერთგულებასა ზედა მისსა, შეკრიბნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირედნი კაცნი, მჯედარი რვა ათასი, და აჩინა მჯედართმთავარად სარგის ჯაყელი, კაცი მჯნე და შემმართებელი, და მრავალჯერ გამოცდილი და სახელოვანქმნილი წყობათა შინა, ტანითა ახოვანი, ჭელოვნად მბრძოლი ცხენსა ზედა, მჯნე მოისარი, საჩინოდ ნადირთა უცთომლად მომსვრელი, და მისდა მინდობილ იყო მეფე, ერთგულებაცა დიდი აქუნდა მეფისა. და წარავლინა წინამიგებებად და წყობად არღუნისა, და წარემართნეს და დადგეს ჭევთა. ხოლო არღუნ შემოვლო ქართლი და დადგა სურამს, და წარმოავლინნა წინამბრძოლნი მჯედარნი ექუსი ათასი. და არღუნ დადგა შინდარას და წინამბრძოლნი მივიდეს ტასისკარს და დადგეს სამდინაროსა მას ზედა, რომელ არს შოლა. ხოლო აღიყარა სარგის ჭევთათ და წარავლინნა წინამბრძოლნი, კაცი რჩეული და გამოცდილი წყობათა შინა ათას ხუთასი მჯედარი, არა უწყოდეს მოახლება არღუნისი. და წარემართნეს და განვლეს ჭიდი ახალდაბისა. იყო ყინელი და ზამთარი, ვითარ წესი არს თუესა დეკემბრისასა. და განვიდეს სივიწროისაგან წინამავალნი, იხილნეს რაზმი თათართა, და წინაგანეწყუნეს ქართველნიცა. და მყის ზედამიეტევნეს მესხნი, და პირველსა შეკრებასა აოტნეს თათარნი და მოსწყჳდნეს მრავალნი სახელოვანნი, და ესრეთ ძლიერად ბრძოდეს მესხნი, რომელ მცირედნიღა განერნეს და შეიხუეწნეს რაზმსა შინა არღუნისსა შინდარასგორისასა, და სდევნეს და მოსწყჳდნეს პირითა მახჳლისათა, რამეთუ მჯედართმთავარი სარგის და სპა მეფისა ვერღარა მოილოდინეს ამისთჳს, რომელ თათართა რაზმი მახლობელად მდგომარე იყო. და ესრეთ ძლევითა საჩინოთა შემოქცეულნი, მრავალთა სახელოვანთა თათართა თავისა მქონებელნი მოეგებნეს სარგისს და ლაშქართა. ვითარ იხილა სარგის განმხიარულება და უვნებლად დაცვა, განიხარა, გარნა მძიმედ აღუჩნდა, რამეთუ ვერ მიესწრა ომსა, რამეთუ იყო კაცი მძლე და შემმართებელი. კუალად სურვიელ იყო განწყობისა მესხთა, წარემართა არღუნს ზედა გულითა ქველითა. ხოლო არღუნ სპათა მისთა მოუწოდა და კუალად ქართველსა სპასა ზედამისლვასა მხილველი ივლტოდა, გარნა აყენებდეს ქართველნი წარჩინებულნი და არა უტევეს სივლტოლად, რომელთა უპირობდა თორელი ქახა და ეტყოდა, ვითარმედ: „ქართველნი მეცნიერნი ვართ ომისა მათისანი, ჩუენ ვიბრძოდით თქუენ წილ“. და ესრეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლით არწმუნეს, და დადგა ადგილსა ზედა და განაწყო მჯდარნი. ვითარ დაეახლნეს ურთიერთას, ზედამიეტევნეს მესხნი განლაღებულნი. ხოლო სარგის ჯაყელი უპირველეს ყოველთასა მიუჯდა რაზმსა და უმჯნესი მათნი, ჩინბაადური, ჰორილითა ცხენისაგან ქუეყანად დასცა. და იქმნა ძლიერი ომი, და მრავალნი მოისვროდეს არლუნის სპისაგან და სივლტოლად მიდრკეს. პირველსავე მიჯრასა სძლევდეს სპანი მეფისანი, და ვითარ არს ჩუეულება თათართა ლტოლვა და გარე უკუნქცევა, ანაზდად გარეუკუნიქცეს. მაშინ სულმოკლექმნულნი სპანი მეფისანი ივლტოდეს მსწრაფლ. ესრეთ განწირულნი და მიმოდაბნეულნი თათართა მიერ მოისრვოდეს. ცოდვათა ჩუენთა სიმრავლითა განწირნა ღმერთმან და მისცნა ჯელთა წარმართთასა. ხოლო უწყალოდ ჰჯოცდეს, და მრავალნი სახელოვანნი მოსრნეს თათართა, რომელ მცირედნიღა ძლით განერნეს. და სდევნეს ახალდაბისჯიდამდე, გინა უმეტესცა. ხოლო ზოგნი ტყუედ წარყვანებულ იქმნეს, გურკლელი მურვან და სხუანი მრავალნი.

და ესრეთ შეიქცა არლუნ ყაენს ულოს წინაშე განმარჯუებული, ხოლო სარგის და მესხნი მივიდეს მეფეს წინაშე აწყუერს, მეყუსთათუს მტირალნი, რამეთუ უმრავლესნი მოესრნეს, დაშთომილ იყვნეს მცირედნი.

და დაყო მეფემან ზამთარი ნახევარი სამცხეს, და გარდვიდა შავშეთს და კლარჯეთს, და წარვიდა წიგალისჯევს. და ვითარ მოიწია თუე მაისი და აღმოსცენდა მდელო, ყაენმან იგივე არლუნ დევნად და ძებნად წარმოავლინა, რომელთა თაწა იყვნეს ქართველნიცა, მიმდგომნი ყაენისანი, და თუესა ივნისსა მოვიდა სამცხეს. ხოლო მესხნი რომელნიმე მიეგებნეს არლუნს და რომელნიმე წარჰყვეს მეფესა. და ესრეთ იწყო ოჯრებად და ტყუენვად სამცხესა და მოადგა ციხისჯუარსა, და უწყო ბრძოლა ძლიერად, რამეთუ არა ზღუდითა მტკიცითა განსრულებულ იყო. ხოლო ციხეს მყოფნი ძლიერად ბრძოდეს და მრავალი კაცი მოკლეს, და დიდად ავნებდეს გარეთ მყოფთა, დღისით და ღამით განვიდიან და ადგილ-ადგილად მოსწყჳდიან. და ვითარ იხილა სიმტკიცე ციხისჯუარისა, რომელ არს ჯუარისციხე, აიყარა და წარვიდა. და წიგნიცა მოუვიდა ყაენისა, მსწრაფებელი წარსვლად, ვინათგან ყაენი თურანისა ქუეყანასა მყოფი ბრძოლად მოსრულ არს ხუარასანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ესრეთ იჴსნა ღმერთმან ჭირთა ამათგან ქუეყანა სამცხისა, რომელ ოც დღე ძლით იყო არღუნ სამცხეს.

ხოლო მეფე დავით კუალად ძოვიდა შავშეთს და სამცხეს, და ვითარ იხილა სამცხე მოოჯრებული, მოუწოდა თანამზრახავთა მისთა და ჰკითხა, თუ რა ყონ, რამეთუ ომი თათართა აღარ ეგებოდა. მაშინ სარგის ჯაყელ-ციხისჯუარელმან მოაჴსენა, ვითარმედ: „სამცხე მცირე არს და არა კეთილი სადგომი მეფეთა. აწ განგაზრახებ, რათა წარხვიდე ლიხთიმერითს რუსუდანის ძისა დავითის თანა, რამეთუ სწორად ორთავე არს სამეფო, იგი და ესეცა. და მე დავსდებ თავსა ჩემსა და საქონელსა ყოველსა, და ლაშქარსა ჩემსა შენთჳს, ვითარ გენებოს, იჴმარე. და უკუეთუ კეთილად გისტუმროს დავით, კეთილ, და უკუეთუ არა, აჰა, სიმდიდრე ჩემი მზა არს თქუენთჳს. ნურცა შენ სწყალობ საჭურჭლესა შენსა, და ვეზრახნეთ თავადთა იმერთა და განვსცეთ საჭურჭლე, და ჩუენ კერძო დავიყენოთ“.

სთნდა ყოველთა განზრახვა ესე და წარავლინეს მოციქული წინაშე რუსუდანის ძისა, რათა შეიწყნაროს თათართაგან მირიდებული, ხოლო მან აღუთქუა. და წარვიდეს და მივიდეს ქუთათისს. სადა-იგი წინამიეგება რუსუდანის ძე და კეთილად ისტუმრა, და დაყვეს წელიწადი ერთი. გარნა კეთილად თუ ისტუმრებდა რუსუდანის ძე, ეგრეცა კეთილადვე მართებდა ლაშას ძესა, დავითს, არამედ ვითარცა უცხო ვიდოდა მათ თანა.

მაშინ ეზრახნეს კახაბერის ძესა, რაჭის ერისთავს კახაბერსა, ქუაბულის ძეთა, ფარჯანიანსა სარგისს, რათა ლაშას ძე-დავით, ყონ მეფედ, რომელნი ერჩდესცა და იქმნა განდგომილება ლიხთიმერით, და რომელნიმე წარმოუდგეს ლაშას ძესა, და რომელნიმე რუსუდანის ძესა. ეგრეთვე დადიანი ბედიანი, ჯუანშერის ძე, დადგა ერთგულებასა ზედა რუსუდანის ძისასა, რამეთუ იყო ესე ბედიანი კაცი წარმატებული ყოვლითა ზნითა, უხჳ უმეტეს ყოველთა კაცთა, სრული გონიერებითა. ამან დააწყო ოდიში, რომელ მპარავი და ძჳრისმოქმედი არა იპოვებოდა, და სუანნი განიყვნეს ორად. გარნა არას ავნებდეს ურთიერთას ორნივე, დავით და დავით, დაღაცათუ ლაშქართა არა ენებნ, ამისთჳს რომელ არა გასცემდეს

ორნივე მეფენი საჭურჭლესა ლაშქართა ზედა. ესრეთ იყო
ამლილობა და შფოთი მრავალი იმერით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაშინ არღარა იყო ღონე, დაამტკიცეს, რათა განყონ სა-
მეფო და საჭურჭლე ორად, და აჩინნეს თავადნი სამეფოსანი
და განყვეს ორად, ტფილისი — ორად, ქუთათისი — ორად, და
თავადები და ერისთავნი ურთიერთს შეასწორეს ნიკოფსით
დარუბანდამდე. და განყვეს სამეფო საჭურჭლენი, გარნა ხუაძ-
ლის ქუაბსა, რომელი იდვა, მცირე გამოიღეს და გაიყვეს, და
უფროსი ქუაბსავე დაუტევეს. ხოლო ჯაჭვ იგი, სახელდებული
სალმასური და თუალი იგი პატივცემული, გურდემლი, და
მარგალიტი იგი დიდი, რომლისა სწორი არავის სადა უნახავს,
ესე სამივე რუსუდანის ძეს, დავითს, მიხუდა. და აქა იქმნა
განყოფა სამეფოსა, და მიერითგან შეიქმნა ორ სამეფოდ. მა-
შინ უმეფო იყო ამიერი საქართველო სამეფო, და დაიშალა
ლაშქრობა და მსახურება თათართა.

ინება კუალად ყაენმან ზავი მეფისა. მოუწოდა არღუნს,
რათა წარავლინოს მოციქული მეფეს წინაშე ზავის-ყოფად,
და ფიცთა დაუმტკიცებდა უვნებლობისათა. რამეთუ დედო-
ფალი გუანცა, ავაგის ცოლყოფილი, და ძე თჳსი, ყრმა მცი-
რე, დარჩეს ჴელთა ულოსთა, რომელნი ტყუედ წარისხნეს
ურდოს. ვითარ ეგულებოდა ბოროტის-ყოფა ყრმისა, ნოი-
ნის ვისმე ცოლმან აღიყვანა და შვილად მიიყვანა, რამეთუ
იყო უშვილო, ხოლო თქმული არს ესეცა, ვითარმედ: მიიქ-
უა რა ყრმა დიმიტრი წიალთა, მეყსეულად საშო განეღო დე-
დაკაცსა და მუცლად-იღო და შვა ყრმაწული. და ამის ძალი-
თა კეთილსა უყოფდა ნოინის ცოლი გუანცას და ყრმასა. მას
უბრძანა არღუნმან, რათა მან წარავლინოს კაცი წინაშე მეფი-
სა ზავისა ყოფად. და წარმოავლინეს მოციქული ზავისათჳს,
რათა მისცეს სამეფო მისი ყოველი და კუალად-ეგოს პირ-
ველსავე პატივსა დედოფლობისასა. რა მოვიდეს მეფის წინა-
შე მოციქულნი ყაენისნი და აუწყეს, ესრეთ მიუმცნო, ვითარ-
მედ: „ხოჯა-აზიზ იქმნა მიზეზი ჩემისა წარმოსლვისა და სამე-
ფოსა დატევებისა. უკუეთუ ნებავს ყაენსა შეწყნარება ჩემი,
პირველსა ძესა ჩემსა, გიორგის, წარმოვავლენ წინაშე მათსა,
და უბრძოს სამეფო ჩემი. და დედოფალი გუანცა და ძე ჩემი,
დიმიტრი, წარმოავლინოს ჩემდა, და ხოჯა-აზიზ მომცეს, რათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკუდილითა მისითა შური ვიგო ნაქმართა მისთა, რომელ
ყვნა ჩემ ზედა".

ვითარ მიიწივნეს ყაენს წინაშე, სთნდა სიტყუა მეფისა, და
ითხოვეს ძე მისი, გიორგი, და დაუმტკიცეს ფიცთა მიერ, შე-
სუმითა ოქროსა საფიცრისათა, რათა უვნებელად დაიცვას ძე
მეფისა და მისცეს სამეფო მისი. უკუეთუ დავით მეფემან იხი-
ლოს ყაენი ულო, რომელსა ეჯანობითცა უწოდდეს, ხოჯა-
აზიზცა მისცეს ჴელთა მეფისათა, ენებოს, მოკლას და თუ
ენებოს, განუტეოს. ამის შუა შემოიყვანა ენუქ არქუანი, კაცი
მართალი და პატიოსანი, სჯულითა ქრისტეს ჯუარისა თაყუა-
ნის-მცემელი. და მან უთავსმდება ყაენს, რათა არა ევნოს და-
ვითს და ძესა მისსა, გიორგის. თჳთ მივიდა ენუქ დავითს წი-
ნაშე, შეჰფიცა და წარიყვანა ძე მისი, გიორგი. შევიდეს ტფი-
ლისს და მუნ მოეგებნეს ყოველნი მთავარნი და ერისთავნი
საქართველოსანი და შადინი ვინმე, ნათესავით სომეხი, რომ-
ლისა შევედრა ტფილისი და თჳთ მეფობაცა არღუნ. მოიღო
ძღუენი ურიცხჳ გიორგის წინაშე. და დაყვეს მცირედი ჟამი
ქალაქს, და მერმე წარვიდეს ეჯანს წინაშე და მიიწივნეს
ურდოსა. პირველად მოუვლინა ეჯანის ცოლს ტონღუზ-ხა-
თუნს, რამეთუ იყო იგი მაღლისა ჴელმწიფისა კოსტანტინე-
პოლისა ასული, სჯულითა ქრისტიანე და მართლმადიდებელი.
ამისთჳს პატივსა უყოფდა ტონღუზ-ხათუნი ენუქ არქუანს,
რომელ იგიცა ქრისტიანე იყო. ვითარ იხილა ყრმა იგი, შეიყ-
უარა სიკეთისა მისისათჳს, და თჳთცა ქმნულკეთილ იყო. და
მერმე წარიყვანეს ყაენს წინაშე, და მანცა კეთილად შეიწყ-
ნარა და პატივი დიდი უყო. და ესრეთ პატივცემულად დაყო
წელიწადი ერთი, რომელსა მიანიჭა ყოველი სამეფო მისი ყა-
ენმან. და წარმოავლინა მოციქული, რათა მივიდეს მეფე და-
ვით ეჯანს წინაშე, ხოლო მეფე მიზეზობდა ხოჯა-აზიზის
არმიცემასა: „უკუეთუ არა მომცეთ მოსიკუდიდ, არა მოვალ
ურდოსა". ამის მცნობელი ყაენი სიტყჳთა არღუნისათა გან-
წყრა, რამეთუ მძიმედ აღუჩნდებოდა სიკუდილი ხოჯა-აზიზი-
სი. ამისთჳს ეტყოდა ყაენს, ვითარმედ: „მეფე არღა მოვალს
მსახურებად შენდა, არამედ კუალად ტყუილით გამშჳდებს. აწ
ამას განგაზრახებ. წარსწყმიდე ძე მეფისა, და წარმგზავნე მე
ლაშქრად მეფეს ზედა. შეკრულსა მოვიყვან წინაშე თქუენსა".

ყაენმან დაიჯერა და განაჩინნა კაცნი, რათა წარწყმიდონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძე მეფისა და ყოველნი, რომელნი წარმოეგლინეს მეფესა ძეგ-
სა მისისა თანა. ცნა ესე ენუქ არქუან, ადგა და მსწრაფლ მი-
ვიდა ტონლუზ-ხათუნს წინაშე, და აუწყა სიტყუა ესე. ხოლო
იგი მსწრაფლ მივიდა ყაენს წინაშე, და ენუქ არქუან იახლა
და მოაჯსენა: „დიდო, მაღალო ჯელმწიფეო ყაენო, რასა უსა-
მართლობისა იგი ბრძანება განგიჩენია, სიკუდილი მეფის ძი-
სათჳს და მსახურთა მისთა? არა უწყი შენ, რომელ წინასწარ-
მეტყუელთა, რომელთა ეზრახებოდა ღმერთი, ბრწყინვალეთა
და საჩინოთა გუართაგან შთამომავალთა არს? და კუალად
იხილე, რომელ ფიცით მოიყვანე იგი. და მე და ენუქ არქუან
სიკუდილისა აღვირჩევთ, და აჰა, თავნი ჩუენნი იყვნეს მეფის
ძისათჳს. და ესეცა უწყოდე, რომელ ძმა შენი, დიდისა ყაენი-
საგან ბათოს შვილი, მრავალსა მოციქულსა უგზავნის და
დიდთა ნიჭთა აძლევს, რათა მისცეს გზა დარიალანისა და
დვალეთისა. რამეთუ ორივე ჯელთა შინა მისთა არს. და ამასა
ცა განგაზრახებ, ერთისა ბერისა სპარსისა ვაჭრისათჳს რად
დიდსა ჯელმწიფესა გააძებ შენთა მტერთა ზედა. რამეთუ,
უკუეთუ ბათოს ულუსი და მეფე შეირთნეს, დიდნი შფოთნი
აღდგებიან“.

ვითარცა ესმა ულოს, განკჳრდა და მსწრაფლ მოიყვანა
გიორგი, შეიყვანა და პატივი უყო და შემოსა შესამოსლითა
ბრწყინვალითა. და მისცა ტონლუზ-ხათუნს და ენუქ არქუანს
და რქუა: „აჰა, ძე მეფისა ჩემგან მტკიცე ფიცითა. არას ვავ-
ნეთ დავითს თჳნიერ პატივისა. და შენ წარვედ, ენუქ, და ორ-
ნივე შვილნი და ძენი მეფისანი, გიორგი და დიმიტრი, და დე-
დოფალი გუანცა, ვითარცა ტონლუზ-ხათუნს და შენ გნებავს,
ეგრეთ ყავთ, და მოიყვანეთ დავით“. ვითარცა ესმა, განიხარეს
და თაყუანი-სცეს და მოაჯსენეს: „თავნი ჩუენნი იყვნენ ნაცვ-
ლად უკუეთუ მოგუცე ხოჯა-აზიზ და არ მოვიყვანოთ დავით.
უკუეთუ არ მოგუცემ ხოჯა-აზიზს, არ მოვა“. დაღათუ მძიმედ
აღუჩნდა არღუნს, მისცა ხოჯა-აზიზ, და წარმოიყვანა ენუქ.
და მოუწერა წიგნი ფიცისა ტონლუზ-ხათუნ მეფესა: „არა ევ-
ნოს ყაენისაგან, უკუეთუ მოვიდეს ურდოსა, პატივითა დიდითა
პატივ-სცეს და სამეფო დაუკლებლად მისცეს“.

და წარმოვიდა ენუქ არქუან და მოვიდა ტფილისს, და მო-
ასხნა ორნი ძენი მეფისანი. და წარმოავლინა მოციქული მე-
ფესა და აუწყა ყოველი. და წარმოვიდა მეფე და მოვიდა,

ქვიშხეთის ბოლოსა და სურამს შუა დადგა, და მოუწოდა ენუქ არქუანს. და მოვიდა და მოუსხნა შვილნი ორნივენ. მოართვა წიგნი ფიცისა, და მოგუარა ხოჯა-აზიზ. ვითარცა იხილა მეფემან, ბრძანა თავისა მისისა მოკუეთა. და მოჰკუეთეს და წარგზავნეს თავი ტფილისს. და აღმართეს ძელი, დამოჰკიდეს თავი ხოჯა-აზიზისი.

და ესრეთ წარჰყვა მეფე ურდოს ენუქს, და მოეგებნეს ყოველნი სამეფოსა მისისანი. და წარემართნეს ურდოს. ხოლო თანაწარჰყვა მეფესა სარგის ციხისჯუარელი ჯაყელი, დიდად ნამსახური, რომელმან ქმნა ესეცა სათნოება, რამეთუ ტფილისს ყოფასა მეფისასა მოვიდა ელჩი ყაენისა, ვითარმედ: „მეფეს მოვინდომ, ხოლო პაპა სარგისს არა მოვინდომ". და არა სათნო-უჩნდა ბრძანება ესე სარგისს, და ეტყოდა მეფე გარე-უკუნ ქცევად, ხოლო იგი არა ერჩდა და ეტყოდა: „ბუ იყოფინ ქმნად ეგე ჩემ მიერ, რათა შევიქცე შინა. უკუეთუ ცოდვათა ჩემთაგან გევნოს რამე თათართაგან, ყოველნი კაცნი იტყჳან, განზრახვითა სარგისისითა განუდგა მეფე თათართა, აწ იგი წარვიდა შინა და მეფე წარავლინა მოკლვად ყაენს წინაშე. ნუ ყოს ესე ღმერთმან, რამეთუ ამით წარჴდების გუარი ჩემი, არამედ მო-თუ-მკლან, ნაცვლად თქუენდა ვიყო, და თუ დავრჩე, თქუენ თანა დავრჩე". დაიმადლა ესე მეფემან ეზომ, რომელ ქუაბულიანი თემი ერთი სამცხეს და საყდარი ტბეთისა შავშეთს სიგლითა სამამულოდ მიუბოძა.

და წარემართნეს ურდოსა და მივიდეს ყაენს ულოს წინაშე ბარდავს, რამეთუ იგი იყო საზამთრო სადგური, და არა უწყოდეს, რა ეგულების ყოფად მათთჳს. და მცირედთა დღეთა მოუწოდა ყაენმან ხილვად მეფისა და მთავართა, და იკითხვიდა, რომლისა მიზეზისათჳს განდგა მეფე. და ყოველნი ჰგონებდეს მეფესა და წარჩინებულთა მისთა სიკუდილსა, და ევედრებოდეს ღმერთსა და ყოვლად წმიდასა მეტეხთასა და ევედრებისა ღმრთისმშობელს, რომლისა მინდობილ იყვნეს. და შევიდეს ყაენს წინაშე, ხოლო მან მოსცა თჳსთა ჴელითა ღჳნო, რამეთუ ესე იყო წესი ყაენთა, თასითა დიდითა ოქროსათა. და ვითარ ჯდა მეფე მუჯლმოყრილი და მის თანა ყოველნი მთავარნი, ჰკითხა ყაენმან, ვითარმედ: „რად ჰქმენ განდგომა ჩემი და ბრძანებასა ჩემსა რად ურჩ ექმენ, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

არღუნს შემოები? არა დიდნი კეთილნი ვქმენ შენ ზედა? და კარგული და სიკუდილად განწირული გუელთაგან აღმოგიყვანე ჯურღმულით და მეფედ დაგადგინე". მაშინ ვითარ არღარა აქუნდა პასუხი მიგებად მეფესა, მოიხედნა უკანით კერძო სარგის ჯაყელისა, ვითარცა იგი ქმნულ იყო მიზეზი არღუნის შემობმისა და თათართ მოსრვისა.

და იხილა სარგის ბრდღვინვისა ლომისა მსგავსად, მეფემან მას ზედა მიუტევა საქმე იგი, არა შეშინდა, არამედ უშიშად აღდგა და წარდგა ყაენს წინაშე განმწირველი თავისა თვისა მეფისათვს, რათა იგი მოიკლას მეფისა წილ, და მეკლმოყრილი ეტყოდა: „მე ვარ, დიდო ყაენო, რომელი შემოვები არღუნ-აღას". ხოლო მან ჰკითხა: „პაპა სარგის შენა ხარ?", რამეთუ პაპა სარგისს უწოდდეს თათარნი. და მან რქუა: „იგი ვარ". რქუა: „რასათვის განაყენე მეფე და არღუნს შემოები?" ხოლო სარგის არა მეცნიერ იყო ენასა მათსა, წარმოაყენეს სადუნი თარგმანად, რომელი ფრიად უყუარდა ულოს, და დიდად პატივ-ეცა, რამეთუ იყო კაცი იგი გოხიერი და ენაკეთილი, სიტყუთა მარჯუე ყაენს წინაშე მეტყუელებად. მაშინ სარგის მიუგო: „დიდო ყაენო, არა იყო სხუა მიზეზი, რამეთუ მან მიიღო მეფობა დავითისი, ქალაქი და სოფელი მან დაიჭირნა, ეკლესიანი და ციხენი ყოველნი დაარღუვნა. ბედნიერო ყაენო, არღარავინ გაგაგონებდა უსამართლობასა ამას, შეკრა კარი თქუენი ქრთამითა. ამის მიზეზისათვს მე წარვიყვანე მეფე, რათა ბედნიერმან ყაენმან გაიგონოს და იკითხოს საქმე ესე. ვითარცა აწ კითხვასა ღირს-მყო, ესეცა უწყოდი, ყაენო, რომელ სპარსნი ძუელითგან მტერნი არიან ჩუენ ქართველთანი. ამისათვს არღუნს თანა ვყავ ბრძოლა და ომი, რამეთუ საქმე და უსამართლობა მეფისა მიმართ ხოჯა-აზიზისაგან ვერღარა დავთმეთ. აწ, ყაენო, მეფე უბრალო არს, მე ვარ, რომელმან განვაყენე მეფე კარისაგან თქუენისა". და განმრავლდა სიტყუა მათ შორის და მრავალგუარად უბნობა, რომელთა არა არს ჟამი თქუმად და წერად. და მეფეცა მრავალსა რასმე იტყოდა, და ენუქ არქუან და დიდი იგი ნოინი სხდეს შუა და სადუნი კეთილად თარგმნიდა და კაზმვიდა თქმულთა მეფისათა, რამეთუ მეფე ენამძიმე იყო მცირედ, მანკაბერდელი სადუნი კეთილმეტყუელებდა.

და ყოველნი მოელოდეს ბოროტის-ყოფასა მეფისათვს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკუდილსა სარგისისსა. მაშინ მოუვლინა ღმერთმან წყალობანი მოსავთა მისთა, და აწცა დაიცვა, ვითარცა მარადის ფარავს, და ვითარ სიტყუასა უგებდეს ყაენი და მეფე ურთიერთას, მოვიდა კაცი დარუბანდით გზისმცველთა ყაენისთა, რომელთა ყარაულობით უწოდდეს, რამეთუ არღარა განსრულებულ იყო სიტყუა, შევიდა ყაენის კაცი იგი ურდოსა ყაენს წინაშე და მოაჯსენა: „არა არს ჟამი მეტყუელებად, რამეთუ შეიძრა ულუსი დიდი დიდისა ყაენის ბათოსი, და შვილი მისი, ყაენი დიდი ბერქაი მოვალს გზასა დარუბანდისასა უმრავლითა, დიდად დიდითა ლაშქრითა“.

ესმა რა ყაენს, მსწრაფლ აწვია სპა თჳსი, და მყის შემოკრბეს მის წინაშე. მას ჟამსა წარემართნეს წინაგანწყობად, და ვითარ დაეახლნეს ორნივე სპანი ურთიერთას, მაშინ ევედრა მეფე ყაენს, რათა წინამბრძოლად აჩინოს მეფე და სპა მისი, და წესადცა არს ქართველთა წინამბრძოლობა. ისმინა ულო და აჩინა წინამბრძოლად მეფე, მახლობელად მისსა დგომად. ხოლო სარგის ჯაყელი თჳთ წინადაიყენა, და განაჩინა მარჯუენე და მარცხენე. დამწყობელმან რაზმთამან მიჰმართეს.

ხოლო იქმნა ესეცა, რომელ რაზმსა შინა გახლტა შუელი, სადა-იგი სარგის ჯაყელმან, აბჯარცმულმან, მოკლა. და მცირედ წარვლეს და მელი მოკლა, იგიცა სარგის, ისრითა. და წაიარეს და ყურდგელი მოკლა. და ამას სამსავე ხედვიდა ულო ყაენი, და დიდად აქო სარგის, და კეთილად უთქმიდა მრავალსა.

მაშინ დაეახლნეს სპანი ორნივე ურთიერთას, და გამოჩნდა კაცი ერთი სახელოვანი მათ შორის, რომელი წარმოეგლინა დიდსა ყაენსა ბერქას, რამეთუ ყაენი არა წარმოსრულ იყო. ესე მოეახლა მეფესა დავითს, რომლისათჳს დიდად შეწუხნეს სპანი მეფისანი, რამეთუ იყო კაცი ესე დიდი და მაგრად და უცთომლად მოისარი. ხოლო მეფემან აღმოიღო მშჳლდი ქარქაშით და ჰკრა ცხენსა მისსა მკერდსა, და დაასო და გულსა განვლო. ხოლო ქართველთა განმხიარულებულთა აღიზახნეს და მიეტევნეს. იქმნა ძლიერი და ფიცხელი ომი ველსა ზედა შაბარნისასა. ძლიერად ბრძოდა მეფე და სპანი მისნი, სადა-იგი სარგის ჯაყელმან სახელოვანი ომი ყო წინაშე ულოსა, რომელ განკჳრდა ყაენი. და განგრძელდა ყოველგან ომი და მოსწყდა ორგნითვე ურიცხჳ. ივლტოდა სპა ბერქასი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და დევნა-უყვეს ძლიერად. ხოლო იქმნა ესეცა: დევნასა მას ლაშქართასა დაშთა ყაენი ულო ოთხითა ოდენ კაცითა მცირესა რასმე ბორცუსა ზედა. და ვითარ იხილეს ლტოლვილთა მათ, შვიდნი რჩეულნი კაცნი ზედამოეტევნეს ყაენსა. იხილა ესე მიმავალმან სამითა კაცითა სარგის, შეუტია შვიდთა მათ კაცთა და სამითა კაცითა შეება, და ოთხნი ვიდრემე დაჴოცეს სარგის და აზნაურთა მისთა და სამნი იგი ივლტოდეს. მაშინ იხილა თუალითა მისითა სიმჴნე სარგისისი და ყმათა მისთა, განიხარა. და დევნა-უყვეს კუალადცა სპასა ბერქასსა დარუბანდის კარამდის, და განვლეს დარუბანდიცა, და სამსა დღესა სხუასა დევნა-უყვეს.

ესრეთ განმარჯუებულნი და სახელოვანნი მოვიდეს სადგურსა მათსა ბარდავს. ხოლო მეფესა დავითს და სპათა მისთა ფრიად პატივითა პატივ-სცა და მრავალი ნიჭი მიანიჭა, ესეზომ, რომელ სარგის ჴაყელსა კარნუქალაქი და მიმდგომი მისი ქუეყანა უბოძა იერლაყითა. მაშინ შეიშურვეს ვიეთმე მტერთა და მოაჴსენეს მეფესა: „აწ მეფობაცა სარგისს მიეც. ვინათგან ყაენმან ეზომ განაღიდა, არღარა იქმნების მორჩილი მეფობისა თქუენისა“. მაშინ დაიჴერა მეფემან, რამეთუ იყო უმანკო და მალემრწმენი სიტყუათა კეთილთა და ბოროტთა, — ორთავე. და წარვიდა ღამით ელგა ნოინს წინაშე და მოაჴსენა: „უკუეთუ ყაენი სარგისს კარნუქალაქს მისცემს, მეფობაცა მისცეს“. განკჴრდა ელგა ნოინ და რქუა, „ყაენმან შენის მოდგომისათჴს მისცა, და თუ შენ გიმძიმს, არღარა მისცემს. თქუენ, ქართველნი, არას კეთილს უყოფთ მჴნედ მბრძოლთა წყობათა შინა? არა უწყი, ყაენი სარგის დაარჩინა მტერთაგან, ძლიერი და სახელოვანი ომი ყო?“.

წარვიდა ნოინი და მოაჴსენა ყაენს ყოველი იგი თქმული, და არღარა მოსცეს კარნუქალაქი. ცნა ესე სარგის და შეიქმნა გულკლებით და ქუეგამხედვარად პატრონისაგან. ხოლო მას ზამთარსა დაიმჭირა მეფე ბარდავს თავისა თჴსისა თანა, და სარგის წარვიდა გულკლებული სამცხეს.

მას ჟამსა გაადგა ულო ყაენს შანშეს ძე, ზაქარია ამირსპასალარი, კაცი ყოვლითა სათნოებითა შემკული და საჩინო, და ივლტოდა ქუთათისს ნარინ დავითისსა, რამეთუ ბერქას ლაშქართ გამოსლვა მას მიაჩემეს. ხოლო მეფემაწ კეთილად შეიწყნარა, დაყო მცირე ჟამი. მერმე ფიცით მოიყვანა ყაენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან, **ეძორნა არაცა ეგრეთ** დამშუდდა გული ულოსი და მოკლა ზაქარია ამირსპასალარი, კაცი პატიოსანი და სახელოვანი ცა დიდმან შანშე, მამამან მისმან, მწუხარებითა შეწუხებული იგიცა აღსრულდა.

ხოლო გუანცა დედოფალი, ავაგის ცოლყოფილი, მოკლულ იქმნა თათართა შინა მყოფი, რომელსა იტყჳან, ვითა ასულისა მისისა ხუაშაქისა, რომელი იყო ცოლი საჰიბ-დივანისა ხოჯა შამსადინისა, მისითა განზრახვითა მოიკლაო. და ვითარ უცოლო იყო მეფე, იქორწილა ცოლი, სახელით ესუქან, ასული დიდისა ჩორმაღონ ნოინისა, და დიდისა სირმონ ნოინისა. და წარვიდა ტფილისს და ქნა ქორწილი პატიოსანი.

ამას ჟამთა გარდამოვიდეს ბერქას ყაენისაგან ლტოლვილნი ოვსნი, დედაკაცი საკვრველი, სახელით ლიმაჩავ, და მან მოიტანნა შვილნი მცირენი, ნათესავითა ახასარფაკაიანნი, პირმშო ფარეჯან და უმრწამესი ბაყათარ, და სხუანი თავადნი მრავალნი. გამოვლეს კარი დარუბანდისა და მოვიდეს მეფეს წინაშე. ხოლო მან პატივითა ისტუმრნა და წარავლინა ყაენს ულოს წინაშე. და ყაენმან შეიწყნარა ფრიად და უბოძა ხარაჯა, მოლაშქრედ და თანამბრძოლელად განაჩინნა და ესრეთ მეფეს თანაჳე წარმოავლინა. ხოლო მეფემან დასხნა რომელნიმე ქალაქსა, რომელნიმე — დმანისსა და სხუანი — ჟინოვანს.

და ვითარ მოიწია სთუელი, წარვიდა ყაენი ქუეყანად შარვანშასა, საზღვართა საქართველოსათა, ადგილსა, რომელსა უწოდიან ჩაღან-უსუნი, ესე იგი არს, თეთრი წყალი. და შეკრეს ღობითა წყლისპირი, რომელსა სიბად უწოდეს, რამეთუ გონებდა გამოსლვასა ბერქა ყაენისასა. და ამათ ჟამითგან იწყეს სიბასა ზედა დგომად თათართა და ქართველთა სთულითგან გაზაფხულამდე. და გაზაფხულ წარვიდიან საზაფხულოთა სადგურთა.

ხოლო იქმნა ესეცა, რომელ ყაენთა შვილნი ზემოჴსენებულნი, ულოს თანა წარგზავნილნი, ტუთარ, ყული და ბალადა დაიპყრა ყაენმან ულო და მოკლნა სამნივე, და დაიპყრა ქუეყანა მათი და ყოველი სიმდიდრე მათი. და ცნეს სიკუდილი პატრონთა მათთა საბერძნეთს მდგომთა დედაწულითა, რომელთა თავადი იყო ალათემურ ვინმე, კაცი სახელოვანი, აიყარა ბარგითა და დედაწულითა, და ივლტოდა, და მომართა სამცხის კერძო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნეს თათართა ულო ყაენისთა სივლტოლა ალათემურისა
დევნა-უყვეს და მოეწივნეს. და იგინი დაბრუნდეს და შეებნეს
და მრავალი კაცი მოკლეს ულოს ლაშქრისა. და რათა არა
განგრძელდეს სიტყუა, ვიდრე კოლისა მთათა მოსლვადმდე
ათორმეტჯერ მოეწივნეს და ათორმეტჯერ შეებნეს და ათორ-
მეტჯერ ალათემურ მოერია და გააქცივნა. და ესრეთ მოეწივ-
ნეს ქუენაარტანს, სოფელსა, რომელსა ჰქჳან გლინავი. და
მუნ დახუდა მურვან გურკლელი მახუჯაგის ძე, წინაშეემთხჳა
ნადირობას მიმავალი, რომელი შეიპყრეს თათართა და კნინდა
მოაკუდინეს. ხოლო იგი ევედრა და აღუთქუა ლიხთიმერითა
წარყვანება მათი და ეგრეთ ბერქას ყაენს წინაშე წარსხმა.
ხოლო იგინი მიენდვნეს. წარმოიყვანა და მოასხნა სამცხეს,
მოასხნა გურკლისჭალას და ესრეთ განსცნა. წარავლინა კაცი
და ამცნო სარგის თმოგუელსა და შალვა ბოცოს ძესა, და ყო-
ველთა მესხთა, და სარგის ჯაყელის ლაშქართა, რათა შეკრბენ
ერთად და შეიპყრან ალათემურ და მიჰგუარონ ულო ყაენს.
და წარმოემართნეს, და ცნა ესე ალათემურ, აიყარა ბარგით
და დედაწულითა, და გამოვლო მტკუარი და მომართა ჯავა-
ხეთით კერძო. შემოიარა ელასის შემოღმართი და მივიდა
ოშორას ქუეშეთ ადგილსა, რომელსა რქჳან ლერძავნი, რამე-
თუ თმოგუელი მუნ დაუდგა წინა, რომელ იხილნა რა, მო-
რიდნა. სარგის და ბოცოს ძე და ლაშქარნი ერთკერძო მოს-
დევდეს, და მურვან გურკლელი მართლ კუალსა შედგომილი
მოსდევდა. და მოეწია გურკლელი მცირითა ლაშქრითა, რამე-
თუ ბოცოს ძე და სარგისის ლაშქარნი არ მოვიდეს, არცა
თმოგუელი შუელად გურკლელისა. შეიბნეს ძლიერად, სძლეს
თათართა და მრავალი ტაძრეული აზნაური მოკლეს, და ივლ-
ტოდეს გურკლელი.

ხოლო თათართა განვლეს ჯავახეთი და თრიალეთი, და
რუსთავს მტკუარს გავიდეს. და მრავალგან მიეწივნეს თათარ-
ნი და სომხითარნი ლაშქარნი, რომელთა თჳთეულად არა არს
ჟამი მოთხრობად. ყოველგან ალათემურ მძლე ექმნა. და გან-
ელეს კამბეჩიანი, კახეთი, ჰერეთი, ყოველგან ომითა, და წარ-
ვიდეს გზასა ბელაქნისასა, შევიდეს ღუნძეთს, რამეთუ წინა-
გახუწყო მეფე ღუნძთა, და სძლეს თათართავე, და განმარჯუ-
ებულნი მივიდეს ბერქა ყაენს წინაშე. და ესრეთი საკვრველი
საქმე ქმნეს, და ამათთანანი თათარნი სადაცა დარჩეს, აღნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობით უკმობდეს, ესე იგი, უფროსთანი, გინა უხუცესთანი. ამისთვს განძღნებული ბერქა განემზადა გამოსლვად. და ამათ თეთრსა წყალსა ზედა ღობე შეკრეს და მუნ იზამთრიან, ვითარცა მითქუამს.

ხოლო ვითარ ამათ საქმეთაგან უცალო იყო მეფე, განდიდნა ჭყონდიდელი ბასილი და უჯარმელი, და იწყო საურავთაცა ქმნად თვნიერ მეფისა კითხვისა. და მეფისა იმერით ყოფასა შინა დიადი აწყინა სეფეთა ქუეყანათა, რამეთუ ვითარ თვსთა ხედვიდა, და სიტყუაცა ესრეთ იყო, ვითარმედ ესუქანს თანა-ეყო. ამისთვს შესმენილ იქმნა ბასილი წინაშე მეფისა, რომელმან მსწრაფლ მოიყვანა და ბრძანა ძელსა დამოკიდება. დამოჰკიდეს ძელსა შუაქალაქსა, რამეთუ იყო მეფე მალემრწმენი და ლიტონიცა.

და ვითარ მოიწია სთუელი, კუალად წარვიდა ყაენი სიბასა ზედა და მეფეცა მის თანა. მოიწია რა გაზაფხული, წარმოვიდა ყაენი სიაქუსა, და ძე მისი, თანქუშ, წარმოვიდა გელაქუნსა, რამეთუ მას აქუნდა საზაფხულოდ სადგურად გელაქუნი, და მეფე თანაწარმოიტანა, და მუნ იყო. მაშინ ევედრა მეფე თანქუშს, რათა უაჯოს მამასა მისსა ყაენს ულოს წინაშე და განუტეოს სამეფოდ თვსად. ხოლო მან ისმინა და წარავლინა კაცი. და ვითარ მიიყვანეს სიაქუდ, ყაენი ულო აღსრულებულ იყო. მაშინ ხათუნთა და ნოინთა მიუმცნეს თანქუშს, რათა განუტეონ მეფე სამეფოს. გამოუშვეს და მოვიდა ტფილისს და ყოველსა ქართლსა და სომხითსა, და განაგნა საქმენი მანდაურნი.

ხოლო ნოინთა დასუეს ტახტსა ულოს ძე უხუცესი, სახელით აბაღა, კაცი კეთილი, უხვ, მოწყალე, ტკბილი, მდაბალი, განმკითხველი, სამართლისმოქმედი, გლახაკთ მოწყალე და შემნდობელი ესეზომ, რომელ, დაღათუ დიდისა ბოროტისა მოქმედი კაცი იყვის, არავე მოჰკლევდის, რამეთუ ესრეთ იტყოდის, „ყოვლისა ქუეყანისა მპყრობელად დაუდგენივარ ღმერთსა და, რასაცა ვერ მივსცემ, არცათუ წაუღებ“. და მრავალგზის საჭურჭლენი მისნი წარიხუნეს მპარავთა და არა მოაკუდინის, არამედ იტყოდის, „რად მაკლს მე საჭურჭლე, ისი წარიღონ გლახაკთა, რამეთუ ნაკლულევან არიან, და მით იპარვენ“. კუალად უბოროტო და კეთილი გონება აქუნდა. მაშინ აბაღა განაჩინა მჭედართა მთავრად კაცი საჩინო წყობა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა შინა, სახელით აბათა, და ურდოსა და სახლისა თჳსისა მოურავად დაადგინა ზემოჴსენებულისა ჩორმაღონის შვილი, ხორმონ, კაცი განმარჯუებული და საჩინო ბრძოლათა შინა. ვინათგან ქრთამსა მძიმესა მიიღებდიან მის წინაშე მდგომნი ყოველნი, გამოარჩია კაცი ერთი მოწყალე და სამართლისმოქმედი, მმარხველი და მლოცავი, ქრისტიანეთა და ეკლესიათა ღმრთისათა მოსავთა მოყუარე, სახელით აღუბაღა. ესე განაჩინა ულონოთა და გლახაკთა განმკითხველად. არა თუ ულო ყაენის პატივცემულნი ნოინნი გამოცვალნა, არამედ უმრავლესნი აღსრულებულ იყვნეს, ვითარ ელგა ნოინი და სხუანი მრავალნი.

ამას აბაღას წინაშე წარვიდა მეფე დავით, და ფრიად პატივითა შეიწყნარა და პატივ-სცა. და დაემორჩილნეს აბაღას ყოველნი თათარნი, საბრძანებელი მამისა მისისა ულოსა.

მას ჟამსა გამოვიდა დიდი ყაენი ბერქა გზასა დარუბანდისასა აურაცხელითა ლაშქრითა შურისგებად ტუთარის, ბალაღას და ყულის საქმისათჳს. ცნა ესე აბაღა ყაენმან და მოუწოდა სპათა მისთა, და მეფეს დავითს, და წარემართა. ხოლო ვითარ აგრძნა ძლიერება და სიდიდე სპათა ბერქასთა, არღარა განვიდა მტკუარსა, არამედ შეიარა ნაპირი და განსავალი ყოველი, და აღიღო ზომი ყოველგან და დააყენა ლაშქარი, სადა შეკრბებიან მტკუარი და რაჯსი, და მუნითგან ვიდრე მცხეთამდე. ბერქამან მოაოჴრა ქუეყანა შირვანისა, ჰერეთი, კახეთი და ყოველი იორისპირი, და მოვიდა ლაშქარი ტფილისამდე, და მრავალი სული ქრისტიანე მოსწყჴდეს. ხოლო ბერქა ყაენი დადგა მთათა შინა გარეჯისათა. მაშინ მოხედნა ღმერთმან ქუეყანასა წყალობით და ყაენსა აბაღას, შეედვა სალმობა რამე ბერქას და მოკუდა. ვითარცა იხილეს სპათა მისთა სიკუდილი ყაენისა მათისა, წარიღეს მკუდარი და განვლეს კარი დარუბანდისა. ესრეთ დამშჴდნა ქუეყანა ესე.

ხოლო თათართა გულად აქუნდის შიში მეფისა ბერქას ლაშქრისა გამოსლვისა, და ყოველთა სთუელთა წარვიდიან სიბასა ზედა. და ვითარ მოეახლის ჟამი სიბას წარსლვისა, მოუწოდა მეფემან სპათა თჳსთა და სარგის ჯაყელს ციხისჯუარელსა. ვითარ მივიდა სარგის დავით მეფესა წინაშე ტფილისს, ეგონა სარგისის განდგომილება ყაენს წინაშე, და დაიგიწყა ნამსახურობა განზრახვითა უკეთურთა კაცთათა, მოუ-

წოდა პალატად და შეიპყრა და საჭურჭლესა შინა ტყუე-ყო. ცნეს ესე აზნაურთა თანამყოლთა სარგისისთა, ივლტოდეს და წარვიდეს ყაენს წინაშე, და მოაჯსენეს აბათა ნოინსა, რათა მან განაჩინოს მეფესაგან დაჭირვა სარგისისი და მოაჯსენოს ყაენსა აბალას და სთხოვოს სარგის. ისმინა მსწრაფლ ვედრება აბათა ნოინისა და მოსცა ელჩი, და წარმოავლინეს, და მოიწია ტფილისს და წარიყვანა სარგის და მიჰგუარა აბათა ნოინსა. და მიერითგან იქმნეს ჯაყელნი მორჩილნი ულოსისანი, ვიდრე ჟამთამდე მეფეთა შორის ბრწყინვალისა და საჩინოსა გიორგისითა.

ხოლო მეფე ჯერეთ არა წარსრულ იყო სიბასა, შეედვა სალმობა მუცლისა ძესა მისსა პირმშოსა, გიორგის, რომელიც სიკეთეალმატებულებითა სავსე იყო. განგრძელდა სალმობა ესეზომ, რომელ კნინლა მკუდარ საგონებელ იყო, და იდვა უკმრად, უძრავად, სულთა აღმომფშვნველი, და მითცა ძლით. ამას მწუხარებასა და ულონობასა რა მოეცვა მეფე და ყოველნი მკვდრნი საქართველოსანი, მოეკსენა მეფესა დმანისისა ღმრთისმშობელი, და წარვიდა წინაშე მისსა, და თვთ წარმოაჩინა, ვითარ ყოველი უკამურითა ფერკვითა მოჰყვებოდეს და მოეგებოდეს, მკურვალითა ცრემლითა წყალობად მათდა აღძვრიდეს. მაშინ შეისმინა ვედრება მათი წმიდათა უწმიდესისა ღმრთისმშობელმან, და მყის შეხებასავე თანა, და პირსა ზედა შეხებასა თუალნი აახუნა მსწრაფლ და ვითარცა უვნებელი წარმოჯდა. იხილეს ესე მეფემან და ყოველთა მკვდრთა საქართველოსათა, განკვრდეს ანაზდათსა ამას საკვირველებასა ზედა ყოვლად წმიდისასა, და ადიდებდეს ყოველნი ღმერთსა.

და კუალად წარვიდა მეფე სიბასა ზედა, და მუნ ყოფასა მისსა, ჟამსა წარმოსლვისასა დასნეულდა მეფე დავით მით სალმობითა მუცლისათა და ვერ განკურნეს მკურნალთა, და წარვიდა ცხედრითა. და ვითარ მოეახლა მარტყოფსა, მივიდა ხატსა მას ჴელითუქმარსა, რომელი თვთ გამოისახა ტილოსა, ხატისა მიერ, კეცსა ზედა. მოყვანება ბრძანა მარტყოფისა ხატისა, და ევედრა ცრემლითა და შეუვრდა, და განკურნა, ვითარ უფლისა მიერ განკურნებული ცხედარსა ზედა მდებარე. და ესრეთ მრთელი მოვიდა პალატად ტფილისისა, და ყო განსყოფილებასა შინა თვნიერ ამისსა, რამეთუ მოავარნა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ერისთავნი ვერ ცვალნის შიშისათჳს ყაენისა. ხოლო
თქმულ არს ესეცა, ვითარ ბრძენისა სოლომონისათჳს წერილ
არს, ჟამსა სიბერისა მისისა არა მართლად ვიდოდა წინაშე
ღმრთისა, და მძლავრებისაგან თათართასა უცალოქმსილმან
იწყო შლად საყდართა საეპისკოპოსოთა. რომელი სანატრელ-
თა მეფეთა შესავალნი სოფელნი მიენიჭნეს, განსცემდა, ეგ-
რეთვე მონასტერთა. ამას თანა სხუანიცა ბოროტნი აღძრა
მტერმან, რომელნი არა საჴმარ არიან თქუმად, და მძლავრა
სიბერესა შინა, ვითარ სოლომონს. ამისთჳს სწრთვიდა ღმერ-
თი არა ჩუენებითა, არამედ შუენიერებითა ძისა მისისათა სი-
კუდილისა გლოვითა, ვინათგან უგუნურებასა შინა ვართ ნა-
თესავნი ადამისნი, და გულმოდგინედ მიდრეკილ არს გული
კაცისა ბოროტისა მიმართ, ვითარცა წერილ არს: „არა ინებეს
შეგონებად, არამედ გარდავჴედით ცხორებასა ჩუენსა და
ყოველნი ვართ ამაოებასა შინა“, ვითარ იტყჳს ბრძენი ეკლე-
სიასტე: „ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო არს“, და
მზესა ამას ქუეშე ხილულსა ყოველსა ამაოებასა მისცემს.

ხოლო ჩუენ, გზისა მცირედ გარდამაბიჯებულნი, კუალად
მოგზაურ ვიქმნეთ. და ვითარ მოიწია მსგეფსი სიბას წარსვ-
ლისა, წარვიდა მეფე კუალად. ხოლო მუნ ყოფასა მისსა დას-
ნეულდა ძე მისი, გიორგი, რამეთუ დიდი ნუგეშინის-ცემა აქუნ-
და მეფესა საბრძანებელსა მისსა, და მისვე სისხლისა მდინა-
რებისაგან აღსრულდა, და დაუტევა მწუხარება მიუთხრობე-
ლი ყოველთა მკვდრთა სამეფოსათა დიდთაგან მცირეთამდე.
ხოლო გუამი ყრმისა გიორგისი დაასუენეს საყდარსა სიონი-
სასა, რათა მოიცადონ მეფე, ვითარ მოეახლა ჟამი მოსლვისა.

ვითარ წარჴდა ჟამი მცირედი, მოვიდა მეფე ტფილისს.
ვითარ არავინ გაეგება წინა თჳნიერ მცირეთა მოქალაქეთასა,
ზარგანჴდილი მიისწრაფდა პალატად, სადა დახუდეს სპანი
და ვაზირნი დამალულნი და შავითა მოსილნი. და ვითარცა
აუწყეს სიკუდილი ძისა მისისა, გიორგისი, მყის სმენასავე
თანა დაეცა და კნინლა მკუდარ იქმნა. და ესრეთ შეიღეს პა-
ლატად ჴელთ ზედა მქონებელი, და ძლით მოვიდა ცნობად,
რამეთუ, უკუეთუ მოისპოს სული, მყის მოისპობის ცნობა, და
უკუეთუ მოისპოს ცნობა, არა თანა მოისპოს სული, სიტყჳს-
მოქმედი იტყჳს. ვინათგან ტკივილთა მიერ უზომოთა მოცულ
იყო, და შვილობისა სიყუარული და კუალად სიტურფე-აღმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებულება ათვრამეტისა წლისა მყოფისა, სიმჯნე, სამჯერ
თა ზნეთაგან განსრულებულობა, ტკივილნი მრჩობლ ზედა და-
ერთვოდეს. სალმობიერითა გოდებითა გოდებდა და სიკუ-
დილსა აღირჩევდა თავისა თჳსისა, რაჟამს იხილა აღყუავებუ-
ლი შუენიერი გუამი ძისა მისისა, გიორგისი, მკუდარად უფე-
რულად მდებარე, რომელსა იგლოვდა ერი. და ვაებითა წა-
რიყვანეს მცხეთას და მუნ დაკრძალეს, და უკმოიქცეს მწუხა-
რებითა სავსენი. ხოლო ესეოდენ განუმრავლდეს ტკივილნი
შვილისა საყუარელისანი, მიერითგან არღარა აქუნდა ლხინე-
ბა, და სენთაცა მრავალთა მოიცვეს და გუამითა უძლურებდა
უმრავლესთა ჟამთა, გარნა მონებდავე ყაენს აბაღას, არა იყო
სხუა ღონე.

აქა შინა იწყო მანკაბერდელმან სადუნმან განდიდებად,
რომელ პირველ ულოს შეეწყალა რკინობისა ძლით, და ყაენ-
მან აბაღაცა პატივი უყო, და დიდი საჰიბ-დივანი კეთილსა
უყოფდა მით, რომელ ცოლისა მისისა, ავაგის ასულისა ხუა-
შაქისა, ეჯიბობა აქუნდა, და მეფესა დავითს მიებოძნეს მრა-
ვალნი ქუეყანანი.

ამათ ჟამთა იქმნა განდგომილება თათართა ურთიერთას,
რამეთუ განუდგა ყაენსა აბაღას თეგუთარ, ყაენისა ბარახას
ძმა უმრწამესი, რომელი იყო ზემოჴსენებულისა ჩინგიზ ყაე-
ნის შვილისა ჩაღატა ყაენის ნათესავი, რომელსა ეპყრა ქუე-
ყანა თურანისა და დიდი თურქეთი. ესე ბარახა ყაენი იყო
თურანსა და წარმოავლინა ძმა თჳსი, თეგუთარ, რათა ხარაჯა
ქუეყანისა, რომელ წილ-ხუდომოდა, ვითარ ზემო თქმულ არს,
თეგუთარს მიხუდებოდის. ესე მივიდა ორისა ბევრისა ლაშ-
ქრისა მქონებელი. შეიწყნარა აბაღა და უჩინა ზაფხულისა
სადგურად ვიდრემე მთანი არტანისანი და საზამთროდ რაჴსი-
სა პირი და ნახჭევანი. ესრეთ იყოფოდა თეგუთარ. შეშურდა
ყაენობა აბაღასი და მიუმცნო ძმასა თჳსსა, ყაენსა ბარახას,
ჴეონს იქით მყოფსა, ვითარმედ: „რად მივსცემთ ყაენობასა
და ქუეყანასა დიდსა აბაღას. აწ წარმოემართე მანდით შენ და
აქათ — მე, და ორთავე შევმუსროთ აბაღა, და ჩუენ დავიპყ-
რათ ქუეყანა მისი“. ხოლო მოივერაგა ესრეთ: „თავი შეშისა
ისრისა აღმოთხარა და ძუალითა პილოსათა შეაწებნა სამნი
ისარნი, და მათ შინა შთადვა წიგნი, ამად, რომელ ყოველგან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზისა მცველნი განჩენილ იყვნეს თათართაგან ძუელითგან
და განიკითხიან მგზავრი და მოციქული.

და ვითარ მივიდა თეგუთარის მოციქული ძმასა მისსა
ბარახა ყაენს წინაშე, სთნდა სიტყუა და განზრახვა თეგუთა-
რისი, და მიუმცნო მანცა ეგრეთ, რათა პაემანსა შეკრბენ ერ-
თად და დაამჴუან აბაღა ყაენი და დაიპყრან ჴელმწიფობა. და
მოუწერა განჩინებული დრო პაემანისა. რომელ მას ჟამსა
უკუდგეს თეგუთარ, რომელსა ჟამს გამოვიდეს ჯეონსა ბარა-
ხა სპითა მისითა. ხოლო განგებამან ზეწამან განაქარვა გან-
ზრახვა მათი და დაიცვა აბაღა უმანკოებისათჳს, და სიწრფო-
ებისა და სიმართლისათჳს. და შესცთა მწიგნობარი მისი და
ორითა მთოვარითა უწინ დაწერა განდგომა თეგუთარისა, რა-
მეთუ თუენი მათნი მთოვარითა აღრაცხილ არიან. და შთადვა
მანცა თავსა შინა ისრისასა წიგნი ესე, და წარმოვიდა მოცი-
ქული და მოიწია ნიგალისველსა თეგუთარს წინა. და მოსცნა
ისარნი, და განაღო თავი ისრისა და პოვა დაწერილი ძმისა მი-
სისა ბარახასი. და ჟამიცა იგი პაემანისა მოახლებული პოვა
წერილსა მას შინა, და მყის აღეკაზმა ბარგითა და დედაწუ-
ლითა, კაცი მბრძოლი ვითარ ბევრი ერთი და ხუთასი, რამე-
თუ სხუა იგი ლაშქარი ვერ ესწრა სისწრაფისაგან, ნუუკუე
განცხადნეს საქმე მისი და ბოროტი ეყოს აბაღას მიერ. აიყა-
რა და მომართა მთათა ღადოსათა, კარჩხალთა და კარისათა,
რომელ არს შორის შავშეთისა და აჭარისა, და დადგა თავსა
შავშეთისასა ფიჭუთას, და ეზრახა სარგის ჯაყელსა რათა მის-
ცეს გზა, უკუეთუ უნდეს წარსლვა აფხაზეთისა მეფესა დავითს
წინაშე, რათა იგი იყოს შუამდგომელ მეფისა და თეგუთარისა,
და უკუეთუ განუმარჯუდეს, დიდად განადიდოს სარგის. და ვი-
თარ ამას ზრახვასა შინა იყვნეს, სთნდა სარგისს სიტყუა თე-
გუთარისი.

მოუწოდა აბაღა სპათა მისთა და დიდსა შანშეს შვილსა
ივანეს მანდატურთუხუცესსა, წარმოავლინა დევნად თეგუთა-
რისა. და აჩინა მჴედართმთავრად სირმონ, ნოინის შვილი
ჩორმაღონისა, კაცი წყობათა შინა სახელოვანი და შემმართე-
ბელი, და მრავალნი ნოინნი სხუანი. და მოიწივნეს მთათა
არტანისათა და დაიბანაკეს მუნ.

ხოლო იქმნა ესეცა საკჳრველი ყოველთა ნაშობთა დედა-
თა უმეტესისა, რომელმან ღმრთისა სიტყუასა, ქალწულისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან შობილსა ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა, თჳსითა ჴელითა
თელ-სცა, და ჴმა მამისა ზეცით ესმა, და სულიწმიდა სახითა
ტრედისათა იხილა და სამებისა წმიდისა ერთი არსება ცხად-
ყო და გუასწავა იოანე ნათლისმცემელმან. ამისი უდაბნო შენ
არს და არა უცნაურ მთათა შინა ღადოსათა, ოპიზა, უპირვე-
ლესი ათორმეტთა უდაბნოთა. ამას შინა არს უპირატესი ყო-
ველთა წინასწარმეტყველთა და მოწამეთა ყოველთა უალრე-
სისა ნათლისმცემლისა იოანეს ჴორჴი იგი, რომელი არა
დადუმდებოდა ქებად ღმრთისა მოსრულისა, და მამხილებე-
ლი ჰეროდეს უსჯულოებისა. და ესრეთ პატიოსნითა საუნჯითა
განშუენებული, და საღმრთოთა კრებულითა აღსავსე იგი სა-
ყოფი ნათლისმცემელისა, და ჭეშმარიტი თჳთ თავადისა სა-
ყოფი, ვითარ სიტყუა ცხად-ყოფს.

ესმა რა თეგუთჳს სიდიდე უდაბნოსა ოპიზისა და შემკო-
ბა მისი პატიოსნითა ხატითა და კანდელთა მიერ აღსავსეობა,
ინება წარმოდება მისი, და წარმოავლინა ვითარ ათასი მჴედა-
რი, რათა მოაოჴრონ. ხოლო წარვიდეს მთისა გზასა, რომელი
მივალს კარჩხალთა კერძო. გარნა არა დაიდუმა მსჯავრმან ზე-
ნამან, რამეთუ ეგოდენნი წმიდანი მამანი, რომელ მას ჟამსა
ბრწყინვიდეს ოპიზას, სასწაულთა ნიშთა მიერ გაბრწყინვე-
ბულნი და მინდობილნი წინამორბედისა იოანესნი, წარმართ-
თა მიერ მოწყუედილნი, და ჴორჴი იგი, დაუდუმებელი
ღმრთისა ქადაგი, არა უპატიო-ყო ღმერთმან. ამისთჳს დაიცვა
საყოფი თჳსი და მოუვლინა ნისლი და სიბნელე, და ვერღარა
ვიდოდეს ფერჴითა საძაგელითა, რამეთუ მიახლოებულ იყვ-
ნეს უდაბნოსა, და დადგეს მთის მის ძირსა, რომელსა ეწოდე-
ბის ძეგლი, რომელსა ზედა შენ არს ეკლესია წმიდისა გიორ-
გისი, რომელ არს შორის ოპიზას და მიძნაძორს. მაშინ მო-
ხედნა წყალობით სამკჳდრებელსა თჳსსა იოანე ნათლისმცე-
მელმან, მსგავსად ყოვლად უბიწოსა ვლაქერნისა ღმრთისმშო-
ბელისა, და მოავლინა ქარი სასტიკი მთისა ღადოსა და ხორ-
შაკი და სეტყუა და წჳმა მძაფრი, და აღდგეს ღელვანი, ვი-
თარცა შუა ზღუასა და წარმოეცა წყალი მძაფრი, და იქმნა
მდინარე დიდი, რომელი განსწორდა ვიდრე წუერადმდე ძეგ-
ლისა, რომელი აწცა იხილვების დიდი იგი ნალუარევი, რომე-
ლი შთავალს მართალ ზედა წყალსა შავშურსა. მოეტევა წყა-
ლი და წარიხუნა თითარნი სრულიად, კაცი და ცხენი, არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაშთა თჳნიერ კიდე ერთისა კაცისა, და წარვიდა თხრობაჲ თეგუთარისა, ვითარცა იობის ზედა ღაღადისი, ვითარმედ: „სახლი ღმრთისა არს ადგილი იგი, საყოფი მონათა ღმრთისათა, ერიდენით მუნ მისლვად". იდგა მაღალსა არსიანის თავსა და მოვიდეს და რქუეს, ვითარმედ: „მოვიდა ლაშქარი დიდი აბალასი და დადგეს მთასა არტანისასა, და ხვალე მოსლვად არიან აქა". ესმა თეგუთარს და, რა გათენდა, აღყარა ბარგი და დედაწული თჳსი და უკუაყენა მთასა მაგარსა კარისათა, რომელსა ერთკერძო შევალს გზა, და თჳთ ლაშქრითა და მეომრითა გარდმოიარა არსიანი. აქათ სირმონ ჩამოვლო მთა ყუელისა. და მოვიდეს ორნივე თავსა ყუელისასა, სირმონ წინადაუდგა, რომელი იყო ბრძოლათა შინა სახელოვანი, ეგრეთვე მებრძოლნი თეგუთარისნი: სეგზი, ჯოლაქ, აბიშხა, თოლაქ-დემურ, რომელთა დიდად ძლიერი ომი გარდაიჯადეს, და მოსწყდა ორგნითვე ურიცხჳ. და განგრძელდა ომი, იძლია თეგუთარ და ივლტოდა დედაწულისა კერძო, მთასა ღადოსასა ჯნალისთავსა, და მიუდგა უკანა სირმონ, ხოლო თეგუთარ დაუდგა სიმაგრესა მთისა მინდობილი.

და კუალად იქმნა ომი ძლიერი ორ დღე. და ვითარ მისჭირდა თეგუთარს, ივლტოდა უცნაურად, რომელიმე აჭარით და რომელიმე ნიგალისჯევით, რომელი ყოვლად უვალ იყო კაცთაგან. და არა დასაჯერებელ არს კაცთაგან, უკუეთუ ვისმე ეხილნეს მთანი იგი, რომელ წარვლეს, რამეთუ ყოვლად შეუძლებელ არს სლვა კაცისა, არა თუ ცხენისა, პირველ სიმყაფრითა და მერმე ტყისა სიჯშირითა და შქერთა და ეკალთა, რომელსა ბურწუმელ ეწოდების, განრთხმული ბრძამლითა, რომელი ნაღირთაგანცა უვალი იყო ადგილი, რომელი შთავლეს. და იქმნა ესეცა, რომელ განვლეს ტყესა ერთსა, ქუეშეთ კლდიანსა და ზედათ მცირისა მიწისა მქონებელსა, და ზედა მოშენებულ იყო ტყე; გაღმართ განმავალთა წარუსქდა მთა იგი. ვითარცა ზუავი თოვლისა, კაცსა ვითარ ათასსა, დედაწულისა მქონებელსა, და შთავიდა ჯევსა აჭარისასა, და დაიპყრა ცხენი და კაცი და ყოვლად უჩინო-ყო, და ესრეთ საწყალობელად მოისრვოდეს. და ჯერეთცა ადგილსა მას სთხრიან მაჭარელნი და ჰპოებენ სამკაულთა დედათასა ოქროსა და ვეცხლისასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაიარეს აჭარა და ნიგალისჴევი, და მერმე შეიარეს ეფესო-
რია და მივიდეს ქუთათისს მეფესა დავითს წინაშე. ხოლო
იგი სიხარულით მოეგება და სერი დიდი განუმზადა: ხუთასი
ზროხა მოხარშული დაუდვა, თჳნიერ ღორისა და ცხურისა
კიდე, და ლაშქრისა გამოსაზრდელად მასვე დღესა ცხენი
ექუსასი, ზროხა ათასხუთასი, ცხოვარი ორი ათასი, ღორი
ორი ათასი. ესე მას დღესა მოიღო თეგუთარს წინაშე, და მან
განუყო ლაშქართა, რომლისათჳს დიდად განკჳრდეს თეგუთარ
და სპანი მისნი, ხოლო ღჳნის ამარი არა იყო, მოიღეს ურმი-
თა და ჭურითა და აღმოასხმიდეს.

ესრეთ კუალად ისტუმრნა მეფემან დავით, რომელი იყო
უხჳი და მდაბალი, და მეცნიერი ყოვლისა საქმისა, და სახე-
ლისა მომხუეჭელი. ესე, ვითარცა მონა, დაუდგა წინაშე სა-
სამსახუროდ თეგუთარს. ეგრეთვე დედოფალმან, ასულმან
მაღლისა ჴელმწიფისამან, პალიალოღოს კოსტანტინეპოლის
მეფის ასულმან, ამანცა ეგრეთვე პატივ-სცა ცოლსა თეგუთა-
რისსა, და გაუშინაურდეს ურთიერთას და მიენდვნეს და ზე-
დასზედა მივიდის დავით მეფე თეგუთარს წინა და განუჩინის
ყოველივე წესი და რიგი მისი, და ესრეთ იყოფოდა წინაშე
მისსა.

და ვითარ შეიქცა სირმონ გამარჯუებული ყაენს აბაღას
წინაშე, მოვიდა კაცი გზათა მცველთა ხუარასნით, ვითარ:
„შეიძრა ულუსი დიდი თურანისა, და ყაენი დიდი ბარახა გა-
მოვიდა ჯეონსა უმრავლითა ლაშქრითა“, რამეთუ ბარახა პაე-
მანსა გამოსრულ იყო, და თეგუთარის გარდახუეწა აუწყეს.
ვითარცა ესმა აბაღას, განკჳრდა, მოუწოდა ყმათა მისთა და
ყოველთა ქართველთა. რამეთუ მეფე დავით შვილის სიკუდი-
ლითა დაუძლურდა, ეგრეთვე წარვიდა ყოვლითა ძალითა მი-
სითა ხუარასნით კერძო, და მივიდეს ბერს და მიერ მინდორსა
ამოსისასა, დაეახლნეს ურთიერთას. წარავლინნეს მეფე და
სპანი მისნი წინათ, რათა დაიცვნენ ლაშქარნი მისნი დასხმი-
საგან ბარახასა და ულუსი და სპა მისი განიცადოს. და სხუა-
ნიცა ნოინნი წარგზავნა წინაწარსლვად, ვითარ ოთხსა გინა
ხუთსა მილიონსა. ამცნო, რა იხილონ სპა ბარახასი, რომელი
მათვე შემოეყენა, გარეუკუნიქცეს. ამათ წინა შორს მდგომთა
ყარაულად უწყოდიან ენითა მათითა.

და წარვიდა მეფე და ყარაულნი თათართანი აბაღასნი, და

ვითარ ვლეს ორი დღე, დადგეს ადგილსა ერთსა მიმწუხრი, და, ცისკარი რა მოეახლა, იხილეს მტუერი დიდი ამოსის მინ-დორსა ამაღლებული ვითარ ღრუბელი. ცნეს, ვითარმედ ბა-რაახასი და სპისა მისისა არს. აეკაზმნეს მეფე და სიქდურ, და ენება სიქდურს გარეუკუნქცევად ბრძანებისაებრ აბაღასა, და რქუა მეფესა: „ჩუენ ყარაულნი ვართ, და ლაშქართაგან მცი-რედნი, და, აჰა, განგვცდიან ლაშქარნი, და წარვიდეთ ყაენს წინაშე და ვაცნობოთ მოსლვა მისი“. ხოლო მეფემან რქუა: „არა არს წესი ჩუენ ქართველთა უკუე, რა ვიხილოთ მტერი, ჩუენ კერძო მომავალი, შეუბმელად ზურგი შემოვაქციოთ, და-დათუ იყოს სიკუდილი“. ვითარცა ესმა თათართა, განკვრდეს და განწყრეს, და ზედამოუჯდეს მეფესა და ეტყოდეს: „არა იცი, რასა იქმ! არა გაქუს ბრძანება აბაღასი, უმისოდ შებმა დიდისა ყაენისა. თქუენ, ქართველნი, უცნობონი ხართ და არა იცით საქმე“. და მრავალსა ევედრებოდეს მეფესა და ყოველ-თა სპათა მისთა, და ბოროტს-ყოფასაცა აქადებდეს აბაღას მიერ, გარნა ვერ არწმუნეს უკუნქცევა. მაშინ წარავლინეს მსწრაფლ კაცი ყაენს წინაშე და აცნობეს: „აჰა, მოვიდა ბარაახა დიდითა ლაშქრითა და ჩუენ ვხედავთ მტუერსა დიდსა, ამოსისა მინ-დორსა სრულიად მტუერითა დაბნელებულსა, და ჩუენ ბრძა-ნებისაებრ თქუენისა გუნებავს გარეშეექცევა და წინაშე შენსა მოსლვა, გარნა ქართველნი უცნობოქმნილნი არა მოვლენ ჩუენ თანა, ამას იტყჳან, ვითარმედ: „არა გუაქუს ჩუეულება, რათამცა მტერი თუალითა ვნახოთ და გარეშევიქცეთ“. აწ არა თუ შენ, ყაენი, მოხვალ და შენ განაგებ, ჩუენ განგვწირავს თავნი ჩუენნი სიკუდილად. და ისწრაფე შეწევნად ჩუენდა“.

ვითარ მოიწია მოციქული და ესმა მოსლვა ბარაახასი და ყარაულთაგან არა მორიდება, განკვრდა და მსწრაფლ ამჯედ-რდა სპითა მისითა, და წარისწრაფა და მიესწრა რაზმწყო-ბილთა და მოიყვანა მეფე და რქუა: „ვიცი სიმჯნე თქუენი ბრძოლათა შინა. თქუენ, ქართველნი, ურჩნი ხართ და შმაგნი. უკუეთუმცა ნოინს რომელსამცა ექმნა, მო-მცა-ვკალ. ამისთჳს არა ბრალუელ-გყო, რამეთუ უმეცარნი ხართ წესისა ჩუენი-სანი. აწ დადეგ წინათ ლაშქრითა შენითა“. ხოლო მეფე გარ-დაჯდა ცხენისაგან, თაყუანი-სცა და რქუა: „დიდო ყაენო, არა არს ჩუეულება ქართველისა, რათა მტერი იხილოს და ზურგი

შემოიქცეოს. აწ ბედნიერმან თუალმან ყაენისმან გვხილ
რომელ დავდგათ თავი ჩუენი სიკუდილად".

და წარვიდა მეფე და დაეწესა წინა კერძო. ხოლო დიდი
იგი და მჭნე აბათა ნოინ, რომელი იყო მჭედართმთავარი, რო-
მელ არს ამირსპასალარი, მარცხენასა მჭარსა, სირმონცა, დი-
დი იგი ბუღცა მარცხენითვე; სიქდურ, ტოღან-ბუღა, ჯინი-
ლის, არღუნ-აღა და იას-ბუღა მარჯუენით, და სხუანი ნოინე-
ბი გააყენეს მარჯუენით და მარცხენით. ეგრეთვე რაზმწყობი-
ლი ბარახა მოიწია.

მაშინ გამოჩნდა კაცი ერთი, სახელით ალინაყ, ასისა კა-
ცისა თავადი და არა საჩინოსა გუარისა, არამედ ტანითა დიდი
და ახოვანი, ძლიერი ძალითა და უშიში მჭნედ, და ალმატებუ-
ლი სიტურფითა, ჰაეროვანი და შუენიერი. ამან ითხოვა აბა-
თა ნოინისაგან, რათა ფარმანი მისცეს წინამბრძოლობისა,
ოდესცა სთხდეს. და მისცა სათხოველი ესე აბათა ნოინმან. და
ამას შინა მოეახლნეს ორნივე სპანი ურთიერთას, და იქმნა
ომი დიდი და საშინელი. ამან ზემოჯსენებულმან ალინაყ წი-
ნაშეუტივა რაზმსა მათსა, და განაპო და განვიდა რაზმსა მათ-
სა ყოვლითა მოყუსითა მისითა, შეკრბა და იწყო თქუმად ალა
ალასა, და მოიქცა და კუალად განხეთქა რაზმი მათი და გა-
მოვიდა აქათ. და მეორედ კუალად მიმართა, დაფრიწა რაზმი
და განვიდა იქით და იწყო თქუმად ალა ალასა. ხოლო ქარ-
თველთა ძლიერად იწყეს ომი, რამეთუ თჳთ ხედვიდა ყაენი,
რომელ წინამდგომთასა მეფემან და სპათა მისთა უწინ შეუ-
ტივეს და სივლტოლად მიდრიკნეს. ეგრეთვე აბათა ნოინმან
ძლიერად იღუაწა ესეოდენ, რომელ ოჭანსა შინა ომისასა სრუ-
ლიად შეჭურვილი კაცი აღიღო უნაგირისაგან და ტახტასა
თჳსსა შემოიდვა, და აქუნდა სრულსა ომსა შინა ჴელთა, ვი-
თარცა არწივსა კაკაბი. ეგრეთვე სირმონ იღუაწა ძლიერად,
და ყოველნი მათკერძონი სივლტოლად მიდრიკეს. ხოლო ბა-
რახა ყაენი შეემთხჳა მარჯუენით აბაღასთა — სიქდურს, ტო-
ღან-ბუღას, ჯინილის და არღუნ-აღას. ესენი მსწრაფლ სივლ-
ტოლად მიდრიკნა ბარახა, ვიდრე მეორე დღე ამათ სდევნიდა,
ხოლო აბაღა ორ დღე მათ სდევნა და ვერც ცხეს რაზმისა
სიგრძისაგან, თუ რა შეემთხჳა. ხოლო ვითარ ცნა ბარახა გაქ-
ცევა და ამოწყუეტა სპათა მისთა, დაბრუნდა, ეგრეთვე აბაღა-
ცა, და შეიმთხჳვნეს კუალად ერთიერთას, და განეწყუნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარ იხილა აბათა ნოინმან ბარახა, აღიღო შუბი და მარტო-
მან მიმართა რაზმსა მათსა, რამეთუ იყო ესე აბათა ნოინი კა-
ცი ტკბილი და სახიერი, და ახოვანი ბეჭითა და მკერდითა,
მსგავსი ლომისა, უშიში, ძლიერი, შემმართებელი და ჰაერო-
ვანი, და სიტურფე-აღმატებული. და ვითარ მიახლდა სპა მისი,
სდევნეს და მოსწყვდნეს სული ურიცხვ და ტყუე-ყვეს, და
ესრეთ განმარჯუებულნი მოვიდეს ურდოთა მათთა შინა.

ხოლო ვითარ იყო ყაენი აბაღა ხუარასანს ბრძოლად ყაე-
ნისა, მაშინ ზემოჯსენებულმან თეგუთარ წარმოავლინა სამხი
მჯედართმთავარნი მისნი დედაწულითა და ბარგითა მათითა,
სახელით სეგზი-ბადურ, და აბიშხა, და თოლაქ-დემურ, და მე-
ოთხე ჯოლაქ. წარმოვიდეს და მოვიდეს, და დადგეს მთასა
ზედა, რომელი აღმოვალს შტოდ კავკასისა, რომელ არს ლიხი,
და ვითარ წარვლეს დასავლით კერძო, რომელსა უწოდენ ღა-
ლოდ, და ამათსა შესაყარსა დემოთისასა, დადგეს თათარნი
ადგილსა, რომელსა ეწოდების ლომისთავი. და მიერ არბევ-
დეს ჯავახეთსა ვიდრე ფარავნამდე. მაშინ მუნ მდგომთა თა-
თართა ჩამოვლეს ეკერისჯევი და განვლეს აწყურს ზედა ფო-
ნი მტკურისა და განვიდეს ჯავახეთს. დახუდა ჯოგი კახა თო-
რელისა, რომელსა აქუნდა პატივად მეფურჭლეთუხუცესობა,
და ყურუმჩის ვისიმე ჯოგი, ათასისა მჯედრისა თავადისა, არა
ალინაყისა შვილისა ყურუმჩისა, არამედ სხჳსა ვისმე. და წარ-
მოიღეს და მომართეს სადგურსა მათსა ლომისთავსა. ესმა ყუ-
რუმჩი-ბადურსა და მოუწოდა კახას თორელსა და დევნა-
უყვეს. ხოლო თეგუთარიანნი განსრულ იყვნეს მტკუარსა, სა-
და მოერთჳს წყალი გურკლისა, და ესენი მივიდეს პირსა
მტკურისასა. რამეთუ იყო სიმრავლე ფრიადი თათართა და
ქართველთა სპისა, მათი რამეთუ მცირედნი იყვნეს, იძიეს
ღონე. თოლაქ-დემურ განვლო მტკუარი ოცდაათითა კაცითა
უგრძნულად, და სხუანი დაუდგეს პირსა მტკუარისასა. თო-
ლად-დემურ აღვლო ჯევი და აღვადა ქედსა, და აღაბა ალამი
რამე სახედ დროშისა, და მოეტევა ჯმითა მაღლითა. და ვითარ
იხილა ყურუმჩი-ბადურ წინათ და უკანაკერძო ლაშქარი,
ბგონა სიმრავლე სპისა მის და შეშინებულ იქმნა და ივლტო-
და მსწრაფულ შეშფოთებული, სადა-იგი სიმრავლე მოიკლა
კაცთა კეთილთა, და ორთა კოხტელთა მიიღეს აღსასრული.
და სამძივარი ცხენმოკლული ცურვით ივლტოდა და აწყუ-

ერს შევიდა. მჴედართმთავარი თათართა ყურუმჩი-ბადური
იკლა, და უწესოდ დაბნეულნი, გზისა მეოტისა ვერდამპყრო-
ბელნი შეივლტოდეს მთად რუგეთისა, ალმართსა ძნელ-სა-
ვალსა, რომელსა ჰქჳან კჳრიკეწმიდა. დაბრუნდეს და გამარ-
ჯჳებულნი მივიდეს ყაენის ძმისა, თეგუთარის, თანა. და ალა-
ღებული თეგუთარ გარდამოვიდა ქართლს და მოაოჴრებდა
ყოველსა ქართლსა.

მაშინ ევედრა ყაენი აბაღა მეფესა დავითს, რუსუდანის
ძესა, რათა არღარა შეეწიოს და არცა შეუშვას თეგუთარ და
ნიჭთა დიდითა აღუთქმიდა. რამეთუ იჭვისა მქონებელი ღა-
ლატისა, თეგუთარის ყმათაგან განცხადებულად მცნობელი,
თჳნიერ თეგუთარის კითხვისა ერჩდა აბაღას დავით მეფე, და
შეკრა გზანი, რომელ არღარა შეისლვებოდა ცხენით, ხოლო
თეგუთარ არა უწყოდა.

და ვითარცა ცნა აბაღა, რამეთუ არღარა შეეწევის მეფე
დავით, — გარნა წერილ არს, ვითარ აფროსინელთა შინა სი-
ტყუა, იტყჳს ვინმე, იბრძოლებოდეს რა ანტიპატროს და ყრმა
კასანდროს მოაკუდინა, — ცნა აბაღა ყაენმან და წარმოავლინა
მჴედართმთავარი მისი სირმონ-ბადური და სხუანი მთავარნი
ნოიონნი, და სპისა სიმრავლე. და მოვიდეს თრიალეთს, და მო-
უწოდეს მეფესა დავითს და სპათა მისთა. რამეთუ მეფე სნე-
ულობდა მას ჟამად, და წარმოავლინა ყოველნი მთავარნი
მისნი სირმონს წინაშე, და შთავიდა სირმონ ქართლად.

და ცნა თეგუთარ მოსლვა სირმონისი, წინაგანაწყო სპა
მისი, და იქმნა ბრძოლა ძლიერი და მოსწყდა ორგნითვე
ურიცხჳ, და ესწრა ღამე და გაიყარნეს. რა გათენდა, განემ-
ზადნეს და განეწყჳნეს ურთიერთას პირისპირ. იქმნა ბრძოლა
ძლიერი, და სპა მეფისა წინამბრძოლობდა. და ვითარ აღერივ-
ნეს ურთიერთას, ივლტოდა სპა თეგუთარისი, მიმოდაიბნივ-
ნეს, მოისრნეს და უჩინო იქმნეს. დარჩა თეგუთარ და ძე მისი
მცირე ულონოქმნულნი, მივიდეს სირმონს თანა, და ევედრა,
რათა ყაენი აბაღა იხილოს მან და ძემან მისმან. ისმინა სირ-
მონ, გარნა დააპატიმრნა და აღიღო ტყუედ დედაწული მისი
და ყოველი სიმდიდრე და ბარგი და საქონელი და ჯოგი, და
მივიდა აბაღას წინაშე, და მიიყვანა თეგუთარ და ძე მისი. ხო-
ლო აბაღა არა ავნო, რამეთუ იყო კაცი მოწყალე და შემნდო-
ბელი, ვითარ ზემორე ვთქჳთ, და წარგზავნა ქუეყანასა ერა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყისასა, და მისცა ათორმეტი კაცი მას და ძესა მისსა. საზრდელი და შესამოსელი უხუად, ქორ-შავარდენი და ავაზა, და განუჩინა სარჩომი, რომელ არა აკლდეს, და მცველნი დაუდგინნა, რათა არღარა გაუშვას მამულსა მისსა. და ესრეთ განსუენებულ იყოფოდა და აღსრულდა.

და ყაენმან აბაღა მრავალნი ნიჭნი და ძღუენი წარავლინა მეფესა დავითს წინა და ქართლს მრავალნი სოფელნი და ატენი მისცნა.

მაშინ წარვიდა ყაენი სიბად და თანაწარიტანა დავით მეფე. დაყო ჟამი ზამთრისა და, ზაფხული მოიწია, წარმოვიდეს. და მგზავრ მომავალსა მეფესა შეედვა სალმობა მუცლისა, და ვითარ მკურნალთა ვერ უძლეს კურნებად, მაშინ ეცედრა ხატსა მას მარტომყოფისასა, და მივიდა მის წინაშე, ვითარ ჩუენულ იყო, რამეთუ პირველ ამისსა მუცლისა სნეულებითა შეჭირობილ იყო და, ვითარ მკუდარი, იდვა უსიტყვოდ, და აღედგინა ხატსა ჯორცშესხმულისა ღმრთისასა. ხოლო აწ არღარა პოვა ლხინება ამისთჳს, რამეთუ მოაკლო ღმრთისმსახურება და იწყო რღუევად საყდართა და შლად. ამისთჳს აღიღო ღმერთმან ჭელი წყალობისა, და პირველ წელთა მოკუდა ძე მისი პირმშო, გიორგი, სიკეთეალმატებული, და აქა მიიცვალა დავითცა მწუხარებითა ძისათა. და ესუა სხუაცა ძე კეთილმოჴსენებული, მჴნე და ქველი, სახელით დიმიტრი, რომელი შემდგომად მეფე იქმნა. ხოლო ამან დავით რა დაასრულა ცხორება, დამარხეს სამარხოსა მეფეთასა მცხეთას. ხოლო თქმულ არს ესეცა, ვითარმედ წამლისა მიერ აღსრულდა, ცოლისა მისისა ესუქანის მიერ მიცემითა წამლისათა, ვითარ სიტყჳსმოქმედი იტყჳს მაკედონელისა მის დიდისა მიდოსით თავმტკივნეულობად მყოფისა და იჴჳსა წამლისასა მიდოს და ანტიპატროს მიერ მიცემისა, ეგრეთვე დავითისდა თქმულ არს ესუქანის მიერ შურისათჳს ბასილი უჯარმელისა, რომელი მოაკუდინა მეფემან უწესოებისათჳს: თანაეყო ბასილი ესუქანს და არა რიდა საწოლსა პატრონისა მეფისასა, და ჩოჴანიცა აღიჴადა და მთავრობა მიიტაცა. ამის უწესოებისათჳს მოიკლა ბასილი.

ვინათგან მოიწია მწუხარება უნუგეშინის-ცემო ყოველთა მკჳდრთა საქართველოსათა, რამეთუ მიიცვალა მეფე დავით, იგლოვეს წესისაებრ, და მრავალი ნიჭი გასცეს ეკლესიათა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საყდართა, გლახაკთა საკსენებლად მისა. გარნა მწუხარე ეყენ-
ნეს მთავარნი, რამეთუ მეფე დიმიტრი ძცირე იყო ლ-
ალ-ედვა მეფობა. ამისთვს უმრავლესნი წარვიდეს და მსახუ-
რებდეს ყაენსა, რამეთუ ვერცა დავით მეფემან წუარეაა
ერისთავნი შიშისათვს ყაენისა.

მაშინ ზემოკსენებულნი ღალღურ და რაჭის ერისთავი, კა-
ხაბერი, შეიზრახნეს ურთიერთას, რათა განუდგენ მეფესა და-
ვითს, რუსუდანის ძეს, და წარვიდეს ყაენს აბალას წინაშე.
და ეზრახნეს ალინაყს ბადურს, რომელი დგის მთათა ჯავახე-
თისათა და მან აცნობა ყაენსა. ხოლო მან ნიჭნი დიდნი აღუთ-
ქუნა. და წარვიდა ღალღურ და კახაბერის ძე. კახაბერი, რო-
მელი იყო თესლით ბოროტი, ვითარ გუაუწყებს წიგნი მეფეთა,
ბალუშისთა და ნათესავთა მისთა. რამეთუ მოიწივნეს ყაენს
წინაშე, შეიწყნარნა, და მოუწოდა სირმონ ნოინსა და რქუა:
„მეფე დავით ესეოდენთა განდგომილებათა იქმს, რამეთუ
მისსა არა კმა იყოფს, და ყოველთა განდგომილთა ჩუენთა
თანაშეეწევის, ვითარ თეგუთაოს და აწ ღალღურს. ხოლო მე
ნიჭნი და პატივნი წინაუყვენ თეგუთაოისთვს და კუალად
ღალღურ შეიწყნარა. აწ მნებავს, რათა შური ვიდოთ მის-
ზედა“. და ესმა კახაბერსა, და წარდგა თუ თქუა: „უკუეთუ ნე-
ბავს ყაენსა შურის-გებად დავით მეფესა ზედა, მე მისთვს
მოსულ ვარ, ვიცნი გზანი შესავალნი, და წარვასხამ ლაშქართა,
და ვგონებ, რომელ მეფე პელთ ვიგდო. და ღალღურცა იცის
გზა და ძალი ქუეყანისა მათისა“.

მაშინ უბრძანა ყაენმან აბალა სირმონ ნოინს, და ალინაყს,
და თაიჩოს, და აბჩის, რათა ილაშქრონ მეფესა დავითს ზედა.
და შეკრბეს სიმრავლე ლაშქრისა სამი ბევრი, და გამოვლეს
თრიალეთი, და გარდავლეს მთა ლიხისა. და ზედადაესხნეს
ქუთათისს აბანოსა შინა მყოფსა მეფესა. და ძლით შეესწრა
ცხენსა, ერთითა კაბითა მარტო ივლტოდა. ხოლო თათართა
მოაოკრეს ეკლესიანი და მრავალი სული ქრისტიანე მოიკლა
და ტყუე იქმნა. და უვნებელად მივიდეს ყაენს წინაშე. ხოლო
მეფე, საკურველებით დაცული ღმრთისა მიერ, განერა. და
ვერ ესწრა მეფე ომსა მათსა, რამეთუ მსწრაფლ უკუნიქცეს
თათარნი.

წელსა მესამესა კუალად წარმოვიდეს სირმონ და ალინაყ
აბალას ბრძანებითა შეპყრობად მეფისა. რამეთუ დაემსტურა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კახაბერსა და არღარა ჰგონებდა მისლვასა თათართასა. დაესხ-
ნეს კუალად, და მეფემან მიჰრიდნა, დ მოაოკრეს ქუეყანანი.
და ვითარ ცნეს შეყრა და ზედამოსლვა მეფისა, ივლტოდეს
თათარნი მსწრაფლ მასვე დღესა ტყეთა და ალაფითა.

ამათ ჟამთა სადუნი მანკაბერდელი განდიდებულ იყო
უმეტეს ყოველთა მთავართა მის ჟამისათა, რამეთუ შეიყუარა
ყაენმან აბაღა, და იწყო ურვად საქმეთა საქართველოსათა,
რამეთუ ასული პატრონისა მისისა, ავაგ ათაბაგისა, შეეედრა
სადუნსა, და ხუაშაქმან ეჯიბობაცა მისცა.

მაშინ შეკრბეს თავადნი ქართველნი და დიდებულნი და
წარიყვანეს მეფისა ძე, დიმიტრი, ურდოსა. და მივიდეს შან-
შეს ძისა ივანეს თანა მანდატურთუხუცესსა. და წარჰყვა
იგიცა ურდოსა. და მიიყვანეს ყაენს წინაშე ურდოს და
უურვეს მეფობა. და ვითარ იხილა ყაენმან დიმიტრი, შეიწყა-
ლა, რამეთუ იყო ქმნულკეთილი და შუენიერი ხილვად. და
მოსცა ყოველი სამეფო თჳნიერ სარგის ჯაყელისა, და წარმოა-
ტანა თანა სადუნი, რომელსა უბოძა მეფემან დიმიტრი ათა-
ბაგობა. და მოვიდა ტფილისს და დასუეს ტახტსა მაჰათა
მათთასა, და აღასრულეს წესი კურთხევისა კათალიკოზმან და
ეპისკოპოზთა და ყოველთა მთავართა საქართველოსათა ჰერე-
თით, კახეთით, სომხეთით, ქართლით და ჯავახეთით და ტაოთ,
რომელნი შეკრებულ იყვნეს. და იყო მადლობა ღმრთისა და
სიხარული დიდი, განცემა გლახაკთა და ობოლთა ზედა, რათა
წარემართოს მეფობა დიმიტრისი, და კეთილად განგება სა-
ქართველოსა.

მათ ჟამთა იწყო ყაენმან აბაღა ბრძოლად მეგვპტელთა
მთავარსა და სულტანსა მისრისასა ფუნდუყადარს, და წარავ-
ლინა სპა ძლიერი და მათ თანა სპა ქართველთა, და აჩინა
მჴედართმთავრად თოდან ვინმე ბადური, ნათესავით სალდუ-
სი, მთავარი გარეთათა, და წარგზავნეს გზასა საბერძნეთით
მომავალსა შამად, და მიუმცნო სულტანსა საბერძნეთისასა
ფარვანას, რამეთუ უწინარეს ამის ჟამისა აღსრულებულ იყო
სულტანი დიდი სალჩუქიანი ყიასდინ, და მონასა მისსა, ფარ-
ვანას, მიეტაცა სულტნობა, და ცოლიცა მისი და ასული რუ-
სუდანისა, გურჯი-ხათუნ, მიეყვანა ცოლად, და მას აქუნდა
ყოველი ბონტო, ასია და კაბადუკია. ამას მიუმცნო ყაენმან,
რათა შეეწიოს სპათა მისთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წარვიდეს სპანი აბალასნი და მივიდეს ფარვანას თანა
და დაიბანაკეს ევხაიტს, რომელ არს ასურასტანი. და ვითარ-
ცა ესმა სულტანსა ფუნდუყადარს მისლვა თათართა, მოუჯდა
სპითა ეგვიპტისათა და ზედადაესხა ჟამსა განთიადისასა, და
იქმნა ძლიერი ბრძოლა, სადა იგი მჯნედ ბრძოლა-უყვეს ქარ-
თველთა, რომელ თათარნი განკჯრდეს. მაშინ თათარი ვინმე,
სახელით მორღულ, მიეტევა მარტო რაზმსა არაბთასა, და გან-
ვლო შიგან და გამოვლო, და მომავალსა ცხენსა მისსა უკანა
ფერჯი მარჯუენა მოჰკუეთა ვინმე ქუემდებარემან კაცმან სა-
ოლავსა ქაჩაჩსა ზედა. იქმნა საქმე საკჯრველი, ივლტოდა სპა
აბალასი და თოდან მოკლულ იქმნა. წარმოვიდა ესე უფერჯო-
თა ცხენითა, სამი დღე და სამი ღამე ვლო. ეგრეთ მოკუდა
ცხენი.

ვითარ ცნა აბალა ამოწყუედა ლაშქართა და უმეტეს ქარ-
თველთა, დაუმძიმდა დიდად, და შეასმინეს სულტანი საბერ-
ძნეთისა ფარვანა, ვითარმედ განზრახვითა მისითა იქმნა მოს-
ლვა სულტნისა ფუნდუყადარისა. ამისთჳს შეიპყრეს ფარვანა,
დაღათუ არა ენება აბალას მოკლვა მისი, არამედ ნოინთა მოა-
კუდინეს ფარვანა, და აღიღეს ყოველი სიმდიდრე მისი, და
აჩინეს საბერძნეთსა ნოინი დიდი და კეთილი, ნათესავი პირ-
ველთა ყაენთა, ონ-ხანისა გუარისა, სახელით ერინჯი. ამას
ჴელთ-უდვეს მთავრობა საბერძნეთისა. და წარუღეს აწყუერი
სამცხეს, რომელი ჰქონდა ფარვანას ცოლეულთაგან, და უბო-
ძეს ჯაყელსა სარგისს და ძესა მისსა, ბექას.

ვითარცა აღიზარდა მეფე დიმიტრი, დაიწყო საურავთა
საქმეთა კეთილგანგებად, რამეთუ იყო ესე დიმიტრი ტანითა
ახოვან, ფერითა ჰაეროვან, შესახედავად ტურფა, თმითა და
წუერითა მწყაზარ, თუალითა გრემან, ბეჭბრტყელ და შეწყო-
ბილ, სამჯედროთა წესითა სრული, ცხენოსანი და მშჯლდოსა-
ნი რჩეული, უხჯ, მოწყალე გლახაკთა, და მდაბალი, რომელ
არა სმენილ არს ნათესავი მეფეთა, გინა სხუათა კაცთა. რამე-
თუ აქუნდა ჩუეულება, აღიღის საფასე და აღდგის ღამე, და
მოვლის ქალაქი, და მოიხილნის გლახაკნი და დავრდომილნი
და ობოლნი, და თჳსითა ჴელითა მისცემდის. და ყოველთა
უწყოდის მოწყალება მეფისა, და გლახაკნი ღამით ფოლოცთა
შინა ვიდოდიან, რათა შემთხჳვნენ მეფესა. ამას თანა მოე-
გო მარხულობა, ღამით ლოცვა და მუჯლთ-ყრა ფრიადი: ათას-

ხუთასი მუჯლი მოაგდის მდაბლად მიწასა ზედა. ესრეთ ყოვ-
ლითურთ განშუენებული იყო, გარნა ესრეთ ჯელთა სადუხი-
სათა იყო, რამეთუ ფრიად განადიდა სადუნი ყაენმან. და
იურვა მეფის დიმიტრისაგან თელავი და ბელაქანი და მრა-
ვალნი ქუეყანანი. და სადუნი კეთილად განაგებდა საქმეთა
საქართველოსათა, რამეთუ დღეთა მისთა არა იქმნებოდა თა-
თართაგან ძალი და უსამართლო, არცა დიდთა ნოინთაგან,
არცა ელჩთაგან. და ესრეთ აღშენდა საქართველო.

მეფემან დაიწყო სიბას წარსვლად, და აღაშენნა ქუეყანანი
მოოჯრებულნი. ამანვე აღაშენა პალატსა შინა მონასტერი
ისანთა, საყოფელად მეტეხთა ღმრთისმშობელისა, და შეამკო
განგებითა დიდითა და შესწირნა სოფელნი და ზუარნი, და
განუჩინა მონაზონთა საზრდელი და სამოსელი, და განაგო
განგებითა კეთილითა. და წარვიდა ურდოსა, და მას შინა ყო-
ფასა მეფისასა სთხოვეს საფასე ურიცხჳ მეფესა განზრახვითა
სადუნისითა. რქუა მეფესა სადუნ: „უკუეთუ მომცე დმანისი,
მე მივსცე საფასე ყაენსა". ისმინა მეფემან და უნებლიედ მის-
ცა დმანისი და მიმდგომი მისი, და უმეტეს განდიდნა სადუნი.
ხოლო ქმნა კეთილიცა საქმე მონასტერთა და გლახაკთა მი-
მართ, რომელ დღეთა ცხოვრებისა მისისათა მან მისცა ყა-
ლანი და მალი ათორმეტთა უდაბნოთა გარეჯისათა და განა-
თავისუფლნა ქუეყანა გარეჯისა, და მსახურებდა მეფესა დი-
მიტრის. განდიდნა დიდად ლაშქრითა და სიმდიდრითა ოქრო-
სა და ვეცხლისათა, და ჯოგისა და ხუასტაგისა არა იყო რი-
ცხჳ, რამეთუ იყო კაცი ესე მშუებელი, კეთილად გამგონე და
ბრძენი, რამეთუ ყაენი აბაღა ისმენდა სიტყუათა მისთა და
დიდი საჰიბ-დივანი; მამული ავაგ ათაბაგისა ამას აქუნდა. და
ასული მისი, ხუაშაქ, მოეყვანა ცოლად საჰიბ-დივანს. ესე სა-
ჰიბ-დივანი განდიდებული იყო ყაენის ულოსგან და სადუნიცა
მისგან განდიდებულ იყო. და ყოველი საბრძანებელი ყაენისა
მისთა ჯელთა შინა იყო და ბრძანებასა მისსა მორჩილებდეს.
და იყიდნა სადუნ მრავალნი ქუეყანანი, და უბოძეს მეფეთა
კარი. და დაჯდა კარსა და მისი მიმდგომი ქუეყანა მოიგერაგა
ახალციხელთაგან და ასული ახალციხელისა ცოლად მოიყვანა.
და საქართველოსა ლაშქართა საქმე და განგება ჯელთუდვა
ყაენმან და დარბაისელნი ქართველნი და სომხითარნი და ჰერ-
კახნი მეფეს წინაშე იყვნენ.

ამათ ჟამთა შინა განდიდნა სამცხის სპასალარი და მეჭურ-ჭლეთუხუცესი სარგის ჯაყელი და ძე მისი, ბექა, რომელნი მთავრობდეს სამცხეს. ხოლო საქმენი სარგისისნი ზემორე აღგვწერია და შემდგომად ვაჯსენოთ ძე მისი, ბექა. იყო ბექა ტანითა ახოვან, ფერითა ჰაეროვან, თმითა და თუალითა გრეემან და შუენიერ, ბეჭითა და მკერდითა სრულ, ძალითა ძლიერ, ომსა შინა მჭნედ მბრძოლი, ცხენთა ზედა მჯნე და მოისარი ნადირთა ჭელოვანი, გონებითა ფრთხილ, მაშენებელი ქუეყანათა, ეკლესიათა და მონასტერთა, და ღმრთისმოსავთა კაცთა პატივის-მცემელი, მლოცავი, რომელ არა დააკლდის ცისკრის ლოცვათა, სამხრად და მწუხრად, ვითარ ტუბიკონი მოსცემდის წესსა ლოცვისასა. ამისთჳს პატივ-სცა ღმერთმან და მეუღლეცა შემსგავსებული მოანიჭა, ლოცვისა, მარხვისა და გლახაკთმოწყალებისა, მონასტერთა და ხატთა პატივისმოყუარე, ობოლთა და ულონოთა აღმზრდელი.

მაშინ დაიპყრა ბექამან ქუეყანა ტასისკარითგან კარნუქალაქამდის, სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი და უმრავლესი ტაო, ვაშლოვანი, ნიგალისჴევი, არტანუჯი, ათორმეტნი უდაბნონი, კოლა, კარნიფოლა და ორნივე არტანნი, და მრავალნი სოფელნი ჯავახეთს. და ესრეთ დღითი დღე განდიდნებოდეს და მსახურებდეს ყაენს აბაღას, და მორჩილობდეს მეფესა დიმიტრის. ხოლო მეფე დიმიტრი წარემატებოდა ღმრთისმსახურებითა და კაცთმოყუარებითა და ყაენი უმეტეს უმატებდა პატივსა მისსა. დაღათუ ჯერეთ ყრმა იყო, არამედ ინებეს და წარავლინეს კაცი პონტოდ მეფისა ბერძენთასა, კომნიანოსისა, რომელი იყო ნათესავად დიდისა კოსტანტინესა, და მოიყვანეს ასული კომნიანოსის, მეფისა ტრაპიზონელისა, დიდებითა და საჭურჭლითა დიდითა, და ქმნეს ქორწილი სამეფოსა წესისაებრ. და შემდგომად მცირედისა ჟამისა მუცლად-იღო დედოფალმან და შვა ძე, და უწოდეს სახელად დავითს, რომელი უკანასკნელ მეფე იქმნა ქართლს.

ამათ ჟამთა კუალად მოვიდა იგივე არღუნ, რომელსა აღერიცხუნეს ყოველნი საბრძანებელნი ყოველთა ყაენთანი, რათა აღთუალოს ქუეყანა და ცნას, ვითარ, რომელი ქუეყანა აოკრდა, გინა აღშენდა. აღთუალა ახლად და ცნა, რამეთუ უმრავლესნი მოოკრებული იყო, უმეტეს ჰერეთი და კახეთი, რამეთუ კამრეჩის ვაკენი მოოკრებულ იყო გამოსლვასა მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათართასა, ოდეს გამოვიდა ყაენი დიდი ბერქა. მაშინ ტფილისს ყოფასა არღუნ ოირადისასა, ეზრახა მეფესა და სთხოვა თამარ, რომელ-იგი მხოლოდ ესუა და რქუა, ვითარმედ: „კეთილად მოჴსენებულმან მამამან შენმან მომცა ასული მისი, დაჲ შენი, სძლად ჩემდა, და ცოლად შვილისა ჩემისა, გარნა იგი ვერ ესწრა. აწ ვითხოვ, რათა არა ულირს-იჩინო ვედრება ჩემი და მომცე დაჲ შენი შვილისათჳს ჩემისა". ვითარ ესმა მეფესა, დაუმძიმდა და დიდსა ჭმუნვასა შთავარდა, და სულითა ტკივნეულითა ეძიებდა ღონესა, და სძაგდა წარმართისა ქორწინებად დაჲ მისი ქრისტესაღმსარებელი, გარნა არა იყო ღონე, რამეთუ მამასა მისსა მიეცა. და მისცეს ცოლად შვილსა არღუნისსა და აღასრულეს წესი ქორწილისა. და წარვიდა არღუნ ურდოსა, ხოლო შვილი მისი დაუტევა მეფისა თანა.

მათ ჟამთა კუალად მიუდგა დედოფალი და შვა ყრმა, და უწოდეს სახელი ვახტანგ.

და კუალად ამათ ჟამთა დამშჳდნა ქუეყანა ლიხთიმერი. და მოიწყო მეფემან დავით, რომელი იყო კაცი პირველ კეთილი და გონიერი, უხჳ, მდაბალი და პურად უმჯობეს უწინარესთა მეფეთა, და იყო მრავალსა მშჳდობასა შინა.

ხოლო რაჭის ერისთავი კახაბერი იყო ქართლს და აქუნდა ქუეყანა ატენისა, და არა პატივი ეპყრა არცა ყაენისა და არცა დიმიტრი მეფისაგან ორგულობისათჳს მეფეთასა. ამისთჳს შეიწრებული ევედრა მეფესა, რათა შეიწყალოს და უბოძოს მამული მისი. ხოლო ტკბილმან და მოწყალემან მეფემან შეიწყალა და შეუნდო ფიცითა მტკიცითა რათა არა აბრალოს პირველი შეცოდება და ეგოს ერთგულებასა ზედა მისსა, და მიუბოძა მამული მისი ყოველი. და კუალად ეგო მამულსა მისსა, რაჭას, ხოლო ვითარ დაყო მცირედი ჟამი, იწყო მათვე მამურ-პაპურთა კუალთა სლვად, და ვითარ ღორი ისწრაფდა მწჳრეთა მიმართ, და ვითარ იქედნე გესლისა დათხევად, გუარისაგან მოაქუნდა ორგულობა. დამვიწყებელმან ფიცთა საშინელთაჰმან იწყო ღალატად მეფეთა და წარავლინა კაცი და წიგნი ალინაყს თანა ათასისთავსა, რომელი იდგის მათთა ჯავახეთისათა და კოლისათა, რათა პირველისაებრ დაესხას მეფესა, და ადვილად ჴელთ-უგდოს მეფე. გარნა უქმ-ყო ღმერთმან ზრახვა მისი, ვითარ აქიტობელისა დავითის მიმართ, და საცნაურ იქმნა წიგნი. ამისთჳს მიეგო მისაგებელი ბოროტი, და სიცრუე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი თხემსა მისსა ზედა დაუჯდა. შეიპყრა მეფემან და ველ თუალი დასწუა, და მერმე ერთი ჴელი და ერთი ფერჴი მოკუეთა, და ორნი შვილნი მისნი მისცნა ექსორიობად, კოსტანტინეპოლს წარგზავნა, რამეთუ დედოფალი, ცოლი მისი, ასული იყო დიდისა პალიალოღოს მეფისა. ხოლო კახაბერი, მცირე ცხოვრებული, განვიდა ცხოვრებისგან და მოკუდა. და მოისპო ყოველი ნათესავი მისი, ბალუაშთა კახაბერის ძეთა, არა დაშთა და აღიჴოცა ნათესავი მისი და საჴსენებელი მათი.

ამასვე ჟამსა ინება ყაენმან ამჴედრება ქუეყანისა ზედა გილანისასა, რამეთუ იგი დაშთომილ იყო ჴელთუგდებელად და არა მორჩილებდეს და არცა ხარაჴასა მოსცემდეს. წარავლინა სპა თათართა და ქართველთა, და მეფე არა წარგზავნა. და აჩინა სპათა უხუცესად სირმონ-ბადური, და წარვიდეს, და შევიდეს გილანსა. და შეკრბეს გილანელნი და წინადაუდგეს სიმაგრეთა შინა. ხოლო ქუეყანა მათი განმაგრებულ იყო ერთ კერძოკლდითა და ტყითა, და გზანი იწრონი, და ერთკერძო ზღუთა. ამათ სიმაგრეთა შინა წინაგანეწყვნეს და იქმნა ბრძოლა ძლიერი. გილანელთა დაასხეს ისარნი, ვითარცა წჳმა. გარდაჴდა სირმონ ცხენისაგან და დაჴდა, და ზურგი შეაქცია მბრძოლთა მისთა, და ყოველნი სპანი მისნი დაქუეითდეს. და ვითარ შემცირდეს ისარნი, ახლტა სირმონ და მიეტევა ვითარცა ვეფხი და მის თანა ქართველნიცა მიეტევნეს მჴნედ, და აოტნეს გილანელნი, და ორნი თითნი მარჯუენისა ჴელისანი დასჭრნეს სირმონს, და დარჩეს სპანი თათარნი და ქართველთანი უვნებელად. და ვითარ იხილნეს სიმაგრენი ქუეყანისანი, რომელ უბრძოლველ იყო და არა ეგო დაპყრობად, წარვიდეს ყაენს აბაღას წინაშე.

ესრეთ დამშჴდნა ქუეყანა და ყოვლით კერძო იწყო მშჴდობა. მოხედნა ღმერთმან წყალობით მოსავთა მისთა, და იყო უხუებაჰურისა და ღჳნისა, და მეფე დიმიტრი განაგებდა სამეფოთა საქმეთა. ვითარ მოიცალეს მცირედ ჭირთაგან, და განისუენებდეს, მიდრკეს გზისაგან საღმრთოსა, იწყეს განდგომად, რამეთუ მეფემან მოიყვანნა სამნი ცოლნი, ეგრეთვე სადუნმან მოიყვანა სამი ცოლი. და მთავართა იწყეს ჴელის შეხებად საყდართა და მონასტერთა, და იწყეს მიტაცებად სოფელთა და აგარაკთა, უმეტეს მესხთა საყდარსა ზედა დიდებულსა აწყუერისასა. დაღათუ ამათ უწესოებათა დიდად ამხი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლებდა ნიკოლოზ კათალიკოზი და ნიკოლოზ მაწყუერელი, ჯუანშერის ძე, და არავინ ყურად-იღებდა სიტყუასა მათსა.

და კუალად სხუანიცა აღმოსცენდებოდეს ბოროტნი, რამეთუ იწყეს ურთიერთას მძლავრებად და მიხუეჭად, და არავინ იპოვებოდა სამართლისმყოფელი, რამეთუ იყო მღდელ-თავარი და მღდელი ლაღ, აძპარტავან, ანგარ, ბოროტისმყოფელ, უწესო. ვითარ განვამრავლოთ სიტყუა, რამეთუ იყვნეს ყოვლით კერძო ბოროტ.

მაშინ მოიწია სამართალი სასჯელი ცოდვათა ჩუენთათჳს, რამეთუ ზემოჯსენებული იგივე არღუნ წარმოემართა სამცხეს ხალვად სარგის ჯაყელისა, რამეთუ დაბერებულ იყო, სენთაგან სიბერისათა დაჯსნილ იყო ყოვლითა ასოთა. შემოვლო სომხითი, ტფილისი და ქართლი მჯედრითა ორითა ბევრითა და დიდად ავნებდა ქუეყანასა, დაღათუ არა ბოროტისმყოფელი, არამედ საზრდელისა ძალით დიდად დასჭირდა ქუეყანასა. და უგრძნულად მივიდა სამცხეს და დადგა აწყუერს. და ცნა სარგის მოსლვა არღუნისი, და მოვიდა მის წინაშე იგი და ძე მისი, ბექა. განკჳრდა ორთავე მოსლვასა, და სარგის წარიტანა ურდოს და ბექა დაუტევა სამცხეს. რამეთუ იყო მეხუთე კჳრიაკე წმიდათა მარხვათა. და რა წარმოვიდეს სამცხით, მოვიდეს სომხითს.

და მოიწია ვნებისა კჳრიაკე და დიდსა ოთხშაბათსა შეიძრა მძაფრად ქუეყანა სამხილებელად უსჯულოებათა ჩუენთათჳს. და კუალად ხუთშაბათსა მცირედ შეიძრა და არავინ გულისჯმა-ყო, რათამცა წყალობად აღეძრა ღმერთი შემნდობელი. და ვითარ მოიწია პარასკევი ვნებისა უფლისა, კუალადცა შეიძრა ქუეყანა, დაყუდდა და არღარა იქმნა. და ვითარ მოიწია შაბათი, და იქმნა სამ ჟამად დღე და ხვალისა დღე ჯერ-იყო სიხარული აღდგომისათჳს უფლისა და ყოველნი მოელოდეს სიხარულსა, ესეოდენ რისხვით მოხედნა ღმერთმან ქუეყანასა, სიმრავლისათჳს უსამართლოებათა ჩუენთასა, რამეთუ საფუძველითურთ შეიძრა ქუეყანა და შეძრწუნდა. რომელ დაიქცეს საყდარნი და მონასტერნი, ეკლესიანი და ციხენი, სახლნი, ნაშენებნი მოოჴრდეს, მთანი და ბორცუნი დაიზულეს, კლდენი სახედ მტუერისა დაიგალნეს. და მიწა განიპო და შავი წყალი, მსგავსი კუპრისა, აღმოიჭრა, ხენი მაღალნი დაეცნიან და ირყეოდიან ძრვასა ქუეყანისასა, რომლისათჳს საყდარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აწყუერისა დაიქცა. რამეთუ ყოვლად წმიდა აწყუერისა
ღმრთისმშობელი, ლიტანიობით შესუენებული, საშუალ საყ-
დრისა ესუენა. გუმბადი ჩამოიჭრა და, ვითარ ქუდი კაცისა,
ესრეთ თავსა დაერქუა, და დარჩა უვნებელად ძლიერებითავე
მისითა. ესე რისხვა საშინელი სამცხესა ოდენ მოიწია, ვიდრე
თვსა ერთისა ჟამთამდე, გარნა სხუაგან არაადა ევნო. მცხე-
თის საყდარიცა დაიქცა, სამცხეს უოიცხვ სული მოსწყდა, და
ყოვლად საყდარი, ეკლესია და ციხე არსად დარჩა დაუქცევა-
რი, იქმნა გლოვა და ტირილი უზომო.

ხოლო ზემოჯსენებული იგი არლუნ-ალა იყო ყაენს წინაშე,
და შეედვა სენი, რომლისა მიერ მოკუდა. და ვითარ ცხა
შვილმან არლუნისმან, წარმოვიდა სახლად დიდად მეფისა და
ცოლი მისი დაუტევა ტფილისს. ხოლო იკმია დამან მეფისა-
მან, თამარ, სივლტოლა მთიულეთს, რამეთუ სძაგდა ვითარ
უსჯულო და წარმართი. მაშინ სადუნმან ცხა, ვითარ არლანა
ნებავს დასა მეფისასა ქმარი, შვილი არლუნისი, დაევაჭრა,
რათა მოჰყიდოს დაჲ მეფისა, და ევედრა ყაენს აბაღას. ხოლო
იგი ერჩდა და მოჰყიდა. და მეფემან მისცა დაჲ თვსი სადუნ-
სა. ესე უწესო ქმნა, რამეთუ სამნი ცოლნი მოიყვანნა სადუნ
თვსად. ამისთვს განწყრა კათალიკოზი ნიკოლოზ, კაცი მოხუ-
ცებული და მართლმკუეთელი, გარნა მძლავრობისაგან სადუ-
ნისა ვერ უძლო განყენებად, არამედ ფრიად შეაჩუენებდა.

მათ ჟამთა შინა საქმისა რასათვსმე განუდგეს თათართა
სარგის და ძე მისი, ბექა, რამეთუ სარგის დაბერებულ
იყო სენითა ფერჯის ტკივილისათა. და ბუღა ნოინის მიერ,
თუალად წოდებულისა, ძმა არუხა წარმოგზავნა მოოჯრებად
სამცხისა. და მოვიდა არუხაცა სპითა ოცი ათასითა. ხოლო
ბექამან მიჰრიდნა მთათა, რომელ არიან შორის გურიასა და
აჭარასა. და მესხნი შევიდეს ციხეთა, ქუაბთა და ტყეთა. და
მოვლო ლაშქარმან სამცხე და ვერარა ავნო. დაყვეს ოცი დღე
და წარვიდეს და დარჩა ქუეყანა მშვდობით.

და ვითარ გარდაჯდა წელიწადი, ინება ყაენმან აბაღა წარ-
სლვა ეგვპტეს, ანუ დაიპყრას და ანუ მოხარკე-ყოს. მოუწო-
და ყოველთა სპათა მისთა და მეფესა დიმიტრის და სპათა
მისთა წარსლვად და ბრძოლად ეგვპტისა სულტნისა, რამე-
თუ მაშინ ფუნდუყადარ მიცვალებულ იყო და სხუა დაეუნა,
რომელსა ეწოდა ხასირ მელიქ. და მოუწოდა ძმასა თვსსა ეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რწამესსა და აჩინა მჯედართმთავრად, და ჴელთ-უგდო ყოველი სპა მისი, და უბრძანა ბრძოლა სულტნისა. მაშინ მანგუ-დემურ მოუწოდა მთავარსა სამცხისასა, ბექასა, რათა წარჰყვეს თანა, ხოლო მან რქუა: „მტერთა ჩემთა სიტყჳთა განწყრა ჩემთჳს ძმა შენი, ყაენი აბაღა, და არუხა წარმოავლინა და მოაოჴრა ქუეყანა ჩემი. ხოლო მე მოვრიდენ არას შეცოდებისათჳს. და აწ მეშინის ყაენისაგან, და თუ შენ ფიცითა მიმინდობ, არა მაბრალოს და ქუეყანა ჩემი და მამული მშჳდობით დაიცვას, მოვალ წინაშე შენსა ლაშქრითა“.

ვითარცა ესმა მანგუ-დემურს, განიხარა და ოქროსა წყლისა შესმითა შეჰფიცა და ყოველი სიმტკიცე აღუთქუა, და მოსცა ბეჭედი, რომელი ეცუა თითსა მისსა, რამეთუ ესე იყო მტკიცე საფიცარი. და აუწყეს მოციქულთა ყოველი ბექასა. მყის მოუწოდა ყოველთა მესხთა და წარემართა მანგუ-დემურს თანა, და მივიდა მის წინაშე. განიხარა ფრიად და პატივნი და ნიჭნი დიდნი უყვნა, და უჩუენა ყაენი აბაღა, რომელმან ფრიად პატივ-სცა და შეიყუარა სიკეთისა მისისათჳს.

და ესრეთ წარვიდეს მისრეთს, და ვლეს მრავალი დღე და მიიწივნეს ერთსა ქალაქსა, რომელსა ერქუა დარბუზაკი. გამოვიდეს მოქალაქენი კარით და იქმნა ომი, სადა-იგი ბექამან და მისთა მყოლთა მესხთა ძლიერად იღუაწეს, უფროს სხუათა. თათართა და ქართველთა შიგან ქალაქსა შესთხინეს, და მესხნი უპირატეს მიეტევნეს. და დასცხრა ღუაწლი ბრძოლისა, მაშინ პატივი დიდი უყო ბექასა შესამოსელთა და ცხენთა საკჳრველთა მინიჭებითა, ეგრეთვე დიდებულთა და აზნაურთა ბექასათა.

აღიყარნეს მიერ და წარვიდეს ეგჳპტის კერძო და მივიდეს ქალაქთა, რომელთა ეწოდების ამასი და ამო, დაიბანაკეს მახლობელად ქალაქთა. და ეცნა სულტანსა ნასირ მელიქს მოსლვა თათართა, წარმოსრულ იყო ყოვლითა ძალითა მისითა, და მოვიდა იგიცა. და ვითარ იხილა მანგუ-დემურ სულტანი და სპა მისი, ამჯედრდა და წინაგანეწყო. ხოლო მეფე დიმიტრი, დაღათუ ჯერეთ არა სრულ იყო დღითა ბრძოლათათჳს, ეგედრა მანგუ-დემურს, რათა წინამბრძოლად განაჩინოს იგი და სპა მისი, რომლისათჳსცა ისმინა. და იქმნა ბრძოლა სასტიკი და ძლიერი, ოდესმე ყოფილთა გარდასრულთა ბრძოლათა უდიდესი. ხოლო ვინათგან უწყოდა სულტანმან წყობა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა შინა მჯნედ წინადაუდგრომლობა მეფისა და სპათა ამისთჳს რჩეული მჯედარი ათორმეტი ათასი თანაიყოლია და წინაშე დაიყენა ორთა თანა მთავართა მჯნეთა, რათა განძლიერებასა და შენივთებასა ბრძოლისასა უკანასკნელ მიმტევებელთა სძლონ და აოტნენ ქართველნი. განძლიერდა ომი და მოსწყდა ორგნითვე ურცხჳ. მაშინ მსწრაფლ ზედამოეტევნეს მეფესა ყარა-სუნღურ და იაყუბ აფრაშ ათორმეტი ათასითა რჩეულითა მჯედრითა და კუალად იქმნა სასტიკობა ესევითარი, რომელ ორასი მჯედარი წინამბრძოლად განეწესნეს მეფესა და სრულიად მოისრნეს თჳნიერ მეფისა და სამთა კაცთასა და ცხენთასა. მოიკლა ყარა-სუნღურისა მიერ შუბითა ჰუნე მეფისა, ხოლო მხილველთა ქართველთა იწყეს ბრძოლა ძლიერად და უმრავლესნი მეგჳპტელნი მოისრნეს, და მეფეცა ცხენმოკლული ძლიერად იბრძოდა. ვითარ იხილა მეფე სიქდურის ძემან, აბაშმან, მყის აღსუა მეფე ჰუნესა თჳსსა. ვითარცა იხილეს ქართველთა ამჯედრება მეფისა, მაშინ ყოველნი აღმჯედრდეს, და მეოტ იქმნეს ყარა-სუნღურ და იაყუბ ათორმეტ ათასთა თჳსთა თანა. ხოლო ლტოლვილ იქმნეს აქათ პირველ ნოინნი და თათარნი, და თჳთ მანგუ-დემურ უკმოიქცა ლტოლვით ყოველთა თანა სპათა მისთა. მაშინ ულონოქმნილთა ქართველთა სივლტოლა იკმიეს. განგებითა ზეგარდმოთა მეფე დაცვულ იქმნა, დაღაცათუ უმრავლესნი ქართველნი მოისრნეს. მოვიდა მანგუ-დემურ და მეფე წინაშე აბაღასა.

ხოლო ნადირობასა და ლაშქართა ყოფისა ამბვისა მომლოდეობასა, აბაღა იხილა თათარი ვინმე ლტოლვილი. ხოლო მან, კითხულმან, ყოველივე ლექსთა მიერ შეწყობითა წარმოუთხრა ენითა მათითა თჳთეულისა მთავრისა ვედრება. ალინაყისთჳს თქუა: „ვითარცა მაღლით მომავალი შავარდენი მოუჯდა“. მანგუ-დემურ ვერძსა მიამსგავსა, სირმონის შვილი ებაგან — მხტომელსა ვეფხსა და იას-ბუღა — მოზუერს, ბუღა — კამბეჩსა, და თიგნა — დედალსა თხასა. ხოლო ქართველთა მეფისათჳს ესრეთ თქუა ენითა მათითა: „თენგრი მეთუ ქაურქურბა, ბუღარ მეთუ ბუილღაჯი“. ესე იგი არს: „ვითა ღმერთი გრგჳნვიდეს, ვითა აქლემი ბულრობდეს“.

ქართველნი ვითარ მოვიდეს ყაენს წინაშე, მეფესა პატივსცა და წარმოავლინა სახიდ თჳსად. და კუალად ეგულებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბაღას წარსლვად და შურისგებად სულტანსა ზედა. მოკუდა ძმა მისი, მანგუ-დემურ, და მცირედისა შემდგომად მოკუდა სადუნი, ათაბაგი. და მიუბოძა მეფემან მამული ძესა მისსა, ხუტლუბულას, და სპასპეტობისა პატივსა აღიყვანა.

ხოლო შემდგომად მცირედისა მოკუდა აბაღაცა, და დასუეს ნოინთა ყაენად ძმა აბაღასი, აჰმადა, არარა ნიჭთა საკელმწიფოთა მქონებელი. მაშინ წარვიდა მეფე ურდოსა აჰმადას წინაშე, ხოლო მან პატივ-სცა და შეიწყნარა. მაშინ მუნ ყოფასა მეფისასა მისცა ასული თჳსი, რუსუდან, შვილსა დიდისა ბუღასა, რომლისათჳს დიდად განრისხებული ნიკოლოზ კათალიკოზი ფრიად აბრალებდა და ღმრთისა სასჯელთა თუალ-უხუაობასა აქადებდა. რამეთუ მუნ ყოფასა დიმიტრისასა ქმნა ბოროტი აჰმადა ყაენმან, და მომყვანებელმან ძმისა მისისა ყონღარდასმან საბერძნეთით, მოაკუდინა. ორნი ძმანი აბულეთის ძენი, სადუნისგან ლტოლვილნი, ყონღარდას თანა მოაკუდინეს; ხუტლუბუღა, ძემან სადუნისმან, მოაკუდინა.

აქამომდე მეფე დიმიტრი, კეთილად მმართებელი, სკიპტრათა სამეფოთა შემკობილი, და მოწყალებისა და მოსამართლობისა, მონაზონთა და ეკლესიათა, ყოველთა წესთა საღმრთოთა და კაცობრივთა კეთილად ზედამიწევნით მმართებელი, სისრულისაგან მცირედ მიდრკა და აღერია წარმართთა და ისწავნა საქმენი მათნი. უძღებებისა და სიძვისა, გულისსიტყჳსა უკანა შედგომილმან მოიყვანნა სამნი ცოლნი, ერთი ბექას ასული, და სხუა, რომელი დედათა შეაცთუნეს სოლომონისებრ, და ურიცხუთა კეთილთა მიერ აღვსებული, მცირედ სიბოროტედ მიდრკა, რომლისათჳსცა ნიკოლოზ კათალიკოზი განრისხებული უთქმიდავე და ამხილებდა მრავლად, და ვერ არწმუნა. დაუტევა კათალიკოზობა და ჯელითა თჳსითა აკურთხა ჯუარისმტჳრთველი მეფისა აბრაჰამ კათალიკოზად. და წარვიდა მამულად თჳსად მოხუცებული, და მუნ იყოფოდა მრავლითა მოღუაწებითა, მარხვითა, მღჳძარებითა და გლახაკთმოწყალებითა, და სავსე სათნოებათა ტჳრთითა მიიცვალა უფლისა მიმართ.

მათ ჟამთა მოიწია მთაწმიდით ბასილი მონაზონი, ბიძა ევფემიოს კათალიკოზისა, საღმრთოთა წესითა აღსავსე და წინასწარცნობისა მადლითა განბრწყინვებული. მოიწია წინაშე დიმიტრი მეფისა, გამოცხადებითა ყოვლად წმიდისა ღმრთის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობელისათა, ვითარცა მოციქული ძლიერად ამხილებდა
წინააღუდგებოდა მეფესა უწესოსა მისთჳს ქორწინებისა, და
ასწავებდა სიწმიდესა, და მოაჴსენებდა ტაძარ ღმრთისა ყოფა-
სა ჩუენსა, და სხეულთა განუხრწნელობისათა, ხოლო ტაძრი-
სა ღმრთისა განუხრწნელისა სიძვათა შინა სასუფეველისა
ღმრთისა დამკჳდრებასა და უპოვართა მათ უსასყიდლო მარ-
გალიტთა მოპოებასა, ლოცვასა, მარხვასა, გლახაკთ მოწყალე-
ბასა და ლმობიერებასა და უხუებასა, მდინარეთა თანა
მწჳრიანთა და უყიანთა ლიამპალთა არა თანაშერთვად. ამას
ესევითართა სწავლათა ეტყოდა: „უკუეთუ დაუტევნე უწესონი
ქორწინებანი, მე თავს-მდებ გექმნე, რათა კეთილად წარგე-
მართოს მეფობა შენი“. და მთავართაცა ამხილებდა უწესოება-
სა, და უმრავლესთა დაფარულნი გულისა სიტყუანი მიუთხ-
რნის. ესევითარითა სათნოებითა გაბრწყინვებულ იყო სანა-
ტრელი იგი მონაზონი. და ვითარ ვერა არწმუნა მეფესა და
შეურაცხ-ყო სიტყუა მისი, კუალად წარმოუდგა მეფესა და
მთავართა მისთა: „უკუეთუ მე ჩემებით რასმე ვიტყჳ, ვითარცა
ცრუწინასწარმეტყუელი, შემაცთუნებელი კაცისა ღმრთისა,
რომელი მიივლინა რობოამისსა, ძისა ნაბოტიანისსა, და არა
ყოვლად წმიდასა ღმრთისმშობელისა მიერ წარმოვლინებულ
ვარ, ვითარ ცრუდ სჯულისა გარდამავალი შემრაცხეთ. და
უკუეთუ ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა მიერ მოვლინე-
ბულ ვარ სწავლად შენდა, არა ცუდ იქმნენ პირველნი საქმე-
ნი შენნი, ლოცვა და ცრემლნი შენნი. და უკუეთუ არა განეყე-
ნო უწესოთა ქორწილშეყოფათა, და შეურაცხ-ყვნე სიტყუანი
ჩემნი, ბოროტად და უპატიოდ მოიკლა მძლავრთა მიერ, და
ოჴერ იქმნე სამეფოსაგან შენისა, და შვილნი შენნი მიმოდაიბ-
ნინენ, და სხუამან დაიპყრას მეფობა შენი, და იავარ-ყონ სიმ-
დიდრე შენი. აჰა, ესერა, შენ და მთავართა გეტყჳ, და ვესავ
ყოვლად წმიდასა ღმრთისმშობელსა, რომელ სრულ იქმნეს და
აღესრულოს სიტყუა ჩემი, უკუეთუ ეგო უწესოებასა მაგას. მე
აჰა, ესერა, წარვალ“. ხოლო მეფემან განკჳრვებულმან არა
მიუგო სიტყუა, რამეთუ იყო წმიდათა კაცთა პატივის-მცე-
მელი.

ხოლო ამათვე ჟამთა ბრწყინვიდა პიმენ სალოსი, რომელი
გარეჯით წარმოვიდა და დაემკჳდრა ბელაქანსა, ქუაბსა რას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე, რომელმან ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცივნა, რომელნი ჰგიან სარწმუნოებასა ქრისტესა. ამას თანა ბრწყინვიდა დიდიცა იგი მოღუაწე ანტონი ნაოკრებელის ძე, ნათესავით მესხი.

ხოლო ჩუენ ზემოჯსენებულისა აჰმადის მიმართ აღვიდეთ. ვინათგან მოაკუდინა აჰმადა ძმა თჳსი, ყონღარდა, იხილეს უწესოება აჰმადასი ნოინთა ხუარასანს მდგომთა, განდგეს და დასუეს ყაენად ძე აბაღა ყაენისა, სახელით არღუნ. ვითარ ცნა ესე აჰმადა ყაენმან, შეკრიბა სპა მისი, და მოუწოდა მეფესა და სპასა მისსა, რათა წარჰყვეს ხუარასანს ბრძოლად არღუნ ყაენისა. და წარვიდა მეფე და თანაწარიტანა ყოველი ძალი მისი, და მანდატურთუხუცესი, დიდისა შანშეს ძე, ივანე, და სადუნის ძე, ხუტლუბუღა ამირსპასალარი. და წარემართნეს და განვლეს ერაყი, და მივიდეს საზღვარსა არღუნისსა. ვითარ იხილა არღუნ სიმრავლე ლაშქრისა, ვერ წინააღუდგა, არამედ ივლტოდა და შევიდა ციხესა ქალასად წოდებულსა, რომელსა უკანა მიუდგა ყაენი აჰმადა, და მოიცვა ციხე ქალასი. ვითარ უღონო იქმნა არღუნ, ეგედრა, რათა არა აბრალოს და შეუნდოს, და მოსცეს ფიცი, და მივიდეს წინაშე მისსა. და ისმინა აჰმადა და მისცა ფიცი უვნებლობისა, რამეთუ სპარსთა სჯული აეღო აჰმადას. და გამოვიდა არღუნ ციხით, და მოვიდა ბიძასა მისსა წინაშე, და ესრეთ წარემართნეს. ხოლო ვითარ ვიდოდეს ხუარასანს, შეკრბეს სპანი ვინმე უწესონი და ცუდნი კაცნი და მტერნი ქრისტიანეთანი, რომელ ქრისტიანის კაცის სიკუდილი დიდად ღუაწლად უჩნდის, რამეთუ უღმრთოსა მის მოჰამედის მოძღურება ესრეთ იყო, რომელი დაეწერა ცუდი სიტყუა წიგნსა მისსა ყურანსა შინა, ვითარმედ: „უკუეთუ მოჰკლათ ქრისტიანე, სამოთხეს შესლვად ხართ, და უკუეთუ მათგან მოიკლათ, მაშინცა შესლვად ხართ“. ამისთჳს უღმრთო იგი კრებული ჯიმრთა შეკრბა და, სადაცა პოებდეს ქართველსა, ერთსა გინა ორსა, მოკლვიდიან.

ცნა ესე სურამელის ბეგას შვილმან, რატი, რამეთუ ყრმა იყო, და წარვიდა სამოციოთა კაციოთა, და პოვნა მთასა რასამე მაგარსა შინა მყოფნი კაცი სამასი ოდენ. ზედამიეტევა და იქმნა ბრძოლა ფიცხელი. და პირველსავე შეკრებასა მეოტ იქმნეს და უმრავლესი მათი მოსწყდა, სხუანი მოიყვანნა წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაშე მეფისა, რომლისათჳსცა დიდად პატივ-სცა მეფემან მრავალი ნიჭი უბოძა. და მიერ წარმოვიდეს და მოიწივნეს ჰერესა და ყაზვინსა, და ყაენმან დიდად დაუმადლა მეფესა თანხლება ხუარასანს, და პატივიცა უყო დიდი, და ყოველი მთავარნი საქართველოსანი მოსცნა. და ყაენი შინა წარვიდა, რათა მივიდეს ცოლთა თანა გამარჯუებული. მეფე თანაწ�-მოიტანა, ნოლო ძმისწული მისი, არღუნ, დაუტევა ჰერესა, და ნოინი ყოველი დაუტევნა არღუნს თანა, და დავედრა ალინაყს და სხუათა ნოინთა, რათა მცირენი დღენი დაყვნენ და მერმე მოაკუდინონ არღუნ. და იყვნეს ნოინნი არღუნს თანა, და ქმნეს განზრახვა დიდმა ბუღა და იას-ბუღა, ნათესავით ოირადთა მთავარმან, რათა აბაღას შვილი, არღუნ, ყაენად დასუან და აჰმადა მოაკუდინონ, რომელ ყოესცა. მსწრაფლ მივიდეს ღამით და გამოიყვანეს ალინაყ, კარავსა შინა მწოლი, და მოაკუდინეს. და ვითარ განთენდა, არღუნ ყაენად ქადაგეს, და წარმოვიდეს დევნად აჰმადისა. ხოლო იგი მოვიდა ურდოთა შინა მისთა უჟანს, მოეწივნეს და საბლითა მოაშთვეს.

ხოლო მეფესა დიმიტრის პირველივე მიუმცნეს, რათა გაწეყენოს აჰმადას, და ყოცა მეფემან და მობრუნდა, და მოვიდა ყაენს არღუნს წინაშე. ხოლო მან კეთილად შეიწყნარა და მოსცა ყოველი სამეფო მისი და სახლი ავაგ ათაბაგისა, რომელი აქუნდა საჰიბ-დივანს, რამეთუ ყაენი ჴელთა შინა ბუღასათა იყო, და ბუღა მოყუარეცა იყო და მზახალი მეფისა. და წარვიდა შინა მშჳდობით, განმარჯუებული, და წარავლინა ძე მისი, დავით მცირე, სახლსა ზედა ათაბაგისასა, რათა მუნ იზრდებოდეს და აქუნდეს საუფლისწულოდ. და ესრეთ დღითი დღე წარემატებოდეს მეფობასა მისსა, და კათალიკოზი აბრაჰამ კეთილად მართებდა საჭეთა კათოლიკე ეკლესიისათა, რამეთუ იყო კაცი ესე მართლმოქმედი კეთილთა საქმეთა, და საურავთა სამეფოთა გამგე კეთილი.

ხოლო მეფესა დიმიტრის ესხნეს შვილნი დედოფალსა ტრაპიზონელისა ასულსა თანა, პირმშო დავით, ვახტანგ, ლაშა და მანოველ, და ასული რუსუდან. ხოლო თათრის ასულსა თანა ძენი ორნი: ბაიდუ და იადგარ, ასული ჯიგდა. ხოლო ასულმან ბექასამან ნათელ უშვა ძე მხოლო გიორგი, რომელი უკანასკნელ ძმათა მისთა მეფე იქმნა და განდიდნა უმეტეს შემდგომთა მეფეთა, რამეთუ მარტო იყო ძე დედისა, მარტო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შვა დედამან, ვითარცა მარგალიტისათჳს თქმულ არს მარტო-
ება უმჯობესისათჳს, ეგრეთვე გიორგი იპოვა უმჯობესი ყო-
ველთა კაცთა მის ჟამისათა, არა ოდენ ჴელმწიფეთა, არამედ
ყოველთა კაცთა. ამან დიმიტრი მოიგო სიმდიდრე დიდად და-
ი სიმდიდრესავე ზედა, რომელ დაშთომოდა მამისა მისისა-
გან, და მსახურებდა ყაენსა არღუნს, რამეთუ თანაშეეწეოდა
ნოინი დიდი ბუღა, რომელსა პატივად ჩინქიშანობა მისცა ყა-
ენმან, რომელი ყოველთა პატივთა უმეტეს არს.

მაშინ განუდგეს ყაენსა დარუბანდელნი და წარვიდა ყაე-
ნი დარუბანდს, მოუწოდა მეფესა დიმიტრის, და წარჰყვა და
შევიდეს დარუბანდს და ვერ წინააღუდგეს დარუბანდელნი,
და ივლტოდეს სიმაგრესა ციხისასა, რომელსა ანიყად უწოდ-
დეს, და გარემოადგეს, და ვერა ავნეს რა. მაშინ ყაენმან არ-
ღუნ უბრძანა მეფესა, რათა ებრძოლოს, რამეთუ იყო ფრიად
მაგარი. აღიჭურა მეფე და სპა მისი, და გარეშეეხჳვნეს და
შეუჴდეს ციხესა, რამეთუ ბეგას შვილი რატი უპირველეს
გავიდა, და წარუღეს ციხე და თავადნი მათნი დაჴოცნეს, და
წარმოიღეს ტყუე და განძი და დედაწული მათი, და ციხე
დაწუეს. ყოველსა ხედვიდა ყაენი. თჳთ მეფისა აქუნდა ბტე-
რობა, სთხოვა ჴაჭჳ სახელოვანი და მსწრაფლ მიანიჭა მეფე-
მან, და წარმოვიდეს შინა.

და ვითარცა გარდაჴდეს ჟამნი მრავალნი, და რაჟამს წე-
ლიწდისა თავი მოიწევის, რომელსა ურდსინგად უწოდდეს,
რომელ არს ენითა მათითა, რომელი იქმნების მარტსა ათხუთ-
მეტსა, მიავლინა ყაენმან ნოინნი და დაესხნეს ბუღას და შე-
იპყრეს, და აღიღეს ყოველი სიმდიდრე მისი, და მოიყვანეს
წინაშე ყაენისა და მან მსწრაფლ ბრძანა განუკითხავად მოკ-
ლვა მისი და ძისა მისისა. და მოაკუდინეს ბუღა და ყოველნი
ნათესავნი მისნი. წარავლინეს ყოველგან კაცი, საბერძნეთს,
შამს და ხუარასანს, და მრავალნი დიდნი ნოინნი მოსწყჳდნეს.
და ესრეთ შეიქმნა კლვა და მოსრვა ნოინთა.

და წარმოავლინა ელჩი მეფისა მჴმობელმან ყაენმან და
აწჳა ურდოსა მეფე. ხოლო ვითარ ცნა სიკუდილი ბუღასი
მეფემან, დაუშძიმდა დიდად. და მოუწოდა მეფემან კათალი-
კოზსა აბრაჰამს და ეპისკოპოზთა, და მონასტერთა და უდაბ-
ნოთა გარეჯისათა მღდელმონაზონთა, და ყოველთა მთავარ-
თა სამეფოსა მისისათა, შემოკრბეს მის წინაშე, და დაჴდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტახტსა ზედა და დასხდეს ყოველნი. და აღაღო მეფემან პირი-
თვსი და ბრძანა: „ისმინეთ ჩემი ყოველთა კათალიკოზთა და
ეპისკოპოზთა, და წარჩინებულთა სამეფოსა ჩემისათა. ვითარ-
მედ შეისუენა მამამან ჩემმან, დავშთი ყრმა მცირე მძლავრო-
ბასა შინა თათართასა. და ღმერთმან ყოვლისა მპყრობელმან
და უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან, და ყოვლად წმიდამან
ღმრთისმშობელმან, რომლისა ნაწილადცა ვართ, და ჯუარმან
პატიოსანმან, რომელი მოგუენიჭა ჩუენ, მეფეთა, დამიცვა და
მიმაწია ასაკად სისრულისა, და მომმადლა მეფობა, სკიპტრა
და პორფირი მეფობისა, და თანადგომითა თქუენითა. წარ-
ვმართე მეფობა, და აქამომდე მშჯდობით ჰგიეს სამეფო ჩემი.
აწ განრისხებულ არს ყაენი, და ყოველი მთავარი მისი მოუ-
წყუედიან, და აწ მე მიწოდს წინაშე მისსა. ვგონებ ბოროტის-
ყოფასა, თუ არა წარვიდე ურდოსა და წარვიდე მთიულეთს,
სიმაგრეთა შინა, და დავიცვა თავი ჩემი. და, აჰა, ყოველი სა-
მეფო ჩემი წინაშე მათსა ძეს. იხილეთ, რავდენი სული ქრის-
ტიანე სიკუდილსა მიეცემის და ტყუე იქმნების, და ეკლესიანი
შეიგინებიან და მოოჴრდებიან, ხატნი და ჯუარნი დაიმუსრ-
ვიან. და უკუეთუ წარვიდე ყაენს წინაშე, დასტურობით უწყი-
მომკლავს. და აწ სიბრძნითა თქუენითა განაგეთ საქმე ესე.
მე ესრეთ ვგონებ: მრავალმღელვარე არს საწუთო ესე, და-
უდგრომელ და წარმავალ, დღენი ჩუენნი სიზმრებრ და აჩრ-
დილებრ წარვლენ, და უნებელ და მსწრაფლ თანაგუაც წარს-
ლვა სოფლის ამისგან. რა სარგებელ არს ცხორება ჩემი, უკუე-
თუ ჩემთვს მრავალი სული მოკუდეს და მე, ტჳრთმძიმე,
ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისგან. აწ მნებავს, რათა წარ-
ვიდე ყაენს წინაშე, და იყოს ნება ღმრთისა. უკუეთუ მე მომ-
კლან, ვგონებ, რომე ქუეყანა უვნებელად დარჩეს“.

ვითარ ესმა კათალიკოზთა და ეპისკოპოზთა, და მოძღუარ-
თა და მთავართა, განკვირდეს, თუ ვითარ დადვა მეფემან სუ-
ლი თვსი ერისა მისისათვს, და ესრეთ პასუხი უგეს: „არა არს
ნაცვალი შენი, მეფეო. გაშოროს ღმერთმან მოკლვა თათარ-
თაგან. მოოჴრდეს ქუეყანა და შვილნი შენნი მიმოდაიბნე-
ვიან. თუ ქუეყანაცა დაშთების, რა არს ნაცვალი შენი? აწ
გეზრახებით, რათა წარხვიდე სიმაგრეთა მთიულეთისათა, ანუ
აფხაზთასა, ვითარ ქმნა მამამან შენმან. და არა საჭირო არს

ეროვნული ბიბლიოთეკა

განწირვა თავისა შენისა შენგან. ჩუენ ყოველნი მტკიცედ ვჰგიეთ ერთგულებასა".

ვითარცა ესმა მეფესა, თქუა: „თქუენ ერთგულებისა და სიყუარულისა ჩემისათჳს იტყჳთ, გარნა მეწყალის უბრალო ერი, ვითარცა ცხოვარნი კლვად ულონო არიან და არასადა აქუნ ნუგეშინის-ცემა. მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისათჳს ჩემისა და არა დავიშლი ურდოსა წასლვას". მაშინ განკჳრვებულნი ყოველნი აღდგეს და რქუა აბრაჰამ კათალიკოზმან: „არა არს საქმე, მეფეო, განწირვა სულისა შენისა, რამეთუ მრავალთა მეფეთა მიურიდნია და დაუცავს თავი თჳსი. აწ თუ შენ დასდებ სულსა შენსა ერისათჳს, ჩუენ, ყოველნი ეპისკოპოზნი, ვიტჳრთავთ ცოდვათა შენთა, არამედ წინაშე ღმრთისა ვწამებთ, მოწამეთა თანა შერაცხილ იქმნე, ვითარცა უფალი სახარებასა შინა ბრძანებს: „უფროს ამისსა სიყუარული არა არს, რათა დადვას კაცმან სული თჳსი მოყუსისათჳს". და უკუეთუ ერთისა მოყუსისათჳს სულისა დადება კეთილ არს, რავდენ ურიცხუთა სულთა ცხოვნება ეგოდენ სარგებელ არს".

ვითარცა ესმნეს მეფესა კათალიკოზისაგან, განიხარა და დაასკუნა წარსლვა ურდოსა დიდითა დიდებითა და საჭურჭლითა, და თანაწარჰყვა კათალიკოზი აბრაჰამ. და გაუჩინა შვილთა საყოფელი. ყოველთა მთავართა, რომელნი არა თანაწარჰყვნეს, შეეედრნა შვილნი მისნი, და წარგზავნა რომელნიმე მთიულეთს და რომელნიმე — კახეთს. ხოლო ყრმა მცირე გიორგი წარგზავნა ტაოს, იშხანის ციხესა, ასპარაშენს, და თჳთ წარვიდეს ურდოსა. და ვითარ მივიდა ქუეყანასა ხუაშაქისა, ავაგის ასულისა, მუნ დახუდა ძე მისი, დავით, რომელი იგიცა წარიტანა, ამისთჳს რომელ უეჭუელ იქმნას ყაენი და ჰგონოს ერთგულება მისი.

ვითარ ვლეს მცირედ და მიეახლნეს ურდოსა, ჰგონა ყაენმან მეფისა არმისლვა, წარმოავლინა ნოინი ერთი, სახელით თუქალ, ძე ზემოჳსენებულისა იას-ბულასი, რათა მოიყვანოს მეფე. მგზავრ მიმავალსა მეფესა წინადაემთხჳა, რომელმან მყის აღიღო ყოველი ბარგი და სიმდიდრე მისი, და მეფე პყრობილ-ყო და მიიყვანჳ ყაენს არღუნს წინაშე. ხოლო მანცა პყრობილ-ყო და განიზრახვიდა ყაენი, უკუეთუ ბოროტი უყოს მეფესა, არღარავინ არს ღირსი მეფობისა, და თუ არა ბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როტი შეამთხუოს, ვითარ განუტეოს მიმდგომი და მზარეული ბულასი.

ხოლო რქუა ხუტლუბუღა ყაენს: „ნუ იურვი მაგას, რამეთუ მე მოვიყვანო შვილი აფხაზთა მეფისა დავითისი, სახელით ვახტანგ, და მას მიუბოძე მეფობა, რომელ ორივე სამეფო ბრძანებასა შეხსა მორჩილებდეს". სთნდა ყაენსა სიტყუა ესე და წარავლინა ხუტლუბუღა იმერით დავით მეფისა წინაშე, უქადა ძესა მისსა მეფობა და დაჲ მისი, ოლჯათ, ცოლად.

და ვითარ წარვიდა ხუტლუბუღა, ჰკითხეს მეფესა დიმიტრის, რათა აღწეროს ყოველი სიმდიდრე მისი, საჭურჭლე, ზროხა და ცხოვარი, და ყოველი საქონელი მისი. რამეთუ პყრობილ იყო თჳთ მეფე და მთავარნი მისნი, თჳნიერ აბრაჰამ კათალიკოზისაგან კიდე. და არღარა იყო ღონე, აღწერა, რაცა აქუნდა, სიმდიდრე ფრიადი. წარმოგზავნეს კაცი და წარიღეს ყოველი, არარა დაშთა, რამეთუ მოქალაქეთაცა უწყოდეს საგანძური მეფისანი და შინაგამცემელ იქმნეს. ხოლო იტყჳან ამასცა, ხოჯა-აზიზის შვილი, რომლისა მამა მოეკლა მეფესა დავითს, ხუტლუბუღა და იგი, — ორნივე — მტეროობად შეითქუნეს მეფისა. და მივიდა ყაენს წინაშე საჭურჭლე მეფისა, და განკჳრდა და მცირედ დასცხრა გულისწყრომისაგან, და არღა ეგრე გონებდა ბოროტისა ყოფასა. და ვითარ იხილეს ვაზირთა მეფისათა ფლობილთა, რქუეს: „აჰა, თავი შენი ჴელთა შენთა შინა არს. ღამით მოიდგინენ ცხენნი მორბედნი და წარვედ, და განერე ჴელთაგან ამათთა, რამეთუ არა არს ნაცვალი სულისა შენისა". რქუა მეფემან: „ისმინეთ ჩემი. პირველვე უწყოდე სიკუდილი ჩემი, და დავდევ თავი ჩემი და სული ჩემი ერისათჳის ჩემისა. ხოლო აწ თუ წარვიდე, უბრალო ერი მოისრას. რა სარგებელ არს, უკუეთუ ყოველი სოფელი შევიძინო და სული წარვიწყმიდო". არა ისმინა განზრახვა მთავართა მისთა.

და მოიწია ხუტლუბუღა ლიხითიმერით და მოაჴსენა ყაენს, ვითარმედ: „დავით მეფე წარმოავლენს ძესა თჳსსა მსახურებად შენდა და სპათა აფხაზთასა, რათა გმსახურებდენ". ცნა ყაენმან, კუალად დააპატიმრეს მეფე დიმიტრი, და ვითარ გარდაჴდა ორი დღე, კუალად შეიპყრეს მეფე და ძე მისი, მცირე ყრმა დავით, ცალკე. და წარჰყვა თანა მღვდელმონაზონი გაზრდილი მისი, მოსე. და არგნითა სცეს მეფესა, და ეგონა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოველთა არღარა მოკლვა მეფისა, რამეთუ წესად აქუნდა, რა არგნითა სციან, არღა მოაკუდინიან. გარნა არა დამშჯდნა გულისწყრომისაგან. წარიყვანეს სამსჯავროსა სახლსა, რომელსა დივანხანად უწოდდეს, და ჰკითხვიდეს, უკუეთუ თანაეწამა განზრახვასა ჩინქიშან ბუღასასა, და ვერა ბრალი პოვეს. და წარვიდა ტოღან ვინმე ნოინი ყაენს წინაშე, რათა არა მოაკუდინოს მეფე, და ვერ აღასრულა სათხოველი მისი. და მოიწივნეს ათორმეტნი მჯედარნი ყაენისანი, რათა წარიყვანონ და სიკუდილსა მისცენ. ცნა სიკუდილი მეფემან, მხიარულითა პირითა მოიკითხვიდა მთავართა საქართველოსათა, რამეთუ ყოველნი მუნ მოსრულ იყვნეს ნუგეშინის-ცემად მეფისა, და ხუტლუბუღაცა მდგომარე იყო. რქუა მეფემან: „უკუეთუ ძალგიც, ყაენს წინაშე შემეწიე სიკუდილსა ამას შინა. თუ არა გნებავს, ძე ჩემი, მცირე დავით, იღუაწე, რათა არა მოიკლას გულისწყრომითა აღსავსისა ყაენისაგან“. ხოლო მან და ყოველთა მთავართა იწყეს ტირილად და განვიდეს გარე. ილოცა და ეზიარა სისხლსა და ჯორცსა მეუფისა ჩუენისა ქრისტეს ღმრთისასა. ეგრეთ აღსუეს ცხენსა და წარიყვანეს, ვითარ მილიონ ერთ და ევედრა მტარვალთა, რათა ილოცოს მცირედ. და ილოცვიდა ცრემლთა მოდინებითა ქუეყანასა ზედა, და მერმე წარუპყრა ქედი. აჰა, დღე საშინელი, ზარისაღსაჯდელი, რომელი იკადრებს ბილწთა ცხებულსა ზედა ღმრთისასა. და წარკუეთეს თავი მეფესა დიმიტრის.

ხოლო გამოჩნდა მასვე ჟამსა პატივი ღმრთისა მიერ ცხებულსა მისსა, რამეთუ მზემან შარავანდედი თჳსი უჩინო-ყო სრულიად, და იქმნა სიბნელე დიდი და ყოველნი წარმართნი განკჳრდეს. იყო ჟამი მეათე და მწუხრამდე შეიმოსა ბნელი, ვითარ-იგი ყოვლისა სოფლისა ცხორებისა ვნებასა მეუფისასა, ეგრეთვე ამის ნეტარისა და საქართველოსათჳს წამებულისა მეფისასა, რათა საცნაურ იქმნეს, რამეთუ პატიოსან არიან ცხებულნი ღმრთისანი. ხოლო იყო მესამე შაბათი წმიდათა მარხვათა და ათორმეტ თჳსა ებრაელთა მიერ ნისანად წოდებული, და ჩუენ მიერ მარტად.

და აღასრულეს გულისწყრომა და არავე დასცხრა გულისწყრომა მათი, რამეთუ შეიპყრეს ყრმაცა დავით და ნოინსა ტოღაჩარს მიჰგუარეს, რომელსა მჯედართმთავრობა აქუნდა. მას ღამესა, მწუხარებასა გულისასა, მოიცვეს ყრმაცა დავით

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარავსა შინა მოსიკუდიდ, გარნა ვერა იკელთეს. დაბრუნდა
განთენდა, განიპარა მოსე მღდელი, რომელი არაოდეს განე-
შორებოდა დავითს, და შევიდა ტოლაჩარს წინაშე და აუწყა:
„მოკლვა სწადის დავითისი". ხოლო იგი აღდგა მსწრაფლ და
წარვიდა ყაენს წინა და რქუა ყრმისა დავითის უბრალოება:
„რად გიკმს შეუცოდარისა ყრმისა მოკლვა? მე მომმადლე". ისმინა და მოსცა, და წარიყვანა სახლსა თჳსსა და შე-
ვედრა ხოჯასა თჳსსა, რომელი უკანასკნელ საჰიბ-დივან იქმნა.

ხოლო გვამი იგი პატიოსანი დიმიტრი მეფისა დაცვეს მრა-
ვალ დღე, რათა არა წარიღონ ქართველთა. და ესრეთ სრულ
იქმნა წინასწართქმული ბასილი მთაწმიდელისა. ხოლო იყვნეს
მრავალნი წარჩინებულნი საქართველოსანი და ვერვინ იკად-
რა წარყვანებად გუამი მეფისა. მაშინ კათალიკოზმან და მოსე
იყიდნეს კაცნი, და მოსეცა თანაწარჰყვა და მოიპარეს ღამით.
მაშინ განგებითა ზეგარდმოთა გამოჩნდეს კაცნი ტფილისელ-
ნი, რომელთა აქუნდა თევზი წარსაღებელად, და თევზთა თანა
იტჳრთეს და მოიყვანეს მცხეთას, და მუნ დამარხეს სამარხო-
სა მამათა მათთასა.

ვითარცა იქმნა ესე, დავით, ძე დიმიტრისი, შეინახა კეთი-
ლად ტოლაჩარ ნოინმან, ხოლო დედოფალი და სხუა ცოლი
მეფისა დამალეს. და სორღალ წარვიდა სახლსა მამისა მისისა
თათარში, ხოლო ასული ბექასი წარვიდა მამისა მისისა თანა
სამცხეს, და ვახტანგ იყო მთიულეთს. ხოლო ყაენმან მისცა
დედოფალსა სარჩოდ სკორეთისჴევი, და ეახლნეს ორნი მცი-
რედნი ძენი: მანოველ და ლაშა. და სორღალს წარჰყვეს ორნი
შვილნი, ბაიდუ და იადგარ, სახლსა მამისა მისისა. და დარჩა
ქუეყანა ესე უმეფოდ.

მოუწოდა ყაენმან ხუტლუბუღას და რქუა: „აჰა, მოვსრენ
ყოველნი მტერნი ჩემნი, და მტერიცა შენი, მეფე დიმიტრი,
და აწ მეფე არღარა არს საქართველოსა შინა. აღმისრულე,
რომელი აღმითქუ, მოიყვანე ძე აფხაზთა მეფისა და იყოს იგი
მეფედ. მაშინ მოგითუალო საქართველო ყოველი და განაგებ-
დი, ვითარ გნებავს". წარვიდა ხუტლუბუღა მეფესა დავითს
წინაშე. და ვითარ იხილა ხუტლუბუღა მეფემან დავით, მოუ-
წოდა სპათა თჳსთა, წარმოემართა და თანაწარმოიტანა ძე
მისი, ვახტანგ, გარდამოვიდეს და დადგეს ტასისკარს, ქვიშხე-
თის მინდორსა. აქათ მოვიდეს სირმონ ნოინის შვილი, ყონჩი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალ, ალინაყის შვილი, ყურუმჩი, რომელი დგის მთათა ჯავა-ხეთისათა, რომელ არიან არტანსა და სამცხეს შუა, და ყოველი დიდებულნი საქართველოსანი შემოკრბეს, და ყვეს ფიცი და სიმტკიცე ერთგულობისა. და მოსცა ძე მისი მეფემან, და მრავალნი თავადნი მისნი თანაწარმოატანნა. და წარმოვიდე მსწრაფლ და მეფე დავით შეიქცა ქუთათისს. და მოიწვიენეს ყაენს არღუნს წინაშე. იხილა ყაენმან ვახტანგ, შეიყუარა სიკეთისა მისისათჳს, რამეთუ იყო ტანითა სრულ, ჰაეროვან, ტკბილ, მოწყალე, სამართლისმოქმედ, უხუ, მდაბალ, ენატკბილ, განმზრახავ კეთილ, ყოვლისა საქმისა მცოდნე. ამას ვახტანგს მოსცა მეფობა ყოვლისა საქართველოსი და დაათჳსი, ოლჯათ, ცოლად, და წარმოგზავნა და მოვიდეს ტფილისს.

და შემოკრბეს კათალიკოზი და ეპისკოპოზნი, და მთავარნი, და დაადგეს გჳრგჳნი მეფობისა, და დასუეს ტახტსა სამეფოსა, და აღასრულეს წესი კურთხევისა. და დაიპყრა ყოველი საქართველო ნიკოფსით დარუბანდამდე, თჳნიერ ჯაყელ-ციხისჯუარელისა ბექასი, და განიხარეს ყოველთა მკჳდრთა საქართველოსათა, რომელ მოეცა ნათესავი მეფეთა პატიოსანი, ღმრთისმოყუარე, ტკბილი და მოსამართლე, ახოვანი და მჯნე, და სამჯედროთა ზნითა აღსავსე. ამან აღიყვანა პატივსა ათაბაგობისასა და ამირსპასალარობისასა ხუტლუბუღა და მიუბოძა ორივე ჴელი და განგება სამეფოთა.

ხოლო დავით დაშთა თათართა შინა ტოღაჩარ ნოინისთა, ჭირთა და იწროებათა შინა, დედოფალი, დედა მათი, დაშთა სკორეთს, და სხუანი ძმანი მათნი მიმოიბნივნეს. ხოლო უმრწამესი ძმა მისი, გიორგი, რომელი უშვა ასულმან ბექასამან, წარიყვანა პაპამან მისმან, ბექამან, და აღზარდა საკჳრველი და უმჯობესი ყოველთა კაცთა, ვითარ ქუემორე სიტყუამან ცხად-ყოს.

და ვითარ გარდაჯდა ორი წელი, შეედვა სალმობა ბოროტი ყაენსა არღუნს, რამეთუ განჯმეს ყოველნი ასონი მისნი და მოლპესცა ჯორცნი და ძუალნი აღმოსცჳვდეს, და განიყარა ყოველი გუამი მისი, და იყო ნახვა მისი უშუერ და საზარელ, და კნინღა მიმსგავსებულ იყო მკუდარსა. ვითარ სწეულობდა არღუნ, ინება ხუტლუბუღა, რათა დავით მეფე-ყოს, და მოდგა მის კერძო და ეცადა ნოინთა წინა, რათა წარუღონ მეფობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგს. ტოლაჩარ თანაშეეწეოდა დავითს და ოვსთა მეფეს ძე, სახელით ფარეჯას, ძლიერად შეეწეოდა დავითს. ამისთჳს საპრჭოდცა წარდგეს, თუ რომელსა მართებს მეფობა. ხოლო სხუათა მთავართა ქართველთა არა სთნდა მეფობა დავითისი, მტკიცედ დგეს ერთგულობასა ზედა ვახტანგისსა. ამისთჳს არა მოსცეს მეფობა დავითს, და ადგილ-ადგილ სოფელნი და ქუეყანანი მოსცეს დავითს.

და ვითარ განგრძელდა ზეგარდმო რისხვა არღუნს ზედა, და სენი იგი განგრძელდებოდა ოთხისა თჳსა ჟამთა, განრღუეული თავით ფერჯამდე, მოეწყინა ნოინთა, შეკრბეს და ზედამიეტევნეს, და კარავსა შინა ᲛᲝᲨᲗᲝᲜᲑᲘᲡᲐ მიერ სიკუდილსა მისცეს მასვე დღესა და ჟამსა, რიცხუსა თჳსასა, ათორმეტსა მარტსა, რომელსა შინა პატიოსანი და სანატრელი ცხებული ღმრთისა, მოწამე ბრწყინვალე დიმიტრი, მოიკლა. საცნაური იქმნა: ამისთჳს მოიწია სენი ბოროტი არღუნს ზედა, რომელ დასთხია სისხლი უბრალო მრავალი და იკადრა ნაცვალსა ღმრთისასა ჴელის შეხებად.

მოკუდა არღუნ, და ყოველნი განმზრახნი მისნი, რომელნი მეფისა სიკუდილისა თანაშემწე ყოფილ იყვნეს, ყოველნი მოისრნეს. და მიერითგან მიეცა ფლობა დავითს, და ნოინნი დავითისკე იყვნეს. ეგრეთცა მტკიცედ ეპყრა მეფობა ვახტანგს.

წარავლინეს ნოინთა კაცი და მოიყვანეს ყაენად ქეღათუ-ქოუნ, ძმა არღუნისი, და დასუეს ტახტსა და ჴელთ-უგდეს საყაენო. ამან შეიყუარა კეთილად ვახტანგ, რამეთუ ამისთჳს ჰგონა არღუნს ზედა მიწევნად რისხვა იგი სასტიკი. და ვითარცა ესრეთ იქმნებოდა, შეედვა მცირე რამე სენი ვახტანგ მეფესა, რომლისა მიერ შეისუენაცა, და მოკუდა სამ წელ მეფეყოფილი, საღმრთო-საკაცობოთა საქმითა სრული და შემკობილი, რამეთუ აღმზრდელიცა კეთილი და მეცნიერი ესუა, ფარსმანის შვილი. ცნა დავით, განმწარდა სიკეთისა და სიჭაბუკისა მისისათჳს, და იგლოვა წესისაებრ, და ფრიად პატივსცა და წარგზავნა გელათს, სამარხოსა მეფეთასა. ვითარცა ესმა მეფესა, მამასა მისსა დავითს, სიკუდილი სასურველისა და ყოველთა მიერ შეყუარებულისა ძისა მისისა, ვახტანგისი, უზომოთა ტკივილთა და ვაებათა მოიცვეს, რამეთუ შეუძლებელ არს მოთხრობად თჳთეულისა. გარნა ესოდენ მოიცვა მწუხარებამან, რომელ ვერღარა პოვა ლხინება და შემდგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მად მცირეთა წელთა შეისუენა მანცა, პატიოსნითა სიბერითა
ალსავსემან. დაუტევა სამნი ძენი, პირმშო ვიდრემე კოსტან-
ტინე და მეორე მიქელ, და უმრწამესი ალექსანდრე, რომელი
უშვა დედოფალმან, დიდისა პალიალოღოსის ასულმან, კოს-
ტანტინეპოლისა და საბერძნეთისა მპყრობელისამან. ხოლო
მიიღო მეფობა კოსტანტინე პირმშოებისა ძლით, რომლისა
მეფობასა წინააღუდგა ძმა მისი, მიქელ, და დაიპყრა ქუეყანა
რაჭისა და არგუეთი. და დღეთა მათთა იშლებოდა სამეფო,
რომელთა საქმენი არა მოჯსენებულ არიან. და არა ყოველ
მშჯდობა, ვიდრე არა მიიცვალნეს, რამეთუ, რომელსა ჟამსა
დაიზავნიან, მყის შეიშალნიან.

ხოლო ჩუენ პირველივე გზა აღვლოთ მცირედ კერძო
გარდამბიჯებელთა. დაჯდა რა ქეღათუ ტახტსა ზედა, განდგა
ქალაქი ტუნღუზალო. რა საბერძნეთით მოსრულ იყო ქეღა-
თუ, ჰგონეს უცალოება ყაენისა და განდგეს. მაშინ მოუწოდა
ყოველთა სპათა მისთა და მეფისა დიმიტრის ძესა, დავითს, და
მთავართა ქართლისათა, და შევედრა ტახტი და ცოლი მისი
და ხათუნნი ნოინსა სიქდურს, ხუტლუბუღა და სხუანი მთავარ-
ნი საქართველოსანი დაუტევნა მუღანს, რამეთუ ეშინოდა გა-
მოსლვისათჳს ბერქაანთაჲ ა. თჳთ წარვიდა და დავით, ძე დიმიტ-
რისი, თანაწარიტანა. და ვითარ მიიწივნეს ტუნღუზალო ქალაქ-
სა, აგრემოადგა ოთხ თუე და ვერა ავნო. და ვითარ მისჭირდა,
მეხუთესა თუესა იწყეს ძლიერად ბრძოლად, რამეთუ დავით
და მცირედნი ქართველნი ბრძოდეს. წარუღეს ქალაქი და ში-
გან შევიდეს, სადა-იგი ქრისტიანენი ერთსა ყურესა შეკრე-
ბულ იყვნეს, და ევედრნეს დავითს, რათა შეიწყალნეს და ყა-
ენმან არა ბოროტი უყოს. უსმინა და მცველნი დაუდგინნა და
დაიცვნა და აღიღო ხარაჯა და საჭურჭლე ურიცხჳ, და მიერ
წარმოვიდა.

ხოლო მუნ ყოფასა ფარეჯანისა იწყეს ოვსთა ოჯრებად,
ჯოცად და რბევად და ტყუენვად ქართლისა, და ქალაქი გორი
წარტყუენეს და თჳსად დაიჭირეს ოვსთა. მაშინ შეკრბეს ქარ-
თლის ერისთავისა ბეგას ძესა, ჰამადას, წინაშე ყოველნი ქარ-
თველნი და მოადგეს გორსა, და მრავალგზის შეებნეს ქალაქსა
შინა, მრავალი კაცი მოკუდა, ოვსიცა და ქართველიცა, და და-
წუეს გორი სრულიად. და ვითარ მისჭირდა ოვსთა, ციხიდამე
გარდმოუშვეს საბლითა კაცი და წარავლინეს მუხრანს მდგომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა თათართა თანა, რათა შეეწივნენ. ვითარცა ესმა, ჩაძოდგეს შუა, შუელა ქმნეს და ზავი. და მიერითგან შეიქმნა მტერობა შორის ქართველთა და ოვსთა, ვიდრემდის მეფეთა შორის ბრწყინვალემან, დიდმან სახელგანთქმულმან გიორგი, განასხნა და აღფხურნა. და ვითარ მოიწივნეს შინა, მოუწოდა ყაენმან დავითს და რქუა: „ვინათგან დასდევ თავი შენი მსახურებად ჩემთჳს და სდგა ერთგულობასა ჩემსა ზედა, მომიცემია მეფობა და სამეფო შენთჳს". და წარმოგზავნა ტფილისს და დასუა ტახტსა მამისა მისისასა. და თანაწარმოატანნა სპანი საქართველოსანი, შანშე და ხუტლუბუღა, და ყოველნი დიდებულნი. და მოუწოდეს სამცხით ბექას, და მან არა ინება მოსლვად, რამეთუ ფრიად განდიდებულ იყო, თჳთ არღარა წარგიდეს არცა ყაენს წინაშე, არცა მეფესა თანა. წარმოუვლინა ძე თჳსი პირმშო, სამცხის სპასალარი სარგის, და ყოველი ნამარხევი, რომელ აქუნდა მეფისა დიმიტრისაგან შეეედრებული, და სარტყელიცა იგი დიდფასისა. მოვიდა სარგის და მოიღო ყოველივე დაუკლებელად მეფის დავითის წინაშე. დასუეს მეფე ტახტსა ზედა და აკურთხეს კათალიკოზმან აბრაჰამ და ეპისკოპოზთა.

ხოლო მოსცა ყაენმან დაჲ მისი, ოლჯათ, რომელი ვახტანგს ცოლად ესუა. დაიპყრა ყოველი სამეფო მამისა მისისა დიმიტრისი, თჳნიერ ბექას სამცხის მპყრობელისა მთავრისა, ხოლო იგი პატივ-სცემდა მეფესა დავითს, მრავალთა ნიჭთა და ძღუენთა წარმოუვლენდის. ხოლო დავით უმეტესთა ჟამთა იყვის წინაშე ყაენისა, დალათუ ფარეჯან, ოვსთა მთავარი, მსახურებდა კეთილად მეფესა, არამედ აქუნდა მტერობა ქართველთა და ოვსთა. ესეოდენ გარდაეკიდნიან ერთმანეთს, რომელიცა მძლე ექმნის, მოკლის. მაშინ წარვიდეს ქალაქსა ოვსნი ვაჭრობად, და მოიქცეს და იხილეს გლახაკი, და მისცეს ქველისსაქმე ოვსთა, რომელსა უპირველესსა ეწოდა სათხიზ და მეორესა უზურბეგ. და რქუეს: „გლახაკო, ეეედრე ღმერთსა, რათა დღეს ჩუენი და სურამელის ბეგას შვილის ჯრმალი ერთგან შეიყარნენ".

ვითარ წარვლეს მცირედ, დახუდა ნადირობასა შინა მყოფი რატი მცირითა კაცითა, უსაჭურვლო. მყის ზედამოეტევნეს, აღილო ფარი და დაუდგა სივიწროესა წყლისგასავალსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პირველ სათნიზს უხეთქნა მუზარადსა, განუპო და ჩამოაგდო, და მოკუდა. მერმე უზურბეგ მოუჯდა, ჰკრა ძასცა ჯაჭვანსა მჯარსა, განუკვეთა მჯარი და ჩამოაგდო, ყრმათა რატისთა მოაკუდინეს. იხილეს სხუათა ოვსთა და ივლტოდეს. ამისთჳს იტყჳს წინასწარმეტყუელი: „უფალი ამპარტავანთა შემუსრავს". კუალად სხუა ჴმობს: „აღჴოცენინ უფალმან ყოველნი ბაგენი მზაკუარნი, და ენა დიდად მეტყუელი".

ხოლო მოვიდა მწოდებელი თუქალისა წინაშე დავით მეფისა. და წარვიდა დავით წინაშე თუქალისა, რომელი დგა მთათა არარატისათა. ვითარ იხილა თუქალ დავით მეფე, პატივითა შეიყუარა. ინება, რომელ ფიცთა მიერ ქმნან ერთობა სიყუარულისა. დაამტკიცეს ერთობა, და წარმოვიდა მეფე შინა, და მოსცა დმანისი, რომელი აქუნდა ხუტლუბულას, ძმასა მანგასარისსა.

და ვითარ გარდაჴდა მცირედი ჟამი, წარვიდეს ნოინნი, რომელნი თუქალისაგან ლტოლვილ იყვნეს, ვითარ ნავროზ, დიდისა არღუნის შვილი, რომელი იყო კაცი მჴნე, ძლიერი, ახოვანი, მანქანი, შემმართებელი უმეტესობისა, ალინაყის შვილი ყურუმჩი, რომლისა ძმა, ბუღა, მოეკლა თუქალს. ესენი მივიდეს ხუარასანს, არღუნის შვილსა, ყაზანს ქოუნს, თანა, რომელსა აქუნდა მამისაგან საუფლისწულოდ ხუარასანი. შეიყარნეს და ინებეს, რათა ყაზან ყონ მთავრად და ყაენად. შეკრბეს ესე ყოველნი და წარმოემართნეს ბრძოლად ბაიდუსსა. და ვითარ ცნა მოსლვა ყაზანისა, მოუწოდა მანცა ლაშქართა, და წარვიდა თუქალცა სისწრაფითა, ვერღარა მოიცადეს მეფე. აქაცა დაიცვა ღმერთმან რომე არა დახუდა. მიეგებნეს მცირესა ქალაქსა ზანგანს, შეკრბეს ურთიერთას და სწორი ძლევა იქმნა, უკუდგეს ორნივე და გაიყარნეს, რამეთუ ყაზან მუნ არა იყო, ნავროზ და ხუტლუშა წარმოევლინეს. ნავროზ ჴელთიგდეს და ძლიერი ბრძოლა ყო ჯალაირმან. და წარვიდა ყაზან ხუარასნით.

ხოლო ეცედრა ნავროზ თუქალს, რათა განუტეოს, და ფიცითა დაუმტკიცა, რათა ყაზან შეკრული მოსცეს. ირწმუნა და განუტევა. და ვითარ მივიდა ყაზანს თანა, შეკრა ქუაბი სპილენძისა და წარმოგზავნა თუქალს წინა, რამეთუ ენითა თურქულითა ქუაბსა ყაზან ეწოდების. მოვიდა ქუაბი შეკრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს[illegible]ლითა, განუკურნა და დაუმძიმდა თუქალს, რაზეთუ [illegible]
[illegible]ულ იყო არარატისა მთათა.

მაშინ კუალად წარემართა ყაზან უმრავლესითა სპითა ეგრძნულად, და უჟანს დაესხა ბაიდუს, შეკრეს და მოაშთვეს, და მის თანა მრავალნი ნოინნი. აქაცა დაიცვა ღმერთმან მეფე. ვითარ ცნა სიკუდილი ბაიდუ ყაენისა თუქალ, ივლტოდა და მივიდა სამცხეს, ბექასასა, რომელი მთავრობდა ტასისკარითგან ვიდრე კარნუქალაქადმდე. და შვილი წარგზავნა მეფისა დავითის წინაშე და მას შევედრა. და ვითარ მოვიდა ყაზან ადარბადაგანს, რომელ არს თავრეჟი, წარმოუვლინა მოციქული მეფესა და ბექასა, რათა მისცენ თუქალი და შვილი მისი, ერთგზის და ორგზის. და არა მისცეს, არამედ იურვეს, რათა შეუნდოს. და მოსცა პირი და ბეჭედი უვნებლობისა, და მისცეს თუქალი. ვითარ ცნა ყურუმჩი წარყვანა თუქალისა ურდოსა, მოეგება ელჩსა ყაენის ყაზანისსა ნაჯიდურს, და წარგუარა თუქალი და მოკლა სიკუდილისათჳს ბუღასა, ძმისა მისისა. და მეფემან დავით მოსცა შვილი მისი და ყოველი სიმდიდრე, რომელი შეევედრა ოვსთა მთავრისა ფარეჯანისა, რომელი იდვა ციხესა ატენისასა. რამეთუ ესე დაიმადლა ყაენმან ყაზან, გარნა მეფემან ვერ გულს-იდგინა წარსლვა ურდოსა შიშისათჳს, რომელ აქუნდა სიყუარული თუქალისი. კუალად სხუაცა იყო შიში ურდოს წარსლვისა, რამეთუ ზემოჴსენებული იგი ნავროზ, არღუნ-აღას შვილი, მტერი იყო ყოველთა ქრისტიანეთა, ვისცა ჰგონებდა სჯულისა დატეობასა, დაჰპატიჟებდა და მუსულმანად მიაქცევდა, თჳნიერ ცნობისა ყაზან ყაენისა. კუალად რამე ბოროტი აქუნდა, ამისთჳსცა ბოროტად მოკუდა, ვითარ ქუემორე სიტყუამან ცხად-ყოს.

ესე ნავროზ განდიდნა, თჳნიერ ყაენისა განაგებდა საქმეთა საურავთა და აქუნდა მტერობა ქრისტიანეთა, და განემზადა სრულიად დაჴოცად და დაქცევად ეკლესიათა თავრეჟსა და ყოველთა ქალაქთა შინა. და მოიყვანა ეპისკოპოზი მარაღისა ქალაქისა, ნათესავით და სარწმუნოებით ნასრანი, რომელი იყო კაცი მოწყალე და სახიერი, ფრიად სათნოებიანი, პირველთა ყაენთაგან პატივცემული და მამად სახელდებული. ესე პყრობილ-ყო და მრავალნი გუემანი და ბასრობანი შეამთხვევნა დატევებისათჳს სჯულისა. ხოლო იგი ახოვნად წინააღუდგებოდა და მოითმენდა შეურაცხ-ყოფად სჯულისა მოჰამადის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიერ ქადაგებულისა. ამისათვს ექსორიობად დაისაჯა, რამეთუ
იყო ფრიად მოხუცებული.

ამას ზედა ესეცა შესძინა ბოროტი ნავროზ, წარმოავლინა კაცი ერთი უკეთური, ნათესავი მისი, რათა მოაოჯრნეს ეკლესიანი ყოველსა საქართველოსა: პირველ მოაოჯროს საყოფელი ყოვლად წმიდისა ვარძიისა ღმრთისმშობელისა საყდარი, და ყოველსა საქართველოსა, რაცა პოვოს, წარმოიღოს. ჰგონებდა უზომოსა სიმდიდრესა, ოქროსა და ვეცხლსა, თუალთა პატიოსანთა და მარგალიტსა მრავალსა ვარძიას. წარმოვიდა და მოიწია ნახჭევანს, იწყო რბევად და რღუევად თუალთა პატიოსანთა და მარგალიტსა მრავალსა ვარძიას. ღმრთისმშობელისა მას ზედა, რომელ მოვიდოდა დასაოჯრებლად ვარძიისა ღმრთისმშობელისა და პატიოსნისა ჯუარისა დასამჯობლად, ამისთვს მეხდატეხილ იქმნა, და განგალა მეხმან სრულიად, და დაიწუა ძუალითურთ. ესრეთ საკჯველებით დაიცვა სამყოფი თვსი ვარძიისა ღმრთისმშობელმან.

ხოლო ნავროზს ზედაცა მოიწია რისხვა ღმრთისა, რამეთუ განრისხნა ყაენი ყაზან უსამართლობისათვს და ბოროტთა საქმეთათვს. იყო ყაზან ფრიად რამე კეთილი და უბოროტოგონება რა სამართლისმოქმედ უფროს ყოველთა უწინარესთა ყაენთა ესეოდენ, რომელ ჯაჭვ განება ორთა შეშათა ზედა და ეჟუნები მოება მრავლად, რათა გლახაკნი ულონონი და უქონელნი, ყაენის და ნოინთა წინა მისლვისა ულირსნი და მოჩივარნი, მივიდოდენ და შეარყევდენ შეშასა და ჯაჭუსა, და ესმოდის ყაენს ჴმა ეჟუანთა და ცნას, რომელ სასჯელი უც გლახაკთა და შეურაცხთა კაცთა, რომელი თვთ განიკითხის პირისპირ. ესეოდენ უყუარდა სამართალი, რომელ დღეთა მისთა არა იქმნებოდა ძალი და უსამართლოება არა დიდთა და არცა მცირეთაგან. ამისთვს რისხვეული ნავროზ ივლტოდა ხუარასანს, რომელ დევნა-უყო ზემოჴსენებულმან ხუტლუშა ნოინშან, მიეწია და მოაკუდინა იგი და შვილი მისი, და ყოველი ნათესავი მისი. მოისპო ქუეყანით საჴსენებელი მისი, ვითარცა წერილ არს: „მოისპენ ულმრთო, რათა არა იხილოს დიდება ღმრთისა“. და კუალად წარწყმდა საჴსენებელი მისი. და ესრეთ დამშჴდნეს თათარნი. იწყო ყაზან ყაენმან განგება ქუეყანისა სიმართლითა და მსჯავრთა კეთილთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამათ ჟამთა წარმოავლინა მოციქული ყაზან ყაენმან ლ-ეკმო მის წინაშე დავით მეფე. ხოლო იგი მსწრაფლ განემზადა და მოიწია კახეთს და ჰერეთს. მივიდეს ჰერ-კახნი დიდებულნი და აზნაურნი დავით მეფეს წინაშე, ერისთავი სამადავლა, კაცი ყოვლითა სამჯედროთა ზნითა შემკობილი და მოისარი რჩეული, მსგავსი მოსომახოსა ებრაელისა, გინა ნეოპტოლემეოს პიოასი რჩეულისა, სახელოვანისა მირმიდონთ მოძღურისა. დაყო მცირედი ჟამი ჰერეთს და განეზრახა ვაზირთა: „უკუეთუ წარვიდე ურდოსა?“. დაუმტკიცეს ვაზირთა წარსლვა, ხოლო მეფემან არა ისმინა მათი და შეიქცა გარე, რამეთუ აქუნდა შიში თათართა ყაენისა ხილვისა. და მოვიდა მთიულეთს, უკუდგა ჟინოვანს, შეკრა სიბა და მცველნი დაუდგინა.

ხოლო მეფე დავით მთიულეთს იდგა, და წარავლინა ძმა თჳსი უმრწამესი ვახტანგ ელჩად დიდისა ბათოს შვილიშვილის ყაენისა და უქადა გზა გამოსლვად ყაენს ზედა. და მან კეთილად შეიწყნარა და უქადა ქუეყანა და საჭურჭლე მრავალი. ვითარ ცნა დავითის უკუდგომა ყაზან, წარმოუგზავნა ხუტლუშა მჴედართმთავარი, რომელსა იგინი ბეგლარბეგობით უჴმობდეს, სპითა დიდითა. მოვიდეს და დადგეს ტფილისს. გაგზავნეს მოციქული მეფესა დავითს წინაშე და ითხოვეს კაცნი სარწმუნონი მისანდობელად, და აძლევდეს ზავსა და სთხოვდეს ერთგულობასა ყაზანისასა და არამიქცევასა მტერთა კერძო. და მან წარმოგზავნა კათალიკოზი აბრაჰამ, ბურსელი ივანე, ტფილელი ყადი, და ითხოვნა მძევალნი, და ფიცად მიჰპირდა. ხოლო მათ ფიცეს სჯულისაებრ მათისა და მისცეს მძევლად ხუტლუშას შვილი სიბუჩი, ყურუმჩის ძმა არფა და სხუათა ნოინთა შვილნი და მისცეს ბეჭედი ყაენისა და სიმტკიცე უვნებელობისა. და იგი მოვიდა ნახვად მათდა და აღუთქუა წარსლვად ურდოსა. ხოლო ხუტლუშამან შეიწყნარა კეთილად და განუტევა. ხოლო დავით იქცა თჳსადვე, და მძევალთა მისცა ნიჭი დიდი და განუტევნა.

და ვითარ მოიწია არე გაზაფხულისა, აწჴეს კუალად მეფე დავით ურდოსა, და არა ინება წარსლვად, აქუნდა შიში. ამისთჳს წარავლინა ძმა მისი ბაიდუ დიდისა ყაენისა თოხთას წიწაშე. ვითარ ცნა ყაზან ყაენმან, კუალად წარმოავლინა მჴედართმთავარი ხუტლუშა სპითა ურიცხჴთა. მოვიდეს სომხითს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აწჴეს მეფე მისლვად, და აღუთქმიდეს წიჭთა დიდთა. ეკ-
კუალადცა წარავლინა კათალიკოზი აბრაჰამ, ყადი ტფილელი
და ივანე ბურსელი, და აღუთქუა მისლვად. ცნეს თათართა,
რამეთუ მიზეზობდა, შეიპყრეს ივანე ბურსელი და მოკლეს,
და კათალიკოზი და ყადი განუტევეს უვნებელად, და მომარ-
თეს შესლვად მთიულეთს. მოაოჴრეს სომხითი, ქართლი,
თრიალეთი, ერწო და დადგეს მუხრანს, ხერკს, ბაზალეთს,
ერწოს და თიანეთს, და ვერ ეტეოდეს სადგომად, არბევდეს
ქართლსა და ზემოხსენებულთა ქუეყანათა. ტყუე-ყვეს, რომ-
ლისა არა იყო რიცხჴ, და მოსრეს პირითა მახჴლისათა რავდენი
პოვეს, და მიეცა ქუეყანა განსარყუნელად ცოდვათა ჩუენ-
თათჴს.

ამა წელსა გამოჩნდა ვარსკვლავი კჴმატი, ლახურისსახე,
ჩრდილოთ კერძო, და დადგა ვიდრე ოთხ თუემდე, და ყო-
ველთა ღამეთა იხილვებოდა ვარსკულავი იგი ლახურისსახე,
და იტყოდეს: „ლახურით მოწყუედასა მოასწავებს“.

კუალადცა ინებეს თათართა ზავის-ყოფა მეფისა და გაუგ-
ზავნეს მოციქული, რათა მეფემან შეჰფიცოს ერთგულობასა
ზედა ყაზანისსა და არა მისცეს გზა ბათოს შვილისშვილსა
დიდსა ყაენსა თოხთას, და ესრეთ ჟამად შინა იყოს, დაიცვას
სამეფო მისი. და ყვეს ფიცი და აღთქუმა ურთიერთას, და
წარმოგზავნა დედა თჴსი დედოფალი, და ძმა მისი უმრწამესი
მანოველ, და კათალიკოზი აბრაჰამ, და დედოფალი, ცოლი მე-
ფისა ოლჯათ, წარმოავლინა, რათა წარვიდეს ურდოსა და
იურვოს საქმე მისი. და მოიწინეს ურდოსა, იხილნა ხუტლუ-
შამან და პატივითა შეიწყნარნა, მსწრაფლ უკურიდა, მოსცა
ტფილისი და სამეფო მისი, და წარვიდა ურდოსა და წარი-
ტანა დედოფალი ოლჯათ, და კუალად დამშჴდნა ქუეყანა.

და ვითარ გარდაჴდა ზამთარი იგი და მოეწურა არე გა-
ზაფხულისა, წარმოავლინეს მოციქული მეფეს თანა, რათა
ცნას, არს ერთგულობასა ყაენისასა, თუ არა. და ცნა კაცმან,
რომელ ბაიდუ წარევლინა დავითს ყაენსა თოხთას თანა და
გზა ექადა გამოსლვად. აცნობა ყაზანს, ხოლო იგი განწყრა და
წარმოავლინა ყურუმჩი და ერინჯი ვინმე, შინაური მისი, და
შანშე მჴარგრძელი. და მოუწოდეს ძმასა დავითისასა, მცირე-
სა გიორგის, რომელი ეშვა ასულსა ბექასასა და მას აღეზარ-
და, რომელი მარტო ეშვა დედასა, ვითარცა მარტორქა, რამე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუ ვერ შემძლებელ იყო ბუნება დედათა სხუასა ეგვეტერისა შობად, ვითარ ქუემორე სიტყუამან ცხად-ყოს.

ესე იყო სახლსა ბექასასა, რამეთუ ესე ბექა განდიდებულ იყო და აქუნდა ტასისკარითგან ვიდრე სპერამდე და ვიდრე ზღუამდე, სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალისკევი; და ჭანეთი სრულიად მოსცა ბერძენთა მეფემან, კომნინოსმან კირ მიხაილ, და ასული ბექასი ცოლად მიიყვანა. ამასვე აქუნდა უმრავლესი ტაო, არტანი, კოლა, კარნიფორა და კარი, და ამაო შინა ქუეყანანი და ციხენი, არტანუჯი და უდაბნონი ათორმეტნი კლარჯეთისანი, და დიდებულნი აზნაურნი და ნონასტერნი ყოველნი მას აქუნდეს. და ხარაჯას მისცემდა ყაზანსა და ლაშქრითა შეეწეოდა. ამას სთხოვეს ყრმა გიორგი, რათა მისცეს და მეფე-ყონ ქართლსა დავითის წილ, ძმისა მისისა, რომელი აღასრულა და მისცა, და თანაწარატანა ლაშქარი დიდი. წარიყვანეს და დასუეს მეფედ. დაღათუ მცირე იყო, არამედ წინადაუსახვიდეს უძლეველობასა მეფობისასა და წინამოასწავებდეს.

და იყო ყრმა მცირე გიორგი მეფედ ტფილისისა. და ვითარ მოიწია გაზაფხული, კუალად წარმოავლინა ყაზან ყაენმან იგივე ხუტლუშა სპითა ძლიერითა, და მრავალნი ნოინნი სხუანნი. და დადგეს ზემოხსენებულთა ადგილთა, მოაოჯრეს ქართლი უბოროტესად.

ხოლო მეფე დავით დადგა ჯადას. მაშინ ქუენიფლეველი შალვა გამოექცა მეფესა, აღსავსე ნიჭთა მიერ მისთა, რომელნი მას ჟამსა მიენიჭნეს. არა მოიკსენა წყალობა ეგოდენი და მივიდა ხუტლუშა ნოინთანა. ხოლო მან განიხარა და პატივითა შეიწყნარა და წინამძღუარად გზისა აჩინა. და შევიდეს გზასა ცხრაზმისკევისასა და განვიდეს მთასა შორის ცხავატსა და ცხრაზმისკევთა, რომელ არს ლომისა.

და ვითარ ცნა დავით ორგულობა შალვა ქუენიფლეველისა, შედგა ციკარეს, რამეთუ ციკარე მტერთაგან შეუვალ იყო. ჩავლო ხუტლუშამან და განვიდეს ჯადას, და გარდვიდეს ჯევსა, და მიმართეს გუელეთს, მუნ შინა ჰგონებდეს მეფესა დავითს. და გარემოადგეს სტეფანწმიდასა სოფელსა. და განგებითა ღმრთისათა განმაგრდეს, რამეთუ წინარნი თათართანი იყვნეს ქუენიფლეველი შალვა და ოვსთა მთავარი ბაყათარ და მუხრანს მდგომი თათარი ბაან თანღუთ. ვითარ ცნეს, სტეფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიათ ვერას ავნებდეს და მეფე მუნ არა არს, ითხოვეს საბრ-
ძელი მცირე. სტეფანელთა მოსცეს. და აიყარნეს და გარდ-
მოდგეს ჯადას. ხოლო მეფე ციკარეს იყო. დაამტკიცეს და
დადგეს ერთგულობასა მეფისასა სურამელი ჰამადა, ამირეჯი-
ბი აბაზას ძე ჭილა, და აზნაურნი ქართველნი და სომხითარნი,
და დიდი ერთგულობა აჩუენეს.

ვითარ ცნა ხუტლუშამან მეფისა ციკარეს დგომა, განყო
ლაშქარი. რომელიმე წარავლინა ცხავატით, გზასა ძნელსა,
რათა ეგრეთ შევლონ და შევიდენ ციკარესა, რომელ-ესე შე-
უძლებელ იყო. მაშინ ქუემო შესრულთა ლაშქართა შევლეს
გზა ცხავატისა და განვიდეს ცხავატს. ვითარ ცნა მეფემან, წა-
რავლინა მცირედნი ლაშქარნი, და იქმნა ომი ძლიერი, და
მოსწყდა თათარი ურიცხვ, რამეთუ შემოსრულ იყვნეს ვიწ-
როსა გზასა კაცი მეომე ვითარ ხუთასი, რომელნი ვერღარა
გამოესწრნეს გზისა სივიწროისაგან. შეიპყრეს ხუთასივე, რო-
მელი მოკლეს და, რომელი დარჩა, მოჰგუარეს მეფესა. ხოლო
სხუანი ივლტოდეს. და სპანი მეფისანი განვიდეს ჯადის თავსა
გორასა რასმე, რომელ არს ციკარეს პირისპირ, და იქმნა ომი
ძლიერი. კეთილად ბრძოდეს შინაურნი მეფისანი, ჯადელნი და
ჭევით მოსრულნი რჩეულნი. და უმეტეს მოისრვოდეს თათარ-
ნი, რამეთუ დიდად ავნებდეს მთიულელნი; იყვნეს ფერჯითა
მალე, ცხენოსანი ვერ შეუვიდოდა საომარად, და ქუეითად
იბრძოდეს თათარნი, რომელთა შემწედ ჰყვა ივანეს ძე შანშე,
და ოვსნი, რომელ სხდეს გორს, მესხნი ლაშქარნი, რომელნი
წარმოევლინნეს სამცხის მთავარსა ბექას — თორელნი, თმო-
გუელნი და ტაოელნი. და განგრძელდა ომი ვიდრე მიმწუხ-
რამდე. გზათა სივიწრითა არა აღერინეს ურთიერთას, გაიყარ-
ნეს, და უკუდგეს ჯადას თათარნი.

და უშუელა ღმერთმან მეფესა, რამეთუ ცხავატით შეს-
რული ლაშქარი ივლტოდა. და ვითარ ხუთასი ოდენ კაცი
შეიყარა, და ხუტლუშასცა დიდი ვნებოდა. იხილა სიმაგრე
ქუეყანისა, და ცნა, რომელ არა ეგების შესლვა ციკარეს.
აღიყარა ღამით გზასა ლომისთავისასა, დაესხა ქართლს, დაღა-
თუ ვინმე დარჩომილ იყო, მოსრა და ტყუე-ყო. და მოაოჯრეს
ქართლი და წარვიდეს ყაენს ყაზანს წინაშე.

და მოიწია არე გაზაფხულისა, წარმოემართა იგივე ხუტ-
ლუშა, სიტყჳთა ყაენისათა, სპითა უძლიერესითა, და მოიწია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისს, და ეგულებოდა შესლვად მთიულეთს. და ვინ-
ცნეს დიდებულთა ამის სამეფოსათა, გახკრთეს და ეძიებდეს
ღონესა, რათა განერონეს პირისაგან თათართასა. ქუეყანა თუ-
ღა სადმე დარჩომილ იყო, შეკრბეს მეფესა დავითს წინაშე და
მოაკსენებდეს, რათა წარვიდეს ყაზანს წინაშე, ფიცი და სიმ-
ტკიცე აღიღოს უვნებლობისა. ისმინა მეფემან და დაამტკიცა
წარსლვა ურდოსა, სთხოვა ზავი და ფიცი, ხოლო მან დიდად
განიხარა და აღუთქუა უვნებელად ყოფა და დაცვა ქუეყანისა.
უკუეთუ, ოდენ იხილოს ყაენი, მიერ წარმოგზავნონ დაცვული
მშვდობით. ამის პირსა შინა იყო ბურსელი ივანე. აღიღო პი-
რი მტკიცე, და მოვიდა მეფეს წინაშე. იხილა პირი სიმტკიცი-
სა ქრთველთა, ჰერ-კახთა, განეხარონეს და აწუევდეს წარს-
ლვად, და მძევალთაცა აძლევდეს: „ხუტულუშა სარწმუნო
კაცი არს და არა ეცრუვების აღთქუმასა, ვჰგონებ კეთილად
შეწყობასა“.

გარნა მეფემან არა ისმინა, რამეთუ შიში აქუნდა თათარ-
თა, და დადგეს გუელეთს. ვითარ იხილეს დიდებულთა მო-
ოკრება, უმრავლესნი წარვიდეს კითხვითა მეფისათა დაცვი-
სათჳს ქუეყანისა, ხოლო ხუტლუშა კეთილად შეიწყნარებდა
ვინცა მივიდოდა. კუალად მოაოკრეს ქუეყანა ქართლისა ზე-
მოკსენებული თჳნიერ მთიულეთისა და წარვიდეს ურდოსა.

ვითარ მოიწია სთუელი, ჩამოდგა ცხრაზმისკევსა მეფე და-
ვით და ააოკრებდა მამულსა შალვა ქუენიფლეველისასა ორ-
გულობისათჳს. მაშინ ულონო იქმნა ქუენიფლეველი, ევედრა
სურამელსა მსახურთუხუცესსა, ქართლისა ერისთავსა ჰამა-
დას, რათა იურვოს მეფეს წინაშე. მოაკსენა მეფესა და არა
ინება მისთჳს დაჭირვა, არამედ მიუბოძა მამული მისი. გარ-
დაიყარა თავსა ნაცარი შალვა და იტყოდა: „ესემცა არს მისა-
გებელი ორგულთა მეფეთასა“. და შეუნდო მეფემან შალვას.

ამათ ჟამთა წარმოვიდა ძმა მეფისა ვახტანგ, რამეთუ იკლო
რამე სიყუარული და სიკეთე, რამეთუ ძმისა მისისა დავითი-
საგან შეპყრობილცა იყო და პატიმრული ციხესა ჟინოვანი-
სასა. გამოიპარა და მოვიდა ივანე ბურსელისასა და რქუა:
„არარა ბოროტი მიქმნიეს და შეურაცხება წინაშე ძმისა ჩე-
მისა. აწ არა წარვალ ურდოსა მტერთა მისთა თანა. აწ წა-
რავლინე კაცი და აუწყე ჩემი შენსა მოსლვა. თუ ჰნებავს და
ფიცით შემაჯერებს, რომე არა მავნოს და არა შემიპყრას, მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინაშე მივალ, და მცირე სარჩომიცა მომცეს". ხოლო მან წარავლინა კაცი და მოაჯსენა ესე ყოველი. ხოლო მეფემან განიხარა და ფიცითა მოიმტკიცა, და წარიყვანა ძმა თჳსი და კეთილად ხედვიდა. და ჰგონებდა განდგომასა ამის ძლით, რამეთუ შაბურის ძის ასული შეირთო ვახტანგ ცოლად. და ვერღარა თავს-იდვა ვახტანგ უპატიოდ ყოფა, და წარვიდა ურდოსა ყაზანის თანა. ხოლო მან კეთილად შეიწყნარა და მოსცა მეფობა. და წარმოატანა ხუტლუშა ნოინი სპითა უძლიერესითა და მოვიდა ტფილისს. და მუნ შემოეყარნეს ყოველნი თათარნი და ქართველნი, და სამცხის ბატონის ბექას შვილი სარგის სპასალარი, ტაოელნი, თორელნი, თმოგუელნი და სომხითარნი, რამეთუ შანშე პირველვე იყო.

ვითარ ცნა მეფემან დავით, რომე ვახტანგს მეფედ ჰყოფენ, წარმოავლინა იგივე ბურსელი ზავისათჳს და აღუთქუა ურდოს წარსლვა, უკუეთუ ფიცითა შეაჯერონ და მოსცენ მძევალი. ხოლო ხუტლუშამან შეჰფიცა და ყოველი სათხოველი აღუსრულა. და წარვიდა ბურსელი მეფეს წინა. ხოლო მან განიხარა და წარმოავლინა დედოფალი ოლჯათ, და კათალიკოზი აბრაჰამ, და ბურსელი და მოვიდეს მუხრანს, ხუტლუშა და სხუანი ნოინნი ბაზალეთს წინამოეგებნეს ოლჯათს და, ვითარ ყაენს, ეგრეთ პატივ-სცეს, და მოსცეს პირი სიმტკიცისა, და ბეჭედი ყაენისა, და ჴელისმანდილი, რამეთუ ესე აქუნდა სიმტკიცე ფიცისმინდობისა, და აძლიეს ხუტლუშას შვილი სიბუჩი მძევლად. გარნა ოლჯათ არღარა წარავლინა, არამედ კათალიკოზი, ყადი და ბურსელი, რათა მოიყვანონ მეფე. ვითარ მივიდეს მეფეს წინაშე, ცნა ოლჯათის არღარა მოსლვა, მიზეზ-ყო და არღარა ინება ნახვა თათართა, დიდი რამე რიდი და შიში აქუნდა. წარავლინა იგივე კათალიკოზი, ყადი და ბურსელი, ითხოვა ოლჯათ და აღუთქუა ხილვა. და ვითარ მივიდეს ხუტლუშას თანა, ცნა არა მოსლვა მეფისა, რქუა ბურსელსა: „კაცო, სატყუარი რა არს? მე მტკიცითა ფიცითა შემიფიცავს, და ვერ მოვიდა. აწ მიიღე ტყუილისა ნაცვალი პატიჟი". და განრისხებულმან მოაკუდინა ბურსელი, რომლისა გუამი აღიღო შანშე და წარგზავნა სამარხოსა მისსა. ვახტანგს დაუმტკიცეს მეფობა და ოლჯათ წარავლინეს ურდოსა.

და თათარნი კუალად წარვიდეს მთიულეთს და გარდავიდეს გუელეთს, რამეთუ მეფე შედგომილ იყო, და დიდად

ეროვნული ბიბლიოთეკა

განდგომილან, და არავინ არს წინააღმდგომ თურქთა. აწ
ნეთ ჩემი, ტომნო და ერთნებანო, და შევკრბეთ ყოვლითა ძა-
ლითა ჩუენითა და მივმართოთ თურქთა, და არა მივსცეთ თავ-
ნი და შვილნი ჩუენნი, და არა განგუწირონეს ღმერთმან მოსავ-
ნი ჩისნი და აღმსარებელნი მისნი, და მოგუცეს ძლევა მათ
ზედა, ვითარ მისცა მამათა ჩუენთა ძლევა მათ ზედა. დაგდვათ
თავი ჩუენი სჯულისა შეგინებულისათჳს და ძმათა ჩუენთა-
თჳს, უეჭველად ღმერთი მოგუანიჭებს ცხორებასა".

და ვითარ ესმა მთავართა და სპათა ბექასათა, სიხარულით
მიემოწმნეს და დააპირეს ლაშქრობა თურქთა ზედა, განიყარ-
ნეს. და მოიწია არე ზაფხულისა, იწყეს თურქთა აღმომართ
სლვა, და შეკრბეს სიმრავლე ვითარ ექუსი ბევრი, რამეთუ
ყოველთა ქალაქთაგან გამოჰყვა კაცი სჯულითა სარკინოზი
ჴოცად ქრისტიანეთა, და არა თურქნი ოდენ იყვნეს. არამედ
სპარსნიცა. და ვითარ ცნა ბექამან მოსლვა თურქთა, მოუწო-
და ყოველთა მის ქუეშე დაწესებულთა, ტასისკარითგან ვიდ-
რე ბასიანადმდე: მესხთა, შავშთა, კლარჯთა, კოლა-არტან-
კარნიფორელთა და უმრავლესთა ტაოელთა, რამეთუ ამას
აქუნდა ქუეყანა ესე, ამათ თანა თმოგუელთა და თორელთა.
და შეკრბა სიმრავლე ერთი ბევრი და ორი ათასი, და მიმარ-
თეს თურქთა. იგინი აღმოსრულ იყვნეს მთათა პარხლისათა,
დაებანაკა და წარევლინა მჴედრები ტყუევნად ვაშლოვანისა,
და ეგულებოდა მოსლვად ქუეყანად ბექასა სამცხეს, და
ქართლს და სომხითს. ვითარ მივიდეს თურქნი ვაშლოვანს,
კაცი ვითარ ათი ათასი, წინაგანეწყუნეს სპანი ბექასნი, ხუთა-
სი კაცი, რომელნი წარევლინნეს მცველად და უდგეს სიმაგ-
რეთა შინა. იქმნა ომი ძლიერი, და ივლტოდეს თურქნი, და
მოსწყდა სიმრავლე ფრიადი ადგილთა სიმაგრითა. და ესრეთ
წინადაუსახვიდა ღმერთი ძლევასა ბექასა თურქთა ზედა.

ვითარ ესმა ბექასა ვაშლოვნით გაქცევა თურქთა, განიხა-
რა და წარისწრაფა, და მიმართა სპერს და ბაბერდს, სადა
იყვნეს თურქნი მდგომარე. ვითარ იხილეს თურქთა მოწყუედა
სპათა მათთა მცირეთა ლაშქართაგან, განძჯნდეს და ილრჭენ-
დეს კბილთა. მოუწოდა მთავარმან მათმან აზატ-მოსე სპათა
თურქთასა და გამოარჩია კაცი ოცდაათი ათასი, და წარემართა
ვაშლოვანს ძებნად სისხლთა სპათა მისთასა. რამეთუ მისლვა
და დაახლება ბექასი არა უწყოდა, ოცდაათი ათასი სხუა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წარმოავლინა ტაოს და რქუა: „მე წარვალ, ვაშლოვანს მოვა-
ოჯრებ და აღვიზღავ სისხლსა ჩემსა, და თქუენ მიდით ტაოს
და მოსწყჳდეთ, თუღა სადა დარჩომილ იყოს, და დადეგით
ბანას. და მეცა განმარჯუებული შემოვიქცევი და მოვალ ბა-
ნას, და შევკრბეთ და მივმართოთ ყოველსა საქართველოსა“.
და ესრეთ წარემართა ვაშლოვნით კერძო.

მაშინ აღიჭურა მანდატურთუხუცესი ბექა და ყოველი სპა
მისი და მიმართეს თურქთაკე, რამეთუ არა უწყოდეს წარსლ-
ვა თურქთა ვაშლოვანს. ვითარ წარვლო მცირე, ოთხნი თურ-
ქნი მიმავალნი დაიპყრეს და მოუსხეს ბექასა. ხოლო მან ჰკი-
თხა ამბავი თურქთა, თუ სადა არიან. და ოთხივე ცალკე გა-
ყო და ოთხნივე ერთსა იტყოდეს, წარსლვასა თურქთასა ვაშ-
ლოვანს: „აზატ-მოსე ოცდაათი ათასითა მჯედრითა წარვიდა
ვაშლოვანს, და ორმოცი ათასი დაუტევა და წარმოავლინა
ტაოს, ხვალე ანუ ზეგე მოვალს“. ირწმუნა სიტყუა მათი და
ორად განყო ლაშქარი თჳსი. რჩეული და უმრავლესი ლაშქ-
რისა მისისა მისცა შვილსა მისსა პირმშოსა სარგისს, რომელი
ოდენ აღზრდილ იყო აბჯრისმტჳრთველად, და წარავლინა
ვაშლოვანს აზატ-მოსეს ზედა.

ხოლო წარისწრაფა სარგის და მიეწია ვაშლოვანის მთასა
ზედა მიმავალსა თურქსა. და ვითარ იხილეს უკანკერძო ლაშ-
ქარი, განკჳრდეს და მსწრაფლ მოაქციეს ჰუნენი სარგისის
კერძო. იხილეს სიმცრო ლაშქრისა, რამეთუ იყვნეს მესხნი
ხუთასნი, ხოლო თურქნი ოცდაათი ათასი, განიხარეს და ჰგო-
ნეს მოწყუედა ყოველთა. მჯედარნი ზედამოეტევნეს უშიშად,
ხოლო სარგის წინაგანეწყო და სპანი მისნი მიეტევნეს მჯნედ.
იქმნა ომი სასტიკი, და პირველსავე შეკრებასა მიდრკეს თურ-
ქნი სივლტოლად და იოტნეს ძლიერად, და ესეოდენ მოსრეს,
რომელ შექცეულთა აღრიცხეს სარაზმთა ზედა მდებარე მკუ-
დარი თურქი, პოვეს ხუთას და ცამეტი, თჳნიერ რომელი დევ-
ნასა შინა მოკუდა. და დევნეს მზისა დასლვისა ჟამამდე. ხო-
ლო მოხედნა ღმერთმან წყალობით მოსავთა ჯუარისათა. გან-
საკჳრვებელ არს სმენად, რომელ ეგოდენსა წყობასა შინა არა
მოიკლა ბექას ლაშქრისაგან ხუთთა კაცთაგან კიდე, იგინიცა
უსახელო ვინმე. ესრეთ მოსცა ღმერთმან ძლევა და გამარ-
ჯუება. ხოლო სარგის, დაღათუ ყრმა იყო, მჯნედ იბრძოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამეთუ გუარისაგან მოაქუნდა სიმჯნე და მამაცობა ბიბლიოთეკა
პაპეულად.

ხოლო ბექამან მიმართა თურქთა დედაწულთაკე, მომავალნი წინადაემთხუნეს, და იხილეს რა თურქთა შორით მთით მომავალი ბექა და სპანი მისნი, მსწრაფლ გარეშეიქცეს და ივლტოდეს, ხოლო დედაწულთა მათთა მთათა მიმართეს და არღარა ესვიდეს საფასეთა სიმდიდრეთა, არამედ ყოველსავე დაჰყრიდეს. ხოლო ბექამან და სპათა მისთა მსწრაფლ დევნაუყვეს, იპყრობდეს და ჴოცდეს, რომლისა არა იყო რიცხუ. და თურქნი მცირედნი რამე შეივლტოდეს ქალაქსა და ციხესა სპერისასა და რომელნიმე ნორქალაქს. მიეწივნეს სპანი ბექასნი, შესჯარეს, გზათა სივიწრითა და დედაწულთა სიმრავლითა არასადა აქუნდა გზა სივლტოლისა. დაიჯარნეს თურქნი, ვითა ცხოვარსა დაჯრილსა და ჯოგსა, ეგრეთ იპყრობდეს და ჴოცდეს. ვარნა იქმნა ესეცა, რამეთუ შვილისა მისისა სარგისისაგან ლტოლვილნი თურქნი უკანა მოეწივნეს მანდატურთუხუცესსა ბექასა, სადა-იგი მიმართეს მესხთა, და კუალად მოსწყჳდეს, და გარემოადგეს ქალაქსა სპერსა. და პირველსავე ომსა აღიღეს ქალაქი, თჳნიერ ციხისა, აღივსნეს საქონლითა, ოქროთა, ვეცხლითა, ღარითა, ჯოგითა, ცხენითა, აქლემითა, ძროხითა და ცხურითა, ანგარიში ვისგან ითქმის. და თჳთ მათთავე საჴედარითა აჰკიდეს და ძლით წარმოიღეს. ეზომი ძლევა მისცა ღმერთმან ბექას, რომელ მისთა სპათაგან ერთი კაცი არა დააკლდა.

მოიცვა ბექამან ქალაქი სპერი, და თურქნი გაქცეულნი ორასნი ჩავიდეს პონტოსაკერძ. და ვითარ განემარჯუა სარგასს, მომართა მამისაკერძ, და მომავალმან აღაოჴრა ნორქალაქი, და აღავსნა სპანი, რომელნი იყჳნეს, საქონლითა, ალაფითა და ტყჳთა, და ესრეთ ძლევაშემოსილი მოვიდა მამას წინაშე. ხოლო ვითარ განუძნდა სპერელთა გარედგომა ბექასი, მოუგზავნა მოციქული, ვითარმედ: „ჩუენ ყაენისა ყაზანისანი ვართ, და თურქნი ძლით გარდაიხუეწნეს პონტოსაკერძ, და აწ გევედრები მე, მოგურიდო და უკუსდგე, და უზომო ოქრო და ვეცხლი, და ჯორი და ცხენი მოგცეთ“. ისმინა ბექამან და აღიღო განძი ურიცხჳ სპერით და ბაბერდით, და ძლევაშემოსილი მობრუნდა. და მოეგებნეს კარნუქალაქით მთავარნი და მოართუეს მათცა ძღუენი, ალაფი, და არცარა მათ ავნო. და ესრეთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრწყინვალე ძლევა მიანიჭა ღმერთმან ბექასა, და მოვიდეს შინა საქონლითა უამრავითა. რამეთუ იყო ბექა მონასტერთა და ეკლესიათა მაშენებელი, და მონაზონთა და ხუცესთა და მოწესეთა კაცთა პატივისმცემელი, და არა დააკლდის ეკლესიასა მისსა წესი ლოცვისა ცისკრად, სამხრად და მიმწუხრი. და ლაშქარი მისი ვერ დააკლდებოდიან სამსა ამასა ლოცვასა. და ამისთჳს უმარჯუებდა ღმერთი, და მოსცა ყაენმან ყაზან კარი და მიმდგომი მისი ქუეყანა.

ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა აღვიდეთ. მას ჟამსა იწყო ყაზან ყაენმან ამჴედრება მეგჳპტელთა ზედა, და მოუწოდა მეფესა ვახტანგს, და მისცა ბექამანცა ლაშქარი მისი რჩეული, რომელი დივნითა ხუდებოდა. წარემართა ყაზან, და შევიდეს ქუეყანასა ასურასტანისასა და შამისასა, და მოაოჭრებდეს, რამეთუ იყო სიმრავლე ლაშქრისა მისისა ათასამეტი ბევრი. და ვითარ ესმა სულტანსა მისრისასა, რომელსა სახელად უწოდდეს ნასირ მელიქსა, შეკრიბა სპა მისი ყოველი და მივიდა და დევნად განეწყო. და იქმნა ომი სასტიკი ესეოდენ, რომელ ხუტლუშა ნოინი ათასითა მჴედრითა წინადაუდგა ყაზანს, ამად რომელ დიდთა მიმართეს ყაზანს ზედა, და ათასისა კაცისაგან ექუსასი დაჴოცეს, და ოთხასიღა დარჩა, რომლითა სძლო და იოტნა, რომელსა თანაშემწე ექმნა ჩოფან სულდუსი ხუთასითა კაცითა, სადა ვახტანგ და სპანი მისნი მჴნედ ბრძოდეს. და ვითარ სწყდებოდა ორგნითვე ურიცხჳ, ივლტოდეს მეგჳპტელნი და სულტანი ნასირ მელიქი. და უკმობრუნდა ყაზან დევნისაგან და სამ დღე განისუენა, და მეოთხესა დღესა დევნა-უყვეს და მიეწივნეს მცირედნი და აძოსწყჳდნეს. და განიბნივნეს თათარნი, ტყუენვა-ყვეს, და მიუწია ლაშქარმან ვიდრე წმიდად ქალაქად იერუსალიმად, სადა-იგი მრავალი სული მოისრა ქრისტეანე, და უმეტეს სპარსნი. ხოლო ყაზან მიმართა დიამუშყსა ზედა, რომელ არს დამასკო. ხოლო მათ, ზენარისა მთხოველთა, მოსცეს ქალაქი და საქონელი ურიცხჳ, და დაამყარა ყაზან დამასკო და მიმდგომნი მისნი ქალაქნი, და დაყო ვითარ ოთხ თუე. და დაუტევნა მცველნი ქალაქისანი და წარმოვიდეს სახლად თჳსად თავრეჟად.

და ვითარ მოიწია ზაფხული, განდგეს დამასკელნი, და გამოასხეს მცველნი ყაზანისანი. ცნა რა ესე ყაზან, მოუწოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპასპეტსა მისსა ხუტლუშასა და მეფესა ვახტანგს. დაბრ-
ველთა მთავართა საქართველოსათა, და წარავლინა სულტანსა
ზედა ლაშქრად. მივიდეს და შევიდეს შამად და დამასკოდ, და
აოჯრებდეს დამასკოს და ველარ აიღეს. განვლეს დიდი ანტი-
ოქია, და მივიდეს ვიდრე ლაზადმდე. და ვერ შემართა სულ-
ტანმან ომი მათი, და მოაოჯრეს ექუს თუე. და მით უკმოიქ-
ცეს და მოვიდეს ყაზანს წინაშე განმარჯუებულნი.

და ვინათგან მეფე დავით არა მიენდო თათართა, ზაფხულ
მთიულეთს იყვის და ზამთარ ქართლსა. ამისთჳს იშლებოდა
ქუეყანა ქართლისა. და მთავარი ბაყათარ განდიდებულ იყო
და აოჯრებდა ქართლსა, თრიალეთსა და განასხმიდა მამული-
საგან აზნაურთა, და იყო ჭირი დიდი მკჳდრთა ქართლისათა.
და მეფემან დავით შეკრიბა ყოველი მთიული, წარვიდა და
მივიდა ტფილისს, და ჰყვა კაცი ცხენოსანი და ქუეითი, ვი-
თარ ათხუთმეტი ათასი, და მოუჴდა ყივჩაყთა საზაფხულოდ
მომავალთა. ხოლო ყივჩაყნი რომელნიმე ქალაქსა ეწივნეს, და
ზოგნი მტკურის პირით ივლტოდეს.

ესმა ესე ვახტანგს, ტაბაჴმელას მდგომსა, მივიდა მცირი-
თა კაცითა, განვლო ჴიდი და სახიუდაბელი, და განვიდა მახა-
თას, რამეთუ დავით და ლაშქარი მისი მახათას დგეს, თავსა
ქედისასა. და ვახტანგ ქუემოთ მიუდგა და დადგა, და ვერ
შემართა შებმა სიდიდითა დავითის ლაშქრისათა. მაშინ მცი-
რედნი ვინმე ჩამოვიდეს და აქათ მცირენი ვახტანგისანი მიე-
გებნეს, შეიბნეს და დავითის კერძნი გაიქცივნეს, და ორნი
ძმანი და შვილნი დაჴოცნეს. და ვითარ შენივთდებოდა ომი,
ათასი ყივჩაყი გაქცეული შეკრბა ვახტანგს თანა ჴარად. მა-
შინ მოიწია რისხვა ღმრთისა, და ივლტოდა დავით, და სპა
მისი ძლიერი უომრად იყო. დავით მოვიდა ომისა არა შემ-
მართი, მიუდგეს უკანა ყივჩაყნი და ქართველნი, და სდევდეს
ვიდრე ჴაჭუადმდე, დაჴოცეს კაცი ურიცხჳ. არათუ ვახტანგ
მტერი იყო ძმისა, არამედ თათართა შიშითა იძულებით შეება.

ოტებული რა ცნა დავით, უმძჳნვარესად აოჯრებდა ბაყა-
თარ ქართლსა, და მეფე დავით ვერ წინააღუდგებოდა. მით
სენიცა შეედვა ბოროტი, მიკრისი ჴელთა და ფერჴთა, და
უჴმარ იქმნა. და იყოცა კაცი ურწმუნო და უშიში ღმრთისა,
ამისთჳს ბოროტსა სენსა შთავარდნილი ულონოებდა. და ბაყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარ აოკრებდა ქუეყანათა და ჰოცდა კაცთა, დაღაცათუ სუ-
რამელი ჰამადა და რატი ძლიერად ებრძოდეს. მაშინ ბაყათარ
წარუღო გამრეკელსა, კახას ძესა, ციხე ძამისა. ცნა ესე ბექა-
მან, მოუჯდა დიდითა ლაშქრითა, ხოლო ბაყათარ, ციხით გა-
მოსრული, წინ დახუდა წინმავალთა ბექასთა. იქმნა ომი ფი-
ცხელი, და პირველსავე შებმასა გაიქცა ბაყათარ, და შევიდა
ციხესა. და ვითარ განძლიერდა, ითხოვეს ოვსთა ზენარი და
აღუთქუეს არაწყენა. და ესრეთ მოვიდა ბექას წინაშე გაუშა-
ვებელი, და უკანას მოკუდა ბაყათარ.

აწ ვიწყოთ თათართა მოთხრობად. და ვითარ გამოასხეს
მეგჳპტელთა მცველნი დამასკოსანი, ამისათჳს გამწყრალმან
ყაზან გაგზავნა იგივე ხუტლუშა სპითა ძლიერითა და ვახტანგ
სპითა საქართველოსათა. და ვითარ ცნა სულტანმან მისლვა
მათი, მიეგება სულტანი ომად. და იქმნა ძლიერი ომი, დაი-
ჰოცნეს ორგნითვე ურიცხუნი. და მას დღესა სწორი ძლევა
არა იქმნა, და ღამემან განყარნა. და ვითარ უკუდგეს, პოვეს
ქედი დიდი თათართა და მას ზედა შემოდგეს ხუტლუშა ერი-
თურთ, უსეინ, სევინჯი. გარნა სიბუჩი, ხუტლუშას შვილი,
მივიდა მახლობელად სულტნისა და დადგა ვაკედ, რომელსა
ახლდეს ბექას ლაშქარნი, და ყველასა ცხენი ჴელთა ჰყვა.
მოიჴელოვნა სულტანმან, რამეთუ ჩამოუშვა წყალი უკანაკერ-
ძო თათართა, და მას ღამესა ესეთი ლამი შეიქმნა, ცხენი და
კაცი ორნივე უჩინო იქმნიან ლამსა შიგან. და განთენა რა,
იხილეს თათართა უკანაკერძო ლამი და წინათ ლაშქრისა სიმ-
რავლე, უღონო იქმნნეს. პოვეს მცირე უგანო ადგილი ლა-
მისა, და მაშიგანცა დაიჰოცნეს სიმრავლე კაცისა და ცხენისა.
და რაჟამს აღივსო კაცითა და ცხენითა, მეოტმან ლაშქარმან
ზედა განსვლა დაიწყო. დაღათუ მოსწყდეს ურიცხჳ თათარი
და ქართველნი, და ვახტანგ და ნოინნი მშჳდობით დარჩეს და
მოვიდეს ყაზანს წინაშე, რომელი განწყრა და საპყრობილესა
მისცნა ყოველნი ნოინნი. და ეკაზმოდა კუალად სულტანსა
ზედა, გარნა დასნეულდა სენითა მუცლისათა და მოკუდა,
რომელი იგლოვა ყოველმან კაცმან სიმართლისათჳს, რომელ
ავისმოქმედი და მეკობრე და უსამართლო კაცი აღარ იპოვე-
ბოდა საყაენოსა მისსა, და ამისთჳს დაუტევა მწუხარება ყო-
ველთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო შემდგომად მისსა დასუეს ტახტსა ყაენთა ... მისი, სახელად ხარბანდა, რომელსა უკანასკნელ ოლჯათ სულტანი ეწოდა, რომელ ერთითა თუალითა არამხედველ იყო. და ვითარ ეძლო, იპყრობდა წესთა ძმისა მისისა ყაზანისთა, დაღათუ იყო ესეცა კაცი კეთილი. ამან მოიწყო ყოველი საბრძანებელი მისი, და ფრიად კეთილსა უყოფდა ვახტანგს.

ამან ხარბანდამან ინება გილანს წარსლვა, და მოუწოდა ყოველთა სპათა თათართა და თჳთ მეფესა ვახტანგს, და ოთხად განყო სპა თჳსი: უკეთესი და უწარჩინებულესი სპა მან დაიჭირა, და მეფე ვახტანგ. და ერთი ნაწილი მისცა ხუტლუშასა, და ბექასა ლაშქარი თჳთ პირველივე მისი იყო. ერთი ნაწილი ლაშქარი ჯალაირს მისცა, და ოვსნი გორს მსხდომნი, ერთი ნაწილი სულდუსსა ჩოფანსა მისცა. და თჳთო თავადი თჳთოსა გზასა ჩაგზავნა, და ერთს გზას თჳთ ყაენი ხარბანდა, სადა-იგი წინამბრძოლად მეფე ვახტანგ აჩინეს გილანს ყოველგნით. ხოლო გილანელნი დაღათუ მცირენი იყვნეს, არა შეშინდეს, რამეთუ იყვნეს გილანსაცა ოთხნი მთავარნი, რომელთა სახელები იყო ერქაბაზნ და უბაში, როსტან და ასაწ. ესე თჳთ დადგა სიმაგრეთა შინა, შეკრა ხარხალი და ერქაბაზნ ყაენს ხარბანდას დაუდგა წინ და შემოება, და იქმნა ომი ძლიერი, რამეთუ ვახტანგ წინამბრძოლობდა. ქუეითნი გზისა სივიწრისაგან და ტყისა სიჯშირისაგან არა ივლებოდეს, სადაცა მცირე ვაკე იყვის, ლამი იყვის.

ვითარ განგრძელდა ომი, პირველ ისრითა და მერმე ჯრმლითა იბრძოდეს თათარნი და ქართველნი, და ხარბანდა თჳთ უჭურეტდა. მცირედნი შეეწეოდეს და ჴმითა განამჴნობდეს. ვითარ შენივთდა ომი, არა შეაქცევდა მეფე ვახტანგ ზურგსა, არც სპა მისი, არამედ ადგილთა სივიწრითა მოისრვოდეს ესეოდენ, რომელ ათისაგან ძლივ ორნი ცოცხალ იყვნიან. ხომხითარნი ახლდეს, რაოდენიცა იპოვებოდეს ცხენსა ზედა მდგომი. ესრეთ მოსწყჳდეს, მრავალნი აზნაურნი უმკჳდრო გახდეს, რამეთუ მამა, შვილი და ძმა, ყოველნივე მუნ ახლდეს. გარნა რომელნიმე დარჩეს, თჳთ ვახტანგ არა გარემიაქცევდეს, არამედ მჴნედ და ძლიერად იბრძოდეს. განკჳრდეს თათარნი ხიმჴნესა ქართველთასა, რამეთუ ვახტანგ მჴნე იყო ომსა შინა და მჴნედ იბრძოდა, და მცირედ დაიკოდა ბარკალსა. და მიდრკა მზე და მოეახლა ღამე, და ჴანიყარნეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარ იხილა ყაენმაწ სიმაგრე ქუეყანისა, ტყითა და კლდითა, ღამე ყოველ წარმოვიდა. ცნეს გილანელთა, დეგხაუყვეს, და რომელთა ეწივნეს, დიდად ავნებდეს.

ხოლო ერთკერძო ხუტლუშას შვილი დაუდგა წინა. ხოლო თავადმან გილანელთა უბაშ შეკრა მანცა ხარხალი, და შეაბა კარი იწროსა შესავალსა, და დაუდგა ხუტლუშას. ხოლო იგი გარდაჯდა ცხენისაგან და დაჯდა სკამითა და უბრძანა ბექას ლაშქართა ქუეითად შესლვა, და ყვეს. შევიდეს ხარხალსა და გარდვიდეს, და შეიქნა ომი ძლიერი აქაცა, ქართველთა და მესხთა ზედა. არცა ამათ შეაქციეს ზურგი, არამედ მჯნედ ბრძოდეს, და უფროსნი გილანელნი მოისრვოდეს. მაშინ სტყორცა ვინმე ისარი და ეცა თავსა შიშუელსა ხუტლუშა ნოინსა, მყის მკუდარი შთაიჭრა სკამისაგან. ვითარცა იხილა შვილმან მისმან სიბუჩი სიკუდილი მამისა, მსწრაფლ ივლტოდა იგი და სპა მისი, ხოლო მესხნი დარჩეს ხარხალსა შინა. მცირედნი ივლტოდეს და უმეტესნი მოისრნეს. და მოიწია უზომო რისხვა ღმრთისა თათართა და მესხთა ზედა, რამეთუ უკანით, სადა ბრინჯი დგომილ იყო ვაკესა შინა, ღამით წყალი ჩაეგდო. ესრეთ ლამი შექმნილიყო, ვერცა ცხენი და ვერცა ქუეითი ვერ გაიარდა, და იქმნა მოსრვა ძლიერი.

ხოლო ჩოფანსაცა შემოება როსტან მელიქი ვაკესა ადგილსა, გარნა ჩოფან სძლო და იოტა სიმაგრესა შინა. არლარა შეჰყვა, არამედ წყნარად დაბრუნდა და აჩინა მჯედარნი მისნი უკანამავლად. ჯავახის შვილი გამრეკელი მჯნედ იბრძოდა ომსა მას, და გარდამოვიდეს მშჯდობით.

ეგრეთვე უსენს და ოვსთა შეება ასან, და სწორი ძლევა იქმნა, და იგინიცა გამოქცეულნი ივლტოდეს, და მივიდეს და შეკრბეს უჟანს ხარბანდა ყაენს წინაშე.

სულდუსი ჩოფან მჯედართმთავრად განაჩინეს, მონაცვალედ ხუტლუშასა, ხოლო მეფე ვახტანგ პატივცემულ-ყვეს, და დიდებულნი მისნი ყოველნი მჯნედ ბრძოლისათჳს ნიჭითა დიდითა წარმოავლინეს შინა.

ვითარ წარვიდა ვახტანგ, მოუჯდეს კაცნი ხოდრასელნი, სჯულითა სარკინოზნი და მტერნი ქრისტესაღმსარებელთანი, ყაენსა ხარბანდას და რქუეს: „უკუეთუ არა ყოველთა ქრისტიანეთა დაატევებინო სჯული, და ეკლესიანი არა დააქცივნე, არა განგემარჯოს მტერთა ზედა, და არა წარგემართოს მეფო-

ბა შენი და ჯელმწიფება". ესე სიბილწე წარმოსთხიეს ცუდ-
რჯულთა. ამათ ძლით ისმინა ყაენმან და იწყო რღუეგდ
ეკლესიათა. და წარმოავლინა ლაშქარი და ერთი ნოინთა მთა-
გარი, რათა მოვიდეს საქართველოსა, და მეფესა და ყოველთა
ქართველთა დაატეეებინოს სჯული და სარკინოზად შექმნას
და ყოველსა საქართველოსა შინა დაარღვნეს ეკლესიანი.

და ეწია ნახჭევანს წარმოსლვასა ვახტანგს ესე წარმოვლი-
ნებული ნოინი, ხოლო მეფე ვახტანგ არა შეშინდა, არამედ
განმჭნდა, და უმეტეს მოაჯსენებდა სიმჭნეთა და ღუაწლთა
ქრისტეს ღმრთისათჳს და რქუა სპათა თჳსთა: „კაცნო, ძმანო
და ერთსჯულნო, და ქრისტეს ღმრთისა ჭეშმარიტად აღმსა-
რებელნო, უწყით სჯული მამათა მიერ, და გასმიეს ქადაგება
წმიდათა მოციქულთა, და უწყით ღუაწლნი და ახოვნებანი
მოწამეთანი, და გიხილვან თუალითა თქუენითა ტაძარსა შინა
მათსა სასწაულნი ურიცხუნი, და გასმიეს სახარებასა შინა
უტყუელისა პირისა, ვითარმედ: „რომელმან აღმიაროს მე წი-
ნაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცა-
თასა", და კუალად: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი
და ტჳრთმძიმენი, და მე განგისუენო თქუენ". აწ ნუ შეძრ-
წუნდებით, წარვიდეთ ყაენს წინაშე და დავდვათ სული ჩუე-
ნი მისთჳს, რომელმან დადვა სული თჳსი ჩუენთჳს. პირველად
ჩუენ მივსცეთ თავნი ჩუენნი სიკუდილად, მერმე იყავნ ნება
ღმრთისა, და მან დაიცვას სამწყსო თჳსი".

ვითარ ესმა სპათა ვახტანგისთა, სიხარულით შეიწყნარეს
ბრძანებული მისი, მყის წარემართნეს ურდოსა და მივიდეს
ყაენს წინაშე. ხოლო ყაენი განკჳრდა მისლვასა მეფისასა. და
მივიდეს კარსა ყაენისასა და მუჯლნი დაიდგნეს, და რქუა მე-
ფემან ჯმითა მაღლითა: „ისმინე, მაღალო და ძლიერო ყაენო.
მოვიდა ბრძანება, რათა ყოველთა ქრისტიანეთა დაუტეოთ
სჯული ჩუენი. აწ ისმინე: ბედნიერთა პაპათა და მამათა თქუ-
ენთა ჰმონა და მსახურა პაპამან და მამამან ჩუენმან ამით
სჯულითა, და აროდეს გუასმიეს, თუ სჯული ქართველთა ავი
არს, არამედ უწარჩინებულეს ყოფილვართ ყოველთაგან. და
სპარსთა სჯული უფროს საძაგლად შეერაცხა პირველთა ყაენ-
თა. ამისთჳსცა იგინი მოსწყჳდნეს, რამეთუ იყვნეს მწამლველ
და მამათმავალ და კაცისმკვლელ. და აწ თუ სიტყუასა სპარს-
თასა ისმენ, ყაენო, მე ვარ მეფე ქართველთა, და ყოველნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარნი საქართველოსანი შენ წინაშე არიან, და მე მზა ვარ ბიბლიოთეკა სიკუდილი სჯულისათჳს ქრისტეანობისა, და მერმე ესე ყოველნი, შენ წინაშე მყოფნი ქრისტეანენი. აჰა, თავნი ჩუენნი წარგუკუეთენ". და წარუპყრაცა ქედი. და ვითარ ესმა ყაენსა სიტყუა ესე, განკჳრდა და პატივ-სცა მეფესა, და სიტყჳთა ტკბილითა აღადგინა და შეინანა, და აბრალა, რომელთა აქმნევინეს.

ხოლო იქმნა ესეცა, რომელ არღუევდეს თავრეჟს ეკლესიათა, არამედ ოთხსა დღესა შინა ოთხნი შვილნი ხარბანდასნი დაიჭოცნეს, სახელით ბასტამ და მას ზედანი. და ესრეთ წარდგომილმან მეფემან დაჯსნა შური და შფოთი მომავალი საქართველოსა ზედა.

ხოლო წარმოვიდა ვახტანგ პატივცემული, და მოვიდა მუნვე ნახჭევანს, შეედვა სალმობა მუცლისა და მოკუდა შემკული გჳრგჳნითა მეფობისათა. და წარმოიყვანეს და დამარხეს დმანისს. და დარჩეს შვილნი ორნი: დიმიტრი და გიორგი. დიმიტრის დმანისი აქუნდა და გიორგის სამშჳლდე.

და ვითარ ჴელთ-უდვეს მჴედართმთავრობა თჳთ ხუტლუშასი ჩოფანს, წარმოემართა ჩოფან ლაშქრითა ურიცხჳთა. პირველ მოვიდა კოლა-არტანს ვიდრე არსიანადმდე და აცნობა ბექას, რათა წახოს ყაენი ანუ ჩოფან, რომელ არა თავსიდვა ბექამან, არამედ შვილი მისი უმრწამესი თანაწარატანა, სახელით შალვა. წარვიდა და ჩავლო სომხითი, და დარჩა ქუეყანა ბექასი მშჳდობით.

ხოლო აქა დაიწყო აღმოცისკრებად ძემან მეფისამან გიორგი, რომელი აღეზარდა პაპასა მისსა დიდსა ბექასა, რომელი წარავლინა ბექამან ჩოფანს თანა, და მან მიიყვანა ყაენს წინაშე. ხოლო მან პატივითა შეიწყალა და წინათვე დაუსახვიდა ნიშთა მეფობისათა. ამან ყაენმან წარმოავლინა მოციქული და სთხოვა დავითს შვილი, რათა მეფე-ყოს. მაშინ მცირე იყო გიორგი, იგიცა მოსცეს და წარმოგზავნეს ურდოსა, და ყაენმან მისცა მეფობა და ტფილისი და უჩინა მოძღურად და საქმისა მოურავად დიდი გიორგი, და მივიდეს ტფილისს.

და ამას წელსა მიიცვალა მთავარი სამცხისა ბექა, კაცი წარმატებული ყოველსა შინა, სიკეთეაღმატებული საღმრთოსაკაცობოთა საქმეთა და უმეტეს სამართლისმოქმედებითა,

ეკლესიათა და მონასტერთა მაშენებლობითა, სოფლისა ეროვნული ბიბლიოთეკა
ლად მორწმუნეობითა, გლახაკთა უზომოთა მიცემითა. ხოლო საყუარელი მეუღლე მისი იყო გამცემელ ეპისკოპოზთა და მონაზონთა და ყოვლისა სამღდელოსა და საეკლესიოსა სოფლისა ესეოდენ, რომელ სადმე ესმის კეთილი მოღუაწე და მეცნიერი ეპისკოპოზი, გინა მონაზონი, მის წინაშე მოუწოდის და მოიყვანის, და მრავლითა ნიჭითა და პატივითა ამყოფის. და სავსე იყო სახლი მისი მონაზონითა და ხუცითა. ამას თანა აქუნდა შეწყნარებულობა ობოლ-ქვრივთა, ხოლო სახლსა მისსა არა დააკლდებოდა სამ-სამი ლოცვა. ამისთჳსა წარუმართა ღმერთმან დღენი ცხორებისა მისისანი. მტერთა ძლევასა, მშჳდობასა და დაწყნარებასა მიიცვალა ვითარ სამეოცდაექუსისა წლისა, და დაუტევა გლოვა და მწუხარება უზომო მკჳდართა სამცხისათა. და დაიპყრეს სამცხე სამთავე ძეთა მისთა: უხუცესმან სარგის, და შედეგმან ყუარყუარე და უმრწამესმან შალვა.

ხოლო აღესრულა მესამესა წელსა მეფე დავით, გარჯილი სენთა მწარეთა მიერ, და დაფლეს სამარხოთა მეფეთასა მცხეთას, და დაუტევეს ნაცვლად მისად ძე მისი მცირე გიორგი, ორ წელ მეფექმნული.

შემდგომად ამისა ინება ყაენმან ამჳედრება ქუეყანასა შამისასა, ციხესა, რომელსა ეწოდების რაბაშამი, რომელი აქუნდა სულტანსა მისრელსა. წარვიდა ძალითა თჳსითა, და თანაწარიტანა ლაშქარი დიდი, და გარემოადგა რაბაშამს ხუთ თუე, და ვერა ავნო, აღიყარა და წარვიდა. და ჰყვა ექუსი არწივი, დამარხული სხუათა თანა მფრინველთა და ავაზთა აქათ, ესეოდენ დიდი იყო ძალი მისი. მოვიდა ყაენი შინა და მიერითგან არღარასადა განილაშქრა დღეთა მოსთა, იყოფოდა მშჳდობით და ნებიერად, ათცამეტ წელ დამპყრობელი ყაენობისა.

ამან ოლჯათ სულტანმან წარმოავლინა მცირე გიორგი მეფედ, და ზაალ მელიქი, ვინმე სპარსი ხუარასნელი, და ახრუჩი, მამისძმა ჩოფანისა, თანაწარმოიტანა, რათა ყოველი საქართველო ერთად შეკრიბონ მეფობასა შინა გიორგისსა. და აჩინეს ამათ შანშე მჳარგრძელი და ზაქარია, ავაგის ასულის ხუაშაქის ნაშობი. მივიდეს ჯავახეთს, მიერ კოხტისთავსა, და აწუევდეს სარგისს და ყუარყუარეს გამოსლვად, და არა ინებეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამათ ჟამთა შინა იქმნა განდგომილება საბერძნეთს, და ფანუდგეს ოლჯათ სულტანსა ფარვანას შვილნი და ქალაქი დიდი კონისა. მაშინ წარავლინა ყაენშან ჩოფან სპითა მისითა საბერძნეთს და თანაწარატანა ქართველნიცა. და წარჰყვა გიორგი ჩოფანს, ხოლო გიორგი მცირე, ზაალ მელიქ, შანშე და ზაქარია არა წარჰყვეს თანა, წარვიდეს და აღიყარნეს და ტფილისს შევიდეს. და წარიტანეს თანა მეფე გიორგი საბერძნეთს, და ვერ წინააღუდგეს ფარვანიანნი ლაშქართა მათ ერთ წელ. და ყოველნი მას შინა მყოფი ქართველნი მოსცეს მეფესა გიორგის. იახლნეს ჯავახნი და თორელნი ოდენ ყვეს, და სადაცა ილაშქრიან და შეიბიან ციხესა, მჯნედ მბრძოლად გამოჩნდის მეფე გიორგი და ყოველნი ქართველნი. ესრეთ მოიმორჩილნა ყოველნი განდგომილნი და ურჩნი, და მოქცევასა წელიწადისასა მივიდა შინა. და სთულისა ჟამსა, ვითარ მივიდა ჩოფან ყაენს წინაშე, და მცირედღა დაყო, ვითარ თუეცა ერთ, მოკუდა ოლჯათ სულტანი და დაუტევა ძე მცირე, ვითარ შვიდისა წლისა, სახელით აბუსაიდ. ხოლო იგი მიასუენეს და დაფლეს ქალაქსა, რომელსა ეწოდების ყორღოილანგი, რომელი მან აღაშენა და განავრცო უმეტეს თავრეჟისა და უწოდა სახელად სულთანია.

ესმა გიორგი მეფესა სიკუდილი ყაენისა და მის წილ დადგინება აბუსაიდისა, და წარვიდა ურდოსა. შეიწყნარეს, და განიხარა ჩოფან და შეიტკბო ვითარცა შვილი, და მოსცა ყოველი საქართველო და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი, და შვილნი დავით მეფისანი, და მესხნი, შვილნი ბექასნი.

და იწყო მთიებმან აღმოჭვრვებად, ხოლო მე ენა ვერ მიძრავს საკვრველისა და საშინელისა თქუმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერმინთა განმარტება

ა

აბჯრისმტვირთველი — წარჩინებულ მეომართა დამხმარე პირი, რომელიც მათ იარაღს ატარებდა. საქართველოს მეფის აბჯრისმტვირთველი ეზოსმოძღვარჩუხჩარები იყო (იხ.)

აეშაგი — ჯაშუში.

ავარი, იავარი — ალაფი, ნაძარცვი.

ავქსონი — ავტორი.

აზატი, აზადი — თავისუფალი.

აზმა — ქება.

ათაბაგი — ტახტის მემკვიდრის აღმზრდელი; ოლქის გამგებელი; თამარის დროიდან ვაზირი.

აიდი — მუსლიმთა დღესასწაული.

ალვა — სურნელოვანი საკმეველი

ამარი — რაოდენობა.

ამირა, ამირათ-ამირა — ოლქის, ქალაქის მმართველი, ასევე აღმოსავლური ტატული. ამირები ისხდნენ თბილისშიც, სანამ ქალაქს დავით IV შემოიერთებდა.

ამირ-მუნი, ამირ-მუმლი — არაბ. ამირ ალ-მუმინინი — „მართლმორწმუნეთა მბრძანებელი", ხალიფების ტიტული.

ამირახორი. ამილახორი — იხ. მეჯინიბეთუხუცესი.

ამირეჯიბი — საქართველოს სამეფო კარის დიდი მოხელე, მანდატურთუხუცესის მოადგილე. ეჯიბთა უფროსი, მეფის მთავარი მომხსენებელი.

ამირსპასალარი — მხედართმთავართა უფროსი, საქართველოს მეფის ვაზირი.

ანდამატი — ალმასი.

ანდრიანტი — ქანდაკება.

ანთიპატოსი — ბიზანტიური ტიტული.

ანთრაკი — ძვირფასი ქვა.

ანტაკრა — წინააღმდეგ.

არგანი — კვერთხი, მაღალი თანამდებობის პირთა (მაგ. მანდატურთუხუცესის) ინსიგნია.

არმაღანი — ძღვენი.

არქუანი — ქრისტიანების მონღოლური სახელწოდება.

არძანიგი — ჯეროვანი პატივი, ღირსება.

ასტროლაბი — ასტრონომიული ხელსაწყო.

ასფოდელო — სამოთხე.

აფთი — მახვილის სახეობა.

აფიონი — ოპიუმი.

აღაპი — მიცვალებულის მოსახსენებელი.

აჯა — თხოვნა, ვედრება; საქართველოს მეფისადმი მიმართვის ფორმა.

აბლა — შეძახილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ

ბაგინი — წარმართთა საკერპო ტაძარი.
ბადური — მონღოლ დიდებულთა საპატიო წოდება.
ბაშმაყანი — ფეხსაცმელი (მონღ.).
ბეგარა — ხარკი, გადასახადი.
ბევრი — 10.000.
ბიზიონი — ძვირფასი ქსოვილი.
ბისონი — ძვირფასი ქსოვილი.
ბომონი — იხ. ბაგინი.
ბუსუნი — საფარი.

გ

განმზრახი — მრჩეველი, ვაზირი.
გუნდრუკი — საკმეველი.
გუჯარი — სიგელი.

დ

დაბდადი — დოლის მსგავსი საკრავი.
დავრეში, დარვეში — დერვიში, მუსლიმი გლახაკი.
დარბაზი — სასახლე, სამეფო სასახლე, სამეფო კარი, სახელმწიფოს უმაღლეს დაწესებულებათა ერთობლიობა.
დარბაისელი, დარბაისერი — სამეფო სასახლის კარისკაცი.
დასნაჭდა — იხ. ჭალაშ.
დევტალარი — ქრისტეს სამარის მცველი, ეკლესიის მეორე მოხელე.
დიასპანი, დესპანი — მოციქული, ელჩი.
დორი — მისაყუდებელი ბალიში.
დრამა — ვერცხლის ფული.
დრაჭკანი — ოქროს ფული.
დრომონი — გემის სახეობა.
დუმანი — ათი ათასი. მონღოლთა ლაშქარი დუმნებად იყოფოდა.
დუმბული — მცირე ნაღარა.

ე

ებანი — საკრავი.
ებგური — გუშაგი, დარაჯი.
ეზოსმოძღვარი — იხ. ჩუხჩერახი.
ენკრატისი — მონაზონი ქალი.
ერისთავი, ერისთავთ-ერისთავი — ადმინისტრაციული ერთეულის. საერისთავოს გამგებელი საქართველოში. დიდი საერისთავოს გამგებლებს ერისთავთ-ერისთავები ეწოდებოდათ.
ექსორია — განდევნა, გაძევება.
ეჯანი — პატრონი, მეფე (მონღ.)
ეჯიბი — სამეფო კარის მოხელე, ამირეჯიბის (იხ.) ხელქვეითი, მეფის მომხსენებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ

ვაზირი, ვეზირი — საქართველოს მეფის მრჩეველი, მინისტრი (იხ. განმზრახი).
ვახილოღრაფი — მეფეთა ცხოვრების ღწერა (ბერძ.).
ვარდაპეტი — მოძღვარი (სომხ.)

ზ

ზატიკი — პასექი.
ზეზი — ძვირფასი ქსოვილი.
ზიემი — ზეიმი.
ზმირი — ზურმუხტი.
ზორვა — მსახურება, მსხვერპლთ შეწირვა.
ზორვარი — სომხ. ზორავარ, უდრის ბიზანტიურ დომესტიკოსს, მხედართმთავარი.
ზუზმა — ქსოვილის საზომი.

თ

თამაჩი — მონღოლთა ძიერ დასავლეთში სალაშქროდ გაგზავნილი მეომრები.
თენგრი — მონღოლთა უმაღლესი ღვთაება.
თჯხი — ნათესავი, მახლობელი, აგნატი; მისი, თვისი, საკუთარი.

ი

იაკინთი — იაგუნდი, ძვირფასი ქვა.
იერლიაყი — წყალობის წიგნი (მონღ.).
ილხანი — ირანის მონღოლი მბრძანებლების ტიტული.
იპატოსი — კონსული.

კ

კატაბანი — წინამძღოლი.
კატაპელტი — ისრის სატყორცნელი მანქანა.
კუართ-ფილონი — სამღვდელო სამოსელი.
კუბო — ტახტრევანი, ხაჩრდილობელი.
კურაპალატი — ერთ-ერთი უმაღლესი ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული.

ლ

ლავრა — დიდი მონასტერი.
ლიტანია — საეკლესიო ლოცვა ღამისთევით.
ლიხტური — დამახინჯებული ბიზანტიური „რექტორი" (?)
ლოღოთეტი — ბიზანტიური მაღალი საკარისკაცო თანამდებობა.

მ

მაგისტროსი — ბიზანტიური ტიტული.
მამახახლისი — აქ: ქართლის ხელისუფალი მეფობამდელ ხანაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამფალი — ძველქართული ტიტული.

მანდატურთუხუცესი — სამეფო სახლისა და დომენის გამგებელი. მას ჭეშ-ვემდებარებოდა საპოლიციო სამსახური, თვალყურს ადევნებდა ეთიკეტისა და ცერემონიალის შესრულებას

მანიკი — ყელსაბამი.

მარზაპანი - - საზღვრის მცველი მოხელე.

მარნენიო — ბედისწერა.

მარტკლია — სულიწმინდის მოფენის დღე.

მაღნანტი — მაგნიტი.

მაღრიბი — დასავლეთი (არაბ.).

მაშრიყი — აღმოსავლეთი (არაბ.).

მენავეთმოძღუარი — გემის უფროსი.

მენარა — მინარეთი.

მესტუმრე — საქართველოს მეფის მოხელე.

მექანარე — ქანრის დამკვრელი.

მეღვნეთუხუცესი — საქართველოს სამეფო კარის მოხელე.

მეწიგნე — წერილების დამტარებელი მალემსრბოლი.

მეჭურჭლეთუხუცესი — ვაზირი, ექვემდებარებოდა სამეფო ხაზინა, სამეფო ქალაქები და ვაჭრები.

მეჯინიბეთუხუცესი — სამეფო საჯინიბოებისა და ცხენოსანი ჯარის უფროსი. იგივეა რაც ამირახორი.

მეკრმალე — ჯალათი.

მთავარქონდაქარი — მთავარი ჯალათი.

მილიონი — ათასნაბიჯიანი მანძილი.

მიჯლიში — აუდიენცია, წვეულება, ლხინი.

მოაბა — ტახტრევანი, კუბო (იხ.).

მონასპა — მეფის პირადი გვარდია.

მსახურთუხუცესი — ვაზირი, ევალებოდა მეფისა და სახელმწიფო ბეჭდის დაცვა, სარდლობდა დომენის ლაშქარს, სამეფო ციხე-ქალაქების გარნიზონებს.

მსტოვარი — ჯაშუში.

მულიდი — ისმაილიტთა ერეტიკული სექტის წევრი.

მულიმი — მუსლიმი სწავლული

მუტრიბი — მეჩანგე ქალი.

მუყრი — მუეძინი, მოლა, რომელიც მინარეთიდან სალოცავად უხმობს მუსლიმებს.

მუშაითი, მოშაითი — ჯამბაზი, „საბელზედ მოთამაშე" (საბა).

მწიგნობართუხუცესი — საქართველოს მეფის უპირველესი ვაზირი, დავით IV-ის დროიდან ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი.

ნ

ნასრანი — ქრისტიანი (არაბ.).

ნატი — ტყავის საპატიო საფენი.

ნიაფორი — დედათა მონასტრის ზედამხედველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოველისიმოსი — ერთ-ერთ უმაღლესი ბიზანტიური ტიტული.
ნოინი — „მონღოლთა ერისთავი", სარდალი.

ო

ოფაზი — ბაჯაღლო.
ოქსინო — ძვირფასი ქსოვილი.

პ

პალან-კურდანი — სატვირთავი, კურტანი.
პალატი — ხ. დარბაზი.
პარაკიმაწოზი — ბიზანტიური პარაკიმომენოსი. მესაწოლე.
პატიახში — იგივე პიტიახში. უმაღლესი მოხელე ძველ ქართლში, სპარსეთსა და სომხეთში.
პატიჟი — სასჯელი.
პატრიკი — ბიზანტიური ტიტული პატრიკოსი.
პატრუცაგი — მეფის მიერ მეფესთან გაგზავნილი წერილი.
პორფირი — ძოწი, მეფეთა და მღვდელმთავართა შესამოსელი.
პროედროსი — თავმჯდომარე, თავადი.

რ

რაყამი — წერილობით ბრძანება.
რინდი — ოფიციალური სუფიზმის დოგმებს დაპირისპირებული მოქალაქეები აღმოსავლეთში. მოქეიფეები, ლოთები (სპარს.).

ს

საგზებელი — ცეცხლთაყვანისმცემელთა საკურთხეველი, ცეცხლის ასანთები ადგილი
საყდარი. — დასაჯდომი, სამეფო ტახტი; ეკლესია.
საჭურჭლე — ხაზინა, საცავი.
საჰიბ-დივანი — ფინანსების გამგებელი მოხელე ილხანთა სახელმწიფოში.
სევასტოსი — ერთ-ერთი უმაღლესი ბიზანტიური ტიტული.
სიბა — ღობით შეკრული წყლისპირი.
სკარამანგი — ძვირფასი ქსოვილი, რომლითაც იმოსებოდნენ საქართველოს ვაზირები.
სმარაგდო — ძვირფასი ქვა.
სპა — ლაშქარი.
სპასალარი — მხედართმთავარი.
სპასპეტი — მხედართმთავარი.
სპერმური — დიდი ნაღარა.
სტავრა — ძვირფასი ქსოვილი.
სტრატიოტი — ჯარისკაცი (ბერძნ.).
სუჭური — ქოლგა, რომლის გამოყენების პრივილეგია ჰქონდა მხოლოდ ყაენს და მის მიერ ნებადართულ პირს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხუქურჩი — სუქურის დამჭერი.
ხქემა — სამონაზვნო სამოსელი.

ტ

ტამღა — მონღოლთა მიერ ვაჭრობაზე დაწესებული გადასახადი.
ტალმა — რაზმი.
ტაძარი — სამეფო სასახლე (იხ. დარბაზი, პალატი); ეკლესია.
ტაჯგანაგი — დიდი მათრახი.

უ

ულდაჩი — მეხმლე (მონღ.)
ულუმპიანი — ოლიმპიელი, ქართველ მეფეთა ეპითეტი.
ულუსი — ურდო, ბანაკი.
ურდსინგი — წლისთავი (მონღ.).
უტევანი — მანძილის საზომი.

ფ

ფალანგი — ნაბდის სახლი (საბა).
ფანდაკი — ქოშის მაღალი ქუსლი.
ფანჯანობათი — საკრავი, რომელიც წინ მიუძღოდა მეფეთა და სულტანთა კორტეჟს.
ფანჯიაკი — მეხუთედი.
ფარმანი — ბრძანება (სპარს.)
ფილაკავანი — ციხეთა კედლების სანგრევი სასროლი იარაღი.
ფილენჯი — დამბლა.

ქ

ქანარი — (იხ. მექანარე) საყვირი.
ქაფარი — ურჯულო. ასე უწოდებდნენ მუსლიმები არამუსლიმებს.
ქორეპისკოპოსი — აქ; კახეთის მმართველთა ტიტული.
ქოსი — სპილენძ-ჭური (საბა). დასარტყმელი საკრავი (?)
ქოუნ — შვილი (მონღ.).
ქსენონი — საავადმყოფო.
ქუჯინ — კერპთმსახური (მონღ.).

ღ

ღულამი — მსახური.

ყ

ყადი — მუსლიმი მოსამართლე, შარიათის მცოდნე.
ყაენი — მეფე, შაჰი.
ყუმჩაჩი — ტანისამოსისა და ფეხსაცმლის მცველი (მონღ.).
ყურანი — მუსლიმთა წმინდა წიგნი.
ყურულთა — მონღოლთა არისტოკრატიის საკრებულო საბჭო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ

შანა — მონღოლთა მიერ დაპყრობილ ადგილებში დანიშნული სამხედრო გამგებელი.

ჩ

ჩაბალახი — მუზარადი.
ჩალიში — ხელჩართული ბრძოლა.
ჩათრი — სამეფო საჩრდილობელი.
ჩაჯვ — პარკი.
ჩინჭიშანი — იგივეა რაც „ჩინგსანგის" ტიტული, უმაღლესი სამოხელეო წოდება მონღოლთა სახელმწიფოში.
ჩოჯა — საბერო სამოსელი.
ჩუხჩარეხი — იგივეა რაც ეზოსმოძღვარი. განაგებდა საგანმგეო უწყებას, იყო მეფის პირადი აბჯრისმტვირთველი.

წ

წათი — ლახვარი.
წინწილი — საკრავი.

ჭ

ჭალაშ — იხ. ჩალიში. ამავე ტერმინთან კავშირშია „დასნაჭტლა", რომელიც როგორც ვარაუდობენ, დაშნით მებრძოლს უნდა ნიშნავდეს.

ხ

ხადუმი — საჭურისი მსახური.
ხათუნი — ქალბატონი.
ხაკანი — ხაზართა და ძველ თურქთა უმაღლესი ხელისუფლის ტიტული.
ხალენი — მატყლის ქსოვილი.
ხალიფა — არაბთა სახელმწიფოს საერო და სასულიერო მეთაური.
ხანდაკი — თხრილი.
ხარაჯა — ხარკი, ბეგარა.
ხარგა — კარავი.
ხასაგიანი — მეფის დომენის დიდებული.
ხუასტაგი — საქონელი.

ჯ

ჯვარისმტვრთველი — საგანგებო ჰოხელე, რომელიც სამეფო ჯვარს „ძველი ცხოვრებისას" დაატარებდა.
ჯიმრი — მდაბიო.

ჰ

ჰოროლი, ოროლი — შუბის სახეობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

წინასიტყვაობა 3
შესავალი: უცნობი ავტორის აპოკრიფი — „მსოფლიო ისტორია“ . 10
ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. წინოს მიერ ქართლის მოქცევა 37
ჯუანშერი. ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასლისა . . 132
ლეონტი მროველი. წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა რომელი იყო მეფე ქართლისა 200
უცნობი მემატიანე. მატიანე ქართლისა 204
უცნობი მემატიანე. ცხოვრება მეფთ-მეფისა დავითისი 244
სუმბატ დავითის ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა . . 279
უცნობი მემატიანე 296
უცნობი მემატიანე. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი . . 304
უცნობი მემატიანე. ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი . . . 383
ეამთააღმწერელი. ასწლოვანი. მატიანე 413
ტერმინთა განმარტება 552
შინაარსი 559

ეროვნული
ბიბლიოთეკა

«КАРТЛИС ЦХОВРЕБА»

(ИСТОРИЯ ГРУЗИИ)

(На грузинском языке)

Издание подготовили, предисловиеми разъеяснениями терминов снабдили И. П. Антелава и Н. Ф. Шошиашвили

ᲡᲒ. № 4730 Научно-популярное издание

ტ. 5000 შეკ. № 1743

საქცია საზოგადოება „ფარნავაზი“ გრიგოლ რობაქიძის გამზირი № 7.

K 289.405
3
ეროვნული
ბიბლიოთეკა